თბილისის ისტორიის

სამ ტომად

თბილისი
1990

თბილისის ისტორია

ტომი

I

თბილისი უძველესი
დროიდან XVIII საუკუნის
ბოლომდე

„მეცნიერება"
1990

ქართულ ისტორიოგრაფიაში პირველად მომზადდა დედაქალაქის ისტორიის მეცნიერული სამტომეული, რომელშიც შეჭდება მისი თავგადასავალი უძველესი დროიდან დღემდე.

პირველ ტომში ასახულია ქალაქის ისტორია დასაბამიდან ვიდრე XVIII საუკუნის დასასრულამდე. ტომი ემყარება არსებულ პირველწყაროებსა და ლიტერატურული ხასიათის მასალებს. გამოყენებულია აგრეთვე თბილისისადმი მიძღვნილი მეცნიერული გამოკვლევები.

წიგნის ავტორებს ცდა არ დაუკლიათ, რომ სათანადო სისრულით ჩვენებინათ დედაქალაქის ეკონომიკური, სოციალურ-პოლიტიკური და კულტურული განვითარება.

წიგნი გათვალისწინებულია სპეციალისტებისა და მკითხველთა ფართო მასებისათვის.

პირველი ტომის ავტორები არიან: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსები — ვ. ბერიძე, შ. ხიდაშელი; წევრ-კორესპონდენტები — მ. დუმბაძე, მ. ლორთქიფანიძე; მეცნიერებათა დოქტორები — მ. აბდუშელიშვილი, შ. ბადრიძე, ვ. გუჩუა, ა. კაცაძე, თ. პაპუაშვილი, ქ. ჩხატარაიშვილი, გ. ჯამბურია, დ. ჯანელიძე; მეცნიერებათა კანდიდატები — თ. ბერიძე, მ. ბერძნიშვილი, დ. მეგრელაძე, ლ. ტუხაშვილი, ო. ტყეშელაშვილი, გ. ძიძიგური, ვ. ჯაფარიძე.

სამტომეულის სარედაქციო კოლეგია:

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსები — ი. კაჭარავა, გ. მელიქიშვილი, აკად. წევრ-კორესპონდენტები — მ. დუმბაძე (მთავარი რედაქტორი), ა. სურგულაძე, ისტ. მეცნ. დოქტორები — მ. გაფრინდაშვილი, ე. გუჩუა, ა. კაცაძე, გ. მარგიანი, მ. ნათმელაძე, ისტ. მეცნ. კანდიდატი მ. ბერძნიშვილი.

პირველი ტომის რედაქტორები:
მამია დუმბაძე, ვიქტორ გუჩუა

რეცენზენტები: ისტ. მეცნ. დოქტორი გ. ერდანია
ისტ. მეცნ. დოქტორი რ. კიკნაძე

0503020906

თ ——————— რეზ.

М 607 (06) - 90

© გამომცემლობა „მეცნიერება", 1990

საქართველოს

წინასიტყვაობა

თბილისის ისტორიის სამტომეულში შუქდება ჩვენი დედაქალაქის წარსული დასაბამიდან ვიდრე დღემდის. პირველი ტომი ასახავს ქალაქის წარმოშობისა და ფეოდალური განვითარების მრავალსაუკუნოვან ხანას XVIII საუკუნის ბოლომდე. მეორე ტომში წარმოდგენილი იქნება რუსეთთან შეერთებისა და ბურჟუაზიული გარდაქმნების პერიოდები, ხოლო მესამეში — უახლესი, სოციალისტური ეპოქა.

ფეოდალური ხანის ქართულმა ისტორიოგრაფიამ ძველ თბილისზე მხოლოდ ფრაგმენტული ცნობები დაგვიტოვა. მეტი ყურადღება დაუთმო ქალაქებს XVIII ს. სახელოვანმა ისტორიკოსმა ვახუშტი ბაგრატიონმა, რომლის ისტორიულ-გეოგრაფიული ხასიათის აღწერილობებს ჩვენთვის დიდი მნიშვნელობა აქვს. იმ ეპოქის დამკვირვებლები, ჩვეულებრივ, ნაკლებად ან სრულიად არ ეხებოდნენ ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების საკითხებს.

თვალსაჩინო ცვლილებები მოხდა XIX ს. შუა წლებიდან, როცა ახალმა ეპოქამ ახლებური მეცნიერული მოთხოვნები დააყენა. გამოჩნდნენ წარსულის ეკონომიკური განვითარების საკითხებით დაინტერესებული მკვლევრები, რომლებიც განიხილავდნენ ქალაქების მოსახლეობას, ხელოსნობას, ვაჭრობას, ციხესიმაგრეებს, ეკლესია-მონასტრებსა და სხვ. ყველა დიდი საქმე, როგორც წესი, სათანადო მასალების ძიებით იწყებოდა და მათმა მეცნიერულმა ნაამაგარმა, მიუხედავად მეთოდოლოგიური ხასიათის ნაკლოვანებისა, მომდევნო თაობას სათანადო მასალათა ძიების პირველი შედეგები უანდერძა.

სამეცნიერო ლიტერატურაში მოკრძალებითაა აღნიშნული პ. იოსელიანის ღვაწლი საქართველოს ქალაქების შესწავლაში. მისი ნაშრომები რუსულ ენაზე — „წინათ და ახლა არსებული ქალაქები საქართველოში“, 1850 წ., „ქალაქ ტფილისის სიძველეთა აღწერილობა“, 1866 წ. და სხვ., გარკვეულ საფეხურს ქმნიდა ქალაქების მეცნიერული შესწავლის ისტორიაში.

1870 წ. პეტერბურგში რუსულ ენაზე დაისტამბა დ. ბაქრაძისა და ნ. ბერძენიშვილის („ბერზენოვი“) ნარკვევები — „თბილისი ისტორიული და ეთნოგრაფიული თვალსაზრისით“. იგი ეხმაურებოდა რუსი და უცხოელი მკითხველების ინტერესებს თბილისისადმი, რომელიც ამ დროისათვისაც, უკვე უცილობლად, ამიერკავკასიის ადმინისტრაციული და სამრეწველო ცენტრი იყო და ევრაზიის დიდ საავაჭრო მაგისტრალზე

მდებარეობდა. დ. ბაქრაძე იძლეოდა ფეოდალური ეპოქის თბილისის ისტორიულ მიმოხილვას, ხოლო ნ. ბერძნიშვილი ცდილობდა სოციალურ-კულტურულ ასპექტში დაენახა XIX ს. რეფორმამდელი თბილისი, ეჩვენებინა მისი გარდაქმნა „აღმოსავლური ქალაქიდან“ „ევროპულ ქალაქად“.

მ. ჯანაშვილის წიგნი — „საქართველოს დედაქალაქი ტფილისი“ — გამოქვეყნდა 1899 წ. ეს იყო დედაქალაქის წარსულის ქართულ ენაზე გაშუქების ერთ-ერთი პირველი ცდა.

ქალაქის ზოგადი ისტორიის შექმნის ხსენებული მაგალითების გვერდით, XIX საუკუნეში, ინტერესს მოკლებული როდი იყო თბილისის თავგადასავლის ცალკეულ თემებად გაშუქების ცდები. უფრო მეტი ყურადღება ეთმობოდა ხელოსნურ-ამქრული ორგანიზაციების შესწავლას (ლ. ზაგურსკი, ა. ახვერდოვი, ს. ეგიაზაროვი და სხვ.).

ქართული საისტორიო აზრის განვითარების განსხვავებული ეტაპი დაიწყო XX ს. განთიადზე ივ. ჯავახიშვილის სამეცნიერო ასპარეზზე გამოსვლით. 1907 წ. გამოქვეყნდა მისი „საქართველოს ეკონომიური ისტორიის“ პირველი წიგნი, 1918 წელს — „ქალაქები, საქალაქო წყობილება და ცხოვრების ვითარება საქართველოში XVII—XVIII საუკუნეებში“. საერთოდ, ქართული საისტორიო პირველწყაროების ჯავახიშვილისეული ანალიზის შედეგად ქალაქების წარსულის შესწავლა უფრო მყარ საფუძველზე დადგა.

საბჭოური წყობილების დამყარებიდან არაჩვეულებრივად ამაღლდა ქართული საისტორიო აზროვნება. მეცნიერთა მთავარი ყურადღების საგანი საზოგადოების მატერიალური და სულიერი დოვლათის მწარმოებელი მასები გახდნენ. უფრო მეტი ყურადღება დაეთმო ქალაქებს.

1923 წ. გამოვიდა დ. დონდუას წიგნი — „საქართველოს დედაქალაქი. ტფილისი. სახელმძღვანელო ქალაქის შრომის სკოლებისათვის“. ნორჩი თაობა ეცნობოდა თბილისის ისტორიას და გეოგრაფიას, მის სახალხო მეურნეობას, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებს, ისტორიულ ძეგლებსა და სხვ.

დიდი წვლილი შეიტანა ფეოდალური თბილისის ხალხური შემოქმედების შესწავლაში საქართველოს სახალხო პოეტმა ი. გრიშაშვილმა. 1927 წელს გამოცემული მისი „ძველი თბილისის ლიტერატურული ბოჰემა“ სამაგიდო წიგნი გახდა.

თბილისზე არსებულ საისტორიო ლიტერატურაზე იმთავითვე გამოჩნდა კრიტიკული შენიშვნები. აღნიშნავდნენ, რომ იგი ვერ გასცდა „ფაქტების უბრალო დაგროვების“, „შიშველი ემპირიზმის ტყვეობას“. ავტორები მ. პოლიევქტოვი და გ. ნათაძე 1929 წ. გამოშვებულ წიგნში — „ძველი თბილისი თანამედროვეთა გადმოცემების მიხედვით“ — კვლავაც მხოლოდ მასალებს გვაწვდიდნენ, მაგრამ გარკვეული თანმიმდევრობით,

„უწყვეტ ჯაჭვად“ და უცხოენოვანი წყაროებიდან ვრცელი ამონაწერების სახით მოწოდებული ცნობებით წარმოაჩენდნენ ქალაქის ეკონომიკასა და სოციალურ შემადგენლობას.

ასე თანდათანობით მრავლდებოდა და ყველასათვის ხელმისაწვდომი ხდებოდა თბილისის შესახები პირველწყაროები.

ქალაქის ისტორიის შესწავლის პირველ, შედარებით უფრო მნიშვნელოვან ცდად შეიძლება ჩაითვალოს ნ. ბადრიაშვილის „ტფილისის“ გამოცემა რუსულ ენაზე, 1934 წ. ავტორი ამჟღავნებდა იმ ეტაპზე გამოვლენილი მასალების ცოდნას და ახალი იდეოლოგიის თვალთახედვით განიხილავდა მოვლენებს.

XX საუკუნის 20 — 30-იანი წლებიდან ქართული მედიევისტიკის უბანზე უფრო მტკიცედ მკვიდრდებოდა მარქსისტული მეთოდოლოგია. ს. ჯანაშიამ ამ ახალი მოძღვრების შუქზე განიხილა ფეოდალური ფორმაციის გენეზისისა და განვითარების პრობლემა და, ბუნებრივია, გააშუქა ქალაქების, კერძოდ, თბილისის წარმოშობის პროცესი. მასთან ერთად ახალ მიმართულებას სათავეში ჩაუდგა აგრეთვე ნ. ბერძენიშვილი. 1938—1940 წლებში დაიწყო შუა საუკუნეების ქალაქების ახლებურად შესწავლის გეგმათა განხორციელება.

თვალსაჩინო წელილი შეიტანა თბილისის ისტორიის შესწავლაში შ. ჩხეტიამ. მისი კაპიტალური ნაშრომი — „თბილისი XIX საუკუნეში“, 1942 წ., — ძირითადად რეფორმამდელ პერიოდს ასახავდა, მაგრამ ადრინდელ ხანასაც ეხებოდა. გარკვეულ სიახლეს შეიცავდა დ. გვრიტიშვილისა და შ. მესხიას ერთობლივი ნარკვევი — „თბილისის ისტორია“, 1952 წ., რომელშიც პოპულარული ენით გაშუქებული იყო ქალაქის წარსული XIX ს. დამდეგამდე.

განსაკუთრებით გამდიდრდა საისტორიო ლიტერატურა თბილისზე 1958 წლიდან, როცა ქართველმა ხალხმა დიდი ზეიმით აღნიშნა დედაქალაქის დაარსების 1500 წლისთავი. ამ წელს ავტორთა კოლექტივმა გამოაქვეყნა თბილისის ისტორიის საკმაოდ ვრცელი, პოპულარული ნარკვევი დასაბამიდან ვიდრე XX საუკუნის 50-იანი წლების ბოლომდე (შ. მესხია, დ. გვრიტიშვილი, ა. სურგულაძე, მ. დუმბაძე); გამოიცა საიუბილეო თარიღისადმი მიძღვნილი სოლიდური კრებული („თბილისი — 1500“), რომელშიც მონაწილეობდნენ სახელმოხვეჭილი ქართველოლოგები: ა. შანიძე, კ. კეკელიძე, ს. ყაუხჩიშვილი და სხვ. გაირკვა თბილისის წარსულის არაერთი კონკრეტული საკითხი.

1959 წ. შ. მესხიამ გამოაქვეყნა ფუნდამენტური მონოგრაფია „ფეოდალური საქართველოს ქალაქები XVII—XVIII საუკუნეებში“, სადაც საკმაოდ ვრცლად შეეხო ადრინდელ პერიოდსაც. აქ პირველწყაროთა ღრმა შესწავლისა და მარქსისტული მოძღვრების სინათლეზე შუქი ეფინება ქალაქების გენეზისისა და ისტორიის ძირეულ საკითხებს. ამა-

ვე წელს ქართველი მკითხველები გაეცნენ სომხურენოვანი წყაროებით გამდიდრებულ ვ. ნალბანდიანის გამოკვლევას — „თბილისი ძველ სომხურ მწერლობაში“ (სომხურიდან თარგმნეს ნ. ჯანაშიამ და ე. ცაგარეიშვილმა).

პირველწყაროთა ძიება-გამომზეურების ნიმუში იყო თბილისზე საარქივო დოკუმენტების გამოცემა 1962 წ. (ნ. ბერძენიშვილი, მ. ბერძნიშვილი). ამ საქმეში წილი უდევთ აგრეთვე ს. კაკაბაძეს, ლ. მელიქსეთ-ბეგს.

მნიშვნელოვანი გამოკვლევებია შექმნილი საქართველოს ქალაქების გარესამყაროსთან შედარებითი შესწავლის თვალსაზრისით. ვ. გაბაშვილის რედაქციითა და თანაავტორობით 1966 და 1970 წწ. ორ წიგნად გამოვიდა „ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ქალაქების ისტორიიდან“, სადაც ჩვენი ქვეყნის ქალაქები შედარებულია საქართველოს სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე რეგიონების სავაჭრო-ეკონომიკურ ცენტრებთან და გამოტანილია საფუძვლიანი დასკვნები. იქვეა განხილული აღმოსავლეთ ამიერკავკასიის ქალაქების სოციალური სტრუქტურისა და დასავლეთ ევროპასთან მათი სავაჭრო ურთიერთობის საკითხები XVI—XVIII სს. (კ. კუცია, მ. ტიკაძე და სხვ.).

წერილობითი და არქეოლოგიური წყაროების ბეჯით შესწავლას ემყარება ლ. ჭილაშვილის ნარკვევები — „ქალაქები ფეოდალურ საქართველოში“, ორ ტომად, 1968—1970 წწ., და სხვ., რომლებშიც ავტორი თბილისის წარსულის მნიშვნელოვან საკითხებსაც იკვლევს.

მიმდინარე საუკუნის 60—70-იან წლებში ქართულმა საისტორიო მეცნიერებამ მანამდის არნახულ წარმატებებს მიაღწია. აკად. გ. მელიქიშვილის საერთო რედაქციითა და თანაავტორობით 1970—1980 წწ. გამოქვეყნდა „საქართველოს ისტორიის ნარკვევების“ რვა ტომი. ამ მოვლენამ რამდენადმე შეამსუბუქა მორიგ, განმაზოგადებელ ნაშრომთა გამოცემა.

დოკუმენტებზე დამყარებულ გამოკვლევებში — მამისა ბერძნიშვილის „თბილისის გარეგანი სახე XVIII საუკუნეში“, 1965 წ. და თ. ბერიძის „ძველი თბილისის გარეუბნების ისტორია“. 1977 წ. — გაშუქებულია ფეოდალური ქალაქის ისტორიულ-გეოგრაფიული საკითხები.

1982 და 1984 წწ. გამოქვეყნდა მ. გაბაშვილისა და გ. აფრასიძის საყურადღებო მონოგრაფიები, მიძღვნილი საქართველოს ფეოდალური აღორძინების პერიოდის (XI—XII სს.) ქალაქებისადმი. გამოვიდა მონოგრაფია „ამქრები XVI—XVIII სს. საქართველოში“ (კ. კუცია). ქართველ ისტორიკოსებს გარკვეული წვლილი შეაქვთ აგრეთვე ფეოდალური ამიერკავკასიის ქალაქების შესწავლაშიც (პ. თოფურია, კ. კუცია და სხვ.).

ზემოთ ჩამოთვლილ წიგნებს გარდა, თბილისის ისტორიაზე განმაზოგადებელი ნაშრომის შექმნას ხელი შეუწყო ქართულსა და რუსულ-

ენოვან სამეცნიერო ჟურნალებში გამოქვეყნებულმა მრავალრიცხოვანმა წერილებმა, რომლებმაც ნათელი მოჰფინეს ქალაქის სოციალურ-ეკონომიკური თუ კულტურული წარსულის ღირსშესანიშნავ მოვლენებს და საგრძნობლად შეავსეს ძველი თბილისის შესახებ არსებული საკმაოდ ღარიბი მასალა.

ქართველმა აღმოსავლეთმცოდნეებმა გამოავლინეს, ქართულად თარგმნეს და გამოსცეს არაბული, სპარსული და თურქულენოვანი ცნობები, ფიქსირებული ამა თუ იმ საუკუნეში საქართველოში ნამყოფ უცხოელთა მიერ (ვ. ფუთურიძე, ს. ჯიქია, რ. კიკნაძე, ო. ცქიტიშვილი, ე. სიხარულიძე და სხვ.). ითარგმნა და გამომზეურდა, აგრეთვე, საკმაოდ მნიშვნელოვანი ევროპულენოვანი და სომხური მასალები (ბ. გიორგაძე, გ. გელაშვილი, ლ. დავლიანიძე, გ. ჟორდანია, მ. მგალობლიშვილი და სხვ.).

ქალაქის კულტურული განვითარების პროცესების ასახვაში ისტორიკოსებთან ერთად მონაწილეობდნენ არქეოლოგები, ეთნოგრაფები, ლიტერატურათმცოდნეები, ხელოვნებათმცოდნეები, ფილოსოფოსები და მეცნიერების სხვა დარგების მკვლევრები. მათი ნაშრომები დამოწმებულია წიგნის სათანადო პარაგრაფებში.

ასეთია ჩვენი ძალზე მოკლე, არასრული მიმოხილვა იმისა, თუ როგორ თანდათანობით, „ჟამითი-ჟამად". ივსებოდა ჩვენი ცოდნა თბილისის წარსულზე. ჩვენ მივუთითეთ საისტორიო მეცნიერების მხოლოდ უმთავრეს მონაპოვარზე, რამაც განაპირობა სამსჯავროზე წარმოდგენილი ახალი ნაშრომის რეალიზაცია.

და აი, ჩვენს წინაშეა მეტ-ნაკლებად სრული და პირველწყაროებსა თუ არსებულ ლიტერატურაზე დამყარებული ისტორია ჩვენი ქალაქისა. ასეთი სახით იგი პირველად ქვეყნდება და ამიტომ შეიძლება ხარვეზებისგან დაზღვეული არ იყოს.

თბილისის ისტორიის პირველი ტომი 1984 წ. ბოლოსათვის განსახილველად გადაეცა სპეციალისტებს. შენიშვნები და რეცენზიები წარმოადგინეს აკად. გ. მელიქიშვილმა, ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორებმა რევაზ კიკნაძემ, გრიგოლ მარგიანმა და დავით მუსხელიშვილმა. ტომს სრული სახით გაეცნენ აგრეთვე ავტორთა კოლექტივის წარმომადგენლებიც (მამისა ბერძნიშვილი, ა. კაკაძე, დ. მეგრელაძე, ქ. ჩხატარაიშვილი, გ. ძიძიგური). ტომის ავტორებმა და რედაქტორებმა მადლობით გაითვალისწინეს ამათ ძიერ გამოთქმული შენიშვნების უმრავლესობა. საბოლოოდ შევსებულ-შესწორებული პირველი ტომი 1985 წ. ბოლოსთვის უკვე მზად იყო გამომცემლობაში წარსადგენად, ამიტომ მასში გათვალისწინებული არ არის 1985 წლის შემდეგ გამოქვეყნებული ლიტერატურა.

საკუთრივ თბილისის XVIII საუკუნის ბოლომდელი ისტორიის ამ-

სახველი გამოქვეყნებული წყაროებისა და ლიტერატურის სია შეადგინა მარინე მესხიამ.

პირველი ტომის საილუსტრაციო მასალა გამომცემლობისათვის მოამზადა დარეჯან მეგრელაძემ. ნუმიზმატიკური ტაბულები შედგენილია აკად. ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ნუმიზმატიკის განყოფილების თანამშრომლების მიერ. ქალაქის გრაფიკული გეგმების ავტორია მამისა ბერძნიშვილი, საძიებლები შეადგინეს: გ. აფრასიძემ, შ. ბადრიძემ და ელ. ქაჯაიამ.

შესავალი

(თბილისის ისტორიის უმთავრესი ეტაპები)

თბილისის წარმოშობა ხალხმა ვახტანგ გორგასალის სახელს დაუკავშირა, მეფისა, რომელიც „ღმერთს უყვარდა“ და მისადმი მიძღვნილი ლეგენდით გვაუწყა ქალაქის დაბადების ამბავი. ძლევამოსილი მეფის ქანდაკება, მეტეხის პლატოდან რომ გადაჰყურებს ძველ თბილისს, თითქოს აცოცხლებს იმ სევდანარევ მოგონებას, როცა დაჭრილ ხოხობსა და მას ადევნებულ შევარდენს გოგირდოვან ცხელ წყლებში დაულევიათ სული. მართლაც, „ტფილისმა“ სახელი თბილი წყაროებიდან მიიღო და ეს სიმბოლურიც იყო.

თვალწარმტაც გარემოში ნაშობ ქალაქს იმთავითვე თან დაჰყოლია მაცოცხლებელი სითბო, ხოხბისებური სილამაზე და უზომო სიყვარული. მას ხომ ბედმა არგუნა უდიდესი მისია ქართველი ხალხის ისტორიულ განვითარებაში.

საბჭოურ ხანაში ოდნავ დაზუსტდა ქალაქის სახელწოდება, ძველქართული „ტფილისი“ „თბილისით“ შეიცვალა. სახელის ასეთი მცირე კორექტივით ჩაუდგა იგი სათავეში უახლეს, სოციალისტურ საქართველოს.

მრავალ ათას წელს ითვლის თანამედროვე თბილისის მიწებზე მყოფი ძველი მოსახლეობის შრომისა და ბრძოლის ისტორია; უდიდესი მსხვერპლის ფასადაა მოპოვებული ყოველი ახალი ნაბიჯი ცივილიზაციის მაღალი საფეხურებისაკენ. არქეოლოგიური მასალები ადასტურებენ აბორიგენთა განვითარების უწყვეტ პროცესს ძველი წელთაღრიცხვის V—IV ათასწლეულებიდან, როცა თბილისის მიკრორეგიონი საკმაოდ მაღალი სამიწათმოქმედო კულტურის მქონე დასახლებათა გარემოცვაში ყოფილა. ძველი თბილისის არეალში აღმოჩენილი მასალა ადასტურებს მის მემკვიდრეობით კავშირს გვიანბრინჯაოსა და რკინის ხანის კულტურებთან.

თბილის-ქალაქის აღმოცენებას წინ უძღოდა ანტიკური ხანის ქალაქების წარმოქმნა. ძვ. წ. აღ. VII—VI სს. კოლხეთში დომინირებენ ტრაპეზუნტი, ფაზისი (ფოთი), დიოსკურია (სოხუმი), ვანი და სხვ.; ასევე ძვ. წ. აღ. IV საუკუნის ამბებთან დაკავშირებით იხსენიებს ქართველი მემატიანე იბერიის ქალაქებს — სარკინეს, კასპს, ურბნისს, ოძრხეს; წინაქრისტიანულ პერიოდში ძლიერდებიან მცხეთა, რუსთავი, ხუნანი, ნეკრესი და სხვ. თბილისი მათთან შედარებით ახალგაზრდა ქალაქია.

თბილისის ქალაქად ფორმირება ორი ერთმანეთისაგან განსხვავებული სამყაროს გზაშესაყარზე მოდის. ეს იყო პერიოდი, როცა ანტიკურობის ეპოქა სრულდებოდა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ახალი, ფეოდალური ურთიერთობა იკაფავდა გზას. ამავე დროს მის განვითარებაზე გავლენას ახდენდა საერთოდ ახლოაღმოსავლური გარემოსათვის დამახასიათებელი სპეციფიკა. თბილისი უპირატესად სამხედრო-პოლიტიკური მიზნების საფუძველზე ჩამოყალიბდა იმ კონკრეტულ ვითარებაში, როცა ირანელი დამპყრობლები იბერიის დაუფლებისათვის იბრძოდნენ.

V ს. მეორე ნახევარში, ვახტანგ გორგასალის ბრძანებით, მტკვრის ვიწროებში შენდება ქალაქი თბილისი ზღუდეებითურთ.

VI ს. დამდეგიდან უკვე ქართლის პოლიტიკური ცენტრი „დიდი მცხეთიდან" თბილისში ინაცვლებს, ხოლო მცხეთა ამიერიდან სამეფოს ქრისტიანულ-იდეოლოგიურ ცენტრად, კათალიკოსის სარეზიდენციო ქალაქად რჩება.

ასაკით თბილისის ტოლნი იყვნენ უპირატესად სტრატეგიულ პუნქტებში აგებული ქალაქები — უჯარმა, ჰერემი, არტანუჯი და საქართველოს მეზობლად წარმოქმნილი ქალაქები ბარდა — ბარდავი (პეროზაპატი) — ალბანეთ-აზერბაიჯანში, დვინი — სომხეთში და სხვ. ბევრმა მათგანმა ვერ გაუძლო ისტორიულ ქარტეხილს, ხოლო საგარეო მტრებისგან მრავალგზის ფერფლად ქცეულ თბილისს კი აღდგენა-განახლების საოცარი უნარი აღმოაჩნდა. იგი დღეისათვის ერთ-ერთ ძველ და სილამაზით გამორჩეულ ქალაქად ითვლება მთელს მსოფლიოში.

IV—V საუკუნეებში ამიერკავკასიის ქვეყნების დაუფლებისათვის ერთმანეთს ეცილებოდნენ ირანი და ბიზანტია. ამავე დროს საქართველო-სომხეთ-ალბანეთში ფეოდალური ურთიერთობის წარმოშობის პროცესი ვითარდებოდა. მზარდი ფეოდალური არისტოკრატიის ერთი ნაწილი თავისი სოციალური პრივილეგიების განმტკიცების მიზნით საერთო ენას პოულობდა საგარეო დამპყრობლებთან.

ფეოდალური სასოფლო-სამეურნეო სტიქია დასავლეთ ევროპაში სპობდა ძველ ქალაქებს; მათი უმრავლესობის ცხოვრებაში ეკონომიკური ცენტრის მნიშვნელობა ქვეითდებოდა, რასაც შედეგად ნატურალური მეურნეობის კონსერვაცია მოჰყვა. მხოლოდ განვითარებულ ფეოდალურ ხანაში გარდამავალ საფეხურზე წარმოშობილ ქალაქებს უფრო თვალსაჩინოდ დაეტყოთ ვაჭრობა-ხელოსნობის გამოყოფა სოფლიდან და მათი კონცენტრაცია ქალაქებში; ეს გარემოება ქალაქთა ფეოდალური ძალმომრეობისაგან განთავისუფლების პერსპექტივებს ქმნიდა. ანალოგიურ პროცესებს ნაწილობრივ ადგილი ჰქონდა საქართველოშიც, მაგრამ ჩვენი ქვეყნის საქალაქო ცხოვრებაში ახლოაღმოსავლური გარემოს გავლენა უფრო ძლიერი იყო.

V—VI სს. თბილისში, ანტიკური ხანის ქალაქების მსგავსად, წამყვანი ადგილი სოფლის მეურნეობას ეკავა. ამით იგი განსხვავდებოდა ელინისტური ეპოქის ქალაქებისაგან, რომელთა ცხოვრებაში განმსაზღვრელი მნიშვნელობა ვაჭრობასა და ხელოსნურ წარმოებას ჰქონდა. თბილისი უპირატესად მაინც სამხედრო-პოლიტიკური მიზნით წარმოქმნილი ქალაქი იყო; იგი სამხრეთ-აღმოსავლეთიდან ქართლის გულისაკენ მომავალ დიდ გზას კეტავდა. ამავე დროს მტკვრის ხეობით გამავალი ეს გზა ევრაზიული აღებმიცემობის ერთ-ერთ უძველეს სავაჭრო-საქარავნო მაგისტრალს წარმოადგენდა და ქალაქის შემდგომი ეკონომიკური და პოლიტიკური აღზევების საწინდარი იყო.

523 წ. ირანელმა მოძალადეებმა იბერიაში მეფის ხელისუფლება გაუქმეს, დაიპყრეს მთელი ამიერკავკასია. თბილისი შაჰის მიერ მოვლენილი ნაცვლის — „მარზპანის“ სამყოფელ ადგილად აქციეს. ამავე დროს არსებობდა ადგილობრივ აზნაურთა ხელისუფლება „ქართლის ერისმთავრის“ სახით, რომელსაც ქართულ-სპარსული მონეტაც კი გამოუშვია; მას ფართოდ იყენებდნენ საშინაო და საგარეო ვაჭრობაში.

VI ს. ბოლო მეოთხედში ბიზანტიელი დამპყრობლები ლაზიკიდან აძევებენ სპარსელებს და იპყრობენ ქართლის დასავლეთ რეგიონს ვიდრე თბილისამდე. თბილისი ისევ რჩება ერისმთავრისა და მარზპანის ხელში, რომელიც „დედაციხეში“ მოკალათებულ სპარსთა ჯარს ეყრდნობოდა. ასე გრძელდებოდა VII ს. ოციანი წლების ბოლომდე, როცა ბიზანტიამ და მისმა მოკავშირეებმა — ხაზარებმა თბილისს შეუტიეს, სასტიკი ბრძოლის შედეგად ქალაქი დაიპყრეს და გაძარცვეს.

VII ს. შუა წლებიდან ბიზანტიელი დამპყრობლები არაბებმა შეცვალეს. ამიერკავკასიის ქვეყნებს მძიმე გადასახადები დააკისრეს. მაგრამ თავისუფლებისათვის მებრძოლმა ხალხებმა ისარგებლეს არაბთა ქვეყანაში დაწყებული გართულებებით და ხარკს არ იხდიდნენ. ამას მოჰყვა მანამდის არნახული რისხვა — 736—738 წწ. დიდი და გამანადგურებელი შემოსევები ამიერკავკასიაში, კასპიის ზღვიდან ვიდრე შავ ზღვამდე. ნანგრევებად იქცა ქალაქები და სოფლები. თბილისი სასწაულებრივ გადაურჩა აოხრებას. ამიერიდან თბილისში არაბმა ამირამ მოიკალათა და აქედან ავრცელებდა ხალიფატის უზენაეს ხელისუფლებას მთელ ქვეყანაში. ხარკი დამძიმდა და ქრისტიანული სარწმუნოების დევნაც დაიწყო. მიუხედავად ამისა, თბილისი ინარჩუნებდა ქართლის კულტურული ცენტრის როლს და თაოსნობდა ხალხის ბრძოლას დამპყრობთაგან განთავისუფლებისათვის.

თბილისში ქართლის ერისმთავრის ხელისუფლება არაბი ამირის გვერდით კვლავ არსებობდა, მაგრამ IX ს. დამდეგიდან იგი არაბებმა გააუქმეს და ქალაქის მმართველობა მთლიანად მაჰმადიანთა ხელში გადავიდა.

რამდენადმე განსხვავებული პერიოდი იწყება თბილისის ისტორიაში

IX ს. დამდეგიდან, როცა ხალიფატის დიდი სახელმწიფოს დაშლის პროცესი დაიწყო. ცალკეული ქვეყნების გამგებლებად დანიშნულმა ამირებმა თანდათანობით იწყეს განდგომა. სახალიფოს ცენტრში ხარკს აღარ აგზავნიდნენ, რასაც ხალიფა ვერ ურიგდებოდა და დამსჯელ რაზმებს უსევდა ქალაქს, რის შედეგადაც ადგილობრივი მოსახლეობა ნადგურდებოდა. ამავე პერიოდში საქართველოში წარმოიშვა ფეოდალური სამთავროები. თბილისის ამირა საჰაკი — „ხალიფას ურჩი ყმა" მეტნაკლებად ჩაება ქართულ სამთავროებს შორის პირველობისათვის გაჩაღებულ ბრძოლებში.

853 წ. ბაღდადელმა ხალიფამ ვეება ლაშქარი დაძრა თბილისისაკენ, რომელსაც „ზღვის ვეშაპად" წოდებული სარდალი ბუღა თურქი მოუძღოდა. საჰაკი მოკლეს და ქალაქს ცეცხლი წაუკიდეს. კუპრისაგან გაჩენილი ხანძარი „განუწყვეტლივ ბობოქრობდა დღისითაც და ღამითაც". მსხვერპლთა რაოდენობა დიდი იყო, მაგრამ არც ბუღა თურქის ლაშქარს დასდგომია კარგი დღე: კახეთში შეჭრილ მტაცებლებს სასტიკად აზღვევინეს მშვიდობიან თბილისელთა განადგურება; ისინი კახელებმა განდევნეს „სირცხვილეულნი" და „ძლიერ დაჩეჩქვილნი". ამ მარცხმა საბოლოოდ დასცა ოდესღაც ძლიერ არაბთა გავლენა ამიერკავკასიაში.

მშვიდობიან დროებათა შუალედებში თბილისი, თუმცა ნელა, მაგრამ მაინც იშუშებდა ჭრილობებს, ფართოვდებოდა, აღდგენა-განახლების უნარსა და მომავლის იმედს არ ჰკარგავდა.

თბილისი იზრდებოდა მტკვრის აღმა, ჩრდილოეთით. VII ს. დამდეგისათვის იგი უკვე დღევანდელი ბარათაშვილის სახელობის ხიდამდე ვრცელდებოდა.

VIII ს. მიწურულამდე თბილისი მტკვრის მარჯვენა ნაპირზე, ძველ საზღვრებში რჩებოდა, დინების გაყოლებით ორთაჭალის ბაღებამდე. ქალაქის უძველეს ნაწილში IV საუკუნიდანვე ჩანს „კალაც" (დედაციხე). IX—XI საუკუნეებიდან თბილისი გაფართოებულა მტკვრის (მარცხენა) ნაპირზედაც, ისანის (ავლაბრის) ხარჯზე.

ადრეფეოდალურ ხანაში თბილისი იქცა ქართული კულტურის უმთავრეს ცენტრად. „ფილოსოფოსთა თანა" აღზრდილი ვახტანგ გორგასალის მეფობის დროს იქმნება ქართული ლიტერატურის დიდი ძეგლი — „შუშანიკის წამება" იაკობ ცურტაველისა, VI ს-ში — „ევსტათე მცხეთელის მარტვილობა", VIII ს-ში თბილისში იწერება „აბოს წამება", რომლის ავტორი იოვანე საბანისძე არაბი დამპყრობლების წინააღმდეგ განმათავისუფლებელი ბრძოლების ერთ-ერთი თაოსანი იყო.

IX—X საუკუნეებში საქართველოში ჩნდებიან ახალი ქალაქები და ძლიერდებიან ძველნი. თბილისთან ერთად იზრდება — დმანისი, სამშვილდე, რუსთავი, არტანუჯი, ქუთაისი, ცხუმი (სოხუმი). ქუთაისი VIII ს. მეორე ნახევრიდან იქცევა დასავლურ-ქართული („აფხაზთა") სამეფოს დედაქალაქად.

ხალიფატის დაშლის გაღრმავების შესაბამისად საქართველოში ძლიერდებიან სამთავროები და იქმნება წანამძღვრები საქართველოს პოლიტიკური გაერთიანებისათვის. X ს. თბილისის საამირო უკვე საბოლოოდ აღარ ემორჩილება ხალიფატს, მას აღარც მეზობელი ქვეყნები სცნობენ და არც თბილისის გარშემო მდებარე სოფლების დიდი ნაწილი.

X—XI სს. მიჯნაზე საფუძველი ეყრება საქართველოს გაერთიანებას. მისი დასრულებისათვის ბრძოლა საკმაოდ ხანგრძლივი აღმოჩნდა. თბილისის უშუალო შემოერთების საქმე დააბრკოლეს ჯერ ბიზანტიის შემოტევებმა XI ს. პირველ ნახევარში, შემდეგ კი თურქ-სელჩუკთა ურდოებმა, რომლებმაც უდიდესი ზიანი მიაყენეს აღმავლობის გზაზე შემდგარ საქართველოს.

XI ს. 90-იანი წლებიდან იწყება ახალი პერიოდი ფეოდალური საქართველოსა და მთელი ამიერკავკასიის ხალხების ცხოვრებაში. იგი უკავშირდება თურქ-სელჩუკთა სახელმწიფოს შესუსტებას, ერთი მხრივ, და, მეორე მხრივ, ისეთი დიდი და გონიერი ხელმწიფის სახელს საქართველოში, როგორიც დავით აღმაშენებელი იყო.

დავითი ქართული და სომხური მიწებიდან თანმიმდევრობით ერეკებოდა თურქ-სელჩუკებს. ამიტომ იყო, რომ ახლო აღმოსავლეთის მაჰმადიანმა მმართველებმა საქართველოს წინააღმდეგ დიდი კოალიციური ლაშქრობა მოაწყვეს. დიდგორის ველზე, თბილისის მისადგომებთან მომხდარ ბრძოლაში, დავით აღმაშენებლის ჯარებმა ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვეს და ქვეყანა მოსალოდნელი განადგურებისაგან იხსნეს. ეს იყო 1121 წ. აგვისტოში. ამის შემდეგ ნათელი გახდა, რომ წინა აზიაში აღარ არსებობდა ისეთი ძალა, რომელსაც შეეძლო საქართველოს წინსვლის შეჩერება.

1122 წ. დავით მეფემ ახალი გამარჯვება იზეიმა, „პირველსავე ომსა“ აიღო თბილისი და ქართლის ყოფილი დედაქალაქი თავის ძველ უფლებებში აღადგინა; 1123 წ. სომხეთის ძველი დედაქალაქიდან — ანისიდან — გააძევა თურქ-სელჩუკები. ქართველი მეფე თურქ დამპყრობლებს მეზობელი აზერბაიჯანის მიწა-წყლიდანაც ერეკებოდა.

იმ დროიდან უფრო ფართო მასშტაბით იწყება თბილისისა და მთელი საქართველოს აღორძინების პერიოდი, რომელსაც ხშირად „ოქროს ხანას“, „რუსთაველის საქართველოს“ და „რუსთაველის ეპოქას“ უწოდებენ; ეს იმიტომ, რომ რუსთაველმა მთელი ბრწყინვალებით წარმოაჩინა ეროვნული კულტურის სიდიადე და მას საპატიო ადგილი დაუმკვიდრა მსოფლიოში.

XII ს. თბილისი საქართველოსა და მთელი კავკასიის პოლიტიკური და კულტურული ცენტრი იყო. თამარის დროინდელი ვრცელი სამეფოს სატახტო ქალაქი, მისი სახელმწიფო კარი ახორციელებდა თავის უფლებებს როგორც საკუთრივ საქართველოს ფარგლებში, ისე მის გარეთაც —

„ყმადნაფიც" თუ შემოერთებულ ქვეყნებზე; მათ შორის იყო მთელი ამიერკავკასია დარუბანდიდან ვიდრე ნიკოფსიამდე, ჩრდილოეთ კავკასია, თამარისავე დაარსებული ტრაპიზონის იმპერია და სხვ. თბილისი გამოირჩეოდა ახლო აღმოსავლეთის უძლიერესი სახელმწიფოსათვის დამახასიათებელი დიდებულებით.

თბილისში პატივს სცემდნენ სხვადასხვა სარწმუნოების მქონე ხალხის შვილებს, მეცნიერებს, მწერლებს, პოეტებს. აქ იკაფავდა გზას ადრინდელი ჰუმანიზმის იდეები. საერო ლიტერატურის მომძლავრება იმის მაჩვენებელი იყო, რომ სათავე ედებოდა აზრის თავისუფლებისათვის ბრძოლის ახალ ტენდენციებს, რაც დიდი მომავლის მანიშნებელი იყო.

დავით აღმაშენებელს, თვითონ მეცნიერსა და შემოქმედს, ძლიერ ჰყვარებია სომეხი ფილოსოფოსი და პოეტი იოანე სარკავაგი. რუსთაველის თანამედროვე ნიზამი განჯელის შემოქმედებაში გარკვეული ადგილი უკავია ქართველ ხალხს. ასევე, ქართველთადმი სიყვარულით იყო გამსჭვალული ცნობილი ხაკანი შარვანელი. იმდროინდელი სომეხი მწერლები ქება-დიდებით იხსენიებენ „მრავალტანჯული სომხეთის გამომხსნელ" დავით მეფეს...

XII საუკუნეში თბილისის მაჰმადიანური მმართველობის წესები თანდათან განიდევნა, საქალაქო წყობილება გაქართულდა. თბილისი ერთ-ერთ უმდიდრეს და ხალხმრავალ ქალაქად იქცა წინა აზიაში. ძლიერი სახელმწიფო კარგად იცავდა სავაჭრო-საქარავნო გზებს, აგებდა ხიდებს, ქარვასლებს. არაჩვეულებრივად გაფართოვდა ვაჭრობა. საქონელწარმოების ზრდის მაჩვენებელია ზარაფხანების არსებობა თბილისში, ჟინვალში, დმანისში, ახალციხეში, არტანუჯში, ქუთაისში.

X—XIII სს. თბილისი სოციალური პროგრესის გზაზეა. მოქალაქეთა უმეტესობა ამ დროს თავისუფალი მწარმოებლებისაგან შედგებოდა. მათ შორის ზედაფენას ქმნიდნენ „დიდვაჭრები", რომლებიც საგარეო და საშინაო აღებმიცემობას წარმართავდნენ.

სოციალურ განვითარებაში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქალაქის მწარმოებელთა გაერთიანებებს — „ამქრებს", რომლებიც არსებითად გამოხატავდნენ „ყაჩაღური თავადაზნაურობის" საწინააღმდეგო კავშირებს. ეს იყო ფეოდალურ ქალაქსა და სოფელს შორის „დაპირისპირების" შედეგი[1]. ამქარი თბილისში თავისუფალი ორგანიზაციის სახეს ნაწილობრივ ინარჩუნებდა.

XI—XII სს. თბილისის ტერიტორია ფართოვდება. გადაილახა ციტადელის გარშემო არსებული ზღუდეები. ქალაქის ზრდა ირგვლივ მდებარე სასოფლო-სამეურნეო რაიონების ხარჯზე ხდება. დასავლეთით,

---

[1] Маркс К. и Энгельс Ф., Немецкая идеология. Соч., изд. II, 1955, т. 3, с. 23.

მტკვრის აღმა, როგორც ჩანს, ქალაქი მდ. ვერემდე გაფართოებულა და ცნობილი ლურჯი მონასტერიც კი მის ფარგლებში მოქცეულა. მოსახლეობის რაოდენობა ასი ათას სულამდე გაზრდილა.

XIII ს. 20—30-იანი წლებიდან იწყება საქართველოს განვითარების შეფერხება, რაც ჩვენი ქვეყნის საგარეო-პოლიტიკური მდგომარეობის მკვეთრ გაუარესებას მოჰყვა. საქართველო ჯერ ხვარაზმელთა, შემდეგ კი ნახევრად ველურ მონღოლთაგან ხოცვა-ყლეტისა და ძარცვის ასპარეზად იქცა.

ირანში გამაგრებულმა ხორეზმშაჰის მემკვიდრემ ჯალალ ედ-დინმა, „ისლამის დროშით", საღვთო ომი გამოუცხადა ქრისტიანულ საქართველოსა და სომხეთს; ურიცხვი ლაშქრით ამხედრებულმა ჯერ სომხეთი მოარბია, მერე კი, 1226 წ., თბილისი დაიპყრო, გაძარცვა, გადაწვა. ათეული ათასობით ადამიანი შეეწირა ამ ბრძოლას.

ხვარაზმელთა მიერ იავარქმნილი საქართველო შედარებით ადვილად დაიპყრეს მონღოლებმა. ამის ერთ-ერთი პირობა მაინც ის იყო, რომ მონღოლები მკვიდრთა სარწმუნოებას ურიგდებოდნენ; მიუხედავად ამისა, ქართველ ხალხს მომთაბარე მონღოლთა ბატონობამ დიდი უბედურება მოუტანა.

მონღოლებმა უმძიმესი ხარკი დააკისრეს ჩვენს ქვეყანას, გაუთავებელ საგარეო ომებში ჩააბეს იგი, „გოდებითა და ტირილით მოცული" ქვეყნების ქალაქებიდან „ამოქაჩეს მთელი სიმდიდრე", ისე რომ ვაჭარ-ხელოსნები და მთავარი გზების გასწვრივ მცხოვრები მწარმოებლები გარბოდნენ. როგორც ჩანს, სწორედ იმ დროიდან განადგურებულან ვაჭარ-ხელოსნები ძველი თბილისის ორთაჭალის უბანში.

სომეხი პოეტი ფრიკი, რომელმაც საკუთარ თავზე განიცადა მონღოლთა უღლის სიმძიმე, წერდა:

„მისთვლი, ქრისტიანი დაობლდა რამდენი?
სისხლი მთას წალეკავს ქართველთა ნადენი".

თათარ-მონღოლთა ბატონობის დროიდან „იქმნა უკუქცევა სუესჯანისა ბედისა... ქართველთა ნათესავისა"... სწორედ მათ, თავიანთი გამთიშველი პოლიტიკით, შეარყიეს ქართული სახელმწიფოს მთლიანობა, დააჩქარეს ერისთავთა გამთავრების პროცესი; ჯერ „ორმეფობის" შემოღებით, შემდეგ კი სამცხე-საათაბაგოს უშუალო მფარველობაში აყვანით და ფაქტობრივი გამოცალკევებით, გზა გაუხსნეს ქვეყნის პოლიტიკური დაშლის წანამძღვრებს, რითაც პირველი სერიოზული ბზარი გაუჩნდა თბილისის დედაქალაქობას. სავალალოდ, მომდევნო საუკუნეებში ეს ბზარი კიდევ უფრო აღებდა პირს და ახალ მსხვერპლს მოითხოვდა...

მონღოლთა ბატონობის დაუძლურების პერიოდში, XIV ს. პირველ

ნახევარში, გიორგი ბრწყინვალის მეფობის დროს, თბილისს კვლავაც დაეტყო მშვიდობის კეთილისმყოფლობა — დაიწყო აწიოკებული საქართველოს განახლება. თბილისიც ნაწილობრივ იბრუნებს დავით აღმაშენებლისა და თამარის დროინდელ დიდებას და „ხალხმრავალ, კეთილმოწყობილ ქალაქად“ იქცევა, მაგრამ აღდგომა ხანმოკლე აღმოჩნდა. სამი ათეული წლის შემდეგ დაიწყო „მზის ჩასვენების“ ავბედითი ხანა.

XIV ს. 80-იანი წლებიდან საქართველოს წალეკვით ემუქრებოდნენ შუა აზიიდან მოდენილი თემურლენგის ურდოები, რომლებმაც გრიგალივით გადაუარეს ჩვენს ქვეყანას. 1386 წ. ნოემბერში მათ აიღეს ჩვენი დედაქალაქი, „იავარჰყვეს სრულიად შინაგანმყოფნი ციხესა მას შინა (ნარიყალაში, მეტეხში), და რომელნიმე მოსრნეს და რომელნიმე ტყვე ჰყვეს“. საქართველოს მეფის, გონიერი ბაგრატ V-ის, მოჩვენებითმა გამაჰმადიანებამ მხოლოდ დროებით დააცხრო თავისუფლებისათვის მებრძოლთა მმუსვრელი ტირანი. 1393 წლიდან მოყოლებული თემურის ურდოები კიდევ ექვსჯერ არბევენ საქართველოს.

აურაცხელი იყო მსხვერპლი, ქართული მიწა პერიოდულად იჟღინთებოდა დამპყრობელთა და სამშობლოს დამცველთა სისხლით. მომრავლდნენ „ნასოფლარები“ და „ნაქალაქარები“, მოიშალა სარწყავი სისტემები, მტაცებლებმა მრავლად ჩეხეს ბაღ-ვენახებიც... გააჩანაგეს ქვეყნის ეკონომიკა...

არც XV საუკუნე ყოფილა დღემზიანი თბილისისათვის. ალექსანდრე I-ის მოღვაწეობის პერიოდში (1412—1443 წწ.) მხოლოდ რამდენადმე გამოსწორდა დაშლის პროცესში მყოფი საქართველოს მდგომარეობა. თბილისის ძარცვა დროგამოშვებით ისევ გრძელდებოდა (1440, 1477, 1488 წწ.).

კიდევ უფრო გართულდა საქართველოს საგარეო-პოლიტიკური ვითარება 1453 წლიდან, როცა თურქ-ოსმალებმა კონსტანტინოპოლის დაპყრობით ბოლო მოუღეს მართლმადიდებლურ ბიზანტიას, მის ადგილზე საქართველოს დაუმეზობლდა შედარებით ჩამორჩენილი, ისლამის მიმდევარი და ანტიქრისტიანული სახელმწიფო.

თბილისისა და სხვა ქალაქების შემდგომი განვითარება შეფერხდა. თანდათანობით დაკნინდა დიდი გზა, ევროპიდან ამიერკავკასიისა და წინა აზიის გავლით, ინდოეთისაკენ რომ მიემართებოდა. ამავე დროს თურქული სახელმწიფო იმთავითვე დაპყრობით ემუქრებოდა საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ პროვინციებს. მისი ბატონობის სფერო ფართოვდებოდა შავი ზღვის ორივე ნაპირზე, ყირიმში, ჩრდილოეთ კავკასიაში, ასტრახანისა და ყაზანის სახანოებზე.

საქართველოს მტრული გარემოცვის რკალი სამხრეთ-აღმოსავლეთის და კავკასიონის გაყოლებით იკვრებოდა. მისი საბოლოო ჩაკეტვა დასრულდა XVI ს. დამდეგიდან, როცა საქართველოს სამხრეთ-აღმოსავ-

ლეთით გაძლიერებულმა ყიზილბაშურმა ირანმაც დაიწყო ბრძოლა საქართველო-ამიერკავკასიის დაპყრობისათვის. ასე რომ, საქართველო ორი დიდი და მტაცებლური სახელმწიფოს სამხედრო და რელიგიური შემოტევების მარწუხებში მოექცა.

ყველაზე დიდი უბედურება მაინც ის იყო, რომ ბატონყმური საქართველო აღნიშნულ გარემოცვას სამეფოებად და სამთავროებად დაქსაქსული და ეკონომიკურად დაუძლურებული ხვდებოდა. მთლიანობის მკვებავი ძალები მცირდებოდნენ.

აღნიშნული ძნელბედობის პერიოდში თბილისი მხოლოდ ქართლის პოლიტიკური ცენტრი იყო, მაგრამ ჯერ კიდევ არ თმობდა საქართველოს ერთიანობის აღდგენისათვის ბრძოლის თაოსნის ფუნქციებს. თბილისი ამ ბრძოლის წამყვან და მაორგანიზებელ ძალად რჩებოდა. ამავე დროს მას მტკიცედ ეპყრა ეროვნული კულტურის მესაჭეობა, რომელიც ხელიდან არ გაუგდია კიდევ უფრო უარესი საგარეო-პოლიტიკური ვითარების დროსაც.

საქართველოს დაუფლებისათვის ირან-ოსმალეთის ჭიდილის პირველი ეტაპი XVI ს. შუაწლებში დასრულდა. ქვეყნის სამხრეთ-დასავლეთი ოსმალეთმა მიიტაცა და დიდი მესხეთის გაოსმალების პროცესი დაიწყო, აღმოსავლეთი თბილისითურთ კი ირანმა თავისად გამოაცხადა. ქართველი ხალხი არ სცნობდა მტაცებლების ასეთ შეთანხმებას და გამუდმებით იქნევდა ხმალს თავისუფლებისათვის.

1522 წ. ირანის შაჰმა ისმაილმა, „სისხლის მსმელმა ტირანმა“, თბილისი ააოხრა და მის მიერ გაძარცვული ქრისტიანული ეკლესიების „საზღაურით“ აქ, ავლაბრის ხიდის გვერდით. მეჩეთი ააგო. ქალაქის ციხეებში სპარსული გარნიზონები ჩააყენეს. თბილისი არ ნებდებოდა. 19 წლის შემდეგ სპარსელებს ხელმეორედ მოუხდათ ქალაქის დაპყრობა. ქართლის მეფეთა რეზიდენციამ დროებით გორში გადაინაცვლა.

ქართლის მატიანეებში ისმის ბრძოლის ველზე დაღუპული მეფე-მეომრების — ლუარსაბ პირველისა და სიმონ პირველის — დატირება, სიმონ პირველისა, რომელმაც „ქართლს ხმალი შეარტყა“ ...საქართველო მაშინ მიაგავდა მძიმედ დაჭრილ რაინდს, რომელიც სისხლიდან იცლებოდა, მაგრამ ბრძოლის ველს არ სტოვებდა.

1578 წ. თბილისი ოსმალებმა დაიპყრეს და იგი საფაშოდ გამოაცხადეს, მაგრამ მათი აქ ბატონობა ხანგრძლივი არ ყოფილა. ქართველებმა მალე დაიბრუნეს ქალაქი, რომლის მოსახლეობა XII ს. რაოდენობასთან შედარებით უკვე ხუთჯერ ნაკლები იყო.

XV—XVI სს. თბილისის სოციალურ ცხოვრებაშიაც შესაბამისი ცვლილებების პერიოდი იყო. თავისუფალ ვაჭარ-ხელოსანთა რიცხვი მცირდებოდა, ხოლო ქალაქის დაყმევებულ მწარმოებელთა რიცხვი იზრდებოდა.

XVII ს. პირველ მესამედში ქართველ ხალხს განადგურების საფრთხე ემუქრებოდა სამხრეთ-აღმოსავლეთიდან. თემურლენგის შორეული „მემკვიდრე“ შაჰ-აბასი გაბოროტებით მუსრავდა თავისუფლებისათვის მებრძოლ ქვეყანას. სპარსელებმა თბილისიდან გარეკეს ოსმალები და კვლავ აღადგინეს თავიანთი ბატონობა.

1619 წლიდან თბილისის ფაქტობრივ გამგებლად ხდება გიორგი სააკაძე, რომელიც უკვე ფარულად ჩაუდგა სათავეში საქართველოს განთავისუფლების დიდ საქმეს. ბრძოლა საკმაო წარმატებით მიმდინარეობდა, მაგრამ თავადური რეაქციის წინააღმდეგობის დაძლევა ვერ მოხერხდა. საქართველოს გაერთიანების სააკაძისეული დიდი გეგმა ჩაიშალა. ბაზალეთის 1626 წ. ბრძოლამ საბოლოოდ დაასამარა სანუკვარი ოცნებები. სააკაძე ბრძოლის ველს ჩამოშორდა და უცხოობაში დალია სული.

თითქმის ერთდროულად, 1629 წ., წავიდნენ ამ ქვეყნიდან ეროვნული გმირი გიორგი სააკაძე და საქართველოს ამაოხრებელი შაჰ-აბასი, რომელსაც ასეულ ათასობით განადგურებულ ქართველთა და სომეხთა წყევლა-კრულვა მიაცილებდა.

სააკაძის თაოსნობით გადახდილ ბრძოლებს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ირანის შაჰი იძულებული გახდა ქრისტიანი თეიმურაზ I ეცნო ქართლ-კახეთის მეფედ ვასალური დაქვემდებარების პირობით, მაგრამ ეს ვერ განხორციელდა. საქართველოს ირანზე დამოკიდებულების სტატუსი რამდენადმე გაუარესდა. ქართლ-კახეთის მეფე-გამგებლად ირანმა მოავლინა გამაჰმადიანებული ქართველი როსტომი „ვალის“ (შაჰის ნაცვლის) უფლებებით. მან ოსტატურად შეუხამა ერთმანეთს ქართული სამეფოსა და სპარსეთის ინტერესები და ასეთი ორმხრივი პოლიტიკის გატარებით შეძლო მშვიდობისა და ნდობის მოპოვება; ამავე დროს როსტომ ბაგრატიონი ირანის სამხედრო ძალებს ეყრდნობოდა, ქრისტიანობას მფარველობდა და მაჰმადიანობასაც გზას უხსნიდა. ეს ლოიალობა თავისუფლებისათვის მებრძოლი ხალხის ბრძოლის გარკვეული მონაპოვარი იყო. ეროვნულობისა და სარწმუნოების დაცვისათვის ზრუნვა არ ცხრებოდა. თბილისში, გორსა და სურამში სპარსული გარნიზონები კვლავაც რჩებოდნენ.

XVII ს. 40-იანი წლებიდან ვიდრე XVIII ს. 20-იან წლებამდე პერიოდი ქართლის ცხოვრებაში შედარებითი მშვიდობიანობის ხანა იყო. საგარეო შემოსევების შეწყვეტამ ხელი შეუწყო ქვეყნის სამეურნეო-ეკონომიკურ განვითარებას და ეს მალე დაეტყო ქალაქებსა და სოფლებს. კიდევ უფრო შედეგიანი აღმოჩნდა „გარეგნულად მაჰმადიანი“ ვახტანგ V-ის მეფობის პერიოდი (1658—1675 წწ.). მის ირგვლივ შემოკრებილ მოღვაწეთა დასი სათავეში ჩაუდგა ბრძოლას ერთიანი საქართველოს აღდგენისათვის, რაც ქართლის ჰეგემონიით უნდა განხორციელებულიყო.

განახლდა თბილისის თავსაცავი ზღუდეები ანჩისხატისა და სიონის ეკლესიებს შორის, მტკვრის ნაპირზე აშენდა მეფის ბრწყინვალე სასახლე. გაჩაღდა დანგრეული ქალაქების, ეკლესიების, გზების აღდგენითი საქმიანობა.

XVII ს. 70-იან წლებში „თბილისი აღმოსავლეთის ერთ-ერთი ულამაზესი ქალაქი იყო“ (შარდენი). თბილისის საშუალებით დასავლეთ ევროპის სავაჭრო კაპიტალს შეეძლო ეკონომიკური ურთიერთობის გაბმა ინდოეთთან და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებთან, მაგრამ ამავე საუკუნის დამლევიდან „ევროპელებმა საბოლოოდ აითვისეს ინდოეთისაკენ მიმავალი საზღვაო გზა (აფრიკის გარშემო შემოვლით). დაყრუვდა აღმოსავლეთ ამიერკავკასიის, ირანისა და ოსმალეთის ტერიტორიების სავაჭრო-სატრანზიტო გზები, დაეცა ქალაქები და საქალაქო ცხოვრება“, რამაც გავლენა იქონია „საქართველოს ქალაქებზე, კერძოდ კი თბილისზე“ (ვ. გაბაშვილი).

ქალაქის სოციალურ-ეკონომიკურ ცხოვრებაში ამ დროსაც, ფეოდალური ურთიერთობის სიმტკიცის პირობებში, არსებითი ხასიათის ცვლილებები არ მომხდარა. განვითარება ნელი ტემპით მიდიოდა. ხელოსნური წარმოების დიდი ნაწილი ადგილზე მოიხმარებოდა, ნაწილი კი გაჰქონდათ უმთავრესად ამიერკავკასიის ქვეყნებსა და ირან-თურქეთში. ვაჭარ-ხელოსანთა უმრავლესობა კვლავაც პირად თავისუფლებას მოკლებული ყმები იყვნენ.

XVIII ს. I მეოთხედში თბილისს თანდათანობით დაწინაურების პერიოდი დაუდგა. ვახტანგ VI-მ დიდად შეუწყო ხელი საქალაქო ცხოვრების განვითარებას. მეფე იცავდა საკუთრების უფლებებს, აუმჯობესებდა სავაჭრო-საქარავნო გზებს. წვრილ ხელოსნურ საწარმოთა გვერდით ამ დროს ჩნდებიან შედარებით მსხვილი სარეწები — სტამბა, სამეფო ზარაფხანა, სადაც რამდენიმე დაქირავებული ოსტატი მუშაობდა. უმჯობესდებოდა ქალაქის კეთილმოწყობა... მაგრამ, უკვე მერამდენედ... XVIII ს. ოციანი წლებიდან ქვეყანა ისევ აირია...

ირღვევა თითქმის საუკუნოვანი ზავი ოსმალეთ-ირანს შორის და ამიერკავკასია ისევ იქცევა მეტოქეთა ბრძოლის ასპარეზად. ამავე დროს ქართლში ჰეგემონიისათვის ბრძოლაში აქტიურად გამოვიდა პეტრე დიდის იმპერია.

ვახტანგ VI-ის დიდი ჩანაფიქრი რუსეთთან სამხედრო კავშირის გზით საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენაზე ვერ განხორციელდა.

საგარეო და საშინაო პოლიტიკური სიტუაცია უკიდურესად დაიძაბა. საქართველოშიც არ იყო ერთსულოვნება. კახთა მეფე — მაჰმადიანი კონსტანტინე სპარსეთის მხარეზე აღმოჩნდა და შაჰის „ურჩ ვასალს“ — ვახტანგს დაუპირისპირდა. სწორედ იმ მომენტში, როცა ოსმალეთი

თბილისისაკენ მოიწევდა, კონსტანტინემ 1723 წ., ლეკებთან კავშირში, თბილისი ააოხრა; ამას მოჰყვა ოსმალთა გაბატონება ამ ქალაქში.

12 წლის განმავლობაში ფლობდნენ ოსმალები თბილისს; მათ ვერ განახორციელეს თბილისის საფაშოდ გადაქცევის გეგმა, მაგრამ ქალაქს დიდი ზიანი მიაყენეს. სამწუხაროდ, არანაკლებ მძიმე დღეში აღმოჩნდნენ თბილისელები 1735 წლიდან, როცა ქალაქში ირანელები გაბატონდნენ და იგი მორიგი ძარცვის ობიექტად აქციეს.

ასე პერმანენტულად ენაცვლებოდნენ ერთიმეორეს მრავალტანჯული თბილისის ისტორიაში „წინსვლისა" და „უკუსვლის" პერიოდები; ვერ იქნა და ვერ განხორციელდა ძველი დიდების აღდგენის მრავალსაუკუნოვანი ოცნება.

XVIII ს. მეორე ნახევარი თბილისისა და მთელი საქართველოსათვის მეტწილად მაინც ჩიხიდან დაძვრის ხანა იყო. ამ დროს ხალხმა ძირითადად თავი დააღწია ირან-ოსმალეთის ბატონობას და ეროვნული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში დიდი წარმატებები მოიპოვა; ასევე თვალნათლივ ჩანდა დრომოჭმული წყობილების გარდაქმნისა და ევროპული ცივილიზაციისაკენ გასვლის ცდები.

ერეკლე მეორე ნამდვილად დიდი სახელმწიფო მოღვაწე და არაჩვეულებრივი პიროვნება იყო XVIII ს. მეორე ნახევრის საქართველოსა და ახლო აღმოსავლეთის ისტორიაში. იგი „ძლიერი და მტკიცე საქართველოს" შექმნას ისახავდა მიზნად. ძირითადად მის სახელთანაა დაკავშირებული ქართლ-კახეთის სახელმწიფოს გაძლიერება და გაფართოება ამ საუკუნის 40—80-იან წლებში.

მეფე-მეომრის მეთაურობით 1748 წ. საბოლოოდ განდევნეს თბილისის ციხეებში მოკალათებულ სპარსელთა საოკუპაციო ჯარები. მალე ქართლ-კახეთი ერთ სამეფოდ გაერთიანდა და მისი პოლიტიკური გავლენა დასავლეთ საქართველოსა და სომხეთ-აზერბაიჯანზედაც ნაწილობრივ გავრცელდა. თბილისი თანდათანობით იბრუნებდა საქართველო-ამიერკავკასიის მთავარი პოლიტიკური და კულტურული ცენტრის ფუნქციებს. თითქოს ხორციელდებოდა კიდეც იმერ-ამერთა გაერთიანების მარად ცოცხალი იდეა.

ცენტრალურმა ხელისუფლებამ გაატარა ღონისძიებანი თბილისის სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრების გაუმჯობესებისათვის. ერეკლემ მოხსნა სპარსელების მიერ აგებული ქვითკირის გალავანი, რომელიც სთიშავდა ციხის ტერიტორიას ციხისავე მოედნისაგან; ამით მან აღადგინა ქალაქის ტერიტორიის მთლიანობა და უცხოელთა ბატონობის ეს ნაკვალევიც მოსპო. ამავე დროს გაიხსნა დიდი ხნის წინათ ჩაკეტილი დარიალის გზა. განმტკიცდა სააღებმიცემო კავშირი რუსეთის ქალაქებთან; გაფართოვდა აგრეთვე ვაჭრობა ირანსა და თურქეთთან.

XVIII ს. 70-იანი წლებიდან თბილისში მრავლდება შედარებით

დიდი საწარმოების რაოდენობა — ზარბაზნებისა და მორტირების ჩამომსხმელი ქარხანა, საპნისა და მინის წარმოებანი, მარილსახდელი, სამღებროები და სხვ. მათი უმრავლესობა მანუფაქტურული ტიპის სარეწები იყო და დაქირავებულ შრომას იყენებდნენ. თბილისის მოსახლეობა 24 ათასამდე გაიზარდა.

ნელი ტემპით, მაგრამ მაინც მატულობდა ქალაქში თავისუფალ მწარმოებელთა რაოდენობა, რამაც XVIII ს. 80-იანი წლებისათვის მთელი მოსახლეობის 15 პროცენტს მიაღწია (შ. მესხია).

მიუხედავად შესამჩნევი ძვრებისა, თბილისი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით აღმოსავლური ქალაქების იერს ინარჩუნებდა. ამ დროის ამქარი უკვე ის აღარ იყო, რაც X—XV სს. XVI—XVIII სს. ამქარი საქართველოს ქალაქებში ძირითადად ზღუდავდა თავისუფალ კონკურენციას ხელოსნურ ნაწარმზე და თავის მონოპოლიურ უფლებებს ინარჩუნებდა. ასევე ნელი ტემპით, მაგრამ მაინც მიმდინარეობდა ამქართა შორის სოციალური დიფერენციაციის პროცესი.

თბილისი XVII—XVIII საუკუნეებშიც საქართველოსა და ამიერკავკასიის ერთ-ერთი ძლიერი კულტურული ცენტრი იყო. სადაც ერთმანეთს ხვდებოდნენ სომეხი და აზერბაიჯანელი ხალხების მოწინავე წარმომადგენლები — პოეტები, სხვადასხვა დარგის მეცნიერები. მათ ასულდგმულებდათ სამშობლოსადმი უზომო თავდადება და საგარეო დამპყრობლების წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლის შეგნება. ამის საუკეთესო მაგალითი იყო სომეხი, აზერბაიჯანელი და ქართველი პატრიოტების ერთობლივი გამოსვლა ქართველი მეფის ვახტანგ VI-ის მეთაურობით სპარსთა ბატონობის წინააღმდეგ XVIII ს. 20-იან წლებში.

ძლიერდება ინტერესი საერო პოეზიის, ფილოსოფიის, უცხო ენების, ფილოლოგიის, ისტორიის, გეოგრაფია-ასტრონომიის, მედიცინისა და სხვა დარგების შესწავლისადმი. ფართოვდება სწავლა-განათლების კერები.

აღმავლობა დაეტყო ქართულ მხატვრულ ლიტერატურას; იგი საქართველოს წინაშე მდგარი მწვავე პრობლემების გადაჭრის მიზნებს ემსახურებოდა. საერო პოეზია თანდათან სძლევდა შუასაუკუნეობრივ სქოლასტიკას და რეალურ, ცხოვრებისეულ მოტივებს უმღეროდა.

თბილისში XVIII ს. დამდეგს ყალიბდება სტამბა, სიონის ახლოს არსდება წიგნსაცავი; ამავე საუკუნის მეორე ნახევრიდან ჩნდებიან სახელმწიფო სკოლები. 1755 წ. არსდება ფილოსოფიური სემინარია.

ერეკლე II-ის სამეფო კართან მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებულნი პოეტი საიათნოვა, წარმოშობით სომეხი, აზერბაიჯანელი პოეტები ვაგიფი, ვიდადი და სხვ.

ქართული კულტურის სათავეში, XVIII ს-ში, ვახტანგ VI-ისა და ერეკლე II-ის გვერდით, იდგნენ ეპოქის ცოდნისა და განათლების

ბრწყინვალე წარმომადგენლები, მწერლები და მეცნიერები: სულხან-საბა ორბელიანი, ვახუშტი ბაგრატიონი, დავით გურამიშვილი, ანტონ, იოანე, დავით ბაგრატიონები, ბესიკ გაბაშვილი, ალექსანდრე ამილახვარი, სოლომონ ლეონიძე და სხვ.; იგრძნობოდა ფრანგი განმანათლებლების გავლენა, გამოჩნდნენ ვოლტერის მიმბაძველები, დრომოჭმული წყობილების თავისებური კრიტიკოსები, განახლებისა და რესპუბლიკის მოტრფიალენი. მათი საერთო მიზანი იყო საქართველოს გამოხსნა წინააზიური ბურუსიდან და მისი გამოყვანა დასავლურ-ევროპული ცივილიზაციის ასპარეზზე.

თბილისსა და მთელ საქართველოში მძლავრად დაირხა დიდი ერეკლეს მოწოდება ხალხისადმი — ბრძოლა „ძლიერი და მტკიცე საქართველოსათვის“ და ანდერძი თავისი მემკვიდრეებისადმი, რომ ქვეყნის მესაჭეობისათვის აუცილებელი იყო მეცნიერების წამყვანი დარგების, მათ შორის ფილოსოფიის, დაუფლება.

თბილისი თანდათან იცვლიდა თავის გარეგან სახეს. ქალაქის შენებაში მოჩანდა დაგეგმვის ცდები; ზრუნავდნენ წყლით მომარაგებაზე, ზოგიერთი უბნის განათებაზე, შადრევნებზე, ქალაქის გამწვანებაზე; აგებდნენ სახლებს მოქალაქეთა საყოფაცხოვრებო მომსახურებისათვის.

ქალაქის ორ ძირითად უბნად — ზემო და ქვემო უბნებად — გაყოფაში მკვეთრად მოჩანდა საერთოდ ფეოდალური ქალაქებისათვის დამახასიათებელი სოციალური და ეკონომიკური დიფერენციაცია. ქალაქური არისტოკრატია ზემო უბანში ცხოვრობდა ლამაზად მოკაზმულ შენობებში, ქვემო უბანი კი ეკავათ ვაჭრებსა და ხელოსნებს, რომელთა ძირითადი ნაწილი ქოხმახებსა და მიწურებში ცხოვრობდა. თბილისი ნელი ნაბიჯით, მაგრამ მაინც მიიწევდა წინ განახლებისაკენ და ასე გრძელდებოდა მანამდის, ვიდრე მას მორიგი კატასტროფა არ მოევლინა. XVIII ს. 80—90-იან წლებში აღმოსავლეთ საქართველო საგარეო და საშინაო წინააღმდეგობათა სახიფათო ქსელში გაება.

1795 წ. სექტემბერში თბილისის კარებთან მომდგარ ირანელებთან საბედისწერო ბრძოლაში ქართველებს უომრად არ დაუთმიათ არც ერთი გოჯი მიწა. თავდამსხმელები საკუთარ მებრძოლთა გვამებზე გადმოდიოდნენ; ათასობით ქართველი შეაკვდა მტერს, მაგრამ მტრის ჭარბმა ლაშქარმა გაიმარჯვა. თბილისი გაძარცვეს და ცეცხლს მისცეს, ქალაქის მიმდგომი რაიონებიც დაარბიეს; 15 ათასამდე ტყვე ირანში გადაასახლეს. თბილისის მოსახლეობა თითქმის განახევრდა — 24 ათასი სულიდან 14 ათასამდე შემცირდა. მხცოვანმა ერეკლემ უკანასკნელად მოიქნია ხმალი დედაქალაქის კარიბჭესთან. იგი გარდაიცვალა 1798 წ. და, როგორც მაშინ ამბობდნენ, საქართველოს „რკინის კარები შაეხსნა“.

დიდ სახელმწიფოთა მოცილეობისა და ბრძოლის ასპარეზად ქცეუ-

ლი პატარა სამეფო დაცემის გზით წავიდა. ძალზე რთული და დაუძ-ლეველი იყო ის წინააღმდეგობანი. რომლებიც წილად ერგო ერეკლესა და მის სახელმწიფოს. და თითქოს თანმიმდევრული თუ ავბედითი სტი-ქიის ძალით. ერეკლეს სიკვდილიდან სამიოდე წლის შემდეგ ქართლ-კახეთმა თავისი სახელმწიფოებრიობა დაჰკარგა.

გიორგი XII-მ რუსეთთან დადებული 1783 წ. ხელშეკრულება გა-ნაახლა 1799 წ. აპრილში. ხოლო იმავე წლის 26 ნოემბერს ტრაქტატით გათვალისწინებული რუსთა დამხმარე ლეგიონი თბილისში შემოვიდა. „მეფის კარიდამ დაწყებული უკანასკნელ ქოხამდე სიხარულმა გაშალა თავისი სანატრელი ფრთა. სიხარულმა ხსნისამ და ნუგეშისამ... ის დღეა და ეს დღე. წერდა ილია რუსთა ჯარის შემოსვლის 100 წლისთავზე. — ველარავინ გადმოლახა იგი საზღვარი ცეცხლითა და მახვილით ხელში და 26 ნოემბერს 1799 წელს. კვლავ სასოება-გაღვიძებული მეფე და ერი. გულწრფელად მიენდო იმედითა და ნუგეშინთ ფრთაშესხმული".

1801 წ. რუსეთმა შეიერთა ქართლ-კახეთის სამეფო. მომდევნო ათე-ულ წლებში კი იმერეთის სამეფო და სამთავროებიც თავის ფარგლებში მოაქცია. რუსეთი ისლამური აგრესიის შედეგად ჩაგრული ქრისტიანული სარწმუნოების ხალხთა ტრადიციული „მფარველი" იყო და ამ როლს ჩინებულად უთავსებდა საკუთარი სახელმწიფოს შემდგომი გაფართოების გეგმებს.

მართალია. ქართული სახელმწიფოს გაუქმება დიდი უბედურება იყო. მაგრამ ხალხმა თავი იხსნა მოსალოდნელი ფიზიკური განადგურების საფრთხისაგან და მომავალი განვითარებისათვის შედარებით უკეთესი პირობები მიიღო. ქართველი ხალხი მჭიდროდ დაუკავშირდა რუსი ხალხის მოწინავე წარმომადგენლებს და მათთან ერთად განაგრძობდა ბრძოლას თავისუფლებისა და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობი-სათვის.

* * *

მეფის რუსეთმა თავის მფლობელობაში გააერთიანა საქართველო და მთელი კავკასია. თბილისი ამ დიდი მხარის ადმინისტრაციულ ცენ-ტრად და იმპერიის სამხედრო მოქმედების ბაზად იქცა ახლო აღმოსავ-ლეთში. ამ გარემოებამ დიდად შეუწყო ხელი ქალაქის შემდგომ გაფარ-თოებას.

ამიერიდან უკვე საშიში აღარ იყო თბილისის თავსაცავი კედლების გარეთ ცხოვრება. ქალაქის ძველი ზღუდეები ინგრეოდა. XIX ს. 20-იანი წლებიდან დაიწყო „გარეუბნების" (ახლანდელი თავისუფლების მო-ედანი. რუსთაველის პროსპექტი...) დასახლება. ქალაქის ტერიტორიას

კუკია და ჩუღურეთიც შემოუერთდა, 50-იანი წლებისათვის თბილისი, ჩრდილო-დასავლეთით, გაბაანთ (მოსკოვის) ხევს გასცდა, ხოლო სამხრეთ-აღმოსავლეთით — ორთაჭალის ბაღებს. დაიწყო ქალაქის ქუჩების მოკირწყვლა; მდ. მტკვარზე ქვის ახალი ხიდები აშენდა.

XIX ს. 20—30-იანი წლებიდან საქართველოსა და თბილისის ცხოვრებაში მნიშვნელოვან სოციალურ-ეკონომიკურ ძვრებს ჰქონდა ადგილი. ძველი ფეოდალური საქართველო შეუჩერებელი გარდაქმნის პროცესში იყო; მის წიაღში ახალი საზოგადოებრივი ურთიერთობა იკაფავდა ვზას. 40—50-იან წლებში თბილისში პირველი კაპიტალისტური მანუფაქტურები და ფაბრიკებიც წარმოიშვნენ. თანდათანობით იზრდებოდა ქალაქის თავისუფალ მწარმოებელთა რაოდენობა.

მნიშვნელოვან ცვლილებებს ჰქონდა ადგილი ქალაქის კულტურულ ცხოვრებაშიც. გაფართოვდა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა ქსელი. დაარსდა ვაჟთა და ქალთა გიმნაზიები, ქალთა ინსტიტუტი, გაიხსნა კლუბები, იტალიური ოპერა, რუსული და ქართული თეატრები. აქ იწყებენ გამოსვლას ქართული და რუსული პერიოდული გამოცემები — „საქართველოს გაზეთი", „თბილისის უწყებანი", „ცისკარი", „კავკაზი" და სხვ.

ახალ საწყისებზე ვითარდებოდა ქართული ლიტერატურა, რომლის ბრწყინვალე წარმომადგენლები იყვნენ ალექსანდრე ჭავჭავაძე, გრიგოლ ორბელიანი, დიდი პოეტი ნიკოლოზ ბარათაშვილი და სხვ.

თბილისში ერთმანეთს ხვდებოდნენ რუსეთისა და ამიერკავკასიის ხალხების მოწინავე ადამიანები. აქ ჩამოდიოდნენ და გარკვეული ხნის განმავლობაში ცხოვრობდნენ ა. პუშკინი, მ. ლერმონტოვი, ა. გრიბოედოვი, ლ. ტოლსტოი, სომეხი და აზერბაიჯანელი მწერლები და პოეტები — ხ. აბოვიანი, გ. სუნდუკიანი, ა. ბაკიხანოვი, მ. ახუნდოვი, მირზა შაფი ვაზეხი და სხვ. ისინი უკავშირდებოდნენ ადგილობრივ მოწინავე ქართველ მოღვაწეებს. ყველა მათგანს აერთიანებდა მხურვალე პატრიოტიზმი, სხვადასხვა ხალხებს შორის თანამშრომლობის თუ თანაბარუფლებიანობის იდეები, არსებული უსამართლო სოციალურ-პოლიტიკური წყობილებისადმი მოჯანყე სულისკვეთება და რწმენა უკეთესი მომავლისადმი.

თბილისში თანდათანობით ისახებოდა და ვითარდებოდა რუსი და ქართველი ხალხების პროგრესულ ადამიანებთან თანამშრომლობისა და ერთობლივი ბრძოლის იდეა, რომელიც, ბოლოს და ბოლოს, ქართველ ხალხს ეროვნულ და სოციალურ თავისუფლებას მოუტანდა.

XIX ს. 60 — 70-იანი წლებიდან თბილისისა და მთელი საქართველოს ისტორიაში ახალი ხანა დაიწყო. გაუქმდა ბატონყმობა. თბილისი რკინიგზით დაუკავშირდა საქართველო-ამიერკავკასიისა და რუსეთის ქალაქებს, შავსა და კასპიის ზღვებს. კაპიტალიზმმა დაარღვია

ჩვენი ქვეყნის განცალკევებული კუთხეების ეკონომიკური კარჩაკეტილობა და შეაკავშირა ისინი. თბილისი მსხვილი ფაბრიკა-ქარხნებით მოიფინა. 1870 წ. გაიხსნა მირზოევის ბამბის საქსოვი ფაბრიკა, რომელშიაც 500-ზე მეტი მუშა იყო, 1875 წ. — ადელხანოვის ტყავისა და ფეხსაცმლის ფაბრიკა, ხოლო 1883 წ. — ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი სახელოსნოები, სადაც ათასამდე მშრომელი ირიცხებოდა.

თბილისი ბურჟუაზიული საქართველოს ეკონომიკურ ცენტრად იქცა. აქ ფორმდებოდა ახალი ეპოქის რევოლუციური კლასი — პროლეტარიატი, რომელსაც გლეხობასთან კავშირში ადრე თუ გვიან უნდა მოესპო ფეოდალური მიწისმფლობელობა და ბურჟუაზიული ექსპლუატაცია.

სწრაფად იზრდებოდა და ფართოვდებოდა თბილისი. 1835 წ. აქ მუდმივ მცხოვრებთა რაოდენობა 25 000-ს უდრიდა, 1862 წ. — 60 ათასს, 1897 წლისათვის კი 160 ათასს აღემატებოდა. გაშენდა გოლოვინის (ახლანდელი რუსთაველის) და მიხეილის (ახლანდელი დავით აღმაშენებლის) პროსპექტები. გაიზარდა მოკირწყლული ქუჩების რაოდენობა, აშენდა სასტუმროები, გაუმჯობესდა ქალაქის წყლით მომარაგება, სამოქალაქო ტრანსპორტი — გაჩნდნენ ე. წ. „კონკები“ — რკინიგზით მავალი, ცხენშებმული სამგზავრო ვაგონები, გაფართოვდა საკანალიზაციო სამუშაოები.

ქალაქის მშენებლობაში დამკვიდრებული რუსული კლასიციზმის გვერდით თანდათანობით იწყებდა აღორძინებას ეროვნული ქართული არქიტექტურა. თბილისს ბურჟუაზიული ქალაქის ყველა წინააღმდეგობა ახასიათებდა. უკვე მკვეთრად განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან ბურჟუაზიული და მუშური კვარტალები.

XIX ს. მეორე ნახევრის თბილისში უკვე მრავალი საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი თუ სამხარეთმცოდნეო დაწესებულება იყო. ქალაქის ცხოვრებაში დაიწყო ქართული ეროვნული კულტურის აყვავება-აღორძინების ხანა. თბილისი ქართული მწერლობის, მეცნიერული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზრის მთავარ კერას წარმოადგენდა.

1863 წ. თბილისში ილია ჭავჭავაძის მეთაურობით საფუძველი ჩაეყარა ახალი საქართველოს ჟურნალის — „საქართველოს მოამბის“ გამოცემას; 1866 წ. გამოდის გაზეთი „დროება“; 1877 წ. — „ივერია“; 1893წ. — „კვალი“ და სხვა, რომელთაც ქართველთა საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზრის მედროშეობა ხვდათ წილად.

თბილისი ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ცენტრიც იყო. ახალმა თაობამ ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ნიკო ნიკოლაძის, გიორგი წერეთლისა და სხვ. მეთაურობით შეურიგებელი ბრძოლა გამოუცხადა მეფის რუსეთის კოლონიურ პოლიტიკას. ხალხთა შორის ძმობა-ერთობისა და თავისუფლების ჰუმანური იდეებით გამსჭვალული მათი ბრძოლა ეხმაურებოდა რუსეთის საუკე-

თესო შვილების მოძრაობას თვითმპყრობელური ტირანიისა და სოციალური ჩაგვრის წინააღმდეგ. ილია ჭავჭავაძე და მისი ჯგუფი თბილისში იმპერიის მიერ ჩაგრული ერების განთავისუფლების მოთხოვნით გამოდიოდნენ. მაგრამ ამავე დროს მხარს უჭერდნენ ახალ. დემოკრატიულ საფუძველზე გარდაქმნილ რუსეთთან ერთობასა და თანამშრომლობას..

90-იანი წლების მიწურულიდან თბილისის. ისევე როგორც მთელი საქართველოს. საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში გარდატეხის ხანა დაიწყო. გაძლიერდა როგორც სოციალური. ისე ეროვნული მოძრაობა. რომელშიც მონაწილეობდნენ არამარტო სოციალ-დემოკრატიული. არამედ ეროვნულ-დემოკრატიული ძალებიც.

1901 წ. აგვისტოში თბილისის საზოგადოებამ იხილა ამიერკავკასიის რკინიგზის სახელოსნოების მუშათა დიდი გაფიცვა. 4000-მდე მუშა გამოვიდა თავიანთი ინტერესების დასაცავად. ამავე წელს მოეწყო სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების პირველი კონფერენცია. არჩეულ იქნა სოციალ-დემოკრატიული თბილისის კომიტეტი.

1905—1907 წწ. რევოლუციამ დიდი გამოძახილი პოვა თბილისისა და მთელი საქართველოს მშრომელ მოსახლეობაში: თვითმპყრობელობისა და ფეოდალურ-ბურჟუაზიული ჩაგვრის წინააღმდეგ ბრძოლის ამოცანებს საქართველოში ემატებოდა ეროვნული თავისუფლების მოთხოვნები. რაც რევოლუციურ მოძრაობას ჩვენში უფრო მასობრივ ხასიათს აძლევდა.

1917 წ. თებერვალში თბილისის პოლიტიკურ ცხოვრებაში ახალი პერიოდი დაიწყო. რუსეთში ბურჟუაზიულმა რევოლუციამ გაიმარჯვა. დაემხო რუსეთის იმპერია. ამ მოვლენამ აღაფრთოვანა თვითმპყრობელობის მიერ დამონებული ხალხები. რომლებიც თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის იბრძოდნენ. ერთ საუკუნეზე მეტი ხანი გასულიყო მას შემდეგ. რაც ქართველ ხალხს საკუთარი სახელმწიფო აღარ ჰქონდა. იმავე წლის ოქტომბერში რუსეთის ცენტრში. პეტერბურგში. მოხდა შეიარაღებული აჯანყება — გაიმარჯვა სოციალისტურმა რევოლუციამ. სხვაგვარი ვითარება იყო ამ დროს თბილისში.

თბილისის სოციალური სახე არსებითად განსხვავდებოდა პეტერბურგისაგან. დიდხნოვანი კოლონიური ჩაგვრა საქართველოში შედარებით პრიორიტეტულს ხდიდა ეროვნული თავისუფლებისათვის ბრძოლას, რომელსაც აქ საზოგადოების ყველა ფენა უჭერდა მხარს. საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ პარტიასაც. მენშევიკების სახით, ძლიერი გავლენა ჰქონდა და ამ ეტაპზე ქვეყნის სათავეშიაც ის მოექცა.

1918 წ. 26 მაისს ქართველი ხალხი დიდი ზეიმით შეხვდა საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის გამოცხადებას. ჩამოყალიბდა ეროვნული მმართველობის უმაღლესი ორგანოები, დამყარდა კონტაქტები საბჭოთა რუსეთთან, მეზობელ და უცხო ქვეყნებთან. მაგრამ 1921 წლისათვის საქართველოს მდგომარეობა უაღრესად გართულდა. საბჭოური რუსეთის წითელი არმიის ნაწილები 1921 წ. თებერვალში საქართველოს საზღვრებში შემოიჭრნენ, მოახდინეს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ოკუპაცია და საბოლოოდ ფაქტობრივი ანექსია.

* * *

1921 წ. 25 თებერვალს საქართველოში საბჭოური ხელისუფლება დამყარდა.

თბილისი შინაგან და გარეგან იერს იცვლიდა მაშინაც, როცა მას ბოლშევიკები დაეუფლნენ. თბილისი კვლავაც რჩებოდა მრავალი ეროვნების შვილთა თანაარსებობის ქალაქად. 1926 წლისათვის აქ მყოფი 294 ათასი სულიდან ქართველი 38 პროცენტი იყო, სომეხი — 34, რუსი — 16, ხოლო დანარჩენი 12 სხვადასხვა ეროვნებისანი იყვნენ. 1922—1936 წლებში თბილისი ამიერკავკასიის ადმინისტრაციულ-პოლიტიკური ცენტრი იყო.

თბილისელი მშრომელები აქტიურად ჩაებნენ საბჭოთა კავშირის ხალხთა დიდ სამამულო ომში. 90 ათასზე მეტი შვილი გაგზავნა თბილისმა ფაშისტ დამპყრობელთა წინააღმდეგ საომრად. ისინი წარმატებით იბრძოდნენ თავდაცვით ოპერაციებში ბალტიისპირეთსა და ბელორუსიაში, უკრაინასა და მოლდავეთში, ბრესტის, სმოლენსკისა და კიევისათვის გაფთრებულ ბრძოლებში; გზას უღობავდნენ მტერს მოსკოვის მისადგომებთან, თავი ისახელეს სტალინგრადის არნახულ შერკინებაში, კავკასიის დაცვაში და სხვ. საკმაოდ ცნობილია მათი მონაწილეობა სსრ კავშირისა და ევროპის განთავისუფლებისათვის ბრძოლებში, ისევე როგორც პარტიზანულ მოძრაობაში. 42-მა თბილისელმა გმირის წოდება დაიმსახურა.

თბილისის მწარმოებელი საზოგადოებაც თავდადებით ემსახურებოდა გამარჯვების დიდ საქმეს. საომარ ყაიდაზე გარდაქმნილი ქალაქის მრეწველობა საჭურველს აწვდიდა სამშობლოს დამცველებს, რომლებიც ქართველი მეცნიერების, მწერლების, პოეტების, ხელოვნების მოღვაწეთა და სხვათა მორალური მხარდაჭერით სარგებლობდნენ.

საბჭოური წყობილების პირობებში თბილისი დიდ სამრეწველო ქალაქად იქცა. ახლა იგი საკუთრივ საქართველოს მთელი სამრეწველო პროდუქციის ერთ მესამედზე მეტს უშვებს. აქაა კონცენტრირებული მანქანათმშენებელი, ხელსაწყოთმშენებელი ქარხნები; დიდი ადგილი უკავია ლითონის ჩამომსხმელ წარმოებას, ელექტროტექნიკურ, მსუბუქსა და კვების მრეწველობას და სხვ. მნიშვნელოვანია თბილისური სამრეწველო საქონლის ადგილი საგარეო ვაჭრობაში.

დიდად გაიზარდა მის მცხოვრებთა რიცხვი. 1921 წ. მათი რაოდენობა 234 ათასი იყო, ახლა მილიონ 200 ათასზე მეტია.

თბილისს შეემატა ახალი საცხოვრებელი მასივები — დიღომი, საბურთალო, გლდანი, მუხიანი, ვაზისუბანი, ვარკეთილი. წარმატებით მიმდინარეობს ქალაქის ძველ არქიტექტურულ ნაგებობათა სარესტავრაციო სამუშაოები, ისევე როგორც სარეკონსტრუქციო მშენებლობა. ახალ იერს იძენს და დროის მოთხოვნათა შესაფერისი ხდება ბევრი მოძველებული უბანი, რომელიც გენერალურ გეგმას ვერ ეგუება თავისი ფორმითა და შინაარსით. ეს გეგმა კი დიდია და ჩვენი საუკუნის ბოლომდე პერიოდს წვდება.

თბილისის საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის ისტორიაში დიდი გარდატეხის მაჩვენებელი იყო მეტროპოლიტენის პირველი კვანძის შენების დასრულება

თბილისი მეცნიერების, განათლების, კულტურის დიდი ცენტრია. ახლა აქ თავმოყრილია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიისა და საუწყებო დაწესებულებათა 120 სამეცნიერო—კვლევითი ინსტიტუტი, სადაც 20 ათასამდე მეცნიერი მუშაობს, ხოლო 11 უმაღლეს სასწავლებელში 68 ათასამდე სტუდენტი ირიცხება.

ძველ ტრადიციებზე აღმოცენებულმა და საფუძვლიანად განახლებულმა თბილისმა უადრესად ინტერნაციონალური და სტუმართმოყვარე ქალაქის სახელი დაიმკვიდრა. ქართულმა ხელოვნებამ თითქმის ყველა დარგში დიდი წარმატება და პატივისცემა დაიმსახურა. ასევე, მსოფლიო აღიარება პოვა ქართულმა ლიტერატურამ, რომლის წამყვანი კერა თბილისია. ჩვენი სახელოვანი მწერლობის გამორჩეულ შემოქმედებას ახლა მილიონობით მკითხველი ჰყავს არა მარტო ჩვენთან, არამედ საზღვარგარეთაც.

თბილისი ქართველი ხალხის სიაძაყისა და დიდების სწორუპოვარი გვირგვინია. მისი უწმინდესი ადგილიდან — მთაწმინდიდან დანახული იგი მტკვრის ორივე ნაპირზე გადაშლილ ვეებერთელა წიგნს მიაგავს, რომლითაც დედაქალაქის წარსულსა და აწმყოს ვეცნობით.

I

უძველესი მოსახლეობა თანამედროვე თბილისის ტერიტორიაზე

დედაქალაქის ფიზიკურ-გეოგრაფიული მდებარეობა

თბილისი მდებარეობს მდინარე მტკვრის ხეობაში, ჩრდილო განედის 41° 43′ და აღმოსავლეთ გრძედის 44° 49′. იგი მოქცეულია ამიერკავკასიის ცენტრალურ ნაწილში ზღვის დონიდან 400—500 მეტრ სიმაღლეზე. ქალაქს დასავლეთიდან საზღვრავს თრიალეთის ქედის ჩრდილო განშტოებანი, აღმოსავლეთიდან — ძეძვის, ყეენისა და მახათის მთების კალთები, ხოლო სამხრეთით — თრიალეთის ქედი; ჩრდილოეთის მხრიდან ქალაქს საგურამოს ქედი ემიჯნება. საბჭოთა საქართველოს დედაქალაქი სწრაფი ტემპით იზრდება და, ცხადია, მისი დღევანდელი საზღვრები თითქმის ყველა მიმართულებით იცვლება დროსა და სივრცეში[1].

თბილისის ფიზიკურ-გეოგრაფიული მდებარეობისათვის დამახასიათებელი თავისებურებაა საქართველოს მნიშვნელოვანი ლანდშაფტების გზაშესაყარზე განაშენიანება; აქ ხვდება ერთმანეთს სამცხე-თრიალეთის მთიანეთი, კახეთისა და შიდა ქართლის მთაშორისი ბარი, იორის ზეგანი და სხვ.

ისტორიულ თბილისს მუდმივი, უცვლელი დარაჯებივით გარს ეკვროდნენ მთები, რომლებიც ხელს უწყობდნენ ქალაქის დაცვას უცხოელ მძარცველთა პერმანენტული შემოსევებისაგან.

გეოლოგიურად თბილისის ტერიტორია მესამეული ეპოქის ზღვის ფსკერს წარმოადგენს. მნიშვნელოვნად განსხვავდება თბილისში მტკვრის მარჯვენა და მარცხენა ნაპირები. მარჯვენა მხარე საგრძნობლად შემაღლებულია, უფრო ციცაბოა, დანაწევრებულია განივი მიმართულების მქონე პატარა მდინარეებითა და ხრამებით. მარცხენა მხარეზე რელიეფი შედარებით თანაბარია, მაგრამ აქაც გვხვდება მშრალი ხევები და უსიცოცხლო ხრამები[2].

---

[1] გამოყენებულია ქართველი გეოგრაფების შრომები (ა. ჯავახიშვილი, ქ. ყაურიშვილი, დ. უალება, ლ. მარუაშვილი, მ. კორძახია და სხვ.).

[2] Джавахишвили Ал. Геоморфологические районы Грузинской ССР, М. — Л., 1947.

თბილისში საკმაოდ არის გავრცელებული ხელოვნური ტერასები, რაც განაპირობა ტოპოგრაფიულმა თავისებურებებმა: რელიეფი მნიშვნელოვნად დანაწევრებულია, მრავლადაა ხევები; ამასთან ერთად, მთის ფერდობების არსებობა დიდად აფერხებდა ქალაქის ტერიტორიულ ზრდას. ეს იყო მიზეზი, რომ მოსახლეობა ხელოვნურ ტერასებს აწყობდა მტკვრის ორივე მხარეს. ასეთი ღონისძიებები ხელს უწყობდა ეროზიული მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლასაც[3].

ახლო წარსულში თბილისს რამდენიმე ხევი ჰკვეთდა: სოლოლაკის ხევი, ეკალხევი, ვარდისუბნის ხევი, გაბაანთ ხევი. კუკიის ხევი, ჩულურეთის ხევი, ვარაზის ხევი და სხვა. ამჟამად ეს ხევები გადახურულია, მასზე გაშენდა კეთილმოწყობილი ქუჩები და მოედნები. მტკვარს თბილისში ერთვის პატარა მდინარეები ვერე და წავკისის წყალი ანუ ლეღვთახევი.

თბილისის მიდამოები არ არის მდიდარი მნიშვნელოვანი წიაღისეულით. აქ მოიპოვება ნავთობი, სამშენებლო მასალა, მინერალური წყლები.

თბილისის კლიმატი საკმაოდ მრავალფეროვანია. ნალექი მცირე იცის, ჰაერი მშრალია. იგი დაბალ გეოგრაფიულ განედზე მდებარეობს, რის გამო ღრუბლიანობა მცირეა, ხოლო მზის რადიაცია უხვი და ხანგრძლივი.

ქალაქის წლიური საშუალო ტემპერატურა მაღალია და აღწევს 12,6°-ს, მაგრამ მისი სხვადასხვა უბნები, მკვეთრი რელიეფური სხვაობის გამო, საშუალო ტემპერატურის მხრივაც არ არიან ერთნაირი[4].

თბილისის კლიმატური და რელიეფური პირობები ბევრად განსაზღვრავს შიდა წყლების ქსელის წარმოქმნას. მდ. მტკვარი წყალუხვია და წყლის ენერგიის საკმაო მარაგს შეიცავს.

მცირე მდინარეების, ხევებისა და ღელეებისათვის, ძლიერი წვიმების დროს, დამახასიათებელია ღვარცოფები, განსაკუთრებით კი მაისსა და ივნისში.

თბილისის მიდამოებში ტბებიც არის: კუს ტბა, ლისის ტბა, გლდანის ტბა. 1950-იან წლებში მლაშე ტბების ადგილას მოეწყო ხელოვნური წყალსაცავი, რომელიც მდ. იორიდან გამოყვანილი არხის მეშვეობით საზრდოობს. ამ დიდ ტბას ახლა „თბილისის ზღვას“ ეძახიან.

რელიეფის, კლიმატისა თუ სხვა ფიზიკურ-გეოგრაფიული ფაქტორების ზეგავლენით თბილისის ნიადაგიც მრავალფეროვნებით გამოირჩევა; უმეტესწილად გავრცელებულია წაბლა ნიადაგები, რაც ხელს უწყობდა ვენახის გაშენებას, ბოსტნეულისა და ხორბლეულის მოყვანას. მამადავითის ქედზე უფრო მეტი მოცულობითაა მცირე სისქის, ხირხატია-

---

[3] თბილისი, ეკონომიურ-გეოგრაფიული დახასიათება, რედ. აკად. ა. ჯავახიშვილი, თბ., 1957, გვ. 32.

[4] К о р д з а х и я М.О. Климат Квемо-Картли (Нижней Картли), Тбилиси, 1946.

ნი ტყის ყავის [illegible] ნიადაგები, ზოგან კი ფერდობი მთლიანად გაცარეცხილია.

თბილისის მიდამოები, ასევე, მრავალფეროვანი მცენარეულით ხასიათდება. მცენარეულ საფარში ძირითადად ადგილი ბალახიან ველებს უჭირავს. ახლო წარსულში კი ტერიტორიის უდიდესი ნაწილი ტყით იყო დაფარული. სხვადასხვა გარემოებათა გამო ტყე გაიჩეხა; მცირე რაოდენობით გვხვდება ჭალის ტყე. ამჟამად თბილისი დამშვენებულია დეკორატიული მცენარეებით, ხოლო მისი გარემომცველი მთები და ხევები ხელოვნურად გაშენებულ ტყეებს უჭირავს.

თბილისის ფიზიკურ-გეოგრაფიული მდებარეობა საკმაოდ ხელსაყრელი იყო მოსახლ[illegible] უძველესი ხანიდანვე დამკვიდრებისათვის და შემდგომ დედაქალაქ[illegible] დაქცევისათვის.

არქეოლოგიური და ანთროპოლოგიური მონაცემები თბილისის მოსახლეობაზე

ა) არქეოლოგიური მონაცემები

არქეოლოგიური დაზვერვები და გათხრები, აგრეთვე შემთხვევითი აღმოჩენები ცხადყოფენ, რომ ჩვენი დედაქალაქი და მის ახლო მდებარე მიდამოები უძველესი ხანიდან ყოფილა დასახლებული. შორეული წინაპრების კულტურა და საზოგადოებრივი ცხოვრება მსოფლიო ცივილიზაციის კვალდაკვალ ვითარდებოდა.

ოქროყანის ველზე 1961 წელს მოყავისფრო კაჟის ლამელა და ობსიდიანის ნატეხები აღმოჩნდა, ხოლო 1962 წელს — საბურთალოზე, მიცკევიჩის ქუჩაზე, ასევე მოყავისფრო კაჟის ქვის ხელშუბისპირი[3].

მართალია, ეს ნივთები შემთხვევით იპოვეს და, ამდენად, მყარი მეცნიერული დასკვნის გამოტანის საფუძველი არა გვაქვს, მაგრამ მათი აღმოჩენის ფაქტი აღნიშნულ პუნქტებ[illegible] ქვის ხანის ადამიანის სავარაუდო არსებობას მაინც გულისხმობს.

საკმაოდ მრავალფეროვანი არქეოლოგიური ძეგლები აღმოჩნდა 1930—1931 წწ. დიდუბეში, მექანიკური ქარხნის მშენებლობის დროს. დიდუბის ნასახლარი ენეოლითის ხანას, ანუ ქვიდან ლითონის ეპოქაზე გარდამავალ პერიოდს (ძვ. წ. IV—III ათასწლეული) მიეკუთვნება. აქ აღმოჩენილი თიხის ჭურჭელი (ქილები, სასმისები, ბადიები, სხვადასხვა ზომისა და ფორმის ჯამები, ხუფები და სხვ.), თიხისავე კერის ნაშთები, ობსიდიანის, კაჟისა და ძვლის იარაღები (ისრისპირი, დანისა თუ ნამ-

---

[3] ო. ტ ყ ე შ ე ლ ა შ ვ ი ლ ი , არქეოლოგიური დაზვერვები თბილისსა და მის მიდამოებში (თბილისის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის შრომები, I, 1966, გვ. 51—52).

გლის ნაწილები, სადგისები და სხვ.), ობსიდიანის ანატკეცები, ცხოველთა ძვლები აშკარად იმის მაუწყებელი ჩანს, რომ აქ ბინადარი მოსახლეობა იყო, რომელსაც ახლო ურთიერთობა ჰქონდა მეზობელ ტომებთან. „მთელ ამ პერიოდში დიდუბეში ცხოვრობდა მობინადრე მიწათმოქმედი და მესაქონლე მოსახლეობა, რომლის მეურნეობაში... დიდი ადგილი ეკავა აგრეთვე მონადირეობას და მეთევზეობას; როგორც მასალებიდან ირკვევა, დიდუბის მოსახლეობას სცოდნია აგრეთვე სუფთად დართული ძაფით ქსოვა“[6].

1968 წლიდან მიმდინარეობს გათხრები დიღმის მიდამოებში. სამუშაოები მალე გაფართოვდა დედაქალაქის მთელ ტერიტორიაზე და 1972 წლიდან „დიდი თბილისის“ არქეოლოგიური ექსპედიცია ჩამოყალიბდა.

ვაჟა-ფშაველას გამზირზე მიმდინარე სამუშაოების დროს აღმოჩნდა უძველესი დასახლების ნაშთი, რომელიც „დელისის ნასახლარის“ სახელითაა ცნობილი. „ამ ძეგლს უდიდესი მნიშვნელობა აქვს საქართველოსა და ამიერკავკასიის უძველესი ისტორიის შესწავლისათვის. დელისის ნასახლარის მასალა პარალელებს პოულობს, ერთი მხრივ, ძვ. წ. V—IV ათასწლეულის პირველი ნახევრის ამიერკავკასიის ე. წ. ადრესამიწათმოქმედო კულტურის ძეგლებთან, ხოლო, მეორე მხრივ, ე. წ. მტკვარ-არაქსის კულტურის (ძვ. წ. IV ათასწლეულის II ნახევრისა და III ათასწლეულის) მასალასთან“... ამგვარად, თბილისის ტერიტორიაზე ნასახლარებს ჩვენ უკვე ამ 6 000 წლის წინ ვაწყდებით[7].

ენეოლით-ადრებრინჯაოს ხანის ნამოსახლარის ნაშთები აღმოჩნდა დიღომში, საქართველოს სამხედრო გზის გასწვრივ მდებარე ე. წ. თრელიგორებზე, სადაც ურთიერთმონაცვლე რამდენიმე კულტურული ფენის არსებობა დადასტურდა. ეს კი, თავის მხრივ, ამ პერიოდის დასახლების ხანგრძლივობაზე მიგვითითებს[8]. ნასახლარის მახლობლად არსებობდა მისი თანადროული სამაროვანი, რომლის ქვედა ფენები თარიღდება ენეოლითის გვიანდელი საფეხურით, დაახლოებით ძვ. წ. IV ათასწლეულის მეორე ნახევრით, მისი ზედა ფენები კი ადრებრინჯაოს ხანისაა (ძვ. წ. III ათასწლ.). შუაბრინჯაოს ხანის ძეგლები უკვე „საზოგადოების ქონებრივ და სოციალურ დიფერენციაციაზე მიგვითითებს“[9].

გვიანი ბრინჯაოს ხანის არქეოლოგიური ძეგლების მიხედვით, გარკვევით ჩანს ქართველი ტომების ეკონომიკური სიძლიერე და კულტურის

---

[6] დ. ქ ო რ ი ძ ე , თბილისის არქეოლოგიური ძეგლები, I, 1955, გვ. 75.

[7] რ. ა ბ რ ა მ ი შ ვ ი ლ ი, დიდი თბილისის არქეოლოგიური ექსპედიციის ძირითადი შედეგები. გამოქვეყნდა კრებულში — „თბილისი“. არქეოლოგიური ძეგლები, გამ. „მეცნიერება“, 1978 წ. გვ. 8; იხ., აგრეთვე, ო. ტ ყ ე შ ე ლ ა შ ვ ი ლ ი. დასახ. ნაშრომი, გვ. 19—20.

[8] რ. ა ბ რ ა მ ი შ ვ ი ლ ი , დასახ. ნაშრომი, გვ. 9.

[9] იქვე.

მაღალი დონე. ამ პერიოდის სამეურნეო თუ საბრძოლო იარაღები, საოჯახო ნივთები თუ სამკაული მეტად მრავალფეროვანი და მაღალმხატვრული ფორმისაა. იგივე ითქმის კერამიკულ ნაწარმზედაც.

ავჭალის გზატკეცილის მახლობლად, აგურ-კრამიტის კომბინატის მიდამოებში, 1949—1950 წწ. გათხრილ ორმოსამარხებში საკმაო რაოდენობით აღმოჩნდა სხვადასხვა ფორმისა და დანიშნულების თიხის ნაწარმი (ხელადები, დოქები, ჩაფები, კოჭობები, ქოთნები, ქვაბ-ქოთნები, ქილები, ბადიები, ფიალები, სასმისები და სხვ.), ბრინჯაოს იარაღები (სატევრები, შუბისპირები და სხვ.), სხვადასხვა სახის სამკაულები და ა. შ. ეს მასალა გვიანი ბრინჯაოს ხანის ადრეული საფეხურით, კერძოდ, ძვ. წ. XIV—XIII სს. თარიღდება[10]. მიკვლეულ ძეგლებს თავისი პარალელები მოეპოვება როგორც აღმოსავლურ-ქართული კულტურის ძეგლებში, ასევე დასავლეთ საქართველოსა და კავკასიის სხვა რეგიონში აღმოჩენილ მასალებს შორისაც[11]. ეს კი საშუალებას გვაძლევს დავუშვათ, რომ თბილისის იმდროინდელ მოსახლეობას ფართო კავშირურთიერთობა ჰქონდა მეზობელ ტომებთან. თანამედროვე თბილისის მიწაზე მცხოვრებ მოსახლეობას ეკავა ხელსაყრელი რეგიონი, სადაც ხდებოდა აღმოსავლურ-ქართული კულტურის შეხვედრები დასავლურ-ქართულ თუ კავკასიის სხვა რეგიონების კულტურებთან.

გვიანი ბრინჯაოს ხანის მეტად საინტერესო ძეგლები აღმოჩნდა აგრეთვე ნავთლუღში, ორხევის მინდორზე, იმ ადგილას, სადაც მტკვარს ერთვის მდ. ორხევი. გათხრილ ორმოსამარხებში 81 ნივთია მოპოვებული, რომელთა შორის ყველაზე დიდი რაოდენობითაა თიხის ჭურჭელი: დოქები, ხელადები, ქვაბები, ქვაბ-ქოთნები, ლანგრები, სასმისები, კოჭობები, ქილები, ჯამები და სხვ. იქვეა ნაპოვნი ბრინჯაოს იარაღები (სატევრები, ცულები, შუბისა და ისრისპირები), ბრინჯაოს, ძვლისა და სარდიონის სამკაულები: სამაჯურები, ქინძისთავები, კისრის რგოლები, საყურეები, მძივები და სხვა, სპილენძისა და ბრინჯაოს საყოფაცხოვრებო ნივთები: ქვაბები, კაუჭები, ჩქიფები და სხვ. აღმოჩნდა აგრეთვე ბრინჯაოს ლაგმები და საყბეურები. ეს მასალა ძვ. წ. XIII—XI საუკუნეებით შეიძლება დათარიღდეს[12].

ამჟამად ჩვენს ხელთ არსებული არქეოლოგიური ძეგლების მიხედვით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ თბილისის თანამედროვე ტერიტორიაზე განსაკუთრებით მჭიდრო მოსახლეობა სწორედ გვიანი ბრინჯაოს ხანიდან ჩანს და მის სამეურნეო ცხოვრებაში წამყვანი ადგილი მიწათმოქმედებასა და მესაქონლეობას უჭირავს. აშკარაა აგრეთვე, რომ მოსახლე-

---

[10] დ. ქ ო რ ი ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 152.

[11] იქვე.

[12] დ. ქ ო რ ი ძ ე, დასახ. ნაშრომი; ო. ტ ყ ე შ ე ლ ა შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 51—52.

ობა უკვე დიფერენცირებულია ქონებრივად და, იქნებ, სოციალურადაც: მდიდრული, მრავალფეროვანი და მრავალრიცხოვანი, ნატიფად ნაკეთები ნივთების შემცველი სამარხების გვერდით საკმაოდ ხშირია ღარიბული, მცირერიცხოვანი ნივთების შემცველი სამარხები.

გვიანბრინჯაო — ადრერკინის ხანის შესანიშნავი ძეგლი იქნა გათხრილ-შესწავლილი დიღმის ველზე, ზემოთ უკვე აღნიშნულ თრელიგორებზე. აქ გამოვლენილია რიყის ქვით ნაგები და თიხის ხსნარით შელესილ ნაგებობათა ნაშთები, თიხატკეპნილი და ქვის ფილებით დაგებული იატაკი, ბანის ძელები, პურის საცხობი ღუმელები და საკულტო თაროები, მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი კერამიკული ნაწარმი, მათ შორის საკმაოდ მოზრდილი ქვევრი, ყურძნის წიპწა, ხორბალი, რკინის ნამგალი, რქის საყბეური, ბრინჯაოს საკინძი და სხვ. ყოველივე ეს საკმაოდ დაწინაურებული მეურნეობისა და საზოგადოების არსებობაზე მიგვანიშნებს[13].

ამ დროის სამარხებში გამოირჩევა წარჩინებული მეომრების სამარხები. ისინი „შეიცავენ თიხის ჭურჭელს, სხვადასხვა ლითონის, პასტის, მინისა და ნახევრად ძვირფასი ქვების სამკაულს, ბრინჯაოს სარტყლებსა და რკინის იარაღს, მათ შორის გვხვდება სხვადასხვა ტიპის მახვილები, სატევრები, შუბები, ისრისპირები და სხვ.“[14].

გვიანი ბრინჯაოს ხანის ძეგლები მიკვლეულია დედაქალაქის სხვა რაიონებშიაც — ღრმაღელე, ნაძალადევი, დავით აღმაშენებლის პროსპექტი, მახათას მთის ფერდობი, ნავთლუღი, ორთაჭალა, სანაპირო, კრწანისი, ავლაბარ-ისანი და სხვ.

ეპოქის შესაბამისი მაღალი კულტურის მატარებელი მოსახლეობის არსებობის დამადასტურებელია, აგრეთვე, არქეოლოგიური ძეგლები, რომლებიც აღმოჩენილია მდ. მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე, საბურთალოზე, ვაკეში, დიდუბეში, ნაძალადევში, ავჭალაში, მთაწმინდა-სოლოლაკსა და თანამედროვე თბილისის სხვა უბნებში. ეს ძეგლები რკინის ფართო ათვისებისა და ანტიკური ხანისაა (ძვ. წ. I ათასწლეული — ახ. წ. III ს.).

ზემოთ უკვე იყო აღნიშნული, რომ დიდუბის არქეოლოგიურ ძეგლებზე ორი კულტურულ-ქრონოლოგიური ფენა განირჩევა. თუ უძველესი ფენა ენეოლითური ხანით დათარიღდა, მეორე ფენა ადრეანტიკურ ხანას (ძვ. წ. I ათასწლეულის მეორე ნახევარი) ეკუთვნის. ამ უკანასკნელ კულტურულ ფენაში აღმოჩნდა სხვადასხვა დანიშნულების შავი საღებავებით მოხატული თიხის ჭურჭელი (ხელადები, კოჭობები, ფიალები,

---

[13] რ. აბრამიშვილი, ვ. ნიკოლაიშვილი, ნ. ოქროპირიძე და სხვ., დიდი თბილისის არქეოლოგიური ექსპედიცია. — კრებულში — „საველე არქეოლოგიური კვლევა-ძიება საქართველოში“, თბილისი, 1974, გვ. 26.

[14] რ. აბრამიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 10.

ქოთნები და სხვ.), ბრინჯაოს ზარაკები, ეჟვნები, ქინძისთავები, სამაჯურები, ბეჭდები, რგოლები, აგრეთვე მძივები, მძივსაკიდები და სხვ.

ძვ. წელთაღრიცხვის VIII—VII საუკუნეებით თარიღდება თრელის სამაროვანზე გათხრილი დასაკრძალავი დარბაზის შემცველი სამარხები. მათგან ინვენტარის სიმდიდრით გამოირჩევა სამარხი №16, რომლის ფართობი 70 კვადრატულ მეტრს აღწევს, სიმაღლე კი 4 მეტრზე მეტია. აღმოჩენილ ნივთთა შორის „თავისი მაღალმხატვრულობითა და სინატიფით“ იშვიათია ბრინჯაოსაგან ჩამოსხმული, ჭვირულ სადგარზე მდგარი ღვთაების გამოსახულება (წარჩინების ნიშანი), ცხენის თავის ქანდაკება, თიხისაგან ნაძერწი ზოომორფული ჭურჭელი, გეომეტრიული ორნამენტით შემკული შავპრიალა ხელადები და სხვ. იქვე აღმოჩნდა „ბრინჯაოს მუზარადი, ხელშუბის პირი, ყუნწიანი ისრისპირები... ცხენის ლაგამი, საკისრე რგოლები ზარაკებითურთ, ბალთები... სამარხი ეკუთვნის წარჩინებულ მეომარს, სავარაუდოა — ტომის ბელადს“[15].

მოპოვებული მასალებით დასტურდება, რომ დიღმის რაიონში, თრელიგორებზე, დაახლოებით ძვ. წ. II ათასწლეულის მეორე ნახევარში და I ათასწლეულის პირველ ნახევარში, არსებობდა იმ დროისათვის დიდი დასახლება, ტერასულად დაყოფილი და გადაჭიმული ერთნახევარ კილომეტრზე. იგი მოფენილი იყო ბანურსახურავიანი ერთოთახიანი შენობებით, რომლებსაც ცალ-ცალკე ჰქონდათ სამეურნეო დანიშნულების სათავსოები. მიკვლეულია მიწაში ჩაფლული ღვინის, ძმრისა და სხვა პროდუქტების შესანახი ქვევრები[16].

დიღმის ველი, მიუხედავად საგარეო შემოსევების შედეგად ხშირი განადგურებისა, კარგად იყო დასახლებული ანტიკურსა და გვიანანტიკურ ეპოქებშიაც. ერთ სამარხში, რომელიც ახ. წ. III ს. თარიღდება, აღმოჩენილია რკინის სატევარი, შუბისპირი, სამფრთიანი ისრისპირები, აბზინდები და ბალთები, ოქროს სამაჯური, რკინის ბეჭდები მათში ჩასმული სარდიონის გემათი. ერთ გემაზე გამოსახულია „მაღალფეხიანი ჭურჭელი მარადიული ცეცხლით, მეორეზე კი — ათენა პალადა შუბითა და ფარით“. იქვე ვხვდებით რომის იმპერატორ ავგუსტის ვერცხლის დინარებს. თრელიგორებზე აღმოჩენილია ადრეული და მომდევნო ფეოდალური ხანის სამარხებიც. როგორც დავინახეთ, დიღმის ხეობას, სხვა უძველეს დასახლებებთან ერთად, მნიშვნელოვანი წილი უდევს თბილისის ქალაქად გადაქცევის ისტორიაში[17].

გვიანანტიკური პერიოდისაა აგრეთვე თბილისის ვაკის უბანში აღმოჩენილი ქვასამარხი, რომელშიაც იყო ოქროს ორი მონეტა რომის იმპე-

---

[15] რ. ა ბ რ ა მ ი შ ვ ი ლ ი, დიდი თბილისის არქეოლოგიური ექსპედიციის ძირითადი შედეგები, დასახ. გამოცემა, გვ. 11.

[16] იქვე, გვ. 12.

[17] იქვე, გვ. 12—13.

რატორ ავგუსტის დროს მოჭრილი (ძვ. წ. 27 — ახ. წ. 14 წწ.), ოქროსავე ბურთულები, გვირგვინის ფურცლები და სხვა ნივთები; ბესიკის ქუჩაზე და ღრმაღელეში. ისევე როგორც საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მიდამოებში და სხვაგანაც აღმოჩენილია თიხის ჭურჭელი (დოქები, ჯამები, თუნგულები), ავგაროზები და სხვა ნივთები, რომლებიც აშკარად მოწმობენ თანამედროვე თბილისის ტერიტორიაზე მცხოვრები იმდროინდელი მოსახლეობის მაღალგანვითარებულ ეკონომიკურსა და კულტურულ დონეს.

განსაკუთრებით საყურადღებოა დიღმის ველზე, ახალი ხიდის მახლობლად, ძვ. წ. IV—III სს. ბერძნული მონეტის აღმოჩენა, ხოლო დიდუბეში, კეცხოველის ქუჩაზე, ორთაჭალაში, ბოტანიკური ბაღის მიდამოებში, ვაკეში, ·ბურთალოსა და სხვა ადგილებში ძვ. წ. III — ახ. წ. III სს. ბაქტიიული, ბოსფორული, რომაული და პართული მონეტების თუ ეგვიპტური „სკარაბეების“ მიკვლევა. როგორც ჩანს, აღნიშნულ ადგილებში მცხოვრებ იმდროინდელ მოსახლეობას ფართო სავაჭრო-ეკონომიკური კავშირი ჰქონია საბერძნეთთან, კასპიის ზღვის გაღმა მდებარე ბაქტრიის სამეფოსთან, ეგვიპტესთან, რომის იმპერიასთან და ყირიმის ნახევარკუნძულზე მდებარე ბოსფორის სამეფოსთან. თბილისის რეგიონში მყოფი მოსახლეობა განფენილი იყო აზიიდან ევროპისაკენ მიმავალ დიდ სავაჭრო გზაზე, რაც ხელს უწყობდა მის ჩაბმას მსოფლიო ვაჭრობის სფეროში.

თბილისის არქეოლოგიურ წარსულზე საუბრისას უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ ქალაქმა თავისი სახელწოდება („ტფილისი“, შემდეგ კი — „თბილისი“) იმ ცხელი გოგირდოვანი წყლებიდან მიიღო, რომლებიც დღევანდელი კიროვის სახ. რაიონში, ლეღვთახევში, მდებარეობენ; გასათვალისწინებელია ისიც, რომ ფეოდალური ხანის ქალაქის ტერიტორიაც, ძირითადად, დღევანდელი კიროვის სახ. რაიონითა და მეტეხ-ავლაბრის მიდამოებით შემოიფარგლებოდა.

რაც შეეხება იმ ადგილებს, სადაც აღმოჩენილია არქეოლოგიური ძეგლები ძვ. წ. V—IV ათასწლეულებიდან ახ. წ. IV საუკუნემდე, ისინი თბილისის ახლო მდებარე დასახლებებს წარმოადგენდნენ და უნდა ვიფიქროთ, რომ სწორედ ამ პუნქტების ხარჯზე და ურთიერთშერწყმის შედეგად წარმოიშვა ძველ თბილისში ჯერ „ქალაქი-ციხე“ (ახ. წ. IV ს.-უკ.), შემდეგ კი სამეფოს კულტურულ-ეკონომიკური და პოლიტიკური ცენტრი — დედაქალაქი.

ფეოდალური ხანის თბილისი არქეოლოგიური თვალსაზრისით, სამწუხაროდ, დღემდე არ არის სრულყოფილად შესწავლილი. გეგმიური, სტაციონარული არქეოლოგიური გათხრები ფეოდალური ეპოქის ქალაქის ტერიტორიაზე მხოლოდ სამ პუნქტში ჩატარდა (სამასი არაგველის

სახ. ბაღი[18], ერეკლე მეორის მოედანი[19], თბილისის დედაციხე) და, მიუხედავად იმისა, რომ სამივე პუნქტში საკმაოდ დიდი რაოდენობის საყურადღებო ძეგლები აღმოჩნდა, ძიება თანმიმდევრული არ ყოფილა. არც ერთი აღნიშნული პუნქტი ბოლომდე არ გათხრილა. ეს გარემოება ობიექტური მიზეზებით იყო განპირობებული. ქალაქის ძველი უბნების მჭიდრო დასახლება, ავარიულ მდგომარეობაში მყოფი შენობები ხშირ შემთხვევაში არქეოლოგიური სამუშაოების სათანადო დონეზე ჩატარების საშუალებას არ იძლევა.

სამასი არაგველის სახ. ბაღის კეთილმოწყობის დროს, 1948—1949 წლებში წარმოებული გათხრების შედეგად დადგინდა, რომ ფეოდალურ ხანაში აღნიშნული უბანი კერამიკული წარმოების მძლავრ კერას წარმოადგენდა. აქ ამზადებდნენ არა მარტო მოუჭიქავ, არამედ მაღალმხატვრულ მოჭიქულ ჭურჭელს და, შესაძლოა, მინის ჭურჭელსაც... უფრო მეტიც: ბაღში გათხრილი შვიდი ქურა, ჩანს, მარტო ჭურჭლეულის დასამზადებლად კი არ იყო გამოყენებული, არამედ მოჭიქული კრამიტისა და შორენკეცების საწარმოებლადაც.

სამწუხაროდ, სხვადასხვა მიზეზების გამო, არც სამასი არაგველის სახ. ბაღი გათხრილა ბოლომდე.

1956—1957 წლებში ერეკლე მეორის მოედანზე მდებარე ბაღში წარმოებული გათხრების დროს, ფეოდალური ხანის (V—XVIII სს.) მრავალმნიშვნელოვანი მონაპოვრების გვერდით, აღმოჩნდა V ს. აქატის ქვის გემა (საბეჭდავი). არსებობს მოსაზრება, რომ ამ საბეჭდავზე გამოსახული პიროვნება შეიძლება იყოს მეფე ვახტანგ გორგასალი[20].

მესამე ობიექტი, სადაც სტაციონარული არქეოლოგიური გათხრები ჩატარდა, იყო თბილისის მთავარი თავდაცვითი ნაგებობა — „დედაციხე", რომელიც წყაროებში „კალას", „შურისციხის", „ნარიყალას" და „ქალაქის ციხის" სახელებითაც არის ცნობილი.

ექსპედიციამ თხრა დაიწყო 1966 წლის ოქტომბერში, დედაციხის ქვედა ბაქანზე. გათხრები გარკვეული შუალედური წყვეტილებით დღესაც გრძელდება.

დედაციხე თბილისის ერთ-ერთი უძველესი თავდაცვითი ნაგებობაა. წერილობითი წყაროების მიხედვით იგი ახ. წ. IV საუკუნიდან არსებობს,

---

[18] ო. ჯაფარიძე, „განჯის კარის" 1948 წ. გათხრის ანგარიში; გ. ლომთათიძე, არქეოლოგიური გათხრა თბილისში 1948 წ. ზამთარში, იხ. მასალები საქართველოსა და კავკასიის არქეოლოგიისათვის, ტ. I, თბ., 1955.

[19] ი. გძელიშვილი, ო. ტყეშელაშვილი, თბილისის მატერიალური კულტურის ძეგლები, თბ., 1961.

[20] ო. ტყეშელაშვილი, თბილისში 1956 წ. აღმოჩენილ გემაზე გამოსახული პიროვნების ვინაობისათვის. — ჟურ. „საბჭოთა ხელოვნება", №5, 1962.

მაგრამ 1948 წელს მოსწავლეების მიერ დედაციხის ტერიტორიაზე ბრინჯაოს სატევრის აღმოჩენის ფაქტი თუ საეჭვოდ არ მიიჩნევა, უნდა ვიფიქროთ, რომ ეს ადგილი გვიანბრინჯაოს ხანაში (ძვ. წ. XIII—XII სს.) უკვე ყოფილა დასახლებული და, შესაძლოა, იგი გორა-ნასახლარს წარმოადგენდა. თუ რამდენად სწორია ეს აზრი, ამას მომავალი გათხრები დაადგენს. ჯერჯერობით კი, დედაციხის ტერიტორიაზე ჩატარებული თხრის შედეგად, ძირითადად, განვითარებული და გვიან ფეოდალური ხანის ძეგლები გამომზეურდა, თუმცა მცირე რაოდენობით აღმოჩნდა აგრეთვე ადრეფეოდალური ხანის მასალებიც — ჩუქურთმიანი ქვის ფილა და კერამიკული ნაწარმი.

საუკუნეთა მანძილზე თბილისი და მისი დედაციხე მრავალჯერ დანგრია მტერმა. ასევე ბევრჯერ აღდგა იგი და, ცხადია, დანგრეულ ძველ ნაგებობათა ადგილზე იგებოდა ახალი, რის შედეგად ზოგჯერ მთლიანად ისპობოდა ძველი შენობის კვალი. თბილისის დედაციხის ტერიტორიაზე ადრეფეოდალური ხანის ნაგებობებიდან მხოლოდ ციხის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში მდგარი კოშკია შემორჩენილი, რომელიც თლილი, კვადრატული ქვებით არის ნაგები და ვახტანგ გორგასლის ეპოქით თარიღდება[21].

დედაციხის ტერიტორიაზე ჩატარებული თხრის შედეგად აღმოჩენილი ნაგებობებიდან ყველაზე მნიშვნელოვანია გუმბათიანი ტაძრის ნაშთი. ეს ტაძარი თავისი გეგმით თითქმის სრული ანალოგიაა მდ. მტკვრის მარცხენა ნაპირას მდგომი ტაძრისა, რომელიც XIII ს. ბოლოსაა აგებული.

ვახუშტი ბაგრატიონი თბილისის დედაციხეში მდგარ ტაძარს წმ. ნიკოლოზის სახელობისად მიიჩნევს[22].

წმ. ნიკოლოზის ტაძარი თითქმის მთლიანად იყო დანგრეული და მიწით დაფარული. თხრის შედეგად აღმოჩნდა, რომ ტაძარი ნაგები იყო ქვისა და აგურის წყობით, კირის ხსნარზე. კედლები შემოსილი ჰქონია თლილი ქვის პერანგით, რომლის დიდი ნაწილი სხვადასხვა სახის ორნამენტით იყო შემკული. ვახუშტის გეგმაში ტაძარი ჯვრის ტიპის გუმბათიან ნაგებობას წარმოადგენს. გუმბათი დაყრდნობილი ყოფილა აგურით ნაგებ მრგვალ სვეტებსა და საკურთხევლის კედლებზე. ტაძრის შიდა კედლები, ჩანს, ფრესკებით იყო მოხატული. ამას გვაფიქრებინებს ჩრდილოეთის მრგვალ სვეტზე შემორჩენილი მხატვრობის ნაშთი ადამიანის ფეხის გამოსახულებით.

თბილისის დედაციხის არქეოლოგიური ექსპედიციის ერთ-ერთ მნიშ-

---

[21] Цинцадзе В. Тбилиси, 1958, с. 27.

[22] ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა საქართველოსა, თბილისი, 1941, გვ. 52 (შემდეგში — ვახუშტი, აღწერა).

ვნელოვან მონაპოვრად უნდა ჩაითვალოს აგრეთვე ძველი სასახლის ნაშთების გამომზეურება. შესაძლებელია ეს ჰქონდა მხედველობაში ვახუშტის, როცა წერდა: „მაღალს ციხეში არს...სასახლე, მეფისა. ჰალატნი დიდი და მშვენიერნი“[23].

დედაციხის ტერიტორიაზე სამეფო სასახლის არსებობის ფაქტი უფრო ძველ წყაროებშიც არის მითითებული. მაგრამ ჯერჯერობით ძნელია სრული დაბეჯითებით ითქვას, რომ აღმოჩენილი სასახლის ნაშთები წყაროებში მოხსენიებულ სასახლეს გულისხმობდეს. მიუხედავად ამისა, ფაქტია, რომ ექსპედიციის მიერ დედაციხის ქვედა ბაქანზე გათხრილ ნაგებობათა შორის ეს შენობა ყველაზე დიდი მოცულობისა ყოფილა.

დედაციხის ტერიტორიაზე ამავე დროს დიდი რაოდენობით აღმოჩნდა სხვადასხვა სახისა და დანიშნულების ნივთები. მათი რაოდენობა თითქმის 20 ათას ერთეულამდე აღწევს. მათ შორის ყველაზე დიდი რაოდენობისაა კერამიკული და მინის ნაწარმი, სხვადასხვა პერიოდისა და ქვეყნების მონეტები, შურდულისა და ლოდსატყორცნის ქვის ბირთვები, ზარბაზნის „ყუმბარები“, რკინის მრავალნაირი იარაღები და სხვ[24].

განსაკუთრებული ყურადღების ღირსად მიგვაჩნია მამაცაშვილისა და ავლევის ქუჩებზე აღმოჩენილი მოჭიქული ჭურჭლის ფრაგმენტი ქართველი მეომრის გამოსახულებით[25].

თბილისის არქეოლოგიური შესწავლა გრძელდება და უნდა მოველოდეთ ახალ აღმოჩენებს.

წარმოდგენილი არქეოლოგიური მასალების მიმოხილვა და გააზრება ძირითადად განეკუთვნება თბილისის ქალაქობის წინა პერიოდს. იგი სრული ვერაა, მაგრამ მაინც ნათელი დადასტურებაა იმისა, რომ ქალაქის გარემომცველი რეგიონის უძველესი დასახლებანი თავიანთი სამეურნეო-კულტურული განვითარების მაღალი დონით, ისევე როგორც მეტად ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობით, საფუძველს ქმნიდა დედაქალაქის წარმოშობისათვის.

რაც შეეხება ქალაქობის პერიოდის შესახებ მოპოვებულ მდიდარ არქეოლოგიურ მასალებს, IV—VI საუკუნეებიდან მოყოლებული ვიდრე XVIII ს. ბოლომდე, იგი ჩვენს მიმოხილვაში მხოლოდ ნაწილობრივ აისახა. მათზე საუბარი იქნება ამ ეპოქის სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების ძირითად პროცესებზე საუბრისას, წინამდებარე წიგნის სათანადო თავებში.

---

[23] ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა, გვ. 52.

[24] იხ. კრებული — ფეოდალური ხანის საქართველოს არქეოლოგიური ძეგლები, II, თბ., 1974.

[25] გ. ლ ო მ თ ა თ ი ძ ე, ი. გ ძ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, ახალი მასალები თბილისის არქეოლოგიისათვის. — „მეცნიერება და ტექნიკა“, №8, 1956.

ბ) პალეოანთროპოლოგიური მონაცემები

ქართული ისტორიული ტრადიცია თბილისის დაარსებას მეფე ვახტანგ გორგასალს უკავშირებს და, ამდენად, მისი ქალაქობა თხუთმეტ საუკუნეს ითვლის, მაგრამ არქეოლოგიურმა ძიებამ კარგა ხანია ცხადყო, რომ ამ პერიოდისათვის, და გაცილებით უფრო ადრეც, თვით თბილისისა და მისი მიდამოების ტერიტორია საკმაოდ მჭიდროდ იყო დასახლებული. ამას ადასტურებენ მრავალრიცხოვანი ნამოსახლარები და სამაროვნები, რომლებიც ძველი წელთაღრიცხვის II, I და ახალი წელთაღრიცხვის I ათასწლეულებით თარიღდებიან.

აღნიშნულ სამაროვნებში აღმოჩენილი იქ მოსახლე უძველესი ადამიანების თავის ქალებისა და ძვლოვანი ნაშთების შესწავლა საშუალებას იძლევა წარმოვიდგინოთ წინაპართა გარეგნული იერსახე და გავარკვიოთ საკითხი — ვინ იყო ეს ხალხი, რომელი „მოდგმისა“, ვისი შთამომავლები იყვნენ პირველი თბილისელები და მათი შორეული მემკვიდრეები.

მასალა, რომელზედაც ხერხდება პალეოანთროპოლოგიური დაკვირვების წარმოება, მოპოვებულია თბილისისა და მისი გარეუბნების შემდეგ პუნქტებში: ზემო ავჭალა[26], გლდანი[27], ნამგალა მიწა, თელოვანი, ვაშლაჯვარა, საფურცლე, ჭალა და ჩალიპირაგორები[28], სულ თბილისის რეგიონიდან ანთროპოლოგების განკარგულებაშია 58 თავის ქალა (სადღეისოდ რესტავრირებული და შესწავლილია 48; აქედან, ადრებრინჯაოსა და შუაბრინჯაოს პერიოდები დედაკაცის თითო თავის ქალითაა წარმოდგენილი, გვიანბრინჯაოს I ეტაპი — 5, ხოლო II ეტაპი — 17 თავის ქალით; ბრინჯაოდან რკინაზე გარდამავალი პერიოდის 8 თავის ქალაა, რკინის ათვისების ხანის 6, ხოლო ადრეფეოდალური ხანისა 10). მასალა, ცხადია, ძალზე მცირეა, მაგრამ ის, რაც არის, საშუალებას იძლევა გავარკვიოთ თბილისისა და მისი მიდამოების უძველესი მოსახლეობის ანთროპოლოგიური ისტორიისათვის გარკვეული მნიშვნელობის მქონე რამდენიმე საკითხი.

შესწავლილი მასალებიდან ჩანს, რომ მთელი საკვლევი პერიოდისათვის (ადრებრინჯაოდან ადრეფეოდალურ ხანამდე — ძვ. წ. III ათას-

---

[26] მასალა მოპოვებულია პროფ. გ. ნიორაძის მიერ 1928 წ. ინახება საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის ს. ჯანაშიას სახ. მუზეუმში (იხ. ნიორაძე გ. ყ. — ზემოავჭალის სამარე. საქართველოს მუზეუმის „მოამბე“, ტ. VI, თბ., 1931).

[27] მასალა მოპოვებულია არქეოლოგ ვ. ართილაყვას მიერ. ინახება ანთროპოლოგიის განყოფილების კრანიოლოგიურ ფონდში.

[28] მასალა მოპოვებულია თბილისის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ, რომელსაც ხელმძღვანელობს რ. აბრამიშვილი. ინახება ანთროპოლოგიის განყოფილების კრანიოლოგიურ ფონდში.

წლეულის ბოლოდან ახ. წ. I ათასწლეულის მეორე ნახევრამდე) საკ-ვლევ ტერიტორიაზე, ისევე როგორც მთელ აღმოსავლეთ საქართველოს მიწა-წყალზე, დომინანტურ ანთროპოლოგიურ ტიპს წარმოადგენდა: დოლიქოკრანული (გრძელთავიანი), ლეპტოპროზოპული (ვიწროსახიანი), ლეპტორინული (ვიწროცხვირიანი), მკვეთრად პროფილირებული სახისა და ცხვირის მქონე, გრაციილური კომპლექსის ადგილობრივი ვარიანტი, რომელიც ზოგად რასობრივ სისტემატიკაში ხმელთაშუაზღვისპირული რასის სახელითაა ცნობილი. ეს რასობრივი კომპლექსი, საერთოდ ანთროპოლოგიურ, კერძოდ კი, ქართულ ანთროპოლოგიურ ლიტერატურაში, საკმაოდ კარგადაა ცნობილი, ჩვენთვის კი ამჟამად დიდი მნიშვნელობის მქონეა ის ფაქტი, რომ თბილისის რეგიონის მოსახლეობა, ისევე როგორც საზოგადოდ ქართლის მოსახლეობა, ამავე რასობრივ განშტოებას ეკუთვნოდა და არა რომელიმე სხვას და ამიტომ ყოველივე ის, რაც აღმოსავლეთ საქართველოს ბარის მოსახლეობის პალეოანთროპოლოგიაზე თქმულა, შეეხება თბილისის რეგიონის იმავდროინდელ მოსახლეობასაც.

ადრებრინჯაოს ხანით დათარიღებული დედაკაცის თავის ქალა უახლოეს მსგავსებას საერთოდ საქართველოს იმავდროინდელი დედაკაცების თავის ქალებთან ამჟღავნებს[29], ხოლო შუაბრინჯაოს ხანის დედაკაცის თავის ქალა განსაკუთრებით ახლოსაა ქართლის რეგიონში მოპოვებულ თავის ქალებთან. ბევრად უფრო კონკრეტულია სურათი გვიანბრინჯაოს ხანის როგორც პირველ, ისე მეორე პერიოდში (ამ შემთხვევაში მასალაც უფრო სოლიდურია); ორივე ამ პერიოდისათვის უახლოესი და განსაკუთრებული მსგავსება თბილისისა და მცხეთის რეგიონების სერიებს შორის სრულიად უდავოა[30]. ასევე უდავოა ეს მსგავსება რკინის წარმოების ფართო ათვისების ხანაშიც. შედარებით ნაკლებია ამ პერიოდისათვის მსგავსება თბილისის რეგიონსა და საერთოდ საქართველოს დანარჩენ ტერიტორიაზე მოპოვებულ კრანიოლოგიურ სერიებს შორის, თუმცა რასობრივი მსგავსების კოეფიციენტი აქაც უახლოეს კატეგორიაში თავსდება. განსხვავების შედარებით მაღალი მაჩვენებელი სხვა რეგიონებში მასალების უკიდურესი სიმცირით შეიძლება აიხსნას, თუმცა საქართველოს ტერიტორიაზე მოსახლეობის დიფერენცირებულობაც შეიძლება იყოს ამის მიზეზი[31].

---

[29] **Абдушелишвили М. Г., Антропологические взаимоотношения Кавказа и Передней Азии в эпоху энеолита и бронзы. — Сб. «Человек и окружающая его среда», «Мецниереба», Тбилиси, 1984.**

[30] მ. აბდუშელიშვილი, კავკასიის მოსახლეობის ანთროპოლოგია ბრინჯაოს ხანაში. — მასალები კავკასიის ანთროპოლოგიისათვის, VIII, „მეცნიერება“, თბ., 1982.

[31] მ. აბდუშელიშვილი, საქართველოსა და ამიერკავკასიის ხალხების ანთროპოლოგიური ურთიერთდამოკიდებულება რკინის წარმოების ათვისების ხანაში. — მასალები კავკასიის ანთროპოლოგიისათვის, IV, „მეცნიერება“, თბ., 1975.

მსგავსება-განსხვავების პრინციპული სურათი არც ადრეფეოდალურ ხანაში იცვლება. განსხვავებათა აღმავალი რიგი თბილისის რეგიონის მოსახლეობისათვის, ამ პერიოდში, საქართველოს სხვა რეგიონების მოსახლეობასთან შედარებით ასე გამოიყურება: უახლოესი მსგავსება მას, უპირველეს ყოვლისა, მცხეთის რეგიონის მოსახლეობასთან აკავშირებს, შემდგომი რგოლი კი საერთოდ საქართველოსა და, კერძოდ, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის მოსახლეობასთან. შემდეგ საფეხურს მთის ზოლის მოსახლეობა ქმნის და ბოლოს — კახეთის რეგიონის მოსახლეობა. ამ შემთხვევაში ხაზი ესმება მხოლოდ მსგავსების თანამიმდევრობას, თორემ უახლოესი მორფოლოგიური მსგავსება ყველა ამ სერიებს შორის სრულიად უდავოა[32].

ანალოგიური დასკვნები მიღებულია საკუთრივ დიღმის სამაროვანზე მოპოვებული პალეოანთროპოლოგიური მასალების მიხედვითაც: დიღმის სამაროვანზე ბრინჯაოს ხანის I ეტაპის პალეოანთროპოლოგიური მასალა არ ამჟღავნებს განსხვავებას სამთავროს სამაროვანზე მოპოვებულ პალეოანთროპოლოგიურ მასალებთან, არ არსებობს საფუძველი განსხვავებაზე მსჯელობისათვის არც მომდევნო, ბრინჯაოს ხანის II ეტაპისა და ბრინჯაოდან რკინაზე გარდამავალი პერიოდებისათვის. საერთოდ, მთელი ბრინჯაოს ხანის განმავლობაში, როგორც სამთავროს, ისე დიღმის ტერიტორიაზე ჯერჯერობით არსად იჩენს თავს ძირითადისაგან განსხვავებული რაიმე ახალი ელემენტი. ანალოგიური სურათია ბრინჯაოდან რკინის წარმოების ფართო ათვისების ხანაზე გარდამავალ და თვით რკინის ფართო ათვისების ხანაშიც. ადრეფეოდალური ხანის პალეოანთროპოლოგიური მასალები უკვე სრულიად გარკვევით ამჟღავნებენ მსგავსებას როგორც დიღმის ადრეულ სერიებთან, ისე სამთავროს სინქრონულ სერიებთან, რაც აღნიშნულ ტერიტორიაზე მოსახლეობის უწყვეტი თანამიმდევრობის მაჩვენებელი უნდა იყოს[33].

რასობრივი მსგავსების კოეფიციენტების განხილვა სივრცეში (ცალკეულად ყოველი ეპოქისათვის) ცხადყოფს, რომ განსხვავება თანდათან მატულობს სომხეთის, აზერბაიჯანისა და ჩრდილოეთ კავკასიის სერიებთან და, მით უმეტეს, დღევანდელი თურქეთის, ირანისა და საერთოდ მახლობელი აღმოსავლეთის უძველეს პალეოანთროპოლოგიურ ტიპებთან.

ამრიგად, დასტურდება, რომ თბილისისა და მისი მიდამოების მოსახლეობაში, ადრებრინჯაოს ხანიდან ვიდრე ფეოდალურ ხანამდე, რაიმე

---

[32] მ. ა ბ დ უ შ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, კავკასიის ანთროპოლოგია ფეოდალურ ხანაში. — მასალები კავკასიის ანთროპოლოგიისათვის, VII, „მეცნიერება", თბ., 1980.

[33] მ. ა ბ დ უ შ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, დიღმის სამაროვანზე მოპოვებული პალეოანთროპოლოგიური მასალების შესახებ. საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის „მაცნე", ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, №3, 1974.

საგრძნობი ცვლილება არ მომხდარა; იგი ვითარდებოდა შინაგანი ტრანსფორმაციის გზით; ეს კი, თავის მხრივ; საფუძველს გვაძლევს ვამტკიცოთ, რომ პირველი თბილისელები შთამომავლები იყვნენ ამავე რეგიონის ძველი და უძველესი მოსახლეობისა. ამასვე ადასტურებს თბილისის რეგიონის თანამედროვე მოსახლეობის შესწავლაც, რომელიც ცხადყოფს, რომ ის ყოველგვარი თავისებურებების გარეშე შედის აღმოსავლურქართული ანთროპოლოგიური ტიპის შემადგენლობაში, რომელიც სამხრეთქართულ ანთროპოლოგიურ ტიპთან ერთად ქმნის წინააზიური რასის იბერულ ვარიანტს.

II

ქალაქ თბილისის წარმოშობა და პოლიტიკური განვითარება X საუკუნის გოლოვდე

თბილისის ამაღლება და გადაქცევა ქართლის სამეფოს პოლიტიკურ ცენტრად

ქალაქის სახელწოდებისათვის

თბილისი ქართულ საისტორიო წყაროებში თავდაპირველად მოხსენიებულია IV საუკუნის 60-იანი წლების ამბებთან დაკავშირებით, როცა სასანიანთა ირანის სახელმწიფო ქართლში პოლიტიკური ბატონობის განმტკიცებისათვის იბრძოდა[1].

ეს ცნობა საისტორიო თხზულების „მოქცევაჲ ქართლისაჲ"-ს ანონიმ ავტორს ეკუთვნის, რომლის მოღვაწეობის ხანა VII (ან IX) საუკუნით თარიღდება.

ფეოდალური ხანის საქართველოს ქართული საისტორიო წყაროები ჩვენს დედაქალაქს საერთოდ ტფილისს უწოდებენ, ტფილისი ეწოდება მას VI საუკუნის ანონიმის „ევსტათე მცხეთელის მარტვილობაში"[2] და მომდევნო ხანის სხვა თხზულებებში.

„ტფილ"-ი, რომელიც საფუძვლად უდევს თბილისის სახელს და თბილს ნიშნავს, ძირეული ქართული სიტყვაა და მას შესატყვისები მოეძებნება ჭანურ-მეგრულსა და სვანურში[3].

ქართველი მემატიანის ცნობას, რომ ამ პუნქტს IV საუკუნეში უკვე ეწოდებოდა ტფილისი, რამდენადმე მხარს უჭერს IV საუკუნის მეორე ნახევრის საგზაო რუკა, შედგენილი რომაელი გეოგრაფის კასტორიუსის მიერ, რომელიც არსებულ ლიტერატურაში „პევტინგერის ტაბულის" სახელითაც იხსენიება[4].

აღნიშნულ რუკაზე დატანილია ამიერკავკასიაზე და, კერძოდ, საქართველოს მიწა-წყალზე გამავალი სავაჭრო გზები. ამ გზათა შორის ერთი,

---

[1] ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, თბ., 1964, გვ. 92 (შემდგომში მოკლედ: ძვ. ქართული აგიოგრ. ლიტ. ძეგლები).

[2] ევსტათე მცხეთელის მარტვილობა, — ძვ. ქართული აგიოგრ. ლიტ. ძეგლები, I, გვ. 32.

[3] ა. შ ა ნ ი ძ ე, საქართველოს დედაქალაქის სახელწოდებისათვის (იხ. კრებული „თბილისი 1500", გვ. 20—22). ამ სახელწოდების ახსნის სხვაგვარი ცდებიც არსებობს, ზოგი მკვლევარი მას ბიბლიურ თობალ-თუბალს უკავშირებს.

[4] პირველად ამ რუკის ასლი გადაულია XVI ს. მკვლევარს კ. პევტინგერს.

რომელიც სომხეთის მაშინდელ დედაქალაქ არტაშატიდან იწყება, საქართველოზე გადის. ამ გზის ერთ მონაკვეთზე, სახელდობრ, რუსთავსა და არმაზციხეს (მცხეთას) შორის აღნიშნულია სადგური, რომლის სახელწოდება რუკის სხვადასხვა ხელნაწერებსა და ვარიანტებში მოცემულია ფორმით „ფილადო", „ტილიდა". ვარაუდობენ, რომ თავდაპირველად ამ პუნქტის სახელწოდება უნდა ყოფილიყო ფორმით „ტფილადო" ან „ტფილიდა", საიდანაც გადამწერთა მიერ დამახინჯების შედეგად მივიღეთ „ფილადო" და „ტილიდა", რაც თბილისს უნდა გულისხმობდეს[5].

ბიზანტიურ საისტორიო წყაროებში თბილისი საერთოდ, როგორც წესი, VI საუკუნიდან მოყოლებული, იხსენიება ფორმით „ტიფილის"[6].

„ტფილისის" ფორმიდან გავრცელდა ქალაქის სახელწოდება სხვა ენებში. აქედანაა ნაწარმოები სომხური „ტფლის", ბერძნული (ბიზანტიური ხანის) „ტიფილის", არაბული, ასევე სპარსულ-თურქული „თიფლის", რუსული «Тифлис», არაბულ-სპარსულ-თურქულ ფორმას იმეორებს ევროპულ ენებში დამკვიდრებული „ტიფლისიც"[7].

დასავლურქართული ტომები, სახელდობრ მეგრელები და სვანები, თბილისს „ქართს" უწოდებენ. ქართი (ქართლი) ძველი იბერიის სამეფოს დედაქალაქის ციტადელს ერქვა და, რადგან შემდეგ ქართლის სამეფოს დედაქალაქმა თბილისში გადაინაცვლა, მეგრელებმა და სვანებმა ახალ დედაქალაქზე გადაიტანეს ძველი დედაქალაქის სახელი და თბილისს ქართი შეარქვეს[8]. რიგი სომხური საისტორიო წყაროებისა (თომა არწრუნი, ფსევდო შაპუჰ ბაგრატუნი და სხვ.) თბილისს ფაიტაკარანსაც უწოდებენ. რადგან სომხური „ფაიტ" ხე-ს, ძელ-ს ნიშნავს, ხოლო X საუკუნის ისტორიკოსები (თომა არწრუნი, ტაბარი) თბილისის აღწერისას აღნიშნავენ, რომ თბილისში სახლები და სხვა შენობები ხისგანაა ნაგები, ზოგი მკვლევრის აზრით, „ფაიტაკარან" „ხის ქალაქს" შეიძლება ნიშნავდეს. ეს შეიძლება სწორიც იყოს. თბილისში ნაგებობათა დიდი ნაწილი მართლაც ხის იყო (საკითხთან დაკავშირებულ სამეცნიერო ლიტერატურაში „ფაიტაკარნის" ახსნის სხვაგვარი ცდებიც არის).

ჩვენი დედაქალაქის სახელწოდება თბილისი, რაც ძველი ქართული ფორმის „ტფილისს" უდრის, მომდინარეობს იმ თბილ (ტფილ) წყაროთაგან, რომლებიც ქალაქში ბლომად მოიპოვება.

---

[5] Еремян С. Т. Торговые пути Армении в эпоху Сасанидов, ВДИ, 1939, №1; ნ. ლომოური, უძველესი უცხოური ცნობა თბილისის შესახებ, კრებულში — „თბილისი 1500", თბ., 1958, გვ. 23—28.

[6] ს. ყაუხჩიშვილი, გეორგიკა, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, III, თბ., 1936, გვ. 257—258. შემდგომში — „გეორგიკა".

[7] ა. შანიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 20—22.

[8] გ. მელიქიშვილი, ქართლი (იბერია) ძვ. წ. VI—IV საუკუნეებში — წიგნში: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. I, თბ., 1970, გვ. 427.

ქალაქის წარმოშობა

თბილისის ქართლის სამეფოს დედაქალაქად გადაქცევასთან დაკავშირებით ქართველმა ხალხმა საინტერესო და ლამაზი ლეგენდა შექმნა. ამ ლეგენდის სხვადასხვა ვარიანტები არსებობს. ლეგენდის ერთი ვერსიის მიხედვით, ქართლის მეფე ვახტანგ გორგასალი ამალასთან ერთად მცხეთიდან სანადიროდ გავიდა. მეფის შევარდენი ხოხობს დააცხრა და ნადავლიანად წყალში ჩავარდა. მეფის მხლებლებმა შევარდენი და მისი ნადავლი წყლიდან დათუთქულები ამოიყვანეს. ლეგენდის მეორე ვერსიის თანახმად, მეფემ შველი დაჭრა. დაჭრილმა შველმა წყალთან მიირბინა, ჭრილობა მოიბანა და განკურნებული გაიქცა. როდესაც მეფეს მომხდარის თაობაზე მოახსენეს, მან არემარე დაათვალიერა და აღმოაჩინა, რომ იქ მრავლად მოედინებოდა თბილი წყაროები. მოეწონა მას ეს მიდამო და ქალაქის აშენება ბრძანა, რომელსაც თბილ წყაროთა გამო თბილისი ეწოდა.

თბილისის დედაქალაქად ქცევა, როგორც ჩანს, ვახტანგ გორგასალის სახელს უკავშირდება და ეს ლეგენდაც ამ მოვლენის ანარეკლია. მიუხედავად ამისა, ქალაქის დაარსების თარიღს, V ს. მეორე ნახევარს, როცა ვახტანგ გორგასალი მოღვაწეობდა, სათანადო დასაბუთება სჭირდება.

ზემოხსენებულ კასტორიუსის რუკაზე ყველა მნიშვნელოვან პუნქტს თავისი პირობითი ნიშანი აქვს. რომის იმპერიის დიდ სახელმწიფოთა დედაქალაქები ორი დიდი კოშკითაა აღნიშნული, რომელთა შორის კარიბჭეა გამოხატული, ხოლო ჩვეულებრივი ქალაქები — ორი მცირე ზომის კოშკით; უბრალო სადგურებს არავითარი პირობითი ნიშანი არა აქვთ, ისინი გზის ტეხილებით არიან ასახულნი. მაგ., თბილისის სამხრეთით მდებარე პუნქტი, რომელიც ამ რუკაზე ქალაქის გამომსახველი ორი კოშკითაა ნაჩვენები, რუსთავი უნდა იყოს[9], მცხეთა დედაქალაქის ნიშნითაა გამოხატული, ხოლო თბილისი — გზის ტეხილით. ასე რომ, რუკის მონაცემების თანახმად, თბილისი სოფელი-სადგური შეიძლება იყოს[10].

IV საუკუნის თბილისის სტატუსის გასარკვევად დიდი მნიშვნელობა ენიჭება „მოქცევაჲ ქართლისაჲ"-ს ცნობებს. ყურადღება ექცევა იმ გარემოებას, რომ ქრისტიანობის ოფიციალურ კულტად გამოცხადებასთან დაკავშირებით მოტანილ მთელ თხრობაში მემატიანე არ ახსენებს თბილისს. ნინოს სიკვდილზე კი იგი წერს: „მაშინ შეიძრნენ ორნი ესე ქალაქნი: მცხეთა და უჟარმა, და ყოველი ქართლი სიკვდილისა მისისათ-

---

[9] Еремян С. Т. დასახ. ნაშრომი, გვ. 81.

[10] თბილისი არაა დატანილი II ს. რომაელი გეოგრაფის კლავდიუს პტოლემაიოსის რუკაზე.

ვის"[11]. თბილისი ამ წყაროში, როგორც ზემოთ ითქვა, პირველად იხსენიება IV საუკუნის 60-იანი წლების მოვლენებთან დაკავშირებით.

ამიერკავკასიაში სასანიანთა ირანის გაძლიერება ქართლში მათი ლაშქრის გამოგზავნითა და მოხელეების დანიშვნითაც აღინიშნა. აქ ირანელი პიტიახში მოდის[12]. „მოქცევაჲ ქართლისაჲ"-ს შატბერდული ვარიანტი გვაუწყებს: „მაშინ მოვიდა ქრამ ხუარ ბორ ზარდ, სპარსთა მეფისა პიტიახში ტფილისად ქალაქად ციხედ და ქართლი მისსა ხარკსა შედგა"[13]. ამის მიხედვით თბილისი იმ დროს იყო „ციხე-ქალაქი". „ქალაქი" ქართულ ენაში თავდაპირველად გამაგრებულ ადგილს ნიშნავდა[14]; მემატიანის „ციხე-ქალაქი"-ც გამაგრებული ადგილია. „მაშასადამე, — აღნიშნავს ს. ჯანაშია,—თავდაპირველად ტფილისი ირანელი პიტიახშის საჯდომად ქცეულა — ამ დროისათვის ეს პუნქტი ჯერ კიდევ ქალაქად არ ითვლება"[15].

„მოქცევაჲ ქართლისაჲ"-ს ჰელიშურ ვარიანტში ზემომოტანილი თხრობა ასეა გადმოცემული: „მაშინ მოვიდა ხუარ...ტფლის და კ͡ დ ციხედ" ანუ, ს. ჯანაშიას აზრით, მოვიდა „ტფილისს და კალად ციხედ"; „კალა" აქ ციხეა, საკუთარი გეოგრაფიული სახელი, რომელიც არაბულ სიტყვას ჰგავს და იგი არ უნდა მომდინარეობდეს არაბული სიტყვა „კალა"-დან, რაც არაბულად ციხეს ნიშნავს; ბგერათა ასეთი დამთხვევა შემთხვევითი უნდა იყოს. გარდა ამისა, — განაგრძობს ს.ჯანაშია, — ციტირებულ ტექსტში დასახელებულია ორი ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული ადგილი, ერთი მოსახლეობისა და მეორე ციხის პუნქტები"[16].

---

[11] ძვ. ქართული აგიოგრ. ლიტ. ძეგლები, I, გვ. 90, მართალია, ამჯერად აქ არც ის ქალაქებია მოხსენიებული, რომელნიც, ამავე წყაროს თანახმად, იმდროინდელ ქართლში იყვნენ ცნობილი (კასპი, ურბნისი, უფლისციხე, ოძრხე), მაგრამ საყურადღებოა წყაროს ავტორის ჩვენება, რომ მომხდარი შემთხვევის გამო შეიძრა „ყოველი ქართლი" (იგივე „ერთობილი ქართლი"). ამ „ყოველ" თუ „ერთობილ" ქართლში ავტორი ქართლ-კახეთს გულისხმობს; შეიძლება ამიტომ ასახელებს იგი ორივე მხარის დედაქალაქებს ქართლში—მცხეთას და კახეთში—უჯარმას.

[12] პიტიახში ირანული სიტყვაა და „ქვეყნის უფროსს", „ოლქის მმართველს" ნიშნავს და ქართული „ერისთავი"-ს შესატყვისია.

[13] ძვ. ქართული აგიოგრ. ლიტ. ძეგლები, I, გვ. 90.

[14] Джавахишвили И. А. Государственный строй древней Грузии и древней Армении, СПб., 1905, с. 41.

[15] ს. ჯანაშია, შრომები, I, თბ., 1949, გვ. 11.

[16] ს. ჯანაშია, შრომები, I, გვ. 11. სიტყვა „კალას"-ს ეტიმოლოგიას სხვანიც შეეხნენ. ზოგი იზიარებს ს. ჯანაშიას მოსაზრებას, ზოგი არა. „მოქცევაჲ ქართლისაჲ"-ს უკანასკნელ, აბულაძისეულ გამოცემაში ქარაგმა „კ͡ დ" გახსნილია „კუალად" და, შესაბამისად, ტექსტი ასე იკითხება: „მაშინ მოვიდა ხუარ სპარსთა მეფისა პიტიახშები(!) ტფილისს და კუალად(!) ციხედ" (იხ. დასახ. ძეგლები, I, გვ. 92). ამ ქარაგმის ასე გახსნის შემთხვევაშიც სწორი ჯანაშიასეული ახსნა უნდა იყოს, რომ ტექსტში დასახელებული ორი პუნქტიდან — ერთი დასახლებული ადგილია და მეორე კი ციხე.

ხელსაყრელ სტრატეგიულ ადგილას მდებარე თბილისის ციხე, როგორც ჩანს, ირანიდან შაჰის მიერ გამოგზავნილ მოხელეს სარეზიდენციოდ აურჩევია. აქედან იწყება თბილისის სწრაფი ურბანიზაციის პროცესიც[17].

დედაქალაქის თბილისში გადმოტანა

V საუკუნის მეორე ნახევარში ქართლის მეფე ვახტანგ გორგასალმა, მას შემდეგ, რაც ხელისუფლების ცენტრალიზაციის მიზნით რიგი სახელმწიფოებრივი რეფორმები გაატარა, განავრცო ქართლის სამეფოს ფარგლები, გაამაგრა სახელმწიფოს საზღვრები და ქართლის სამეფოს დედაქალაქის მცხეთიდან თბილისს გადმოტანა გადაწყვიტა.

დედაქალაქის მცხეთიდან თბილისში გადატანა სოციალურ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ ფაქტორებს უნდა განეპირობებინა.

ქართლის სამეფოს ძველი დედაქალაქი მცხეთა ანტიკური (მონათმფლობელური) არისტოკრატიის პოლიტიკური ბატონობის ცენტრს წარმოადგენდა. ფეოდალური ურთიერთობის გარიჟრაჟზე დაარსებული თბილისი ახალი ფეოდალური ძალების პოლიტიკური ბატონობის ცენტრი უნდა. გამხდარიყო.

ვახტანგ გორგასალი იბრძოდა საქართველოს გაერთიანებისათვის და ირანის აგრესიის წინააღმდეგ. მის მიერ ჰერეთის შემოერთება ობიექტურად უწყობდა ხელს თბილისის შემდგომ დაწინაურებას. ამიერიდან მცხეთის დედაქალაქობა უფრო ქართლ-კახეთის ფარგლებში იყო კანონზომიერი. თბილისს კი უფრო შეეფერებოდა ჰერულ-ქართულ-იბერიული ცენტრის ფუნქციები[18]. ქართლის სამეფოს აღმოსავლური პროვინციები ირანელ დამპყრობთა საწინააღმდეგო ბაზად უნდა გადაქცეულიყვნენ. დედაქალაქი ამ ბაზასთან უშუალო კავშირში უნდა ყოფილიყო, ჰერეთიდან მომავალი გზა ხომ თბილისზე გადიოდა[19]. თბილისს ფრიად მოხერხებული გეოგრაფიული მდებარეობა ჰქონდა. აქ მტკვრის

---

[17] გიორგი ლომთათიძე თბილისის ურბანიზაციას არქეოლოგიური მონაცემებით უფრო ადრინდელ ხანას უკავშირებს და გამოთქვამს ვარაუდს, თბილისის ქალაქური მოსახლეობის, თუ უფრო ადრე არა, ახ. წ. აღ. I—II სს-ში წარმოშობის შესახებ (იხ. მისი ნაშრომი თბილისის არქეოლოგიური შესწავლილობისათვის, ისტორიის ინსტ. შრომები, ტ. V, ნაკვ. I, 1960, გვ. 169). მხოლოდ არქეოლოგიური მასალა, ისიც ნაკლული, ალბათ არ არის საკმარისი ქალაქის ურბანიზაციის პროცესის დათარიღებისათვის.

[18] ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. VIII, თბ., 1975, გვ. 138—139.

[19] დ. მუსხელიშვილი, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, I, თბ., 1977, გვ. 220.

ნაპირები ძალიან უახლოვდებოდნენ ერთმანეთს და ხელსაყრელ პირობას ქმნიდნენ ხიდის აგებისათვის. როგორც ცნობილია, თბილისში უძველესი დროიდანვე არსებობდა მტკვრის ნაპირების დამაკავშირებელი ხიდი[20]. სტრატეგიულადაც ტაფობში მოქცეული და მთებით შემოზღუდული თბილისი შედარებით ადვილად დასაცავი იყო. გადამწყვეტი მნიშვნელობა ვახტანგის არჩევანში მაინც პოლიტიკურ ფაქტორს უნდა შეესრულებინა.

ვახტანგ გორგასალმა დაუნდობელი ბრძოლა გამოუცხადა ქართლში ირანელთა ბატონობას. თბილისი კი მათი ქართლში ბატონობის საყრდენი იყო. IV საუკუნეში ირანელებმა თბილისის სიმაგრეში დაიდეს ბინა: „მოვიდა ქრამ ხუარ ბორ ზარდ, სპარსთა მეფისა პიტიახში“...

თბილისში გამაგრებული ირანელი პიტიახში ქართლის მეფეს უპირისპირდება. ირანელები თბილისში მცხეთის, ქართლის მეფის რეზიდენციის საპირისპიროდ ციხეს აგებენ („შურის ციხე“). ქართლში იქმნება მეორე ცენტრი, რომელიც ირანელთა დასაყრდენად იქცევა. ვახტანგის არჩევანი თბილისის ამ პოლიტიკურ მნიშვნელობასაც უნდა გადაეწყვიტა[21].

IV საუკუნის მეორე ნახევარში, როგორც ზემოთ ითქვა, თბილისი „ციხე-ქალაქი“, ანუ გამაგრებული პუნქტი იყო, ხოლო IV—V საუკუნეების მანძილზე ინტენსიურად მიმდინარეობდა მისი გაქალაქების პროცესი, რომელიც V საუკუნის ბოლოსთვის დასრულდა. ვახტანგ მეფემ მიიღო გადაწყვეტილება დედაქალაქი მცხეთიდან თბილისში გადაეტანა. „ვახტანგ აშენებდა ქალაქსა ტფილისისასა“, — წერს ვახტანგის ისტორიკოსი[22].

ქალაქად გადაქცევის პერიოდი რამდენადმე ასახულია მემატიანის გადმოცემებში. V ს. 70-იანი წლების ამბებთან დაკავშირებით ნათქვამია: „ტფილისი სოფელი და კალაჲცა მოოხრებულ იყო“[23], ხოლო V საუკუნის დასასრულის მოვლენებთან დაკავშირებით აღნიშნულია, რომ „ვახტანგ აშენებდა ქალაქსა ტფილისისასა“[24]. ისტორიკოსი ასხვავებს ერთმანეთისაგან ამ ორი პერიოდის ტფილისს. მართალია, ციხე კალა და სოფელი ტფილისი ერთად არსებული პუნქტებია, მაგრამ საკუთრივ თბი-

---

[20] ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, შრომები, I, გვ. 11.

[21] ლ. ჭ ი ლ ა შ ვ ი ლ ი, ქალაქები ფეოდალურ საქართველოში, II, თბ., 1970, გვ. 52—54; ს. კაკაბაძის აზრით, ვახტანგმა დედაქალაქი მცხეთიდან კათალიკოსსა და მეფეს შორის მომხდარი კონფლიქტის გამო გადაიტანა.

[22] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 200. ისტორიკოსის თქმით, ვახტანგი მაშინ „მოწევნულ იყო ვითარ სამოცისა წლისა“, ვახტანგი კი 40-იანი წლების დასაწყისშია დაბადებული.

[23] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 181.

[24] იქვე, გვ.200.

ლისი მისთვის ჯერ კიდევ ქალაქი არაა, სოფელია, ვახტანგი კი ქალაქს აშენებს. ეს ქალაქი, როგორც გარკვეული შინაარსის მქონე სავაჭრო-სახელოსნო ცენტრი, არსებითად მაინც ჩამოყალიბებულია V საუკუნეში, ვახტანგ მეფის სიცოცხლეში [25]. ოღონდ მან ვერ მოასწრო პოლიტიკური ცენტრის გადმოტანა მცხეთიდან თბილისში. ეს განახორციელა დაჩი ვახტანგის ძემ, რომელმაც „განასრულნა ზღუდენი ტფილისისანი“ და „ვითა ებრძანა ვახტანგს, იგი შექმნა სახლად სამეუფოდ“[26].

დაჩის მეფობაში თბილისის მნიშვნელობა იზრდება. ამაზე მიუთითებს ჩვენთვის უკვე ცნობილი „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს მატიანე. „მეფობდა დაჩი...ამის ზე ქალაქსა ტფილისს კაცნი დასხდებოდეს“[27]. რომ თბილისში „კაცნი“, ე. ი. მცხოვრებლები იყვნენ, ეს მემატიანემ კარგად იცის, მაგრამ ის საგანგებოდ აღნიშნავს, რომ კაცნი „ქალაქსა ტფილისსა“ დასხდებოდეს ამ დროს, ე. ი. ის მიგვანიშნებს ქალაქის მოსახლეობის გაფართოებაზე.

ცნობა ვახტანგის მიერ თბილისის აშენების შესახებ დაცულია XIII ს. სომეხი ისტორიკოსის მხითარ აირივანეცის „ჟამთააღმწერლობა“-ში. შესაძლებელია „სომეხ მემატიანეს ხელთა ჰქონდა ქართული საისტორიო მწერლობიდან აღებული უძველესი ცნობები“[28].

VI საუკუნის დასაწყისიდან თბილისი ქართლის სამეფოს დედაქალაქად იქცა. ბიზანტიელი ჟამთააღმწერელი თეოფანე წერდა, რომ „იბერთა დედაქალაქი მაშინ (VI ს. 70-იან წლებში) ტფილისი იყო“[29].

VI საუკუნის 30-იან წლებში ირანელებმა ქართლში მეფობა გაუქმეს და ქართლი ირანელი მარზპანის ხელისუფლებას დაუქვემდებარეს[30]. მართალია, თბილისში ქართლის მეფე აღარ იჯდა, მაგრამ რადგან ირანელი პიტიახშის რეზიდენცია თბილისში იყო, თბილისი ინარჩუნებდა ქართლის პოლიტიკური ცენტრის მდგომარეობას. ასეთი ფუნქცია ჰქონდა მას აქ არაბთა ბატონობის დამყარების შემდეგაც, VIII საუკუნის დასასრულამდე, ამ დროიდან კი „თბილისის საამიროს“ ცენტრად რჩებოდა.

---

[25] შ. მ ე ს ხ ი ა, დ. გ ვ რ ი ტ ი შ ვ ი ლ ი, მ. დ უ მ ბ ა ძ ე, ა. ს უ რ გ უ ლ ა ძ ე, თბილისის ისტორია, თბ., 1958, გვ. 9.

[26] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 205.

[27] ძვ. ქართული აგიოგრ. ლიტ. ძეგლები, I, გვ. 93—94.

[28] ვ. ნ ა ლ ბ ა ნ დ ი ა ნ ი, თბილისი ძველ სომხურ მწერლობაში უძველესი დროიდან XVIII ს. ბოლომდე, სომხურიდან თარგმნეს ნ. ჯანაშიამ და ე. ცაგარეიშვილმა, თბ., 1959, გვ. 24.

[29] გეორგიკა, ტ. III, თბ., 1936, გვ. 258.

[30] სპეციალურ ლიტერატურაში საკითხი ქართლში მეფობის გაუქმების თარიღის შესახებ აზრთა სხვადასხვაობას იწვევს. ვფიქრობთ, ანგარიშგასაწევია ე. გოილაძის მოსაზრება, რომ 30-იანი წლების დასასრულამდე ქართლში მეფე იყო.

ბრძოლა უცხო დამპყრობთა წინააღმდეგ IV—VI სს.

IV საუკუნეში აღმოსავლეთში გაძლიერებულმა ირანის სახელმწიფომ მთელი აღმოსავლეთ ამიერკავკასია დაიპყრო. 368 წელს ირანის შაჰის ლაშქარი ქართლში შემოვიდა და დამპყრობლებმა თბილისის ციხე დაიკავეს. ქართლს ხარკი დაეკისრა. ქართლის მეფესა და ირანის სარდალს შორის მოლაპარაკების შედეგად, ქართლმა ირანის ვასალობა იკისრა და „ერისთავმან სპარსთამან მოსცა (ქართლის მეფეს) ციხე ტფილისისა და წარვიდა. და მიერითგან იქმნნეს სომეხნი და ქართველნი სპარსთა მოხარკენი“[31]. ამიერიდან თბილისი ქართლის მეფის ხელთაა და თანდათან იზრდება. მისი მნიშვნელობა მატულობს ქართლის სამეფოს სამეურნეო და პოლიტიკურ ცხოვრებაში. თითქმის მთელი საუკუნე, სანამ ქართლსა და ირანს შორის ზავი არ დარღვეულა, თბილისში მშვიდობიანი ცხოვრება იყო, რაც დიდად უწყობდა ხელს მის შემდგომ დაწინაურებას.

V საუკუნის მეორე ნახევარში ქართლის სამეფო ტახტზე ძველი საქართველოს ერთ-ერთი უდიდესი სახელმწიფო მოღვაწე და სარდალი ვახტანგ გორგასალი იჯდა. როდესაც ვახტანგი ტახტზე ავიდა, ქართლი ირანის ვასალი იყო. ვახტანგმა კარგად ისარგებლა თავისი როგორც ირანის ვასალის მდგომარეობით, ირანელთა სამხედრო ძალის დახმარებით შეებრძოლა ირანისა და ქართლის მტრებს, ჩრდილოკავკასიელ მომთაბარეებს, რომელნიც არბევდნენ და აწიოკებდნენ ქართლს. ვახტანგ გორგასალის დროს ქართლის სამეფო გაძლიერდა, გაფართოვდა და თითქმის მთელი საქართველო მოიცვა. მეფემ მნიშვნელოვანი ღონისძიებები გაატარა ქვეყნის შიგნით მეფის ხელისუფლების გაძლიერების მიზნით. ის ნელ-ნელა მოემზადა ირანის ვასალობისაგან გასანთავისუფლებლად. შექმნა საფორტიფიკაციო ნაგებობათა მთელი სისტემა: გაამაგრა დარიალის კარი, ააგო უჯარმისა და ჭერემის ციხეები, ხოლო ქართლის სამეფოს სამხრეთ-დასავლეთის რეგიონის გასამაგრებლად ააშენა არტანუჯის ციხე. ვახტანგმა დაამყარა პოლიტიკური ურთიერთობა ბიზანტიის იმპერიასთან.

V საუკუნის 70-იანი წლების დასაწყისში ირანელთა ლაშქარი ქართლში შემოვიდა ურჩი მეფის დასასჯელად და ქართლის დასამორჩილებლად[32]. ბრძოლა უმთავრესად მცხეთა-არმაზსა და თბილისის მისადგომებთან მიმდინარეობდა. „და რომელსამე დღესა მათ სძლიან და რომელ-

[31] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 136.

[32] მ. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე. ქართლი V ს. II ნახევარში, თბ., 1979, გვ. 79—80.

სამე დღესა ამათ"[33]. ამ ბრძოლების შედეგად „ტფილისი სოფელი და კალაჲცა მოოჴრებულ იყო"[34]. როდესაც საქმე მებრძოლ მხარეთა დაზავებასა და მოლაპარაკებაზე მიდგა, ქართლის მეფემ ირანელები თბილისში მოიწვია და იქ დაიდო შეთანხმება[35]. აქედან ჩანს, რომ თბილისი ქართლის მეფეს ეკუთვნის; ირანისადმი მისი ვასალური დამოკიდებულება თითქოს კვლავაც რჩება ძალაში. შესაძლებელია ამ ბრძოლების დროს კიდევ უფრო ნათლად გამოჩნდა თბილისის სამხედრო-სტრატეგიული და პოლიტიკური მნიშვნელობა, რამაც ვახტანგს უკარნახა დედაქალაქის თბილისში გადატანა.

502 წ. დაიწყო ომი ბიზანტიასა და ირანს შორის. ირანის შაჰმა ქართლის მეფეს, როგორც თავის ვასალს, დახმარება მოსთხოვა, რაზედაც უარი მიიღო. ამას მოჰყვა ირანელთა ლაშქრის შემოსვლა ქართლში. იმავე წელს უჯარმის ბრძოლაში ვახტანგ გორგასალი დაიჭრა და უჯარმის ციხეში გარდაიცვალა, ქართლის მეფეებმა გააგრძელეს ბრძოლა ირანის წინააღმდეგ, მაგრამ დამარცხდნენ.

VI ს. 30-იან წლებში, როცა ირანელებმა ქართლში მეფობა გააუქმეს, ქართლი ირანის უშუალო ხელისუფლებაში მოექცა და ქვეყნის გამგებლად ირანელი მოხელე მარზპანი დაინიშნა[36]; მან თბილისში დაიდო ბინა. თბილისში და ქართლის სხვა მნიშვნელოვან ციხე-ქალაქებში ირანული სამხედრო გარნიზონები ჩადგა. იმ გარნიზონთა ციხისთავები თბილისში მჯდომ მარზპანს ექვემდებარებოდნენ.

ირანელთა უშუალო ბატონობამ ქართლში დიდხანს ვერ გასტანა. დამპყრობლებით უკმაყოფილებამ მოსახლეობის ყველა ფენა მოიცვა. განსაკუთრებით უჭირდა მწარმოებელ მოსახლეობას, რომლის ისედაც მძიმე მდგომარეობას ირანელთა ხარკი და სამსახური დაემატა. საერთო უკმაყოფილებით კარგად ისარგებლეს ფეოდალური არისტოკრატიის ზედა ფენების წარმომადგენლებმა. „ნელადრე შეკრბა ქართლი", მოგვითხრობს მემატიანე, და „განაჩინეს ერისთავად გუარამ"[37].

აღნიშნული ერისთავი ანუ ერისმთავარი (ერისთავთა თავი) ქართლის ადგილობრივი უზენაესი ხელისუფალი იყო. ტრადიციულად ის ქართლის „მეფეთა ტახტზე" იჯდა და მათი საქმის გამგრძელებელი იყო. მაგრამ არც ბიზანტიასა და არც ირანს არ სურდათ მისი ხელმწიფობა. ამიტომ, იყო, რომ ერისთავებმა „მეფობის სახელი" „სპარსთა და ბერძენთა შიშისაგან ვერ იკადრეს" და მათ „ერისთავთა-მთავრად ხადოდეს"[38].

---

[33] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 180.
[34] იქვე, გვ. 181.
[35] იქვე, გვ. 182.
[36] მარზპანი სპარსული სიტყვაა და ოლქის მმართველს ნიშნავს.
[37] ძვ. ქართული აგიოგრ. ლიტ. ძეგლები, I, გვ. 195.
[38] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 222.

ქართლის ერისმთავრის ხელისუფლების გაჩენა ირანის წინააღმდეგ მიმართული აქცია იყო. ამ საქმეში ბიზანტიის იმპერიის ხელიც ერია და საიმპერატორო კარმა პირველივე ერისმთავარს მაღალი საკარისკაცო ტიტული — კურაპალატობა უბოძა. ამიერიდან ბიზანტიური საკარისკაცო ტიტულები ქართლის მმართველი სახლის წარმომადგენელთა აუცილებელ ატრიბუტად იქცა. ქართლის ერისმთავრები ცნობდნენ ირანის შაჰების უზენაესობას, მაგრამ ამასთანავე თავისი ეროვნული და სარწმუნოებრივი ინტერესების დაცვას ცდილობდნენ.

ერისმთავრის ხელისუფლების შექმნას საგრძნობლად უნდა შეეზღუდა ქართლის ირანელი მარზპანის უფლებები. შესაძლებელია ერისმთავრის ხელისუფლების შექმნა აქედან მარზპანის გაწვევასაც გულისხმობდა, მაგრამ თბილისში იმყოფებოდა ირანული სამხედრო გარნიზონი ციხისთავითურთ, როგორც გამომხატველი და დასაყრდენი ირანის ხელისუფლებისა.

ბიზანტიელთა ბრძოლა თბილისისათვის

VII საუკუნის დასაწყისში მახლობელ აღმოსავლეთში პოლიტიკური ვითარება შეიცვალა. თანდათან აშკარა ხდებოდა ბიზანტიელთა უპირატესობა. ირანის მდგომარეობა საგრძნობლად შეირყა ჰერაკლე კეისრის (610—640 წწ.) ლაშქრობათა შედეგად. ჰერაკლეს აღმოსავლური პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი ამოცანა ამიერკავკასიის ქვეყნების დამორჩილება იყო. ამ მიზნისათვის აუცილებელი იყო ირანელთა განდევნა ქართლიდან და თბილისის როგორც ამიერკავკასიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ციტადელის დაკავება.

626 წელს ჰერაკლე კეისარი თბილისის მიდამოებში შეხვდა თავის მოკავშირე თურქთა (ხაზართა) ხაკანის ლაშქარს. 627 წელს მოკავშირეებმა თბილისს ალყა შემოარტყეს. სანამ მოკავშირეები თბილისს ალყაში მოაქცევდნენ, ირანის შაჰმა ქალაქს დამხმარე ძალა გამოუგზავნა. 1000 მამაცი მეომარი, გამოცდილი მხედართმთავრის შარჰაპალის სარდლობით თბილისში შევიდა, რამაც დიდად გაამხნევა თბილისის დამცველები[39]. ქალაქის დამცველთა სათავეში ქართლის ერისმთავარი სტეფანოზი იდგა. ქართველები თბილისს ახალ დამპყრობთაგან იცავდნენ. ქართველი ისტორიკოსის სიტყვით, ქართლის ერისმთავარმა „სტეფანოზ არა ინება განდგომა სპარსთაგან, და განამაგრა ციხე-ქალაქნი და დადგა ტფილისსა შინა“[40].

---

[39] ლ. დ ა ვ ლ ი ა ნ ი ძ ე, ხაზართა ლაშქრობა თბილისსა და ალბანეთში მოსე კალანკატუელის „ალბანთა ისტორიის“ მიხედვით, ქართული წყაროთმცოდნეობა, I, თბ., 1965, გვ. 68.

[40] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 224.

მოკავშირეები თბილისს მრავალრიცხოვანი ლაშქრით შემოდგომოდნენ, ქალაქის კედლებს ციხის სანგრევი მანქანები მიაყენეს, „რომლებიდანაც ზუსტად ისროდნენ უზარმაზარ ქვებს და კედლებს ანგრევდნენ". მოალყეებმა მტკვარი დააგუბეს და მას პირდაპირ ქალაქის კედლებისაკენ აძლევდნენ მიმართულებას, მაგრამ არც ერთ მათგანს არაფრის არ შეშინებია: ერთმანეთს ამხნევებდნენ და მათგან დანგრეულს ისევ აშენებდნენ და აღადგენდნენ[41]. თბილისისათვის ბრძოლაში დაიღუპა ქართლის ერისმთავარი სტეფანოზი, მოკავშირეებმა[42] დაიკავეს ქალაქი თბილისი, მაგრამ „ციხესა კალისასა დარჩეს კაცნი, და არა მოერთნეს მეფესა ჰერაკლეს"[43]. ეს ბრძოლა 627 წლის ზაფხულში უნდა მომხდარიყო[44].

ბრძოლა თბილისის ციხე კალასათვის გაძნელდა. ბიზანტიელებმა და ხაზარ-თურქებმა დიდი ზარალი ნახეს, ციხეს ალყა მოხსნეს და უკან დაიხიეს. ციხის დამცველები გათამამდნენ, დაიწყეს ბიზანტიელთა და ხაზართა დაცინვა. გოგრაზე ხაზართა მბრძანებლის სახე გამოხატეს, ციხის გალავანზე დადეს, ჩხვლეტდნენ ისრებით და უკანდახეულ ლაშქარს მისძახოდნენ: „აი, თქვენი მეფე კეისარი, დაბრუნდით, თაყვანი ეცით, ეს ჯებუ ხაკანია"[45]. მასხრად აიგდეს ჰერაკლე კეისარიც. დასცინოდნენ, აგინებდნენ მას. კედელზე გადმომდგარი თბილისის ციხისთავი უყვიროდა მას — „ვაცისა წვერნი გასხენ და ვაც-ბოტისა კისერი გაქსო"[46].

განრისხებული კეისარი ირანისაკენ დაიძრა. ქართლისა და თბილისის ბედი საბოლოოდ იქ წყდებოდა. ქართლიდან წასვლის წინ, ისტორიკოსის სიტყვით, ჰერაკლემ ქართლის ერისმთავრობა, ქართლის მეფეთა ჩამომავალს, თავის მოკავშირე ადარნასეს მისცა, რომელთანაც დატოვა ხაზართა ლაშქარი და მომავალ წელს კალასათვის ბრძოლა დაავალა.

ბიზანტიელთა კეისარმა ირანში დიდი წარმატებები მოიპოვა. ზავის დადების შემდეგ, მოკავშირეებმა 628 წელს განაახლეს ბრძოლა და თბილისი აიღეს. იმპერატორის მაგინებელი ირანელი ციხისთავი და ქართლის მმართველი სახლის წარმომადგენელიც შეიპყრეს და ჰერაკლეს მიჰგვარეს. ტყვეები სასტიკად აწამეს, თვალები დასთხარეს, შემდეგ ჩამოახრ-

---

[41] ლ. დავლიანიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 68.

[42] ჰერაკლე კეისრის მოკავშირე ხაზართა ლაშქარს სარდლობდა თურქთა დასავლეთ კაგანატის მმართველი დინასტიის უფლისწული (იხ. ვ. გოილაძე, ჯუანშერის თხზულებაში მოხსენიებული „მეფე საბა" და „ჯიბღა ერისთავი", „მაცნე" (ისტორიის,... სერია), 1977, 2, გვ. 91—100).

[43] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 224.

[44] ლ. დავლიანიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 60.

[45] მოსე კალანკატუელის ცნობები. იხ. ლ. დავლიანიძის დასახ. ნაშრომი, გვ. 69—70.

[46] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 224.

ჩეს. ტყავი გააძვრეს, თივით გატენეს და ყველა ურჩის დასაშინებლად ქალაქის კედელზე ჩამოჰკიდეს[47].

გამძვინვარებული თურქი-ხაზარები თბილისში შეიჭრნენ. ისინი ველური სისასტიკით იქცეოდნენ და არავის არ ზოგავდნენ, ხოცავდნენ ასაკისა და სქესის განურჩევლად. „როდესაც შეწყდა ხმა ტირილისა და ვაებისა და აღარავინ გადარჩა ცოცხალი, მაშინ მათაც გაიგეს, რომ დაძღნენ მათი მახვილნიც“. ქალაქის საბოლოო დამორჩილების შემდეგ დაიწყო ძარცვა-რბევა. განძით სავსე ყუთები მოჰქონდათ და თავისი მბრძანებლის ფერხთით ახვავებდნენ. თვლა არ იყო ოქროსა და ვერცხლის ფულებისა, თვალმარგალიტით შემკული შესანიშნავი ნივთების[48].

ჰერაკლე კეისარმა დაუნდობლად შემუსრა ბიზანტიელთა ყველა მოწინააღმდეგე, როგორც ცეცხლისმსახურნი-არაქრისტიანენი, ისე მწვალებლები „ყოველნი მოგუნი და ცეცხლისა მსახურნი ანუ მოინათლნენ, ანუ მოისრნენ“, ხოლო „ეკლესიათა შინა (სადაც არამართლმადიდებელნი იყვნენ შეფარებულნი) მდინარენი სისხლისანი დიოდეს“. „ჰერაკლე განწმიდა შჯული ქრისტესი“ — დასძენს ქართველი მემატიანე[49].

ჰერაკლე კეისრის ლაშქრობის შემდეგ ამიერკავკასიაში დიდი ხნით ბიზანტიის ჰეგემონია დამყარდა. ქართლი ბიზანტიელთა უზენაესობას აღიარებდა, მაგრამ აქ არც ბიზანტიელი მოხელეები იყვნენ და არც მათი ლაშქარი იდგა. თბილისში ქართლის ერისმთავარნი ისხდნენ და განაგებდნენ ქვეყანას.

არაბთა მფლობელობა თბილისში

VII საუკუნის პირველ მესამედში მახლობელი აღმოსავლეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში დიდი ცვლილებები იწყება. ასპარეზზე გამოდის ახალი, ძლიერი, მაჰმადიანური (მუსლიმანური) სახელმწიფო, რომელიც ისტორიაში არაბთა სახალიფოს სახელწოდებითაა ცნობილი. არაბთა სახალიფო VII საუკუნის 30-იანი წლებიდან იწყებს დაპყრობით ომებს და ბიზანტიის იმპერიას უპირისპირდება.

ჰერაკლეს მეფობის ბოლო წლებში იმპერია რამდენჯერმე დამარცხდა არაბებთან ბრძოლაში. სახალიფომ დაიპყრო ბიზანტიის აღმოსავლეთი პროვინციები (სირია, პალესტინა, ეგვიპტე). 50-იანი წლების დამდეგს არაბებმა საბოლოოდ დაამარცხეს და დაიპყრეს სასანიანთა ირანი და ამიერიდან გაეხსნათ გზა ამიერკავკასიისაკენ.

ხრაბთა პირველი მარბიელი რაზმები სომხეთსა და საქართველოში

---

[47] ლ. დ ა ვ ლ ი ა ნ ი ძ ე , დასახ. ნაშრომი, გვ. 78.

[48] იქვე.

[49] ძვ. ქართული აგიოგრ. ლიტ. ძეგლები, I, გვ. 96.

VII საუკუნის 40-იან წლებში გამოჩნდნენ. მათ სომხეთის დედაქალაქი დვინი დაიკავეს. ქართლის სამეფომ არაბთა ეს მარბიელი რაზმები შედარებით ადვილად მოიგერია. სომხეთში მკვიდრად ფეხის მოკიდების შემდეგ, არაბებმა დაიწყეს ბრძოლა ქართლის დასაპყრობად.

VII საუკუნის 50-იან წლებში ქართლისაკენ გამოემართა არაბთა დიდი ლაშქარი ჰაბიბ იბნ მასლამას სარდლობით. ქართლის ერისმთავარმა სტეფანოზ III, რომელსაც არაბები ბატრიკს უწოდებდნენ, რადგან მას პატრიკიოსის ბიზანტიური ტიტული ჰქონდა, ჰაბიბთან თავისი ელჩი გაგზავნა და ზავი და მშვიდობა ითხოვა.

ამ ეტაპზე, როდესაც დამარცხებული ბიზანტიისაგან დახმარების იმედი არ იყო, მეზობელი სომხეთიც არაბებს ჰქონდათ დაპყრობილი და იქ მათი დიდი ძალები იყო თავმოყრილი, სხვაგვარად მოქცევას ალბათ აზრი არ ექნებოდა: კარს მომდგარი არაბებისათვის წინააღმდეგობის გაწევას მხოლოდ ქვეყნის აოხრება მოჰყვებოდა. არაბთა სისასტიკის მაგალითები კი იმდროინდელ ქართლში კარგად იცოდნენ.

ჰაბიბ იბნ მასლამა დიდად კმაყოფილი დარჩა ქართლის ერისმთავრის გადაწყვეტილებით. ერისმთავრის მიერ მირთმეული საჩუქრები მან ხარკის ანგარიშში ჩათვალა და ერისმთავრის ელჩს თბილისში თავისი წარმომადგენელი გააყოლა შეუვალობის წიგნით.

შემდეგ ჰაბიბ იბნ მასლამა თვითონ მოვიდა თბილისში და, როგორც მაშინ არაბებს წესად ჰქონდათ, ნებით დამორჩილებულ მოსახლეობასთან ხელშეკრულება დადო. ხელშეუხებლობისა და შეუვალობის დოკუმენტი — „დაცვის სიგელი“ — ითვალისწინებდა როგორც დამპყრობთა, ისე დაპყრობილთა უფლებებსა და მოვალეობებს:

1. ქართველები აღიარებდნენ მორჩილებას და იხდიდნენ გადასახადს, რომელსაც ჯიზია ეწოდებოდა. ჯიზია გადაკვეთილი იყო კომლის თავზე თითო დინარის[50] ოდენობით, ამიტომ ქართველებს ეკრძალებოდათ კომლთა გაერთიანება, ხოლო არაბებს მათი დაყოფა.

2. მოსახლეობას დაეკისრა სამხედრო ბეგარა: ქართველები ვალდებულნი იყვნენ დახმარება აღმოეჩინათ არაბებისათვის მათი მტრების წინააღმდეგ რჩევითა და საქმით; რაზმს ჩამორჩენილი მუსლიმი შეეფარებინათ, უზრუნველეყოთ ბინითა და მათთვის დასაშვები საკვლით, მიეცილებინათ უახლოეს სამხედრო რაზმამდე.

3. ვინც ისლამს მიიღებდა, ის არაბთა თანამოძმე ხდებოდა და სარგებლობდა ყველა მუსლიმისთვის საერთო უფლებით.

4. არაბები ვალდებულნი იყვნენ დახმარება აღმოეჩინათ ქართველებისათვის მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში. მაგრამ, თუ მოხდებოდა ისე, რომ მოუცლელობის გამო არაბები მათ დახმარებას ვერ აღმოუჩენდნენ

---

[50] დინარი — არაბული ოქროს მონეტა.

და ქართველები დამორჩილდებოდნენ მტერს, ეს მათ (ქართველებს) არ ეთვლებოდათ ხელშეკრულების დარღვევად.

თუ მოსახლეობა მიიღებდა და შეასრულებდა ამ პირობებს, დამპყრობელი არაბები მათ უშიშროების, ქონებისა და სარწმუნოების ხელშეუხებლობის გარანტიას აძლევდნენ. წინააღმდეგ შემთხვევაში უცხადებდნენ ომს ალაჰისა და მისი მოციქულის მუჰამადის სახელით.

არაბებს აქ ჯერ თავისი მოხელე არ ჰყავდათ, არც სამხედრო ნაწილები ჩაუყენებიათ ქართლში, ურთიერთობა ერისმთავართან „დაცვის სიგელით" უნდა მოგვარებულიყო.

„დაცვის სიგელით" მიღწეული შეთანხმება ქართველებმა, ისარგებლეს რა სახალიფოს საშინაო გართულებებით, მალე დაარღვიეს.

VII ს. მეორე ნახევარსა და VIII საუკუნის პირველ მესამედში ამიერკავკასია და, კერძოდ, ქართლი არაბ-ბიზანტიელთა და ხაზართა შორის ბრძოლის ასპარეზს წარმოადგენდა. გამარჯვებას თანდათან არაბები აღწევდნენ. VIII საუკუნის დასაწყისისათვის მათ საქართველოში შედარებით სტაბილური მდგომარეობა ჰქონდათ. თბილისში არაბებს საკუთარი ზარაფხანა მოუწყვიათ, სადაც 704 წელს ფულიც მოუჭრიათ.

VIII საუკუნის 20-იან წლებში მთელი ამიერკავკასია აჯანყებათა ცეცხლში გაეხვია. აქ ზედიზედ რამდენიმე დამსჯელი ექსპედიცია მოვიდა. ამიერკავკასიიდან არაბთა სარდლები ჩრდილო კავკასიაში გადავიდნენ, სადაც ხაზარებს შეებრძოლენ. ამ დროს ისინი თბილისიდან ახორციელებდნენ თავის სამხედრო ოპერაციებს; 729 წელს ცნობილი არაბი სარდალი ჯარაჰი თბილისიდან შეიჭრა ხაზარეთში. არაბთა წინააღმდეგ ბრძოლის განწყობილება ქართლშიაც მწიფდებოდა.

ამიერკავკასიის ურჩი ხალხების დასჯა ხალიფა ჰიშამმა (724—743 წწ.) სარდალ მურვან იბნ მუჰამადს დაავალა. ამისათვის მურვანმა ხალიფას 120-ათასიანი ლაშქარი მოსთხოვა. მურვანმა სისხლში ჩაახრჩო სომხეთის აჯანყება, ემზადებოდა ხაზარეთში შესაჭრელად, მაგრამ ჯერ ურჩი ქართველების საგანგებოდ დასჯა გადაწყვიტა. 735 წელს მურვანი, რომელსაც ქართველმა ხალხმა სისასტიკისათვის „მურვან ყრუ" შეარქვა, თავისი უზარმაზარი ლაშქრით საქართველოს შემოესია. ქართველი ისტორიკოსის სიტყვით: „მოვლო ყრუმან ყოველი კავკასია და დაიპყრო კარი დარიელისა და დარუბანდისა, და შემუსრნა ყოველნი ქალაქნი და უმრავლესნი ციხენი ყოველთა საზღვართა ქართლისათა"[51].

მურვანის ლაშქრობამ დიდი ხნით გატეხა წელში ქართველი ხალხის წინააღმდეგობის უნარი. არაბებმა დაიპყრეს ქართლი თბილისითურთ, სადაც თავისი მოხელე ამირა დააყენეს. თბილისი „შექმნეს

[51] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 234.

სახლად საყოფელად თჳსად; მიიღებდეს ხარკსა ქუეყანისა ამისაგან რომელსა ჰრქჳან ხარაჯა“[52].

თბილისში და აღმოსავლეთ საქართველოს რიგ ქალაქებში (რუსთავი, დმანისი, ხუნანი...) არაბთა სამხედრო გარნიზონები ჩაუყენებიათ, მოხელეთა სათანადო შტატით. თბილისის (ქართლის) ამირა მთელ აღმოსავლეთ საქართველოში განლაგებული არაბული სამხედრო ნაწილების სარდალი გამხდარა. ამირა იყო ქვეყნის უზენაესი სამხედრო და საერო ხელისუფალი — მსაჯული. არაბებმა ქართლში ერისმთავრის ხელისუფლება დატოვეს და ერისმთავარი ამირას დაუქვემდებარეს. ერისმთავარს საარაბო ხარკის აკრეფა და სამხედრო ნაწილების გამოყვანა ევალებოდა. ფაქტიურად იგი ამირას კარზე ითვლებოდა ადგილობრივი არისტოკრატიის წარმომადგენლად.

სახალიფოს ცენტრალური ხელისუფლება დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ქართლსა და საკუთრივ თბილისში თავისი პოზიციების სიმტკიცეს. თბილისი არაბთა ბატონობის უკიდურესი ჩრდილოეთი სასაზღვრო ციხე იყო, რომელსაც ევალებოდა სახალიფოს ჩრდილო საზღვრის ხაზართაგან დაცვა. ამასთანავე თბილისი იყო დასავლეთით ბიზანტიის წინააღმდეგ მიმართული ბასტიონი.

ამიერკავკასიაში, კერძოდ, ქართლში დამკვიდრების შემდეგ, არაბებმა განსაკუთრებით გააქტიურეს თავისი პოლიტიკა ჩრდილოკავკასიელი ხაზარების მიმართ. თბილისი იყო ის საყრდენი პუნქტი, საიდანაც ხორციელდებოდა სამხედრო ოპერაციები ჩრდილო კავკასიაში. ხაზარ-არაბთა ბრძოლა თავის მხრივ დიდ ზარალს აყენებდა თბილისს. არაბთა წინააღმდეგ მებრძოლ თურქ-ხაზართა შემოსევები ქართლსა და არაბთა მთავარ საყრდენ სიმაგრეს თბილისს არბევდნენ. ერთ-ერთ ასეთ ლაშქრობას ადგილი ჰქონდა 764 წელს.

ხაზარ-თურქთა ლაშქარი ქართლს შემოესია, ხაკანის სარდალმა „შემუსრა ტფილისი, წარტყუენა ქართლი და ყოველი ესე ქუეყანა“. ეტყობა, თბილისი დიდად დაზარალდა, რადგან არაბებს მისი „აღშენება“ — აღდგენა დასჭირდათ. „მოვიდა ამირა აგარიანი (მაჰმადიანი), რომელი მთავრობდა სომხითს, ქართლს და ჰერეთს, სახელით ხუასრო; ამან აღაშენა ტფილისი, ქალაქი, მოოჴრებული ხაზართაგან“[53]. როგორც ჩანს, თბილისი ისე იყო მოოხრებული, რომ მის აღსადგენად თბილისში საგანგებოდ მოვიდა მთელი აღმოსავლეთ ამიერკავკასიის (სომხეთის, ქართლისა და ალბანეთის) უზენაესი არაბი მოხელე, რომელსაც ექვემდებარებოდა თბილისის ამირა და მისი ხელმძღვანელობით თუ დახმარებით განხორციელებულა აღდგენითი სამუშაოები.

---

[52] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 250.

[53] იქვე.

IX საუკუნის დასაწყისამდე, არაბთა მფლობელობის დროს, თბილისში შედარებით სტაბილური მდგომარეობა დამყარებულა. თბილისში იჯდა არაბი ამირა, რომლის სასახლე („საამირო დარბაზი") დღევანდელი ბოტანიკური ბაღისაკენ ამავალ გზაზე იყო. ფაქტიურად ამირას განმგებლობის ქვეშ იმყოფებოდა მთელი აღმოსავლეთი საქართველო. მის განკარგულებაში მნიშვნელოვანი სამხედრო ძალა იყო. ეს სამხედრო ნაწილები, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ქართლის სხვადასხვა ქალაქებსა და ციხეებში იყო განლაგებული და ისინი უზრუნველყოფდნენ ქვეყანაში მშვიდობიანობასა და არაბთა მორჩილებას.

თბილისის ანუ ქართლის ამირა იყო არაბთა მიერ დაპყრობილი აღმოსავლეთ საქართველოს მმართველი. იგი ამიერკავკასიის უზენაეს არაბ მოხელეს — არმენიის ვალის[54] ექვემდებარებოდა. თბილისის ამირათა დანიშვნა-გადაყენება არმენიის ვალის, ან უშუალოდ ხალიფას განკარგულებით ხდებოდა.

ამირა იყო უზენაესი სამოქალაქო და სამხედრო ხელისუფალი და მსაჯულიც. მის ხელქვეით იყვნენ გარნიზონების ციხისთავ-ამირები და საქალაქო მმართველობაში ჩაბმული მაჰმადიანი მოხელეები.

საპოლიციო სამსახურის უფროსს, საჰიბ აშ-შურატს, რომელსაც შურტები (პოლიციელები) ჰყავდა, ევალებოდა ქალაქში საერთო წესრიგის დაცვა და ყარაულების გარიგება ამირას კარზე.

ქალაქის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოხელე იყო მუჰთასიბი. მის შესახებ ნიზამ ალ-მულქის „წიგნში მმართველობის შესახებ" ნათქვამია, რომ იგი უნდა „ამოწმებდეს სასწორების სიზუსტეს და დადებულ ფასებს, თვალყურს ადევნებდეს ვაჭრობას, რომ ყველაფერი რიგზე იყოს... რომ არ ჰქონდეს ადგილი მოტყუებას... ხელმწიფემ და სახელმწიფო მოხელეებმა უნდა უზრუნველყონ ანგარიშის გაწევა მუჰთასიბისათვის, ეს სახელმწიფოს ერთ-ერთი კანონთაგანია"[55].

თბილისში, როგორც სატრანზიტო და ადგილობრივი ვაჭრობის მნიშვნელოვან ცენტრში, იყო საგანგებო მოხელე — მუშრიბი, რომელსაც შემოტანილ და გასატან საქონელზე ბაჟის აღება ეკისრა.

საამირო კარს მიმოწერა ჰქონდა არმენიის ვალისთან, ასევე ხალიფას მდივანმწიგნობართან. აქვე ხდებოდა საარაბო ხარკის აღრიცხვა, შემდეგ კი ანგარიშის გაგზავნა სახალიფოში. ამ საქმეს მოხელე ამიდი თაოსნობდა.

თბილისში მომრავლდა მაჰმადიანური მოსახლეობა; ესენი იყვნენ ამირას მოხელენი, სამხედრო გარნიზონის მსახურნი, მათი ოჯახის წევ-

---

[54] ვალი — ოლქის, მხარის მმართველი.

[55] Сиасет Намэ. Книга о правлении вазира XI столетия Низам аль-Мулька. Перевод, введение в изучение памятника, примечания проф. Б. И. Заходера. М. — Л., 1949, с. 47.

რები. მაჰმადიანური მოსახლეობის გაჩენას თბილისში მეჩეთების აგება მოჰყვა. მეჩეთებს თავისი კულტის მსახურნი ჰყავდათ. თბილისში მუსლიმანური მართლმსაჯულების მეთაური — ყადიც იყო.

მაჰმადიანური მოსახლეობა ქალაქის ზედაფენას წარმოადგენდა, მას ამირას კარზე თავისი წარმომადგენელი, რაისი ჰყავდა[56]. თბილისი როგორც გარეგნული სახით, ასევე ქალაქის მმართველობის სისტემით იმდროინდელი მახლობელი აღმოსავლეთის მუსლიმანურ ქალაქებს დაემსგავსა.

თბილისის ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის

მაჰმადიანთა მფლობელობის ვითარებაში თბილისის ადგილობრივი მოსახლეობა ფიზიზლად იცავდა თავის რელიგიას და ეროვნულ თვითმყოფობას. აქ ძნელად, მაგრამ მაინც იკრიბებოდნენ დამპყრობთა საწინააღმდეგო ძალები.

VIII საუკუნის 70-იან წლებში, არაბთა მფლობელობის უმძიმეს ვითარებაში, თბილისის ამირას კარზე მყოფი ქართლის ერისმთავარი ნერსე ებმება ანტიარაბულ მოძრაობაში, რომელიც ამ დროის მთელ ამიერკავკასიაში იწყება. იმ დროს, როდესაც სომხეთი აჯანყდა არაბთა წინააღმდეგ, კახეთის მთიანეთში, წინარეთში, გაჩაღდა ბრძოლა დამპყრობთა უღლისაგან გასათავისუფლებლად. ნერსე ერისმთავარმა ხალიფას გულისწყრომა დაიმსახურა.

772—773 წწ. ხალიფა მანსურმა ბაღდადში დაიბარა ნერსე და ანტიარაბული საქმიანობისათვის საპყრობილეში ჩასვა. სამი წლის შემდეგ ახალმა ხალიფამ მაჰდიმ (775—785 წწ.) ნერსე გაათავისუფლა და თავისსავე თანამდებობაზე დაუბრუნა თბილისში. მაგრამ, ჩანს, ნერსე გაგრძობდა ანტიარაბულ საქმიანობას, რისთვისაც განრისხებულმა მაჰდიმ იგი კვლავ დაიბარა, მაგრამ ამჯერად ნერსემ გაცლა ამჯობინა. მას არაბთა მოწინააღმდეგე ძალებთან სურდა დაკავშირება და დიდი ამალით თურქ-ხაზართა ხაკანს ეწვია. ხაკანმა მართალია პატივით მიიღო, მაგრამ შეთანხმება ვერ მოხერხდა და ნერსე დასავლეთ საქართველოში გადავიდა.

VIII საუკუნის დასასრული და IX ს. დასაწყისი იყო ჰარუნ არ-რაშიდის და ალ-მამუნის ხალიფობის გარეგნულად ბრწყინვალე ხანა, როცა აბასიანთა სახალიფოს ძლიერების დასასრულიც იწყებოდა, ვითარდებოდა არაბთა იმპერიის დაშლის პროცესი. ამას მოჰყვა ცენტრალური ხელისუფლების მატერიალურ შესაძლებლობათა შემცირება, ცენტრს

---

[56] იხ. მ. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე, ქალაქის მოხელეთა საკითხისათვის ფეოდალურ საქართველოში (არაბული სახელწოდების მოხელეები), მსკი, ნ. 30, 1954, გვ. 144—154; მისივე, თბილისის საამირო, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. II, გვ. 491—492.

ჩამოშორებულ პროვინციებში დამოუკიდებელი მმართველობა იქმნებოდა, ხალიფას ხარკს აღარ უგზავნიდნენ.

არაბთა წინააღმდეგ ბრძოლა ფართო მასშტაბით გაიშალა მთელ ამიერკავკასიაში. ქართველი ხალხის განმათავისუფლებელმა ბრძოლამ დიდ წარმატებას მიაღწია IX საუკუნის დასაწყისისათვის. არაბთა მფლობელობას გამოეყო კახეთი, შიდა ქართლი, სამხრეთ-დასავლეთი საქართველო, ჰერეთი. ამირას სამფლობელო საგრძნობლად შეიზღუდა. ქართლის საამირო თბილისის საამიროდ იქცა.

ამ დროისათვის თბილისის საამიროს საზღვარი ჩრდილოეთით დიღმის ხევამდე აღწევდა. დასავლეთით საამიროს თრიალეთი ესაზღვრებოდა, აღმოსავლეთით საზღვარი ძირითადად მტკვარს მიყვებოდა (მტკვრის აღმოსავლეთ ნაპირზე საამიროს ეკუთვნოდა ისნის ველი, ავჭალა, რუსთავი). სამხრეთით თბილისის ამირას ეკუთვნოდა ციხეები: ბირთვისი, ორბეთი, ფარცხისი, დმანისი.

სახალიფოსაგან დამოუკიდებელი ქართული სამეფო-სამთავროების შექმნით საგრძნობლად შემცირდა საარაბო ხარკი. თბილისის საზღვრებშემცირებულ საამიროში ერთმანეთს დაუპირისპირდა არაბი ამირას და ქართლის ერისმთავრის ინტერესები. იმ კონფლიქტის შედეგად, რომელიც ქართლის ერისმთავარ აშოტ ბაგრატიონსა და თბილისის ამირას შორის მოხდა, აშოტი იძულებული შეიქნა ქართლს გასცლოდა. ის ბაგრატიონთა მამულში, შავშეთ-კლარჯეთში დამკვიდრდა. IX ს. დასაწყისიდან თბილისის ამირათა კარზე ქართლის ერისმთავრის ხელისუფლება უკვე არ არსებობდა.

არაბთა მთელ სახალიფოში მიმდინარე პროცესების შესაბამისად თბილისის ამირებიც IX ს-ის დასაწყისიდან იწყებენ ბრძოლას სახალიფოს ცენტრალური ხელისუფლებისაგან დამოუკიდებლობის მოპოვებისათვის, ცდილობენ სამემკვიდროდ დაეუფლონ საამიროს.

IX საუკუნიდან ხალიფები ვეღარ ახერხებდნენ თავისი პროვინციელი მოხელეების და პროვინციებში განლაგებული სამხედრო ნაწილების გასტუმრებას. პროვინციელმა მმართველებმა, თავის მხრივ, ქვეშევრდომებში აკრეფილი ხარკის მითვისება დაიწყეს. ამ ნიადაგზე აღმოცენდა კონფლიქტი თბილისის ამირებსა და სახალიფოს ცენტრალურ ხელისუფლებას შორის. აქ აკრეფილ ხარკს თბილისის ამირები აღარ გზავნიდნენ ბაღდადში და თავის მოხელეებსა და სამხედრო ნაწილებსაც თვითონ ისტუმრებდნენ.

IX საუკუნის დასაწყისში ხალიფას ეურჩებოდა თბილისის ამირა ისმაილ იბნ შუაბი. ისმაილს ჯერ ხალიფა ალ-ამინი ებრძოდა, ხალიფამ მის წინააღმდეგ ბრძოლა არმენიის ვალის უსეიდ იბნ იაზიდს დაავალა, ისმაილი დამარცხდა და დროებით მორჩილება გამოაცხადა. იგი ამის შემდეგაც განაგრძობდა ურჩობას, სარგებლობდა რა სახალიფოში ატე-

ხილი ბრძოლით, მაგრამ კლავაც დამარცხდა. ხალიფამ შეძლო მისი ამირობიდან გადაყენება.

ამ დროიდან მოყოლებული თბილისის ამირები ფაქტიურად სულ აჯანყებულნი იყვნენ და ამირებსა და ხალიფებს შორის გამუდმებული ბრძოლა მიმდინარეობდა. ბუნებრივია, რომ ამ ბრძოლებში ზარალდებოდა ქალაქი თბილისი.

829 წელს ცენტრალური ხელისუფლების ურჩ ამირა მუჰამად იბნ ათაბის წინააღმდეგ თბილისში ხალიფას დიდი დამსჯელი ექსპედიცია მოვიდა ხალიდ იბნ იაზიდის სარდლობით. ხალიდმა დაამარცხა მუჰამადი და ამირად ალი შუაბის ძე დანიშნა. როგორც ვხედავთ, ამირად ისევ შუაბიანთა სახლის წარმომადგენელი გახდა.

ალი შუაბის ძის შემდგომ ხალიფა ალ-მამუნმა თბილისის ამირად დანიშნა ისჰაკ იბნ ისმაილ იბნ შუაბი, IX საუკუნის დასაწყისში ამირად მყოფი ისმაილ იბნ შუაბის შვილი. ეს ისჰაკ იბნ ისმაილი ქართული წყაროებით კარგად ცნობილი საჰაკ ამირაა. ჩანს, ისჰაკი მუჰამადის დროსაც იბრძოდა თბილისში გასაამირებლად, მაგრამ უშედეგოდ. 830 წ. კი ალის შემდეგ ხალიფასაგან მიიღო ხელისუფლება[57].

ამირა საჰაკი ცდილობდა დამოუკიდებლობა მოეპოვებინა სახალიფოს ცენტრალური ხელისუფლებისაგან. რაც მთავარია, ის არ გზავნიდა ხარკს ხალიფას ხაზინაში, ეს კი იწვევდა ხალიფას მხრივ საპასუხო მოქმედებას. თბილისში რამდენჯერმე მოვიდა ხალიფას დამსჯელი ექსპედიცია. ბრძოლა ცვალებადი უპირატესობით მიმდინარეობდა, თბილისი კი გამუდმებით ირბეოდა.

IX საუკუნის 50-იან წლებში აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში დიდი ბრძოლა მიმდინარეობდა არაბთა სახალიფოს წინააღმდეგ. ხალიფებს ებრძოდნენ არა მხოლოდ ადგილობრივი ხალხები, ქართველები, სომხები, ალბანელები და სხვა ქრისტიანი მეფე-მთავრები, არამედ აქაური არაბი მოხელეებიც. ხალიფა მუთავაქილმა (847—861 წწ.) ურჩთა დასასჯელად და დასამორჩილებლად ამიერკავკასიაში 852 წელს დიდი ლაშქარი გამოგზავნა ბრძოლებში სახელმოხვეჭილი მხედართმთავრის ბუღა თურქის სარდლობით. მისი ლაშქრობის ერთ-ერთი მიზანი თბილისის ამირა საჰაკის დამორჩილებაც იყო.

ბუღა თურქმა ჩაახშო სომხეთის აჯანყება, დაიჭირა მათი მთავრები და ხალიფას გაუგზავნა, შემდეგ კი თბილისისაკენ გამოემართა და ამირა

---

[57] XI ს. არაბული წყაროს ცნობით ისჰაკი თბილისის ამირად ჩანს 817 წ. (იხ. ე. ს ი ხ ა რ უ ლ ი ძ ე, XI ს. ანონიმის ცნობა თბილისის ამირა ისჰაკ იბნ ისმაილის შესახებ, თსუ შრომები, სერია: აღმოსავლეთმცოდნეობა, 180, 1976, გვ. 139—143). თუ ეს ცნობა სარწმუნოა, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ისჰაკი იყო ამირად, გადააყენეს და 830 წელს მან ისევ მიიღო ეს თანამდებობა.

საჰაკს მასთან გამოცხადება და ხარკი მოსთხოვა. საჰაკმა ბუღას პირობა არ შეასრულა და ბრძოლისათვის მოემზადა.

ბუღა თურქმა თავისი მრავალრიცხოვანი ლაშქარი თბილისისაკენ დაძრა; არაბებმა მტკვარი გადალახეს და მის მარცხენა ნაპირზე დაბანაკდნენ. 853 წლის 5 აგვისტოს თბილისის ასაღებად ორმხრივი იერიში დაიწყო. ერთი მხრიდან შეტევას ხელმძღვანელობდა სარდალი ზირაქი, ხოლო მეორე მხრიდან — აბულ აბასი.

იერიშით თბილისის აღება გაძნელდა. ბუღას ბრძანებით, თბილისს ცეცხლი წაუკიდეს. საჰაკ ამირა დამარცხდა და თავს გაქცევით უშველა, მაგრამ ქალაქის კარებთან შეიპყრეს და თავი მოჰკვეთეს. IX საუკუნის არაბი ისტორიკოსის ტაბარის ცნობით, თბილისში 50 000 კაცი დაიწვა[58], ბუღას მოლაშქრეები თავს დაესხნენ თბილისს, ცოცხლად დარჩენილები დაატყვევეს, დაღუპულნი გაძარცვეს[59].

საჰაკის სიკვდილის დასჯით შეწყვიტა არსებობა თბილისის ამირების შუაბიანთა დინასტიამ. მაგრამ თბილისში არაბთა ხელისუფლების იმ სახით აღდგენა, როგორც ეს აბასიან ხალიფებს სურდათ, შეუძლებელი იყო.

ბუღა თურქმა კავკასიაში ფართო საქმიანობა გააჩაღა. ხალიფას, ჩანს, შეეშინდა აქ მი'ი გაძლიერებისა, მალე გაიწვია და თბილისის ამირად მუჰამად იბნ ხალიდ შაიბანიანი დანიშნა[60].

მუჰამადმაც თავისი მოღვაწეობა ხალიფას ურჩობით დაიწყო. ახლა უკვე შაიბანიანთა სახლი ცდილობდა ამირობის სამემკვიდრეოდ შენარჩუნებას. 853—878 წლებში თბილისში ამ სახლის სამმა ამირამ შეცვალა ერთმანეთი. ხალიფები ამირების ცვლით ცდილობდნენ თბილისში თავისი ნომინალური ხელისუფლების შენარჩუნებას. თუმცა, ჩანს, იძულებული იყვნენ ანგარიში გაეწიათ შაიბანიანებისათვის და არჩევანი მათ შორის ეწარმოებინათ. 878 წელს თბილისში ამირად ხელმეორედ დაინიშნა მუჰამად იბნ ხალიდი. შემდეგში თბილისის ამირობა დასჯილი საჰაკის ახლობელმა, ვინმე გაბულოცმა ჩაიგდო ხელში. რა ვითარებაში მოხდა ეს, არ ვიცით. ქართველი ისტორიკოსი მოკლედ გვაუწყებს: „წარვიდა ხალიდის ძე[61], და ამირად დადგა კაცი საჰაკის მონათაგანი, სახელით გაბულოც". გაბულოცი გაძლიერდა, საამიროს საზღვრე-

---

[58] შესაძლებელია ეს ციფრი გადაჭარბებულია, მაგრამ მაინც მიანიშნებს, რომ მსხვერპლი დიდი იყო.

[59] ო. ცქიტიშვილი, ძველი თბილისის ისტორიიდან, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საზ. მეცნ. განყ.-ის „მოამბე", 1963, №5, გვ. 153.

[60] როგორც ჩანს, მუჰამადის ხელისუფლებას, გარკვეული დროის მანძილზე, მთელი აღმოსავლეთ ამიერკავკასია ემორჩილებოდა. ასეთი შემთხვევები ამ დროს სხვაც იყო. იხ. Тер-Гевондян А. Н.Армения и арабский Халифат, Ереван, 1977.

[61] მუჰამად იბნ ხალიდი იგულისხმება.

ბი გააფართოვა, „მაგრამ გუარამ, ძემან აშოტ კურაპალატისამან, შეიპ-ყრა გაბულოც და წარსცა საბერძნეთად. რამეთუ განდიდებულ იყო გაბულოც და დაემორჩილნეს გარდაბანელნი“[62].

თბილისის საამიროს დასავლეთიდან გვარამ მამფლის (აშოტის ძის) სამფლობელო ესაზღვრებოდა (თრიალეთი) და აშოტ ბაგრატიონის ამ უმცროს ვაჟს არ აწყობდა ამირას გაძლიერება. ჩანს, მათ შორის საზღ-ვრის გამო ინტერესთა შეჯახებას ჰქონდა ადგილი, გვარამმა სძლია გაბულოცს და განდევნა იგი. გვარამ-გაბულოცის კონფლიქტი 878—882 წლებს შუა მოხდა[63].

რა მოხდა თბილისში, უშუალოდ გაბულოცის განდევნის შემდეგ, არაა ცნობილი, მაგრამ იმავე IX საუკუნის 80-იანი წლებიდან თბილის-ში იჯდა ამირა ჯაფარი, რომელმაც დასაბამი მისცა თბილისის ამირების ჯაფარიანთა დინასტიას. „ჯაფარის სახლს“ 200 წლის განმავლობაში ეპყრა თბილისის ამირობა[64]. თბილისის ამირობა მათ სამემკვიდრეოდ აქციეს, მაგრამ საამირო ამ დროს შევიწროებულ ფარგლებში მდება-რეობდა. ამირა ძირითადად თბილისში და მის გარშემო მყოფ მიწა-წყალზე ბატონობდა.

ჯაფარიანი ამირა ჯაფარ ალის ძე პირველად იხსენიება X საუკუ-ნის დასაწყისში აზერბაიჯანის ამირა აბულ კასიმის შემოსევის დროს. აბულ კასიმ აბუ საჯის ძემ მოაოხრა სომხეთი და საქართველოში შემოვი-და. „მოვიდა აბუ საჯის ძე ტფილისს, და მას ჟამსა ამირად იყო ჯაფარ ძე ალისა“[65]. აზერბაიჯანის მმართველი ამირა ხალიფას ურჩ თბილისის ამირას თითქოს არ ებრძოდა. ის მოვიდა თბილისში, თბილისის ამირას-თან, როგორც თავის მოკავშირესთან (ან მორჩილთან) და აქედან დაიწ-ყო ბრძოლა საქართველოს სხვადასხვა კუთხეთა (კახეთის, ქართლის, მესხეთ-ჯავახეთის, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს) დასამორჩილებ-ლად.

ჯაფარიანთა დიდხნოვანი მფლობელობის მანძილზე თბილისს არაბთა თავდასხმები არ განუცდია. ხალიფები იძულებული იყვნენ ეცნოთ თბილისში არსებული ვითარება. ამასთანავე, საინტერესოა, რომ იმ დიდ ბრძოლას, რომელიც აბასიანთა სახალიფოში მიმდინარეობდა, თბილისის საამიროშიც ჰქონდა გამოძახილი. ამ მხრივ აღსანიშნავია, რომ თბილისის ამირამ ალი იბნ-ჯაფარმა 996 წელს მოჭრილ მონეტაზე მოათავსა ხა-ლიფა ატ-ტაის სახელი, მიუხედავად იმისა, რომ ამ დროს ხალიფა ატ-ტაი (947 991) ოცვე ხუთი წლის გადაგდებული იყო ტახტიდან. ალი იბნ-

---

[62] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 257.

[63] გაბულოცი ამირად დაჯდა 878 წ. გვარამ მამფალი გარდაიცვალა 882 წ.

[64] თბილისის ამირებზე უფრო დაწვრილებით იხ. მ. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე, თბილი-სის საამიროს ისტორიიდან, „მიმომხილველი“, II, თბ., 1951, გვ. 196—200.

[65] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 263.

ჯაფარის მონეტა ამ მხრივ გამონაკლისს არ წარმოადგენდა. 991 წელს ტახტიდან ჩამოგდებული ხალიფა ატ-ტაის სახელი 999 წლამდე სახალიფოს აღმოსავლეთ ნაწილში ხუტბაში (ლოცვის დროს) იხსენიებოდა და ფულიც მისი სახელით იჭრებოდა. ჩანს, იბნ-ჯაფარი იმ პოლიტიკური დაჯგუფების წარმომადგენელი იყო, რომელიც ტახტიდან გადაგდებულ ხალიფას უჭერდა მხარს. მაგრამ შემდეგ, ეტყობა, ვითარება შეიცვალა და ჯაფარმა კანონიერი ხალიფას უზენაესობა აღიარა. მის მიერ 1013—1014 და 1027—1028 წლებში მოჭრილ მონეტებზე ხალიფა ალ-კადირის სახელია[66].

ჯაფარიანებმა, როგორც აღვნიშნეთ, ამირას ხელისუფლება IX საუკუნის 80-იანი წლებიდან ჩაიგდეს ხელთ. პირველი ამირა ჯაფარი, რომელმაც მისცა დასაბამი ამ დინასტიას, შეიძლება არის ის ჯაფარ ალის ძე, რომელიც მოხსენიებულია X ს. დასაწყისში აბულ კასიმის ლაშქრობის დროს.

პირველი ამირა ჯაფარიდან მოყოლებული ხელისუფლება მემკვიდრეობით გადადიოდა მამიდან შვილზე. ამ ჯაფარიან ამირათაგან ცნობილი არიან: ჯაფარ ალის ძე — ალბათ IX ს-ის 80-იანი წლებიდან, რომელიც ამირადაა X ს. დასაწყისშიც, X ს-ის შუა წლებში ამირადაა მანსურ ჯაფარის ძე, 70—80-იან წლებში — ჯაფარ მანსურის ძე, X ს-ის 90-იანი წლებიდან — ალი ჯაფარის ძე, XI ს-ის 30-იან წლებში ამირადაა ალი ჯაფარის ძე. ჯაფარიანთა ხელისუფლებამ თბილისში XI საუკუნის 80-იან წლებამდე იარსება.

ჯაფარიანი ამირები ფაქტიური დამოუკიდებლობით სარგებლობდნენ, რასაც მოწმობს მათ მიერ ამირობის მამიდან შვილზე მემკვიდრეობით გადაცემა. ხალიფებს უკვე აღარ შეეძლოთ საკუთარი სურვილით ეცვალათ ამირები. ამასთანავე თბილისის ჯაფარიანი ამირები აღიარებდნენ ბაღდადის ხალიფების უზენაეს პოლიტიკურ და რელიგიურ ხელისუფლებას. X ს-ის 40-იანი წლებიდან ისინი უკვე ფორმალურადაც აღარ სცნობდნენ ბაღდადის ხალიფათა პოლიტიკურ უზენაესობას და მონეტებზე ხალიფების სახელებთან ერთად თავის სახელებსაც ათავსებდნენ[67].

საქართველოს გაერთიანების შემდეგ ჯაფარიან ამირათა სამფლობელოს ერთიანი საქართველოს მეფეებმა შეუტიეს და შეავიწროვეს.

---

[66] მ. ლორთქიფანიძე, თბილისის საამიროს ისტორიიდან, „მიმომხილველი“, II, თბ., 1951, გვ. 197; Джалагания И. Л., Иноземная монета в денежном обращении Грузии V—XIII вв., Тбилиси, 1979, с. 64—65.

[67] იხ. დ. კაპანაძე, ქართული ნუმიზმატიკა, თბ., 1950.

III

თბილისის სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული ცხოვრება

ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობა

თბილისის განაშენიანება

IV საუკუნეში ციხე-ქალაქი თბილისი გამაგრებული პუნქტი იყო. ეს ციხე დღევანდელი თბილისის ციხის (ნარიყალას) ნანგრევების ადგილას იყო და კალა ეწოდებოდა.

ნიშანდობლივია, რომ ქალაქის ძველ უბანში, ციხიდან არცთუ ისე მოშორებით, მტკვრის ტერასაზე, სადაც შემდეგ ანჩისხატის და სიონის ტაძრები ააგეს (ერეკლე II მოედანი), V საუკუნიდან ქალაქური დასახლებისათვის დამახასიათებელი არქეოლოგიური მასალა აღმოჩნდა[1].

V საუკუნეში თბილისი ორი ნაწილისაგან შედგებოდა: ციხე და ქალაქური დასახლება. ამ დროს ქალაქის მოსახლეობა მტკვრის მხოლოდ მარჯვენა ნაპირზე იყო.

V ს-ის არქეოლოგიური მასალა[2] ადასტურებს ცნობას, რომ „ვახტანგ აშენებდა ქალაქსა ტფილისისასა და საფუძველი ოდენ დაედვა"[3].

ქალაქის სამოსახლო ანჩისხატ-სიონის სექტორში იყო, სადაც VI საუკუნის დასაწყისში, ქალაქის ცენტრში, აიგო თბილისის ერთ-ერთი უძველესი ეკლესია წმინდა მარიამის სახელობისა (ანჩისხატი), ხოლო VI საუკუნის მეორე ნახევარში დაიწყო და VII საუკუნის დასაწყისში დამთავრდა სიონის საეპისკოპოსო კათედრალის მშენებლობა.

თბილისის უძველესი მოსახლეობა გოგირდოვანი წყლების უბანში, მის შემოგარენში ბინადრობდა. ეს უბანი არ გულისხმობს უშუალოდ დღევანდელი გოგირდის აბანოების ტერიტორიას და უფრო უნდა იყოს

---

[1] ი. ბ ძ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, ო. ტ ყ ე შ ე ლ ა შ ვ ი ლ ი, თბილისის მატერიალური კულტურის ძეგლები, 1961, გვ. 28, 32; მათივე, ადრეფეოდალური ხანის მატერიალური კულტურის ახალი ძეგლები თბილისიდან, ისტორიის ინსტიტუტის შრომები, V, 1960, გვ. 175, 180.

[2] იხ. ი. გ ძ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, ო. ტ ყ ე შ ე ლ ა შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი.

[3] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 200.

სიონ-ანჩისხატის (ერეკლე II მოედანი), დღევანდელი ბოტანიკური ბაღისა და, საერთოდ, თბილი წყლების ირგვლივ არსებული უბნები[4].

ქალაქის ზღუდის მშენებლობა, როგორც აღნიშნული იყო, ვახტანგის ანდერძისამებრ დაჩიმ დაამთავრა და დედაქალაქი თბილისში გადმოიტანა.

დედაქალაქის თბილისში გადმოტანას მოჰყვა მოსახლეობის მატება. გადმოვიდა ხელმწიფის კარი თავისი მრავალრიცხოვანი მოხელეებით. გაიზარდა მოთხოვნილება ფუფუნებისა და პირველი მოთხოვნილების საქონელზე, სახელოსნო ნაწარმზე, სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე. ყოველივე ამან განაპირობა დიდკაცთა სასახლეების, რიგით მოქალაქეთა საცხოვრებელი სახლების, სავაჭრო და სახელოსნო დუქნების, ქარვასლებისა და სასტუმროების დიდი მშენებლობა. აშენდა ეკლესიები.

ქართლში მეფობის გაუქმებამ დროებით შეაფერხა თბილისის ზრდა. კიდევ უფრო გაიზარდა ქალაქი მას შემდეგ, რაც თბილისი გამარჯვებული ფეოდალური კლასის მეთაურის, ქართლის ერისმთავრის რეზიდენცია გახდა: „მცხეთაჲ ათხელდებოდა და თბილისი ეშენებოდა, არმაზნი შემცირდებოდეს და კალაჲ განდიდნებოდა“[5].

ქართლის ერისმთავარმა „გუარამ კურაპალატმან იწყო ციხეთა და ქალაქთა მაგრებაო“[6], წერს მემატიანე. უნდა ვივარაუდოთ, რომ გუარამი პირველ რიგში დედაქალაქს გაამაგრებდა და გააშენებდა. მანვე „განაახლა საფუძველი ტფილისისა სიონისა“[7]. წყაროები შედარებით მეტად მოგვითხრობენ პირველი ერისმთავრების დროს თბილისში წარმოებულ სამშენებლო საქმიანობაზე.

თბილისის ზრდა-განვითარება გაგრძელდა თურქ-ხაზართაგან თბილისის დარბევამდე და შემდეგაც, არაბთა მფლობელობის დამყარებამდე.

არაბებს კი, ისე როგორც ყველა დამპყრობს, თბილისის მხოლოდ გამაგრება აინტერესებდათ და ამ მხრივ მნიშვნელოვან საქმიანობასაც ეწეოდნენ.

627 წელს, როდესაც ჰერაკლე კეისარი თბილისს მოადგა, თბილისი შედგებოდა ისევ საკუთრივ ქალაქისა და ციხისაგან, რომელსაც კალა ეწოდებოდა. ციხეს ამ დროს თავისი ზღუდე ჰქონდა და ქალაქს თავისი[8].

---

[4] ლ. ჭილაშვილი ეჭვის ქვეშ აყენებს ქართულ ისტორიოგრაფიაში დამკვიდრებულ თვალსაზრისს ქალაქ თბილისის თავდაპირველი მოსახლეობის აბანოების უბანში გაჩენის შესახებ (ლ. ჭ ი ლ ა შ ვ ი ლ ი, ქალაქები ფეოდალურ საქართველოში, II, თბ., 1970, გვ. 58). ჩვენი მოსაზრებით, „აბანოების უბანი“ არ უნდა გულისხმობდეს ზუსტად და საკუთრივ მხოლოდ დღევანდელი გოგირდის აბანოების ტერიტორიას.

[5] ძვ. ქართული აგიოგრ. ლიტ. ძეგლები, I, გვ. 95; ქართლის ცხოვრება. I, გვ. 223.

[6] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 220.

[7] იქვე, გვ. 222.

[8] იქვე, გვ. 224; ქართული წყაროთმცოდნეობა, I, გვ. 64—78.

ციხის სამხრეთ-აღმოსავლეთი კედელი წავკისის წყლის პარალელურად მიემართებოდა ციხისაკენ, ხოლო ციხის მეორე კედელი, პირველის პარალელურად, მტკვარზე ჩადიოდა ხიდთან. ამ დროისათვის დღევანდელი ანჩისხატ-სიონის უბანი ქალაქის ცენტრში იყო, ასე რომ მოსახლეობა დაახლოებით დღევანდელ „ბარათაშვილის სახელობის ქუჩამდე და ხიდამდე სწვდებოდა“[9].

გავრცელებული მოსაზრების მიხედვით, მტკვრის მარცხენა ნაპირი, ე.წ. სოღდებილი, VI—VII საუკუნეებში ქალაქში შემოდიოდა და თბილისის მესამე ნაწილი იყო (კალა, საკუთრივ თბილისი, სოღდებილი)[10].

IX საუკუნის არაბი ისტორიკოსების ცნობით, სოღდებილი თბილისის გამაგრების მიზნით VI საუკუნეში ააგო ხოსრო ანუშირვანმა[11].

არაა გამორიცხული შესაძლებლობა, რომ ირანელებს ქართლში დამკვიდრების შემდეგ, VI საუკუნეში, თბილისის ციხის — კალას საპირისპიროდ, რომელიც ქართველი მოსახლეობის ცენტრში იყო, მტკვრის მარცხენა ნაპირზე თავისი საკუთარი ციხე აეგოთ. მაგრამ „სოღდებილი“ (შემდეგდროინდელი ისან-ავლაბარი) VI—VII საუკუნეებში თბილისის ნაწილი ჯერ კიდევ არ იყო[12]. ამას უნდა ადასტურებდეს VIII საუკუნის ქართველი მწერლის იოანე საბანისძის ცნობა: როდესაც აბო თბილელი სიკვდილით დასაჯეს, „გამოიღეს წმიდაჲ იგი გუამი წმიდისა მის გარეშე ქალაქსა და აღიღეს ადგილსა, რომელსა საგოდებელ ეწოდების“[13]. როგორც ვხედავთ, VIII საუკუნის მეორე ნახევარში მწერლის „საგოდებელი“ (იგივე „სოღდებილი“) „გარეშე ქალაქსა“ ჩანს.

აღსანიშნავია ისიც, რომ 627—628 წლების საომარი ოპერაციების დროს ბიზანტიელ-ხაზართა გაერთიანებულ ლაშქარს თბილისში მყოფი ქართველები და ირანელები საკუთრივ თბილისში (ქალაქში) და კალაში (ციხეში) ებრძოდნენ და თბილისის მესამე უბანი, გამაგრებული ან გაუმაგრებელი, ამ ბრძოლის დროს არ ჩანს.

VIII საუკუნეში ეს უბანი ქალაქის ფარგლებში არ შემოდიოდა და თბილისი საკუთრივ ქალაქისა და ციხისაგან შედგებოდა, სოღდებილ-საგოდებელი კი ქალაქის გარეუბანი იყო.

VIII საუკუნის 80-იან წლებში თბილისის ამირას სასახლე მტკვრის

---

[9] შ. მ ე ს ხ ი ა და სხვ., დასახ. ნაშრომი, გვ. 29.

[10] იქვე, გვ. 31. ამ მოსაზრებას ემხრობა ლ. ჭილაშვილიც (იხ. მისი დასახ. ნაშრომი, გვ. 59—60).

[11] ო. ცქიტიშვილს ეს ცნობა არ მიაჩნია სარწმუნოდ (იხ. მისი დასახ. ნაშრომი, გვ. 157—159).

[12] ო. ც ქ ი ტ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 157—159.

[13] ძვ. ქართული აგიოგრ. ლიტ. ძეგლები, I, გვ. 73.

მარჯვენა ნაპირზე იდგა, გოგირდის აბანოებიდან ბოტანიკური ბაღისაკენ ასასვლელ გზაზე[14]. მტკვრის მარცხენა ნაწილი, ე. წ. საგოდებელი, არაბთა მფლობელობის დროს უნდა შემოსულიყო ქალაქის შემადგენლობაში, როგორც მისი უბანი[15].

IX საუკუნის 50-იან წლებში (853 წ.), როდესაც ხალიფას სარდალი ბუღა თურქი თბილისს მოადგა, თბილისის ამირა საჰაკმა სოღდებილი გაამაგრა და შიგ სამხედრო გარნიზონი ჩააყენა.

თბილისის ამირას რეზიდენციის გადანაცვლება მტკვრის მარჯვენა ნაპირიდან მარცხენაზე VIII საუკუნის 80-იანი წლებიდან IX საუკუნის 40—50-იან წლებამდე უნდა მომხდარიყო. ეს ალბათ აქ შექმნილმა ვითარებამ განაპირობა. როგორც აღნიშნულია, IX საუკუნიდან იწყება ქართლის არაბი ამირების ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის სახალიფოს ცენტრალური ხელისუფლების წინააღმდეგ. ჩვენ არ მოგვეპოვება ცნობები თბილისის ქრისტიანული, ქართველი მოსახლეობის პოზიციის შესახებ ხალიფასა და ამირას შორის წარმოებულ ბრძოლაში. მაჰმადიანი ამირა, რომელიც ხალიფას ცენტრალური ხელისუფლებისაგან დამოუკიდებლობის მოპოვებას ცდილობდა, თბილისის ქართველ მოსახლეობას ალბათ ვერ გაიხდიდა თავის დასაყრდენად.

როგორც XI საუკუნის მოვლენებიდან ჩანს, ერთიანი საქართველოს მეფეების, კერძოდ, ბაგრატ IV-ის თბილისისათვის ბრძოლის დროს, საქართველოს მეფეს მტკვრის მარცხენა ნაპირი, ისანი (სოღდებილი) უწევდა წინააღმდეგობას. იქ დამკვიდრებული და გამაგრებული იყო მაჰმადიანური არისტოკრატია, ის იყო მისი სიმაგრე. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ამირთა მიერ სახალიფოსაგან დამოუკიდებლობის მოპოვების ტენდენციამ განსაზღვრა ამირას და, შესაბამისად, თბილისის მაჰმადიანური არისტოკრატიის თანდათან მტკვრის მარცხენა ნაპირზე გადასვლა და ძირძველი ქართველი მოსახლეობისაგან დაშორებით დასახლება. ქართველი მოსახლეობისაგან იზოლირების მიზნით, ამირამ და თბილისის მაჰმადიანურმა არისტოკრატიამ (ამირას კარის მოხელენი, სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახის წევრები, მაჰმადიანური კულტის მსახურნი...) ქალაქის გარეუბანში, მტკვრის მარცხენა ნაპირზე დაიდო ბინა. როდესაც ხალიფას წინააღმდეგ საბრძოლველად ემზადებოდა, ამირა საჰაკმა სოღდებილი საგანგებოდ გაამაგრა, მას თხრილი შემოავლო და შიგ გარნიზონი ჩააყენა.

იყო თუ არა ამ დროს სოღდებილში ციხესიმაგრე? იოანე საბანისძე წერს, რომ აბოს გვამი გაიტანეს „გარეშე ქალაქსა“ და დაწვეს „ად-

---

[14] კ. კეკელიძე, ადრეფეოდალური ხანის ქართული ლიტერატურა, თბ., 1935, გვ. 29.

[15] Бадриашвили Н. И. Тифлис, 1934, с. 27.

გილსა მას, რომელ არს აღმოსავლით ციხესა მას ქალაქისასა, რომელსა ჰრქვან სადილეგო"[16]. შესაძლებელია აქ იყო ძველი ციხე, რომელსაც საპყრობილედ (სადილეგოდ) იყენებდნენ. აღსანიშნავია ისიც, რომ XI ს-ში, როდესაც ბაგრატ IV თბილისისათვის იბრძოდა, „საამირო დარბაზი" მტკვრის მარჯვენა ნაპირზეც იყო.

XI საუკუნეში ბაგრატ IV-ის თბილისისათვის ბრძოლისას აქ ისნის ციხის არსებობა უდავოა. როდის უნდა აეგოთ აქ ციხესიმაგრე?

მართალია, VII საუკუნეში ბიზანტიელთა და თურქ-ხაზართა ბრძოლის დროს ირანელები და ქართლის ერისმთავრის ლაშქარი კალას ციხეში იყო გამაგრებული, მაგრამ ეს არ გამორიცხავს მტკვრის მარცხენა სანაპიროზე ძველი ციხის არსებობას. ამ დროს თბილისი მტკვრის მხოლოდ მარჯვენა ნაპირზე იყო მოთავსებული და მისი ციხე კალა გახლდათ. სოღდებილი ქალაქგარეთ დარჩა და შეიძლება დანგრეულიც იყო. VIII საუკუნის 80-იან წლებშიც თბილისის ამირას სასახლე მტკვრის მარჯვენა ნაპირზე ჩანს, მდინარის დასავლეთით, ხოლო IX ს. 50-იან წლებში. საშიშროების დროს, თბილისის ამირას ოჯახი (ცოლი) მტკვრის აღმოსავლეთით. მის მარცხენა ნაპირზე ჰყავდა.

ბუღა თურქის შემოსევის დროს ამირამ ოჯახი სოღდებილში დატოვა და საეჭვოა, რომ იქ ციხესიმაგრე არ ყოფილიყო. ალბათ ეს მიაჩნდა იმ დროს ამირას ყველაზე სანდო და უკეთ გამაგრებულ ადგილად. აქ იყო მისი მთავარი საყრდენი ძალა. ამ ნაგებობის გამაგრებას უნდა გულისხმობდნენ არაბი ავტორები, როდესაც საჰაკ ამირას აქ საქმიანობაზე და სოღდებილისათვის თხრილის შემოვლებაზე მოგვითხრობენ. ნიშანდობლივია. რომ მომდევნო ხანებში თბილისისათვის ბრძოლა ისნის ციხისათვის ბრძოლასაც გულისხმობდა და ისნის გარეშე თბილისი საბოლოოდ აღებულად არ ითვლებოდა.

ამრიგად, IX საუკუნეში თბილისი უკვე სამი ნაწილისაგან შემდგარი ქალაქი იყო. ქალაქის ორ ძველ უბანს, საკუთრივ თბილისს და ციხე კალას, მიემატა, ქალაქის შემადგენლობაში შეეიდა ყოფილი გარეუბანი საგოდებელი.

VIII—IX საუკუნეში თბილისი თანდათან გაიზარდა, გაშენდა და დიდ ქალაქად იქცა. X ს-ის არაბი გეოგრაფი ისთაჰრი წერდა: „ტფილისი დარუბანდზე ნაკლებია და ორი კედელი აქვს თიხისა. სიმდიდრით სავსე ადგილია, მრავალ ხილიან-ნათესებიანი. მრავალი საქონელი და თაფლი მტკვრით მიაქვთ იქიდან. აქვს თბილი წყლები მსგავსად ტიბერიისა, უცეცხლოდ ცხელი. მთელ არანში ბარდავზე, დარუბანდსა და ტფილისზე უფრო დიდი ქალაქი არ არსებობს". იმავე X საუკუნის არაბი ისტორიკოსი იბნ ჰაუკალი, რომელიც 942—943 წლებში თბილისში იყო,

---

[16] ძვ. ქართული აგიოგრ. ლიტ. ძეგლები, I, გვ. 73.

მას ამიერკავკასიის მეორე ქალაქად თვლის და აღნიშნავს, რომ „სიდიდით ის მხოლოდ ბაბ ულ-აბვაბს (დარუბანდს) ჩამოუვარდება“[17].

X ს. პირველი ნახევრის არაბი ისტორიკოსის ტაბარის ცნობით (გარდ. 935 წ.), თბილისს ხუთი კარი აქვს: მაიდნის კარი, კარის კარი, მცირე კარი, სოღდებილის კარი, რაბადის კარი[18]. ყველა კარი საკუთრივ თბილისისაა. ერთი კარით ქალაქი თავის ნაწილს, სოღდებილს, უკავშირდება, მეორეთი თავის რაბადს; „კარის კარი“ ქალაქ კარისაკენ მიმავალ გზაზეა და სხვა[19]. ამავე დროს იგივე ტაბარი, მის მიერ ჩამოთვლილ საკუთრივ თბილისის კართაგან განსხვავებით, ცალკე ასახელებს სოღდებილის ერთ-ერთ კარს, სახელდობრ, „ჰისაქის კარს“, სადაც შეიპყრეს ამირა საჰაკი: შეიძლება ვიფიქროთ, რომ ეს საკუთრივ სოღდებილის კარია, რომელსაც ტაბარი თბილისის კართა შორის არ ასახელებს.

ამგვარად, თუ დავუშვებთ, რომ დასახელებული ხუთივე კარი ქალაქისაა, მაშინ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ქალაქს ამ დროს (IX საუკუნეში) თავისი „რაბადი“ ჰქონია[20].

ვახტანგ გორგასალის დროს თბილისისათვის შემოვლებული ზღუდე ქვისაგან იყო ნაგები. ამის საფუძველს იძლევა ვახტანგისავე დროს აშენებული უჯარმის ციხე. ციხის კედელი რომ თავიდანვე ქვით იყო ნაშენი, ეს ეჭვს არ ბადებს, საკითხი საკუთრივ ქალაქის კედელს ეხება. ბრძოლის დროს ბიზანტიელებს „თან ჰქონდათ ოთხთვლიანი მანქანები და სხვა ნაირ-ნაირი საშუალებანი, გაკეთებული რომაელ ოსტატთა ხელით, რომლებიდანაც ზუსტად ისროდნენ უზარმაზარ ქვებსა და კედლებს ანგრევდნენ“[21]. მოტანილ აღწერილობაში ქალაქის კედლებზეა ლაპარაკი[22].

თბილისის ზღუდე და კარები ხშირად ინგრეოდა გარეშე ძალთა შემოსევებისაგან. ინგრეოდნენ როგორც ქვის, ისე ხის თუ ალიზის კედლები.

---

[17] ისთახრი ჰოდუდ ალ-ალემი, ჰამდალლაჰ ყაზვინი, ქართული თარგმანი შენიშვნებითა და საძიებლითურთ ვ. ფუთურიძისა, თბ., 1937, გვ. 4, 15; ე. სიხარულიძე, იბნ ჰაუკალი თბილისის შესახებ, საქართველოს ისტორიის აღმოსავლური მასალები, წ. I, 1976, გვ. 35.

[18] ო. ცქიტიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 152.

[19] შ. მესხია და სხვ., დასახ. ნაშრომი, 1958, I, გვ. 34.

[20] ო. ცქიტიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 157.

[21] მოსე კალანკატუელის ცნობები, იხ. ლ. დავლიანიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 68.

[22] გარკვეულ საცდურს ქმნის თომა არწრუნისა და ტაბარის აღწერილობა და საგანგებო მითითება, რომ ქალაქი ხისაგან, საკუთრივ ფიქვისაგანაა ნაგები. მაგრამ, ჩანს, მართებული უნდა იყოს მოსაზრება, რომ ხისგან საცხოვრებელი სახლები და სხვა შენობები იქნებოდა ნაგები. ასევე არაა გამორიცხული, რომ 628 წლის ბრძოლებში, როდესაც ქალაქის კედლები დაინგრა, შემდეგ ქალაქს ხის კედელი შემოავლეს, რამაც გააადვილა თბილისისათვის ცეცხლის წაკიდება (ივ. ჯავახიშვილი, მასალები ქართველი ხალხის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, I, 1946, გვ. 40).

ამგვარად, X საუკუნის ბოლოს თბილისი დიდი ქალაქი ყოფილა, ის სამი მთავარი ნაწილისაგან შედგებოდა და კარგად იყო დაცული კედლებითა და ქალაქის კარებით. გარეგნული სახით IX—X სს. თბილისი ტიპური სამნაწილიანი აღმოსავლური ქალაქი იყო.

ეკონომიკური მდგომარეობა

V—X საუკუნეებში თბილისში ინტენსიური სამეურნეო ცხოვრება მიმდინარეობდა, სიონ-ანჩისხატის უბანში მჭიდრო მოსახლეობა იყო. აქ იყო ხელოსნობის მნიშვნელოვანი კერა, სადაც ამზადებდნენ მრავალნაირ თიხის ნაწარმს: საოჯახო ჭურჭელს—ჯამებს, ქვევრებს, ჩაიდნებს, ჭრაქებს. თიხის ჭურჭელი შეგხვდებოდათ როგორც მოუჭიქავი, ისე მოჭიქული, თეთრი, რუხი, წითელი კეცის, წითელი და შავი საღებავით მრავალფეროვნად მოხატული და გაფორმებული. VII საუკუნით დათარიღებულ სქელკედლიანი პირფართო თიხის ჭურჭლის ზედაპირზე ოთხკუთხა ჩარჩოში ჩასმული ფრთებგაშლილი არწივია გამოსახული. ამავე უბანშია ნაპოვნი სხვადასხვა ფორმისა და დანიშნულების მინის ჭურჭელი, რომელსაც VII—VIII და IX—X საუკუნეებით ათარიღებენ. ნაპოვნია ლითონის (რკინის, ბრინჯაოს) ნივთებიც: საყურეები, ბეჭდები, აბზინდები. ხმარებაში ყოფილა ძვლისაგან ნაკეთები საოჯახო ნივთებიც, აგრეთვე კარგად განვითარებული კერამიკული წარმოების პროდუქცია, დამუშავებული ტყავი თუ საფეიქრო ნაწარმი[23].

აღნიშნული ხელოსნური ნაწარმი პირველ რიგში ქალაქის მოსახლეობის მოხმარებისათვის იყო განკუთვნილი, მაგრამ ქალაქგარეთაც გაჰქონდათ, თბილისი აქტიურად იყო ჩაბმული საერთაშორისო ვაჭრობაში.

VI—X საუკუნეებში თბილისში თითქმის უწყვეტლივ მოქმედებდა ზარაფხანა. VI საუკუნის ბოლოსა და VII საუკუნის დასაწყისში აქ ქართლის ერისმთავრები ჭრიდნენ საკუთარ მონეტებს, ხოლო VIII საუკუნის დასაწყისიდან — დამპყრობელი არაბები. მიმოქცევაში იყო უცხოური მონეტაც. აქ თანდათან მრავლდებოდა სასანური მონეტები: პეროზის (459—484 წწ.), კავადის (488—531 წწ.) დრახმები. თბილისში მრავლადაა მოპოვებული VI საუკუნის სასანური და VII საუკუნის ბიზანტიური მონეტები.

თბილისის მონაწილეობა საერთაშორისო ვაჭრობაში განსაკუთრებით გააქტიურდა არაბთა მფლობელობის დამყარების შემდეგ. არაბთა სახალიფო სავაჭრო იმპერიას წარმოადგენდა, რომლის ხელში იყო მთელი აღმოსავლეთის ვაჭრობა. სახალიფოს ვაჭრებს მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდათ დასავლურ სამყაროსთან და იმდროინდელი მსოფლიო მას-

---

[23] ო. ტყეშელაშვილი, ი. გძელიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 44—55.

შტაბით წარმართავდნენ სავაჭრო ოპერაციებს. თბილისი აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ და სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ მიმავალ მსოფლიო სავაჭრო გზაზე მდებარეობდა. იგი უმთავრესად სატრანზიტო ვაჭრობის ცენტრი იყო, მაგრამ, ამასთანავე, აქ ახლომახლო სოფლებიდან შემოჰქონდათ სოფლის მეურნეობის პროდუქტები, რაც იაფად იყიდებოდა. ვაჭრობის საგანს შეადგენდა თბილისელ ხელოსანთა ნახელავიც.

სახალიფოში გატარებულ სამონეტო რეფორმასთანაა დაკავშირებული თბილისში მოჭრილი პირველი არაბული მონეტა 704 წლისა. იმდროინდელ თბილისში არაბული ზარაფხანის არსებობა თავისთავად მნიშვნელოვანი ფაქტია. არაბული მონეტა განუწყვეტლივ იჭრებოდა, რაც სავაჭრო-ეკონომიკური კავშირების გაცხოველების დამახასიათებელია. ამასთანავე, გასათვალისწინებელია ისიც, რომ 704 წლიდან 825 წლამდე თბილისში მოჭრილი მონეტა აღარ ჩანს, ხოლო 825 წლიდან, არაბთა ხელისუფლების განმტკიცების კვალდაკვალ, არაბული მონეტების რაოდენობა თანდათან მატულობს[24].

თბილისში მონეტების მოჭრა, ნაპოვნ უცხოურ მონეტათა სიმრავლე, აშკარას ხდის ქალაქის აქტიურ მონაწილეობას იმ საერთაშორისო ვაჭრობაში. რომელიც ამ საუკუნეებში არაბთა სახალიფოს მეშვეობით ხორციელდებოდა. ნიშანდობლივია, რომ თბილისში X საუკუნის ბიზანტიური მონეტებიც არის ნაპოვნი[25], რაც ბიზანტიასთან სავაჭრო ურთიერთობის არსებობასთან ერთად თბილისის არაბთა უმეშვეო ბატონობის ორბიტიდან თანდათან გამოსვლის მანიშნებელიცაა.

თბილისს მჭიდრო სამეურნეო ურთიერთობა ჰქონდა აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობასთან, რომელსაც აქ თავისი სოფლის მეურნეობის ნაწარმი ჩამოჰქონდა და ქალაქში ადგილობრივი ხელოსნური ნაწარმით თუ შემოტანილი საქონლით მარაგდებოდა.

თბილისი გზებით იყო დაკავშირებული საქართველოს ყველა კუთხესთან, აგრეთვე ჩრდილო კავკასიასთან, ბიზანტიასთან, სომხეთთან, სახალიფოსთან. თბილელი ვაჭრები უკავშირდებოდნენ ამიერკავკასიის ქალაქებს — ანისს, დარუბანდს, დვინს, განსაკუთრებით კი ბარდავს, რომელიც ამიერკავკასიაში არაბთა უზენაესი მოხელის რეზიდენციას წარმოადგენდა.

არაბთა მფლობელობის დროს ამიერკავკასიაში რამდენიმე მნიშვნელოვანი გზა არსებობდა: მარაღა-დვინი, დვინი-ბარდავი, ბარდავი-არდებილი, ბარდავი-დარუბანდი, ბარდავი-თბილისი, არდებილი-ამიდი და

---

[24] Джалагания И. Л., Иноземная монета в денежном обращении Грузии V—XIII вв., с. 57.

[25] თ. აბრამიშვილი, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ბიზანტიური მონეტები, თბ., 1965, გვ. 129, 130, 132.

სხვა[26]. ბარდავიდან გამოსული საქარავანო გზა გაიელიდა განჯას, ხუნანს, გარდაბანს და მიადგებოდა თბილისს. ამ გზის მეშვეობით, მისი სხვადასხვა მონაკვეთებით, თბილისი მთელ იმ სამყაროსთან იყო დაკავშირებული, რომელთანაც ურთიერთობა ჰქონდა სახალიფოს.

თბილისში მოჭრილი არაბული მონეტები რუსეთის ჩრდილო პროვინციებში, აღმოსავლეთ ევროპაშიც არის აღმოჩენილი, რაც ამ ქალაქის ფართო სავაჭრო კავშირებს მოწმობს.

იმდროინდელი მუსლიმანური სამყაროს ცხოვრებაში თბილისის მნიშვნელობაზე აშკარად მეტყველებს მისი დატანა X საუკუნის არაბულ გეოგრაფიულ რუკაზე და გეოგრაფ-ისტორიკოსთა შრომებში საგანგებოდ მითითება იმ გზებზე, რომლითაც თბილისი უკავშირდებოდა შამქორს, განჯას, ბარდავს, სომხეთის ქალაქებს[27].

მიუხედავად იმისა, რომ VII—X საუკუნეებში თბილისი პოლიტიკურად მოწყვეტილი იყო ქართულ ეროვნულ ორგანიზმს, სამეურნეო ცხოვრებით ის მჭიდროდ იყო დაკავშირებული აღმოსავლეთ საქართველოს ეკონომიკასთან და იმ საერთო ეკონომიკური აღმავლობის ცხოველმყოფელ გავლენას განიცდიდა, რაც მაშინდელი ქართული სამყაროსთვისაა დამახასიათებელი.

V—X საუკუნეების თბილისი ეკონომიკურად ძლიერი და მდიდარი ქალაქი იყო. მოსე კალანკატუელის ცნობით, VII საუკუნის თბილისი „ნებიერი, სავაჭრო და სახელოვანი დიდი ქალაქია, საიდანაც ხაზარებმა განძეულობით დატვირთული სკივრები, მარგალიტებით მოოქვილი საეკლესიო სამკაულები და ჭურჭელი, ოქროს და ვერცხლის ფული, ოქროთი მოვარაყებული ვერცხლის ჭიქები და სასმისები და მრავალი სხვა ძვირფასი ნივთი გაზიდეს“[28]. X საუკუნის სომეხი ისტორიკოსი უხთანესი თბილისს „სახელოვან და გამოჩენილ დედაქალაქს“[29] უწოდებს.

IX—X საუკუნეების არაბი ისტორიკოსებისა და გეოგრაფების შრომებში დაცული ცნობების მიხედვით, თბილისი კეთილმოწყობილი ქალაქია; მტკვარზე წისქვილებია გამართული ხორბლეულის დასაფქვავად, ქალაქში მრავლადაა ბუნებრივი ცხელი წყლის აბანოები. არაბი ავტორე-

---

[26] იხ. ლ. ჭილაშვილი, რუსთავი, თბ., 1958, გვ. 184—193; ე. სიხარულიძე. ამიერკავკასიის სამარშრუტო გზები IX—X სს-ში. — კრებ. მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიის საკითხები, თბ., 1963, გვ. 177—187.

[27] გ. ჯაფარიძე, X ს. ამიერკავკასიის არაბული რუკა. „მეცნიერება და ტექნიკა“, 1976, №5.

[28] მოსე კალანკატუელის ცნობები (იხ. ლ. დავლიანიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 67, 78, 83).

[29] უხთანესი, ისტორია გამოყოფისა ქართველთა სომეხთაგან. სომხური ტექსტი ქართული თარგმანითა და გამოკვლევით გამოსცა ზ. ალექსიძემ, თბ., 1975, გვ. 67.

ბი საგანგებოდ აღნიშნავენ ქალაქში სოფლის მეურნეობის პროდუქტების, ხორბლის, თაფლისა და სხვათა სიუხვეს და სიიაფეს, ლაპარაკობენ ქალაქის მოსახლეობის სტუმართმოყვარეობაზე.

თბილისში იყო ბაღები, ბოსტნები, მას გარს ერტყა მდიდარი სასოფლო-სამეურნეო რაიონი. უშუალოდ ქალაქის შემოგარენშიაც იყო აგარები — მდიდარ მოქალაქეთა საკუთრებაში მყოფი სახნავ-სათესი, საბაღბოსტნე მიწები. ქალაქთა შემოგარენში ბაღების და ბოსტნების არსებობა საერთოდ დამახასიათებელი იყო შუა საუკუნეების საქალაქო ცხოვრებისათვის.

თბილისის მოსახლეობის სოციალური შემადგენლობა

V—X საუკუნეების თბილისის მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს ხელოსნები და ვაჭრები შეადგენდნენ. მათი ხელით მზადდებოდა მრავალრიცხოვანი თიხის, მინის, ძვლის თუ ლითონის ნაწარმი. ამ ნაწარმს თვით ხელოსნები და ვაჭრები ჰყიდდნენ.

ხელოსნურ-ვაჭრულ მოსახლეობასთან ერთად ქალაქში ცხოვრობდა ადგილობრივი საქონლის მომხმარებელი მაღალი საზოგადოება.

VI საუკუნიდან, დედაქალაქის თბილისში გადმოტანასთან ერთად, ქალაქში საცხოვრებლად გადმოვიდა უმაღლესი ფეოდალური არისტოკრატიის დიდი ნაწილი. აქ დასახლდნენ მეფის კარის მოხელენი, სახელმწიფო დაწესებულებათა მსახურნი, ქალაქის მოხელენი თავიანთი ოჯახებით.

დედაქალაქში წმინდა მარიამის სახელობის (ანჩისხატის), სიონისა და სხვა ეკლესიათა არსებობა გულისხმობს, საეროსთან ერთად, უმაღლესი სასულიერო არისტოკრატიის, კულტის მრავალრიცხოვან მსახურთა ყოფნას.

თბილისის მოსახლეობის სოციალური შემადგენლობის და ამ მოსახლეობის ქალაქის ცხოვრებაში მონაწილეობის თვალსაზრისით, საინტერესოა ქართული წერილობითი წყაროების ცნობები თბილისში მიმდინარე მშენებლობისა და ამ მშენებლობაში ქალაქის მოსახლეობის მონაწილეობის შესახებ.

ქართლის პირველი ერისმთავრის გუარამის დროს დაიწყო თბილისის სიონის მშენებლობა, რომელიც VII საუკუნის 20—30-იან წლებში დასრულდა. ქართლის მოქცევის ქრონიკის ცნობით, გუარამის დროს „ტფილისისა მკვიდრთა დიდსა ეკლესიისა გებად დაიწყეს: ნახევარსა იქმოდა ყოველი ერი და ნახევარსა ერისთავნი“[30]. ანალოგიურია სხვა

---

[30] ძვ. ქართული აგიოგრ. ლიტ. ძეგლები, I, გვ. 95.

ცნობებიც: „გუარამ კურაპალატმან განაახლა საფუძველი ტფილისისა სიონისა“[31]; გუარამისავე დროს „ტფილისისა მკჳდრთა ეკლესიისა გებად იწყეს, რომლისა ნახევარსა ყოველი ერი აშენებდა და ნახევარსა ერთი ვინმე დიდ კაცი“[32]. თბილისის სიონის მშენებლობა მთავრდება ჰერაკლეს და ხაზარ-თურქთა მიერ თბილისის დარბევის შემდეგ; „ტფილისის სიონი განეშორა მკჳდრთა“[33] (ე. ი. დაამთავრეს მკვიდრთა); „სიონი ტფილისისა განესრულნეს ადარნასე ქართლისა მთავარსა“[34] (ე. ი. ადარნასეს დროს დასრულდა).

როგორც ვხედავთ, კათედრალური ტაძრის მშენებლობა, რომელიც ქართლის ორი ერისმთავრის დროს მიმდინარეობდა დედაქალაქში, გარკვეული თვალსაზრისით, ქალაქისავე მოსახლეობის სხვადასხვა სოციალური ფენების მონაწილეობით განხორციელებულა („ერისთავნი“, „ყოველი ერი“, „მკჳდრნი“)[35]. ეს ფაქტი გვიჩვენებს, რომ იმდროინდელ თბილისში ვაჭარ-ხელოსნებთან ერთად ფეოდალური არისტოკრატიისა და თავისუფალთა საკმაოდ ფართო წრე არსებობდა.

თბილისის მოსახლეობის სოციალური შემადგენლობის საკითხისათვის ფრიად საინტერესო ფაქტია თბილისში ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების დროს აღმოჩენილი, პირველ თავში უკვე ნახსენები აქატის ქვის საბეჭდავი. ამ საბეჭდავზე ამოკვეთილია დიდკაცის სახე და რტო-ფოთლები. იგი ნაპოვნია ტერასაზე ანჩისხატსა და სიონს შორის, ერეკლე მეორის მოედანზე, როსტომის ნასახლარის პირდაპირ. ასეთი საბეჭდავი, რასაკვირველია, დიდკაცს ეკუთვნოდა. ამასთან დაკავშირებით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ აღნიშნულ ტერასაზე იყო თბილისში

---

[31] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 374.

[32] იქვე.

[33] ძვ. ქართული აგიოგრ. ლიტ. ძეგლები, I, გვ. 96.

[34] ქალაქის ცხოვრება, I, გვ. 227.

[35] „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს ისტორიულ ქრონიკაში ნათქვამია, რომ თბილისში დაიწყეს დიდი ეკლესიის შენება, ნახევარს აშენებდა „ყოველი ერი“, ნახევარს კი „ერისთავნი“. „აშკარაა, — წერს ამასთან დაკავშირებით გ. მელიქიშვილი, — რომ „ერი“ რიგითი თავისუფალი ფენის აღმნიშვნელად იქცა, ამასთანავე, ეს ტერმინი მოიცავდა როგორც სასოფლო, ისე ქალაქური დასახლების პუნქტების თავისუფალ მოსახლეობას“ (საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. I, 1970, გვ. 573). ნიშანდობლივია, რომ „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს ავტორისათვის „ყოველი ერი“ და „ერისთავნი“ ერთნაირად თბილისის „კჳდრნი“ არიან, ე. ი. ქალაქის თავისუფალი ფენის წარმომადგენელი „მკჳდრი“, რომელიც თავისი წარმოშობით „უცხოს“ უპირისპირდება, სოციალურ ტერმინად იქცევა და ქართლის მოქცევის ქრონიკაში აშკარად ვიწრო სოციალური მნიშვნელობით იხმარება (იქვე, 573). ასევე IX—X საუკუნეების წერილობით წყაროებში „მკჳდრი“ სოციალური მნიშვნელობით იხმარება და „აღნიშნავს სამეფოს პრივილეგიურ, სრულუფლებიან მმართველ ფენას და არა მთელ მოსახლეობას“ (იქვე; ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული სამართლის ისტორია, II, გვ. 49, 376, 391).

მოსახლე ფეოდალური არისტოკრატიის ციხის გარეთ საცხოვრებელი უბანი[36].

სავარაუდოა, რომ თბილისში იმთავითვე ცხოვრობდნენ უცხოელებიც: სპარსელები, ირანელი მოხელე მარზპანისა და მისი კარის მსახურებით, სამხედრო მოსამსახურეებითა და მათი ოჯახის წევრებით. სპარსული სამხედრო-სამოქალაქო სამსახურის არისტოკრატიის გვერდით აქ ირანელი ხელოსნებიც უნდა ყოფილიყვნენ მცხეთელი მეჯადაგე-მეხამლეების მსგავსად და კულტის მსახურნიც. მათ თავიანთი სამლოცველოებიც ექნებოდათ. ამის ერთ-ერთი ნაშთია ე. წ. „ათეშგა" — ცეცხლის საგზებელი თბილისში.

ირანელთა ბატონობის გადაგდების შემდეგ, VIII საუკუნიდან, ქალაქში არაბული მაჰმადიანური მოსახლეობა მრავლდებოდა. აქ თავს იყრიდნენ არაბი მოხელეები, მოლაშქრეები და ხელოსნებიც კი. ერთი ასეთი ხელოსანი იყო ნელსაცხებელთა ოსტატი, ნერსე ერისმთავრის მსახური აბო.

სამწუხაროდ, არა გვაქვს ცნობები იმდროინდელი თბილისის მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობისა და რაოდენობის შესახებ[37]

განათლება, მეცნიერება და მწერლობა თბილისში IV—X სს.

თბილისის გაქალაქებას და, განსაკუთრებით, დედაქალაქის გადმოტანას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქალაქის კულტურული ცხოვრებისათვის. თბილისი თანდათანობით იქცა ქართული ქრისტიანული კულტურის ცენტრად. მართალია, ქართული საეკლესიო ცენტრი, კათალიკოსის რეზიდენცია, მცხეთაში დარჩა, მაგრამ თბილისში მაშინვე დაარსდა საეპისკოპოსო და ეკლესიათა ინტენსიური მშენებლობა და-

---

[36] ამ საბეჭდავს ათარიღებენ IV—V საუკუნეებით (გ. ლ ო მ თ ა თ ი ძ ე , თბილისის არ-ქეოლოგიური შესწავლილობა. — ისტორიის ინსტ. შრომები, V, 1960, გვ. 170; ი. გ ძ ე ლ ი-შ ვ ი ლ ი , ო. ტ ყ ე შ ე ლ ა შ ვ ი ლ ი , დასახ. ნაშრომი, გვ. 32; გ. ლ ო მ თ ა თ ი ძ ე , ყოფა და კულტურა არქეოლოგიური მასალების მიხედვით. — საქართველოს ისტ. ნარკვევები, II, გვ. 201. არსებობს მოსაზრება, რომ ამ საბეჭდავზე გამოსახულია მეფე ვახტანგ გორგასალი (იხ. ო. ტ ყ ე შ ე ლ ა შ ვ ი ლ ი , თბილისში აღმოჩენილ გემა-საბეჭდავზე გამოსახული პიროვნების ვინაობისათვის, „საბჭოთა ხელოვნება", 1962, №5).

[37] როგორც ზემოთ (გვ. 66) ითქვა, არაბი ავტორის ცნობით, 853 წლის 5 აგვისტოს ტრაგედიის დროს თბილისში 50 000 სული დაიწვა. ამ ცნობის საფუძველზე გამოთქმული ვარაუდი, რომ იმ დროს თბილისში 100 000-მდე მცხოვრები შეიძლება ყოფილიყო. არ არის გამორიცხული, რომ ეს ცნობა და, შესაბამისად, ვარაუდი თბილისის იმდროინდელ მოსახლეობის რაოდენობის შესახებ ცოტა გადაჭარბებულია, თუმცა გასათვალისწინებელია ისიც, რომ სოდგებილი ამ დროს თბილისში შემოდის და, ამასთანავე, ანგარიშგასაწევია ის გარემოებაც, რომ შუა საუკუნეებში აღმოსავლეთის ქალაქებში საერთოდ მრავალრიცხოვანი მოსახლეობა იყო.

იწყო. VI ს. დასაწყისში თბილისში უკვე ეპისკოპოსი ზის[38].

ირანელთა პოლიტიკური ბატონობის პირობებში ქართლში საკმაოდ მნიშვნელოვანი პოზიციები ეპყრა ცეცხლთაყვანისმცემლობას. ქართლის სამეფო, რომელიც სასანიანთა ირანის ვასალი იყო, იძულებული გახდა ცეცხლის მსახურება, ქრისტიანობის გვერდით, კანონით დაშვებულ სარწმუნოებად ეცნო და ამიტომ ქართლში ქრისტიან ეპისკოპოსთან ერთად მეფის კარზე მოგვთა მეთაურიც იმყოფებოდა, რომელსაც ქართული საისტორიო წყარო „სპარსთა ეპისკოპოსს" უწოდებს. სპარსელ მოგვებს ოფიციალურად ჰქონდათ ქართლში თავისი რწმენის პროპაგანდის უფლება და ქართველთა მიერ დამპყრობთა რწმენის მიღების ფაქტებიცაა ცნობილი. იმდროინდელ ქართლში არაერთი ცეცხლის საგზებელი იყო, რომელთა ადგილზე, შემდეგ, მეფე ვახტანგ გორგასალმა ქრისტიანული საეპისკოპოსოები დააარსა.

განსაკუთრებით ძლიერი უნდა ყოფილიყო ცეცხლთაყვანისმცემელთა პოზიციები თბილისში, რომელიც ირანელთა ბატონობის ცენტრს და მათი მარზპანის რეზიდენციასაც წარმოადგენდა. ცეცხლთაყვანისმცემლობის მატერიალური ნაშთია თბილისის ძველ უბანში შემორჩენილი „ათეშგა", ცეცხლის საგზებელი. ეს საგზებელი შეიძლება თბილისში მყოფი ირანელი მოხელეებისა და სამხედრო გარნიზონის ირანული მოსახლეობისათვის იყო განკუთვნილი, მაგრამ არ არის გამორიცხული, რომ თბილისის ქართული მოსახლეობის ნაწილშიც ყოფილიყო გავრცელებული დამპყრობთა რელიგია.

VII საუკუნის დასაწყისიდან, ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ, ქართლში საბოლოოდ ქრისტიანობის მართლმადიდებლური მრწამსი დამკვიდრდა. ამ დროიდან ერისმთავრებმა და თბილისის არისტოკრატიული მოსახლეობის წარმომადგენლებმა დიდი საეკლესიო მშენებლობა გააჩაღეს.

VII—VIII საუკუნეებში თბილისში, მარიამის სახელობის ეკლესიისა და სიონის ტაძრის გარდა, არაერთი სხვა ეკლესიაც აშენდა. VIII საუკუნეში თბილისში უკვე რამდენიმე ეკლესია იყო[39]. აქ დამპყრობელ არაბთა დაბალ ფენებს შორის ქრისტიანობის პროპაგანდაც წარმოებდა, რასაც არაბები მახვილით ხელში ებრძოდნენ.

სწავლა-განათლება

აღნიშნული ხანის სულიერ და მატერიალურ კულტურას ატყვია ქრისტიანული თემატიკისა და იდეოლოგიის ძლიერი გავლენა. თავისთავად ქრისტიანობა, წმინდა პრაქტიკული ხასიათის მოთხოვნილებებიდან

---

[38] ეპისტოლეთა წიგნი, ზ. ალექსიძის დასახ. გამ., გვ. 97.

[39] ვ. ბ ე რ ი ძ ე , თბილისის ხუროთმოძღვრება 1801—1917 წწ., თბ., 1960. გვ. 11.

გამომდინარე, იძულებული იყო დიდი ყურადღება მიექცია სამწიგნობ-რო საქმის განვითარებისათვის; როგორც ცნობილია, ქრისტიანული ღვთისმსახურების აღსრულების დროს იკითხებოდა ადგილები „საღვთო წერილის" წიგნებიდან. სწორედ ამიტომ იყო, რომ ქრისტიანობის გავრცელების პირველ პერიოდში მწიგნობრული კულტურის მატარებლები უმთავრესად სამღვდელოების წარმომადგენლები იყვნენ.

სამღვდელოებამ იმთავითვე შექმნა განსაკუთრებული ორგანიზაციები, რომლებიც ეკლესიის მსახურთა კადრებს ამზადებდნენ, ზრუნავდნენ წიგნადი ფონდის შექმნისათვის და მისი გავრცელებისათვის მორწმუნე ქრისტიანთა შორის. ასე გაჩნდნენ პირველი სკოლები ქრისტიანულ ეკლესიებთან, საეპისკოპოსო კათედრებთან, ცოტა უფრო გვიან კი მონასტრებთან. ისინი თანდათანობით გადაიქცნენ სასწავლო-სასკოლო ცენტრებად და მსხვილ კულტურულ-საგანმანათლებლო კერებად.

თუ როგორ იყო მოწყობილი პირველი საეკლესიო თუ სამონასტრო სკოლები თბილისში, ამაზე მსჯელობა პირდაპირი და ზუსტი ისტორიული ცნობების უქონლობის გამო ძნელია, მაგრამ ისინი ორგანიზებულნი უნდა ყოფილიყვნენ იმ ტიპური ქრისტიანული სკოლების ანალოგიის მიხედვით, რომელნიც მრავლად ჩამოყალიბდნენ საერთოდ ქრისტიანულ ქვეყნებში და მათ შორის საქართველოშიც. აღნიშნულ ხანაში წინა აზიასა და ბიზანტიაში შემოიღეს საპატრიარქო, საეპისკოპოსო, სამონასტრო და საეკლესიო სკოლები. ამათგან, ყველაზე გავრცელებული ტიპი იყო საეპისკოპოსო და საეკლესიო სკოლები, რომელნიც არსებობდნენ ქალაქის მსხვილ საეპისკოპოსო კათედრებსა და ეკლესიებთან. ასეთი სკოლების კლასიკურ მოდელს წარმოადგენდა ცნობილი ნიზიბინის სკოლა, რომლის ძირითად დამახასიათებელ თვისებას შეადგენდა პრაქტიკიზმი: მწიგნობარი ბერ-მონაზვნების აღზრდა და ეკლესიის მსახურთა მომზადება[40]. სასწავლო მასალაც ეკლესიის მსახურთა მომავალი კადრებისათვის შესაბამისად იყო შერჩეული. უმთავრეს საგნებად აქ ითვლებოდა: ეგზეგეტიკა, ე. ი. ბიბლიური ტექსტების შესწავლა და ახსნა-განმარტება, ჰომილეტიკა, ანუ ეკლესიაში საჯაროდ სწავლა-მოძღვრების წარმოება, ლიტურგიკა და ჰიმნოგრაფია (საეკლესიო გალობა)[41].

ქრისტიანობის ოფიციალურ რელიგიად აღიარების პირველ პერიოდში თბილისში, საფიქრებელია, სწორედ ასეთი ტიპის სკოლები უნდა გახსნილიყო. ამ მოსაზრებას მყარ და რეალურ საფუძველს უქმნის „ადრექრისტიანული" ხანის (IV—VII სს.) თბილისის ისტორიის შემდეგი ფაქტები: 506 წლის ქ. დვინის საეკლესიო კრების აქტებიდან ნათლად

---

[40] კ. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, I, თბ., 1951, გვ. 69.
[41] იქვე.

ჩანს, რომ თბილისში ამ დროისათვის უკვე არსებობდა საეპისკოპოსო კათედრა. კერძოდ, „ეპისტოლეთა წიგნში“ დაცულ ამ საეკლესიო კრების მონაწილეთა ნუსხაში ერთ-ერთ საპატიო ადგილას იხსენიება ტფილისის ეპისკოპოსი საჰაკი[42].

ვახტანგ გორგასლის მეფობის დროს, 472—484 წწ., გატარებული საეკლესიო რეფორმების შედეგად, ქართული ქრისტიანული ეკლესია ავტოკეფალური ხდება: მან მოიპოვა კათალიკოსის დამოუკიდებლად არჩევის უფლება. მისი შინაგანი ორგანიზაცია სულ უფრო და უფრო მძლავრი გახდა, გათავისუფლდა ანტიოქიის საპატრიარქოს გავლენისაგან. აღნიშნულ ხანაში თბილისში ფართოდ გაიშალა კულტურულ-საგანმანათლებლო და სამეცნიერო საქმიანობა. თბილისელი სწავლულები აქტიურად მონაწილეობდნენ ქრისტიანული მსოფლმხედველობის საკითხების ზოგად-თეორიულ დამუშავებაში, ჰქმნიდნენ ორიგინალურ, ქართულ ლიტერატურას მწერლობისა და მეცნიერების სხვადასხვა დარგებში, ყალიბდებოდა სწავლა-განათლების თვალსაჩინო ცენტრები.

ძველი ქართული მატიანის, „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს მტკიცებით, V—VI სს-თა მიჯნაზე, დაჩი უჯარმელის მეფობის ხანაში, თბილისში „მარიამ წმიდისა ეკლესია აღაშენეს“. გ. ჩუბინაშვილის ვარაუდით, „მარიამ წმიდაჲ“ უნდა იყოს იგივე ანჩისხატის ტაძარი[43]. VI ს-ის მეორე მეოთხედში თბილისში დღევანდელი ქაშუეთის ტაძრის ადგილას აუგიათ მეორე ეკლესია, რომლის მშენებლობა, ძველი თქმულების თანახმად, დაკავშირებულია დავით გარეჯელისა და მისი მოწაფის ლუკიანეს თბილისში სამისიონერო და საგანმანათლებლო მოღვაწეობასთან[44]. უფრო საგულისხმოა იმავე „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს ავტორის ცნობა VI—VII სს-თა მიჯნაზე თბილისში, გუარამ ერისმთავრისა და სამოელ კათალიკოსის დროს საეპისკოპოსო კათედრალის, „დიდი ეკლესიის“, მშენებლობა. როგორც სამართლიანად ვარაუდობენ, ეს „დიდი ეკლესია“ თბილისის სიონი იყო[45].

უნდა ვიფიქროთ, რომ თბილისში V—VII სს-ში წარმოქმნილი ქრისტიანული რელიგიის ეს კერები — ანჩისხატი (მარიამ წმიდა), ქაშუეთი, სიონი — მარტო წმინდა საკულტო-საეკლესიო ცენტრები კი არ იყო, არამედ მათ განათლებისა და სასწავლო-სასკოლო დანიშნულების მისიაც ჰქონდათ დაკისრებული. თბილისის ამ დასახლებულ პუნქტებში უნდა გახსნილიყო ჩვენ მიერ ზემოთ აღწერილი საეპისკოპოსო და საეკლესიო ტიპის სკოლები. სწორედ მათ ირგვლივ უნდა ყოფილიყვნენ შემოკრე-

---

[42] ეპისტოლეთა წიგნი, გვ. 97.

[43] გ. ჩ უ ბ ი ნ ა შ ვ ი ლ ი, ქართული ხელოვნების ისტორია, I, თბ., 1936, გვ. 50.

[44] იქვე, გვ. 57, 59.

[45] ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, I, თბ., 1946, გვ. 78; ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, შრომები, I, თბ., 1949, გვ. 13.

ბილნი იმდროინდელი თბილისის სწავლა-განათლების საქმისა და ლიტერატურის წარმომადგენლები.

მეცნიერული ცოდნა

VII საუკუნის დამდეგს თბილისის კულტურულ-საგანმანათლებლო და სასწავლო-სამეცნიერო შემოქმედებითი ცხოვრების მეთაური ჩანს კირიონ I, ქართლის კათალიკოსი (599—614 წწ.), რომელმაც თავისი პრაქტიკული საქმიანობით დიდად შეუწყო ხელი თბილისში განათლების, მეცნიერებისა და ლიტერატურის შემდგომ განვითარებას. მისი თაოსნობით თბილისი გადაიქცა ქართული მწიგნობრობის დიდ კერად. განსაკუთრებით აღსანიშნავია კირიონ I-ის პატრიოტული მოღვაწეობა; იგი მედგრად იდგა ქართული ეკლესიისა და ეროვნული კულტურის სადარაჯოზე.

როგორც ცნობილია, თბილისის დედაქალაქად გადაქცევის შემდეგ საკათალიკოსო საყდარი მცხეთაში დარჩა, მაგრამ როგორც ეს საისტორიო წყაროთა („ეპისტოლეთა წიგნი", უხთანესის „ისტორია") ცნობებიდან ჩანს, კირიონ კათალიკოსმა თავის ძირითად სამყოფელად თბილისი, სიონის საეპისკოპოსო კათედრალური ტაძარი აირჩია. უხთანესის ცნობით, კირიონის დროს კათალიკოსის რეზიდენცია „წმინდა სიონის ფარეხში იყო, რომელიც სამეფო სასახლის ახლოს მდებარეობდა"[46].

კირიონ I წარმოშობით ჯავახეთის სოფელ სკუტრიდან (საქუდრია) იყო. პირველდაწყებითი განათლება თავის სოფელში მიუღია. ამის შემდეგ კირიონი სწავლის გასაგრძელებლად წასულა საბერძნეთში — მცირე აზიის დაბა ქალაქ ნიკოპოლისში. აქ მას მიუღია საფუძვლიანი ბერძნული განათლება და დიოფიზიტობა. VI ს-ის დასასრულს კირიონი ქართლის კათალიკოსად აირჩიეს. მისი სახელმწიფოებრივი, ეროვნული და რელიგიური პოლიტიკა შეესაბამებოდა ქვეყნის წამყვანი სოციალური და პოლიტიკური ძალების განწყობილებას, რის გამოც კირიონს დიდი გავლენა მოუპოვებია ქართლის სასულიერო და საერო ცხოვრებაზე. მისი ენერგიული მოღვაწეობის შედეგად ქართლში საბოლოოდ გაიმარჯვა დიოფიზიტობამ, ხოლო ქვეყნის პოლიტიკურ-კულტურული ორიენტაციის კურსი ბიზანტიისაკენ წარიმართა[47].

კირიონი თავისი დროის პოლიტიკური მოღვაწე და ცნობილი მწერალი იყო. მას რელიგიისა და ეკლესიის ორგანიზაციულ საკითხებზე მი-

---

[46] უ ხ თ ა ნ ე ს ი, ისტორია გამოყოფისა ქართველთა სომეხთაგან, სომხური ტექსტი ქართული თარგმანითა და გამოკვლევით გამოსცა ზ. ალექსიძემ, თბ., 1975. გვ. 43.

[47] კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, 1, გვ. 109—110; პ. ი ნ გ ო რ ო ყ ვ ა, თხზულებათა კრებული, ტ. IV, თბ., 1978, გვ. 289—290; ზ. ა ლ ე ქ ს ი ძ ე. კირიონ ქართლის კათალიკოსი (ეპისტოლეთა წიგნი, გვ. 167—272).

მოწერა ჰქონდა რომის პაპთან, იერუსალიმისა და სომხეთის პატრიარქებთან, სპარსეთის სამეფოს უმაღლეს მოხელეებთან. ჩვენამდე მოაღწია რომის პაპის გრიგოლ დიდის ვრცელმა პასუხმა (ლათინურ ენაზე) კირიონის ერთ-ერთ ეპისტოლეზე[48], აგრეთვე კირიონის მიმოწერამ სომხეთის პატრიარქთან და გურგანის მარზპანთან (სომხურ ენაზე). კირიონის ეპისტოლენი არსებულა როგორც ქართულად, ისე ბერძნულ და სომხურ ენებზე და გარკვეულ დრომდე ისინი თბილისის საკათალიკოსო კანცელარიაში ინახებოდა[49]. კირიონის ეპისტოლეთა სომხური თარგმანი შეტანილია ცნობილ ქრესტომათია-კრებულში — „ეპისტოლეთა წიგნი". კირიონის ეპისტოლენი დამოწმებული და მოყვანილია აგრეთვე X ს. სომეხი ისტორიკოსის უხთანესის „ისტორიაში".

კირიონის სახით ჩვენს წინაშე წარმოდგება ღრმად განათლებული, ფართო ერუდიციისა და დიაპაზონის, დახვეწილი ლიტერატურული გემოვნების მქონე მწერალი. კირიონის თითოეული ეპისტოლე არის არა მარტო კონფესიური, არამედ პოლიტიკური ლიტერატურის უძველესი და ამასთან მეტად მნიშვნელოვანი ძეგლი. კირიონის ეპისტოლენი გამსჭვალულია განსაკუთრებული პოლიტიკური ტაქტითა და შორსმჭვრეტელობით. ამ წერილების მიხედვით, კირიონი გვევლინება როგორც თავდაჭერილი პოლემიკოსი, გონიერი და მტკიცე დიპლომატი, ფართო საერთაშორისო ინტერესების მქონე პიროვნება, გაბედული სახელმწიფო მოღვაწე და, რაც მთავარია, დიდი პატრიოტი, რომელიც მედგრად იცავს სამშობლოს ინტერესებს უცხო სახელმწიფოთა წარმომადგენლებთან პაექრობის დროს.

VII ს-ის დამდეგს თბილისი განათლებისა და მეცნიერების მნიშვნელოვანი ცენტრი ყოფილა. ამ ხანაში თბილისის სიონის ტაძარში არსებულა საკმაოდ მდიდარი ბიბლიოთეკა-წიგნსაცავი, სადაც ინახებოდა იმდროინდელ ცივილიზებულ მსოფლიოში უკვე ცნობილი კანონიკური მწერლობის ძეგლები. კერძოდ, როგორც ეს ნათლად ჩანს კირიონის მიერ აბრაამ სომეხთა კათალიკოსისადმი გაგზავნილი ერთ-ერთი საპასუხო ეპისტოლედან, VII ს-ის თბილისელ სწავლულ მეცნიერებს ხელთ ჰქონდათ მსოფლიო საეკლესიო კრებების ძეგლისწერათა წიგნები, რომელთაც ისინი მეტად ოსტატურად იყენებდნენ რელიგიური კამათის დროს[50]. ამასთან დაკავშირებით ივ. ჯავახიშვილი წერს: „სრული უეჭველობითა ჩანს, რომ VI—VII სს. საქართველოს ეკლესიას მსოფლიო კრებების ძეგლისწერათა წიგნი ჰქონია და ამგვარად ქართული კანონიკური მწერლო-

---

48. მ. თ ა მ ა რ ა შ ვ ი ლ ი , ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, ტფილისი, 1902, გვ. 24.

49 ეპისტოლეთა წიგნი, გვ. 248.

50 იქვე, გვ. 102—111.

ბა, ამ შემთხვევაში მსოფლიო ეკლესიის კანონების თარგმანების სახით მაინც, უკვე არსებობდა"[51].

თბილისის წიგნსაცავები მეზობელი ქვეყნების მეცნიერთათვისაც კარგად ყოფილა ცნობილი. მაგალითად, უხთანესს თავისი თხზულების წერის დროს, როდესაც სომეხ ეპისკოპოს მოსე ელივარდელსა და კირიონ ქართლის კათალიკოსს შორის მიმოწერის მასალები დასჭირდა და იგი ვერ აღმოაჩინა სომხურ ენაზე არსებულ სათანადო კრებულებში, ვადაწყვიტა მათი ქართული შესატყვისების მოძებნა თბილისის წიგნსაცავებში. დაკარგული ეპისტოლეების ქართული ვარიანტები უხთანესმა მართლაც აღმოაჩინა „საკვირველნაშენ და საოცარ, სახელოვან და გამოჩენილ დიდ დედაქალაქ თბილისში", ათარგმნინა და შეიტანა თავის თხზულებაში[52].

მწერლობა

VIII ს-ის მეორე ნახევარში თბილისში მოღვაწეობდა გამოჩენილი ქართველი მწერალი იოანე საბანისძე, ავტორი „აბოს წამებისა". ამ ნაწარმოებში აღწერილია არაბი ჰაბუკის, აბოს მარტვილობა, ქრისტიანობისათვის მისი თავდადება. აბო არაბეთიდან ქართლში გამოჰყვა ნერსე ერისმთავარს. აქ, თბილისში, იგი გაეცნო ქრისტიანულ სარწმუნოებას, უარყო ისლამი და მიიღო ქრისტიანობა. არაბებმა რამდენიმეჯერ დააპატიმრეს აბო, მოსთხოვეს ისევ ისლამს დაჰბრუნებოდა. ამაზე აბომ უარი განაცხადა, რის გამოც არაბებმა მას თავი მოჰკვეთეს 786 წელს. აბოს წამებას დიდი საზოგადოებრივი რეზონანსი გამოუწვევია. ქართულმა ეკლესიამ იგი წმინდანად შერაცხა და მიჩნეული იყო ქ. თბილისის მფარველად. ქართლის კათალიკოსმა სამოელმა (780—790 წწ.) საგანგებო წერილით მიმართა თბილისის მკვიდრს, აბოსთან დაახლოებულ პირს იოანე საბანისძეს და მისი მარტვილობის აღწერა სთხოვა. იოანე საბანისძემ ქართული მხატვრული პროზის ბრწყინვალე ძეგლი შექმნა (786—790 წწ.). თხზულებას წაუმძღვარა სამოელ კათალიკოსის ეპისტოლე და თავისი პასუხი. კათალიკოსის ეპისტოლეს მოკრძალებული ტონი მკვლევართ აფიქრებინებს, რომ იოანე საბანისძე საერო პირი უნდა ყოფილიყო.

საბანისძე დიდად განათლებული პიროვნება, აგიოგრაფიული მწერლობის საუცხოო მცოდნე და დახელოვნებული მწერალი ყოფილა. მას უნდა ეკუთვნოდეს აგრეთვე ძველი საგალობელი აბო თბილელის შესახებ, რომელიც ალბათ თბილისში უნდა შექმნილიყო. განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ის ფაქტიც, რომ სამოელ ქართლის კათალი-

---

[51] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული სამართლის ისტორია, I, თბ., 1928, გვ. 26—28.
[52] უ ხ თ ა ნ ე ს ი, ისტორია გამოყოფისა ქართველთა სომეხთაგან, გვ. 37,67.

კოსმა ქრისტიანული რელიგიისათვის თავდადებულ აბოს თავგადასავლის აღწერა თბილისელ მოღვაწეს, იოანე საბანისძეს დაავალა. ეს იმის აშკარა მოწმობაა, რომ აღნიშნულ ხანაში თბილისში მდიდარი ლიტერატურული ტრადიციები არსებობდა და რომ ქართლის დედაქალაქში ლიტერატურულ-შემოქმედებითი ატმოსფერო სუფევდა.

იოანე საბანისძის დიდი დამსახურება, უპირველეს ყოვლისა. იმაში მდგომარეობს, რომ მან აბოს მარტვილობის აღწერით მიზნად დაისახა ქართველთა ეროვნული თვითშეგნების განმტკიცება არაბთა ბატონობის მძიმე პერიოდში. მან მოხერხებულად გამოიყენა არაბი აბოს მიერ ქრისტიანობისათვის თავდადების ფაქტი. თუ ასე მოიქცა აბო, „თესლი არაბიელთა მამულად და დედულად", რაღა გვეთქმის ჩვენ, ქართველებს, რომელთაც ხუთას წელზე მეტია ქრისტეს რჯული გვიპყრია, ნუთუ ჩვენ უფრო მეტი სიმტკიცე და თავდადება არ გვმართებს იმ რჯულისათვის, რომელსაც აბო მსხვერპლად შეეწირაო?! ასეთია იდეური მხარე საბანისძის თხზულებისა. თბილისელი პატრიოტი მოღვაწის საბანისძის ასეთი მოწოდება განამტკიცებდა ქართველების ეროვნულ თვითშეგნებას და აკაჟებდა არაბი დამპყრობლების წინააღმდეგ მებრძოლთა სულისკვეთებას.

იოანე საბანისძის თხზულებაში მშვენივრად არის აღწერილი VIII საუკუნის მეორე ნახევრის თბილისისა და საერთოდ ქართლის სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული ვითარება. „აბოს მარტვილობის" მნიშვნელობა სცილდება საქართველოს ისტორიის ფარგლებს. იგი შეიცავს საყურადღებო ცნობებს მეზობელი ქვეყნების — ხაზარეთის, ოსეთის, ბიზანტიისა და არაბეთის ისტორიის შესწავლისათვის.

იოანე საბანისძის თხზულების მიხედვით ჩვენ შესაძლებლობა გვეძლევა წარმოდგენა ვიქონიოთ VIII ს-ის მეორე ნახევარში თბილისში ისტორიული მეცნიერებისა და საზოგადოებრივი აზრის განვითარების დონეზე. ავტორს კონკრეტული ისტორიული მოვლენის განზოგადების ჩინებული უნარი აქვს. „მან შესძლო ის, რაც ვერ შესძლეს ევსტათე მცხეთელის, რაჟდენისა და სხვათა მარტვილობათა გამომთქმელებმა: ცხოვრების კერძო მოვლენაში მან საზოგადო-მნიშვნელოვანი გარემოება შენიშნა და დაინახა"[53]. პირადად „ავტორი რთული საისტორიო მეთოდით სარგებლობს: მას ჯერ იმდროინდელი პოლიტიკური, საზოგადოებრივ-ეკონომიკური და სარწმუნოებრივი მდგომარეობა აქვს აღწერილი, შემდეგ თვით ამბავია მოთხრობილი და ამ მოვლენის მნიშვნელობა არის გამორკვეული მაშინდელი პირობებისდა მიხედვით. ხოლო ამგვარი საის-

---

[53] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა (V—XVIII სს.). — თხზულებანი, ტ. VIII, თბ., 1977, გვ. 78.

ტორიო თხრობის წესი ქართული მაშინდელი საისტორიო მწერლობის დიდ მეთოდოლოგიურ წარმატებად უნდა ჩაითვალოს"[54].

ხუროთმოძღვრება და სახვითი ხელოვნება

ქართულმა ხუროთმოძღვრებამ და სახვითმა ხელოვნებამ, როგორც ცნობილია, IV—X საუკუნეთა მანძილზე დიდ წარმატებას მიაღწია: X საუკუნისათვის, რომელიც უშუალოდ წინ უსწრებს საქართველოს გაერთიანებასა და ქართული ხელოვნების ახალი აყვავების ხანას, მას უკვე განვლილი აქვს სტილისტიკური განვითარების მნიშვნელოვანი საფეხურები, სავსებით ჩამოყალიბებული და გამოკვეთილია ხუროთმოძღვრების მკაფიო ეროვნული სახე, თავისებური განვითარების სურათს წარმოგვიდგენს ქართული სახვითი ხელოვნების დარგებიც — რელიეფური ქანდაკება, ჭედურობა, ხელნაწერთა მორთულობა, მონუმენტური მხატვრობა (მოზაიკები, ფრესკები). იმ საუკუნეებმა ბევრი ღირსშესანიშნავი ძეგლი დაგვიტოვა, თუმცა, თავისთავად ცხადია, რომ ის, რაც გადარჩა, მხოლოდ მცირე ნაწილია ოდესღაც არსებულისა.

ჩვენ ხელთ არსებული მასალის მიხედვით არ ჩანს როგორი იყო ადრეული ფეოდალური ხანის ქართულ ხელოვნებაში (ხუროთმოძღვრების გამოკლებით) საკუთრივ თბილისის როლი. ეს იმითაც აიხსნება, რომ — როგორც ახლახან აღვნიშნეთ — ძეგლთა ნაწილს დღემდის არ მოუღწევია. მაგრამ არის სხვა, არსებითი მიზეზები: შუა საუკუნეების საქართველოში, რამდენადმე ისევე, როგორც დასავლეთ ევროპაში, კულტურისა და ხელოვნების უმთავრესი ცენტრები მარტო ქალაქები კი არ იყო, არამედ მონასტრებიც. არაბების შემოსევამ და მათმა დამკვიდრებამ ქართლის შუაგულში გამოიწვია კულტურული და შემოქმედებითი ძალების ნაწილობრივი გადანაცვლება პერიფერიებში. ცნობილია, მაგალითად, როგორი წვლილი აქვთ შეტანილი ქართული კალიგრაფიის, სამინიატურო ხელოვნების, ჭედურობის, მონუმენტური მხატვრობისა და ქანდაკების განვითარებაში (რომ არაფერი ვთქვათ ხუროთმოძღვრებაზე) ტაო-კლარჯეთის სამონასტრო ცენტრებს. ასეა თუ ისე, ჩვენ არ გაგვაჩნია მაშინდელი ხელნაწერები, ქანდაკების, ჭედურობის ან მხატვრობის ნიმუშები, რომელთა შესრულებაც თბილისთან შეგვეძლო დაგვეკავშირებინა.

თბილისის მაშინდელი გარეგნული სახის, მისი ხუროთმოძღვრული თავისებურებების შესახებ შეგვიძლია ვიმსჯელოთ წერილობით ძეგლებში გაფანტული ძუნწი ცნობების, თითო-ოროლა გადარჩენილი მონუმენტური ნაგებობისა და, აგრეთვე, ანალოგიების მიხედვით.

---

[54] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა (V—XVIII სს.), თხზ., ტ. VIII, თბ., 1977.

როდესაც ქალაქის თავისებურებას ვსწავლობთ, იმთავითვე გასათვალისწინებელია შემდეგი ფაქტორები: ა) ბუნებრივი პირობები: რელიეფი და მდინარე — ეს სტაბილური მონაცემებია, რომლებიც თბილისის სახეს განსაზღვრავდა თავიდანვე და საუკუნეთა მანძილზე, თვით დღევანდელ დღემდე; ბ) ქალაქი ჩამოყალიბდა ფეოდალურ ხანაში და ამიტომ ატარებდა ყველა ფეოდალური ქალაქის „სავალდებულო“ ტიპურ ნიშნებს; გ) თბილისი დედაქალაქი იყო — ე. ი. ხელისუფალთა (ქართველთა, არაბთა) რეზიდენციას წარმოადგენდა, რაც აგრეთვე გარკვეულ კვალს ამჩნევდა მის თავისებურებას.

თბილისი იმ ქალაქთა რიგს მიეკუთვნება, რომელთაც მკვეთრად გამოვლენილი, კონტრასტული რელიეფი აქვთ. თუ გავითვალისწინებთ, რომ ქალაქი ახლანდელ აბანოების უბანში ჩაისახა და VI—VII საუკუნეებში მისი ფარგლები მტკვრის აღმა ახლანდელ ბარათაშვილის ქუჩას აღწევდა, ადვილად წარმოვიდგენთ ბუნებრივ გარემოს: სოლოლაკის ქედი და მისი კონცხი[55], წავკისის (დაბახანის) ვიწრო ხეობა, რომლის ნაპირებზედაც მდებარეობს თბილი მინერალური წყლები, ვაკე ადგილი ქედის ჩრდილოეთით; ამას უნდა დავუმატოთ, ცხადია, მტკვარი, რომლის ნაპირებიც აქ, მთის ძირში, ყველაზე მეტად უახლოვდება ერთმანეთს, და — ესეც არსებითი ელემენტია — მდინარის მარცხენა შვეული კლდოვანი ნაპირი, რომელიც სრულიად განუმეორებელ იერს ანიჭებს ამ არემარეს.

ამ მონაცემთა მიხედვით განაწილდა ფეოდალური ქალაქის უმთავრესი შემადგენელი ნაწილები: შიდაციხე მოთავსდა მთის კონცხზე და იმთავითვე თბილისის ხუროთმოძღვრულ დომინანტად იქცა — მას კალა ეწოდა; მთის ფერდზე, მტკვრის ნაპირიდან მოყოლებული, შეფენილია საცხოვრებელი სახლები; საცხოვრებელ უბანს უჭირავს ვაკე ტერიტორიაც. ეს უბანიც აგრეთვე გალავანშემორტყმულია ისევე, როგორც სხვა ფეოდალურ ქალაქებში (ძველი ტექსტები ხომ პირდაპირ მიგვითითებს როგორც ქალაქის, ასევე შიდა-ციხის — ციტადელის—გალავანთა არსებობას: ჯუანშერით, ვახტანგ გორგასლის ძემ დაჩიმ „განასრულნა ზღუდენი ტფილისისანი“; ხოლო როდესაც ბიზანტიის კეისარმა ჰერაკლემ თბილისი დაიპყრო, „ციხესა კალასასა დარჩეს კაცნი“ და არ დაემორჩილნენ დამპყრობთ. ეს სწორედ იმას ნიშნავს, რომ, გარდა ქალაქის საერთო სათავდაცვო სისტემისა, არსებობს ციტადელის დამოუკიდებელი გამაგრებაც).

მას შემდეგ, რაც თბილისში არაბთა ამირამ დაისადგურა, აქ როგორც მისი, ისე ქართლის ერისმთავართა რეზიდენცია იყო, ე. ი. სათანადო სასახლეებიც უნდა ყოფილიყო. საფიქრებელია, რომ არაბი ხელისუფ-

---

[55] ეხმარობთ იმ დასახელებებს, რომლებიც დღეს არის ცნობილი.

ლის საცხოვრებელი, ამირას „ტაძარი“, რომლის ეზოშიაც მოჰკვეთეს თავი აბო ტფილელს, თუ ციტადელში არა, მის მახლობლად მაინც უნდა მდგარიყო.

აბო ტფილელის მარტვილობის თანახმად, იმდროინდელ ტფილისში (ე. ი. VIII ს-ში) რამდენიმე ეკლესია მაინც იყო (აბომ „განიძარცუა... სამოსელი თჳსი და განსცა იგი სავაჭროდ, რაჲთა უყიდონ მას სანთელად კერიონები და საკუმეველი, და წარსცა ყ ო ვ ე ლ თ ა მ ა თ ე კ ლ ე - ს ი ა თ ა ქ ა ლ ა ქ ი ს ა თ ა ო“). უფლება გვაქვს ვიფიქროთ, რომ ზოგი მათგანი მაინც გუმბათოვანი იქნებოდა — ეს კი ნიშნავს, რომ როგორც დღევანდელ ძველ უბნებში, მაშინდელ ქალაქშიაც ისინი გარკვეული ხუროთმოძღვრული მახვილების როლს ასრულებდნენ.

მაშინდელი ორი ეკლესია დღესაც არსებობს — საეპისკოპოსო ტაძარი სიონი, რომელიც VII საუკუნის ოციან წლებში უკვე აშენებულად იხსენიება, და ამჟამად (XVII საუკუნიდან) ანჩისხატად წოდებული VI საუკუნის ეკლესია („ტფილისს კაცნი დასხდებოდეს და მარიამ წმიდა ეკლესია აღაშენესო“ — ეს სიტყვები ანჩისხატს გულისხმობს).

სიონმა მას შემდეგ იმდენჯერ იცვალა სახე, რომ დღეს გაგვიძნელდება მისი თავდაპირველი გარეგნობის წარმოდგენა (თვით ტიპის დადგენაც კი). ანჩისხატიც გადაკეთებულია, მაგრამ მისი თავდაპირველი სახე მაინც ეჭვს არ იწვევს: ეს სამნავიანი ბაზილიკაა, ე. ი. იგი საკულტო ნაგებობათა იმ ტიპს მიეკუთვნება, რომელიც საქართველოში ქრისტიანობის მიღების შემდეგ გავრცელდა, ხოლო V—VI საუკუნეებში განსაკუთრებით განვითარდა (ბოლნისის სიონი, ურბნისის ტაძარი, ადრინდელი ბაზილიკები კახეთში).

ჩვენი საუკუნის სამოციან წლებში ანჩისხატის რესტავრაცია ჩატარდა. მას ჩამოაშორეს გვიანდელი (XVII და XIX საუკუნეების) დანამატები, აღადგინეს კედლების ძველი წყობის ნაწილი. შენობის ფასადები, ქართული საეკლესიო ხუროთმოძღვრების მტკიცედ შემუშავებული წესის თანახმად, თლილი ქვით იყო მოპირკეთებული. ამ ადრინდელი ხანისათვის დამახასიათებელია საფასადო მორთულობის სიძუნწე — სულ ორიოდე რელიეფი იყო ჯვრის გამოსახულებით. ასევე დამახასიათებელია იმ დროისათვის თაღების ნალისებრი მოხაზულობა და ღია თაღოვანი ლუნეტები შესასვლელების თავზე (ასევეა ბოლნისის სიონშიც). შიგნით შენობის კედლები მოურთავი იქნებოდა — ახლანდელი მოხატულობა გვიანდელია.

ამავე ადრინდელ ხანას, საფიქრებელია, VI საუკუნესვე, მიეკუთვნებოდა ქვაშვეთის პირველი ეკლესიაც, რომელიც მაშინ ქალაქგარეთ იდგა. ეს იყო მცირე, მარტივი გეგმის მქონე, ტეტრაკონქი (ე. ი. გეგმა ჯვარისებრი იყო, ოთხი ნახევარწრიულად მომრგვალებული მკლავით) — მსგავსი ეკლესია იმავე ხანებში აშენდა კახეთშიაც — ძველ გავაზში.

ეს ერთი ადრინდელი ნიმუშთაგანი იყო ქართული საკულტო გუმბათოვანი ხუროთმოძღვრებისა (XVIII ს-ში ამ ეკლესიის ადგილას იმავე გეგმით ააშენეს ახალი ეკლესია, რომელმაც XX ს. დასაწყისში ადგილი დაუთმო ახლანდელ „ქვაშვეთს“).

თუმცა თავისი არსებობის პირველ საუკუნეებში ქალაქი მდინარის მარჯვენა ნაპირზე ვითარდებოდა, იგი „ცალი ფეხით“ მარცხენა ნაპირზედაც იყო გადასული. ახლანდელი მეტეხის ძირში მდებარეობდა „ჯიდი ქალაქისა“ (ერთადერთი), ხოლო თვით მეტეხის ტაძრის ადგილას, „პირსა ზედა კლდისასა, რომელ არს კბოდჱ, კლდჱ მდინარისა მის დიდისაჲ“, ყოფილა „სადილეგო“ (საპატიმრო) და სასაფლაო („საგოდებელი“). ეს ქალაქის გარეუბანია. და მაინც, შეიძლება მივიჩნიოთ, რომ მტკვარი ქალაქის ხუროთმოძღვრული ღერძი იყო, რომელიც აშკარა გავლენას ახდენდა მასზე: თბილისი იმთავითვე მდინარისაკენ იყო მიმართული მთელი თავისი სახით: მდინარის ნაპირიდან ტერასებად განლაგებული ქალაქი მთლიანად „იკითხებოდა“, სულ ქვემოთ მდებარე შენობებით დაწყებული და დამაგვირგვინებელი ციტადელით დამთავრებული. შემთხვევით არ იყო, რომ ქალაქის ორივე უმთავრესი ეკლესიაც მტკვრის პირას აშენდა. შეიძლება ითქვას, რომ შუა საუკუნეების მთელ მანძილზე მდინარე ქალაქისათვის ინარჩუნებდა მიზიდულობის ძალას.

ჩვენ არ ვიცით როგორი იყო მაშინდელი საქალაქო საცხოვრებელი სახლები. დაგეგმარების მხრივ კი ყველა ფეოდალური ქალაქი მეტ-ნაკლებად ჰგავდა ერთმანეთს: უნდა ვივარაუდოთ,რომ ისევე, როგორც გვიან ფეოდალურ ხანაში, ვახუშტის დროს, განაშენიანება ქაოსური იყო, ქუჩები ვიწრო და მიხვეულ-მოხვეული, რელიეფის გამო — აღმა-დაღმა მიმართულიც; რომ არსებობდა უბნების დიფერენცირება ფუნქციისა და სოციალური ნიშნების მიხედვით (საბაზრო, სახელოსნო ქუჩები ან მოედნები, აბანოების უბანი — X საუკუნის სომეხი და არაბი ისტორიკოსები იხსენიებენ კიდეც თბილისის აბანოებს და, აგრეთვე, წისქვილებს; „არისტოკრატიული“ უბანი და ღარიბების უბანი). მთავარი ქუჩები აუცილებლად დაკავშირებული იქნებოდა ქალაქის ჭიშკრებთან (ჭიშკარი, რომელიც ღამით იკეტებოდა, აგრეთვე აუცილებელი ატრიბუტია ფეოდალური ქალაქისა), ე. ი. ქალაქზე გამავალ უმთავრეს გზებთან..

შუა საუკუნეებში ქალაქი, ცხადია, ვითარდებოდა, იზრდებოდა და კნინდებოდა ისტორიულ მოვლენათა ზეგავლენით, ხან სიმდიდრით და დიდებული შენობებით იყო განთქმული, ხან ნანგრევებადაც ქცეული; მაგრამ ფეოდალური ხანის მთელ მანძილზე პრინციპული თვალსაზრისით მას არსებითი ცვლილებები არ განუცდია.

IV

თბილისი საქართველოს ფეოდალური მონარქიის ძლიერების ხანაში

თბილისის გადაქცევა ერთიანი საქართველოს სატახტო ქალაქად

ბრძოლა თბილისის შემოერთებისათვის XI საუკუნეში

ფეოდალური აღმავლობის გზაზე მტკიცედ შემდგარი საქართველოს სახელმწიფო ვერ შეურიგდებოდა „თბილისის საამიროს“ არსებობას ქართლის შუაგულში. XI ს. დამდეგს ქართველი მეფის ხელისუფლება ჩვენი ქვეყნის მიწა-წყლის დიდ ნაწილს აერთიანებდა. მისი გავლენა ახლა ამ საამიროზედაც ვრცელდებოდა, მაგრამ ეს საკმაო არ იყო.

თბილისში ამ დროსაც ჯაფარიანთა წარმომადგენელი არაბი ამირა იჯდა. მაჰმადიანები მძლავრობდნენ ქალაქსა და მის სანახებში და ავიწროებდნენ იქ მოსახლე ქართველ ქრისტიანებს. ამირა, როგორც ჩანს, რელიგიური ერთობის ნიადაგზე უკავშირდებოდა საქართველოს მეზობელ მუსლიმანურ პოლიტიკურ ერთეულებს, რომლებსაც მართლმადიდებლური სახელმწიფოს გაძლიერება ხელს არ აძლევდათ.

საქართველოს მეზობელი და ერთმორწმუნე ბიზანტიაც არ იყო დაინტერესებული ჩვენი ქვეყნის წინსვლით, რომელსაც იგი თავისი გავლენის სფეროდ მიიჩნევდა, და ხელს უშლიდა მის ბრძოლას დამოუკიდებლობისათვის.

ბიზანტიას ჰქონდა საფუძველი ეფიქრა, რომ ადრე თუ გვიან იგი ამიერკავკასიაში პოლიტიკურ გავლენას უნდა გამოთხოვებოდა. ჯერ კიდევ ბაგრატ III-ის დროს (980—1014 წწ.) საქართველომ ყმადნაფიცობის პირობით დაიმორჩილა და დახარკა შარვანის ქვეყანა, თავისი გავლენა კასპიის ზღვის ნაპირებამდე გაავრცელა. მართალია, ასეთი გაძლიერება მაშინ სტაბილური არ იყო, მაგრამ მსგავსი ფაქტები საგარეო წინააღმდეგობას ამწვავებდა.

ბიზანტია ხშირად უკავშირდებოდა საქართველოს შიგნით ცენტრალური ხელისუფლების მოწინააღმდეგე დიდ აზნაურებს. ისინი მხოლოდ „პატრონ-ყმობის“ (ვასალობის) პირობით უჭერდნენ მხარს საქართველოს გაერთიანებას, ისე რომ მათი ბატონკაცობა არ შეზღუდულიყო; მეფეს ვასალების გადაყენების უფლება არ უნდა ჰქონოდა. ასეთ ვითარებაში თბილისის უშუალო შემოერთების პრობლემა საკმაოდ რთული ჩანდა.

· თბილისი ამიერკავკასიის მთავარ სავაჭრო-სატრანზიტო მაგისტრალზე მდებარეობდა და თავისი სტრატეგიული მნიშვნელობითაც დიდ ყურადღებას იქცევდა. იგი ძველი ალბანეთის ცენტრის ქ. ბარდავის (ბარდა) გზით უკავშირდებოდა აღმოსავლეთით შარვანსა და კასპიის ზღვისპირეთს, ხოლო სამხრეთ-დასავლეთით, ტაოს ქართული სამეფოს მეშვეობით, სავაჭრო მაგისტრალი — დვინი-თავრიზი-ხლათი, ტრაპიზონ-ერზერუმი — მიიმართებოდა არაქს-ევფრატისა და ვანის თუ ურმიის ტბების რეგიონებისაკენ[1]. სამწუხაროდ, XI ს. პირველ მესამედში, ბიზანტიის აგრესიის შედეგად, იმიერ ტაო — საქართველოს სამხრეთ-დასავლეთი ნაწილი — საკმაოდ დიდი ხნით იქნა მიტაცებული. 1032 წ. ბერძნებმა ჩრდილო-დასავლეთის მხრიდანაც შემოუტიეს საქართველოს, დაიპყრეს ანაკოფიის ციხე და საზღვარზე „ფეხი ჩადგეს"[2].

მიუხედავად აღნიშნული სიძნელეებისა, თბილისის შემოერთებისათვის ეპიზოდური ცდები დაიწყო XI ს. 30-იანი წლებიდან, როცა ბიზანტიის შემოტევები დროებით შეწყდა.

ამ დროს საქართველოში მეფობდა ბაგრატ IV. იგი თბილისისათვის ბრძოლის დაწყების მომენტში, 1032 წელს, 12 წლისა იყო. აბა რა შეეძლო მცირეწლოვან მეფეს! ამით სარგებლობდნენ ზვიადი ფეოდალები და ცდილობდნენ საკუთარი სურვილები ეკარნახათ მისთვის. ამავე დროს ისინი თავიანთი ინიციატივითაც იბრძოდნენ მეზობლების ხარჯზე გაფართოებისათვის, რათა ვასალური მდგომარეობა განემტკიცებინათ.

1032 წ. თბილისისათვის ბრძოლა წამოიწყო საკმაოდ ძლიერმა კლდეკარის ერისთავმა ლიპარიტმა, რომლის სამფლობელო თბილისის საამიროს დასავლეთიდან ეკვროდა. მან, ქართლის ერისთავ ივანე აბაზას ძესთან ერთად, ამირა ჯაფარი მუხათგვერდს გაიტყუა, შეიპყრო და ბაგრატ მეფეს წარუდგინა. ამავე დროს ამირას ჩამოართვეს ალგეთის ხეობაში მდებარე ბირთვისის ციხე, დაიკავეს იქ გამავალი გზა, თბილისს თრიალეთ-ჯავახეთთან რომ აკავშირებდა[3]. ასეთი იყო პირველი წარმატება, მაგრამ იგი მალე ჩაიშალა დიდ ფეოდალებს შორის ატეხილი შურისა და მტრობის შედეგად; ამირა კი ტყვეობიდან გაათავისუფლეს.

რამდენიმე წლის შემდეგ თბილისისათვის ბრძოლა ისევ განახლდა. ამჯერადაც ინიციატორად ლიპარიტი გამოვიდა.

---

[1] ე. სიხარულიძე, ამიერკავკასიის სამარშრუტო გზები IX—X საუკუნეებში (არაბული წყაროების მიხედვით). — კრებ. „მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიის საკითხები", თბ., 1963. გვ. 175—188; ლ. ჭილაშვილი. ქალაქები ფეოდალურ საქართველოში, II, თბ., 1970, გვ. 125—143.

[2] ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. II, 1983, გვ. 140.

[3] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 296 –298; ვ. კოპალიანი. ბაგრატ მეოთხისა და ლიპარიტ ლიპარიტის ძის ურთიერთობიდან (თსუ შრომები, ტ. 45. 1954, გვ. 245).

1037 წ. ბაგრატ IV-მ თბილისზე გაილაშქრა და მისი გარემოცვა დაიწყო. ქალაქისათვის ბრძოლაში ბაგრატს კახთა მეფის ძალებიც წამოეშველნენ; ისინი მტკვრის მარცხენა ნაპირიდან, ისნის ტერიტორიიდან უტევდნენ. გარემოცვა თითქმის ორ წელიწადს გაგრძელებულა. მომარაგების გზებს მოწყვეტილი მოსახლეობა შიმშილობდა. მემატიანის ცნობით, სურსათმა ფრიად იკლო და, თუ რამ იშოვებოდა, უაღრესად ძვირი იყო.

თბილისის ალყის დროს საამიროს ჩამოაცილეს ფარცხისისა და ორბეთის ციხეები. სასოწარკვეთილი ამირა ჯაფარი თავისი მხლებლებითურთ განჯისაკენ გაქცევას აპირებდა. ამისათვის მას მტკვარზე ტივები და ნავები გაუმზადეს კიდეც, რომ ღამით გაპარულიყო, მაგრამ სრულიად მოულოდნელად მას ბედმა გაუღიმა. ბაგრატზე კვლავაც მოახდინეს ზეგავლენა ლიპარიტის მოწინააღმდეგეებმა, რომელთა ჩაგონებითაც მეფემ თბილისს ალყა მოხსნა და იგი გასაქცევად გამზადებულ ამირას მიანება[4]. ახლაც ამაოდ დაშვრა ლიპარიტ ერისთავი. არც ახალგაზრდა მეფემ იკისრა მეურვედ ყოლოდა ისედაც ძლიერი ფეოდალი. ამ დროიდან იწყება შეურიგებელი მტრობა ლიპარიტსა და ბაგრატ IV-ს შორის.

XI ს. შუა ხანებისათვის თბილისის საშინაო-პოლიტიკური ვითარება დაძაბული იყო. ქალაქში თანდათანობით გააქტიურდნენ სავაჭრო-სახელოსნო კორპორაციების მეთაურები — რაისები, რომლებიც, ქართული წყაროს მიხედვით, „თბილისის ბერებად“ იწოდებოდნენ. ბერები (უხუცესები) ცდილობდნენ ძლიერ ხელისუფალს დაკავშირებოდნენ, რომელიც სათანადოდ დაიცავდა ქალაქის ზედაფენების პოლიტიკურ და ეკონომიკურ ინტერესებს, უზრუნველყოფდა ქალაქს მშვიდობით, რაც მისი შემდგომი განვითარებისათვის აუცილებელი იყო. მფარველ ძალად მოქალაქეებმა ბაგრატ მეფე მიიჩნიეს.

1045 წლისათვის, როცა თბილისის ამირა ჯაფარი ახალი გარდაცვლილი იყო და ქალაქში ბრძოლა მიმდინარეობდა ამირას მემკვიდრეებსა და ბერებს შორის, ბერებმა კავშირი დაამყარეს დასავლეთ საქართველოში მყოფ ბაგრატთან და თბილისის გადაცემა აღუთქვეს. ბაგრატი ამ წინადადების მიღებისთანავე თბილისს გაეშურა[5]. დიღმის ველზე ბაგრატს ქალაქის მოსახლეობაც შეეგება და დიდი ზეიმით იგი თბილისში შეიყვანეს: „იყო ჯმა ბუკთა და დუმბულთა ორკერძოვე საშინელი“, რომლისა „ჯმითა იძვროდა ქვეყანა და იყო სიხარული ორკერძოვე განსაკვირვე-

---

[4] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 297—298; ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი , დასახ. თხზულებანი. ტ. II, გვ. 141—142.

[5] ბაგრატი ამ დროს ბიზანტიელების მიერ დაპყრობილი ანაკოფიის ციხის დასაბრუნებლად იბრძოდა, მაგრამ თბილისის პრობლემა დიდმნიშვნელოვანი იყო. ანაკოფია კი მან თავის სარდლებს მიანდო (ქართლის ცხოვრება, I, გვ. 299; საქ. ისტ. ნარკვევები, III, გვ. 163—164).

ბელი“, მოგვითხრობს მემატიანე[6]. მეფე ქალაქს შემოატარეს; მოქალაქეთა წესისამებრ, ბაგრატს თავზე აყრიდნენ ოქროსა და ვერცხლის ფულებს. შემდეგ კი ქალაქის კარებისა და ციხეების კლიტეები ჩააბარეს და ამირას დარბაზში შეიყვანეს[7]. მეფემ „აღიხუნა კოშკნი კართანი თავის კაცითა, და აღიღო ციხე ქალაქისა დარიჯელი, და ორნივე კოშკნი წყალყინისანი და თაბორი, და დაადგინნა შიგან ლაშქარნი და ერისთავნი“[8].

მიუხედავად ასეთი წარმატებისა, ქალაქის მეორე ნაწილი — ისნის მხარე (ავლაბარი), სადაც მაჰმადიანური არისტოკრატია ბატონობდა, არ ნებდებოდა მეფეს, ისნელებს მტკვარზე ხიდი ჩაუნგრევიათ და მეფისათვის გზა გადაუკეტიათ. მეფეს ისნისათვის ბრძოლა მოუხდა. ისნის სიმაგრეებს ქვის მსროლელი მანქანებით ესროდნენ, რომელიც საკმაოდ დიდხანს გაგრძელდა. მაგრამ ამას შედეგი არ მოჰყოლია[9].

„ისნელების“ წინააღმდეგობაში, როგორც ჩანს, ამირა ჯაფარის მემკვიდრეთა ხელი ერია; ისინი არ ეხმარებოდნენ ქალაქის ბერებს, რომლებმაც ბაგრატი მოიწვიეს. გარდა ამისა, მეფეს ახალი და ძლიერი მტერიც მოევლინა ლიპარიტ ერისთავის სახით, რომელიც, თბილისში მეფის შესვლის შესახებ ამბის გაგებისთანავე, დიდი ლაშქრით დაიძრა მის წინააღმდეგ. ამით დაშინებული მეფე ტოვებს თბილისს და გადადის ჯავახეთში[10]. თბილისის შემოურთების საქმე ამ დროს უკვე ქედმაღალმა ერისთავმა ჩაშალა.

იმავე 1045 წ. მოძმე სომხეთში მძიმე ვითარება შეიქმნა. სულს ღაფავდა ბაგრატუნების დინასტია. ბიზანტიის კეისარმა კონსტანტინე მონომახმა მოტყუებით მიიწვია ახალგაზრდა მეფე გაგიკი და თავის სამეფოში — ქალაქ ანისში აღარ დააბრუნა. „ტახტი ცარიელი დარჩა, ხოლო ქალაქი უპატრონო. სომეხი აზნაურების ერთი ჯგუფის თხოვნით, ბაგრატი წავიდა ანელების დასახმარებლად, მაგრამ იძულებული გახდა უკან დაბრუნებულიყო“[11]. თბილელი ბერები იწვევდნენ მას ქალაქის დასაკავებლად, მაგრამ, როგორც ითქვა, ბაგრატმა თბილისი ვერ გაათავისუფლა, ანელებისათვის დახმარების საქმეც გადაიდო და ვერც ანაკოფია დაიბრუნა.

თბილისის ამირა ჯაფარის გარდაცვალების (1045 წ.) შემდეგ ქალაქის გამგებლად დარჩნენ მისი ძეები აბულ-ჰეიჯა და მანსური, რომლებიც

---

[6] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 299.

[7] შ. მ ე ს ხ ი ა და სხვ., დასახ. ნაშრომი, 1958, გვ. 39.

[8] ქართლის ცხოვრება. I, გვ. 299.

[9] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. თხზულებანი, ტ. II, გვ. 144.

[10] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 300.

[11] ვ. ს. ნ ა ლ ბ ა ნ დ ი ა ნ ი. თბილისი ძველ სომხურ მწერლობაში უძველესი დროიდან XVIII ს. ბოლომდე. სომხურიდან თარგმნეს ნ. ჯანაშიამ და ე. ცაგარეიშვილმა. თბ., 1959, გვ. 72.

თურმე ერთმანეთს ძალაუფლებისათვის ებრძოდნენ. რამდენ ხანს გრძელდებოდა ყოველივე ეს, არ ჩანს, მაგრამ უნდა ვიგულისხმოთ, რომ იგი დიდხანს მიმდინარეობდა: 1062 წლისათვის მოშუღლე ძმებს უკვე მიტოვებული ჰქონიათ პოლიტიკური ცხოვრება[12].

შემდგომი პერიოდი თბილისის ისტორიაში „ბერებსა" და ჯაფარიანებს შორის მკაცრი ბრძოლის ნიშნის ქვეშ მიმდინარეობდა. ამ დროს, 1048 წ. ბიზანტიელებთან ერთად სელჩუკიან თურქთა წინააღმდეგ მებრძოლი ლიპარიტი დაატყვევეს. ამით ისარგებლეს ბაგრატ მეფემ და მისმა მომხრეებმა: „კუალად უკმეს ტფილელთა და მოსცეს ტფილისი და შეიყვანეს შინა და იყო სიხარული და მშვიდობა დიდი". სამწუხაროდ, ბაგრატის ბატონობა ამჯერადაც დიდხანს არ გაგრძელებულა. თურქთა მიერ დატყვევებული ლიპარიტი 1051 წ. ახერხებს განთავისუფლებას, ხოლო ბაგრატი ისევ ტოვებს თბილისს[13]. როგორც ჩანს, ბაგრატის მიერ თბილისის შემოერთება ბიზანტიის პოლიტიკური წრეებისათვის მიუღებელი იყო. ალბათ ამიტომაც მეფე ასე უფრთხოდა ბიზანტიის მსახურად ქცეული ლიპარიტის გამოჩენას.

თბილისის ბერებსა და ისნის მაჰმადიანურ არისტოკრატიას შორის ბრძოლა კვლავ გრძელდებოდა. თბილელებმა, როგორც იქნა, მოახერხეს ჯაფარიანების საბოლოოდ გაძევება და მთელ ქალაქს დაეპატრონენ. მაგრამ თბილისის ეკონომიკური და პოლიტიკური მდგომარეობა მეტად შერყეული იყო. ქალაქს არ ჰყოფნიდა სურსათი. მოქალაქეთა სიმყუდროვე ირღვეოდა და მათ დაცვა ესაჭიროებოდათ. ასეთ ვითარებაში თბილისელებმა კვლავ სცადეს მფარველობის მოპოვება. ისინი 1062 წ. განძის მმართველს შედადიან აბულ-ასვარს დაუკავშირდნენ. ამ ნაბიჯმაც სასურველი შედეგი არ მოუტანა თბილისელებს. ისინი იძულებული გამხდარან, რომ ქალაქი კახთა მეფე აღსართანისათვის გადაეცათ. ამ უკანასკნელმა კი თბილისი ბაგრატ IV-ს მიჰყიდა[14]. ჩანს, აღსართანი ასე იმიტომ მოიქცა, რომ ეშინოდა ურთიერთობა არ გაემწვავებინა ბაგრატთან, რომელიც კახეთის სამეფოს საბოლოო შემოერთებისათვის იღვწოდა[15].

ჩვენთვის უცნობი მიზეზებით ბაგრატმა არც ახლა შემოიერთა თბილისი და იგი ჯაფარიანთა სახლს გადასცა. საქართველოს მეფე თბილისის პატრონობის უფლებას სჯერდებოდა.

აღნიშნული ამბების შემდეგ თბილისის ცხოვრებაში დროებითი სიმშვიდე ჩამოვარდა. მაგრამ იგი მალე დაირღვა სელჩუკიანი თურქების

---

[12] Ахмад ибн Лютфуллах (Мунеджим-баши), «Джами ад-дувал». Перевод А. Мамедова. Труды Инст. Ист. АН Аз. ССР, т. XII, Баку, 1957.

[13] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 302—303; ივ. ჯავახიშვილი, დასახ. თხზულებანი, ტ. II, გვ. 147.

[14] Ахмад ибн Лютфуллах, დასახ. ნაშრომი, გვ. 218; რ. კიკნაძე, XI—XIII საუკუნეთა თბილისის ისტორიიდან, ისტ. ინსტ. შრ., V, თბ., 1960, გვ. 112—114.

[15] რ. კიკნაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 114.

შემოსევების გამო. 1067 წელს სულთანმა ალფ-არსლანმა თბილისი დაიკავა და აქ ჯამე ააგო[16].

სულთანმა და მისმა მოკავშირეებმა, რომელთა შორის კახთა მეფე აღსართანიც აღმოჩნდა, განძის ამირა ფადლონთან ერთად, 1068 თუ 1069 წ. ქართლი სასტიკად დაარბიეს, მერე გადავიდნენ არგვეთს და გაძარცვეს იგი, ვიდრე სვერის ციხემდე. დაიწყო საზავო მოლაპარაკება დასავლეთ საქართველოში გადასულ ბაგრატ მეფესა და სულთანს შორის. სულთანი ცდილობდა ყმად და მოხარკედ ექცია ბაგრატი, მაგრამ „სიფიცხისაგან ზამთრისა ვერღარა მოილოდინა" ბაგრატ მეფის პასუხი და ქართლი მიატოვა.

წასვლის წინ სულთანმა თბილისი და რუსთავი ფადლონს მისცა. იგი თავისი დიდძალი ლაშქრით ისნის ველზე იყო დაბანაკებული, როცა, 1069 წ. გაზაფხულზე, ბაგრატი ქართლში გადმოვიდა, „ჩადგა დიდგორთა", სადაც მეფეთა საზაფხულო სადგომი იყო. გათამამებულ ფადლონს, როგორც ჩანს, ამისთვის ყურადღება არ მიუქცევია — მუხრანისაკენ დაძრულა ქართლის დასარბევად. ბაგრატმა ჯარი შეჰყარა, ფადლონს დაედევნა და წილკნის კართან წამოეწია. „პირველსავე ჯრმლის მოკიდებასა" მტრის ჯარი გაიქცა. ბოლოს, შემთხვევით დატყვევებული ფადლონი მისი დროებითი მოკავშირის — კახთა ბატონის ხელთ აღმოჩნდა; ეს უკანასკნელი, ბაგრატის შიშით შეპყრობილი, იძულებული გახდა, რომ „საპატიო" ტყვე ბაგრატ მეფისათვის გაეგზავნა. ამის შემდეგ თბილისის აღება თითქოს ადვილი იყო, მაგრამ ფადლონის მიერ იქ დასმული მმართველი — სითილარაბი, რომელიც ამირათა შთამომავალი ყოფილა, „თვით გაამირებასა ლამობდა" და შეუპოვრად იბრძოდა. მეფემ ქალაქი აიღო და საგამგეოდ ისევ სითილარაბს დაუტოვა. მეფის უშუალო მფლობელობაში გადავიდა თბილისის გარშემო მდებარე „ციხენი რუსთავი, ფარცხისი, აგარანი...", ხოლო ქალაქს ყოველწლიური ხარკის სახით 44 000 დრაჰკანის გადახდა დაეკისრა. დატყვევებული ამირა ფადლონი ბაგრატმა სულთნის თხოვნით შეიწყალა და განძას გაისტუმრა[17]. დამყარდა დროებითი ზავი სულთანსა და საქართველოს შორის.

ამრიგად, საქართველოს მეფემ თბილისის საამიროზე სამხედრო-პოლიტიკური მბრძანებლობა მოიპოვა და ამჯერადაც არ იკისრა მისი უშუალო შემოერთება; როგორც ჩანს, იგი ისე ძლიერად არ გრძნობდა თავს, რომ საამიროს საბოლოო გაუქმების შედეგად მოსალოდნელი გართულებანი თავიდან აეცდინა.

---

[16] ნ. შ ე ნ გ ე ლ ი ა, სადრ ად-დინ ჰუსეინი ალფ-არსლანის საქართველოსა და ამიერკავკასიის ქვეყნებში ლაშქრობის შესახებ. — კრებ. „ძიებანი საქართველოსა და კავკასიის ისტორიიდან", თბ., 1976, გვ. 193; С а д р а д - Д и н А л и а л - Х у с а й н и, Ахбар ад-Даулат ас-Селджукийа. Издание текста, перевод, введение З. М. Буниятова, М., 1980, с. 55.

[17] იქვე, გვ. 156—157; ქართლის ცხოვრება, I, გვ. 112.

ბაგრატის დაზავება სულთანთან ხანმოკლე აღმოჩნდა. სელჩუკიანი თურქები გაძლიერდნენ. ჯერ კიდევ XI ს. შუა წლებიდან მათ დაიპყრეს მეზობელი სომხეთი და მერე პერიოდულად არბევდნენ ჩვენს ქვეყანას; შეავიწროვეს ქრისტიანული ბიზანტიის იმპერიაც, რომლის მიწებზე XI ს. 70-იანი წლებიდან ყალიბდება რუმის ან „რომის" სასულთნო. ბიზანტია იძულებული გახდა თურქ-სელჩუკებისათვის დაეთმო აღმოსავლეთში დაპყრობილი ქვეყნები (1074 წ.). თურქები ამიერიდან საქართველოს არა მარტო აღმოსავლეთის მხრიდან, არამედ სამხრეთ-დასავლეთიდანაც შემოადგნენ და მალე მისი დიდი ნაწილიც დაიპყრეს.

XI ს. 80-იანი წლებიდან დაწყებულმა „დიდმა თურქობამ", ანუ მათი შემოტევების არაჩვეულებრივმა გაძლიერებამ, საქართველოს სამეფო ხელისუფლების დაკნინება გამოიწვია. მეფემ თბილისზე ბატონობის უფლება დაკარგა. ამავე დროს ჯაფარიან ამირათა სახლი საბოლოოდ გადაშენდა[18], რის შემდეგაც თბილისს ადგილობრივ მოქალაქეთა ზედაფენები განაგებდნენ. ასე დამთავრდა ჯაფარიანთა ორასწლოვანი ბატონობა. არაბ ისტორიკოს ალ-ფარიკის გადმოცემით, „ქალაქის მმართველობა გადავიდა მისი მცხოვრებლების ხელში, ისე რომ თითოეული მათგანი მართავდა ქალაქს თითო თვე. ასე გაგრძელდა ორმოცი წელი". ქართველ მეფეს და მუსლიმან ამირებსაც თბილისი ვერ დაუბრუნებია[19].

ალ-ფარიკი თბილისის ახალ პატრონებს იქაურ „ხალხს" უწოდებს[20], მეორე არაბი ავტორი — სიბტ იბნ ალ-ჯაუზი — „ყმაწვილებს"[21]. ამ ტერმინებით აღმოსავლური წყაროები, როგორც ჩანს, აღნიშნავდნენ საქალაქო ცენტრებში მიმდინარე სოციალური მოძრაობის მონაწილეებს[22]. თბილისის მოსახლეობის ის ნაწილი, ახლა რომ ქალაქის ძალაუფლების სათავეში მოექცა, იმ „ბერების" მემკვიდრეები უნდა ყოფილიყვნენ, თავის დროზე ქალაქში ბაგრატ IV-ს რომ იწვევდნენ მის საფარველში შესვლის მიზნით. ეს ჩანს დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის ცნობიდანაც, რომ თბილისის მესვეურები XII ს. პირველ ათეულ წლებში ქალაქის ვაჭრები იყვნენ, რომლებიც აქტიურად იცავდნენ საშინაო დამოუკიდებლობას[23]. საქალაქო ფენების ასეთ გაძლიერებაზე, საერთოდ, აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში, როგორც ჩანს, დიდი გავლენა იქონია მაშინ თურქ-სელჩუკთა სახელმწიფოში ნიზამ ალ-მულქის მიერ განხორ-

---

[18] რ. კიკნაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 197.

[19] შ. მესხია და სხვ., თბილისის ისტორია, 1958, გვ. 41.

[20] Из «Истории Майяфаркина» ибн ал Азрака ал-фарика. Труды Инст. ист. АН Аз. ССР, т. XII, გვ. 223; ამ ძეგლის სხვადასხვა თარგმანებსა და გამოცემებზე იხ. მ. გაბაშვილი, საქართველოს ქალაქები XI—XII საუკუნეებში, თბ., 1981, გვ. 65—68.

[21] ო. ციტიშვილი, სიბტ იბნ ალ-ჯაუზის ცნობა დავით აღმაშენებლის შესახებ. თსუ შრომები, ტ. 118. 1967, გვ. 204, 205.

[22] მ. გაბაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 69—82.

[23] ცხოვრება მეფეთ მეფისა დავითისი. — ქართლის ცხოვრება, I, გვ. 340.

ციელებულმა რეფორმებმა, რის შედეგადაც ქალაქთა ვაჭრულ-ხელოსნურ ფენებს პრივილეგიები მიენიჭათ.

XI ს. 90-იანი წლებიდან თბილისის შემოერთებისა და საქართველოს სრული გაერთიანებისათვის ხანგრძლივ ბრძოლაში გარდატეხის პერიოდი დაიწყო.

თ ბ ი ლ ი ს ი — ე რ თ ი ა ნ ი ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს სატახტო ქალაქი

1080 წლიდან დაწყებული, „დიდი თურქობის" დროს მძარცველები სვავებივით მოედვნენ ქართულ სოფლებსა და ქალაქებს. განსაკუთრებით არბევდნენ ქვემო ქართლს თბილისითურთ. „არა იყო მათ ჟამთა შინა თესვა და მკა, მოოჴრდა ქუეყანა და ტყედ გარდაიქცა"[24]. ამიერიდან დაიწყო მომთაბარე თურქების მასობრივი ჩამოსახლება საქართველოში. ასეთ ვითარებაში 1089 წ. გამეფდა შუა საუკუნეების საქართველოს მომავალი დიდი ხელმწიფე დავით IV, რომელსაც ხალხმა „აღმაშენებელი" უწოდა. ძლიერების პერიოდის ქართველ მეფეთა შორის, მას უფრო შეეფერებოდა „მესიის მახვილის" სახელი, რაც გვაუწყებდა, რომ დავითის მოღვაწეობას ახლო აღმოსავლეთში ქრისტიანთა მხსნელის მნიშვნელობაც ჰქონდა. ქრისტეს წმინდა სახელს ამოფარებული მახვილი მაშინ არა მარტო „ურწმუნო" მოძალადეთა საქართველოდან განდევნისა და მისი მთლიანობის აღდგენის საქმეს ემსახურებოდა, არამედ ქვეყნის საზღვრების გაფართოებასაც ისახავდა მიზნად. ეს იყო პოლიტიკური ბრძოლის რელიგიური საფარველი, რომელსაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქართველი და სომეხი ხალხების ცხოვრებაში[25].

დავით მეფის სახელმწიფო არსებითად ცვლიდა უკვე დასუსტების გზაზე შემდგარი ბიზანტიის გავლენას ამ რეგიონებში. მისი მოღვაწეობის ნაყოფი ნამდვილად საფუძველს უყრიდა ახალ პერიოდს ფეოდალური ხანის საქართველოს ისტორიაში.

დავით აღმაშენებელმა „არსებითი გავლენა იქონია მთელი ამიერკავკასიის ქვეყნების ისტორიაზე"[26]. თურქ-სელჩუკების წინააღმდეგ ბრძოლაში ჩაება სომეხი, ალბანელი და ჩრდილოეთ კავკასიის ხალხები; „ეს ერთსულოვნება ჩვენ უნდა მივაწეროთ უმთავრესად იმ გამარჯვებებს, რომელთაც მიაღწია საქართველომ არა მარტო ისტორიულ სომხეთში, არამედ ადარბადაგანშიც"[27].

---

[24] ქართლის ცხოვრება. I, გვ. 320.

[25] მ. დ უ მ ბ ა ძ ე, საქართველოს ისტორიული სინამდვილე და შოთა რუსთაველი — კრებ. „საქართველო რუსთაველის ხანაში", 1966. გვ. 5.

[26] ვ. ნ ა ლ ბ ა ნ დ ი ა ნ ი, დასახ. ნაშრომი. გვ. 75.

[27] ჰ. მ ა ნ ა დ ი ა ნ ი. სომეხი ხალხის ისტორიის კრიტიკული მიმოხილვა, ნაწილი III, ერევანი, 1952, სომხურ ენაზე. გვ. 88. ციტირებულია ვ. ნალბანდიანის დასახ. წიგნიდან, გვ. 76.

დავითმა გაამხნევა უცხოელთა, განსაკუთრებით კი თურქ-სელჩუკთა ველური ბატონობის შედეგად დაჯაბნული მოსახლეობა, აღადგინა მეომართა გმირული სულისკვეთება. ფსიქიკური ზეგავლენა იქონია მეფე-მეომარმა თანამებრძოლებზე. ომის მაშინდელი ტექნიკისა და სტრატეგიის ცოდნით აღჭურვილი მეფე ყოველთვის ტრიალებდა შუაგულში და ხმალამოწვდილი იბრძოდა, ბოლო მოეღოთ თურქთა შემოსევებს. დავითმა ოსტატურად გამოიყენა სასულთნოში გაღრმავებული პოლიტიკური დაშლის პროცესი და გამდგარი კახეთის სამეფოც დაიმორჩილა. ყოველივე ამის შემდეგ გარკვეული სტრატეგიული გეგმის მიხედვით დაიწყო თურქების მიერ დაპყრობილი ქალაქებისა და ციხეების განთავისუფლება.

თურქების ხელში მყოფი ქართლის ქალაქები — დმანისი, სამშვილდე, რუსთავი და სხვ. „თბილისის მისასვლელებს იცავდნენ და ერთად მძლავრ თავდაცვის სისტემას ჰქმნიდნენ"[28].

დიდად დაზარალდა თბილისი თურქ-სელჩუკთა ბატონობის დროს. მათი უღლის გადაგდების შემდეგ ქალაქის აღება გაადვილებული იყო, მაგრამ ბრძოლა მისთვის ახლაც დიდ სიძნელეებს იწვევდა. დავით მეფის გაძლიერება შიშის ზარს ჰგვრიდა მაჰმადიანურ პოლიტიკურ ერთეულებს. თბილისის თავკაცები კი არსებითად პროთურქულ ორიენტაციაზე იდგნენ. ამიტომ დავით მეფემ, როგორც ჩანს, გადაწყვიტა, პირველ რიგში. თბილისის გარშემო მდებარე ქალაქები დაეპყრო და ამ ქალაქთან დამაკავშირებელი გზები გადაეკრა.

დავითმა 1110 წ. ქალაქი სამშვილდე აიღო და ამით თბილისს სამხრეთ-დასავლეთისაკენ გასასვლელი გზა ჩაუკეტა.

სამშვილდის აღებამ დიდი გამოხმაურება პოვა. ამის შესახებ დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი წერდა: „ცნეს რა თურქთა აღება სამშვილდისა, უმრავლესნი ციხენი სომხითისანი დაუტევნეს... რამეთუ ვიდრე მოაქამომდე სთუელთა ჩამოიარიან... პირსა მტკურისასა, ტფილისითგან ვიდრე ბარდავადმდე... თჳსთა ქალაქთა ვაჭრობდიან, ხოლო ჩუენთა ნაპირთა არბევდიან ტყჳთა და ალაფითა სავსეთა"[29]; „ქალაქი ტფილისი იყო, ოდეს ჯერეთ არა სრულიად შემოყენებულ იყო უღელსა ქუეშე მორჩილებისასა, ვითარცა აწ, არამედ სავსე იყო სისხლითა ქრისტიანეთათა; რამეთუ ოდესმე ყვიან ღავღავი და თვინიერ მიზეზისაცა მოსრნიან რაოდენნი პოვნიან ქრისტიანენი..."[30]

---

[28] შ. მ ე ს ხ ი ა და სხვ., დასახ. ნაშრომი, 1958, გვ. 42.

[29] დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი. — ქართლის ცხოვრება, I, გვ. 331—332.

[30] იქვე. გვ. 349. „ღავღავთან" დაკავშირებით ვ. გაბაშვილი შენიშნავს, რომ დავითის ისტორიკოსს მხედველობაში ჰქონდა „ქალაქში მიმდინარე მღელვარებანი და ამბოხებანი" — იხ. მისი ნაშრომი — ქ. თბილისის სოციალური ისტორიიდან — კრებ. „ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ქალაქების ისტორიიდან", თბ., 1966, გვ. 157—158.

თურქები შეეცადნენ სამშვილდის დაბრუნებას. „მოვიდა ძალი სულთნისა ყოველი თურქობა", რათა მოულოდნელი დარტყმით დაებრუნებინათ დაკარგული პოზიციები, მაგრამ ქართველთა მხედრობამ. „ცისკრიდან" დაწყებული ვიდრე „მიდრეკამდე დღისასა", სასტიკად დაამარცხა და გააქცია თურქთა მოწინავე ლაშქარი; გაქცეულებს დანარჩენებიც მიჰყვნენ. ეს ბრძოლა 1110—1112 წლებს შორის უნდა მომხდარიყო[31].

აღნიშნული მძაფრი წინააღმდეგობით აიხსნებოდა თბილისისათვის ბრძოლის გახანგრძლივება დავით IV-ის დროსაც.

სამშვილდის აღების შემდეგ 1116 წ. მეფემ რუსთავი აიღო და აღმოსავლეთის მხრიდან დაუახლოვდა თბილისს, 3 წლის შემდეგ კი ლორეს ციხე, რის შემდეგაც იბერიის ძველი დედაქალაქი ფაქტობრივად გარშემორტყმული აღმოჩნდა.

დავით IV-ის პოლიტიკა არსებითად განსხვავდებოდა მის წინამორბედ მეფეთა პოლიტიკისაგან (ბაგრატ IV, გიორგი II). იგი ვერ ურიგდებოდა ნახევრად ხელმწიფური ვასალების არსებობას, იბრძოდა ხელისუფლების ცენტრალიზაციისათვის. დაბრუნებულ ქართულ ქალაქებსა და მიწებს სამეფო კარის უშუალო მფლობელობაში აქცევდა. ეს განსაკუთრებით უნდა ეგრძნოთ თურქ-სელჩუკთა მიერ დაპყრობილ ქალაქებს.

დრო შეიცვალა. თბილისის ბერები ადრე იწვევდნენ ბაგრატ IV-ს, რომელიც მათ მმართველობაში არ ერეოდა, მხოლოდ მორჩილებით ან ხარკით კმაყოფილდებოდა, დავით IV-ს კი არ იწვევდნენ და ეს გასაგებიც იყო. თურქთა ბატონობის საბოლოო აღკვეთა მოითხოვდა ქალაქებში გაბატონებული მაჰმადიანური არისტოკრატიის შეცვლას ქრისტიანულით; არა უბრალოდ დაპყრობა, არამედ შინაგანი გარდაქმნები, ქართული ტრადიციების აღდგენა — ეს იყო მთავარი იმ დროისათვის. პოლიტიკის ასეთი კურსი იწვევდა წინააღმდეგობის გამძაფრებას.

დავითის სახელმწიფოს გაძლიერებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ურთიერთობის გაუმჯობესებას ბიზანტიასთან, მასთან დამოყვრებას. 1116 წელს დავითის ასული კატაჲ კეისრის რძალი გახდა. ამაზე ადრე მეფისავე უფროსი ქალიშვილი თამარი შარვანშაჰს გაჰყვა ცოლად. გარდა ამისა, მეფის მეუღლე გურანდუხტი ყივჩაყთა მთავრის ასული იყო.

„საქართველო იზრდებოდა და ფართოვდებოდა; მტერი თანდათან უკან იხევდა და ძლევამოსილ მეფეს დაპყრობილს ქართველთა მიწა-წყალს უთმობდა"[32]. ისახებოდა და ვითარდებოდა კავკასიის პოლიტიკური გაერთიანების დიდი გეგმა, რომლის განხორციელებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა დავითის მიერ შექმნილ მუდმივ ჯარს, რაც 1118—1120 წლებში განხორციელდა.

---

[31] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. თხზულებანი. ტ. II, გვ. 197.
[32] იქვე. გვ. 198.

მეფის გამარჯვებათა შედეგად შევიწროებული და კომუნიკაციებს მოწყვეტილი თბილისის ზედაფენები ცდილობდნენ დაეცვათ საშინაო დამოუკიდებლობა, ეძებდნენ მფარველ ძალას, მაგრამ დრო არ ითმენდა. თბილისელებს დავით მეფის სასარგებლოდ ყოველწლიურად უკისრიათ ხარკი 10 ათასი დინარის რაოდენობით. ამავე დროს ისინი, როგორც ჩანს, თბილისზე ბატონობას სთხოვდნენ მარდინისა და მაიაფარიკინის მმართველს — ნეჯმ ად-დინ ილღაზის[33]. ეს იყო 1221 წელს, ვიდრე დიდგორის ცნობილი ომი დაიწყებოდა. საფიქრებელია, რომ ამ ომის უშუალო საბაბი გახდა მაჰმადიანური კოალიციის გამოსვლა საქართველოს წინააღმდეგ ამავე წლის აგვისტოში.

დავითის მიერ „შეიწრებულნი თურქმანნი და კუალად ვაჭარნი განძელ-ტფილელ-დმანელნი წარვიდეს სულთანსა წინაშე, და ყოველსა სპარსეთსა, შეიღებნეს შავად, რომელთამე პირნი, და რომელთამე ჯელები, და რომელნიმე სრულიად; და ესრეთ მიუთხრნეს ყოველნი ჭირნი მოწევნულნი მათ ზედა, რომლითა აღძრნეს წყალობად თჳსა, და იქმნა გლოვა ფრიადი მათსა"[34].

საქართველოს მხედრობა კოალიციურ ლაშქარს თბილისის ახლოს, დიდგორთან დაუხვდა. ეს უთანასწორო და მანამდის არნახული ბრძოლა უთვალავი დამპყრობლის წინააღმდეგ, 1121 წ. 12 აგვისტოს, ქართველთა ბრწყინვალე გამარჯვებით დასრულდა.

დიდგორთან გამარჯვება მართლაც ოქროს ასოებითაა აღბეჭდილი ქართველი ხალხის ისტორიაში[35]. ეს იყო თითქმის შვიდჯერ ჭარბ მოწინააღმდეგეზე გამარჯვება, რამაც საქართველო მოსალოდნელი სრული განადგურებისაგან იხსნა და, შეიძლება ითქვას, მრავალი ათეული წლის განმავლობაში იქონია კეთილისმყოფელი გავლენა ჩვენი ქვეყნის შემდგომ განვითარებაზე. ნათელი გახდა, რომ ახლო აღმოსავლეთში უკვე აღარ არსებობდა ისეთი პოლიტიკური გაერთიანება, რომელსაც საქართველოს ძლევამოსილი წინსვლის შეჩერება შეეძლო.

მოპოვებული დიდი მიღწევის შემდეგ თბილისის აღება კიდევ უფრო ადვილად უნდა გადაწყვეტილიყო, მაგრამ თბილისელები უომრად არ ნებდებოდნენ. მეფემ თბილისს ალყა შემოარტყა და ცხარე ბრძოლის შედეგად აიღო იგი 1122 წელს. სასტიკი წინააღმდეგობის შედეგად განრისხებულმა მეფემ ქალაქი დაარბია და თავის მეომრებს მისი გაძარცვის ნება დართო. რბევა სამ დღეს გრძელდებოდა. როგორც ჩანს, მუს-

---

[33] V. Minorsky, Caucasica in the Historiy of Mayyfariqin. Bulletin of the School of Oriental and African studies (Universiti of London, v. XIII, 1949—1950, გვ. 31); რ. კიკნაძე, XI—XIII სს. თბილისის ისტორიიდან, გვ. 121; შ.მესხია, ძლევაჲ საკჳრველი. დიდგორის ბრძოლა და თბილისის შემოერთება, თბ., 1972.

[34] ქართლის ცხოვრება, ტ. I, 1955, გვ. 340.

[35] იხ. შ. მესხია. ძლევაჲ საკჳრველი. დიდგორის ბრძოლა და თბილისის შემოერთება, თბ., 1972.

ლიმანური ზედაფენები ქალაქის აღებისათვის ბრძოლის მომენტში უფრო მეტად სპობდნენ ქრისტიანულ მოსახლეობას. ალბათ ამით აიხსნებოდა, რომ მეფის ბრძანებით მტრის ბანაკიდან სიკვდილით დაუსჯიათ 500 კაცი[36].

დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი წერდა: „აიღო მეფემან ქალაქი ტფილისი, პირველსავე ომსა, ოთხას წელ ქონებული სპარსთა, და დაუმკვიდრა შვილთა თვისთა საჭურჭლედ და სახლად თჳსად საუკუნოდ“[37].

თბილისის აღების შემდეგ, როცა სელჩუკიან თურქთაგან საქართველოს საფრთხე აღარ მოელოდა, დავითის რელიგიური პოლიტიკა მაჰმადიანური მოსახლეობისადმი ლმობიერი გახდა. მეფის შორს გამიზნულ მფარველობითს პოლიტიკას, რომელიც უმთავრესად მწარმოებელი და ვაჭრული ფენების დაცვას ისახავდა მიზნად, ფისკალური ინტერესებიც ჰქონდა[38]. უცხოური მოსახლეობა ქართული სახელმწიფოს ეკონომიკურსა და პოლიტიკურ სამსახურში უნდა ჩაყენებულიყო.

წელში გატეხილი საქალაქო-მუსლიმანური ფენების მომხრობა და სამეფო სახლისადმი დაქვემდებარება არა მარტო შეზღუდვისა და ფიზიკური დასჯის გზით ხორციელდებოდა.

მეფემ ქალაქის მცხოვრებნი ერთი წლით გაათავისუფლა გადასახადებისაგან. მუსლიმანებს სარწმუნოებრივი თავისუფლება მიენიჭათ[39]. არაბი ისტორიკოსი ალ-ფარიკი გადმოგვცემს, რომ ქალაქში მცხოვრებ ქრისტიანებს, ქართველებსა და სომხებს, აგრეთვე ებრაელებს აეკრძალათ მუსლიმანთათვის განკუთვნილ აბანოში შესვლა; თითქოს ქართველებს უფრო მეტი გადასახადი დაედო, ვიდრე ებრაელებსა და მაჰმადიანებს; თუმცა ეს ცნობა საეჭვო ჩანს და შეიძლება დავით მეფის „მფარველობითი“ პოლიტიკის ქებით გატაცებული ალ-ფარიკის შეთხზულიც იყოს.

უდავოდ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმ ფაქტს, რომ დავით მეფემ თბილისის შემოერთების მომდევნო 1123 წ. აქტიური ბრძოლა გააჩაღა შარვან-დარუბანდისა და სომხეთის მიმართულებით. შარვანის დაცვის საბაბით აიღო მისი ქალაქი შემახა და იმ ქვეყანაზე თავისი ბატონობა გაავრცელა. იმავე წელს დაიპყრო სომხეთის რიგი ქალაქები და ციხეები და, რაც მთავარია, თურქთაგან გათავისუფლდა სომხეთისავე ძველი დე-

---

[36] მ ა თ ე ო ს უ რ ჰ ა ე ლ ი, ქამთააღმწერლობა, ვაღარშაპატი. 1898 წ. (სომხურ ენაზე), გვ. 356. მითითებულია ვ. ნ ა ლ ბ ა ნ დ ი ა ნ ი ს დასახ. ნაშრომიდან, გვ. 83.

[37] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 342. „სპარსთა“ აქ გულისხმობს მაჰმადიანთა ბატონობას, რაც არაბთაგან დაიწყო და გრძელდებოდა, ვიდრე თურქ-სელჩუკთა განდევნამდე.

[38] რ. კ ი კ ნ ა ძ ე. XI—XIII საუკუნეთა თბილისის ისტორიიდან, გვ. 123—124.

[39] აკად. ნ. ბერძენიშვილის აზრით, საქართველოს მესვეურები ომს უცხადებდნენ არა ისლამს, როგორც იდეოლოგიას, არამედ „თურქობას“, რომელიც სოციალურ-ეკონომიკური ჩამორჩენილობის საფუძველზე აღმოცენებული მოვლენაც იყო. — იხ. მისი საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. V, 1970, გვ. 159.

დაქალაქი ანისი. რომელიც საქართველოს სამეფოს შემადგენლობაში შევიდა. არსებითად „სომხეთის აღდგენადაა“ მიჩნეული იმ დროს ქრისტიანი მეფის საფარველში სომეხი ხალხის გაერთიანება, რასაც შედეგად „სომხეთის კულტურული აღორძინება“ მოჰყვა (აკად. ჰ. მანანდიანი).

თბილისისა და ანისის გათავისუფლება ერთიმეორის მიყოლებით მოხდა. „თითქოს ღრმა აზრია დაფარული ამ ისტორიულ დამთხვევაში, რომელშიც სიმბოლური სახითაა გამოხატული ორი მოძმე ხალხის მრავალსაუკუნოვანი მეგობრობის საუკეთესო ტრადიციები, მათი ურთიერთშემწეობა და სიყვარული ერთმანეთის მიმართ“[40].

ნიშანდობლივი იყო მეფის შესვლა ლაშქრითურთ ანისის „დიდ საყდარში“, რომელიც თურქებს მისგითად ექციათ. იგი აშენებული იყო სომხეთის დედოფლის, ბერძენთა ასულის კატრონიტეს მიერ, რომელიც იქვე იყო დაკრძალული. გამარჯვებულმა მეფემ „საყდარი იგი ახლად მონათლა“ და მისი მშენებლის საფლავზე წარმოთქვა — „გიხაროდენ შენ, წმიდაო დედოფალო, რამეთუ იკსნა ღმერთმან საყდარი შენი უსჯულოთა ჴელთაგან“[41]. ეს კიდევ ერთი მაჩვენებელი იყო იმისა, რომ დავით აღმაშენებელი ამიერკავკასიაში ქრისტიანულ კულტურას მოსალოდნელი თურქულ-მაჰმადიანური ასიმილაციისაგან ათავისუფლებდა.

თბილისის დაბრუნებას, რა თქმა უნდა, უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ქართველი ხალხის ისტორიაში. ამ დროს კანონზომიერი იყო სამეფო რეზიდენციის გადმოტანა ქუთაისიდან თბილისში. ძველი „იბერიის დედაქალაქი“ აღორძინებას იწყებდა. ახლა იგი, სახელმწიფოს ფარგლების გაფართოებასთან დაკავშირებით, არა მარტო საქართველოს, არამედ ამიერკავკასიის პოლიტიკური ცენტრის ფუნქციებს იძენდა.

თბილისის პოლიტიკური და საერთაშორისო მნიშვნელობის ზრდა (XII ს. 20-იანი წლებიდან — XIII ს. 20-იან წლებამდე)

დავით აღმაშენებლის სახელმწიფოებრივმა და ეკონომიკურმა რეფორმებმა მნიშვნელოვნად განამტკიცეს ქვეყნის ერთიანობა და მმართველობის ცენტრალიზაცია, რომელიც ამიერიდან თბილისიდან ხორციელდებოდა.

დავითის შემდგომაც განუწყვეტლივ მიმდინარეობდა მმართველობის ორგანოების სრულყოფა, იქმნებოდა ერთიანი კანონმდებლობა (კანონი მეკობრეთა და მპარავთა წინააღმდეგ... და სხვ.), რაც, შესაბამისად,

---

[40] ე. ნ ა ლ ბ ა ნ დ ი ა ნ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 85.

[41] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 345.

ხელს უწყობდა ფეოდალთა სეპარატისტული განწყობილების დაძლევას, ქვეყნის ერთიანობის განმტკიცებას.

ერთიანი საქართველოს დედაქალაქად გახდომის დროიდან თბილისიდან ხორციელდებოდა საქართველოს სამეფო ხელისუფლებისა და მისი მთავრობის ღონისძიებები, რომელთა მიზანიც იყო თურქ-სელჩუკების განდევნა საქართველოსა და კავკასიიდან და ქვეყნის თავდაცვის უზრუნველყოფა. ამასთანავე თბილისი გადაიქცა ამიერკავკასიის ფეოდალურად დაწინაურებული ხალხების (სომხები, შარვანელები, ჩრდ. კავკასიელები) მხარდამჭერად და მფარველად მათ ბრძოლებში საერთო საგარეო მტრების წინააღმდეგ.

XII ს. მთელ მანძილზე შარვანი საქართველოს სახელმწიფოსთან ვასალურ დამოკიდებულებაში იყო. მას შემოერთებული ჰქონდა აგრეთვე სომხეთის მიწებიც, რომელთაც დაცვა ესაჭიროებოდათ. ამ რეგიონებში საქართველოს დიდად ეწინააღმდეგებოდნენ აზერბაიჯანის ათაბაგები და კავკასიის სამხრეთით განლაგებული მაჰმადიანური საამიროები.

დავით აღმაშენებლის პოლიტიკურ კურსს აგრძელებდა მისი შვილი დემეტრე I (1125—1156 წწ.). ასე იყო გიორგი III-ის დროიდანაც (1156 — 1184 წწ.), როცა საქართველოს სამეფო ხელისუფლება საერთოდ და კერძოდ თბილისში ძველ სიმტკიცეს ინარჩუნებდა. ამ პერიოდის საქართველოს უმთავრესი საგარეო-პოლიტიკური ამოცანა კვლავ შარვანანისსა და სომხეთის დანარჩენ მიწებზე საკუთარი გავლენის შენარჩუნება იყო. 1161 წ. გიორგი III-მ ანისს ილაშქრა შადადიანთა სახლისათვის მისი ჩამორთმევის მიზნით, შემდეგ კი ძლევამოსილად მოიგერია შაჰარმენთა, დიარბექირისა და არზრუმის ერთობლივი მხედრობა. ისინი ანისთან საქართველოს მეფეზე შურის საძიებლად მოვიდნენ; 1162 წ. ქართველები დაეპატრონენ არა მარტო ანისს. არამედ სომხეთის ძველ ცენტრს და მდიდარ სავაჭრო ქალაქ დვინსაც[42].

გიორგი III-ის შემდეგ თბილისისა და მთელი საქართველოს შემდგომი წარმატება დიდი თამარის სახელს უკავშირდება.

თამარის გამეფების დროიდან 1184 წ. თბილისში იწყება დიდი მასშტაბის სოციალური მოძრაობა. რომელსაც მეთაურობდა საქართველოს მეჯურჭლეთუხუცესი ყუთლუ-არსლანი. მას სურდა თავის მომხრე დიდგვარიანებთან ერთად დაუფლებოდა სამეფო ხელისუფლებას, რის მიღწევასაც საკანონმდებლო დაწესებულების — „კარვის" დაარსებით აპირებდა. საკუთარი გეგმის განსახორციელებლად ყუთლუმ და მისმა თანამოაზრეებმა მოძრაობაში წვრილ აზნაურთა და დაბალი სოციალური ფენების წარმომადგენლებიც ჩააბეს, მაგრამ უშედეგოდ. დიდგვარიანთა

---

[42] ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია, ტ. II, 1983, გვ. 218—233.

ეს გამოსვლა, რომელიც მიზნად ისახავდა მათი წოდებრივი პრივილეგიების გაფართოებას, დამარცხდა. ამ მოძრაობამ საქართველოს ერთმმართველობას ვერაფერი დააკლო[43].

თამარის მეფობის ხანა საქართველოს ისტორიაში განსაკუთრებული სამხედრო-პოლიტიკური და კულტურულ-ეკონომიკური ძლიერების ეპოქა იყო. საქართველომ დიდი გამარჯვებები იზეიმა აზერბაიჯანის ათაბაგ აბუბაქრზე, შამქორთან ბრძოლაში (1195 წ.) და რუმის სულთნის ძალებზე, ბასიანში, ერზერუმის ახლოს (1203 წ.). ქართველებმა აიღეს ქ. კარი (1205 წ.) და წარმატებით განახორციელეს ლაშქრობა ირანში (1210 წ.).

XII—XIII სს. პირველი მეოთხედის საგარეო ომებს ქართველთათვის დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა, ვინაიდან უზრუნველყოფდნენ საქართველოს სიძლიერეს კავკასიასა და ახლო აღმოსავლეთში. მტკიცდებოდა საქართველოს გავლენა ამ მხარეებში განლაგებულ სავაჭრო ცენტრებსა და მაგისტრალებზე — შარვანი — შამახა — დარუბანდი, დვინი, ანისი, კარი, ერზერუმი, ტრაპიზონი, ჩრდილოეთ ირანის ქალაქები[44]. ქართული სახელმწიფო პოლიტიკურ გავლენასთან ერთად დაჟინებით ცდილობდა ზემოხსენებულ ეკონომიკურ არტერიებზე თავისი კონტროლისა და ბატონობის დაწესებას.

XIII ს. პირველ ოცეულშიც, საერთოდ, საქართველოს გავლენა კავკასიასა და ახლო აღმოსავლეთში დიდი იყო. საქართველოს მოხარკეები აღმოსავლეთში იყვნენ ირანის აზერბაიჯანის რიგი ამირები, სამხრეთ-დასავლეთით ერზერუმის ამირა და ერზინჯანის სულთანი. საქართველოს ვასალი იყო ტრაპიზონის იმპერია. აშკარად შეიმჩნეოდა თბილისისა და მთელი საქართველოს გავლენა შარვანზე, ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებზე, დაღისტანზე და სხვ. თბილისის ავტორიტეტი განუხრელად იზრდებოდა[45].

მეფის კურთხევა, რომლის პოლიტიკური მნიშვნელობაც ყველა ქვეყანაში მეტად დიდი იყო, თბილისში ხდებოდა თავისი რთული ეთიკეტითა და საზეიმო იერით. იგი მიზნად ისახავდა მოსახლეობის სხვადასხვა ფენებისათვის სამეფო ხელისუფლების უზენაესობის იდეის დანერგვას. 1184 წ. თამარის მეფედ კურთხევა თბილისში დიდი ზეიმით მოეწყო[46].

თბილისი საქართველოს ფართო მასშტაბის საგარეო-პოლიტიკურ ურთიერთობათა ცენტრს წარმოადგენდა. სწორედ აქ იღებდნენ ხოლმე

---

[43] საქართველოს ისტ. ნარკვევები, ტ. III, თბ., 1979, გვ. 297—298.

[44] მ. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი, საქართველოს ქალაქები XI—XII საუკუნეებში, თბ., 1981, გვ. 104—105.

[45] საქართველოს ისტ. ნარკვევები, III, გვ. 319—348.

[46] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული ერის ისტორია, II, თბ., 1983, გვ. 259.

უცხო ქვეყნების ხელმწიფეებსა თუ ელჩებს, რომლებთანაც კონტაქტები მყარდებოდა. თბილისშივე იგეგმებოდა საქართველოს საგარეო ომები და ხშირად აქვე იყრიდა თავს ქვეყნის სხვადასხვა მხრიდან გამომავალი ლაშქარი, რომელიც შორეულ მხარეებში საბრძოლველად მიემართებოდა[47].

თბილისში ძირითადი ქართველი მოსახლეობის გვერდით ცხოვრობდნენ სხვადასხვა ენისა და სარწმუნოების მქონე ხალხთა წარმომადგენლებიც — არაბ-სპარსელები, თურქები, ებრაელები, მონოფიზიტი სომხები.

საქართველოს მეფეები კეთილ დამოკიდებულებას იჩენდნენ თბილისის მაჰმადიანთა მიმართ. ამ მხრივ დავით აღმაშენებლის მემკვიდრე დემეტრე I-ც თავისი მამის პოლიტიკას განაგრძობდა. არის ცნობა, რომ იგი მეჩეთში შესულა და „ხუტბა“ (ქადაგება) მოუსმენია, ამის შემდეგ კი მეჩეთისათვის ორასი ოქროს დინარი შეუწირავს[48].

დიდი სიფრთხილით ეკიდებოდა საქართველოს სამეფო კარი სომხურ კულტურასა და სახელმწიფოებრივ ტრადიციებს. ამ მიზნით საქართველოს მესვეურნი სომხეთის მიწებზე იმ მოხელეებსა სხამდნენ, რომლებიც ენითა და სარწმუნოებითაც სომხებთან ახლოს იყვნენ[49]. საერთოდ საქართველომ ბევრი რამ გააკეთა თურქთაგან სომეხი ხალხის ფიზიკურად გადარჩენის საქმეში, რაც, ბუნებრივია, სომეხთა დიდ მადლიერებას იწვევდა.

XII—XIII სს-ში, ქვეყნის ერთიანი სარწმუნოებრივი სისტემის შექმნის მიზნით, საქართველოს სამეფო კარი, თუ ამისი საშუალება ეძლეოდა, ცდილობდა ქართული და სომხური ეკლესიების შეერთებას. ეს გარემოება სომეხთა იდეოლოგიურ მესვეურთა შორის წინააღმდეგობას იწვევდა. მიუხედავად ამისა, სარწმუნოებრივი „გაქართველების“ ანუ დიოფიზიტური აღსარების გავრცელების პროცესი საქართველოში მოსახლე სომხებში მაინც მიმდინარეობდა[50].

ასეთ ვითარებაში შემუშავდა წარმოდგენა, რომლის თანახმადაც თბილისი არა მარტო საქართველოში მცხოვრები, არამედ ამიერკავკასიის დანარჩენი ხალხების საერთო ინტერესების გამომხატველი ქალაქი იყო. მაგრამ, არსებითად, იგი მაინც რჩებოდა კავკასიელი ქრისტიანების კულტურულ-იდეოლოგიურ და პოლიტიკურ ცენტრად.

---

47 ქართლის ცხოვრება, II, გვ. 64—65.

48 Из «Истории Майяфарикина» ибн ал-Азрака ал-фарика. დასახ. გამოც., გვ. 224.

49 ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი , ქართველი ერის ისტორია, ტ. II, გვ. 413.

50 ვ. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე , საქართველოსა და სომხეთის ურთიერთობის წარსულიდან, თსუ შრომები, ტ. 125, 1968, გვ. 123—139.

თბილისის სოციალურ-ეკონომიკური განვითარება XI—XII სს.

სოციალური სტრუქტურა

XI—XII სს. თბილისის ძირითად მოსახლეობას შეადგენდნენ ხელოსნები და ვაჭრები. აქვე ცხოვრობდნენ ფეოდალური კლასის ზედაფენების წარმომადგენლები — ჯერ ამირები, შემდეგ მეფეები, მათი მოხელეები და საერო თუ სასულიერო ფეოდალები.

თბილისის ვაჭრები და ხელოსნები, ისევე როგორც მკვიდრი მოსახლეობა, მოქალაქეებად იწოდებოდნენ. „მოქალაქე" ზოგადი ტერმინი იყო და მაშინ ამ ცნებით აღინიშნებოდა არა მარტო თავისუფალი მოსახლეობა და მეფის ყმები, არამედ ვაჭარ-ხელოსანთა მთელი ფენაც[51]. ამათგან განსაკუთრებით პრივილეგირებულ ჯგუფს დიდვაჭრები შეადგენდნენ.

ახლო და შუა აღმოსავლეთის ქალაქებში დიდვაჭრები აღზევებულ სოციალურ ფენას ქმნიდნენ და განსაკუთრებულ როლს ასრულებდნენ საზოგადოებრივ ცხოვრებაში. დიდვაჭრები ჩაბმული იყვნენ სატრანზიტო ვაჭრობაში, რის მეშვეობითაც დიდ შემოსავალს იძენდნენ. ამ გზით ისინი ახერხებდნენ დაახლოებას ფეოდალური არისტოკრატიის წრეებთან. ხშირად დიდვაჭრები საერთაშორისო და პოლიტიკურ ცხოვრებაში ფეოდალთა კონტრაგენტების როლსაც ასრულებდნენ[52].

დიდვაჭრები საგანგებო ტანსაცმელსაც კი ატარებდნენ. ისინი ორგანიზებული იყვნენ კორპორაციებში, რომლებსაც ვაჭართუხუცესი მეთაურობდა. მას ევალებოდა შეხვედრა უცხოეთიდან ჩამოსულ ვაჭრებთან, რომლებსაც თავის მხრივ ვაჭართუხუცესისათვის უნდა მიემართათ სტუმრობის დროს. მას ხვდებოდა საგანგებო პიროვნება, რომელიც ვალდებული იყო სტუმარი ქალაქში მზის ჩასვლამდე შეეყვანა. უცხო ვაჭართა დასაბინავებლად ვაჭართუხუცესს სათანადო ადგილი ჰქონდა გამოყოფილი. ჩამოსულებიც ვალდებული იყვნენ პატივისცემით მოქცეოდნენ ვაჭართუხუცესს და გასაყიდად ჩამოტანილი საქონელი ჯერ მისთვის უნდა ეჩვენებინათ. ამის შემდეგ მოსული ვაჭარი სამეფო ბაჟს გადაიხდიდა და ვაჭრობის უფლებას იღებდა. ვაჭრები და მათი მეთაური — ვაჭართუხუცესი სამეფო კართან დაახლოებული პირები იყვნენ.

---

[51] XI—XII სს. ქართული ქალაქებისა და, კერძოდ, თბილისის სოციალური წყობის საკითხებზე ვრცლად იხ. Месхиа Ш., Города..., с. 65—77; შ. მესხია და სხვ., დასახ. ნაშრომი, თბ., 1958, გვ. 52—58.

[52] ვ. გაბაშვილი, საქართველოს სავაჭრო ურთიერთობანი XII საუკუნეში, თსუ შრომები, ტ. 121, თბ., 1967, გვ. 212—218.

ჩვეულებისამებრ, ისინი ახალი წლის დამდეგს სამეფო კარზე სათანადო საჩუქრებით ცხადდებოდნენ[53].

დიდვაჭრების თვალსაჩინო როლზე საქართველოს ცხოვრებაში კარგად მიგვანიშნებს მაგალითი ზანქან ზორაბაბელისა, რომელსაც დაევალა იური ანდრია ბოგოლუბსკის ძის ჩამოყვანა რუსეთიდან.

დიდვაჭრების პრივილეგირებული მდგომარეობა კარგად ჩანს ასახული ფეოდალური ხანის იურიდიულ ძეგლში — ბექასა და აღბუღას სამართლის წიგნში (XIV ს.). დიდი „საპატიო ვაჭრის" სისხლი 12 ათას თეთრადაა შეფასებული, რითაც იგი მეფის მსახურთანაა გათანაბრებული: ეს მაშინ, როცა იმავე სამართლის ძეგლით გლეხის სისხლი მხოლოდ 400 თეთრი ღირდა[54]. დიდვაჭრები საქართველოში ვაჭართა და მოქალაქეთა მოსამართლეებიც იყვნენ[55]. ეს ჩანს ბაგრატ კურაპალატის სამართლის წიგნიდან (XI ს.): „ვინცა მოძღუარი იყოს, ანუ მეფეთა წინაშე ზრდილი და ნამყოფი კაცი იყოს, ან კარგი დიდვაჭარი, ანუ კარგი სოფლისა მამასახლისი იყოს, აგეთი კაცი იყოს, ის დასვი ბჭედ, ჭკუიანი იქნების"[56].

თავისუფალ ვაჭრებს გარდა, ქ. თბილისის ეკონომიკურ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავათ, აგრეთვე, ფეოდალთა და ეკლესია-მონასტრების საკუთრებაში მყოფ ყმა-ვაჭრებს. თავისი ქულბაქები გააჩნდა თბილისში შიომღვიმის მონასტერს[57]. ამ ქულბაქთა მოსამსახურე პერსონალი, ცხადია, ყმა-ვაჭრები იყვნენ[58].

თბილისის მშრომელი მოსახლეობის მეორე ძირითად ჯგუფს წარმოადგენდნენ თავისუფალი და ყმა-ხელოსნები[59].

შუა საუკუნეების აღმოსავლურ ქალაქებში ხელოსნებისა და ვაჭრების კვარტალები ქმნიდნენ რაბათს. მათი შექმნა ქრონოლოგიურად ყველგან ემთხვეოდა ფეოდალური ქალაქის ჩამოყალიბების ხანას. ასე იყო თბილისშიც. მის სამხრეთ გალავანთან გამოვლენილი კერამიკული სახელოსნოების ნაშთები, რომლებიც XI—XIII სს. თარიღდება, წარმოდგენას გვიქმნის ამ ადგილას კერამიკული წარმოების შესახებ. ეს უბანი შედიოდა ქალაქის რაბათში. ყოველ შემთხვევაში, აქ იყო თბილისის რაბათის ერთი ნაწილი მაინც[60].

---

[53] Месхиа Ш., Города..., с. 66—67; მ. გაბაშვილი, საქართველოს ქალაქები XI—XII საუკუნეებში, თბ., 1981, გვ. 120—122.

[54] ი. დოლიძე, ძველი ქართული სამართალი, თბ., 1953, გვ. 289, 290, 333.

[55] ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, თბ., 1907, გვ. 26.

[56] ი. დოლიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 335.

[57] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II, გვ. 14, 20.

[58] მ. გაბაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 116—117.

[59] Месхиа Ш., Города..., с. 70.

[60] მ. მიწიშვილი, მოჭიქული კერამიკის საწარმო შუა საუკუნეების თბილისში IX—XIII სს. თბ., 1979, გვ. 21.

XI—XII სს. თბილისში, სავარაუდოა, დიდი რაოდენობით ცხოვრობდნენ „ქალაქის გლახაკნი" — მოსახლეობის ყველაზე დაბალი ფენის წარმომადგენლები. XII ს-ში საქართველოში ეს სოციალური ჯგუფი იმდენად მრავალრიცხოვანი იყო, რომ სამეფო ხელისუფლება იძულებული გახდა მისთვის საგანგებო ყურადღება მიექცია. კერძოდ, გლახაკებს ურიგებდნენ სათანადო თანხას, რომლის საერთო რაოდენობაც სახელმწიფო შემოსავლის ერთ მეათედს შეადგენდა. იმ დროის ქალაქში გლახაკთათვის საგანგებო თავშესაფრებსაც აგებდნენ[61].

შუა საუკუნეების ქალაქებში ხელოსნები და ვაჭრები, როგორც წესი, სათანადო კორპორაციებში იყვნენ გაერთიანებული. ამას განაპირობებდა მაშინდელი ტექნიკის პრიმიტიული ხასიათი, კონკურენციისაგან თავდაცვის საჭიროება და ა. შ.

თბილისის ვაჭრებიცა და ხელოსნებიც ასეთი კორპორაციული, „ამქრული" წესით იყვნენ გაერთიანებული.

XI—XIII სს. თბილისის კერამიკული საწარმოების არქეოლოგიურმა შესწავლამ ხელშესახები გახადა ვარაუდი, რომ მისი მომსახურება სათანადო მასშტაბურობის გამო კოლექტიური შრომის საფუძველზე მიმდინარეობდა[62].

სათანადო კორპორაციულ გაერთიანებებს ქმნიდნენ შუა საუკუნეების საქართველოში დიდვაჭრები. საქართველოში XIII ს. შუა ხანებში მოქმედებდა საფინანსო-საკრედიტო კორპორაცია ორტაღი[63], რომელიც სავახშო საქმიანობას ეწეოდა. მაგრამ ორტაღები ახლო აღმოსავლეთის და კავკასიის სინამდვილეში ადრეც არსებობდნენ. თბილისიც საქალაქო წყობითა და ეკონომიკური ურთიერთობების ხასიათით წააგავდა ახლო აღმოსავლეთის ქალაქებს. ამიტომაც შესაძლებელია ორტაღების არსებობა თბილისში XI—XII საუკუნეებში ვივარაუდოთ[64].

ხელოსნობა და ვაჭრობა

XI—XII სს. თბილისში წარმოდგენილი იყო შუა საუკუნეების ქალაქებისათვის ცნობილი ხელოსნობის და ვაჭრობის თითქმის ყველა დარგი[65].

---

[61] რ. მეტრეველი, დეკლასირებული ელემენტები შუა საუკუნეების საქართველოში. თბ., 1976.

[62] გ. ლომთათიძე, თბილისის არქეოლოგიური შესწავლილობა. ისტორიის ინსტიტუტის შრომები. ტ. 5, ნაკვ.I, 1960, გვ. 172.

[63] ქართული სამართლის ძეგლები, I, გვ. 58.

[64] Месхиа Ш., Города..., с. 68.

[65] იქვე, с. 55—56, 61 — 62; ლ. ჭილაშვილი, ქალაქები ფეოდალურ საქართველოში, II, თბ., 1970, გვ. 136—139, 153, 155, 162.

ხელოსნობის ერთ-ერთი განვითარებული დარგი იყო მეთუნეობა. 1948 წელს თბილისში სამასი არაგველის სახელობის ბაღის ტერიტორიაზე არქეოლოგიური თხრის შედეგად გამოირკვა, რომ XI—XIII სს. ამ ადგილებში ინტენსიურად მოქმედებდა კერამიკული საწარმოების მთელი წყება. იგი, ეტყობა, მონღოლთა ბატონობის დასაწყის პერიოდში მოშლილა. დიდი რაოდენობით გამოვლენილმა არქეოლოგიურმა მასალამ შესაძლებელი გახადა კონკრეტულად წარმოგვედგინა კერამიკული წარმოების ტექნოლოგია: ქურების მოწყობილობა, ნედლეულის მოპოვებისა და დამუშავების ტექნოლოგია და ა. შ.[66]

თბილისის კერამიკული წარმოების პროდუქცია საკმაოდ მრავალფეროვანი და მაღალხარისხოვანი ყოფილა. აქ ამზადებდნენ მოჭიქულ კერამიკას — ჯამებს, ხელადებს, სამარილეებს, ჭრაქებს. პროდუქცია იყიდებოდა არა მარტო ახლომახლო, არამედ შორეულ ადგილებშიაც[67]. აქვე ამზადებდნენ სამშენებლო კერამიკას: კრამიტებსა და შორენკეცებს, რომლებსაც შენობათა დეკორაციული მორთვისათვის იყენებდნენ[68].

კერამიკული წარმოების ფართოდ ფეხის მოკიდებას თბილისში ხელს უწყობდა მდიდარი თიხოვანი ნიადაგების, ე. ი. საწარმოო ნედლეულის არსებობა.

თბილისში მაღალ დონეზე იყო მინის წარმოება. შესაძლოა, რომ მინის დამზადება უშუალოდ კერამიკულ სახელოსნოებთანაც მიმდინარეობდა. მინა ხომ საჭირო იყო კერამიკაში საჭიქურე მასალის შესამზადებლად[69].

თბილისში განვითარებული იყო საფეიქრო წარმოება, ამზადებდნენ ძვირფას ქსოვილებს. აქაური ნაწარმი მსოფლიოში ერთ-ერთ უძვირფასეს ქსოვილად ითვლებოდა. იბნ ისფანდიარის ცნობით, თაბარისთანის მბრძანებელმა არდაშირ იბნ ჰასანმა ხორეზმშაჰ თექეშს სხვა საჩუქრებთან ერთად ძღვნად გაუგზავნა „ბიზანტიური (რუმი), ბაღდადური და თბილისური ქსოვილები საპალნეებით“[70]. „თბილისური ქსოვილი“, როგორც ჩანს, აბრეშუმია, რადგანაც ძვირფას ქსოვილად და ძღვნად თაბარისთანის მმართველი ალბათ სწორედ აბრეშუმს გაგზავნიდა. ამ ვარაუდს მხარს უჭერს ზაქარია ალ-კაზვინის ცნობა იმის თაობაზე, რომ სხვა

---

[66] გ. ლ ო მ თ ა თ ი ძ ე, არქეოლოგიური გათხრა თბილისში 1948 წლის ზამთარში, მსკი, I, 1955, გვ. 130—150.

[67] იქვე, გვ. 154—160.

[68] იქვე, გვ. 151—153.

[69] იქვე, გვ. 142—143.

[70] გ. ბ ე რ ა ძ ე, მასალები XII საუკუნის საქართველოს ისტორიისათვის იბნ ისფანდიარის თხზულებაში. საქართველოს ისტორიის აღმოსავლური მასალები, წ. I, თბ., 1976, გვ. 70.

მრავალ საქონელთან ერთად თბილისიდან გააქვთ აბრეშუმი[71]. თბილისური ქსოვილების დასახელება ხელმწიფურ ძღვენში, იმ ეპოქაში საყოველთაოდ აღიარებულ და ფართოდ გავრცელებულ ბიზანტიურ და ბაღდადურ ქსოვილთა გვერდით, საქართველოს სამეფოს დედაქალაქში დამზადებული მდიდრული საფეიქრო ნაწარმის საერთაშორისო ავტორიტეტის ფრიად მეტყველი მოწმობაა. ხორეზმის ძლიერი ტახტის მპყრობელისათვის განკუთვნილ უძვირფასეს ძღვენში თბილისური ქსოვილი ვერ მოხვდებოდა, მისი ყადრი იმ დროისათვის კარგად რომ არ ყოფილიყო ცნობილი როგორც თაბარისტანში, ასევე თვით ხორეზმშაჰის კარზეც[72].

თბილისში უნდა ყოფილიყო საოქრომჭედლო სახელოსნოებიც. აქაურ განათხარ არქეოლოგიურ მასალაში აღმოჩენილია ოქრომჭედლის ხელსაწყო—პატარა ტიგელი, ანუ „ბუთა“, რომელზედაც ოქროს წვეთებია შეყინული. ეს ფაქტი სათანადო სახელოსნოთა არსებობაზე მიუთითებს[73].

თბილისის სახელოსნოებში მზადდებოდა და აქვე იყიდებოდა ან აქედან გასაყიდად გაჰქონდათ სხვა მრავალრიცხოვანი საქონელიც. „სამყაროს საკვირველებათა“ ავტორის ცნობით, თბილისური საქონელია: უნაგირები, სპილოს ძვლით გაწყობილი ლაგმები, კაპარჭები და ხილიფები, თაფლი, მოხალული ტკბილეული, ბევრი ბროწეული, თახვი, წყლის ძაღლი, მონა ვაჟები და ქალები, მინა, ფიალები და კარგი ბროლის ნაწარმი[74]. ამ „თბილისური საქონლის სიას“ კიდევ უფრო ავსებს ზაქარია ალ-კაზვინის ცნობა იმის შესახებ, რომ ამ ქალაქიდან გააქვთ ვერცხლისწყალი, არყის ხე[75], (გაჰყავთ) მონები და ოთხფეხი საქონელი, (გააქვთ) მრავალნაირი ნაბდები, ფაქიზი ნოხები, ქვეშაგები, თხელი შალი, აბრეშუმი და მისთანანი“[76].

მთელ წინა აზიაში იყო განთქმული, აგრეთვე, აქაური ენდრო. ალიდრისის (XII ს., გარდ. 1164 წ.) მოწმობით, ბაბ ალ-აბვაბიდან თბილისამდე ხარობდა მთელ დედამიწაზე საუკეთესო ენდრო, რომელსაც აგროვებდნენ და აქედან გაჰქონდათ გურგანში, საიდანაც მას ინდოეთშიც მიეზიდებოდნენ[77]. ენდრო გამოიყენებოდა ქსოვილების შესაღებად.

XI—XII სს. თბილისში ამზადებდნენ ხელნაწერ წიგნებს. ამ საქმიანობასთან კავშირში იყო წიგნების დასაკაზმი ტყავის დამზადება და გა-

---

[71] ზაქარია ალ-კაზვინის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ. არაბული ტექსტი, შესავალი წარუმძღვარა, ქართული თარგმანი და შენიშვნები დაურთო ო. ცქიტიშვილმა, თბ., 1975, გვ. 40.

[72] გ. ბ ე რ ა ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 73.

[73] საქართველოს არქეოლოგია, 1955, გვ. 375.

[74] „სამყაროს საკვირველებათა“ ცნობები..., რ. კიკნაძის გამოც., გვ. 28.

[75] არაბულ ტექსტშია „ხალანჯ“, რაც ძირითადად არყის ხეს ნიშნავს (გ. ბ ე რ ა ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 40).

[76] ზაქარია ალ-კაზვინის ცნობები..., გვ. 40.

[77] გ. ბ ე რ ა ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 88.

საყიდად გატანა. XII ს. დამდეგის ერთი სომხური მინაწერის ცნობით, თბილისიდან ტყავი გაჰქონდათ საღამოვანქის მონასტერში. ამ ტყავს წიგნების ყდისათვის იყენებდნენ[78].

თბილისის სავაჭრო-ეკონომიკურ კავშირებზე სათანადო წარმოდგენას გვიქმნის არქეოლოგიური მასალა. კერძოდ, აქ მრავლადაა გამოვლენილი ჭურჭელი, რომელიც აშკარად აღმოსავლური წარმოშობისაა (ირანული, ქუფური და სხვა)[79]. ამასვე მოწმობენ ქალაქში და ნაწილობრივ მის ახლო ტერიტორიებზე აღმოჩენილი ბიზანტიური, აგრეთვე შირვანშაჰების, დერბენდის, ეიუბიანთა, ელდიგუზიანთა, ორთუკიანთა და რუმის სულთანთა მონეტები[80].

თბილისი სავაჭრო მაგისტრალებით იყო დაკავშირებული როგორც ახლო მდებარე ქვეყნებთან (სომხეთი, აზერბაიჯანი), ისე ახლო და შუა აღმოსავლეთის ქალაქებთან (რეი, ზენჯანი, ქერმანი...), ბიზანტიასთან, ინდოეთთან, ჩინეთთან, რუსეთთან, ჩრდილოეთის ქვეყნებთან. ეს კავშირი მყარდებოდა დერბენდის და დარიალის გზებით. თბილისიდანვე გადიოდა გზა ბარდავში, იქიდან კი დერბენდში, საიდანაც შესაძლებელი იყო წასვლა ხაზართა ქვეყანასა და რუსეთში. თბილის-ბარდავის სამარშრუტო გზით თბილისი უკავშირდებოდა სპარსეთის ქალაქებს, საიდანაც გზები იყრებოდა არაბეთისა და ეგვიპტის მიმართულებით. ასეთივე ცხოველი კავშირი იყო დამყარებული ბიზანტიასთან, რომელთან კონტაქტებიც შავი ზღვის ქალაქების მეშვეობით ხორციელდებოდა[81].

ქალაქის მოსახლეობის რაოდენობა

თბილისის ეკონომიკური სიცოცხლისუნარიანობის ერთ-ერთ ფაქტორს წარმოადგენდა მისი მრავალრიცხოვანი მოსახლეობა, რაც ქალაქს სათანადოდ უზრუნველყოფდა მუშახელით. XI—XII სს. თბილისის მოსახლეობის რაოდენობის განსაზღვრა რთულია. ამასთან დაკავშირებით ყურადღებას იქცევს ალ-ფარიკის ცნობა იმაზე, რომ XII ს. 10-იანი წწ. დამლევს დავით აღმაშენებელმა თბილისს ხარკის სახით დააკისრა 10 000 დინარი[82]. შემდეგ, იმავე ავტორის ცნობით, როცა დავითმა თბილისი საბოლოოდ შეიერთა, ქალაქის მოსახლეობაზე გააწესა გადასახადები ასეთი ოდენობით: ქართველებს უნდა გადაეხადათ წელიწადში ხუთი დინარი, ებრაელებს — ოთხი დინარი, მუსლიმანებს კი სამი[83]. აქედან

---

[78] ვ. ნალბანდიანი, თბილისი ძველ სომხურ მწერლობაში, თბ., 1959, გვ. 17.

[79] მ. გაბაშვილი, საქართველოს ქალაქები..., გვ. 103—104.

[80] Джалагания И. Л. Иноземная монета в денежном обращении Грузии V—XIII вв. Тбилиси, 1979, с. 86, 91 —92 и т.д.

[81] მ. გაბაშვილი, დასახ. ნაშრომი. გვ. 104—105.

[82] Из «Истории Майяфарикина», с. 222.

[83] იქვე, გვ. 223—224.

გამოდის, რომ თავდაპირველად თბილისელებზე გაწერილი ხარკი უდრიდა საშუალოდ 4 დინარს. ასეთ შემთხვევაში XII ს. პირველი მეოთხედის თბილისში სავარაუდებელი იქნება დაახლოებით 2 500 კომლის არსებობა. თუ თითოეულ კომლზე მინიმალურად 6 სულს ჩავთვლით, მაშინ ამ დროის თბილისის მოსახლეობა უნდა ეტოლებოდეს 15 000 სულს, მაგრამ ეს მაჩვენებელი ძალიან მცირე ჩანს ამ დროის თბილისისათვის. ამიტომ სავარაუდებელია, რომ დავით აღმაშენებლის გადასახადები ეკისრებოდა ქალაქის მხოლოდ ვაჭარ-ხელოსანთა გარკვეულ ნაწილს.

კიდევ უფრო გაიზარდა თბილისის მცხოვრებთა რიცხვი იმ დროიდან, როცა თბილისი გაერთიანებული საქართველოს დედაქალაქი გახდა. XIII ს. პირველი მეოთხედის ამბებთან დაკავშირებით ჟამთააღმწერელი გვამცნობს, რომ 1226 წ. ჯალალ ედ-დინმა თბილისში 100 000 კაცი ამოწყვიტა[84]. ამ ცნობის საფუძველზე დაასკვნიან, რომ ამ დროისათვის თბილისში მოსახლეობა 100 000-ზე მეტი ყოფილა. თუმცა გამორიცხული არაა, რომ, შთაბეჭდილების გაზრდის მიზნით, ქართველი ჟამთააღმწერელი ერთგვარად აჭარბებდეს კიდევაც. ისიც შესაძლოა, რომ ამ რიცხვში ჟამთააღმწერელი გულისხმობს საქართველოს სხვა მხარეებიდან მოსულ ლტოლვილებსაც, რომლებიც ქალაქთან მოვიდნენ და ხვარაზმელების მსხვერპლი გახდნენ. მაგრამ, როგორც არ უნდა გავიგოთ, ის მაინც აშკარაა, რომ თბილისი მოსახლეობის რიცხვით დიდი ქალაქი იყო[85].

ასეთი რაოდენობის მოსახლეობა, ცხადია, თავს მარტო ვაჭრობითა და ხელოსნობით ვერ გაიტანდა. თბილისი, ისე როგორც საშუალო საუკუნეების სხვა ქალაქები, სოფლის მეურნეობასაც მისდევდა. ქალაქი უხვად იყო მოფენილი ბაღებით[86]. ქალაქში მრავლად ჰყავდათ ოთხფეხი საქონელი და შინაური ფრინველებიც.

სოციალური მოძრაობანი

იმთავითვე ქალაქი სოციალური ნიშნის მიხედვით უბნებად იყო გამიჯნული. ისნის მხარეს და მის ახლოს მკვიდრობდნენ ფეოდალური არისტოკრატიული ფენები, რომლებსაც წინათ ამირას სახლიც ეკუთვნოდა. როცა თბილისი საქართველოს დედაქალაქი გახდა, სამეფო კარი და სამოხელეო არისტოკრატია კვლავ ისანში დაბინავდა.

1184 წ. ახალი სახელმწიფო ორგანოს — კარავის დაარსებას საქარ-

---

[84] ჟამთააღმწერელი. — ქართლის ცხოვრება, II, გვ. 178.
[85] შ. მ ე ს ხ ი ა და სხვ., დასახ. ნაშრომი, გვ. 48,50.
[86] „სამყაროს საკვირველებათა“ ცნობები..., გვ. 28.

თველოს მეპურპლეთუხუცესი ყუთლუ არსლანი მაინცდამაინც ისნის ველზე აპირებდა[87].

ქალაქის მკვიდრთა მეორე, ვაჰარ-ხელოსნებისაგან შემდგარი, ნაწილი ძირითადად თბილისის ძველ საზღვრებში იყო განლაგებული. ამ ფენებიდან თავისი სოციალურ-პოლიტიკური ინტერესებით ზოგიერთნი ჯერ ამირების სახლს დაუპირისპირდნენ. მათ ქართული წყარო ტფილელ ბერებს უწოდებს. ისინი XI ს. შუა ხანებში დაჟინებით ცდილობდნენ ქალაქის მმართველად ძლიერი ფეოდალის მოწვევას და მასთან კავშირში ამირების ხელისუფლების დამხობას.

ერთგვარად ბუნდოვანია ის კონკრეტული მიზეზები, რამაც თბილისის ბერებისა და ამირების ურთიერთობა ასეთი დაძაბული გახადა. მხოლოდ ზოგადად შეიძლება იმის აღნიშვნა, რომ ასეთი სოციალური დაპირისპირებანი ხშირი იყო ხოლმე იმ დროის ამიერკავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ქალაქებში. თბილისთან მიმართებაში მხოლოდ იმისი აღნიშვნა შეიძლება, რომ აქაური ამირების ხელისუფლება უკვე მეტად შერყეული იყო. ქალაქის ამირათა წინააღმდეგ მებრძოლი ფენების თავკაცები ვაჰარ-ხელოსნური ფენების მმართველი წრეებიდან იყვნენ. ისინი ქალაქის „რაისები" უნდა ყოფილიყვნენ. სწორედ რაისის ქართული შესატყვისია ტერმინი ბერი, უხუცესი[88].

რაისების ინსტიტუტი აღმოცენდა და განვითარდა ირანისა და ახლო აღმოსავლეთის ქალაქებში მათი ეკონომიკური აღმავლობისა და განმტკიცების ვითარებაში. ასევე განვითარდა ეს ინსტიტუტი აღმოსავლეთ ამიერკავკასიის ქალაქებში[89]. რაისები, რომლებიც ქალაქის სავაჭრო-სახელოსნო კორპორაციების მეთაურები იყვნენ, თანდათან იქცნენ ქალაქის ძალაუფლებით აღჭურვილ ფენებად. ისინი სათავეში ჩაუდგნენ ქალაქის პოლიტიკურ ცხოვრებას. გარკვეული დროიდან შეიმჩნეოდა რაისების ენერგიული ბრძოლა ფეოდალური არისტოკრატიის წინააღმდეგ, რაც რიგ ადგილებში ქალაქების მიერ თვითმმართველობის მოპოვებით დამთავრდა[90].

XI ს. შუა ხანებში თბილისის რაისებსაც, ანუ ბერებს, მძაფრი ბრძოლა ჰქონდათ ფეოდალური არისტოკრატიის, ამ შემთხვევაში ამირების სახლის წინააღმდეგ, რომელთა ხელისუფლებაც გადაგვარების გზაზე იმყოფებოდა. ასეთ ვითარებაში თბილისის ამირათა სახლს ორიენტაცია

---

[87] ქართლის ცხოვრება, II, გვ. 31.

[88] ვ. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი, თბილისის მმართველობა X—XI საუკუნეებში, თსუ შრომები, ტ. 108, 1964, გვ. 348—357.

[89] ვ. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 349; გ. ბ ე რ ა ძ ე, მახლობელ აღმოსავლეთში ფეოდალური ქალაქის წარმოშობის ისტორიიდან („ქალაქის რაისების" ინსტიტუტი), საქ. სსრ მეცნ. აკად. მაცნე, 1969, №4.

[90] ვ. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 354—355.

უმთავრესად სელჩუკიან თურქებზე ჰქონდა აღებული, მათთან კავშირში ცდილობდა ძალაუფლების შენარჩუნებას. ანალოგიური კურსი აიღეს თბილისელმა ბერებმაც, როცა თბილისის ძალაუფლებას დაეპატრონენ. ამ გზით ცდილობდნენ ისინი დამოუკიდებლობის შენარჩუნებას.

XI ს. 80-იანი წლებიდან ქალაქში ძალაუფლება ხელთ იგდეს ბერებმა. ალ-ფარიკის ცნობით, ამ დროიდან მთელი ძალაუფლება ეკუთვნოდა „ხალხს". იბნ ალ-ჯაუზის მიხედვით კი, ქალაქს „ყმაწვილები" მართავდნენ[91]. როგორც ჩანს, თბილისში ძალაუფლება ხელთ უგდიათ სოციალურ მოძრაობებში აქტიურად მონაწილე წრეებს[92]. არაბ ავტორებთან „ხალხი" და „ყმაწვილები" ოდიოზური შინაარსის შემცველი ტერმინებია, რომლებიც ხშირად დაბალი სოციალური წრეებიდან გამოსულებს გულისხმობენ. იქნებ „ხალხის" გაგებაში ივარაუდებიან ის „ბერები" (რაისები), რომლებმაც დიდი ენერგია შეალიეს ძალაუფლების მოპოვებას თბილისში. დავით აღმაშენებლის წინააღმდეგ თბილის-ქალაქის ბრძოლას გარკვეული დროიდან სწორედ აქაური ეაჭრების ზედაფენები მეთაურობდნენ[93].

თბილისში 1082—1122 წლებში მართლაც არსებობდა ადგილობრივი თვითმმართველობა, მაგრამ სამეცნიერო ლიტერატურაში სადავოდ რჩება მისი ფორმისა და სოციალური შინაარსის საკითხი. შ. მესხიას მოსაზრებით, XI ს. 80-იანი წლებიდან ქალაქის გამგებლობა თბილისელი „ხალხის" ანუ „უხუცესთა" ხელში გადავიდა. „ეს კი იმას ნიშნავდა, რომ ქალაქის მმართველობა ამიერიდან ქალაქის დამოუკიდებლობაში გადაიზარდა, თბილისი ქალაქ-კომუნად იქცა. იმდროინდელი მსოფლიოს ქალაქთა შორის თბილისი ამ მხრივაც ერთი პირველთაგანი იყო"; დავით აღმაშენებლის დროს, საქართველოს ფეოდალური მონარქიის არაჩვეულებრივი გაძლიერების შედეგად, „თბილისის დამოუკიდებლობა" და მისი „საქალაქო კომუნაც" გაუქმდა[94].

სწორად შენიშნავს შ. მესხია, რომ „ბრძოლა თბილისის მფლობელსა და ქალაქის მოსახლეობის ზედაფენას შორის არსებითად იყო კლასობრივი, სოციალური ბრძოლა ქალაქის დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად, საპატრონყმო ურთიერთობისაგან გასანთავისუფლებლად"[95].

უკანასკნელი მეცნიერული გამოკვლევების ავტორებს მიაჩნიათ, რომ არსებული მასალების კრიტიკული შესწავლა უფრო ფართო ასპექტში მხარს არ უჭერს დებულებას „თბილისის კომუნის" შესახებ. მაშინდე-

---

[91] ო. ც ქ ი ტ ი შ ვ ი ლ ი, სიბტ იბნ ალ-ჯაუზის ცნობა დავით აღმაშენებლის შესახებ, ოსუ შრომები, ტ. 118, 1967, გვ. 205.

[92] მ. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი, საქართველოს ქალაქები XI—XII საუკუნეებში, გვ. 70—82.

[93] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 340.

[94] შ. მ ე ს ხ ი ა, საქალაქო კომუნა შუა საუკუნეების თბილისში, 1962, გვ. 147—148.

[95] იქვე, გვ. 57.

ლი თბილისის საქალაქო მმართველობა არსებითად მიაგავდა ახლო აღმოსავლეთის მაჰმადიანური რეგიონების გავრცელებულ თვითმმართველობას[96]. იმდროინდელი თბილისის მმართველობის სოციალური არსის საკითხი უფრო გაღრმავებულ შესწავლას მოითხოვს.

დიდი სოციალური ბრძოლის არენად იქცა თბილისი XII საუკუნის 10-იანი წლების ბოლოს, როცა კიდევ უფრო გაღრმავდა წინააღმდეგობანი ქალაქის სხვადასხვა სოციალურ ფენებს შორის. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი გვამცნობს თბილისის ქრისტიანთა თავსდატეხილ ისეთ უბედურებაზე, როგორიცაა: დევნა, მათი ტყვედ გაყიდვა, სისხლისღვრა და სხვ.[97] ასეთი სურათი ყველაზე უკეთ შეესაბამება თბილისის აღების წინა დროს, დიდგორის ომის ახლო ხანებში. ქალაქის ძალით ხელში ჩაგდების შემდეგ კი, როგორც ცნობილია, დავითმა ოპოზიციური ძალები გატეხა. ამასთანავე მეფემ ქალაქის მაჰმადიანური ნაწილის ზედაფენებს რიგი პრივილეგიები შეუნარჩუნა, რითაც ერთგვარად შეანელა მათი ოპოზიციური განწყობილება. მაჰმადიანთა მიერ თბილისის ქრისტიანული ნაწილის დევნას უკვე საკმარისი მიზეზები აღარ გააჩნდა.

სოციალურ-კონფესიურ ბრძოლას თბილისში ადგილი ჰქონდა 1121 წლის წინა პერიოდში, 1118—1121 წწ. შორის. ქრისტიანულ-მაჰმადიანური ჯგუფების დაპირისპირება მხოლოდ კონფესიურ-პოლიტიკურ მომენტებს კი არა, სოციალური დაპირისპირების იერსაც ატარებდა.

თბილისისა და მთელი საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური მოძრაობის ისტორიის თვალსაზრისით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ყუთლუ არსლანის დასის გამოსვლა 1184 წ. ქართულ ისტორიოგრაფიაში საკამათოა ყუთლუ არსლანის დასის სოციალური შემადგენლობისა და ბუნების საკითხი. ერთნი ამ დასს საქალაქო მაღალი წრეების (დიდვაჭართა) ინტერესების გამომხატველად მიიჩნევენ და თვით ყუთლუ არსლანსაც ამ წრიდან გამოსულად თვლიან, მეორენი კი დიდგვარიან ფეოდალთა მიზნების გამომხატველად: მიიჩნევენ, რომ მათ ინტერესთა შესაბამისად ცდილობდა ყუთლუ არსლანი საქართველოს სახელმწიფო წყობილების შეცვლას[98].

ზემოდასახელებულ თვალსაზრისთაგან მეორე შეხედულებას თითქოს მეტი საფუძველი აქვს.

ყუთლუ არსლანის მოძრაობაში, როგორც ჩანს, თბილისის დაბალი სოციალური ელემენტებიც იღებდნენ მონაწილეობას. ამას მოწმობს

---

[96] იხ. ვ. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი, თბილისის მმართველობა X—XI სს., თსუ შრომები, ტ. 108, 1964, გვ. 331—359; მ. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი, საქართველოს ქალაქები XI—XII საუკუნეებში, 1981, გვ. 63—64, 82, 84.

[97] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 349.

[98] ამ საკითხზე ერცლად იხ. საქართველოს ისტ. ნარკვევები, ტ. III, გვ. 304—309.

ისტორიკოსის ცნობა იმის თაობაზე, რომ ამ გამოსვლაში ჩაბმული იყვნენ „დიდებულნი“ და „ლაშქარნი“.

გაბატონებული ფეოდალური იდეოლოგიისა და სოციალური წყობილების წინააღმდეგ განწყობილი ელემენტები უნდა ყოფილიყვნენ თბილისში რინდებიც, რომლებთანაც ურთიერთობა თვით ლაშა გიორგისაც კი ჰქონია[99].

„რინდ“ სიტყვასიტყვით ნიშნავდა „მემთვრალეს“, მაგრამ კლასიკური შუა საუკუნეების ხანაში იგი გადატანითი მნიშვნელობითაც იხმარებოდა. ამ ტერმინით ფეოდალური სახელმწიფოებრიობისა და იდეოლოგიის დამცველები აღნიშნავდნენ იმ მოქალაქეებს, რომლებიც ფართოდ მონაწილეობდნენ ფეოდალური საზოგადოების გაბატონებული ფენების წინააღმდეგ მიმართულ სოციალურ მოძრაობებში. „რინდ“ ტერმინის ოდიოზური შინაარსიდან ჩანს, რომ ფეოდალური არისტოკრატია ზიზღით ცდილობდა მისთვის საძულველი ოპოზიციურად განწყობილი საქალაქო წრეების დამცირებას[100].

თბილისში, მისი ერთიანი საქართველოს დედაქალაქად ქცევის შემდეგაც, თავს იჩენდა წინააღმდეგობანი სხვადასხვა კონფესიურ თუ ეთნიკურ ჯგუფებს შორის. ცხადია, ეს ბრძოლა პოლიტიკური და სოციალური მოტივებით იყო შეფერადებული. მაგალითად, კარგადაა ცნობილი, რომ ჯალალ ედ-დინს თბილისის აღებისათვის ბრძოლაში, 1226 წ., მხარს უჭერდნენ თბილისელი მაჰმადიანები, „თბილელი სპარსნი“, რომელთაც ხვარაზმშაჰს გაუადვილეს ქალაქის აღება[101]. სავარაუდოა, რომ თბილელ მაჰმადიანთა საქართველოს სამეფოსადმი ასეთი ღალატი გამოწვეული იყო ისლამური სამყაროს პროპაგანდის გავლენით.

თბილისის მმართველობა

თბილისის საამიროს არსებობის პერიოდში თბილისის მმართველობა თითქმის მთლიანად აღმოსავლური ქალაქების მსგავსად იყო მოწყობილი. 1122 წლიდან კი, როცა თბილისს დავით აღმაშენებელი დაეუფლა, ქალაქის მმართველობა ერთიანი ქვეყნის სახელმწიფო წყობილებას შეეფარდა. დაიწყო თბილისის საქალაქო წყობილების გაქართულება[102]. ამასთანავე თბილისში კვლავ არსებობდნენ მაჰმადიანური (არაბულ-სპარსულ-თურქული), სომხურ-მონოფიზიტური და ებრაული ეთნოკონ-

---

[99] ქართლის ცხოვრება, II, გვ. 155.

[100] ე. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი, ქალაქ თბილისის სოციალური ისტორიიდან (ავამთააღმწერელს ერთი ცნობის განმარტება). იხ. ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ქალაქების ისტორიიდან, გვ. 122—144.

[101] ქართლის ცხოვრება, II, გვ. 175.

[102] მ. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი, საქართველოს ქალაქები XI—XII საუკუნეებში, თბ., 1981, გვ. 84.

ფესიური ჯგუფები, რომლებიც ისევ რელიგიური თემების სახით უნდა ყოფილიყვნენ ორგანიზებული. ეს გარემოება თბილისის მმართველობაში ამ ჯგუფების თავისებურ სარწმუნოებრივი თვითმმართველობის ელემენტებს ქმნიდა.

XI ს. მთელ მანძილზე თბილისის მმართველობის სათავეში კვლავ იდგნენ ამირები. თბილისის ამირები ტიპური ფეოდალები იყვნენ, რომლებიც სამხედრო ძალისა და მოხელეების მეშვეობით განაგებდნენ თავიანთ საბრძანებელს[103].

ეს მოხელეები იყვნენ შემდეგი:

ა მ ი დ ი. მუსლიმანურ ქალაქებში ასე ეწოდებოდათ მწიგნობრებს, კერძოდ, სამდივანმწიგნობროს (სახელმწიფო კანცელარიის) მოხელეებს[104]. თბილისში ამიდის არსებობა დასტურდება დავით აღმაშენებლის ანდერძიდან შიომღვიმისადმი[105] და გიორგი III-ის მიერ ამავე მონასტრისადმი ბოძებული სიგელიდან[106]. ეს ფაქტი იმაზეც მიუთითებს, რომ ამიდის სახელოსთან ერთად თბილისში ადრევე უნდა არსებულიყო სათანადო სამდივანმწიგნობრო, ე. ი. სახელმწიფო კანცელარია.

მ უ შ რ ი ბ ი. მმართველობის სხვადასხვა უწყებათა მეთვალყურეებს მუშრიბები ეწოდებოდათ[107]. ქართულ წყაროებში მუშრიბი შედარებით გვიანდელი პერიოდიდანაა მოხსენიებული (XIV ს.)[108], თუმცა, ცხადია, რომ მუშრიბი ძველი ინსტიტუტია თბილისში. მუშრიბები განაგებდნენ გადასახადებისა და ბაჟების აკრებას[109].

შ უ რ ტ ა. იგი თბილისში გიორგი III-ის ზემოხსენებულ სიგელშია დადასტურებული[110]. შურტა საპოლიციო საქმიანობას ხელმძღვანელობდა[111].

მ უ ჰ თ ა ს ი ბ ი. ამ სახელოს არსებობაც თბილისში გიორგი III-ის მიერ შიომღვიმისადმი ბოძებული სიგელიდან ჩანს[112]. აღმოსავლურ ქა-

---

[103] ვ. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი, თბილისის მმართველობა X—XI სს., თსუ შრომები, ტ. 108, 1964, გვ. 350.

[104] მ. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე, ქალაქის მოხელეთა საკითხისათვის ფეოდალურ საქართველოში, მსკი, ნაკვ. 30, 1954, გვ. 151—152; ვ. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 334.

[105] ქართული სამართლის ძეგლები, II, თბ., 1965, გვ. 16.

[106] იქვე, გვ. 21

[107] მ. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 154; ვ. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი. დასახ. ნაშრომი, გვ. 334.

[108] ქართული სამართლის ძეგლები, II, გვ. 86.

[109] ვ. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 334.

[110] ქართული სამართლის ძეგლები, II, გვ. 21.

[111] მ. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 146.

[112] საბუთში კითხულობენ გადასახადს „საგუსტასიბოს“ (ქართული სამართლის ძეგლები, II, გვ. 21), რაც ნიშნავს გუსტასიბის სარგოს. ამის მიხედვით მსჯელობენ „გუსტასიბ-

ლაქებში მუჰთასიბი ვალდებული იყო თვალყური ედევნებინა რელიგიური წესების დაცვისათვის. მუჰთასიბსვე ევალებოდა კონტროლი არამუსლიმანებზე და მათი მუსლიმანებთან ურთიერთობის მოწესრიგება. შემდგომში მუჰთასიბთა ფუნქციები გაფართოვდა. მათ დაეკისრათ ბაზრებზე ნიხრის დაწესება, საზომ-საწონის მეთვალყურეობა, მაგრამ ბოლომდე შერჩათ ისლამის რელიგიასთან დაკავშირებული ფუნქციები[113].

ყ ა დ ი . ისლამური სამართლის მცოდნე: მსაჯული, მოსამართლე[114].

რ ა ი ს ი . იგი მოსახლეობის ზედა ფენებიდან იყო გამოსული და მუსლიმანური ხელისუფლების კარზე წარმომადგენლობდა სხვადასხვა ხელოსან-ვაჭართა კორპორაციებს. რაისები არეგულირებდნენ ცენტრალური ხელისუფლებისა და ქალაქის ურთიერთობებს[115].

თბილისში, ისე როგორც სხვა ქალაქებში, რამდენიმე რაისი იყო. რაისებს რომ დიდი ძალა ჰქონდათ, კარგად გამოჩნდა XI ს. შუა ხანებში, როცა ისინი ამირას ხელისუფლებას დაუპირისპირდნენ. ამ რაისებს, როგორც ზემოთ ითქვა, ქართული წყარო ბერებს უწოდებს[116].

ზემოჩამოთვლილი ინსტიტუტები თბილისში საამიროს არსებობის პერიოდში ჩამოყალიბდნენ და შინაარსობრივად მთლიანად ჰგვანდნენ ირანისა და აღმოსავლეთ ამიერკავკასიის ქალაქებში მოქმედ სამოხელეო ინსტიტუტებს.

ამირების ბატონობის დროს თბილისში იჯდა ქართლის მთავარეპისკოპოსი — თბილელი, რომლის იურისდიქციასაც, რა თქმა უნდა, ქალაქის ქრისტიანული მრევლიც ექვემდებარებოდა.

1122 წლის შემდგომ პერიოდში თბილისი სამეფო ქალაქი გახდა და მისი მმართველობის სათავეში დააყენეს უკვე საქართველოს მეფის მოხელეები.

თბილისს მეფის მოხელე ამირათ ამირა განაგებდა. ამირათ ამირას თანამდებობა არაბული „ამირა"-საგან განვითარდა, მისი მემკვიდრე იყო, მაგრამ შინაარსობრივად იგი უკვე ახალ ვითარებას ასახავდა. ამირათ ამირა ქართული სახელმწიფოებრივი წყობილების ჩარჩოებში იყო მოქცეული და თბილისის მმართველიც საქართველოს მეფეს ექვემდებარე-

---

ზეც" (М е с х и а . Ш., Города..., с. 80). თუმცა ტექსტი უნდა იკითხებოდეს „სამუჰთასიბო", აქედან — „მუჰთასიბი" (ს. ჯ ი ქ ი ა, მე-18 საუკუნის თურქული დოკუმენტი ოქრის ცისის შესახებ, თსუ შრომები, ტ. 91, 1960, გვ. 180—182).

[113] ვ. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 337.

[114] იქვე, გვ. 340.

[115] მ. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე , დასახ. ნაშრომი, გვ. 152—153.

[116] ვ. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი , დასახ. ნაშრომი, გვ. 348—357.

ბოდა, მისი მოხელე იყო. უნდა ვიფიქროთ, რომ ამირათ ამირას ხელი მიუწვდებოდა საქალაქო ადმინისტრაციაზე, რომლის მეშვეობითაც იგი მეთაურობდა თბილისის სამეურნეო და ფინანსურ ცხოვრებას[117]. ამ მხრივ ამირათ ამირა გვიანდელ საბუთებში ცნობილი მოურავის უშუალო წინამორბედი იყო[118].

თბილისის საქართველოს სატახტო ქალაქად გადაქცევის შემდეგაც ქალაქის შინაგანი ადმინისტრაციული მმართველობის სტრუქტურა ერთხანობას უცვლელი რჩებოდა. გიორგი III-ის სიგელიდან ჩანს, რომ მის დროს ქალაქში ჯერ კიდევ ჩანდნენ მუჰთასიბი, ამიდი, რაისი და ა. შ., რომელთა სასარგებლოდაც სათანადო გადასახადები იყო დაწესებული.

ქალაქის მმართველობაში უცხო სახელების მქონე ტერმინთა ჯერ კიდევ არსებობის მიუხედავად, თბილისის მართვის სფეროშიაც ახალი ეტაპი იყო დამდგარი. ქალაქს უკვე ძლიერი ქრისტიანული ქვეყნის ადმინისტრაცია უძღვებოდა. იგი ორგანულად შეუთავსდა ცენტრალიზებული ქართული სახელმწიფოებრივი წყობილების აღნაგობას.

თბილისის ტერიტორია და კეთილმოწყობა XI—XII სს.

XI—XII სს. თბილისი ტერიტორიულად გაფართოვდა და ძირითადად მტკვრის მარჯვენა სანაპიროს გასწვრივ, მდინარის აღმა მიმართულებით გაიზარდა.

ამ ეპოქისათვის ქალაქის ძველი ნაწილის საზღვარი გადიოდა მტკვრის მარჯვენა ნაპირთან, თანამედროვე სამასი არაგველის სახელობის ბაღის ტერიტორიაზე. აქ აღმოჩნდა ქალაქის ძველი ზღუდის ერთ-ერთი მცირე ნაშთი[119], სადაც გამოვლინდა XII—XIII სს. კერამიკული წარმოების ნარჩენები[120].

---

[117] დ. მუსხელიშვილის აზრით, ამირათ ამირობა საქართველოში გაჩნდა თამარის დროიდან (პირველად იგი დასტურდება 1184 წ.) და იგი მხოლოდ თბილისში იყო. მართალია, ამირათ ამირა დამოწმებულია კარშიაც (აქ 1206 წ. ასეთად შალვა ახალციხელი დასვეს), მაგრამ ეს მხოლოდ პირადი დამსახურების საფუძველზე მოხდა და საერთო წესს არ წარმოადგენდა (დ. მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, თბილისის ამირათ ამირობის ინსტიტუტისათვის. — კრებ. „საქართველო რუსთაველის ხანაში", თბ., 1966, გვ. 199—208).

[118] М е с х и а Ш. А., Города..., с. 78.

[119] ო. ჯ ა ფ ა რ ი ძ ე, „განჯისკარის" 1948 წლის არქეოლოგიური გათხრების ანგარიში, მსკი, ნ. 1, 1955, გვ. 90—92.

[120] გ. ლ ო მ თ ა თ ი ძ ე, არქეოლოგიური გათხრა თბილისში 1948 წლის ზამთარში. მსკი, ნ. I, გვ. 160—162.

XI ს-დან თბილისის ორგანულ ნაწილად იქცა მდ. მტკვრის მარცხენა ნაპირზე მდებარე ძველი სოღდებილის (ცერძოდ, მისი გამაგრებული ნაწილის—ისნის) ტერიტორიაც. ისანი არაბული ტერმინია და ციხესიმაგრეს ნიშნავს[121]. აქ ამირებს ჯერ კიდევ IX ს. 80-იანი წწ. და უფრო ადრიდანაც აგებული ჰქონდათ ციხესიმაგრე და საცხოვრებელი კომპლექსი[122]. ისნის პოლიტიკური მნიშვნელობა ქალაქისა და საამიროს ცხოვრებაში განსაკუთრებით გაიზარდა XI ს-ში, როდესაც გამწვავდა წინააღმდეგობანი ქალაქის არისტოკრატიულ ნაწილსა და ბერებს შორის.

თბილისის ერთიანი საქართველოს დედაქალაქად გადაქცევის დროიდან ისანი ქართველ მეფეთა რეზიდენცია გახდა. თამარი „საჯდომსა მათსა ციხესა ისანს" იმყოფებოდა, როცა თავისი მამის გიორგი III-ის გარდაცვალების ამბავი შეიტყო[123]. ისანს გულისხმობს „სამყაროს საკვირველებათა" ავტორი, რომლის თანახმადაც „ქალაქის პირდაპირ კეთილმოწყობილი ციხეა. მეფეთა სასახლეები ციხეშია აგებული"[124].

ისნის კომპლექსის, „ციხის"[125], გარეთ მდებარე ტერიტორიას „ისნის ველი" („ველი ისნისა") ეწოდებოდა[126].

XI—XII სს. ქვეყნის საერთო ეკონომიკური და პოლიტიკური დაწინაურების პირობებში, ქალაქის შემადგენლობაში მოექცა მტკვრის ჩრდილოეთით მდებარე ტერიტორიის ვრცელი ნაწილი — დიდუბე, რომელიც ქალაქის გარეუბანი იყო. დიდუბის სახელწოდება ოროგრაფიული ნიშნიდანაა წარმოებული, „დიდუბე" ნიშნავს დიდ, დაცემულ ვაკეს[127].

თბილისთან ძალზე ახლო იყო გვიანდელი გარეუბნის ქვაშვეთის ეკლესია, ხოლო, ცოტა მოშორებით, ვერეს ე. წ. ლურჯი მონასტერი. ამ საფუძველზე ვარაუდობენ, რომ XI—XII სს. თბილისის ტერიტორია მტკვრის სამხრეთ ზონაში ვერემდე აღწევდა[128].

თბილისის სანახებზე მსჯელობისას გასათვალისწინებულია, რომ საგარეუბნო დასახლებას უმთავრესად აგრარული დანამატის მნიშვნელობა ჰქონდა.

---

[121] ო. ცქიტიშვილი, ძველი თბილისის ისტორიიდან (ისნის საკითხისათვის). საქართველოს სსრ მეცნ. აკად. საზ. მეცნ. განყ-ის მოამბე, 1963, №5, გვ. 158.

[122] იქვე.

[123] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 24; შ. მესხია და სხვ., თბილისის ისტორია, გვ. 65.

[124] „სამყაროს საკვირველებათა" ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, გვ. 28; ო. ცქიტიშვილი, ძველი თბილისის ისტორიიდან..., გვ. 158.

[125] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 24.

[126] ყუთლუ არსლანს უთხოვნია „კარავი დადგმად ველსა ისანთასა და სანახებსა საღოდებლისასა". ქართლის ცხოვრება, II, გვ. 31.

[127] დუბე — ვაკე, დაბლობი ადგილის აღმნიშვნელია. „დიდუბე" კი ნიშნავს დიდ ვაკოვან ადგილს (დიდი-დუბე). იხ. თ. ბერიძე, ძველი თბილისის გარეუბნების ისტორია. თბ., 1977, გვ. 222—223.

[128] შ. მესხია და სხვ., თბილისის ისტორია, გვ. 65.

თბილისის სანახებში, მაგალითად, დიდუბეში, საქართველოს მეფეებს თავისი სასახლე — „სრაი დიდუბისაი“ ჰქონიათ. აქ, დიდუბეში მოუწყვიათ თამარისა და დავით სოსლანის ქორწილი[129].

XI—XII სს. თბილისს გალავანი ჰქონდა შემოვლებული და იგი გამაგრებული ქალაქი იყო. თბილისს ჰქონდა კარები, რომლებსაც იმისდამიხედვით, თუ რომელ მხარეში მდებარე გზაზე იყვნენ, სათანადო სახელები ერქვა. XI—XII სს. თბილისის კართა რაოდენობა წინა ეპოქასთან შედარებით გაიზარდა. ახალ კარებთან ერთად, რა თქმა უნდა, ძველებიც რჩებოდნენ. ამ ეპოქის ახალ კართაგან ცნობილია „განძის კარი“. აქ იმყოფებოდა ქართველების მხედრობის ერთი ნაწილი ჯალალ ედ-დინის მიერ თბილისის ალყის დროს[130]. განძის კარის სახელწოდება განძისაკენ მიმავალ გზასთან იყო დაკავშირებული[131] და მდებარეობდა დაახლოებით იქ, სადაც ამჟამად ბოტანიკური ბაღის შესასვლელია.

თბილისის თითოეულ კარს ჰქონდა კოშკი, საიდანაც ამ კარს მეთვალყურეობდნენ და იცავდნენ. თბილელმა ბერებმა ბაგრატ IV ქალაქში რომ მოიწვიეს და ქალაქის ერთი ნაწილი ჩააბარეს, მეფემ „აღიკუნა კოშკნი კართანი თავის კაცითა“[132].

XI—XII სს. თბილისის გამაგრებულ ნაწილებში რამდენიმე ციხე იყო, რომლებიც სხვადასხვა მხრიდან იცავდნენ ქალაქს. ამათგან ერთ-ერთი უმძლავრესი იყო ისნის ციხე, რომელსაც ბევრი გოდოლი ჰქონდა დატანებული[133]. დანარჩენ ციხეთა შორის ცნობილია ციხე დარიჯელი[134], რომლის ლოკალიზება ვერ ხერხდება. ციხესიმაგრეს წარმოადგენდა, უთუოდ, წყალყინიც, რომელსაც თავისი კოშკები ჰქონდა[135]. თბილისზე სამხრეთიდან სათანადო კონტროლს აწესებდა თაბორის ციხეც, რომელიც თრიალეთის ქედის ერთ-ერთი განშტოების — თაბორის მთაზე იდგა[136].

თბილისში ციხეებს სათანადოდ უვლიდნენ. ეს გარემოება, ისე როგორც ამ ციხეთა მარჯვე სტრატეგიულ ადგილებზე განლაგება, თბილისს შესაფერისად გამაგრებულ, მტრისათვის მიუვალ და ძნელად ასაღებ ქალაქად ხდიდა.

თბილისის ციხეებს თავისი გარნიზონები იცავდნენ. როდესაც ბაგრატ IV-მ თბილისის ციხეები აიღო, აქ თავისი ერისთავები და მოლაშ-

---

[129] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 122.

[130] ქართლის ცხოვრება, II, გვ. 195.

[131] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი , მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, I, მშენებლობის ხელოვნება ძველ საქართველოში, თბ., 1946, გვ. 47.

[132] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 299.

[133] „სამყაროს საკვირველებათა“ ცნობები..., გვ. 28.

[134] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 299.

[135] იქვე.

[136] თ. ბ ე რ ი ძ ე , დასახ. ნაშრომი, გვ. 88—89.

ქრეები ჩააყენა. ჯალალ ედ-დინის იერიშის დროსაც ისნის ციხეს, ისე როგორც საერთოდ ქალაქის დანარჩენ სიმაგრეებს, მეციხოვნეები იცავდნენ[137].

XI—XII სს. პირველ მეოთხედში თბილისი კეთილმოწყობილი ქალაქი იყო. აქ მდებარეობდა ადმინისტრაციული, საზოგადოებრივი თუ საცხოვრებელი ნაგებობანი. სამწუხაროდ, არც ერთი მათგანი, ზოგიერთი საკულტო შენობის გარდა, შემორჩენილი არაა.

XI ს-ში თბილისში არსებობდა საამირო დარბაზი, ადმინისტრაციული დანიშნულების ნაგებობა, სადაც, უნდა ვივარაუდოთ, თბილისის ამირები თავის მოხელე-ქვეშევრდომებთან ერთად საამიროსა და ქალაქის საქმეებს განაგებდნენ. თბილისში შესული ბაგრატ IV ქალაქის ბერებმა საამირო დარბაზში შეიყვანეს, სადაც მეფე საურავად, ე. ი. სამმართველოდ დაბრძანდა[138].

ისანში ჯერ კიდევ ამირებს ჰქონდათ თავიანთი რეზიდენცია. 1122 წლის შემდეგ კი ისანი მეფეთა საჯდომ ციხედ და საცხოვრებლად ითვლებოდა[139]. ისნის ციხეს მრავალი გოდოლი ჰქონდა[140].

თბილისის ძველი ნაწილი და ისანი ერთმანეთს ხიდით უკავშირდებოდა. ეს ხიდი, რომელიც მეტეხის ვიწროებში უნდა ყოფილიყო, ძელისაგან იყო აგებული ისე, რომ საგარეო საფრთხის შემთხვევაში მისი აყრა ადვილად შეიძლებოდა[141].

XI—XII სს. თბილისი განთქმული სავაჭრო ცენტრი იყო. ხიდის უბანში მრავლად იყვნენ ქალაქის სავაჭრო-სახელოსნოები[142]. უეჭველია, თბილისს სავაჭრო ადგილები სხვაგანაც ექნებოდა.

თბილისის უბნები და მოედნები ერთმანეთთან დაკავშირებული იყვნენ ქუჩებით ანუ შუკებით და ფოლორცებით[143]. წყაროები მოწმობენ, რომ დავით აღმაშენებელი სათანადოდ ზრუნავდა გზების კეთილმოწყობაზე თავის სამეფოში. ისიც ცნობილია, რომ ამ ეპოქის საქართველოში კარგად იცოდნენ ქალაქში ქუჩების მოკირწყვლის ტექნიკა. ამას დმანისის არქეოლოგიური შესწავლაც ადასტურებს. ამიტომ სავარაუდოა, რომ თბილისის ქუჩების ერთი ნაწილი მაინც მოკირწყლული იქნებოდა.

---

137 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 299; იქვე, II, გვ. 175, 177.

138 იქვე, I, გვ. 299—300.

139 იქვე, II, გვ. 24.

140 „სამყაროს საკვირველებათა" ცნობები..., გვ. 28.

141 ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. II, გვ. 32.

142 „სამყაროს საკვირველებათა" ცნობები..., გვ. 28.

143 ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, I, გვ. 37.

თბილისი ხომ საქართველოს ყველა სხვა ქალაქს აღემატებოდა თავისი მნიშვნელობითა და ეკონომიკური მორჩმით[144].

თბილისში მრავლად მიმოდიოდნენ საქართველოს მკვიდრი თუ უცხოელი ვაჭრები. გზების უკეთ გაგნების მიზნით, მათთვის ქალაქის კარებთან დგამდნენ მანძილისა და მიმართულებათა სათანადო მანიშნებს. ერთმა მათგანმა ჩვენამდეც მოაღწია. იგი VIII ს-ში დაუდგამთ[145].

XI—XII სს. თბილისში ტვირთის საზიდად გამოიყენებოდა მდ. მტკვარი, რომელზეც მდინარის დინების მიმართულებით მოძრაობდნენ. მტკვრის ნაპირებთან სათანადო სადგომები უნდა ყოფილიყო ნავებისათვის[146].

შუა საუკუნეების სხვა ქალაქების დარად თბილისში განვითარებული იყო აგრიკულტურა. ქალაქი მოფენილი იყო მრავალრიცხოვანი ბაღებით[147].

როგორც ჩანს, საგანგებოდ ზრუნავდნენ თბილისელები ქალაქის დასუფთავებისათვის. ნაგვის ერთ ნაწილს ისინი სათანადოდ გამოყოფილ ადგილებზე აგროვებდნენ და წვავდნენ. დადასტურებულია, რომ კერამიკული წარმოების ნაშთებს მიწაში ფლავდნენ[148], ზოგჯერ მტკვარშიაც ყრიდნენ[149]. საწარმოებში გაჭუჭყიანებულ წყალსაც საგანგებო მილსადენებით მტკვარში უშვებდნენ[150].

XI—XII სს. თბილისი, ისე როგორც შემდგომშიც, სასმელ წყალს ჭებისა და ქალაქის წყაროებიდან იღებდა სათანადო თიხის მილებით. თიხის მილები წყლის სისუფთავესა და ტემპერატურულ რეჟიმს უზრუნველყოფდა. მაშინდელი თბილისის წყალმომარაგების ტექნიკაზე ნათელ წარმოდგენას გვიქმნის, მაგალითად, მთაწმინდის ქვედა ნაწილში გამოვლენილი წყალსადენის ნაშთი (XII ს.). იგი შედგება კარგად გამომწვარი ოთხი მილისაგან, რომელიც პირდაპირ უდუღაბოდაა მიწაში ჩალაგებული[151].

---

144 შ. მ ე ს ხ ი ა და სხვ., თბილისის ისტორია, გვ. 67.

145 გ. წ ე რ ე თ ე ლ ი, სემიტური ენები და მათი მნიშვნელობა ქართული კულტურის ისტორიის შესწავლისათვის. თსუ საიუბილეო სესიის შრომები, 1948, გვ. 46.

146 ქართლის ცხოვრება, I, 297.

147 „სამყაროს საკვირველებათა“ ცნობები..., გვ. 28.

148 გ. ლ ო მ თ ა თ ი ძ ე, არქეოლოგიური გათხრა თბილისში 1948 წლის ზამთარში, გვ. 132.

149 „სამყაროს საკვირველებათა“ ცნობები..., გვ. 28.

150 გ. ლ ო მ თ ა თ ი ძ ე, ძველი ქართული კერამიკული წარმოების ისტორიისათვის, ჟურნ. „მეცნიერება და ტექნიკა“, 1949, № 8, გვ. 9.

151 დ. მ შ ვ ე ნ ი ე რ ა ძ ე, უძველესი წყალსადენი თბილისში, ჟურნ. „მეცნიერება და ტექნიკა“, 1951, №10, გვ. 35.

ჭებისა და წყაროების გარდა, თბილისისათვის წყალმომარაგების ერთ-ერთი მთავარი არტერია მტკვარი იყო. ქალაქი როგორც სასმელად, ასევე სამეურნეო მიზნით დიდი რაოდენობით იყენებდა მტკვრის წყალს. მტკვარზე გამართული ყოფილა მრავალი დულაბი[152], რომლითაც მდინარიდან წყალი ამოჰქონდათ.

X—XII სს. თბილისში დიდი რაოდენობით მოქმედებდნენ წყლის წისქვილები. ისინი ტივებზე ედგათ, რაც, უეჭველია, საშუალებას იძლეოდა წისქვილის მექანიზმი წყლის სასურველ სიღრმეში ჩაედგათ. თბილისის ტივებზე დადგმულ წისქვილებს X ს-ში უკვე იბნ-ჰაუკალი იხსენიებს[153]. XIII ს. პირველ მეოთხედში მათზე საუბრობს „სამყაროს საკვირველებათა“ ავტორიც[154].

XI—XII სს-ში, ისე როგორც მუდამ, თბილისში მრავლად იყო გამართული აბანოები. ამას აქ ხელს უწყობდა ბუნებრივი ცხელი წყლის წყაროების დიდი რაოდენობა. ამ დროს თბილისის სახელგანთქმულ აბანოებზე ერთხმად გვამცნობენ ალ-ფარიკი[155], იბნ ალ-ჯაუზი[156] და სხვები. აბანოში შესვლისას საფასურს არ ახდევინებდნენ[157], მაგრამ ეს ცნობა უნდა გულისხმობდეს მხოლოდ საზოგადო აბანოებს. კერძო აბანოებში კი, ბუნებრივია, სათანადო გადასახადი იქნებოდა დაწესებული[158].

თბილისში, როგორც ერთ-ერთ დიდ სავაჭრო ცენტრში, მრავლად ყოფილა ვაჭართა სადგომი სახლები და მათი საქონლის შესანახი ნაგებობები.

ჩვენ არ მოგვეპოვება უფრო დაწვრილებითი ცნობები XI—XII სს. თბილისის საერთო და კერძო დანიშნულების ნაგებობათა დასახასიათებლად. მაგრამ შემორჩენილი მასალითაც ჩანს, რომ ამ დროის თბილისი საკმაოდ კეთილმოწყობილი ქალაქი იყო.

---

[152] „სამყაროს საკვირველებათა“ ცნობები..., გვ. 28. დულაბი — ესაა წყალში ჩაშვებული, ღერძზე დამაგრებული ბორბალი, რომელსაც წყლის ნაკადი აბრუნებს. ბორბალზე დამაგრებული ჯურჭელი მოძრაობის პროცესში ივსებოდა. სათანადო სიმაღლეზე ასვლის შემდეგ, წყალი იღვრებოდა საამისოდ დადგმულ ღარში, აქედან კი მას შესაფერისი მიმართულებით მიუშვებდნენ.

[153] ე. სიხარულიძე, იბნ-ჰაუკალი თბილისის შესახებ. საქართველოს ისტორიის აღმოსავლური მასალები, წ. I, თბ., 1976, გვ. 35.

[154] „სამყაროს საკვირველებათა“ ცნობები..., გვ. 28.

[155] Из «Истории Майяфарикина». Перевод с арабского А. Дж. Мамедова. Труды Инст. истории АН Аз. ССР, 1957, т. XII, Баку, с. 223.

[156] ო. ცქიტიშვილი, სიბტ იბნ ალ-ჯაუზის ცნობა დავით აღმაშენებლის შესახებ, თსუ შრომები, ტ. 118, 1967, გვ. 205, 211.

[157] „სამყაროს საკვირველებათა“ ცნობები..., გვ. 28.

[158] რ. კიკნაძე, X—XIII საუკუნეთა თბილისის ისტორიიდან. ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ. V, ნაკვ. I, 1960, გვ. 130.

V

კულტურული ცხოვრების აღორძინება (XI—XII სს.)

განათლება და მეცნიერული ცოდნა თბილისში XI—XII სს-ში

XI—XII საუკუნეების თბილისის კულტურული ვითარება ქართული ფეოდალური სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური წინსვლის შესაბამისი იყო. XI საუკუნიდან თბილისის კულტურული ცხოვრება თავისი განვითარების ახალ ფაზაში შედის. ქვეყნის პოლიტიკურად გაერთიანებას, ეკონომიკურად მოღონიერებასა და გარკვეული სოციალური წრეების აღზევებას ბუნებრივ შედეგად მოჰყვა ეკლესიის მკაცრი შეუვალობის შეზღუდვა და ეკლესიურ-თეოლოგიური აზროვნების განუსაზღვრელი ბატონობის შერყევა. ამით კი მომზადდა ნიადაგი ანტიკლერიკალური აზროვნებისა და საერო-მხატვრული მწერლობის აყვავებისათვის. ახალი მწერლობა ხალხურ სამეტყველო ენასთან დაახლოებულ ახალ სალიტერატურო ქართულს დაემყარა.

საზოგადოებრივ ასპარეზზე გამოჩნდა მთელი პლეადა საზოგადო მოღვაწეებისა, მეცნიერებისა, მწერლებისა და პოეტებისა, რომელთაც ახალ სიმაღლეზე აიყვანეს ქართული კულტურა. თბილისს, როგორც აღმოსავლეთისა და დასავლეთის მიჯნაზე მდებარე ქვეყნის მთავარ ქალაქს, საშუალება ჰქონდა დასავლური ქრისტიანული კულტურის გარდა ისლამის ნიადაგზე შექმნილ მეტად თავისებურსა და მრავალფეროვან არაბულ-სპარსულ კულტურასაც გასცნობოდა და ამით თავისი მწერლობა და ხელოვნება კიდევ უფრო გაემდიდრებინა. თბილისის განათლებული ქართველები ფლობდნენ ბერძნულ და სპარსულ-არაბულ ენებს, ორიგინალებში ეცნობოდნენ უცხოურ თხზულებებს, თარგმნიდნენ ქართულად და საკუთარ შრომებსაც წერდნენ.

*

* *

იმ ფაქტორთა შორის, რომელნიც ხელს უწყობდნენ თბილისში ქართული კულტურის ზრდა-განვითარებას, დიდი ადგილი ეჭირა სწავლა-განათლების საქმეს. ფეოდალური სწავლა-განათლების სისტემა მოიცავდა საერო და სასულიერო სწავლა-აღზრდის სფეროს. აღნიშნულ

ხანაშიც სწავლა-განათლების საქმე ეკლესიას ეპყრა და ქრისტიანული იდეოლოგიის შემზღუდველ გავლენას განიცდიდა. სწავლება ძირითადად ეკლესია-მონასტრებთან წარმოებდა და მას, უპირველეს ყოვლისა, პრაქტიკული დანიშნულება ჰქონდა მიზნად, კერძოდ, მწიგნობარი ბერმონაზვნის, ეკლესიის მსახურის აღზრდა; თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ ამ დროს საერო განათლების ძლიერი ნაკადი, მისი ხალხური საწყისი შეუჩერებლივ უტევედა შუასაუკუნეობრივ სქოლასტიკას და აზრის თავისუფლებისათვის იბრძოდა. სწავლა-აღზრდის იმდროინდელი სისტემა ფეოდალური სახელმწიფოსა და გაბატონებული კლასის ინტერესებს ემსახურებოდა.

XI—XII სს-ისა და XIII ს. დასაწყისის თბილისში სასკოლო განათლებისა და სკოლების არსებობის შესახებ წერილობით წყაროებში პირდაპირი ცნობები არ მოგვეპოვება, მაგრამ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ სკოლები არსებობდნენ თბილისის ისეთ საეკლესიო და საკულტო კერებში, როგორიც იყო: ანჩისხატის ბაზილიკური ეკლესია, სიონის ტაძარი, „ლურჯი მონასტერი", განსაკუთრებით კი მეტეხის ტაძარი, რომელიც სამეფო კარის ეკლესიას წარმოადგენდა[1]. ამავე დროისათვის, როგორც ჩანს, თბილისში გავრცელებული ყოფილა აგრეთვე კერძო სახის საშინაო სწავლება. საშინაო სწავლების ტრადიცია ძველთაგანვე არსებობდა თბილისში და იგი უმთავრესად კარისა და დიდგვარიანი ოჯახის შვილების აღზრდასთან დაკავშირებით გვხვდება.

თამარ მეფის აღზრდას მეთვალყურეობდა მისი მამიდა რუსუდანი, რუსუდანისავე სახლში იზრდებოდა დავით სოსლანი, შემდგომში თამარის ქმარი, რომელიც რუსუდანს „მოეყვანა საზდელად სახლსა შინა მისსა".

XI—XII სს-ის თბილისში სასკოლო განათლების არსებობისათვის ხელი უნდა შეეწყო იმ გარემოებასაც, რომ ამ პერიოდში ქართველებმა კარგად გაიცნეს ბიზანტიური სკოლა. მრავალი ქართველი, დიდგვარიან ფეოდალთა ოჯახების წარმომადგენელი ბიზანტიის სკოლაში იძენდა ბერძნულ განათლებას. სომეხი ისტორიკოსის ვარდან დიდის ცნობით, დავით აღმაშენებელმა საბერძნეთში გაგზავნა 40 ახალგაზრდა იქაურ სკოლებში სწავლის მისაღებად და მთარგმნელობით ხელოვნებაში გასაწვრთნელად[2].

თბილისის, როგორც განათლებისა და მეცნიერების მძლავრი ცენტრის, როლი მთელი სიდიადით გამოვლინდა XII საუკუნეში, სახელდობრ მას შემდეგ, როცა იგი დავით აღმაშენებელმა 1122 წელს მუსლიმან დამპყრობელთა უღლისაგან გაათავისუფლა. ამიერიდან თბილისი

---

[1] იგი იხსენიება თამარის დროს. დაანგრიეს მონღოლებმა.

[2] ვ ა რ დ ა ნ ბ ა ბ ერ ძ ე ლ ი, მსოფლიო ისტორია, გამოცემული მ. ემინის მიერ, მოსკოვი, 1861, გვ. 157 (სომხურ ენაზე).

ქართული ფეოდალური მონარქიის მთელი კულტურული ცხოვრების ცენტრად იქცა.

თბილისში განათლებისა და მეცნიერების ზრდა-განვითარებას ხელს უწყობდა თვით ქართველ მონარქთა (დავით აღმაშენებელი, დემეტრე I, თამარი) მეცენატობა. ქართველი მეფეები არა მარტო ხელს უწყობდნენ მეცნიერებისა და სწავლა-განათლების წინსვლასა და განვითარებას, არამედ, შეძლებისდაგვარად, საკუთარი წვლილიც შეჰქონდათ ამ დიდ საქმეში.

XI—XIII სს-ის თბილისში, სამეფო კარზეა შეთხზული „ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი" (დავით აღმაშენებლის ისტორია), „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი" და სხვა არაერთი პირველხარისხოვანი საისტორიო ნაშრომი.

„ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი" გადმოსცემს XI—XII სს-ის საქართველოს ისტორიას. ავტორის ვინაობა დადგენილი არ არის, მაგრამ, როგორც მისი თხზულების შინაარსიდან ჩანს, ის დავითის თანამედროვე, პირადად მასთან და სამეფო კარზე ძალზე დაახლოებული პირი იყო. თხზულება დაწერილია 1123—1126 წლებში[3].

თავისი პერსონაჟის დასახასიათებლად და მისი სიდიადის გამოსავლინებლად დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი უხვად სარგებლობს შედარებითი მეთოდით; აქ იგი ღრმა ერუდიციას იჩენს მსოფლიო ლიტერატურასა და ისტორიაში. დავითს იგი ხშირად ადარებს ისტორიაში ცნობილ საქებარ პირთ, მაგ., ბიბლიის დავითს, ბასილ დიდს, იმპერატორ კონსტანტინეს, ალექსანდრე მაკედონელს და სხვ. ქართველი ისტორიკოსები იცნობდნენ ბერძენი ისტორიკოსების თხზულებებს. ერთ-ერთი წყარო ძველი ქართველების მიერ ალექსანდრე მაკედონელის ისტორიის ცოდნისა იყო არისტობულეს „ისტორია" (უშუალოდ ან სხვა წყაროთა მეშვეობით). არისტობულე (375—285 წწ.) დასახელებულია თვით ნაწარმოებში.

დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი ალექსანდრე მაკედონელის გარდა იცნობს ანტიკურობის სხვა ისტორიულ პიროვნებებს. მაგ., როდესაც დავითის მწიგნობრობაა შექებული, იგი შედარებულია პტოლემეოსთან (283—246 წწ.)[4].

დავით აღმაშენებელი ისტორიკოსს შედარებული ჰყავს კონსტანტინე დიდთან (324—337 წწ.), როდესაც ლაპარაკობს მის მოღვაწეობაზე საეკლესიო საკითხების მოგვარების საქმეში[5]; ასახელებს აგრეთვე ვესპასიანეს (რომის კეისარი 69—79 წწ.) და ტიტუსს (79—81 წწ.), რომელთა მოღ-

---

[3] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, 1945, გვ. 213.
[4] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 347.
[5] იქვე, გვ. 353—354.

ვაწეობას გასცნობია იოსიპოს ებრაელის (ანუ იოსებ ფლავიუსის) ნაშრომის მიხედვით[6].

ისტორიკოსი აღფრთოვანებულია დავით მეფის პოლიტიკით, მისი სამხედრო ოპერაციებით და ამ კონტექსტში, დავითის მიერ 1122 წ. თბილისის აღების აღწერის წინ, ახსენებს ჰომეროსს და მის გმირებს.

ივ. ჯავახიშვილი დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის შეფასებისას წერდა: „ებრაელების ისტორია იქნებოდა თუ ქრისტიანობის, ძველი წარმართ ბერძნებისა თუ სპარსელების ისტორია იქნებოდა, ჩვენი ავტორისათვის სულერთია — მას სრულებით თავისუფლად მოჰყავს ყველა ხალხების და მეფეების ცხოვრების მაგალითები და საქართველოს მდგომარეობისა და საქართველოს მეფის მოღვაწეობას იმ მაგალითებს ადარებს"[7].

თამარის სამეფო კარის ისტორიკოსი, „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის" ავტორი ღრმად განათლებული პიროვნება ჩანს. მის თხზულებაში რელიეფურად არის წარმოდგენილი იმდროინდელი თბილისის სამეფო კარის და საერთოდ საქართველოს კულტურული დონე. გარდა მშობლიური კულტურული ტრადიციებისა, ანონიმი ავტორი კარგად იცნობს ორ კულტურულ სამყაროს: დასავლურ, ელინურ-ბიზანტიურ-ქრისტიანულს და აღმოსავლურს — ირანულ-არაბულ-მუსლიმანურს. ავტორი ამჟღავნებს სასულიერო და საერო (მათ შორის ანტიკურისაც) ლიტერატურის კარგ ცოდნას. თავისი შრომის დაწერისას ისტორიკოსს უსარგებლია პლუტარქეს თხზულებებით. მის ფართო ერუდიციაზე ისიც მეტყველებს, რომ კარგად იცნობს ძველი მწერლობის სხვა ძეგლებსაც (კერძოდ, ჰომეროსის ნაწარმოებებს და სხვ.). მწერალი ამჟღავნებს ბერძნული მითოლოგიის ცოდნას, ირანულ-მუსლიმანური წარმოშობის სამიჯნურო-სათავგადასავლო თუ საგმირო-საფალავნო რომანების ნაკითხაობას და მხატვრულ გემოვნებას[8]. უაღრესად დიდია „ისტორიანი და აზმანის" ღირებულება, როგორც პირველწყაროსი. მასში მიმობნეული ცნობებიდან კარგად ჩანს, რომ მაშინდელი განათლებული ქართველები კარგად იცნობდნენ „შაჰ-ნამეს", ონსორისა და ნიზამი განჯელის პოემა-რომანებს და სხვა სამიჯნურო-სათავგადასავლო, საგმირო-საფალავნო და დიდაქტიკურ-საზღაპრო თხზულებებს.

„შაჰ-ნამე" ანუ მეფეთა წიგნი ირანულ-ტაჯიკური მწერლობის უბრწყინვალესი საგმირო-საფალავნო და საისტორიო-ლეგენდარული თხზულებაა, რომელიც ეკუთვნის აბულ-ყასიმ ფირდოუსის (935/6—1020/6 წწ.). ძველი ქართული ლიტერატურის მკვლევარნი (ნ. მარი, იუსტ. აბულაძე, კ. კეკელიძე, ალ. ბარამიძე, პ. ინგოროყვა და სხვ.) ერთხმად

---

[6] ქართლის ცხოვრება, I გვ. 342.

[7] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი , ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, 1916, გვ. 163—164.

[8] პ. ი ნ გ ო რ ო ყ ვ ა , რუსთაველის ეპოქის სალიტერატურო მემკვიდრეობა, რუსთაველის კრებული, თბ., 1938, გვ. 60—61.

აღიარებენ, რომ XII საუკუნეში უკვე არსებობდა „შაჰ-ნამეს“ ძველი ქართული, სავარაუდებელია, პროზაული თარგმანი[9].

დიდი გამოძახილი ჰქონია თბილისის სამეფო კარზე ძველი აღმოსავლეთის ცნობილი პოეტის ონსორის (970/980—1039/40 წწ.) პოემა-რომანებს: „შატბიერ და ანალათ“ და „ვამეყ და აზრა“. როგორც სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაშია აღნიშნული, ეს ირანული სამიჯნურო-სათავგადასავლო რომანები XII საუკუნის პირველ ნახევარში ქართულ ენაზე უკვე უნდა არსებულიყო[10].

ერთობ დიდი პოპულარობით სარგებლობდა თბილისის სამეფო კარზე აზერბაიჯანელი პოეტის ნიზამი განჯელის (1141—1203/9 წწ.) სამიჯნურო-სათავგადასავლო შინაარსის პოემა-რომანები: „ხოსროვშირინიანი“ და „ლეილმაჯნუნიანი“. აღნიშნულმა თხზულებებმა დიდი მოწონება დაიმსახურეს სამეფო კარზე და სწრაფად გავრცელდნენ როგორც საინტერესოდ საკითხავი რომანები. მკვლევართა სამართლიანი ვარაუდით, „ხოსროვშირინიანის“ და „ლეილმაჯნუნიანის“ ქართული თარგმანები უკვე უნდა არსებულიყო XII საუკუნის მიწურულს, ან XIII საუკუნის დასაწყისში, ალბათ, თვით ნიზამი განჯელის სიცოცხლეშივე[11].

ამრიგად, როგორც ვხედავთ, თბილისის სამეფო კარზე, აღნიშნულ ხანაში, დიდი პოპულარობა მოუპოვებია ელინურ-ბიზანტიური და აღმოსავლური წარმოშობის საგმირო, საისტორიო, სამიჯნურო და საზღაპრო ხასიათის მხატვრულ ძეგლებს.

XII—XIII საუკუნეების თბილისის განათლებული ქართველი ფეოდალური საზოგადოება გაფაციცებით ადევნებდა თვალყურს დასავლეთისა თუ აღმოსავლეთის მეზობელ ხალხთა მწერლობას. იმდროინდელი განათლებული თბილისელები ფლობდნენ ირანულ-არაბულ და ბერძნულ ენებს, ორიგინალში კითხულობდნენ მათთვის საინტერესო ნაწარმოებებს, ეწეოდნენ მთარგმნელობით მოღვაწეობას და თავიანთი მდიდარი და ღრმა შემოქმედებით ნაყოფიერ გავლენას ახდენდნენ მეზობელ ხალხთა კულტურის განვითარებაზე.

ლიტერატურა

ქართული საერო მხატვრული მწერლობის მნიშვნელობა და გავლენა, მისი აღმოცენების შემდეგ, სწრაფად იზრდება. განსაკუთრებით საგულისხმოა, რომ XII ს. შეიქმნა საერო მხატვრული პოეზიაც, რომელსაც

---

[9] ნ. მარი, როსტომიანი (ორიოდე სიტყვა „შაჰ-ნამეს“ ქართული თარგმანის შესახებ); შაჰ-ნამეს ანუ მეფეთა წიგნის ქართული ვერსიები, I, თბ., 1916, გვ. XXI—XXII, XXX—XXXIII; კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, II, თბ., 1958, გვ. 289, 323; ალ. ბარამიძე, ნარკვევები, II, თბ., 1940, გვ. 34—35; ბ. ინგოროყვა, დასახ. ნაშრომი, გვ. 47.

[10] ი. ლოლაშვილი, მრავალკარედი, თბ., 1984, გვ. 41—44.

[11] იქვე, გვ. 46.

უმთავრესად საკარო-სახოტბო შინაარსი ჰქონდა. სწორედ თბილისში, სამეფო კარზე უნდა დაწერილიყო საკარო პოეზიის ისეთი ძვირფასი ნიმუშები, როგორიცაა ჩახრუხაძის „თამარიანი“ და იოანე შავთელის „აადულმესიანი“ ან ქება თამარისა და დავითისა. რუსთაველის უკვდავი „ვეფხისტყაოსანი“ თამარის სამეფო კარზე უნდა შექმნილიყო.

სამეფო კარის პოეტების ნაწარმოებები საკარო პანეგირისტული პოეზიის ნიმუშები იყო. ამ პოეზიის ტრადიცია, მომდინარეობს რა უძველესი დროიდან და ვითარდება ფეოდალიზმის პირობებშიც, საქართველოში, კერძოდ თბილისში, თავის უმაღლეს აყვავებას XII საუკუნეში აღწევს, როდესაც საქართველო წარმოადგენს დიდ ფეოდალურ სახელმწიფოს. ხოლო მის დედაქალაქში, თბილისში, სხვადან განათლებული მონარქები. „კარის პოეტი მეფის სამსახურში იმყოფება, მის სამსახურებრივ მოვალეობას შეადგენდა საკარო ცხოვრების ლამაზი ფერებით დახატვა, მეფისა და მისი კარის განთქმა, საზეიმო შეკრებებზე ლექსების კითხვა. კარის პოეტი, ისე როგორც კარის მსახური სხვა პირი, შეზღუდული იყო თავისი ოფიციალური მდგომარეობით, პატრონზე იყო დამოკიდებული ნივთიერად და უფლებრივად. ეს გარემოება გარკვეულ დაღს ასვამდა მთელს საკარო შემოქმედებას, კერძოდ, საკარო პოეზიას. გადაჭარბება, გაზვიადება, განდიდება მსგავს პირობებში იყო სრულიად ბუნებრივი მოვლენა. ამიტომ საკარო პოეტურ ნაწარმოებებს ჩვეულებრივ აზის ოფიციალურ-საზეიმო განწყობილების ბეჭედი“[12].

სახოტბო პოეზიის აღმავლობას ხელი შეუწყო თამარის განდიდებამ. XIII ს-ის დამდეგს თამარის სახელი აღზევდა აღმოსავლეთსა და დასავლეთში. მეფე-ქალის საქებრად ამეტყველდნენ ქართველი პოეტები, ერაყელი მეუბნენი და მეჩანგენი, ბერძენთა და ფრანკთა მეზღვაურნი. ქართველ მწერალთაგან დაწერეს სახოტბო ოდები რუსთაველმა, ჩახრუხაძემ და შავთელმა.

„თამარიანი“ ქართული სახოტბო პოეზიის ერთ-ერთი მაღალმხატვრული ძეგლია. მისი ავტორი, ტრადიციული ცნობით, არის ჩახრუხაძე, თამარის კარის მეხოტბე. „თამარიანში“ შექებულია თამარ მეფე, დავით სოსლანი და მათი შვილი ლაშა გიორგი (თუმცა თხზულება ძირითადად თამარს ეძღვნება). ჩახრუხაძეს თავისი ოდები დაუწერია სხვადასხვა დროს, სხვადასხვა ისტორიულ ამბებთან დაკავშირებით. კერძოდ, როგორც ფიქრობენ, „თამარიანის“ სახოტბო ლექსები შეთხზული უნდა იყოს 1184—1207 წლების მანძილზე.

ჩახრუხაძე მეფესთან დაახლოებული პირი ყოფილა. მას კარგად სცოდნია ბიბლიური და ფილოსოფიურ-თეოლოგიური მწერლობა, აღმოსავლური სამიჯნურო რომანები. მეხოტბე თავისთან იხმობს ანტიკუ-

---

[12] ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. II, თბ., 1966, გვ. 88.

რი ხანის ფილოსოფოსებს, პოეტებს, თეოლოგებსა და მათ თამარის საქებრად მოუწოდებს. იგი აღწერს თამარის ცხოვრებისა და საქმიანობის ძირითად მხარეებს, მის დამოკიდებულებას ხალხსა და სამეფო კარის არისტოკრატიასთან.

მეხოტბე გრძნობს, რომ თამარის სრულყოფილად შექების ძალა არავის შესწევს არისტოტელეს გარდა. პოეტის აზრით, არისტოტელე ანტიკური ფილოსოფიის მწვერვალია, ათინელ ბერძენთა შორის ყველაზე უბრძნესი კაცი. მეხოტბის ასეთი განსწავლულობა მეტყველებს, თუ რა მაღალ დონეზე იდგა თბილისში ფილოსოფიური აზროვნება. უნდა ვივარაუდოთ, რომ XII საუკუნეში ქართულ ენაზე მოგვეპოვებოდა ანტიკური ხანის ბერძენ ფილოსოფოსთა (უპირველესად პლატონის, არისტოტელეს და სხვ.) თხზულებების თარგმანები და შეიძლება ორიგინალური ფილოსოფიური თხზულებაც. ჩახრუხაძე რამდენჯერმე იმოწმებს ჰომეროსს. ამის შედეგად შეიძლება ვივარაუდოთ, რომ XII საუკუნეში ქართულ ენაზე არსებულა ჰომეროსის ეპოსის მოკლე გადამუშავებული ვერსია. შეიძლება, ეს ვერსია მომდინარეობდა ბიზანტიის სკოლებში სახმარებელი რომელიმე კომპენდიუმიდან ან უშუალოდ ჰომეროსის თხზულებიდან.

ჩახრუხაძე სწორუპოვარი მელექსე იყო. არსებულ ნარკვევებში შენიშნულია, რომ მისი ხელოვნება ზოგჯერ ჯადოქრობას „ჰგავს და ყოველთვის გასაოცარია, მდიდარი და შეუდარებელი სამაგალითო ლექსთწყობა, მშვენიერი მუსიკალური რითმები ამშვენებენ მის რიტორული მჭერმეტყველებით დატვირთულს თხზულებებს". ჩახრუხაძე მრავალმხრივ და ღრმად განათლებული მწერალი ყოფილა და მისი თხზულების ზოგიერთი ადგილის გაგებას ის აძნელებს, რომ მომეტებულ ნაწილს იმ თხზულებებიდან, რომელთა გმირებსაც იგი გაკვრით, თითო-ოროლა სიტყვით იხსენიებს თავის ხოტბებში, ჩვენამდის არ მოუღწევია და ამის გამო არც მათი შინაარსი ვიცით. ჩახრუხაძე ქართული განათლებული წრეებისათვის წერდა ლექსებს, რომელთაც ყველა ეს თხზულება წაკითხული ჰქონდათ და თითოეული იქიდან დასახელებული გმირი მათ თვალწინ მთელ სურათს უხატავდა. მარტო ის გარემოებაც, რომ იმდროინდელ ქართველ საზოგადოებას ჩახრუხაძის თხზულებების გაგება და დაფასება შეეძლო, უტყუარის მჭერმეტყველებით ამტკიცებს, რამდენად ღრმად განათლებული და უაღრესად განვითარებული ყოფილა იგი[13].

აქვე ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ „თამარიანი" არ არის ვიწრო პანეგირიკული თხზულება. მასში გამოვლენილია ავტორის სოციალურ-

---

[13] Марр Н. Я., Древнегрузинские одописцы, с. 28—76 (Тексты и разыскания по армяно-грузинской филологии, IV. 1902); იხ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, 1965, გვ. 308—309.

პოლიტიკური მსოფლმხედველობა და პიროვნების ქება განზოგადებულია სახელმწიფოებრივ იდეალთან ერთად.

ჩახრუხაძეს თბილისის სამეფო კარზე მხარს უმშვენებდა იოანე შავთელი. „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის“ ავტორის ცნობით, იოანე შავთელი იყო „კაცი ფილოსოფოსი და რიტორი, ლექსთა გამომთქმელი და მოღუაწებათა შინა განთქმული“. შავთელის ლიტერატურული მემკვიდრეობიდან ჩვენთვის ცნობილია მხოლოდ „აბდულმესიანი“ (თამარისა და დავით სოსლანის ხოტბა), „გალობანი ვარძიის ღმრთისმშობლისანი“ და რამდენიმე საღვთისმეტყველო შინაარსის იამბიკო; დანარჩენი დაკარგულია. „აბდულმესიანი“ იოანე შავთელის მიერ დაწერილია თამარ მეფის სიცოცხლეში, დაახლოებით 1206—1207 წლებში. მასში ასახულია თამარის მეფობის ხანა, სამეფო კარის ცხოვრება, დავით სოსლანის მხედართმთავრობით წარმოებული ბრძოლა რუქნადინის წინააღმდეგ, „კიდელიმონას“ (შავი ზღვის სანაპირო, ტრაპიზონი) დაპყრობის ამბავი და ამ ორი ისტორიული გამარჯვებით სამეფო კარზე შექმნილი საზეიმო განწყობილება. ოდის შინაარსობრივი ანალიზი, მისი შეპირისპირება თამარის ანონიმი ისტორიკოსის ცნობასთან და აგრეთვე ის, რომ იოანე შავთელი სწორედ ამ ბრძოლის დროს თამარის მუდმივი მხლებელია ვარძიასა და ოძრხეში, გვაფიქრებინებს, რომ შავთელმა ბასიანის ომში ქართველთა ისტორიულ გამარჯვებას მიუძღვნა როგორც „აბდულმესიანი“, ასევე „გალობანი ვარძიის ღმრთისმშობლისანი“.

თხზულებაში შექებულია თამარ მეფე და დავით სოსლანი. მთავარი პერსონაჟია თამარი — შავთელის პოეტური შთაგონების წყარო. „აბდულმესია“ (ე. ი. ქრისტეს მონა) თხზულების მთავარი საქები ობიექტის ზედწოდებაა.

პოეტი იჩენს ქართული ბიბლიურ-ჰაგიოგრაფიული, ისტორიული, საერო მხატვრული, ფილოსოფიური და ჰიმნოგრაფიული მწერლობის დიდ ცოდნას; უხვად იყენებს დავითის ფსალმუნებს და ძველ ქართულ საგალობლებს. შავთელიც, ჩახრუხაძის მსგავსად, თამარის სახელმწიფოებრივი პოლიტიკის მომხრეა და ერთგულებას უცხადებს სამეფო ტახტს, მხარს უჭერს სამეფო ხელისუფლების ღვთაებრივი წარმოშობის იდეას. სამეფო ხელისუფლება თავის ნაწარმოებში მან აიყვანა მანამდე არნახულ სიმაღლემდე, აღნიშნავდა რა, ამავე დროს, ქართველი ბაგრატიონების ნათესაურ კავშირს ბიბლიურ წინასწარმეტყველ მეფეებთან.

„აბდულმესიანში“ აისახა ქართული ფილოსოფიურ-თეოლოგიური და საერო-მხატვრული მწერლობის სურათი. შავთელი ასახელებს ჩვენამდე არმოღწეული თხზულებების პერსონაჟთა სახელებს, საკუთარი პოეტური სახეებით შთაბეჭდილებას ქმნის ქართული კულტურის ვითარებაზე. იყენებს ფილოსოფიურ ტერმინებს.

ამრიგად, როგორც დავინახეთ, XII საუკუნეში თბილისში სამეფო

კარის მოღვაწეთა მიერ იქმნებოდა დიდებული საისტორიო თხზულებანი, საერო მწერლობის შინაარსობრივად და ჟანრობრივად მდიდარი საალიტერატურო მემკვიდრეობა, უკვდავი პოემები, სახოტბო ოდები, ითარგმნებოდა უცხოური მწერლობისა და ფილოსოფიის საუცხოო ნიმუშები. აქ, თბილისში ჰპოვებდნენ უპირველეს შეფასებას ჩახრუხაძისა და შავთელის პოეტური ქმნილებანი, რუსთაველის შემოქმედება, დავით აღმაშენებლისა და თამარის ისტორიკოსების თხზულებები.

წყაროებში მრავალი ცნობა მოიპოვება თამარის მეცენატობის შესახებ. როგორც სამართლიანად შენიშნავს კ. კეკელიძე, თამარის სასახლე თბილისში გადაიქცა მწერლებისა და მეცნიერების ნამდვილ საერთო საცხოვრებლად[14]. თამარის კარის ისტორიკოსებს საგანგებოდ აქვთ აღნიშნული სამეფო კარზე გამართულ მეჯლისებსა და დღესასწაულებზე მგოსანთა მონაწილეობა. მემატიანის ცნობით, „იქმნა სიხარული გამოუთქმელი, ვითა მართებს ნადიმსა და წყლიანობასა ამის სახლისა დიდებულთა მოყმეთა, უკლებლობასა მრავალგუართა სახეობათა, მუტრიბთა და მოთამაშეთა“[15].

სხვა დღესასწაულის დროს „იყო ზმა მგოსანთა და მუშაითთა სახიობათა მჭურეტელნი და რაზმთა სიმრავლე და სრულქმნა ამისა შინა“[16]. ან კიდევ: „იყო სიხარული და ზმა მგოსანთა და მოშაითთა“[17]. ეს უკანასკნელი ცნობა გვაუწყებს თბილისში ერთ-ერთ საზეიმო დარბაზობის დროს გამართული საჯარო ლიტერატურული შეჯიბრების შესახებ, რომელზედაც საასპარეზოდ გამოსულან ქართველი და ირანელი პოეტები. ეს დარბაზობა თამარის კარზე გამართულა შირვანშაჰ აღსართან II-ის თბილისში სტუმრობის გამო. აღსართან II პოეზიის დიდი მეცენატი და მოყვარული ყოფილა. შირვანის შაჰების კარზე ცხოვრობდნენ სახელგანთქმული პოეტები — ხაკანი (გარდ. 1199 წ.) და ნიზამი განჯელი (გარდ. 1203/9 წ.). გამოთქმულია მოსაზრება, რომ აღსართან II-ს თბილისში ყოფნისას თან ახლდა ნიზამი განჯელი[18].

ყოველივე ზემოთქმული აშკარად მიგვინიშნებს თბილისის კულტურულ ურთიერთობაზე მეზობელ ქვეყნებთან, რომელსაც მყარ ნიადაგს უქმნიდა ქართული ფეოდალური სახელმწიფოს ეკონომიკურ-პოლიტიკური წინსვლა და გაძლიერება XI—XII სს-ში. აღნიშნულ ხანაში „ფეოდალური საქართველო მსოფლიო პოლიტიკის ასპარეზზე გამოვიდა. თამარის დროშა „დავითიანი“ კი არ იყო მხოლოდ, არამედ „ალექსანდრიან“-„ავღუსტიანიც“. ალექსანდრე მაკედონელისა და ავგუსტ კეისრის

---

[14] კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, ქართული ლიტერატურის ისტორია, II, 1958, გვ. 35.
[15] ქართლის ცხოვრება, II, გვ. 43.
[16] იქვე, გვ. 47.
[17] იქვე, გვ. 66.
[18] კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, ეტიუდები, IV, თბ., 1957, გვ. 83.

მემკვიდრეობის მითვისებით ქართველები არა მარტო თურქთა მიერ მიტაცებულ მახლობელი აღმოსავლეთის კულტურული ქვეყნების განთავისუფლებას იჩემებდნენ, არამედ დასავლეთის კულტურული საგანძურის დაცვა-გავრცელების მისიასაც თავს იდებდნენ"[19]. და, მართლაც, თამამად შეიძლება ითქვას, რომ საქართველომ თითქმის მთლიანად აითვისა დასავლეთის ბერძნულ-ქრისტიანული კულტურა და კულტურითა და ცივილიზაციით მოქადულ ბიზანტიას ღირსეულად გაუსწორა თვალი.

აღორძინების ეპოქის თბილისში კარგად ერკვეოდნენ მუსლიმანურ-არაბულ-ირანული კულტურის მიღწევებშიც. არაბთა ხანგრძლივ ბატონობას თბილისში არ შეიძლება გარკვეული გამოძახილი არ ჰქონოდა ქართულ კულტურასა და მწერლობაში. რამდენადაც არაბები გვეელინებიან როგორც აქტიური მოქმედნი მეცნიერებისა და ცოდნის სხვადასხვა დარგში, როგორიცაა, მაგალითად, მათემატიკა, ასტრონომია, ისტორია, მედიცინა, ამდენად მათთან ურთიერთობას გარკვეული როლი უნდა შეესრულებინა ქართული კულტურის ისტორიაშიც. როგორც ჩანს, თბილისში ვითარდებოდა სამედიცინო ცოდნაც. ცნობილია, რომ დავით აღმაშენებელი და მისი მემკვიდრენი დიდად ზრუნავდნენ დავრდომილებსა და ავადმყოფებზე. ჯერ კიდევ თბილისის აღებამდე დავითმა გელათში „აღაშენა ქსენონი" (საავადმყოფო). საფიქრებელია, რომ ასეთივე დაწესებულება თბილისის დაბრუნების შემდეგ მეფემ დედაქალაქშიც გახსნა. ალ-ფარიკი მოგვითხრობს, რომ მოსულის ვეზირმა, ცნობილმა ქველმოქმედმა ჯემალ ედ-დინ ისფაჰანელმა შესთავაზა დემეტრეს, თბილისში მუსლიმანი სნეულებისა და უილაჯოებისათვის საავადმყოფოს (ბიმარისთანს) ავაგებო. მეფეს უპასუხნია, მე თვითონ ავაგებო. და ალბათ კიდეც შეუდგა საქმეს, მაგრამ ამასობაში გარდაიცვალა და ეს განზრახვა განუხორციელებელი დარჩა[20]. თუკი ქართველი მეფე თბილისში მუსლიმანებისათვის აპირებდა ცალკე საავადმყოფოს გახსნას, უნდა ვიფიქროთ, რომ ქრისტიანებისათვის უკვე არსებობდა ასეთი დაწესებულება. ალბათ იყვნენ სათანადო სპეციალისტებიც.

თბილისის სამეფო კარზე კარგად იცოდნენ არაბული ენა არა მარტო დავით აღმაშენებლის დროს (ამაზე ადრეც), არამედ მის შემდგომაც. ამ მხრივ მეტად საინტერესოა XII საუკუნის ისტორიკოსის აბულ-ჰასან ბეიჰაკის (1106—1170 წწ.) ცნობა. ბეიჰაკის ბევრი თხზულება დაუწერია არაბულ და სპარსულ ენებზე, მაგრამ ამჟამად თითქმის ყველა დაკარგულია. ბეიჰაკის ერთადერთი ნაწარმოები, რომელმაც სრული სახით მოაღწია ჩვენამდე, არის მისი მშობლიური ოლქის ბეიჰაკის ისტორია.

---

[19] ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ისტორიის საკითხები, III, თბ., 1966, გვ. 59—60.

[20] V. M i n o r s k y, Studies in Caucasian History, London, 1953, გვ. 91.

ამ ნაშრომიდან ვგებულობთ, რომ 543 წლის საფარის თვეში (1148 წ. ივნის-ივლისი) მეფე დემეტრე დავითის ძემ, მესიის მახვილად წოდებულმა, თავისი დესპანის ხელით რამდენიმე შეკითხვა გაუგზავნა სულთან სანჯარს (მალიქ შაჰის შვილს, ხორასნის მფლობელს). შეკითხვები არაბულ და სირიულ ენებზე ყოფილა დაწერილი. აბულ ჰასან ბეიჰაკს უბრძანეს პასუხები დაეწერა ამავე ორ ენაზე. მას შეუსრულებია დავალება. სამწუხაროდ, არც შეკითხვების და არც მათზე გაცემული პასუხების შინაარსი ბეიჰაკს მოტანილი არა აქვს[21].

თბილისის სამეფო კარზე დიდ მფარველობას უწევდნენ მხატვრული მწერლობის, პოეზიის, მეცნიერების წარმომადგენლებს[22]. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩეოდა დავით აღმაშენებელი. იბნ ალ აზრაკ ალ-ფარიკის გადმოცემით, დავითი ისეთი პატივით ეპყრობოდა მუსლიმანებს და ისეთ ყურადღებას იჩენდა მათი სარწმუნოების, მეცნიერებისა და სუფიზმის მიმართ, როგორსაც მუსლიმანთა შორისაც კი ვერ ნახავდნენო[23]. ამის შესახებ უფრო დაწვრილებით მოგვითხრობს სიბტ იბნ ალ-ჯაუზი (1186—1257 წწ.) თავის მრავალტომიან მსოფლიო ისტორიაში. იგი წერს: დავითი მუსლიმანთა საუფლო დღეს, პარასკეობით ზოგჯერ თვითონ და ზოგჯერ შვილებითურთ მაჰმადიანთა მთავარ სამლოცველოში — ჯამეში შედიოდა, ლოცვას, ყურანის კითხვასა და ქადაგებას ისმენდა და მათ სამღვდელოებას (ხატიბსა და მუეზინებს) მრავალ ოქროს უწყალობებდა ხოლმე. მას (დავითს) სუფიებისა და პოეტებისთვისაც თავშესაფარი აუგია, ხშირად ქონებრივადაც დახმარება გაუწევია და სადღესასწაულო მეჯლისებიც გაუმართავს. თვით მაჰმადიანთა მეფეებს არ გამოუჩენიათ თავიანთი ერთმორწმუნე ქვეშევრდომებისადმი იმდენი პატივისცემა, რაოდენს მზრუნველობასაც იჩენდა მათდამი საქართველოს ქრისტიანი მეფე. ამარაგებდა მათ მრავალი ქონებით. იგი (დავითი) მეტ პატივს სცემდა მუსლიმანებს, ვიდრე მათ სცემდნენ პატივს ისლამის მფლობელები[24]. აღსანიშნავია, რომ თვით დავით აღმაშენებელი კარგად ერკვეოდა ისლამის რელიგიის საკითხებში: არაბი ისტორიკოსის მუჰამედ ალ-ჰამავის ცნობით, დავითი იმდენად კარგად ყოფილა განსწავლუ-

---

[21] რ. კიკნაძე, XI—XIII საუკუნეთა თბილისის ისტორიიდან, ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ. V, ნაკვ. I. 1960, გვ. 126—127.

[22] Марр Н. Я. Древнегрузинские одописцы. Тексты и разыскания..., IV, СПб., 1902, с. 25, შენიშვნა I.

[23] V. Minorsky, Caucasian in the Histori y of Mayyafariqin, გვ. 34.

[24] M. Defremery, Fragments de geographes et d'historiens arabes et persans inedits, „Journal asiatique", Paris, 1848—1849, t. XIII—XV, გვ. 486; ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი II, თბ., 1948, გვ. 217, 218; ო. ცქიტიშვილი, სიბტ იბნ ალ-ჯაუზის ცნობა დავით აღმაშენებლის შესახებ, თსუ შრომები, ტ. 118, აღმოსავლეთმცოდნეობის სერია, თბ., 1967, გვ. 205.

ლი მუსლიმანთა სჯულის საკითხებში, რომ განჯის ყადისთან ხშირად კამათიც კი ჰქონია ყურანის წარმოშობის შესახებ[25].

საგულისხმო ცნობებს გვაწვდის ამ მიმართებით ზემოხსენებული ალ-ფარიკი, რომელიც 1153 წელს თბილისში ჩამოსულა მეფე დემეტრე I-ის კარზე სტუმრად. თბილისში ყოფნის დროს მას უნახავს თუ როგორ შესულა მიზგითში მეფე დემეტრე პარასკევ დღეს და დაუკავებია თავისი ადგილი მაღალ სკამზე. მიზგითიდან გამოსვლისას მეფეს 200 დინარი შეუწირავს მისთვის. მეფე განსაკუთრებული ყურადღებით ეპყრობოდა თურმე მეცნიერებს და მუსლიმანური სამღვდელოების წარმომადგენლებს. ფარიკი შეხვედრია იმ მუსლიმანებს, რომელთაც მეფე ისეთი პატივისცემით ექცეოდა, რომ ასეთს მოპყრობას ისინი ბაღდადშიც (ე. ი. ხალიფას სატახტო ქალაქშიც) ვერ იხილავდნენო[26].

თბილისში მსხდომ ქართველ მონარქთა ასეთი ბრძნული და წინდახედული პოლიტიკის შედეგი იყო, რომ „ერთი საუკუნის შემდეგ იმ მოქალაქეთა შვილები და შვილიშვილები საქართველოს ძლიერებისა და ბედნიერებისათვის იმნაირადვე ზრუნავდნენ, როგორც ჩვენი ერის ღვიძლი შვილები“ (ივ. ჯავახიშვილი).

XII ს. თბილისისა და მთელი საქართველოს შემამკობელი გვირგვინია შოთა რუსთაველის გენიალური ქმნილება — „ვეფხისტყაოსანი“, რომელმაც უკვდავი ადგილი დაიმკვიდრა შუა საუკუნეების მსოფლიო ლიტერატურის შედევრებს შორის.

შოთა რუსთაველმა „უზადოდ გამოხატა ადამიანთა ამაღლებული გრძნობები, ადამიანური ცხოვრების დამამშვენებელი ზნეობრივი იდეალები... უკუაგდო ასკეტური მორალი, მიწიერი გრძნობების თვითჩახშობა, სარწმუნოებრივი ფანატიზმი და დოგმატიზმი, ცრუმორწმუნეობრივი სიბეცე, ფატალიზმი. რუსთაველის გმირები პიროვნულად თავისუფლები არიან, მათ ნებელობას არ ზღუდავს არც უზენაესი ძალა და არც ბედისწერა. რუსთაველმა გაცილებით ადრე მკაფიოდ გამოხატა ის იდეური მიდრეკილებანი. რაც ჩვეულებრივ ევროპული რენესანსის ნიშანდობლივად დამახასიათებელ თვისებად ითვლება“[27].

ფილოსოფიური აზრი

ქართული ფეოდალური ხანის ფილოსოფიური აზრი თავისი განვითარების უმაღლეს საფეხურს XI—XII სს-ში აღწევს. ძლიერდება ინტერესი ფილოსოფიის საკითხებისადმი. თბილისი ქართველ ფილოსოფოსთა

---

[25] Марр Н. Я., Древнегрузинские одописцы, с. 19.

[26] ვ. ფუთურიძე, არაბი ისტორიკოსი XII ს-ის თბილისის შესახებ, ენიმკის მოამბე, ტ. XIII, თბ., 1943, გვ. 140—141; მინორსკი, დასახ. ნაშრომი, იქვე.

[27] კ. კეკელიძე, ა. ბარამიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, თბ., 1969, გვ. 281.

ერთ-ერთი კერა იყო. სამეფო კარის გარშემო იყრიდნენ თავს სახოტბო პოეზიის წარმომადგენლები. მათ შორის, როგორც ჩანს, ჩამოყალიბდა დიდი შოთა რუსთაველის შემოქმედება თავისი სწორუპოვარი „ვეფხისტყაოსნით", რომელიც იმ ეპოქის ფილოსოფიური აზრის დონეზე დგას.

ანტიკური ფილოსოფოსების სახელები გვხვდება არა მხოლოდ ფილოსოფიურ, აგრეთვე ლიტერატურულ და საისტორიო ძეგლებში. წარმოიქმნა რიგი ორიგინალური და თარგმნილი კრებულებისა, რომლებშიც გადმოცემულია ფილოსოფოსთა (დემოკრიტე, პლატონი, არისტოტელე და სხვ.) აზრები და აფორიზმები.

მეხოტბეთა პოეზიაში იხსენიებიან არისტოტელე, დიონისე არეოპაგელი, განსაკუთრებით კი ენეა გაზელი, პეტრე იბერის უმცროსი თანამედროვე და თანამოქალაქე.

ითარგმნა ქართულად პროკლეს (410—485 წწ.) ძირითადი ფილოსოფიური თხზულება „თეოლოგიის ელემენტები" (თარგმნა იოანე პეტრიწმა), პროკლეს მოწაფის და თავისი დროისათვის ცნობილი ნეოპლატონიკოსის — ამონიოს ჰერმიასის „პორფირიუსის შესავალის კომენტარები" და „არისტოტელეს 10 კატეგორიის კომენტარები" (თარგმნა იოანე ტარიჭის ძემ).

ამ დროს გახდა ცნობილი ჩვენში ნეოპლატონიკოს ნემესიოს ემესელის „ბუნებისათვის კაცისა"; ითარგმნა მთლიანად ე. წ. არეოპაგიტიკური კორპუსი (თარგმნა ეფრემ მცირემ). რამდენჯერმე იყო ამ დროს თარგმნილი იოანე დამასკელის (VIII ს.) „ცოდნის წყარო", რომელიც აღმოსავლური აზროვნების ერთ-ერთ ძირითად ნაწარმოებს წარმოადგენდა. არსენ იყალთოელმა თარგმნა ანასტასი სინელის (VII ს.) აღმოსავლეთში ფრიად გავრცელებული თხზულება „წინამძღვარი". ქართულ თარგმანში შემოინახა ტრაქტატი „პირმშოსათვის" („პირველის შესახებ"), რომელსაც მთარგმნელი არსენ იყალთოელი მიქაელ პსელოსს მიაწერს და რომლის ორიგინალი დაკარგულად ითვლება.

უმრავლესობა ამ თხზულებებისა ქრისტიანულ სულიერ სამყაროს ეკუთვნის, მაგრამ უხვად შეიცავს ანტიკურ ფილოსოფიურ (პლატონის, არისტოტელეს, ნეოპლატონიკოსების) იდეებს და შეადგენს ამ დროის ქართული ფილოსოფიური აზრის მნიშვნელოვან ნაწილს, რომელსაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა შუა საუკუნეების ქართულ კულტურულ ცხოვრებაში.

შეხედულებები „ამ სოფელზე", როგორც ყოველგვარ მნიშვნელობას მოკლებულ სინამდვილეზე და მოძულების საგანზე, იცვლება ხილული სამყაროს ონტოლოგიური, ეთიკური და ესთეტიკური ღირებულების აღიარებით. ამ ზოგადი შეხედულების შესაბამისად ყალიბდება ახალი შეხედულებანი ადამიანზე და მის დანიშნულებაზე. გრძნობებისა და

მისწრაფებების უარყოფის ასკეტური იდეალი იცვლება ჰუმანიზმით, რომელიც თანამიმდევრულ და შესანიშნავ პოეტურსა და ფილოსოფიურ გამოხატულებას პოულობს შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანში". რენესანსული და ჰუმანისტური იდეები იმდროინდელ საქართველოში ისეთი გარკვეულობითა და სიძლიერით არის წარმოდგენილი, რომ საფუძველი მისცა მეცნიერებს, XI—XII სს-ის ქართულ კულტურულ აღმავლობაში რენესანსი დაენახათ[28].

ამ დროის ქართული ფილოსოფიური აზროვნება მჭიდროდაა დაკავშირებული იდეურ ცხოვრებასთან და მასში მომხდარ ცვლილებებთან. ყალიბდება მიმართულებანი, რომელთა შორის ერთი დოგმატიკური აზროვნების გზას აგრძელებს და ზეცისა და მიწის დუალიზმის თვალსაზრისზე რჩება, მეორე — ამ დუალიზმის დაძლევის, არსის მთლიანობის დასაბუთებისაკენ არის მიმართული და ამქვეყნიური სინამდვილის ღირებულების დასაბუთებას და ადამიანში ადამიანურის გამართლებას წარმოადგენს.

ფილოსოფიური მიმდინარეობა, რომელიც „ქართული ნეოპლატონიზმის" სახელწოდებით არის ცნობილი (ეფრემ მცირე, იოანე პეტრიწი, შოთა რუსთაველი), მთავარ, ძირითად მიმართულებას წარმოადგენს და ქვეყნის იდეურ ცხოვრებაში მომხდარ არსებით ცვლილებებს ასახავს.

ამ ეპოქის ქართული ფილოსოფიური აზრის პირველი მნიშვნელოვანი წარმომადგენელია ეფრემ მცირე (XI ს.). მისი მოღვაწეობა მრავალმხრივობით გამოირჩევა. განსაკუთრებულია მისი დამსახურება ფილოსოფიური აზრის განვითარების თვალსაზრისით. მის მიერ შესრულებული თარგმანი იოანე დამასკელის ცნობილი თხზულებისა „ცოდნის წყარო" და უმთავრესად მისი „პირველი ნაწილისა — „ფილოსოფიური თავები" (დიალექტიკა) აძლიერებს არისტოტელეს ფილოსოფიური იდეების გავლენას ქართულ ფილოსოფიურ აზროვნებაში.

ეფრემ მცირე დიდ მნიშვნელობას ანიჭებს არისტოტელეს ლოგიკურ და ონტოლოგიურ მოძღვრებას; აღრმავებს რაციონალისტურ ხაზს. მისი აზრით, ფილოსოფიის დანიშნულება თეოლოგიის დებულებათა დასაბუთებაში და თეორიულ დაცვაშია მოწინააღმდეგეებთან იდეოლოგიური ბრძოლის დროს. „საფილოსოფოსო სწავლა" არის იარაღი, რომლითაც „წინააღუდგებოდენ შვილნი ეკლესიისანი გარეშეთა მათ ფილოსოფოსთა" და მათითავე „ისრით" (იარაღით) ამარცხებენ მათ. ფილოსოფია

---

[28] აღმოსავლეთისა და ქართული რენესანსის თეორია ბოლო წლებში მეტსა და მეტს აღიარებას იძენს. კერძოდ, ქართული რენესანსის შესახებ გამოჩენილი მეცნიერი ა. ლოსევი წერს: „... ქართული აღორძინების მკვლევრებმა დაამტკიცეს, რომ ქართველი მოაზროვნეები ევროპაში ნეოპლატონისტური და არეოპაგიტიკული რენესანსის წამომწყებნი იყვნენ და რომ მათ აქ რამდენიმე საუკუნით გაუსწრეს დასავლეთ ევროპას" (Лосев А. Ф., Эстетика Возрождения, М., 1978, с. 37).

მოწოდებულია ღვთისმეტყველების „ვენაკის ... ნაყოფთა შვენიერება შემოზღუდოს ეკლოვანი ღობით და უძლეველ ყოს იგი მოწინააღმდეგეებისაგან“[29]. მაგრამ კომენტარებში, რომლებიც თარგმანს აქვს დართული, ფილოსოფიისა და თეოლოგიის უნიონი ეფრემს ისეთი პირობით მისაღებად მიაჩნია, როდესაც მათ შორის არსებობს არა სუბორდინაციის, არამედ კოორდინაციის მიმართება და ფილოსოფიას თეოლოგიის თანაბარი მნიშვნელობა ექნება მინიჭებული: არც თეოლოგიაა „სრული“ ფილოსოფიის გარეშე და არც ფილოსოფია — თეოლოგიის გარეშე[30].

უფრო დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ეფრემის მიერ ფსევდოდიონისე არეოპაგელის (ნუცუბიძე — ჰონიგმანის თეორიის მიხედვით იგივე პეტრე იბერის) შრომების ე. წ. არეოპაგიტული კორპუსის თარგმნას (მთლიანად). ფსევდოდიონისეს ეს მოძღვრება წარმოადგენს ნეოპლატონიზმის მორიგების ცდას ქრისტიანულ მოძღვრებასთან და შემოაქვს შუა საუკუნეების აზროვნებაში ანტიკური ფილოსოფიური იდეები, რომლებიც შეუთავსებელია ქრისტიანულ დოგმებთან და შუა საუკუნეების გაბატონებულ შეხედულებებთან.

ქრისტიანულ-რელიგიური ფორმა, რომელიც ნეოპლატონიზმმა მიიღო არეოპაგიტულ მოძღვრებაში, გზას უხსნიდა ანტიკურ ფილოსოფიას ქრისტიანულ აღმოსავლეთსა და დასავლეთში ანტიკურობის დამარცხებისა და ქრისტიანობის გამარჯვებით შექმნილ ვითარებაში. მაგრამ მისი ნეოპლატონიზმისაგან შეთვისებული იდეები მოურიგებელ წინააღმდეგობაში აღმოჩნდა მონოთეიზმთან და დასავლეთში, სადაც არეოპაგიტის გავლენა IX ს-დან იწყება და საუკუნეების მანძილზე გრძელდება, ზოგი მოაზროვნე აშკარა პანთეიზმამდე მიიყვანა.

არეოპაგიტულმა მოძღვრებამ განსაკუთრებული მნიშვნელობა მოიპოვა XI—XII სს-ის საქართველოში და დასაბამი მისცა პროგრესულ ფილოსოფიურ მიმდინარეობას ახალ, კულტურული აღმავლობის ეპოქაში.

არეოპაგიტული მოძღვრების ამოსავალი ღმერთის ცნებაა, როგორც აბსოლუტურად სრულყოფილი და ყოველივეზე ზეაღმატებული საწყისისა. მაგრამ ნეოპლატონიზმის გავლენა მოძღვრებას მიმართავს აღმატებული და სრულყოფილი საწყისის ნაკლოვან, არასრულყოფილ სამყაროსთან დაკავშირებისა და მათი ერთიანობის საფუძვლების ძიებისაკენ. ამ მიმართებით არეოპაგიტულ მოძღვრებაში ღმერთი მოაზრებულია, როგორც არსის პირველი და საყოველთაო მიზეზი და შესაბა-

---

[29] შდრ. ი ო ა ნ ე დ ა მ ა ს კ ე ლ ი, დიალექტიკა, გამოცემა მაია რაფავასი, 1976, გვ. 67.

[30] ეფრემი ცალ-ცალკე ურთავს კომენტარს ი. დამასკელის თხზულების ფილოსოფიურ და თეოლოგიურ ნაწილებს, ამ ნაწილების თავებს და დასკვნაში წერს: „არცა ესენი სრულ არიან უმათოდ, არცა იგინი უამითოდ“ (ეფრემ მცირე, ს. გორგაძის პუბლიკაცია, „მიმომხილველი“, 1926. გვ. 187).

მისად მიზეზობრიობის ნეოპლატონისტური გაგებისა, როგორც ყოველივეში არსებული საწყისი. ღმერთი „ყოველთა შორის ყოველ არს“[31].

არეოპაგიტული მოძღვრება წარმოადგენდა ნეოპლატონიზმის (უმთავრესად პროკლეს) ქრისტიანულ გადამუშავებას. ამ მოძღვრებამ გააღვივა ინტერესი უშუალოდ ანტიკური ნეოპლატონიზმისა და კერძოდ პროკლეს მოძღვრებისადმი. ქართული ფეოდალური ფილოსოფიური აზრის ყველაზე მნიშვნელოვანი წარმომადგენლის იოანე პეტრიწის (XI—XII სს.) ფილოსოფიური მსოფლმხედველობა ნეოპლატონიზმის უკანასკნელი დიდი სისტემატიზატორის პროკლეს მოძღვრების საფუძველზე ჩამოყალიბდა.

ფილოსოფოსი იოანე პეტრიწი ძველ საქართველოში სარგებლობდა უდიდესი ავტორიტეტით. სულხან-საბა ორბელიანი ფილოსოფიური ცნებების განმარტების დროს ხშირად იყენებს პეტრიწის ფილოსოფიურ თხზულებებს. „კალმასობის“ ავტორი მას უწოდებს „გონება-მალალ“ მოაზროვნეს; სოლომონ დოდაშვილის სიტყვით, პეტრიწი იყო „ჭეშმარიტი ფილოსოფოსი“, თავისი დროის „სრული აზრით... დიდი და ჩინებული“ მოაზროვნე, რომელმაც მოიპოვა დიდი პატივისცემა თავის თანამედროვეთა და განათლებულ შთამომავლობას შორის[32].

ახალგაზრდა იოანე პეტრიწი სწავლობდა კონსტანტინოპოლში, მანგანის აკადემიაში. აქვე დაახლოებია იგი აკადემიის პროფესორს იოანე იტალოსს და გამხდარა აქტიური მონაწილე იდეური მოძრაობისა, რომელსაც ბიზანტიის ეს მოაზროვნე და ფილოსოფოსი მეთაურობდა.

1083 წელს იოანე იტალოსი გაასამართლეს, რადგან ქადაგებდა ოფიციალური წრეების მიერ უარყოფილ და „ანათემას მიცემულ“ შეხედულებებს და ამით „გამოუცდელ“ მსმენელებს „დაღუპვისაკენ მიაქანებდა“.

იტალოსის გასამართლების შემდეგ დაიწყო მისი მიმდევრების დევნა, რომელიც მიზნად ისახავდა „ურწმუნოების სრულ მოსპობას“. იოანე პეტრიწი იძულებული გახდა მიეტოვებინა სატახტო ქალაქი[33]. პეტრიწის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შემდეგი წლები მიმდინარეობს პეტრიწონის ქართულ მონასტერში, რომელიც იმავე 1083 წელს ბიზანტიის იმპერიის ცნობილმა მოღვაწემ გრიგოლ ბაკურიანის ძემ დააარსა. XII ს-ის დასაწყისიდან პეტრიწი მოღვაწეობდა გელათის აკადემიაში. მფარველად აღმოუჩნდა დავით აღმაშენებელი, რომლის მიმართ კმაყოფილებისა და მადლობის გრძნობით აღსავსე სიტყვებს წარმოთქვამდა[34].

---

[31] „საღმრთოთა სახელთათვის“, VII, 3; პ ე ტ რ ე ი ბ ე რ ი ე ლ ი, შრომები, 1961, გვ. 72.

[32] სოლ. დ ო დ ა შ ვ ი ლ ი, თხზულებანი, 1961, გვ. 199—200.

[33] როგორც აკად. უსპენსკი შენიშნავს, იოანე იტალოსის შეხედულებანი „მკაცრ წინააღმდეგობაში იმყოფებოდა საეკლესიო მოძღვრებასთან“.

[34] ი ო ა ნ ე პ ე ტ რ ი წ ი, შრომები, II, 1937, გამ. შ. ნუცუბიძის და ს. ყაუხჩიშვილის, გვ. 222.

პეტრიწის ფილოსოფიურ ნააზრევში არეოპაგიტიკულ მოძღვრებასთან შედარებით ბევრად უფრო მკვეთრადაა წარმოდგენილი ანტიკური ნეოპლატონიზმის და კერძოდ პროკლეს შეხედულებანი. ქართველი ფილოსოფოსის სულიერი სამყარო უმთავრესად ანტიკური კულტურით, მითოლოგიითა და ფილოსოფიით არის განსაზღვრული. მისი ავტორიტეტები არიან პარმენიდე, პლატონი, არისტოტელე, პლოტინი, პორფირიუსი და სხვ. განსაკუთრებული ყურადღებით პლატონი, პლოტინი და პროკლე სარგებლობდნენ.

ღმერთისა და სამყაროს მიმართება პეტრიწთან დაპირისპირებულთა მიმართებაა, მაგრამ პეტრიწი ამ საკითხის გადაწყვეტას დიალექტიკის საფუძველზე ცდილობს.

იოანე პეტრიწის მიხედვით, სამყარო, როგორც შედეგი, თავის დასაბამს უნდა დაუბრუნდეს, „უკუნიქცეს“ თავის დასაბამში და სისტემა დასრულდეს. ამიტომ შეუძლებელია შედეგი მთლიანად მოსწყდეს თავის მიზეზს, სამყარო-დასაბამს. ამიტომ, წარმოქმნილი შედეგი განსხვავებულიცაა მიზეზისაგან და მისი იგივეობრივიც. პეტრიწს ამ თავისებური, დიალექტიკური მიმართების საკითხის გადაჭრის მიზნით შემოაქვს შესაფერისი ცნება, რომლის მიხედვითაც შედეგი მიზეზთან მიმართებაში „იგივე სხვაა“[35].

ფილოსოფიური აზრის ერთ-ერთი წარმომადგენელი იყო არსენ იყალთოელი, რომელიც მონაწილეობდა დავით აღმაშენებლის მიერ მოწვეულ ყრილობაზე, სადაც ძირითად საგანს, როგორც ჩანს, მონოფიზიტობისა და დიოფიზიტობის (ქალკედონიტობის) სადისკუსიო საკითხები წარმოადგენდა. მთავარი თხზულება, რომელშიც არსენ იყალთოელის თეოლოგიური და ფილოსოფიური შეხედულებანი აისახა, არის მის მიერ შედგენილი კომპენდიუმი „დოგმატიკონი“. ამ თხზულების ძირითად მიზანს ორთოდოქსული (ქალკედონიტური) მიმდინარეობის დაცვა წარმოადგენს. სხვა თხზულებათა შორის კომპენდიუმი შეიცავს მრავალ პოლემიკურ თხზულებას, მიმართულს ებრაული და მაჰმადიანური რელიგიებისა და ქრისტიანობის შიგნით წარმოქმნილ სხვადასხვა მწვალებლურ (ერეტიკულ) მიმდინარეობათა წინააღმდეგ.

შოთა რუსთაველის შემოქმედების იდეური შინაარსის ძირითად თავისებურებას ჰუმანიზმი წარმოადგენს. რუსთაველის ჰუმანიზმი ასრულებს XI—XII საუკუნეების საქართველოს კულტურულ ცხოვრებაში მომხდარ იდეურ ცვლილებებს. რუსთაველი როგორც ჰუმანისტი დასავლეთის რენესანსის კულტურის დიდ წარმომადგენელთა რიგში დგას. ქართული ფილოსოფიური აზრის განვითარების თვალსაზრისით, რუსთაველის შემოქმედება საყურადღებოა როგორც სინთეზი კულტურული

---

[35] იოანე პეტრიწი, შრომები, II, დასახ. გამ., გვ. 88.

შემოქმედებისა და მისი ფილოსოფიური საფუძვლებისა. რუსთაველზე ამ მხრივ დიდი გავლენა მოახდინა ნეოპლატონიზმმა, არეოპაგიტულმა მოძღვრებამ და პეტრიწმა.

ვეფხისტყაოსანში მხატვრულ ფორმებშია ასახული ადამიანური იდეალი ჰუმანისტური გაგებით, რომელიც ვლინდება სიცოცხლის განმამტკიცებელ მისწრაფებაში, ცოცხალ სინამდვილესთან, ხილულ სამყაროსთან კავშირში, ადამიანის შეუპოვარი ბრძოლით და მრავალი დაბრკოლების დაძლევით განხორციელებულ იდეალებში.

მიწიერისა და ადამიანურის ღირებულებისა და მნიშვნელობის გამართლება მაშინდელ ქართულ ფილოსოფიურ აზროვნებაში ხდება მიწიერისა და ზეციურის შემაერთებელი გზების ძიებით, ორ სამყაროდ („ორ სოფლად") გათიშული სინამდვილის გამთლიანებით. რუსთაველის უზოგადესი შეხედულება ღმერთისა და სამყაროს მიმართების საკითხზე გამოხატულია დებულებით, რომ ღმერთი არის „სავსება ყოველთა".

„ასმათ თქვა: „ღმერთო, რომელი არ ითქმი კაცთა ენითა,
შენ ხარ სავსება ყოველთა, აგვავსებ მზეებრ ფენითა" (918)[36].

როგორც მზის გამოყენება ერთის (ღმერთის) ხატად, ხოლო გამოსხივებისა (ემანაცია) — ღმერთისა და სამყაროს მიმართების თვალნათლივ გამოხატულებად, აგრეთვე ღმერთის გაგება როგორც სავსებისა — ნეოპლატონიზმისა და მისი ქრისტიანული გადამუშავების დამახასიათებელი თავისებურებაა.

მზე მეტია რუსთაველთან, ვიდრე ხატი ჩვეულებრივი ქრისტიანული რელიგიური წარმოდგენით. არსის საფეხურებრივ წყობაში მოვლენათა რიგები („სირა") რანგობრივად, პირველმიზეზისაგან მეტ-ნაკლებად დაშორებით და ამიტომ მეტ-ნაკლები ღირებულების მიხედვით არიან განლაგებულნი, და აქ მზე ამაღლებულია სხვა ხილულ მოვლენებთან შედარებით. ამით აიხსნება აზრი პოემის ერთ-ერთი შესანიშნავი ადგილისა:

„მიმავალი ცასა შესტირს, ეუბნების, ეტყვის მზესა:
„აჰა, მზეო, გეჯები შენ, უმძლესთა მძლეთა მძლესა,
ვინ მდაბალთა აამაღლებ, მეფობასა მისცემ, სვესა,
მე ნუ გამყრი საყვარელსა, ნუ შემიცვლი ღამედ დღესა" (958).

ვეფხისტყაოსანი წარმოადგენს მხატვრულ განსახიერებას მოქმედებისა და გამარჯვების ერთიანობისა, რომელიც განგებითაა დეტერმინირებული. მათი ერთიანობა გამოხატულია არა მხოლოდ პოემის სიუჟეტური განვითარებით; მოაზრებულია და დასაბუთებულია იმავე მოძ-

---

[36] ციტატი მოტანილია ვეფხისტყაოსნის 1966 წლის გამოცემიდან. რედაქტორები ა. შანიძე და ა. ბარამიძე.

ღვრებით, რომელიც წარმოადგენს რუსთაველის ფილოსოფიურ მსოფლმხედველობის წყაროს საერთოდ და, კერძოდ, ამ მოძღვრების შეხედულებით სიკეთისა და ბოროტების საკითხზე.

სიკეთე და ბოროტება რუსთაველის პოემაში მხოლოდ ეთიკური კატეგორიები არაა, მათ ონტოლოგიური მნიშვნელობაც აქვთ და გამარჯვება აქ განხილულია ფართო ფილოსოფიურ პლანში, როგორც სიკეთის გამარჯვება ბოროტებაზე.

ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელია (1361).

დიონისე არეოპაგელის დამოწმება — „ამ საქმესა დაფარულსა ბრძენი დივნოს გააცხადებს" (1491) სავსებით კანონზომიერია და არა შემთხვევითი.

სიკეთის ბოროტებაზე გამარჯვების აზრი ემყარება დებულებას, რომ ნამდვილი, ონტოლოგიური არსებობა მხოლოდ სიკეთესა აქვს, რადგან სიკეთე თავად ღმერთია და ის სამყაროში ვლინდება როგორც სიკეთე. ბოროტება „უმყოფოა" (1434) და მისი არსებობა შემთხვევითია, ხანმოკლეა. მთელი არსი სიკეთისაკენ მიისწრაფვის და ადამიანის სიკეთის განხორციელებისაკენ მიმართული მოქმედება ამ საყოველთაო სწრაფვაშია ჩართული. ამიტომ სიკეთე განხორციელებადია, ბოროტება — საბოლოოდ — განუხორციელებელი.

ხუროთმოძღვრება და სახვითი ხელოვნება

ჩვენ არ გაგვაჩნია საკმარისი მასალა XI—XII საუკუნეების თბილისის რეალური სახის წარმოსადგენად. ვიცით, რომ მაშინაც არსებობდა — იმავე ადგილზე — ციტადელი „კალა", რომ ქალაქის საცხოვრებელი უბნები კვლავ გალავნით იყო გარშემორტყმული, რომ საკუთარი გალავანი ჰქონდა ისნის უბანს. მისი არსებობა დადასტურებულია XI საუკუნეში: ისნელები თბილისში მოწვეულ ბაგრატ IV-ს არ დაემორჩილნენ, „ჩააგდეს ჴიდი და არა მისცეს ისნი". და თუმცა „დაუდგეს ფილაკავანნი (ე. ი. ქვის სატყორცნი მოწყობილობა) და ბრძოდეს ისნთა"[37], მისი აღება მაინც ვერ მოხერხდა. ისტორიკოსის მიერ თბილისში შემოსული ბაგრატ IV-ის საზეიმო მიღების აღწერა სრულიად აშკარად გვიხატავს დიდი, ხალხმრავალი, სიმაგრეთა მთელი სისტემით აღჭურვილი ქალაქის სურათს. ისიც ჩანს, რომ თბილისში მისასვლელი ერთ-ერთი უმთავრესი გზა დიღმის მხრიდან იყო; უეჭველია, მაშინაც არსებობდა გვიან საუკუნეებში კარგად ცნობილი დიღმის კარი კალას უბნისა, რომლისკენაც იქნებოდა მიმართული თვით ქალაქის ერთ-ერთი უმთავრესი არტერია.

---

[37] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 299—300.

ეს ცნობები იმ ხანას მიეკუთვნება, როდესაც თბილისი ჯერ კიდევ არ იყო შემოერთებული და მხოლოდ უცხოელთა მიერ ოკუპირებული შედარებით მცირე რეგიონის ცენტრი იყო. ბუნებრივია, მას შემდეგ, რაც იგი სრულიად საქართველოს, ე. ი. წინა აზიის ერთ-ერთი უძლიერესი და უმდიდრესი სახელმწიფოს „სამეუფო" ქალაქად იქცა, თბილისი ტერიტორიითაც გაიზრდებოდა და მრავალი ახალი შენობითაც გამდიდრდებოდა. XIII ს-ის დასაწყისის ერთი უცხოური გეოგრაფიული თხზულება მოიხსენიებს, ქალაქის სათავდაცვო ნაგებობათა (ციხეების, საყარაულო კოშკების) გარდა, მეფეთა სასახლეებს, მრავალ საბაზრო ადგილს, წისქვილებს, დულაბებს (წყალამწევ ბორბლებს), 65 აბანოს, დოვლათით სავსე ბაღებს. მაშინდელი წერილობითი წყაროები უფლებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ქალაქის საზღვრები უკვე დიდუბეს უახლოვდებოდა; ხოლო მტკვრის დაღმა, მარჯვენა ნაპირზე, დაახლოებით გოგილოს აბანოს გადმოსწვრივ, სადაც სამასი არაგველის ობელისკი დგას, არსებობდა კერამიკული სახელოსნოები, რომლებიც, უეჭველია, აგრეთვე ქალაქის ფარგლებში იყო.

ძველი თბილისის ბირთვს იმ საუკუნეებში მეტად მნიშვნელოვანი ხუროთმოძღვრული კომპონენტი ემატება: წერილობითი საბუთები მოწმობს, რომ გიორგი III-ის დროს უკვე არსებობდა საქართველოს მეფეთა სასახლე აწინდელი მეტეხის ადგილას, თამარის დროს კი იხსენიება მეტეხის ეკლესიაც (რომელიც მონღოლთა შემოსევის დროს დაინგრა); თამარის მეორე ისტორიკოსი ბასილი მოგვითხრობს, რომ შამქორის ომის დროს, ჯარის გასტუმრების შემდეგ, თამარმა „წარიჯადნა სამოსელნი ფერჯთანი და ფერჯივ შიშულითა ფერჯითა მიიწია ტაძარსა ღმრთისმშობლისასა მეტეხთა და წინაშე ხატსა მას წმიდასა მდებარე არა დასცხრებოდა ცრემლითა ვედრებად, ვიდრემდის სრულყო ღმერთმან სათხოველი მისიო"[38]. მემატიანისავე სიტყვით, თამარმა თავისი მამის გარდაცვალების ამბავი გაიგო „ქალაქსა შინა ტფილისსა, საჯდომსა მათსა ციხესა ისანს". ამ ტექსტების შეჯერება და რეალურად არსებული ნაშთები (ძველ ადგილას აღდგენილი მეტეხის ეკლესია) მოწმობს, რომ სამეფო სასახლე და მეტეხის ტაძარი, რომელიც, უეჭველია, კარის ეკლესია იყო, ერთიმეორის გვერდით იდგა ქარაფის პირას.

ამგვარად, XII საუკუნეში უკვე არსებობს ძველი თბილისის სილუეტის ორი „საყრდენი", განმსაზღვრელი დომინანტი — კალა და მეტეხის ტაძარი სასახლითურთ. ქალაქის უბნები მარცხენა ნაპირზედაც შენდება — ისანი უკვე ქალაქის ერთ-ერთი (საკუთარი გალავნის მქონე) უბანია. მტკვარი ახლა უკვე ქალაქის ნამდვილი ცენტრალური არტერიაა, მისი ხუროთმოძღვრული კომპოზიციის უმთავრესი ღერძი. ქალაქი, რო-

[38] ქართლის ცხოვრება, II, გვ. 126.

მელიც მთებს შორის ჩაისახა, მტკვრის აღმა-დაღმა იზრდება სიგრძეზე (ეს ტენდენცია შემდეგშიაც გაგრძელდება იმ პერიოდებში, როცა ქალაქის ზრდა ინტენსიური იქნება) და მისი განაპირები თანდათან შორდება თავდაპირველ ბირთვს.

იმდროინდელი სამეფო სასახლე უკვალოდაა გამქრალი. ჩვენ არც ის ვიცით, როგორი იყო, უფრო მეტიც, როდის აშენდა პირველად მეტეხის ტაძარი. ზეპირი ტრადიციის თანახმად, იგი თითქოს ქალაქის არსებობის პირველსავე ხანებში უნდა აეგოთ, რაკი მიჩნეული იყო, რომ აქ, ეკლესიის სადიაკვნეში, დაიკრძალა ვარსქენ პიტიახშის მეუღლე შუშანიკი. პლატონ იოსელიანი და სხვა ავტორები იმასაც მოგვითხრობენ, — წყაროების მიუთითებლად, — რომ აქ, ისანში, მეტეხის ეკლესიასთან „ვახტანგ გორგასლანის დროდგან როსტომ მეფისა დროდმდე იყო სასახლე საქართველოჲსა მეფეთა“[39].

წერილობითი ცნობებით ეს მოსაზრებები არ დასტურდება. არა მარტო ვახტანგ გორგასლის დროს, არამედ ბევრად უფრო გვიანაც, როგორც ზემოთ აღინიშნა, ამ ადგილას მოხსენიებულია მხოლოდ საგოდებელი და სადილეგო და არა სასახლე და ეკლესია. თვით მეტეხის ახლანდელი ეკლესია, XIII ს-ის დასასრულისა (იხ. ქვემოთ), აშკარად ძველი, მანამდე არსებული, ეკლესიის გეგმას (მხოლოდ გეგმას!) იმეორებს: მას ოთხი გუმბათქვეშა ბოძი აქვს, რაც XI საუკუნის შემდეგ აღარ გვხვდება. მაგრამ აქ სხვა — ჯერ კიდევ უპასუხოდ დარჩენილი — საკითხი ისმის: თბილისის გათავისუფლებამდე როდის შეიძლებოდა აქ შექმნილიყო ისეთი პირობები, რომ ქართველებს შეძლებოდათ ამოდენა ეკლესიის აგება?

ასეა თუ ისე, ჩვენ სრული დარწმუნებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ სრულიად საქართველოს დედაქალაქ თბილისში, ციხე-გალავნების, ციტადელის, კომუნალური დანიშნულების ნაგებობათა (აბანოების, წისქვილების, საბაზრო შენობების, ქარვასლების და სხვ.), სამეფო სასახლისა და საცხოვრებელ სახლთა მასის გარდა, არსებით ხუროთმოძღვრულ მახვილებად აღმართული იყო ეკლესიებიც, რომელთაგან ზოგის დასახელება შეგვიძლია კიდეც: ძველ ქალაქში ეს იყო სიონის საკრებულო ტაძარი, ანჩისხატი, მეტეხის ღვთისმშობლის ეკლესია, უფრო მოშორებით — ქვაშვეთი (ესეც გუმბათიანი, როგორც მეტეხი და სიონი); ამათ შეგვიძლია დავუმატოთ თამარის მეფობაში, XII საუკუნის მიწურულს (ესეც უფრო ადრინდელი ეკლესიის ადგილას, მისი ზოგი ნაწილის გამოყენებით) აშენებული „ლურჯი მონასტერი“ (ახლანდელი ქიაჩელის ქუჩის ბოლოს, მტკვრის მარჯვენა მაღალ ნაპირზე). ეს ეკლესიაც გუმ-

---

[39] პ. ი ო ს ე ლ ი ა ნ ი, ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, თავი XXIV. ზოგი ავტორი მეტეხის ეკლესიისა და სასახლის აკვებას ვახტანგის ძეს დაჩის მიაწერს.

ბათოვანი იყო, თლილი ქვით მოპირკეთებული და სარკმელთა მოჩუ-ქურთმებული საპირეებით შემკული. დღეს — მას შემდეგ, რაც ეკლესია ჯერ XVI—XVII საუკუნეებში, შემდეგ კი XIX საუკუნეში გადააკეთეს და დაამახინჯეს — თავდაპირველი მოპირკეთებისა და ჩუქურთმებისა მხოლოდ მცირე ნაწილიღა გადარჩა, უმეტესად აღმოსავლეთის ფასადზე. სარკმელთა მორთულობის სისტემა, თვით ჩუქურთმის მოტივები და შესრულების მანერა დამახასიათებელია XII—XIII საუკუნეებისათვის, მაგრამ მხატვრული ხარისხით მაინც ჩამოუვარდება იმ დროის საუკეთესო ძეგლებისას (იკორთა, ბეთანია, ქვათახევი, ფიტარეთი და სხვ.). სამხრეთის შესასვლელის თავზე „ლურჯ მონასტერს“ შერჩა დიდი (დაუზიანებელი) სამშენებლო წარწერა, რომელიც მოგვითხრობს, რომ ძეგლი აგებულია „ქართლისა მთავარებისკოპოსყოფილის“, „ერისთავთ-ერისთავისა, ქართლისა ამირთა ამირისა, რუჲსთვისა და შვიდთა მთეულეთთა პატრონისა აბულასანის“ ძმის ბასილის მიერ. ისტორიული ფაქტების შეჯერება ადასტურებს, რომ თარიღი თამარის მეფობის ადრინდელ ხანას ემთხვევა და 1190—1191 წლებს არ გადმოსცილდება.

სამწუხაროდ, ჩვენ არც ამ დროისათვის ვიცით, როგორი იყო კონკრეტულად თბილისის მხატვრული ცხოვრება, სახვითი ხელოვნების რა ნიმუშები შეიქმნა დედაქალაქში, მაშინ, როდესაც ცნობილია, რომ ეპოქის ყველაზე დიდი პოეტები სწორედ სამეფო კართან იყვნენ დაკავშირებულნი.

რა თქმა უნდა, არავითარ ეჭვს არ იწვევს, რომ სამეფო კარზე უნდა ემუშავნათ მხატვრებს, კალიგრაფებს, მინიატურისტებს, ხუროთმოძღვრებს, ოქრომჭანდაკებლებს. თავის კარზე ოსტატები ჰყავდათ (მაშინაც და უფრო გვიანაც) არა მარტო მეფეებს, არამედ დიდ ფეოდალებსაც. XI—XII საუკუნეთა მიჯნაზე, ე. ი. დავით აღმაშენებლის დროს, დადასტურებულია „მეფის მხატვრის“ წოდება (მეფის მხატვარი თევდორე, რომელმაც შეასრულა სვანეთის რამდენიმე ეკლესიის მოხატულობა). ისიც ცნობილია, რომ მეფეთა შეკვეთით სრულდებოდა ძვირფასი ხელნაწერები, რომ ბექა ოპიზარმა თავისი სახელგანთქმული ნაწარმოები — ანჩისხატის ჩარჩო — შეასრულა „ბრძანებითა და ნივთისა ბოძებითა ღმრთივ გვირგვინოსნისა დიდისა დედოფალთ დედოფლისა თამარისითა“, მაგრამ არც ხელნაწერები და არც ეს მოჭედილობა თბილისში არ არის შესრულებული. სამაგიეროდ ჩვენ ვიცით, — ესეც მხოლოდ წერილობითი საბუთების წყალობით, — რომ გიორგი III-ისა და თამარის სასახლეში, რომელიც ისანში მდებარეობდა, დარბაზების კედლები მოხატული ყოფილა ქვეყნის სამხედრო ისტორიის სცენებით. თუ ვიმსჯელებთ დღემდის შემორჩენილი იმდროინდელი ფრესკებით (ეკლესიების კედლებზე), შეგვიძლია დარწმუნებით ვთქვათ, რომ ეს საერო მხატვრობაც მაღალი ღირსებისა იქნებოდა.

სახიობა და თეატრონი
თბილისში XI—XII საუკუნეებში

ქართული სანახაობითი ხელოვნება ძველი დროიდანვე ვითარდებოდა. მისი აღმნიშვნელი მრავალნაირი ტერმინოლოგია მოწმობს, რომ თბილისის გაქალაქების პერიოდში სახიობას უკვე გარკვეული ტრადიციები ჰქონდა.

სახიობა პოეტური სიტყვის, მუსიკის, ცეკვისა და სხვა რიგის გასართობთა აღმნიშვნელი სიტყვა იყო, ხოლო „მემღერე", „მესახიე", „მსახიობელი" — მსახიობი. ტრაგიკოსს „გლოვის მგოსანს" ეძახდნენ. „განწმენდა" (კათარსისი), „განსწავლა" საზოგადოების სულიერი წვრთნის მიზნებს ემსახურებოდა და, საერთოდ, ტრაგიკული ხასიათის სცენათა გამართვის გზით ხორციელდებოდა. მრავლისმეტყველია აგრეთვე: „სიმღერის მწერალი", „მოშაპირე" — კომედიოგრაფი; „გალობის მწერალი", „გალობის მეტყველი" — პოეტი, ქება-ხოტბის მთხზველი; „მსახიობელი" — ქების სახიობის შემსრულებელი; როკვა — „ასე არს სამა, ცეკვა, ბუქნა და რაოდენსა რასმე იქმან მგოსნები"[40]; „მწყობრი მემღერთა" — მსახიობთა დასი; „დასაბურველი პირისა" — რიდე, ტყავი — ნიღაბი; „სახიონი" — ნიღბოსან მსახიობთა დასი; „მანქანებით მოყვანებული ღმერთი" — სცენაზე მექანიკური წესით გამოყვანილი მითიური ღმერთის გამოსახულება; „სახილველი" — თეატრი — თეატრონი და სხვ.

ქართული „სახილველის" ეს ლექსიკა, ძველი დამწერლობის ძეგლებსა და ქართული სიტყვიერების გვიანდელ ჩანაწერებში რომ მოიპოვება, როგორც ჩანს, შორეული წარსულიდან მომდინარეობს. ჯერ კიდევ V საუკუნეში ადგილობრივი საზოგადოების მაღალ ფენათა წარმომადგენლებს ჩვეულებად ჰქონიათ „მგოსან კაცთა და ქალთა სიმღერების მოსმენა"[41].

ძველ ქართულ მწერლობაში მრავალი ძეგლია ცნობილი, რომელნიც დიალოგური ფორმით არიან გამართულნი. ყველა ასეთი ხასიათის ნაწარმოები როდი ეკუთვნის დრამატულ მწერლობას, მაგრამ ისინი მაინც გამოხატავენ დრამატული ფორმით სარგებლობის კულტურას. ასეთი ხასიათის თხზულებანი სკოლებში სასწავლებლად იყო გამოყენებული და ზოგჯერ სწავლება გულისხმობდა თეატრალურ შესრულებასაც.

ისევე როგორც ბიზანტიაში, საქართველოში წარმართულისა და ქრისტიანულის ბრძოლის პირობებში, როდესაც ფეოდალების იდეოლოგიურ იარაღად ქრისტიანული რელიგია იქცა, დაბალი სოციალური

---

[40] სულხან-საბა ორბელიანი, თხზულებანი, IV—2, გვ. 15.

[41] გეორგიკა — ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტ. II. ტექსტები ქართული თარგმანითა გამოსცა ს. ყაუხჩიშვილმა, 1965, გვ. 252; იგ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული მუსიკის ისტორიის ძირითადი საკითხები, გვ. 228.

ფენები — სოფლის მიწათმოქმედნი და ქალაქის წვრილი ვაჭარ-ხელოსნები — თავიანთ დღეობა-სანახაობებში დასცინოდნენ საეკლესიო ფეოდალებს, სატირიკულად წარმოადგენდნენ ქრისტიანულ ღვთისმსახურებას. ხალხურმა ნიღბების თეატრმა ბერიკაობამ შექმნა მღვდელისა და დიაკონის ნიღბები. ნიღბოსნები მონაწილეობდნენ ქრისტიანული ღვთისმსახურების პაროდიულ წარმოდგენებში, რომელთაც ეკლესია უწოდებდა „გინებას ღმრთისა საძულელს", სდევნიდა მათ. ბერიკაობამ ასეთი სანახაობანი დღემდე შემოინახა[42].

*

* *

დასავლეთ საქართველოდან თბილისის დასაკავებლად წამოსულ ბაგრატ მეოთხეს ქალაქის მცხოვრებლებმა 1046 წელს დიდი სადღესასწაულო შეხვედრა მოუწყვეს. შეხვედრა დაიწყო თბილისის თავკაცთა მიგებებით. მემატიანის სიტყვით: მეფეს „მოეგებნეს ქალაქის ბერნი, დარბაზის ყმანი, ცხენოსანნი, დიღმისა ველსა"[43]. ჩვეულებრივ, ასეთი მიგებების დროს ქალაქის მისადგომებთან მოდიოდა „ურიცხვი სიმრავლე ლაშქრისა მწვანოსანი და წითლოსანი"[44], მეფეს ახვედრებდნენ „ტურფად მოკაზმულ" გზებს. „მის უამესი არა იქნებოდა რა... იქით და აქეთ... კოშკები იდგა ტურფანი და მას შინა ათ-ათი მოთამაშენი, მკვრელნი და მომღერალნი სხდიან, ზოგნი შუშპრობდიან, ზოგნი იმღერდიან და ზოგნი უკრევდიან. მრავალნი უცხოდ თამაშობდიან, რომე კაცის თვალთა ეგეთნი არა ინახოდა რა"[45].

„უკრევდეს მრავალსა უცხოსა ფერსა საკრავსა და იმღერდეს ამოსა და მშვენიერ ხმასა... და შეასხმიდიან ქებასა მათსა საფერსა"[46]. მთელი გზის მანძილზე მეფეს „მუტრიბნი და მომღერალნი ეგრეცა მოსდევდნენ და ტკბილად ხმობდიან"[47]. ანალოგიური საზეიმო ვითარებაა გადმოცემული ვეფხისტყაოსანშიაც[48].

ბაგრატ მეოთხე „შეიყვანეს საამიროსა დარბაზსა". თუ ჩვენ ამ ხანის ისტორიული ძეგლების მონაცემებს გავითვალისწინებთ, შეიძლება წარმოვიდგინოთ, რაოდენ დიდებული უნდა ყოფილიყო ამ საზეიმო

---

[42] დ. ჯ ა ნ ე ლ ი ძ ე . ქართული თეატრის ისტორია, წიგნი პირველი, ხალხური საწყისები, თბ., 1982, გვ. 235—240.

[43] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 199.

[44] მ ო ს ე ხ ო ნ ე ლ ი , ამირან-დარეჯანიანი, ს. კაკაბაძის რედაქციით, თბილისი, 1939, გვ. 81—82.

[45] რუსუდანიანი, ილ. აბულაძის და ივ. გიგინეიშვილის რედაქციით, თბილისი, 1957, გვ. 102—103.

[46] იქვე, გვ. 362.

[47] იქვე, გვ. 87.

[48] შ. რ უ ს თ ა ვ ე ლ ი , ვეფხისტყაოსანი, თბ., 1937, სტროფი 120.

სანახაობათა მსელელობის დამაგვირგვინებელი სახიობა. ამის შესახებ გვაუწყებს თამარ მეფის ისტორიკოსი: „და იქმნა სიხარული გამოუთქმელი, ვითა მართებს ნადიმსა და წყლიანობასა ამის სახლისა დიდებულთა მოყმეთა, უკლებლობასა მრავალგუართა სახეობათა, მუტრიბთა და მოთამაშეთა განწყობილობათა"[49].

სახალხო, საჯარო სანახაობანი და, მით უფრო, სასახლის კარის სახიობა გამოყენებული იყო სახელმწიფოებრივი პოლიტიკის, გამათავისუფლებელი ბრძოლის იარაღად და ცენტრალური ხელისუფლების სადიდებლად.

დავით აღმაშენებლის მეფობაში ორგზის იქნა აკრძალული სანახაობანი. მეფის სამოქალაქო და საზოგადოებრივი მოღვაწეობის განხილვისას ისტორიკოსი აღნიშნავს: „ხოლო საეშმაკონი: სიმღერანი, სახიობანი და განცხრომანი, და გინება ღმრთისა საძულელი და ყოველი უწესობა მოსპობილ იყო ლაშქართა შინა მისთა და ურიცხვსა მას შინა სიმრავლესა ენათა ნათესავთასა, ვითარცა ცათა შინა მყოფთა შორის"[50]. აკრძალვა შეეხო სამეფო ლაშქარს, განურჩევლად იმისა, თუ რა ენაზე მეტყველებდნენ მეომრები. საფიქრებელია, რომ ისტორიკოსის მიერ ჩამოთვლილი, საეშმაკოდ მიჩნეული სანახაობანი: „სიმღერანი, სახიობანი, განცხრომანი, გინება ღმრთისა საძულელი" ისპობოდა მეომრებში სამხედრო-პოლიტიკური მიზნებით.

სანახაობათა აკრძალვა მომხდარა რუის-ურბნისის საეკლესიო კრების (1103 წ.) ძეგლისწერით: „ნუღამცა კადრებულ არს ქმნად ამიერითგან, ნუცა მონასტერთა შინა შექმნაჲ სავაჭროთა ერის კრებათაჲ, ნუცამცა რაჲ სხუაჲ სამოქალაქოჲ და სოფლიოჲ წესი ქმნილ არს მონასტერთა შინა..."[51]

დავით აღმაშენებელმა მოლაშქრეებში მხოლოდ ისეთ სანახაობა-სახიობას გაუჩინა სარბიელი, რაც მეომრებს სამშობლოსადმი სიყვარულს, ერთგულებას, ვაჟკაცობას, მხნეობას და თავდადებას შთააგონებდა. ამ მხრივ მეტად საგულისხმოა დავითის თანამედროვე ისტორიკოსის სიტყვები, რომ მეფე მეომრებში ნერგავდა თავდადებასა და გამბედაობას, მამაცებს აქებდა და აჯილდოებდა, „ხოლო ჯაბანთა — სადედოთა შთა-

---

[49] ქართლის ცხოვრება, II, გვ. 43. ტექსტის „სახეობათა" აქ შეცვლილია ვახტანგის შემდეგდროინდელი ნუსხების მიხედვით — „სახიობათა".

[50] იქვე.

[51] ე. გ ა ბ ი ძ ა შ ვ ი ლ ი, რუის-ურბნისის კრების ძეგლისწერა, თბ., 1978, გვ. 188. ამ ძეგლში „ხატობა-დღეობებთან დაკავშირებული ბაზრობის („სავაჭრო კრება") აკრძალვასთან ერთად ყოველნაირი „სხუაჲ სამოქალაქოჲ და სოფლიოჲ წესი"-ც არის დაგმობილ-განდევნილი. „ცხადია, რომ აქ დღეობის დროს ჩვენში მიღებული ხალხური სიმღერა-გასართობიც იგულისხმებოდა". ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული მუსიკის ისტორიის ძირითადი საკითხები, თბ., 1938, გვ. 229.

ცუმითა და კიცხვით ძაგებითა, არამცა მოეღონა, ვიდრემდის სპათა შორის მისთა ყოვლად არა იპოებოდა ჯაბანად ზრახული"[52].

სალაშქრო სახიობა-ბერიკაობა, ერთი მხრივ, მხნე და გულად მეომართა ქება-შესხმას გამოხატავდა, ხოლო, მეორე მხრივ, მხდალ, ჯაბან მოლაშქრეთა კიცხვა-ძაგებას. ასეთი სალაშქრო სანახაობანი დღემდეა შემონახული „ხორუმისა" და „ფარცა-კუკუს" სახით.

რუსთაველთან ვხვდებით მინიშნებას სახიობის სხვადასხვა ფორმებზე. „მესამე ლექსი კარგია სანადიმოდ, სამღერელად, სააშიკოდ, სალალობოდ, ამხანაგთა სათრეველად, ჩვენ მათიცა გვიამების, რაცა ოდენ თქვან ნათელად..."[53]

პოეტის აღნიშნული სიტყვები გვაფიქრებინებს, რომ ძველი ქართული პოეზია იმ დროს შეიცავდა სატრფიალო, გასართობი და სატირიკული ხასიათის ნაწარმოებებს.

განსაკუთრებული ადგილი ეკავა სასახლის კარის სახიობაში ისეთ ჟანრს, როგორიც იყო ქებანი. იგი შეიცავდა მეფის შესხმა-ქებას. სასახლის კარის სახიობას უნდა შთაეგონებინა მაყურებელ-მსმენელთათვის მეფის ღვთით გვირგვინოსნობა: „იხილეს რა ჴელითა მღდელ-მოძღუართათა მეფე გჳრგჳნოსანი, და ქება შეასხეს ძალითა საქებელსა ჴმითა ოხრისათა" (ქარიშხლისებური ხმით)[54].

როგორც პ. ინგოროყვა ვარაუდობს, სასახიობედ შესასრულებელი თამარ მეფის ერთ-ერთ ქებანის ავტორი თვით რუსთაველი უნდა ყოფილიყო, რის მოწმობაც ვეფხისტყაოსნის პროლოგშია დაცული: „ვთქვენი ქებანი, ვისნი მე, არ ავად გამორჩეული... ვინცა ისმინოს, დაესვას ლახვარი გულსა ხეული"[55].

ქებანი სახიობით არა მარტო საქართველოს დედაქალაქში სრულდებოდა, არამედ მას მოგზაური დასები მეზობელ და შორეულ ქვეყნებშიაც კი ავრცელებდნენ. ამ მხრივ მეტად საინტერესო ცნობაა დაცული ჩახრუხაძის პოემაში „ქება მეფისა თამარისა". ამ პოემის ორი ელეგიის მიხედვით ქართველ მოგზაურ პოეტს თავის დასით მოუვლია მრავალი ახლობელი და შორეული ქვეყანა[56]. „ქებანი" სრულდებოდა სახიობით — მომღერალთა, მემუსიკეთა და მროკველ-მოცეკვავეთა ხელოვნებით. გავიხსენოთ „რუსუდანიანის" შემდეგი აღწერილობა: „მოასხნეს მომღერალნი

---

[52] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 358.

[53] ვეფხის-ტყაოსანი, თბ., 1937, სტროფი 17.

[54] ქართლის ცხოვრება, II, გვ. 116.

[55] შ ო თ ა რ უ ს თ ა ვ ე ლ ი, ვეფხისტყაოსანი, თბ., 1937, პ. ინგოროყვას წინასიტყვაობა, გვ. XXXI—XXXIV.

[56] ძველი ქართული მეხოტბენი, I, ჩახრუხაძე, ქება მეფისა თამარისი, ივ. ლ ო ლ ა შ ე ი ლ ი ს გამოც., თბ., 1957, გვ. 194—250.

ქალნი და მოთამაშენი და უკრევდეს ამოსა ხმასა და იტყოდენ ლექსსა და შეასხმიან ყაისარს ქება“[57].

საქართველოში ქებანი სრულდებოდა მუსიკალურ საკრავებზე ხმაშეწყობილი სიმღერითა და ცეკვით. ეს თვალნათლივ დასტურდება შუა საუკუნეების ფრესკებით და მინიატურული მხატვრობით. მოგზაური პოეტის ქებანი, ცხადია, სრულდებოდა სახიობით; ამისათვის მას თავის ამალაში ჰყავდა მომღერალ-მემუსიკე-მროკველთა დასი[58].

საქართველოს დედაქალაქში, მხატვრული შემოქმედებისადმი ძლიერი ინტერესის ატმოსფეროში, განვითარდა თეატრალურ-სანახაობრივი ხელოვნება. ისევე როგორც შემოქმედების ყველა დარგში, თეატრალურ-სანახაობრივ ხელოვნებაშიაც იგრძნობოდა მონუმენტური ფორმებისადმი მიდრეკილება — მკირეში სიდიადის გამოხატვა, საჯარო დღესასწაულებრივი სანახაობებისადმი სიყვარული.

XII—XIII საუკუნეების ქართველ ისტორიკოსთა თხზულებებში შეიძლება დავინახოთ დედაქალაქის საჯარო სანახაობათა ქრონიკა:

1178—1179 წელს გიორგი მესამემ თანამოსაყდრედ დაისვა თავისი ასული თამარი თანადგომობით. თამარის გამეფების სადიდებლად გაიმართა სახიობა. „მდიდარნი ერისანი ლიტანიობდეს (ხარობდნენ) წინაშე პირსა მისსა“[59].

1184 წელს, გიორგი მესამის გარდაცვალების შემდეგ, ისტორიკოსის სიტყვით, ეწყობა თამარის დაგვირგვინება „ესევითარსა შესხმასა და გალობასა შინა... ამასა შინა ჰკრეს სპერმურთა (სპილენძჭურთა) ბუკთა, ქოსთა და წინწილათა და იყო ზარი და ზაჰმი ქალაქსა შინა, სიხარული და შუება“[60].

1185 წელს თამარის ქმრად მოიყვანეს სუზდალის რუსეთის დიდი მთავრის ანდრია ბოგოლიუბსკის შვილი გიორგი რუსი (უფლისწული იური), ქორწილი დიდი ზეიმით გადაიხადეს. იქმნა „ქორწილი, სახედაუდებელი და იგავმიუწვდომელი სიმრავლენი სახიობათანი... სიხარული, შუება, ძღუნობანი, გაცემანი“[61].

1188 წ. (დაახლოებით) ერზერუმის ამირა სალდუხის ძის ძე მუტაფრადინი საქართველოში ჩამოვიდა „დიდითა ლაშქრითა, მრავლითა დიდებულითა, ხოჯაებითა და საჭურისითა, მონებითა და მჯევლითა,

---

[57] რუსუდანიანი, დასახ. გამ., გვ. 329.

[58] ძველი ქართული მეხოტბენი, I, გვ. 200; შ. რ უ ს თ ა ვ ე ლ ი, ვეფხის-ტყაოსანი, ალ. ბარამიძის, კ. კეკელიძის, ა. შანიძის რედაქციით, თბ., 1957, სტროფი 968.

[59] ქართლის ცხოვრება, II, გვ. 21.

[60] იქვე, გვ. 26—27; „ქოსთა და წინწილათა“ — ქოსი — „ჩხირებით სამღერელი“, წინწილი — ერთგვარი საკრავია, უდრის „კიმბალს“.

[61] იქვე, II, გვ. 37; „სახიობათანი“ — ვახტანგის შემდეგდროინდელი ნუსხების ვარიანტით.

ბარგითა და სიმდიდრითა, საკელმწიფოთა ძღუნითა კმასაყოფინელითა, თუალისა და მარგალიტისა, საჭურჭლეთა და ლართა თანა ავაზებისა და ტაიკების სიმრავლითა". საქართველოს მეფის სასახლის კარი ისე დაუხვდა, როგორც ეს წესად იყო უცხო ქვეყნის დიდგვარიანი სტუმრის მიღებისას[62].

1189 წელს თამარ მეფის ქორწილზე, როდესაც მას შერთეს დავით სოსლანი, სახიობა არაჩვეულებრივი ზარ-ზეიმით გამოირჩეოდა: „მოვიდეს სრასა დიდუბისასა, სანახებსა ტფილისისასა, და მუნ ქმნეს ქორწილი შესატყჳსი და შემსგავსებული კელმწიფობისა და სახელზეობისა მათისა, ვინათგან დედოფალი რუსუდან ყოვლითა სიბრძნითა სავსე მოქმედებდა: აქათ ბაგრატოანი ბაგრატოანითა გუარ-ზეობითა აწყობდა რიგთა სახლისათა, და ქუემოთ ხუარასნისა და ერაყისა სულტანთა სძლობითა გამეცნიერებული, მუნებრივითა სახიობითა და შუებითა მოქმედებდა.... იყო ზმა მგოსანთა და მუშაითთა, სახიობათა მჭურეტელნი იყო რაზმთა სიმრავლე და სრულ-ქმნა ამასა შინა"[63].

1192 წ. (ან 1193 წ.) ეწყობა გიორგი ლაშას ძეობის დღესასწაული: „განიხარეს ყოველთა სიხარულითა მიუთხრობელითა"[64].

1192 წ. აღსართან შარვანშას და ამირ-მირმანის მიღებისას „იყო სიხარული და ზმა მგოსანთა და მოშაითთა"[65].

1195 წ. შამქორის ომში გამარჯვების შემდეგ ისტორიკოსის სიტყვით: „მოვიდეს მადიდებელნი სპანი და სპასალარნი და სპასპეტნი, თვით შარვანშა და ამირ-მირმან, პირითა მხიარულითა გარდამოკდეს, თაყუანისცეს, დალოცეს და ქება შეასხეს მეფესა და ბუმბერაზთა მისთა"[66].

1205 წ., როდესაც თბილისში ქართველთა ძლევამოსილი ლაშქარი დაბრუნდა, „შეეკაზმა მოქალაქეთა დიდითა მოკაზმულობითა ქალაქი ტფილისი"...[67]

სასახლის კარის სახიობა და აგრეთვე საჯარო სანახაობანი დედაქალაქში გარკვეულ წესსა და რიგს ემორჩილებოდნენ: იქმნა „უკლებლობა მრავალგვართა სახიობათა", სიმრავლენი სახიობათანი სასახლის კარის გარიგებისდა მიხედვით იმართებოდა: „ვითარ იყო ხუედრი და რიგი ულუმპიანობისა (აღმატებულობისა) და შარავანდედობისა მათისა"[68]. XI—XII საუკუნეებში სასახლის კარის სახიობა მარტო ქარ-

---

[62] ქართლის ცხოვრება, II, გვ. 43.
[63] იქვე, გვ. 47.
[64] იქვე, გვ. 124.
[65] იქვე, გვ. 66.
[66] იქვე, გვ. 72.
[67] იქვე, გვ. 140.
[68] იქვე, გვ. 37, 43.

თულით კი არ კმაყოფილდებოდა, არამედ იგი უცხო ქვეყნების სანახაობრივ კულტურასაც უთმობდა თავის სარბიელს.

ამრიგად, როგორც ზემოაღნიშნულიდან ჩანს, სახიობა გაგებული იყო როგორც ზოგადი სახელი: „სიმრავლენი სახიობათანი", „უკლებლობასა მრავალგვართა სახიობათა", „მუნებურთა სახიობათა", რომ ქართულ სახიობათაგან გამოიყოფოდა „მუნებური" (იქაური) — უცხოური. როგორც სასახლის კარის სახიობის, ასევე საჯარო სანახაობათა გამგებლობა მეფის ახლობელი პირის, თუ წარჩინებული მოხელის ხელთ უნდა ყოფილიყო, თანაც ისეთის, რომელსაც მშობლიურის და უცხოურის ხელოვნების ცოდნა ჰქონდა.

XII საუკუნეში ქართულ სანახაობრივ კულტურას სათავეში ედგა ერთი დიდებულთაგანი ჩუხჩარხის სახელწოდებით, რომელიც ამასთანავე უნდა ყოფილიყო მეფის პირადი დაცვის უფროსიც[69]. ამ დროს ქართულ სახიობას მრავალჟანრიანობა ახასიათებდა. სახიობის შემსრულებლად ჩანან მგოსნები, მოთამაშენი, მუტრიბები და მუშაითები. მგოსნები და მოთამაშენი წარმოადგენენ დრამატულ, პანტომიმიკურ, ქორეოგრაფიულ ხელოვნებას, მუტრიბები დამკვრელებიც იყვნენ და მომღერლებიც, ხოლო მუშაითები — საცირკო, აკრობატული ხელოვნების წარმომადგენლები. მათი საჯარო გამოსვლები გარკვეული წესითა და რიგით ხდებოდა.

საჯარო სახიობათა გამართვაში მონაწილეობას ღებულობდნენ „მდიდარნი ერისანი", „მოქალაქენი". ეს იმას ნიშნავს, რომ მეთორმეტე საუკუნეშიაც მოქალაქეებს რაღაც თავისი ადრინდელი უფლებები ჰქონდათ შენარჩუნებული სანახაობათა გამართვის დარგში. ეს ტრადიცია, — მოქალაქეთა მიერ ქალაქის სადღესასწაულო მოკაზმვისა და საჯარო სანახაობათა მოწყობისა, — როგორც ჩანს, მომდინარეობს ძველი დროიდან და მას თბილისი ინარჩუნებს XVIII და XIX საუკუნეებშიც.

XI—XIII საუკუნეებში სახიობა იმართებოდა სანახაობრივი დანიშნულების ნაგებობებში; ასეთ ნაგებობებს წარმოადგენდა „სახლი სათამაშო", სასახლის „წარულეთი ანუ დარბაზი", „სახლი სალხინო" და იპოდრომი. სახიობა ამასთანავე იყენებდა საკარეო აღკაზმულობას და იგი იმართებოდა სრა-ფარდაში (კარავში)[70].

თბილისში მეფის სასახლესთან, ბიზანტიაში კარგად ცნობილი ნაგე-

---

[69] ვ ა ხ უ შ ტ ი ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თ. ლომოურის და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბ., 1941, გვ. 17; შ. მ ე ს ხ ი ა, საშინაო პოლიტიკური ვითარება და სამოხელეო წყობა XII საუკუნის საქართველოში. თბ., 1979, გვ. 152—153; დ. ჯ ა ნ ე ლ ი ძ ე, ქართული თეატრის ისტორია უძველესი დროიდან XVIII საუკუნემდე. თბ., 1965, გვ. 437—439.

[70] ქართლის ცხოვრება, II, გვ. 7; ივ ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი. მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, I, თბ., 1946, გვ. 12,69, 120—129.

ბობის მსგავსად. იპოდრომი არსებობდა[71]. იპოდრომისა და მისი სოციალური და სანახაობრივი დანიშნულების ამსახველი ძველი ქართული ტერმინები დამწერლობით ძეგლებში აღმოჩნდა და ხალხურმა სიტყვიერებამაც შემოინახა: „ცხენთ-სარბიელი“ — იპოდრომი, „კრებული“ — იპოდრომის პარტია, დიმი; რაც მთავარია, ამ კრებულების (პარტიების) ქართული სახელწოდებანიც გამოვლინდა: „მწვანოსნები“ და „წითლოსნები“, „ცისფეროვანნი“ და „თეთროსნები“[72], რომ არაფერი ვთქვათ იპოდრომის ისეთ სპეციფიკურ ტერმინებზე, როგორიც არიან „მწაფელი“, „რაინდი“, „ცხენთარბენის სიყვარულით განცოფებული“, რომელთაც საეკლესიო მწერლობა განკიცხვით იხსენიებდა. მიუხედავად ამისა, იპოდრომის სანახაობებზე „შეყვარებულთა“ სიმრავლე არ ილეოდა; ყოველივე ეს საქართველოს დედაქალაქის იპოდრომის დიდ მნიშვნელობაზე მეტყველებს[73].

თბილისის ყოფა XI—XII საუკუნეებში

დიდი ხნის მანძილზე საამიროს ცენტრად ყოფნისას თბილისში საკმაოდ მომრავლდა და ეკონომიკურად თუ პოლიტიკურად მომძლავრდა მუსლიმანური მოსახლეობა. მან, ჩანს, ქალაქში იმთავითვე შემოიტანა ისლამური წესების შესაბამისი თავისი ყოფა და ტრადიციები.

მიუხედავად ამისა, ამირების ხელქვეითაც თბილისში მძლავრად ინახავდნენ თავს ქრისტიანული ტრადიციები, რომლის მატარებელიც იყო ქალაქის ძირძველი ქართველი და სხვა ქრისტიანული მოსახლეობა.

ასეთ ვითარებაში თბილისში თვალში საცემი იყო მუსლიმანური და ქართულ-ქრისტიანული მოსახლეობის კულტურულ-კონფესიური ტრადიციების თანაარსებობა. თბილისში აგრეთვე უცხოვრიათ სომხებსა და ებრაელებს, მაგრამ ისინი შედარებით მცირერიცხოვანნი უნდა ყოფილიყვნენ.

XII ს. თბილისის ქრისტიანული სახელმწიფოს ცენტრად გადაქცევის დროიდან ქართულ-ქრისტიანული ზნე-ჩვეულებები თანდათანობით არსებითად განსაზღვრავდნენ თბილისის ყოფას. XIII ს. დამდეგს ეს ტეხილი კარგად აქვს დანახული სპარსულენოვანი წყაროს ავტორს. მისი ცნობით, „ქალებს ქუდები ხურავთ, დუქნებთან სხედან და სახეს არ იფარავენ, გარდა მუსლიმანებისა“[74].

---

[71] ი ო ა ნ ე შ ა ვ თ ე ლ ი, აბდულმესიანი, ივ. ლოლაშვილის გამოც., თბ., 1964, სტროფი 30; ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, I, თბ., 1946, გვ. 69.

[72] მ ო ს ე ხ ო ნ ე ლ ი, ამირან-დარეჯანიანი, გვ. 82—83; შ ო თ ა რ უ ს თ ა ვ ე ლ ი, ვეფხის-ტყაოსანი, 1937, სტროფები 676, 1503.

[73] დ. ჯ ა ნ ე ლ ი ძ ე. ქართული თეატრის ისტორია, დასახ. გამოც., გვ. 452—460, 492—499.

[74] „სამყაროს საკვირველებათა“ ცნობები საქართველოს შესახებ, გვ. 28.

უნდა ვივარაუდოთ, რომ ეს ქალები სავაჭროთა მეპატრონეების ოჯახებიდან იყვნენ. ჩვეულებრივ, შუა საუკუნეებში, ვაჭრები ან ხელოსნები თავის პროდუქციას იქვე ჰყიდდნენ, სადაც ცხოვრობდნენ, ან საქონელს აწარმოებდნენ. მათი ოჯახის წევრებიც უმეტესად იქვე ტრიალებდნენ, მუშტარს მოუხმობდნენ, ან საქონელს გასცემდნენ. „სამყაროს საკვირველებათა“ ავტორის ცნობა საინტერესოა იმიტომაც, რომ მას სავაჭროთა წინ ძირითადად ქრისტიანი ქალები შეუმჩნევია. ეს ფაქტი გვიჩვენებს, რომ ქალაქის ვაჭრობაში ქრისტიანებს თვალსაჩინო ადგილი ეკავათ.

თბილისის მწარმოებელი საზოგადოების შრომითი ყოფის შესახებ ძალზე მცირე ცნობები მოგვეპოვება. ვიცნობთ მხოლოდ კერამიკოსთა ცხოვრების მაგალითებს.

კერამიკული საწარმოები ქალაქგარეთ, რაბათის საზღვართან იყო მოწყობილი. ეს იმით აიხსნებოდა, რომ ძველთაგანვე საწარმოები, რომლებიც მაღალი ტემპერატურის პირობებში მუშაობდნენ, ხელოსანთა საცხოვრებლიდან მოცილებით მდებარეობდა. აქ ხელოსნები სამუშაო დროს მოდიოდნენ. სახელოსნო აგებული იყო საგანგებოდ შერჩეულ ადგილზე, სადაც გარშემო მრავლად მოიპოვებოდა თიხა — ძირითადი ნედლეული. თიხას თხრიდნენ, შემდეგ ზელავდნენ და დიდხანს, სველად შენახვის მიზნით, „მოსამწიფებლად“ ღრმა ორმოებში ინახავდნენ. სათანადო ფორმის მიცემის შემდეგ თიხის ჭურჭელს თუ სხვა ნაწარმს მოჭიქავდნენ: თხევად ჭიქურში ამოავლებდნენ, ან ფუნჯით წაუსვამდნენ. საამისოდ იყენებდნენ უფერულ გამჭვირვალე ჭიქურს და ფერად გაუმჭვირვალესაც. გაუმჭვირვალე ფერად ჭიქურს ხმარობდნენ ანგობზე მოხატული ჭურჭლისათვის. ხშირია ფირუზისფერი, აგრეთვე, მწვანე, მოყავისფრო-სოსანი და ა. შ. პროდუქციის გამოწვა იქვე, საამისოდ აგებულ ქურებში ხდებოდა. ქურების კედლები ალიზითა თუ აგურით, ძირი კი კლდის ქვით იყო ამოყვანილი. შიგ ქურებში გამოწვისას სათანადო დიდრონ ნაწარმს გრძელ, მრგვალ და წვეტიან სოლებზე ალაგებდნენ, ხოლო ყურიანს — ორმაგი კავებით ჰკიდებდნენ. გამოწვის პროცესში ცეცხლისათვის ხმარობდნენ ფიჭვის შეშას, რომელიც ახლაც საუკეთესოდ ითვლება მოჭიქული ნაწარმის გამოსაწვავად. აღსანიშნავია, რომ კერამიკული წარმოების თითქმის ყველა ტექნოლოგიური პროცესი ადგილზევე მიმდინარეობდა. საწარმოებთან, მაგალითად, ნაპოვნია საჭიქურე ფხვნილი, კაჟის კენჭები, სპილენძის ანაფხეკები და ცალკეული ხელსაწყოები: ქვასანაყი, ხელსაფქვავები, სასწორი და სხვა, რომელსაც ჭიქურის შემზადებისას (დასანაყად, ასაწყავად და ა. შ.) ხმარობდნენ[75].

---

[75] დაწვრილებით იხ. გ. ლ ო მ თ ა თ ი ძ ე, არქეოლოგიური გათხრა თბილისში 1948 წლის ზამთარში (მასალები საქართველოსა და კავკასიის არქეოლოგიისათვის, I, თბ., 1955, გვ. 147—150).

ჩვენთვის საინტერესო ხანის თბილისის მოსახლეობის ყოფის წარმოსადგენად მნიშვნელოვანია ქალაქის საცხოვრებელი ბინების გათვალისწინება. ამ მხრივაც სათანადო მასალები ძალზე ცოტაა.

ამ დროის თბილისში საცხოვრებელი ნაგებობების კედლების ასაყვანად იყენებდნენ თიხის გამომწვარ აგურს, რომელსაც ადგილობრივ სახელოსნოებში ამზადებდნენ. ამავე მიზნით იყენებდნენ, აგრეთვე, რიყის მთლიან ან დაპობილ ქვებს. დუღაბად თიხას ხმარობდნენ. ასეთი წესით ჩანს აგებული კერამიკული საწარმოს და მისი საცხოვრებელი კომპლექსის ნაშთები თბილისში[76].

მდიდრულად ნაგებ შენობებს თბილისში დეკორატიულადაც ამკობდნენ. კერამიკული საწარმოო კომპლექსის განათხარში, მაგალითად, მრავლად აღმოჩნდა მოჭიქული ბრტყელი კრამიტები („სამყურა ყვავილის" რელიეფური გამოსახულებით შემკული), ამნაირივე ღარისებური კრამიტი და სხვადასხვაგვარი შორენკეცული დეტალები, რომლებსაც ხშირად მოთეთრო ფაქიზი კეცი აქვთ. მოჭიქული კრამიტით იყო, მაგალითად, დახურული თბილისის „ლურჯი მონასტერი", რომელიც თამარის ხანაში ააგეს[77]. ჩვენამდე შემორჩენილი ერთი ცნობით, საქართველოს მეფის სასახლე მოპირკეთებული იყო ყვითელი და ნაცრისფერი მარმარილოთი, აგრეთვე ფერადი ქვებით[78]. მოსახლეობის სოციალური შემადგენლობის შესაბამისად თბილისში სხვადასხვა ზომისა და კეთილმოწყობის საცხოვრებლები იდგა.

ფეოდალური არისტოკრატიის წარმომადგენლებს, კერძოდ მეფეებს, აქ კეთილმოწყობილი რეზიდენცია ჰქონდათ. „აბდულმესიანის" ერთ-ერთ სტროფზე დაფუძნებით ივ. ჯავახიშვილმა შეძლო განესაზღვრა გაერთიანებული საქართველოს მეფეთა სასახლის („სრაი") შემადგენელი ნაწილები. სასახლეს გარს ერტყა გალავანი. ნაგებობის წინ იყო „მტილბაღი", ე. ი. ბაღი და დროის გასატარებელი ტევრი, რომელიც უმთავრესად ესთეტიკური სიამოვნებისათვის იყო გაშენებული. აქვე იყო წყაროები და წყლის საცავი. გალავანს ჰქონდა „კართა სტოვანი", ე. ი. სვეტებიან-კამაროვანი შემოსასვლელი. სამეფო ნაგებობათა შორის იყო, აგრეთვე, იპოდრომიც[79]. ამგვარი სურათი აქვს მხედველობაში „სამყაროს საკვირველებათა" ავტორს, რომლის სიტყვებითაც „ქალაქის პირდაპირ",.

---

[76] დაწვრილებით იხ. გ. ლომთათიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 147—150.

[77] გ. ლომთათიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 150—153; მისივე, ფეოდალური ხანის არქეოლოგიური ძეგლები. — წიგნში: საქართველოს არქეოლოგია. თბ., 1959, გვ. 375; ჯ. ჯღამაია. სამშენებლო კერამიკა ფეოდალური ხანის საქართველოში, თბ., 1980, გვ. 40.

[78] ივ. ჯავახიშვილი, მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის. I. მშენებლობის ხელოვნება ძველ საქართველოში, თბ., 1946, გვ. 135.

[79] იქვე. გვ. 67—69.

ე. ი. ისანში, „კეთილმოწყობილი ციხეა. მეფეთა სასახლეები ციხეშია აგებული“[80].

ყოველივე ზემოაღნიშნულთან შედარებით კონტრასტს წარმოადგენდა თბილისური ღარიბთა უბნები. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ შუა საუკუნეების მთელ სიგრძეზე ამ მხრივ სურათი თითქმის უცვლელი უნდა ყოფილიყო, მაშინ შესაძლებელია წარმოვიდგინოთ, რომ ღარიბთა უბნებში საცხოვრებელი ბინები ერთმანეთთან მიჯრილი და უგეგმოდ განლაგებულ-აშენებული იყო.

არქეოლოგიური მონაცემებით ხერხდება იმის წარმოდგენაც, რომ თბილისელთა სახლებს ჰქონდათ ცალკე კუთხე — სამზარეულო. აქ მოთავსებული იყო ფილაქანდაგებული კერია, სადაც საჭიროების დროს ცეცხლს ანთებდნენ. სამზარეულოსთანვე იყო თორნეც. ამ ტიპის სათავსოები გამოვლენილ იქნა კერამიკული სახელოსნოების გათხრისას. ჩანს, ამ სამზარეულოში მეთუნეთა ამქარი იმზადებდა საქმელს[81].

ჩვენამდე შემონახული მწირი ცნობებითვე შეგვიძლია წარმოდგენა ვიქონიოთ თბილისელთა ბინების შინაგანი მორთულობის შესახებ. არქეოლოგიური მასალით ჩანს, მაგალითად, რომ თბილისში მრავლად ამზადებდნენ თიხის ჭრაქებს[82]. მათ უეჭველია მოქალაქენი იყენებდნენ ბინის გასანათებლად. ისედაც ივარაუდება, რომ ყოველდღიურ ყოფაში საშუალო და დაბალი ფენებისათვის სანთელი იშვიათი მოსახმარი იქნებოდა მისი სიძვირის გამო.

კერამიკული საწარმოს გათხრისას, მაგალითად, მრავლად აღმოჩნდა საოჯახო თიხის ჭურჭელი: სამარილეები, დერგები, საწვნეები, კოკბები, დოქები, ჯამები და სხვა. ცხადია, ამ ნივთების გარკვეული ნაწილი საკუთრივ თბილისის მცხოვრებთათვის იყო დამზადებული, მათ თითონვე ხმარობდნენ. აღნიშნული ინვენტარის ერთ ნაწილს იყენებდნენ საჭმლის მოსახარშად (მაგალითად, კოკბები), ხოლო სამარილეებს, საწვნეებს, ფიალებს, ჯამებს, დოქებს — სუფრაზე მოსახმარად. დერგები კი გამოყენებული იყო ხორცეული, თუ დიდხანს შესანახი პროდუქტებისათვის.

თავისთავად უნდა ვივარაუდოთ, რომ თბილისელთა ჭურჭელი ლითონისა (მაგალითად, სპილენძი) და ხისგანაც იყო დამზადებული, მაგრამ მათი ნიმუშები ჩვენამდე არაა შემორჩენილი. ჭურჭელი მინისაგანაც უმზადებიათ, რასაც მოწმობს მათი აღმოჩენა კერამიკული საწარმოს უბან-

---

[80] „სამყაროს საკვირველებათა“ ცნობები..., გვ. 28.

[81] გ. ლ ო მ თ ა თ ი ძ ე, არქეოლოგიური გათხრა თბილისში 1948 წლის ზამთარში, თბ., გვ. 135—136.

[82] იქვე, გვ. 133,136.

ში. ეს გარემოება არქეოლოგებს აფიქრებინებს, რომ მინას ალბათ იქვე აწარმოებდნენ[83].

სასმელ წყალს თბილისელები იღებდნენ უმთავრესად წყაროებიდან, ჭებიდან და მდ. მტკვრიდან, რომლის წყალსაც სარწყავადაც იყენებდნენ.

XI—XII სს. თბილისელთა საკვები რაციონი საკმაოდ მრავალფეროვანი უნდა ყოფილიყო. ერთ-ერთ მთავარ საკვებს აქ პური წარმოადგენდა. პურეულს თბილისის მრავალრიცხოვან წისქვილებში ფქვავდნენ, პურს თორნეში აცხობდნენ. თბილისელთა რაციონის შემადგენლობაში შედიოდა, აგრეთვე, ღვინო, რომელსაც უმთავრესად ქრისტიანული მოსახლეობა მოიხმარდა.

ქალაქელთა რაციონის შემადგენელი ნაწილი იყო ხორცი. აქ ქრისტიანებს ჰყავდათ ღორები. მაჰმადიანთა უბნებსა და ოჯახებში, აგრეთვე ებრაელებში, ღორს ზიზღით უცქეროდნენ. დავით აღმაშენებელმა, მაგალითად, ბრძანებაც კი გამოსცა, რომ მუსულმანთა დასახლებებში ქრისტიანებს ღორები არა ჰყოლოდათ და არც დაეკლათ. თბილისელთა რაციონში შედიოდა, აგრეთვე, ცხვრის და საქონლის ხორცი, ფრინველი და სხვა[84]. თბილისელთა სუფრას მრავლად ამშვენებდა თევზი, რომელსაც მტკვარზე იჭერდნენ, თაფლი, სხვადასხვა ხილეული და ა. შ.[85]

პურობისას სუფრაზე ხმარობდნენ ლანგრებს, ჯამებს, ხელადებსა და ჭიქებს. მარილი სამარილეებით ედგათ ხოლმე. ეს ჭურჭელი იყო როგორც თიხის, ასევე მინისა... აღსანიშნავია, რომ თბილისელი ჭურჭლის მომხმარებელი (და ის, ვინც ამ ჭურჭელს ამზადებდა) დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა მის ესთეტიკურ მხარესაც: „ჭურჭლის მოყვანილობა-პროპორციებშიც, ჭიქურის ფერებსა და ელფერშიც, მრავალფერად შეხამებაში, მოხატულობასა და ორნამენტშიც ჩანს დახვეწილი გემოვნება, ხალისიანი და კარგი ფანტაზია. ესეც უნდა მივიჩნიოთ ერთ-ერთ მკაფიო, ნივთიერ გამოხატულებად ყოველმხრივი კულტურული აღმავლობისა, რომელსაც საქართველო იმ ხანებში განიცდიდა ძველისძველი ტრადიციების განვითარება-გამდიდრების გზით. ეს მით უმეტეს საცნაურია, რომ, შედარებით მცირერიცხოვანი ფაიანსისა და ლუსტრიანი ნაწარმოების გამოკლებით, სახელოსნოს ნანგრევთა შორის აღმოჩენილი მოჭიქული წითელკეციანი კერამიკა წარმოადგენს ჩვეულებრივ საოჯახო ჭურ-

---

[83] გ. ლ ო მ თ ა თ ი ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 195.

[84] იქვე. გვ. 136, 142.

[85] „სამყაროს საკვირველებათა“ ავტორი თბილისში გასაყიდ საქონელში ასახელებს თაფლს, მოხალულ ტაბილეულს, ბროწეულს (იქვე, გვ. 29).

ჭელს, უბრალო მოხმარებისათვის განკუთვნილსა და ადვილად მისაწვდომს"[86].

საინტერესოა, რომ ერთ-ერთ დოქს სათანადო მინაწერიც კი ახლავს სპარსულ ენაზე. ესაა სიტყვები ომარ ხაიამისა, რომელიც თავის ლექსებში ხშირად ახსენებს ხოლმე ღვინოსა და დოქს[87].

ჩვენ თითქმის არ ვიცით რა წესით სრულდებოდა პურობის ცერემონიალი. დარბაზობის ჟამს უცხოელებსაც ხვდებოდნენ, ზეიმობდნენ და პურობდნენ.

კოლექტიურად პურობდნენ აგრეთვე სახელოსნოებშიც, სადაც ან შესვენება-სადილობისას, ან საქმესთან დაკავშირებით იკრიბებოდნენ[88].

პურობას ჩვეულებისამებრ ღვინის სმაც ახლდა ხოლმე. ღვინის მოხმარების შესახებ სათანადო წარმოდგენას გვიქმნის საღვინე ჭურჭლის მრავლად აღმოჩენა თბილისში. ჩანს, იმ ხანებში მიაჩნდათ, რომ ზედმეტი ღვინის სმა, რასაც სიმთვრალე და გონების დაკარგვა მოსდევდა, საუგო საქციელი იყო. ჟამთააღმწერელი გვამცნობს, რომ ერთ-ერთი მსმურობის დროს რინდებმა სიმთვრალეში მეფე ლაშა გიორგიც კი სცემეს[89]. აშკარაა, რომ ამ ფაქტის, კერძოდ, სიმთვრალის მიმართ, ქართველი ისტორიკოსი, ფეოდალური ზნეობის მოტრფიალე, უარყოფითადაა განწყობილი.

XI—XII სს. თბილისელთა ჩაცმულობა მათი სოციალური და ეთნოკონფესიური კუთვნილების მიხედვით სხვადასხვანაირი იყო. უნდა ვივარაუდოთ, რომ თბილისში თავს იყრიდა იმ დროს ცნობილი ყველა მოდა. მეფეებს ამ ხანებში ეცვათ სამეფო ბისონი, რომელიც ძვირფასი ნაჭრისაგან იყო შეკერილი. ბისონის შუაგული თავიდან ბოლომდე ძვირფასი ქსოვილით — დიადემით იყო შემკული. ბისონის ქვევით მეფეები იცვამდნენ პერანგის მსგავს ტანსაცმელს — პოდრს, რომელსაც ქართულად ფესვედი სამოსელი ერქვა. ფეხსაცმელს მეფეები წითელი ტყავისას ატარებდნენ და მას „ტარსიკონს" ეძახდნენ[90].

ამ ეპოქის დედოფალთა ტანისამოსი უფრო გრძელი იყო. მათაც ბისონები ეცვათ, მაგრამ საკმაოდ გრძელი, ისე, რომ კოპებიც არ უჩანდათ[91]. დედოფლის ტანსაცმლის დეტალია მანდილი. მათ საყურეებიც

---

[86] გ. ლომთათიძე, შუა ფეოდალური ხანის ძეგლები. — წიგნში: საქართველოს არქეოლოგია, თბ., 1959, გვ. 374.

[87] გ. ლომთათიძე, არქეოლოგიური გათხრა თბილისში 1948 წლის ზამთარში, გვ. 154.

[88] იქვე, გვ. 142.

[89] ქართლის ცხოვრება, II, გვ. 155.

[90] ივ. ჯავახიშვილი, მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, III, ტანისამოსი, ქსოვილები და ხელსაქმე, თბ., 1962, გვ. 37—38.

[91] იქვე, გვ. 39; ნ. ჩოფიკაშვილი. ქართული კოსტიუმი (VI—XIV სს.), თბ., 1964.

ეკეთათ. დედოფლისა და საერთოდ ქალის თავსაბურავის კუთვნილებას რიდეც შეადგენდა[92].

თავთავისი წრეებისათვის შესაფერისი ტანსაცმლით იმოსებოდნენ ქართველი დიდებულები, მოხელეები, სამხედრო წრეების წარმომადგენლები, ვაჭრები, სამღვდელოება და სხვა. ძველი ქართული ტანსაცმლის ისტორიისადმი მიძღვნილ შრომებში ამ წრის შესამოსელი სათანადოდაა ილუსტრირებული[93].

სამკაულებიდან გავრცელებული იყო ბეჭდები, საყურეები, მინის სამაჯურები და სხვ.[94]

XI—XII სს. თბილისელებს სხვადასხვა სატრანსპორტო საშუალებები ჰქონდათ, მაგ.: ცხენი, ურემი. მდ. მტკვარზე დინების მიმართულებით ტივებსაც იყენებდნენ საქონლის გადასაზიდად.

ყველაზე საპატიო სატრანსპორტო საშუალებად ხმელეთზე ცხენი ითვლებოდა. სწორედ ცხენებზე ამხედრებული შეეგებნენ თბილისის მოქალაქეები ბაგრატ IV-ს, როცა იგი ქალაქში შეიყვანეს. კარგი ცხენი ძველ საქართველოში სიმდიდრისა და სიქველის ნიშნად ითვლებოდა. ომში ცხენის ნადავლად წამოყვანა სარფიანი და სასახელო საქმე იყო[95]. შედარებით იაფი, მაგრამ სატრანსპორტოდ გამოსაყენებელი საიმედო ცხოველი იყო სახედარიც.

ყველა ქალაქს თავისი საყვარელი თავშეყრის ადგილი ჰქონდა. თბილისელებისათვის ერთ-ერთი ასეთი ადგილი იყო აბანოები, სადაც მოქალაქეებს საშუალება ჰქონდათ თავისუფალ დროს ერთმანეთს შეხვედროდნენ. აბანოში შეკრებილები ხშირად პურობდნენ, ლიტერატურულ საკითხებზე მსჯელობდნენ, საქმიან გარიგებებს ახდენდნენ და ა. შ. XI—XII სს. თბილისის ზოგი აბანო საზოგადო იყო და უფასოც. ზოგ აბანოში შესვლის უფლება კი მხოლოდ ცალკეულ წარჩინებულ პირებს ჰქონდათ[96].

დიდი თავშეყრის ადგილები იყო თბილისში ეკლესიები და მეჩეთებიც. საქართველოს სამეფო კარის მიერ გატარებული რჯულშემწყნარებლური პოლიტიკის პირობებში აქაურ უცხო სარწმუნოების მიმდევრებს არავითარი შეზღუდვა და დევნა არ ჰქონდათ დაწესებული.

---

[92] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 39.

[93] იქვე, გვ. 37—50.

[94] გ. ლ ო მ თ ა თ ი ძ ე. არქეოლოგიური გათხრა თბილისში 1948 წლის ზამთარში, გვ. 134.

[95] ქართლის ცხოვრება, II, გვ. 69.

[96] ალ-ფარიკის ცნობით, მაგალითად, დავით აღმაშენებელს განუწესებია, რომ ისმაილის აბანოში არამუსლიმანებს არა ჰქონდათ შესვლის უფლება (ვ. ფ უ თ უ რ ი ძ ე, არაბი ავტორი XII ს. თბილისის შესახებ, — ენიმკის მოამბე, ტ. XIII, 1942, გვ. 139—143.

ქრისტიანულ ტრადიციებს თბილისელები იცავდნენ; მრავლად დაიარებოდნენ თავიანთ ეკლესიებში იმ დროსაც, როცა ქალაქი ჯერ კიდევ მუსლიმანებს ეკავათ. მათ ამ დროს ჰქონდათ თავიანთი ყველაზე განთქმული ეკლესია, რომელსაც, ალ-ჰუსეინის სიტყვებით, ისეთივე მნიშვნელობა ჰქონდა აქაური ქრისტიანებისათვის, როგორც ქააბას მუსლიმანებისათვის[97]. ამ ცნობაში სიონი უნდა იგულისხმებოდეს.

1122 წლის შემდგომ თბილისელები დიდი მასშტაბით აღნიშნავდნენ ქრისტიანულ დღესასწაულებს. ასეთ დღეებში თბილისის ეკლესიებში დიდი თავყრილობა იმართებოდა. მათ აქ ზარების რეკვით მოუხმობდნენ... (ამ დღესასწაულებზე იხ. ქვევით).

სხვა ქალაქების მსგავსად, თბილისს ჰქონდა თავისი მწუხარებისა და სიხარულის დღეები. მძიმე იყო თბილისისათვის ეპიდემიები და შიმშილობები, რომლებიც ზოგჯერ სტიქიური უბედურების მსგავსად თავს დაატყდებოდა ხოლმე ქალაქს. 1037 წ. სასტიკი შიმშილი დაიწყო ისანში. ბაგრატ IV-ის მიერ მისი გარემოცვის დროს, ისანში, სადაც ამირათა სახლი და მათი მომხრეები იმყოფებოდნენ, შეწყდა სურსათის მოწოდება, რის გამო ისე დაიმშნენ, რომ ვირის ხორცის ჭამაც კი დაიწყეს, ისიც იმ დროისათვის უჩვეულოდ ძვირად — ლიტრა ხუთას დრამად იყიდებოდა[98].

თბილისს ჰქონდა თავისი საზეიმო დღეებიც. ასეთ მუდმივად დაწესებულ დღეებს, რა თქმა უნდა, წარმოადგენდნენ რელიგიური დღესასწაულები; ქრისტიანთათვის — შობა, აღდგომა და სხვა დღესასწაულები. დიდი ზეიმი და დღესასწაულები ეწყობოდა ქალაქში ამა თუ იმ საბედნიერო მოვლენასთან დაკავშირებით. როგორც ზემოთაც ითქვა, ასეთი ზეიმი მოაწყვეს, მაგალითად, თბილელმა მოქალაქეებმა 1045 წ. ბაგრატ IV-ის ქალაქში შემოყვანის დროს. სადღესასწაულოდ ჩაცმული მოქალაქეები მეფეს ქალაქგარეთ შეეგებნენ. მტკვრის ორსავე ნაპირზე ისმოდა საკრავების ხმა. ქალაქში შესულ მეფეს თავზე აყრიდნენ ოქროს ფულებსა და ძვირფასეულობას. შემდეგ მეფე საამირო დარბაზში შეიყვანეს და სათათბიროდ დააბრძანეს[99].

დიდი საზეიმო მოვლენა იყო მეფის ქორწილის დღეც. ვიცით, რომ თამარმა და დავით სოსლანმა ქორწილი, ზეიმი და პურობა დიდუბეში, ე. ი. ქალაქის სანახებში გადაიხადეს. ეს ალბათ იმიტომ, რომ ზეიმზე დასწრების მსურველი ბევრი იყო და საკუთრივ თბილისის გალავნის შიგნით მათი დატევა ვერ მოხერხდებოდა. ქორწილს თუ პუ-

---

[97] ნ. შ ე ნ გ ე ლ ი ა , სადრ ად-დინ ჰუსეინ ალფ-არსლანის საქართველოში და ამიერკავკასიის ქვეყნებში ლაშქრობების შესახებ, გვ. 193.

[98] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 297.

[99] იქვე, გვ. 299.

რობას ხომ გართობა და სპორტულ-სამხედრო შეჯიბრებები უნდა მოჰყოლოდა[100].

დიდ საზეიმო ვითარებაში ეწყობოდა ხოლმე თბილისიდან საქართველოს სახელმწიფო ლაშქრის გამგზავრება. ასევე ხდებოდა გამარჯვებული ლაშქრის დაბრუნების დროსაც. 1195 წ. შამქორის ბრძოლიდან მობრუნებულ ქართველთა ლაშქარს თან მოჰყავდა ცხენები, ჯორები და აქლემები. ქალაქგარეთ მათი სიმრავლით ტევა აღარ იყო. თან მოჰყავდათ დიდი რაოდენობით ტყვეები, რომლებსაც ქალაქში მეტისმეტად იაფად ყიდდნენ[101]. „დიდი მოკაზმულობით" მორთეს თბილისი მოქალაქეებმა 1203 წ. ბასიანის ომიდან დაბრუნებულ ქართველთა მხედრობის შეხვედრისას[102].

გამარჯვებებთან დაკავშირებული ზეიმები საქართველოს და კერძოდ თბილისის მცხოვრებლებზე დიდ ფსიქოლოგიურ ზეგავლენას ახდენდა, განამტკიცებდა მათში საკუთარი სახელმწიფოს უძლეველობის რწმენას.

---

[100] „დედოფალი რუსუდან ყოვლითა სიბრძნითა საესე მოქმედებდა: აქათ ბაგრატოანი ბაგრატოანითა გუარ-ზეობითა აწყობდა რიგთა სახლისათა, და ქუემოთ ხუარასნისა და ერაყისა სულტანთა სძლობითა გამეცნიერებული, მუნებრივითა სახიობითა და შუებითა მოქმედებდა... იყო ზმა მგოსანთა და მუშაითთა, სახიობათა მჭურეტელნი იყო რაზმთა სიმრავლე და სრულ-ქმნა ამასა შინა". ქართლის ცხოვრება, II, გვ. 47.

[101] ქართლის ცხოვრება, II გვ. 128.

[102] იქვე, გვ. 140.

VI

თბილისი უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლის პერიოდში (XIII—XV სს.)

თბილისი 1221—1231 წლებში

მონღოლთა პირველი გამოჩენა საქართველოში

XIII საუკუნის დასაწყისში ცენტრალურ აზიაში ჩინგიზ ხანის მეთაურობით ჩამოყალიბდა მონღოლთა სამხედრო ადრეფეოდალური სახელმწიფო, რომელიც თავიდანვე სხვა ქვეყნების დაპყრობის გზას დაადგა. მონღოლ ფეოდალთა დაპყრობითმა ომებმა უდიდესი უბედურება მოუტანეს ხალხებს. მათი პირველი დაპყრობების თანამედროვე არაბი ისტორიკოსის იბნ ალ-ასირის (1160—1234 წწ.) სიტყვით, კაცობრიობას სამყაროს შექმნის დროიდან დღემდე ასეთი საშინელება არ განუცდია[1]. იმავე და შემდგომი დროის სხვადასხვა ეროვნების თითქმის ყველა ისტორიკოსი ერთსულოვნად ადასტურებს დამპყრობელთა ველური ხოცვა-ყლეტისა და აყვავებული ქალაქებისა და სოფლების განადგურების ფაქტებს. ომები, რომლებმაც სათავე დაუდო აზიისა და ევროპის ქვეყნების საწარმოო ძალთა განადგურებას, მონღოლ ფეოდალთა გამდიდრების მიზნით წარმოებდა და მას შვება არ მოუტანია თვით მშრომელი მონღოლი ხალხისათვის.

მონღოლთა პირველი ლაშქრობები მიმართული იყო მათი მეზობლების — ყირგიზებისა და ბურიატების (სამხრეთ ციმბირში), ტანგუტების (გობის უდაბნოს სამხრეთ ნაწილში), უიღურების (ტანგუტთა სახელმწიფოს დასავლეთით) და სხვა ხალხებისა თუ ტომების წინააღმდეგ. 1211—1215 წწ. ჩინგიზ ხანმა ჩრდილოეთ ჩინეთი დაიპყრო, 1219 წ. მონღოლები შეიჭრნენ ხორეზმის სახელმწიფოში, რომელიც შუა აზიის უდიდეს ნაწილს, თანამედროვე ავღანეთსა და ირანს მოიცავდა. ხორეზმშაჰ მუჰამედმა მტერს ორგანიზებული წინააღმდეგობა ვერ გაუწია და შეეცადა გაქცევით ეშველა თავისთვის.

---

[1] რ. კიკნაძე, მონღოლთა შემოსევები. — წიგნში: ნარკვევები მახლობელი აღმ. ისტორიიდან, თბ., 1950, გვ. 164; Всемирная История, т. III, М., с. 519; ბ. სილაგაძე, XII—XIII სს. საქართველოს ისტორიის ზოგიერთი საკითხი იბნ ალ-ასირის ცნობათა შუქზე. — წიგნში: საქართველო რუსთაველის ხანაში, თბ., 1966, გვ. 129—130.

1220 წ. ზაფხულში, როცა მონღოლებს ქ. სამარყანდისათვის ალყა ჰქონდათ შემორტყმული, ჩინგიზ ხანმა ირანისკენ გაქცეულ მუჰამედს დაადევნა თავისი რაზმები გამოცდილი სარდლების ჯებესა და სუბედეის მეთაურობით. მათ დავალებული ჰქონდათ ხორეზმ შაჰის შეპყრობა და შემდეგისათვის დასაპყრობი ქვეყნებისა და ხალხების გაცნობა-დაზვერვა. ჯებესა და სუბედეის რაზმები 1221/22 წწ. ორჯერ თუ სამჯერ შემოსულან საქართველოში, რომლის სახელმწიფო საზღვარი მაშინ სამხრეთ-აღმოსავლეთით მდ. არეზს გასდევდა. ამ ბრძოლებში ლაშა გიორგის (1207—1223 წწ.) ლაშქარი დამარცხდა, მაგრამ მონღოლები ამიერკავკასიას გაეცალნენ და კალკასთან ბრძოლის (1223 წ. მაისი) შემდეგ უკან დაბრუნდნენ ჩინგიზ ხანთან.

თბილისის აღება ჯალალ ედ-დინის მიერ (1225—1231 წწ.)

ხორეზმ შაჰ მუჰამედის გარდაცვალების შემდეგ მონღოლთა წინააღმდეგ ბრძოლას სათავეში ჩაუდგა მისი შვილი ჯალალ ედ-დინ სულთანი.

ჯალალ ედ-დინი შეეცადა აღედგინა ხორეზმ შაჰების სახელმწიფო. მან მოახერხა აზერბაიჯანის დაპყრობა. 1225 წლის ივლისში სულთანმა რუმის[2], შამის[3] და ეგვიპტის მმართველებს წერილები გაუგზავნა, რომლითაც ატყობინებდა, რომ დაიმორჩილა აზერბაიჯანი, გაათავისუფლა ეს ოლქები ქართველების ბრჭყალებისაგან და ახლა ემზადება ქართველებზე სალაშქროდ[4]. ჯალალ ედ-დინის მიზანი იყო შეეკრა კავშირი მეზობელი ქვეყნების მმართველებთან და ამით გაეადვილებინა საქართველოს დაპყრობა. თავრიზიდან სულთანი თბილისისაკენ გაემართა. იმავე 1225 წ. ზაფხულში ხორეზმელები საქართველოს სამეფოს ფარგლებში შემოვიდნენ და შეუბრალებელი ხოცვა-ჟლეტა და ძარცვა-რბევა დაიწყეს დვინის მხარეში. რუსუდან მეფემ (1223—1245 წწ.) საქართველოს ჯარის მთავარსარდლად ივანე ათაბაგი დანიშნა და სულთნის წინააღმდეგ გაგზავნა. ბრძოლა მოხდა გარნისთან. სასტიკ ბრძოლაში საქართველოს ლაშქარი დამარცხდა[5]. ამის შემდეგ ჯალალ ედ-დინმა ქ. დვინი

---

[2] რუმის ანუ იკონიის (კონიის) სასულთნო მცირე აზიაში თანამედროვე თურქეთის ცენტრალურ ნაწილში.

[3] შამი — სირია.

[4] Шихаб ад-Дин Мухаммед ан-Насави, Жизнеописание султана Джалал ад-Дина Манкуберны. Перевод с арабского, предисловие, комментарии, примечания и указатели З. М. Буниятова, Баку, 1973 (შემდეგში: ან-ნასავი). გვ. 154—155 და 47-ე თავის შენიშვნა 2 (გვ. 357—360).

[5] ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. II, 1982, გვ. 8—10.

აიღო. ახლა მისი მთავარი საზრუნავი იყო თბილისის აღება. ამ დროს თავრიზიდან მოუვიდა ცნობა მის წინააღმდეგ აჯანყების მზადების თაობაზე, რის გამოც იძულებული გახდა უკან გაბრუნებულიყო. წასვლის წინ სულთანმა საქართველოში დატოვა თავისი ლაშქრის დიდი ნაწილი და დაავალა ძირფესვიანად დაერბიათ ყველაფერი. სამი თვის განმავლობაში მტრის ლაშქარმა განუწყვეტელი თავდასხმებით სრულ განადგურებამდე მიიყვანა მდიდარი და აყვავებული მხარე. მტერმა ბევრი ტყვე იგდო ხელთ. მათი სიმრავლის გამო ტყვე ისე გაიაფდა, რომ ტყვე 2 ან 3 დინარად[6] იყიდებოდა[7].

1225 წ. მიწურულს ჯალალ ედ-დინმა თავრიზიდან საქართველოში გაგზავნა მრავალრიცხოვანი ცხენოსანი და ქვეითი ლაშქარი, მალე თვითონაც აქეთკენ წამოვიდა და დვინში, რომელიც საქართველოს სასაზღვრო მხარე იყო, შეუერთდა თავის ლაშქარს. სომხური ოლქების მოოხრების შემდეგ 1226 წ. იანვარში სულთანი პირდაპირ ჩრდილოეთით გაემართა, ბამბაკის ხეობის გადასასვლელებთან დაამარცხა ქართველები და ლორესა და გაგის ველების გავლით თბილისისაკენ წავიდა. ქართველები ბრძოლას არ წყვეტდნენ და დიდ ზიანს აყენებდნენ მტერს[8].

რუსუდან მეფემ, როგორც კი გაიგო „მოსლვა სულტნისა, აიყარა და წარვიდა ქუთათისს, ხოლო ტფილისს მცველად დაუტოვა ლაშქარი და თავად (ე. ი. მეთაურად) ორნი ძმანი ბოცოს ძენი, მემნა და ბოცო“[9]. სულთანმა პირდაპირი იერიშით თბილისზე მისვლა ვერ გაბედა და ქალაქის მახლობლად დაიბანაკა. მტერი დიდი სიფრთხილით მოქმედებდა. ჯალალ ედ-დინმა თვითონ იკისრა ქალაქის დაზვერვა. სულთანი დარწმუნდა, რომ თბილისი კარგად გამაგრებული იყო — მისი კედლები უფრო მეტად მთებზე და მაღლობებზე იყო გაშენებული[10], ამიტომ გააძლიერა ქალაქის ალყა და 8 მარტს შეტევაზე გადავიდა. მაშინ „მცველნი ქალაქისანი აღიჭურნეს და იქმნა ძლიერი ბრძოლა და ბრწყინვალე ძლევა აჩუენეს ქართველთა“[11]. მტრის პირველი შეტევა უშედეგოდ დამთავრდა. ქალაქის მცველებთან ერთად მამაცურად იბრძოდნენ მოსახლეობის დაბალი ფენები, მაგრამ ღალატის გამო ქალაქი დამარცხდა. აი, რას ამბობს ამის თაობაზე ჩვენს ისტორიოგრაფიაში ჟამთაღმწერლის სახელით ცნობილი XIV ს. ქართველი ანონიმი ისტორიკოსი: „მას ღამესა

---

[6] დინარი — არაბული ოქროს მონეტა.

[7] ა ნ-ნ ა ს ა ვ ი, გვ. 160—161.

[8] ჯუვეინის ცნობები საქართველოს შესახებ, რ. კიკნაძის გამოც., 1974, გვ. 28—32; ო. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 10; საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. III, 1979, გვ. 541.

[9] ქართლის ცხოვრება, II, გვ. 174.

[10] ა ნ - ნ ა ს ა ვ ი, გვ. 167.

[11] ქართლის ცხოვრება, II, გვ. 174.

სპარსთა ტფილელთა (ე. ი. თბილისელმა მუსლიმანებმა) მიუვლინეს კაცი სულტანსა ჯალალდინს შიგნიდაღმა მიცემად ქალაქისა, რათა კართა, რომელთა სპარსნი სცვიდეს, განუხუნეს და შიგნით ბრძოლა უყვეს"[12] — ე. ი. შიგნით ქართველებს შეევბრძოლებით და ქალაქის კარებს გაგიღებთო. ამით გამხნევებულმა სულთანმა 9 მარტს განთიადისას შეტევა განაახლა. ქალაქის მცველები, რომლებმაც ღალატის შესახებ არაფერი იცოდნენ, გამოსასვლელად ემზადებოდნენ. ამ დროს, როცა მემნა ბოცოს ძე განძის კართან[13] გამოსვლას აპირებდა და ის იყო მუზარადი უნდა დაეხურა, ვიღაც მაჰმადიანმა „აფთითა (ბრტყელი და ტარგრძელი მახვილი) ძლიერ დაუხეთქა უმუზარადოსა თავსა, განუპო და მყის დაეცა და მოკუდა და იქმნა შინა ომი". გარედან ხვარაზმელნი უტევდნენ. „განუხუნეს კარნი სპარსთა ტფილელთა" და მტერი ქალაქში შევიდა. ქალაქის მცველები ისანში გადავიდნენ და განაგრძობდნენ ბრძოლას ბოცო ბოცოს ძის მეთაურობით, რომელმაც „გაამაგრა ისანი და ქმნა ძლიერი ომი"[14]. ბრძოლა დიდხანს გაგრძელდა. ბოლოს რუსუდანმა, დარწმუნებულმა რომ ბრძოლის გაგრძელება შეუძლებელი იყო, ბოცო ჯაყელს კაცნი მიუგზავნა და ისნის დანებება უბრძანა. ამის მიუხედავად, ქალაქის მცველნი ბრძოლას განაგრძობდნენ და მხოლოდ მას შემდეგ, რაც „მრავალგზის მიავლინა დასტური მეფემან დატევებად ქალაქისა, ძალით დაარწმუნა მეფემან ბოცოს წასვლა"[15].

როგორც ვხედავთ, თბილისის აღება ჯალალ ედ-დინმა ქალაქის მაჰმადიანთა ხელისშეწყობით მოახერხა. ქართველი ჟამთააღმწერელის ამ ცნობას ადასტურებენ უცხოელი ისტორიკოსებიც. ამ ამბების თანამედროვე სომეხი ისტორიკოსი კირაკოს განძაკეცი წერს, რომ თბილისში მყოფმა მუსლიმანებმა ხელი შეუწყვეს ჯალალ ედ-დინს ქალაქის აღებაში[16]. მიქაელ ასურის ქრონიკის გამგრძელებლის სიტყვით: „მოვიდნენ ხვარაზმელები და ალყა შემოარტყეს ქართველთა დიდ ქალაქს ტფილისს. სპარსელებმა (ე. ი. მაჰმადიანებმა), რომლებიც ქალაქში იყვნენ, ქალაქი ხვარაზმელებს გადასცეს, ხვარაზმელებმა კი აღუთქვეს, რომ მშვიდობით დატოვებდნენ მათ თავიანთი ქონებითურთ"[17]. იბნ ალ-ასირის ნაშრომიდანაც ჩანს, რომ ღალატს ნამდვილად ჰქონდა ადგილი[18].

---

[12] ქართლის ცხოვრება, II, გვ. 174.

[13] განძისკარი — თბილისის გალავნის სამხრეთის კარი, საიდანაც მიემართებოდა გზა ქ. განჯისაკენ.

[14] იქვე, გვ. 174—175.

[15] იქვე, გვ. 177.

[16] Киракос Гандзакеци, История Армении. Перевод с древнеармянского, предисловие и комментарии Л. А. Хантларян, М., 1976, с. 149—150.

[17] ვ. ს. ნალბანდიანი, თბილისი ძველ სომხურ მწერლობაში, თბ., 1959, გვ. 91.

[18] იბნ ალ-ასირი. — ჟურნ. „მოამბე", 1898, №2, გვ. 64.

დამპყრობელთა მოქმედება თბილისში

იმდროინდელ წყაროთა ერთსულოვანი მოწმობით ჯალალ ედ-დინმა თბილისში საშინელი ხოცვა-ჟლეტა, ძარცვა-რბევა და ნგრევა დაატრიალა. ქალაქის აღებისთანავე ხვარაზმელებმა „დახოცეს რაც კი იქ ქართველები იყვნენ. ჯალალ ედ-დინს არ გადაურჩა არც დიდი, არც პატარა, გარდა იმისა, ვინც მაჰმადის სარწმუნოება მიიღო“[19]. თვით სულთნის მდივანი, ან-ნასავი, მისი მაქებ-მადიდებელი, აღნიშნავს, რომ ქალაქში ამოწყვიტეს ყველა ქართველი და სომეხი, ე. ი. ქრისტიანები[20]. კირაკოს განძაკეცის სიტყვით, ჯალალ ედ-დინმა ქალაქის აღებისთანავე „მცხოვრებთაგან მრავალი ამოწყვიტა, უფრო მეტი ნაწილი აიძულა უარეყო ქრისტიანობა და მუსლიმანთა ცრუ და მაცდური მოძღვრება მიეღო... მერმე კი ბრძანება გამოსცა — არ შესულიყვნენ იმის გამოძიებაში, სურთ თუ არა ქრისტიანობის უარყოფა და ძალით ყველა წინადაეცვითათ. ამრიგად, ორი მუსულმანი მოედანზე ხელებს გაუკავებდა ქრისტიანს და მესამე კი მახვილით კვეთდა მამაკაცის ასოს კანს“[21].

მტრის მიერ თბილისში დატრიალებული სიმხეცის საშინელი და შემზარავი სურათია მოცემული ჟამთააღმწერლის თხზულებაში. ის წერს: „ესოდენ მძჯნვარედ იწყეს მოსრვად, ვითარ ჩჩჯლნიცა ძუძუთაგან დედისათა აღიტაცნიან და წინაშე დედისა ქვაზედ დაანარცხიან, და რომელსამე თუალნი წარსცვდიან და რომელსამე ტჯნი დაეთხიის და უკანის (ე. ი. — შემდეგ) დედანი მოიკვლოდიან; ბერნი უწყალოდ ფოლოცთა შინა ცხენთა მიერ დაითრგუნვოდეს, ჭაბუკნი დაეკუეთებოდეს, სისხლისა მდინარენი დიოდეს. ტჯნი კაცთა, დედათა, ბერთა, ჩჩჯლთა თმა და სისხლი, თავი მჯართაგან განშორებული, ნაწლევნი ცხენთა მიერ დათრგუნვილნი ურთიერთას აღრეულ იყო. არა ჰყოფდეს წყალობასა, რამეთუ რომელნიმე დანითა იღლიასა დასობილნი, სხუანი მკერდსა დაცემითა, რომელნიმე მუცელსა და ზურგსა განიგმირებოდეს... ყვირილთა და ზახილთა და ვაებათა საზარელთა ხმათაგან იძვროდა ქალაქი ყოველი, რამეთუ უმრავლესი ერი, ვითა ცხოვარი, შეკრბიან და კუალად ხედვიდეს ზოგნი საყვარელთა შვილთა, ზოგნი ძმჯთა და მამათა, ცოლნი ქმართა და ქმარნი ცოლთა უპატიოდ მკუდარ მდებარეთა, ცხენთა მიერ დათრგუნვილთა და ფოლოცთა შინა ძაღლთა მიერ ზიდულთა, და არცა თუ დაფლვასა მიწასა შინა ღირს ჰყოფდეს“[22].

ხვარაზმელებმა ბარბაროსულად დაანგრიეს ქრისტიანული ეკლესიები

---

[19] იბნ ალ-ასირი, იქვე, გვ. 64.
[20] ან-ნასავი, გვ. 168.
[21] კირაკოს განძაკეცი, დასახ. ნაშრომი, გვ. 150.
[22] ქართლის ცხოვრება, II, გვ. 175—176.

და მათ ადგილზე მუსლიმანთა სამლოცველოები ააგეს[23]. ჯალალ ედ-დინის ბრძანებით, სიონის ეკლესიას გუმბათი მოარღვიეს და მის ადგილზე სულთნისათვის გადასახედი საჯდომი მოაწყვეს. ქრისტესა და ღვთისმშობლის ხატები მეტეხის ხიდის შესავალზე პირაღმა დააწყვეს, მოსახლეობა ხიდთან მირეკეს და უბრძანეს ქრისტიანთა სალოცავი ხატები ფეხით დაეთრგუნათ და ისე გასულიყვნენ ხიდზე, წინააღმდეგ შემთხვევაში თავს ჭრიდნენ და მტკვარში აგდებდნენ. ქრისტიანთა უმრავლესობა არ დაემორჩილა მტერს და წამების გვირგვინი მიიღო. ჟამთააღმწერლის სიტყვით, თბილისში მოკლულთა რიცხვმა 100 ათასს მიაღწია[24]. როგორც სამართლიანად შენიშნავს აკად. ივ. ჯავახიშვილი, „თბილისში ჯალალ ედ-დინის მტარვალობის დროს დახოცილთა ზემოთ მოყვანილი რიცხვი თუნდაც მოჭარბებულად გვეჩვენოს, მაინც ამ დედაქალაქის დიდი მოსახლეობის საშინელი განადგურების ასე თუ ისე გამომხატველად შეიძლება მივიჩნიოთ“[25]. ჯუვეინის სიტყვით, ჯალალ ედ-დინმა „ყოველი სოფელი თუ ციხე თბილისის მიდამოებში, რომლებიც ეშმაკის მიმდევრებით (ე. ი. ქრისტიანებით) იყო სავსე, მოსთხარა და მის ამალას უსაზღვრო და უზომო ნადავლი ერგო“[26].

1122 წლიდან, როდესაც თბილისი საქართველოს ფეოდალური მონარქიის დედაქალაქი გახდა, მას არ განუცდია მტრის შემოსევა და ქვეყნის საერთო ეკონომიკურ აღმავლობასთან ერთად წინ მიდიოდა, იზრდებოდა, მდიდრდებოდა და ძლიერდებოდა. ხალხის შრომით შექმნილი მთელი ეს სიმდიდრე მტერს ჩაუვარდა ხელში. ან-ნასავის სიტყვით, სულთანმა მიიღო ყველაფერი ის, რაც თბილისში საუკუნეთა მანძილზე იყო შექმნილი. ყველა ამ სიმდიდრის აღნუსხვას ვერ შეძლებდა ყველაზე უფრო დახელოვნებული და მცოდნე კაციც კი. მისი სრული სიის შესადგენად ქალალდის ფურცელთა დასტების ბორცვი არ კმაროდაო[27]. აღსანიშნავია, რომ სიმდიდრეს დახარბებულ ხვარაზმელებისაგან „ბევრი ზარალი ნახეს თბილელმა მუსლიმანებმაც, რადგან ისინიც ვერ გადაურჩნენ ხოცვას და აკლებას“[28].

თბილისის დაპყრობის შემდეგ ხვარაზმელები ხოცვა-ჟლეტითა და ძარცვა-რბევით მოედვნენ „სომხითისა და კამბეჩიანისა და იორის პირთა, ქართლს და თრიალეთს, ჯავახეთსა და არტანს, ზოგი სამცხეს და ტაოს, კარნიფორას და ანისის მიმდგომთა ქუეყანათა“[29].

---

[23] ჯ უ ვ ე ი ნ ი, გვ. 32.
[24] ქართლის ცხოვრება, II, გვ. 178.
[25] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, III, 1966, გვ. 62.
[26] ჯ უ ვ ე ი ნ ი, გვ. 32.
[27] ან-ნ ა ს ა ვ ი, გვ. 168.
[28] ი ბ ნ ალ-ა ს ი რ ი, გვ. 64.
[29] ქართლის ცხოვრება, II, გვ. 178.

ხვარაზმელების მიერ საქართველოს დედაქალაქის აღებას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა მთელ მაშინდელ მახლობელი და შუა აღმოსავლეთისათვის. მაჰმადიანური ქვეყნების ფეოდალთა კლასების აზრი და განწყობილება ამ მოვლენასთან დაკავშირებით კარგად აქვს გადმოცემული იბნ ალ-ასირს. ის წერს: „ამ ქალაქის აღებას, რომელიც დიდად სასახელოა ჯალალ ედ-დინისათვის, საპატიო ადგილი უჭირავს მუსლიმანთა ქვეყნებში და მუსლიმანთა აზრში, რადგანაც ქართველები მეტისმეტად თავხედად გვექცეოდნენ და რაც უნდოდათ იმას გვიშვრებოდნენ. აზერბაიჯანის რომელი ქალაქიც კი უნდოდათ, ფეხქვეშ ჰქონდათ. მათ წინააღმდეგობას ვერავინ ბედავდა, ქალაქის დაფარვა მათგან ვერავის შეეძლო. ასევე ექცეოდნენ არზენ-ერრუმსაც (არზრუმს), ისე რომ ამ ქალაქის მპყრობელი იძულებული გახადეს ქართველთა მეფისაგან ნაწყალობევი ტანისამოსი ჩაეცვა და ქალაქში აეფრიალებინა დროშა, რომლის თავზე ჯვარი იყო აღმართული. მისმა შვილმა ქრისტიანობა იწამა და ქართველთა დედოფალი შეირთო ამ ხალხის შიშით, რათა ამით აეცილებინა თავიდან მათი მტრობა“... შემდეგ ავტორი ამბობს, რომ ქართველები ისე გაძლიერდნენ, რომ რუქნადინიც დაამარცხეს, ძლიერ შეავიწროვეს შირვანის დარუბანდელნი, აიძულეს ხლათელები ქართველებისათვის ეკლესია აეშენებინათ. „ტფილისის ციხე მეტად მაზარალებელი რამ იყო მეზობლებისათვის. სახელდობრ, სპარსელთათვის ისლამის მიღებამდე და მას შემდეგ მუსლიმანთათვის, მუსლიმანთა სარწმუნოების დასაწყისიდან დღემდე. ქართველების წინააღმდეგ ვერავინ გაბედა იმდენი გამბედაობა გამოეჩინა, რამდენიც ჯალალ ედ-დინმა გამოიჩინა თავისი ვაჟკაცობითა და გმირული საქმეებით“[30].

მეორე მხრივ, თბილისის აღება უდიდესი მარცხი იყო საქართველოს სახელმწიფოსათვის. ხვარაზმელთა დაუნდობელმა ველურმა მახვილმა სათავე დაუდო ძლიერი ქვეყნის მზარდი საწარმოო ძალების განადგურებას, მწარმოებელი მოსახლეობის შემცირებას. გარდა ამისა, თბილისის აღებამ „საქართველოს სახელმწიფოს უძლეველობასაც დიდი ზიანი მიაყენა“[31].

ბრძოლა თბილისისათვის 1226 წ.

თბილისის აღების შემდეგ, ცხადია, ქალაქის მმართველობის ქართული სისტემა მოიშალა. ქალაქის ახალი მმართველობა დამპყრობლებმა თავისი ინტერესების შესაბამისად სამხედრო წესზე მოაწყვეს, მაგრამ ქართველი ხალხის განუწყვეტელი ბრძოლის პირობებში ჯალალ ედ-დი-

---

[30] იბნ ალ-ასირი, გვ. 64—66.

[31] ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი...:, ტ. III, გვ. 12.

ნის სამხედრო მმართველობას ნორმალური მუშაობის პირობები არასოდეს არ ჰქონია. თბილისის დაპყრობა სრულებითაც არ ნიშნავდა საქართველოს დაპყრობას. საქართველოს სახელმწიფოს ცენტრმა დროებით ქუთაისში გადაინაცვლა.

ჯალალ ედ-დინმა, როგორც კი დაიპყრო თბილისი, თავისი რაზმები საქართველოს სხვადასხვა კუთხეს მიუსია. 1226 წ. ივნისში მან ქერმანიდან[32] მიიღო ცნობა მის წინააღმდეგ დაწყებული აჯანყების თაობაზე. სულთანმა თბილისში თავისი ვეზირი შარაფ ალ-მულკი დატოვა ქართველების წინააღმდეგ მებრძოლი რაზმების ხელმძღვანელად და თვითონ სასწრაფოდ ქერმანისაკენ გაემგზავრა, მაგრამ აჯანყებულთა წინააღმდეგ ვერაფერი გააწყო და იმავე წლის სექტემბერში კვლავ თბილისში დაბრუნდა[33]. თბილისში სულთნის არ ყოფნის დროს (1226 წ. ივნისი — აგვისტო) დამპყრობლები სამშობლოს თავისუფლებისათვის მებრძოლმა ქართველებმა იმდენად შეავიწროვეს, რომ, როდესაც ნახჭევანიდან თბილისში მოვიდა მახარობელი ცნობით სულთნის დაბრუნების თაობაზე, გახარებულმა შარაფ ალ-მულკმა მას 4 ათასი დინარი უბოძა[34].

ჯალალ ედ-დინის მოსვლისთანავე მისი ლაშქარი ქვეყნის სხვადასხვა მხარეს მოედო და მოსახლეობის ძარცვა-რბევას მიჰყო ხელი[35]. იმავე წლის სექტემბერში თბილისიდან სულთანმა გაილაშქრა ქალაქების — ანისა და კარის (ყარსის) ასაღებად, მაგრამ საქართველოს ლაშქარმა მედგარი წინააღმდეგობა გაუწია და ვერ შეძლო მათი აღება. ხორეზმელთა სარდალი იძულებული გახდა ამ ქალაქებთან მოალყე ლაშქარი დაეტოვებინა, თვითონ კი ძარცვა-რბევით, სექტემბრის დამლევს თუ ოქტომბრის დასაწყისში, ისევ თბილისში დაბრუნდა[36]. იბნ ალ-ასირის ცნობით, თბილისიდან ჯალალ ედ-დინი „საშინელი სისწრაფით გაემართა აფხაზთა ქვეყნისაკენ, სადაც თავს აფარებდნენ გაქცეული ქართველები. მიუხტა, დახოცა, დაარბია, ტყვე ქალები იშოვნა და აიკლო და დაწვა ქალაქები... ამის შემდეგ ისევ თბილისს დაუბრუნდა“[37]. აქ სულთანმა ქალაქის დასაცავად დანიშნა კირ ამალიქი და ტაჯ ად-დინ ალ-ჰასანი, შარაფ ალ-მულკი გამოსაზამთრებლად განჯაში გაგზავნა, თვითონ კი ნოემბერში ქ. ხლათის[38] დასალაშქრად გაემგზავრა. 1226 წ. ნოემბერ-დეკემბერში ჯალალ

---

[32] ქერმანი — ქალაქი და ისტორიული მხარე ირანის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში.

[33] ა ნ - ნ ა ს ა ვ ი, გვ. 168—170; ი ბ ნ ა ლ - ა ს ი რ ი, გვ. 67.

[34] ა ნ - ნ ა ს ა ვ ი, გვ. 171.

[35] იქვე.

[36] ი ბ ნ ა ლ - ა ს ი რ ი, გვ. 67—68.

[37] იქვე, გვ. 68.

[38] ხლათი, ახლათი, ხილათი, ხელათი — ქალაქი ვანის ტბის ჩრდილო-დასავლეთ სანაპიროზე, ისტორიულ სომხეთში, და ამავე სახელწოდების ოლქი, მაჰმადიანური საამიროს ცენტრი. ხლათის საამიროს მფლობელი შაჰ არმენის (სომეხთა მეფის) ტიტულს ატარებდა.

ედ-დინმა სამჯერ მიიტანა იერიში ხლათზე, მაგრამ ქალაქის დამცველთა წინააღმდეგობა ვერ დაძლია და უკან გაბრუნდა[39].

ჯალალ ედ-დინისა და მისი ლაშქრის მიერ დატრიალებულმა საყოველთაო აოხრებამ და ხოცვა-ჟლეტამ უკმაყოფილება გამოიწვია მახლობელი აღმოსავლეთის მოსახლეობაში. სულ მალე ეს უკმაყოფილება აღშფოთებასა და სიძულვილში გადაიზარდა. როგორც სამართლიანად წერს ივ. ჯავახიშვილი, „მაჰმადიანთაც კი. რომელნიც პირველ ხანებში ძლიერი სულთნის გამოჩენამ გაახარა და ქრისტიან ქართველთა ძლევამოსილების ღირსეულ და მუსლიმანთათვის საამაყო მეტოქედ და პასუხის გამცემად მოეჩვენათ, ხვარაზმელთა შემაძრწუნებელი ძალადობისა და მძარცველობის გამო ჯალალ ედ-დინისათვის უნებლიედ უნდა ზურგი შეექციათ“[40]. ამას ადასტურებს ხლათელთა თავგანწირული ბრძოლა და აჯანყებები აზერბაიჯანში.

ჯალალ ედ-დინის მიერ თბილისის აღებიდან ჯერ ერთი წელიც არ იყო გასული, რომ ქალაქის მუსლიმანური მოსახლეობა ნატრობდა მტარვალის ბატონობისაგან განთავისუფლებას. იბნ ალ-ასირის ცნობით, სულთნის ჯარები ძალიან ცუდად ექცეოდნენ თბილისის მუსლიმანებსაც „და უსამართლოდ სტანჯეს ისინი. ამ უბედურებმა ქართველებს მისწერეს და მოსვლას ეხვეწებოდნენ, ქალაქს გაგიღებთო“[41]. ქალაქში არსებულ ასეთ სიტუაციას ადასტურებს ან-ნასაეიც. მისი სიტყვით, როცა სულთანი ხლათში იმყოფებოდა (1226 წ. ნოემბერ-დეკემბერში) რუსუდანის ყოფილი ქმარი, არზრუმის მფლობელის ტოღრილის შვილი მოღის ედ-დინი, რომელიც ხორეზმელების მიერ თბილისის აღების დროს მათ მხარეზე გადავიდა, ქართველებთან გაიქცა და აცნობა, რომ თბილისში ხორეზმელები მცირერიცხოვანი და სუსტნი არიან[42]. ცხადია, რომ ქართველებისთვის ისედაც ცნობილი იქნებოდა ქალაქში მტრის გარნიზონის სისუსტე და ახლა, როცა თვით თბილისელი მაჰმადიანებიც კი დახმარებას აღუთქვამდნენ, დაიწყეს მზადება ქალაქის გათავისუფლებისათვის. შარაფ ალ-მულკი განჯიდან ხლათში მყოფ სულთანს ცნობებს უგზავნიდა, რომ ქართველები შეგროვდნენ და ცდილობდნენ თბილისის დაბრუნებას[43]. სანამ ეს ცნობები სულთნამდე მიაღწევდა, ქართველებმა ხორეზ-

---

[39] ან-ნასაეი, გვ. 171. არ დასტურდება დ. გვრიტიშვილის მოსაზრება, თითქოს ჯალალ ედ-დინმა თბილისში ათიოდე დღე შეისვენა და შემდეგ ხლათისაკენ გაეშურა (შ. მესხია, დ. გვრიტიშვილი, მ. დუმბაძე, ა. სურგულაძე, თბილისის ისტორია, 1958, გვ. 82). სულთანმა „აფხაზთა ქვეყანაში ათი დღე დაჰყო, მერე კი უცბად დაბრუნდა თბილისში და შეუსვენებლად გაემართა ხლათისაკენ“ (იბნ ალ-ასირი, გვ. 68—69).

[40] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. III, 1966, გვ. 67.

[41] იბნ ალ-ასირი, გვ. 70.

[42] ან-ნასაეი, გვ. 171, 222.

[43] იქვე, გვ. 172.

მელები განდევნეს, ქალაქი აიღეს, ხელთ იგდეს ხორეზმელთა ქონება და დარწმუნებულებმა, რომ ქალაქს ვერ შეინარჩუნებდნენ, გადაწვეს ის და დატოვეს. ეს მოხდა 1226 წლის დამლევს[44].

ხორეზმელთა ბატონობის დასასრული

1227—1228 წლებში ჯალალ ედ-დინის მდგომარეობა მეტისმეტად გართულდა: ერთი მხრივ, მის წინააღმდეგ გამოდიოდნენ დაპყრობილი ხალხები, მეორე მხრივ, შეტევაზე მოდიოდნენ თათარ-მონღოლები. 1228 წ. 25 აგვისტოს ისპაჰანის მახლობლად მონღოლებისა და ჯალალ ედ-დინის ლაშქრის ბრძოლაში გადამწყვეტ გამარჯვებას ვერც ერთმა მხარემ ვერ მიაღწია[45]. ამის შემდეგ სულთანი თავრიზში ჩავიდა და დაიწყო მზადება საქართველოში ლაშქრობისათვის[46]. ამ დროისათვის საქართველოს, რუმის, შამის, ხლათის და სხვა ქვეყნების ხელისუფალნი შეთანხმდნენ, რომ ერთობლივი ბრძოლით ბოლო მოეღოთ საძულველი სულთნის ბატონობისათვის[47]. რუსუდანის ბრძანებით, შეიკრიბა იმიერ და ამიერ საქართველოს ლაშქარი, მოიშველიეს ოსები, დურძუკები[48] და „ყოველნი მთიულნი“ და დადგნენ ნაჯარმაგევს[49]. აქედან საქართველოს ლაშქარმა თბილისი გაიარა და მტრის შესახვედრად გაემართა. ჯალალ ედ-დინმა დაასწრო მოკავშირეებს და ქართველები აიძულა ისეთ დროს მიეღოთ ბრძოლა, როცა მოკავშირეთა ლაშქარი ჯერ კიდევ არ იყო მოსული. 1228 წ. ბოლნისთან ბრძოლაში[50] ქართველები დამარცხდნენ. როგორც

---

[44] ზოგიერთი წყაროს მიხედვით, ეს ფაქტი 1227 წ. თარიღდება. ჩვენ უპირატესობას ვაძლევთ აღნიშნული მოვლენის თანამედროვის ან-ნასავის ცნობას — 1226 წ. დამლევს (ან-ნასავი, გვ. 172—173).

[45] ან-ნასავი, გვ. 185; რაშიდ ად-დინის ამ ბრძოლის თარიღად დასახელებული აქვს 624 წ. რამადანი, ე. ი. 1227 წ. 15.VIII—13.XI (Рашид ад-Дин, Сборник Летописей, т. I, кн. 2, М., 1952, с. 243—244).

[46] რაშიდ ად-დინს აქ ნათქვამი აქვს, რომ ჯალალ ედ-დინი საქართველოში ლაშქრობის სამზადისს შეუდგა ჰიჯრის 624 წლის რამადანის თვის შემდეგ (იქვე, გვ. 244), II ტომში კი ამ მოვლენის თარიღად დასახელებულია ჰიჯრის 615 წელი, ე. ი. 1218—1219, რაც ამ-კარა შეცდომაა.

[47] ჯუვეინი, გვ. 35—38; რაშიდ ად-დინი, დასახ. ნაშრომი, ტ. II, 1960, გვ. 27—28.

[48] დურძუკები — ძურძუკები — ჩრდ. კავკასიური ტომები, თანამედროვე ვეინახთა წინაპრების საერთო სახელი (ჩაჩნეთ-ინგუშეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში).

[49] ქართლის ცხოვრება, II, გვ. 182—183.

[50] ჩვენს ისტორიოგრაფიაში ბოლნისთან ბრძოლის თარიღად მიღებულია 1227/1228 წწ. მიჯნა (ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, III, 1941, გვ. 15; ნ. ბერძენიშვილი, ივ. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, საქართველოს ისტორია, 1946, გვ. 236). ნ. ბერძენიშვილს ბრძოლის თარიღად დასახელებული აქვს 1228 წ. დასაწყისი (საქართველოს ისტორია, I, 1958, გვ. 222); იხ. რ. კიკნაძე, ხორეზმელები საქართველოში (საქართველოს ისტ. ნარკვევები, ტ. III, გვ. 544); ვ. გუჩუა, ბოლნისის ბრძოლა (ქსე, ტ. II, გვ. 452).

ჩანს, საქართველოს ლაშქარმა ამ ბრძოლის წინ, ბოლნისის მიმართულებით მოძრაობის დროს, თბილისიდან განდევნა ხორეზმელთა გარნიზონი და ქალაქი გაათავისუფლა, მაგრამ ისევ ცოტა ხნით, როგორც პირველი გათავისუფლების (1226 წ.) დროს. ჟამთააღმწერლის ცნობით, ბოლნისთან ბრძოლის შემდეგ სულთანი „კუალად მივიდა ტფილისად"[51]. აქედან ჯალალ ედ-დინმა კვლავ ხლათის ასაღებად გაილაშქრა, დიდი ხნის ალყის შემდეგ სულთანმა მოახერხა ხლათის აღება 1229 წ. დამდეგს, მაგრამ ეს მისი უკანასკნელი გამარჯვება იყო. მონღოლებისაგან დევნილი ჯალალ ედ-დინი 1231 წლის 17 აგვისტოს დიარბექირის მიდამოებში (ახლ. თურქეთში) მოკლეს. შვებით ამოისუნთქეს სულთნის ველური სისასტიკით სულშეხუთულმა ხალხებმა, მაგრამ ცოტა ხნით. სულ მალე ისინი სულთამხუთავი მონღოლი ყაენების ბატონობის ქვეშ მოექცნენ.

ხორეზმელებმა დიდი ზიანი მიაყენეს საქართველოს, მაგრამ მისი დაპყრობა ვერ შეძლეს — საქართველოს სამეფოს აღმოსავლეთ ნაწილშიც კი მათ სრულ ბატონობას ვერ მიაღწიეს. ყველაზე უფრო თბილისი დაზარალდა — მოიშალა ქალაქის ეკონომიკური და კულტურული აღმავლობის ბაზისი, შეიცვალა ქალაქის მოსახლეობის შემადგენლობა და საგრძნობლად იმატა მუსლიმანთა თუ გამუსლიმანებულთა რაოდენობამ.

ბრძოლა მონღოლი დამპყრობლების წინააღმდეგ XIII საუკუნის პირველ ნახევარში

საქართველოს დაპყრობა მონღოლების მიერ

ჯალალ ედ-დინს მის მიერ ნაძალადევად შექმნილი სახელმწიფოც თან გადაჰყვა. საქართველოს სამეფო კარი ქუთაისიდან თბილისში გადმოვიდა.

1235 წელს ჩორმაღანის მეთაურობით მონღოლები ამიერკავკასიის ქვეყნებს მოადგნენ[52]. მონღოლთა სამხედრო მეთაურებმა (ნოინებმა) ამიერკავკასიის ქალაქები და ოლქები წინასწარ გაინაწილეს და 1236 წ.

---

[51] ქართლის ცხოვრება, II, გვ. 183; ივ. ჯავახიშვილს ან-ნასავზე მითითებით აღნიშნული აქვს, რომ ამ დროს სულთანი თბილისში არ უნდა მოსულიყო (ქართველი ერის ისტორია, III, 1966, გვ. 73), მაგრამ ცხადია, რომ ქალაქში კვლავ ჩადგა ხორეზმელთა გარნიზონი.

[52] არ არის სწორი, თითქოს მონღოლები საქართველოში XIII საუკუნის 20-იანი წლების შემდეგ ხმაცე საუკუნის „40-იან წლებამდე აღარ გამოჩენილან". — შ. მ ე ს ხ ი ა და სხვ. დასახ. ნაშრომი, 1958, გვ. 85.

ყველა მიმართულებით ერთდროული შეტევა დაიწყეს. საქართველოს სახელმწიფო მოღვაწენი ვერ აღმოჩნდნენ საჭირო სიმაღლეზე და საშიშ დამპყრობლებს ორგანიზებული წინააღმდეგობა ვერ გაუწიეს. მონღოლების მოახლოებისთანავე სამეფო კარი ისევ ქუთაისში გადავიდა. მეფემ თბილისის დაცვა სარდალ მუხას ძეს დაავალა და უბრძანა, როგორც კი მტერი დმანისამდე მოვიდოდა, გადაეწვა ქალაქი, რომ მონღოლებს მისი დასაყრდენად გამოყენება არ შეძლებოდათ[53]: სამეფოს ამირსპასალარი (მთავარსარდალი) ავაგი (ივანე ამირსპასალარის ძე) თავის ციხესიმაგრეში, კაენში (სომხეთში) ჩაიკეტა, სხვა უმაღლესი მოხელენი აქეთ-იქით გაიფანტნენ და მხოლოდ საკუთარი თავისა და ქონების გადარჩენისათვის ზრუნავდნენ: „ძლიერნი ერისთავთა ერისთავნი და ვაზირნი განდგეს ურთიერთას, თავთა მათთა შემწყობელნი, რამეთუ მეფე რუსუდან ყოვლადვე დამკჳდრდა ლიხთ იქით და ვერცა ლიხთ-აქეთ გარდამოვიდის და ვერცა ამიერნი ვაზირნი მის წინაშე მივიდიან... გარნა ლტოლვილნი და ესრეთ ურთიერთას შეუზრახებელ იყვნეს და შეუთქმელ"[54].

შექმნილი ვითარების გამო ხელმძღვანელობის გარეშე დარჩენილი ხალხი მთებსა და ციხესიმაგრეებში გაიხიზნა. ამან გაუადვილა მონღოლებს ქვეყნის დაპყრობა, ლორეს აღებისა და განადგურების შემდეგ მათ დმანისი (ახლ. დმანისის რაიონის ცენტრი) აიღეს. ამ დროს მუხას ძეს თბილისი უნდა გადაეწვა. დმანისის შემდეგ მტერმა სამშვილდე (ახლ. თეთრიწყაროს რაიონი) აიღო, შემდეგ კი თბილისში შევიდა, გაძარცვა ქალაქი და დარჩენილი მოსახლეობა ან გაჟლიტა, ან ტყვედ ჩაიგდო[55]. აქედან დამპყრობლები აღმ. საქართველოს მოედვნენ. წინააღმდეგობის გამწევი არავინ იყო. ქვეყნის მესვეურთაგან მტერს პირველი დანებდა კაენში გამაგრებული ავაგ ამირსპასალარი, მხარგრძელი. მონღოლებმა მას თავისი საგამგეო ქვეყანა დაუბრუნეს. მალე ავაგს სხვებმაც მიბაძეს და მისი შუამდგომლობით მტერს მორჩილება განუცხადეს. ერთადერთი, რომელიც არ დამორჩილდა მტერს, იყო სამცხის მთავარი, სამეფოს მეჭურჭლეთუხუცესი ივანე ციხისჯვარელ-ჯაყელი. ამის გამო მონღოლებმა განსაკუთრებული სისასტიკით აიკლეს მესხეთი, ბოლოს, რუსუდანის დასტურის მიღების შემდეგ, მანაც შეწყვიტა ბრძოლა. ამით დასრულდა მონღოლების მიერ აღმოსავლეთ საქართველოს დაპყრობა. დასავლეთ საქართველოში გადასვლა მათ ვერ შეძლეს[56].

1236 წლისათვის აღმოსავლეთ საქართველო მონღოლებს ფაქტობრივად უკვე დაპყრობილი ჰქონდათ, მაგრამ მეფის ხელისუფლება არ ცნობდა ამ ფაქტს და დამხმარე ძალების მოშველებით ცდილობდა მტრის

---

[53] ქართლის ცხოვრება, II, გვ. 187.
[54] იქვე, გვ. 188—189.
[55] კ ი რ ა კ ო ს გ ა ნ ძ ა კ ე ც ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 162—163.
[56] ქართლის ცხოვრება, II, გვ. 189—191.

განდევნას. 1238/39 წწ. რუსუდანმა რომის პაპს მიმართა დახმარებისათვის, მაგრამ უშედეგოდ. რაკი საკუთარი ძალებით დამპყრობლების განდევნა შეუძლებელი იყო, სამეფო კარმა გადაწყვიტა დაზავებოღა მონღოლებს. ზავი დაიდო 1242—1243 წწ. რუსუდანი შვილით დავითით და სამეფო კარით თბილისში გადავიდა, მაგრამ ახლა ეს სამეფო მონღოლთა ყაენებზე დამოკიდებული ვასალური სახელმწიფო იყო, რომელიც ყოველწლიურ ხარკს უხდიდა მონღოლებს და ვალდებული იყო მონაწილეობა მიეღო მათ ლაშქრობებში. ასე დამყარდა მონღოლთა ასწლიანი ბატონობა საქართველოში.

ამრიგად, 17 წლის მანძილზე (1226—1243 წწ.) თბილისი საგრძნობლად დაზარალდა — მონღოლებმა და ხორეზმელებმა ქალაქისა და მოსახლეობის ქონება დაიტაცეს, მოსახლეობა დიდი რაოდენობით გაჟლიტეს და დაატყვევეს. ჩვეულებისამებრ მათ თბილისიდან ბევრი სხვადასხვა დარგის ხელოსანი წაიყვანეს მონღოლეთში.

რუსუდანის გარდაცვალების (1245 წ.) შემდეგ მონღოლთა ყაენმა საქართველოს მეფეებად ერთდროულად დაამტკიცა დავით ლაშა გიორგის ძე (ულუ-დავითი) და დავით რუსუდანის ძე (ნარინ-დავითი). უფროს მეფედ ულუ-დავითი (დავით VII) ითვლებოდა. 1248 წ. ორივე მეფე მონღოლეთიდან თბილისში დაბრუნდა.

XIII ს. 40-იან წლებში ქართველებმა ორჯერ მოაწყვეს შეთქმულება მონღოლთა წინააღმდეგ აჯანყების მოწყობის მიზნით. პირველი შეთქმულება მოეწყო კოხტასთავში (ჯავახეთი), რომელიც დასაწყისშივე ცნობილი გახდა მტრისათვის და ჩაიშალა. შეთქმულების მეთაურები მოხერხებული ტაქტით და ცოტნე დადიანის გმირული მოქმედებით გადაურჩნენ სიკვდილით დასჯას[57]. აჯანყების მოწყობის მეორე ცდას ადგილი ჰქონდა თბილისში 1249 წ. აჯანყების მზადებას სათავეში ედგა დავით VII. მონღოლებმა შინაგამცემლობის წყალობით შეიპყრეს შეთქმულნი, ხელფეხი შეუკრეს და სამი დღის განმავლობაში ტანჯავდნენ, მაგრამ ბრალდება ვერ დაუმტკიცეს, დიდი გამოსასყიდი თანხა გადაახდევინეს და გაათავისუფლეს. მონღოლთა ნოინებმა ეს ფაქტი საბაბად გამოიყენეს, ქვეყნის სხვადასხვა კუთხეს დამრბევი რაზმები გაუსიეს, დაიტაცეს ხალხის ქონება, ბევრი მოკლეს და ბევრიც ტყვედ წაიყვანეს[58].

---

[57] ქართლის ცხოვრება, II, გვ. 215—217.

[58] კირაკოს განძაკეცი, დასახ. ნაშრომი, გვ. 196—198; Всеобщая история Вардана Великого, М., 1861, с. 181; აკანელი გრიგოლ, მოისართა ტომის ისტორია, ნ. შოშიაშვილის გამოც., 1961, გვ. 29—30; ნ. შოშიაშვილის აზრით, კოხტასთავისა და თბილისის შეთქმულებებში იგულისხმება ერთი და იგივე შეთქმულება, „რამდენადმე სხვადასხვანაირად გადმოცემული ქართულ და სომხურ წყაროებში" (გვ. 122), მაგრამ ეს არ უნდა იყოს სწორი. სხვა მკვლევრები აღიარებენ 1249 წ. შეთქმულების ფაქტს (ივ. ჯავახიშვილი, ნ. ბერძენიშვილი, ვ. დონდუა, დ. გვრიტიშვილი, ბ. ლომინაძე და სხვ.).

მონღოლთა ბატონობა, საქართველოს მნიშვნელოვან ქალაქებსა და ცხესიმაგრეებში მათი გარნიზონების დგომა ამწვავებდა ქვეყნის შიგნით პოლიტიკურ ვითარებას, აღვივებდა შინაფეოდალურ შურსა და მტრობას. ამ მხრივ განსაკუთრებით დაძაბული ვითარება იქმნებოდა მეფეების მონღოლთა ლაშქრობებში ყოფნის დროს.

50-იანი წლების დასაწყისში მეფე დავით VII, ულუ, ბათო ყაენმა დაიბარა ურდოში. მეფემ თბილისში თავის მოადგილედ დატოვა მეუღლე, მონღოლი ბატონიშვილი ჯიგდახათუნი და მესტუმრე ჯიქური. ჯიქური უნარიანი, ენერგიული და ჭკვიანი მმართველი გამოდგა, ზრუნავდა ღარიბ-ღატაკთა მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის, ებრძოდა ავაზაკებს, ზრუნავდა ქვეყნის ეკონომიკურ აღმავლობაზე. დიდმა ფეოდალებმა იუკადრისეს წერილი ფეოდალისა და დაბალი მოხელის აღზევება. ზოგი მათგანი ცენტრალურ ხელისუფლებას განუდგა და დამოუკიდებლობის მოპოვება სცადა. ასეთი იყო კახეთის მმართველი თორღვა პანკელი, რომელიც მეფის ურდოდან დაბრუნებისთანავე სიკვდილით დასაჯეს. ასეთივე ბედი ეწია ჯიქურსაც: როცა ჯიგდახათუნი გარდაიცვალა, ჯიქურის წინააღმდეგ ინტრიგების ქსელი დაიხლართა და მალე მრწმენმა მეფემ დიდებულთა დასმენის საფუძველზე ჯიქური განუკითხავად და გამოძიების გარეშე თბილისის სასახლის კარიდან მტკვარში გადააგდებინა. ფეოდალური შუღლისა და ინტრიგების მსხვერპლი, უდანაშაულო ჯიქური თბილისის ღარიბებმა დაკრძალეს[59].

1254 წ. მონღოლებმა თავიანთ სამფლობელოებში საყოველთაო აღწერა ჩაატარეს. აღწერის მიზანი იყო გადასახადების დაწესება და ომში გამაკალი ლაშქრის რაოდენობის დაზუსტება. აღწერეს საქართველოც. აღწერა ისეთი თვითნებობით წარმოებდა, რომ ჟამთააღმწერლის სიტყვით „დიდსა ჭირსა მიეცნეს ყოველნი მკჳდრნი სამეფოსა დავითისნი, და იწყეს აღწერად კაცთაგან და პირუტყუთამდე, ყანით ვენაჯამდე, წალკოტით ბოსტნამდე“[60]. დამპყრობლებმა ყველა და ყველაფერი დაბეგრეს. საქართველოში 14 სხვადასხვა სახის გადასახადი იყო დაწესებული[61]. ვაჭრებსა და ხელოსნებზე დადებულ გადასახადს ტამღა ეწოდებოდა. ის შეადგენდა თბილისში გაყიდული საქონლის 3 პროცენტს. გადასახადების აკრეფას ძარცვა-გლეჯის ხასიათი ჰქონდა. ამასთან საქართვე-

---

[59] ქართლის ცხოვრება, II, გვ. 229—231.

[60] იქვე, გვ. 235.

[61] ბ. ლ ო მ ი ნ ა ძ ე , მონღოლთა ბატონობა საქართველოში და ბრძოლა მის წინააღმდეგ. — წიგნში: „საქართველოს ისტორიის ნარკვევები“, ტ. III, 1973, გვ. 560.

ლოს სამხედროვალდებული მოსახლეობა ყოველწლიურად მონღოლთა განუწყვეტელ ლაშქრობებში მიდიოდა და ქვეყნის ეკონომიკა ჩანაგდებოდა.

1256 წლამდე საქართველო ოქროს ურდოს შემადგენლობაში შედიოდა, ამ დროიდან კი — ჰულაგუიდების (ანუ ილხანთა) სახელმწიფოში, რომელიც მონღოლთა ფეოდალური იმპერიის დაშლის შედეგად ჩამოყალიბდა ახლო და შუა აღმოსავლეთში. ამ სახელმწიფოს დამაარსებელი იყო ჩინგიზ ხანის შვილიშვილი ჰულაგუ. ჰულაგუ ყაენის დროს (1256—1265 წწ.) შემოიღეს ახალი გადასახადები, გაადიდეს ბაჟები, გადიდდა მოსახლეობის შრომითი ბეგარა. ამის შედეგი იყო საერთო უკმაყოფილების ზრდა, რომელიც ზოგჯერ აჯანყებებში გადაიზრდებოდა ხოლმე.

აჯანყებანი მონღოლთა წინააღმდეგ XIII ს. 50—60-იან წლებში

ჰულაგუიდების ბატონობის პერიოდშიც ვასალური საქართველოს სახელმწიფოს დედაქალაქი თბილისი იყო. 1259 წ. საქართველოში მონღოლთა ბატონობის წინააღმდეგ მოწყობილი აჯანყება აქ მომზადდა. აჯანყების მიზეზი მონღოლური გადასახადებისა და მონღოლთა განუწყვეტელ ლაშქრობებში მონაწილეობის სიმძიმე იყო. აჯანყებას დავით VI-ნარინი მეთაურობდა. ჰულაგუმ, როგორც კი მიიღო აჯანყების დაწყების ცნობა, საქართველოში მონღოლებისა და მუსლიმანთა დიდი ლაშქარი გამოგზავნა. ამ ლაშქარმა, რომელსაც არღუნ ნოინი მეთაურობდა, ვერ შეძლო აჯანყების ჩაქრობა და 1259 წლის სექტემბერში თავრიზში ყაენთან დაბრუნდა ახალი ჯარის სათხოვნელად. ჰულაგუს ბრძანებით, ერაყისა და საქართველოს დამორჩილებული ნაწილის ჯარები არღუნს ჩააბარეს. როცა მონღოლთა სარდალი ხელმეორედ მოვიდა თბილისში, დავით VII-ც აჯანყებული დახვდა[62]. ამავე დროს დავით VI-მ მონღოლთა დიდძალი ჯარის წინააღმდეგ ბრძოლა შეუძლებლად ჩათვალა და დასავლეთ საქართველოში გადავიდა. როგორც ვხედავთ, მეფეთა შორის კავშირი არ იყო და აჯანყებულთა ორი ლაშქარი ცალ-ცალკე მოქმედებდა.

დავით VII-ისა და მისი ლაშქრის წინააღმდეგ მონღოლებთან ერთად მათ ლაშქარში იძულებით მყოფი ქართველებიც იბრძოდნენ. 1260 წ. ახალდაბასთან (ახლ. ბორჯომის რაიონში) მონღოლების წინააღმდეგ ბრძოლაში დავით VII და სამცხის სპასალარი სარგის ჯაყელი დამარცხ-

---

[62] ჯუვეინი, გვ. 51.

ღნენ, მაგრამ მონღოლებმაც დიდი ზარალი ნახეს. არღუნმა 1261 წ. ახალი ლაშქრობა მოაწყო სამცხეში, მაგრამ საბოლოო მიზანს ვერც ამ ლაშქრობით მიაღწია. დავით VII-მ და სარგის ჯაყელმა, დარწმუნებულებმა, რომ მხოლოდ საკუთარი ძალებით გამარჯვებას ვერ მიაღწევდნენ, ბრძოლა შეწყვიტეს. დავით VII დასავლეთ საქართველოში გადავიდა დავით VI-თან[63]. აქ ქართველი დიდებულები ორ ჯგუფად გაიყვნენ — ერთნი დავით VI-ის მეფობის მოიხრენი იყვნენ, მეორენი — დავით VII-ისა.

მონღოლებმა თბილისში ქალაქისა და აღმოსავლეთ საქართველოს საქმეთა მეთვალყურედ დასვეს „შადინი ვინმე სომეხი", რომელსაც, ჟამთააღმწერლის სიტყვით, მეფობასაც ჰპირდებოდნენ[64]. ასეთ პირობებში დავით VII იძულებული გახდა დაზავებოდა მონღოლებს და თბილისში დაბრუნდა. ამრიგად, 1260—1262 წლებში საქართველოს ერთიანი ფეოდალური მონარქია ფაქტობრივად ორ ნაწილად გაიყო — დასავლეთ საქართველოში დავით VI მეფობდა, აღმოსავლეთში კი დავით VII.

XIII საუკუნის 60-იან წლებში გამწვავდა ურთიერთობა ოქროს ურდოსა და ილხანების სახელმწიფოს შორის. მათ შორის ბრძოლას ათასობით ქართველი ვაჟკაცი შეეწირა. ჰულაგუმ ოქროს ურდოს შემოსევათაგან თავდაცვის მიზნით შირვანში სიმაგრეები (მონღოლურად სიბა) აგო, სადაც ყოველწლიურად სხვებთან ერთად საქართველოს ლაშქარიც იდვა. 1265 წ. ოქროს ურდოს ხანმა ბერქამ დიდძალი ჯარით მოაოხრა შირვანი, ჰერეთი, კახეთი და თბილისამდე მოვიდა. ამ ლაშქრობის დროს აღმოსავლეთ საქართველოს მჭიდროდ დასახლებული ბევრი რაიონი ისე გაოხრდა, რომ საუკუნეების მანძილზე ვერ აღდგა და სამუდამოდ გაპარტახდა.

1266 წელს ორად გაყოფილ საქართველოს მესამე ნაწილიც გამოეყო. დავით VII-სა და სარგის ჯაყელს შორის მსხვილ ფეოდალთა ერთმა ნაწილმა უთანხმოება ჩამოაგდო — მეფე დაარწმუნეს, რომ სარგისი განდგომას აპირებდა და, როცა ჯაყელი მეფის მოთხოვნით თბილისში ჩამოვიდა, რომ აქედან თავისი ლაშქრით სიბაზე წასულიყო, დავითმა ის დაატყვევა. აბაღა ყაენმა მეფეს მოსთხოვა სარგისის გათავისუფლება და მასთან გაგზავნა, რაზედაც მეფე იძულებით დაეთანხმა. სარგისის თხოვნით, მისი ვრცელი სამფლობელო ყაენმა უშუალოდ თავის საყაენოს დაუმორჩილა[65], ე. ი. ხასინჯად აქცია. ეს იმას ნიშნავდა, რომ ამიერიდან

---

[63] ქართლის ცხოვრება, II, გვ. 238—242; კირაკოს განძაკეცი, დასახ. ნაშრომი, გვ. 234.

[64] ქართლის ცხოვრება, II, გვ. 244.

[65] იქვე. გვ. 255.

სამხრეთ საქართველოზე ქართველი მეფის უშუალო გამგებლობა არ ვრცელდებოდა. ამრიგად, საქართველო სამ პოლიტიკურ ერთეულად დაიშალა.

XIII ს. 70 — 80-იან წლებში საქართველოს ლაშქარი მონღოლთა მუდმივ ლაშქრობებში იყო სირიაში, ეგვიპტესა და სხვაგან. ამ ბრძოლებში უამრავი ქართველი და სომეხი, მათ შორის ბევრი თბილისელი გაწყდა. ქართველები ეწირებოდნენ ილხანების სახელმწიფოში ფეოდალთა სხვადასხვა დაჯგუფებებს შორის ამტყდარ ბრძოლებს. ამ ბრძოლას შეეწირა მეფე დემეტრე II-ც (1271—1289 წწ.).

1288 წ. ილხანთა სახელმწიფოში არღუნ ყაენის (1284—1291 წწ.) წინააღმდეგ შეთქმულება გამომჟღავნდა, რომელსაც მეთაურობდა პირველი ვაზირი ბუღა. ბუღა და მათი მომხრეები და ნათესავები სიკვდილით დასჯეს. ბუღასთან მჭიდრო კავშირში იყო დემეტრე II, ისინი მოყვრებიც იყვნენ — ბუღას შვილს ცოლად ჰყავდა დემეტრეს ასული რუსუდანი[66]. დემეტრე ყაენთან დაიბარეს, ყველამ იცოდა, რომ ყაენთან წასვლა სიკვდილით დასჯას ნიშნავდა, ამიტომ სამეფო დარბაზმა (ფეოდალთა სათათბირომ) მეფეს ურჩია არ შეესრულებინა ყაენის მოთხოვნა და მთებში გაეხიზნულიყო. დემეტრემ არ მიიღო ეს წინადადება, რადგან ამას მოჰყვებოდა მონღოლთა შემოსევა და ხალხის ხოცვა-ყლეტა. დარბაზის წევრებს დემეტრემ განუცხადა: „რა სარგებელ არს ცხოვრება ჩემი, უკეთუ ჩემთჳს მრავალი სული მოკუდეს და მე ტჳრთ-მძიმე ცოდვითა განვიდე სოფლისა ამასგან. აწ მნებავს, რათა წარვიდე ყაენს წინაშე, და იყოს ნება ღმრთისა: უკეთუ მე მომკლან, ვგონებ, რომე ქუეყანა უვნებლად დარჩეს“[67]... დარბაზის წევრებმა კვლავ ურჩიეს მეფეს მთიულეთში გამაგრება, მაგრამ დემეტრე მტკიცედ იდგა თავის გადაწყვეტილებაზე: „თქუენ ერთგულებისა და სიყვარულისა ჩემისათჳს იტყვით, გარნა მეწყალვის უბრალო ერი, ვითარცა ცხოვარნი კლვად უღონო არიან და არა-სადა აქუნ ნუგეშინისცემა. მე დავსდებ სულსა ჩემსა ერისათჳს ჩემისა, და არ დავიშლი ურდოს წასვლასა“[68].

1289 წ. 12 მარტს არღუნ ყაენის ბრძანებით დემეტრე II-ს თავი მოკვეთეს. მადლიერმა ხალხმა წამებულ მეფეს „თავდადებული“ შეარქვა.

XIII საუკუნის 90-იან წლებში პოლიტიკური ვითარება საქართველოში უკიდურესად დაიძაბა. ყაზან ყაენი (1295—1304 წწ.) არ ენდობოდა საქართველოს მეფე დავით VIII-ს (1293—1311 წწ.) და ის თავისთან

---

[66] ქართლის ცხოვრება, II. გვ. 281.
[67] იქვე, გვ. 287—288.
[68] იქვე, გვ. 288.

დაიბარა. დავითმა 1297 წ. თბილისი დატოვა, მთიულეთში გამაგრდა და კავშირი გააბა ოქროს ურდოს ყაენთან. ამ დროიდან საქართველოში მუდმივი ომიანობა იყო დავით VIII-ის მომხრეებსა და მონღოლებს შორის. ქართველთა ერთი ნაწილი მონღოლების მხარეზე იბრძოდა.

1297 წ. დამლევს ყაენმა მეფედ დანიშნა დავით VIII-ის ძმა ვახტანგი[69]. მრავალი ცდის მიუხედავად, ყაენმა დავითთან შერიგებას ვერ მიაღწია — დავითი რამდენჯერმე დათანხმდა შერიგებოდა და ხლებოდა მას, მაგრამ შიშით კვლავ უარს ამბობდა. ბრძოლები გრძელდებოდა. ქართლმა დიდი ზარალი ნახა. „ამათ შფოთთა რა შინა იყო ქუეყანა ქართლისა, არა იყო მათ ჟამთა შინა თესვა, და არცა შენება ყოვლადვე... ხუთ წელთა იყო ოჯრება... იქმნა პურის მოკლება, რამეთუ ყოველად არა იპოვებოდა სასყიდლად, არც დიდითა ფასითა. ესოდენ განძჯნდა შიმშილი, რომელ მძორსა არაწმიდასა ურიდად ჭამდეს. სავსე იყვნეს უბანნი და ფოლოცნი, გზანი, მინდორნი და ქალაქნი, და სოფელნი მკუდრებითა. ყრმანი მკუდართა დედათა ძუძუთა ლეშკთა სწოვდიან, და უმრავლესი ერი ქართლისა წარვიდა სამცხეს, ქუეყანად ბექასსა, სადა-იგი იპოვებოდა პური სასყიდლად“[70]. ცხადია, შიმშილი ყველაზე უფრო თავს დაატყდებოდა ქალაქებს, განსაკუთრებით თბილისს, უფრო მეტად მის ღარიბ მოსახლეობას, რომელსაც არ გააჩნდა საშუალება სამცხეში წასვლისა და პურის ყიდვისა. ამ დროს გამწვავდა ურთიერთობა ქალაქის შიგნით მდიდარ ფეოდალთა და ვაჭარ-მევახშეთა, ერთი მხრივ, და დაბალ სოციალურ ფენებს შორის, მეორე მხრივ. ბევრი გაწყდა, დარჩენილთაგან ბევრი გლახაკთა რიგებს შეემატა.

დავით VIII-ის საქციელი არაფრით იყო გამართლებული. ივ. ჯავახიშვილის სიტყვით: „მხოლოდ თავზეხელაღებულ კაცს შეეძლო ამ საშინელი გარემოებისათვის ანგარიში არ გაეწია და ასეთი ბრძოლის აუცილებელ შედეგს არ შეეშინებინა... საქართველოში ყველას საშუალება ჰქონდა დარწმუნებულიყო, თუ რაოდენ განსხვავება იყო ხალხისა და ქვეყნის უვნებლად გადარჩენისათვის მზრუნველს დემეტრე II თავდადებულსა და მის შვილს დავითს შორის, რომელმაც თავისი თავის გადარჩენას მრავალი უდანაშაულო ხალხის სიცოცხლე ანაცვალა და ქვეყანა მონღოლების გასანადგურებლად აქცია“[71].

---

[69] რაშიდ ად-დინი, დასახ. ნაშრომი, 1946, გვ. 178. ჩვენს ისტორიოგრაფიაში, მიუხედავად იმისა, რომ ნუმიზმატიკური მასალებით დადასტურებული იყო ვახტანგ III-ის გამეფება 1298 წელს (ე. პახომოვი, თ. ლომოური, დ. კაპანაძე და სხვ.), კვლავ ხშირად ვახტანგ III-ის გამეფების თარიღად 1302 წ. ასახელებენ, რაც სწორი არაა. ვახტანგის გამეფება 1297 წ. ნოემბერ-დეკემბერში უნდა მომხდარიყო.

[70] ქართლის ცხოვრება, II, გვ. 309—310.

[71] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წ. III, 1941, გვ. 135.

თბილისი თემურლენგის ურდოების შემოსევათა წინააღმდეგ ბრძოლის დროს

XIV საუკუნის დასაწყისში საქართველო ფაქტობრივად ოთხ ნაწილად იყო დაყოფილი: დასავლეთ საქართველო XIII ს. 60-იანი წლებიდან დამოუკიდებელ სამეფოს წარმოადგენდა; საქართველოს ვრცელი და მდიდარი მხარე — სამხრეთ საქართველო (შემდეგში — სამცხე-საათაბაგო) უშუალოდ მონღოლებს ემორჩილებოდა, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთი თბილისიდან განდევნილ დავით VIII-ს ეპყრა, ხოლო თბილისი და მისი მიდამოები დმანის-სამშვილდითურთ — ვახტანგ III-ს, რომელიც მონღოლთა ვასალი იყო. 1300—1307 წწ. ეგვიპტის, გილანის[72] და სხვა ლაშქრობებში სამხრეთ და აღმოსავლეთ საქართველოში შეკრებილი ლაშქრის დიდი ნაწილი გაწყდა. მონღოლები იერიშის დროს ქართველებსა და სომხებს წინამებრძოლებად ნიშნავდნენ, უკანდახევის დროს კი — არიერგარდში და ამიტომ ყველაზე მეტი ზარალი მათ მოსდიოდათ.

1304 წ. ყაზან ყაენის გარდაცვალების შემდეგ ილხანთა ტახტზე დასვეს მისი მცირეწლოვანი ძმა ოლჯაითუ (1304—1317 წწ.). ოლჯაითუსა და მისი შვილის აბუ საიდის (1317—1335 წწ.) დროს სახელმწიფოს ფაქტიური გამგებელი დიდი ვეზირი ჩობან ნოინი იყო. ასეთ ვითარებაში 1314 წ. აღმოსავლეთ საქართველოს მეფე გახდა დავით VIII-ისა და ვახტანგ III-ის ძმა გიორგი V, შემდეგში ბრწყინვალედ წოდებული. ილხანთა სახელმწიფოს ძლიერება ამ დროისათვის ძლიერ შეირყა. საქართველოში მონღოლთა ჯარის რაოდენობა 10 ათასს არ აღემატებოდა. მონღოლთა ლაშქარი ის აღარ იყო, რაც დაპყრობების პირველ ხანებში — ის ცენტრალური ხელისუფლების სანდო და დასაყრდენ ძალად ვერ გამოდგებოდა. ეს კარგად იცოდა ჩობანმა და განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა საქართველოს სამხედრო ძალას. ასეთ პირობებში ჩობანსა და გიორგის შორის პოლიტიკური მეგობრობა დამყარდა, რომელიც გიორგიმ მოხერხებული, შექმნილი ვითარების შესაბამისი გონივრული პოლიტიკით კარგად გამოიყენა საქართველოს გაერთიანებისა და დამოუკიდებლობის აღსადგენად. 20—30-იან წლებში გიორგიმ ბოლო მოუღო ოს ფეოდალთა ბატონობას გორსა და მის მიდამოებში, შემდეგ გაწყვიტა ის მთავრები, რომლებიც ადრე მონღოლთა მფარველობით განკერძოებისაკენ მიისწრაფოდნენ. 1329 წ. მან შემოიერთა დასავლეთ საქართველო, 1334 წ.— სამცხე-საათაბაგო. იმავე ხანებში ირანის ილხანთა უკვე დაშლილ სახელმწიფოში მწვავე შინაფეოდალური ბრძოლები დაიწ-

---

[72] გილანი — ისტორიული მხარე კასპიის ზღვის სამხრეთ-დასავლეთ სანაპიროზე, 1307 წ. დაიპყრეს მონღოლებმა. XVI ს. დასაწყისიდან ირანის შემადგენლობაშია.

ყო. საქართველოსათვის არავის ეცალა. ამით ისარგებლა გიორგიმ და 1336—1337 წლებში მონღოლთა საოკუპაციო ჯარი განდევნა საქართველოდან. ამით ფაქტობრივად დაემხო მონღოლთა ასწლიანი ბატონობის უღელი. 30-იანი წლების მეორე ნახევარში კი საქართველო ფორმალურადაც გათავისუფლდა და სუვერენული სახელმწიფო გახდა, გაიზარდა მისი საერთაშორისო მნიშვნელობა. გაიზარდა თბილისის როლიც საერთაშორისო ასპარეზზე. ამას ნათლად მოწმობს რომის პაპის იოანე XXII-ის წერილები გიორგი V-სადმი. პაპის 1328 წ. წერილში ნათქვამია: ... „შემდგომ ბევრის რჩევისა და გამოძიებისა დავრწმუნდით ჩვენ და ჩვენი ძმები კარდინალები, რომ ტფილისი, ქართველთა სამეფოს შუაგული ადგილი, საუკეთესო, მეტად შესანიშნავი, ერით სავსე, მარჯვე და სიმდიდრით უხვი ქალაქია“[73]. ამიტომ იყო, რომ პაპმა, კარდინალების საბჭოს მხარდაჭერით, აღმოსავლეთში მისიონერული მოღვაწეობის ცენტრი ქ. სმირნიდან თბილისში გადმოიტანა[74].

მონღოლთა ბატონობამ დიდი ზიანი მიაყენა საქართველოს, შეაფერხა განვითარებული ფეოდალიზმის ქვეყნის შემდგომი წინსვლა, მაგრამ ვერ მოსპო ქართული ფეოდალური სახელმწიფო.

მშვიდობიანობისა და ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული აღმავლობის პერიოდი, რომელიც დაიწყო საქართველოს მონღოლთა ბატონობისაგან გათავისუფლების შემდეგ, ხანმოკლე აღმოჩნდა. XIV საუკუნის 80-იანი წლებიდან საქართველო თემურლენგის გამანადგურებელი შემოსევების ობიექტი გახდა.

შუა აზიაში ამ დროს მონღოლთა ბატონობა ძლიერ შერყეული იყო და ერთიანი ცენტრალური ხელისუფლება არ არსებობდა. ამით ისარგებლა თემურმა და 1370 წლისათვის შექმნა დიდი ფეოდალური სამფლობელო, რომლის ცენტრი ქ. სამარყანდი იყო. აქედან დაიწყო თემურლენგის ფართო დაპყრობითი ომები. მისი მიზანი მსოფლიოზე ბატონობა იყო. ის იყო ენერგიული, ნიჭიერი, მტკიცე ნებისყოფის, მაგრამ უპრინციპო, სასტიკი და დაუნდობელი ადამიანი. თავისი არაადამიანური გულქვაობითა და სისასტიკით მას მსოფლიო ისტორიაში ვერ შეედრება ვერც ერთი დამპყრობელი. ივ. ჯავახიშვილის სიტყვით, „რამდენადაც თემურლენგი იშვიათი ნიჭის მხედართმთავარი იყო, იმდენადვე იგი ბეცი გამოდგა, როგორც ქვეყნის მმართველი და მხეცი იყო თავისი ბუნების თვისებებით... განადგურების მეტი კაცობრიობას თემურლენგისაგან არც უნახავს და არც რამე სხვა შერჩენია“[75].

---

[73] მ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, 1902, გვ. 32, 34, 35.

[74] იქვე.

[75] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი III, XIII—XIV სს., 1941, გვ. 221—222.

თემურლენგის დაპყრობითი გეგმების განხორციელებას წინაღუდგა ოქროს ურდოს მბრძანებელი თოხთამიშ ხანი. თემურს პირველ რიგში ხელთ უნდა ეგდო ჩრდილოეთ კავკასიის უმთავრესი გადასასვლელი გზები — დერბენდი და დარიალი, ამისთვის კი საჭირო იყო ამიერკავკასიისა და, კერძოდ, საქართველოს დამორჩილება. ეს იყო თემურლენგის საქართველოში მრავალგზისი ლაშქრობის უმთავრესი მიზეზი.

თბილისის აღება თემურლენგის მიერ

1386 წ. თავრიზის აღების შემდეგ თემურლენგი სომხეთში შეიჭრა, გაანადგურა გარნი და კარი (ყარსი), შემდეგ სამცხე-საათაბაგოში შევიდა და აქედან თბილისისაკენ დაიძრა. გზადაგზა მტრის ლაშქარი ანგრევდა ციხესიმაგრეებს, საცხოვრებელ სახლებს, ხოცავდა და ძარცვავდა მოსახლეობას. ნოემბერში თემურლენგის ლაშქარმა ალყა შემოარტყა თბილისს, სადაც გამაგრებული იყო მეფე ბაგრატ V (1360—1393 წწ.). ქალაქის დამცველები შეუპოვრად იბრძოდნენ მამაცი და გამოჩენილი სარდლის ბაგრატ V-ის მეთაურობით. თუმცა თემურლენგის ლაშქარი რამდენჯერმე აღემატებოდა თბილისის დამცველთა რაოდენობას, მაგრამ დამპყრობელი კარგად ხედავდა, რომ ძლიერ გამაგრებული თბილისის ციხის აღება ძნელი იყო. ამიტომ თემური პირადად ჩაუდგა სათავეში თბილისის აღების საქმეს. ქართველები ქალაქიდან გამოდიოდნენ და გალავნის გარეთ ებრძოდნენ მტერს. ფარსადან გორგიჯანიძის ცნობით, „სადამდისინ ქალაქის გალავანი არ აეღოთ, დღეში ორჯერ-სამჯერ ქართველნი გამოვიდიან და წაუშენდიან თურქთა. შეიქმნებოდა ომი და ცემა, მრავალს ნავნებს უზამდეს თურქთა და ისევ ქალაქში შევიდიან“.[76]. ერთერთი ასეთი გამოსვლის დროს „იქმნა იმიერ და ამიერ ბრძოლა ძლიერი და მოისრა ორგნითვე სიმრავლე კაცთა ფრიადი და უფროსად მოსწყდეს სპანი თემურისანი და ვერღარა აღიღეს ციხე ტფილისისა“[77]. მაშინ თემურლენგის ბრძანებით, მისმა მეომრებმა რკინის დიდი ჩელტები (ფარები) დაამზადეს, რომ შეტევის დროს უვნებელეყოთ თავი ქალაქის დამცველთა ისრებისაგან. ქალაქის ირგვლივ მოხერხებულ ადგილებში თემურის ბრძანებით კედლის სანგრევი მანქანები და მოწყობილობანი განალაგეს. ასეთი მომზადების შემდეგ თემურლენგი თავისი მრავალრიცხოვანი ლაშქრით გადამწყვეტ შეტევაზე გადავიდა და 1386 წლის 21 ნოემბერს აიღო

---

[76] ფ ა რ ს ა დ ა ნ გ ო რ გ ი ჯ ა ნ ი ძ ე, ისტორია. ს. კაკაბაძის გამოცემა. — „საისტორიო მოამბე“, წიგნი II. 1925. გვ. 302.

[77] ქართლის ცხოვრება, II. 1959, გვ. 328.

თბილისი და მისი ციხე[78]. მტერმა ტყვედ ჩაიგდო ბაგრატ V, მისი მეუღლე ანა და შვილი დავითი[79].

თბილისის აღების შემდეგ მტრის ლაშქარმა ხელი მიპყო ქალაქში დარჩენილი მოსახლეობის ხოცვა-ჟლეტას და ძარცვა-რბევას. ამას ერთხმად ადასტურებენ თვით თემურლენგის ისტორიკოსები[80]. ტრაპიზონელი ბერძენი მემატიანის მიქელ პანარეტოსის სიტყვით, თემურმა „ხელთ იგდო გასაოცარი ქალაქი თბილისი", ხალხი გაჟლიტა მახვილით და გაანადგურა. „რა ქონება იგდო ხელთ, რა ხატები გაძარცვა და დაწვა, რამდენი თვალი პატიოსანი, მარგალიტი, ოქრო და ვერცხლი წაიღო, არავის შეუძლია აღწეროს"[81]. იმდროინდელი სომეხი ისტორიკოსის თომა მეწოფელის სიტყვით, თემურმა თბილისში „ურიცხვი ხალხი დაატყვევა" და, როგორც ამბობდნენ, მოკლულნი უფრო მეტნი იყვნენ, ვიდრე ცოცხლად დარჩენილები[82]. თემურლენგის მიერ თბილისში დატრიალებული საშინელი ტრაგედია ხალხურ გადმოცემაშიც დარჩა. ამ გადმოცემის მიხედვით, დამპყრობლებმა თემურლენგის ბრძანებით თბილისის კალოუბანში თავი მოუყარეს ბავშვებს და შემდეგ ისინი თავისი ველური ცხენოსანი ჯარით გადათელეს[83].

თბილისი 1386—1403 წწ.

თბილისის აღების შემდეგ თემურმა ქალაქის ციხეში თავისი გარნიზონი „შეაყენა"[84] და თავისი ლაშქარით ყარაბაღში წავიდა დასაზამთრებლად. აქ უნდა მომხდარიყო თემურლენგისა და ბაგრატ V-ის დაზავება. ბაგრატმა გარეგნულად მაჰმადიანობა მიიღო და პირობა მისცა თემურლენგს, რომ მთელს საქართველოს დაუმორჩილებდა. ამ პირობით თემურლენგმა საქართველოს სამეფო ტახტი ისევ ბაგრატ V-ს დაუმტკიცა[85]. ამ დროს გამწვავებული იყო ბრძოლა ოქროს ურდოს მბრძანებელ თოხთამიშ ხანსა და თემურლენგს შორის. არავის შეეძლო წინასწარ განეკვრიტა, თუ ვინ ვის დაძლევდა. ასეთ პირობებში ბაგრატ V აუჯანყდა თემურს და

---

[78] მ. პ ა ნ ა რ ე ტ ო ს ი. — იხ. გეორგიკა, VII, 1967, გვ. 211—212.

[79] ქართლის ცხოვრება, II, გვ. 328, 450; მ. პ ა ნ ა რ ე ტ ო ს ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 212.

[80] კ. ტ ა ბ ა ტ ა ძ ე, ქართველი ხალხის ბრძოლა უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ XIV—XV საუკუნეების მიჯნაზე, 1974, გვ. 67.

[81] მ. პ ა ნ ა რ ე ტ ო ს ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 212.

[82] М е ц о п с к и й Ф о м а, История Темýр-Ланга, Баку, 1957, с. 58.

[83] П. И о с е л и а н и, Описание древностей города Тифлисса, Тифлис, 1866, с. 81—82.

[84] ვ ა ხ უ შ ტ ი. ქართლის ცხოვრება, IV, 1973, გვ. 270; ქართლის ცხოვრება, II, გვ. 450.

[85] კ. ტ ა ბ ა ტ ა ძ ე. დასახ. ნაშრომი, გვ. 73—74.

ქართველებმა გაწყვიტეს მტრის 12-ათასიანი ლაშქარი, რომელიც თემურლენგმა მისცა ბაგრატს ყარაბაღიდან საქართველოში წამოსელის ჟამს საქართველოს თემურლენგისადმი დამორჩილების მიზნით. ამას მოჰყვა თემურლენგის მეორე შემოსევა 1387 წ. გაზაფხულზე, რომლის დროსაც მტერმა დაანგრია, დაწვა ეკლესიები და სხვა ნაგებობანი, მოაოხრა ქვეყანა, მაგრამ საქართველო ვერ დაიმორჩილა[86].

XIV ს. 90-იან წლებში თოხთამიშ ხანსა და თემურლენგს შორის ომი გადამწყვეტ ფაზაში შევიდა. 1394 წ. თემურლენგი ისევ შეესია საქართველოს, ძარცვა-რბევით გაიარა მესხეთიდან არაგვის ხეობაზე, რომ ოქროს ურდოსათვის დარიალის კარი ჩაეკეტა. ქართველებმა მტერს შეუპოვარი წინააღმდეგობა გაუწიეს. ამავე დროს თოხთამიშ ხანი დერბენდის გზით შეიჭრა თემურის სამფლობელოში და ეს უკანასკნელი იძულებული გახდა საქართველო დაეტოვებინა. 1395 წ. თემურლენგმა საბოლოოდ დაამარცხა ოქროს ურდო.

ოქროს ურდოზე გადამწყვეტი გამარჯვების შემდეგ თემურლენგმა ჰულაგუიდების ტახტი შვილს მირან შაჰს დაუმტკიცა. მის სამფლობელოში შედიოდა არაბული და სპარსული ერაყი, აზერბაიჯანი, სომხეთი და საქართველო. ოქროს ურდოზე მოპოვებული გამარჯვების შემდეგ თემურს მახლობელ და შუა აღმოსავლეთში სერიოზული მოწინააღმდეგე აღარავინ ჰყავდა. ასეთ ვითარებაში უაღრესად გამწვავდა ქართველი ხალხის ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის. ეს გარემოება შესაფერისი, მოქნილი, ფრთხილი პოლიტიკის გატარებას მოითხოვდა, რომელსაც თავიდან უნდა აეცილებინა მრავალგზის განადგურებული ქვეყნის ხელახალი განადგურება. მაგრამ, სამწუხაროდ, ასე არ მოხდა. 1398 წ. თემურლენგმა შორეულ ინდოეთში ილაშქრა. ამ დროს მეფე გიორგი VII-მ შაქის მმართველთან ერთად გაილაშქრა ნახჭევანის მახლობლად მდებარე ალინჯის ციხესიმაგრისაკენ, რომელიც 1386 წლიდან ალყაშემორტყმული იყო, მაგრამ ვერ აიღეს იგი. ქართველებმა მოალყეები დაამარცხეს და უკან გამობრუნდნენ. ამას მოჰყვა ინდოეთიდან დაბრუნებული თემურლენგის 100-ათასიანი ლაშქრის შემოსევა საქართველოში 1399 და 1400 წლებში. მტერმა საშინლად გაანადგურა მთელი აღმოსავლეთ საქართველო — აჩეხეს ბაღ-ვენახები, თუთისა და კაკლის ხეები, რომ ხალხისათვის ცხოვრების წყარო მოესპოთ. მოსახლეობა ყველგან შეუპოვარ წინააღმდეგობას უწევდა მტერს, მაგრამ ვერას გახდა და მთებსა და ხეობებში გაიხიზნა. 1400 წ. ქვემო ქართლის განადგურების შემდეგ თემურლენგი თბილისისაკენ წავიდა. თბილისის ციხეში ამ დროს გიორგი VII-ის მცირერიც-

[86] ამ საკითხზე უფრო დაწვრილებით იხ. კ. ტ ა ბ ა ტ ა ძ ე , დასახ. ნაშრომი, გვ. 71—86; აგრეთვე, საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. III, გვ. 680—684.

ხოვანი გარსიზონი იდგა. ვიდრე ქალაქს მტერი მიადგებოდა, გიორგი VII-მ საჭირო ზომები მიიღო თბილისისა და მისი ციხის დასაცავად. მაგრამ მტრის ბევრად ჭარბი ძალების წინააღმდეგ ეს საკმარისი არ აღმოჩნდა და თემურლენგმა „აღიღო ციხე და გალავანები ციხისა და გარემო სიმაგრენი ყოველნი ქართლისანი და შეაყენა შიგან სპანი თჳსნი და თჳსად იპყრა. შეაყენნა შიგან კაცნი ხორასნელნი და თვით აღიყარა და წარვიდა და დადგა მუხრანს. და რაოდენნიცა ნახეს სპათა მისთა ეკლესიანი ანუ შენობანი, ყოველნივე მოაოჯრნეს"[87].

1399—1400 წლები საქართველოში ყველაზე დიდი რბევისა და ნგრევის წლები იყო. მტრის ჯარმა, „ვითარცა ზღვამან დაფარა ყოველი ესე ქვეყანა"[88]. 1400 წელს თემურლენგის მიერ საქართველოში მოყვანილი ჯარის „სიმრავლისა... არა იყო რიცხვი და მოვლეს ყოველი ქვეყანაჲ და წარტყუენეს და დააქცივნეს საყდარნი, მონასტერნი და ეკლესიანი და აღიხუენეს ციხენი და მოსრეს, ტყუე ჰყვეს და მოაოხრეს ყოველი ქვეყანა, დასავლეთამდის"[89]. ტყვედ წაყვანილთა რიცხვი, თომა მეწოფელის ცნობით, 60 ათასს შეადგენდა[90]. სხვა ცნობებით მოკლულთა რაოდენობა 100 ათასს სჭარბობდა, ხოლო ტყვეთა — უფრო მეტი[91]. მიუხედავად გადაჭარბებული ციფრებისა, ცხადია, რომ მაშინ საქართველოში დიდი უბედურება დატრიალებულა. თ. მეწოფელის სიტყვით, „თემურის ჯარებმა ცეცხლსა და მახვილს მისცეს ქართველთა მთელი ქვეყანა, დააქციეს ეკლესიები, წაასხეს ტყვეები და მოიყვანეს ჩვენს ქვეყანაში (ე. ი. სომხეთში) — ტიტველნი და შიშველნი, მშიერ-მწყურვალნი. ყოველ ხუთ ჩაღათაელს (ე. ი. თემურის მოლაშქრეს) 20 ტყვე ჰყავდა. მათი უმეტესი ნაწილი გზაში იხოცებოდა. ჩაღათაელები ქვებს იღებდნენ და მომაკვდავთ თავს უხეთქავდნენ... ყოველივე ეს ჩვენ ვიხილეთ ჩვენი თვალებით და ვისმინეთ... ვხედავდიო ტყვეებს, ველა კი არ შეგვეძლო და სულშეხუთულები ტირილითა და გოდებით მოვერიდეთ და გავეცალეთ მათ"[92]. მეორე სომეხი თვითმხილველი გრიგოლ ხლათეცი წერს: მტრებმა „აიღეს ბევრი ციხე, მოკლეს მრავალი, თითქმის ყველა მამაკაცი გაწყვიტეს, მათი ცოლები და შვილები კი ურიცხვი და უთვალავი ტყვედ წაასხეს... მათი მხილველნი სიბრალულით იწვოდნენ, არა მარტო ქრისტიანები, არამედ უცხოელნიც... არც ქალებს ინდობდნენ, არც ბავშვები ებრალებოდათ, არც სნეულთ ზოგავდნენ. არც ჰაღარას სცემ-

---

[87] ქართლის ცხოვრება, II, გვ. 332.

[88] ძეგლი ერისთავთა, შ. მესხიას გამოცემა, მსკი, ნაკვ. 30, 1954, გვ. 359.

[89] ქრონიკები, II, გვ. 204.

[90] თ. მ ე წ ო ფ ე ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 67.

[91] სომხურ ხელნაწერთა ანდერძები საქართველოს შესახებ (XIV—XV სს.). 1978, ა. აბდალაძის გამოცემა (შემდეგში: ჰიშატაკარანები), გვ. 29, 42—43.

[92] თ. მ ე წ ო ფ ე ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 67.

დნენ პატივს, ჩვილი ბავშვებიც კი არ ეცოდებოდათ, არამედ უწყალოდ და ქვეითად მიერეკებოდნენ ტიტვლებს, ფეხშიშველებსა და თავმოშველეპილებს"[93].

1401 წლის სექტემბერში თემურლენგსა და გიორგი VII-ს შორის დადებული ზავის მიხედვით, საქართველო თემურლენგის ვასალური სახელმწიფო გახდა, რომელიც გადაიხდიდა ყოველწლიურ ხარკს, სიუზერენის მოთხოვნისამებრ გამოიყვანდა დადგენილი რაოდენობის ლაშქარს, ქართველები არ შეავიწროვებდნენ საქართველოში მუსლიმანურ მოსახლეობას და მუსლიმანურ ქვეყნებში აშკარად არ შეასრულებდნენ ქრისტიანულ ადათ-წესებს[94]. თურქეთთან გამარჯვების (1402 წ.) შემდეგ 1403 წ. ზაფხულში თემურლენგი ისევ შემოიჭრა საქართველოში იმ საბაბით, რომ გიორგი VII არ ასრულებდა ზავის პირობებს. ამ ლაშქრობის დროს მტერი დასავლეთ საქართველოშიც გადავიდა და ქუთაისამდე მიაღწია. სასტიკსა და შეუპოვარ ბრძოლას მრავალი ხალხი შეეწირა როგორც ერთი, ისე მეორე მხრიდან. მტრის ლაშქარმა გაძარცვა სოფლები, ქალაქები, გაანადგურა ეკლესია-მონასტრები და სხვა ნაგებობანი, მაგრამ ბრძოლის დასასრული არ ჩანდა. თემურლენგის ლაშქარშიც უკმაყოფილებამ იჩინა თავი. ორივე მხარე ზავს ესწრაფოდა. ეს ზავი 1403 წ. დაიდო 1401 წლის ზავის პირობებით[95]. ამრიგად, დამპყრობელმა თავის მიზანს სრულად ვერ მიაღწია — საქართველომ შეინარჩუნა თავისი სახელმწიფოებრიობა, დარჩა ქრისტიანულ ქვეყნად.

1396—1403 წლებში საქართველომ ყველაზე დიდი უბედურება განიცადა. მოსახლეობა ისე შემცირდა, რომ XV—XVI საუკუნეებშიაც მრავალი ადგილი უკაცრიელი იყო. ქვეყნის საწარმოო ძალთა განადგურებას მოჰყვა პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული დაქვეითება. როგორც აკად. ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავს, ფრთხილი და მოქნილი პოლიტიკით საქართველოს შეეძლო ნაკლებ დაზარალებული გამოსულიყო. ოქროს ურდოს დამარცხების შემდეგ, როცა თემურლენგს ღირსეული მოწინააღმდეგე არ ჰყავდა, აქტიური საგარეო პოლიტიკა, რომელსაც გიორგი VII ადგა, მიზანშეწონილი არ იყო. თემურლენგის შემოსევებმა ყველაზე მეტად გააპარტახა საქართველო 1399—1400 წლებში. ეს შემოსევა კი მოჰყვა გიორგი VII-ის ლაშქრობას ნახჭევანში ალინჯას ციხის დამცველთა დასახმარებლად. თვით ქართველებმა იცოდნენ, რომ

---

[93] პიმატაკარანები, გვ. 27—28.

[94] კ. ტ ა ბ ა ტ ა ძ ე , დასახ. ნაშრომი, გვ. 157.

[95] იქვე, გვ. 209—211; დ. კაციტაძის აზრით, 1401 წ. ზავით საქართველო ვასალური ქვეყანა იყო, 1403 წ. ზავით კი — დაპყრობილი (დ. კ ა ც ი ტ ა ძ ე , საქართველო XIV—XV საუკუნის მიჯნაზე, 1975, გვ. 185—186); მისივე, აბდ არ-რეზაყ სამარყანდის „მათლა ასადაინ ვა მაჯმა ალ-ბაჰრეინის ცნობები საქართველოს შესახებ" („მაცნე", 1968, №2, გვ. 204).

ასეთი გამომწვევი პოლიტიკა იყო დიდი ნგრევის მიზეზი. გიორგი VII გულადი მეომარი იყო, მაგრამ მას აკლდა პოლიტიკური შორსმჭვრეტელობა და მიზანშეწონილი საგარეო პოლიტიკის უნარი[96].

თბილისი XV საუკუნეში

თემურლენგის გარდაცვალების შემდეგ (1405 წ.) მისი უზარმაზარი იმპერია სწრაფად დაიშალა. თემურის მემკვიდრეებს (თემურიანებს) შორის ატეხილი დაუნდობელი ბრძოლებით კარგად ისარგებლეს საქართველოს, შაქისა და შირვანის მმართველებმა და თავისუფლებისათვის მებრძოლ ფართო მასებზე დაყრდნობით დამოუკიდებლობა მოიპოვეს. 1405 წლიდან თბილისმა კვლავ დაიბრუნა დამოუკიდებელი საქართველოს, ფეოდალური სახელმწიფოს დედაქალაქის უფლებები, მაგრამ ქვეყანას სანატრელი მშვიდობიანობა მაინც არ დადგომია.

XV საუკუნის დასაწყისიდან აზერბაიჯანსა და დასავლეთ ირანში გაძლიერება იწყო მომთაბარე თურქმანულ ტომთა კავშირმა — ყარა-ყოინლუმ, ე. ი. შავბატკნიანებმა (მათ დროშაზე შავი ბატკანი იყო გამოსახული და აქედან წარმოსდგა ეს სახელი). 1407 წ. ყარა-ყოინლუს ტომთა კავშირის მეთაური ყარა იუსუფი საქართველოს შემოესია. მისმა ლაშქარმა ქრისტიანული მოსახლეობა გაძარცვა და ბევრი ამოწყვიტა, თან 15 ათასი ტყვე წაიყვანა[97]. მათთან ბრძოლაში დაიღუპა გიორგი VII.

1410 წ. ყარა იუსუფმა თავის მოწინააღმდეგეებზე გაიმარჯვა და საფუძველი ჩაუყარა ყარა-ყოინლუს სახელმწიფოს, რომელმაც 1468 წლამდე იარსება. მასში შედიოდა აზერბაიჯანი (მდ. მტკვრის სამხრეთით), ერაყი და სომხეთი. 1412 წელს საქართველოს, შაქისა და შირვანის გაერთიანებული ლაშქარი ყარა იუსუფთან ბრძოლაში დამარცხდა. ამ ბრძოლას შეეწირა საქართველოს მეფე კონსტანტინე I.

ალექსანდრე I დიდის მეფობაში (1412—1442 წწ.) საქართველო შედარებით მოსვენებული იყო მტრებისაგან. ამ დროს გაიშალა დიდი აღმშენებლობითი სამუშაოები. ბევრი გაკეთდა დანგრეული თბილისის აღსადგენადაც, ქალაქის მოსახლეობამაც იმატა.

XV საუკუნის 30-იან წლებში ყარა-ყოინლუს სახელმწიფოს წინააღმდეგ გამოვიდა თემურლენგის შვილი შაჰრუჰი, რომელიც შუა აზიისა და ირანის დიდ ნაწილს ფლობდა. 1435 წელს შაჰრუჰისა და შირვანშა-

---

[96] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, წიგ. III, 1941, გვ. 223—225; სხვა აზრისაა ამ საკითხზე კ. ტაბატაძე. მისი აზრით, მას შემდეგაც, რაც საქართველო „მარტოდმარტო აღმოჩნდა თემურის მრავალრიცხოვანი ურდოების პირისპირ..., გიორგი VII-მ თავი გამოიჩინა როგორც გამჭრიახმა სახელმწიფო მოღვაწემ" (კ. ტ ა ბ ა ტ ა ძ ე, დასახ. ნაშრომი. გვ. 226).

[97] ჰიშატაკარანები. გვ. 31—32.

ჰის ჯარებმა დაამარცხეს ყარა-ყოინლუს ლაშქარი. შაჰრუჰი თავრიზში შევიდა და ყარა-ყოინლუ მისი ვასალური სახელმწიფო გახდა[98]. ამავე წელს, როცა შაჰრუჰმა სომხეთში ილაშქრა, ალექსანდრე I-მა ბრძოლა მიზანშეუწონლად ჩათვალა და მასთან დიდი ძღვენით თავისი შვილი დიმიტრი გაგზავნა მშვიდობის სათხოვნელად. შაჰრუჰმა „სიხარულით შეიწყნარა და პატივსცა ძისაებრ დიმიტრის. შემდგომად ანიჭნა ნიჭნი დიდ-დიდნი (ე. ი. დიდძალი საჩუქრები მიართვა) და წარმოუვლინა მამასვე მშვიდობით ზავისა მყოფელმან; და თუით შარუხ (შაჰრუჰი) უკუნიქცა და წარვიდა"[99]. როგორც ჩანს, საქართველო თავისი დედაქალაქითურთ 1435—1440 წლებში შაჰრუჰის ვასალური ქვეყანა იყო.

ყარა-ყოინლუს სახელმწიფოს მბრძანებელი ჯეჰან შაჰი (1435—1467 წწ.) ალექსანდრე I-საგან დამორჩილებასა და ხარკის გადახდას მოითხოვდა. მან რამდენჯერმე გაგზავნა თბილისში მოციქულები ასეთი მოთხოვნით, მაგრამ ალექსანდრემ გადაჭრით უარყო იგი [100]. ამით გაგულისებულმა ჯეჰან შაჰმა ოციათასიანი ლაშქარი დაძრა საქართველოს წინააღმდეგ და 1440 წლის 27 მარტს, აღდგომა დღეს, მოულოდნელად მიადგა ქ. სამშვილდეს (ამჟამად სოფელი თეთრი წყაროს რაიონში). დიდი ხნის ალყის შემდეგ მტერმა აიღო სამშვილდე და მის კარიბჭესთან ჯეჰან შაჰის ბრძანებით, 1164 მოჭრილი თავისაგან მინარეთი ააგო. დატყვევებულთა რიცხვი ათი ათასს აღწევდა[101].

სამშვილდეღან მტერი ქ. თბილისს მიადგა, შევიდა ქალაქში და ხელი მიჰყო ნგრევასა და ძარცვას, ძირფესვიანად დაანგრია თითქმის ყველა ეკლესია და შემდეგ ქალაქს ცეცხლი წაუკიდა. ჯეჰან შაჰმა მოსახლეობას დიდი გადასახადები დაადო იმ ანგარიშით, რომ ისინი ვერ შეძლებდნენ გადახდას და იძულებული გახდებოდნენ მიეღოთ მუსლიმანობა[102].

როგორც ირკვევა, თბილისის აღების შემდეგ საქართველო ყარა-ყოინლუს სახელმწიფოს მოხარკე გახდა. ეს აზრი ემყარება ყარა-ყოინლუს სახელმწიფოს გაძლიერების ფაქტს XV საუკუნის 40—50-იან წლებში: შაჰრუჰის გარდაცვალების (1447 წ.) შემდეგ ჯეჰან შაჰმა დაიპყრო სპარსეთის ერაყი, ფარსი, ე. ი. მთელი დასავლეთი ირანი (1453 წ.), შემდეგ კი აღმოსავლეთ ირანის ნაწილიც და 1458 წელს თემურიანი სულთნების დედაქალაქი ჰერატი ჩაიგდო ხელში[103].

---

[98] Петрушевский И. П. Государства Азербайджана в XV веке. — წიგნში: Сборник статей по истории Азербайджана, вып. I, Баку, 1949, с. 165.

[99] ვახუშტი, იხ. ქართლის ცხოვრება, ტ. IV,1973, ს. ყაუხჩიშვილის გამოცემა, გვ. 280—281.

[100] თ. მეწოფელი, დასახ. ნაშრომი, გვ. 83.

[101] თ. მეწოფელი, იქვე; ჰიშატაკარანები, გვ. 60, 66, 161—163.

[102] თ. მეწოფელი გვ. 84; ჰიშატაკარანები, გვ. 60—66.

[103] ი. პეტრუშევსკი, დასახ. ნაშრომი, გვ. 166 (რუსულ ენაზე).

XV საუკუნის 50—60-იან წლებში საერთაშორისო მდგომარეობა ახლო და შუა აღმოსავლეთში მნიშვნელოვნად შეიცვალა. 1453 წ. ოსმალო თურქებმა აიღეს ქ. კონსტანტინოპოლი და საბოლოოდ დაეცა ბიზანტიის იმპერია. 1461 წელს მათ დაიპყრეს ტრაპიზონის სამეფოც, ხოლო 1475 წელს კაფა (ამჟამად ქ. ფეოდოსია). დასავლეთ ევროპასა და აღმოსავლეთის ქვეყნებს შორის ჩადგა თურქეთის აგრესიული სახელმწიფო, საქართველოს დაეხშო პირდაპირი გზა ევროპის ქვეყნებისაკენ, ამავე დროს გაუარესდა საქართველოს შინაპოლიტიკური ვითარებაც: ერთიანი ქვეყნის პოლიტიკური დაშლის პროცესი გადამწყვეტ ფაზაში შევიდა. 50-იანი წლების ბოლოს, დასავლეთ ევროპის ინიციატივით თურქეთის კოალიციის მოწყობის გეგმის ჩაშლის შემდეგ, საქართველოში შინაპოლიტიკური ბრძოლა გამწვავდა და 60-იან წლებში ერთიანი საქართველო ფაქტობრივად დაიშალა ქართლ-იმერეთისა და კახეთის სამეფოებად, სამცხე-საათაბაგოსა და ოდიშ—გურია—აფხაზეთის სამთავროებად. სამეფო-სამთავროებში უკვე ჩამოყალიბდნენ მსხვილი სათავადოები, რომლებიც ვერ ითმენდნენ ძლიერ ცენტრალურ ხელისუფლებას.

ასეთ ვითარებაში საქართველოს სამხრეთ-აღმოსავლეთით ყარა-ყოინლუს სახელმწიფოს ნანგრევებზე 1468 წელს ჩამოყალიბდა აყ-ყოინლუს, ე. ი. თეთრბატკნიანთა თურქმანული სახელმწიფო. მისი დამაარსებელი იყო ჰასანბეგი ანუ უზუნ ჰასანი (გრძელი ჰასანი). აყ-ყოინლუს სახელმწიფოში (1468—1503 წწ.) შედიოდა აზერბაიჯანი, სომხეთი, არაბული ერაყი და დასავლეთ ირანი, ცენტრი იყო ქ. თავრიზი. ამ დროიდან ერთმანეთს დაუპირისპირდა ორი ძლიერი იმპერია — თურქეთი და აყ-ყოინლუს სახელმწიფო. საქართველოს სამეფო-სამთავროები აყ-ყოინლუს სახელმწიფოს გავლენის ქვეშ მოექცნენ. 1473 წელს თურქეთთან ომში უზუნ ჰასანის ლაშქარში ქართველებიც მონაწილეობდნენ. ამ ომში უზუნ ჰასანი სასტიკად დამარცხდა.

1474—1475 წლებში გავრცელდა შავი ჭირი, რომელსაც დიდი მსხვერპლი მოჰყვა. 1474 წელს თბილისში გადაწერილი სომხური სახარების მინაწერში გადამწერი ამბობს: „ვიში და ვაება გვესმის ჩვენ, მწუხარებას ხედავენ ჩვენი თვალები, რამეთუ ცოდვათა ჩვენთა გამო განურისხდა სახიერი ღმერთი ქალაქ ტფილისს და იყო დიდი სიკვდილიანობა, რომლის აღწერა არ ძალგვიძს... ყოველ დღე და ყოველ საათს იყო ისეთი ძრწოლა... რომ გული გვატკინა... ძმას არ შეეძლო წასვლა ძმის

სანუგეშებლად. ასეთი გოდების მოთხრობა ვის ძალუძს"[104]. თბილისში შავი ჭირის ფაქტს ადასტურებს 1475 წლის 30 სექტემბერს თბილისში ჩამოსული ვენეციელი ელჩი უზუნ ჰასანის კარზე, ამბროზიო კონტარინი. ის წერს, რომ თბილისი წინათ სახელგანთქმული იყო თავისი სიდიდით, ამჟამად კი დაცემულია, მაგრამ ქალაქის ის ადგილები, რომლებიც აოხრებას გადარჩენია, ეხლაც კარგად არის დასახლებული. მისივე სიტყვით აღნიშნულ წელს „შავი ჭირი ძლიერ მუსრავდა ხალხს"[105].

1476 წელს უზუნ ჰასანი საქართველოს შემოესია. მისი მიზანი ქვეყნის გაძარცვა, ქონებისა და ტყვეების ხელში ჩაგდება იყო. უზუნ ჰასანის კარზე მყოფი ვენეციელი ელჩის, იოსაფატ ბარბაროს ცნობით, დამპყრობელი ამ ლაშქრობისათვის საიდუმლოდ ემზადებოდა. უზუნ ჰასანის ბრძანებით, ხმა გაავრცელეს, რომ საომარი სამზადისის მიზანი თურქეთის წინააღმდეგ ლაშქრობა იყო. დაახლოებით 30—35-ათასიანი ლაშქრით, რომელშიაც 20—24 ათასი ცხენოსანი იყო, უზუნ ჰასანი ერთი კვირის განმავლობაში სხვა მიმართულებით მიდიოდა. შემდეგ კი ხელმარჯვნივ საქართველოსაკენ იბრუნა პირი. საქართველოში შეჭრისთანავე მან წინ გაგზავნა 5 ათასამდე ცხენოსანი, რომლებიც ჭრიდნენ და წვავდნენ ტყეებს (ლაშქარს უნდა გაეელო დიდი მთები და უზარმაზარი ტყეები). ლაშქრის ძირითადი ნაწილი შორიდანვე ხედავდა ცეცხლს და ამგვარად გამზადებული გზით მიიწევდა წინ. ორი დღის შემდეგ აგრესორები თბილისამდე მოვიდნენ. ცხადია, მტრის მოძრაობა ხალხისთვის შეუმჩნეველი არ დარჩებოდა და მოსახლეობა წინაწარ გაიხიზნა. უზუნ ჰასანი თბილისს წინააღმდეგობის გაუწევლად დაეუფლა[106]. ამის მიზეზი ის იყო, რომ ქართლ-იმერეთის მეფე ბაგრატ VI (1466—1478 წწ.) ამ დროს ლაშქრით დასავლეთ საქართველოში იმყოფებოდა ოდიშის (სამეგრელოს) გამდგარი მთავრის ვამეყ II დადიანის დასამორჩილებლად[107].

---

[104] პიშატაკარანები, გვ. 85.

[105] იტალიელი მოგზაურები საქართველოში. ამბროზიო კონტარინი, ეურნ. „მოამბე", 1894, № XI, გვ. 55—56.

[106] ი ო ს ა ფ ა ტ (ჯოსაფატ) ბ ა რ ბ ა რ ო, მოგზაურობა სპარსეთში. — წიგნში: XV საუკუნის იტალიელ მოგზაურთა ცნობები საქართველოს შესახებ, ე. მამისთვალიშვილის გამოცემა, 1981, გვ. 60—61; ჯ ო ვ ა ნ ი მ ა რ ი ო ა ნ ჯ ო ლ ე ლ ო. იქვე, გვ. 77—78.

[107] ვ ა ხ უ შ ტ ი. ქართლის ცხოვრება, გვ. 807. ბერი ეგნატაშვილის ცნობითაც, ამ დროს მეფე ლიხთიქოთ იყო. ქართველნი თან ახლდნენ (II, 342). აღნიშნულ ფაქტს ადასტურებს სომხური წყაროც, რომლის ავტორი მოელენის თანამედროვე იყო. ამ ცნობით, „ქართველთა ქვეყნის მეფე ბაგრატი წასული იყო ლაკზსტანს, მათთან საომრად, ჯავრის საყრელად" (პიშატაკარანები, გვ. 86). ძეგლის გამომცემელ ა. აბდალაძის აზრით, ამ ცნობის მიხედვით, ბაგრატ VI დაღესტანში ყოფილა სალაშქროდ (იქვე, გვ. 176—177). როგორც ენახეთ, ქართული წყაროებით, ამ დროს ბაგრატი ოდიშში — სამეგრელოში იმყოფებოდა. ეს კი სომხური ცნობის ლაკზსტანი უნდა იყოს. ლაზისტანი — სამეგრელო და არა დაღესტნის ლაკზსტანი — ლაკების (ყაზიყუმუხების) ქვეყანა.

უზუნ ჰასანის ლაშქარმა თბილისი, გორი, ქუთაისი, სკანდა და საერთოდ საქართველოს უდიდესი ნაწილი გაძარცვა[108] და დიდძალი ქონება იგდო ხელთ. ერთი სომეხი თანამედროვის სიტყვით, უზუნ ჰასანის ჯარი „მოედო ქართველთა ქვეყანას, მიაღწიეს აფხაზთა საზღვრებამდე... ბევრი საშინელება ჩაიდინეს... 32 000 სული დაატყვევეს და 48 000 გაწყვიტეს“[109]. ბარბაროსა და ანჯოლელოს ცნობით კი მტრის მიერ დატყვევებულთა რიცხვი 4—5 ათასი იქნებოდა[110]. ეს ცნობა უფრო სარწმუნო უნდა იყოს.

უზუნ ჰასანმა ბაგრატ VI-ს და სამცხე-საათაბაგოს ათაბაგს ყუარყუარე II-ს (1451—1498 წწ.) მოსთხოვა 16 ათასი დუკატის[111] გადახდა და პირობა მისცა, რომ საქართველოს თავისუფალს დატოვებდა, გარდა თბილისისა. საქართველოს მეფე-მთავარნი იძულებული გახდნენ დათანხმებოდნენ ამ პირობას[112]. თავრიზში დაბრუნების წინ უზუნ ჰასანმა თბილისისა და მისი მხარის გამგებლად დანიშნა თავისი ერთ-ერთი ენერგიული ამირათაგანი — ხალილ ბეგი, რომელიც დიდ ზიანს აყენებდა ქართველებს[113].

როგორც ვნახეთ, 1476—1477 წწ. თბილისს უცხოელები დაეუფლნენ, მაგრამ ეს დიდხანს არ გაგრძელებულა. 1478 წლის 5 იანვარს უზუნ ჰასანი გარდაიცვალა და შინაგან სიმტკიცეს მოკლებულ მის სამფლობელოში განუწყვეტელი შინა ომები დაიწყო. ამით ისარგებლეს ქართველებმა და „თბილისი და სომხითი დაიჭირა მეფემან ბაგრატ“[114]. ეს მომხდარა მაშინ, როცა უზუნ ჰასანის გარდაცვალების შემდეგ „მიიღო პატრონობა ძემან მისმან სულთანმან და ძმა მისი იაყუბ უშურებოდა მიღებად პატრონობისა“[115]. ეს სულთანი იყო მირზა ხალილი, რომელმაც ტახტი მხოლოდ 6 თვეს შეინარჩუნა. ის 1478 წლის 15 ივლისს დაამარცხა და მოაკვლევინა მისმა ძმამ იაყუბმა[116].

ამრიგად, თბილისი აყ-ყოინლუს სახელმწიფოს მორჩილებაში იმყო-

---

108 ბ ა რ ბ ა რ ო , დასახ. ნაშრომი, გვ. 61—62; ა ნ ჯ ო ლ ე ლ ო , დასახ. ნაშრომი, გვ. 78.

109 პიშატაკარანები, გვ. 90—92.

110 ბ ა რ ბ ა რ ო , დასახ. ნაშრომი, გვ. 62; ა ნ ჯ ო ლ ე ლ ო , დასახ. ნაშრომი, გვ. 77—78.

111 დუკატი, ოქროს მონეტა, იჭრებოდა ვენეციაში 1284 წლიდან. იწონიდა 3,5 გ. 16 ათასი დუკატი შეიცავდა 56 კგ წმინდა ოქროს.

112 ბ ა რ ბ ა რ ო , დასახ. ნაშრომი, გვ. 61—62; ა ნ ჯ ო ლ ე ლ ო , დასახ. ნაშრომი, გვ. 78.

113 რ. კ ი კ ნ ა ძ ე , საქართველო-ირანის ურთიერთობის ისტორიიდან XV ს. მეორე ნახევარში, ისტორიის ინსტიტუტის შრომები, VII, 1964, გვ. 122; ჰასან რუმლუს ცნობები საქართველოს შესახებ, თბ., 1966, გვ. 51.

114 ქართლის ცხოვრება, II, გვ. 342, 479.

115 იქვე, გვ. 479.

116 ი. პ ე ტ რ უ შ ე ვ ს კ ი , დასახ. ნაშრომი, გვ. 175 (რუსულ ენაზე).

ფებოდა 1476—1478 წლებში, გათავისუფლდა და დამოუკიდებლობა მოიპოვა 1478 წლის 5 იანვარსა და 15 ივლისს შორის პერიოდში.

* *
*

XV საუკუნის 80-იან წლებში საქართველოში გამწვავდა შინაფეოდალური ბრძოლები მეფე-მთავრებს შორის. ამ ბრძოლების შედეგად ქართლ-იმერეთის სამეფოს გამოეყო და ცალკე სამეფოდ ჩამოყალიბდა იმერეთი (1484—1489 წწ.).

ასეთ ვითარებაში დაიწყო აყ-ყოინლუს სახელმწიფოს ახალი შემოსევები საქართველოში. 1482—1483 წწ. იაყუბ ყაენმა ილაშქრა სამხრეთ საქართველოსა და ქვემო ქართლში, ააოხრა და დაარბია ქვეყანა. 1487 წელს ყაენმა საქართველოში გამოგზავნა ზემოხსენებული ხალილი, რომელსაც უბრძანა თბილისის აღება და ქართველების დამორჩილება. მტრის ლაშქარმა ალყა შემოარტყა თბილისს და „ებრძოდეს მრავალ-დღე და ვერარა ავნეს, რამეთუ სიმტკიცეს ზედა ეგნეს; და იყვის ყოველთა დღეთა ომი და არა იყო ღონე ციხის წაღებისა"[117]. ქართლის მეფემ კონსტანტინე II-მ (1478—1505 წწ.) მტრის წინააღმდეგ ძლიერი რაზმები გაგზავნა ქაიხოსრო ციციშვილისა და ჯავახ ჯავახიშვილის მეთაურობით. ესენი და ბარათაშვილთა რაზმები თავს დაესხნენ სოფ. ჭანდარში (ახლანდელი ჯანდარი მარნეულის რაიონში, მდ. ალგეთის მარცხენა ნაპირზე, მარნეულის ჩრდილოეთით) მდგომ თურქმანებს და თითქმის მთლიანად ამოწყვიტეს. ხალილ მირზა იძულებული იყო თბილისისათვის ალყა მოეხსნა და უკან დაეხია. ქართველები სოფ. კუმისის (ახ. გარდაბნის რაიონში) ბოლოს მიეწივნენ მათ და სასტიკად დააამარცხეს[118]. 1488 წ. ყაენმა ბრძანა დაეწყოთ საღვთო ომი საქართველოს წინააღმდეგ. თურქმანთა ძლიერი მაშველი ლაშქარი თბილისისაკენ დაიძრა და მდ. ალგეთთან შეუერთდა ხალილ ბეგის ლაშქარს. მტრის შეერთებული ლაშქარი კოჯრის ციხეს მიადგა. ბრძოლა დიდხანს გრძელდებოდა. მტერმა ზარბაზნებით ციხე საგრძნობლად დააზიანა, მაგრამ ციხის მცველები არ ნებდებოდნენ. ერთ ღამეს დიდი თოვლი მოვიდა და მოალყენი ციხეს ცოტათი მოშორდნენ. ამით ისარგებლეს ქართველებმა და ციხე ისე დაცალეს, რომ მტერს არაფერი გაუგია[119]. ამის შემდეგ

---

[117] ქართლის ცხოვრება, II, გვ. 284, 343—344.

[118] იქვე.

[119] სპარსელი ისტორიკოსის იბნ რუზბეჰანის ცნობით, თურქმანებმა აიღეს კოჯრის ციხე, ბევრი ტყვე ნადავლი ხელთ იგდეს, მეთაურებს თავები მოჭეეთეს და იაყუბს გაუგზავნეს ყარაბაღში (იხ. რ. კ ი კ ნ ა ძ ე, საქართველო-ირანის ურთიერთობის ისტორიიდან XV ს. მეორე ნახევარში, გვ. 127—128).

მტერი თბილისს მიადგა. ასეთ მძიმე დროს კონსტანტინე II-ს დახმარება არ გაუწია საქართველოს არც ეოთმა მეფე-მთავარმა, მხოლოდ საკუთარი ძალებით კი მტერთან პირდაპირი შებმა ვერ გაბედა და ჯგუფურ ბრძოლაზე გადავიდა.

ქალაქის მცველები ციხეში გამაგრდნენ და შეუპოვარ წინააღმდეგობას უწევდნენ მტერს. ბრძოლა დიდხანს გაგრძელდა. ერთხელ მოალყეებმა ძლიერი რაზმი გაგზავნეს ორბეთისაკენ (ახლ. თეთრი წყაროს რაიონში), ამოწყვიტეს და დაარბიეს მთის სოფლები და ბევრი ალაფი და ტყვე იგდეს ხელთ. ამის გაგონებისთანავე ქართველთა მცირე რაზმი თავს დაესხა მათ და თითქმის მთლიანად გაჟლიტა მტერი. ამ ბრძოლის ერთი მონაწილის სიტყვით, მტრის მხოლოდ მცირე ნაწილმა მოახერხა თავის გადარჩენა[120]. ქართველების ამ გამარჯვებათა შედეგად მტრებმა თბილისს ალყა მოხსნეს და „წარვიდნენ მოსწრაფელ თჳსად"[121]. ქართულ წყაროებში არაფერია ნათქვამი მტრის მიერ თბილისის აღების შესახებ. პირიქით, ამ წყაროებში ნათქვამია, რომ, თუ არა ქართველთა ასეთი გამარჯვებები, მტერი ქალაქსაც აიღებდა და ქართლსაც შემოეჯიდებოდა და „მას უკანის თათართა ძალი ვერღარა უკადრებია და არცა-ღა რბევა, გატყდეს და შეშინდეს შეწევნითა ღჳთისათა"[122]. მაგრამ იბნ რუზბეჰანის ცნობით, იაყუბის ლაშქარმა თბილისი აიღო. ეს მომხდარა 1489 წ. თებერვალში. თბილისში მათ მცირერიცხოვანი გარნიზონი დაუტოვებიათ და წასულან[123]. სავარაუდებელია, რომ ქართველებმა მალე განდევნეს თურქმანთა მცირერიცხოვანი რაზმი თბილისიდან[124].

თუ სპარსული წყაროს ცნობა სწორია, თბილისიდან თურქმანული გარნიზონის განდევნა უნდა ვივარაუდოთ იაყუბ ყაენის გარდაცვალების (1490 წ.) შემდეგ. როცა აყ-ყოინლუს სახელმწიფოში დაიწყო მძაფრი შინაფეოდალური ბრძოლები, რომლებიც ამ სახელმწიფოს დაცემამდე არ შეწყვეტილა. როგორადაც არ უნდა ყოფილიყო, ანგარიში უნდა გაეწიოს შემდეგ ფაქტს: სეფიანთა სახელმწიფოს დამაარსებელი ისმაილი 1500 წ. ქართლისა და კახეთის მეფეებს და სამცხე-საათაბაგოს მთავარს დახმარებას სთხოვდა უზუნ ჰასანის შვილიშვილის აღვენდის წინააღმდეგ ბრძოლაში და სამაგიეროდ თავრიზის აღების შემდეგ მათ ჰპირდებოდა იმ ხარკისაგან გათავისუფლებას, რომელსაც ისინი უხდიდნენ აყ-

---

[120] ქართლის ცხოვრება, II, 344 — 345, 485; რ. კიკნაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 128.

[121] ვახუშტი, დასახ. ნაშრომი, გვ. 388—390.

[122] ქართლის ცხოვრება, II, გვ. 345, 385.

[123] რ. კიკნაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 129.

[124] იქვე.

ყოინლუს სახელმწიფოს[125]. აქედან უნდა დავასკვნათ, რომ მიუხედავად იმისა, იდგა თუ არა თბილისში თურქმანთა გარნიზონი, ქართლის სამეფო, ისე როგორც კახეთი და სამცხე-საათაბაგო XVI ს. 90-იან წლებში აყ-ყოინლუს სახელმწიფოს ვასალი იყო, თუმცა ის უსიტყვოდ როდი ას-რულებდა ამ მოვალეობას.

[125] ვ. გ უ ჩ უ ა, ქართველი ხალხის ბრძოლა დამოუკიდებლობისა და პოლიტიკური მთლიანობის აღდგენისათვის XVI საუკუნეში. — წიგნში: საქართველოს ისტორიის ნარ-კვევები, ტ. IV, 1973, გვ. 89--91.

VII

თბილისი სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული დაქვეითების გზაზე (XIII—XV სს.)

თბილისის ეკონომიკური ვითარება

ჯალალ ედ-დინის შემოსევათა და მონღოლთა ბატონობის შედეგად თბილისის ეკონომიკური ცხოვრება დაქვეითების გზას დაადგა. მოსახლეობა კატასტროფულად შემცირდა. დიდი იყო დახოცილთა და ტყვეებად დატაცებულთა რიცხვი. ცოცხლად დარჩენილები გადასახადებს ვეღარ აუდიოდნენ.

თბილისის ეკონომიკური ცხოვრების დაცემის ერთი მაჩვენებელი იყო დამპყრობელთა მიერ ქალაქის კერამიკული სახელოსნოების განადგურება. არქეოლოგიური გათხრებით მოპოვებული მასალები მოწმობენ, რომ აქ საწარმოო ცხოვრება ჩამკვდარა ჯალალ ედ-დინის შემოსევების თუ ცოტა მოგვიანო პერიოდში[1]. შემდგომ საუკუნეებში ამ სახელოსნოთა ადგილზე წარმოება აღარ განახლებულა, უფრო გვიან კი აქ ბაღები გაუშენებიათ.

მონღოლთა ბატონობის დამდეგსვე დამპყრობლებმა საქართველოს ქალაქები, მათ შორის თბილისი, უზომო გადასახადებით დაბეგრეს. სათანადო გამოსაღებები დაუწესეს ვაჭრებს, ხელოსნებს, მეთევზეებს და სხვ. თბილისის მოსახლეობისათვის განსაკუთრებით მძიმე იყო გადასახადი დამღა, რომელიც სავაჭრო საქონელზე იყო დაწესებული. ყოველ ნავაჭრზე მონღოლებს მიჰქონდათ ღირებულების 3%[2]. ამასთანავე მოსახლეობას კვლავ უხდებოდა ძველი, ადგილობრივი გადასახადების გამოღება.

მონღოლთა ბატონობის პირობებში თავდაპირველად შეფერხდა სავაჭრო ურთიერთობები ირანსა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებთან, მაგრამ ოდითგანავე გაკვალულმა გზებმა, ჩრდილოეთ კავკასიის მიმართულებით, თბილისს საშუალება მისცა შეენარჩუნებინა კონტაქტები ოქროს ურდოს სამყაროსთან. თბილისი იზიდავდა მეზობელი ქვეყნების ვაჭრებს. ზოგი მათგანი აქ ბინასაც იდებდა.

---

[1] გ. ლომთათიძე, არქეოლოგიური გათხრა თბილისში 1948 წლის ზამთარში.— მასალები საქართველოს და კავკასიის არქეოლოგიისათვის, 1, გვ. 162.

[2] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, III, 1979, გვ. 561.

მარკო პოლოს ცნობით, რომელიც მონღოლთა ბატონობის ეპოქის ვითარებას ასახავს, საქართველოში არის „ქალაქები და დაბები“, სადაც ისეთ ლამაზ აბრეშუმს და ოქროქსოვილს ამზადებენ, რომლის ბადალსაც სხვაგან ვერ შეხვდებით. თბილისი ხელოსნობის ცენტრია. ამზადებენ აბრეშუმისა და სხვა სახის ქსოვილებს[3].

ხელოსნური წარმოების მაღალი დონის შესახებ ამ დროის თბილისში წარმოდგენას ქმნის XIII ს-ში წარმოებული მშენებლობა. ულუ-დავითის დროს, არაუგვიანეს XIII ს. 50-იანი წლებისა, აღადგინეს, „ახლად აღაშენეს“, ხვარაზმელთაგან დანგრეული ეკლესია „წმიდისა ქალწულისა ქრისტინასი“[4]. ამავე პერიოდში მესტუმრე ჯიქურის მესვეურობით აღდგენილ იქნა სამეფო პალატა ისანში. უფრო მოგვიანებით, დიმიტრი II-ის დროს, ამავე ტერიტორიაზე აღადგინეს აგრეთვე მეტეხის ღვთისმშობლის ეკლესია[5]. თბილისშივე თავისი ეკლესიები ააშენეს მონღოლთა ბატონობის პირობებში დაწინაურებულმა უმეკმა[6] და შახბადინმა[7].

XIII—XV სს. თბილისი კვლავ რჩებოდა მსხვილ სავაჭრო ცენტრად. ქალაქში მოქმედებდნენ სავაჭროები (ქულბაქები, ბაზარნი...). ეს წერილობითი მასალებიდან ჩანს[8]. ფრაგმენტული ცნობის მიხედვით, თბილელები თევზს მოვაკანის მხრიდან ეზიდებოდნენ[9]. შემოჰქონდათ ქაღალდიც. ერთ-ერთი მინაწერი გვამცნობს, რომ თბილისში ქაღალდი დამასკოდან მოუტანიათ[10]. ეს იყო უმთავრესად ხამი ქაღალდი, რომელსაც შემდეგში, საწერად გამოყენებამდე, შესაფერისი ტექნოლოგიური დამუშავება, ე. წ. „გალესვა“, ესაჭიროებოდა[11]. თბილისში ვინმე გადამწერს მისი ძმები „გალესვაში“ ეხმარებოდნენ[12].

თბილისის ეკონომიკური ცხოვრების გაფართოება დაკავშირებულია მონღოლთა ბატონობის გადავარდნასთან. გიორგი ბრწყინვალის დროს

---

[3] Книга Марко Поло, перевод старофранцузского текста И. П. Минаева, М., 1955, с. 58, 252.

[4] ქართლის ცხოვრება, II, გვ. 239.

[5] ვ. ბერიძე, რ. მეფისაშვილი, ლ. რჩეულიშვილი, რ. შმერლინგი, თბილისის მეტეხის ტაძარი, თბ., 1969, გვ. 12.

[6] Орбели И. А. Фрагмент крестного камня с арабской надписью в Тифлисе. «Христианский Восток», IV, 1918, с. 197.

[7] Маргарян А. К вопросу о личности и деятельности «Некоего Шадина». — Сб. Кавказ и Византия, 3, Ереван, 1982, с. 71.

[8] ქართლ-კახეთ-მესხეთის საკათალიკოსოს მამულების სითარხნის გუჯარი. ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, გვ. 176.

[9] ქართლის ცხოვრება, II, გვ. 292.

[10] ჯიშტაკაარანები, გვ. 49.

[11] ამ ტექნოლოგიური პროცესის შესახებ იხ. რ. პატარიძე. ქაღალდის დამუშავების საკითხისათვის ფეოდალურ საქართველოში. — კრებ. პალეოგრაფიული ძიებანი, თბ., 1965, ტ. I, გვ. 51—56.

[12] ჯიშტაკაარანები. გვ. 47.

ეს პროცესი გამოიხატა, მაგალითად, ევროპის ქვეყნებთან სამეურნეო კონტაქტების გაუმჯობესებით. წერილობითი და ნუმიზმატიკური მონაცემებიდან ჩანს, რომ XIV ს. საქართველოს ცხოველი სავაჭრო კავშირი ჰქონდა ოქროს ურდოსთან, ირანისა და მცირე აზიის ქვეყნებთან და, განსაკუთრებით, ჩრდილოეთ იტალიის ქალაქ-სახელმწიფოებთან. ამ უკანასკნელებმა XIII—XIV სს. მონღოლთა სამყაროსთან მნიშვნელოვანი სავაჭრო კავშირი დაამყარეს. მათვე გარკვეული წარმატებები ჰქონდათ შავი და აზოვის ზღვების ჩრდილოეთ და აღმოსავლეთ სანაპიროებზე[13]. გამოცოცხლდა ამ რეგიონის პოლიტიკური კონტაქტები ევროპასთან. დასავლეთ ევროპის ხელისუფალნი გიორგი ბრწყინვალეს (1314—1346 წწ.) ახალ ჯვაროსნულ ომშიაც იწვევდნენ მონაწილედ[14]. ნიშანდობლივია რომის პაპის იოვანე XXII-ის 1328 წ. განცხადება სმირნის კათოლიკური საეპისკოპოსოს თბილისში გადმოტანასთან დაკავშირებით: „დიდი და ხანგრძლივი გამოძიებით" პაპი და მისი კარდინალები დარწმუნებულან, რომ „თბილისი, ქართველთა სამეფოს შუაგული, საუკეთესო, მეტად შესანიშნავი, ერით სავსე, მარჯვე და სიმდიდრით უხვი ქალაქია"[15].

თბილისის აღმავლობა არც ამ დროს გაგრძელებულა დიდხანს. მონღოლთა ბატონობის დროინდელი მძიმე შედეგები გააღრმავეს თურქმანული ტომების ხშირმა შემოსევებმა. ამ მხრივ პირველი და ყველაზე მრისხანე იყო თემურლენგის ლაშქრობები საქართველოში. 1386 წელს თემურმა ერთიანად გააპარტახა და გაძარცვა თბილისი. მიხეილ პანარეტოსის ცნობით, თემურმა „რა ქონება იგდო ხელთ, რა ხატები გაძარცვა და დასწვა, რამდენი თვალი პატიოსანი, მარგალიტი, ოქრო და ვერცხლი წაიღო, არავის შეუძლია აღწეროს"[16].

ამის შემდეგ თბილისმა კვლავ რამდენჯერმე გადაიტანა უცხოელთაგან განადგურება. 1440 წ. თავრიზის მფლობელმა ჯეჰან შაჰმა თბილისისაკენ გამოსწია, მის ირგვლივ მდებარე სოფლები დააწიოკა, ქალაქიც აიღო, გაძარცვა და აქედან ტყვეები წაიყვანა[17]. 1477 წ. თბილისს შემოადგა თეთრბატკნიანთა ტომების მეთაური უზუნ ჰასანი, რომელიც ქალაქში შევიდა[18].

---

[13] Бердзенишвили Н. Очерки из истории развития феодальных отношений в Грузии (XIII—XVI вв.); საქართველოს ისტორიის საკითხები, წ. II, გვ. 81.

[14] ვ. კიკნაძე. საქართველოს საგარეო ურთიერთობის ისტორიიდან, „მნათობი", 1982, №8, გვ. 158.

[15] მ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, ტფილისი, 1902. გვ. 32.

[16] გეორგიკა, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტ. VII, თბ., 1967, გვ. 212.

[17] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, III, გვ. 731—732.

[18] იქვე, გვ. 742.

ამბროზიო კონტარინის, რომელიც თბილისს 1475 წ. 12 ივლისს მოსულა, ქალაქი აოხრებული და ნაწილობრივ მოსახლეობისაგან დაცლილი დასვედრია. მისი სიტყვებით, თბილისი, რომელიც სახელგანთქმული იყო „თავისი სიდიდით", „ამჟამად დაცემულია, მაგრამ ქალაქის ის უბნები, რომლებიც აოხრებას გადარჩენია, ეხლაც კარგად არის დასახლებული. იქ მრავლად არიან კათოლიკები"[19].

თბილისის ეკონომიკური პოტენციალის დამცრობა, რაც ამ კერძო მაგალითით ქალაქის მოსახლეობის შემცირებაში გამოჩნდა, შემდგომშიაც გაგრძელდა.

თბილისის სოციალური ვითარება XIII—XV სს.

XII ს. მთელ სიგრძეზე მიმდინარეობდა მეფისა და ფეოდალების ხანგრძლივი ბრძოლა ქალაქებისათვის. ამ საუკუნისათვის ეს პროცესი დასრულდა ქალაქების მოქცევით ფეოდალური არისტოკრატიის მფლობელობაში. საქართველოში ვერ შეიქმნა პირობები თავისუფალი ქალაქების წარმოქმნისათვის.

ქართული ქალაქების სოციალური განვითარების თავისებურება იმაში გამოჩნდა. რომ იმთავითვე ადგილი ჰქონდა საქალაქო ზედაფენების შერწყმას ფეოდალურ არისტოკრატიასთან. მონღოლთა მფლობელობის დამყარებას ეს პროცესი არ შეუჩერებია. პირიქით, ახალ ვითარებაში მონღოლები ყოველნაირად დაუკავშირდნენ სავაჭრო და სავასრო საქმიანობაში ჩაბმულ სოციალურ ფენებს და მათთან კავშირში ეწეოდნენ დაპყრობილი ქვეყნის ექსპლუატაციას.

თავიდანვე მონღოლმა დამპყრობლებმა მძიმე გადასახადებით დაბეგრეს საქართველოს, მისი დედაქალაქის თბილისისა და მეზობელი მხარეების მოსახლეობა. ამ ფაქტის პირდაპირი შედეგი იყო საქალაქო მეურნეობის მოშლა, მოსახლეობის გაქცევა, აჯანყებები და სხვ. ეს პროცესი შეუჩერებლად გრძელდებოდა და, როდესაც XIII ს. 70-იან წწ. მონღოლებმა თავიანთ იმპერიაში აღწერა ჩაატარეს, თვალნათლივ გამოჩნდა ქვეყნის ეკონომიკური დაცემა. ქვეყანა ნასახლარებით იყო მოფენილი[20].

ასეთ დროს მონღოლთა სახელმწიფოში დიდი როლი დაეკისრათ ხარკის ამკრეფ მოხელეებს, რომლებიც ეხმარებოდნენ მონღოლებს დაპყრობილი ქვეყნების ძარცვაში. ასეთი „დახმარების" გზით ისინი ფინან-

---

[19] იტალიელი მოგზაურები საქართველოში XV საუკ. იოსაფა ბარბარო და ამბროზიო კონტარინი. თარგმანი ალ. ჯაფარიძისა. „მოამბე", 1894, №XI, გვ. 56.

[20] ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, წ. II, თბ., 1965, გვ. 58.

სურად ამარაგებდნენ მონღოლებს, ვალის ანგარიშში თვითონ კრებდნენ სამონღოლო გადასახადებს და მდიდრდებოდნენ.

„მონღოლთა წყალობით“ აღზევებული მედროვეები დამპყრობლებთან თუ ადგილობრივ არისტოკრატიულ ფენებთან დამოყვრების გზით ცდილობდნენ ფეოდალურ წრეში მოხვედრას. ეს კარგად ჩანს ცნობილი დიდვაჭრის უმეკის მაგალითზე. 1242 წ. უმეკი და მისი ნათესავები თბილისში გადმოიყვანეს. ეს მოხდა ბიჩო ნოინის მიერ მონღოლთაგან ქ. კარინის აღებისა და დანგრევის დროს[21]. ამ დროიდან უმეკი თბილისში დამკვიდრდა და ისე აღზევდა, რომ საქართველოს მეფის დავითის (ულუ-დავითი) „მამადაც“ კი იწოდებოდა. უმეკი სამეფო კარზე დიდი პატივისცემით სარგებლობდა. უხვი საბოძვარის გაცემის გზით მოუპოვებია მას ცნობილი არღუნ ნოინისა და მის თანმხლებთა პატივისცემა[22].

მეფის „მამად“ წოდებულმა უმეკმა თავის დროს ყველაფერი შეიძინა, რაც დიდგვარიანს შეეფეროდა და უზარმაზარ ქონებასთან ერთად საკუთარ მემკვიდრეებს თავისი პრივილეგირებული მდგომარეობაც გადასცა. უმეკი დაუმოყვრდა ხაჩენის მთავარს ასან-ჯალალს, რომლის ასულიც მან ცოლად შეირთო; ამით დაუნათესავდა ჩორმაღონ ნოინსაც, რომლის შვილს ბორას ცოლად ჰყავდა ასან-ჯალალის მეორე ასული, ხოლო მისი მესამე ასული ტარსაიჭ ორბელს შეურთავს. ამრიგად, თავისი სიმდიდრის მეოხებით, უმეკმა დიდი გავლენა მოიპოვა და არისტოკრატიულ ფენებშიაც აღზევდა[23].

უმეკი ცნობილია როგორც ეკლესიათა მშენებელი. 1284 წ. ერთი მინაწერის მიხედვით, მას თბილისში წმ. გიორგის სომხური ეკლესია აუშენებია. უმეკი ამ ეკლესიის პატრონადაც იხსენიება[24].

თავისი სიმდიდრითა და მონღოლთა კართან სიახლოვით დაწინაურებული იყო შახაბადინიც. იგი საკმაოდ დიდხანს, 1259—1265 წწ. მონღოლთა სანქციით მეთაურობდა საქართველოს ადმინისტრაციას. ამ დროს მეფე ულუ-დავითი მონღოლებს წაყვანილი ჰყავდათ თავისთან. ისე როგორც უმეკმა, შახაბადინმაც თბილისში ეკლესია ააგო[25]. ასე, ამრიგად იზრდებოდა მონღოლთა ბატონობის დროს დიდვაჭართა როლი სა-

---

[21] История монголов по армянским источникам, в. I, перев. К. П. Патканова, СПб., 1873, с. 7.

[22] Киракос Гандзакеци. История Армении. Перевод с древнеармянского Л. А. Хантларяна. М., 1978, с. 221.

[23] История монголов по армянским источникам, в. I, с. 72; ლ. მელიქსეთ-ბეგი, ტფილისის ვანქის დაარსების საკითხისათვის. ტფილისის უნივერსიტეტის „მოამბე“, 1924, IV, გვ. 87.

[24] Орбели И. А. Фрагмент крестного камня с арабской надписью в Тифлисе. — Христианский Восток, IV, 1918, с. 197.

[25] Маргарян А. К вопросу о личности и деятельности «некоего Шадина». — Сб. Кавказ и Византия, 3, Ереван, 1982, с. 71.

ქალაქო ცხოვრებაში. ისინი ობიექტურად ზღუდავდნენ ფეოდალურ ზედაფენებს.

XIII—XV სს. თბილისში ერთ-ერთ მთავარ სოციალურ ფენად კვლავ რჩებოდნენ ქალაქის ყმა-ხელოსნები და ვაჭრები. დოკუმენტურ ძეგლში თბილისს დასახელებული არიან, მაგალითად, ქართლ-მესხეთ-კახეთის საკათალიკოსოს ყმობაში მყოფი ვაჭარნი, ბაზარნი, ქულბაქნი[26]. ეკონომიკური და საგარეო-პოლიტიკური ვითარებით გამოწვეული სიდუხჭირე ყველაზე უფრო ამ ფენის ზურგზე გადადიოდა. ამას ერთვოდა ხშირი ეპიდემიები, რომლებიც მონღოლთა და მათ შემდგომ ხანაში ხშირი მოვლენა იყო.

ერთ-ერთ სოციალურ უბედურებას შუა საუკუნეების ქალაქებში შიმშილი წარმოადგენდა. ეს უბედურება თბილისს არაერთხელ გარდახდომია. ასეთი შიმშილი ყოფილა, მაგალითად, 1301 წლის ახლო ხანებში.

აღნიშნულ მოვლენებს საქართველოში თან სდევდა დეკლასირებული ელემენტების ზრდა ქალაქებში. ამ მხრივ ყურადღებას იპყრობს ცნობები ულუ-დავითის დროინდელი სახელმწიფო მოღვაწის „მესტუმრე ჯიქურის" შესახებ. ეს პიროვნება საგანგებოდ ზრუნავდა „შფოთიან დროს" შექმნილი უწესოების აღმოსაფხვრელად. მისი მმართველობის დროს, თურმე, სამეფოში „მპარავი და ავაზაკი" არ იყო და „თუ სადა გაჩნდის, ძელსა ჩამოჰკიდიან"[27]. „მესტუმრე ჯიქურის" პოლიტიკა მიმართული იყო კლასობრივი ბრძოლის მახინჯი ფორმის, „მპარავობის და ავაზაკობის" წინააღმდეგ. ამავე დროს ჯიქური ქალაქების დაბალი სოციალური ფენების მფარველიც ყოფილა. ამიტომაც სავსებით ბუნებრივი იყო, რომ მესტუმრე ჯიქური ღატაკთა ფენებში პატივისცემას იმსახურებდა.

როცა ჯიქური სიკვდილით დასაჯეს, გლახაკები და ქვრივ-ობლები ევედრებოდნენ მეფეს, მიეცა მათთვის ჯიქურის გვამი. მეფემაც შეუსრულა მათ თხოვნა. ჯიქური დაასაფლავეს წმინდა მოწამე ქრისტინეს სახელობის ეკლესიაში, რომელიც ხვარაზმელთა შემოსევის დროს დაენგრიათ და ახლა განახლებული იყო[28]. თბილისში გლახაკნი და ქვრივ-ობლები საკმაოდ ბევრნი ყოფილან. მათ ესმოდათ თავიანთი საერთო ინტერესები. ჯიქური, როგორც ჩანს, უქონელ ფენებს — „გლახაკებს" სისტემატურად აძლევდა „ნაათალს" სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

დეკლასირებული ელემენტების ასეთი მომრავლება მონღოლთა ხანაში თბილისის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სავსებით ბუნებრივი შედეგი იყო[29].

---

[26] ქართული სამართლის ძეგლები, III, 1970, გვ. 176.

[27] ქართლის ცხოვრება, II, გვ. 238.

[28] იქვე.

[29] ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. IX, 1974, გვ. 220.

ა) მეცნიერული ცოდნა

მონღოლ-თათარია ასწლოვან ბატონობას, თემურლენგის მრავალგზის გამანადგურებელ შემოსევებს და ამის შედეგად საქართველოს ეკონომიკურ დაცემას არ შეიძლებოდა არ გამოეწვია თბილისში კულტურულ-შემოქმედებითი მუშაობის შენელება და შეფერხება.

მიუხედავად ძნელბედობის მძიმე პირობებისა, დიდი კულტურული ტრადიციების მქონე თბილისში კულტურულ-საგანმანათლებლო და მეცნიერულ-შემოქმედებითი საქმიანობა გრძელდებოდა.

მონღოლთა ბატონობის პერიოდში თბილისი კვლავ რჩებოდა სამეცნიერო-კულტურულ ცენტრად. იგი კვლავაც იზიდავდა უცხოელ სწავლულებს. 1284 წელს, დემეტრე II თავდადებულის დროს, თბილისს სწვევია სომხური კულტურის ერთ-ერთი გამოჩენილი მოღვაწე, ცნობილი ასტროლოგი, ფილოსოფოსი და პოეტი ჰოვანეს ერზინკელი. მან თბილისის საკრებულო ტაძარში (სომეხი ვაჭრის უმეკის მიერ იყო აგებული) კოსმიურ-ასტროლოგიური საკითხების შესახებ საინტერესო სიტყვა წარმოთქვა[30].

თბილისში ჩამოდიოდნენ მეზობელი ქვეყნების მწერლები და მეცნიერები, რათა თბილისელ მეცნიერთათვის თავიანთი მიღწევები გაეცნოთ. აქ იწერებოდა, იხატებოდა და მრავლდებოდა ხელნაწერები, ითხზვებოდა გმირული ისტორიები, სიმღერები და სხვ.[31]

XIV ს-ის თბილისში განათლებისა და მეცნიერების დონის გასაგებად დიდი მნიშვნელობა ენიჭება თბილისში შექმნილ საკანონმდებლო ძეგლებს. მხედველობაში გვაქვს 1334—1335 წწ. გიორგი ბრწყინვალის მეფობის ხანაში თბილისში მოწვეული სახელმწიფო დარბაზის საგანგებო კრების დადგენილებები. ამ კრებაზე, როგორც ცნობილია, მიღებულ იქნა ჩვენამდე მოღწეული ისეთი იურიდიული ძეგლი, როგორიცაა ე. წ. „ძეგლის დადება". „ძეგლის დადება" დიდი პოლიტიკური, სოციალური და ამავე დროს მნიშვნელოვანი კულტურული მოვლენა იყო თბილისის ცხოვრებაში. ასეთი საკანონმდებლო ძეგლის შედგენა აშკარად მოწმობს თბილისში იურიდიული ცოდნის მაღალ დონეს.

XIV—XV სს. თბილისელთათვის საკმაოდ ცნობილი უნდა ყოფილიყო ჟამთააღმწერლის საისტორიო თხზულება, რომელშიაც მოთხრობილია ქართველი ხალხის წარსული ლაშა გიორგის გამეფებიდან ვიდრე გიორგი ბრწყინვალემდე.

---

[30] ვ. ნალბანდიანი, თბილისი ძველ სომხურ მწერლობაში, თბ., 1959, გვ. 108.
[31] დ. გვრიტიშვილი, შ. მესხია, თბილისის ისტორია, თბ., 1952, გვ. 200.

ჟამთააღმწერელი, როგორც ეს მისი ნაშრომიდან ჩანს, თავის დროისათვის დიდად განათლებული პიროვნება ყოფილა. იგი საკმაოდ ფართო მეცნიერული მასშტაბით ქმნის საისტორიო ნაშრომს. იყენებს უცხოურ ენებზე არსებულ წყაროებსაც და მოვლენათა შესწავლისადმი საკმაოდ კრიტიკულ დამოკიდებულებასაც ამჟღავნებს. „მე ვერ შევიწყნარებ" „ყველა აღმწერლის" ცნობებსო, — ამბობს იგი ულუ და დავით-ნარინის მეფობაზე მსჯელობის დროს და ამის დასადასტურებლად სათანადო მასალებიც მოჰყავს. ამასთან დაკავშირებით ივ. ჯავახიშვილი წერს, რომ აღნიშნული შენიშვნა „საისტორიო კრიტიკის მეთოდის ჩანასახია და ქართულ მწერლობაში ეს კრიტიკული მეთოდი პირველი ცდა არის"[32].

ჟამთააღმწერლის აზრით, წარსულის გადმოცემა „ჭეშმარიტის მეტყუელება არს და არა თუალახმა ვისთჳსმე"[33]; ამიტომ ისტორიკოსმა უნდა გამოაჩინოს ბოროტება და ბოროტმოქმედნი, ისტორიული წიგნი ხომ „შუამდებარე არს კეთილმოქმედთა და ბოროტის მოქმედთა". ამ თვალსაზრისით აფასებს იგი მეფეთა მოღვაწეობასაც, — თუმცა არ არის საკადრებელი მეფეებზე უშვერი რამეების თხრობა, მაგრამ სინამდვილე არ უნდა დავმალოთ, მეფეთა ბოროტი საქციელის მიმართ თვალი არ უნდა დაეხუჭოთო, — წერს ისტორიკოსი[34].

ამრიგად, მიუხედავად იმისა, რომ XIII—XV სს-ში თბილისმა დიდი განსაცდელი გამოიარა, მოსახლეობა დიდად დაზარალდა მატერიალურად და სულიერადაც, ქალაქში კულტურული ცხოვრების მაჯისცემა კვლავაც გრძელდებოდა.

ბ) ხუროთმოძღვრება და სახვითი ხელოვნება

ამ მძიმე საუკუნეებში, როდესაც მონღოლთა შემოსევის შედეგად, XIII საუკუნის ოცდაათიან წლებში, ქალაქის ბევრი ღირსშესანიშნავი ნაგებობა დაიღუპა (ციხისთავმა, „რაჟამს სცნა... მოახლოება თათართა, მოწუა სრულიად ქალაქი და თჳთ პალატი და ისანნი და ესრეთ მოოჴრდა ქალაქი ტფილისისა"), ხელოვნების დარგში ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტებია ჯერ სამეფო სასახლის აღდგენა, შემდეგ კი მეტეხის ტაძრის ხელმეორედ აშენება მეფე დემეტრე II-ის მიერ. ჟამთააღმწერელი მოგვითხრობს, რომ მესტუმრე ჯიქურმა (1247—1251 წლებში) „აღაშენა ისანთა პალატი განგებითა დიდითა", ხოლო საუკუნის ბოლოს (1278—1289 წლებს შუა) დემეტრემ „აღაშენა პალატსა შინა მო-

---

[32] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ძველი საისტორიო მწერლობა, თბ., 1945, გვ. 261.

[33] ქართლის ცხოვრება, II, გვ. 199.

[34] იქვე.

ნასტერი საყოფელად მეტეხთა ღმრთისმშობელისა და შეამკო განგებითა დიდითა და შესწირა სოფელნი და ზუარნი და განუჩინა მონაზონთა საზრდელი...".

ზემოთ აღნიშნული იყო, რომ ტაძრის „მეორედ აღშენებისას" გამოიყენეს მანამდის არსებული ეკლესიის გეგმა; მაგრამ თვით ხუროთმოძღვრული ხორცშესხმა სრულიად ახლებური იყო, თავისი დროის შესაფერი. შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, რომ მეტეხის ტაძარი იმ ეპოქის დამახასიათებელი ძეგლიც არის და ერთი ყველაზე მნიშვნელოვანთაგანიც; თუ არ ჩავთვლით სამცხე-საათაბაგოს, სადაც ისტორიული ვითარების წყალობით უკეთესი პირობები იყო მშენებლობისათვის, საქართველოს სხვა კუთხეებში XIII ს-ის მიწურულსა და XIV—XV საუკუნეებში აგებული ეკლესიები თითებზე ჩამოითვლება.

მართალია, XVI ს-ში და უფრო გვიანაც მეტეხის ტაძარი საგრძნობლად გადააკეთეს (ახალია გუმბათი და შიგნით — თითქმის მთელი სტრუქტურა). მაგრამ მაინც ხერხდება მისი თავდაპირველი სახის წარმოდგენა. ეს იყო გუმბათოვანი შენობა ოთხი გუმბათქვეშა ბოძითა და აღმოსავლეთის მხარეს სამი შვერილი აფსიდით. ფასადები თლილი ქვით არის მოპირკეთებული. მათი მორთულობა, ერთი მხრივ, მოწმობს ტრადიციებთან კავშირს, უფრო სწორად, ძველი დეკორაციული მოტივების (აღმოსავლეთის შუა აფსიდის დიდი ჯვრები — სარკმელთა საპირეები — შუა სარკმლის ქვეშ კუთხით დასმული მოჩუქურთმებული კვადრატები) რემინისცენციებს, მეორე მხრივ, ახლებური დეკორაციული ელემენტების გაჩენას (ჰორიზონტალური სარტყლების სისტემა, რომელიც ყველა ფასადს ჰკრავს). გადარჩენილი ჩუქურთმები (აღმოსავლეთისა და ჩრდილოეთის ფასადებზე, ჩრდილოეთის კარიბჭეში), მოტივების მხრივ, აგრეთვე უკავშირდება წინა საუკუნეების ტრადიციებს, ტექნიკურადაც ოსტატურად არის შესრულებული, მაგრამ უკვე ატარებს ერთგვარი ხელოსნური სიმშრალის ბეჭედს, დაწვრილმანებული და მშრალია. იყო თუ არა მოხატული ეკლესია — არ ვიცით. მხატვრობის არავითარი კვალი არ გადარჩენილა.

მეტეხის ეკლესიას, რომელიც შვეულ კლდოვან ნაპირზეა აღმართული, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება თბილისის ისტორიული ნაწილის სრულიად განუმეორებელი, დაუვიწყარი სილუეტის შექმნაში. ამ ძეგლის ისტორიული მნიშვნელობა დიდია: იგი მოწმობს, რომ საქართველოსთვის უმძიმეს ხანაშიაც, როდესაც ქვეყანა ეკონომიკურ და პოლიტიკურ რღვევას განიცდიდა, ეროვნული ხუროთმოძღვრებისა და საინჟინრო ხელოვნების ტრადიციები მაინც ცოცხლობდა. სწორედ ეს უწყვეტი მემკვიდრეობითობა დაედო საფუძვლად ქართული ხუროთმოძღვრების განვითარებას მომდევნო საუკუნეებში.

ვენახებსა და ბაღ-ბოსტნებში ჩაფლული საცხოვრებელი სახლები, მტკვარზე გადებული დიდი ერთმალიანი ხიდი, ტივებზე ჯაჭვებით დამაგრებული მდინარეზე მოტივტივე წისქვილები, ქალაქის გალავანს შიგნით მეფე-დიდებულთა სასახლეები, ქრისტიანული ეკლესიები თუ არაქრისტიანთა სალოცავები, წყლის საქაჩავი დოლაბები, ბუნებრივი თერმული აბანოები XIII ს. თბილისს განუმეორებელ, თავისებურ კოლორიტს ანიჭებდა[35].

სამწუხაროდ, XIII—XV სს-ის ისედაც ღარიბული წერილობითი წყაროები მეტად ღარიბია თბილისური ყოფის ამსახველი მასალებითაც, ამიტომ არ ვიცით, როგორი იყო XIII—XV სს. თბილისელის (მდიდარი, საშუალო, ღარიბი) საცხოვრებელი ნაგებობა თუ მეფის სასახლე. რა ფუნქციების შესაბამისად იყო დაპროექტებული შენობები და რა იყო მისთვის დამახასიათებელი — თბილისური. სამაგიეროდ, თბილისური არქეოლოგიური მასალა საშუალებას გვაძლევს ნაწილობრივ მაინც აღვადგინოთ საოჯახო-საყოფაცხოვრებო საგნების სახეობანი, რითაც თბილისელები სარგებლობდნენ.

თბილისში ფრიად განვითარებული იყო კერამიკული წარმოება. სახელოსნოები გამართული იყო გალავნის სამხრეთ კედლიდან ვიდრე დღევანდელ ბალნეოლოგიურ კურორტამდე[36]. თბილისის კერამიკულ სახელოსნოებში სხვადასხვა სახეობის დიდი და მცირე ზომის საოჯახო ჭურჭელი მზადდებოდა. როგორც სამზარეულოსი — ქვაბ-ქოთნები, დერგები, კოკა-დოქები, დიდი ზომის ჯამები და ა. შ., ასევე სუფრის — სამარილეები, კოჭობები, ხელადები, ჯამები, ფიალები, სხვადასხვა სახის სასმისები. მზადდებოდა აგრეთვე საკვნე ჭურჭელი — კოტოშები, სამელნეები და დიდი რაოდენობით ჭრაქები.

ჭრაქების სიმრავლე იმაზე მიგვანიშნებს, რომ XIII ს. თბილისელებისათვის განათების საშუალება თაფლის სანთელთან ერთად (თბილისის ბაზარზე ამ დროს დიდი რაოდენობით იყიდებოდა ცვილი) ჭრაქი იყო.

XIII ს-ის ვენეციელი მოგზაურის მარკო პოლოს თხზულებაში შემონახულია ცნობა საქართველოს საზღვარზე თავისებური ზეთის — ნავთის არსებობის შესახებ. იგი წერდა: „ეს ზეთი საკმელში არ იხმარება... შეიძლება მისი წარმატებით გამოყენება გასანათებლად“[37]. ამრიგად,

---

35 რ. კიკნაძე, XI—XIII სს. თბილისის ისტორიიდან. — აკად. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის შრომები, 1960, V, ნაკვ. I, გვ. 128—131.

36 მ. მიწიშვილი, მოჭიქული კერამიკის საწარმო შუა საუკუნეების თბილისში IX—XIII სს. თბ., 1979, გვ. 68.

37 მ. პოლიევქტოვი, გ. ნათაძე. ძველი ტფილისი, 1930, გვ. 5.

თბილისელთა ყოფაში XIII საუკუნეში გასანათებლად ხმარობდნენ ნავთსაც, მცენარეული სელის ზეთსა და ცხოველურ ქონთან ერთად.

თბილისურ კერამიკულ სახელოსნოებში დამზადებული ნაწარმის პირველი მომხმარებლები, რასაკვირველია, თბილისელები იყვნენ, ნაწილი კი საექსპორტოდ მზადდებოდა[38].

იმდროინდელი თბილისური ჯამების, ფიალების, სამარილეების, ჭრაქების თუ სხვა დანიშნულების ჭურჭლეულის ნაშთების ნახვა დღესაც სიამოვნებას ჰგვრის მნახველს. როგორც ჩანს, ძველი თბილისელის ყოფაში კერამიკულ ნაწარმს, პრაქტიკული დანიშნულების გარდა, გარკვეული ესთეტური მოთხოვნებიც ჰქონდა წაყენებული. ამიტომ თბილისელი მეთუნეები მაღალხარისხოვან და მაღალი მხატვრული გემოვნებით შესრულებულ ჭურჭელს ამზადებდნენ. როგორც სპეციალისტები აღნიშნავენ, „თბილისის კერამიკული სახელოსნო ნაწარმის მიხედვით გეევლინება როგორც ერთიანი ორგანიზებული სკოლა, სადაც მხატვარ-კერამიკოსები მტკიცედ მისდევდნენ დაკანონებულ ტექნიკურ და მხატვრულ წესებს"[39]. თბილისის კერამიკული სახელოსნოები მონღოლთა დაპყრობების შემდეგაც აგრძელებდნენ არსებობას[40].

გარდა კერამიკული ნაწარმისა, თბილისის მოსახლეობა იყენებდა ფაიანსის ნაწარმსაც. მისი დიდი ნაწილი ადგილობრივ იყო დამზადებული, მაგრამ ხმარობდნენ იმპორტულსაც — ძირითადად ირანულს. მაგრამ ფაიანსი XIII ს. შუა ხანებს აქეთ აღარ გადმოდის[41], რაც მონღოლთა გამანადგურებელი დაპყრობებით აიხსნება.

შუა საუკუნეების საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში და მათ შორის თბილისშიც საკმაოდ მაღალი დონეზე იდგა მინის წარმოება. სარკმლის მინებსა და ფაქიზ ჭურჭელთან ერთად მინის სამკაულებიც კეთდებოდა. თბილისური მინის ნაწარმის პირველი მომხმარებლები თბილისელები იყვნენ, მაგრამ ამ ნაწარმის ნაწილიც გასატანად მზადდებოდა. მონღოლთა შემოსევების შემდეგ ხელოსნობის ეს დარგიც დაქვეითდა[42].

თბილისელთა საოჯახო ყოფაში გარკვეული ადგილი ეკავა ლითონისა და მცენარეული მასალისაგან — ხისაგან, კვახისაგან დამზადებულ ჭურჭელსაც. მეფე-დიდებულთა ოჯახებში ზეიმებზე კეთილშობილი ლითონისაგან მაღალმხატვრულ დონეზე შესრულებული საზეიმო ჭურჭელი იხ-

---

[38] გ. ლ ო მ თ ა თ ი ძ ე . დასახ. ნაშრომი.

[39] მ. მ ი წ ი შ ვ ი ლ ი , დასახ. ნაშრომი, გვ. 69.

[40] გ. ლ ო მ თ ა თ ი ძ ე , არქეოლოგიური გათხრები 1949 წლის გაზაფხულზე. — კრებ. ფეოდალური საქართველოს არქეოლოგიური ძეგლები, IV, 1982.

[41] ნ. მ ა მ ა ი ა შ ვ ი ლ ი, ფაიანსი შუა საუკუნეთა საქართველოში, თბ., 1976, გვ. 103—104.

[42] მ.ჩ ხ ა რ ტ ი შ ვ ი ლ ი , მინის ჭურჭელი შუა საუკუნეთა საქართველოში, 1978, თბ., გვ. 69—71.

მარებოდა, მაგალითად „ტურფა“ და „სანადიმო“ ჯამ-თეფშები, სასმელები, სურა-ფიალები და ა. შ.

საზოგადოების დაბალი ფენები ღითონიდან ჭურჭლად ძირითადად სპილენძს ხმარობდნენ. სპილენძის საბანაო — „საბანელთა“ და სამზარეულოს „ჭურჭლებს“ მოიხმარდნენ მეფე-დიდებულებიც.

პირდაპირი ცნობები, თუ როგორი იყო თბილისური ავეჯი XIII—XV სს., ჩვენ არა გვაქვს. ივ. ჯავახიშვილის აზრით, უკვე XV ს. მეორე ნახევარში საქართველოში, საერთოდ, ფეხიანი ავეჯი აღარაა და სავარძლის მაგიერ ხალიჩებზე სხდებიან. „... ქართულ კულტურაზე დიდი წამლეკავი გავლენა მოახდინა თემურლენგის შემოსევამ და ძველი ავეჯის გაქრობაც ამასთან უნდა იყოს დაკავშირებული. სამაგიეროდ, ჩნდება ხალიჩები და ყველა ფეხმოკეცილი ზის. ცვლილება ჭამის წესებზედაც ვრცელდება. ქრება ძველი სუფრა, რომელსაც ტყავისაგან დამზადებული სუფრის მსგავსი რაღაცა ცვლის“[13]. მაგრამ, ჩანს, ფეხიანი ავეჯი აქა-იქ ჯერ კიდევ ინარჩუნებდა თავის ფუნქციას. იოსაფა ბარბაროს ცნობით (XIV ს. 70-იანი წწ.) პურობა მაღალ მაგიდასთან ხდებოდა და კერძი მაგიდაზე იდგმებოდა[14].

შესაძლოა მაღალფეხიანი ავეჯი — მაგიდები, „სელი“ (სკამები) და ა. შ. ჰართლაც იხმარებოდა მეფე-დიდებულთა სასახლეებში (ბარბაროს სწორედ დიდებულთან სტუმრობა აქვს აღწერილი), მაგრამ უბრალო მოსახლეობა ასეთ ფუფუნებას მოკლებული იყო.

საინტერესო მასალებია შემონახული თბილისის მოსახლეობის საკვების გასარკვევად. XIII ს. ირანელი ავტორის ცნობით, თბილისელები სოფლის მეურნეობას მისდევდნენ, ბაღ-ბოსტნები და ვენახები ჰქონდათ გაშენებული და მოსარწყავად ტექნიკურ საშუალებასაც — დულაბებს იყენებდნენ[15]. ჩანს, ქალაქის მოსახლეობაში დიდი მოთხოვნილება იყო მცენარეულ საკვებზე და თბილისის მოსახლეობა ადგილობრივ მოწეულ მცენარეულ საკვებს ხმარობდა. დავით აღმაშენებლის ანდერძში იხსენიება „ხილი ფურნისაჲ“ — ე. ი. ფურნეში გამომშრალი ხილი — ჩირი, ხოლო ათონის მონასტრის ტიბიკონის მიხედვით, ქართველებს სეოდნიათ მოხარშული ხმელი ხილის თაფლით შეზავება, ე. ი. ხმელ ხილს ქართველთა კვებაში გარკვეული ადგილი ეკავა. ასევე მოიხმარებოდა საკვებში ბოსტნეული.

ქართულ, თბილისურ სუფრას ოდითგანვე ამშვენებდა ღვინო. საღვინე ჯიშის ვენახები თბილისში ქრისტიან მოსახლეობას ჰქონდა, რად-

---

[13] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, მასალები საქართველოს მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, თბ., 1965, გვ. 38.

[14] ვ. ა რ თ ი ლ ა ყ ვ ა, XVII—XVIII სს. ქართული მატერიალური კულტურის ისტორიიდან, თბ., 1965. გვ. 63.

[15] „სამყაროს საკვირველებათა“ ცნობები..., გვ. 28.

გან ღვინო პურთან ერთად ქართველთა კვების ძირითადი პროდუქტი იყო — განსაკუთრებით მარხვის დღეებში.

თბილისის მოსახლეობის ნაწილს ქალაქშივე ჰყავდა რძის, ხორცის, მატყლის თუ ტყავის მომცემი შინაური ცხოველები (ამის პირდაპირი მოწმობაა დავით აღმაშენებლის მიერ თბილისის მუსლიმანურ უბანში ღორის დაკვლის აკრძალვა) და შინაური ფრინველებიც. ზოგიერთ თბილისელს კი საცხოვრებელთან ახლოს სატრანსპორტო — გამწევი საქონელიც ჰყავდა.

XIII ს. თბილისის ბაზარზე დიდი რაოდენობით იყიდებოდა თაფლი[46]. გამორიცხული არაა, რომ მეფუტკრეობა უშუალოდ თბილისელთა საქმიანობის ერთ-ერთი სახეობა ყოფილიყო. ამ დროისათვის საქართველოში უკვე იცნობდნენ შაქარს[47]. მაგრამ საფიქრებელია, ადგილობრივი იაფი თაფლი, პირველ რიგში, თბილისელთა მოხმარების პროდუქტი იყო და უცხოეთიდან შემოტანილ ძვირადღირებულ შაქარს დიდ კონკურენციას უწევდა.

თბილისის მოსახლეობის საკვებში გარკვეული ადგილი ეკავა თევზს. ამის უხვ შესაძლებლობებს იძლეოდა უპირველესად თევზით მდიდარი მდ. მტკვარი და კასპიის ზღვის სიახლოვე. თბილისელთა სუფრაზე უცხო არ იყო არც ნანადირევი — გარეული ცხოველისა თუ ფრინველის ხორცი.

მასალები თითქმის არაფერს გვაუწყებენ XIII—XV სს. თბილისური სუფრის წესების შესახებ. ვიცით მხოლოდ, რომ საზეიმო სუფრაზე ღვინისა და მრავალფეროვანი ხორაგის გვერდით დიდი ადგილი ეჭირა სანახაობით მხარეს. თამარის ქორწილზე დიდუბეს „იყო ზმა მგოსანთა და მუშაითთა, სახიობათა მჭურეტელნი იყო რაზმთა სიმრავლე და სრულ-ქმნა ამასა შინა“[48]. ეს წესი მიღებული იყო ქრისტიანი ქართველებისათვის. თბილისში მცხოვრებ სხვა ჯურის მოსახლეობას კი მისი ტრადიციებისა და რელიგიის შესაბამისი სუფრის წესები ჰქონდა. განსხვავებული იყო რიგითი თბილისელების სალხინო სუფრის მასშტაბებიც.

„ჟამთააღმწერლის“ ცნობით, მეფე ლაშა იყო „უხჯ, სახიობის მოყუარე, ღვინის მოყუარე და გემოთ მოყუარე“[49]. მაგრამ ყველა თბილისელისათვის ხელმისაწვდომი, ცხადია, არ იქნებოდა ის, რასაც ადვილად ეზიარებოდა სამეფო კარი თუ არისტოკრატთა წრე.

თბილისში მეფე ლაშა მხოლოდ შემოდგომას ატარებდა. ლაშას დრო-

---

[46] „სამყაროს საკვირველებათა“ ცნობები..., გვ. 29.

[47] „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის“ ავტორის სიტყვით, ბასიანის ომის შემდეგ გამარჯვებულები მუზარადებში ყრიდნენ შაქარს, ავსებდნენ წყლით და მიირთმევდნენ. ქართლის ცხოვრება, II, 1959, გვ. 98.

[48] ქართლის ცხოვრება, II, 1959, გვ. 47.

[49] იქვე. გვ. 156—157.

ინდელ თბილისში მოქმედებდნენ რინდები — სუფიები, ისლამური თეოლოგიურ-ფილოსოფიური მიმდინარეობის წარმომადგენლები, რომელთა მიზანი იყო თავდავიწყებამდე მისვლა — ღმერთთან საბოლოოდ შერწყმისათვის. მიზნის მისაღწევად ისინი ღვინის სმასა და თრობას მიმართავდნენ. ლაშა დაკავშირებული იყო რინდებთან. ჩანს, ზოგიერთი თბილისელისათვის რინდებთან ღვინის სმა და თავდავიწყებაში მონაწილეობა გართობის ერთ-ერთი სახეობა იყო.

„ჟამთააღმწერლის" თხზულებაში ორიოდე ცნობა მოგვეპოვება გლოვისა და მიცვალებულის დატირებისაც. როდესაც უფლისწული გიორგი (ლაშას შვილიშვილი, დავითის ძე) გარდაიცვალა, მეფე დავითი თბილისში არ იყო. როცა იგი სასახლეში შევიდა, „დახუდეს სპანი და ვაზირნი დამალულნი და შავითა მოსილნი"[50], ე. ი. გლოვის ნიშნად XIII ს. შავი ტანისამოსის ხმარება ყოფილა მიღებული.

საქართველოში მოსახლეობის სხვადასხვა ფენები სხვადასხვაგვარად იმოსებოდნენ. განსხვავებული იყო მეფე-დედოფალთა და კარის მოხელეთა ტანსაცმელი. ვაჭრებს, სასულიერო პირებს, მოგზაურებს, ბავშვებსა თუ გაუთხოვარ ქალებსაც კი განსხვავებული, სხვადასხვა თარგისა და მასალისაგან შეკერილი ტანსაცმელი ეცვათ[51]. მაგრამ კონკრეტულად როგორ იმოსებოდა თბილისის მოსახლეობა XIII—XV სს. არ ვიცით. განსხვავებული უნდა ყოფილიყო ქრისტიან და არაქრისტიან პირთა ტანსაცმელი, ასევე ქალაქის მდიდართა თუ ღარიბთა სამოსელიც.

XIII ს. გეოგრაფ ზაქარია ყაზვინის ცნობით, საქართველოდან გადიოდა მატყლის, ბამბისა და აბრეშუმის ქსოვილები[52]. თბილისელთა სამოსელიც ძირითადად მატყლის, ბამბისა და აბრეშუმის ქსოვილებისაგან უნდა ყოფილიყო დამზადებული.

გართობა-თამაშობებიდან XII—XIV სს. წყაროები (თამარის ისტორიკოსი, „ჟელმწიფის კარის გარიგება") ცნობებს გვაწვდიან ბურთის, კერძოდ ჩოგანბურთის, თამაშობის შესახებ[53]. რადგან ეს თამაშობანი უმთავრესად სამეფო კარზე იმართებოდა, სავარაუდოა, რომ იგი თბილისის ყოფისათვის დამახასიათებელი ელემენტი ყოფილიყო.

XIII ს. საოჯახო ყოფის შესახებ მნიშვნელოვანი ცნობა აქვს „ჟამთააღმწერელს". მეფე ლაშამ სასახლეში ველისციხიდან მოიყვანა „ქალი ფრიად ქმნულკეთილი... და შეიყუარა ფრიად". ეს ქალი მალე დედა გახდა ლაშას ვაჟის დავითისა. კათალიკოს-ეპისკოპოსებმა და ვაზირებმა სცადეს ლაშას შეგონება: „არა ჯერ არს, რათა მკევალი გესუას და არა

---

[50] ქართლის ცხოვრება, II, 1959, გვ. 257.

[51] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი , მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, თბ., 1962.

[52] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი , დასახ. ნაშრომი, გვ. 161.

[53] ალ. რ ო ბ ა ქ ი ძ ე , ქართული ხალხური სპორტის შესახებ, თბ., 1955, გვ. 28—29.

ცოლი...". მაკრამ ლაშა კანონიერ ქორწინებაზე ვერ დაითანხმეს. როდესაც დიდებულთა შეგონება ლაშამ არ მიიღო, მეფეს იძულებით „წარგუარეს ქალი იგი დედა დავითისი და ქმარსავე მისსა მისცეს"[54], ე. ი. ქვეყნის უზენაესი ხელისუფალი იძულებული გახდა დამორჩილებოდა უმაღლეს საეკლესიო ხელისუფალთა და თავის დაქვემდებარებულ ვაზირთა კანაჩენს. ამ ფაქტში დარღვეული იყო ქორწინების ქრისტიანული წესი, როდესაც ცოლად ჯვარდაუწერელი ქალის ყოლა საეკლესიო კანონმდებლობით აკრძალული იყო.

როგორც ჩანს, ეს წესი XIII—XV სს. მანძილზე ხშირად ირღვეოდა და არა მხოლოდ თბილისში და მეფის კარზე. ამაზე მიგვანიშნებს XV ს. სამთავნელის სამწყსოს დრამისა და გარიგების წიგნი, სადაც ჯვარდაუწერლად შეუღლებისათვის სასჯელი იყო გაჩენილი: „უკეთუ ჯვარდაუწერლად კაცმა ცოლი დაიორსულოს გ (სამი) ძროხა მიართვას"[55].

XIII—XV სს. თბილისის მოსახლეობა საოჯახო მოხმარების საგნებს (კერამიკა, ფაიანსი, მინა, ქსოვილები, ტყავი, იარაღი...) ადგილობრივი—თბილისური წარმოებისას ხმარობდა. თბილისელებისათვის უცხო არ იყო არც იმპორტული საქონელი.

საოჯახო ყოფაში დიდი იყო ქრისტიანული ეკლესიის როლი. სულიერ ყოფით ურთიერთობაში მოქმედებდა ადგილობრივი ადათ-წესები ღვინის, ქორწილისა თუ გლოვისა.

თბილისის არაქართველი მოსახლეობის ყოფაში გაბატონებული იყო „მოტანილი" ტრადიციული ყოფითი ურთიერთობანი: რელიგიური დღესასწაულები, ჩაცმა-დახურვა, მენიუ...

თბილისური ყოფის ამსახველი მასალები ძირითადად მონღოლებამდელ ხანას ასახავს. შემდეგი დროისა კი შედარებით სუსტადაა წარმოდგენილი.

---

[54] ქართლის ცხოვრება, II, გვ. 155—156.

[55] ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორიის ძეგლები (XIII—XIX სს.), წ. II, თბ., 1974, გვ. 13.

VIII ქალაქის პოლიტიკური მდგომარეობა XVI—XVII სს.

თბილისი XVI საუკუნეში

თბილისი XVI ს. პირველ ოცეულში

საქართველოს ფეოდალური მონარქიის პოლიტიკური დაშლის შედეგად ჩამოყალიბებულ სამეფო-სამთავროებს შორის და თვით სამეფო-სამთავროებში მიმდინარე შინაფეოდალური ომები ანადგურებდა საწარმოო ძალებს და შეუძლებელს ხდიდა ქართველი ხალხის გაერთიანებას უცხოელი დამპყრობლების წინააღმდეგ. მებრძოლი მხარეები ზოგჯერ დამპყრობელთა ძალებს იშველიებდნენ. ასეთი იყო პოლიტიკური ვითარების ზოგადი სურათი საქართველოში, როცა მის მეზობლად დიდი აგრესიული ირანის სახელმწიფო ჩამოყალიბდა სეფიანების დინასტიის პირველი შაჰის — ისმაილის მეთაურობით. ამ სახელმწიფოს ყიზილბაშთა სახელმწიფოსაც უწოდებენ, რადგან ისმაილის მომხრე მომთაბარე ტომების მეომრები წითელზოლებიან თავსაბურავს ატარებდნენ („ყიზილ-ბაში" სიტყვასიტყვით წითელთავას ნიშნავს). ამრიგად, XVI საუკუნის დასაწყისიდან ერთმანეთის პირისპირ დადგა ორი ძლიერი აგრესიული სახელმწიფო — ირანი და ოსმალეთი. რომელთა შორის ომების მთავარი მიზანი იყო ახლო და შუა აღმოსავლეთში გაბატონება.

შაჰ ისმაილის (1502—1524) სახელმწიფო თავდაპირველად აღმოსავლეთ საქართველოს მიმართ შედარებით მსუბუქ ვასალობას სჯერდებოდა, რაც შაჰის უზენაესი ხელისუფლების ცნობასა და საჭიროების დროს ლაშქრით მიშველებაში გამოიხატებოდა. ქართლის დედაქალაქი თბილისი ქართლის მეფის ხელში იყო. აქ, 1505 წ. მეფედ ეკურთხა კონსტანტინე II-ის უფროსი შვილი დავითი. 1513 წ. დავით X-ის (1505—1525) ძმამ ბაგრატ მუხრან ბატონმა დაატყვევა კახეთის მეფე გიორგი, რომელიც სისტემატურად ძარცვის მიზნით თავს ესხმოდა ქართლის სოფლებს. ამის შედეგი ის იყო, რომ დავით X-მ კახეთი დაიკავა. ამრიგად, ქართლ-კახეთი ერთ სამეფოდ გაერთიანდა, თბილისი ქართლ-კახეთის სამეფოს დედაქალაქი გახდა, მაგრამ მალე აღმოსავლეთ საქართველოს გაერთიანებას ბოლო მოუღო საგარეო ვითარების გართულებამ.

1514 წ. დაიწყო ომი ირანსა და ოსმალეთს შორის. ოსმალეთმა დაიპყრო სომხეთის დასავლეთი ნაწილი, თითქმის მთელი ქურთისტანი

და არაბული ერაყის ჩრდილოეთი ნაწილი. ასეთ ვითარებაში ისმაილი შეეცადა ოსმალეთს არ დაეპყრო საქართველო. 1518 წ. მან ქართლის დასამორჩილებლად დიდძალი ჯარი გაგზავნა. დავით X-ს საკმარისი ძალა არ გააჩნდა და ქვეყნის გადასარჩენად შაჰის სარდალს თავისი შვილი რამაზი მიუგზავნა და მორჩილებას დაჰპირდა. ისმაილი დათანხმდა ზავი დაედო ყოველწლიური ხარკისა და სამხედრო სამსახურის პირობით. შექმნილი ვითარებით ისარგებლეს კახეთის ფეოდალებმა და შეძლეს ქართლისაგან კახეთის ჩამოშორება[1].

თელეთის ბრძოლა

ქართლის სამეფო ირანის ვასალის საჭირო ერთგულებას არ იჩენდა. ამიტომ შაჰი 1522 წ. მრავალრიცხოვანი ჯარით ქართლში შეევიდა და აღჯაყალაში (ახლ. მარნეულის რაიონში) ციხესიმაგრის მშენებლობა დაიწყო. ეს ციხესიმაგრე ქართლში ირანის ბატონობის ერთ-ერთი მთავარი დასაყრდენი უნდა გამხდარიყო. დავით X-მ სწორად შეაფასა ვითარება და შაჰს საქმის მშვიდობიანი გზით მოგვარება შესთავაზა. შაჰმა მეფეს მოსთხოვა მასთან გამოცხადება და მხოლოდ ამ შემთხვევაში ჰპირდებოდა მშვიდობას და განდიდებას. მეფე არ დათანხმდა, რადგან იცოდა, რომ შაჰი მას გამაჰმადიანებას მოსთხოვდა. ეს კი ომის დაწყებას ნიშნავდა.

დავით X თავდაცვითი ღონისძიებების გატარებას შეუდგა. ის შეუთანხმდა სამცხე-საათაბაგოს მთავარს და კახეთის მეფეს დამხმარე რაზმების გამოგზავნის თაობაზე, ამასთან შეუთანხმდა ჩრდილოკავკასიელ ტომებს და მათი მეომრები ქართლში გადმოიყვანა. განსაკუთრებით გააძაგრეს თბილისი. შაჰმა სარდალი ყარაფილი დიდი ჯარით თბილისის ასაღებად გაგზავნა.

ქართლის ჯარი თბილისიდან გავიდა და თელეთის ქედის მიდამოებში განლაგდა. პირველი ბრძოლა ქართველთა გამარჯვებით დამთავრდა— მტერი უკუიქცა. გაქცეულთ წინ შემოეყარა მტრის მეორე სარდლის ელიას-ბეგის ჯარი, რომელმაც გაქცეულებიც დააბრუნა და ქართლის ჯარს შეუტია. ბრძოლაში თავი გამოიჩინა მეფის ძემ ლუარსაბმა. მან თავისი რაზმით იერიში მიიტანა მტრის მარცხენა ფრთაზე და მოსწყვიტა ის მთავარ ძალებს. ყიზილბაშებმა გააფთრებულ ბრძოლას ვერ გაუძლეს და უკან დაიხიეს. ქართველები გაქცეულებს დაედევნენ, მაგრამ ტაბახმელის მახლობლად ერთ ხევში ჩასაფრებულმა შაჰის ჯარმა ზურგიდან დაარტყა ქართველებს, რომლებმაც ძლივს დააღწიეს თავი ბრძოლის ველს. მალე ყიზილბაშებმა გამაგრებულ თბილისს ალყა შემოარტყეს.

---

[1] ვ ა ხ უ შ ტ ი, ქართლის ცხოვრება, IV, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., 1973, გვ. 395.

შაჰმა თბილისის ციხისთავთან მოლაპარაკება გამართა და დიდი ჯილდო და განდიდება აღუთქვა იმ შემთხვევაში, თუკი ის ქალაქს დათმობდა. განდიდების სურვილით შეპყრობილმა ციხისთავმა ბრძოლა შეწყვიტა და ქალაქი და ციხე მტერმა დაიკავა. ყიზილბაშებმა გაძარცვეს და დაანგრიეს ეკლესია-მონასტრები, მათ შორის თბილისის სიონი, შემდეგ სიონის ღვთისმშობლის ხატი ავლაბრის ხიდის ყურესთან დადვეს, მორეკეს ქრისტიანები და ხატის ფეხქვეშ გათელვით ხიდზე გავლა უბრძანეს. ბევრმა ეს მოთხოვნა არ შეასრულა და მტრის მახვილის მსხვერპლი გახდა. ყიზილბაშებმა თბილისში თავისი მეციხოვნეები ჩააყენეს, ხიდის ყურესთან მეჩეთი ააგეს და, ამრიგად, მტკიცედ მოიკიდეს ფეხი ქალაქში[2].

ყიზილბაშთა მიერ თბილისის დაპყრობის შემდეგ დავით X ცდილობდა განედევნა მტერი ქართლის ციხესიმაგრეებიდან და „მარადის ბრძოდა ტფილისს“[3]. ასეთი იყო ვითარება ქართლსა და თბილისში, როცა 1524 წლის 23 მაისს ისმაილ I გარდაიცვალა და შაჰის ტახტზე ავიდა მისი ათი წლის ვაჟი თამაზი (თამაზ I, 1524—1576 წწ.). მისი მეფობის დასაწყისი ირანში ყიზილბაში ხანების ბატონობის ხანა იყო. მათ შორის ატყდა ბრძოლა იმის თაობაზე, თუ ვინ უნდა ყოფილიყო მცირეწლოვანი შაჰის რეგენტი. ირანის ამ გამწვავებული მდგომარეობით ისარგებლა დავით X-მ და იმავე წელს აიღო თბილისი, შემდეგ — აღჯაყალა და დაანგრია ის. ქართლი და თბილისი ყიზილბაშთა ბატონობისაგან გათავისუფლდა. ამ დროიდან ვიდრე 1541 წლამდე თბილისის შესახებ წყაროებში ცნობები არ მოიპოვება, მაგრამ აშკარად ჩანს, რომ თბილისში ამ ხნის მანძილზე ირანელთა გარნიზონი არ მდგარა.

თბილისი 1524—1562 წლებში

თბილისიდან ყიზილბაშთა განდევნის შემდეგ სამეფო კარზე უთანხმოება ჩამოვარდა — დავით X-ს ტახტს ეცილებოდნენ საკუთარი ძმები. იგი იძულებული გახდა გადამდგარიყო და ბერად აღკვეცილიყო. გამეფდა მისი ძმა გიორგი, რომელმაც მხოლოდ 3 წელი იმეფა (1525—1527). თუმცა ბრძოლა გრძელდებოდა, მაგრამ 1527 წ. ტახტი განიმტკიცა დავით X-ის შვილმა ლუარსაბმა იმერეთის მეფე ბაგრატ III-სთან კავშირის წყალობით. როგორც ჩანს, 1524—1540 წლებში ქართლის სამეფო, ასე თუ ისე, ახერხებდა ირანისაგან დამოუკიდებელი პოლიტიკის

---

[2] ვ ა ხ უ შ ტ ი, ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 397—399; ქართლის ცხოვრება, II, 1959, გვ. 355—356, 494—495. ისმაილის საქართველოში ლაშქრობის, თელეთის ბრძოლისა და თბილისის აღების შესახებ ჩვენს ისტორიოგრაფიაში ერთიანი აზრი არ არსებობს (იხ. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, 1973, გვ. 101—102).

[3] ვ ა ხ უ შ ტ ი, ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 399.

გატარებას ობილისიდან. ამას ხელს უწყობდა ის გარემოება, რომ 1514 წ. დაწყებული ირან-ოსმალეთის ომი გრძელდებოდა, ომში წარმატებები ოსმალეთს ჰქონდა და ირანი ვერ ახერხებდა თავდაცვას. მასთან ირანში კვლავ ფეოდალური აშლილობა და ჯანყებები იყო. ასეთ პირობებში ამიერკავკასიის ქვეყნები თავს შედარებით თავისუფლად გრძნობდნენ. მაგრამ 1536 წლიდან მდგომარეობა შეიცვალა: ოსმალეთმა თავისი დაპყრობითი პოლიტიკა უმთავრესად ევროპა-აფრიკისაკენ წარმართა, ირანიც ისარგებლა შაჰ თამაზ I-მა და შეეცადა თავისი პოზიციების განმტკიცებას აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში.

1538 წ. შაჰმა შირვანი დაიპყრო და ირანის საბეგლარბეგოდ აქცია, ოსმალეთ-დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი აღმოსავლეთ საქართველოს მდგომარეობა გააროულა, მაგრამ ლუარსაბ I (1527—1556 წწ.) ბრძოლას არ წყვეტდა. შაჰმა გადაწყვიტა ქართლის დაპყრობა. მტრის გეგმა ოყალიანწინებდა თბილისზე უეცარ თავდასხმას. შაჰმა თავისი ლაშქარი გარეგნულად ვითომ გასასეირნებლად და სანადიროდ ყარაბაღში ჩაიყვანა. ლაშქარში მან ომში გამოცდილი და მამაცი მეომრები და მეთაურები შეარჩია. 12-ათასიან ლაშქარს თვითონ ჩაუდგა სათავეში და 1541 წ. თბილისისაკენ დაიძრა.

დამპყრობელი ფრთხილად მოქმედებდა. ერთ ბნელ ღამეს, გამთენიის ხანს, როცა ყარაულებს ჩასძინებოდათ, მტერი თავს დაესხა თბილისს. ყიზილბაშებმა ძარცვა-რბევას მიჰყვეს ხელი და ქალაქს ცეცხლი წაუკიდეს. თბილისის ციხისთავი გულბათი მოღალატე აღმოჩნდა — მან ციხე მტერს ჩააბარა. ციხისმცველთა ნაწილმა მას მიჰბაძა, ნაწილმა კი გაქცევით უშველა თავს. ლუარსაბი ამ დროს თბილისში არ იყო — ის წინადღით დედოფალთან და ამალასთან ერთად მცხეთაში წასულიყო თავისი გარდაცვლილი მცირეწლოვანი შვილის დასაკრძალავად. მომხდარი ამბის გაგებისთანავე ის ლაშქრის შეკრებას შეუდგა, მაგრამ სამზადისი დამთავრებული არ ჰქონდა, რომ იძულებული გახდა, შებრძოლებოდა ყიზილბაშებს დიდგორის მთის მიდამოებში. ამ ბრძოლას ორივე მხრიდან ბევრი შეეწირა. ლუარსაბი უვნებლად გაშორდა ბრძოლის ველს და ახალი ბრძოლებისათვის მზადებას შეუდგა. შაჰმა თბილისში თავისი მეციხოვნეები ჩააყენა და თავრიზში გაბრუნდა[4].

ყიზილბაშების მიერ თბილისის დაპყრობის შემდეგ ლუარსაბ I შეთანხმებულად მოქმედებდა იმერეთის მეფე ბაგრატ III-სთან. 1545 წ. ოსმალეთმა საათაბაგოში ქართლისა და იმერეთის მეფეთა მომხრეები დაამარცხა, ბოლო მოუღო იმერეთ-საათაბაგოს გაერთიანებულ სამეფოს

---

[4] ჰასან რუმლუს ცნობები საქართველოს შესახებ, ვ. ფუთურიძის გამოცემა, 1966, გვ. 22—23; ისქანდერ მუნშის ცნობები საქართველოს შესახებ, ვ. ფუთურიძის გამოცემა, 1969, გვ. 15—16; ქართლის ცხოვრება, II, გვ. 357, 496—497; ფ ა რ ს ა დ ა ნ გ ო რ გ ი ჯ ა ნ ი ძ ე, ისტორია, ს. კაკაბაძის გამოც., საისტორიო მოამბე, წიგნი II, გვ. 212—213.

(1535—1545 წწ.) და საათაბაგოში თავისი კაცი ქაიხოსრო II (1545—1573 წწ.) გააბატონა. ლუარსაბსა და ქაიხოსროს შორის უთანხმოება ჩამოვარდა ჯავახეთის გამო, რომელიც ლუარსაბის ხელისუფლებას ემორჩილებოდა. მალე ქაიხოსრო დარწმუნდა. რომ ოსმალეთი საათაბაგოს სრულ დაპყრობას ესწრაფოდა და ირანის მხარე დაიჭირა. მან შაჰს სთხოვა დახმარება ლუარსაბის წინააღმდეგ. შაჰმაც არ დააყოვნა და 1547 წ. იანვარში დიდძალი ჯარით მეორედ შემოესია საქართველოს. მტერმა ჯავახეთი და შემდეგ ქვემო ქართლი დაარბია, გაძარცვა, მაგრამ ბრძოლის გაგრძელება ვერ შეძლო და უკან გაბრუნდა.

1551 წ. თამაზ I-მა შაქის სახელმწიფო დაიპყრო. აქ მას ქაიხოსრო II-ისაგან ცნობა მოუვიდა, რომ ლუარსაბი სამცხე-საათაბაგოს მიწა-წყალს იპყრობდა. ამას მოჰყვა შაჰის მესამე შემოსევა საქართველოში. შაჰის ლაშქარმა დაამარცხა ლუარსაბის მომხრეები საათაბაგოში და ქაიხოსროს ხელისუფლება განუმტკიცა. ლუარსაბი ბრძოლას მაინც განაგრძობდა. დაახლოებით 1552 წ. მან თბილისიც აიღო[5]. მაგრამ მისი შენარჩუნება ვერ შეძლო. 1554 წ. თამაზ I მეოთხედ შემოესია საქართველოს. მტერმა ქართლის სოფლები დაარბია და გაძარცვა, დაატყვევა 30 ათასი კაცი და ყარაბაღში დაბრუნდა. 1555 წ. ირანსა და ოსმალეთს შორის ზავი დაიდო. ამ ზავით აგრესორებმა საქართველო გაინაწილეს— ოსმალეთს ერგო დასავლეთ საქართველო და სამცხე-საათაბაგოს დასავლეთი ნაწილი, ირანს კი აღმოსავლეთ საქართველო და სამცხე-საათაბაგოს აღმოსავლეთი ნაწილი.

უცხოელმა დამპყრობლებმა ჯერ კიდევ დაუპყრობელი ქვეყანა გაინაწილეს. ამიერიდან ქართველი ხალხის ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის უფრო ძნელი გახდა; ზავის მიხედვით, ირანსა და ოსმალეთს ერთმანეთისათვის ხელი არ უნდა შეეშალათ დანაწილებული, მაგრამ დაუპყრობელი საქართველოს ნაწილების საბოლოო დამორჩილებაში.

ირან-ოსმალეთის ზავის პირობები მიუღებელი იყო ქართველ მეფე-მთავართათვის, მაგრამ თუ დანარჩენები, ასე თუ ისე, დროებით მაინც შეურიგდნენ მას, ლუარსაბ I მტკიცედ იდგა თავის ძველ პოზიციებზე და ბრძოლას განაგრძობდა. მან ქართლის რამდენიმე ციხესიმაგრე დაიბრუნა, ძლიერ შეავიწროვა თბილისის ყიზილბაშური გარნიზონი. ციხის უფროსმა თავისი მდგომარეობის შესახებ აცნობა ყარაბაღის მმართველს, რომელსაც შაჰისაგან დავალებული ჰქონდა თბილისის დაცვა, და დახმარება ითხოვა.

1556 წ. მდ. ქციის (ხრამის) ხეობაში სოფ. გარისთან გაიმართა დიდი ბრძოლა ქართლის ჯარსა და ყიზილბაშებს შორის. მოხუცმა მეფემ ჯარის მეთაურობა თავის მემკვიდრეს ახალგაზრდა სიმონს დაავალა. ყი-

---

[5] ქრონიკები. II. გვ. 392—393.

ზილბაშებს ყარაბაღის ხანი შაჰვერდი სულთან ზიად-ოღლი ყაჯარი მეთაურობდა. ქართველების ენერგიულ შეტევას მტერმა ვერ გაუძლო და უკუიქცა. სიმონი გაქცეულთ დაედევნა. ბრძოლის დაწყების წინ ლუარსაბმა, კათალიკოსმა და სხვა საერო და სასულიერო დიდებულებმა ერთ მაღალ გორაკზე დაიკავეს ადგილი და იქიდან ადევნებდნენ თვალყურს ბრძოლის მიმდინარეობას და მტრის უკუქცევის შემდეგ ელოდებოდნენ სიმონის უკან დაბრუნებას. ამ დროს მტრის ერთი რაზმი, რომელიც გასაქცევ გზას ეძებდა, ლუარსაბს და მის ამალას შეეჩეხა. გაჩაღდა ხელჩართული უთანასწორო ბრძოლა, რომელშიაც გმირი მეფე დაიღუპა.

XVIII ს. ქართველი ისტორიკოსის ბერი ეგნატაშვილის სიტყვით, „უკეთუმცა მეფესა ლუარსაბს ესოდენი ბრძოლა არა ექმნა, ახლამცა საქართველო ქმნილიყო სრულ სპრკინოზ და რაოდენიცა დღეს სახელნი არიან საქართველოსანი, ყოველივე ჯრმლისა მისისაგან არიან“[6]. ლუარსაბის ღირსებას მტერიც კი აღიარებდა[7]. ამიტომ იყო, რომ „ლუარსაბი საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის დროშად იქცა ოსმალეთის მოძალადეობის მოვბნელ ხანაში“[8].

ლუარსაბ I-ის გარდაცვალების შემდეგ 1556 წ. მცხეთაში ქართლის მეფედ ეკურთხა მისი 19 წლის შვილი სიმონი. მისი სატახტო ქალაქი გორი იყო. სიმონი განაგრძობდა მამის პოლიტიკას. მთავარი ამოცანა იყო თბილისის გათავისუფლება. ყიზილბაშები კი, რომლებმაც ვერ შეძლეს ქართლის დაპყრობა, წინანდებურად დამარბეველ ლაშქრობებს აწყობდნენ და ძარცვა-რბევით, ნგრევითა და აოხრებით, ხოცვა-ჟლეტით იყრიდნენ ჯავრს. 1557 წ. ყარაბაღის ყიზილბაშთა ლაშქარი ზემოხსენებული შაჰვერდი სულთნისა და სულეიმან ბეგ ბაიათის მეთაურობით ქართლს შემოესია. მათ „გორის, სურამისა და საბარათიანოს ვილაიეთი დაარბიეს, სოფლები და მხარეები ააოხრეს, ყანები და ხეები მწიფე ხილით ძირიანად ამოგლიჯეს და გამარჯვებულნი უამრავი ნადავლით განჯაში დაბრუნდნენ“[9].

სათანადო მომზადების შემდეგ სიმონ I (1556—1569, 1578—1599 წწ.) 1561 წ. შეუდგა თბილისის გათავისუფლებისათვის ბრძოლის გეგმის განხორციელებას. სიმონს შეუერთდა კახეთის რაზმი თავისი ცოლის ძმის გიორგი ბატონიშვილის მეთაურობით. ქართველთა ჯარი სიმონის მეთაურობით სოფ. ციხედიდთან იდგა ახლანდელი მცხეთის რაიონის სოფ. ძეგვის მახლობლად. თბილისის ყიზილბაშური გარნიზონის დასახმარებლად მრავალრიცხოვანი ჯარით განჯიდან გამოვიდა ყარაბაღის მმართვე-

---

[6] ქართლის ცხოვრება, II, გვ. 366.

[7] ისქანდერ მუნში, დასახ. ნაშრომი, გვ. 21.

[8] ნ. ბერძენიშვილი, ივ. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, საქართველოს ისტორია, 1946, გვ. 308.

[9] ჰასან რუმლუ, დასახ. ნაშრომი, გვ. 35; ქრონიკები, ტ. II, გვ. 399.

ლი შაჰვერდი სულთან ზიად-ოღლი ყაჯარი. იმისათვის, რომ შემოსევა ქართველებისათვის მოულოდნელი ყოფილიყო, მტერი წამოვიდა გარდაბნის გაუკაცრიელებული ტერიტორიითა და თბილისში ისე შევიდა, რომ ქართველებს არაფერი გაუგიათ.

ქართველთა ყარაულები მათი უფროსის ფარეშათ გერმანოზიშვილის მეთაურობით იმ ღამეს მუხათგვერდში ასულიყვნენ სააღდგომო წირვის მოსასმენად (მეორე დღეს აღდგომა იყო). ამით ისარგებლა მტერმა, ამოავსო სიმონის ბანაკს გარშემოვლებული ხანდაკები (თხრილები) და 1561 წლის 6 აპრილს აღდგომა დილას მოულოდნელად დაესხა თავს ქართველებს. „ორივე მხარე მამაცურად და გულადად იბრძოდა. ურწმუნონი (ე. ი. ქართველები) მტკიცედ იდგნენ და ღაზიების (ე. ი. ყიზილბაში მეომრების) იერიშებს მედგრად იგერიებდნენ“[10]. გახურებულ ბრძოლაში მოკლეს კახეთის რაზმის მეთაური გიორგი უფლისწული. კახელები მისი გვამის ბრძოლის ველიდან გამოტანას შეეცადნენ და საერთო ბრძოლას გამოეთიშნენ. ამან არეულობა შეიტანა თავდამცველთა რიგებში და საბოლოოდ მტერმა გაიმარჯვა. ამრიგად, თბილისის გათავისუფლების ეს ცდაც უშედეგოდ დამთავრდა.

როგორც ზემოთ ითქვა, 1541 წ. თბილისში ყიზილბაშები გაბატონდნენ. ქალაქის ციხესიმაგრეში მათი გარნიზონი იდგა და თბილისი და მისი მიმდებარე სოფლები შაჰის ხელისუფლების ქვეშ მოექცა. ქართლის ამ ნაწილში, ცხადია, ქართული მართვა-გამგეობა მოისპო და მოსახლეობა შაჰის სასარგებლოდ იხდიდა ბეგარა-გადასახადებს. ქართლის დანარჩენი, უდიდესი ნაწილი, ქართლის მეფის ხელისუფლებას ემორჩილებოდა. ამ დროიდან თბილისში თანდათანობით იზრდებოდა მუსლიმანური მოსახლეობა, ფეხს იკიდებდა მუსლიმანური წეს-ჩვეულებანი. ისქანდერ მუნშის ცნობით, XVI ს. 50-იანი წლების პირველ ნახევარში ლუარსაბ I „ენებას აყენებდა თბილისის ვილაიეთს და იმ ადგილებს, რომლებიც ყიზილბაშების მიერ იყო დაპყრობილი და მათი სამფლობელო გამხდარიყო“. იქვე მას ნათქვამი აქვს. რომ ამის გამო შაჰმა გადაწყვიტა „მთელი მისი (ლუარსაბის) ქვეყანა ისლამის ქვეყნისათვის შეეერთებინა“[11].

როგორც აღნიშნულიდან ჩანს, თბილისი და მისი მიდამოები ყიზილბაშების მიერ დაპყრობილი და ირანის დივანის მფლობელობაში შესული ქვეყანა იყო[12]. ამრიგად, ქართლში „ყიზილბაშობის“ (ირანის სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური და კულტურული) შემოღების პირველ ცდას ადგილი ჰქონდა XVI ს. 40—50-იან წლებში და არა 60-იანი წლების დასაწყისში, როგორც ეს მიღებული იყო დღემდე ჩვენს ისტორიოგრა-

---

[10] ისქანდერ მუნში, დასახ. ნაშრომი, გვ. 23.
[11] იქვე, გვ. 20.
[12] იქვე, გვ. 23—24.

ფიაში. „ყიზილბაშობის“ ეს პირველი პერიოდი 1578 წლამდე გაგრძელდა. ამავე დროს შეუნელებლივ მიმდინარეობდა ბრძოლა „ქართველობის“ (ქართული სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური წყობის) დაცვისათვის.

თბილისი 1562—1578 წლებში

ხანგრძლივმა განუწყვეტელმა ბრძოლამ, რომელსაც ქართლის მოსახლეობა ეწეოდა აგრესორების წინააღმდეგ, ქვეყანა გაპარტახებამდე მიიყვანა. გამანადგურებელმა ომიანობამ ან ომის მოლოდინში ყოფნამ ბევრს გული გაუტეხა და განაწყო შაჰისადმი მორჩილების გზას დასდგომოდა. ცხენდიდთან დამარცხებამ 1561 წ. ასეთი სულისკვეთება კიდევ უფრო გააძლიერა. სიმონის პოლიტიკით უკმაყოფილოთა შორის მისი ძმა დავითიც იყო, რომელსაც უმთავრესად ქართლის მეფობის სურვილი ამოძრავებდა. ის ქვემო ქართლის თავადთა, აზნაურთა და მსახურთა ჯგუფთან ერთად სამშობლოდან გაიქცა და 1561 წლის მიწურულს შაჰს ეახლა ყაზვინში. შაჰისთვის ამ ფაქტს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა დამოუკიდებლობისათვის მებრძოლთა რიგებში განსეთქილების შესატანად. ამიტომ შაჰმა ის კარგად მიიღო. დავითი გამაჰმადიანდა და დაუთხანი დაირქვა.

შაჰმა დაუთხანი თბილისისა და ქვემო ქართლის სანად დანიშნა და დიდძალი საჩუქრებით დაჯილდოებული 1562 წელს ყიზილბაშთა ჯარით ქართლში დააბრუნა. დაუთხანი თავისი მომხრე ქართველებითა და ყიზილბაშებით დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ თანამოძმეებს დაუპირისპირდა. სიმონისა და მისი თანამებრძოლების მთავარი ამოცანა კვლავ თბილისის გათავისუფლება იყო[13].

1567 და 1568 წლებში დიღომთან და სამადლოსთან ბრძოლებში სიმონმა დაამარცხა დაუთხანი და ყიზილბაშები, მაგრამ თბილისის აღება ვერ შეძლო. დაუთხანმა თავისი უმწეო მდგომარეობა შაჰს აცნობა და დახმარება სთხოვა. 1569 წ. შაჰმა დიდძალი ჯარი გამოგზავნა სიმონის წინააღმდეგ. ბრძოლა მოხდა სოფ. ფარცხისთან (ახლ. თეთრი წყაროს რაიონის ჯორჯიაშვილის სასოფლო საბჭოს ტერიტორიაზე). ფიცხელ ბრძოლაში ჩართული სიმონი და მისი ჯგუფი დიდი მანძილით მოსწყდა ძირითად ლაშქარს. მოღალატე ყორღანაშვილმა, რომელიც მტრის მეგზური იყო, იცნო მეფე და ყიზილბაშებს დაანახვა. მეფე დაატყვევეს. ქართველთა ჯარი, სანამ მეფის დატყვევებას შეიტყობდა, ბრძოლას განაგრძობდა, შემდეგ კი, დაღლილ-დაქანცული, იარაღშემოლეწილი მეომრები ბრძოლის ველს გაეცალნენ. ყიზილბაშებმა სიმონი ჯერ თბილის-

---

[13] ისქანდერ მუნში, დასახ. ნაშრომი, გვ. 24.

ში ჩაიყვანეს, შემდეგ კი ყაზვინში. შაჰი ბევრს ეცადა სიმონის გამაჰმადიანებას, მაგრამ მიზახს ვერ მიაღწია და ალამუტის (ყაზვინის ჩრდილოეთით) ციხეში დაამწყვდია, სადაც 1576 წლამდე ჰყავდა.

ფარცხისის ბრძოლაში დამარცხებისა და სიმონ I-ის დატყვევების შემდეგაც დაუთხანის ხელისუფლება ქართლში მტკიცე არ იყო. თავადაზნაურთა მნიშვნელოვანი ნაწილი მას მხარს არ უჭერდა. მისი ხელისუფლება ფაქტობრივად მხოლოდ თბილისსა და ქვემო ქართლზე ვრცელდებოდა.

დაუთხანის მოწინააღმდეგეთა და სიმონის მომხრეთა შორის იყო ქართლის სარდალი საჩინო ბარათაშვილი, რომელმაც მოღალატე კახაბერ ყორღანაშვილს სამაგიერო მიუზღო — შეიპყრო იგი და გელიყარის კლდიდან გადააგდო. დაუთხანი ხან თბილისს, ხან კიდევ დმანისის ციხესიმაგრეში იჯდა, დროს ფუფუნებასა და განცხრომაში ატარებდა და საქვეყნო საქმეებზე ნაკლებად ზრუნავდა.

XVI ს. მეორე ნახევარში საერთაშორისო ასპარეზზე გამოვიდა გაძლიერებული მოსკოვის სახელმწიფო, რომელიც თანდათანობით მოიწევდა სამხრეთისაკენ. ივანე IV-ის მიერ ყაზანისა (1552 წ.) და ასტრახანის (1556 წ.) სახანოების დაპყრობის შემდეგ რუსეთი ვოლგისპირეთს დაეუფლა. ირან-ოსმალეთის წინააღმდეგ მებრძოლი ხალხები თავიანთ უკეთეს ბედს რუსეთს უკავშირებდნენ. რუსეთი განსაკუთრებით იმედის მომცემი იყო საქართველოსათვის — ქართველები ერთმორწმუნე რუსეთში თავიანთ დამხმარე ძალას ხედავდნენ. 1564/65 წლებში კახეთის მნიშვნელოვან ციხესიმაგრეებში რუსეთის მცველი რაზმები ჩადგნენ. კავკასიაში რუსეთის აქტიური გამოსვლა უპირისპირდებოდა ოსმალეთის აგრესიულ გეგმებს. ამ ნიადაგზე მოხდა რუსეთ-ირანის დაახლოება. ოსმალეთი რუსეთისაგან მოითხოვდა კავკასიიდან გასვლას. ამ დროს რუსეთში რთული საშინაო და საგარეო ვითარება იყო (ლივონიის ომი, ოპრიჩნინა), რის გამოც მას ოსმალეთთან ომის დაწყების შესაძლებლობა არ ჰქონდა. ამიტომ ივანე IV-ის მთავრობა იძულებული გახდა დაეთმო თავისი პოზიციები კავკასიაში. ასეთ რთულ საერთაშორისო ურთიერთობათა პირობებში 1578 წ. დაიწყო ირან-ოსმალეთის ომი, რომლის შედეგად მთელს ამიერკავკასიასა და, კერძოდ, თბილისში ოსმალთა ბატონობა დამყარდა.

ოსმალეთის ფეოდალური სახელმწიფო კასპიის ზღვის სანაპიროებზე გაბატონებას ესწრაფოდა და საამისოდ ხელსაყრელ პირობებს ელოდებოდა. ასეთი ვითარება შეიქმნა შაჰ თამაზ I-ის გარდაცვალების (1576 წ.) შემდეგ, როცა ირანში შინაფეოდალური ომები ატყდა. 1578 წ. ოსმალეთმა ომი დაიწყო. სულთნის უზარმაზარი არმია მუსტაფა ლალა ფაშას მეთაურობით სამცხე-საათაბაგოში შევიდა. 10 აგვისტოს ოსმალებმა ჩილდირთან („ჩრდილი", ამავე სახელწოდების ტბის მიდამოებში, ამჟა-

მად თურქეთის ტერიტორიაზე) გადამწყვეტ ბრძოლაში დაამარცხეს ირანის არმია. სამცხე-საათაბაგოდან ლალა მუსტაფა ფაშა თბილისისკენ გაემართა. დაუთხანმა ქალაქი გადაწვა და გაიქცა[14]. 29 აგვისტოს თბილისში შევიდნენ. ოსმალეთის სარდალმა თბილისის მმართველად დანიშნა მეჰმედ ფაშა, დაუტოვა მას მეციხოვნე რაზმი ზარბაზნებით და თვითონ შირვანის დასაპყრობად გაემართა. ამრიგად, 1578 წ. ქართლში ყიზილბაშთა ბატონობა ოსმალთა ბატონობით შეიცვალა, რომელიც 1606 წლამდე გაგრძელდა[15].

თბილისი 1578—1590 წლებში

ოსმალმა დამპყრობლებმა ქართლში თბილისის საბეგლარბეგო დააარსეს და ბეგლარბეგად სულთნის მოხელე მეჰმედ ფაშა დანიშნეს. თბილისის საბეგლარბეგოში შედიოდა გორი, როგორც სანჯაყი. ამრიგად, ოსმალებმა ქართლი დაპყრობილ ქვეყნებს მიათვალეს და აქ ოსმალური წესწყობილების შემოღებას შეუდგნენ. „ოსმალთ დაიპყრეს ქართლი და ჰყვეს თბილისი საფაშოდ, გორი აღაშენეს და ჰყვეს სანჯაყად“[16]. დამპყრობლებმა მოსახლეობა აღწერეს და დაბეგრეს. ქართლში „ოსმალობა“ დამყარდა.

ოსმალები თავიანთი ბატონობის განმტკიცებას იდეოლოგიური საშუალებითაც ახორციელებდნენ — თბილისში მათ ორი ეკლესია მეჩეთად გადააკეთეს[17]. ლალა მუსტაფა ფაშამ თბილისის ბეგლარბეგის განკარგულებაში დატოვა ჯარი და საჭურველი.

ირან-ოსმალეთის ომის დაწყებისას შაჰის ხელისუფლება დაუთხანს არ თვლიდა ისეთ პიროვნებად, რომელიც შეძლებდა ქართლის დაცვისათვის ბრძოლის ორგანიზაციას. ამიტომ მან გადაწყვიტა ენერგიული და გულადი სიმონის გამოყენება, რომელიც ჯერ კიდევ 1576 წ. ალამუტის ციხიდან გამოუშვეს. 1578 წ. შაჰმა სიმონს ქართლის მეფობა უბოძა და ყიზილბაშ სარდალ ალი ყული ხანთან ერთად 5 000 მხედრით და რამდენიმე ქვემეხით ქართლში გამოგზავნა. იმავე წლის ოქტომბერში სიმონი ქართლში ჩამოვიდა. ამ დროს აქ ოსმალთა წინააღმდეგ მოძრაობა უკვე

---

[14] ქართლის ცხოვრება, II, 522; ს. ჯ ი ქ ი ა . იბრაჰიმ ფეჩევის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, თბ., 1964, გვ. 41.

[15] უფრო დაწვრილებით, იხ.: ი ბ რ ა ჰ ი მ ფ ე ჩ ე ვ ი , 36—42; მ. ს ვ ა ნ ი ძ ე , საქართველო-ოსმალეთის ურთიერთობის ისტორიიდან XVI—XVII სს. 1971, გვ. 95—120; ე. მ ა მ ი ს თ ვ ა ლ ი შ ვ ი ლ ი , საქართველოს საგარეო პოლიტიკური ურთიერთობანი XV ს. მეორე ნახევარსა და XVI საუკუნეში, 1981, გვ. 173—186.

[16] ქართლის ცხოვრება, II, გვ. 522; ვ ა ხ უ შ ტ ი , ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 411.

[17] მ. ს ვ ა ნ ი ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 113.

დაწყებული იყო.

სიმონ მეფე სათავეში ჩაუდგა ამ მოძრაობას. 1579 წ. სიმონს ოსმალთა გარნიზონი თბილისში გარემოცული ჰყავდა — მეციხოვნეები ქალაქიდან ვერ გამოდიოდნენ და შიმშილობდნენ. თბილისის ბეგლარბეგი არზრუმელი ფაშასაგან დახმარებას ითხოვდა, მაგრამ ოსმალებმა ვერ შეძლეს მისთვის სურსათის მიწოდება, რადგან ქართველებმა და ყიზილბაშებმა გზები შეკრეს[18]. ალყა 4 თვე გაგრძელდა, გარნიზონი დაიშალა. ოსმალთა 12-ათასიანმა დამხმარე ლაშქარმა, 2 აგვისტოს, დიდი გაჭირვებით მოახერხა ქალაქში შესვლა. ოსმალთა რაზმი დამატებითი ძალებით შეივსო, მაგრამ დიდი ლაშქრის წასვლისთანავე სიმონმა კვლავ ალყა შემოარტყა თბილისს. არზრუმელმა ფაშამ იმავე წლის შემოდგომაზე 20-ათასიანი ჯარი გამოგზავნა ჰასან ფაშას მეთაურობით. გზაზე ქართველები და ყიზილბაშები თავს ესხმოდნენ თბილისისკენ მიმავალ ოსმალთა ლაშქარს, მაგრამ ფაშა თბილისში შევიდა და გარნიზონი ისევ გააძლიერა[19].

ოსმალთა 1578—1579 წლების ოპერაციებმა მიზანს მაინც ვერ მიაღწიეს — ხალხის წინააღმდეგობა ვერ გატეხეს და მებრძოლი ქვეყანა ვერ დაიმორჩილეს. ამის გამო სულთანმა 1580 წ. ლალა მუსტაფა ფაშა გადააყენა და მის ნაცვლად აღმოსავლეთის ჯარის სარდლად სინან ფაშა დანიშნა, რომელიც ამიერკავკასიისა და ირანის წინააღმდეგ ბრძოლას ხელმძღვანელობდა 1580—1582 წლებში. მისი ერთ-ერთი მთავარი ამოცანა იყო ქართლის მეფის სიმონ I-ის დამორჩილება. უპირველესი ამოცანა ახლაც თბილისის ოსმალო მეციხოვნეებისათვის დახმარების გაწევა იყო.

სინან ფაშა დმანისის გზით აგვისტოს ბოლოს (1580 წ.) თბილისში შევიდა, გადააყენა ძველი ფაშა და თბილისის ბეგლარბეგად გამაჰმადიანებული ქართველი თავადი გიორგი დანიშნა[20]. იგი თბილისის ბეგლარბეგი იყო 1580 წ. აგვისტოს ბოლოდან 1582 წლის სექტემბრამდე. თბილისში მყოფმა სინან ფაშამ გაიგო, რომ ქართველები და ყიზილბაშები მასზე თავდასხმას აპირებდნენ, ამიტომ ღამით სასწრაფოდ აიყარა და ისე გაიქცა ყარსისაკენ, რომ მტრის დაახლოებით 90 ქვემეხი ქართველებს დარჩათ[21].

1580—1582 წლებში ირანსა და ოსმალეთს შორის საზავო მოლაპარაკება მიდიოდა. ამ მოლაპარაკებაში მონაწილეობდა სიმონ I-ის ელჩიც[22]. მოლაპარაკება უშედეგოდ დამთავრდა. 1582 წ. თბილისი კვლავ

---

[18] ი ბ რ ა ჰ ი მ ფ ე ჩ ე ვ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 54.

[19] მ. ს ვ ა ნ ი ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 137—138; ე. მ ა მ ი ს თ ვ ა ლ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 199—200.

[20] ი ბ რ ა ჰ ი მ ფ ე ჩ ე ვ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 61; მ. ს ვ ა ნ ი ძ ე. დასახ. ნაშრომი, გვ. 141—143.

[21] ე. მ ა მ ი ს თ ვ ა ლ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 209.

[22] მ. ს ვ ა ნ ი ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 144—146.

ალყაშემორტყმული იყო. სულთანმა თბილისისკენ გაგზავნა 20-ათასიანი ჯაი ჰადიმ ჰასან ფაშას მეთაურობით. მუხრანთან დაბანაკებულ ოსმალებს თავს დაესხა სიმონი და ხელთ იგდო დიდძალი ნადავლი, მათ შორის თბილისისათვის გათვალისწინებული ხაზინა. ოსმალები მაინც შეიჭრნენ თბილისში. ბეგლარბეგობიდან გაათავისუფლეს იუსუფ ფაშა და ამის ნაცვლად ომერ ფაშა დანიშნეს[23], რომელიც თბილისს განაგებდა 1582—1583 წლებში.

სინან ფაშამ ვერ შეძლო სულთნის დავალების შესრულება. ამის გამო სულთანმა ის გადააყენა და აღმოსავლეთის ჯარების სარდლად 1583 წ. ფერჰარდ ფაშა დანიშნა. მას დაევალა საბოლოოდ გადაეწყვიტა საქართველოს საკითხი.

ახალი სარდალი 1584 წ. ქვემო ქართლში შეეიდა, გაამაგრა ლორესა და დმანისის ციხეები და ალყაშემორტყმული თბილისის დასახმარებლად დმანისიდან 30-ათასიანი ჯარით რიდვან (რეზვან) ფაშა გაგზავნა. ქართველებს სიმონ I და მანუჩარ ათაბაგი მეთაურობდნენ. მათ მხოლოდ 4-ათასიანი ჯარი ჰყავდათ და დამარცხდნენ. ოსმალები თბილისში შეიჭრნენ.

1585 წ. სულთანმა ფერჰარდ ფაშა გადააყენა და მის ნაცვლად დანიშნა ოზდემირ ოღლუ ოსმან ფაშა, რომელსაც დაევალა ირანისა და საქართველოს დამორჩილება[24]. ოსმალთა უზარმაზარმა არმიამ 1585 წ. სექტემბერში თავრიზი აიღო. ირანი ბრძოლას განაგრძობდა, აგრძელებდა ბრძოლას სიმონიც, რომელმაც იმავე წელს აიღო ლორე[25]. ოზდემირ ოღლუ ოსმან ფაშას გარდაცვალების (1587 წ.) შემდეგ სარდლად ისევ ფერჰარდ ფაშა დაინიშნა. იმავე წელს ის საქართველოსკენ გაემართა და 27 აგვისტოს მისი მთავარი ძალა დმანისში მივიდა, აქედან კი თბილისის გავლით — გორში. ამ დროს სიმონი თავისი ლაშქრით საათაბაგოში იმყოფებოდა მანუჩარის დასახმარებლად. როგორც კი გორისაკენ გაიგო წასვლა ოსმალთა, სიმონი ქართლში დაბრუნდა. ამით ისარგებლეს ოსმალებმა და საათაბაგო დაიმორჩილეს.

აღნიშნულ ამბებთან დაკავშირებით ფერჰარდ ფაშა სულთანს სწერდა: „რადგანაც საქართველოში ვერავითარი საშუალებით ვერ მოხერხდა წყეული სიმონის თავიდან მოცილება, საბოლოოდ სიმონის სატახტო ქალაქ გორში მაგარი ციხე აშენდა. ახალციხეშიც შეიკრიბნენ ბეგლარბეგები და ციხე გაამაგრეს... აშენებულ ციხეებში მეომრები ჩააყენეს, მოთავსდა ხაზინა და სურსათი, დაინიშნენ ბეგლარბეგები. ამის შედეგად დმანისი, ლორე, გორი და ახალციხე საქართველოს ნამდვილ ზღუ-

---

[23] მ. სვანიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 151.

[24] იქვე, გვ. 162—163.

[25] ქრონიკები, II, გვ. 423.

დედ შეიქმნა. თბილისის ციხის ასეთი გაძლიერებისათვის მრავალი სიძნელე განვიცადეთ და ხაზინა დაიხარჯა, მაგრამ ქვეყანა გამაგრდა"[26].

1588 წ. ირანსა და თურქეთს შორის დროებითი ზავი დაიდო. იმავე წელს გაფორმდა ხელშეკრულება სიმონსა და სულთანს შორის. ამ ხელშეკრულებით ქართლის სამეფო ეძლეოდა სიმონს მემკვიდრეობითი მფლობელობის უფლებით და ქრისტიანობის შენარჩუნებით. ქართლის სამეფოს ყოველწლიური ხარკი უნდა ეხადა, ოსმალეთი სამეფოს შინაურ საქმეებში არ უნდა ჩარეულიყო. ამასთან ქართლის მთავარ ციხესიმაგრეებში, მათ შორის თბილისში, ოსმალთა გარნიზონი უნდა მდგარიყო, რომელსაც უნდა დამორჩილებოდა ქალაქთა ახლომახლო სოფლების მოსახლეობა[27]. ეს ხელშეკრულება შემდეგ სულთანმა დაამტკიცა. 1590 წ. 21 მარტს სტამბოლში ირანსა და ოსმალეთს შორის ზავი დაიდო, რომლითაც საქართველო და მთელი ამიერკავკასია ირანმა ოსმალეთის სამფლობელოდ სცნო, მაგრამ ოსმალეთმა ვერ შეძლო თავისი დიდი გეგმის — ქართლის სამეფოს სრული დაპყრობისა და მისი ოსმალეთის საბეგლარბეგოდ გადაქცევის განხორციელება. ეს იყო ქართლის სამეფოს მრავალწლიანი ბრძოლის შედეგი.

თბილისი 1590—1606 წლებში

ზავის დადების შემდეგაც სიმონ I უსიტყვოდ როდი ემორჩილებოდა ოსმალებს. ის განსაკუთრებით უკმაყოფილო იყო იმით, რომ ქართლის უმთავრეს ციხესიმაგრეებში, და მათ შორის თბილისში, ოსმალთა გარნიზონები იდგნენ. ოსმალო მეციხოვნენი ბატონობდნენ ქალაქთა გარშემო სოფლებზე და მათი მოსახლეობისაგან გადასახადებს თვითონ იღებდნენ. ამის გამო სიმონის მომხრეები ციხესიმაგრეებისაკენ მიმავალ და იქიდან მომავალ ოსმალებს ხშირად თავს ესხმოდნენ.

ეს ფაქტი კარგად ჩანს 1588 წლის ზავის შემდეგ სულთნის მიერ სიმონისადმი გაგზავნილ წერილში. „შენ ხშირად მორჩილებიდან გამოდიხარ, ციხეში მომსვლელებს და სხვა გამველელ-გამომველელებს ავიწროებ და, გარდა ამისა, აქაო და მე მოხარაჯე ვარო. ციხესთან ახლო მდებარე ნათესებიდან უშურს[28] ითხოვ და ამბობ, რომ ციხეების გარშემო განლაგე-

---

[26] გ. ფ უ თ უ რ ი ძ ე , მუსტაფა სელიანიქი საქართველოს შესახებ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. 91, 1960, გვ. 269.

[27] მ. ს ვ ა ნ ი ძ ე , ს. ჯ ი ქ ი ა , საქართველო-თურქეთის ურთიერთობის ისტორიიდან 1588—1590 წლებში. — „მაცნე", №6, 1966, გვ. 223—235.

[28] უშური — უშრი — აშარი (არაბ. მეათედი) — ყოველწლიური ნატურალური გადასახადი მუსლიმანურ ქვეყნებში, თავდაპირველად შემოსავლის 1/10-ის რაოდენობით. XVI—XVII სს-დან შემოღებულ იქნა მისი აკრეფის საიჯარო სისტემა, რომლის დროსაც გადასახადის რაოდენობა ფაქტობრივად შემოსავლის 1/2-ს აღწევდა.

ბული და ჩემი სამეფო და უძლიერესი ჯარის მიერ დაპყრობილი სოფლები და ნათესები უწინდელივით ჩემს მფლობელობაში უნდა იყოსო, ჩხუბობ და საქმეში ერევი... ამჟამად კი თბილისის ბეგლარბეგმა გამოგზავნა წერილი. რომელშიაც შენს შესახებ მომახსენა, რომ შენ სრულ მორჩილებასა და გამგონობას იჩენ... ამიტომ მე კვლავ გავუგზავნე ბეგლარბეგებს მტკიცე და პატიოსანი ბრძანებები და თითოეული მათგანი მტკიცედ და დაბეჯითებით გავაფრთხილე და მივუთითე, რომ რამდენადაც ჩვენთან ერთგულად და პირიანად არის, მის ქვეყანას არ ჩააცივდეთ და მის საქმეებში არ ჩაერიოთო მეთქი, იმის მეგობარს მეგობრობა, ხოლო მის მტერს მტრობა გაუწიეთ და მასთან ყოველნაირად მეგობრულად და გულითადად იყავით მეთქი. მაგრამ არც შენ შეგფერის, მხოლოდ იმიტომ რომ მოხარჯე ვარო და ციხეები რომ შენდებოდა ჩემი ძლიერი და სამეფო ჯარებით დაპყრობილი და დამორჩილებული სოფლებისა და ნათესების საქმეებში ერევი და ციხის მიდამოებში მდებარე ყანებიდან უშურს ითხოვ"[29].

სულთნის წერილიდან ისიც ჩანს, რომ ზოგჯერ მეციხოვნეები არა მარტო ზემოაღნიშნული, არამედ სიმონისადმი დაქვემდებარებული სოფლებისა და მათი მოსახლეობის საქმეებშიც ერეოდნენ და თავს ესხმოდნენ მათ.

ირანის შაჰი აბას I (1587—1629) უკმაყოფილო იყო სტამბოლის ზავით და დაკარგული პოზიციების აღსადგენად ემზადებოდა. ოსმალეთის ასეთი გაძლიერების წინააღმდეგი იყო დასავლეთ ევროპის ზოგი სახელმწიფოც. 90-იან წლებში პაპის კლიმენტი VII-ისა და „რომის საღვთო იმპერიის" ინიციატივით დაიწყო მოლაპარაკება ანტიოსმალური კოალიციის შექმნის თაობაზე. ქართველი პოლიტიკური მოღვაწეებიც ოსმალეთის უღლისაგან გათავისუფლებისათვის ბრძოლას ამ საერთაშორისო სიტუაციას უკავშირებდნენ. საერთო ევროპულ-აღმოსავლური კოალიციის შექმნა შეუძლებელი გახდა, მაგრამ 1595 წლისათვის ჩამოყალიბდა ირანის, ქართლისა და კახეთის კავშირი. ამის შედეგი ის იყო, რომ სიმონ I 1598 წ. აჯანყდა ოსმალეთის ბატონობის წინააღმდეგ. 1599 წ. მან გორის ციხე აიღო[30] და დაიწყო მზადება თბილისის გათავისუფლებისათვის. ოსმალთა ბატონობას საფრთხე ემუქრებოდა.

1599 წ. სულთანმა გამოგზავნა დიდძალი ჯარი, რომელიც მდ. ხრამის (ქციის) პირას ნახიდურთან დაბანაკდა და თბილისისაკენ მოიწევდა. ქართველთა ჯარის მობილიზაცია დამთავრებული არ იყო, როდესაც სიმონი მდ. ალგეთის ნაპირზე მტერს შეება, რომ ოსმალებისათვის არ მიეცა საშუალება თბილისში შესვლისა, რომლის შემდეგ მათ წინააღმდეგ

---

[29] მ. სვანიძე, ს. ჯიქია, დასახ. ნაშრომი, გვ. 234—235.

[30] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, 1973, გვ. 147—148.

ბრძოლა გაცილებით ძნელი გახდებოდა. უთანასწორო ბრძოლა 5 საათს გაგრძელდა. უკან დახეულ ქართველებს მტერი დაედევნა. სოფ. ფარცხისთან (ახლ. თეთრი წყაროს რაიონში) ვიწრო გზაზე ვიღაცამ შემთხვევით მეფეს ცხენი დააძგერა და სიმონი ცხენიანად საფლობში გადავარდა. საფლობიდან მეფის ამოყვანა გაძნელდა. ამასობაში ოსმალებმაც მოაღწიეს და სიმონი დაატყვევეს[31]. ოსმალეთი ზეიმობდა სიმონის დატყვევებას. მეფე სტამბოლის ციხეში დაამწყვდიეს, სადაც გარდაიცვალა (1611 წ.).

ბრძოლა ირანელ დამპყრობთა წინააღმდეგ XVII ს-ის პირველ მესამედში

როგორც ზემოთ ითქვა, 1562—1578 წლებში თბილისი ირანელთ ეპყრათ, 1578—1606 წლებში კი ოსმალთა ხელში გადავიდა. ირანსა და ოსმალეთს შორის დადებულმა 1590 წლის ზავმა დაადასტურა ოსმალთა გაბატონება ამიერკავკასიაში. ამიერკავკასიის ვაჭრობა თითქმის მთლიანად ოსმალეთის ხელში აღმოჩნდა, იგი გაბატონდა სტამბოლის სავაჭრო გზაზე: შემახა — განჯა — თბილისი — გორი — ახალქალაქი — ახალციხე — ერზერუმი[32].

1603 წ., დიდი მზადების შემდეგ, შაჰ აბასმა ომი დაიწყო ოსმალეთის წინააღმდეგ, რომელიც მცირე ინტერვალებით 1639 წლამდე გაგრძელდა. შაჰ აბასის მიზანი ამ ომში 1590 წ. ზავით დაკარგული პოზიციების დაბრუნება და აღმოსავლეთ ამიერკავკასიიდან ოსმალეთის განდევნა იყო. ირანის ინტერესები ოსმალეთთან ერთად რუსეთის უკუგდებასაც მოითხოვდა, რომელსაც უკვე დაედო მფარველობის ხელი კახეთისათვის. ამდენად აღმოსავლეთ საქართველოს (და მთელი აღმოსავლეთ ამიერკავკასიის) საბოლოო დაპყრობა ერთ-ერთი მთავარი ამოცანა იყო შაჰ აბასისათვის ახლად დაწყებულ ომში.

შაჰ აბასმა 1603 წ. ზაფხულში თავრიზი აიღო და ამიერკავკასიაში შემოიჭრა, გადმოლახა არაქსი, აიღო ჯულფა, ნახიჭევანი და ალყა შემოარტყა ერევნის ციხეს. 10 თვის ალყის შემდეგ აიღო ერევანი (1604 წ. ზაფხული) და შეუდგა თავისი საზარელი გეგმის — სომეხთა ირანში გადასახლების საქმეს. ერთი წლის განმავლობაში მან გადაასახლა სოფლისა და ქალაქის 350 ათასამდე მცხოვრები, მათ შორის ქ. ნახიჭევნისა და ქ. ჯულფის ვაჭრები და ხელოსნები.

1606 წ. გაზაფხულზე შაჰ აბასმა აიღო ყარაბაღი. განჯა და ქართლში

---

[31] ფ. გორგიჯანიძე, ისტორია. ს. კაკაბაძის გამოცემა. — საისტორიო მოამბე. 1925, თბ., გვ. 222—224; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, გვ. 148—149.

[32] ვ. გაბაშვილი, თბილისი XVI—XVII საუკუნეების აღმოსავლურ წყაროებში. თსუ შრომები, ტ. 99, 1962, გვ. 258—259.

შემოიკრა. ადვილად განდევნა ოსმალო მეციხოვნეები ლორესა და დმანისის ციხეებიდან და შიგ თავისი მოლაშქრეები ჩააყენა. შემდეგ შაჰი ლაშქრით მდ. ალგეთზე მივიდა და მარნეულს დადგა. აქ მას მიუვიდა თბილისის მმართველის აბდალ-ლატიფ ფაშას მოციქულნი კაპიტულაციაზე თანხმობით, მეციხოვნეთა სიცოცხლის გარანტიის პირობით. შაჰმა პირობები მიიღო. თბილისი სპარსელებმა ჩაიბარეს. როგორც ისქანდერ მუნში მოგვითხრობს, ოსმალო მეციხოვნეებმა „ორი-სამი დღე ურდოს ხალხთან (ე. ი. ირანელებთან) სავაჭრო გაცვლა-გამოცვლის“ შემდეგ „სახედრებს ბარგი აკკიდეს და ყველანი ჯალაბობით ციხიდან გამოვიდნენ“[33]. აბდალ-ლატიფ ფაშა თავისი მხლებლებით ალგეთზე ეახლა შაჰს, მისგან შეწყალებული და დასაჩუქრებული ოსმალეთში გაემგზავრა. ამის შემდეგ შაჰი „თვით გაემართა (თბილისის) ციხისაკენ და „სიფრთხილის თვალით“ განიხილა მისი ავი და კარგი“[34] — გადმოგვცემს ისქანდერ მუნში, რომელიც, როგორც ჩანს, თან ახლდა შაჰს ამ ლაშქრობისას. ისქანდერ მუნში ხაზს უსვამს თბილისის დიდ სტრატეგიულ მნიშვნელობას აღმოსავლეთ ამიერკავკასიისათვის. იგი აღტაცებული წერს: „ჭეშმარიტად ასე ადვილად ხელში ჩაგდება ასეთი მაგარი ციხისა, რომელიც საქართველოსა და შირვანის ვილაიეთების ბურჯია, ზეციური დახმარების... გარეშე არ შეიძლება მომხდარიყო“[35]. შაჰმა „თბილისის გამგებლობა და ციხის უფროსობა“ მოჰამედ-სულთან შამს ად-დინლუს („დიდმოურავიანით“ ცნობილი დელუმაჰმად ხანი) ჩააბარა. მეციხოვნეებად შაჰის საკუთარი ლაშქრის მეთოფეთა რაზმი დანიშნეს[36].

იმ ხანებში გიორგი ქართლის მეფე (სიმონ I-ის ძე) უეცრად გარდაიცვალა. ქართლის დიდებულთა თხოვნით, შაჰმა ქართლის მეფედ 14 წლის ლუარსაბ გიორგის ძე დაამტკიცა. ცოტა ადრე კახეთის მეფობა შაჰმა ახალგაზრდა თეიმურაზ დავითის ძეს უბოძა.

მართალია, შაჰ აბასმა ქართლ-კახეთში ქრისტიანი მეფეები დაამტკიცა და ქართლიდან ოსმალები განდევნა, მაგრამ ქვეყანას თავისუფლება არ ღირსებია, თბილისსა და ქართლის სხვა ციხეებში (ლორე, ალჯაყალა, დმანისი) ოსმალების მაგივრად ყიზილბაშები იდგნენ. ქართლ-კახეთის სამეფოები ირანის ვასალებად ითვლებოდნენ. ორივე სამეფო ვალდებული იყო ირანის მხარეზე ჯარით გამოსულიყო. ქართლის საქმეების მოწესრიგების შემდეგ შაჰი ნახჭევნის მხრისაკენ გაემართა.

ქართლიდან ოსმალთა განდევნა მაინც ქართველთა წარმატებად განიხილებოდა. ქვეყანაში შედარებით მშვიდობიანობა დამყარდა. თბი-

---

[33] ისქანდერ მუნში, დასახ. ნაშრომი, 1969, გვ. 63—64.
[34] იქვე, გვ. 64.
[35] იქვე, გვ. 65.
[36] იქვე, გვ. 66.

ლისიც, ციხის გარდა, ქართველების ხელში იყო. თბილისის მოურავად ქართლის მეფე ლუარსაბ II-მ გიორგი სააკაძე დანიშნა (1607 ან 1608 წწ.).

სააკაძემ და მისმა მომხრეებმა დიდი აღმშენებლობითი მუშაობა გააჩაღეს. ისინი ხელს უწყობდნენ გაბნეული გლეხობის თავის სამკვიდროზე მობრუნებას და დასახლებას, აღკვეთეს შინაფეოდალური ომები და შეზღუდეს ზოგიერთი თავგასული თავადი, მნიშვნელოვნად განამტკიცეს ცენტრალური ხელისუფლება. ყველაფერმა ამან კი ქართლის თავდაცვისუნარიანობა რამდენადმე გააძლიერა, რის გამოც ოსმალეთის მარბიელი ექსპედიციის განადგურება ტაშისკართან 1609 წ. შედარებით ადვილად მოხერხდა.

ოსმალთა დამარცხების შემდეგ, მალე, 1610 წელს, შაჰ აბასს ქართლისა და კახეთის მეფეები, ლუარსაბი და თეიმურაზ I თავისთან დაუბარებია.

ლუარსაბსა და თეიმურაზს შაჰისათვის თხოვნით მიუმართავთ, როგორც ეს ძლიერი სიუზერენის მორჩილ ვასალებს შეეფერებოდათ. თეიმურაზის თხოვნა მართლაც ამ ურთიერთობის შესაფერისი იყო. მას შაჰთან ზოგიერთ ურჩ კახელ ფეოდალზე უჩივლია. ლუარსაბს კი თბილისის ციხის დაბრუნება უთხოვნია, რომელშიც 1606 წლიდან ირანული დიდი გარნიზონი იდგა. შაჰ აბასმა კარგად იცოდა, რომ მოძლიერებული ქართლის პოზიციას ახლა, როცა ირან-ოსმალეთის ომი ჯერ კიდევ გრძელდებოდა, გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდა. ამიტომ ის დათმობაზე წავიდა და თბილისის ციხესიმაგრე ლუარსაბს დაუბრუნა. მას ამ წყალობის მიზეზად სიმონ მეფის დამსახურება დაუსახელებია. სიმონის ბრძოლა ოსმალების წინააღმდეგ, შაჰის თვალსაზრისით, ირანის სამსახური იყო. ისქანდერ მუნში წერს: „თბილისის ციხე „სიმონ-ხანის ყეთილმოსურნეობისა და ერთგულების საზღაურად„ მის შვილიშვილს, ხსენებულ ლუარსაბ-ხანს ეწყალობა“[37].

თბილისის ციხე 70 წლის ტყვეობის შემდეგ კვლავ დაუბრუნდა ქართველებს. ეს ამბავი ქართველთა დიდი წარმატება იყო. ქართლი ძალებს იკრებდა და აღდგომისათვის ემზადებოდა. ამ საქმეში მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღოდა თბილისის მოურავს გიორგი სააკაძეს. სამწუხაროდ, ქართლის წარმატებები ხანმოკლე აღმოჩნდა.

1612 წ. ზავი დაიდო ირანსა და ოსმალეთს შორის, რომლის მიხედვით აღდგენილ იქნა 1555 წლის ზავის პირობები, ე. ი. დასავლეთ საქართველო ოსმალეთს მიეკუთვნა, აღმოსავლეთი — ირანს. შაჰ აბასი მაშინვე შეუდგა საქართველოს წინააღმდეგ ომის სამზადისს. მანამდე კი რიგი ფარული ღონისძიებები გაატარა ქართლ-კახეთის დასასუსტებ-

[37] ისქანდერ მუნში, დასახ. ნაშრომი, გვ. 75—76.

ლად და ძალების გასათიშავად. მან სცადა განხეთქილება ჩამოეგდო ლუარსაბსა და თეიმურაზს შორის. ოქროთი მოისყიდა ზოგიერთი თავად-აზნაური, ზოგიერთი გამოჩენილი მოღვაწე კი. შაჰის ინტრიგების წყალობით, სიკვდილით დასაჯა თეიმურაზმა. როგორც ჩანს, საakაძის წინააღმდეგ თავადთა მიერ 1612 წ. მოწყობილ შეთქმულებაშიც შაჰ აბასის ხელი ერია. ამ შეთქმულებას, როგორც ცნობილია, საakაძის ირანში გადახვეწა მოჰყვა. ამავე დროს შაჰი აღმოსავლეთ ამიერკავკასიის პოლიტიკურ ერთეულებს ერთიმეორეს უსისინებდა და ინტრიგების ქსელს აბამდა.

1614—1617 წლებში შაჰ აბასის უზარმაზარი არმიები ოთხგზის შემოესია აღმოსავლეთ საქართველოს. ბრძოლების მთავარი ასპარეზი იყო კახეთი, რომელიც ამ შემოსევების შედეგად თითქმის მთლიანად გახადგურდა. ბაშინ დანგრეული მრავალი ქალაქი და სოფელი შემდეგ აღარასოდეს ამდგარა. მიწასთან გაასწორეს ქალაქები გრემი და ზაგემი. კახეთმა თავისი მოსახლეობის უდიდესი ნაწილი დაკარგა. ასი ათასამდე კაცი მტერს შეაკვდა, ორასი ათასამდე კი ტყვედ წაიყვანეს და ირანის შიდა პროვინციებში დაასახლეს[38].

შაჰ აბასმა პირველი ლაშქრობის დროს თბილისის ციხე ისევ თავისად დაიპირა, იქ ირანელთა გარნიზონი შეაყენა და თბილისის ციხის მინბაშად აღა ზოჰრაბ ლარიჯანი დანიშნა, ლუარსაბი კი დაატყვევა და ირანში წაიყვანა. ამას გარდა, შაჰმა შეაკეთებინა გორისა და სურამის ციხეები და იქაც ირანული გარნიზონები დააყენა[39]. სულ ოთხი წელი გაგრძელდა ქართლისა და თბილისის თავისუფლება (1610—1614). თბილისისათვის ბრძოლა კვლავ დღის წესრიგში დადგა.

შაჰ აბასმა საქართველოში მეორე ლაშქრობის დროს, 1616 წელს, ქართლის მმართველად გამაჰმადიანებული ბაგრატ დაუდ ხანის ძე (სიმონ I-ის ძმისწული) დანიშნა. მის მეფობას ქართველები არ ცნობდნენ. მას მხოლოდ თბილისი და ქვემო ქართლი ემორჩილებოდა. ისქანდერ მუნშის სიტყვით, თბილისი, როგორც დაპყრობილი ქალაქი, „დივანის მფლობელობაში შესული იყო", ე. ი. თბილისი (და ქვემო ქართლიც) ირანის უშუალო ტერიტორიად განიხილებოდა. ბოლოს ბაგრატმა თბილისი მთლიანად ყიზილბაშებს მიანება და ბოლნისში დასახლდა, სადაც გარდაიცვალა 1619 წ.

1619 წ. შაჰ აბასმა ქართლის ხანად ბაგრატ ხანის მცირეწლოვანი შვილი, მუსლიმანი სიმონი დანიშნა, რომელსაც „ვექილად და ხელმძღვანელად" საakაძე დაუნიშნა[40]. საakაძე ქვეყნის ფაქტიური გამგებელი გახდა. იმდროინდელ საქართველოში სრული ანარქია მეფობდა. საakა-

---

[38] საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. IV. 1973. გვ. 272—273.

[39] ისქანდერ მუნში, დასახ. ნაშრომი, გვ. 90.

[40] იქვე. გვ. 115.

ძის წინაშე ქვეყნის ერთიანობის აღდგენისა და განმტკიცების ამოცანა იდგა. საკაძე და მისი მომხრეები აჯანყებისათვის ემზადებოდნენ. საკაძე შეურიგდა თავის ყოფილ მტრებს. პოლიტიკური ან მოყვრული კავშირები დაამყარა დასავლეთ საქართველოს მეფე-მთავრებთან და ახალციხის ფაშასთან.

შაჰ აბასი, რომელიც აქამდე კახეთის ამოგდებას ცდილობდა, ახლა ქართლსაც ისეთსავე ბედს უმზადებდა. შაჰმა დიდი არმია შეადგინა, რომელსაც სათავეში ირანის ჯარების მთავარსარდალი ყარჩიხა ხანი ჩაუყენა და საქართველოში გამოაგზავნა. ყარჩიხა ხანის მიზანი იყო კახელების ერთიანი ამოწყვეტა და ქართლელთა ირანში გადასახლება. აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობას კვლავ სასიკვდილო საფრთხე დაუდგა.

ირანის დიდი ლაშქარი 1625 წელს ადრე გაზაფხულზე მოვიდა ქართლში. ეს ლაშქარი ოფიციალურად მშვიდობიანი მიზნით მოდიოდა საქართველოში. მას მოჰყავდა ისა ხან ყორჩიბაშის ასული (შაჰ აბასის შვილიშვილი ქალის ხაზით) ჯაჰანბანუ, რომელიც სიმონ ხანზე უნდა დაექორწინებინათ. თბილისში დიდი ქორწილი მოაწყვეს. რამდენიმე დღე „იყვის მღერა, ნადიმი და მეჯლიში, ბურთაობა და ყაბახის სროლა“[41], რომლის მიზანი დიდი ჯარის მოსვლით შეშფოთებული ქართველების დამშვიდება იყო.

საკაძესა და მის მომხრეებს აჯანყება უკვე მომზადებული ჰქონდათ.

1625 წ. 25 მარტს (ახ. სტილით 4 აპრილს), გარიყრაჟზე, მარტყოფის ველს, სადაც მტრის ჯარის მთავარი ბანაკი იყო, ქართველთა ლაშქარი მიადგა. საკაძე და მისი ოთხი მხლებელი, რომელნიც ბანაკში იმყოფებოდნენ, ირანელთა სარდლობას მიუხტა და ერთიანად ამოწყვიტა. ამასობაში ქართველთა ჯარი ბანაკში შეიჭრა. ბრძოლა აჯანყებულთა ბრწყინვალე გამარჯვებით დამთავრდა.

საკაძემ სულის მოთქმის საშუალება არ მისცა მტერს. თბილისს დაეცა, ქალაქი და „დაბალი ციხე აიღეს, ნარიყალას ვერ შეუვიდნენ“[42]. აჯანყების ამბის გაგონებისთანავე თბილისის ციხისთავმა შათირ შაჰმა სიმონ ხანის ოჯახის წევრები და ახლობლები ქალაქიდან ნარიყალაში შეიყვანა. ქალაქის ქრისტიანული მოსახლეობის „ერთი ჯგუფი ხმლით და ისრით აღსდგა“ მეციხოვნეთა წინააღმდეგ. სასტიკი ბრძოლა გაიმართა. ისქანდერ მუნშის სიტყვით: „მეთოფეებმა მოკლულების და სხვა ქრისტიანების სურსათიდან ორი თვის მარაგი მოაგროვეს და დიდი სიმტკიცით იცავდნენ ციხეს“[43]. ქართლის მეფემ სიმონ ხანმა ვერ მოასწრო თბილისის

---

[41] ქრონიკები, II. გვ. 462.

[42] ფ. გ ო რ გ ი ჯ ა ნ ი ძ ე. ისტორია. ს. კაკაბაძის გამოცემა, „საისტორიო მოამბე“. წ. II, 1925, გვ. 233.

[43] ი ს ქ ა ნ დ ე რ მ უ ნ შ ი, დასახ. ნაშრომი. გვ. 125.

ციხეში შესვლა და ყარაბაღის ბეგლარბეგ მოჰამედ-ყული ხანთან ერთად აღჯა ყალაში (ქვემო ქართლში) შევიდა და იქ გამაგრდა[44]. საკაძემ ალყა შემოარტყა ნარიყალას, „ერთი რაზმი — მოგვითხრობს ისქანდერ მუნში — ციხესთან დასტოვა და თვითონ ქართველთა ჯარით ყარაბაღს გაეშართა და ქალაქ განჯამდე მივიდა“[45]. საკაძის ლაშქარი იქ მყოფ ყიზილბაშთა ჯარებს დაერია, მრავალი გაწყვიტეს და მრავალიც ტყვედ იგდეს. გაქცეულებს მდ. არაქსამდე სდიეს და მრავალი ქონება დაატოვებინეს. იქიდან საკაძე ქართლში მობრუნდა.

აჯანყებულებმა რამდენიმე დღეში ქართლ-კახეთი თითქმის მთლიანად გაწმინდეს ყიზილბაშთა ჯარებისაგან. თეიმურაზი, რომელიც ოსმალეთის საზღვრებში — გონიოს ციხეში იმყოფებოდა და დახმარების სათხოვნელად რუსეთში წასვლას აპირებდა, აჯანყებულებმა ქართლ-კახეთში მოიწვიეს და გაერთიანებული სამეფოს ტახტზე დასვეს.

საკაძე თბილისის ციხის აღებას კვლავ დიდის მონდომებით ცდილობდა, მაგრამ თბილისელ მოქალაქეთა შორის მოღალატენი აღმოჩნდნენ, რომელთაც ფარულად წყალი მიაწოდეს ალყაშემორტყმულ ციხეს და დამორჩილებას გადაარჩინეს.

ქართველებმა თბილისის ციხე ვერ აიღეს, მაგრამ ამას ჩრდილი არ მიუყენებია იმ დიდი ზეიმისათვის, რომელიც გამოიწვია აჯანყების წარმატებამ და ქართლ-კახეთის გაერთიანებამ. ეს დიდი მნიშვნელობის მოვლენა იყო. საქართველოს გაერთიანების მოთავეების ოცნებას ფრთები ესხმებოდა. გაერთიანებული ქართლ-კახეთი კი მტრის მოგერიებას უფრო წარმატებით შესძლებდა.

ყარჩიხა ხანის არმიის ერთიანად გაწყვეტამ თავზარი დასცა შაჰ აბასს. გაბოროტებულმა შაჰმა წამებით მოაკვლევინა საკაძის ვაჟი პაატა, რომელიც მძევლად ჰყავდა ირანში. მალე შაჰ აბასმა კიდევ უფრო დიდი არმია შეადგინა და თავისი სიძის ისა ხან ყორჩიბაშის სარდლობით საქართველოში გამოისტუმრა. მას შაჰმა „მოურავის ჯანყის მოსპობა და საქართველოს საქმეების მოწესრიგება დაავალა“[46], რაც ქართლ-კახეთის მოსახლეობის მოსპობას გულისხმობდა.

ისა ხან ყორჩიბაშის 60 000-იანი არმია 1625 წ. ივნისის ბოლოს შემოვიდა საქართველოში და მდ. ალგეთის ხეობაში, მარაბდის ველზე დადგა. ქართველები მოელოდნენ ირანელთა ახალ შემოსევას და 20 000-იანი ლაშქრით კოჯორ-ტაბახმელას მიდამოებში დაბანაკდნენ.

მარაბდის ბრძოლა 1625 წ. 1 ივლისს მოხდა. მთავარსარდლობა თეიმურაზ მეფემ იკისრა. უთენია დაწყებული ბრძოლა საღამომდე გაგრძელდა. ქართველები დამარცხდნენ. ირანელებს კი ძვირად დაუჯდათ

---

[44] ისქანდერ მუნში. დასახ. ნაშრომი, გვ. 125.
[45] იქვე.
[46] იქვე. გვ. 126.

ეს გამარჯვება. 10 ათასამდე ქართველი და 14 ათასი ირანელი დაეცა იმ დღეს ბრძოლის ველზე.

ქართველები ბრძოლას განაგრძობდნენ. სააკაძემ პატარ-პატარა რაზმებით პარტიზანული ომი გაუმართა ყიზილბაშებს. რამდენიმე დღის განმავლობაში აკავებდნენ გმირები მტრის მთავარ ძალებს, რომ თბილისისა და მისი მიდამოების მოსახლეობას გახიზვნა მოესწრო. ქართველებმა ციხეს ალყა მოხსნეს, ქალაქი დაცალეს, მტკვარზე გადავიდნენ და მეტეხის ხიდი დაწვეს.

მარაბდის შემდეგ მეორე დიდი ბრძოლა გაიმართა ქსნის ხეობაში, სადაც სააკაძის რაზმებმა თითქმის მთლიანად გაანადგურეს მტრის 12-ათასიანი ლაშქარი. ბრძოლაში დაიღუპა ამ ლაშქრის სარდალი, სამხრეთ აზერბაიჯანის ბეგლარბეგი შაჰბენდე ხანიც. მეორე სარდალი, შირვანის ბეგლარბეგი ყაზან ხანი კი ქართველებმა დაატყვევეს. ქართველების ამ გამარჯვებამ ხელი შეუშალა „დიდი ღონისძიების" — ქართველთა აყრის ჩატარებას. მართალია, თბილისი და მისი ციხე ირანელთა ხელში დარჩა, მაგრამ მტერმა თავისი ძირითადი ამოცანის შესრულება ვერ შეძლო. შაჰ აბასის განზრახვის ჩაშლა განაპირობა იმ დიდმა ზარალმა, რაც ირანის ლაშქარს მარტყოფში, მარაბდასა და ქსნის ხეობაში მოუვიდა. სულ 1625 წ. ირანმა საქართველოში დაახლოებით 70 ათასი მოლაშქრე დაკარგა. შაჰ აბასი ფაქტიურად დამარცხდა, ქართველებმა კი დიდი მსხვერპლის ფასად გაიმარჯვეს. შაჰ აბასი იძულებული გახდა ხელი აეღო თავისი საზარელი გეგმის განხორციელებაზე.

ისა ხან ყორჩიბაშმა სიმონ ხანი კვლავ დასვა თბილისში, მაგრამ მას მხოლოდ თბილისი და ქვემო ქართლი ემორჩილებოდა. ყორჩიბაშის განკარგულებით დაუდ ხან უნდილაძე (ალავერდი ხანის ვაჟი) განამწესეს „თბილისის დასაცავად და საქართველოს მიდამოების საქმეთა მოწესრიგებისათვის"[47]. დანარჩენი ქართლი და კახეთი თეიმურაზ მეფისა და სააკაძის ხელთ იყო.

როგორც კი დიდმა საფრთხემ გადაიარა, სააკაძის საშინაო პოლიტიკით უკმაყოფილო თავადებმა კვლავ თავი წამოყვეს, მათ ეჭვიან თეიმურაზსა და სააკაძეს შორის განხეთქილება ჩამოაგდეს (ამას შაჰ აბასმაც შეუწყო ხელი. იგი სააკაძის იზოლირებას ცდილობდა). განხეთქილებას მოჰყვა შინაფეოდალური ომი თეიმურაზსა და სააკაძეს შორის, რომელიც ამ უკანასკნელის დამარცხებით დამთავრდა ბაზალეთთან ბრძოლაში (1626 წ.). სააკაძე იძულებული გახდა ოსმალეთში გადახვეწილიყო, სადაც დაიღუპა (1629 წ.).

ბაზალეთის ბრძოლის შემდეგ თეიმურაზი დაუმეგობრდა თბილისის ციხისთავს დაუდ ხან უნდილაძეს (არაა გამორიცხული, რომ ისინი ჯერ

---

[47] ისქანდერ მუნში. დასახ. ნაშრომი, გვ. 139, 144.

კიდევ ბაზალეთის ბრძოლამდე დაუახლოვდნენ ერთმანეთს) და მათ შორის, ისქანდერ მუნშის სიტყვით, „მიწერ-მოწერა და მისვლა-მოსვლა გაიმართა"[48]. დაუდ ხანის მეშვეობით თეიმურაზმა „ვედრების წიგნი" გაუგზავნა შაჰს[49]. ქართველთა მედგარი წინააღმდეგობით იძულებულმა შაჰმა მოლაპარაკება გამართა თეიმურაზთან და იგი ფაქტიურად ქართლ-კახეთის მეფედ სცნო[50], მხოლოდ არაოფიციალურად, რადგან სიმონ ხანი არ გადაუყენებია. ეს იყო შაჰ აბასის უკან დახევა იძულებით. იგი კომპრომისის გზას დაადგა, სამაგიეროდ, თეიმურაზმა თავი ირანის შაჰის ვასალად აღიარა. მალე, 1627 წელს თბილისის მინბაში დაუდ ხანი ყარაბაღის ბეგლარბეგად დანიშნეს და ის განჯაში გადავიდა, მაგრამ თეიმურაზთან ურთიერთობა არ გაუწყვეტია.

1631 წ. ზურაბ არაგვის ერისთავმა, თეიმურაზის წაქეზებით, სიმონ ხანი მოკლა. მალე თეიმურაზმა თვით ზურაბ ერისთავიც მოაკვლევინა და მისი მოკრილი თავი შაჰ სეფის (1629—1642 წწ.) გაუგზავნა — სიმონ ხანის მკვლელი და თქვენი მოღალატე დავსაჯეო. „შაჰ სეფიმ, — მოგვითხრობს ისქანდერ მუნში, — ამ სამსახურის საამაგიეროდ ქართლი, თბილისის ციხის გარდა, მის ვაჟს — გურგენ-მირზას (დავით ბატონიშვილს) უბოძა, რომელსაც დედის მხრიდან მემკვიდრეობის უფლება ჰქონდა"[51].

ქრისტიანი თეიმურაზი კახეთის ოფიციალურ მეფედ, ხოლო ფაქტიურად ქართლ-კახეთის გაერთიანებული სამეფოს ხელმწიფედ იქნა ცნობილი. ამავე დროს ქართლიცა და კახეთიც ირანის ვასალად გამოცხადდა.

1631 წელს ზემოთ აღნიშნული დაუდ ხანი უნდილაძე აუჯანყდა ირანის შაჰს. იგი დაუკავშირდა თეიმურაზ მეფეს — „შეიფიცეს, ადერბეჟანის დაჭირვა მოინდომეს"[52]. თეიმურაზმა ამ აჯანყებისას გასაოცარი ენერგია და ორგანიზატორული უნარი გამოიჩინა. მან თითქმის მთელი საქართველოს პოლიტიკური ერთეულები დარაზმა ამ ლაშქრობისათვის. ჩანს, ეს აჯანყება ირანის შაჰის შეცვლას და ამიერკავკასიის ქვეყნების ირანელთა ბატონობისაგან გათავისუფლებას ისახავდა მიზნად, მაგრამ იგი მარცხით დამთავრდა.

ირანის შაჰმა თეიმურაზს დაუდ ხანის გაცემა მოსთხოვა, სამაგიეროდ „დანაშაულის" პატიებას შეპპირდა, მაგრამ თეიმურაზმა დაუდ ხანი არ

---

[48] ისქანდერ მუნში, დასახ. ნაშრომი, გვ. 139—140.

[49] იქვე, გვ. 140.

[50] ვ. გაბაშვილი, ქართული ფეოდალური წყობილება XVI—XVII საუკუნეებში, გვ. 361.

[51] ისქანდერ მუნში. აბასის ქვეყნის დამამშვენებელი ისტორიის გაგრძელება. ნანა გელაშვილის თარგმანი, 1981, გვ. 54.

[52] ფ. გორგიჯანიძე. ისტორია, გვ. 238.

გასცა[53]. ამას შედეგად მოჰყვა თეიმურაზის გადაყენება და როსტომის გამეფება ქართლში[54].

როსტომი, როგორც ჩანს, ქართლის გამგებლად („ვალი") 1632 წ. მეორე ნახევარში დაუნიშნავთ. იმავე ხანებში კახეთის მმართველად ყიზილბაში სელიმ ხანი დანიშნეს და ორივე სპარსელთა დიდი ჯარით საქართველოში გამოისტუმრეს.

ცვლილებები თბილისის პოლიტიკურ ცხოვრებაში XVII ს-ის 30—90-იან წლებში

ქართველი ხალხის გმირულმა ბრძოლამ ირანის მთავრობა აიძულა ხელი აეღო ქართლისა და კახეთის მოსპობის გეგმაზე და კომპრომისის გზას დასდგომოდა. ირანი უცვლელად ტოვებდა ქართულ სოციალურ-ეკონომიკურ წყობას, ტახტი ბაგრატიონთა დინასტიის ხელში რჩებოდა მაჰმადიანობის პირობით და „ვალის" ტიტულით. „გურჯისტანის ვალს" ხარკი და საჩუქრები უნდა ეძლია ირანისათვის. აღნიშნული კომპრომისის გამოხატულება იყო როსტომ ხანის მეფობა ქართლში (1632—1658 წწ.). ამიერიდან 1744 წლამდე ქართლს მაჰმადიანი ბაგრატიონები განაგებდნენ, რომლებიც ქართველებისათვის მაჰმადიანი მეფეები იყვნენ, ირანისათვის კი მოხელე ხანები. ირანის თვალსაზრისით, ქართლი ირანის პროვინცია გახდა, ქართველების თვალსაზრისით კი ყმადნაფიცი (ანუ ვასალი) სამეფო.

როსტომ ხანი 1633 წ. თებერვალში შემოვიდა საქართველოში. ისქანდერ მუნშის გადმოცემით, „იგი მეფური ძლიერებით თბილისის ციხეში შევიდა და გამეფდა"[55]. თეიმურაზი იძულებული გახდა იმერეთში გადასულიყო.

როსტომ მეფეს თან გაატანეს ირანში მყოფ ქართველ თავადაზნაურთა დიდი ჯგუფი (ამილახორი ბეჟან, ქსნის ერისთავი ზაალ, ციციშვილი პაპუნა, ბარათაშვილი ჰასანბეგ და სხვა მრავალი). მიუხედავად ამისა, მას სასტიკი და ხანგრძლივი ბრძოლის გადატანა მოუხდა, რათა ქართველი ფეოდალური საზოგადოების დიდი ნაწილი თავის მხარეზე გადაეყვანა. ქართველი საზოგადოების მეორე ნაწილი, რომელსაც თეიმურაზ I მეთაურობდა, არ ცნობდა როსტომის მეფობას და სრული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას განაგრძობდა.

ქართლში შემოსვლის უმალ როსტომმა, თავისი ხელისუფლების განმტკიცების მიზნით, ქართლის ციხეების გამაგრებას მიაქცია ყურადღება. თბილისის დიდ ციხეში, კალაში, მანამდეც ყიზილბაში მეციხოვ-

---

[53] არჩილიანი, II, გვ. 85.

[54] ფ. გ ო რ გ ი ჯ ა ნ ი ძ ე, ისტორია, გვ. 239.

[55] ი ს ქ ა ნ დ ე რ მ უ ნ შ ი, იქვე, გვ. 60.

ნეები იდგნენ. ახლა მან მეტეხის ციხე განაახლებინა და იქაც ყიზილბაში მეციხოვნეები ჩააყენა. როსტომმა, გადმოგვცემს ვახუშტი, „ჩამოზღუდა კალა ციხიდამ ხიდის ყურემდე და მისცა სპარსთა; მიერითგან უპყრავთ მათ"[56]. ამით ქალაქი ფაქტიურად ორ ნაწილად გაიყო — ციხის ანუ სპარსელთა უბანი და ქართველთა უბანი. როსტომის სასახლე თავიდანვე ციხის გალავნის შიგნით იყო. ეს ორი უბანი გაერთიანდა XVIII ს. 40-იან წლებში, როცა ერეკლე მეორემ მოშალა ციხის კედელი და თბილისის მთლიანობა აღადგინა[57].

შემდეგ როსტომმა ქართლის გულში მდებარე გორის ციხე აღადგინა, იქ და სურამის ციხეში ყიზილბაშთა გარნიზონები ჩააყენა. ქართლის მთავარ ციხეებში ჯარის ჩაყენებით როსტომის მდგომარეობა განმტკიცდა და, როგორც ფ. გორგიჯანიძე გადმოგვცემს: „ქართველთა თავადნი და აზნაურნი სრულ მიუვიდნეს და როსტომ მეფეს ფეხს აკოცეს"[58]. რაც შეეხება თბილისის მოსახლეობას, იგი თავიდანვე როსტომს უჭერდა მხარს, რამეთუ, საერთოდ, თბილისის ვაჭრული ფენები ირანული ორიენტაციისანი იყვნენ.

ქართლის დიდ თავადთაგან მხოლოდ ერთი — ფარსადან ციციშვილი არ მისვლია როსტომს. ისიც იმის გამო, რომ სარდალ როსტომ სააკაძესთან ძველი მტრობა ჰქონია. როცა სარდალი როსტომ მეფის მოთხოვნით ქართლიდან გაიწვია შაჰმა, ფარსადან ციციშვილიცა და სხვა დახიზნულებიც როსტომს მიუვიდნენ. ქვეყანაში სიმშვიდე ჩამოვარდა. როგორც ფ. გორგიჯანიძე წერს: „დაიწყეს შენება, ხვნა-თესვა"[59]. როსტომის ლევან დადიანთან დამოყვრებამ — მისი დის შერთვამ, რომლის მთავარი მიზანი პოლიტიკური მოკავშირის მოპოვება იყო, მნიშვნელოვნად გააუმჯობესა როსტომის პოზიცია და გააძნელა თეიმურაზის ბრძოლა როსტომის წინააღმდეგ.

1634 წ. თეიმურაზმა კახეთის ხანი სელიმი განდევნა და კახეთი დაიპირა, შეურიგდა როსტომს, ქალიშვილი ცოლად მისცა შაჰ სეფის და ირანის სიუზერენობა აღიარა. შაჰმა კვლავ ოფიციალურად ცნო ქრისტიანი თეიმურაზი კახეთის მეფედ[60].

მაგრამ მშვიდობა მალე დაირღვა. თეიმურაზმა კვლავ განაახლა ბრძოლა როსტომის წინააღმდეგ. მას მხარს უჭერდა ქართლის თავადთა ერთი ჯგუფი ნოდარ ციციშვილისა და ზაალ ერისთავის მეთაურობით. მათ რამდენჯერმე მოაწყვეს შეთქმულება-აჯანყება როსტომის წინააღმდეგ

---

[56] ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, 1941, გვ. 52.

[57] ვ. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი, თბილისი XVI—XVII საუკუნეების აღმოსავლურ წყაროებში, ოსუ შრომები, ტ. 99, 1962, გვ. 261.

[58] ფ. გ ო რ გ ი ჯ ა ნ ი ძ ე, ისტორია, გვ. 240.

[59] იქვე.

[60] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, გვ. 319—320.

(1636, 1638, 1644 წწ.), ყველა აჯანყება მარცხით დამთავრდა. შეთქმულებმა ერთხელ როსტომის ღალატით მოკვლაც მოინდომეს თბილისის აბანოში, მაგრამ შემთხვევამ აქაც იხსნა იგი[61]. საბოლოოდ 1648 წელს როსტომ ხანმა დაამარცხა თეიმურაზი და განდევნა კახეთიდან, ამ ბრძოლაში მოკლეს თეიმურაზის მემკვიდრე, — ერთადერთი ვაჟი დავითი, რომელიც ადრე, ჯერ კიდევ 1631 წელს, შაჰ სეფიმ ქართლის მეფედ დანიშნა. როსტომი ყველას სასტიკად უსწორდებოდა, ვისაც ქართლის ტახტზე პრეტენზია ან ასეთი პრეტენზიის რაიმე საფუძველი ჰქონდა (მაგ. გიორგი გოჩაშვილი-ბაგრატიონი და სხვ.), მაშინ, როცა თეიმურაზს ყოველთვის აძლევდა საშუალებას იმერეთში გადასულიყო, რადგან, ერთი მხრივ, მისი პრეტენზიები ქართლის მიმართ, როსტომის აზრით, უსაფუძვლო იყო, მეორე მხრივ. კი თეიმურაზის ბრძოლა აიძულებდა შაჰს ქართლის მიმართ დათმობაზე წასულიყო.

აღნიშნულმა ვითარებამ განაპირობა შაჰის მიერ კახეთის როსტომისათვის გადაცემა. ისეთ ვითარებაში, როცა თეიმურაზს კვლავ ჰქონდა საშუალება ბრძოლა განეგრძო, შაჰისათვის როსტომი ყველაზე სასურველი კანდიდატი იყო, რომლის ზომიერი პოლიტიკა როგორც ირანისათვის, ისე ქართველებისათვის ასატანი ჩანდა. ნ. ბერძენიშვილის აზრით, „როსტომმა სწორედ იმით გაიმარჯვა, რომ ქართველობას შეურიგებელი ბრძოლა არ გამოუცხადა. როსტომის ღონისძიებები ქართულ საზოგადოებრივ და სამეურნეო წყობას არ შეხებია... არც ქრისტიანობა განიცდიდა მის დროს ქართლში აშკარა დევნას“[62]. ქვეყანაში მშვიდობიანობის დამყარების შემდეგ როსტომი და ქართველები აღმშენებლობით მუშაობას შეუდგნენ.

1639 წ. დაიდო ზავი ირანსა და ოსმალეთს შორის, რომლის მიხედვით აღმოსავლეთ საქართველო ირანს ერგო, დასავლეთი — ოსმალეთს. ეს ზავი არ დარღვეულა 1723 წლამდე. ხანგრძლივმა მშვიდობიანობამ ახლო აღმოსავლეთში და კერძოდ აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში, როცა ადგილი არ ჰქონია ქართლში უცხოელთა მნიშვნელოვან შემოსევას, ხელი შეუწყო ქვეყნის სამეურნეო დაწინაურებას და, კერძოდ, საქალაქო ცხოვრების გამოცოცხლებას. XVII ს-ის 40-იანი წლებიდან საქალაქო ცხოვრება კვლავ გამოცოცხლდა მთელს აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში, კერძოდ, კვლავ აღორძინდა შეფერხებული სატრანზიტო ვაჭრობა ე. წ. „აბრეშუმის სავაჭრო გზაზე“.

თბილისმა კვლავ დაიბრუნა აღმოსავლეთ საქართველოს პოლიტიკური და ეკონომიკური ცენტრის მნიშვნელობა. ქალაქის მოღონიერებას ნამდვილად ხელი შეუწყო 1639 წ. ზავმა ირან-ოსმალეთს შორის. შედარე-

---

[61] ფ. გორგიჯანიძე, ისტორია, გვ. 246.
[62] საქართველოს ისტორია, ს. ჯანაშიას რედ., 1946, გვ. 348.

ბით მშვიდობიანობა დამყარდა. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საქალაქო ცხოვრების განვითარებისათვის როსტომისა და ვახტანგ V-ის პოლიტიკასაც.

როსტომ მეფემ რიგი ღონისძიებები ჩაატარა ვაჭართა ინტერესების დასაცავად. აღკვეთა მებაჟეთა თვითნებობა, დაიცვა ვაჭრის საკუთრება და პიროვნება. ამის შედეგი იყო, რომ მეფემ ქალაქების ვაჭრულ-ხელოსნური მაღალი ფენების მხარდაჭერა მოიპოვა. როსტომისა და თეიმურაზ მეფის ბრძოლაში თბილისის დიდი მოქალაქეები როსტომის მხარეზე იყვნენ.

როსტომის მეფობაში დაწყებული ქვეყნის ეკონომიკური აღმავლობა ვახტანგ V-ის ანუ შაჰნავაზის დროს (1658—1675 წწ.) გაგრძელდა. მისი მეფობა აღინიშნა, ერთი მხრივ, ცენტრალური ხელისუფლების გაძლიერებითა და საქართველოს ერთიანობისაკენ მიმართული ღონისძიებებით, მეორე მხრივ კი ვაჭრობისა და საქალაქო ცხოვრების ხელისშემწყობი ღონისძიების გატარებით.

შაჰის ბრძანებითა და მისგანვე გამოგზავნილი „ვერცხლით“ ქალაქს დიდი ზღუდე შემოავლეს და კარებს ყიზილბაში მცველები დაუყენეს. ეს თითქოს იმ მიზნით გააკეთეს, რომ ვახტანგის მიმართ, რომლის ეროვნული და ცენტრალისტური პოლიტიკა არ მოსწონდა ირანის მთავრობას, კონტროლი გაეძლიერებინათ და საჭიროების შემთხვევაში ადვილი ყოფილიყო „შეპყრობა მეფისა სახლეულითა სრულიად“. ირანელთა ამ ღონისძიებას ვახტანგმა იმით უპასუხა, რომ გარეუბანში, ასპარეზის თავსა, მტკვრის პირას აღაშენა სასახლე და „არღარა შევიდა ტფილისსა“[63].

ჟან შარდენის აზრით, რომელიც თბილისში იყო 1672 წ., „(მეფისა) სასახლე, უდავოდ, თბილისის ერთ-ერთი მშვენებაა“[64].

ჟან შარდენი აღწერს თბილისის საკრებულო შენობებს, უცხოელი ვაჭრებისათვის განკუთვნილ ქარვასლებს, კარგად მოვლილ ბაზრებსა და დუქნებს, გარეუბნებში არსებულ ბაღებსა და „სალაღობო სახლებს“ და სხვ.[65]

შარდენის გადმოცემით, „ქალაქი თბილისი მჭიდროთ არის დასახლებული. მსოფლიოს არც ერთ კუთხეში არ მოიძებნება იმდენი სხვადასხვა ჯურის უცხოელი, როგორც აქ; ისინი დიდ ვაჭრობას ეწევიან; (სამეფო) კარი პროვინციის ქალაქს რომ შეეფერება, ისეთი მრავალრიცხოვანი და ბრწყინვალეა: აქ მუდამ არის მრავალი დიდგვაროვანი დიდებული“[66].

---

[63] ვ ა ხ უ შ ტ ი. ქართლის ცხოვრება, IV, 1973, გვ. 454.

[64] ჟან შარდენის მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში (ცნობები საქართველოს შესახებ), მ. მგალობლიშვილის თარგმანი და გამოცემა, თბ., 1975, გვ. 322.

[65] იქვე, გვ. 322—323.

[66] იქვე, გვ. 225.

იმდროინდელი თბილისის მოსახლეობა, თბილისში მოღვაწე მისიონერ პ. კარლოს ცნობით, დაახლოებით 70—80 ათასამდე აღწევდა[67].

ევროპასთან სავაჭრო-ეკონომიკური და კულტურული კავშირების დამყარებას ისახავდა მიზნად ვახტანგ V, როცა ის მფარველობასა და დახმარებას უწევდა კათოლიკე მისიონერებს თბილისსა და გორში.

XVII ს. 60-იანი წლების დასაწყისიდან თბილისში ცხოვრობდნენ და მოღვაწეობდნენ კათოლიკე მისიონერები კაპუცინების ორდენისა. მათ თბილისში ჰქონდათ სახლები და ეკლესია, ჰყავდათ „მისიონერთა პრეფექტი, რომლის რეზიდენცია თბილისში“ იყო. ვახტანგს მისიონერებისათვის „ნება მიუცია თავიანთი სარწმუნოება თავისუფლად ექადაგათ“[68]. სამაგიეროდ, მეფე და მისი კარი მისიონერებს იყენებდნენ საერო ცოდნის მასწავლებლებად, მკურნალებად, მხატვრებად, პოლიტიკურ ინფორმატორებად და სხვ.

ევროპის სავაჭრო კაპიტალისა და კათოლიკე მისიონერების დამოკიდებულების საკითხში გიორგი XI (1676—1688 წწ.) მამის პოლიტიკას აგრძელებდა და მფარველობდა მათ. კათოლიკე მისიონერი დიონიჯო კარლი, რომელიც თბილისში იყო 1681 წელს, წერდა: „(ქართველები) ფრანგებისადმი დიდი თანაგრძნობით არიან განწყობილნიო“. გიორგის შესახებ კი აღნიშნავს: „მეფემ ვენის გამარჯვება რომ გაიგო, იტალიური ენის შესწავლას შეუდგაო“[69]. 1687 წელს მან ფარულად კათოლიკობაც კი მიიღო იმის იმედით, რომ კათოლიკური ევროპა დაეხმარებოდა.

გიორგის ეროვნული პოლიტიკა კიდევ უფრო ქართული იყო, ვიდრე მამამისისა. იგი აღმ. საქართველოს შინაგან ძალებს რაზმავდა და აჯანყებისათვის ემზადებოდა. 1688 წ. იგი მეფობიდან გადააყენეს და ქართლის მეფობა, უკეთ ხანობა, ერეკლე I-ს ანუ ნაზარალი ხანს უბოძეს. დაიწყო ხანგრძლივი ბრძოლა ერეკლესა და გიორგის მომხრეებს შორის. თბილისის მოქალაქეები, თბილისის მეციხოვნეებთან ერთად, ერეკლეს მხარეზე გამოდიოდნენ გიორგის წინააღმდეგ. ეს თბილისის მოქალაქეთა (სომხურ-ვაჭრული წრეების) ტრადიციული ირანული ორიენტაციის შედეგი იყო. თავადთა ერთი ნაწილის ღალატის შედეგად გიორგის აჯანყებამ შედეგს ვერ მიაღწია. იგი იძულებული გახდა ქართლს გასცლოდა. 1691—1694 წლებში ის ტახტისთვის კვლავ ებრძოდა ერეკლეს, მაგრამ ამაოდ. ყიზილბაშთა დახმარებით ერეკლემ შეძლო ტახტის შენარჩუნება. 1695 წ. გიორგი იძულებული გახდა ბედს შერიგებოდა, შაჰს დამორ-

---

[67] მ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 671.

[68] ჟან შარდენი, დასახ. ნაშრომი, გვ. 323.

[69] დიონიჯო კარლი, თბილისის აღწერა. თარგმანი ბ. გიორგაძისა. მსკი, ნ. 29, 1951, გვ. 176: ვენის გამარჯვება — ავსტრიისა და მისი მოკავშირეების გამარჯვება თურქებზე 1683 წ. ქ. ვენასთან.

ჩილდა და ირანში წავიდა, სადაც სპასალარად დანიშნეს, 1703 წ. კი ქართლის მეფობაც მისცეს, მაგრამ უკან დაბრუნება აღარ ღირსებია. იგი ავღანეთში დაიღუპა 1707 წელს.

ერეკლე I-მა, ხელისუფლების განმტკიცების მიზნით, გადააყენა საეკლესიო და საერო დიდი მოხელეები და თავისი მომხრეები დანიშნა. შეეცადა ქვეყანაში წესრიგის დამყარებასა და ფეოდალთა თვითნებობის ალაგმვას. ვახუშტის სიტყვით, ერეკლე „მცირეთა ყურის მიმპყრობი და დიდთა დამამდაბლებელი" ყოფილა. ერეკლეს დროს იყო ცდები სასამართლო საქმის მოწესრიგებისა და სხვ. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს მისი „საქალაქო პოლიტიკა". მან გააუქმა თბილისში ბეითალმანობის წესი და მოქალაქეებს საკუთრების ქალაქური უფლება აღუდგინა[70]. ეს დიდი მნიშვნელობის მოვლენა იყო ვაჭრულ-ხელოსნური მოსახლეობისათვის.

მაგრამ სამწუხაროდ, ერეკლე I-ის ამ კარგ ღონისძიებებს განხორციელება არ ეწერა. ტახტისათვის ბრძოლისა და შინაფეოდალური შეხლა-შემოხლის ვითარებაში მან ვერ შეძლო ქვეყნის შინაგანი ძალების მობილიზება და გაერთიანება. ცენტრალური ხელისუფლება კიდევ უფრო დასუსტდა, ყიზილბაში მეციხოვნეების პარპაში გაძლიერდა, ისინი ამკარად ძარცვავდნენ მოსახლეობას, ძალით ამაჰმადიანებდნენ ან ტყვედ ჰყიდნენ და სხვ. დიდ გასაჭირში ჩავარდა ქართლის გლეხობაც, ყიზილბაშთაგან შეწუხებულნი კახეთს აფარებდნენ თავს. ფეოდალური საზოგადოების დიდი ნაწილი ერეკლეს უკმაყოფილო იყო. 1703 წელს ერეკლე ირანში გაიწვიეს, ქართლის მეფობა ჩამოართვეს და კახეთისა უბოძეს, მაგრამ ირანშივე დატოვეს.

---

[70] ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ისტორიის საკითხები, VI, გვ. 281.

IX თბილისის ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობა XVI—XVII საუკუნეებში

თბილისის ტერიტორია და მოსახლეობა

თბილისის ტერიტორია ამ დროსაც სამი ძირითადი ნაწილისაგან შედგებოდა. საკუთრივ თბილისი, ქალაქის უძველესი ნაწილი, ახლანდელი აბანოებისა და ბალნეოლოგიური კურორტის რაიონი, XVII საუკუნეში ს ე ი დ ა ბ ა დ ი ს სახელით იყო ცნობილი; მეორე ნაწილი — კ ა ლ ა შეიცავდა IV—V საუკუნეების კალასა და მის ჩრდილოეთ და დასავლეთით მდებარე ტერიტორიასაც. იგი შემოსაზღვრული იყო კედლით, რომელიც, ვახუშტის სიტყვით, 1642—1667 წლებში აუგიათ. ეს კედელი ქალაქის ციტადელთან იწყებოდა, შემდეგ მისდევდა სოლოლაკის ქედს ე. წ. შაისტახტის სახელით ცნობილ კოშკამდე, აქედან ეშვებოდა დაბლა, ჩრდილოეთით, მიემართებოდა დღევანდელი შ. დადიანის და პუშკინის ქუჩებით, შემდეგ უხვევდა ბარათაშვილის ქუჩის მიმართულებით მტკვრის მარჯვენა ნაპირამდე.

პიშჩევიჩის 1785 წ. თბილისის გეგმის მიხედვით ქალაქის კედელი მტკვრის სანაპიროზე გრძელდებოდა და მთავრდებოდა თათრის მოედანთან. მაგრამ კედლის არსებობა მტკვრის მარჯვენა ნაპირის გასწვრივ არ დასტურდება არც წერილობითი წყაროებით და არც არქეოლოგიური გათხრებით. შარდენი სპეციალურად აღნიშნავს, რომ „ქალაქი, გარდა მდინარის მხარისა, საუცხოო და მაგარი კედლითაა შემოზღუდული“[1]. კალას რაიონს სამხრეთით საზღვრავდა ძველი კალას კედელი, რომელიც ნარიყალიდან დაშვებული ხევის პარალელურად მოემართებოდა მტკვრის პირამდის.

თბილისის მესამე ნაწილი ამ დროსაც მტკვრის მარცხენა ნაპირზე მდებარე ისანი ანუ ავლაბარი იყო. ისანი მეტეხის პლატოსა და მის გარეთ მდებარე ტერიტორიას შეიცავდა. მეტეხის პლატო მოზღუდული იყო. ზღუდე მტკვრამდე ეშვებოდა და მდინარეზე გადებული ხიდით უერთდებოდა ქალაქის ძირითად ციტადელს. ასე რომ, ციტადელი და მეტეხი ერთ მთლიან სიმაგრეს ჰქმნიდნენ.

---

[1] ჟ ა ნ შ ა რ დ ე ნ ი, მოგზაურობა, თბ., 1975, გვ. 317.

მეტეხის პლატოს გარე ტერიტორია ქალაქის მჭიდროდ დასახლებულ უბანს წარმოადგენდა. ეს უბანიც ასევე გალავნით იყო გარშემორტყმული. მეტეხის პლატოს მოზღუდულობას, როგორც ქალაქის ციხის გაგრძელებას, „ქალაქის გალავანი" ეწოდებოდა, ხოლო ავლაბრის მთლიან გალავანს — „ავლაბრის გალავანი".

გარდა ამ სამი ძირითადი რაიონისა, თბილისის ტერიტორია ვრცელდებოდა გალავნის ჩრდილოეთითა და დასავლეთით. ქალაქის გალავანს გარეთ მოქცეულ მიდამოს „გარეთუბანი" ერქვა.

თბილისის ძირითადი ტერიტორია — ზემოხსენებული სამი ნაწილი ქალაქისა — დანარჩენ ქვეყანას რვა კარით უკავშირდებოდა. ამათგან ერთი კარი ავლაბარში იყო. ის ქალაქის შიდა გალავანზე იყო დატანებული აღმოსავლეთით. XVII ს-სათვის ავლაბრის ტერიტორიაზე ყოფილა კიდევ სხვა კარიც. ეს კარი ამ ტერიტორიას ჩრდილო მხრიდან ჰქონია. XVIII ს. 70-იან წლებში ამ ადგილს უკვე „ნაკარევი" ერქვა[2]. როგორც ჩანს, ეს კარი ავლაბრის ციხიდან ჩრდილოეთით, რიყისაკენ გადიოდა.

ქალაქის იმ ტერიტორიას, რომელიც მტკვრის მარჯვენა ნაპირზე იყო განლაგებული, ექვსი კარი ჰქონია. ამათგან ყველაზე ჩრდილოეთით იყო ე. წ. „წყლის კარი", იგივე „ქვემო კარი", „დაბლა კარი" ან „მუხრანის კარი". ეს სახელწოდებები ამ კარს შეერქვა იმის გამო, რომ იგი სხვა დანარჩენ კარებზე უფრო დაბლა, ქვემოთ იყო. ამ კარში გზა ავანაანთ ხევზე გადებული ხიდით შედიოდა ქალაქში. ამიტომაც ერქვა მას „წყლის კარი". გალავნის ორივე მხარეს მუხრანბატონების სახლები იყო და მათ შორის გამავალ კარსაც „მუხრანის კარს" უწოდებდნენ. ეს კარი დღევანდელი ჩახრუხაძის და ბარათაშვილის ქუჩების კუთხეში იყო.

დღეს ე. წ. განახლებულ ძველ თბილისში „წყლის კარი" ეწოდება კარის იმ ნაშთს, რომელიც ნამდვილი „წყლის კარის" დასავლეთით, უფრო მაღლა, შავთელისა და ბარათაშვილის ქუჩების კუთხეში არის შემორჩენილი. ვახუშტის გეგმაზე 23 ნომრით აღნიშნულია სწორედ ამ ადგილას დატანილი ქალაქის კარი სახელწოდებით — „მეიდნის კარი, ხიდით". მისი არსებობა დოკუმენტური მასალითა და თბილისის სხვა გეგმებით არ დასტურდება, მაგრამ შემორჩენილი გვაქვს ამ კარის მატერიალური ნაშთი, ამიტომ „მეიდნის კარის" არსებობა ეჭვს არ იწვევს.

შემდეგი კარი იყო ე. წ. „დიღმის კარი", რომელიც ცნობილია აგრეთვე „შუა კარის" სახელით. იგი მართლაც შუა კარი იყო, რადგან მდებარეობდა „დაბლა კარსა" და „მაღლა კარს" შორის. ამ კარიდან იწყებოდა დიღმისაკენ მიმავალი გზა, ამიტომაც მას „დიღმის კარი" ერქვა. იგი ქალაქის გალავანს დღევანდელი პუშკინისა და ბარათაშვილის ქუჩების შესაყარზე ჰქონდა დატანებული.

---

[2] სცსია, ფ. 1450, დავთ. 18, საბუთი №16.

„კოჯრის კარი" ანუ „მაღლა კარი" მართლაც მაღლა იყო ქვემო და შუა კართან შედარებით. იგი მდებარეობდა იქ. სადაც ლესელიძის ქუჩა თავისუფლების მოედანს უერთდება. ამ კარით იწყებოდა კოჯრისაკენ მიმავალი გზა. ასევე. ქალაქის გალავანში დატანილი „განჯის კარი" განჯისაკენ მიმავალ გზას კეტავდა. ეს კარი ადრიდანვე იქ იყო. სადაც დღეს ბოტანიკური ბაღის შესასვლელია აბანოების მხრიდან.

კართაგან მეექვსე იყო ე. წ. „აბანოს კარი". რომლის წინ. ისევე როგორც „განჯის კართან". წავკისის წყალზე ხიდი იყო გადებული. ხიდის იქით. ე. ი. სამხრეთით იწყებოდა გზა. რომელიც ჯერ აბანოების და შემდეგ თბილისელთა ბაღების გავლით სეიდაბადს გადასჭრიდა და მტკვრის პარალელურად მიემართებოდა. ეს გზა მარცხნივ იტოვებდა ორთაჭალის ბაღებს. მარჯვნივ კი კრწანისისას[3].

„აბანოს კარით" იწყებოდა ქალაქიდან სპარსეთში მიმავალი გზა. შარდენის სიტყვით. „საქართველოს მთავარი. როდესაც ხელმწიფის წერილებისა და საჩუქრების მისაღებად... ქალაქის კარიბჭის გარეთ გადის ხოლმე. მან ციხის შუაგულში უნდა გაიაროს. რადგანაც სპარსეთიდან თბილისში შემოსვლა მხოლოდ და მხოლოდ ამ ციხის გავლით შეიძლება"[4].

თბილისის ტერიტორიის ცენტრალურ ნაწილს. როგორც აღინიშნა. „კალა" ერქვა. ეს იყო ყველაზე დიდი და მნიშვნელოვანი ნაწილი ქალაქისა. კალა ნარიყალასა. შ. დადიანის. პუშკინისა და ბარათაშვილის ქუჩებს შორის მოქცეულ ტერიტორიას ეწოდებოდა. ის ორ ძირითად უბნად იყოფოდა: „ქვემო უბნად" და „ზემო უბნად". ამ ორ უბანს ჰყოფს მაგისტრალი. რომელიც კოჯრის კარიდან ბატონის მოედნისაკენ მოემართება (ამ ხაზზე დღეს ლესელიძის და ჩალაუბნის ქუჩები გადის). ამ ქუჩის მარჯვენა მხარეს (პირით მტკვრისაკენ) ქვემო უბანია. მარცხენა მხარეს —

---

[3] ეს გზა დღევანდელი ქუჩების მიმართულებას რომ შეეუფარდოთ. ასეთ სურათს მივიღებთ: აბანოების ქუჩა. ახუნდოვის ქუჩა. ყოფილი სურბ-სარქისის ქუჩა. სეიდაბადის ქუჩა და მოედანი. გრიშაშვილის ქუჩა. ბოლნისის ქუჩა და ბოლოს გორგასლის ქუჩის ბოლო ნაწილი. ბოლნისის ქუჩისა და გორგასლის ქუჩის შეხვედრის ადგილზე დღეს 300 არაგველის სახელობის ბაღია (ამ ადგილას 1950 წ. წარმოებდა არქეოლოგიური გათხრები და მას პირობით განჯის კარს უწოდებდნენ). დღევანდელი გორგასლის ქუჩის ის ნაწილი, რომელიც 300 არაგველის ბაღსა და თათრის მოედანს შორის გადის, XVII ს-ში და არც მის უწინარეს, როგორც ქუჩა ან შარა. არ არსებობდა. ეს ადგილები მთლიანად თბილისელთა ბაღ-ვენახებს ეკრავათ, მათ შორის მხოლოდ ბილიკები და ვიწრო ორღობეები თუ იყო. ორთაჭალიდან ქალაქში შემოსვლა კი შესაძლებელი იყო მხოლოდ იმ ბაღების ზემოდან მოვლით, ზემონახსენები გზით — ხარფუხის ძირში გამავალი აღმართითა და აბანოების გავლით. ზემომოხსენებულ გზას — აბანოების უბანთან რომ იწყება აღმართ-აღმართ და შემდეგ დაბლა ეშვება გორგასლის ქუჩისაკენ, XIX საუკუნეში „ტამოეენნაია" უწოდეს, რადგან იქ ახლოს საბაჟო უნდა ყოფილიყო. ესეც თვალნათლივს ხდის ამ ადგილას ქალაქის კარის არსებობას.

[4] შ ა რ დ ე ნ ი, მოგზაურობა. გვ. 319 (შარდენი თბილისში იყო 1673 წელს).

ზემო უბანი. ამ უბნებს სახელწოდება „ზემო“ და „ქვემო“ მტკვრის დინების მიხედვით ერქვა.

ორივე ამ უბანს თავისი ცენტრი ჰქონდა. ზემო უბნის ცენტრი იყო ბატონის მოედანი, რომელსაც „ზემო მოედანსაც“ უწოდებდნენ. ქვემო უბნის ცენტრი კი თათრის მოედანი ანუ „ქვემო მოედანი“ იყო. ამ მოედანს ციხესთან სიახლოვის გამო „ციხის მოედანსაც“ უწოდებდნენ. რაკი ორივე ეს მოედანი საბაზროდ იყო გამოყენებული, ამიტომ მათ მეორენაირად „ზემო ბაზარს“ და „ქვემო ბაზარს“ უწოდებდნენ. ხოლო ამ ორი უბნის გამყოფ გზას — აწ. ლესელიძის ქუჩას — „შუა ბაზარი“ ერქვა. სახელწოდება „შუა ბაზარი“ ამ ქუჩის აღსანიშნავად XIX ს. ბოლომდე შემორჩა. მას ენაცვლება „სომხის ბაზარი“.

ქვემო და ზემო უბნები ერთმანეთისაგან განსხვავდებოდა მცხოვრებთა რელიგიური შემადგენლობით. ზემო უბანში თავმოყრილი იყო თბილისელი ქართველობა, ქვემო უბანში კი ძირითადად სომხები და ნაწილობრივ სპარსელები. ამას მიუთითებს ამ უბნებში ეკლესიების განლაგებაც. ზემო უბანში მდებარეობდნენ ქართული (მართლმადიდებლური) ეკლესიები — სიონი, ანჩისხატი, წმ. გიორგის, ნათლისმცემლის, კვირაცხოვლის სახელობის ეკლესიები. ამ უბანში მხოლოდ ერთი სომხური ეკლესია იყო — სურბნიშანი. ქვემო უბანში კი მხოლოდ სომხური ეკლესიები: ციხის დიდის, ნორაშნის, სააკაშენის, მოღნინის, კოზმან და დამიანეს სახელობის, ჯიგრაშენის, სურბსტეფანესი. ქვემო უბანში მხოლოდ ორი ბერძნული ეკლესიაა — წმ. ეკატერინეს სახელობის და ჯვარიმამა.

ქართველობა ქვემო უბანშიც სახლობდა. ამაზე მიუთითებს XVIII ს. 40-იან წლებში შედგენილი ერთი საბუთი[5]. ეს საბუთი წარმოადგენს უცნობი ქართველი მღვდლის ჩანაწერს. ამ მღვდელს სამწყსოდ ჰყოლია ქვემო უბნის ქართველობა.

ზემო უბნის მთავარი ქუჩა „წყლის კართან“ იწყებოდა და ანჩისხატისა და „ბატონის მოედნის“ გავლით სიონამდე აღწევდა. დღეს ამ ხაზზე გამავალ ქუჩებს შავთელისა და ერეკლე II-ის ქუჩები ჰქვიათ. ამ მთავარ ქუჩაზე მდებარეობდა ქალაქის ძირითადი და უმნიშვნელოვანესი ნაგებობანი. ხოლო მას შემდეგ, რაც როსტომ მეფემ ციხის ტერიტორიიდან აქ გადმოიტანა სამეფო რეზიდენცია XVII ს-ის შუა წლებში[6], ამ უბანს საცხოვრებლად ეტანებოდა ქართველი არისტოკრატიაც.

„წყლის კართან“, ქალაქის შიგნით და გარეთაც, სახლდება მუხრანბატონი, აქვეა ამილახვრის სასახლე, 1659 წ. ქალაქის მოურავმა მანუჩარ მეითრიშვილმა იყიდა აქ სასახლე, მის გვერდით ლუარსაბ ბატონი-

---

[5] დოკუმენტები თბილისის ისტორიისათვის, № 188, გვ. 224—225.

[6] აქ აღარ გავიმეორებთ როსტომის სასახლის შარდენისეულ ფართოდ ცნობილ აღწერას.

შვილის სასახლე მდგარა[7]. აქვე დაიდო ბინა სასულიერო არისტოკრატიამაც. XVII ს-ში მეითრიშვილების მომიჯნავე იყო მროველის სასახლე, მის იქით დავით გარეჯის და დოდოს მონასტრის სასახლეები იყო. ბატონის მოედნის ირგვლივ სახლებს იძენენ ორბელიანები. მთავარი ქუჩის მარჯვენა მხარეს ჩანს ზედგინიძის სასახლე. მის მეზობლად 1678 წ. დაბინავდა ჯვარისმამის წინამძღვარი. 1770 წლისათვის ჯვარისმამის წინამძღვარს თავის ახლო მეზობლად ასახელებს ალექსანდრე ამილახვარი, რომლის სასახლე ანჩისხატის გვერდზე იდგა[8].

დღევანდელი ავლევის ქუჩის ტერიტორიაზე სახლობდნენ ქსნის ერისთავები, აბაშიძეები, არაგვის ერისთავი.

ზემო და ქვემო უბნები თავის მხრივ მრავალ მიკროუბნად იყოფოდა. უბანთა სახელწოდებების განმსაზღვრავი ან რაიმე საზოგადო ნაგებობა იყო (ეკლესია, გალავანი, ბურჯი), ან მცხოვრებთა სახელები (მაგ., ანჩისხატის უბანი, მოლნინის უბანი, ცოცხალაანთ ბურჯის უბანი, ფითუანთ უბანი და ა. შ.).

ქვემო უბნის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილს „კლდის უბანი" ერქვა. კლდის უბანს სამხრეთით ემიჯნებოდა „ციხის უბანი".

„ციხის უბანი", ანუ ციხე (საკუთრივ დაბალი ციხის გალავანი) უშუალოდ ემიჯნებოდა „თათრის მოედნის" ტერიტორიას. ამ უბანს გალავანი თათრის მოედნის მხრისკენ, ვახუშტის თქმით, როსტომ მეფემ აუშენა. ციხე, შარდენის სიტყვით, წარმოადგენდა სპარსული გარნიზონისა და სპარსელ ხელოსანთა ადგილსამყოფელს. მაგრამ ტურნეფორის თბილისში ყოფნისას (1700 წ.) ციხის გარნიზონი უკვე დაუძლურებულია, იგი შედგება რამდენიმე „საცოდავი მაჰმადიანი მოხელისაგან, რომლებიც საყარაულო სამსახურს ეწევიან აქ ჯამაგირისთვის. ესენი აქ ცხოვრობენ თავის ოჯახებთან ერთად"[9].

ვახუშტის დროს ციხის ტერიტორია ისევ სპარსელებს ეჭირათ. ვახუშტისავე სიტყვით, ამ ტერიტორიაზე „იყო სასახლე მეფისა, პალატნი დიდ-დიდნი და შვენიერნი". როსტომ მეფემ ციხის სასახლე სპარსელებს დაუტოვა და, როგორც ითქვა, სიონ-ანჩისხატის რიგზე გამართა ახალი სასახლე.

ციხის ტერიტორია სპარსელებისაგან საბოლოოდ ერეკლე II-მ გაათავისუფლა 1747 წელს. მაშინვე მან მოშალა გალავანი „ციხიდამ ხიდის ყურემდე". ეს გალავანი ვახუშტის დატანილი აქვს თბილისის გეგმაზე, XVIII ს-ის მეორე ნახევრის შემდეგ შედგენილ არც ერთ გეგმაზე იგი აღარა ჩანს.

---

[7] დოკუმენტები თბილისის ისტორიისათვის, №18, გვ. 23.

[8] История Георгианская о юноше князе Амилахорове, СПб., 1779, с. 80.

[9] მ. პოლიევქტოვი, გ. ნათაძე, ძველი ტფილისი, 1930, გვ. 14.

„ციხის უბანს“ სამხრეთით „აბანოს უბანი“ და სეიდაბადი ესაზღვრებოდა. ძველი სახელწოდება ამ რაიონისა იყო ტფილისი. თეიმურაზ ბაგრატიონი თბილისს შემდეგნაირად აღწერს: „ტფილისი უწინარეს ვახტანგ გორგასლანისა იყო მცირეს სოფლებად დაყოფილი... აბანოების ხევს გაღმა, სეიდაბადის ბაღები რომ არის იქ, ტფილს წყლებს ახლო... ყოფილა სოფელი და ამ სოფელს ტფილისი რქმევია“[10]. ვახუშტის სიტყვით, XVII ს-ში „აქ დასხნა შასეფიმ სეიდნი, რის გამო სპარსნი უწოდებენ სეიდაბადს“.

სეიდაბადის ტერიტორია დასავლეთით ისაზღვრებოდა ციხის უბნით, ჩრდილოეთით — მტკვრით, სამხრეთით — თაბორის მთით, ხოლო აღმოსავლეთით — კრწანისის ბაღებით. უკიდურესი ნაწილი აღმოსავლეთით, ე. ი. განაპირა უბანი სეიდაბადისა, იყო ე. წ. ხალანგარი, რომელიც მდებარეობდა აწ. 300 არაგველის სახელობის ბაღის ტერიტორიაზე (წყაროებში დაცულია ამ ობიექტის მეორენაირი დასახელებაც — ხალვათხანა). ამ ობიექტის შესახებ ტურნეფორი მოგვითხრობს: „გავისეირნეთ ქალაქ გარეთ მდებარე მთავრის სასახლისაკენ. ეს სასახლე ქალაქის იმ გარეუბანშია, რომელზედაც ოსმალეთში მიმავალი გზა მიდის. სასახლე შესანიშნავია იმით, რომ მის წინ მოწყობილია ადგილი წამებისათვის. სასახლის მახლობლად საუცხოო ბაღებია“[11]. ეს სასახლე დატანილია თბილისის ვახუშტისეულ გეგმაზე. XIX ს-ის თბილისის გეგმებზე ამ ადგილას დატანილია საბაჟოს შენობა, რომლის სიახლოვეს XIX ს-ში მტკვარზე გადეს ხის ხიდი (დღეს აქ ახალი ხიდია).

სეიდაბადის გაგრძელებაზე მტკვრის პირას ორთაჭალისა და კრწანისის ბაღები იყო გაშლილი.

ორთაჭალის მოპირდაპირე მხარეს, მტკვრის მარცხენა ნაპირზე გაშლილ ბაღ-ვენახებს დირსიჭალა ერქვა. დირსიჭალა იყო აღმოსავლეთი ზღვარი ავლაბრისა. XVII ს-ში ავლაბარი შემდეგ მიჯნებში იყო მოქცეული. ჩრდილოეთიდან მას საზღვრავდა ჩუღურეთის ხევი (შემდეგში ამ ხევს სურბ-კარაპეტას ხევი ეწოდა, დღეს აქ გადის კიბალჩიჩის აღმართი), აღმოსავლეთით — ღომელაურის ხევი და დირსიჭალა, დასავლეთით — მეტეხის ციხე, სამხრეთით — მტკვარი.

XVII ს-დან შეიმჩნევა ავლაბრის ტერიტორიის ზრდა აღმოსავლეთით — მტკვრის დინების პარალელურად და ჩრდილოეთით — მახათის მთისკენ. მახათის მთის ქვეშ XVII საუკუნეში იყო სასაფლაო, რომელსაც როსტომ მეფე თავის ერთ საბუთში „ქალაქის სასაფლაოს“ უწოდებს. 1654 წ. წყალობის წიგნით ეს სასაფლაო ზარაბთუხუცესის ხოჯა ბეჰბუ-

---

[10] თ. ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი, ტფილისისათვის, 1838 წ. 4 ნოემბერი (სსრკ მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ლენინგრადის განყოფილების ქართული ხელნაწერების ფონდი — E — 82, 156).

[11] მ. პ ო ლ ი ე ვ ქ ტ ო ვ ი, გ. ნ ა თ ა ძ ე, ძველი ტფილისი, გვ. 29.

დას „მამა-პაპათ ნაქონ... მკვიდრ სასაფლაოდ" მოიხსენიება[12]. როსტომ მეფის დასტურით ხოჯა ბეკბუდამ ამ სასაფლაოზე საყდარი ააშენა. ხევიდან და მახათას მთიდან წყალი გამოაყვანინა და ამ ადგილებში ბაღი გააშენა. ხოჯა ბეკბუდას აშენებულმა ეკლესიამ და მის ირგვლივ მდებარე სასაფლაომ ხოჯავანქის სახელწოდებით ჩვენ დრომდე მოაღწია.

„გ ა რ ე თ უ ბ ა ნ ი". როგორც ითქვა, ეწოდებოდა ყალას გარეთ. მის ჩრდილოეთით და დასავლეთით მდებარე მთელ ტერიტორიას. ვახუშტის გეგმის მიხედვით, უკიდურესი წერტილი გარეთუბნისა არის ქაშვეთის ეკლესია. იქვე მდებარე ციციშვილის სახლით, მტკვრისაკენ — მეფის საასპარეზო და ყაიბულას ბაღი (ავლაბრის ბაღის ადგილას). ბაღებია გადაქიმული ამ გეგმით დღევანდელი შ. დადიანის ქუჩის დასავლეთით — სოლოლაკის მთელ ტერიტორიაზე. ეს ბაღები ეკუთვნოდათ მეფეს, დედოფალს, მამასახლისს. იქ, სადაც გერონტი ქიქოძის ქუჩაა, ვახუშტი ბატონიშვილის გეგმაზე დატანილია შენობის მოხაზულობა. რომელსაც ის ამარათს უწოდებს. ამავე ადგილას პიშჩევიჩის 1785 წ. გეგმაზე დატანილია „სამეფო რეზიდენციის ნანგრევები". აქედან ირკვევა, რომ ვახუშტის ამარათი სამეფო სასახლე ყოფილა. 1796 წ. ერთ საბუთში მოიხსენიება „ძველი ამარათის აუზი"[13].

XVII ს. ბოლოსთვის, მდ. ვერეს აუზი, თბილისის ჩრდილოეთით მდებარე, თბილისელთა ბაღ-ვენახებს, წისქვილებსა და ყანებს უჭირავთ. ამავე საუკუნის შუა წლებში უკვე ჩანს მდ. ვერეზე ხოჯა ბეკბუდას ხარჯით გადებული ხიდი[11].

მტკვრის პირას გარეთუბანი, დაწყებული წყლის კარით, შეიცავდა შემდეგ მიკროუბნებს: მუხრანთუბანი, ვანქის უბანი, საასპარეზო — ყაბახი (ყაბახი დოკუმენტებში უფრო ხშირად „გარეთუბნის მოედნად" იწოდება).

გარეთუბნის მოედანთან იყო საქურო ანუ სააგურე. სააგურე შენდებოდა საერთოდ ქალაქის განაპირას. XVII ს-ში სააგურე ყაბახის ჩრდილოეთით, დაახლოებით დღევანდელი ჯორჯიაშვილის ქუჩის ძირას ყოფილა გამართული. ქალაქის ზრდასთან დაკავშირებით სააგურე სულ უფრო ჩრდილოეთით ინაცვლებს ადგილს და საბოლოოდ გადააქვთ ვერაზე.

მ ო ს ა ხ ლ ე ო ბ ა. თბილისის მოსახლეობის რაოდენობისა და მისი ეროვნული შემადგენლობის გასარკვევად მეტად მცირე ცნობები მოგვეპოვება.

ევროპელი მოგზაურები, ვინც კი საქართველოს სტუმრებია XVII ს-ში, ამ საკითხზე სხვადასხვა ცნობას იძლევიან. მაგალითად, იტალიელი მისიონერის დიონიჯო ჯარლის ცნობით (იგი თბილისში იყო 1681

---

[12] დოკუმენტები თბილისის ისტორიისათვის, № 12, გვ. 17.

[13] სცსია, ფ. 1450, დავთარი 18, საბუთი № 15.

[14] დოკუმენტები თბილისის ისტორიისათვის, № 230, გვ. 279.

წელს). თბილისის „მოსახლეობა 12 000 სულს აღწევს. შესაძლებელია ამაზე მეტიც იყოს“[15].

საქართველოში უფრო ადრე ნამყოფი პატრი კარლო 1668 წლის 28 ნოემბერს თბილისიდან აგზავნის წერილს, რომელშიაც ნათქვამია: „თბილისი მთელი საქართველოს მთავარი ქალაქია. მცხოვრებთა რიცხვი 70—80 ათასს აღწევს[16].“

1700 წელს თბილისში იმოგზაურა ტურნეფორმა. მისი ცნობით, ქალაქში ირიცხებოდა 20 000 მცხოვრები[17].

ტურნეფორის ცნობები გვაწვდიან მასალას ქალაქის მოსახლეობის რელიგიური შემადგენლობის შესახებ. ქართული დოკუმენტური მასალა კი საშუალებას იძლევა დავადგინოთ მოსახლეობის პროპორციული შეფარდება ეროვნებათა მიხედვით ქალაქის სხვადასხვა უბნებში.

ზემოთ ითქვა, რომ „ზემო უბანში“ ძირითადად ქართველები ცხოვრობდნენ. საკმაოდ ჩანან ქართველები „ქვემო უბანშიაც“. გარეთუბანი კი, თუ მასში განლაგებულ ეკლესიათა მიხედვით ვიმსჯელებთ, ძირითადად ქართველი მართლმადიდებლებით დასახლებული წარმოგვიდგება. გარეთუბანში მდებარეობს შემდეგი ქართული ეკლესიები: კალოუბანი, წმ. გიორგის სახელობის ეკლესია, ქაშვეთი, სამება, მთაწმინდა. ამ ტერიტორიაზე გაშენებულ სომხურ ეკლესიათაგან მხოლოდ ვანქია XVII ს-ისა[18]. გარეთუბნის დანარჩენი სომხური ეკლესიები კი (ქამაანთ ეკლესია, თეკენამის და ზირკინაანთ საყდრები) მხოლოდ XVIII ს-ში აშენდა. ეს გარემოება შეიძლება იმის მაჩვენებელიც იყოს, რომ გარეთუბანში სომხური მოსახლეობა XVIII ს-დან ჩნდება, XVII ს-ში კი აქ უმთავრესად ქართველებს უცხოვრიათ.

როსტომის გამეფებით დაწყებული მშვიდობიანი 90 წელი თავის გავლენას ახდენს ქალაქის მოსახლეობის შემადგენლობაზეც. სწორედ ამ დროიდან შეინიშნება უცხო ტომის მოსახლეობის სწრაფვა ამიერკავკასიის სხვადასხვა ქალაქებიდან თბილისისაკენ[19].

უცხო ტომის მოსახლეობას, როგორც კი თბილისის საქალაქო ცხოვრება ჩაითრევს, მაშინვე ემჩნევა ქართველობისაკენ სწრაფვა. კულტუ-

---

[15] ბ. გ ი ო რ გ ა ძ ე, დიონიჯო კარლის რელაციონის ტექსტისა და თარგმანისათვის, მსკი. №29, 1951, გვ. 156.

[16] მ. თ ა მ ა რ ა შ ვ ი ლ ი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 233.

[17] მ. პ ო ლ ი ე ქ ტ ო ვ ი, გ. ნ ა თ ა ძ ე, ძველი ტფილისი, გვ. 30.

[18] ვანქი მდებარეობდა იქ, სადაც დღეს კოლმეურნეთა ბაზრის ახლოს სომხური საშუალო სკოლის შენობა დგას.

[19] საამისო მასალა იხ. დოკ. თბილისის ისტორიისათვის, №№21, 27, 70, 79, 88.

რულად იგი უმალვე ქართველდება: მისი საქმიანობა, მიწერ-მოწერა, ანგარიშსწორება ქართულ ენაზე ხორციელდება. ქართულ ენაზე ადგენს ის საქმიან ქაღალდებს და საანგარიშო დავთრებს. ძირითადად ქართული ენით ხორციელდება საშინაო ურთიერთობაც. ამან ათქმევინა ვახუშტის, რომ თბილისელი სომხები „ქცევა-ზნითა ქართულითა" ცხოვრობენო.

ცვლილებები თბილისის სამოხელეო წყობილებაში XVI—XVII სს-ში

ერთიანობის ხანის საქართველოში ქალაქ თბილისის მმართველს ამირა, ან ამირთ-ამირა ეწოდებოდა. XVI საუკუნიდან მათ პარალელურად იხმარებოდა მოურავი. საბოლოოდ XVII საუკუნის 10-იანი წლებიდან მკვიდრდება თბილისის მმართველის სახელად მოურავი[20]. ქალაქ გორში კი მოურავი უფრო ადრე, XV საუკუნეში, გვხვდება. რაც შეეხება ქუთაისს, იქ ამირთ-ამირას არსებობა XVII საუკუნის ბოლომდე გრძელდება. XVIII საუკუნის დასაწყისიდან ქუთაისის მმართველსაც მოურავი ეწოდება[21] (ანალოგიური ვითარება შეინიშნება სხვა ქალაქებშიც).

XVI საუკუნეშივე ამირთ-ამირას ნაცვლად, მოურავის პარალელურად, შემოდის „ტარუღა". ეს სიტყვა მონღოლური წარმოშობისაა, გავრცელებული იყო სპარსეთში და იქიდან შემოვიდა საქართველოში. მოურავი და ტარუღა იდენტური ცნებებია და ერთისა და იმავე თანამდებობის აღმნიშვნელი ტერმინებია[22]. მაგრამ საბოლოოდ დამკვიდრდა და ფართოდ გავრცელდა ტერმინი მოურავი.

რამ გამოიწვია უცხოური წარმოშობის ტერმინის „ამირას" (ან „ამირთ-ამირას") შეცვლა ქართული მოურავით?

ერთიანი მონარქიის არსებობის ხანაში (XI—XV სს-ში) მკვეთრად იყო გამიჯნული სახელმწიფო საკუთრება მეფის პირადი საკუთრებისაგან ანუ მეფის დომენისაგან. სახელმწიფო საკუთრება იყო ის ტერიტორიები და უწყებანი, რომლებსაც განაგებდნენ ერისთავები და ამირები (ქალაქში), როგორც საქვეყნო გამრიგენი და ვეზირები, როგორც სახელ-

---

[20] ივ. ჯავახიშვილი, ქალაქები, საქალაქო წესწყობილება და ცხოვრების ვითარება საქართველოში XVII—XVIII სს., ჟურნ. „პრომეთე", №1, 1918, გვ. 44—45; დ. მუსხელიშვილი, თბილისის ამირთ-ამირობის ინსტიტუტისათვის (საქართველო რუსთაველის ხანაში, 1966, გვ. 199 და სხვ.).; Месхиа Ш. А. Города и городской строй феодальной Грузии, 1959, с. 244.

[21] ს. კაკაბაძე, საქართველოს ისტორია, ახალი საუკუნეების ეპოქა, 1922, გვ. 118.

[22] Месхиа Ш. А. Города..., с. 245; ივ. სურგულაძე, საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიისათვის, I, 1952, გვ. 432.

მწიფო საჯარო ხელისუფლების წარმომადგენლები ცენტრში. ამის გარეთ იყო მეფის სახლის მამული ანუ დომენი, რომელსაც მეფის, როგორც ფეოდალის, პირადი მოხელეები — მოურავები და სხვ. — განაგებდნენ.

საქართველოს ეკონომიკურად დაქვეითებასა და პოლიტიკურ დაქუცმაცებულობას შედეგად მოჰყვა კულტურული დაქვეითება — მათ შორის სახელმწიფო სამართლისა და სახელმწიფოებრივი შეგნების დაცემა. ზემოთქმულის შედეგი იყო XV ს-ის პირველ ნახევარში სახელმწიფო საკუთრების ფაქტიური გაქრობა, უკეთ, მეფის დომენთან შერწყმა, სახელმწიფო მოხელეების — ერისთავებისა და ვაზირების გაქრობა და მეფის დომენის მოხელეების — მოურავისა და სახლთუხუცესის წამოწევა.

ანალოგიური ვითარება გვაქვს ქალაქების მიმართაც. ერთიანი მონარქიის არსებობის ხანაში მთავარი ქალაქები ითვლებოდა სახელმწიფო საკუთრებად და მათ განაგებდნენ მეფის, როგორც საჯარო ხელისუფლების წარმომადგენლის, მიერ დანიშნული სახელმწიფო მოხელეები ამირები (ან ამირთ-ამირები); გვიან შუა საუკუნეებში კი, როცა მოხდა სახელმწიფო საკუთრებისა და მეფის დომენის შერწყმა, მთავარი ქალაქები გადაიქცა მეფის, როგორც კერძო მემამულის ქალაქებად ანუ მეფის დომენის ქალაქებად და იქ დაინიშნა დომენის მოხელეები — მოურავები. ამდენად, აქ აღნიშნული ტერმინების შენაცვლება შედეგია არა უცხოური ტერმინის ქართულით შეცვლის სურვილისა, ან ზოგადად საქალაქო ცხოვრების დაცემისა, არამედ იგი შედეგია ქალაქების კუთვნილების სტატუსის შეცვლისა — ქალაქები სახელმწიფო საკუთრებიდან გადაიქცნენ დომენის საკუთრებად (რაც შეეხება ზოგიერთ წვრილ ქალაქს, რომლებიც კერძო ფეოდალთა საკუთრებაში იყო, მათ ფეოდალის მიერ დანიშნული მოხელე — მოურავი განაგებდა).

XVI—XVII სს-ში თბილისი მეფის (დომენის) ქალაქი იყო და მის გამგებელსაც მეფე ნიშნავდა. თბილისის მოურავი XVI ს-ის 90-იან წლებში, სიმონ I-ის მეფობაში, უნდა ყოფილიყო სიაუშ სააკაძე; მის შემდეგ 1608 წლიდან 1625 წლამდე გიორგი სააკაძე, 1626 წელს თბილისის მოურავად დაინიშნა ქაიხოსრო ბარათაშვილი[23]. XVII ს. 30-იანი წლებიდან 70-იან წლებამდე თბილისის მოურავი იყო მანუჩარ (ციციშვილი), 70-იან წლებში მისი ვაჟი პაატაბეგი, XVII ს-ის ბოლოსა თუ XVIII ს-ის დასაწყისში ავთანდილ თარხნიშვილი (სააკაძის ჩამომავალი)[24].

მოურავი ქალაქის მმართველი იყო. მას ეკითხებოდა სავაჭრო და სახელოსნო საქმეების მოწესრიგება, ნიხრების დაწესება და ბაჟის აკრეფა, გადასახადების განაწილება და აკრეფა, სასამართლო საქმეების გარ-

---

[23] გ. ჯამბურია, ქართული ფეოდალური ურთიერთობის ისტორიიდან, 1955, გვ. 25—26.

[24] Месхиа Ш. А., Города..., с. 248.

ჩევა, სასამართლო გადაწყვეტილების სისრულეში მოყვანა, დამნაშავის დაპატიმრება, უცხოელი სტუმრების მიღება-დაბინავება, მათზე ზრუნვა და სხვა მრავალი.

მოურავს მრავალი ხელქვეითი მოხელე და მსახურთა რაზმი ჰყავდა, რომელთა საშუალებით მართავდა ქალაქს და წესრიგს იცავდა ქალაქში. როცა იგი ქალაქში არ იმყოფებოდა, მის ფუნქციებს მოურავის ნაცვალი (მოადგილე), ან რომელიმე მისი ხელქვეითი მოხელე ასრულებდა.

თბილისის მოურავის ერთ-ერთ მოვალეობას შეადგენდა ქალაქში შემოტანილ სურსათ-სანოვაგეზე ნიხრის დაწესება. ის ნიხრს აწესებდა ხორცეულზე, თევზეულზე, ყურძენზე, ზეთისხილზე, ხილზე, ღვინოსა და სხვ. პროდუქტებზე ნიხრის დაწესება სამ თვეში ერთხელ ხდებოდა, ღვინოზე კი წელიწადში ერთხელ. ნიხრის დაცვა სავალდებულო იყო ყველა ასნაფისა თუ თაბუნისათვის. ნიხრის დამრღვევი ჯარიმდებოდა მოურავის სასარგებლოდ, ამიტომ მოურავი და მისი ხელქვეითი მოხელეები მტკიცედ ადევნებდნენ თვალყურს ნიხრის დაცვას[25].

თბილისის მოურავს დიდი შემოსავალი ჰქონდა ქალაქიდან. მისი სარგოს მთავარ ნაწილს წარმოადგენდა შემოსავალი ბაქებიდან. მის წილად მოდიოდა ქალაქის ბაქების 1/5 ნაწილი, ანუ „ჩელიექი". მოურავის სასარგებლოდ იკრიფებოდა აგრეთვე ფულადი გადასახადი „სატარუღო".

მას შემოსავალი ჰქონდა ვაჭართა და ხელოსანთა ასნაფებისაგანაც. მათ დავალებული ჰქონდათ თავიანთი სავაჭროდან თუ სახელოსნოდან გარკვეული პროდუქტის მირთმევა დღესასწაულებზე თუ სხვა მნიშვნელოვან დღეებში: მესანთლეებისაგან — სანთელი, ყასბებისაგან — ჭედილები, თხის ქონი და სხვ., ბაყლებისაგან — ბრინჯი თავისი ერბოთი, სიროჯებისაგან — ღვინო და სხვადასხვა. მოურავის სასარგებლოდ მიდიოდა აგრეთვე გარკვეული ნაწილი ქალაქში უძრავი ქონების გაყიდვისას გადახდილი თანხისა.

მოურავის შემოსავალი საკმაოდ მრავალფეროვანი იყო და რამდენიმე ათას მანეთს აღწევდა (პროდუქტების გარდა)[26].

მოურავი ყოველ დილით მოახსენებდა მეფეს ქალაქის მდგომარეობას. ის სამეფო საბჭოს წევრი და საერთოდ მეფესთან ახლო მდგომი დიდი მოხელე იყო.

მოურავის შემდეგ ქალაქის მნიშვნელოვანი მოხელე იყო მამასახლისი. მამასახლისი ქართული ქალაქებისათვის ძველი თანამდებობაა. დაწყებული ადრეფეოდალური ხანიდან ეს თანამდებობა XVIII ს-ის ბოლომდე არსებობდა.

---

[25] შ. მ ე ს ხ ი ა და სხვ., თბილისის ისტორია, 1958, გვ. 214—265.

[26] იქვე.

მამასახლისი ინიშნებოდა მოქალაქეთა ზედაფენებიდან მეფის მიერ, ის ქალაქის ვაჭრულ-ხელოსნური მოსახლეობის მართვა-გამგეობაში მნიშვნელოვან როლს ასრულებდა.

მამასახლისი მოურავთან ერთად აწესრიგებდა მოქალაქეთა სამართალს, ბაერის საქმეს, ამტკიცებდა ნასყიდობის წიგნებს, გამოდიოდა მოწმედ, ასრულებდა მეფისა და მოურავის განკარგულებებს. მისი საქმე იყო მშენებლობისათვის თვალყურის დევნება, სამეფო სახლისათვის ქალაქიდან სურსათ-სანოვაგის მიწოდება, ქალაქის სანიტარული მდგომარეობისათვის ზრუნვა, კარანტინების დაწესება, საერთო წესრიგის დაცვა და სხვ.

მამასახლისი თანამდებობის ასრულების პერიოდში განთავისუფლებული იყო გადასახადებისაგან და აზნაურული უფლებებით სარგებლობდა.

XVI ს. შუა ხანებიდან თბილისში ჩნდება ახალი თანამდებობა — მ ე ლ ი ქ ი. მელიქი არაბული წარმოშობის ტერმინია და ნიშნავს ხელმწიფეს, მეფეს, მთავარს. საქართველოში ეს ტერმინი გვიან შუა საუკუნეებში იხმარება შეცვლილი შინაარსით. „თბილისის მელიქი" „თბილისის მამასახლისის" იდენტური ტერმინია.

თბილისში და სხვა ადგილებში მელიქის თანამდებობის გაჩენა დაკავშირებულია სომხური მოსახლეობის ზრდასთან. XV ს-ში თურქმანთა მიერ სომხეთის დაპყრობის შემდეგ ბევრი სომეხი ჩამოსახლდა საქართველოში, განსაკუთრებით თბილისსა და გორში. ამის შედეგია მათთვის მელიქის თანამდებობის შემოღება.

მელიქს იგივე ფუნქციები ჰქონდა, რაც მამასახლისს. მელიქი სომხური მოსახლეობისათვის ინიშნებოდა, მამასახლისი კი ქართველი მოსახლეობისათვის. ამის გამო მელიქი სომეხი იყო, მამასახლისი კი ქართველი. მიუხედავად ამისა, ისინი ხშირად ერთად საქმიანობდნენ ქალაქის მეურნეობის სხვადასხვა დარგში, სამართლისა თუ წესრიგის დამყარებაში, მოწმეებად და სხვა.

XVI ს-ში მოურავის შემდეგ მეორე მოხელე მამასახლისი იყო, XVII ს-დან კი მელიქი გადადის მამასახლისის წინ. მოხელეთა ჩამოთვლისას მოურავის შემდეგ ასახელებდნენ მელიქს, მამასახლისს კი მესამე ადგილზე. XVIII ს-ში ეს ორი თანამდებობა შეერთდა და ერთი პიროვნების ხელში გადავიდა. ეს ვითარება შედეგი იყო იმისა, რომ XVIII ს-ში სომხური მოსახლეობა ენობრივად და კულტურულად იმდენად დაუახლოვდა ქართველ მოსახლეობას, რომ ცალ-ცალკე მამასახლისი საჭირო აღარ იყო[27].

მამასახლისისა და მელიქის სარგო ქალაქის სხვადასხვა სახის შემო-

---

[27] შ. მ ე ს ხ ი ა და სხვ., თბილისის ისტორია, 1958, გვ. 269.

საელისაგან დგებოდა. მათ ეკუთვნოდათ გადასახად მალის გარკვეული პროცენტი, ეძლეოდათ აგრეთვე საბუთის „საბეჭდავი“, სამართლის წარმოებისათვის, ჯარიმების ნაწილი და სხვ. დღესასწაულებში ასნაფებისაგან იღებდნენ სხვადასხვა სახის ძღვენს.

თბილისში იყო აგრეთვე ორი მნიშვნელოვანი მოხელე: „ბატონის ნაცვალი“ ანუ „ქალაქის ნაცვალი“ და „მოურავის ნაცვალი“, პირველს მეფე ნიშნავდა და მის პირად მითითებებს ასრულებდა, თუმცა მოურავის კონტროლს მაინც ექვემდებარებოდა. მეორეს მოურავი ნიშნავდა და უშუალოდ მისი თანაშემწე იყო. ორივენი საქალაქო მმართველობის და წესრიგის დამყარების აქტიური მონაწილენი იყვნენ. ბატონის ნაცვალს უფრო საპოლიციო საქმეები ეკითხებოდა, მოურავის ნაცვალს კი სავაჭრო-სახელოსნო საქმეთა მოწესრიგება-გარიგება. ორივე ქალაქის შემოსავლიდან და ჯარიმებიდან გარკვეულ წილს იღებდა. ორივე ნაცვალი ვაჭრულ-ხელოსნური წრეებიდან ინიშნებოდა[28].

თბილისის მოხელეთა შორის გვხვდებიან აგრეთვე წვრილი მოხელეები: „ქალაქის მებაჟენი“, ასასები — დაბალი საპოლიციო მოხელენი და მათი მეთაური ასასბაში (რომელთა სასარგებლოდ დაწესებული იყო გადასახადი), „ქალაქის მწერალი“, ანუ „ქალაქის მუშრიბი“ და სხვ. მუშრიბს ევალებოდა ქალაქის შემოსავალ-გასავლის აღრიცხვა, ქალაქის აღწერა, გადასახადთა გაწერა და სხვ. მის გასამრჯელოს „მუშრიბანა“ („სამუშრიბო“) ერქვა; იყო, აგრეთვე, „ყაფანდარი“ (ქალაქის მთავარი მესასწორე), რომელიც ქალაქში შემოტანილ საქონელზე გარკვეულ საყაფანდროს .იღებდა.

თბილისის მოხელეთა შორის არის „მინბაშიც“ (ციხისთავი). XVI—XVII სს-ში თბილისის მინბაშად (განსაკუთრებით XVI ს-ის მეორე ნახევრიდან), ჩვეულებრივ, სპარსელები არიან და თბილისის ყიზილბაშურ გარნიზონს განაგებენ. მათი მოვალეობაა თბილისის გალავნის, კარების, ციხის დაცვა, მოვლა და შეკეთება. თბილისში არსებობდა სპეციალური „სამინბაშო ბაჟი“, რომელიც მინბაშის სასარგებლოდ იკრიფებოდა, რაც ზემონათქვამის შესასრულებლად უნდა ეხარჯათ, მაგრამ ხშირად თავად ითვისებდნენ, ბაჟის რაოდენობას ზრდიდნენ, რაც მოსული ვაჭრებისა და ადგილობრივი მოსახლეობის უკმაყოფილებას იწვევდა[29].

თბილისის მოხელეებად ითვლებოდნენ აგრეთვე „ჯარჩები“ (გზირები), რომელთა უშუალო უფროსს „ჯარჩიბაში“ ეწოდებოდა. მათი მოვალეობა იყო ნიხრებისა და მეფის თუ დიდი მოხელის განკარგულებათა საჯაროდ გამოცხადება ბაზრობებსა და დღეობებზე.

---

[28] შ. მ ე ს ხ ი ა და სხვ., დასახ. ნაშრომი, გვ. 271—273.

[29] 1639 წლის ყანონლამა როსტომისა, ქართულ-სპარსული ისტორიული დოკუმენტები, I, გვ. 149.

თბილისის ეკონომიკური მდგომარეობა XVI—XVII სს-ში

გვიან შუა საუკუნეებში საქართველოს ეკონომიკური დაქვეითებისა და პოლიტიკური დაქუცმაცებულობის შედეგად მნიშვნელოვნად ქვეითდება საქართველოს საქალაქო ცხოვრებაც. როგორც ცნობილია, XIII—XV საუკუნეების განმავლობაში შემცირდა საქართველოს ქალაქების მოსახლეობა, დაეცა მრეწველობა და ვაჭრობა. დიდი ქალაქები მნიშვნელოვნად შემცირდა, ზოგი მცირე ქალაქი კი სრულიად გაქრა. ეს ვითარება მრავალმა მიზეზმა განაპირობა, რომელთა შესახებ საუბარი წინა თავებში უკვე იყო და აქ აღარ გავიმეორებთ. აღვნიშნავთ, რომ ეს საერთო ვითარება შეეხო თბილისსაც. რაც შეეხება XVI—XVII საუკუნეების თბილისს, ქართულ ისტორიოგრაფიაში გავრცელებული შეხედულებით მთელ XVI საუკუნესა და XVII საუკუნის პირველ ნახევარში იგი დაქვეითებული და მცირემოსახლეობიანი ქალაქი ყოფილა. თბილისის დაწინაურება და აღორძინება თითქოს იწყება მხოლოდ XVII საუკუნის შუა ხანებიდან. პროფ. ვ. გაბაშვილის აზრით, „აღმოსავლურ წყაროთა ცნობებით არ დასტურდება ქართულ ურბანისტიკაში გამოთქმული შეხედულება, რომლითაც აღინიშნება თბილისის დაქვეითება XVI საუკუნის მეორე ნახევარში და XVII საუკუნის პირველ მეოთხედში". ამ შეხედულების ავტორები თბილისის პოლიტიკურ მდგომარეობას ავტომატურად ავრცელებენ მის ეკონომიკურ მდგომარეობაზე, რაც სწორი არ არის. „ნამდვილად თბილისი ყოველთვის ინარჩუნებდა მნიშვნელოვანი საავაჭრო ცენტრის როლს მახლობელი აღმოსავლეთის საერთაშორისო ვაჭრობაში"[30].

მართალია, შემოსევების დროს XVI ს-ის პირველ ნახევარში თბილისი დაქვეითდა, მაგრამ 1555 წლიდან 1578 წლამდე, ირან-თურქეთის მეორე ომის დაწყებამდე, შედარებით მშვიდობიანობა იყო, ამან კი ხელი შეუწყო საქალაქო ცხოვრების გამოცოცხლებას. 1562 წლიდან, როგორც ცნობილია, თბილისი და ქვემო ქართლი, დაუდ ხანის მეშვეობით, ირანს დაექვემდებარა. ამან კი, თავის მხრივ, განაპირობა თბილისის დაკავშირება ამიერკავკასიის საავაჭრო გზასთან, ირანის საავაჭრო წრეებთან, მეორე მხრივ კი ახალქალაქ-ახალციხის გზით ოსმალეთის ვაჭრობასთან. 1555—1578 წლების მშვიდობიანმა მდგომარეობამ ხელი შეუწყო ქალაქებისა და ვაჭრობის გამოცოცხლებას აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში. აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში საავაჭრო გზასთან და ვაჭრობასთან მჭიდ-

---

[30] ვ. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი, თბილისი XVI—XVII საუკუნეების აღმოსავლურ წყაროებში, თსუ შრომები, ტ. 99, 1962, გვ. 252.

როდ იყო დაკავშირებული არა მარტო კახეთის ქალაქები გრემი და ზაგემი, არამედ ქ. თბილისიც[31].

XVI ს. მეორე ნახევრის თურქი ისტორიკოსის მუსტაფა ალის ცნობით, „თბილისის ციხე დიდი, შესანიშნავი ციხე-სიმაგრეა, რომელიც თხრილების სიღრმის, თვით ქალაქის და მისი ბურჯების სიმაღლის მიხედვით არაბთა ქვეყნის უდიდესი, უმშვენიერესი ქალაქის — ალეპოს მსგავსია. ამასთანავე, იმის მიხედვით, რომ (თბილისს) მდინარე მტკვარი ჩაუდის შუაში და ცხელი წყაროებია, უნგრეთის დედა-ქალაქ ბუდაპეშტს ჰგავს...“[32]

რაც არ უნდა გადაჭარბებული იყოს აღნიშნული, იგი მაინც მოწმობს, რომ თბილისი კარგად გაშენებულ და მდიდარ ქალაქს წარმოადგენდა.

არსებულ ცნობებში შეიმჩნევა გარკვეული სხვადასხვაობა, რაც ამა თუ იმ უცხოელი სარდლის ტენდენციური განწყობით შეიძლება ავხსნათ. მაგალითად, XVI ს. იტალიელი ავტორი თომაზო მინადოი წერდა: „სინან ფაშამ მუსტაფა ფაშის დასამცირებლად (იგულისხმება სარდალი ლალა მუსტაფა ფაშა) თბილისის შესახებ თურქეთის სულთანს ცნობები მიაწოდა: „მუსტაფა ფაშა აცნობებდა, რომ თბილისი დამასკოსავით დიდი და მდიდარი ქალაქია“. ეს სიცრუეა, რადგან თბილისი მცირე ზომის ქალაქია, მცირერიცხოვანი მცხოვრებლებითა და ნაგებობებით დამასკოს ვერ შეედრება, ვერც სიმდიდრით. ვერც მცხოვრებლების სიმრავლით და ქალაქის ტერიტორიის სიდიდით მასთან ვერ მივა“[33].

რუსი ელჩების ცნობის მიხედვით, 1597 წელს „თბილისში მხოლოდ 2000 სახლი იყო“[34].

1578 წელს დაწყებულმა მეორე ომმა ოსმალეთსა და ირანს შორის დიდი ზიანი მიაყენა თბილისის ვაჭრობას. მაგრამ მას შემდეგ, რაც 1588 წელს სიმონ მეფემ დროებით შეწყვიტა ბრძოლა ოსმალთა წინააღმდეგ, ქალაქი მოშენდა, ხოლო საგარეო ვაჭრობა კვლავ გამოცოცხლდა. 1578 —

---

[31] ვ. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი, იქვე, გვ. 255; კ. კ უ ც ი ა, სეფიანთა ირანის ქალაქები და საქალაქო ცხოვრება, თბ., 1966, გვ. 29.

[32] ციტირებულია ვ. გაბაშვილის დასახ. ნაშრომიდან, გვ. 256.

[33] შ. მ ე ს ხ ი ა და სხვ., თბილისის ისტორია. 1958, გვ. 157; М е с х и а, Ш. А., Города.., с. 93.

[34] Б е л о к у р о в С. А. Сношения России с Кавказом. Материалы, 1889, с. 311. ამ ცნობის საფუძველზე დაასკვნიან, რომ ქალაქში 10 ათასამდე სული ცხოვრობდა (თბილისის ისტ., 1958, გვ. 157), რაც სწორი არ უნდა იყოს. გასათვალისწინებელია, რომ ხშირად ერთ სახლში რამდენიმე ოჯახი ცხოვრობდა; თბილისის დიდი ციხის ოსმალო მეციხოვნეების დიდი ნაწილიც ოჯახებით სახლობდნენ. ამასთან, მხედველობაში არაა მიღებული თბილისის დროებითი მცხოვრებლები — სეზონური მუშები და ხელოსნები, რომლებიც ყოველთვის ბევრი იყო თბილისში, და რომელნიც მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ ქალაქის ცხოვრებაში. თბილისის მოსახლეობა XVI საუკუნის ბოლოს 20 000-მდე შეიძლება ვივარაუდოთ.

1605 წლებში ოსმალები მთელს აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში გაბატონდნენ. ოსმალეთის ხელში აღმოჩნდა მნიშვნელოვანი სავაჭრო გზა: შემახა — განჯა — თბილისი — გორი — ახალქალაქი — ახალციხე — ერზერუმი — სტამბოლი. ამ გზით აღმოსავლეთ ამიერკავკასიის აბრეშუმთან ერთად გადიოდა ქართული აბრეშუმიც. ამ ხანებში, ამავე გზით გადიოდა სპარსული, კერძოდ, გილანური აბრეშუმი.

აღმ. ამიერკავკასიის სავაჭრო გზით, ოსმალეთსა და ირანს გარდა, დაინტერესებული იყო აგრეთვე რუსეთი, განსაკუთრებით XVI ს-ის მეორე ნახევრიდან, როცა მან შეიერთა ყაზანისა და ასტრახანის სახანოები და მდ. ვოლგის აუზი მის ხელში მოექცა. ამას გარდა, ამ გზით, XVI ს. შუა ხანებიდან დაინტერესდნენ ინგლისელი ვაჭრები და პირველ რიგში ინგლისური „მოსკოვის კომპანია“, რომელიც 1555 წელს დაარსდა და 60—70-იან წლებში ვაჭრობას ეწეოდა ირანსა და მის პროვინციებთან. XVI ს. 60-იან წლებში ინგლისელ ვაჭრებს კონტაქტის დამყარება უცდიათ ქართველ ვაჭრებთან[35]. ქართველი ვაჭრები იმ ხანებში სომხებთან ერთად, რომელთა ხელში იყო ფაქტიურად ირანის ვაჭრობა, აქტიურად მონაწილეობდნენ ირანის ვაჭრობაში. ინგლისელი ვაჭარი კარტვრაიტი, რომელმაც გაიარა ძველი ჯულა 1590 წელს, აღნიშნავდა, რომ იქ ცხოვრობდნენ და აბრეშუმით ვაჭრობდნენ სომხები და ქართველები (ეს უკანასკნელები უნდა ყოფილიყვნენ არა იქაური მკვიდრნი, არამედ საქართველოდან ჩასული დიდვაჭრები)[36].

საქართველოს საგარეო ვაჭრობაში აბრეშუმით ვაჭრობას ერთ-ერთი მთავარი ადგილი ეკავა. აბრეშუმი საქართველოში ძველი დროიდანვეა ცნობილი. იგი დიდი რაოდენობით მოჰყავდათ როგორც ძველად, ისე გვიან შუა საუკუნეებში. XVII ს-ის პირველი ნახევრის მოგზაურის ოლეარიუსის ცნობით (ის სპარსეთში იმყოფებოდა 1637—1638 წლებში), შაჰ-ისმაილს ქართლის მეფე დავით IX-ისაგან (1505—1525 წწ.) ხარკად მოუთხოვია 300 საპალნე, ანუ 1800 ფუთი აბრეშუმი[37]. თეიმურაზ მეფეს 1639 წელს რუსი ელჩებისათვის განუცხადებია: „...ძველად იყო, რომ გრემიდან ზაგემამდე მოდიოდა 1000 საპალნე აბრეშუმი“...[38] აბრეშუმი მოჰყავდათ დიდი რაოდენობით დასავლეთ საქართველოშიც. ნედლი აბრეშუმის ძირითადი ნაწილი საზღვარგარეთ გადიოდა. ნედლი აბრე-

---

[35] Английские путешественники в Московском государстве в XVI веке, с. 240; გ. ე ო რ დ ა ნ ი ა, უცხოელ მოგზაურთა ცნობები ქართველთა შესახებ XVII ს-ში, ჟურნ. „მნათობი“, 1962, №8, გვ. 174—75.

[36] გ. ე ო რ დ ა ნ ი ა, დასახ. ნაშრომი, გვ. 175.

[37] ნ. ა ბ ე ს ა ძ ე, მეაბრეშუმეობა საქართველოში, 1957, გვ. 114.

[38] Материалы по истории грузино-русских взаимоотношений 1615—1640 гг., изд. М. Полиевктова, 1937, с. 390; იხ. გ. ე ო რ დ ა ნ ი ა, ქართული აბრეშუმის კულტურის განადგურების ერთი ცდის შესახებ, ჟურნ. „ცისკარი“, 1963, №5, გვ. 141.

შუმის გატანაში XVI საუკუნის მეორე ნახევარში გრემსა და ზაგემთან ერთად თბილისელი და გორელი ვაჭრებიც მონაწილეობდნენ, XVII ს-ში კი თითქმის მხოლოდ თბილისელი ქართველი დიდვაჭრები და სომეხი ხოჯები. სომხური ქალაქი ძველი ჯულა (ჯულფა) ამიერკავკასიის ვაჭრობის ცენტრი იყო, განსაკუთრებით აბრეშუმით ვაჭრობაში. უფრო მეტიც, ჯულელი ხოჯები დიდ როლს ასრულებდნენ აბრეშუმით მსოფლიო ვაჭრობაშიც. მათ ირანული და ამიერკავკასიის აბრეშუმი გაჰქონდათ თურქეთზე გავლით ალეპოში. სადაც ხვდებოდნენ ევროპელ ვაჭრებს, რომლებიც ყიდულობდნენ ნედლ აბრეშუმს, XVII ს-ში კი თავად დაიწყეს ევროპაში გასვლა. მაგალითად, ვენეციაში მთელი უბნები გაჩნდა სომხებისა, რომლებიც აბრეშუმით ვაჭრობდნენ.

ირანისა და აღმოსავლეთ ამიერკავკასიის აბრეშუმი გადიოდა XVI ს. მეორე ნახევრიდან ვოლგა-ასტრახანის გზით რუსეთსა და დასავლეთ ევროპაში. მესამე გზა აბრეშუმის გატანისა აღმოსავლეთ ამიერკავკასიიდან და ირანიდან იყო ბენდერ-ჰორმუზის სრუტე — არაბეთის ზღვა — ინდოეთის ოკეანე და აფრიკის ირგვლივ.

XVII ს. 30-იან წლებში, კარგი მოსავლიანობის დროს, ირანში დაახლოებით 20 000 საპალნე აბრეშუმი მოჰყავდათ, რომელთაგან თვით ირანში მხოლოდ 1 000 საპალნეს ამუშავებდნენ, დანარჩენი ინდოეთში, თურქეთსა და დასავლეთ ევროპაში გადიოდა[39]. შაჰ აბას I უაღრესად დაინტერესებული იყო ირანის აბრეშუმის ვაჭრობით თვითონ მას ესარგებლა და არა ოსმალეთსა და რუსეთს. ამიტომ ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რათა ჩრდილოეთსა და თურქეთზე გამავალი სავაჭრო გზები დაეყრუებინა და სპარსეთის ყურე (ჰორმუზი) გაეხადა აბრეშუმით ვაჭრობის ცენტრად. ამ მიზნით, შაჰ აბასმა აღმოსავლეთ ამიერკავკასიის მრავალი დიდი ქალაქი დაანგრია: შემახა, განჯა, ნახჭევანი, ჯულფა, შემდეგ კი გრემი და ზაგემიც. ეს ქალაქები ითვლებოდა აბრეშუმით ვაჭრობის ცენტრებად, რომლებიც დაკავშირებულნი იყვნენ ვოლგა-ასტრახანის გზასთან და აგრეთვე ვაჭრობდნენ ოსმალეთთან. ამ ქალაქებში მცხოვრები ათიათასობით ხელოსანი და ვაჭარი ირანში გადასახლდა. როგორც ცნობილია, ქ. ჯულის ვაჭრული მოსახლეობა შაჰმა დაასახლა ისპაანის გარეუბანში და შექმნა ახალი ქალაქი ნორჯულა. ჯულელ ხოჯებს შეღავათები უბოძა და საშუალება მისცა სათავეში ჩადგომოდნენ ირანის ვაჭრობას ევროპასა და ინდოეთთან.

შაჰ აბასმა აღმოსავლეთ ამიერკავკასიიდან გადაასახლა არა მხოლოდ ხელოსნურ-ვაჭრული მოსახლეობა, არამედ ასიათასობით სოფლის მოსახლეობაც, მათ შორის აბრეშუმის მწარმოებელი გლეხობა ჩრდილო აზერბაიჯანიდან. უფრო მეტიც, აბასმა სცადა კახეთ-

---

[39] Олсарий А., Подробное описание голштинского посольства в Московию и Персию в 1633, 1636 и 1639 гг. М., с. 791; კ. კუცია, დასახ. ნაშრომი, გვ. 45.

ში თვით აბრეშუმის წარმოების საფუძველიც მოესპო. შაჰის ბრძანებით კახეთში გაჩეხეს თუთის ხეები[40].

გარდა იმისა, რომ შაჰ აბასის ამ ღონისძიებათა მიზანი იყო აბრეშუმით ვაჭრობის ცენტრების ამიერკავკასიიდან შიდა და სამხრეთ ირანში გადატანა, მის მიზანს შეადგენდა აგრეთვე ამიერკავკასიის ქვეყნების ეკონომიკური დაქვეითება, რასაც, მისი აზრით, უნდა შეესუსტებინა ოსმალეთისა და რუსეთის სწრაფვა ამიერკავკასიისაკენ[41].

როგორც ჩანს, შაჰ აბასს ქართლიდან და, კერძოდ, თბილისიდანაც გადაუსახლებია ვაჭრები ირანში და ისინიც, მსგავსად ჯუღაელებისა, ისპაანის ერთ-ერთ გარეუბანში დაუსახლებია. არაქელ დავრიჟეცის ცნობით: ქართლის მცხოვრებნი „წაიყვანეს და ისფაჰანის ზემოთა სოფლებში დაასახლეს, სადაც სომხებიც იყვნენ დასახლებულნ“[42].

გერმანელი მოგზაურის ადამ ოლეარიუსის მიხედვით, ქართველი ვაჭარ-ხელოსნები დაუსახლებიათ ისპაანის გარეუბან ჰასენაბადში: „ჰასენაბადი წარმოადგენს გარეუბანს ჯურჯისას ანუ ქართველ ქრისტიანთა, რომელნიც გადაყვანილი არიან საქართველოდან. (ისინი) აგრეთვე არიან წარჩინებული ვაჭრები, რომელნიც თავიანთი სავაჭრო საქმეების გამო, ისევე როგორც სომხები, ყველგან მოგზაურობენ და სხვა ქვეყნებშიც დაიარებიან“[43].

ოლეარიუსის ნაშრომის ფრანგულად მთარგმნელი ვიკფორი (თარგმანი დაიბეჭდა 1656 წ.), რომელიც კარგად იცნობდა იმდროინდელ საერთაშორისო ვითარებასა და ვაჭრობას, ოლეარიუსის ნათქვამს უმატებს: „მათ ძალიან უყვართ მოგზაურობა განსაკუთრებით ინდოეთსა და ევროპაში, და მომეტებული ნაწილი იმ ვაჭრებისა, რომელთაც ვხედავთ ვენეციაში, ჰოლანდიაში და სხვა ადგილებში და რომელთაც აქ უწოდებენ სომხებს, ეკუთვნიან ამ (ე. ი. ქართველთა) ერს“... სპარსელებს „უყვართ კიდეც ისინი არა მარტო იმიტომ, რომ ხედავენ სარგებლობას მათთან ვაჭრობაში, და (იმიტომ) რომ იხდიან გადასახადს, არამედ განსაკუთრებით იმიტომ, რომ ისინი რგავენ და აშენებენ ვაზს და აყენებენ ღვინოს“[44].

---

[40] გ. ე ო რ დ ა ნ ი ა, ქართული აბრეშუმის კულტურის განადგურების ერთი ცდის შესახებ, ჟურნ. „ცისკარი“, №5, 1963, გვ. 148.

[41] ვ. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი, XVI—XVII სს. საქართველოს ქალაქები მახლობელი აღმოსავლეთის სავაჭრო ურთიერთობათა შუქზე, ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ქალაქების ისტორიიდან, I, 1966, გვ. 180—181.

[42] ა რ ა ქ ე ლ დ ა ვ რ ი ჟ ე ც ი ს ცნობები საქართველოს შესახებ, თარგმანი, შესავალი და კომენტარები კარლო კუციასი. თბ., 1974, გვ. 36; გ. ე ო რ დ ა ნ ი ა, უცხოელ მოგზაურთა ცნობები ქართველთა შესახებ XVII საუკუნეში, ჟურნ „მნათობი“, №8, 1962, გვ. 177.

[43] ციტირებულია: გ. ე ო რ დ ა ნ ი ა, დასახ. ნაშრომი, გვ. 176.

[44] იქვე, გვ. 176—177.

როგორც ვხედავთ, ქართველი დიდვაჭრები სომეხ ხოჯებთან ერთად მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ თვით ირანის ვაჭრობაში, სავაჭროდ დადიოდნენ ინდოეთსა და ევროპაში, გამდიდრებულან კიდეც, მაგრამ 60—70-იანი წლების მოგზაურთა თუ ისტორიკოსთა შრომებში უკვე აღარ ჩანან ჰასენაბადში კომპაქტურად დასახლებული ქართველი ვაჭრები. მკვლევრები ვარაუდობენ, რომ მათი ნაწილი ალბათ გამაჰმადიანდა და დენაციონალიზაცია განიცადა (სპარსეთის შაჰები ითმენდნენ სომეხი ვაჭრების ქრისტიან-გრიგორიანობასა და კათოლიკობას, მაგრამ არ ითმენდნენ ქართველების მართლმადიდებლობას). ნაწილი, შესაძლოა, უკანაც დაბრუნდა. მაგრამ ქართველი ვაჭრები მცირე რაოდენობით შემდეგაც ჩანან ირანის ქალაქებში[45].

შაჰ აბასის ცდები, ირანის იმპერიის სამხრეთში გადაეტანა აბრეშუმითა და სხვა მნიშვნელოვანი საქონლით ევროპასთან ვაჭრობის ცენტრი, მარცხით დამთავრდა. სპარსეთის ყურემ და ინდოეთის ოკეანემ ვერ დაიპირა ის ადგილი, რომელსაც აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში გამავალი სავაჭრო გზა ასრულებდა აღმოსავლეთსა და ევროპას შორის. ამიტომ მალე კვლავ დიდი მნიშვნელობა მიენიჭა ამიერკავკასიის სავაჭრო მაგისტრალს. ამასთანაა დაკავშირებული თბილისის აღორძინება XVII ს-ის 40-იანი წლებიდან და საერთოდ ქართლში საქალაქო ცხოვრების გამოცოცხლება.

როსტომის მეფობის დროს (1632—1658 წწ.), როგორც VIII თავში უკვე აღინიშნა, თბილისმა კვლავ დაიბრუნა აღმოსავლეთ საქართველოს პოლიტიკური და ეკონომიკური ცენტრის მნიშვნელობა. ამას, გარდა 1639 წ. ზავის შედეგად დამყარებული ერთგვარი მშვიდობიანობისა, ხელი შეუწყო ირან-ქართლის კომპრომისულმა პოლიტიკამ — როსტომისა და შემდეგ ვახტანგ V-ის პოლიტიკამ.

როსტომმა რიგი ღონისძიებები გაატარა ვაჭართა ინტერესების დასაკმაყოფილებლად. ერთ-ერთი ასეთი ღონისძიება იყო თბილისის ციხის მებაჟეთა თვითნებობის აღკვეთა. 1639 წ. როსტომის ბრძანებაში ნათქვამია: „ზოგჯერ ნოქრები (ქალაქის კარის მცველები) ძალადობას იჩენდნენ გამვლელებზე. [ამიტომ] ვაჭრებმა, მომსვლელებმა, ქალაქ თბილისისა და საქართველოს ოლქის მოსახლეობამ ითხოვეს დასტურლამალის (მოცემა) ამის შესახებ, რათა ამიერიდან ხსენებულთ ციხის კარის მცველებმა მის საფუძველზე იმოქმედონ და ძალმომრეობა არ გამოიჩინონ... რათა ამიერიდან ერთი დინარი და ერთი ბათმანი პურიც კი არ აიღონ ზედმეტად, ეს გახდეს ვაჭრების, გამვლელთა და გლეხთა დამშვიდების მიზეზი“...[46] ამას გარდა, როსტომმა ზოგიერთი ვაჭარი

---

[45] გ. ე ო რ დ ა ნ ი ა, დასახ. ნაშრომი, გვ. 179—180.

[46] ქართულ-სპარსული ისტორიული საბუთები, ვ. ფუთურიძის თარგმანი და რედაქცია, 1955, გვ. 151.

ბაკისაგან გაათავისუფლა[47], ზოგსაც გადასახადები შეუმსუბუქა და სხვ. ყოველივე ეს, ცხადია, ვაჭრობის განვითარებას უწყობდა ხელს. იმავე მიზნით, როსტომმა მდ. ქციაზე დიდი ხიდი ააგო. ფ. გორგიჯანიძის სიტყვით, „რომ მგზავრი არ გაისარჯოს, სადგომი და საჭმელი მზად დახვდეს, როსტომ მეფემ განჯის გზაზე, გატეხილს ზევით, გუნბეთით ხიდი ააგო. სოფელი და ქარავანსარა ააშენა“[48]. ეს ხიდი დღესაც დგას და კვლავ მოქმედი ხიდია. ჩამოსვლის უმალ როსტომს ერთი ქარავანსარაი თბილისშიც აუშენებია, რომელიც იჯარით ყოფილა გაცემული[49].

როსტომის ღონისძიებებმა ხელი შეუწყო ჩვენში საქალაქო ცხოვრების გამოცოცხლებას და თბილისის ვაჭრულ-ხელოსნური მოსახლეობის გამრავლებას.

აღნიშნულმა ღონისძიებებმა როსტომს ქალაქების ვაჭრულ-ხელოსნური მოსახლეობის მხარდაჭერა მოუპოვა. თუმცა როსტომამდეც აღმოსავლეთ საქართველოს ქალაქების ვაჭრულ-ხელოსნური მოსახლეობა, განსაკუთრებით ამ მოსახლეობის ზედაფენა, ქართველი დიდვაჭრები და სომეხი ხოჯები უფრო მაჰმადიან მეფეებს უჭერდნენ მხარეს, რადგან მათი სავაჭრო ინტერესები ირანის საერთაშორისო ვაჭრობასთან იყო დაკავშირებული. გარდა ამისა, როგორც ჩანს, განსაკუთრებით წვრილი ვაჭრებისა და ხელოსნებისათვის, მნიშვნელობა ჰქონდა იმ გარემოებასაც, რომ თბილისის ციხეში XVII საუკუნეში თითქმის განუწყვეტლივ ყიზილბაში მეციხოვნეები იდგნენ.

XVII ს. შუა ხანებში თბილისი XVI ს. ბოლო ხანების ქალაქთან შედარებით მნიშვნელოვნად იყო გაზრდილი და გამშვენებული. XVII ს. ცნობილი თურქი მოგზაურის ევლია ჩელების სიტყვით, რომელიც 1646—1647 წლებში იყო ჩვენს ქალაქში, თბილისი „ძალიან კეთილმოწყობილი და გაშენებული“ ქალაქია[50]. ის აღწერს თბილისს და მის ღირსშესანიშნაობებს, მათ შორის დიდ ციხეს — კალას და მცირე ციხეს — მეტეხს.

დიდი ციხის „გალავნის შიგნით, — გადმოგვცემს ევლია ჩელები, — ექვსასი ბანიანი სახლია. ხანის (ე. ი. როსტომის) სასახლე ამ ციხეშია; ჯამე, ქარვასლა, აბანო და მცირე ბაზარი აქვს“. პატარა ციხეში „სამასი სახლი და ჯამეა. მაგრამ ბაზარი და სხვა რამ ნაგებობა არაა“. ციხის კოშკებს, ევლიას ცნობით, „3000 მეციხოვნე იცავს“[51].

ევლია ჩელების მონაცემების მიხედვით, თბილისის „ორთავე ციხის

---

[47] ქართულ-სპარსული ისტორიული საბუთები, გვ. 212.

[48] ფ. გ ო რ გ ი ჯ ა ნ ი ძ ე. ისტორია, „საისტორიო მოამბე“, წ. II, გვ. 262.

[49] ქართულ-სპარსული ისტ. საბუთები, 1955, გვ. 214—215.

[50] ე ვ ლ ი ა ჩ ე ლ ე ბ ი, მოგზაურობის წიგნი, თარგმანი გ. ფუთურიძისა, ნაკ. I, 1971, გვ. 295.

[51] იქვე.

გალავანში დაახლოებით 15 000 მცხოვრებია საკარაუდებელი. მათგან უმრავლესობას თბილისის მკვიდრი მოსახლეობა შეადგენდა. ქრისტიანული მოსახლეობა (ქართველები, სომხები) წარმოდგენილი იყო ციხის გარეთ და განლაგებული იყო გარეთუბნამდე"[52]. ციხის გარეთ მცხოვრებთა რაოდენობა 30—40 ათასამდე აღწევდა, ხოლო მთელი ქალაქისა — 50—60 ათასამდე[53].

როსტომის სასახლე, როგორც უკვე ითქვა, დიდი ციხის გალავანში ყოფილა, შემდეგ კი ახალი დიდებული სასახლე, „ყიზილბაშთა რიგისა", აუშენებია გალავანს გარეთ, ანჩისხატისა და სიონის უბანში, და იქ დასახლებულა[54].

როსტომის მეფობაში დაწყებული ქვეყნის ეკონომიკური აღმავლობა ვახტანგ V-ის, ანუ შაჰ ნავაზის მეფობაშიც (1658—1675 წწ.) გაგრძელდა.

თბილისის მრავალრიცხოვანი მოსახლეობის საკაჭრო პროდუქტებითა და ნედლეულით დაკმაყოფილება უმთავრესად ქართლ-კახეთის სოფლების ხარჯზე ხდებოდა, მაგრამ როგორც საკვები, ისე ნედლეული თბილისში შემოდიოდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეებიდან და ამიერკავკასიის სხვადასხვა ქვეყნებიდანაც კი (აზერბაიჯანი, სომხეთი). ეს საქონელი იყო პური, ღვინო, საკლავი, ფრინველი, თევზი, ბრინჯი, მარილი, თამბაქო, ყველი, ერბო, ხილი, თაფლი და სხვა; აბრეშუმი, ბამბა, მატყლი, სელი, ტყავი, რკინა, სპილენძი, ენდრო და სხვ.

როსტომ მეფის 1639 წლის „ყანონლამაში" ჩამოთვლილია თბილისში შემოსული საქონელი და ამ საქონელზე დადებული ბაჟი, რომელსაც იღებდნენ თბილისის ირანელი მინბაში და მისი მეციხოვნეები, რაც მათ უნდა მოეხმარათ „კარის დაცვისათვის" და „ციხის კარის გასამშვენიერებლად"[55].

მინბაში იღებდა:

1. აბრეშუმის საპალნეზე — ერთ შაურს.
2. ფართლის საპალნეზე — ნახევარ შაურს.
3. ბამბის საპალნეზე — ერთ ბისტს (ბისტი = 2 კაპ.).
4. საყათის (საწვრილმანო) საქონელზე — ორ ფულს (ფული = 1/2 კაპ.)
5. თუთუნის საპალნეზე — ნახევარ შაურს.
6. მარილის საპალნეზე — ერთ ფულს.

---

[52] ვ. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი. თბილისი XVI—XVII საუკუნეების აღმოსავლურ წყაროებში. თსუ შრომები, 99. 1962. გვ. 266.

[53] იქვე. გვ. 267.

[54] ვ ა ხ უ შ ტ ი, ქართლის ცხოვრება. ტ. IV. გვ. 334.

[55] სხვა უნდა ყოფილიყო სამეფო და სამოურავო ბაჟი. თანაც უფრო მეტიც. მაგ., XVII ს. მეორე ნახევარში ყაფლანიშვილები თავიანთ საბაჟოში იღებდნენ აბრეშუმზე — ერთ აბაზს, ბამბაზე — 2 შაურს, თევზზე — 1 შაურს და სხვ.

7. ერბოს საპალნეზე — ერთ ფულს.
8. ბრინჯის საპალნეზე — ერთ ფულს.
9. თაფლის საპალნეზე — ორ ფულს.
10. ნალ-ლურსმნისა და რკინის საპალნეზე — ორ ფულს.
11. მატყლის საპალნეზე — ერთ ფულს.
12. თევზის საპალნეზე — ერთ ბისტს.
13. გასაყიდ ცხვარზე, ასზე — ორ შაურს.
14. დიდი ფარის გავლაზე — ერთ ცხვარს.
15. ცოტა ფარაზე — ერთ ბატკანს.
16. ყველის საპალნეზე — ერთ ფულს[56].

თბილისის საშინაო ვაჭრობაში რომ ქართლის გლეხობაც უნდა ყოფილიყო ჩაბმული, ჩანს როსტომ მეფის სიტყვებიდანაც. ის წერს: რადგან თბილისის მეციხოვნეები თვითნებობდნენ და ზედმეტს ახდევინებდნენ სავაჭროდ მოსულთ, ამიტომ „ვაჭრებმა, მომსვლელებმა და გამვლელებმა, ქალაქ თბილისის და საქართველოს ოლქის მოსახლეობამ (ქვეშევრდომები, გლეხები) ითხოვეს დასტურლამალის“ გარიგება[57]. და იქვე უმატებს: ეს დასტურლამალი „უნდა გახდეს ვაჭრების, გამვლელთა და გლეხთა დამშვიდების მიზეზი“[58].

XVII ს. მეორე ნახევარში აღმოსავლეთ საქართველოში საგლეხო გადასახადებში შეიმჩნეოდა ფულადი რენტის ზრდის ტენდენცია[59].

თბილისი კიდევ უფრო გაიზარდა, მისი ვაჭრობა კი უფრო გაცხოველდა XVII ს-ის 60—70-იან წლებში. ჟან შარდენის ცნობით: „აქ შეხვდებით სომხებს, ბერძნებს, ებრაელებს, თათრებს, მოსკოვიტებს და ევროპელებსა“, „რომლებიც დიდ ვაჭრობას ეწევიან“[60].

საექსპორტო ვაჭრობის მთავარი საგანი აბრეშუმი ყოფილა: „საქართველო დიდი რაოდენობით აწარმოებს აბრეშუმს, მაგრამ, რასაც მოგზაურთა უმეტესობა წერს ამის შესახებ, აქ იმის ნახევარიც კი არ მზადდება. ადგილობრივმა მოსახლეობამ მისი კარგად გამოყენა არ იცის. მათ აბრეშუმი ოსმალეთში, ერზერუმსა და ახლომახლო ადგილებში გააქვთ, სადაც ისინი ფართო ვაჭრობას აწარმოებენ“[61].

---

[56] ქართულ-სპარსული ისტორიული საბუთები, ვ. ფუთურიძის თარგმანი და რედ., 1955, გვ. 148—151. ქართული ტექსტი ამ საბუთისა გამოცემულია (იხ. „დოკუმენტები თბილისის ისტორიისათვის“, I, თბ., 1962).

[57] იქვე, გვ. 151.

[58] იქვე.

[59] გ. ჯამბურია, ქართული ფეოდალური ურთიერთობის ისტორიიდან, 1955, გვ. 107—108.

[60] ჟან შარდენი, მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში (ცნობები საქართველოს შესახებ), თარგმანი და შენიშვნები მ. მგალობლიშვილისა, 1975, გვ. 298.

[61] იქვე, გვ. 297.

ტავერნიეს (მოგზაურობდა 1631—1668 წწ.) ცნობით, ქ. თავრიზს „განუწყვეტელი ვაჭრობა“ ჰქონდა თურქებთან, არაბებთან, ქართველებთან, სპარსელებთან, ინდოელებთან, მოსკოვიტებსა და თათრებთან[62].

თბილისიდან გატანილი საქონლიდან შარდენი განსაკუთრებით გამოჰყოფს ღვინოს. იგი წერს: „თბილისიდან ღვინო დიდი რაოდენობით გაქვთ სომხეთში, მიდიასა და ისფაჰანში — ერთი ცხენისაპალნე, რომელიც წონით სამას ფუნტს[63] უდრის, მხოლოდ და მხოლოდ რვა ფრანკი ღირს. მე ელაპარაკობ საუკეთესო ღვინოზე, რადგანაც, ჩვეულებრივ, საშუალო ღვინოს ამის ნახევარი ფასი აქვს“[64].

საქართველოდან ირანში დიდი რაოდენობით გაჰქონდათ აგრეთვე — ნიგოზი (400 აქლემის საპალნე), ხილი, თაფლი, სანთელი, შალი და სხვა[65]. მნიშვნელოვან სავაჭრო საექსპორტო საქონელს წარმოადგენდა ენდრო. ტურნეფორის ცნობით, ყოველწლიურად საქართველოდან ერზერუმში გაჰქონდათ 2000 აქლემის საპალნე ენდრო, საიდანაც ის მიჰქონდათ დიარბექირში. ენდრო საქართველოდან გაჰქონდათ ინდოეთშიაც, სადაც „ამზადებდნენ სხვადასხვა ფერის საუკეთესო ქსოვილებს“[66].

XVI—XVII საუკუნეებში დიდი რაოდენობით შემოდიოდა საქართველოში და, კერძოდ, თბილისში ირანული, თურქული, ინდური და ევროპული საქონელი, მაგრამ მაინც თბილისს უფრო გაცხოველებული იმპორტი ირანთან ჰქონდა. ირანიდან შემოდიოდა ძვირფასი აბრეშუმის ქსოვილები: დარაია, ხარა, ზარბაქი (ოქროქსოვილი ფარჩა), დარაიბავთი, დიბა — ოქრომკედით ნაქსოვი ფარჩა — იგივე სტავრა, შალის ქსოვილები, ტყავი, თავრიზული შეკერილი სამოსელი, ჩითი, ხოის საბნის პირი, შეიდიში, თავრიზული ხავერდი, მოვი ქაშანისა და შემახიისა, ძვირფასი ქვები: მარგალიტი — ირანიდან, ზურმუხტი — ეგვიპტიდან, ფირუზი, ლალი და სხვ. აგრეთვე ქაშანის ზანდუკი, ისპაანის წინდა, საპონი, ქაშანური ჭურჭელი, მინის ჭურჭელი — შირაზული და სხვა[67].

ვახტანგ V ხელს უწყობდა ვაჭრობის განვითარებას საქართველოში და, კერძოდ, თბილისში. იგი, შარდენის გადმოცემით, დაინტერესებული ყოფილა ევროპელი ვაჭრების საქართველოში მოზიდვით. ვახტანგ მეფეს პატრების საშუალებით შარდენისათვის შეუთვლია: „დიდი სურვილი აქვს

---

[62] გ. ყ ო რ დ ა ნ ი ა, დასახ. ნაშრომი, გვ. 180.

[63] 1 ფუნტი — დაახ. 410 გ.

[64] ჟ ა ნ შ ა რ დ ე ნ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 297.

[65] დ. კ ა ც ი ტ ა ძ ე. XVII—XVIII საუკუნეთა ქართული დოკუმენტური წყაროები ირან-საქართველოს სავაჭრო ურთიერთობის შესახებ. — „მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიის საკითხები“, II, 1972, გვ. 133.

[66] მ. პ ო ლ ი ე ვ ქ ტ ო ვ ი, გ. ნ ა თ ა ძ ე, ძველი თბილისი (რუს. ენაზე), გვ. 28—29.

[67] დ. კ ა ც ი ტ ა ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 133 და შემდ.; კ. კ უ ც ი ა, აღმოსავლეთ ამიერკავკასიის ქალაქები XVI—XVII სს., 1976, გვ. 120—122.

მას ნახოს ევროპელები თავის ქვეყანაში დასახლებული... თუ ვინმე ჩამოვა საქართველოში სავაჭროდ, მე მას ყოველგვარ თავისუფლებას და პრივილეგიებს მივანიჭებ. რასაც კი მოისურვებენო... ევროპელები, რომლებიც მოისურვებენ ჩემი ქვეყნის გავლით ინდოეთში წასვლას, ამ ქვეყნებზე უკეთეს გზას ვერსად იპოვიანო"[68].

ევროპასთან სავაჭრო-ეკონომიკური და კულტურული კავშირების დამყარებას ისახავდა მიზნად ვახტანგ V, როცა ის მფარველობასა და დახმარებას უწევდა კათოლიკე მისიონერებს თბილისსა და გორში. თბილისში მყოფი კაპუცინების ორდენის მისიონერებს ჰქონდათ სახლები და ეკლესია. ეწეოდნენ ექიმობას, ნათლავდნენ ბავშვებს, აზიარებდნენ და მიუტევებდნენ ცოდვებს მორწმუნეებს. ყველაფერ ამაში გასამრჯელოს იღებდნენ ნატურით (ღვინო, ფქვილი, პირუტყვი, ტყვეები) და ზოგჯერ ფულით; ჰყავდათ მსახურები, ცხენები, ჰქონდათ დუქნები, ვაჭრობდნენ, მოპოვებული პროდუქტიდან და საქონლიდან ყიდდნენ, რაც არ სჭირდებოდათ, ეწეოდნენ მევახშეობას — ასესხებდნენ ფულს სარგებლით[69]; მეტოქეობას უწევდნენ ქართველ და სომეხ სამღვდელოებას, აგრეთვე ვაჭრებს, რაც იწვევდა კონფლიქტს მისიონერებთან, განსაკუთრებით სომხური სამღვდელოებისა და ვაჭრების მხრივ.

ერეკლე I (1688—1703 წწ.) XVII ს-ის 90-იან წლებში ცდილობდა საქალაქო ცხოვრების მოწესრიგებას, ცდილობდა ხელი შეეწყო თბილისის ვაჭრულ-ხელოსნური წრეებისათვის — „მან გაუქმა თბილისში ბეითალმანობის წესი და მოქალაქეებს საკუთრების ქალაქური უფლება აღუდგინა"[70].

მაგრამ ვახტანგ V-ისა და ერეკლე I-ის ღონისძიებებს განხორციელება არ ეწერათ. თბილისის ეკონომიკა თანდათანობით ქვეითდებოდა, მოსახლეობა კი მცირდებოდა.

ამ ვითარებას თავისი მიზეზები ჰქონდა, რომელთაგან აღსანიშნავია შინაფეოდალური ბრძოლების დაწყება XVII ს-ის 80-იანი წლებიდან გიორგი XI-სა და ერეკლე I-ს შორის, რამაც თბილისიც დააზარალა. მაგრამ მთავარი მაინც ეს არ იყო. მთავარი იყო აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში გამავალი სავაჭრო სატრანზიტო გზის მნიშვნელობის დაქვეითება. ეს თავის მხრივ შედეგი იყო იმისა, რომ ევროპელებმა საბოლოოდ აითვისეს XV—XVI სს-ის მიჯნაზე აფრიკის გარშემო აღმოჩენილი სავაჭრო გზა[71].

აღმოსავლეთ ამიერკავკასიის ქალაქებისა და მათ შორის თბილისის

---

[68] ჟან შარდენი, დასახ. ნაშრომი, გვ. 352—353.

[69] იქვე, გვ. 323—324.

[70] ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, წ. VI, გვ. 281.

[71] ვ. გაბაშვილი, XVI—XVII სს. საქართველოს ქალაქები მახლობელი აღმოსავლეთის სავაჭრო ურთიერთობათა შუქზე, ნარკვევები, I, 1966, გვ. 187—188.

დაქვეითება XVII ს-ის 70-იანი წლების ბოლოდან დაიწყო, რაც თავის დროზე აღუნიშნავს კიდეც იტალიელ მისიონერს დიონიჯო კარლის, რომელიც XVII ს-ის 80-იან წლებში იყო თბილისში. იგი წერდა: „ეს ქვეყანა ახლა (სატრანზიტო) გზის გარეთაა დარჩენილი. თავის დროზე კი ამ (ქვეყნის) გზით მიდიოდნენ უცხოელები (და) ქარავნები“[72].

თბილისში ნამყოფი ფრანგი ტურნეფორის ცნობით, 1700 წ. ქალაქის მოსახლეობა 20 000 სულამდე იყო, ე. ი. ამ დროს, XVII საუკუნის შუა ხანებთან შედარებით, მცხოვრებთა რაოდენობა თითქმის სამჯერ შემცირებულა, ვაჭრობა და ხელოსნობა კი დაქვეითებულა.

*

* *

XVI—XVII სს-ის თბილისი ხელოსნური მრეწველობის ერთ-ერთი მსხვილი ცენტრი იყო საქართველოში და მთელს ამიერკავკასიაშიც კი. თბილისის მრავალრიცხოვანი მოსახლეობის (აღებულ ხანაში იგი მერყეობდა 20 ათასიდან 80 ათასამდე) დაკმაყოფილება პირველი მოთხოვნილების სამრეწველო საქონლით, ცხადია, ფართოდ განვითარებულ ხელოსნურ მრეწველობას შეეძლო. მართალია, თბილისი გაცხოველებულ საგარეო ვაჭრობაში იყო ჩაბმული, მაგრამ შემოტანილი საქონლის ძირითადი მომხმარებელი ფეოდალური არისტოკრატია და ქალაქის მოსახლეობის ზედაფენები იყო. ქალაქის მშრომელი მოსახლეობის მოთხოვნილებას უმთავრესად ადგილობრივი ხელოსნური წარმოება აკმაყოფილებდა.

თბილისის ხელოსნური მრეწველობის ფართო განვითარება მოდის XVII ს-ის მეორე ნახევარზე, როცა ირან-ოსმალეთის 1639 წ. ზავის შედეგად ახლო აღმოსავლეთში შედარებით მშვიდობიანობა დამყარდა და თბილისის მოსახლეობა 70—80 ათასამდე გაიზარდა.

თბილისში განვითარებული იყო სამშენებლო მასალების წარმოება: კირის, აგურის, კრამიტის, გაჯისა და სხვ. ამის გამო მრავლად იყვნენ ქალაქში მეაგურენი, მეკრამიტენი, მეგაჯენი. მეკირენი და მშენებელი ხელოსნები: ქვის მთლელნი, კალატოზები, ხუროები. დურგლები და სხვ.[73] ეს ხელოსნები ძირითადად შეკვეთით და დღიურად მუშაობდნენ. მეაგურე-მეკრამიტეებსა და კალატოზებს დამხმარეებად ჰყავდათ შეგირდები და ხშირად დაქირავებული მუშებიც კი.

თბილისის ხელოსნობის მნიშვნელოვანი დარგი იყო საფეიქრო წარმოება. კერძოდ, ლაინის, ჩითის, ტილოს, აბრეშუმის ქსოვა, ღებვა და

---

[72] დ ი ო ნ ი ჯ ო კ ა რ ლ ი, თბილისის აღწერა. თარგმანი ბ. გიორგაძისა. მსკი. წ. 29, 1951, გვ. 161.

[73] იხ. დოკუმენტები თბილისის ისტორიისათვის (XVI—XVII სს.), წ. I, ნ. ბერძენიშვილისა და მ. ბერძნიშვილის რედ., 1962.

კერვა. იმდროინდელ დოკუმენტებში გვხვდება ხელოსანი მქსოველები, მჩითავები, მღებავები, მკერავები, ჭონები (მექუდეები), მექურქეები, აგრეთე ხარაზები — ფეხსაცმლის (წაღების, ჩექმებისა და სხვ.) მკერავები[74]. XVII ს. თურქი მოგზაურის ევლია ჩელების სიტყვით, განსაკუთრებით განთქმული ყოფილა მის დროს „თბილისური ბამბა" და მისი ნაწარმი[75]. თბილისიდან გაჰქონდათ აგრეთვე აბრეშუმის სხვადასხვა სახის ქსოვილი.

განთქმული იყო თბილისელი იარაღის მკეთებელი ხელოსნები, განსაკუთრებით მეხრმლეები და მეხანჯლეები, რომელთა პროდუქცია ახლო აღმოსავლეთის სხვადასხვა ქალაქებშიც გადიოდა. იარაღის ოსტატთაგან აღსანიშნავია აგრეთვე მეკონდახე, მეჩახმახე, თოფისწამლის ხელოსანი და მესაპირისწამლე[76].

მრავლად იყვნენ ყოველდღიურად სახმარი თიხის ჭურჭლის ხელოსნები — მეჭურჭლეები, რომლებიც საბაზროდ ამზადებდნენ ჭურჭელს. მისი მომხმარებელი, თბილისის მშრომელი მოსახლეობის გარდა, აღმოსავლეთ საქართველოს სოფლის მოსახლეობაც იყო. ასეთ „საჭურჭლეებში", არაპირდაპირი წყაროების ჩვენებით, იყენებდნენ როგორც შეგირდების, ისე დაქირავებული მუშის შრომასაც.

თბილისში მრავლად იყვნენ აგრეთვე სხვა ხელობის ოსტატებიც: ოქრომჭედლები, მხატვრები, ზეინკლები, მექვაბეები, ნალბანდები, მეშარბათენი, ყაზაზები, მეზანდუკეები, სარაჯები, დაბაღები, მკუპრავები, მჭედლები, მეჩახჩურე, დალაქები, ხაბაზები, მეუნაგირეები და სხვა[77]. იმდროინდელ თბილისში წარმოდგენილი იყო ხელოსნობის თითქმის ყველა დარგი. მათ შორის მესაათეც კი. კერძოდ, ერთ 1683 წლის საბუთში მოხსენიებულია „მეფის ყმა" „მესაათე უსტა სანოსა"[78].

XVII ს-ის შუახანებში თბილისში მსხვილი ხელოსნური წარმოება იყო ზარაფხანა. მეფის ზარაფხანა როსტომ მეფის დროს იჯარით ჰქონია აღებული მეფისავე ყმას „ზარაფთუხუცესს ხოჯა ბეჰბუთას". იგი თბილისელი სომეხი დიდვაჭარი იყო (ცნობილი ბებუთაშვილების გვარის ფუძემდებელი). მას თბილისში ჰქონდა სახლები, დუქნები, ბაღები, აბანო და მახათას მთის ძირას საკუთარი სასაფლაო ეკლესიით, ბაღითა და სარწყავი წყლით[79]. მასვე აუშენებია აგურითა და დუღაბით დიდი ხიდი მდ. ვერეზე, დღევანდელ ზოოპარკთან, რომელიც XX ს-ის 30-იან წლებამდე მოქმედი ხიდი იყო[80].

---

[74] იხ. დოკუმენტები თბილისის ისტორიისათვის (XVI—XVII სს.), წ. I, 1962.

[75] ევლია ჩელები, მოგზაურობის წიგნი, წ. I, გ. ფუთურიძის თარგმანი, 1971.

[76] იხ. დოკუმენტები თბილისის ისტორიისათვის, წ. I, 1962.

[77] იქვე; Месхия Ш. А., Города..., 1959, с. 125.

[78] დოკუმენტები თბილისის ისტორიისათვის, წ. I, 1962, გვ. 35.

[79] იქვე, გვ. 17.

[80] შ. მესხია და სხვ., თბილისის ისტორია, 1958, გვ. 168.

მეფის ზარაფხანაში მოიჯარადრე ქირაობდა ხელოსნებსა და მუშებს, რომელთა ხელფასი გაიცემოდა საიჯარო შემოსავლიდან[81]. ზარაფხანა იყო მსხვილი ხელოსნური წარმოება მანუფაქტურის ტიპისა.

ამგვარად, თბილისის ხელოსნური წარმოება პროდუქციას ქმნიდა როგორც შეკვეთით, ისე ბაზრისათვის; ადგილი ჰქონდა აგრეთვე ხელოსნური დარგების შემდგომ დიფერენციაციასა და სპეციალიზაციას (მაგ., სამჭედლო საქმეში). XVII ს-ის მეორე ნახევარში შეიმჩნევა მარტივი სასაქონლო მეურნეობის გაფართოების ცალკეული შემთხვევები ახალი წარმოებითი ურთიერთობის სუსტი ტენდენციით[82].

თბილისში იყვნენ მეთევზეები და მებაღეები. მეთევზეები თვით ქალაქის შუაგულში გამავალ წყალუხვ მდინარეში იჭერდნენ თევზს და იქვე გაჰქონდათ ბაზარში. ცალკე ხელობა იყო მებაღეობა. თბილისის გარეუბნებში ბაღები ჰქონდათ მეფესა და მისი ოჯახის წევრებს, თავადაზნაურობას, ქართველ დიდვაჭრებსა და სომეხ ხოჯებს. ბაღებში აშენებდნენ მწვანილს, ბაღჩეულს, ხეხილს, დეკორატიულ ხეებსა და ვარდნარს. ბაღი იყო აგრეთვე საპატიო სტუმრების მიღებისა და დროსტარების ადგილი. აი, ასეთ ბაღებს უვლიდნენ მებაღეები და გარკვეულ გასამრჯელოს იღებდნენ. ქალაქის მშრომელი მოსახლეობის ერთ ნაწილს ჰქონდა მომცრო ბაღები, რასაც დამხმარე მეურნეობად იყენებდნენ.

XVI—XVII სს. თბილისში ხელოსნები ამქრებში იყვნენ გაერთიანებულნი. ხელოსანთა ორგანიზაციას აღნიშნულ ხანაში „ასნაფი" ეწოდებოდა (ასნაფი არაბული სიტყვაა და ერთი ხელობის ადამიანთა ჯგუფს ნიშნავს). ასნაფის სათავეში, სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით, „ხელოსანთ უფროსი" იდგა, რომელსაც ოსტატი ეწოდებოდა[83]. წყაროებში ოსტატის მნიშვნელობით იხმარებოდა აგრეთვე ტერმინები უსტა და უსტაბაში (ოსტატთა თავი). ხელოსანთა კავშირის — ასნაფის სტრუქტურის, მისი წევრებისა და უსტაბაშის უფლება-მოვალეობათა შესახებ აღებული ხანისათვის ცნობები უაღრესად მცირეა[84].

სოციალური ურთიერთობანი თბილისში

ქალაქებში, ისე როგორც მთელს ქვეყანაში, ბატონყმური წყობილება იყო. აქაც, როგორც სოფელში, მწარმოებელთა თავისუფალი ფენა უკიდურესად შემცირდა. ცალკეული „თავდახსნილი" მწარმოებლის არსებობა საერთო სურათს ვერ ცვლიდა. ქალაქის მოსახლეობის ძირითა-

---

[81] Месхиа Ш. А., Города..., 1959, с. 128.

[82] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, 1973, გვ. 180.

[83] სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი, 1949, გვ. 501.

[84] იხ. კ. კუცია, ამქრები XVII—XVIII სს. საქართველოს ქალაქებში.

დი ნაწილი — ხელოსნები და წვრილი ვაჭრები მეფის, ეკლესიისა და თავადაზნაურობის ყმები იყვნენ. ყმები ჰყავდათ აგრეთვე დიდვაჭრებსაც.

საქართველოს ქალაქური მოსახლეობის აღსანიშნავად აღებულ ხანაში ერთი საერთო ტერმინი არ არსებობდა. მაგ., „მოქალაქე" მხოლოდ თბილისის მცხოვრებს ერქვა: სხვა ქალაქის, ვთქვათ, გორის მცხოვრებს „გორელ კაცს" ეტყოდნენ. ეს იმიტომ, რომ იმდროინდელ საქართველოში სასაუბრო ენაში და ხშირად წერილობით ძეგლებშიც ქალაქს მხოლოდ თბილისს უწოდებდნენ.

საისტორიო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომლის მიხედვით გვიან შუა საუკუნეებში „მოქალაქე" ეწოდებოდა ქალაქის მოსახლეობის მხოლოდ ზედაფენას, პრივილეგიურ ფენას, რაც არაა სწორი. მოქალაქე ეწოდებოდა თბილისელ სამეფო, სადედოფლო, საეკლესიო და თავადაზნაურთა კუთვნილ ვაჭრულ-ხელოსნურ მთელ მოსახლეობას. ვაჭრულ-ხელოსნური მოსახლეობის ზედაფენას კი როგორც თბილისში, ისე მთელს საქართველოში წარმოადგენდნენ დიდვაჭარნი ანუ „დიდებულნი ვაჭარნი" და ე. წ. „შუა ვაჭარნი", როგორც ეს იყო ერთიანობის ხანის საქართველოში[85].

ქალაქში მოსახლე ყმების ყველაზე დიდი მფლობელი იყო მეფე, შემდეგ — ეკლესია და ბოლოს საერო ფეოდალები. ყმები ჰყავდათ დიდვაჭრებსაც. ქალაქის მოსახლეობაშიც გვხვდება „ნასყიდი", „თავშეწირული", „ხიზანი" და „ნებიერი" ხელოსნები თუ ვაჭრები. თავშეწირული და ნებიერი ყმების არსებობის ფაქტი თავისთავად მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ საქართველოს ქალაქებში თავისუფალი მწარმოებლის არსებობის სათანადო პირობები ჯერ კიდევ არ იყო. „თავდახსნილი", ტყვეობიდან მოსული თუ სოფლიდან გამოქცეული გლეხი იძულებული იყო „თავისი ნებით" დაედგა ბატონყმობის უღელი[86].

მიუხედავად ამისა, აღებულ ხანაში მაინც გვხვდება შემთხვევები, როცა გლეხი სოფლის მეურნეობას ქალაქში ცხოვრებასა და ხელოსნობას არჩევდა. სოფლიდან ქალაქში ჩასული გლეხი, რომლის უკან წაყვანას ცდილობდა ბატონი, აცხადებს: „ჯელობა ვისწავლე... და უქალაქოდ სოფელში ვერ დავრჩებიო", და თავის ბატონს სთხოვს „დატოვოს ქალაქში და იქიდან იმსახუროს"[87]. მეორე გლეხი კი, რომელიც „ხელმოკლედ შექმნილა", ქალაქში ჩასულა საშოვარზე, ბატონის ნებართვის გარეშე. ეს ბატონს თურმე „ეწყინა" და უკან წაყვანა დაუპირა. გლეხი ბატონს ეუბნება: „შუა მარხვამდი აქ ვიყო და მას უკან, როგორც მიბრძანებ,

---

[85] გ. ჯ ა მ ბ უ რ ი ა, „მოქალაქეთა" საკითხისათვის გვიანი შუა საუკუნეების საქართველოში. თსუ შრომები, ტ. 246, თბ., 1984, გვ. 103—108.

[86] М е с х и а. Ш. А., Города..., с. 169.

[87] დოკუმენტები თბილისის ისტორიისათვის, I, გვ. 271; შ. მ ე ს ხ ი ა, დასახ. ნაშრომი, გვ. 146.

ისრე ვიყო"[88]. მართალია, ანალოგიურ საბუთებს ჩვენამდე ბევრს არ მოუღწევია, მაგრამ მაინც მასში კარგად ჩანს გლეხობის ლტოლვა ქალაქისაკენ, სადაც მას მოქმედების შედარებით მეტი თავისუფლება ელოდა.

ყმა-ხელოსნები თავიანთ ბატონებს გადასახადს უხდიდნენ, ჩვეულებრივ, ფულადი რენტის სახით. ზოგ შემთხვევაში კი ნატურითაც — ხელოსანი ვალდებული იყო ბატონისათვის საჭირო ნივთები უფასოდ დაემზადებინა. გარდა საბატონო გადასახადებისა, ხელოსანი და წვრილი ვაჭარი თბილელი ეპისკოპოსის სასარგებლოდ „დრამას" იხდიდა. ქალაქში მცხოვრებ ყმებს ედოთ აგრეთვე სახელმწიფო და სამოხელეო გადასახადები და ვალდებულებანი, რომელთა შორის აღსანიშნავია ფულადი გადასახადი მალი. მალი სულადი გადასახადი იყო. მას იხდიდა ცოლშვილიანი მამაკაცი ექვსი აბაზის, ხოლო სრულასაკოვანი უცოლშვილო კი სამი აბაზის რაოდენობით. დუქნის პატრონები იხდიდნენ „თვიურ შაურს", რომელიც აგრეთვე სახელმწიფო ფულადი გადასახადი იყო. ქალაქის მცხოვრებთა ვალდებულება იყო აგრეთვე ლაშქარნადირობა და ქეშიკი (საჭიროების შემთხვევაში მეფის მცველთა რაზმის გამოყვანა). ქალაქის მცხოვრებნი მონაწილეობდნენ აგრეთვე დამპყრობელთა სასარგებლოდ გაღებული ხარკის გადახდაში[89].

ვახტანგ VI-ის კანონთა კრებულის მიხედვით, რომელიც მის წინარე ხანასაც ასახავდა, საქართველოში ვაჭართა ოთხი კატეგორია ყოფილა: 1. „დიდებული ვაჭარი" ანუ „დიდვაჭარი", რომლის სისხლი შეფასებულია შუა აზნაურის სისხლის ფასის ტოლად; 2. „მეორე ვაჭარი" ანუ „დიდებულის ვაჭრის ქვემოთი", რომლის სისხლის ფასი გათანაბრებულია ცალმოგვი აზნაურის (მესამე აზნაური) სისხლთან; 3. „მესამე ვაჭარი" („შუა ვაჭრის ქვემოთი"), რომლის სისხლის ფასი მსახურის სისხლის ტოლია და 4. „მეოთხე ვაჭარი", რომლის სისხლის ფასი მებეგრე გლეხის სისხლის ფასს უდრის[90].

მაშასადამე, ვაჭართა პირველი ორი კატეგორია, დიდვაჭარი და შუა ვაჭარი, გათანაბრებულია აზნაურთან და, ამდენად, ითვლება პირადად თავისუფალ ადამიანად, სარგებლობს ფეოდალური კლასის პრივილეგიებით. მათი მდგომარეობის საფუძველია არა „გვარი", არამედ ეკონომიური მდგომარეობა. დიდვაჭრები, მეფესთან და თავადაზნაურობასთან ერთად, მონაწილეობენ ქალაქის მწარმოებელი მოსახლეობის ექსპლოატაციაში. დიდვაჭართა ხელში იყო მოქცეული საქართველოს ქალაქებში არსებული ქარვასლების, დუქნების, საცხოვრებელი სახლებისა და სხვ. დიდი ნაწილი. ისინი ეწეოდნენ საქარავნო ვაჭრობას კავკასიისა

---

[88] დოკუმენტები თბილისის ისტორიისათვის, I, გვ. 152.

[89] შ. მ ე ს ხ ი ა, დასახ. ნაშრომი, გვ. 192 და შემდეგ; დ. გ ვ რ ი ტ ი შ ვ ი ლ ი, ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან (XV—XVII სს.), II, 1965, გვ. 115 და შემდეგ.

[90] ქართული სამართლის ძეგლები, II, გვ. 489, მუხ. 30—33.

და მთელი ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში. ქართველი დიდვაჭრები სავაჭროდ მიემგზავრებოდნენ აგრეთვე ინდოეთსა და მის მეზობელ ქვეყნებშიც. დიდვაჭრები მონაწილეობდნენ ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში. ისინი ზოგჯერ მეფის დიდ დიპლომატიურ დავალებებსაც კი ასრულებდნენ. დიდვაჭარი ვალდებული იყო შესაფერისი საჩუქრები მიერთმია მეფისა და მისი ოჯახის წევრებისათვის.

მესამე და მეოთხე კატეგორიის ვაჭრები, რომელნიც ვახტანგის სამართლის მიხედვით მსახურებსა და მებეგრე გლეხებთან იყვნენ გათანაბრებულნი, სწორედ მეფის, ეკლესიის თუ თავადაზნაურობის ყმა ვაჭრები იყვნენ.

საქართველოს ქალაქური მოსახლეობა საერთოდ ცენტრალური ხელისუფლების მომხრე იყო. XVII ს-ში კი აღმოსავლეთ საქართველოს ქალაქების ვაჭრულ-ხელოსნური მოსახლეობა, განსაკუთრებით ამ მოსახლეობის ზედაფენა, უფრო მაჰმადიან მეფეებს უჭერდა მხარს, რადგან მათი სავაჭრო ინტერესები ირანის ვაჭრობასთან იყო დაკავშირებული. გარდა ამისა, როგორც ჩანს, მნიშვნელობა ჰქონდა იმ გარემოებასაც, რომ თბილისის ციხეში XVI და XVII ს-შიც კი თითქმის განუწყვეტლივ ყიზილბაში მეციხოვნეები იდგნენ[91].

შაჰ აბას I-ის შემოსევებისას შაჰის მფარველობას ზოგიერთ თავადაზნაურთან ერთად, როგორც ჩანს, თბილისის დიდვაჭრებიც ეძებდნენ. „არსებობს ცნობა, რომლის მიხედვით შაჰ აბას I-მა თბილისს ახალი წესდება შეუდგინა და სამოქმედოდ დაუდო. თუ ეს ცნობა სწორია, მაშინ უნდა ვიფიქროთ, რომ ეს შეიძლება მომხდარიყო თბილისის „მოქალაქეთა“ თხოვნის საფუძველზე“[92]. ცხადია, ეს მთხოვნელები თბილისელი დიდვაჭრები უნდა ყოფილიყვნენ. მფარველობა და ქონების დაცვა სწორედ დიდვაჭრებს სჭირდებოდათ. შაჰსაც, ცხადია, მხოლოდ დიდვაჭრების ინტერესებისათვის შეეძლო ანგარიში გაეწია.

როსტომისა და თეიმურაზის ბრძოლაში თბილისის დიდი მოქალაქეები როსტომის მხარეზე იყვნენ.

ქალაქის მწარმოებელი მოსახლეობა ექსპლოატაციას განიცდიდა როგორც უშუალოდ თავისი ბატონისაგან (მეფე, ეკლესია, თავად-აზნაურები), ისე ქალაქური მოსახლეობის ზედაფენისაგან — დიდვაჭრებისა და მევახშეებისაგან. ამიტომ, ჩვეულებრივ, ქალაქის მშრომელი მოსახლეობა იბრძოდა როგორც ფეოდალური არისტოკრატიის, ისე დიდვაჭართა ძალადობის წინააღმდეგ. ამ ბრძოლის ფორმები კი ძირითადად ისეთივე

---

[91] დაუთ ხანისა და სიმონ I-ის ბრძოლის ერთ-ერთ ეპიზოდში, 1567 წელს, სიმონი თბილისის ციხეს შემოადგა. სიმონს იმედი ჰქონდა „მოქალაქენი მომივლენო. ყაენის შინით მოქალაქენი არ მოუვიდნენ“. ამ შიშის მიზეზი ის იყო, რომ ციხეში ყიზილბაშთა დიდი გარნიზონი იდგა (ქართლის ცხოვრება, II, ს. ყაუხჩიშვილის რედ., გვ. 513).

[92] ვ. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი , დასახ. ნაშრომი, გვ. 168.

იყო, როგორც იმდროინდელ საქართველოს სოფელში: საჩივარი, აყრა-გაქცევა, ცალკეული ჯგუფური გამოსვლა და სხვ.

XVI—XVII სს-ში ხშირი იყო შემთხვევები, როცა ბატონისაგან თავ-მოძულებული ხელოსანი თუ ვაჭარი საქართველოს თუ აღმოსავლეთ ამიერკავკასიის სხვა ქალაქში გარბოდა და იქ აფარებდა თავს. უფრო მეტიც, ერთი 1697 წ. საბუთის მონაცემით, „მრავალი ბედოვლათი და წასული მოქალაქე და გორელი კაცი იყო დაკარგული... ყიზილბაშის ქვეყანასა და ინდოეთში"[93].

მოქალაქეთა სოციალური მოძრაობის ისტორიიდან აღსანიშნავია თბილისელი ვაჭრებისა და ხელოსნების 1698 წლის აჯანყება კათოლიკე-მისიონერთა წინააღმდეგ, რომელთაც მეფე და ფეოდალთა ერთი ჯგუფი მფარველობდა. მათი ხელშეწყობით კათოლიკე მისიონერებმა საკმაო ქონება და ფულადი კაპიტალი შეიძინეს, ეწეოდნენ ვაჭრობას და მევახშეობას და სერიოზულ კონკურენციას უწევდნენ თბილისის ვაჭრულ წრეებს.

კათოლიკე-მისიონერებმა მრავალი თბილისელი მოქალაქე გააკათოლიკეს და ამით განსაკუთრებით შელახეს ქრისტიანულ-გრიგორიანული ეკლესიის ინტერესები. სომეხთა ვარდაპეტის და თბილისის „ხუთიექვსი მოწინავე" პირის წაქეზებით, „ვაჭრებმა და მედუქნეებმა ყველამ დაკეტეს დუქნები და ყველანი საშინელის ყვირილით, შეიარაღებულნი კეტებით და ცულებით წავიდნენ მისიონერების სახლ-კარისა და ეკლესიის დასაქცევად. არეულობა თითქმის მთელ დღეს გაგრძელდა. მეფის განკარგულებით საღამოს აღადგინეს წესრიგი ქალაქში"[94].

მოქალაქეთა ეს გამოსვლა, რომელიც გახვეული იყო რელიგიურ სამოსელში, იყო კლასობრივი ბრძოლა ევროპის სავაჭრო აგენტების — კათოლიკე-მისიონერებისა და მათი მფარველი ფეოდალური არისტოკრატიის წინააღმდეგ[95].

XVI—XVII სს-ის საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური პირობები და მძიმე საგარეო ფაქტორი არ იძლეოდა საშუალებას ქალაქებისა და, კერძოდ, თბილისის მოქალაქეთა კლასობრივი ბრძოლის გაშლისა და საქალაქო თვითმმართველობის მოპოვებისათვის.

---

[93] დოკუმენტები სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 1940. წ. I, გვ. 101.

[94] მ. თ ა მ ა რ ა შ ვ ი ლ ი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, 1902, გვ. 289—298.

[95] М е с х и а, Ш. А., Города..., с. 235.

X თბილისის კულტურული ვითარება XVI—XVII საუკუნეებში

განათლება და მეცნიერული ცოდნა

XVI—XVII საუკუნეებში ქართულ კულტურას გამოცოცხლება-აღორძინება დაეტყო. ეს განსაკუთრებით საგრძნობი გახდა XVII საუკუნის მეორე ნახევრიდან. ამ დროის ქართული კულტურა საზრდოობდა საკუთარი ისტორიული მემკვიდრეობით, ეროვნულ ნიადაგზე ამუშავებდა დასავლეთისა და აღმოსავლეთის კულტურულ მიღწევებს და გავლენას ახდენდა უშუალო მეზობელთა განვითარებაზე. მიუხედავად იმისა, რომ XVI—XVII საუკუნეებში ქართველი ხალხი დაძაბულ ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლას ეწეოდა უცხოელ დამპყრობელთა წინააღმდეგ, ფეოდალური საზოგადოების პროგრესული მოღვაწენი შეძლებისდაგვარად ზრუნავდნენ სწავლების, აღზრდისა და განათლების გაუმჯობესება-განვითარებისათვის. მათ კარგად ესმოდათ, რომ განათლებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა დამოუკიდებლობისა და ერთიანობისათვის ბრძოლაში. განათლების მთელ მაშინდელ სისტემას ქრისტიანულ-რელიგიური მსოფლმხედველობა განსაზღვრავდა. ეს სისტემა ფეოდალურ-ბატონყმური ურთიერთობის განმტკიცებას ემსახურებოდა, მაგრამ, ამასთან, იგი მძლავრ იდეურ საშუალებას წარმოადგენდა დამოუკიდებლობისათვის მებრძოლთა რიგების შეკავშირებისა და განმტკიცებისათვის.

სათანადო განათლების მიღება იმ დროს მხოლოდ ფეოდალთა კლასის ზედაფენებს შეეძლოთ. ამ კლასის საშუალო და წვრილი ფენები მოკლებულნი იყვნენ ამას. რაც შეეხება მშრომელთა ფართო მასებს, ისინი სიბნელესა და უმეცრებაში ცხოვრობდნენ, მხოლოდ ვაჭარ-ხელოსნები ახერხებდნენ წერა-კითხვისა და ანგარიშის შესწავლას, რაც მათი პრაქტიკული საქმიანობისათვის აუცილებელი იყო. წიგნები ხელნაწერის სახით ვრცელდებოდა, მათი გადაწერა და გავრცელება დიდ დროსა და ხარჯებს მოითხოვდა და ხელმისაწვდომი იყო მხოლოდ სამეფო კარისა, მსხვილ ფეოდალთა ოჯახებისა და ეკლესია-მონასტრებისათვის.

მაშინდელი განათლების სისტემა სასულიერო და საერო განათლებას მოიცავდა. თანდათანობით ძლიერდებოდა საერო მიმართულება, კულტურული შემოქმედების ეროვნულ-პატრიოტული მოტივი. სასულიერო განათლებაც წინააღმდეგობრივი იყო, მასში თანდათან საკუთარ პოზიციებს იკავებდა რეალური, ცხოვრებისეული მოტივები და, თუმცა გაბატონებული იყო თეოლოგიური მსოფლმხედველობა და ასეთ პირობებში

ლაპარაკი მეცნიერების განვითარებაზე, ამ სიტყვის დღევანდელი გაგებით, შეუძლებელი იყო, მაგრამ მეცნიერული ცოდნა თანდათანობით მაინც გზას იკაფავდა.

XVI — XVII საუკუნეებში კულტურისა და განათლების ერთ-ერთი ცენტრი თბილისი იყო. აქ, ისე როგორც სხვაგან, მოზარდთა სწავლა-აღზრდა და განათლება მეფეთა და სხვა ფეოდალთა ოჯახებში და სკოლებში ხდებოდა.

საოჯახო აღზრდა-განათლებას, როგორც ჩანს, მაშინდელი განათლების სისტემაში უფრო მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა, სასკოლო განათლებას კი ყიზილბაშთა და ოსმალთა ბატონობისა და მუდმივი ომიანობის პირობებში თითქმის გადაულახავი დაბრკოლებები ეღობებოდა.

სამეფო კარზე მეფეთა ოჯახების წევრები განათლებას ღებულობდნენ აღმზრდელ-მასწავლებელთა მეშვეობით, შემდეგ კი თვითგანათლების გზით. ასე მიიღეს იმ დროისათვის ბრწყინვალე განათლება ვახტანგ V-ის შვილებმა: არჩილმა, გიორგიმ, ლევანმა და სხვებმა: „აღზარდნა მეფემან ესენი დიდად სახელოვანნი და პატიოსანნი ძენი და ასულნი თჳსნი მრავლითა ფუფუნებითა და საკელმწიფოსა სწავლითა და სიბრძნე-მეცნიერებითა. პირველად განსწავლნა სამღთოთა წერილთა სწავლა-თარგმანებათა და განმარტებათა მიერ, ხოლო უმეტესად საეროთა და სავაჭაცოთა მჴედრობითა გამოცდილობითა ყოვლითურთ, სამამაკაცო ზნეობითა ესრედ სახედ, რომე არაოდეს არა აღზრდილ არს საქართველოსა შინა მათებრივ არცა ძენი მეფეთანი და არცა დიდებულთანი"[1]. სულხან-საბა ორბელიანი ოჯახში მიღებული განათლების შემდეგ, 21 წლის ასაკში შეუდგა სპეციალურად გალობის შესწავლას სათანადო სპეციალისტის ხელმძღვანელობით. შემდეგში მან თავის ბრწყინვალე ენციკლოპედიურ განათლებას თვითგანვითარების გზით მიაღწია. ის იყო ქართული კულტურის გამოჩენილი მოღვაწის, ვახტანგ VI-ის აღმზრდელ-მასწავლებელი.

აღნიშნული პერიოდის თბილისში არსებობდა სკოლებიც. XVII საუკუნეში თბილისის სიონის ტაძართან არსებულ სკოლაში ასწავლიდა საეკლესიო მოღვაწე ისააკი (გარდაიცვალა დაახ. 1697 წ.), რომელიც ცნობილი ყოფილა აგრეთვე როგორც მრავალი საღვთისმეტყველო წიგნის გადამწერი[2]. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სიახლე იყო კათოლიკე მისიონერების მიერ სკოლების დაარსება. პირველი კაპუცინები (კათოლიკური ბერების ორდენის წარმომადგენლები), რომლებმაც აქ სკოლა დაარსეს, თბილისში ჩამოვიდნენ 1662—1663 წლების მიჯნაზე[3]. მათი მიზანი იყო კათოლიკობის პროპაგანდისტების აღზრდა და ქართული მართლ-

[1] ქართლის ცხოვრება, II, გვ. 440—441.

[2] Иоселиани П. Описание древностей города Тифлиса, Тифлис, 1866, с. 162.

[3] მ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, 1902, გვ. 222—223.

მადიდებლური ეკლესიის რომის კათოლიკური ეკლესიისადმი შეერთებისათვის ნიადაგის მომზადება. ამ მიზნისათვის აუცილებელი იყო ქართული ენის შესწავლა, რაც მათ მოკლე ხანში წარმატებით განახორციელეს. თბილისის ეს მისიონი აღმოსავლეთის მისიონებში ყველაზე უფრო ნაყოფიერად ითვლებოდა[4].

კაპუცინების მიერ თბილისში დაარსებულ სკოლაში 1668 წლისათვის 25 მოსწავლე ირიცხებოდა, 1675—1676 წლებში — 40—50, 1683 წ. — 30, ხოლო 1698 წ. — 40[5]. სკოლაში ასწავლიდნენ ქართულ წერა-კითხვას, იტალიურს, ლათინურს, ქრისტიანულ მოძღვრებას, გალობას, ანგარიშს[6]. მოსწავლეთაგან ყველა ბოლომდე არ რჩებოდა სკოლაში. მისიონერების ცნობით, ბევრნი, როცა 8—10 წელს მიაღწევდნენ და ქართულ წერა-კითხვას ისწავლიდნენ, მშობლებს გაჰყავდათ და ხელობის შესასწავლად აყენებდნენ[7]. სკოლაში მომზადებული ბავშვებიდან ყველაზე უფრო ნიჭიერებს, 15—20 წლის ასაკში ხშირად რომში აგზავნიდნენ პროპაგანდის კოლეგიაში სწავლის გასაგრძელებლად[8]. 1679 წ. თბილისის სკოლაში აღზრდილთაგან 5 გამზადებული ყოფილა რომში გასაგზავნად, რომელთაგან სამისათვის ნება დაურთავთ. თბილისის მისიონის სკოლაში აღზრდილთაგან XVII საუკუნის 80-იან წლებში ცნობილია ენიბეგაანთ ზალინა, რომელიც მეფის მდივანი და თარჯიმანი იყო ქართულ, სომხურ, სპარსულ, თათრულ და იტალიურ ენებში[9].

ზოგი ქართველი ფეოდალი თვითონ აგზავნიდა შვილს იტალიის სხვა ქალაქებში სწავლის მისაღებად. XVII საუკუნის 70—80-იანი წლების მიჯნაზე ერთი ქართველი, რომლის ვინაობა უცნობია, სწავლობდა ნეაპოლის სკოლაში[10].

განათლების გავრცელების საქმეს ემსახურებოდა წიგნების გადაწერა. კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და განათლების გავრცელებისათვის ზრუნავდნენ ლუარსაბ I, სიმონ I, მარიამ დედოფალი (როსტომ მეფის მეუღლე), ვახტანგ V, გიორგი XI და სხვ. ცნობილი კალიგრაფები და გადამწერები იყვნენ ზემოხსენებული ისააკი, ელისე თბილელი — საგინაშვილი (XVII ს. პირველი ნახევარი და შუა წლები)[11].

---

[4] მ. თ ა მ ა რ ა შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ.232.

[5] იქვე, გვ.234, 251, 258, 289.

[6] იქვე, გვ. 237, 240—241.

[7] იქვე, გვ. 254—255.

[8] აქ იგულისხმება რომის პაპთან არსებული სპეციალური დაწესებულება („დე პროპაგანდა ფიდე"), რომელიც თავისი სკოლებით მიზნად ისახავდა კათოლიკური სარწმუნოების გავრცელებას აღმოსავლეთში.

[9] მ. თ ა მ ა რ ა შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 253, 255—256.

[10] იქვე, გვ. 253—254.

[11] ვ. ი ო ს ე ლ ი ა ნ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 162, 168, 179—180 და სხვ.; ლ. მ ე ნ ა ბ დ ე, ძველი ქართული მწერლობის კერები, I, 1962, გვ. 86 და შემდეგ, 149 და შემდეგ.

თბილისის სიონის ბიბლიოთეკის შექმნა-გამდიდრებაში უდიდესი ღვაწლი მიუძღვის იოსებ სააკაძეს, „დიდმოურავიანი“-ს ავტორს, რომელიც თბილისის ეპისკოპოსად იყო 1661—1688 წლებში. ყველა ეკლესია-მონასტერს თავისი წიგნსაცავი ჰქონდა, რომელთა ხელნაწერ წიგნებს იყენებდნენ როგორც საეკლესიო პრაქტიკისათვის, ისე სწავლა-აღზრდის საქმეში.

მეცნიერული ცოდნის, წინანდელთან შედარებით, გამოცოცხლება-აღორძინება XVII ს. მეორე ნახევრიდან იწყება. ამ დროსაც, ისე როგორც წინათ, მეცნიერების განვითარება რელიგიური არტახებით იყო შეკრული. XVII ს. 80-იან წლებში დაიწერა იოსებ თბილელის (1620—1688 წწ.) ისტორიული პოემა „დიდმოურავიანი“, რომელიც გიორგი სააკაძის მოღვაწეობას ეხება. ნაშრომის მიზანი იყო დაესაბუთებინა გიორგი სააკაძის დიდი პატრიოტიზმი და სამშობლოსადმი თავდადება, ავტორი ძლიერი ცენტრალიზებული სახელმწიფოს მომხრეა. მას სწამს საქართველოს მომავალი სიძლიერე და მისი სიცოცხლისუნარიანობა. „დიდმოურავიანი“ საქართველოს ისტორიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წყაროა.

მეცნიერული ცოდნის აღორძინების ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი მაჩვენებელია სულხან-საბა ორბელიანის ქართული ლექსიკონი („სიტყვის კონა“), რომლის პირველი რედაქცია ავტორმა XVII ს. 90-იან წლებში დაასრულა. ლექსიკონი განმარტებითი ხასიათისაა. ის ემყარება მდიდარ სასულიერო და ფილოსოფიურ-ლიტერატურულ როგორც ქართულ, ისე უცხოურ ნაშრომებს ძველი და შუა საუკუნეების ისტორიიდან. სიტყვის კონაში უხვი ცნობებია დაცული იმ დროს ცნობილი თითქმის ყველა მეცნიერების შესახებ. იგი XVII—XVIII სს. მიჯნის ქართული მეცნიერული ცოდნის დონის შესწავლისათვის ერთ-ერთი პირველხარისხოვანი წყაროა.

სწავლა-აღზრდის მეცნიერულ დონეზე დაყენებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სულხან-საბა ორბელიანისა და არჩილის მოწინავე პედაგოგიურ შეხედულებებს. მათი აზრით, სწავლა-აღზრდაში მთავარი როლი ეკუთვნის მასწავლებელს, რომელიც ადვილიდან რთულისაკენ თანდათანობითი გადასვლის მეთოდით უნდა ხელმძღვანელობდეს.

ლიტერატურა

„აღორძინების“ ეპოქაში ქ. თბილისი ლიტერატურული ცხოვრების მნიშვნელოვან ცენტრად გადაიქცა. XVI საუკუნიდან გარეგნული აღმავლობის მიუხედავად, ეროვნული კულტურა ვერ ავიდა კლასიკური პერიოდის დონემდე. „აღორძინების“ ეპოქა არ იყო რენესანსის შინაარსის მატარებელი, ამ ტერმინით ქართული ლიტერატურის ისტორიაში აღინიშნება XVI—XVII საუკუნეებში კულტურული ცხოვრების ერთგვარი

გამოცოცხლება წინა პერიოდთან შედარებით. ამ ეპოქაში, განსაკუთრებით XVII ს. მეორე ნახევრიდან, ჩვენში ჩნდება ახალი ჟანრები, ფართო ასპარეზი ეთმობა ნაციონალურ თემატიკას.

„აღორძინების“ ხანის პირველ ეტაპზე განსაკუთრებული ადგილი დაიკავა სარაინდო-საგმირო ეპოსმა. შეიქმნა მთელი ჯგუფი პროფესიონალი მთარგმნელი პოეტებისა. ქ. თბილისში, კერძოდ სამეფო კარზე, არსებობდა ასეთი მოსაქმეების მთელი „დასტა“, „ამქარი“, რაც იმას მოწმობს, რომ საკმაოდ იყვნენ დამკვეთებიც. „მთარგმნელ-გამლექსავთა“ ჯგუფში პირველ რიგში უნდა დავასახელოთ სერაპიონ სოგრატის ძე საბაშვილი, რომელმაც დაიწყო „როსტომიანის“ პოეტური თარგმნა. მისი საქმე ქართლის მეფის სიმონ I-ის (1556—1599 წწ.) დაკვეთით დაასრულა ხოსრო თურმანიძემ. იგი ძირითადად ქ. თბილისში მოღვაწე პოეტი და მთარგმნელი იყო. აღსანიშნავია, რომ თვით დამკვეთიც, მეფე სიმონ I, წერდა ლექსებს როგორც ქართულად, ისევე სპარსულად. გადმოცემის თანახმად, სპარსეთში ტყვეობის დროს დაიმსახურა შაჰ-ისმაილ I-ის ყურადღება და ქება[12]. სიმონ I-ის ძმა დავით XI-ც მთარგმნელი იყო. საერთოდ ცნობილია ქართველი ბაგრატიონების ლიტერატურული გატაცებანი. ისინი ტყვეობის სევდასაც და მარცხის წუხილსაც პოეზიით იქარვებდნენ (მაგ., სიმონ I მეორე ტყვეობის დროსაც ქ. სტამბოლშიც წერდა ლექსებს).

XVII საუკუნის პირველ ნახევარში განსაკუთრებით აღსანიშნავია მეფე-პოეტის თეიმურაზ I-ის შემოქმედება. თეიმურაზ I-ის შემოქმედება მხოლოდ ქ. თბილისში არ გაშლილა. მან ლიტერატურული მოღვაწეობა დაიწყო კახეთში და შემდეგ შეუჩერებლად აგრძელებდა მთელი თავისი „მომთაბარე“ ცხოვრების მანძილზე. შედარებით „მშვიდი“ პერიოდი თეიმურაზ I-ს ჰქონდა 1627—1632 წლებში, როდესაც მეფე-პოეტი გაერთიანებული ქართლ-კახეთის ტახტზე იჯდა. საქართველოს დედაქალაქში შექმნა სვე-გამწარებულმა მეფემ „ლეილ-მეჯნუნიანი“ და „იოსებ-ზილიხანიანი“. ლ. მენაბდეს მიაჩნია, რომ ქ. თბილისში თეიმურაზ I-მა ამ პოემების ახალი რედაქცია ჩამოაყალიბა, დახვეწა, გაასწორა. თეიმურაზ I-ის შემოქმედება დაემთხვა აღმ. საქართველოს კომპრომისული და რადიკალური მიმართულებების ურთიერთდაპირისპირებას. პირველის ლიდერი იყო როსტომ მეფე, მეორისა — თეიმურაზ I.

თეიმურაზ I-ის შემოქმედებაში ბევრია გოდება გაუტანელი სოფლის სიმუხთლის თაობაზე, ფართოდაა წარმოდგენილი სევდის მოტივები, ჩივილი წუთისოფლის დაუნდობლობაზე. მეფე-პოეტმა განსაკუთრებით კარგად გამოხატა ეს „ქეთევან დედოფლის წამებაში“. სხვათა შორის,

---

[12] „იადიგარ დაუდი“, ლ. კოტეტიშვილის გამოცემა, თბ., 1971, გვ. 24; ლ. მ ე ნ ა ბ დ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 149.

სწორედ ამ პოემით იწყება ნაციონალური თემატიკის აღორძინება. პოემის ავტორი ზუსტად ვერ ხსნის საქართველო-ირანის ანტაგონიზმს, „ქართველობისა“ და „ყიზილბაშობის“ შეურიგებლობას, შაჰ-აბას I-ის თავდასხმები განხილულია თეიმურაზ I-ის პირად უბედურებად, რაც თითქოს გამოწვეული იყო ბედისწერით.

ამავე პერიოდში დიდ ეროვნულ-კულტურულ შემოქმედებას ეწეოდა როსტომ მეფის მეუღლე, ოდიშის მთავრის ლევან დადიანის და მარიამი. დედოფალი მარიამი მფარველობდა პოეტებს, მთარგმნელებს, კალიგრაფ-გადამწერებს, საერთოდ წიგნიერ, განათლებულ ხალხს. მისი ხელშეწყობით დედაქალაქში გადაიწერა „ქართლის ცხოვრების“ ნუსხები, „ვეფხისტყაოსანი“, საერო და სასულიერო მწერლობის მრავალი ბრწყინვალე ნიმუში. სასახლეში თავმოყრილი პოეტები ვალში არ რჩებოდნენ მეცენატს. რამდენიმე ნაწარმოები მიეძღვნა თვით მარიამს, სადაც იგი „მეორე თამარად“ არის მონათლული.

თეიმურაზ პირველის მიმდევრებს შორის გამოირჩეოდა ნ. ციციშვილი[13]. მან ქ. თბილისში დაწერა „ბარამ-გურიანი“-ს ქართული ვერსია[14]. „ბარამ-გურიანი“ მიძღვნილი იყო მარიამ დედოფლისადმი. სახოტბო პოეზიის აღმავლობას ხელს უწყობდა თვით როსტომ მეფის პოზიციაც. როგორც ყველა ბაგრატიონი, ისიც ხარკს უხდიდა ლიტერატურულ გატაცებებს. ფ. გორგიჯანიძეს დაცული აქვს ცნობა, თუ როგორ უბრძანა ამ უკანასკნელს მეფემ „მუნასიბი“ ლექსის წარმოთქმა ოდესღაც აყვავებული გრემ-ქალაქის ნანგრევთა ნახვისას[15].

ქართული სახოტბო პოეზიის ერთ-ერთ ცნობილ წარმომადგენლად ამ პერიოდში გვევლინება ფეშანგი ხითარიშვილი, რომელმაც 1664—1665 წლებში დაწერა პოემა „შაჰნავაზიანი“[16]. მასში აღწერილია ვახტანგ V-ის სახელმწიფოებრივი მოღვაწეობა, აღმოსავლეთ საქართველოს პოლიტიკური მდგომარეობა. პოემა მხატვრულად სუსტია, მაგრამ იდეურად აქ უკვე ჩანს ეროვნული პატრიოტიზმი[17].

ავტორს მეფის ბედი დაკავშირებული აქვს საქართველოს ბედთან.

ქართულ ლიტერატურაში XVII ს. მეორე ნახევარში განსაკუთრებული ადგილი უკავია მეფე-პოეტს არჩილს. „აღორძინების“ ეპოქაში დაიბადა ახალი ჟანრები, გაძლიერდა ნაციონალური თემატიკა, სოციალური

---

[13] კ. კეკელიძე, ა. ბარამიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, თბ., 1954, გვ. 361—362.

[14] გამოცემულია კ. კეკელიძის მიერ, თბ., 1930 წ. გამომცემელი ამ თხზულებას უწოდებს „შვიდ მთიებს“ (იქვე, გვ. 361. შენიშვნა).

[15] ფ. გორგიჯანიძე, ისტორია, გვ. 53.

[16] ფეშანგი, შაჰნავაზიანი, გ. ლეონიძის და ს. იორდანიშვილის რედაქციით, თბ., 1935.

[17] კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. II, გვ. 497—512.

პრობლემატიკა, გამოჩნდა ადრინდელი რეალიზმის ნიშნები და ა. შ. ეს სიახლეები ყველაზე მეტად დამახასიათებელია არჩილის შემოქმედებისათვის. სწორედ მან შედარებით მკაფიოდ წამოსწია სამი ძირითადი პრინციპი: 1. ვწეროთ მართალი ამბავი. მართალ ამბავში პოეტი გულისხმობდა ცხოვრებისეულ სიუჟეტებს; 2. ვწეროთ ქართული ამბავი. აქ ერთგვარი პროტესტია აღმოსავლური, განსაკუთრებით, სპარსული მოტივების მოძალებისადმი; 3. ვწეროთ ქართულად — აქაც არჩილი იბრძოდა ეროვნული ენის უპირატესობის აღიარებისათვის, მისი დაცვისათვის. „არჩილი ... იყო ახალი ლიტერატურული მოძრაობის სახელოვანი მეთაური, ისტორიულ-ნაციონალური თემატიკის ბრწყინვალე დამმუშავებელი, მშობლიური ენის სიწმინდისათვის თავგამოდებული მებრძოლი, გამოჩენილი პოეტი და დიდაქტიკოს-მორალისტი“[18].

არჩილის პოეზია აღმოცენდა და განვითარდა თბილისის კულტურულ გარემოში. მისი მხატვრული კონცეფცია, ლიტერატურული გემოვნება, მსოფლმხედველობა მთლიანად ჩამოყალიბდა საქართველოს დედაქალაქში. თბილისის მაშინდელი ლიტერატურული ტრადიციების გარეშე შეუძლებელი იყო პოეტური ნიჭის შესაბამისი გამოვლენა.

არჩილის შემოქმედებიდან კარგად ჩანს, რომ მას ღრმად ჰქონდა შესწავლილი ქართული სასულიერო და საერო ლიტერატურა. უფრო მეტიც, „არჩილიანში“ მოცემულია XVI—XVII სს. ქართული მწერლობის ლაკონიური, მაგრამ კატეგორიული დასკვნების შემცველი მიმოხილვა. მაშასადამე, არჩილიც ქ. თბილისის ლიტერატურული სკოლის აღზრდილია. იგი იყო შესანიშნავი პოეტი, ლიტერატურათმცოდნე-კრიტიკოსი (მაშინდელი მასშტაბით), ისტორიკოსი, ისტორიულ თხზულებათა გალექსვის პიონერი, დიდი მეცენატი.

არჩილი თბილისში ყოფნისას აქტიურად მონაწილეობდა ლიტერატურულ პაექრობებში, დისპუტებში. აღსანიშნავია, რომ არჩილმა პრაქტიკაში დამკვიდრებული გაბაასების მიხედვით შექმნა ლიტერატურული „გაბაასება თეიმურაზ I-სა და შოთა რუსთაველს შორის“. ამ ნაწარმოებში არჩილი გვევლინება რომანტიკოსად, აშკარად მისტირის კლასიკური ხანის საქართველოს წარსულ დიდებას. ამავე დროს ამჟღავნებს ეპოქის შესაფერ პოლიტიკურ შეზღუდულობას. შოთა რუსთაველის ხანის ამაღლებული, ლაღი თავისუფლების საპირისპიროდ, არჩილის მიერ შექმნილი თეიმურაზ I (ე. ი. არა რეალური, არამედ არჩილის მხატვრული კონცეფციის ნაყოფი თეიმურაზი) ოცნებობს იმ დროზე, როდესაც კახეთის სამეფო შინაგანად „დამოუკიდებელი“ იყო. როგორც ცნობილია, ამ დროს (1606—1613 წწ.) იგი ირანის ხელდებული იყო. არჩილს ასეთი სტატუსი მიაჩნდა იდეალურად: — „მუნ ჩვენ ხელთ იყო ჩვენობა“.

---

[18] ლ. მ ე ნ ა ბ დ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 153.

„გაბაასებაში“ არჩილმა პოეტური ენით ჩამოაყალიბა თავისი ეპოქის ძირითადი პოლიტიკური იდეალი — მუხრანელი მაჰმადიანი მეფეების პლატფორმა: — ქრისტიანობით ტახტის ფლობა, ავტონომიური მმართველობა, თავისუფალი ნადირობა, ლხინი, დარბაზობა, ყაბახი, ბურთი, ცურვა, მგოსანთა შეჯიბრი, ქართული ენა, ეროვნული რელიგია და ა. შ. აი, ის მიმართულება, რომელსაც მიჰყვებოდნენ შემდეგში ამბოხებული გიორგი XI, ვახტანგ VI, თვითონ არჩილი და სხვ. რასაკვირველია, ასეთი პოლიტიკური პლატფორმა არ შეიძლება ჩაითვალოს იდეალურად. ეს დამარცხებულთა ფსიქოლოგიაა. არჩილი გამოხატავდა მოწინავე ქართველი არისტოკრატიის განწყობილებას, ქრისტიანულ-რადიკალური მიმართულების მისწრაფებებს.

თბილისში ლიტერატურული მოღვაწეობის გაფართოებაზე ძალზე ბევრს ზრუნავდა მეფე გიორგი XI-ც. პირადი ცხოვრების ტრაგიკული სვე-ბედის მიუხედავად, გიორგი XI, გამაჰმადიანებული „გურგინ ხანი“, ძალზე გატაცებული იყო პოეზიით, სასულიერო და საერო თხზულებათა შექმნითა თუ თარგმანებით. მას მიეკუთვნება „თხრობაში სულთა და ხორცთანი ურთიერთას, თქმული საქართველოს მეფის გიორგის მიერ“[19].

გიორგი XI თავისი დროის ნამდვილი მეცენატი იყო. სწორედ მისი დავალებით გალექსა იაკობ დუმბაძემ პოლემიკური თხზულება, რომელიც ეკუთვნოდა XVI საუკუნის პოლიტიკურ მოღვაწეს ბაგრატ მუხრანბატონს. ეს თხზულებაა „ურჯულოს მაჰმადიანთა და ქრისტიანთა გაბაასება, თქმული შემოქმედის იაკობისაგან, ბრძანებით მეფისა გიორგისითა, ძისა შანაოზისა“[20]. ამავე მეფემ ცნობილ კალიგრაფ ბეგთაბეგ მდივანს გადააწერინა „ვეფხისტყაოსანი“. მეფე გიორგიმ კალიგრაფს ბევრი საერო და სასულიერო შინაარსის ხელნაწერიც გადააწერინა. გიორგი XI-მ წინწამოსწია სულხან-საბა ორბელიანი — „გიორგი მეფის დედის ძმისწული“ და „მისგანვე შვილობილად გაზრდილი და განსწავლული“. სულხან-საბამ მეფის თხოვნით დაიწყო ლექსიკონის შედგენა, „ქილილასა და დამანას“ თარგმნაც. „გიორგი XI-ის ყურადღება მწერლობისადმი გარკვეულ იერს აძლევდა თბილისის ლიტერატურულ ცხოვრებას“ (ლ. მენაბდე).

XVII საუკუნის მეორე ნახევარში ქართლის სამეფო კარის ესოდენი გატაცება ლიტერატურული მოღვაწეობით შემთხვევითი მოვლენა არ იყო. იგი განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს. ჯერ ერთი, როგორც არჩილის მიერ ლექსად ჩამოყალიბებული „საქართველოს ზნეობანიდან“ ვიცით, განსწავლულობაც ითვლებოდა ზნეობად. ახალგაზრდა არისტო-

---

[19] ბ. ქ ი ქ ო ძ ე, გაბაასება ძველ ქართულ ლიტერატურაში, 1962, ბათუმი, გვ. 175—179.

[20] ლ. მ ე ნ ა ბ დ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 153; იაკობ შემოქმედელი — დუმბაძის შესახებ იხ. ა კ ა კ ი ხ ი ნ თ ი ბ ი ძ ე, იაკობ შემოქმედელი („ცისკარი“, 1984, №4).

კრატები სიყმაწვილიდანვე იწვრთნებოდნენ მწიგნობრობაში, უცხო ენებში, მათ სპეციალურად ავარჯიშებდნენ ლექსთწყობაში. თითქმის არ დარჩენილა არც ერთი „მუხრანელი“ ბატონიშვილი, რომელსაც არ ეცადა კალამი ლიტერატურაში. თბილისის ლიტერატურულ ცხოვრებაში ჩაბმული იყო ლევან ვახტანგის ძე ბაგრატიონი, ირანის უმაღლესი მოხელე. გიორგი XI-ს ძმა, ვახტანგ VI-ს მამა — „ბრძენი და მეცნიერი, შორსდამნახავი საქმისა და განსწავლული სამეცნიერო წიგნთა“ (ბერი ეგნატაშვილი). იგი თვითონაც თხზავდა ნაწარმოებებს (მაგ., „ვედრებაი იოანე ნათლისმცემლისა, პეტრე-პავლესი და სხვა წმინდანებისადმი“). „პოეტური სენით“ იყვნენ შეპყრობილნი მისი ასული ხვარამზეც, დედოფალი თამარიც, რომელმაც შექმნა იმ დროისათვის უმდიდრესი ბიბლიოთეკა. გიორგი XI-ის და ლევან ბატონიშვილის ხელშეწყობით მოღვაწეობდნენ მეხოტბეები ბეგთაბეგ თანიაშვილი და მისი ძმა სულხანი. ბეგთაბეგმა რამდენიმე შესხმა მიუძღვნა გიორგი XI-ს როგორც პროზაულად, ასევე გალექსილი. ძმებმა თანიაშვილებმა „ამირან-დარეჯანიანიც“ გალექსეს. გიორგი XI და მისი ძმები, ასევე ძმისწულები XVII საუკუნის 80-იანი წლებიდან ექსორიაში აღმოჩნდნენ, XVIII საუკუნის დასაწყისიდან კი მათ დაიკავეს ირანის იმპერიის უმაღლესი სახელოები, მაგრამ ამით არ შეუნელებიათ ყურადღება ქ. თბილისში მიმდინარე კულტურული მუშაობისადმი.

ბაგრატიონთა ლიტერატურული გატაცება, მათი თავგამოდება სასულიერო და საერო მწერლობის აყვავებისადმი გამოხატავდა ქართული საზოგადოების მძაფრ იდეოლოგიურ ბრძოლას არსებული პოლიტიკური რეჟიმის შესაცვლელად. ამ ეტაპზე, ირანის შეტევის პირობებში, როდესაც მაჰმადიანობამ ფართოდ გაუხსნა ქართველ თავადაზნაურობას გზა დიდი სახელმწიფოს მართვის სათავეებისაკენ, არისტოკრატიის მნიშვნელოვან ნაწილში დაიწყო დაუცხრომელი ლტოლვა ისპაჰანისაკენ. სომდიდრის, დიდი თანამდებობის მოხვეჭის, პოლიტიკური მდგომარეობის განმტკიცების წყურვილი იძენდა ისეთ მძლავრ სოციალურ შინაარსს, რომ ადვილად ილახებოდა ნაციონალური თავისთავადობა. თავადაზნაურობის ერთი ნაწილი მხოლოდ ფორმალურად კი არ გმობდა მამა-პაპათა რჯულს, არამედ მთლიანად ითვისებდნენ უცხო კულტურას, ივიწყებდნენ ქართულ ენას, ტრადიციებს, იცვლებოდა მათი ყოფა. ქართლის სამეფო კარს არ შეეძლო ოფიციალურად წინ აღდგომოდა ასეთ ტენდენციებს, ქართლის მეფე სინამდვილეში „გურჯისტანის ვალი“ იყო, ირანის უმაღლესი მოხელეთაგანი, მას ხელი უნდა შეეწყო იმპერიის ინტერესებისათვის. ირანული კულტურის შემოჭრის აღკვეთა გამოიწვევდა ისპაჰანის რისხვას, რაც უკეთეს შემთხვევაში მეფის გადაყენებით დამთავრდებოდა. ასეთ პირობებში ფორმალურად გამაჰმადიანებული სამეფო კარი აძლიერებდა ქართულ ეროვნულ კულტურას, განსაკუთრებით

ენას, ლიტერატურას. ამ პოლიტიკას წმინდა პრაგმატისტული დანიშნულება ჰქონდა, მას უნდა გადაერჩინა ქართველი ხალხი გადაგვარებისაგან, შეენარჩუნებინა მომავლის პერსპექტივები. მეფეთა ზრუნვა ენის სიწმინდისათვის იმის მაჩვენებელია, რომ „კომპრომისის“ ეპოქაში პრაქტიკულად იდგა ნაციონალური ენის დაკარგვის საშიშროება. პატრიოტ ქართველებს ცოცხალ, ჭკუისსასწავლებელ მაგალითად ჰქონდათ მესხეთის ტრაგედია. „მე, სულხან-საბა ორბელიანსა, ჭაბუკობისა ჟამსა და სიყრმესა, ფრიადი შრომა დამიცს ამა წიგნსა ზედა. რამეთუ ქართულთა ენათა ლექსიკონი აღარა იპოებოდა, რამეთუ ჟამთა ვითარებითა უჩინო ქმნილიყო... ვინათგან პატიოსანი ესე წიგნი დაჰკარგოდათ, ენა ქართული თჳსთა ნებაზედ გაერყუნათ... ვახტანგ მეფის ბიძამ, გიორგი მეფემ მიბრძანა ამისი ჯელ-ყოფა... ხელი მივყავ და, რაოდენ ძალმედვა, აღვწერე“[21]. საბას ეს სიტყვები მნიშვნელოვანია უფრო იმით, რომ XVII საუკუნის დასასრულისათვის ქართველობა წარმოიდგინება „წიგნდაკარგულ“ ერად („პატიოსანი წიგნი დაჰკარგოდათ“), საჭირო იყო ამ დანაკარგის ანაზღაურება, ქართველი საზოგადოების იდეოლოგიური საყრდენის აღდგენა. სულიერი საზრდოს განოყიერება. ეს მაღალი მისია იკისრა ქ. თბილისის კულტურულ-ლიტერატურულმა ელიტამ—იოსებ თბილელმა, სულხან-საბა ორბელიანმა, ვახტანგ VI-მ და ა. შ.

იოსებ თბილელი-საკაძე ქ. თბილისის საეპისკოპოსო ტახტზე იჯდა 1661—1688 წლებში. მას ეკუთვნის ე. წ. მარინას წამების გალექსილი ვარიანტი, ალექსის ცხოვრება, ანბანთქება და სხვა. მაგრამ იოსებ თბილელის ძირითადი ნაწარმოებია „დიდმოურავიანი“. ეს ისტორიული პოემა დაიწერა 1684—1687 წლებში და მიზნად ისახავდა გიორგი საკაძის პოლიტიკურ რეაბილიტაციას. მეტისმეტად ფართოა „დიდმოურავიანის“ მნიშვნელობა. ჯერ ერთი, სასულიერო იერარქიის უმაღლესი მოხელე, მიტროპოლიტი, წერს საერო ხასიათის ნაწარმოებს, რაც საგანგებო შემთხვევას წარმოადგენდა. აშკარაა, ამ პერიოდში საერო ლიტერატურა უფრო იოლად იკაფავდა გზას მოსახლეობაში, მას ფართო მკითხველი ჰყავდა. თითქმის იმავე ეპოქაში არჩილი სასულიერო მწერლობას უპირატესობას ანიჭებდა საეროსთან შედარებით, მაგრამ, როგორც ჩანს, საქმე სხვაგვარად იყო: საერო მწერლობა მისაღები იყო გამაჰმადიანებული, მაგრამ ქართულენოვანი ფენებისათვისაც, აგრეთვე უცხო ეთნიკური ჯგუფებისათვის, რომლებიც ქ. თბილისში ცხოვრობდნენ, ქართული შესანიშნავად იცოდნენ, მაგრამ მათთვის მიუღებელი იყო ქრისტიანული სასულიერო მწერლობა. იოსებ თბილელმა სხვა რამეც გაითვალისწინა, ამ ეპოქაში სინამდვილე უფრო ადვილად აღიქმებოდა მარტივი ლექსის სახით. საქართველოში მასობრივად დაიწყეს ისტორიული თხზულებების

[21] ს უ ლ ხ ა ნ - ს ა ბ ა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი. თხზულებანი, ტ. IV$_1$, თბ., 1965, გვ. 31.

გალექსვა. ლექსი მოდაში შემოვიდა. აღარავის ეცალა რთული ფილოსოფიური თუ რელიგიური დოგმებისათვის, სამაგიეროდ, მკითხველი მიილტვოდა მარტივი ლექსისაკენ. ამ მხრივ თბილელი ეპისკოპოსი გამონაკლისი როდი იყო. „აღორძინების“ ეპოქაში აშკარად დომინანტობს მარტივი ლექსი. უკან იხევს პროზა, რთულ ფილოსოფიურ ტრაქტატებზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. ეს ფაქტი იმის მაჩვენებელიცაა, რომ ქ. თბილისის არისტოკრატიულ-ლიტერატურული სალონები, თვით სამეფო კარიც კი, განიცდიდა ქალაქური წრეების გავლენას, რადგან მარტივი ლექსის კულტი სწორედ ქალაქური ფოლკლორისათვის იყო დამახასიათებელი. იოსებ თბილელმა დააარსა საგანგებო წიგნსაცავი ქ. თბილისში.

ქ. თბილისის ლიტერატურულ ცხოვრებაში გარკვეული ტეხილი შეიტანა სულხან-საბა ორბელიანმა. მისი მოღვაწეობა უაღრესად პრაქტიკული დანიშნულებისა იყო. მან შექმნა „სიტყვის კონა“, ქართული ენის სიწმინდის დაცვის საფუძველი. 1678—1688 წლებში განასრულა „სიბრძნე-სიცრუისა“. ამ ნაწარმოებს აგრეთვე პრაქტიკული დანიშნულება ჰქონდა, იგი დაიწერა უფლისწულ ვახტანგ ლევანის ძე ბაგრატიონის აღსაზრდელად.

სულხან-საბა ორბელიანმა საფუძველი ჩაუყარა აღზრდისადმი მიძღვნილი ლიტერატურული ნაწარმოებების მთელ სერიას.

ხელოვნება

გვიანი შუა საუკუნეების თბილისის სახის წარმოსადგენად, გარდა წერილობითი ცნობებისა, ჩვენ ხელთ გრაფიკული მასალაც არის: ფრანგი მოგზაურის შარდენის ნახატი — თბილისი 1671 წელს, ტურნეფორის ნახატი — თბილისი XVIII ს-ის დასაწყისში (1701 წ.) და ყველაზე მნიშვნელოვანი — ვახუშტი ბაგრატიონის მიერ 1735 წელს შედგენილი გეგმა თბილისისა (იმდროინდელი დედაქალაქის ტერიტორიისა და გეგმის შესახებ იხ. ზემოთ, მეცხრე თავში).

როდესაც XVI—XVII საუკუნეების თბილისურ ხუროთმოძღვრებაზე ვსაუბრობთ, უნდა გავითვალისწინოთ შემდეგი:

თბილისი ამ დროსაც ტიპურ ფეოდალურ ქალაქად რჩება მისი ყველა დამახასიათებელი ატრიბუტით: მას კვლავ თავს დაჰყურებს ციტადელი, მისი უბნები კვლავ გალავანშემორტყმულია; გალავნებში დატანებულია რამდენიმე ჭიშკარი; ქალაქის უბნები მკაფიოდ არის დიფერენცირებული ფუნქციურად, სოციალური და, ნაწილობრივ, ეროვნული ნიშნების მიხედვითაც; თუ არ ჩავთვლით რამდენსამე მთავარ არტერიასა და მოედანს, რომლებიც, ერთი მხრივ, თავს უყრის დუქან-სახელოსნოებს, ბაზრებსა და ქარვასლებს, მეორე მხრივ — მეფისა და არისტოკრატიის

საცხოვრებლებს, განაშენიანება კვლავ ქაოსურია, ვიწრო, მიხვეულ-მოხვეული ქუჩებით, შესახვევებით, ჩიხებით, აღმართებით, კიბეებით.

ქვეყნის პოლიტიკური ვითარების გამო, ქართულ ხუროთმოძღვრებასა და ხელოვნებაში ამ დროს შემოჭრილია ირანული გავლენა. უპირველეს ყოვლისა, იგი თავს იჩენს სწორედ ქალაქებში, განსაკუთრებით თბილისში, რადგანაც ამ უცხო გავლენას ყველაზე მეტად და ყველაზე ადრე ითვისებენ და ექვემდებარებიან მეფის კარი და არისტოკრატია: მათი სასახლეები და საცხოვრებლები „სპარსთა რიგისაა", შეძლებისდაგვარად ცდილობენ მიბაძონ ირანულ სასახლეებს, არა მარტო მათს ხუროთმოძღვრებას, არამედ მთელ შიდა გამართულობასაც; ასევე, აღმოსავლურ-ირანული „რიგისაა" ამდროინდელი საბაზრო შენობები, ქარვასლები და აბანოები. საეკლესიო არქიტექტურა უფრო მეტად „შეუღწევი" იყო ირანული გავლენისათვის: ქართული ეკლესიების, მათ შორის, თბილისური ეკლესიების, მთელი აღნაგობა უცვლელად ტრადიციულია (თუ არ ჩავთვლით ბუნებრივ, გარდუვალ ევოლუციის მიერ გამოწვეულ ზოგ კერძო ცვლილებას). მხოლოდ გარეგნულ მორთულობაში იჩენს თავს (მით უფრო კახეთში, აქა-იქ თბილისშიც) ირანული ელემენტები: ისრული თაღები, „სტალაქტიტები", აგურის ხალიჩისებრი წყობა (აგურის ფართოდ გავრცელება ამ დროის დამახასიათებელია); სასახლეთა, აბანოებისა და ქარვასლების ინტერიერებში უხვად იყენებენ მოჭიქულ ფერად აგურს, მინასა და სარკეებს, აღმოსავლურ ხალიჩებს და სხვ. (ისიც აღსანიშნავია, რომ გლეხური საცხოვრებლები და, მით უფრო, მთა-საქართველო ამ უცხო გავლენის გარეშე რჩება — გამონაკლისი ცოტაა).

საბუთები და იმდროინდელ ავტორთა ნაწერები მოწმობს, რომ გვიანი შუა საუკუნეების თბილისში, მის მცხოვრებთ აქვთ სახლები — „ზოგთა სპარსთა რიგისა, ზოგთა ქართული". ჩანს ისიც, რომ უმეტესად ეს ბანიანი სახლებია განლაგებული მთის კალთებზე, ისე, რომ ქვემო სახლის ბანი ზემოთ მდებარე სახლისთვის ეზოსავით არის. სახლები, ცხადია, განსხვავდებოდა პატრონთა შეძლების მიხედვით — იყო ქოხმახებიც, მაგრამ იყო რამდენიმე სათავსიანი, მათ შორის, სამეურნეო დანიშნულების სახლებიც.

საფიქრებელია, რომ თბილისური საცხოვრებელი სახლის ძირითად სახეს წარმოადგენდა ტრადიციული ქართული დარბაზი, ტიპი, რომლის ძირებიც შორეულ წარსულს მიეკუთვნება და რომელიც გავრცელებული იყო ქალაქადაც და სოფლადაც: უკანასკნელ ხანებამდე დარბაზები არსებობდა ქართლსა და მესხეთში, ახალციხესა და თბილისში. ეს არის ერთი ნაგებობა, რომლის ყველაზე დამახასიათებელი ელემენტია ე. წ. გვირგვინი — ხის საფეხურებიანი გადახურვა (არსებობს განსხვავებული — მარტივი და რთული — ვარიანტები), რომლის წვეროშიაც, სულ ზემოთ,

გაკეთებულია სარკმელი შუქისათვის და იქ, სადაც შუაცეცხლი (კერა) ჰქონდათ (ეს იყო სწორედ თავდაპირველი საფეხურის დამახასიათებელი) — კვამლის ევაკუაციისათვის. ასევე აუცილებელი და ტიპური ელემენტია გვირგვინის საყრდენი „დედაბოძი“ — ხის სვეტი, ზემოთკენ გაგანიერებული და ლამაზად მოხარატებული. შემორჩენილი ნიმუშების მიხედვით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ დარბაზების ინტერიერები, მათი საერთო აღნაგობის, თავისებური კონსტრუქციის, საინტერესო ბუნებრივი განათების, ოსტატურად შესრულებული ხის ჩუქურთმების, კედლების დამუშავების წყალობით (განჯინები, თაროები და სხვ.) ნამდვილი მხატვრული ღირებულების მქონე და დიდად შთამბეჭდავი იყო.

თბილისური დარბაზების არსებობა XIX ს-ში დამთავრდა. ყოფაცხოვრების ახლებურმა პირობებმა, კულტურის დარგში მომხდარმა ცვლილებებმა გამოიწვია მათი შეცვლა სხვაგვარი საცხოვრებლებით (მათ შესახებ იხ. ქვემოთ).

ასევე არ მოუღწევია ჩვენს დრომდე მაშინდელ სასახლეებს — მათ მოსასპობად აღა-მაჰმად ხანის 1795 წლის შემოსევაც საკმარისი აღმოჩნდა. წერილობითი ცნობები (შარდენი, ტურნეფორი, ვახუშტი) გვიხატავს ვრცელ, მრავალი დარბაზის მქონე, მდიდრულად მორთული შენობების სურათს: როცა როსტომ მეფემ „მაღალს ციხეში“ (ე. ი. ნარიყალას ტერიტორიაზე) არსებული ძველი სასახლე „დაუტევა“ (ჩვენ არ ვიცით, როდის გადაინაცვლა მეფის სასახლემ მეტეხიდან ამ ციხეში), მან „თავისა თჳსისათჳს სამეფოდ აღაშენა სიონსა და ანჩისხატს შუა სასახლე, მტკვრის გარდაკიდებით, ყიზილბაშთა რიგისა“ (ამ სასახლეს აღწერს შარდენი). ვახუშტისავე სიტყვით, „ჟდ (ე. ი. 94-ე) მეფემან ვახტანგ აღაშენა სახლი შვენიერი, სრულიად სარკითა და მოოქროვილი, დიდმხატვრობითა და ლაჟვარდითა და მარმარილოს კედლითა“ („შემუსრეს ოსმალთა“). როსტომის სასახლიდან დღემდის მხოლოდ ერთმა ნაგებობამ მოაღწია — ე. წ. „ზარაფხანამ“, რომელიც ერთ ხანს სტამბად იყო გამოყენებული, თავიდან კი აბანო უნდა ყოფილიყო. ამავე ხანისა იყო ვახუშტის გეგმით ცნობილი სხვა სასახლეებიც: ბატონიშვილისა, ამილახვრისა, ლუარსაბისა, მუხრან-ბატონისა. ამათგან არც ერთი აღარ არსებობს.

XVI—XVIII სს. მანძილზე თბილისში თითქმის გამუდმებით უხდებოდათ სათავდაცვო ნაგებობათა შენება. ციტადელისა და კალას (ე. ი. ქალაქის უმთავრესი საცხოვრებელი უბნის) კედლებს, მეტეხის გალავანს ხან დამპყრობნი (ირანელები და თურქები) აშენებდნენ და განაახლებდნენ, ხან — მათი განდევნის შემდეგ — თვით ქართველები.

XVI—XVII საუკუნეებში თბილისში ზოგი ძველი ეკლესია შეკეთდა ან გადაკეთდა, აშენდა ახალი ეკლესიები და სამრეკლოებიც (უმეტესობამ ჩვენს დრომდეც მოაღწია), მაგრამ ზოგი ძველი ეკლესია მიატოვეს კიდეც.

თავისი ხუროთმოძღვრული ფორმებით XVI საუკუნეს შეგვიძლია მივაკუთვნოთ მეტეხის ტაძრის აგურის გუმბათის ყელი. ამ ეპოქაშივე შეიცვალა, მაგრამ ძნელია დაზუსტებით თქმა, როდის, ეკლესიის შიგნითა დამუშავებაც — ბოძები, თაღები (ისრული მოხაზულობისა), კამარები — ეს ყველაფერი აგურისაა. XVII საუკუნის ნახევრიდან კი, როცა ქართლის ტახტზე მაჰმადიანი მეფეები ისხდნენ, მეტეხი უკვე მიტოვებული იყო. შარდენის სიტყვით, მისი მიტოვების უშუალო მიზეზი მეხის დაცემა ყოფილა, მაგრამ ვახტანგ V-მ შენობა ეკლესიად კი აღარ აღადგინა, არამედ თოფის წამლის საწყობი მოაწყო შიგ. შემდეგ, სანამ მეტეხის ციხე უცხოელთ ეპყრათ ხელთ, ცხადია, მის აღდგენაზე აღარავინ იფიქრებდა — ასე გრძელდებოდა ერეკლე II-ის დრომდე.

ამ ეპოქაში იცვალა სახე „ლურჯმა მონასტერმაც“ — ეტყობა, რაღაც მიზეზის გამო, ძველი ეკლესია დაინგრა და იგი უგუმბათოდ აღადგინეს. XVII ს-ში საფუძვლიანად შეაკეთეს ანჩისხატის ეკლესია — მაშინდელია მისი მთელი ზემო ნაწილი კამარებიანად, აგრეთვე პერანგის ნაწილიც, ხოლო 1675 წელს ეკლესიის წინ დომენტი კათალიკოსმა ააგო სამრეკლო — ქვის კუბური შენობა ქვის სვეტებიანი და აგურისავე პირამიდულ-სახურავიანი გამჭოლი ფანჩატურით. მისი ისრული თაღები და კედლის ხალიჩისებრი წყობა ირანული გავლენის კვალს ატარებს; მისივე მონათესავეა და დროითაც, ალბათ, მისი ტოლი, კიდევ ერთი სამრეკლო — ფეთხაინისა; 1657 წელს თბილელმა მიტროპოლიტმა ელისე საგინაშვილმა სიონის ტაძარს სამხრეთის მხრიდან მიაშენა დღესაც არსებული მცირე სამლოცველო. XVII საუკუნის გადაკეთებათა კვალი ეკლესიის შიგნითაც ჩანს — თაღების ნაწილი ისრული მოხაზულობისაა. ტაძრის გუმბათის ყელი მთლიანად და ფასადთა პერანგის ნაწილი (ბოლნისის ტუფისა) 1710 წელს მიეკუთვნება და ვახტანგ VI-ის ბრძანებითაა გაკეთებული. ჩრდილოეთის ფასადის წარწერაში, მაღლა, კეხქვეშ, ნათქვამია: „ძმისწული სახელოვანის მეფის გიორგისა და ძე დიდად პატიოსნისა ლევანისა, გამგებელი ქართლისა ბატონიშვილი ვახტანგ, განმაახლებელი გუმბათით, ლორფინ-საცვრით მონასტრისა ამის“ (ლორფინი სახურავის ფილებს ნიშნავს, საცვრე — კარნიზს). ამ გუმბათს, რომელსაც ჩუქურთმები და რელიეფები ამკობს, ირანული გავლენის არავითარი კვალი არ ემჩნევა — აქ მხოლოდ ტრადიციის გაგრძელებაა, დროის დამახასიათებელი ნიშან-თვისებებით აღბეჭდილი.

XVI საუკუნეს უნდა მიეკუთვნებოდეს ახლანდელ ლესელიძის ქუჩაზე მდებარე ერთი გუმბათიანი ეკლესია, „ჯვარისმამად“ წოდებული (ჯვარისმამა იერუსალიმის ჯვრის მონასტრის წინამძღვარს ნიშნავს. ამ ეკლესიას ეს სახელი იმიტომ ეწოდა, რომ იერუსალიმის საპატრიარქოს ეკუთვნოდა და იქაური ქართველი ბერების მეტოქი-ფილიალი იყო). შენობა აგურისაა, ყოველგვარი სამკაულის გარეშე. მისი გეგმა — ერთიანი დარბაზი,

სიგრძივი კედლებიდან გამოსული შვერილებით, რომელთაც გუმბათი ეყრდნობა — ე. წ. კუპელჰალეს ტიპისაა. იგი მოწმობს, რომ გვიან ხანაში, რომელიც გარკვეული ეკლექტიზმით ხასიათდება, ქართულ ხუროთმოძღვრებაში აქა-იქ ამოტივტივდება ხოლმე ძველი, კარგა ხნის წინათ მივიწყებული, თემები.

არ უნდა გაგვიკვირდეს, რომ ამ ხანაში, მაჰმადიანური სამყაროს მოძალების დროს, როცა თბილისში ხშირად იდგა ირანელთა ან თურქთა გარნიზონები, აშენებდნენ მიზგითებსაც. ერთი მათგანი XVI საუკუნეში „ხიდის ყურეში" ააგო ირანის შაჰმა ისმაილმა (იდგა ახლანდელი მეტეხის ხიდის თავში, მარჯვენა ნაპირზე). იყო სხვა მიზგითებიც, არსებობდა „ლათინთ საყდარიც", მაგრამ ამ შენობებს, რა თქმა უნდა, ქართულ ხუროთმოძღვრებასთან არაფერი აკავშირებს. ამ ეპოქას მიეკუთვნება ზოგი სომხური ეკლესიაც. ამ დროისათვის ჩვენ უკვე შეგვიძლია ვისაუბროთ ქართული სახვითი ხელოვნების თბილისურ ნიმუშებზედაც. უპირველეს ყოვლისა, ეს შეეხება ხელნაწერ წიგნებს — მათს კალიგრაფიას, ფურცელთა მხატვრულ გაფორმებას და მინიატურებს.

განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ ამ ხანას მიეკუთვნება, სასულიერო შინაარსის მნიშვნელოვან ხელნაწერებთან ერთად, ბევრი საერო ხელნაწერიც (წინა ხანებში ჩვენ ერთადერთი საერო ხელნაწერი გვაქვს — XII ს-ის დასასრულის დასურათებული ასტრონომიული ტრაქტატი). არსებითად, ქართული საერო მინიატურის განვითარების შესახებ, დღესდღეობით მაინც, ჩვენ მხოლოდ ამ დროიდან შეგვიძლია ლაპარაკი. ეს მით უფრო მნიშვნელოვანი და საინტერესოა, რომ ამ ხელნაწერთა შორის რამდენიმე „ვეფხისტყაოსნის" დასურათებული ან მხატვრულად გაფორმებული ნუსხაა და ზოგი მათგანი მეფის შეკვეთითაა შესრულებული.

ამავე დროის ბევრ ხელნაწერსა და მინიატურას ატყვია ირანული გავლენის ძლიერი კვალი — ასეთია, მაგალითად, ვეფხისტყაოსნის ე. წ. წერეთლისეული ნუსხის (ხელნაწერთა ინსტიტუტი, H-5006) მინიატურების ნაწილი, H-2074 ნუსხის მინიატურები და სხვ. ზოგი ხელნაწერის მინიატურებში (ზილიხანიანი, XVI—XVII სს. მიჯნა, ხსენებული H-5006 ნუსხის მეორე ოსტატის მინიატურები, როსტომიანი, 1671 წლისა და სხვ.), აშკარა ირანულ გავლენასთან ერთად, ჩანს ეროვნული ხელოვნების დამახასიათებელი განმასხვავებელი ნიშნებიც (ფერადოვნების, ტიპაჟის, ზოგი იკონოგრაფიული და კომპოზიციური დეტალის მხრივ). არსებობს „ვეფხისტყაოსნის" კიდევ ერთი ნუსხა, რომლის მინიატურებიც არსებითად განსხვავებულია ირანულთაგან და მთლიანად ეროვნულ ნიადაგთანაა დაკავშირებული, ხელნაწერი 1646 წლისაა[22], მაგრამ ეს მი-

[22] კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფ. H-59.

ნიატურები ოდიშის მთავრის ლევან დადიანის კარზეა შესრულებული მხატვარ მამუკა თავაქარაშვილის მიერ.

XVII ს. ბოლოს მეფე გიორგი XI-ის კარზე მოღვაწეობდა ბეგთა-ბეგ თანიაშვილი, ლიტერატორი და კალიგრაფი, რომელმაც 1680 წელს მეფის დაკვეთით გადაწერა „ვეფხისტყაოსანი“[23]. ნაწერი მხედრულია, ლამაზი და ოსტატური, მაგრამ მთავარია მდიდრული დეკორაციული ჩარჩოები სხვა ოსტატის ან ოსტატთა მოხატული, აგრეთვე ირანული ხასიათისა. აქ, მცენარეებისა და ყვავილების ხლართში, გაფანტულია ფრინველებისა და ცხოველების ფიგურები. ეს არშიები, რომლებიც ოქროს საღებავითაა შესრულებული, მათი მრავალფეროვნება, ხელნაწერის დიდი ფორმატი (44,5×30 სმ) არაჩვეულებრივად საზეიმო იერს ანიჭებს ამ წიგნს. ბუნებრივია, რომ იგი მეფის პირად საკუთრებას შეადგენდა.

ამ ეპოქას მიეკუთვნება აგრეთვე სასულიერო შინაარსის თხზულებათა მინიატურებიც, რომლებიც ბევრად უფრო სტაბილურად უკავშირდება სამინიატურო ხელოვნების ძველ ეროვნულ ტრადიციებს, ვიდრე ხსენებული საერო ხელნაწერების დასურათება. ზოგი მათგანი თბილისშია შესრულებული. მაგალითად შეიძლება დავასახელოთ კათალიკოს ნიკოლოზ ამილახორის შეკვეთით 1681 წელს გადაწერილი და დასურათებული ე. წ. ანჩისხატის გულანი, საბა კალიგრაფის მიერ XVII ს-შივე თბილელი ეპისკოპოსის იოსებ საკაძისათვის გადაწერილი ფსალმუნი[24] და სხვ.

მწერალი-კალიგრაფები და მდივნები ჰყავდათ მეფეებსაც და სასულიერო და საერო ფეოდალებსაც; XVII ს-ში იღებს სათავეს გამოჩენილ კალიგრაფთა რამდენიმე საგვარეულო, რომელთაგან ზოგი თბილისთან იყო დაკავშირებული. ერთი ამათგანია ალექსი-მესხიშვილების დინასტია, რომლის დამაარსებელი მღვდელი პეტრე მესხი XVII ს. მეორე ნახევარში გათურქებული სამცხიდან გადმოიხვეწა ცოლშვილიანად თბილისში და თან ჩამოიტანა სახელგანთქმული „ანჩისხატი“. 1671 წელს დომენტი კათალიკოსმა მას უბოძა ანჩისხატის ეკლესიის კანდელაკობა (ეკლესიას სწორედ ამ ხატის გამო ეწოდა ახლანდელი სახელი) და ამის შემდეგ მისი მემკვიდრეები მთელი თავისი ცხოვრება-მოღვაწეობით ამ ტაძართან იყვნენ დაკავშირებულნი. თვით პეტრე მესხი კარგი კალიგრაფი ყოფილა. ამისი შვილი გრიგოლი, ანჩისხატის დეკანოზი, რომელიც XVII—XVIII სს. მიჯნაზე მოღვაწეობდა, მხატვარი იყო და „ტფილურ მოქალაქედ“ იწოდებოდა, მაგრამ მის ნამუშევრებს ჩვენ არ ვიცნობთ. გრიგოლის შვილი ალექსი პირველი იყო ამ გვარის დიდ კალიგრაფთა შორის, რომლებიც უკვე XVIII ს-ში მოღვაწეობდნენ — მის პატივსაცემად იწოდებოდნენ მომდევნო თაობათა წარმომადგენლები ალექსი-მესხიშვილებად.

---

[23] კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, №54.
[24] იქვე, №1112.

XVII ს-ის მეორე ნახევარში ჩნდებიან ასპარეზზე კალიგრაფთა მეორე, არა ნაკლებ სახელოვანი, საგვარეულოს — მიქაძეების პირველი წარმომადგენლებიც (სიონის დეკანოზი იესე). შეიძლებოდა სხვა გვარების დასახელებაც.

თბილისური კედლის მხატვრობის ნიმუში იყო კათალიკოს ნიკოლოზ ამილახორის თაოსნობით 1683 წელს შესრულებული მოხატულობა ანჩისხატის ეკლესიისა, მაგრამ XIX ს-ის დასაწყისში იგი სხვა მხატვრობამ შეცვალა.

თბილისში უნდა იყოს შესრულებული ანჩისხატის კარედის გარეთა მხრის მოჭედილობა „სარქარის" ბერთაუკა ლოლაძის მიერ, დიდი ფეოდალის გივი ამილახვრისა და მისი თანამეცხედრის ვახტანგ V-ის ასულის თამარის შეკვეთით.

„ოდეს ვიხილეთ ანჩისხატი ჟამთა ვითარებისაგან ქართლში ჩამოსვენებული, მოჰხდა საქმე, რომ ბევრს ხანს ჩვენს სახლში ესვენა და მისის საფარველითა და შემწეობითა მრავალს ძნელს ავად ყოფასა და განსაცდელს განვერენით და... ვიწადინეთ და კარები მოვაჭედვინეთ და გავაკეთეთ... გაკეთდა კარები ესე მეფობასა მეფედ მეფისა გიორგისასა, ინდიქტიონსა მეშვიდესა, ქრონიკონსა ტოდ" (374). თარიღი 1686 წელს უდრის. ბერთაუკას შესრულებულია სახარების სცენები — მრავალფიგურიანი, მეტისმეტად დატვირთული, აგრეთვე ფართო ორნამენტული არშიები. ამ დროის ხელოვნებისთვის დამახასიათებელია ინტერესი თხრობისა და საღვთისმეტყველო პროგრამისადმი. შესრულების მხრივ ეს მოჭედილობა დიდად ჩამოუვარდება X—XII სს. ნიმუშებს — ეს დაქვეითების ხანის ტიპური ნიმუშია.

მეფე-ფეოდალთა კარზე, გარდა მდივან-მწიგნობრებისა, ოქრომჭედლებისა და მინიატურების ოსტატებისა, ქარგვის ოსტატებიც მუშაობდნენ. მაშინდელი ნაქარგობის ნიმუშთაგან ზოგი, შესაძლებელია, თბილისშიაც იყოს შესრულებული. ყოველ შემთხვევაში, დღემდის დაცული ნიმუშები (მაგალითად, ქართლის დედოფლის მარიამის მიერ შეკვეთილი „გარდამოხსნა"), რომლებიც სამეფო კართან არის დაკავშირებული.

დასასრულ, როდესაც ამ ხანის მხატვრულ ცხოვრებაზე ვსაუბრობთ, არ შეიძლება არ მოვიხსენიოთ ვახტანგ VI-ის მიერ დაარსებული პირველი ქართული სტამბაც — მისი წიგნების შრიფტი, რომელიც ქართული კალიგრაფიის საფუძველზეა შექმნილი, აგრეთვე წიგნების გაფორმება გრავიურებით, რომლებიც თავისი წარმოშობით დასავლეთ-ევროპულ ხელოვნებას უკავშირდება.



1.ბოქაული თასის ჭურჭელი თრელის სამარხიდან. ძვ. წ. VIII–VII სს., 2. წარჩინებული ძვირფასი ოქროს სამაჯური თრელის სამარხიდან. ახ. წ. III ს., 3. ოქროს სამკაულები ეიშლოკარას სამარხებიდან.



მოპოქული თიხის ჭურჭელი ერეკლე II-ის მოედნიდან, IX—X სს.

თამარ მეფე.

4



თაძარ მეფის გვერსაკიდი ჯვარი.



ჯამები თბილისის კერამიკული სახელოსნოდან. XIII—XIV სს.

ჭურჭელი თბილისის კერამიკული სახელოსნოდან. XIII –XIV სს.

1. იმპორტული ჭურჭლის ფრაგმენტი თბილისის დედაციხიდან, XVI—XVII სს..
2. მოჭიქული ჭურჭელი თბილისის დედაციხიდან.

მარიამ დედოფლის მიერ თბილისის სიონისათვის შეწირული ღვთისმშობლის ოქ-
როს ხატი. XVII ს.



[illegible]
[illegible]

მოჭიქული კეცეული თბილისის დედაციხიდან. XVII–XVIII სს.

[illegible] XVIII c.



ერეკლე II-ის ახალგაზრ. XVIII ს.



ამბიციოზული ქალის ფეხსაცმელი. XVIII ს.

თეკლა ბატონიშვილის (ერეკლე II-ის ასული) სუზ ნ-საფენი. ქართული ნაქარგობის ნიმუში. XVIII—XIX სს.

XI

თბილისი XVIII ს. პირველ ნახევარში. აღმავლობისა და დაცემის ორი პერიოდი

თბილისი XVIII ს. პირველ ოცეულში

1703 წელს ირანის შაჰმა ქართლში გიორგი XI გაამეფა. მან ერთდროულად მიიღო ავღანთა მბრძანებლის ტიტული. ქართლის მეფე, როგორც ავღანურ-ბელუჯური ოლქების მმართველი და ირანის ჯარების მთავარსარდალი, ქ. ყანდაარში გაიგზავნა ქართული რაზმებით, მის შემცვლელად კი, ე. წ. ჯანიშინად, თბილისში დაინიშნა გიორგი XI-ის ძმისწული ვახტანგ ლევანის ძე ბაგრატიონი. იმავე წელს, ირანიდან თბილისში დაბრუნდა ვახტანგის მამა, ლევან ბაგრატიონი (გიორგი XI-ის ძმა), რომელმაც ირანის შაჰისა და ქართლის მეფის სახელით რიგი ღონისძიებანი გაატარა. ჩამოიშორა ერეკლე I-ის დროს აღზევებული პირები. თავისი ადგილი მიუჩინა თბილისის მეციხოვნეებს, შეზღუდა მათი თავხედობა. ლევან ბაგრატიონის საქმიანობა ერთდროულად აძლიერებდა პატრიოტულ ფასს და საფუძველს უქმნიდა ირანოფილურ განწყობილებასაც.

პოლიტიკურმა კონიუნქტურამ განაპირობა თბილისი-ყანდაარის შორეული სატრანზიტო მაგისტრალის წარმოქმნაც. თბილისიდან ყანდაარში ინტენსიურად იგზავნებოდა სამხედრო რაზმები, ოფიციალური მოხსენებები, ქართული ხელნაწერი წიგნები, ანალოგიურად ყანდაარსაც მჭიდრო კავშირი ჰქონდა თბილისთან. ბუნებრივია, მყარდებოდა სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობაც. ამ დროს ჩამოყალიბდა ქართლ-ავღანეთის თავისებური კავშირი, რამაც ქ. თბილისი აქცია აღმოსავლეთის ერთ-ერთ პოლიტიკურ ცენტრად. ავღანეთიდან ყანდაარ-ქაბულის გზაზე გადიოდა მნიშვნელოვანი საერთაშორისო ტრასა ინდოეთისაკენ.

ირანის პოლიტიკურ ასპარეზზე ქართველთა აქტიური მონაწილეობა შესანიშნავ პერსპექტივებს უქმნიდა ქართლის სამეფოს ავტორიტეტის ზრდას შაჰის კარზე. ავღანეთის „ქართული ზღუდე" ქართველთა ლოიალობის მნიშვნელოვან გარანტიად ჩანდა. ასეთ შემთხვევაში უშუალოდ საქართველოში მოქმედ „ჯანიშინს" ბევრ რამეში ჰქონდა ხელები გახსნილი. ეს შესანიშნავად გამოიყენა ვახტანგ ლევანის ძე ბაგრატიონმა (შემდეგში მეფე ვახტანგ VI).

ვახტანგ ლევანის ძე ბაგრატიონმა გამგებლობა ერეკლე I-ის დროს „შეშლილი" ქართული წესების გასწორებით დაიწყო. საერთოდ მისი

მოღვაწეობა „ჯანიშინობის“ საწყის პერიოდშივე ფართო განმანათლებლურ მიზნებს ისახავდა. მაჰმადიანური რეაქციის პირობებში ვახტანგი ეროვნულ-ქრისტიანული პოლიტიკის მედროშედ გამოვიდა. ეს პოლიტიკა, რასაკვირველია, ეწინააღმდეგებოდა ირანის შაჰის პროგრამას, მაგრამ, სანამ ქართველი მეფე გიორგი XI სპეციალური რაზმებით ყანდაარში იდგა და ავღანთა მრავალრიცხოვან ტომებს აკავებდა, ქართლი ოფიციალურად არ გამოდიოდა ირანის სახელმწიფოებრივი ორბიტიდან და მაჰმადიანი მეფის ზურგს ამოფარებული ქრისტიანი „ჯანიშინი“ ქართლში წარმატებით საქმიანობდა. ამ პერიოდში ვახტანგის ეს მოღვაწეობა ძალზე იოლად ინიღბებოდა[1].

ვახტანგ VI-ის „ჯანიშინობის“ დროინდელი საშინაო პოლიტიკა უაღრესად ფრთხილი და მოქნილი იყო. მის წინაშე დიდი პრობლემები იდგა. უპირველესად ქართლის გამგებელს ევალებოდა სამსახური ორი სიუზერენისადმი, ემორჩილებოდა როგორც გიორგი XI-ს, რომელიც საქართველოდან ძალზე შორს — ავღანეთში „მოღვაწეობდა“ (უგზავნიდა მას იარაღს, ჯარისკაცებს, სურსათს, — განსაკუთრებით ღვინოს და ა. შ.), ასევე ირანის შაჰს. ეს უკანასკნელი ხშირად გიორგი XI-ის გარეშე აგვარებდა საქმეებს „ჯანიშინთან“. ვახტანგმა თანდათანობით ჩამოაცილა სამეფო კარს მისთვის მიუღებელი და მერყევი ელემენტები; სცადა სახელმწიფოებრივი მმართველობის დარგობრივი დაყოფა. მმართველობიდან განდევნა შემთხვევითი პირები და თავის გარშემო ფართო განათლებისა და კულტურის მქონე მოღვაწეთა ბრწყინვალე პლეადა შემოიკრიბა.

გასაგებია, რომ ახალ გამგებელს უხდებოდა შეჯახება „სპარსულ“ გავლენასთან. თანაც ეს ისე უნდა მოგვარებულიყო, რომ ანტიმაჰმადიანური პროპაგანდა დასაწყისშივე არ დაპირისპირებოდა თბილისში განლაგებული ირანული გარნიზონისა და მაჰმადიანური მოსახლეობის განწყობილებას. ამიტომაც „ჯანიშინმა“ საქმიანობა დაიწყო ქართულ-ქრისტიანული იდეოლოგიის ხელის შეწყობით, შერყვნილი ქართული ყოფა-ცხოვრების მოწესრიგებით. საჭირო იყო ქრისტიანულ-მართლმადიდებლური ეკლესიის ავტორიტეტის ამაღლება. ეკლესია წარმოადგენდა ფეოდალური იდეოლოგიის ძირითად მასაზრდოებელ წყაროს. იმისათვის, რომ ეკლესია ქართველობისათვის ბრძოლაში გვერდით ამოეყენებინა, აუცილებელი იყო მისი ზნეობრივი განწმენდა. ამ მიზნით, მოწვეულ იქნა საეკლესიო კრება, რომელმაც განიხილა კათალიკოსის საკითხი. აქ პირველად გამოჩნდა „ჯანიშინის“ პრინციპულობა. გიორგი XI-ის გადაწყვეტილებით კათალიკოსად უნდა ეკურთხებინათ ნიკოლოზი (თავის

[1] ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. VI, 1973, გვ. 282—287.

დროზე უკვე კათალიკოსად ნამყოფი და ერეკლე I-ის მიერ გადაყენებული). ვახტანგ VI-ის მხარდაჭერით ეპისკოპოსებმა აღარ ინებეს ნიკოლოზი („რამეთუ არის სოფლიერი, ე. ი. მიწიერი"), დაიწუნეს მეორე კანდიდატურაც — ევდემონ დიასამიძე („დაუდეს უმეცრება"). საეკლესიო კრებამ კათალიკოსად ერთხმად აირჩია დომენტი ლევანის ძე ბაგრატიონი (ვახტანგ VI-ის ღვიძლი ძმა). ახლა კათალიკოსი გახდა „ჯანიშინის" ენერგიული და საიმედო თანამდგომი. თავისი მოღვაწეობის მთელ მანძილზე (ერთი გამონაკლისის გარდა) იგი აქტიურად ეხმარებოდა ვახტანგს, შველოდა ძმას სამეფოს საქმეების მოწესრიგებაში. აღსანიშნავია, რომ დომენტი ახლად დაბრუნებული იყო რუსეთიდან, სადაც მიიღო სასულიერო განათლება, იგი შესანიშნავად ფლობდა ძველ ბერძნულ და სლავურ ენებს, იცნობდა რუსულ კულტურას. 1705 წლის საეკლესიო კრება ფაქტიურად წარმოადგენდა დიდი კულტურული აღმავლობის დასაწყისს.

ცენტრალური ხელისუფლების გაძლიერებისა და განმტკიცების მიზნით, ვახტანგმა შექმნა ე. წ. „მცველთა რაზმი". იგი ტიპური სამეფო გვარდია იყო, რიგითი ჯარისკაცებიც კი აზნაურთა ფენას ეკუთვნოდნენ. ქართული ისტორიოგრაფიის ტრადიციული შეფასებით ეს გვარდია არსებითად მიმართული იყო დიდგვაროვანი ფეოდალების, თავადების წინააღმდეგ. იგი 3 რაზმისაგან შედგებოდა (თავადიშვილები, აზნაურები, მსახურები) და თითოეულის სათავეში ასისთავი იდგა. გვარდიელებს ჯამაგირი სახელმწიფო ხაზინიდან ეძლეოდათ და ფართო პრივილეგიებიც ჰქონდათ. ამ პატარა რაზმმა ზოგიერთი ფეოდალის დიდი გულისწყრომა გამოიწვია[2]. სავარაუდოა, რომ „მცველთა რაზმი" მთლიანად დაყრდნობილი იყო ქ. თბილისის შემოსავალზე. საფიქრებელია, რომ ეს რაზმი ძირითადად იდგა თბილისში მაჰმადიან მეციხოვნეთაგან ქართველი მეფის უშიშროების საგარანტიოდ.

ვახტანგ VI არ კმაყოფილდებოდა მხოლოდ ქართლის სამეფოს საშინაო საქმეებით (რაც მას ევალებოდა, როგორც ჯანიშინს), მისი მთელი მოღვაწეობა უფრო გრანდიოზული მიზნის — ეროვნული გათავისუფლებისათვის ბრძოლის ფართო სამზადისად იქცა. ნიჭიერმა გამგებელმა აქტიური საგარეო პოლიტიკით (საქართველოს სამეფო-სამთავროების მასშტაბით) სწრაფად აღადგინა ქართლის სამეფოს ჰეგემონია ამიერკავკასიაში. იგი ცდილობდა განემტკიცებინა გავლენა კახეთსა და იმერეთში, 1707 და 1711 წელს ორგზის დალაშქრა ოსეთი, შემოიმტკიცა ეს მხარე, გაამაგრა ქართლის ჩრდილოეთი სასაზღვრო ხაზი. (ამ აქტს ბუნებრივად მოჰყვა ქსნისა და არაგვის ერისთავების ცენტრიდანული

---

[2] ვ ა ხ უ შ ტ ი, ცხოვრება ქართლისა, დ. ჩუბინაშვილის გამოც. (ქართლის ცხოვრება, II, პეტერბურგი, 1854, გვ. 71, 78).

პოლიტიკის მოთოკვაც). ერთი სიტყვით, საქართველოს „აღდგენა-გამოხსნისათვის“ ბრძოლის იდეა პრაქტიკულ ამოცანად დაისახა.

ვახტანგ VI-ის დროს გაიზარდა ქართველი მოსახლეობის ხვედრითი წილი თბილისში, მმართველობის ქართული ინსტიტუტები და, რაც მთავარია, გაფართოვდა ქართული კულტურის კერები XVIII საუკუნის პირველ მეოთხედში.

მძლავრი კულტურული მშენებლობის პარალელურად მიმდინარეობდა სამეურნეო აღმავლობაც. ვახტანგ VI-მ „გამოიღო რუნი“, ე. ი. გაიყვანა საირიგაციო არხები, დააბრუნა ქართლიდან გაფანტული მოსახლეობა, კათალიკოს დომენტის მისი და გიორგი XI-ის რეკომენდაციით დაუბრუნეს სვეტიცხოველის კუთვნილი მამულები კახეთში. ქრისტიანმა მეფემ სასტიკად შეუტია ტფილისის ციხის მცველთა თავხედობას. „დაამდაბლა თათარნი და უმეტეს ტფილისის ციხის მცველნი“, მთლიანად მოშალა ტყვის სყიდვა. სამეფო ხელისუფლების ღონისძიებებმა და განსაკუთრებით იმდროინდელი ქართველი ინტელიგენციის თავმოყრამ ქ. თბილისში ქალაქურ სოციალურ ძალთა გადაადგილება გამოიწვია, შენელდა თბილის-ქალაქისა და პროვინციის დაპირისპირება, სამაგიეროდ გაიზარდა თბილის-ქალაქისა და ციხე-თბილისის ანტაგონიზმი.

ერეკლე I-ის დროიდან აღარ იცვლებოდნენ თბილისის ციხის მაჰმადიანი მცველნი, აქ უკვე ოჯახებით ცხოვრობდნენ და ბევრ სირთულეს ქმნიდნენ. ვახტანგ VI-მ მკვეთრად შეზღუდა ისინი, მაგრამ, რასაკვირველია, მას არ შეეძლო ანტიქართული ქმედების ამ მძლავრი ბასტიონის აღმოფხვრა—თბილისის ციხე უშუალოდ ირანის შაჰის იურისდიქციაში შედიოდა, ქართველ გამგებელს შეეძლო მეციხოვნეთა ალაგმვა ციხის გარეთ, მაგრამ უშუალოდ ციხეში თვით მათ სტატუსს ვერ შეეხებოდა, ეს განიხილებოდა ანტიირანულ აქტად. ასე რომ, თვით ვახტანგ VI-ის პოლიტიკური მოღვაწეობა ნებსით თუ უნებლიეთ რეგულირდებოდა ქართველთა მდგომარეობით შორეულ ავღანეთში.

ვახტანგ VI-ის წონას ირანის შაჰის თვალში მეტად ზრდიდა ქართლის მეფის გიორგი XI-ის სამხედრო წარმატებები იმპერიის აღმოსავლეთ საზღვრებზე. დაცემის გზაზე დამდგარი სეფიანთა ტახტი ავღანთაგან დაპყრობის რეალური საფრთხის წინაშე იდგა. ასეთ კრიტიკულ მომენტში ავღან-ბელუჯთა წინააღმდეგ ბრძოლის ბედი შაჰმა ქართველებს მიანდო. თავდაპირველად ქართველებმა მეტად ადვილად შემუსრეს „მეამბოხენი“ და სასურველი წესრიგიც დაამყარეს[3]. ირანელებზე არაერთგზის გამარჯვებით გათამამებულმა ავღანელებმა და ბელუჯებმა მძიმე დარტყმები იგემეს. ამ დროს ავღანეთში 2000-მდე ქართველი მოლაშქრე იყო (უმთავრესად აზნაურ-მსახურნი, ე. ი. პროფესიული მეომრები). მაგრამ

[3] ამის შესახებ ვრცლად იხ. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, გვ. 400—403.

ეს წარმატებანი დროებითი აღმოჩნდა. გადამწყვეტ მიზეზთა მთელი კომპლექსის გამო ავღანელებმა მოახერხეს ქართველთა დამარცხება. 1709 წელს ავღანთა ბელადმა მირ ვეისმა ღალატით მოკლა მრისხანე „გურგინ ხანი“ — გიორგი XI.

ირანის შაჰმა ქართლის მეფედ დაამტკიცა ქაიხოსრო ლევანის ძე ბაგრატიონი (გიორგი XI-ის ძმისწული, ვახტანგ VI-ის ძმა). ახალ მეფეს ძველის ანალოგიური უფლებები მიანიჭეს და კვლავ ავღანთა წინააღმდეგ ბრძოლა დაავალეს. მეფის შეცვლას არაფერი შეუცვლია საქართველოში. ვახტანგ VI-მ ქ. თბილისში მოაწყო გიორგი XI-ის ოფიციალური გლოვა. ავღანეთში კვლავ გაიგზავნა 2000-მდე ქართველი რჩეული მხედარი, მაგრამ ქართველთა წარუმატებლობამ ავღანეთში უარყოფითად იმოქმედა თბილისელ მაჰმადიანებზე.

„ვინაიდან (ვახტანგმა) დაამდაბლა მცველნი თბილისის თათარნი“... „განდგნენ და დახშეს კარნი ციხისა და იწყეს სროლა თოფ-ზარბაზნითა“[4]. კრიტიკული დრო იდგა, ქართლის დახმარება უაღრესად სჭირდებოდა შაჰს, ამიტომ ახლა დაუჯერა ვახტანგ VI-ის საჩივარს „თათრებზე“ და შაჰისავე ბრძანების საფუძველზე „მტარვალნი, თბილისის ციხის მცველნი ხელ-ხუნდოსანნი მიჰგვარეს ვახტანგს, მერე გაგზავნეს, დაამწყვდიეს ალამუტის ციხეში“. რა თქმა უნდა, მთლიანად არც ამის შემდეგ დამორჩილებია თბილისის ციხე ქართველ გამგებელს, ციხეში ახალი გარნიზონი შევიდა, რომელიც ასევე მალე გადაიქცა მაჰმადიანური მოსახლეობის დასაყრდენად, მაგრამ 1709—1714 წლებში მთლიანად მოისპო ტყვის სყიდვა... საერთოდ, ვახტანგ VI ცდილობდა მოესპო ირანში ტყვეთა გაგზავნის ხარკიც. ეს წესი დაკანონდა როსტომ მეფის დროიდან, რომელიც სისტემატურად „ამარაგებდა“ შაჰს ახალგაზრდა ქართველი ქალ-ვაჟებით; ასევე იქცეოდა ერეკლე I ნაზარ-ალი ხანი. მათგან განსხვავებით, ვახტანგ VI ცდილობდა ხელი აეღო ამ ხარკზე.

1711 წელს ავღანეთში, ყანდაარზე იერიშისას, დაიღუპა ქართლის მეფე ქაიხოსრო I. გადარჩენილი ქართველი მხედრები შეეხიზნენ გირიშკის ციხესიმაგრეს. „გურჯისტანის ვალის“ ტახტი კვლავ თავისუფალი აღმოჩნდა. ირანში მოღვაწე მაჰმადიან ქართველთაგან (ბაგრატიონთაგან) ბევრს ჰქონდა პრეტენზია ქართლის ტახტზე. XVIII საუკუნის ათიანი წლებისათვის „გურჯისტანის ვალის“ მნიშვნელობა ძალზე დიდი იყო ირანის სახელმწიფოში. ამ დროს ეს „ვალი“, ანუ ქართლის მეფე ერთდროულად ირანის მთავარსარდალი, შაჰის კარის ერთ-ერთი უმაღლესი მოხელე და ავღანეთის მბრძანებელიც იყო[5]. ქართლის მეფედ ვინმეს გამორჩევა ფაქტიურად ნიშნავდა როგორც საქართველოში, ისე ირანში

---

[4] ვ ა ხ უ შ ტ ი, ქართლის ცხოვრება, ტ. IV, გვ. 75.

[5] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, გვ. 403.

მყოფი ქართველების პოლიტიკური ლიდერის ოფიციალურ დამტკიცებას. ირანის შაჰი ცდილობდა ისეთი პირი გამოეძებნა, რომელიც შეინარჩუნებდა საქართველოს ლოიალობასაც და ავღანეთსაც დააშოშმინებდა. ამჯერად შაჰ-ჰუსეინმა ნამდვილად ყველაზე ღირსეული კანდიდატურა გამონახა. მან მართლაც ქართველთაგან ყველაზე საუკეთესო — საქართველოში მოსახლეობის ყველა ფენისაგან უკვე ფაქტიურად მეფედ აღიარებული პიროვნება — ვახტანგ VI გამოარჩია და „ჯანიშინს" ქართლის ტახტი შესთავაზა. ირანში შესანიშნავად იცოდნენ ვახტანგ VI-ის დიდი ორგანიზატორული ნიჭი და, რაც ყველაზე მთავარია, მისი არაჩვეულებრივი პოპულარობა ქართველ მოსახლეობაში. ისიც ანგარიშგასაწევი უნდა ყოფილიყო, რომ მას დიდი პოლიტიკური წონა ჰქონდა სხვა ქართულ სამეფო-სამთავროებშიც.

1712 წელს ქ. თბილისში ვახტანგ VI-ის ირანში მიწვევის ფირმანით ჩამოვიდა ირანის შაჰის ჰუსეინის მოხელე. ვახტანგ VI-მ დიდი სამზადისი ჩაატარა, ქვეყნის მმართველად დატოვა მომდევნო ძმა სვიმონი, ოჯახი დააბინავა გორში და აპრილში დიდი ამალით გაემგზავრა ქ. ისპაჰანში. მას თან გაჰყვა მთავარი მრჩეველი, მასწავლებელი, თანამშრომელი და მეგობარი სულხან-საბა ორბელიანიც.

ვახტანგ VI-მ გადაჭრით უარი თქვა წინამორბედი მეფეების მსგავსად მიეღო მაჰმადიანობა. მას მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი ქრისტიანობით დაუფლებოდა ქართლის ტახტს.

ირანში კარგად იცოდნენ, რომ ქართველი ბაგრატიონების მაჰმადიანობა (მცირეოდენი გამონაკლისის გარდა) ფიქცია იყო, მაგრამ მაჰმადიანი „ვალის" დასმა ქართლის ტახტზე მიზნად ისახავდა „გურჯისტანის" ფორმალურად აღიარებას ირანის ერთ-ერთ პროვინციად, ხაზს უსვამდა აღმოსავლეთ ამიერკავკასიაზე შაჰის უცილობელ ხელისუფლებას, რასაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ირანისათვის.

საფიქრებელია, ვახტანგ VI-ის გარსშემოკრებილმა დასმა გადაწყვიტა ესარგებლა ხელსაყრელი მომენტით და მშვიდობიანი გზით დაერღვია საქართველო-ირანის ურთიერთობის მთელი საუკუნის მარეგულირებელი რგოლი. როგორც ჩანს, ქართველ მოღვაწეებს წარმატების იმედი ჰქონდათ. ვახტანგი „მცირედით" კმაყოფილდებოდა, ცდილობდა შეერბილებინა, უფრო ასატანი გაეხადა ირანის „ვასალობა"[6].

ვახტანგ VI-მ ვერ გაითვალისწინა ის, რომ, მართალია, იგი შაჰისთვის ყველაზე მისაღები პიროვნება იყო, მაგრამ არა ერთადერთი. ბევრ

---

[6] სამწუხაროდ, ვახტანგ VI-მ ზუსტად ვერ შეაფასა სიტუაცია. ჯერ ერთი, გათვალისწინებული არ იქნა ირანის კლერიკალური წრეების („ომარათა") როლი. „შაჰი მზად იყო ქრისტიანობით მიეცა ტახტი, მაგრამ არა აუფლეს ომარათა" (ვ ა ხ უ შ ტ ი, ცხოვრება ქართლისა, ქართლის ცხოვრება, II, დ. ჩ უ ბ ი ნ ა შ ვ ი ლ ი ს გამოც., პეტერბურგი, 1854, გვ. 77).

პროგრესულად განწყობილ მოღვაწეს ქართლში მიაჩნდა, რომ ვახტანგის უარი მაჰმადიანობაზე გამოიწვევდა ობიექტურად ცუდ შედეგს, ამიტომაც მხარს უჭერდა ძველი მდგომარეობის აღდგენას. ასეთი პოზიცია ჰქონდა ქ. თბილისის ქრისტიანულ მოსახლეობას. მაჰმადიანური მოსახლეობა საერთოდ ვახტანგ VI-ის წინააღმდეგი იყო ყველა შემთხვევაში.

ვახტანგ VI-ის პოზიციით აღშფოთებულმა ირანის შაჰმა ჰუსეინმა ქართლის მეფედ იესე ალი-ყული ხანი დაამტკიცა (ვახტანგ VI-ის ძმა). იესე გამოირჩეოდა მკვეთრი ირანოფილურობით, მაჰმადიანური ყოფის ერთგულებით. მის შესახებ ვახტანგი ამბობდა: „მუდამ განდგომილი, მტერი და ეშმაკია"... ირანის არმიის ყოფილი თოფჩიბაში (ე. ი. არტილერიის უფროსი) იესე ცდილობდა შაჰისათვის ერთგულება დაემტკიცებინა. მან ანტიქართულ პოლიტიკაში თვით ირანელ მოხელეებსაც კი გადააჭარბა. დაუკავშირდა ქ. თბილისის მაჰმადიანურ მოსახლეობას, ქვემო ქართლში მობინადრე მომთაბარე ელებს, კვლავ წინ წამოსწია თბილისის მეციხოვნენი. მისი წაქეზებით თბილისის მეციხოვნეებმა შაჰის კარზე ოფიციალურად დასდეს ბრალი ვახტანგს, თითქოს მისი ბრძანებით დაწვეს ყურანი საჯაროდ ქ. თბილისში და შეურაცხყოფდნენ მაჰმადიანებს რელიგიური წესების შესრულების დროს. ქ. თბილისში ჩამოვიდა ირანის შაჰის სპეციალური მოხელე — ვინმე ხოლოფა, რომელსაც უნდა გამოეკვლია ვახტანგ VI-ის მიერ ჩადენილი ანტიირანული და ანტიისლამური მოქმედებანი. საბედნიეროდ, ეს მოხელე ქართველებმა საკმაოდ იოლად მოიშორეს.

იესეს მმართველობას არ მოჰყოლია მოსალოდნელი მშვიდობიანობა. მან ქართველი საზოგადოების ყველა ფენის უკმაყოფილება გამოიწვია. იგი ეყრდნობოდა მხოლოდ თბილისის მაჰმადიანურ მოსახლეობას, განსაკუთრებით თბილისელ მეციხოვნეებს, რომელთაც განაახლეს ქრისტიან მოქალაქეთა შეურაცხყოფა. ქართლში წარმოიშვა მძლავრი საპროტესტო მოძრაობა, რომელსაც სათავეში სრულიად ახალგაზრდა ბაქარ ვახტანგის ძე ბაგრატიონი ჩაუდგა. იესემ შაჰს ვახტანგის დაპატიმრება მოსთხოვა. ქართლის პოლიტიკური სტაბილიზაციის მიზნით, ვახტანგ VI-ს პატივი აჰყარეს და დააპატიმრეს, მაგრამ ამ ღონისძიებას სასურველი შედეგი არ მოჰყოლია, ქართლის სამეფო კვლავ ბობოქრობდა. ბოლოს ვახტანგ VI იძულებული გახდა კომპრომისზე წასულიყო, 1716 წელს იგი ფორმალურად გამაჰმადიანდა[7]. ირანის შაჰმა მეფობიდან გადააყენა იესე ალი-ყული ხანი და მეფედ დაამტკიცა ვახტანგ VI (შაჰ ჰუსეინ-ყული ხანი), ახალი მეფე დროებით ირანში დატოვეს, ჯანიშინად დასვეს მისი ვაჟი ბაქარი (შაჰნავაზ II). თბილისი კვლავ იქცა ქართველი ურთიერთდაპირისპირებული ჯგუფების ანგარიშსწორების ასპარეზად. აღსანიშნავია,

[7] „მხოლოდ სიტყვით და არა საქმით". — ვ ა ხ უ შ ტ ი, დასახ. გამოც., გვ. 80.

რომ თბილისის მოსახლეობის უდიდესი ნაწილი სიხარულით შეხვდა ბაქარ ვახტანგის ძე ბაგრატიონის მმართველობას. მიუხედავად ამისა, ქართლის შიგნით მდგომარეობა გართულდა. გახშირდა დაღესტნელი ფეოდალების თავდასხმები ქართლსა და მაჰმადიანურ პროვინციებზე. მათი მძაფრი ანტიირანული მოქმედების საბაბად იქცა დიდი ვეზირის ფათალი ხანის მკვლელობა (იგი წარმოშობით დაღესტნიდან იყო). მოთარეშე ურდოები ჩასხდნენ დარუბანდში, შემახასა და ჭარ-ბელაქანში, საიდანაც არბევდნენ საქართველოს. ლეკთა პრობლემა მთელი სიმწვავით დადგა მთელ ირანსა და მის მიერ დამორჩილებულ ქვეყნებში.

1719 წელს შაჰ ჰუსეინმა ვახტანგ VI საქართველოში დააბრუნა, იგი „გამოუშვეს" ერთი პირობით: უკუეგდო შემოსევები დაღესტნიდან. მოცემულ მომენტში საქართველოსა და ირანის ინტერესები ერთმანეთს დაემთხვა.

1719 წლის აგვისტოში ვახტანგ VI თბილისში შემოვიდა. დედაქალაქში დიდი ზეიმი მოეწყო. ქართლის შერყეული ჰეგემონობა ამიერკავკასიაში სწრაფად აღდგა.

როგორც ჩანს, დაღესტნელთა წინააღმდეგ ორგანიზებულ გამოსვლას ვახტანგ VI უკავშირებდა „აღდგენა-გამოხსნის" ფართო გეგმებს, რუსეთის იმპერიასთან სამხედრო კავშირის დამყარებას.

1721 წელს ვახტანგ VI დაინიშნა სამხრეთ აზერბაიჯანის სპასალარად. ქართველი მეფის ხელში აღმოჩნდა ფაქტობრივად ჩრდილო ირანის სამხედრო ხელისუფლება. ამ მომენტში ქართლს შეეძლო გადაერჩინა ირანის იმპერია დაცემისაგან, თუ იგი სამხრეთ აზერბაიჯანისა და აღმოსავლეთ ამიერკავკასიის გაერთიანებული ძალებით შემუსრავდა ავღანელებს. მაგრამ ქართველი მეფე სულაც არ იყო დაინტერესებული ვერაგი სიუზერენის გადარჩენით. იგი აპირებდა დაღესტნის საკითხის მოგვარებას ქართლის ინტერესების შესაბამისად; იგი დიდი ლაშქრით უნდა წასულიყო განჯისაკენ, სადაც ადგილობრივი სუნიტი მოსახლეობის წყალობით ლეკთა მრავალრიცხოვანი ბრბოები იყო განლაგებული. ქართველებმა შეუტიეს მტერს ძეგამში, შამქორში, ბარდავში, ჭარში და თითქმის ყველგან სასტიკი მარცხი მიაყენეს[8]. შეშინებულმა ლეკებმა ერთდროულად ითხოვეს დაზავება როგორც ვახტანგთან, ასევე უშუალოდ ირანის შაჰთან. ვახტანგ VI არ აპირებდა შერიგებას, მას სურდა აღეკვეთა დაღესტნელთა თარეში. ამ მიზნისათვის იგი ეყრდნობოდა არა მაჰმადიანური პროვინციების სამხედრო ძალებს, არამედ ცდილობდა ამიერკავკასიის ქრისტიანული ძალების მობილიზებას. მისი ერთგული თანა-

[8] საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. IV, გვ. 411.

შემწე გახდა ალვანეთის (ყარაბაღის) გრიგორიანული ეკლესიის მეთაური, განძასარის კათალიკოსი ესაია ჰასან ჯალალიანცი[9].

შაჰ ჰუსეინი შესანიშნავად მიხვდა, რომ ვახტანგ VI ირანის სახელით არსებითად საქართველოს „აღდგენა-გამოხსნისათვის“ იბრძოდა. იგი შეშინდა, რომ დაღესტნელებზე გამარჯვების შემდეგ ქართველი მეფე მოახდენდა ამიერკავკასიის ქრისტიანულ ძალთა გაერთიანებას, დაუკავშირდებოდა რუსეთს და მახვილს ირანისაკენ მიმართავდა. ირანში ფიქრობდნენ: „თუ მეფემ ვახტანგ ჭარი დაიპირა, ქვეყანასაც ის დაიპერსო“[10]. ამიტომაც შაჰმა ქართველებს ლაშქრობა მოაშლევინა და თბილისში დაბრუნება უბრძანა. „ვახტანგი გასრესდა კიდევაც ლეკებს, მაგრამ მან მიიღო ბრძანება სამშობლოში დაბრუნებულიყო“[11].

ვახტანგ VI-მ საჯაროდ დაიფიცა, რომ აღარასოდეს შეასრულებდა შაჰის ბრძანებას. მან ეს ფიცი შეასრულა[12].

XVIII საუკუნის 20-იან წლებში ირანი პოლიტიკურმა აგონიამ მოიცვა. ჩრდილო-აღმოსავლეთიდან დაიძრა ავღანთა ლაშქარი მირ-ვეისის ვაჟის მირ-მაჰმუდის ხელმძღვანელობით, ჩრდილოეთით ირანულ პროვინციებს შეუტიეს დაღესტნელებმა სურხაი ხანისა და ჰაჯი-დაუდის მეთაურობით, ირანის ყოფნა-არყოფნის საკითხი დადგა... ირანის დაცემა გამოიწვევდა პოლიტიკურ ძალთა გადაფასებას აღმოსავლეთში, ამ ქვეყნის საშინაო და საგარეო მდგომარეობა შესაბამის რეაქციას იწვევდა მეზობელ თურქეთსა და რუსეთში. ირანის სტაბილიზაცია გარკვეული აზრით იცავდა აღმოსავლეთ ამიერკავკასიის სტატუსს. თურქეთ-რუსეთის ურთიერთმეტოქეობა უშვებდა შედარებით სუსტი ირანის პოლიტიკურ ბატონობას ამ პროვინციებში. ამავე დროს რუსეთმა, დაასრულა რა წარმატებით ომი ჩრდილოეთში, თვალი მიაპყრო კავკასიას. ახლა უკვე რუსეთის სახელმწიფო უკავშირდება ქართლის მეფეს[13]. რუსეთსა და ქართლს შორის ერთობლივი საერთო მოქმედების გეგმა შემუშავდა, მაგრამ მას განხორციელება არ ეწერა.

თბილისის ჭრელ მოსახლეობაში ჯერ კიდევ ბევრი იყო ირანოფილური თუ თურქოფილური განწყობილების მოქალაქე. ასეთ ვითარებაში ვახტანგმა კვლავ ქრისტიანობა აღიარა, რაც თავისთავად ნიშნავდა ირანის „ხელდების“ უარყოფას. ამასობაში თბილისი თანდათან იქცეოდა რუსუ-

---

[9] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, გვ. 413.

[10] იქვე.

[11] იქვე.

[12] ა. გაწერელია. მასალები ვახტანგ VI-ის ბიოგრაფიისათვის 1712—1722 წწ. „მნათობი“, 1956, №1, გვ. 162—163.

[13] ამ კავშირის შესახებ დაწვრილებით იხ. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, გვ. 410—428.

ლი ორიენტაციის მომხრეთა შემოკრების ცენტრად. აქ ჩამოდიოდნენ სომხეთის განმათავისუფლებელი მოძრაობის მოღვაწეები.

1722 წლის 3 აგვისტოს პეტრე I დარუბანდ-ბაქოსაკენ დაიძრა, ამოქმედდა თურქეთიც. თბილისში ერთდროულად ჩამოვიდნენ ელჩები სტამბოლიდან და პეტერბურგიდან. ამავე დროს ირანმა გვარდიის უფროსად (ე. ი. ყულარაღასად) დანიშნა ბაქარ ვახტანგის ძე ბაგრატიონი და სთხოვა მას ეკისრა ავღანთა წინააღმდეგ ბრძოლის მოთავეობა. ცოტა ხნით ადრე თბილისში იმყოფებოდა განძასარის კათალიკოსი ესაია ჯალალიანცი, რომელმაც ქართველებს ამიერკავკასიის გაერთიანება შესთავაზა რუსეთის მფარველობის გარანტიით. უაღრესად რთული ვითარება იდგა. საჭირო იყო ზუსტი მოქმედება... ბაქარი და ზოგიერთი დიდებული ნაადრევად მიიჩნევდნენ აშკარად რუსეთის მხარეზე გამოსვლას — ბაქარმა გადაწყვიტა მიეღო ირანის გვარდიის მთავარსარდლობა. მაგრამ ვახტანგ VI-ს უკვე მიღებული ჰქონდა გადაწყვეტილება — მან არჩევანი რუსეთზე შეაჩერა. ერთობლივი გეგმის შესაბამისად, ვახტანგ VI დაიძრა განჯისაკენ, სადაც მას შეუერთდა სომეხთა სახალხო ლაშქარი. აქ ვახტანგ VI 3 თვე ამაოდ უცდიდა პეტრე I-ს; რუსეთის არმიამ დაიკავა კასპიისპირეთის პროვინციები, რის შემდეგ პეტრე I რუსეთში გაბრუნდა. აღმოსავლეთ საქართველო აღმოჩნდა განრისხებული თურქეთისა და ირანის პირისპირ, მოკავშირის გარეშე. ვახტანგ VI-მ სცადა თურქეთთან მორიგება და მას პოლიტიკური კავშირი შესთავაზა; მეფე ამ ნაბიჯს სამანევრო ღონისძიებად მიიჩნევდა. იგი რუსეთის იმპერიის ერთ-ერთ მოხელეს სწერდა: „თურქეთს ვუთხარით, „გეყმობითო", აქამდე რომ ფოცხვრის ჭანგისაგან გამოხსნას ვეხვეწებოდით, ახლა ბაბრის ჭანგში არ შეგვაგდონ"[14]... მართლაც, მერმინდელი ვითარება ქართლისა და თბილისისათვის სავალალო აღმოჩნდა. „ბაბრი" თავისი კლანჭებით აქეთკენ მოიწევდა.

თბილისი ოსმალობა-ყიზილბაშობის დროს

ოსმალთა გაბატონება თბილისში

XVIII საუკუნის 20-იან წლებში ამიერკავკასიაში პოლიტიკური სიტუაცია მეტად დაიძაბა. ირანში შაჰ ჰუსეინის ზეობის დროს (1694—1722 წწ.) კრიზისული მდგომარეობა შეიქმნა. ხელისუფლებას არაერთხელ აუჯანყდნენ ქვეშევრდომები. 1722 წ. ყანდაარის მფლობელმა ავღანელმა მირ-მაჰმუდმა ირანის პროვინციებს შეუტია, შაჰის არმია დაამარცხა,

[14] შ. მ ე ს ხ ი ა. და სხვ., თბილისის ისტორია, 1958, გვ. 184.

ქალაქი ისპაჰანი აიღო და თავი შაჰად გამოაცხადა. ტახტის კანონიერი მემკვიდრე 18 წლის თამაზი მისმა მომხრეებმა ყაზვინს გააპარეს და ისიც შაჰად აკურთხეს.

ოსმალეთის სულთანმა ეს სიტუაცია თავისი მიზნებისათვის ხელსაყრელად ჩათვალა. მირ-მაჰმუდს დახმარება შესთავაზა. ოსმალეთს სურდა. ხელთ ეგდო ირანის სამფლობელოები ამიერკავკასიაში, მათ შორის ქართლის და კახეთის სამეფოებიც. ამ მიზნისათვის იგი მომენტს შესაფერისად თვლიდა, დროს არ კარგავდა და საომარი მოქმედებისათვის ემზადებოდა. 1722 წელსავე კონსტანტინოპოლელ რუს რეზიდენტს ცნობა ჰქონდა, რომ ოსმალებს განზრახული ჰქონდათ 50 000-იანი არმიით ქართლში შეჭრა და თბილისის აღება[15].

თავისი მიზნები ჰქონდა ამიერკავკასიაში რუსეთსაც. შავ და კასპიის ზღვებს შორის მდებარე სახელმწიფო ერთეულებთან კავშირით თუ სხვა გზით იქ დამკვიდრება რუსეთისათვის გარანტია იყო ამ ზღვებზე კონტროლის დასაწესებლად, რასაც, გარდა ეკონომიკურისა, უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობაც ჰქონდა.

აღმოსავლეთ საქართველო ამ დროს ორ სამეფოდ — კახეთისა და ქართლისად იყო გაყოფილი. კახეთის და ქართლის მეფეები ირანის შაჰის ხელდებულებად ითვლებოდნენ. მიუხედავად ამისა, მათი მიზნები და დამოკიდებულება მოვლენებისადმი სხვადასხვა იყო.

კახეთის მეფე კონსტანტინე (მაჰმადიანობაში მაჰმად-ყული ხანი) შაჰის ერთგული ყმა და მისი ნების ამსრულებელი იყო. ირანის შაჰის ჰუსეინის გარდაცვალების შემდეგ კონსტანტინე ტახტის კანონიერი მემკვიდრის თამაზის მხარეს იჭერდა და თავის ქვეყანაში მისი ინტერესების დამცველადაც გამოდიოდა. კონსტანტინე ქართლის სამეფო ტახტსაც უმიზნებდა, ქართლის სატახტო ქალაქი კი თბილისი იყო. ირანის პოზიციები XVIII ს. 20-იან წლებში თუმცა შესუსტებული იყო, კონსტანტინე დამხმარე ძალად მაინც მას ვარაუდობდა.

ქართლის მეფე ვახტანგ VI კი ირანის დამოკიდებულებისაგან თავის დასაღწევად დროს შესაფერისად თვლიდა და ირანს დიდ ძალას — პეტრე დიდის რუსეთს უპირისპირებდა. ქართლის მეფის კავშირი რუსეთთან, 1721—1722 წწ. კამპანიის შემდეგ, საყოველთაოდ ცნობილი გახდა. ეს საქმეს ართულებდა. ამიერკავკასიაში პირველობისათვის სწრაფი მოქმედება იყო საჭირო. ერთ-ერთი მტკივნეული საკითხთაგანი ძალთა ჭიდილში თბილისის დაუფლების საკითხიც იყო.

თბილისი ამ დროისათვის არა მხოლოდ მნიშვნელოვანი ქალაქი იყო თავისი ეკონომიკური და სოციალურ-პოლიტიკური სტრუქტურითა და ყოფით, არამედ მნიშვნელოვანი „ციხეც“ თავისი სტრატეგიული მდე-

[15] Очерки истории СССР, XVIII в. Первая четверть, М., 1954, с. 604.

ბარეობით. მისი დაპატრონება მთელ ამიერკავკასიაზე ბატონობის გარანტია იყო. ამიტომ ბრძოლა ამ ქალაქისათვის მნიშვნელოვან მასშტაბებს ღებულობდა. ეს იყო ბრძოლა ამიერკავკასიაში პირველობისათვის, როდესაც ერთმანეთს შეეჯახა სამი უცხო სახელმწიფოს — რუსეთის, ირანისა და ოსმალეთის ინტერესები.

თბილისის კანონიერი პატრონების — ქართლის სამეფოს მესვეურთა წინაშე რთული ამოცანა დადგა: ქვეყნის გადასარჩენად მათ უნდა შეენარჩუნებინათ თბილისი. ქართლის მეფე იმედებს მოკავშირე ძალებზედაც ამყარებდა: „დიდმა ჯელმწიფემ არ დაგვაგდოს და არ უგულვებელგვყოს... მოგვეხმაროს", — წერდა ვახტანგ VI რუსეთის დიდმოხელეებს[16], მაგრამ დახმარება იგვიანებდა. თბილისისათვის ბრძოლა კი თანდათან მწვავდებოდა.

ამ ბრძოლების შესახებ ცნობები შემოინახეს როგორც ქართულმა, ისე არაქართულმა წყაროებმაც. სომეხ კათალიკოს ესაია ჯალალიანცის ცნობით, თბილისისათვის ბრძოლას აწარმოებდნენ დეკემბრის პირველიდან[17]. სომეხი ავტორი აქ 1722 წ. გულისხმობს.

1722 წ. 2 ნოემბერს გარდაიცვალა კახეთის მეფე დავითი (იმამ-ყული ხანი)[18]. კახეთის ტახტზე მისი ძმა კონსტანტინე (მაჰმად-ყული ხანი) ავიდა. იგი შაჰის ერთგული ყმა იყო. ქართლის მეფის ვახტანგ VI-ის რუსეთთან დაკავშირება კი ირანისათვის მიუღებელი სვლა აღმოჩნდა. ამ საქციელისათვის ირანს ვახტანგი უნდა დაესაჯა. სეხნია ჩხეიძის ცნობით, შაჰმა ქართლი ვახტანგს ჩამოართვა და კონსტანტინეს უბოძა. სეხნიას სიტყვებით, ეს მომხდარა 1723 წლის 10 იანვარს[19]. კონსტანტინეს ბრძანება ჰქონდა შაჰისაგან — ვახტანგ მეფე განდევნე და ქართლი დაიპყარიო. ქართლის წინააღმდეგ მას სწრაფად უნდა დაეწყო მოქმედება. ბრძოლები თბილისის დასაპერად 1723 წ. იანვარში დაიწყო[20]. პირველ შეტევას თბილისზე დაზვერვის ხასიათი ჰქონდა.

ვახუშტი ბატონიშვილს თავის ისტორიაში თბილისისათვის ბრძოლის თარიღები არა აქვს მოცემული, ქრონოლოგიურ ცხრილში კი მიუთითებს, რომ მაჰმად-ყული ხანი ავლაბარს მოადგა 1723 წლის იანვარში[21]. სეხნია ჩხეიძის თხრობა თბილისისათვის ბრძოლების შესახებ მოსდევს 1723 წ. 10 იანვრის თარიღს[22]. ისე რომ აქაც, თბილისის დაუფლებისათვის

---

[16] Броссе М., Переписка на иностр. языках грузинских царей с российскими государями, СПб., 1861, с. 149.

[17] ვ. ნალბანდიანი. თბილისი ძველ სომხურ მწერლობაში. 1959, თბ., გვ. 149.

[18] დ. მეგრელაძე, მასალები XVIII ს. 20-იანი წლების ქართლ-კახეთის ისტორიისათვის. მსკი. ნაკვ. 33. 1960. გვ. 168.

[19] ს. ჩხეიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 35; ვახუშტი, ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 911.

[20] ომან ხერხეულიძე, ამბავნი ქართლისანი, 1981.

[21] ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 911.

[22] სეხნია ჩხეიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 35.

ბრძოლების დაწყების თარიღად 1723 წ. იანვრის მეორე ნახევარი უნდა ვივარაუდოთ. იანვრის 30-ს კახ-ბატონს კიდეც დაუჭერია თბილისის ერთი უბანი — ავლაბარი[23], მაგრამ პოზიცია ვერ შეუნარჩუნებია. ვახტანგს მისი ვაჟი ბაქარი წამოშველებია. კახ-ქართლელთა შორის თავგანწირული ბრძოლა გაჩაღებულა. კახელი მეომრები უკუქცეულან, მცხეთას გასულან და იქ დაბანაკებულან. ქართული წყაროს ცნობით, კახელები თბილისს 1723 წ. თებერვლის გასულს გასცლიან. მაშასადამე, კახთ-ბატონი თბილისს ერთი თვის განმავლობაში ფლობდა.

მცხეთა სტრატეგიული პუნქტი იყო. მცხეთის ჩაკეტვით გზა ეკეტებოდა თბილისის დასახმარებლად წამოსულ ჯარს შიდა ქართლიდან. კახელების მიერ მცხეთის დაკავება ქართლის ძალების გათიშვას იწვევდა და დამხმარე ძალებს მანევრირებისათვის გზა ეკეტებოდათ. ასეთ შემთხვევაში მცხეთის ხელში ჩაგდებას თბილისის გადასარჩენად სასიცოცხლო მნიშვნელობა ენიჭებოდა. ამიტომაც ქართლელები მცხეთის დაკარგვას ადვილად ვერ შეურიგდებოდნენ. თბილისის დაუფლებისათვის მეტოქეობამ ტერიტორიულად მცხეთას გადაინაცვლა. წყაროები არაფერს ამბობენ, ჰქონდათ თუ არა მცხეთაში კახელებსა და ქართლელებს მწვავე შეტაკებანი, მაგრამ, ჩანს, კახელები მცხეთის დატოვებას ადვილად არ აპირებდნენ და თვენახევარზე მეტი ხნის განმავლობაში იქიდან ფეხს არ იცვლიდნენ. მაშინ ქართლელებს ბრძოლის გარკვეული ხერხისათვის მიუმართავთ. დიდი ხუთშაბათი თენდებოდა — 11 აპრილი[24].

მართლმადიდებელი კახელები სვეტიცხოვლის ტაძარში შევიდნენ სალოცავად. მცხეთელმა დეკანოზმა დანიელ ზუმბულიძემ მლოცველებს ეკლესიის კარი გარედან გადაუკეტა. მახლობლად ჩასაფრებულმა ქართლელებმა ხელთ იგდეს კახელები, თითო-თითოდ ხელშეკრულები გამოიყვანეს ეკლესიიდან და ქართლის მეფეს მიჰგვარეს თბილისს. კახელთა დაპატიმრების ოპერაციაში 600 კაცით მონაწილეობდა ვახტანგ VI-ის ვაჟიშვილი ვახუშტი ბატონიშვილი[25]. საფიქრებელია, ვახუშტის მონაწილეობა შემთხვევითი არ იყო და ის, როგორც საბარათიანოს სარდალი, ქვემო ქართლის ლაშქრით ეხმარებოდა მეფე-მამას სამხედრო ოპერაციებში.

ამ ამბავს კახეთის მეფემ თბილისზე ახალი იერიშით უპასუხა. სეხნია ჩხეიძის ცნობით, კონსტანტინე სეიდაბადს დადგა, ხიდი აღადგინა, მტკვარზე გავიდა და თაბორი დაიპირა[26]. სეხნია მოგვითხრობს — „იყო

---

[23] საქართველოს ისტორიის ქრონიკები XVII—XIX სს. ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, შენიშვნები და განმარტებები დაურთო ივ. იოსელიანმა. თბ., 1980. გვ. 54.

[24] იქვე.

[25] ქართლის ცხოვრება. IV, გვ. 502.

[26] სეხნია ჩხეიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 35—36.

სროლა უწყვეტელი და მიუმართეს ზარბაზანი ხიდსა ავლაბრისასა და დაკრეს ხიდისა ძელსა, გასწყვიტეს ძელი ხიდის და ჩაცვივდა წყალსა შიგან"[27]. სეხნიას ცნობა რამდენადმე ბუნდოვანია. კერძოდ, არ ჩანს ვინ „გასწყვიტა" ავლაბრის ხიდი. საქმე ისაა, რომ სეიდაბადი, სადაც წყაროების მიხედვით კონსტანტინე დადგა, და თაბორი, რომელიც შემდეგ მანვე აიღო, მტკვრის მარჯვენა მხარეს მდებარეობს. კახეთიდან მოსული ჯარი კი თბილისს მტკვრის მარცხენა მხრიდან უნდა მოსდგომოდა. ამიტომ ხიდის ჩაწყვეტით ქართლელები უნდა ყოფილიყვნენ დაინტერესებული. სეხნიას თხრობას ავსებს „საქართველოს ისტორიის ქრონიკებში" დაცული ერთი ცნობა, რომლის მიხედვითაც ავლაბრის ხიდს თელეთიდან უშენს ზარბაზანს მეფის ძე ბაქარი და ანგრევს კიდეც[28]. ამის შემდეგ გასაგები ხდება, რომ კონსტანტინე იძულებულია სახელდახელო ხიდი გასდოს „ხალვათ გარისა ბოლოს"[29], ჯარი გადაიყვანოს მტკვრის მარჯვენა ნაპირზე და თაბორს შეუტიოს. კახელებმა თაბორი დაიჭირეს, მაგრამ მისი შენარჩუნება ვეღარ შეძლეს. ვახტანგის ჯარმა იმარჯვა, კახელები ამოწყვიტეს და საკუთარი ძალების დიდი მსხვერპლის ფასად თაბორი დაიბრუნეს. კონსტანტინე უკან გაბრუნდა, მტკვარზე გავიდა, მეფის ძე ბაქარი დაედევნა. ამ დროს ქართლელებში უთანხმოებამ იჩინა თავი. ქართლელ დიდებულთა ერთ ნაწილს ბაქარისათვის ხელი შეუშლია და იგი შეუჩერებიათ. კონსტანტინე დატყვევებას გადაურჩა, გაიქცა და დასახმარებლად უცხო ძალას — ჭარელ ლეკებს მიმართა.

თაბორთან კონსტანტინეს დამარცხების თარიღში წყაროების მონაცემები თითქმის ემთხვევა ერთმანეთს. ვახუშტის ქრონოლოგიური ცხრილის მიხედვით, მაჰმად-ყული ხანი თაბორზე დამარცხდა აპრილის ივ (16 აპრილს)[30]. ესაია ჯალალიანცის ცნობით, თბილისისათვის ბრძოლა 1722 წ. 1 დეკემბრიდან „ვიდრე წმინდა აღდგომის დღესასწაულამდე" გრძელდებოდა[31], ქართველების აღდგომა კი 1723 წ. 14 აპრილს მოდიოდა[32]. „საქართველოს ისტორიის ქრონიკების" მიხედვით, ვახტანგ VI 12 აპრილს დაესხა თავს კახთ-ბატონს და გააქცია[33].

როგორც ვხედავთ, წყაროთა ჩვენებანი სულ 5 დღის სხვაობას იძლე-

---

27 ს ე ხ ნ ი ა ჩ ხ ე ი ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 35—36.

28 საქართველოს ისტორიის ქრონიკები, დასახ. გამოც., გვ. 55.

29 „ხალვათ გარის ბოლოს" შესახებ იხ. თ ე ი მ ურ ა ზ ბ ე რ ი ძ ე, ძველი თბილისის გარეუბნების ისტორია, თბ., 1977, გვ. 79, 84, 85.

30 ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 502.

31 ვ. ნ ა ლ ბ ა ნ დ ი ა ნ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 149.

32 ეს თარიღი დაგვიზუსტა აწ განსვენებულმა ვიქტორ გუჩუამ.

33 საქართველოს ისტორიის ქრონიკები, დასახ. გამოც., გვ. 55.

ვიან: 12, 14, 16 აპრილს[34]. ამიტომ თამამად შეიძლება ითქვას, რომ 1723 წ. აპრილის შუა რიცხვებში დასრულდა თბილისისათვის ბრძოლის ერთი ეტაპი, სადაც არცთუ ადვილი ბრძოლებით გაიმარჯვეს ქართლელებმა.

მშვიდობა დიდხანს არ გაგრძელებულა. მალე ჭარელი ლეკებით კონსტანტინე კვლავ მოადგა თბილისს. ამჯერად კონსტანტინეს ლაშქარმა სამპირად შეუტია ქალაქს. ქართლელებმა მტკვარზე ხიდის აყრა ვერ მოასწრეს. სასტიკი ბრძოლა გაჩაღდა. ქართლელები დამარცხდნენ. ვახუშტი ბატონიშვილი გულისტკივილით აღნიშნავს, რომ ქართლელთა დამარცხება ღალატის შედეგად მოხდაო: „იხილე ორგულობა... მუნ მდგომმა სჯმონ (მეფის ძმამ—დ. მ.) არა აჰყარა ჯიდი, არცა განამაგრნა საფარნი, ეგრევე ქართველთა დაუტევეს მეფე ჯელთა შინა მტრისათა". ქართლელებმა გაქცევით უშველეს თავს. მეჯინიბემ მეფეს და მის ძეს ბაქარს სასწრაფოდ მიჰგვარა ცხენები[35].

თბილისის მოსახლეობის ნაწილი კვლავ ერთგული რჩებოდა ვახტანგისა. სეხნიას ცნობით, ლტოლვილ მეფეს მოქალაქეები დახვდნენ ქაშვეთს და „დაუწყეს წვევა ქალაქსა შიგან". მაგრამ ქართლელთა ლაშქარი გატეხილიყო და ვახტანგს საკუთარი ძალების იმედი აღარ ჰქონდა. ქართლის მეფემ თბილისი დატოვა... ამის შემდეგ იგი დედაქალაქს აღარასოდეს დაბრუნებია.

ვახტანგი ფიქრობდა, რომ თბილისის დატოვება ჯერ კიდევ არ ნიშნავდა ქვეყნის მთლიანად დაკარგვას და კვლავ უცხო ძალას მოუწოდებდა დახმარებისათვის, მაგრამ უკვე გვიან იყო... ისტორიის შემდგომმა მსვლელობამ ვახტანგს საკუთარი ქვეყანაც დაატოვებინა...

კონსტანტინემ თბილისი დაიკავა. ვახუშტის ცნობით, ეს მოხდა 1723 წ. 4 მაისს.

კონსტანტინეს კახელ-ლეკთა ლაშქარი ქალაქს შეესია. დაიწყო რბევა-ალაფობა, მშვიდობიანი მოსახლეობის აწიოკება, ხოცვა-ჟლეტა. „კახი ბატონი შეუხდა ქალაქსა, ააოხრა, ამოსწყვიტნეს მოქალაქენი, აიკლეს საქონელი ურიცხვი. შეუხდენ სიონსა, დასწვეს, შეაგინეს სიწმინდე, ხატი პატიოსნისა სიონთა ღუთისმშობელი წაიღეს, დღესაც არ ვიცით, რა

---

[34] თაბორთან ბრძოლაში დაღუპული გიორგი ამილახორის ძის ეპიტაფიაზე, რომელიც თავის დროზე პ. კარბელაშვილს გადმოუღია, მიწერილია: „1722 16 აპრილი" (სცსა, პ. კარბელაშვილის პირადი არქივი, რუ. 14, გვ. 35). 16 აპრილი აღებული უნდა იყოს ვახუშტის ქრონოლოგიური ცხრილიდან. ხოლო შეცდომა (1722 წელი და არა 1723) გადმოწერილი ეპიტაფიის ქრონიკონიდან — „უი" — მომდინარეობს. ქრონიკონი უი მართლაც 1722 წელია. 1723 წელი კი იქნებოდა უია. შესაძლოა ბოლო კიდური ასო — ა — ეპიტაფიის წაკითხვის მომენტში უკვე წაშლილი იყო. თბილისისათვის ბრძოლაში გიორგი ამილახორის დაღუპვაზე მიუთითებს სეხნია ჩხეიძეც. გვ. 36.

[35] ვ ა ხ უ შ ტ ი. ქართლის ცხოვრება, IV. გვ. 503.

უყვეს...", — გულისტკივილით მოგვითხრობს სეხნია[36], „იავარ-ყვნეს და მრავალნი ტყვე-ყვნეს", გადმოგვცემს ვახუშტი. შემოსეულ მტერს თბილისში მყოფი ყიზილბაშებიც წაშველებიან. ვახუშტის სიტყვებით, სიონის აკლება სწორედ მათი საქმე იყო: „გამოვიდნენ მცველნი ციხის თათარნი (ე. ი. ყიზილბაშები—დ. მ.) და დაწუეს სიონი და შემუსრეს ხატი ყოვლად წმინდისა ღუთისმშობლისა სიონისა"[37]. ქართველი ისტორიკოსების ცნობებს ადასტურებს მომხდარი ამბების თვითმხილველი სომეხი კათალიკოსი ესაია ჯალალიანციც. მისი ცნობით, ლეკებმა თბილისი „გაძარცვეს, დააცარიელეს, დიდი ნადავლი წაიღეს, ყრმანი და ბავშვები, დედაკაცები და ქალები, თვალთ მოსაწონი, ტყვედ წაასხეს"[38].

სასტიკმა მოძალადეებმა ესეც არ იკმარეს და დაქირავებულმა ლეკებმა კონსტანტინეს შეპირებული ჯამაგირი 40 000 თუმანი მოსთხოვეს[39]. სისხლისაგან დაცლილ ქალაქს კონსტანტინემ ეს თანხაც გამოსწოვა.

1723 წ. თბილისისათვის წარმოებული ბრძოლები გამოძახილი იყო იმდროინდელი საერთაშორისო მდგომარეობისა, როდესაც ამიერკავკასიაში პირველობისათვის ერთმანეთს გადაეჯაჭვა სამი დიდი სახელმწიფოს — რუსეთის, ირანისა და ოსმალეთის ინტერესები.

ამრიგად, თბილისისათვის ბრძოლები ფაქტიურად დაპირისპირებულ უცხო ძალებს შორის (ოსმალეთი, სპარსეთი) მიმდინარეობდა, მაგრამ ბედის დაცინვა ის იყო, რომ ამ ბრძოლებს მკვიდრი ძმები — ქართველები და კახელები უმოწყალოდ ეწირებოდნენ.

მდგომარეობას ისიც ართულებდა, რომ ერთსულოვნება თვით ქართველებსა თუ კახელებს შორისაც არ იყო. თუ კონსტანტინეს დადევნებულ ბაქარს „ზაკჳთ" ქართელი დიდებულები გაუდგნენ და კახეთის მეფე დატყვევებას გადაარჩინეს, სამაგიეროდ, თბილისისათვის ერთ-ერთ ბრძოლაში გამარჯვებულ ვახტანგ VI-ს კახელი წარჩინებულები მიემხრნენ სეიდაბადს: „მოვიდნენ და მოერთუნენ მეფესა ყოველნი წარჩინებულნი კახნი სეიდაბადსა შინა". კახელების ეს ჯგუფი უთუოდ პირადად კონსტანტინეს მოწინააღმდეგე და მეორე მხრით, ანტიირანულად განწყობილ პირთაგან იქნებოდა შემდგარი.

ქართლის მეფისადმი ერთგულებით ვერც ზოგიერთმა ქართელმა თავადმა გამოიჩინა თავი და, როდესაც თბილისს კონსტანტინე დაეუფლა, მას ქართელი თავადები გიორგი ერისთავი, შანშე ქსნის ერისთავი, ბარათიანნი და ზოგიც საციციანონი მოუვიდნენ[40].

ერთსულოვნება არც თვით თბილისის მოსახლეობაში იყო. ქართველი

---

[36] სეხნია ჩხეიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 36.
[37] ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 503.
[38] ვ. ნალბანდიანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 151.
[39] იქვე.
[40] ვახუშტი. ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 504.

თუ არაქართველი მოქალაქეები, ქრისტიანი თუ შიიტ-სუნიტი ვაჭარ-ხელოსნები, მკვიდრი ქალაქელები თუ შემოხიზნული სტუმრები, თბილისისათვის ბრძოლებში თავთავიანთი თვალთახედვით ხელმძღვანელობდნენ და მათი ორიენტაციისა თუ ამა თუ იმ მხარეზე ბრძოლებში მონაწილეობის მიღება იმაზე იყო დამოკიდებული, რამდენად „სარგებლიანი" იქნებოდა მათთვის თბილისის ძველი თუ ახალი პატრონი. ეს გარემოება კი გარკვეულად ართულებდა ისედაც დაძაბულ მდგომარეობას.

ვახტანგ VI-მ, მართალია, თბილისი მტერს დაუტოვა, მაგრამ, როგორც ითქვა, იგი ბრძოლას ჯერ კიდევ საბოლოოდ წაგებულად არ თვლიდა და იმედს უცხო ძალებზე ამყარებდა. მას, თუმცა არ უნდოდა რუსეთთან საბოლოოდ ურთიერთობის გაფუჭება, რეალურ ძალად ამ კონკრეტულ შემთხვევაში იგი მაინც ოსმალეთს თვლიდა. ამიტომ დასახმარებლად ოსმალებს მიმართა: „ჩვენ ხომ ორის ჭელმწიფის ბრძოლა არ შეგვეძლო (ხონთქარისა და შაჰის), ჩვენ ხონთქარს ყმობა შეუთვალეთ" — წერდა ვახტანგი პეტრე I-ს 1723 წ. 10 მაისს. მაგრამ იგი უკან დასახევ გზასაც იტოვებდა და დასძენდა — თუ შენი დახმარება იქნება, შენი ერთგული ვიქნებიო: „თუ მაგათი გამობძანება გვეღირსება, მანამდის თავს შევინახავთ, მერმე მაგათი მოსამსახურე ვიქნებითო"[41]. სამწუხაროდ, რუსეთის დიპლომატიამ ვახტანგს მხარი ვერ აუბა. რუსეთიდან დახმარება იგვიანებდა. ქართველები მაინც რუსთა მოიმედედ რჩებოდნენ. ვახუშტი ბატონიშვილს, ბრძოლების უშუალო მონაწილესა და მეფე-მამის თანამოაზრეს, არაერთხელ აქვს აღნიშნული, რომ ვახტანგი ბოლომდე რუსთა მოიმედედ რჩებოდა და, მიუხედავად თავისივე მოწვევისა. ოსმალთა დაჟინებით თხოვნას ქართლში შემოსვლისას სხვადასხვა საბაბით აჭიანურებდა. ოსმალეთი კი ჩქარობდა. მათ ისარგებლეს კონსტანტინეს თბილისში ყოფნით. მომენტი შესაფერისად ჩათვალეს — ვახუშტის სიტყვებით, „იხილა ჟამი მარჯუე". ვახტანგს ყიზილბაშებისაგან თბილისის გათავისუფლება და ხონთქრისაგან ქართლის მეფედ დამტკიცება შესთავაზეს. ვახტანგი იძულებული იყო დათმობაზე წასულიყო. ოსმალეთმა მოქმედება დაიწყო. „დასახმარებლად" წამოსული ოსმალთა დიდი ლაშქარი ტაშირს მოადგა. იქიდან — ყურყუთას (სოლანლუღს).

ოსმალთა ლაშქარს მეფის ძე ბაქარი შეეგება. თბილისში მჯდომმა კონსტანტინემ მდგომარეობა შეაფასა, ოსმალებს ისიც მიეგება და მათ ქალაქის ციხის გასაღებიც მიართვა. „ერთგულების" მიუხედავად, ოსმალებმა კონსტანტინე მაინც დააპატიმრეს. თბილისი და მთლიანად ქართლი ბაქარს გადასცეს. როგორც აკად. ს. ჯიქია აღნიშნავს, ოსმალები შეეცადნენ ამით ქართლის მოსახლეობაში ბაგრატიონთა სახლის ავტორიტეტი გამოეყენებინათ. ბაქარი გაამაჰმადიანეს, იბრეიმ ფაშა უწოდეს და საგან-

[41] Броссе М. Переписка..., გვ. 148.

გებო ფირმანით ოსმალეთის სულთანმა აჰმედ III-მ ბაქარს თბილისის ვილაიეთის (ქართლის) ბეგლარბეგობა უბოძა და ნაბოძები ჯურთლუკისა და ოჯალიკის წესით ჩააბარა. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ ბაქარს თბილისის ვილაიეთი მუდმივ სამემკვიდრეო მფლობელობაში ეძლეოდა[42].

ოსმალთა დიდმოხელედ დანიშნულ გამაჰმადიანებულ ბაქარს (იგივე შაჰნავაზს ანუ იბრეიმს) ყოველ წელს ოსმალეთის ხაზინის სასარგებლოდ 40 000 ყურუშის გადახდა დაეკისრა[43].

ოსმალთა მიერ გაღებული ამ „მოწყალების" საფასურად ვახტანგმა ხონთქარს ძვირფასეულობით დატვირთული 12 ჯორი გაუგზავნა[44].

თბილისში ოსმალები შემოვიდნენ. ქუჩუკ ჩელები ზადეს ცნობით, ქალაქში არეულობა დაიწყო. მოსულმა ოსმალებმა აქ მყოფ სპარსელ ვაჭრებს შეუტიეს. ადგილობრივ მოსახლეობაში გახშირდა ბოროტმოქმედება. ბოროტმოქმედებს ოსმალო მოხელეებმაც აუბეს მხარი. ქუჩუკ ჩელები ერთ-ერთი ოსმალო მოხელის შესახებ აღნიშნავდა: „სიხარბემ სძლია, მხოლოდ და მხოლოდ ქონების სახვეჭად თბილისში დადგა 132 დღე, რამაც მოსახლეობა ააფორიაქა და ლაშქარი აღაშფოთა"[45]. ასეთ პირობებში ადვილი წარმოსადგენია, რად უღირდა თითოეული დღე მრავლის მნახველ თბილისს 132 დღის განმავლობაში!

ოსმალთა პატიმარი კონსტანტინე მალე ციხიდან გაიპარა. ბაქარ-იბრეიმი თბილისში იჯდა. ოსმალურ გარემოცვაში, ოსმალ დიდმოხელის ტიტულით თბილისში ყოფნა მას უფრო პატიმრად აქცევდა, ვიდრე ქართლის მეფედ. მოსალოდნელი იყო დღეს ან ხვალ ოსმალებს ბაქარისთვისაც შეეტიათ. ბაქარს თავი უნდა დაეღწია ამ მდგომარეობისათვის. ნადირობის საბაბით, ერთგული კაცებით იგი თბილისს გაეცალა. სამშვილდის ციხეში მივიდა, იქიდან კი რუსეთის გზაზე შემდგარ მეფე-მამასთან ცხინვალში გადავიდა.

ამრიგად, ოსმალებით სავსე თბილისი ბაქარმაც მტერს ჩაუტოვა ხელში. სეხნია ჩხეიძე თითქოს მალავს ბაქარის საქციელის ნამდვილ მიზეზებს და მისი გამართლებისათვის წერს, რომ იგი „ჩვეული იყო ლხინსა და ნადირობასა, ბურთაობასა და სიმხიარულესა" და „ამათ შიგან არც ერთი არ ეგებოდა" და ამიტომ შეექმნა ბაქარს „ჭმუნვა და შეუძლებლობა ურუმთ შიგანო"[46].

ომან ხერხეულიძე კი პირდაპირ მიუთითებდა ნამდვილ მიზეზზე — ბა-

---

[42] ს. ჯიქია, სულთან აჰმედ III-ის ფირმანი ბაქარ ბაგრატიონს. ქართული წყაროთმცოდნეობა, III, თბ., 1971, გვ. 278—282.

[43] ცნობები ქუჩუკ ჩელები ზადეს ისტორიიდან. იხ. გურჯიზადე, თბილისის დაპყრობის წიგნი, გვ. 47—48.

[44] ვახუშტი, ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 505.

[45] გურჯიზადე, დასახ. ნაშრომი, გვ. 48—49.

[46] სეხნია ჩხეიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 37.

ქარი ოსმალთა გარემოცვაში თვისი პრესტიჟის შელახვას ხედავდა. „ვინათგან არა ნებისაებრ ამეფეს იგი (ოსმალებმა), განივლტო მან ოსმალთაგან და მივიდა მამისა თვისისა თანა“[47].

ერთსულოვნება არც სამეფო ოჯახში სუფევდა და თუ ბაქარი ოსმალებს გადაუდგა და მამას გაჰყვა, ვახტანგის ძმამ იესემ ოსმალთა მხარე დაიჭირა, ოსმალთა რჯული მიიღო, მუსტაფა დაირქვა, თბილისს დაჯდა და ოსმალთა ერთგულ კაცად იქცა.

1724 წ. თბილისის (და ერევნის) საბოლოოდ დასამორჩილებლად ხონთქარი რაჯაბ-ფაშას აგზავნის. ამ დროს ახალციხის ფაშა ისაყ და მეფის ძმა იესე-მუსტაფა ოსმალთა ლაშქრით ცხინვალს შეფარებულ ვახტანგს უტევენ. ვახტანგი ამალით რაჭას გავიდა, იქიდან ჩერქეზეთს და დაღესტნის გავლით ასტრახანს ჩავიდა. -

1725 წ. ქართლი ხონთქარმა ისაყ ფაშას უბოძა.

თბილისი „ოსმალობის“ დროს

ისაყ ფაშას რეზიდენცია თბილისი იყო. წარმოშობით იგი გამაჰმადიანებული ჯაყელების დინასტიიდან იყო და ახალციხის საფაშოს განაგებდა. ქართლში გამოგზავნილ ისაყ ფაშას ოსმალეთის კარმა შეუზღუდავი უფლებები მიანიჭა. ამიტომაც შენიშნავდა ვახუშტი, რომ იგი „დასუეს ვითარცა მეფე ტფილისსაო“[48].

ოსმალო დამპყრობლებმა თავიანთი წესებით დაიწყეს ბატონობა დაპ-

---

[47] ო მ ა ნ ხ ე რ ხ ე უ ლ ი ძ ე, მეფობა ირაკლი მეორისა მეფის თეიმურაზის ძისა, ზ. ჭიკინაძის გამოც., ტფ., 1913. გვ. 242.

[48] ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 503. აკად. ს. ჯიქიას მიერ გამოქვეყნებულ საბუთში ისაყ ფაშა იხსენიება როგორც თბილისის ციხისთავი და ვეზირი (ს. ჯ ი ქ ი ა, XVIII ს-ის ორი თურქული დოკუმენტი, თსუ შრ., ტ. 99, აღმოსავლეთმცოდნეობის სერია, III, 1962, გვ. 154—155). გურჯიზადეს თბილისის დაპყრობის წიგნში, სამწუხაროდ, ისაყ ფაშა ისეა ნახსენები, რომ მისი ტიტულატურის გარკვევა ძნელია (იხ. გვ. 20). ქართულ წყაროებში კი იგი მაშინაც, როდესაც თბილისში ზის, „ახალციხის ფაშად“ იწოდება. ვახუშტი მას უწოდებს „ისაყ, ახალციხის ფაშას“ (ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 507). ასევე „ახალციხის ფაშას“ უწოდებს მას ტფილელ-ბოლნელი დომენტი (ი. დ ო ლ ი ძ ე, ქართული სამართლის ძეგლები, III, გვ. 712). ტრადიციულად ახალციხის ფაშად იწოდება ისაყ ფაშას შვილი უსუფ ფაშაც (საქართველოს სიძველენი, III, გვ. 545). ისაყ ფაშა ისე გარდაიცვალა (იგი მოკლეს 1735 წ.), რომ ჩვენთვის ცნობილ წყაროებში იგი არსად თბილისის ფაშად არ იწოდება, როდესაც ამავე დროს ძალიან მკაფიოდ ჩანს „გორის ფაშა“. ფაქტიურად ისაყი თბილისის ფაშას სახელოს ფლობდა, მაგრამ საფიქრებელია, ოსმალეთის მთავრობა ფრთხილობდა თბილისის საფაშოდ გადაქცევისათვის ჯერჯერობით ორიდიული სანქციის მიცემას, რადგან შეიძლებოდა ამას მწვავე შედეგები მოყოლოდა და ირან-ოსმალეთს შორის ახალი კონფლიქტის საბაბიც გამხდარიყო.

ყრობილ ქვეყანაში. დაიწყო „ოსმალობა“, რაც იმას ნიშნავდა, რომ დაპყრობილ ქვეყანაში ოსმალური სოციალურ-ეკონომიკური წესები უნდა დამკვიდრებულიყო — ქართული მიწათმფლობელობა ოსმალურით უნდა შეცვლილიყო. უნდა შეცვლილიყო აგრეთვე ადგილობრივი საგადასახადო სისტემა, სასამართლო, სარწმუნოება, ყოფა-ჩვეულებანი, საქალაქო ცხოვრება და ა. შ. — ქართლი ოსმალეთის პროვინციად უნდა ქცეულიყო.

მეტად მძიმე იყო „ოსმალობა“ თბილისის მოსახლეობისათვის. თბილისის მოსახლეობის უმრავლესობა ვაჭარ-ხელოსნები იყვნენ. ირან-რუსეთის გამწვავებულმა ურთიერთობამ მათი საქმიანობა შეაფერხა. ამავე დროს თბილისში შემოსულმა ოსმალებმა ირანელ ვაჭრებს საგანგებო ანგარიშსწორება მოუწყვეს. ამით უკმაყოფილო ქალაქის ელემენტები იმთავითვე ქართველი მეფის მხარეზე დადგნენ და ოსმალო დამპყრობელთა წინააღმდეგ ქართლელთა ლაშქარს შეუერთდნენ (ჯალალიანცი).

ოსმალებმა მკაცრი კონტროლი დააწესეს თბილისის ეკონომიკაზე. 1727 წ. მათ აღწერეს ქართლი და შეადგინეს „თბილისის ვილაიეთის დიდი დავთარი“. ამ დავთარში შეტანილია იმდროინდელი ქალაქ თბილისის აღწერაც. დავთარში ქალაქის მოსახლეობა აღწერილია სამრევლოების მიხედვით. აღწერილია 14 ეკლესიის მრევლი. ამას ემატება არსენალის უბანი და ციხის რაბათი[49].

ოსმალო დამპყრობლებმა თბილისში გადასახადები დაადეს: სამღებროებს, წისქვილებს, ბაღებს, ვენახებს... ოსმალებმა აღრიცხეს კრამიტისა და კირის, ზეთისა და სანთლის ქარხნები. ცალკე აღნიშნავენ ბოზხანეს (საყინულეს); აღნუსხული აქვთ აბანოები სეიდაბადის მიდამოებში და ციხის გარეთ; ცალ-ცალკე ასახელებენ ცხენისა თუ ტყვეთა ბაზრებს და სხვ.

დავთარში ჩამოთვლილია თბილისში მოსაქმე მრავალრიცხოვანი ოსმალო მოხელეები, აღნიშნულია მათი სახელოები და ყოველდღიური ულუფა-ხელფასის რაოდენობა; დასახელებულია ოთხი მეჩეთი (სუნიტური), მეჩეთის მსახური პირები და მათი დღიური ხელფასები.

ოსმალთა მიერ აღწერილი თბილისის დავთრის მოკლე ცნობებიდანაც კარგად ჩანს, რომ თბილისის მკვიდრ მოსახლეობას მძიმე ეკონომიკური პირობები შეექმნა და სხვადასხვა სახის გადასახადებისა თუ

---

[49] ნ. შ ე ნ გ ე ლ ი ა, XV—XIX საუკუნეების საქართველოს ისტორიის ოსმალური წყაროები, თბ., 1974, გვ. 215. დღეისათვის ამ დავთრის ფოტოპირები თბილისშია და მას გამოსაქვეყნებლად ამზადებს ს. ჯ ი ქ ი ა. ცნობები თბილისის შესახებ დავთრიდან ამოკრიფა, თარგმნა და გადმოგცა ისტ. მეცნ. კანდიდატმა ც ი ს ა ნ ა ა ბ უ ლ ა ძ ე მ, რისთვისაც მას დიდ მადლობას მოვახსენებთ. ეს დავთარი შესანიშნავი წყაროა თბილისის ეკონომიკის, ისტორიული გეოგრაფიის, ონომასტიკის, ქალაქის ეთნიკური შემადგენლობის, მოსახლეობის საქმიანობის, ქალაქის შემოსავალ-გასავლის დასადგენად, სამოხელეო სისტემისა და მოხელეთა ფუნქცია-ანაზღაურების საქმეში გასარკვევად.

მრავალრიცხოვან მოხელეთა ჯამაგირები დაპყრობილ თბილისელებს მძიმე ტვირთად დააწვა.

ადგილობრივ საქალაქო მმართველობას ოსმალები იმთავითვე არ შეხებიან. მაგრამ თბილისის ადგილობრივი მოხელეები მიიმხრეს და ფაქტიურად დაიქვემდებარეს კიდევაც. ვახუშტის ცნობით, ისაყ ფაშამ „განადიდა მელიქი ტფილისისა აშხარბეგ“[50]. აშხარბეგი ჩამომავლობით თბილისელი მოქალაქე, გვარად ბებუთაშვილი იყო. ოსმალების თბილისში დამკვიდრების დროს იგი ქალაქის ორ სახელოს — მელიქობასა და მამასახლისობას — ითავსებდა. იგი თავიდანვე ოსმალების პოზიციებზე დადგა, ქართველ საზოგადოებას ზურგი აქცია და ადგილობრივი ფეოდალური ეთიკისათვის მიუღებელი საქციელითაც არაერთგზის გამოიჩინა თავი. ვახუშტი მოგვითხრობს, რომ აშხარბეგს, ოსმალთაგან ზურგგამაგრებულს, არ მიუღია სადარბაზოდ მისული ქართველი წარჩინებულები— სპასპეტი ლუარსაბ და სხვები. ჩვენ არ ვიცით, რა მიზნით მივიდნენ ქართლელი დიდებულები აშხარბეგთან, მაგრამ შედეგი სავალალო აღმოჩნდა: „მან არ მიხედნა, არცა იხილნა და გამოუტევნა“[51] დიდებულებიო.

ოსმალო დამპყრობლები სასჯელის ყოველგვარ ზომებს მიმართავდნენ დაპყრობილი მოსახლეობის დასაშინებლად. მანუჩარ ყაფლანიშვილსა და გიორგი ქავთარიშვილს ოსმალო მოხელეებისათვის დაგვიანებით მიურთმევიათ ცხენები, რის გამოც ოსმალები თვით მათზე შემსხდარან, ლაგამი გაუკეთებიათ და დეზებით ჩხვლეტდნენ[52]. უმნიშვნელო წინააღმდეგობისათვისაც კი ოსმალები სასტიკ ზომებს მიმართავდნენ, როგორიც იყო დიდი ჯარიმა — „ვერცხლი დიდძალი“, ჩამოხრჩობა და ძელზე გასმა. ვახუშტის მოთხრობილი აქვს, რომ დემეტრე ამილახორისშვილი ორი მსახურით ოსმალებმა ანძას ჩამოაცვეს.

მიუხედავად სასტიკი რეპრესიებისა, „ოსმალობის“ დროინდელი ქართული თბილისური დოკუმენტები გვამცნობენ, რომ თბილისის შეთხელებული მოსახლეობა ძველი ტრადიციებით აგრძელებდა ცხოვრებას. უძრავ-მოძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვის, ოჯახების გაყრა-გარიგების, ვალის თუ პირობის იურიდიულ აქტებზე ხელს ურთავდნენ ქალაქის მოხელეები მელიქი, მამასახლისი (ან მელიქ-მამასახლისი), მოურავი, ნაცვალი და ა. შ. თუ გავითვალისწინებთ, რომ „ოსმალების“ დროს ქალაქის მოხელეები ოსმალთა ხელისუფლებას ექვემდებარებოდნენ, მივიღებთ, რომ თბილისში ჩატარებული ყოველგვარი ოპერაცია ოსმალთა კონტროლის ქვეშ იყო.

ოსმალების დროს ქართლი სამ სასამართლო ერთეულად, თბილისის,

---

[50] ვ ა ხ უ შ ტ ი. ქართლის ცხოვრება. IV, გვ. 510.

[51] იქვე.

[52] იქვე.

გორისა და თრიალეთის საყადიოდ იყო დაყოფილი, სადაც სასამართლო განჩინებანი ოსმალურ საყადო სასამართლოს გამოჰქონდა. „ოსმალურ“ სამართალწარმოებას საფუძვლად ედო შარიათი, ე. ი. მუსლიმანური რელიგიური პრინციპები[53]. ს. ჯიქიას გამოქვეყნებული აქვს ოსმალური ჰუჯათები (ამონაწერი ყადის სასამართლო წიგნიდან ყადის მიერ გამოტანილი განაჩენით), რომლებიც თბილისელ ქართველ მოქალაქეთა აღძრულ საჩივრებსა და საყადო სასამართლოს გადაწყვეტილებებს შეიცავენ[54]. ზოგჯერ ასეთი ხასიათის გადაწყვეტილებები ქართულ ენაზედაც ფორმდებოდა. 1729 წ. ვინმე ზაალსა და შერმაზანს სიონის უბანში სახლზე სახლის ადრინდელი პატრონის განაყოფი ქალი წამოდავებია. საქმე ოსმალო მოხელეს უსუფ-ბეგს განუხილავს და სათანადო განაჩენიც გამოუტანია[55]. ზოგჯერ ადგილობრივ ფეოდალურ ურთიერთობათა მოსაწესრიგებლად საქმეში უზენაესი ხელისუფალიც მონაწილეობდა. 1732 წ. ისაყ ფაშა ქალაქის მელიქს ამხარბეგს აცნობებდა, რომ ზაზა გარაყანიძის გლეხები, რომლებიც იყვნენ „ქალაქსა და ავლაბარში და გარეთუბანს“, აეყარა და პატრონისათვის მიებარებინა[56].

ოსმალები ცდილობდნენ სულიერადაც გაეტეხათ და აბუჩად აეგდოთ ადგილობრივი მოსახლეობა. ისაყ ფაშას ხონთქრის ფირმანი მოსვლია, რათა სიონი, რომელიც სასტიკად დაარბიეს კონსტანტინე კახთა მეფის მეომრებმა, მეჩეთად გადაექცია. ხონთქრის ამ სურვილს ქართველთა მედგარი წინააღმდეგობა დაუპირისპირდა. ქართველებმა დომენტი თბილელის მეთაურობით მოსალაპარაკებლად ისაყ ფაშას გივი ამილახორი მიუგზავნეს. გივი ამილახორს თავი გადაუდვია და „ფეშქაშიც მრავალი“, ე. ი. ქრთამი გაუღია და ისაყ ფაშას განზრახვისათვის ხელი აუღებინებია. ეს ამბავი ახალკვირის შაბათს მომხდარა. ამიტომ ახალკვირის წინა შაბათი დღე დომენტი თბილელმა (ორბელიშვილმა) გივი ამილახორის მოსახსენებლად ჟამის წირვის დღედ დააწესა[57].

მართალია, ამჯერად თბილისის სიონი გადაურჩა მეჩეთად გადაქცევას, მაგრამ ოსმალებს მაინც მოუხერხებიათ და თბილისში 1727 წ. სამი მეჩეთი აუგიათ[58].

ქართულ ეკლესიას ოსმალებმა თავიდანვე უნდობლობა გამოუცხადეს. და, როგორც ჩანს, არც მთლად უსაფუძვლოდ. შიიტ ოსმალთა წინა-

---

[53] ნ. შ ე ნ გ ე ლ ი ა, XV—XIX ს. საქართველოს ისტორიის ოსმალური წყაროები. თბ., 1974, გვ. 219; ს. ჯ ი ქ ი ა, ოსმალური იურიდიული დოკუმენტები, აღმოსავლური ფილოლოგია, IV, 1976, გვ. 271.

[54] ს. ჯ ი ქ ი ა, ოსმალური იურიდიული დოკუმენტები XVIII საუკ. პირველ ნახევრის ქართლში, აღმოსავლური ფილოლოგია, I, 1969, გვ. 165—189.

[55] დოკუმენტები თბილისის ისტორიისათვის (XVI—XIX სს.), თბ., 1962, გვ. 153.

[56] იქვე, გვ. 158—159.

[57] ი. დ ო ლ ი ძ ე, ქართული სამართლის ძეგლები, III, თბ., 1970, გვ. 712.

[58] ვ ა ხ უ შ ტ ი, ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 136.

აღმდეგ ბრძოლას ქართული ეკლესიის მეთაურობით შესაძლებელი იყო საკმაოდ მტკიცე ძალა დაპირისპირებოდა. ამიტომაც მოხდა, რომ ქართლის კათალიკოს-პატრიარქი დომენტი (ვახტანგ VI-ის ძმა) ოსმალებმა კონსტანტინოპოლში გაიწვიეს. წელიწად-ნახევრის საპატიო სტუმრობის შემდეგ იზოლაციაში მოაქციეს, ცხრა წელი „ექსორიაში" და „დიდ ჭირსა და მწუხარებას შინა" ამყოფეს[59]. დომენტის ნაცვლად ოსმალებმა კათალიკოსად თავიანთი კაცი დასვეს.

„ოსმალობა" მეტად მძიმე უღელი იყო თბილისის მოსახლეობისათვის. დიდი ნაწილი თბილისისათვის წარმოებულმა სასტიკმა ბრძოლებმა შეიწირა. ნაწილი გახიზნულ მეფეს — ვახტანგ VI-ს გაპყვა თან (გარდა სამეფო ოჯახის წევრებისა და სამეფო კარის სხვადასხვა რანგის მოხელე-მოსამსახურეებისა), ნაწილი კი ვაჭრობა-ხელოსნობისა და აღებ-მიცემობის შეფერხებამ, მძიმე ოსმალურმა გადასახადებმა და საერთო ეკონომიკურმა დაძაბუნებამ განდევნა ქალაქიდან. ამიტომაც მომხდარა, რომ „ოსმალობის" დროს თბილისის მიმდებარე ზოგიერთი უბანი მთლად დაცარიელებულა. ქართულ დოკუმენტებში ვხვდებით მრავლისმთქმელ ლაკონიურ ცნობებს მაგალითად იმის თაობაზე, რომ „ავლაბარი ოსმალობას აქეთ ხარაბა ყოფილა", ან რომ ოსმალებს გარეთუბანი „დაუქცევიათ" და ა. შ. ოსმალთა ასეთი მოქმედება, ჩანს, იყო ერთ-ერთი ღონისძიება ქალაქის მოსახლეობის წინააღმდეგობის გასატეხად.

მოსახლეობის ნაწილი უკიდურეს ეკონომიურ და მორალურ გაჭირვებას განიცდიდა და იძულებული იყო ნებაყოფლობით ჩაბარებოდა ოსმალებს. ერთ-ერთ ასეთ მაგალითზე მოგვითხრობს 1725 წლის დოკუმენტი. ამ დოკუმენტში ბეჟან ბიძინაშვილი აცხადებს: „შიმშილმა და შიშმა დიაღ შეგვაღონა. მოვედით ქალაქს, ურუმთან მივდიოდით და ურუმს მივყვანდით..." მაგრამ ამ დროს გამოჩენილა ვინმე დავით ამირასშვილი, რომლისთვისაც ბიძინაშვილს შვილი მიუყიდნია და ამით „სათათრო" აღარ გამხდარა[60]. ასეთი მაგალითები ერთეული არ უნდა ყოფილიყო.

თბილისი „ყიზილბაშობის" დროს

XVIII საუკუნის 30-იან წლებში მისუსტებულმა ირანმა კვლავ აღორძინება დაიწყო. მან მიზნად დაისახა ოსმალთა წინააღმდეგ საუკუნოვანი მეტოქეობის გადაჭრა. მოსალოდნელი იყო, რომ ბრძოლები ამჯერადაც ქართულ ტერიტორიაზე წარმოებულიყო და თბილისიც — ეს სტრატეგიული პუნქტი — ამჯერადაც ბრძოლის ასპარეზად ქცეულიყო.

---

[59] დომენტის ცხოვრების შესახებ იხ. იასე ტლაშაძის „კათალიკოზ-ბაქარიანი".

[60] საქართველოს სიძველენი, III, გვ. 298; დოკუმენტები თბილისის ისტორიისათვის, გვ. 209. „ურუმთან მივდიოდით" ამ შემთხვევაში ნიშნავს — ოსმალებთან მივდიოდით.

ირახძა მოქმედება დაიწყო ამიერკავკასიაში გაბატონებული ოსმალების წინააღმდეგ. 1734 წ. შირვანს შეუტია და შემახა აიღო. ირანის გააქტიურებამ ქართველებს ოსმალებისაგან გათავისუფლების იმედი ჩაუსახა. გივი ამილახორის მეთაურობით ქართლში ოსმალთა წინააღმდეგ აჯანყება დაიწყო. ქართლს კახეთმაც აუბა მხარი. კახეთის მეფემ თეიმურაზმა ოსმალებს შეუტია და მათი მოკავშირე ჯარიც დაარბია.

1735 წ. ირანელი სარდალი თამაზ ხანი (შემდეგში ნადირ შაჰი) ყარსს მიადგა. ირან-ოსმალთა შორის ბრძოლაში ქართველებმა ირანელთა მხარე დაიჭირეს. ქართველებს თანაუგრძნობდა თამაზ ხანის სარდალი ასლამაზ ხანი, წარმოშობით ქართველი — ყაფლანიანთ სახლიდან. ქართველებმა თბილისის სამხრეთით ოსმალებს ბრძოლა გაუმართეს ასლამაზ ხანთან ერთად კოჯორ-წავკისის ხაზზე. ეს ბრძოლა ქართველებმა და ყიზილბაშებმა მოიგეს. ოსმალებმა გაქცევით უშველეს თავს. ბრძოლაში გადარჩენილებმა თბილისს შეაფარეს თავი[61]. ქალაქში შესულებს ქალაქის კარი დაუკეტიათ[62]. თბილისში ჩაკეტილი მოსახლეობა მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა. უკეთესი დღე არც გარეთ დარჩენილ თბილისელებს ადგათ. ამიტომ ნაწილმა სიცოცხლის შესანარჩუნებლად კახეთს შეაფარა თავი[63]. ამრიგად, მიუხედავად ირანელთა წარმატებებისა, თბილისი ჯერ კიდევ ოსმალთა ხელში რჩებოდა.

თამაზ ხანს განსაკუთრებული საომარი ოპერაციების ჩატარება მოუხდა, ვიდრე ოსმალთა ძალებს გატეხდა ამიერკავკასიაში. საბოლოოდ ოსმალებმა პოზიციები დათმეს და ერევანი, განჯა, ლორე და თბილისიც ირანელებს დაუთმეს[64]. ოსმალებმა თბილისი 1735 წ. 10 ივლისს დატოვეს. თამაზ ხანმა კახეთის მეფე თეიმურაზი და ქართველი დიდებულები ერევანში იხმო. ქართლ-კახეთის მმართველად ალექსანდრე (დავითის — იმამ-ყული ხანის ძე) დანიშნა, დამხმარეებად კი გამაჰმადიანებული ქართველები: ასლამაზ ხანი (ორბელიანი) და ალი-ყული ბეგი (ამირეჯიბი) მიუჩინა.

ქართლ-კახეთში „ყიზილბაშობა" დაიწყო. ეს მოვლენა მიზნად ისახავდა ქვეყნის ეკონომიკური შესაძლებლობების სრულ გამოყენებას და ადგილობრივი მმართველობის, საზოგადოებრივი ურთიერთობის, ყოფის, სულიერი კულტურის შეცვლას ირანული წესებით. მაგრამ ამ პოლიტიკის გატარებას ყიზილბაშები, ჩანს, ფრთხილად აპირებდნენ და ამიტომაც დიდმოხელეებად წარმოშობით ქართველები დანიშნეს.

თამახ ხანის ბრძანებით, ალექსანდრემ თბილისს 8000 თუმანი ხარკი შეაწერა, 3000 თუმანი ფულადი გადასახადი, ხოლო გლეხობას 3000 ხარ-

---

[61] სეხნია ჩხეიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 46.

[62] სცსა. ფ. 1448. №2396.

[63] იქვე.

[64] ვახუშტი. ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 514.

ვალი (75 000 ფუთი) ხორბალი გადაახდევინა, გარდა ამისა, ქართლ-კახეთიდან 2000 მოლაშქრე გაგზავნეს ნადირთან. თბილისმა გადასახადებს ვერ გაუძლო. ამიტომაც მოსახლეობამ გაქცევით უშველა თავს. ანტიირანული განწყობილება მთელ ქართლში გაიზარდა. თამაზ ხანი ურჩთა დასასჯელად მოემზადა — ქართლისა და თბილისის საგანგებოდ აოხრება გადაწყვიტა, მაგრამ ამ დროს ოსმალთა ძალებმა აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში შემოუტიეს და იგი იძულებული გახდა მტრის დასახვედრად სასწრაფოდ წასულიყო[65]. მოაგვარა რა საქმეები აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში, თამაზ ხანი თბილისს მობრუნდა. 6 ოქტომბერს თბილისში შემოვიდა, 25-ში კი იგი დატოვა და „ტფილისს ქალაქსა შინა“ ყიზილბაში ხანი დასვა[66]. ამიერიდან თბილისს ყიზილბაში მოხელე უწევდა კონტროლს.

1736 წ. თამაზ ხანმა თავი შაჰად გამოაცხადა, სახელად ნადირ შაჰი დაირქვა და აღმოსავლეთში ხანგრძლივ ლაშქრობებს შეუდგა. თბილისში დარჩენილი ყიზილბაში მოხელეები კი განუკითხავად მოქმედებდნენ. ქართველებს ძალიან უმძიმდათ ყიზილბაშური უღელი. იესე ოსეს ძე მოგვითხრობს, რომ ყიზილბაშებისაგან დაშინებული თბილისის მოსახლეობის ნაწილი თვეობით სიონის აკლდამებში იმალებოდა: „ტყვეობის შიშით მუდამ აკლდამებში ვისხედით“, „ტყვეობის შიშით სამი თვეა, რომ სიონის აკლდამაში ვისხედით“, „სპარსთ შიშით აკლდამებში ორსა და სამს თვეს ვიმალებოდითო“ და ა. შ., — არაერთგზის იმეორებდა იგი თავის ანდერძში[67].

1741 წ. ნადირის ბრძანებით, აღმოსავლეთ საქართველო აღწერეს და დახარკეს. პაპუნა ორბელიანის სიტყვებით, „ყოველსფერს შენობას, ანუ ოხერს ადგილს ასეთი ხარჯი დასდვეს, რომ ყოვლის კაცისაგან შეუძლებელი იყოო“. ქართლში ყიზილბაშთა ასეთი მოქმედების გამო უკმაყოფილება იზრდებოდა, მზადდებოდა აჯანყება. ნადირ შაჰი იძულებული გახდა დათმობაზე წასულიყო. 1742 წ. მან კახეთი გაათავისუფლა ყიზილბაშური ხარკისაგან, უფრო გვიან კი — ქართლიც.

ყიზილბაშობის დროს თბილისი ირანის მთავარი რწმუნებულის — ხანის რეზიდენციას წარმოადგენდა. აქვე იყვნენ მოკალათებული შაჰის კარიდან წამოსული მრავალრიცხოვანი მოხელეები.

თბილისში მჯდომი ხანი შაჰის ბრძანებით მოქმედებდა. თუ ერთი მხრივ იგი შაჰის ნების აღმსრულებელი იყო ქვეყანაში, მეორე მხრივ მისი ინფორმატორიც იყო. პაპუნა ორბელიანს მოთხრობილი აქვს: „მო-

---

[65] ვ ა ხ უ შ ტ ი. ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 515.

[66] ო მ ა ნ ხ ე რ ხ ე უ ლ ი ძ ე. დასახ. ნაშრომი, გვ. 244.

[67] იესე ბარათაშვილის ცხოვრება-ანდერძი. გამოსცა ა. იოსელიანმა. მსკი, ნაკვ. 28. 1950. გვ. 4, 7, 13.

ვიდა ბრძანება ხელმწიფისა, ებრძანა ქართლის ხანისათვის ამილახვარზე გალაშქრება, აღასრულა ბრძანება, გავიდა ქალაქით...“

ომან ხერხეულიძე ცნობას გვაწვდის ქსნის ხეობაში არეულობის შესახებ. ამ არეულობით ისარგებლა გივი ამილახორმა და ქსნის ხეობის დაკავება განიზრახა. დასახმარებლად მან ოსმალებს მიმართა. „ესე ყოველი ამცნო ტფილისს მჯდომმან ხანმან“ ნადირ-შაჰს[68]. ასეთივე ხასიათისაა მეორე ცნობაც: როდესაც ოსმალები გივი ამილახორის დასახმარებლად წამოვიდნენ, ერეკლე II-მ სასტიკად დაამარცხა ეს ლაშქარი. თბილისში მჯდომმა ხანმა „ესე ყოველი ყოფილი და ქმნილი ირაკლის მიერ“ პისწერა ნადირ-შაჰსაო[69].

რადგან თბილისი ყიზილბაშობის დროს ირანელი ხანების ადმინისტრაციულ ცენტრს წარმოადგენდა, იგი მტკიცე და შეუვალი ქალაქი უნდა ყოფილიყო. ამიტომ შაჰის ბრძანებით მისი აღდგენა-გამაგრება დაუწყიათ[70].

საერთოდ ყიზილბაშობის დროინდელი თბილისის სურათის აღსადგენად (ვაჟარ-ხელოსნობა, ადმინისტრაციული წყობა, მოხელეები, გადასახადები, ყოფა) ძალიან მწირი ცნობები გვაქვს. შ. მესხიას დადგენილი აქვს, რომ ყიზილბაშობის დროს თბილისის მმართველობაში ცვლილებები მომხდარა. პაპუნა ორბელიანის ცნობით, გაჩენილა ქალაქის ქალანთარის და ვეზირის სახელოები, რაც საქართველოსათვის უცხო იყო, მაგრამ ისინი ყიზილბაშთა ბატონობის მოსპობასთან ერთად აღარ იხსენიებიან.

ყიზილბაშობის დროს თბილისის მოსახლეობაზე დადებული ყოფილა „ქალაქის მალი და სატარუღო“ გადასახადი[71].

შემონახული გვაქვს 1735—1738 წწ. საბუთი, სადაც სამართალს ირანელი მოხელე — „ვექილი“ ალი-ყული ბეგი არჩევს. საფიქრებელია, რომ ყიზილბაშები ცდილობდნენ სასამართლო წარმოებაც თავიანთი უფლებისათვის დაექვემდებარებინათ.

მიუხედავად ირანელების მცდელობისა გაეტეხათ ქართველთა წინააღმდეგობა, ქართველ მოღვაწეთაგან თბილისის დაბრუნების საკითხი არასოდეს ყოფილა დავიწყებული.

1744 წ. ოსმალებმა კიდევ ერთხელ სცადეს ქართლში გაბატონება. მათ ლაშქარს გივი ამილახორი მიეგება. თეიმურაზ-ერეკლემ აქტიური მონაწილეობა მიიღეს ოსმალთა ამ ლაშქრობის განადგურებაში. ერთგულების სანაცვლოდ შაჰმა თეიმურაზი ქართლის, ხოლო ერეკლე თეიმურაზის ძე კახეთის მეფეებად დანიშნა. თბილისისათვის ამ მომენტს

---

[68] ომან ხერხეულიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 246.

[69] იქვე. გვ. 249.

[70] პაპუნა ორბელიანი, ამბავნი ქართლისანი, თბ., 1981, გვ. 81.

[71] დოკუმენტები თბილისის ისტორიისათვის, I, გვ. 246. აღნიშნული გადასახადების შესახებ სხვა ცნობა არა გვაქვს.

უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, ამიერიდან თბილისი უცხო დამპყრობელთა „საკუთრებას“ აღარ წარმოადგენდა.

1744 წ. 9 ივლისს თეიმურაზი თბილისს მოვიდა. პაპუნა ორბელიანს ერცლად აქვს აღწერილი, როგორი ზეიმით მიიღეს თბილისელებმა საკუთარი მეფე: „მიეგებნენ მოქალაქენი ანუ დასნი სამღვდელონი, შეასხეს ქება და შესწირეს მადლობა ღმერთსა, გაუშალეს მოქალაქეთა ფიანდაზი მძიმე ლართა, შეიქნა სროლა ზარბაზანთა, რომე ყურთა ჯმა აღარ იყო, ავლაბრით ალაყაფის კარამდის მორთვეს ბაზარი და განაბრწყინვეს ჩირაღდნით. იყო სამი დღე და ღამე განუწყვეტლად მეჯლისი და ლხინი უზომო, სიხარული ფრიადი. და მეფე მას შემდეგ, რაც ქართლით წაბრძანებულიყო, 20 წელს გადეევლო და მემკვიდრე-მეპატრონე აღარავინ მჯდარიყო ქართლსა. ამისთვის უფრო სიხარული ჰქონდათ, მემკვიდრე ქრისტეს მოყვარე მეფე დაუჯდათ და ამით ყოველი შეჭირვება დაავიწყდათ ქართველთა“[72]. 1745 წ. 1 ოქტომბერს თეიმურაზი მცხეთას ქრისტიანული წესით ეკურთხა მეფედ.

აკად. ნ. ბერძენიშვილის სიტყვით „... ეს ნადირ-შაპის წყალობა როდი იყო. ეს იყო ქართველობა ასორმოცდაათწლოვანი მედგარი ბრძოლით მონაპოვარი უფლება. ქართველები გამარჯვებას ზეიმობდნენ. შეეფერებოდათ კიდეც“[73].

ნადირ შაჰის სახელმწიფო მუდმივმა ომებმა გამოფიტა. დაცლილი ხაზინის შევსებას იგი დამოკიდებული ქვეყნებისაგან აკრეფილი შემოსავლით ფიქრობდა. ამ მიზნით, 1747 წლის თებერვალში ნადირ შაჰმა უზომო ხარკი მოითხოვა ქართველი მეფეებისაგან. „ფურცელაანთ ქრონიკის“ ლაკონური ცნობით, 1747 წ. ნადირ შაჰმა „ქალაქს არბაბი სთხოვა და საქართველო და ქალაქი აიყარა“[74].

არბაბი მიწის უპირობო საკუთრების ფორმა იყო შუა საუკუნეების ირანში. ქართული ფეოდალური საზოგადოებისათვის ეს იყო უჩვეულო და მძიმე გადასახადი, რომლის გადახდა ქართველ მოსახლეობას ფიზიკურად არ შეეძლო. იესე ოსეს ძის ცნობით, ამის გამო თბილისის მოსახლეობა აყრილა და ქალაქს გასცლია[75]. ნადირ შაჰის ფინანსური პოლიტიკა დაპყრობილი ხალხების უკმაყოფილებას იწვევდა და აჯანყებულმა ქვეშევრდომებმა იგი 1747 წ. კიდევაც გამოასალმეს სიცოცხლეს. ირანში ანარქია დაიწყო. ქართველებმა ყიზილბაშთაგან საბოლოოდ გათავისუფლებაზე დაიწყეს ფიქრი, მაგრამ ამ ხანებში ქართლის ტახტს ახა-

---

[72] პ ა პ უ ნ ა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, ამბავნი ქართლისანი, თბ., 1981, გვ. 82.

[73] ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, XVIII ს. საქართველოს ისტორიიდან. საქართველოს ისტორიის საკითხები, II, თბ., 1965, გვ. 183.

[74] თ. ქ ო რ დ ა ნ ი ა, ქრონიკები, III, თბ., 1967, გვ. 626.

[75] იესე ოსეს ძის ანდერძი, დასახ. გამოც., გვ. 9.

ლი პრეტენდენტი, ვახტანგ VI-ის ძმის იესე-მუსტაფას შვილი — აბდულა ბეგი (არჩილი) გამოუჩნდა.

40-იანი წლების დამდეგს აბდულა ბეგი ქართლის გამგებლად ითვლებოდა და თბილისში მჯდომი ირანელი ხანის ახლო მრჩეველი იყო. როდესაც 1747 წ. ნადირ შაჰმა თეიმურაზი ირანში გაიწვია, შაჰმა აბდულა ბეგს ერეკლეს დახმარება მიანდო. მან გამეფება მოინდომა. გამაგრდა თავის საუფლისწულო სამშვილდეში, ლეკებს მოუხმო და თბილისზე შეტევა დაიწყო. ბრძოლა მთელი წელი გრძელდებოდა. აბდულა ბეგს მხარს უჭერდნენ ირანის ტახტის მაძიებლები და თბილისის ყიზილბაში მეციხოვნეები. მაგრამ „ტფილისის მოქალაქენი ჰბრძოდნენ ციხესა და მტკიცედ სდგნენ ერთგულებასა მეფის ირაკლისასა". ყიზილბაშებმა თბილისის ციხე ჩაკეტეს. ერეკლემ ციხეს შეუტია, 1747 წ. 22 ივლისს კიდეც აიღო, ხოლო 10 აგვისტოს ქართველებმა ნარიყალა დაიკავეს[76].

თბილისი გათავისუფლდა ყიზილბაში მეციხოვნეებისაგან. მათ ყიზილბაში მოხელეებიც მიჰყვნენ. იგი ერეკლეს მეციხოვნეებმა დაიკავეს. აბდულა ბეგი გაიქცა და ყიზილბაშებთან ერთად სამშვილდეს შეაფარა თავი. მალე ერეკლემ სამშვილდეც აიღო და ქართლში ყიზილბაშთა უკანასკნელი ბუდეც მოიშალა. ყიზილბაშობის ბატონობას ქართლში ბოლო მოეღო. ეს იყო არა მხოლოდ ყიზილბაშებზე გამარჯვება, არამედ დინასტიური ბრძოლის საბოლოო მოგებაც.

[76] იესე ოსეს ძის ანდერძი. დასახ. ნაშრომი, გვ. 11; საქართველოს ისტორიის ქრონიკები, დასახ. გამოც., გვ. 86.

XII

თბილისის სოციალურ-ეკონომიკური განვითარება XVIII საუკუნეში

თბილისის ტერიტორია და მოსახლეობა

თბილისის გეგმათა შორის ქრონოლოგიურად პირველი ვახუშტი ბატონიშვილის მიერ შესრულებული გეგმაა. ეს გეგმა მოთავსებულია ვახუშტის 1735 წ. ატლასში ჩანართის სახით ქართლის რუკის ტაბულაზე. გეგმის თავზე ცხრა სვეტში მოქცეული ექსპლიკაცია (განმარტება) შეიცავს 65 ნომერს არაბული ციფრებით და 16 ნომერს ქართული ასორიცხვებით აღნიშნულს. მოცემულია აგრეთვე პირობითი ნიშნების განმარტება. ამას გარდა, გეგმაზე დატანილია გზებისა და ტბის აღმნიშვნელი ათი წარწერა[1]. ერთადერთი ობიექტი, რომელიც ვახუშტი ბატონიშვილს უნომროდ დარჩენია, არის განჯისკარი. მის ადგილას გეგმაზე დასმულია წრე, ციფრის ჩასმა კი ამ წრეში გეგმის შემდგენელს გამორჩენია. განჯისკარი გამორჩენილია ექსპლიკაციებშიც. ვახუშტის გეგმაზე საერთოდ არაა დატანილი ე. წ. აბანოს კარი, რომელიც კალას სეიდაბადთან აკავშირებდა.

მნიშვნელოვანია თავისი შინაარსით თბილისის 1785 წ. გეგმა, შესრულებული რუსი ოფიცრის, ტოპოგრაფ ალექსანდრე პიშჩევიჩის მიერ ფრანგულად[2]. ამ გეგმაზე დატანილია კალა, საკუთრივ თბილისი, ავლაბარი და გარეთუბანი. გეგმაზე დატანილია 86 დასახელება არაბული ციფრებით. რომელთა ახსნა მოცემულია ექსპლიკაციებში. გარდა ამისა, გეგმა შეიცავს წარწერებსა და გზების აღნიშვნებს.

საინტერესოა კაპიტან ჩუიკოს მიერ 1800 წ. შესრულებული თბილისის გეგმა[3]. ამ გეგმაზე მოცემულია ქალაქის 12 ნაწილი, მას ერთვის ექსპლიკაციები ორ სვეტად და პირობითი ნიშნების ახსნა. გეგმაზე დატანილია 91 ობიექტი აღნიშნული არაბული ციფრებით. ამას გარდა, თვით გეგმაზე დატანილია 17 ობიექტი ორთაჭალისა და სეიდაბადის ტერიტო-

---

[1] წინამდებარე გამოცემაში ვახუშტის გეგმის წარწერები შეცვლილია ციფრებით. ციფრების ახსნა კი განმარტებებშია გადატანილი (იხ. აქვე. ტაბ. 50 და განმარტებები, გვ. 459).

[2] დაბეჭდილია «Записки Императорского Одесского общества истории и древностей»-ს XXIV ტომში (იხ. აქვე. ტაბ. 59 და განმარტებები, გვ. 461).

[3] გეგმის დედანი დაცულია მოსკოვის სამხედრო საისტორიო არქივში (ЦГВИА, ф. ВУА, №22660). გამოქვეყნებულია მამისა ბერძნიშვილის წიგნში: „თბილისის გარეგანი სახე XVIII ს-ში“ (თბ., 1965, დანართი).

რიაზე, 10 ობიექტი — გარეთუბანში, 14 — მტკვრის მარცხენა მხარეს, 2 — ქალაქის შიგნით. დასახლებული კვარტალები მთლიანი უჯრედებითაა მოცემული, ხოლო ის უბნები, რომლებიც გეგმის შედგენისას დანგრეულ-გაპარტახებული იყო, უფრო მუქი ფერით არის.

ეს სამი გეგმა გვიჩვენებს სამ განსხვავებულ პერიოდს XVIII ს. თბილისის ისტორიაში. ვახუშტის გეგმაზე გამოხატულია თბილისი „ოსმალობის" წინ, ე. ი. მაქსიმალურ საზღვრებში, რომელსაც კი მიაღწია ქალაქმა XVIII ს-ში. პიშჩევიჩის გეგმა გამოხატავს ოსმალობა-ყიზილბაშობის შედეგად შევიწროებული ქალაქის ხელახალი აღორძინების ხანას ერეკლე II-ის მეფობაში, 1800 წლის ჩუიკოს გეგმა კი გვიჩვენებს ქალაქის მდგომარეობას აღა-მაჰმად ხანის შემოსევის შემდეგ.

ტერიტორია

XVIII ს-ში თბილისის ფარგლები გაიშალა, მოსახლეობა ქალაქის გალავნიდან სულ უფრო შორს მიიწევდა ჩრდილოეთისაკენ, იზრდებოდა ე. წ. გარეთუბნის ტერიტორია (გარეთუბანი ერქვა კალას გალავნის ჩრდილოეთით და დასავლეთით მდებარე რაიონს). გარეთუბნის გარეთა ზღვარი სხვადასხვა დროს სხვადასხვა იყო.

XVIII ს. პირველ მეოთხედში ვახუშტის გეგმის თანახმად, გარეთუბნის გარე ზღვარი ქაშვეთის ეკლესიის მიდამოებამდე აღწევდა. ქაშვეთამდე ვრცელდებოდა მჭიდროდ დასახლებული კვარტალების მიჯნა. ამ შემთხვევაში ქალაქის ზრდა, საერთოდ გავრცელებული წესისამებრ, მდინარის აღმა ხდებოდა. მჭიდროდ დასახლებულ კვარტალებში გარემიჯნებია (მტკვრიდან ზევით, ე. ი. დასავლეთით) მეიდნის სასახლე (№27), ქაშვეთი (№33), კალოუბანი (№34, ეს ეკლესია იდგა აწინდელ კინოთეატრ „რუსთაველის" ადგილას), არაგვის ერისთავის სასახლე (№35, დაახლოებით ს. ჯანაშიას სახ. სახელმწიფო მუზეუმის შენობის ადგილას), მჭიდროდ დასახლებული უბნების იქით განცალკევებით იყო ციციშვილის სახლი (№32, დაახლოებით იქ, სადაც დღეს კავშირგაბმულობის სახლია). უკიდურესი მიჯნა ქალაქისა ამ მხარეს იყო ყაიბულას ბაღი (№29) — დღევანდელი ჯორჯიაშვილის ქუჩის ადგილას. აწინდელი თბილისის საბჭოს შენობის ზემოთა უბანი მთლიანად ბაღებს ეკავა. უკიდურესი ბაღი ქალაქის დასავლეთით ყოფილა თბილელის ბაღი (№42, დღევანდელი დავითაშვილის ქუჩის ბოლოში). გარეთუბნის ამ მონაკვეთში არსებულ შენობათაგან ვახუშტი უჩვენებს მხოლოდ ორს — ბეჟანას ქარვასლას (№37, დაახლოებით თბილისის საბჭოს შენობის ადგილას) და ამარათს (№41)[4].

---

[4] IX თავის 1 პარაგრაფში უკვე აღინიშნა, რომ ვახუშტისეული ამარათი სამეფო სასახლე იყო.

გარეთუბნის მჭიდრო დასახლებულობაზე. ვახუშტის გეგმის გარდა. დოკუმენტური მასალაც მეტყველებს. დასახლებულ კვარტლებს იქით მოსახლეობა ბაღებსა და ვენახებს. ყანებსა და ბოსტნებს აშენებდა. თბილისელები სულ უფრო წინ მიიწევენ ქალაქის გალავნიდან ჩრდილოეთისაკენ. XVII—XVIII სს. მიჯნაზე მდ. ვერეს აუზი თბილისელთა ბაღვენახებს, წისქვილებსა და ყანებს ეჭირათ[5].

გარეთუბნის ტერიტორია თავის მხრივ იყოფოდა მიკროუბნებად. ქალაქიდან გარეთუბანში გამომავალი ყველაზე ქვედა კარი. მტკვართან უახლოესი კარი იყო და მას „დაბლა კარი". „ქვემოთ კარი" ან „წყლის კარი" ერქვა. ამ კართან გალავანში დატანებული იყო ბურჯი. რომელზედაც მუხრან-ბატონის სასახლე ყოფილა მიშენებული. ეს სასახლე XVIII ს-ის მთელ მანძილზე სულ იზრდებოდა მეზობლების ხარჯზე. მალე მუხრან-ბატონები გახდნენ ამ ადგილების ერთადერთი მფლობელები და სწორედ ამიტომ გარეთუბნის ამ ნაწილს მუხრანთუბანი შეერქვა. მუხრან-ბატონის სასახლემ. მრავალჯერ გადაკეთებულმა. იარსება XIX ს. მეორე ნახევრამდე. აქედან დაწყებული მტკვრამდე. ავანაანთ ხევის[6] ორივე ნაპირას მდებარე ტერიტორია მუხრან-ბატონთა საკუთრება იყო. შემდეგში ავანაანთ ხევის ადგილას გამავალ ქუჩასაც და ამ ქუჩის ბოლოდან მტკვარზე გადებულ ხიდსაც მუხრანსკის სახელი შეერქვა.

მუხრანთუბნის ჩრდილოეთითა და დასავლეთით ვანქის უბანი მდებარეობდა. ეს სახელი ამ უბანს აქ მდებარე სომეხთა მონასტრის — ვანქის სახელის მიხედვით შეერქვა. ვანქი იდგა დღევანდელ პრესის ქუჩაზე. სომხური საშუალო სკოლის შენობის ადგილას. ეკლესიის დასავლეთით სომეხთა სასაფლაო იყო.

ვანქის უბნის გვერდზე. მტკვრის აღმა. ორბელიანთუბანი იყო გაშლილი. ორბელიანები ცხოვრობდნენ ქალაქის ცენტრში — ბატონის მოედანთან. ამავე დროს ისინი ადგილებს იძენდნენ გარეთუბანშიც. XVIII ს. ბოლოს ორბელიანებს ეკუთვნოდათ ტერიტორია ყაბახსა (ავლაბრის ბაღი) და მტკვარს შუა. ეს ადგილი გალავნით ყოფილა შემოზღუდული და ადრე. სანამ 1751 წ. თეიმურაზ II მას ორბელიანებს უწყალობებდა. სახასო სასახლის „ადგილად ითვლებოდა".

---

[5] დოკუმენტები თბილისის ისტორიისათვის. წ. I შეადგინეს ნიკო ბერძენიშვილმა და.მამისა ბერძენიშვილმა. თბ., 1962. გვ. 279.

[6] ავანაანთ ხევი. იგივე სოლოლაკის წყალი. კოჯრის მთებში ღებს სათავეს და თბილისის ტერიტორიაზე შემოდის ახლანდელი დავითაშვილისა და თავისუფლების მოედნის. პუშკინისა და ბარათაშვილის ქუჩების გავლით. XIX ს. შუა ხანებში ეს ხევი მიწის ქვეშ ჩაიტანეს. ამ ხევს ვახუშტი თავის გეგმაზე „სალალაკის წყალს" უწოდებს (№ 43). ტექსტში კი ამ სახელით რატომღაც წავკისის ხევს მოიხსენიებს.

[7] დოკუმენტები თბილისის ისტორიისათვის. I. № 191.

ჩვენამდე მოაღწია ორბელიანთ მამულის ამ ზღურბლის ერთმა ნანგრევმა და, აგრეთვე, ორბელიანთ კარის ეკლესიამ.

ორბელიანთ უბანს დასავლეთით ყაბახი ესაზღვრებოდა[8]. ყაბახის დასავლეთით ქალაქის უკიდურესი ობიექტი ვახუშტის გეგმით ყაიბულას ბაღია (№29)[9].

საბუთებში ხშირად იხსენიება ბოშის უბანი. ეს მიკროუბანი გარეთუბნის ნაწილია შუა კარის მიდამოებში. იგი იხსენიება XVIII საუკუნის მრავალ საბუთში და აგრეთვე XIX ს. პირველი ოცეულის თბილისურ დოკუმენტებში. უმეტეს წილად ეს უბანი სახელდებულია როგორც ბოშის უბანი, ზოგჯერ კი ამ ზოგად სახელს თან სდევს თვით ბოშის სახელიც: „ბოშა მურადანთ ფიროანთ სახლი"[10], ან „ბოშის შვილი სოსიას სახლი"[11]. ამ მიკროუბნის სალოკალიზაციოდ მხოლოდ ერთი ორიენტირი გვაქვს — 1815 წ. ერთ საბუთში ბოშის შვილის სახლთან მდებარედ მოიხსენიება თეკენამის ეკლესია[12]. ეს ეკლესია ნახსენებია 1789—1815 წწ. შუალედის ზოგ საბუთში. ამასთან ყველა საბუთი მას მოიხსენიებს როგორც გარეთუბანს მდებარეს, უფრო კონკრეტული მინიშნება კი არსად გეხვდება. 1828 წ. შედგენილ თბილისის გეგმაზე იმ ადგილას, სადაც დღეს ბარათაშვილის ქუჩაზე ჩვენი საუკუნის 30-იან წლებში აშენებული დიდი სახლის ალაყაფის კარი თუ გვირაბი გადის, დატანილია თეკენამის გაუქმებული ეკლესია. ამ ადგილს ადრე თეკენამის შესახვევი რქმევია — ეს იყო ბარათაშვილის ქუჩის პერპენდიკულარული პატარა ქუჩა, რომელიც ბარათაშვილის ქუჩიდან ვანქის შესახვევში (დღეს გოქჩის შესახვევში) გამოდიოდა. ამ ქუჩაზე თეკენამის ეკლესია მდგარა. თეკენამის შესახვევს შემდეგში „მებელნი პერეულოკი" უწოდეს, 20-იან წლებში ჭანეთის შესახვევი დაერქვა. ამ სახელწოდებით იარსება ამ შესახვევმა 30-იან წლებამდე, როცა მთელი ეს მიდამოები დაინგრა ახალი სახლის ასაგებად.

ყველაზე მჭიდროდ დასახლებული გარეთუბანში ჩანს ის მიკროუბანი, რომელიც დღევანდელი პუშკინის, მუზეუმისა და რუსთაველის ქუჩებს შორის მდებარეობდა. ამ სამკუთხედში ვახუშტის გეგმა გამოჰყოფს სომხის საყდარს (№36) და არაგვის ერისთავის სასახლეს (№35). ეს სასახლე მუზეუმის შენობის ადგილას უნდა მდგარიყო. იგი ოსმალებმა დაანგრიეს 1724 წელს. სომხის საყდარი კი არის ე. წ. ქამაანთ საყდარი, რომელიც რუსთაველისა და ნატო ვაჩნაძის ქუჩების კუთხეში იდგა და

---

8 ვახუშტის გეგმის №28, პიშჩევიჩის გეგმის №75. 1800 წ. გეგმის «Площадь Кабахи».

9 1712 წ. ნასყიდობის წიგნით ყაიბულანთ ქაიხოსრო ყიდის „ბაღს ყაბახს ზეით", დოკუმენტები თბილისის ისტორიისათვის, №78.

10 სცსია, ფ. 1450, დავთ. 7, საბ. №90.

11 იქვე, დავთ. 55, საბ. №42.

12 იქვე, დავთ. 55, საბ. №43.

რომელიც 1927 წ. დაანგრიეს. თბილისური დოკუმენტები ამ საყდრის გვერდზე ასახელებენ ღამბარაანთ ქარვასლას. ამ ქარვასლასა და საყდარს შორის გამავალ ქუჩას კი იგივე დოკუმენტები „ქამაანთ საყდრის სათემო ქუჩას“[13] უწოდებენ. ოსმალობის შემდგომი ხანის დოკუმენტები ამ საყდრის პირდაპირ „ნაოხარ“ ადგილებსა და ვენახებს ასახელებენ[14].

ქალაქის შუა კარის პირდაპირ მდებარე ქუჩის პირას ჩამწკრივებული ყოფილა საჭურჭლე ქარხნები ანუ ქურახანები, ქესხანები თავისი დუქნებით.

ასეთი იყო მიკროუბანთა განლაგება გარეთუბანში.

XVIII ს. შუა ხანებიდან ქალაქი მკვეთრად იცვლის სახეს. როცა ერეკლე II-მ 1747 წ. მეტეხის ციხე, ნარიყალა და თაბორი სპარსელების გარნიზონისაგან გაათავისუფლა, მან მოხსნა ციხის კედელი, რომელიც ნარიყალადან მეტეხის ხიდამდე ეშვებოდა: „ბძანა მეფემან და აღიღეს გალავანი ქალაქისა, რომელი იყო ციხესა და ქალაქს შუა და გააერთნეს ციხე და ქალაქი თბილისისა“[15]. ამით მან, გარდა იმისა, რომ ერთბაშად მოსპო სპარსელთა ქართლში ბატონობის სიმბოლო, მნიშვნელოვნად შეცვალა ქალაქის გარეგანი სახე.

ამავე ხანებში იწყება ახალი ადგილების ათვისება ქალაქგარეთ. ათვისება ხდებოდა ერთი მხრივ ბაღ-ვენახებისა და მეორე მხრივ ეკლესია-სასაფლაოების აშენების გზით. თბილისელები ჩეხავენ ქალაქგარეთ მდებარე ტყეებს, ავაკებენ კლდოვან ზედაპირს, გამოჰყავთ მთიდან წყალი არხებით თუ მილებით, და უშენ ადგილებს ბაღად აქცევენ. ჩვენს ხელთაა თბილისელთა ამგვარი საქმიანობის ამსახველი არაერთი საბუთი. როგორც ითქვა, მდ. ვერეს აუზი თბილისელთა ბაღ-ვენახებს, წისქვილებსა და ყანებს ეჭირა. XVII ს-ის შუაში უკვე ჩანს მდ. ვერეზე ხოჯა ბეჰბუდას მიერ გადებული ხიდი.

გარეთუბნის ერთ-ერთი „კოლონიზატორი“ იყო ზირკინაანთ მიღდისი ააკა. მას XVII ს-ის დასაწყისში, საბუთის სიტყვით რომ ვთქვათ, „ქაშვეთის იქიდან თავიანთვის სასაფლაო ეკლესია რომ აუშენებია, გარშემო ბაღები ადგილებით და წყლით“, „დიდის ხარჯით შორე კლდიდან ქვიტკირის მილებით წყალი“ გამოუყვანია „და ბაღებიცა და აუზებიც გაუკეთებია“[16]. ზირკინაანთ საააკასაგან აშენებულმა ეკლესიამ ბოლო დრომდე იარსება. ეს ეკლესია იდგა დღევანდელი „ზარია ვოსტოკა“-ს რედაქციის შენობის უკან, გრიბოედოვის ქუჩაზე (ძველად ამ ქუჩას

---

[13] დოკუმენტები თბილისის ისტორიისათვის, №194.

[14] საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფ. Hd, № 13003.

[15] პ ა პ უ ნ ა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, ამბავნი ქართლისანი, ე. ცაგარეიშვილის გამოც., თბ., 1981, გვ 173.

[16] სცსია, ფ. 1450, დავთ. 52, საბ. №98.

კომენდანტის ქუჩა ერქვა). ეს ეკლესია, როგორც ჩანს, 1713 წ. აუშენებიათ.

როგორც საბუთის ზემომოყვანილი ნაწყვეტი აღნიშნავს, ეკლესიის გარდა. ზირკინაანთ სააკას გაუშენებია ბაღები, რომელთა მოსარწყავად კლდიდან მილით წყალი გამოუყვანია; ეს წყალი სპეციალურ აუზში გროვდებოდა, აქედან კი ბაღები ირწყვებოდა. ერთ-ერთი ასეთივე აუზი ზირკინაანთ ეკლესიის თავში, მის მაღლა იდგა ლოინაანთ სიმოვანას ბაღში. ეს ბაღი დაახლოებით უნდა ყოფილიყო დღევანდელი ალ. ჭავჭავაძის და გრიბოედოვის ქუჩების კუთხეში. ამ ლოინაანთ სიმოვანასაც „დიდის ძალის თეთრის დახარჯვით" „კლდიდამ წყალი ...ძირს ჩამოუტანია და აუზი აუშენებია და ბაღი გაუკეთებია და ალიზის გალავანი შემოუვლია"[17]. ეს ადგილი შემდეგში ხშირად საქეიფოდაც ყოფილა გამოყენებული: „ზირკინაანთ საყდრის თავში აუზი რომ არის, იქ ბევრჯელ გვისომს და რომელნიცა ხანდაზმულნი კაცნი იქმნებიან, ისინი თასს ხელთ დაიჭერდნენ და ლოინაანთ სიმოვანას შენდობას ეტყოდნენ. წყალიც იმისი ნასყიდი და გაკეთებულია და ეს აუზიცო" — იგონებს 1802 წ. იოანე პენტელაშვილი[18].

გარეთუბანში ჩნდება თავადთა და ბატონიშვილთა საცხოვრებლებიც. მაგალითად, ხორამზე ბატონიშვილმა 1712 წ. იყიდა სახლი გარეთუბანს, საგურეს მახლობლად (ყაბახთან) შეიძინეს სახლები რევაზ ხერხეულიძემ, გედევან აბაშიძემ, ციციშვილმა, შერმაზანაშვილმა, თუმანიშვილმა[19]. აქვეა ამილახვართა საერთო საგვარეულო სასახლე, არაგვის ერისთავის სასახლე.

ასევე იზრდება თბილისის ტერიტორია მტკვრის მარცხენა მხარეს. მდინარის ამ ნაპირზე ქალაქის ძირითადი უბანი იყო ავლაბარი. ავლაბარს ორი გალავანი ერტყა: ერთი — მთელი ავლაბრის ტერიტორიის ირგვლივ და მეორე — მის შიგნით, მეტეხის გარშემო იყო შემოვლებული. ავლაბრის ამ ორი გალავნიდან პირველს საბუთები ავლაბრის გალავანს უწოდებენ, მეორეს — ქალაქის გალავანს. თბილისის 1782 წ. აღწერა კი პირველს უწოდებს „გარეთ ავლაბარს", მეორეს — „შიგნით ავლაბრის ციხეს".

ვახუშტის გეგმაზე მხოლოდ მეტეხის მოზღუდულობაა დატანილი. პიმჩევიჩისა და 1800 წ. გეგმები შემოზღუდულად უჩვენებენ ავლაბრის მთელ ტერიტორიას. ორივე ამ გეგმაზე ავლაბრის ტერიტორია შუაზე იყოფა სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ მიმავალი ქუჩით, რომლის ბოლოში ავლაბრის გალავანზე კარია დატანილი. 1800 წ. გეგმა ამ კარს მხო-

---

[17] 1802 წ. საბუთი, სცსია, ფ. 226, საბ. №7752.

[18] იქვე.

[19] დოკუმენტები თბილისის ისტორიისათვის, №77 და №97.

ლოდ გრაფიკულად გამოხატავს, სახელწოდებას კი არ იძლევა. პიშჩევიჩის გეგმაზე კი მას ეწოდება: „ავლაბრის კარი დაღესტნის დიდ გზაზე გამავალი“ (№71).

ავლაბრის გალავანი XVIII ს. მეორე ან მესამე მეოთხედში უნდა იყოს აგებული (ვახუშტის ქართლიდან წასვლის შემდეგ), მაგრამ პირდაპირი ცნობა ამ ფაქტის შესახებ არ მოგვეპოვება.

ვახუშტის გეგმა ავლაბრის ციხეზე ერთ კარს უჩვენებს (№იგ). პიშჩევიჩის გეგმაზე მკაფიოდ ჩანს მეტეხის მოზღუდულობის ორი ნაწილი — მაღალი და დაბალი ციხეები, ორივე ამ ნაწილს აქვს კარი. მაღალი ციხის კარი (ამ გეგმაზე უსახელო) ვახუშტის გეგმის ავლაბრის კარს (იგ) და 1800 წ. გეგმის «Авлабарские ворота»-ს (№21) უდრის. დაბალი ციხის კარი სხვა გეგმებზე არსად დატანილი არ არის. საბუთებში კი იგი ასახულია. 1773 წ. საბუთით მას „ნაკარევი“ ეწოდება. ეს ნაკარევი რიყის მხარესა ყოფილა ციხის კარის პირდაპირ. ამ ნაკარევის მიდამოებში მიკირტუმ თაყოაშვილმა „გორჯილისა და თოფის წამლის ქარხანა“ ააგო და დუქნებიც გახსნა თოფის წამლის გასაყიდად.[20]

გზა კალას ტერიტორიიდან ავლაბარში მტკვარზე გადებული ხიდით მიდიოდა. ხიდიდან მაშინვე იწყებოდა აღმართი, რომელზედაც სირაჯების დუქნები იყო და ამიტომ მას სირაჯხანას უწოდებდნენ («Винный ряд» — „ღვინის აღმართი“ თანამედროვე ნომენკლატურით). ამჟამად ეს აღმართი დავაკებულია. სირაჯხანის მარცხნივ, ზურგით მტკვრისაკენ, რიყე დევს. სირაჯხანის ბოლოს, გზის მარჯვნივ, დარეჯან დედოფალმა აიშენა სასახლე და ეკლესია. შემდეგში იგი მაცხოვრის ფერისცვალების სახელობის მონასტრად გადაკეთდა. მას „დარიის მონასტერს“ უწოდებდნენ. დარეჯანის სასახლეს „საჩინოს“ ეძახდნენ, რადგან იგი კარგად ჩანდა ქალაქის მხრიდან. ამ სასახლესთან თავდებოდა თბილისის (მეტეხის) გალავანი და აქედან ავლაბრის კარით იწყებოდა ვაკე — საკუთრივ ავლაბრის ტერიტორია.

XVII ს-დან შეიმჩნევა ავლაბრის ტერიტორიის ზრდა ჩრდილოეთით რიყისა და ჩუღურეთის მხრისაკენ და მახათის მთისაკენ. სამხრეთიდან და დასავლეთიდან ავლაბრის ტერიტორიას მტკვარი ეკვრის.

აღმოსავლეთიდან ავლაბარს ნავთლუღი და დირსიჭალა ემიჯნებოდა. დირსიჭალა მტკვრის პირას მდებარეობდა (მის მოპირდაპირე მხარეს, მტკვრის მარჯვენა ნაპირზე კი ორთაჭალის ბაღები იყო გაშლილი). დირსიჭალას ჩრდილოეთიდან ჩამოუდიოდა ღომელაურის წყალი, რომელიც მას ნავთლუღისაგან ჰყოფდა. ნავთლუღი და განსაკუთრებით დირსიჭალა თბილისელთა (ავლაბრელთა) ბაღ-ვენახებს ეჭირათ.

რაც შეეხება ავლაბრის ზრდას ჩრდილოეთით, მახათის მთისაკენ,

---

[20] სცსია, ფ. 1450, დავთ. 18, საბ. №16.

აქაც, ისევე როგორც გარეთუბანში, სასაფლაოები და ეკლესიები იკავებდნენ გზას. მახათის მთის ქვეშ XVII ს-ში სასაფლაო იყო, რომელსაც როსტომ მეფე „ქალაქის სასაფლაოს“ უწოდებს. ეს სასაფლაო ყოფილა ზარაბთუხუცეს ხოჯა ბეჰბუდას „მამა-პაპათ ნაქონი სასაფლაო“. ამ სასაფლაოზე ხოჯა ბეჰბუდამ როსტომ მეფის დასტურით საყდარი ააშენა და ხევიდან წყალიც გამოიყვანა აქაურობის მოსარწყავად. ხოჯა ბეჰბუდას საყდარი (ხოჯავანქი) დატანილია ვახუშტის გეგმაზე მელიქის საყდრის სახელით (№59).

ხოჯა ბეჰბუდამ სასაფლაოს გვერდით ბაღიც გააშენა, ამ ბაღის მოსარწყავად წყალი მახათის მთიდან გამოიყვანა. ბაღი დატანილია ვახუშტის გეგმაზე „ბებუთას ბაღის“ სახელით (№60).

ბებუთას ბაღთან, როგორც ეს ვახუშტის გეგმითა და 1654 წ. წყალობის წიგნითაც ჩანს, ქალაქის შარა გადიოდა. ვახუშტი მას ლილოს გზას უწოდებს.

ვახუშტის გეგმით ავლაბრის ტერიტორიიდან რამდენიმე გზა მიემართებოდა სხვადასხვა მხარეს: მტკვრის გაყოლებით აღმოსავლეთისაკენ მიმავალ გზას იგი უწოდებს „ბაღების გზა ყარაისა“ (№69). ამ გზის პარალელურად მიმავალ გზას, რომელიც აღმოსავლეთით სულ უფრო სცილდებოდა ყარაიის გზას, ვახუშტი „კახეთის გზას“ უწოდებს (№70). შემდეგი პარალელური გზა „შუატბის გზად“ არის სახელდებული (№71). ჩრდილოეთით მიმავალ გზას კი, ბებუთას ბაღს რომ ჩაუვლის, „ლილოს გზას“ უწოდებს (№72). გეგმაზე დატანილია კიდევ ორი გზა — ავჭალის გზა (№74) და ზედა გზა (№75).

თუ 1800 წლის გეგმით ვიმსჯელებთ, XVIII ს. ბოლოს ქალაქის (ავლაბრის) ტერიტორია საცხოვრებელ კვარტალებს დაუფარავთ ავლაბრის გალავნიდან ხოჯავანქამდე და ჩუღურეთამდე. აღრე ეს ტერიტორია — პიშჩევიჩისა და ვახუშტის გეგმების მიხედვით — დაუსახლებელი ჩანს.

მოსახლეობის სწრაფვა ქალაქის საზღვრების გაფართოებისა და შორს წასვლისაკენ ოსმალთა ბატონობამ შეაჩერა მრავალი წლით.

თბილისურ დოკუმენტებში ასახულია ოსმალთა შემოსევის მძიმე შედეგები ქალაქისათვის და განსაკუთრებით გარეთუბნისათვის. საბუთებში არაერთგზის იხსენიება ურუმობაში გარეთუბნის დაქცევის ფაქტი. „გარეთუბანი დააქციეს ურუმებმა, როცა ქართლი დაიჭირეს“[21]. ოსმალთა სისასტიკის შედეგად „გარეოუბანი აიყარა და ქალაქში შემოვიდა“. თბილისურ დოკუმენტებში ოსმალთაგან მიწასთან გასწორებულად მოიხსენიება ციციშვილის მამული შუა კართან, ავანაანთ ხევის პირას. ეს

[21] 1786 წ. საბუთი (სცსია, ფ. 1450, დავთ. №2, საბ. №115). „ურუმობა“ აქ „ოსმალობის“ (ოსმალთა მიერ დაპყრობის) მნიშვნელობითაა ნახმარი.

ადგილი, საბუთის სიტყვით, „ოსმალებს გაესწორებინათ“ და დიდი ხნის მანძილზე ცარიელი იყო[22]. ავანაანთ ხევის მარჯვენა ნაპირსა და ქალაქის გალავანს შორის მდებარე ნაგებობანი მთლიანად მიწასთანაა გასწორებული. ამ ადგილებში მოსახლეობა ხელახლა მხოლოდ 70-იან წლებში იყიდებს ფეხს. თუ ქალაქის გალავანთან მიყუჟულ უბანს ეს დაემართა, ადვილი წარმოსადგენია, თუ როგორ გავერანდებოდა გარეთუბნის უფრო მოშორებული რაიონები. ამ ტერიტორიაზე საბუთები 70-იან წლებამდე მრავლად ასახელებენ „ნასახლარებს“, „ხარაბა ადგილებს“, „ნავენახრებს“ და სხვ.

ზირკინაანთ ეკლესია, მაგალითად, მთლიანად გახარაბდა. იქვე აშენებული ბაღები მინდვრად იქცა, წყლის მილები და აუზები დაიმტვრა. ვერც ზირკინაანთ ტერ-საკამ და ვერც მისმა შვილმა გასპარამ ვეღარ მოახერხეს დანგრეულის განახლება. აქაც, ისევე როგორც გარეთუბნის სხვა ნაწილებში, ცხოვრების ხელახალი აღორძინება 60-იანი წლების ბოლოდან იწყება. 1768 წ. ზირკინაანთ ოჯახს ზედსიძედ შემოჰყავთ ტერ-არაქელა და მას ზირკინაანთ სასაფლაოს საყდრისა და ბაღების განახლებას ავალებენ[23]. მაგრამ საერთო პირობები იმდენად არის შეცვლილი, რომ ეს საქმე ვერც ტერ-არაქელამ შეძლო მარტომ. 1792 წ. მან სხვა სამღვდელო პირნიც გაიამხანაგა და საერთო ძალით, განსაკუთრებით კი მოსახლეობის მხარდაჭერის იმედით, „ამ ეკლესიისა, წყლისა და ბაღების შენებას მიჰყო ხელი“[24].

ოსმალთა ბატონობის შედეგად ასევე გავერანდა ზირკინაანთ ეკლესიის მაღლა მდებარე ლოინაანთ ბაღი თავისი სარწყავი მილებითა და აუზით. ოსმალებმა დაანგრიეს არაგვის ერისთავის სასახლეც: „ურუმებმა რომ ქართლი დაიპირეს, გარეთუბანი დააქციეს, ერისთავის სასახლეც დააქციესეს“. ამის შემდეგ არაგვის ერისთავს სასახლე აღარა ჰქონია თბილისში. როცა მომდევნო ხანებში ქალაქს ჩამოვიდა ავთანდილ არაგვის. ერისთავი, ის იძულებული იყო გაჩერებულიყო თავისი სიძის გიორგი ორბელიანის სახლში, სადაც მან თითქმის ორი წელი დაჰყო[25].

1785 წელს შედგენილი პიშჩევიჩის გეგმით, ავანაანთ ხევის მარცხენა ნაპირზე საცხოვრებელი კვარტალები მხოლოდ ამ ხევის ქვედა ნაწილში, ვანქის უბანშია ნაჩვენები, დანარჩენი ნაწილი გარეთუბნისა კი თითქმის დაუსახლებელია. გარეთუბნის ტერიტორიაზე პიშჩევიჩის გეგმა უჩვენებს ვანქის სასაფლაოს (№74), ყაბახს (№75), ქაშუეთს (№76), ქამოანთ ეკლესიას (№78), კალოუბანს (№77). ავანაანთ ხევის პირას გეგმაზე აღნიშნულია თოფისწამლის ქარხანა (№79).

---

[22] 1786 წ. საბუთი. სცსია. ფ. 226, საბ. №7752.

[23] დოკუმენტები თბილისის ისტორიისათვის, №255.

[24] სცსია, ფ. 1450. დავთ. 52, საბ. №98.

[25] სცსია, ფ. 1450, დავთ. 2, საბ. №115.

ქალაქის აღმოსავლეთი ნაწილი. მტკვრის მარჯვენა ნაპირზე რომ მდებარეობდა, ცალკე უბანს წარმოადგენდა. კალასაგან იგი გამოყოფილი იყო წავკისის წყლით. წავკისის წყალი, იგივე დაბახანა, ლელეთა ხევის სახელითაცაა ცნობილი. ვახუშტი კი მას შეცდომით სალალაკის წყალს უწოდებს. ვახუშტის ეს შეცდომა მხოლოდ მისი შრომის ტექსტშია, გეგმაზე კი სალალაკის წყალი ეწოდება ამ სახელის მატარებელ ხევს. სალალაკის წყალი სინამდვილეში ერქვა ავანაანთ ხევს, რომელიც მიემართებოდა წავკისის წყლის პარალელურად. შემდეგ უხვევდა ჩრდილოეთით. გ. ლეონიძის ქუჩის გავლით თავისუფლების მოედანზე მიედინებოდა და პუშკინისა და ბარათაშვილის ქუჩებით მტკვარს უერთდებოდა მუხრანის ხიდთან. ეს მდინარე XIX ს. მეორე ნახევარში ქუჩის ქვეშ ჩაიტანეს. ვახუშტის ტექსტის ეს უზუსტობა, როგორც ითქვა, გასწორებულია გეგმაზე. აქ № 53-ით აღნიშნულია მდ. წავკისის წყალი, რომელიც სოლოლაკის ქედსა და თაბორის მთას შორის გადის და მტკვარს უერთდება აბანოების უბნის გავლით. სალალაკის წყალი ანუ ავანაანთ ხევი გეგმაზე ვახუშტის სწორადა აქვს დატანილი, აღნიშნულია № 43-ით და განმარტებულია როგორც სალალაკის წყალი.

წავკისის წყლის მარცხენა მხარეს მდებარე ტერიტორია ქალაქისა იყო საკუთრივ „ტფილისი". ვახუშტი მას თავის შრომაში „ტფილისად" მოიხსენიებს, გეგმის ექსპლიკაციებში კი „სეიდაბადს ანუ ტფილისს" უწოდებს.

წავკისის წყალს აღმოსავლეთიდან უერთდებოდა კლდიდან გამომავალი ცხელი წყაროები, რომლებზედაც აბანოები იყო გაშენებული. თანამედროვე აბანოებისა და ბალნეოლოგიური კურორტის რაიონი შეადგენდა სეიდაბადს, ანუ საკუთრივ ტფილისს, ამ რაიონში საცხოვრებელი უბნები აბანოების მიდამოებსა და მთის კალთებზე იყო (ამჟამად სეიდაბადის მოედანი და ქუჩა) შეფენილი. ხოლო ამ ქუჩებსა და მტკვარს შორის მდებარე ტერიტორია ბაღებით იყო დაფარული.

სეიდაბადი თაბორის მთის კალთებიდან მტკვრამდე მოზღუდული ყოფილა. ეს ზღუდე-გალავანი კარგად ჩანს ვახუშტის გეგმაზე. ამ ზღუდის ნანგრევები დღესაც იხილვება სეიდაბადისა და სანაპირო ქუჩათა შორის მდებარე ქალაქის ბაღში[25]. ეს გალავანი დატანილია თბილისის 1800 წლის გეგმაზეც: «Разваленное крепостное строение Халатхан называемое». ამ გალავანს იქით გადაშლილი იყო სეიდაბადის, კრწანისისა და ლოთაბელის ბაღები.

თუ ვახუშტისა და 1800 წლის გეგმებს ერთმანეთს შევუდარებთ, ცხადი ხდება, რომ ამ მხარეს ქალაქს არ განუცდია რაიმე არსებითი ცვლილება XVIII საუკუნის დასაწყისიდან მის ბოლომდე.

---

[25] ვ. ბერიძე. მე-18 ს. თბილისი ვახუშტის გეგმის მიხედვით, ანალები, I, თბ., 1947, გვ. 132.

თბილისური სახლები XVIII ს-ში

1803 წელს თბილისში ჩატარდა საცხოვრებელი სახლებისა და მცხოვრებლების აღწერა. ამ აღწერით ქალაქი ოთხ ნაწილად იყოფოდა: I, II, III და IV, რუსულად „ჩასტ"-ებად. აღწერიდან არ ჩანს[27], თუ სახელდობრ ქალაქის რა ტერიტორია იგულისხმება ამ ნაწილებში, სამაგიეროდ, ამას გვირკვევს საბუთი, რომელიც ქალაქში 1803 წლის აღწერას შეეხება[28]. ამ საბუთით ქალაქის ოთხი ნაწილი შემდეგნაირად არის განმარტებული: I — მუხრანის, II — წავკისის, III — მთის, IV — ავლაბრის.

ეს დაყოფა არ ეთანხმება ქალაქის ტრადიციულ დაყოფას (კალ•, თბილისი, გარეთუბანი, ისანი), თუ არ ჩავთვლით მის მეოთხე ნაწილს, და არც იმ დაყოფას იმეორებს, რომელიც შემდეგ საფუძვლად ედება თბილისის საპოლიციო უბნებად დანაწილებას. მუხრანის უბანი უდრის გარეთუბანს და კალას ნაწილს, წავკისის უბანი—ძველ სეიდაბადს და აბანოების უბანს, მთის უბანი — კლდის უბანს და ქვემო უბანს (ორივე ეს უბანი კალას შემადგენელი ნაწილია), ავლაბრის უბანი — ავლაბარს.

ამ ნაწილთაგან ყველაზე მჭიდროდ დასახლებული და ხალხმრავალი მუხრანის უბანი ყოფილა. 1803 წლის აღწერით მუხრანის უბანში 1010 სახლია, 4011 სული სახლობს, წავკისის უბანში 624 სახლია და 2940 სული, მთის უბანში 837 სახლია და 3061 სული, ავლაბარში 454 სახლია და 1075 სული.

ამ 2925 სახლიდან თითქმის არც ერთს არ მიუღწევია აღწერის ხანისათვის თავდაპირველი სახით. ყველა მათგანი აღა-მაჰმად ხანის შემოსევისას დანგრეული და XVIII ს-ის ბოლოს ხელახლა აღდგენილია. უმრავლესობა ამ სახლებისა ერთოთახიანია. ქალაქელთა დიდი ნაწილი ორ- ან სამოთახიან სახლებში ცხოვრობს. ხუთზე მეტი ოთახის მფლობელი მთელ ქალაქში ოცი ოჯახიც არ ჩანს.

ხუთი და ხუთზე მეტი ოთახის მფლობელებად გვევლინებიან თავადაზნაურობის წარმომადგენელნი, ეკლესიის წინამძღვრები და საერთოდ მაღალი სამღვდელოება, მდიდარი ვაჭრები და შეძლებული მოქალაქენი. ასეთივე სურათი იხატება ჩვენს წინ ოთხი ოთახის მესაკუთრე ქალაქელების სოციალური სახის გარკვევისას.

როგორი იყო აღნიშნული ოთახები გარეგნულად ანუ რას წარმოადგენდა თბილისური სახლი, ამის თაობაზე აღწერა არავითარ მასალას არ იძლევა. სხვა სახის მასალით კი XVIII ს. თბილისური სახლები ძირითადად ორი ტიპისა იყო: დარბაზი და შირვანული სახლი. თბილისუ-

---

[27] დაბეჭდილია ს. კაკაბაძის მიერ. — „საისტორიო მოამბე", II, 1925, გვ. 77—104.
[28] АКАК, II, с. 1046.

რი დოკუმენტები ასახელებენ ქალაქური შენობების ამ ორ ტიპს. ჩვენამდე არ მოუღწევია ამ ორი ტიპის არც ერთ სახლს, თუ არ ჩავთვლით ფორაქიშვილების დარბაზს ავლაბარში, მეტეხის ქუჩაზე. მაგრამ ეს დარბაზიც მრავალჯერაა გადაკეთებული, იგი გვირგვინმოხსნილია და კედლებში ფანჯრებჩატანებული. ამიტომ იგი მხოლოდ ნაწილობრივ იძლევა დარბაზის თავდაპირველი სახის წარმოდგენის საშუალებას.

ვახუშტი ქალაქური სახლების შესახებ ამბობს, რომ „სახლნი ნაშენნი არიან ქვა-ტალახითა და გალესილი გაჯით, ზოგთა სპარსთა რიგისა, ზოგთა ქართული"[29]. ვახუშტის „სპარსული რიგით" ნაშენი სახლი თბილისურ დოკუმენტებში მოხსენიებულ „შირვანულ სახლს" უდრის, ხოლო „ქართული რიგის" სახლი — დარბაზს. თბილისური დარბაზი და შირვანული სახლი აღწერილია ალექსანდრე ნეგრის მიერ 1816 წ.[30]

დოკუმენტური მასალა გვირკვევს, რომ ორსართულიანი სახლები საკმაოდ ხშირი ყოფილა თბილისში. ხშირად პირველ სართულზე დუქანი იყო მოთავსებული, მეორეზე საცხოვრებელი. ნეგრის აღწერილობით ბანიანი, ერთსართულიანი და უფანჯრო ნაგებობანი ჭარბობს ქალაქის სახლებში, მაგრამ ამ ტიპის სახლები რომ არ ყოფილა თბილისისათვის აუცილებელი ნიშან-თვისება, ეს ჩანს ქალაქის ჩვენამდე მოღწეული ხედებიდანაც.

შარდენის მოგზაურობის აღწერას თან ერთვის რამდენიმე გრავიურა, ერთი მათგანია თბილისის ხედი (1673 წ.). ამ გრავიურაზე თბილისური სახლები ორი ტიპისაა: ორფერდა სახურავით გადახურული და კვადრატული ფორმის ერთსართულიანი ნაგებობა ზედ დადგმული ნახევარსფეროს ფორმის გუმბათით. ამ გრავიურაზე ბანიანი სახლები სრულიად არ ჩანან. შარდენის ხედი წარმოდგენას გვიქმნის თვით სასახლეთა ტიპების შესახებაც. თუ ჩვეულებრივი საცხოვრებელი სახლები ერთსართულიანია, სასახლეები ამ გრავიურით სამსართულიანია. არის თაღოვანი, სვეტებიანი, სწორფასადიანი სასახლეები, ზოგ სასახლეს კოშკი აქვს დადგმული და ოთახები ვერტიკალურადაა განლაგებული.

შარდენის გრავიურა შესრულებულია ქალაქის აღმოსავლეთი მხრიდან. თითქოს მისი დამხატავი მტკვრის მარცხენა მხარეს, რიყის თავში ზის და იქიდან ხატავს მის წინ გადაშლილ ქალაქს. ქალაქის ხედზე აღნიშნულია მეფის მოედანი (ბატონის მოედანი), რომლის სამხრეთითა და ჩრდილოეთით სასახლის კორპუსებია მოთავსებული. ჩრდილოეთით მდებარე სასახლე სამსართულიანია, მესამე სართული უფრო ვიწროა, ვიდრე დანარჩენი ორი ქვედა სართული. მესამე სართულს კოდევ ადგას

---

[29] ვ ა ხ უ შ ტ ი ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბ., 1941, გვ. 54.

[30] მ. პ ო ლ ი ე ვ ქ ტ ო ვ ი, გ. ნ ა თ ა ძ ე, ძველი ტფილისი, ტფ., 1929, გვ. 73—74.

ფანჩატურის მსგავსი მანსარდა. ამ სასახლის მტკვრისკენ მიქცეული მხარე სვეტებით არის გარშემოვლებული. სვეტები I და II სართულზეა, თითქოს ეს სვეტები ღია აივანსა ჰქმნიან. ეს გაშლილი აივანი მტკვარს გადმოსცქერის. სწორედ ასეთი სასახლე აქვს სიტყვიერადაც აღწერილი შარდენს[31].

ამგვარად აღწერილი სასახლე და მისი სანადიმო დარბაზი გამოხატულია შარდენის მომდევნო გრავიურაზეც[32]. ეს გრავიურა ნათელ წარმოდგენას გვიქმნის ამ დარბაზის სეფის მოწყობილობაზე.

ცნობილია, რომ ადრე სამეფო სასახლეები თბილისში იყო ორგან — ისანში (მეტეხის პლატოზე) და თბილისში, ციხის ტერიტორიაზე. ციხეში არსებული „სასახლე მეფისა, პალატნი დიდ-დიდნი და შვენიერნი“ როსტომ მეფემ „დაუტევა“, „ჩამოზღუდა კალა ციხიდან ხიდის ყურემდე და მისცა სპარსთა“ „და თავისა თჳსისათჳს სამეფოდ აღაშენა სიონსა და ანჩისხატს შუა სასახლე, მტკვარს გარდაკიდებით, ყიზილბაშთა რიგისა“[33]. როსტომ მეფის აშენებული ეს „ყიზილბაშური რიგის“ სასახლე არის სწორედ შარდენის „მოგზაურობაში“ აღწერილი „მეფის სასახლე“.

XVII ს. ბოლოს ერეკლე I-მა როსტომის სასახლეს ახალი კორპუსი მიაშენა. ამ სასახლეს აღწერს ერეკლე I-ის შვილი თეიმურაზ II:

„ერთი სრა მამის ჩემისა, მეფის ერეკლეს გებული,
ხელმწიფეთ საკადრისი და ქვეყნისგან მოწონებული,
სარკით და ოქროს ვარაყით შემთხვევით განათებული.
და მეფეთ და დარბაისელთთვის სალხინოდ დამზადებული“[34].

1701 წ. თბილისში იმოგზაურა ტურნეფორმა, რომელმაც ქალაქის სხვა ნაგებობათა შორის მეფის სასახლეც დაათვალიერა. იგი შემდეგნაირად აღწერს მის მიერ ნანახ სასახლეს: „მთავრის სასახლე ციხის ქვემოთ, მდებარეობს, იგი ძალიან ძველია და ასეთი პატარა ქვეყნისათვის საკმაოდ კარგა გამოიყურება. სასახლის ბაღები, საბაზიარო, სამწევარ-სამეძებრო, მოედანი და ბაზარი სასახლის წინ დათვალიერების ღირსია. ჩვენ შეგვიყვანეს მომცრო დარბაზში, რომელმაც ჩვენზე საუკეთესო შთაბეჭდილება დასტოვა მიუხედავად იმისა, რომ იგი ხისგან არის ნაკეთები. მას ყოველ მხარეს აქვს ფანჯრები, რომლებშიაც ჩასმულია დიდი ზომის შუშები ლურჯი, ყვითელი, მოწითალო-მონაცრისფრო და

---

[31] მ. პ ო ლ ი ე ე ქ ტ ო ვ ი, გ. ნ ა თ ა ძ ე. ძველი ტფილისი, გვ. 19, 21—23.

[32] იქვე. გვ. 24.

[33] ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა..., 1941. გვ. 52.

[34] თ ე ი მ ურ ა ზ II, თხზულებათა სრული კრებული, გ. ჯაკობიას რედაქციით, თბ., 1939, გვ. 105.

სხვა ფერისა. არის რამდენიმე ვენეციური სარკეც..., ჰერი შემკულია მოვარაყებული ტყავით"[35].

ტურნეფორმაც დაგვიტოვა გრავიურა, რომელიც ქალაქის ხედს წარმოადგენს აღმოსავლეთიდან. მაგრამ ეს ხედი უფრო სტილიზებულია და მისი საშუალებით ქალაქის ნამდვილი იერის წარმოდგენა ცოტა გაჭირდება[36].

დავუბრუნდეთ სამეფო სასახლეებს. ვახუშტის თქმით, ვახტანგ VI-მ „აღაშენა სახლი მშვენიერი, სრულიად სარკითა და მოოქროვილი, დიდმხატვრობითა, ლაჟვარდითა და მარმარილოს კედლითა". ეს სასახლე სეხნია ჩხეიძეს შემდეგნაირადა აქვს აღწერილი: „სახლი პატიოსანი მიჰურიტისანისა და ოქროსა ვარაყითა შეთხზული... უმშვენიერესი სახლი არც ერანს შიგან მინახავს"[37]. მოგვეპოვება ამ სასახლის პლატონ იოსელიანისეული აღწერილობაც[38]. ეს სასახლე 1725 წელს ოსმალებმა დაანგრიეს.

სასახლის ტერიტორიაზე თეიმურაზ II-მ „ააგო სახლი ახალი... მტკვრის პირს, მშვენიერი და შემკული ყოვლით კერძო"[39]. ამ სახლში 1750 წ. გადაიხადეს ერეკლე II-სა და დარეჯანის ქორწილი, რომელიც შვიდ დღე-ღამეს გრძელდებოდა[40].

ერთი სამეფო სასახლე აშენებული იყო სეიდაბადის აღმოსავლეთით. ვახუშტის გეგმაზე მას ხალანგარი ეწოდება (№48). ეს სასახლე დაათვალიერა ტურნეფორმა და მისი შემდეგნაირი აღწერილობა დაგვიტოვა: „ოთახები ამ სასახლეში ანფილადად არის განლაგებული, მაგრამ, როგორც საერთოდ ამ ქვეყანაში მიღებულია, დაბალჭერიანებია. ისინი შემკულია ფრიზით და ისტორიული სურათებით, ყველაფერი ეს მეტად უშნო გემოვნებისაა, უხეიროდ დახატული, ცუდად შეღებილი და უფრო ცუდად შეხამებული"[41].

---

[35] მ. პ ო ლ ი ე ვ ქ ტ ო ვ ი, გ. ნ ა თ ა ძ ე, ძველი ტფილისი, გვ. 29. ტურნეფორის მიერ აღწერილი სასახლე თ. ბერიძეს მიაჩნია ერეკლე I-ის მიერ აშენებულ სასახლედ. თ. ბ ე რ ი ძ ე, თბილისური სამეფო სასახლეების ისტორიისათვის, „ძეგლის მეგობარი", 1982, №11, გვ. 102. მაგრამ რაკი ტურნეფორს მის შესახებ ნათქვამი აქვს, რომ იგი „ძალიან ძველია", ცხადია, ერეკლე I-ის აშენებული ვერ იქნებოდა.

[36] ტურნეფორის მიერ შესრულებული თბილისის ხედი დაბეჭდილი აქვს ვ. ცინცაძეს წიგნში «Тбилиси. Архитектура старого города и жилые дома первой половины XIX столетия». Тбилиси, 1958, табл. XI.

[37] ს ე ხ ნ ი ა ჩ ხ ე ი ძ ე, ცხოვრება მეფეთა, ზ. ჭიკინაძის გამოცემით, თბ., 1913, გვ. 25.

[38] И о с е л и а н и П. Описание древностей города Тифлиса. Тифлис, 1866, с. 248—249.

[39] ჰ ა პ უ ნ ა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 180.

[40] ამ სასახლის აგებას თ. ბერიძე 1749—1751 წლებით ათარიღებს. მისი საბოლოო შემკობა კი 1753 წ. დასრულებულა. „ძეგლის მეგობარი", 1982, II, გვ. 105.

[41] მ. პ ო ლ ი ე ვ ქ ტ ო ვ ი, გ. ნ ა თ ა ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 29.

მას შემდეგ, რაც როსტომმა სამეფო სასახლე ციხის უბნიდან სიონ-ანჩისხატის რიგზე გადმოიტანა, ამ ადგილებს საცხოვრებლად მიეტანა ქართველი თავადობაც.

პირველი თავადიშვილი, რომელმაც სასახლეთა ამ რიგზე დაიდო ბინა, იყო გივი ამილახვარი. გივი I ამილახვარს ცოლად ჰყავდა ვახტანგ V-ის ქალი თამარი, რომელსაც მზითვად მოჰყვა ანჩისხატის გვერდზე მდებარე სასახლე. მანამდე ეს სასახლე სამეფო იყო, იგი, როგორც „ამილახვრის სახლი", დატანილია ვახუშტის გეგმაზე (№7) და ნახსენებია ზოგ საისტორიო წყაროში.

ამილახვრის სასახლე მდებარეობდა ანჩისხატის ჩრდილოეთი კედლის გვერდით. ერთი მხრივ იგი გადიოდა წყლის კარიდან ბატონის მოედნისაკენ მიმავალ ქუჩაზე (აწ. შავთელის ქუჩა) და მეორე მხრივ — მტკვარზე. გივი ამილახვარმა და მისმა მეუღლემ მზითვად მოყოლილი სასახლე გააფართოეს და შეაკეთეს. ამ სასახლეს სამხრეთით ანჩისხატის მხარეს დიდი დარბაზი ჰქონია. თამარ ბატონიშვილს დარბაზისათვის ახალი კარი გაუჭრია ანჩისხატის მხარეს, მანვე ეს დარბაზი მთლიანად მოახატვინა მაშინდელ მხატვარს აბელ კალატოზიშვილს. აბელმავე ახლად გაჭრილი კარის თავზე გივისა და თამარის პორტრეტები დახატა მთელი ტანით: „ანჩისხატის გვერდზე კარი გამოუღია თამარ ბატონიშვილს, კარს ზევით ცოლი და ქმარი სწერია, აბელ კალატოზიშვილის დაწერილია და ის მხარეც იმათი დახატულია"[42].

ამ სასახლისათვის ახალ პატრონებს საყინულეც მიუმატებიათ. ამიერიდან ეს სასახლე ამილახვართა რეზიდენციად იქცა. დიმიტრი ამილახვარის ვაჟის ალექსანდრეს აღწერილობით, ეს სასახლე სამსართულიანი ყოფილა, სპარსულ ყაიდაზე ნაგები, იგი მტკვარს გადასცქეროდა და ეს სწრაფი მდინარე საძირკველს უთხრიდა მას. ამიტომ დიმიტრი ამილახვარი უკრძალავდა თავის ოჯახის წევრებს მტკვრისპირა ოთახებში ყოფნას. ერთ დღეს მართლაც ჩამონგრეულა მტკვრისპირა მხარე სასახლისა და იქ მყოფი ალექსანდრე ამილახვრის დედა ნანგრევებს ჩაუტანია მდინარეში[43]. ეს მოხდა 1763 წელს. ამის შემდეგ ეს სასახლე აღარ განუახლებიათ. 1765 წ. შეთქმულების (რომლის მონაწილენიც იყვნენ დიმიტრი და ალექსანდრე ამილახვრები) გამომჟღავნების შემდეგ ამ სასახლის აღდგენაზე უკვე აღარავის უფიქრია. პიშჩევიჩის 1785 წ. გეგმაზე ამ ადგილას პატრიარქის სახლია დატანილი.

ვახუშტის გეგმაზე, ამილახვრის სასახლის გვერდით, ჩრდილოეთით, ნაჩვენებია „ბატონიშვილის სახლი" (№8), შემდეგ „ლუარსაბისა" (№9) და „მუხრან-ბატონის" (№10) სახლები. ეს უკანასკნელი ამთავრებდა კა-

---

[42] დოკუმენტები თბილისის ისტორიისათვის, №206.

[43] История Георгианская, СПб.,1770, с. 54—55.

ლას ტერიტორიას. იგი გალავნის პირას ყოფილა აშენებული წყლის კართან. პიშჩევიჩის გეგმითაც ამ ადგილას რაღაც ნაგებობაა დატანილი, ოღონდ მოცემული არ არის მისი სახელი. შარდენის გრავიურით კი ამ ადგილას კახეთის მმართველის სასახლეა[44].

დღევანდელ შავთელის ქუჩაზე, გარდა ამილახვრისა და მუხრან-ბატონის სასახლეებისა, იყო აგრეთვე გერმანოზიშვილების, მეითრიშვილეშის, როჟიკაშვილის, მროველის, გარეჯელის, დოდოს მონასტრის სასახლეები. ანჩისხატის ჩრდილოეთით მდებარე სასახლე XVIII ს. დასაწყისში დაიკავა კათალიკოსმა დომენტიმ. ამის შემდეგ იგი კათალიკოსთა რეზიდენციად იქცა 1795 წლამდე. ეს რეზიდენცია დატანილია პიშჩევიჩის გეგმაზე როგორც წყლისკარიდან მეორე, მუხრან-ბატონის სასახლის შემდეგი სახლი (№2).

ქუჩის მარჯვენა მხარეს კი მდგარა ჯვარისმამის წინამძღვრისა და შიოშ ზედგენიძის სასახლეები. შავთელის ქუჩის პერპენდიკულარულია აწ. ავლევის (ადრე კვირაცხოვლის) ქუჩა, რომელზედაც იდგა ქაიხოსრო აბაშიძის, ქსნის ერისთავის, გედევანიშვილის და ციციშვილის სასახლეები. აქვე დასახლებულა XVIII ს-ში გათავადებული იესე ოსეს ძე.

ორბელიანები ბატონის მოედნის ჩრდილო-დასავლეთითა და დასავლეთით სახლდებიან.

სასახლეთა ადგილმდებარეობა, ასე თუ ისე, დგინდება, მაგრამ როგორი იყო ეს სასახლეები გარეგნულად, ამისი დანამდვილებითი ცოდნა არა გვაქვს. ვიცით, მაგალითად, რომ ბებუთაშვილების სასახლეს, რომელიც კლდისუბანში, ჯვარისმამის ეკლესიის ზემოთ, დღევანდელი ენგელსის ქუჩის დასაწყისში, იდგა, სხვადასხვა ნაგებობებითა და ეზობაღით საკმაოდ ვრცელი ტერიტორია ეჭირა. ამ ტერიტორიაზე ყოფილა პატარა აუზი მარმარილოს ლომებით და, აგრეთვე, ქვის აუზი. ამ აუზებში წყალი სოლოლაკის მთიდან მოდიოდა მილებით, შაჰის ტახტის მხრიდან[45].

ბატონის მოედნის ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში მდებარეობდა იოანე ნათლისმცემლის სახელობის ეკლესია, რომელიც ითვლებოდა ნათლისმცემლის უდაბნოს მეტოქედ ქალაქში. ამ ეკლესიის მეზობლად ორ-

---

[44] დოკუმენტურ მასალაში კახეთის მმართველის სასახლე არსადაა ფიქსირებული. მუხრან-ბატონის კუთვნილი სახლი კი ხშირად იხსენიება როგორც გალავნის შიგნით, ისე გალავნის გარეთ. მუხრან-ბატონებს აქ ვრცელი უბანი ეჭირათ. ამიტომაც ამ ადგილს მუხრანთუბანს უწოდებდნენ, ხოლო მათი სასახლე, გალავანთან მდებარე, ადრე გიორგი XI-ს ეკუთვნოდა. ამ მეფემ ეს სასახლე 1687 წელს თავის ბიძაშვილს თეიმურაზ მუხრან-ბატონს უბოძა (სცსია, ფ. 226, საბ. №61). ეტყობა, შარდენი სწორედ გიორგი XI-სეულ სასახლეს უწოდებს კახეთის მმართველის სასახლეს.

[45] სცსია, ფ. 1450, დავთ. 42, საბ. №1.

სართულიანი სასახლე ჰქონია ცნობილ სახელმწიფო მოღვაწეს სოლომონ ლეონიძეს.

როგორც საბუთებიდან ჩანს, ლეონიძის სახლი ორსართულიანი ყოფილა; მეორე სართულისათვის მას მიუშენებია „წამოკიდებული „ყაერული", ანუ ფიცრული, რომლისთვისაც ფანჯარა და „რუსები" დაუტანებია (ე. ი. აფიცრული აივანი)". იგი საკმაოდ ფართო ყოფილა — მიჯნის კედელს ადლნახევრით გადაცილებული. ეს გადაკიდებული აივანი იმდენად მაღალი ყოფილა, რომ იქიდან ეკლესიის საკურთხეველში გადახედვაც შეიძლებოდა, რის გამოც 1792 წ. სოლომონისათვის უჩივლიათ კიდეც[46]. ასეთი შემთხვევები, უთანხმოებანი მეზობლებს შორის და, საერთოდ, წესების დარღვევა სახლების შენებისას არცთუ ისე იშვიათი ყოფილა.

მოსახლეობა

ტურნეფორის ცნობით, 1700 წ. თბილისში ირიცხებოდა 20 000 მცხოვრები, ქართული მასალით კი — 1783 წ. აღწერით (ეს აღწერა შეეხება მხოლოდ ქალაქში მცხოვრებ ყმათა ოჯახებს) თბილისში ცხოვრობდა 3 478 კომლი ყმა. თუ კომლში საშუალოდ ხუთ სულს ვიანგარიშებთ, ქალაქის მთელი ყმა მოსახლეობა 17 390 სული იქნება. გამოდის, რომ თითქმის მთელი საუკუნის მანძილზე (1700—1783 წლებში) ქალაქში მოსახლეობის მატება არ მომხდარა. ამ ხნის განმავლობაში ქალაქმა გადაიტანა ოსმალობა, ყიზილბაშობა, შავი ჭირის ეპიდემიები და ბუნებრივია, რომ ქალაქის მოსახლეობა არ გაზრდილა.

აღა-მაჰმად ხანის შემოსევის შედეგად ქალაქი განსაკუთრებით დაზარალდა. მთელი მოსახლეობა აიყარა და გაიხიზნა. მხოლოდ მოგვიანებით იწყო ხალხმა ქალაქში ხელახალი დენა.

1803 წელს ჩატარდა ქალაქის აღწერა. აღწერა ჩატარდა იმის გასარკვევად, თუ რა საშუალება ჰქონდა ქალაქს რუსის ჯარისა და ჩინოვნიკების მისაღებად. ამისათვის აღწერეს ქალაქში მყოფი სახლებისა და მოსახლეობის რაოდენობა. აღმოჩნდა, რომ მაშინ თბილისში მცხოვრებთა რაოდენობა დაახლოებით 12 000 ყოფილა, ე. ი. 1783 წ. აღწერასთან შედარებით მოსახლეობის რიცხვი საკმაოდ შემცირებულა. მაგრამ, კლაპროტის ცნობით, თბილისის მოსახლეობა, რუსთა გარნიზონისა და ჩინოვნიკების გამოკლებით, 18 000 სულს შეადგენდა. მოსახლეობის რიცხვს თუმცა საგრძნობლად უმატია, მაგრამ მაინც ვერ მიუღწევია აღა-მაჰმად ხანის შემოსევამდე არსებული დონისათვის.

---

[46] ისტორიული საბუთები, ს. კაკაბაძის გამოც., V, გვ. 111.

ქ. თბილისს ჩრდილო-დასავლეთიდან სოფელი ვ ე რ ე ა ნ უ ვ ე რ ა ესაზღვრებოდა. ქალაქის შემოგარენში პირველად სიტყვა „ვერე" ხევის სახელად — „ვერისახევი" — XIII ს. გვხვდება. აღნიშნულ ხევში მოედინებოდა მდ. ვერე, რომელიც მტკვარს მარჯვენა მხრიდან ერთვოდა. XVI ს. მეფე სიმონ I-ის მიერ გაცემულ სიგელში მოხსენიებულია „ვერის ხევის" ტარუღა. ცალკე სოფლის სახელად „ვერე"-ს ვხვდებით XVIII ს-ში. იგი საგაბაშვილო სოფელია.

გაბაშვილთა გვარს თბილისის პირას პირველად XVI ს. ვხვდებით, კერძოდ, მთაწმინდაზე, წმ. დავითის სახელზე აგებულ ეკლესიასთან დაკავშირებით. 1542 წ. შედგენილი საბუთის მიხედვით, აქ ეკლესია აუგიათ ძმებს—ნიკოლოზ და დავით გაბაშვილებს.

ვერეს ადრეული სახელია სკვირეთი, სკორეთი.

ვახუშტი ამბობს: „ხოლო კოჟრის ჩრდილოთ კერძ არს სკჯრეთის მდინარე, აწ წოდებული ვერე; გამოსდის დიდგორის მთას, მოდის აღმოსავლით, ერთვის მტკუარს დასავლიდამ, ტფილისის ჩრდილოდ კერძ. შესართავსა ზედა არს ლურჯი მონასტერი"[47].

სოფელ ვერეს საზღვრებზე XVIII ს. სიგელ-გუჯრებში დაცული ცნობები კონკრეტულად არას გვამცნობენ. დადგენილი მიჯნები უფრო ქალაქთან ახლოს მდებარე საგაბაშვილო მამულს ეხება, ვიდრე კონკრეტულად სოფელ ვერეს. ამ დროს (XVIII ს-ში, შეიძლება XVII ს-შიც), ვერეც უფრო ადგილის ზოგადი სახელი იყო და მოიცავდა ამჟამინდელ საბურთალოს, დელისს, ვაკეს.

XVIII ს. ვერე შემოიფარგლებოდა სამხრეთიდან—გაბაანთხევით (ამჟამინდელი გაბაშვილის ქუჩის ნაწილი, ვერის დაღმართი), დასავლეთიდან—ვარდისუბნის მთით (სემიონოვკის დასახლება), ჩრდილოეთიდან—საბურთალოთი, აღმოსავლეთიდან — მტკვრით.

ვერე თბილისის მახლობლად ერთ-ერთი მთავარი სასოფლო-სამეურნეო უბანი იყო, რომლის ბაღ-ვენახებსა და ყანებში მოწეული ჭირნახულით მარაგდებოდა ქალაქის ბაზარი.

ბაღ-ვენახებისა და ყანების გარდა, მდ. ვერეზე ბევრი წისქვილი იდგა. მათი მფლობელები იყვნენ — ქალაქის მელიქი დარჩია, თბილელი, ორბელიანები, მელიქიშვილი, ყორღანაშვილი და სხვ. ვერაზე და საზოგადოდ ქალაქის სიახლოვეს წისქვილთა სიმრავლე მაჩვენებელია თბილისის შემოგარენის სოფლის მეურნეობის ინტენსიურობისა და დაწინაურების. წისქვილი დიდ შემოსავალს იძლეოდა, ამიტომაც მისი მეპატრონე იყო არა მარტო უბრალო მოქალაქე, ან ვაჭარი, არამედ მეფენი და

[47] ვ ა ხ უ შ ტ ი, ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 329.

თავადაზნაურებიც, რომლებსაც იჯარით ჰქონდა გაცემული თავიანთი წისქვილები.

„ქალაქის მოურავის სარგოს" მიხედვით, მოურავს წილი ვერის ბაღებიდანაც ერგებოდა. ვერის ხუროთმოძღვრული ძეგლებიდან დღესაც დგას „ლურჯი მონასტერი". ვერაზე მდგარა კიდევ ერთი ეკლესია „წმ. ესტატეს" სახელობის. XII—XIII სს-სა.

ვერაზე გადიოდა ქალაქიდან წამოსული „დიღმის გზა" — ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საქალაქთაშორისო და საქარავნო გზა (ამჟამინდელი მერაბ კოსტავას ქუჩა) ვერის ხევზე. ქვითა და ქართული აგურით ნაგებ ოთხმალიან „ვერის ხიდზე", რომელიც XVII ს. 40—50-იან წწ. აუგია თბილისელ ვაჭარს ხოჯა ბეჰბუდას (თავად ბებუთაშვილების წინაპარს) დღევანდელი ზოოპარკის ახლოს.

მეორე გზა, რომელიც ვერაზე გადიოდა, წყნეთის გზა (აწინდელი მელიქიშვილის ქუჩა და ილია ჭავჭავაძის გამზირი) იყო.

XIX ს. ძველი ვერის-საგაბაშვილოს ტერიტორიაზე ჩნდება რამდენიმე სოფლური დასახლება—საბურთალო, ვარდისუბანი, ვაკე.

ვარდისუბნისა და ვაკისაგან განსხვავებით, საბურთალო XVIIIს. შედგენილ წყაროებში გვხვდება. საბურთალო „დასტურლამალში" დიღომთან დაკავშირებითაა მოხსენიებული: „კარი 28, დიღმისა და მისის მოხელეებისა". ქვეთავში „დიღმის გამოსაღები" წერია — „საბურთალის ზვრებს პური კოდი 36. სხვა ჯერ არ დადებულა".

აღნიშნულ დროს წერილობით წყაროებში სახელ საბურთალოს მსაზღვრელად თან ახლავს სიტყვა ველი, მინდორი. ესე იგი, ამ დროს (XVIII ს.) საბურთალო, როგორც დასახლებული პუნქტი, არ არსებობდა. „მის (ვერის) სამხრით არს ველი საბურთალისა. ამას შინა ყოფილა რუ, ვერიდამ მოტანილი, და აწ უმისოდ უნაყოფო არს",—მოგვითხრობს ვახუშტი[48].

მაშასადამე, საბურთალოს ველი ირწყვებოდა მდინარე ვერედან გამოტანილი რუს საშუალებით, რომელიც, ეტყობა, ქვეყნის აბეგდობის ჟამს მოიშალა, რადგანაც იგი ვახუშტის დროს უკვე აღარ მოქმედებდა.

აღსანიშნავია, რომ საბურთალოს ველი განვითარებულ შუა საუკუნეებში (XI—XIII სს.) მჭიდროდ ყოფილა დასახლებული, რაზეც მეტყველებს აქ აღმოჩენილი ნუმიზმატიკური მასალა—მონეტები, თიხისა თუ ლითონის ნივთები.

ქალაქის შემოგარენში, მის უკიდურეს ჩრდილო-დასავლეთით, XVIII ს. მდებარეობდა სოფელი ვ ე ძ ი ს ი. აღებულ ხანაში ვეძისს სამხრეთიდან და აღმოსავლეთით უშუალოდ „საგაბაშვილო" ემიჯნებოდა, ხოლო დასავლეთით და ჩრდილოეთით—ნახშირ-გორისა და დიღმის მამუ-

---

[48] ვ ა ხ უ შ ტ ი, ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 339.

ლები (ამჟამად სოფელ ვეძისის მამულის ადგილი კანდელაკის სახელობის ქუჩას და მის მიმდებარე ტერიტორიას უკავია).

ვეძისი XVIII ს. 20-იან წლებამდე სახასო სამეფო მამულია. 1723 წ. გაცემული წყალობის სიგელით, ქართლ-კახეთის ტახტის მპყრობელ მეფეს კონსტანტინეს ციციშვილებისათვის უბოძებია ვეძისი.

ვეძისში, ციციშვილების გარდა, ყმა-მამული ჰქონდათ თარხნიშვილებს, სოლოღაშვილებს, თუმანიშვილებს და სხვ.

სოფელი კ რ წ ა ნ ი ს ი თბილისის სამხრეთით, მდ. მტკვრის მარჯვენა ნაპირზე მდებარე ერთ-ერთი გარეუბანთაგანია. პირველად ქალაქის მახლობლად კრწანისი გვხვდება 1392 წ. შედგენილ მცხეთის საკათალიკოსო სითარხნის გუჯარში — „ქალაქს ვაჭრებითა კრწანისი", იგი ვითარცა საკათალიკოსო მამული თბილისის მეტეხის ღვთისმშობლის ეკლესიას შეწირული მამულია.

XVIII ს. კრწანისის საზღვრებია: სამხრეთითა და სამხრეთ-დასავლეთიდან — ხატის თელეთი და შინდისი, ჩრდილოეთით—სეიდაბადი და აღმოსავლეთით—მდ. მტკვარი. მის ფარგლებშია ორთაჭალა.

კრწანისის ისტორიის შემცველი გვიანი დოკუმენტური მასალა ძირითადად აქ არსებული ბაღ-ვენახების ყიდვა-გაყიდვასა და წყალობით გაცემას ეხება.

ამ სოფლის მოურავისა და მამასახლისის სახელოების ბოძება და ჩამორთმევა საქართველოს კათალიკოსის უშუალო კომპეტენციაში შედიოდა, თუმცა ზოგჯერ აღნიშნულ სახელოებს მეფეც ამტკიცებდა.

კრწანისის მოურავის სახელო მემკვიდრეობითი იყო. მას ფლობდა თაზიშვილის გვარის ერთ-ერთი წარმომადგენელი.

კრწანისში ადგილობრივ მოხელეებთან ერთად (მოურავი, ხასადარი, მამასახლისი, მებეგრე, მეკულუხე, ზედამხედველი) სხვადასხვა დარგის ხელოსნებიც ყოფილან: ხარაზი, მკერვალი, მესანთლე, ფეიქარი და სხვ. ხელოსნობის განვითარებას აქ ხელს უწყობდა ქალაქის სიახლოვე. კრწანისელი ხელოსანი სოფელში დამზადებულ ნაწარმის ნაწილს თბილისის ბაზარზე ჰყიდდა.

კრწანისში ბაღები ჰქონდათ ქალაქელებს და მეფის ოჯახის წევრებს ბატონიშვილებს. „დასტურლამალში" საგანგებო პარაგრაფი აქვს დათმობილი „ქალაქის მწვანილის ბაჟის" საკითხს. აქ ლაპარაკია იმ ვალდებულებებზე, რაც ეთხოვებოდათ გაღმა ჭალის მეპატრონე-მებაღეებს: რა რაოდენობის ბოსტნეული და ხილი (კიტრი, ლობიო, ბადრიჯანი, ნიორი, თავი ხახვი, კომბოსტო, ჭარხალი, ნესვი, საზამთრო) უნდა ჩაებარებინათ ყოველდღიურად მეფის ქარხანაში (საწყობში); მათ ეკრძალებოდათ გასაყიდი მწვანილის დათესვა, ე. ი. ჭარბი მოსავლის მიღება.

დამოწმებულ საბუთში საუბარია ქალაქის გაღმა ჭალის ბაჟზე. იგივე მითითება ეძლეოდათ აქეთა ჭალის მეპატრონეებსაც — „კრწანისის ბო-

ლოს რომ ბაღები არის, იმისას ასრე იქმოდენ“-ო. საბუთში მოხსენიებული კრწანისის ბოლოში არსებული ბაღი ორთაჭალაა. თბილისის სანახებში გეოგრაფიულ სახელად „ორთაჭალა“ XVIII ს. მეორე ნახევარში გაჩნდა. მანამდე მას „ჭალის ბაღი“ ეწოდებოდა. „ორთაჭალა“ შუა ჭალას ნიშნავს. ორთაჭალა დოკუმენტურ წყაროებში, როგორც ცალკე ერთეული, იშვიათად გვხვდება. ის უფრო ხშირად სოფელ კრწანისთანაა მოხსენიებული — „ჩვენს სოფელს კრწანისის ორთაჭალას“, ანდა „გიბოძეთ კრწანისის ორთაჭალას“ და ა. შ. მათ ჰყავდათ ზედამხედველი, მეღალე და მეკულუხე, მოურავიც და მამასახლისიც.

ქართლის უკანასკნელი მეფის გიორგი XII-ის სიკვდილისა და მისი მემკვიდრის დავით ბაგრატიონის რუსეთში გადასახლების შემდეგ მათი კუთვნილი ორთაჭალის ბაღები გადაეცა ფიცხელაურ დოსითეოსს — არქიეპისკოპოსს.

კრწანისის და ორთაჭალის ზვრები, ბაღჩა-ბაღები ირწყვებოდა რუებით, ჩარხის წყლით, საგანგებოდ მოწყობილ საგუბრებში ჩამდგარი თუ დაგროვილი წყლით, მტკვარზე წყლის საქაჩი დიდი დოლაბებიც — ბორბლებიც იყო მოწყობილი.

ორთაჭალის ბაღებში მისვლა მდინარე მტკვრის მარჯვენა ტოტზე გადებული, კოფოებზე შემდგარი ხის ხიდის საშუალებით შეიძლებოდა. ხანდახან ნავითაც გადადიოდნენ, რომელსაც ემსახურებოდა საგანგებოდ მიჩენილი მენავე.

მტკვრის მარჯვენა ნაპირზე, სამხრეთის მხრიდან კრწანისის შემდეგ თბილისს ესაზღვრებოდა ყ უ რ ყ უ თ ა, შემდგომში სოფ. სოღანლუღი.

სოფ. ს ო ღ ა ნ ლ უ ღ ი ს სახელი XVII—XVIII სს. სიგელ-გუჯრებში და საისტორიო ლიტერატურაში სხვადასხვა ფორმით გვხვდება— ყურყუთა, სონღალუხი, სოღალუხი, სონღალუღი, სოღანლუღი. ბოლო დროს მას საკუთარ სახელად სოღანლუღი დაემკვიდრა. სახელი სოღანლუღი უცხოა—თურქულია და ქართულად სახახვეს თუ სახახვეთს ნიშნავს.

სოფ. სოღანლუღი თბილისის სამხრეთით მტკვრის მარჯვენა ნაპირზე მდებარეობდა. სოღანლუღს თბილისისაგან თელეთის მთა ჰყოფდა. თელეთის მთის აღმოსავლეთი კალთა მტკვრისაკენ ეშვებოდა და მდინარესთან ქმნიდა პატარა გამავალ ყელს. და, აი, სწორედ ამ ვიწრო ყელით უკავშირდებოდა სოღანლუღი ქალაქს. ამ ვიწრო ყელზე გადიოდა ერთ-ერთი მთავარი, სამხრეთისაკენ მიმავალი „განჯის გზა“. სოღანლუღი თბილისის სამხრეთის მისადგომებთან სწორედ ამ გზის ჩამკეტი პუნქტი იყო. აღსანიშნავია, რომ სოღანლუღს „გზის კარს“ უწოდებდნენ.

იყო ორი სოღანლუღი — პატარა და დიდი, რომლებსაც ერთმანეთისაგან შულავრის გზა ჰყოფდა. სოღანლუღს გარს ერტყა ლეღვის ხევი, ტაშხარყანა, მტკვარი, შულავრის და ყაზახის გზები, ყოჩის ქვა, სანგრის

გორა, ხანლუხდარეს მეორე ხევი, ამილახვრების თელეთი, ტალის (თალის) ქვა და ისევ ლელვის ხევი.

ამგვარად, სოღანლუღს ეკავა წყლისპირეთი, მტკვრის მარჯვენა ნაპირის ჭალები და თელეთის (ამილახვრების) მახლობელი ველ-მინდვრები.

პირველად სოღანლუღის ადრეული სახელი „ყურყუთა“ სპარსეთში გიორგი სააკაძის წასვლასთან დაკავშირებით გვხვდება. 1612 წ. გიორგი სააკაძე ღამით ლილოებზე გავლით თბილისს ჩრდილო-აღმოსავლეთიდან ჩაუვლის. მტკვრის ფონით ყურყუთას გავა და აღჯაყალას მიდის. აქედან კი დევნილი თბილისის მოურავი ირანის მბრძანებლის შაჰ აბას I-ის კარს ეახლება.

როსტომ მეფის გარდაცვალების (1658 წ.) შემდეგ ირანის შაჰი აბას II ქართლის ტახტს ვახტანგ V-ს, შაჰნავაზად წოდებულს, აძლევს. ამ ამბავთან დაკავშირებით სარდალ პაპუნა ციციშვილის ხელით გამოგზავნილი შაჰის რაყამი და ხალათი ვახტანგ V-მ სოღანლუღში მიიღო. 1723 წ. კონსტანტინე კახეთის მეფე ოსმალებს სოღანლუღში მიეგება და იქ გადასცა ქალაქის კლიტე.

სოღანლუღში სახლობდნენ ქართველები, სომხები და მაჰმადიანები— თურქები.

სოღანლუღი სამეფო მამული იყო. XVIII ს. მიწურულს ის ქართველი ბატონიშვილების ხელში გადავიდა. სოღანლუღი ხან იულონ, ხან კიდევ ფარნაოზ ბატონიშვილების კუთვნილი გახდა. ყმა-მამული იქ ამილახვრებსაც ჰქონდათ.

ქართლ-კახეთის მეფემ ერეკლე მეორემ სოღანლუღში 1765—1772 წლებში ააგო ციხე, რომლის ადგილმდებარეობის შესახებ მიგვანიშნებს ქვემო ქართლში 1772 წ. მიმავალი გიულდენშტედტი[49]: „24 მაისი. მე გავათენე მტკვრის ნაპირზე სოღანლუღის ციხის ქვემო“. ამგვარად, ვიგებთ, რომ სოღანლუღის ციხე მდგარა მტკვრის სიახლოვეს. ასევე, გიულდენშტედტის მიერვე შედგენილ „საქართველოს 1772 წ. რუკაზე“ დატანილია სოფ. სოღანლუღი, როგორც დასახლებული ციხესიმაგრე.

აღსანიშნავია, რომ სოღანლუღში ეკლესიაც მდგარა, რომელმაც, სამწუხაროდ, ჩვენამდე ვერ მოაღწია, იგი XIX საუკუნეში უკვე დანგრეული იყო.

XVIII ს. სოღანლუღი ქალაქის სანახებში იმ გარეუბანთა რიცხვს მიეკუთვნება, რომლებიც თბილისის ბაზარს ამარაგებდნენ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებით. სოღანლუღში სოფლის მეურნეობის დაწინაურებაზე მეტყველებს სოფლის ზვრების, ხოდაბუნებისა და ბაღჩა-ბა-

---

[49] გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, თარგმნა და გამოსცა გ. გელაშვილმა. ტ. I, თბ., 1962, გვ. 67.

ღების მოსარწყავად მტკვრიდან გამოყვანილი ორი — დიდი და პატარა — სარწყავი არხი.

1797—1799 წწ. ერეკლე II-ისა და გიორგი XII-ის ნებართვითა და სურვილით იოანე ბატონიშვილმა ქართლის სოფლები აღწერა. დავთარში სოფლების გარდა შეტანილია — „ქ. საძოვარნი ადგილნი და სათიბნი მინდორნი და მთებნი და სანადირო ადგილნი სამეფო". ამ ადგილთა სიაში შეტანილია — „სოღალუღის ჭალა"[50].

გვიან შუა საუკუნეებში, თბილისის შემოგარენში მტკვრის მარცხენა ნაპირზე ქალაქის უახლოესი გარეუბნები იყო ღომელაური, ნავთლუღი, ჩუღურეთი, ახალსოფელი (კუკია), დიდუბე. XVIII ს. ავლაბარსა და ნავთლუღს ერთმანეთისაგან ჰყოფდა სოფელი ღომელაური და დირსიჭალის ბაღები.

ღ ო მ ე ლ ა უ რ ი, როგორც სოფელი, XVII ს. უკვე არსებობს, შემდეგ ის გახარაბებულია, მისი განახლება XVIII ს. მოხდა და, როგორც დასახლებული პუნქტი, აღნიშნული საუკუნის ბოლომდე გვხვდება.

დ ი რ ს ი ჭ ა ლ ა შ ი მხოლოდ ბაღები იყო გაშენებული. დირსიჭალის ბაღების მესაკუთრენი იყვნენ როგორც ქალაქელები, ასევე ახლომახლო სოფლელები — ავლაბრელები, ღომელაურელები, ნავთლუღელები და სხვა.

დირსიჭალის ბაღები გაშენებული იყო ღომელაურის დასავლეთით, მტკვრის მარცხენა ნაპირზე, ხევის დაბოლოებაზე, მის ქვემო წელზე.

სოფელი ნ ა ვ თ ლ უ ღ ი თბილისის აღმოსავლეთით, მდ. მტკვრის მარცხენა ნაპირზე მდებარეობდა.

ნავთლუღსაც, ისევე როგორც ზოგიერთ ქალაქისპირა სოფელს, ორი სახელი ჰქონდა—ნავთლუღი და ერეკლეს ციხე. სახელი ნავთლუღი ადრეულია, ხოლო „ერეკლეს ციხე" — გვიანი, თუმცა ეს უკანასკნელი არ დამკვიდრდა, ციხე-გალავნის დანგრევასთან ერთად ისიც დავიწყებას მიეცა და სოფელს ისევ თავისი ძველი სახელი დაუბრუნდა.

ადგილის სახელი ნავთლუღი ორი სიტყვის ნაზავს წარმოადგენს — ნავთი-ლუღი. ნავთი აღმოსავლური სიტყვაა, ლუღი—თურქული და ადგილს ნიშნავს, ე. ი. ნავთლუღი — ნავთის ადგილს, ნავთისას, სანავთეს აღნიშნავს. თბილისის სანახებში ამ სახელის მქონე პუნქტი როდის გაჩნდა, ზუსტად არ ვიცით.

თუ ადგილის ადრეული სახელის — „ნავთლუღის" წარმოშობის ზუსტი დრო არ ვიცით, ბედნიერ გამონაკლისს წარმოადგენს მისი მეორე სახელი — „ერეკლეს ციხე". აი, მის შესახებ რას წერს გიულდენშტედტი: „სოფელი ნათლუღი მდებარეობს მტკვრის მარცხენა ნაპირას, შესდგება დაახლოებით 50 სახლისაგან და, გარდა ამისა, აქაური ჩვეულების მი-

[50] ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფ. S-3729.

ხედვით, ბევრი მიწურისაგან (რუსულად „ზემლიანკა“). მოსახლეობა ქართველებია. ახლანდელმა მეფემ შემოარტყა ოთხკუთხა კედელი ადგილს, დიამეტრით 80 ნაბიჯი, და დაატანა მრგვალი კოშკი. ამიტომ მას დაარქვეს ერეკლეს ციხე“[51].

„ერეკლეს ციხეს“ ადგილის სახელად პირველად 1770 წელს ვხვდებით. ისე როგორც ბევრი ქართული სოფელი, მტერთა არაერთგზის შემმუსვრელი შემოსევის შედეგად, ნავთლუღიც გაუკაცრიელებულა. გახარაბებული ნავთლუღი XVIII საუკუნის მეორე ნახევარში სხვადასხვა სოფლებიდან მორეკილი ყმა გლეხებით მეფე ერეკლე მეორემ დაასახლა და შემდეგ, XVIII ს. დასასრულს, თავად სუმბათაშვილებს უწყალობა.

სოფლის მოურავის სახელოც სუმბათაშვილებს ეკავათ.

1776—1780 წწ. მოწყობილ სოფელთა აღწერის ნუსხის მიხედვით, „ერეკლეს ციხეში“ 62 კომლი ყმა გლეხი ცხოვრობდა.

თბილისს მტკვრის მარცხენა ნაპირზე, ჩრდილოეთით ესაზღვრებოდა სოფელი ჩ უ ღ უ რ ე თ ი.

ვახუშტი ბაგრატიონის „თბილისის 1735 წლის გეგმაზე“ დატანილი დასახლების აღმნიშვნელი უჯრედების მიხედვით, ჩუღურეთი საკმაოდ მჭიდროდ დასახლებული სოფელია.

პირველად სოფლის სახელად თბილისის მახლობლად ჩუღურეთს ვხვდებით 1716 წ., უფრო ადრე, 1707 წელს, გაცემული წყალობის სიგელში ის იხსენიება როგორც ჩუხური.

ჩუღურეთი ნაწარმოებია თურქული სიტყვიდან „ჩუკორ“, „ჩკურ“, „ჩუხურ“ — ორმო, ფოსო, ღრმა, ხრამი, ფლატე, დაბლობი, დაცემული ადგილი.

ვახუშტის შემდეგ ჩუღურეთს თითქმის XVIII ს. დასასრულამდე ალარა ვხვდებით, თუ არ ჩავთვლით 1765 წ. შედგენილ კათალიკოსის ყმათა ნუსხაში მოხსენიებულ ჩუღურეთელ მეჭურჭლე თომას.

აღსანიშნავია, რომ ჩუღურეთი საქართველოს რუკაზე არც გიულდენშტედტს და არც პიშჩევიჩს თბილისის 1785 წლის გეგმაზე დატანილი არა აქვთ.

XVIII ს. ჩუღურეთი ასე შემოისაზღვრებოდა: ჩრდილოეთით — დიდხევი, სამხრეთიდან — ჩუღურეთის ხევი (ამჟამინდელი კიბალჩიჩის ხევი), აღმოსავლეთით — ხევი და დასავლეთიდან — მტკვარი.

ჩუღურეთს ორად, აღმოსავლეთ და დასავლეთ ნაწილებად ჰყოფდა მასზე გამავალი „ავჭალის გზა“, რომელიც იწყებოდა ავლაბრის გალავანში დატანებულ „პატარა კარიდან“ და მიემართებოდა მდინარე არაგვის მარცხენა ნაპირისაკენ.

---

[51] გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში. დასახ. გამოცემა, ტ.I, გვ.17, 65.

1795 წ. დეკემბერში მეფე ერეკლე მეორემ თავისი კუთვნილი სამეფო სოფელი ჩუღურეთი თავად ამატუნს უწყალობა.

ძველი თბილისის ჩრდილო-აღმოსავლეთით, ჩუღურეთის უბნის აღმოსავლეთით, ჩუღურეთის (კიბალჩიჩის, სურბ-კარაპეტას) ხევისა და რკინიგზის გადამკვეთ ტერიტორიას — რკინიგზის გადაღმა მხარეს ე ლ ი ა ეწოდება. ელია ქართულ აპოკრიფულ მოთხრობებსა და სასულიერო ლექსებში „ღრუბელთა წინამძღვარია", ე. ი. ის განაგებს სეტყვას, ელჟა-ქუხილს, წვიმას, გვალვას.

უბანი ელია ემიჯნება მახათის მთას, რომელზეც იდგა წმინდა ილიას სახელობის ეკლესია.

გვიან შუა საუკუნეების ხანის თბილისს მტკვრის მარცხენა მხარეზე, ჩრდილოეთის მხრიდან, სოფ. ჩუღურეთის შემდეგ, ესაზღვრებოდა ა ხ ა ლ ს ო ფ ე ლ ი (შემდეგდროინდელი სოფ. კუკია).

თბილისისპირა ახალსოფელი წერილობით წყაროებში პირველად ვახუშტის „აღწერა სამეფოსა საქართველოსაში" მოთავსებულ სოფელთა სიაში გვხვდება.

ვახუშტი ბაგრატიონს „თბილისის 1735 წლის გეგმაზე" ახალსოფელი დატანილი აქვს №64-ით. აღმნიშვნელი უჯრედების მიხედვით იქ დასახლება მეჩხერი ყოფილა.

გეგმით ახალსოფელი მტკვრის ნაპირის სიახლოვესაა გაშენებული. გზა (№74), რომელიც გატანილია ქალაქიდან და მიემართება ჩრდილოეთისაკენ, ახალსოფელს ჩაუდის მოშორებით, აღმოსავლეთიდან. ეს ის გზაა, რომელიც მოგვიანო ხანის საბუთებში, საქართველოს რუკებსა და თბილისის გეგმებზე გვხვდება „დიდი ავჭალის გზის" სახელით (დღევანდელი საბჭოს ქუჩა).

ახალსოფელს 1772 წ. ჩვენში ჩამოსული გიულდენშტედტი კუკიას უწოდებს. მას ის დანგრეული და გაპარტახებული დახვედრია. ხელმეორედ კუკია უფრო მოგვიანებით დასახლდა.

სოფ. კუკია სადედოფლო მამული იყო. ბუნებრივია, დედოფალი დაინტერესებული იყო თავის მამულში სოფლის მეურნეობა, ხელოსნობა და ვაჭრობა ფეხზე წამოეყენებინა და განვითარებისთვის საჭირო მწარმოებელი ძალა, მიწის მუშა გლეხი ჰყოლოდა. ამიტომ ის ყოველნაირად ცდილობდა და ხელს უწყობდა სოფლის მოსახლეობის ხელოვნურ ზრდას. ამ მიმართებით და მიზნით მეფე ერეკლე II-ის მეუღლემ დარეჯან დედოფალმა თავის კუთვნილ სომხით-საბარათიანოში მდებარე სადედოფლო სოფელ წინწყაროდან ქალაქისპირა სოფ. კუკიაში გადმოასახლა 30 კომლი გლეხი და 16 კომლი განჯელი სომხის ოჯახი. ეს მოხდა თბილისში გიულდენშტედტის ჩამოსვლის (1772 წ.) ცოტა მოგვიანებით, რადგანაც 1781 წ. მომხდარი აღწერის მიხედვით, კუკიას მოლაშ-

ქრის გამოყვანა აქვს შეწერილი. ამ დროს სოფელ კუკიაში 48 კომლი ყმა გლეხი სახლობდა.

კუკია მოქცეული იყო ბუნებრივ საზღვრებს შორის: სამხრეთიდან — კვირაცხოველი (დიდხევი), რომელიც კუკიას ჩულურეთისაგან ჰყოფდა, ჩრდილოეთიდან—უსახელო ხევი (დაახლოებით ამჟამინდელი მარჯანიშვილის სახელობის ქუჩა), დასავლეთიდან — მდ. მტკვარი და აღმოსავლეთიდან—ხელოვნური, მიწაყრილიანი თხრილი.

ადგილის სახელი — ახალსოფელი თვითონ ლაპარაკობს თავის თავზე. ის ახლად გაჩენილი დასახლებული პუნქტია. ახალსოფელი XVII და XVIII სს. მიჯნაზე წარმოშობილი სოფელია.

ახალსოფელმა თავისი მეორე სახელი კუკია გვიან მიიღო. სოფლის სახელი თბილისის შემოგარენში პირველად გიულდენშტედტთან გვხვდება (1772 წ.).

კუკია, როგორც ადგილის საკუთარი სახელი, უფრო ადრე გვხვდება „დასტურლამალში", თრიალეთთან დაკავშირებით.

საფიქრებელია, რომ თბილისისპირა ადგილს სახელი „კუკია" მიღებული უნდა ჰქონდეს თრიალეთის სოფელ კუკიიდან აყრილი და ქალაქისპირას გადმოსახლებული ყმა გლეხების გამო XVIII ს. 40—50-იან წლებში, როცა სომხით-საბარათიანოს სოფლები მასობრივად აიყარა და გაიხიზნა.

1791 წ. შედგენილი საბუთით ირკვევა, რომ სოფ. კუკიას ქერის მოსავლიდან უნდა გამოეღო 5 საპალნე და ბზის საფასური მანეთი.

იოანე ბატონიშვილის მიერ 1797—1799 წწ. შედგენილი ქართლ-კახეთის სოფლების აღწერა სოფ. კუკიას მოიხსენიებს როგორც ნაშენს „ქ. კუკია, შენი, მოსახლენი".

თბილისს, მტკვრის მარცხენა ნაპირზე, ჩრდილოეთის მხრიდან, ჩულურეთისა და ახალსოფლის (კუკიის) შემდეგ ემიჯნებოდა სოფელი დ ი დ უ ბ ე. დიდუბის ადრეული (V ს.) სახელი ც ხ ე ნ ი ს ტ ე რ ფ ი ა.

დიდუბე თბილისისპირას მდებარე ადგილის სახელწოდებად რამდენჯერმე გვხვდება XII ს-ში, კერძოდ, თამარ მეფის და დავით სოსლანის დაქორწინების ამბებთან დაკავშირებით. „... და მოვიდეს სრასა დიდუბისასა, სანახებსა ტფილისისასა. და მუნ ქმნეს ქორწილი"[52].

XII საუკუნეში დიდუბეში მდგარა მეფის სასახლე და კარის ეკლესიაც.

XIII ს. სახელი „დიდუბე" ქართულ საისტორიო წყაროებში კარგა ხნით, თითქმის მთელი ოთხი საუკუნით, ქრება.

სოფელი დიდუბე ხელახლა დასახლებულა ვახტანგ V-ის დროს (1658—1676 წწ.). ამის შემდეგ დიდუბე აღარ მოშლილა. იგი ხალხმრა-

---

[52] ქართლის ცხოვრება, II, გვ. 122, 128.

ეალი და ეკონომიურად ღონიერი სოფელი გამხდარა. მას ვახუშტი ბაგ-რატიონი „ქრისტიანთ დაბას“ უწოდებს.

დიდუბის მოურავის სახელო 1740 წელს მეფე თეიმურაზ მეორემ თავად გურგენიძეს უბოძა.

XVIII ს. სოფ. დიდუბეს სამხრეთ-აღმოსავლეთიდან ესაზღვრებოდა ჩუღურეთის და კუკიის მიწები, თელისხევიდან გაუყვებოდა ჩრდილოე-თის მიმართულებით მელის გორა, სწორხაზოვნად გახიდული გორა (უღელტეხილი), ყენის გორა (ყენისი), სათათრო გზა, ხევძმარი და აქედან ჩაუყვებოდა მდინარე მტკვარს. დასავლეთიდან მას ესაზღვრე-ბოდა მდ. მტკვარი.

სოფ. დიდუბე ქართლის უკიდურესი ჩრდილოეთი საზღვარია. ქართ-ლისა და კახეთის „სამძღვარი, ჯევ-ძმარის ყჯთელი ფლატე...“ გვამ-ცნობს „დასტურლამალი“. როგორც აღვნიშნეთ, ხევძმარი დიდუბეს ჩრდილოეთიდან ესაზღვრებოდა და მას ჰყოფდა სოფ. ავჭალისაგან.

1721 წელს ჩატარებული აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობისა და სოფელთა აღწერის ნუსხის მიხედვით სოფ. დიდუბეს შეეძლო გამო-ეყვანა 30 მოლაშქრე.

ოსმალობა-ყიზილბაშობის დროს (1723—1747 წწ.) ქვეყანა ისევ ნა-ოხრად და ვერანად იქცა. თავადაზნაურთა მიერ ძმათა სისხლის ღვრას, ყმა გლეხთა მოტაცებას და უცხოეთში გაყიდვას დაერთო ლეკთა გამუდ-მებული თარეში—აბრაგობა, რომელიც ყველაზე მეტად აწუხებდა და ილაჯს უწყვეტდა ქართველ ხალხს. მოსახლეობის რიცხვი საბედისწეროდ შემცირდა.

XVIII ს. 60-იანი წლების შემდეგ, თითქმის საუკუნის დასასრულამდე (1796 წ.) დიდუბე ქართულ საისტორიო წერილობით წყაროებში აღარა გვხვდება. გიულდენშტედტი თავის ნაშრომში დიდუბის დანგრეულ ციხეს ახსენებს. მისივე საქართველოს 1772 წ. რუკაზე დატანილია დიდუბის გაპარტახებული ციხე. მოგზაურის მიერ დიდუბის ციხე-გალავნის ასეთ მდგომარეობაში ნახვა ლეკთა რბენა-ნამუსრევზე უნდა მიგვანიშნებდეს.

ჭალაჭის სოციალურ-ეკონომიკური განვითარება XVIII ს. 40—80-იან წლებში

ოსმალთა და ყიზილბაშთა ბატონობის შედეგები ქართლ-კახეთისა-თვის მეტისმეტად მძიმე აღმოჩნდა. მოსახლეობის დიდი ნაწილი მტერს შეაკვდა, ნაწილი ძმათა სისხლისმღვრელ შინაფეოდალურ ომებში გაწ-ყდა. მძიმე აღმოჩნდა გადარჩენილთა ხვედრიც — აუტანელი ექსპლო-ატაციით ილაჯგაწყვეტილი და დატყვევების შიშით შეპყრობილი ქარ-თლის გლეხობა თითქმის ერთიანად აიყარა და ხიზნად შეეკედლა მტერ-თაგან შედარებით დაცულ კახეთს, „არღარა დაშთა მსახლობალნი მუ-

ხრანს, ქართლს, საციციანოს და ადგილთა საბარათიანოს სომხითსაცა"[53], ეს მაშინ, როცა სულ ცოტა ხნის წინათ, XVIII ს. 20-იან წლებში, მხოლოდ ქვემო ქართლში 40 000-ზე მეტი მცხოვრები იყო.

მოიშალა ქვეყნის ეკონომიკა. მტერმა ქვეყნიდან ერთიანად გაზიდა ყველაფერი, რისი წაღებაც კი შეიძლებოდა — ოქრო-ვერცხლი, სურსათ-სანოვაგე, მეწველი და გამწევი პირუტყვი. მეურნეობის ნორმალური კვლავწარმოება შეუძლებელი გახდა. უზომოდ დაბეგრილ მამულს მწარმოებელმა ზურგი შეაქცია. გლეხკაცი იქამდე მივიდა, რომ „ვენახსა და ბაღებს თავისი ხელით კაფდის და აოხრებდის"[54]. მამული გაპარტახდა, მკვიდრი გლეხობის დიდი ნაწილი ბოგანოდ, ხიზნად, გლახაკად იქცა.

სოფლის მეურნეობის დაცემამ, ცხადია, დამღუპველად იმოქმედა საქალაქო ცხოვრებაზე — მრეწველს ნედლეული მოაკლდა, ვაჭარს საქონელი. თბილისი, რომელსაც აღტაცებაში მოჰყავდა მნახველი თავისი სიდიდით, ხალხმრავლობით, სიმდიდრითა და სილამაზით, მტრებმა პირწმინდად გაძარცვეს და ისე საშინლად მოაოხრეს, რომ ამის შემდეგ უცხოელი დამკვირვებლები მას „მცირე" ან „უმნიშვნელო" ქალაქად იხსენიებენ. თბილისელ ვაჭართა საკმაოდ დიდი ნაწილი მოზდოკსა და ასტრახანში გადასახლდა. ვაჭრის პოზიციიდან ეს იყო სრულიად ბუნებრივი ნაბიჯი — მან თავი შეაფარა სახელმწიფოს, რომელსაც შეეძლო მისი საქმიანობის, ქონებისა და პიროვნების დაცვა.

ქვეყნის აღორძინება მრავალმხრივ და ფართო ხასიათის ღონისძიებებს მოითხოვდა. საკუთარი ძალებით მათი განხორციელება შეუძლებელი ჩანდა. დიპლომატიური არხებით გაირკვა, რომ ამ დროისათვის დასავლეთ ევროპის არც ერთ სახელმწიფოს არ გააჩნდა ჩვენს ქვეყანასთან შემხვედრი პოლიტიკური თუ ეკონომიკური ხასიათის ინტერესები. ერთადერთი სახელმწიფო, რომლისთვისაც საქართველოს შეეძლო დახმარების სანაცვლო გარანტიების მიცემა, რუსეთი იყო. ირანისა და თურქეთის წინააღმდეგ ბრძოლაში საქართველო რუსეთს სთავაზობდა მეტად მოხერხებულ პლაცდარმსა და საკმაოდ ქმედით სამხედრო-პოლიტიკურ კავშირს.

ქართლ-კახეთის მესვეურებმა არ დააყოვნეს. 1752 წ. რუსეთში გაიგზავნა ელჩობა ათანასე ამილახორიშვილისა და სიმონ მაყაშვილის შემადგენლობით. ელჩებს გულისყურით მოუსმინეს, მაგრამ სამხედრო დახმარებასა და ფულადი სესხის მიცემაზე მოკრძალებული უარი უთხრეს და მხოლოდ მდიდრული საჩუქრებით გამოისტუმრეს. სამეფო ხელისუფლებამ გაიმეორა ცდა. ახლა თვით თეიმურაზ II ეახლა იმპერატორ ელისაბედს, მაგრამ რუსეთის აღმოსავლური პოლიტიკა არც ამჯერად

---

[53] ვ ა ხ უ შ ტ ი, ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 512.
[54] ჰ ა პ უ ნ ა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, ამბავნი ქართლისანი, თბ., 1981, გვ. 46.

ითვალისწინებდა ირანთან ურთიერთობის გამწვავებას და თეიმურაზ II-ს დახმარება მხოლოდ სამომავლოდ აღუთქვეს.

რუსეთის დახმარების იმედი არც ერეკლე II-ს დაუკარგავს, მაგრამ რეალისტი პოლიტიკოსისათვის აშკარა გახდა, რომ რუსეთის მხრივ ქმედითი დახმარება გაცილებით შორეული პერსპექტივა იყო, სხვა გზა არ ჩანდა — ქვეყანა მკვდრეთით უნდა აღმდგარიყო ისევ და ისევ ეროვნული ენერგიის ხარჯზე. აღმოჩნდა, რომ სისხლისაგან დაცლილ ქვეყანას ჯერ კიდევ შერჩენოდა თავდაცვის უნარი. უფრო მეტიც, მან სულ მოკლე ხანში მეტად თვალსაჩინო წარმატებებს მიაღწია სამხედრო-პოლიტიკურ სარბიელზე. ქართლ-კახეთი ერთ სამეფოდ გაერთიანდა და ირანისგან ფაქტიურად სრული დამოუკიდებლობა მოიპოვა. დაიმორჩილა და დახარკა ერევნის, განჯისა და ნახჭევანის სახანოები. აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში ქართლ-კახეთის სამეფოს პოლიტიკური უპირატესობა აშკარა გახდა.

ენერგიულმა მეფემ საკმაო წარმატებით გადაჭრა საშინაო ხასიათის მეტად რთული პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური პრობლემებიც: გააუქმა არაგვისა და ქსნის თითქმის დამოუკიდებელი საერისთაოები და თავისად დაიჭირა; ყაზახი, ბორჩალო და ბაიდარი სამოურავოებად აქცია; ოსმალობა-ყიზილბაშობის დროს ფეოდალების მიერ მიტაცებული სამეფო ყმა-მამული „მოიკითხა"; გაანადგურა რეაქციონერ ფეოდალთა ოპოზიცია; მკვეთრად ჩაერია ბატონისა და ყმის სამამულო თუ პირად ურთიერთობაში და „ბატონყმური რიგი" აღადგინა; სასტიკად აკრძალა „უდების დადება" და გლეხის უმიწოდ გაყიდვა; ტყვეობიდან დაბრუნებულთ უფლება მიანიჭა თვითონვე აერჩიათ სასურველი ბატონი; წაახალისა ყმის გამრავლებით დაინტერესებული ფეოდალები: „უცხო ქვეყნიდან ვინც კაცს მოიყვანს... მომყვანისა იქნება, ვისიც ყმა უნდა იყოს", — ნათქვამია მეფის ბრძანებაში[55]. თვით მეფემ სამეფო სახსრებით ათი ათასამდე ტყვე გამოიხსნა, რაც მას 400 000 მანეთი დაუჯდა.

ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განსამტკიცებლად საჭირო იყო ძირეული ცვლილებების შეტანა სამხედრო საქმის ორგანიზაციაში. ტრადიციული ფეოდალური ლაშქარი ლეკთა ყაჩაღური თავდასხმების მოსაგერიებლად მოუხერხებელი აღმოჩნდა. დაქირავებული ჯარის შენახვა კი მეტისმეტად ძვირი ჯდებოდა. დაცარიელებული სამეფო ხაზინა, ცხადია, ვერ უზრუნველყოფდა ასეთ ხარჯებს. საქმე იქამდეც მივიდა, რომ შექი-შირვანის მფლობელის თავდასხმის მოსაგერიებლად „გამოიტანეს მეფეთა ჩვენთა თვისსა სალაროთი ოქროსა და ვერცხლის იარაღი, მისცეს ზარაფხანაში, მოაჭრევინეს ფლური (ოქროს მონეტა) და თეთრი

[55] სცსია, ფ. 1448, საბ. №444, 1768.

(ვერცხლის მონეტა) და აძლევდნენ ჯარს"[56]. შექმნილ პირობებში დარბაზმა „ყველასაგან უკეთესად და უმჯობესად გამოარჩია" შეექმნათ მორიგე ლაშქარი. „მორიგის ლაშქრობის განაჩენით"[57] ყველა ბრძოლისუნარიანი მამაკაცი (მცირე გამონაკლისის გარდა) ვალდებული იყო საკუთარი იარაღითა და სურსათით წელიწადში ერთი თვით „მორიგეში" გასულიყო. მორიგე ლაშქარი რეგულარული ჯარის სისტემაზე გარდამავალი საფეხური იყო[58]. მისი ნორმალური ფუნქციონირების პერიოდში, რაც სამწუხაროდ დიდხანს არ გაგრძელებულა თავადური რეაქციის ბოიკოტის გამო, ლეკთა თარეშმა საქართველოში საგრძნობლად იკლო.

ჯარის რეორგანიზაცია, ცხადია, საანახევროდაც ვერ სწყვეტდა თავდაცვის პრობლემას. საჭირო იყო სამხედრო მრეწველობისათვის მტკიცე ეკონომიკური ბაზის შექმნა. სახელმწიფო სესხის მისაღებად გატარებული ყველა დიპლომატიური ღონისძიება უშედეგოდ დამთავრდა. მაშინ ერეკლე მეორემ „არა აქვნდა რა პირდაპირი ძალი არცა ჯარითა და არცა ხაზინითა და თვინიერ სიმხნისა კიდე... ფრიადისა ღონისძიებითა და შრომითა ეძება მამულსა თუისსა მიწა ოქროსი და ვერცხლისა, რომელმანცა იპოვა და მოიყვანა საბერძნეთით ბერძენნი მცირედნი, გამომდნობელნი ოქროსა და ვერცხლისა მიწისანი, ვითარცა დაიწყო მადნისა მის მუშაკობა, ისარგებლა მით ფრიად"[59].

1763 წელს დაიწყო ახტალის ვერცხლის საბადოების დამუშავება. ახტალის ვერცხლის სადნობი ქარხნის საშუალო წლიური შემოსავალი შეადგენდა 200 ლიტრ ვერცხლს, ხოლო თითო ლიტრა ვერცხლიდან ილებდნენ 46 მისხალ ოქროს[60]. წარმოებიდან სამეფო ხაზინის სუფთა შემოსავალი შეადგენდა 48 281 მანეთს[61].

ალავერდის სპილენძის მაღაროებიდან 200 ათასამდე ფუთი მადანი ამოჰქონდათ, რაც 12 000 ფუთ სუფთა სპილენძს იძლეოდა. მისი ღირებულება აღწევდა 150 ათას მანეთს[62].

კაპიტან იაზიკოვის ცნობით, აღნიშნული საწარმოებიდან მეფის წლიური შემოსავალი შეადგენდა 150 000 მანეთს[63], სხვა ცნობით 400 000 მანეთს[64]. როგორც ჩანს, მეორე ცნობა ეხება საწარმოო პროდუქციის

---

56 კაპუნაორბელიანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 196.

57 ქართული სამართლის ძეგლები, II, გვ. 378.

58 ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, VI, თბ., 1973, გვ. 436.

59 საქართველოს ცხოვრება, ზ. ჭიჟინაძის გამოცემა, 1913, გვ. 269.

60 Эсадзе С. Очерк истории горного дела на Кавказе, Тифлис, 1910, с.313.

61 დ. გოგოლაძე, სამთამადნო, სამთო-საქარხნო მრეწველობა საქართველოში და კაპიტალიზმის გენეზისის ზოგიერთი საკითხი, თბ., 1966, გვ. 15.

62 დ. გოგოლაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 16.

63 Цагарели А. Грамоты..., I, с. 187.

64 Бурнашев С. Д. Картина Грузии или описание состояния царств Картлинского и Кахетинского, Тифлис, 1896, с. 5—6.

წლიურ ღირებულებას, საიდანაც შემდგომ ხდებოდა წარმოების საკმაოდ დიდი ხარჯების დაფარვა, და არა სამეფო ხაზინის წლიურ შემოსავალს.

ადგილობრივი სამთამადნო წარმოების ბაზაზე თბილისში აშენდა ლითონის ჩამომსხმელი ქარხანა. გამოშვებული პროდუქციის ნაწილი სამხედრო მრეწველობას ხმარდებოდა (ზარბაზნებისა და მორტირების ჩამომსხმელი ქარხანა), დანარჩენი ნედლეულით უზრუნველყოფდა არა მარტო შესაბამისი დარგის (ძირითადად სპილენძის ჭურჭლის) ადგილობრივ საწარმოებს, არამედ ზოდების სახით საკმაოდ დიდი რაოდენობით გადიოდა უცხოეთის ბაზარზე.

სამთამადნო წარმოებიდან მიღებულმა შემოსავალმა საგრძნობლად შეავსო სამეფო ხაზინა (იგი მთელი სახელმწიფო შემოსავლის 1/5 ნაწილს უდრიდა[65]), რაც, უწინარეს ყოვლისა, ძირითადად ისევ ქვეყნის სამეურნეო ცხოვრებისა და თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებას ხმარდებოდა.

ტრადიციულად სახელმწიფო ფულადი შემოსავლის ერთ-ერთი ძირითადი წყარო იყო ხელოსნური წარმოება და ვაჭრობა. მათი ხელახალი აღორძინება, პირველ რიგში, მოითხოვდა სავაჭრო-საქარავანო გზების დაცვასა და ქალაქის მოსახლეობისათვის მშვიდობიანი ცხოვრების უზრუნველყოფას. სამეფო ხელისუფლებას ცდა არც ამ მიმართულებით დაუკლია, მაგრამ გამუდმებული „ლეკიანობის" პირობებში უსაფრთხოების სრული მიღწევა შეუძლებელი ჩანდა. თანამედროვეთა თხზულებებში ლეკთა მიერ ქარავნების ძარცვის, გზების შეკვრის, სოფლისა თუ ქალაქის მოსახლეობის ტყვევნა-დაწიოკების უამრავი ფაქტია დადასტურებული: „წამოვიდა ჯარი ლეკისა განჯიდამ და დადგა სომხითის ქვეყანაში და დაუწყო ცემა აქა-იქ და დადგა გზაზე, მრავალი მიმსვლელ-მომსვლელი ქარავანი წაახდინა... წავიდა ეს ლეკის ჯარი და ჯავახეთის მთებზე ავიდა, შეკრა გზები"[66], „ხაშმზე ქარავანს დაეცნენ, სულ აიკლეს", „თრიალეთზე დიდი ქარავანი წაახდინეს". გაძარცვეს „ქარავანი არზრუმს მიმავალი ალგეთზე"[67].

შიდა სამიმოსვლო გზების ჩაკეტვის შედეგად ხშირად ფერხდებოდა ქალაქის მოსახლეობის მომარაგება სურსათ-სანოვაგით; „შეიკრა გზები მტრისაგან (ლეკთაგან), რომ მგზავრი აღარ გაატარეს, აღარც ზემო ქართლიდამ ჩამოუშვეს და აღარც ახალციხისა ქვეყნიდამ ქარავანი: ამით ქალაქს თბილისს ძვირობა შეიქმნა და ხალხი დიაღ შეწუხდნენ"[68]. ზოგჯერ ლეკები თბილისის გარშემო სოფლებსა და თვით თბილისზეც აწყობდნენ

---

[65] ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 441.
[66] პაპუნა ორბელიანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 225.
[67] იქვე, გვ. 175.
[68] იქვე, გვ. 217.

თავდასხმებს: „ავლაბრის მხარეს... მტკუარის პირზედ მჩითავებსა ჩითები ჰქონდათ გაფენილი და წყლით თურმე ნამავდნენ. ამ დროს ჩუღურეთისა და ავლაბრის შუა ხევიდან დაქვეითებული ლეკები წამოეპარნენ, მჩითავები მტკვარში შეცურდნენ, ლეკებმა ჩითები დაიტაცეს და გაიქცნენ"[69].

მოტანილი მაგალითები ცხადყოფენ, თუ რა ძნელ პირობებში უხდებოდა სამეფო ხელისუფლებას საქალაქო ცხოვრების აღორძინება. თბილისმა ამჯერადაც გაუძლო განსაცდელს, თანდათან მომძლავრდა და ყიზილბაშობის გადავარდნიდან სულ ორიოდე ათეული წლის შემდეგ იგი როგორც მოსახლეობის რაოდენობის, ისე მრეწველობისა და ვაჭრობის განვითარების მხრივ არა თუ დაუბრუნდა ადრინდელ (იგულისხმება XVIII ს. პირველი მეოთხედი) დონეს, არამედ რამდენადმე გაუსწრო კიდეც მას.

თბილისის სამრეწველო განვითარება XVIII ს. 40—80-იან წლებში

XVIII ს. მეორე ნახევრიდან თბილისში საგრძნობლად მომრავლდა მანუფაქტურული ტიპის შედარებით მსხვილი საწარმოები, რომლებიც საისტორიო წყაროებში „ფაბრიკებად" და „ქარხნებად" იწოდებიან. ისინი ძირითადად მეფისა და სამეფო სახლის წევრთა საკუთრებას შეადგენდნენ და, როგორც წესი, სხვადასხვა პირებზე იჯარით იყო გაცემული.

თბილისის ლითონჩამომსხმელი ქარხნის ბაზაზე აშენდა ზარბაზნებისა და მორტირების ჩამომსხმელი ქარხანა.

ახტალის ვერცხლის სადნობი ქარხნის ამუშავებასთან დაკავშირებით საგრძნობლად გაფართოვდა თბილისის ზარაფხანა. იაზიკოვის ცნობით, ზარაფხანის საიჯარო შემოსავალი ყოველწლიურად შეადგენდა 30 000 მანეთს[70]. XVIII საუკუნის შუა წლებში ზარაფხანის მოიჯარადრე იყო მსხვილი ვაჭარი ხოჯა ბეჰბუდა. მოგვიანებით 1792 წლიდან ზარაფხანა იჯარით ჰქონდათ აღებული ამხანაგობას მელიქიანთ შაქარაშვილ გასპარას მეთაურობით[71].

XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან თბილისის ზარაფხანამ თავი დააღწია ირანის სამონეტო ჰეგემონიას. იგი უკვე აღარ იყო ირანის ზარაფხანის ფილიალი. ეს მნიშვნელოვანი მოვლენა, უწინარეს ყოვლისა, აისახა იმ ფაქტში, რომ XVIII საუკუნეში თბილისის ზარაფხანის მიერ

---

[69] ალ. ჯამბაკურ-ორბელიანი, დაღესტნისაგან ლეკების გამოსვლა, ს. კაკაბაძის გამოცემა, 1914, გვ. 20.

[70] Цагарели А. Грамоты..., I, с. 189.

[71] სცსია, ფ. 1450, დავთ. 24, საბ. №75.

გამოშვებულ მონეტებზე ქართული ასოებით ჯერ შემოკლებულად, ხოლო შემდეგ სრულად აღნიშნულია ქართველ მეფეთა სახელები[72], ხოლო 1757 წლის შემდეგ ირანის შაჰის სახელი მათზე აღარასოდეს აღბეჭდილა[73].

თბილისის ზარაფხანაში ძირითადად იჭრებოდა ვერცხლისა (ექვსშაურიანი, აბაზიანი, ორშაურიანი — უზალთუნი, შაურიანი) და სპილენძის (შაური, ბისტი, ნახევარი ბისტი, ფული, ნახევარი ფული) მონეტები[74]. თბილისის სამონეტო ბაზარზე დიდი რაოდენობით ტრიალებდა უცხოური ოქროს მონეტაც. საქართველოში ოქროს ყოველგვარ მონეტას ფლურს უწოდებდნენ[75]. უცხოური ოქროს მონეტები (ასლანი, ფლური, ვენეტიკური სეკინი, დუკატი) დაახლოებით 3,5 გ იწონიდა და მცირედი დამრგვალებით უტოლდებოდა 50 გ მაღალსინჯიან ვერცხლს. ერთი „ფლური" დაახლოებით უდრიდა 7 ქართულ აბაზს. როგორც ვხედავთ, ოქროსა და ვერცხლის შეფარდებითი ღირებულებაა 1:14 — 1:15, ანუ სწორედ ისეთი, როგორიც იყო ამ დროს მსოფლიო ბაზარზე[76].

1749 წელს თბილისის სტამბამ განაახლა მუშაობა. ეს საწარმოც იჯარით იყო გაცემული. იჯარის ფასში მეფე იღებდა მოგების ნახევარს, მაგრამ სტამბის ქაღალდით მომარაგება მასვე ევალებოდა.

თბილისის შედარებით მსხვილი სამეფო საწარმოებიდან აღსანიშნავია აგრეთვე მარილსაწმენდი, მინის, თიხის ჭურჭლის, საპნის ქარხნები და სხვ.

წარმოების გაფართოებისა და ახალი ტექნოლოგიით აღჭურვის მიზნით სამეფო ხელისუფლება ყოველმხრივ ახალისებდა და ხელს უწყობდა საკუთარ ქვეშევრდომთა თუ უცხოელთა კერძო ინიციატივასაც.

1770 წელს მოქალაქე ისაია თაყუაშვილმა მეფის ნებართვით თოფისწამლის ქარხანა ააშენა. საწარმო მონოპოლისტურ ხასიათს ატარებდა, რადგან თაყუაშვილების „მეტი კაცი ვერავინ დაანაყვინებდა და ვერც გვარჯილასა და თოფის წამალს გაჰყიდდა"[77]. მკვეთრად გაუმჯობესდა თოფისწამლის დამზადების საქმე. საწარმო საკმაოდ დიდ მოგებას იძლეოდა და ალბათ ამიტომაც მალე იგი მეფემ თაყუაშვილებს უკანვე გამოსთხოვა და საკუთრად დაიჭირა. 1795 წელს აღა-მაჰმად ხანმა თბილისის თოფისწამლის ქარხანა გადაწვა, მაგრამ მომდევნო წელს ისაია თაყუაშვილს კვლავ მოუხერხებია მისი აღდგენა.

---

[72] ნ. ქ ო ი ა ვ ა, ფულის მიმოქცევა, კრედიტი და ფინანსები XVIII საუკუნის ქართლ-კახეთში, თბილისი, 1963, გვ. 45.

[73] თ. ქ უ თ ე ლ ი ა, თბილისის ზარაფხანა 1736—1757 წლებში (ვერცხლის ფული). საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, XXXV, თბ., 1981, გვ.47.

[74] დ. კ ა პ ა ნ ა ძ ე, ქართული ნუმიზმატიკა, გვ.94.

[75] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული საფას-საზომთა მცოდნეობა, გვ. 54.

[76] ნ. ქ ო ი ა ვ ა, დასახ. ნაშრომი, გვ. 71—72.

[77] სცსია, ფ. 1450, დაუთ. 18, საბ. №15ა.

კერძო საწარმოებიდან უნდა აღინიშნოს აგრეთვე ზეთსახდელი, თიხის ჭურჭლისა და აგურის ქარხნები, რომლებიც, შესაბამისად, იოსებ ყორლანაშვილს, იოანე პენტელაშვილსა და გლახა გაბაშვილს ეკუთვნოდათ[78].

ერეკლე II-ს ცხოველი მიმოწერა ჰქონდა გაჩაღებული ინდოელ სომეხ დიდვაჭარ შაჰამირ აღასთან. მოლაპარაკება ეხებოდა მის საქართველოში გადმოსახლებას შაქრის წარმოების დანერგვის მიზნით. სამწუხაროდ, ამ მიმართულებით ერეკლე II-ის ხანგრძლივმა მეცადინეობამ შედეგი ვერ გამოიღო.

თბილისში მრეწველობის ყველაზე განვითარებული დარგი იყო საფეიქრო წარმოება. ტუჩკოვის გადმოცემით, საქართველოში „საკმაოდ ჩინებულად ამზადებენ სხვადასხვა სახის, ფერისა და მოხატულობის აბრეშუმისა და ბამბის ქსოვილებს, რომელთა ნახატი კარგია, ხოლო საღებავი ერთობ მაგარი და ცოცხალი". იგივე ავტორი თბილისში ასახელებს სამღებროებსა და ფაბრიკებს, სადაც სხვადასხვა სახის ბამბეულის ქსოვილები მზადდებოდა[79].

საფეიქრო წარმოების ფართო მოცულობაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ წარმოებას უკვე აღარ აკმაყოფილებს ნედლეული და იგი დიდი რაოდენობით შემოაქვთ. ეს მაშინ, როცა ბამბის წარმოება საქართველოში ამ დროისათვის საგრძნობლად გაიზარდა. დოკუმენტის მოწმობით, მარტო ერევნიდან 70 000 ფუთი ნედლი ბამბა შემოუტანიათ თბილისში[80], რისგანაც საფეიქრო წარმოებას შეეძლო 21 მილიონი არშინი ქსოვილის დამზადება[81].

როგორც წარმოების მოცულობის, ისე შრომის ორგანიზაციის თვალსაზრისით საგანგებო აღნიშვნის ღირსია სამღებრო წარმოება. თბილისის მრავალრიცხოვანი სამღებროები დიდი დატვირთვით მუშაობდნენ და ეს სრულიად გასაგებია ზემოთ აღწერილ საფეიქრო წარმოების ფონზე. ამჯერად ჩვენთვის განსაკუთრებით საყურადღებოა ის ფაქტი, რომ სამღებრო წარმოების მაგალითზე ჩვენ შესაძლებლობა გვაქვს თვალი გავადევნოთ ხელოსნურ-ამქრული წარმოების მანუფაქტურულ წარმოებად ტრანსფორმირების პროცესს.

თბილისის სამღებროები იჯარით იყო გაცემული. როცა იჯარადარი ღებვის ოსტატია, სამღებრო ითვლება ჩვეულებრივ ფეოდალურ სახელოსნოდ, თუნდაც ქარგალ-შეგირდთა რიცხვი საკმაოდ საგრძნობი იყოს, მაგრამ, როცა სამღებროს ოსტატს თვითონ ქირაობს მოიჯარადარე,

---

[78] სცსია, ფ. 1450, დავთ. 23, საბ.№32; ფ. 1451, დავთ. №1—ა, გვ. 25, საბ. №1; ფ. 1450, დავთ. 42, საბ. №198.

[79] Тучков, Сочинения, I, IV, с. 206.

[80] Рожкова М. К. Экономическая политика царского правительства на Среднем Востоке во второй четверти XIX века и русская буржуазия, 1949, с. 111.

[81] მ. სამსონაძე, საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარება XIX ს. პირველ მესამედში, თბ., 1980, გვ. 297.

თავისთავად იგულისხმება, რომ დაქირავებულნი უნდა იყვნენ სხვებიც — ქარგალი, შეგირდი. ასეთი წარმოება უკვე მანუფაქტურაა და არა შუა საუკუნეების სახელოსნო, რადგან ოსტატისა და ქარგალ-შეგირდთა ურთიერთობის აღნიშნული ფორმა წარმოების ძველი წესისაგან სრულიად განსხვავებულია[82].

ქსოვის სხვადასხვა სახეობათა მიხედვით ცალკე სპეციალობებს ქმნიდნენ მენარმეები, მელაინეები, მეჩითეები, თარფჩები, ლეჩაქების დამამზადებლები, მეპირსახოცეები, შარბამჩები, მეილაჯეები და ა. შ.[83]

დაქირავებული შრომის გამოყენება, წარმოების გაფართოება და შრომის შემდგომი დანაწევრება საკმაოდ ფართოდ ინერგება სხვა საწარმოთა (სამთამადნო წარმოება, ლითონჩამომსხმელი და იარაღის დამამზადებელი ქარხნები, ზარაფხანა) პრაქტიკაშიც.

მართალია, მანუფაქტურული ტიპის საწარმოები მრეწველობაში წამყვან როლს კიდევ ვერ ასრულებდნენ, მაგრამ ასეთ საწარმოთა არსებობის თვით ფაქტი ფეოდალურ-ბატონყმური სისტემის რღვევის უტყუარი მოწმობაა, მოწმობა იმისა, რომ წარმოების ბურჟუაზიული მიმართულებით განვითარება უკვე დროის მოთხოვნა იყო.

აღსანიშნავია ისიც, რომ საქართველოში აღნიშნული პროცესი მიმდინარეობდა მსოფლიო-ისტორიული თვალსაზრისით ახალ ეპოქაში, ეს კი ობიექტურად შესაძლებელს ხდიდა, მზა ფორმების შემოტანით, ბურჟუაზიულ ურთიერთობათა განვითარების საწყისი ეტაპების დაჩქარებული ტემპით გავლას.

ახალი ტიპის გაფართოებულ საწარმოთა ზრდა-განვითარების მიუხედავად, თბილისის ეკონომიკურ ცხოვრებაში წამყვან როლს მაინც წვრილი ხელოსნური წარმოება ინარჩუნებდა. თბილისში ამ დროისათვის ცნობილი იყო ხელოსნობის თითქმის ყველა დარგი, რასაც ერთხმად აღნიშნავდნენ უცხოელი დამკვირვებლებიც (იაზიკოვი, მურავიოვი, გიულდენშტედტი და სხვ.).

იოანე ბატონიშვილის „კალმასობაში“ მოცემულია თბილისის ბაზრის მეტად ცოცხალი სურათი. სახელოსნო, დუქანი და ბაზარი წარმოადგენენ განუყოფელ მთელს, ხელოსნობის ერთი და იგივე ან მსგავსი დარგები ქმნიან ცალკეულ „რიგებს“. რიგად ჩამწკრივებულ სავაჭრო თუ სახელოსნო დუქნებში მყიდველებს თავიანთ ნახელავს სთავაზობდნენ ხარაზები (ფეხსაცმელს), სარაჯები (ცხენის აკაზმულობას), ბაზაზები (ფარჩასა და მაუდს, ჩითს, მოვსა და ლაინს), მექოშეები (ქოშსა და მაშიას), ყაზაზები (ძაფს, ბაფთს, ზონარს), დაბაღები (ტყავს), ჩილინდრები (გასაღებებსა და სხვა მსგავსთ).

---

[82] ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. IV, 1967, გვ. 325.
[83] ვ. სამსონაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 204.

აქვე ვხვდებით ოქრომჭედლებს, კალატოზებს, ხუროებს, დურგლებს, ხარატებს, მეჩახმახეებს, მეთოფეებს, მეხანჯლეებს, ფეიქრებს, ქვის მთლელებს, ალაფებს (მეპურეებს), დალაქებს და სხვ.[84]

აღსანიშნავია, რომ XVIII ს. მეორე ნახევრიდან შეინიშნება ხელოსნობის ცალკეულ დარგთა შემდგომი დიფერენცირება. „მკერვალები" სპეციალდებიან ქართული, კავკასიური და ევროპული ტანსაცმლის კერვის მიხედვით, ასევე დანაწილდა მექუდეთა, მეფეხსაცმელეთა და სხვათა ხელობაც. ჩნდება ხელობის ახალი დარგებიც (მეფუნთუშეობა, ეპოლეტების კეთება).

ს. ბურნაშოვის ცნობით, XVIII ს. 80-იან წლებში თბილისში იყო 500-მდე დუქანი[85] (საუკუნის პირველ მეოთხედში მათი რიცხვი ორასს არ აღემატებოდა)[86]. აღა-მაჰმად ხანის შემოსევის შედეგად სავაჭრო-სახელოსნო ნაგებობები თითქმის მთლიანად განადგურდა, მაგრამ სულ მალე, კერძოდ, 1803 წელს, თბილისში უკვე 574 დუქანია აღრიცხული[87], აქედან 310 სახელოსნო იყო, ხოლო 264 სავაჭრო დუქანი[88]. ამ ოდნავ მოგვიანო ცნობის ანალოგიით შეიძლებოდა დაგვეშვა, რომ XVIII ს. მეორე ნახევარში არსებული 500 დუქნიდან დაახლოებით 300 სახელოსნო დუქანი უნდა ყოფილიყო. რაკი არ გაგვაჩნია სათანადო სტატისტიკური მონაცემები, დღეისათვის მიახლოებითაც კი შეუძლებელია მათი საწარმოო სიმძლავრეების განსაზღვრა, მაგრამ ერთი რამ დაბეჯითებით შეიძლება ითქვას — თბილისის სახელოსნოების პროდუქცია არა მარტო მთლიანად აკმაყოფილებდა ადგილობრივი ბაზრის მოთხოვნებს, არამედ დიდი რაოდენობით გადიოდა მეზობელ ქვეყნებშიც.

თბილისელი ხელოსნები, ისევე როგორც ქალაქის თითქმის მთელი მოსახლეობა, ამქრებში იყვნენ გაერთიანებულნი[89]. ამქრებს ცალ-ცალკე ქმნიდნენ ხელოსნები (ხუროები, კალატოზები, დაბაღები, ხარაზები, ნალბანდები, მექვაბეები, ოქრომჭედლები, მესაათეები, ჭონები, მჭედლები, მკუპრავები და ა. შ.). ცალკეულ ამქრებში ერთიანდებოდნენ ერთი და იმავე საქონლით მოვაჭრენიც (ბაზაზები, ყასბები, ბაყლები, სარაჯები, მეწვრილმანეები და სხვ.). გვხვდება მტვირთავების, თულუხჩების (წყლის მზიდავები), მედროგეების, დღიური მუშების, მკურნალებისა და სხვა პროფესიის წარმომადგენელთა ამქრებიც[90]. ამქარს თავს ვერ

---

[84] ი ო ა ნ ე ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი, კალმასობა, თბ., 1936, გვ. 193—195.

[85] Бурнашев С. Д. Картина Грузии..., Тифлис, 1896, с. 3.

[86] ქართული სამართლის ძეგლები, გამოსცა ი. სურგულაძემ, თბ., 1970, გვ. 537.

[87] АКАК, II, с. 106.

[88] შ. მ ე ს ხ ი ა, საისტორიო ძიებანი, II, თბ., 1983, გვ. 247.

[89] დაწვრილებით ქართული ამქრის შესახებ იხ. შ. მ ე ს ხ ი ა, დასახ. ნაშრომი. აქვეა მოცემული საკითხის საკმაოდ სრული ისტორიოგრაფია.

[90] საქართველოს სიძველენი, ე. თაყაიშვილის რედ., ტ. III, თბ., 1910, გვ. 56—57.

აღწევდნენ ქალაქში დროებით მცხოვრები სამეფო-სახასო თუ კერძო საბატონო ყმა ხელოსნებიც. გვაქვს ცნობა, რომ თბილისში XIX ს. პირველ ნახევარში მათხოვრებიც კი ამქრებად გაერთიანებულან[91].

ამქარს ხელმძღვანელობდა ამქრის თავი, რომელსაც ამქარბაშს (ამქრის თავს), ან კიდევ უსტაბაშს (ოსტატთა თავს) უწოდებდნენ[92]. წყაროებში ოსტატს ხშირად ცვლის „სირაჯ ბაში", „ბაყალ ბაში" და ა. შ. იმის მიხედვით, თუ მოცემულ შემთხვევაში კონკრეტულად რომელი დარგის ამქრის თავი ჰყავთ მხედველობაში.

შუა საუკუნეების თბილისში უსტაბაშს თვით ამქარი ირჩევდა. არჩევნებში მონაწილეობდა ამქრის ყველა სრულუფლებიანი წევრი, მაგრამ მას შემდეგ, რაც ქალაქზე მთლიანად გაბატონდა ფეოდალური არისტოკრატია (XVIII ს. მეორე ნახევრიდან) ამქარს მხოლოდ უსტაბაშის კანდიდატურის წამოყენების უფლება დაუტოვეს. კანდიდატს უშუალოდ მეფე ამტკიცებდა. ცხადია, მეფესვე რჩებოდა ამქრის თავის თანამდებობიდან გადაყენების უფლებაც[93]. „თქვენის ბრძანებით ასლანს უსტაბაშობაზე ხელი ააღებინეთ, ჩვენ უიმისოდ იოლს ვერ წავსულვართ, გეევედრებით მოწყალება მოიღოთ, იმისი დანაშაული ჩვენ გვაპატიოთ და ისევ იმაზედ უსტაბაშობის მოწყალება მოიღოთ და გვიბოძოთ"[94], — სთხოვდნენ თბილისელი მეწვრილმანეები გიორგი XII-ს.

მეფემ ამჯერად მეწვრილმანეთა თხოვნა შეიწყნარა[95], მაგრამ თვით ის ფაქტი, რომ საკითხის გადაწყვეტა მთლიანად მეფის ნება-სურვილზე იყო დამოკიდებული, თავისთავად ნათელს ხდის, თუ რამდენად იყო შელახული გვიანი შუა საუკუნეების თბილისში ამქრული ორგანიზაციისათვის დამახასიათებელი „დემოკრატიზმი" და „მმართველობის შინაგანი იმუნიტეტი".

ოსტატის უფლება-მოვალეობანი ამქრის წევრთა მიმართ იმდენად მრავალმხრივი და ყოვლისმომცველი იყო, რომ ამქარში იგი „მამად" იწოდებოდა. ოსტატი ანაწილებდა ამქრის წევრთა შორის სამუშაოს, ამოწმებდა მათ საქმიანობას, იღებდა ამქარში ახალ წევრს. ოსტატთან შეთანხმებით ხდებოდა ამქრის წევრის მიერ შეგირდის აყვანა. ოსტატი არჩევდა ამქრის წევრთა შორის წარმოშობილ სადავო საკითხებს, თვალყურს ადევნებდა, რომ ამქარში ყოფილიყო წესრიგი, სიმშვიდე და კეთილგანწყობილება. ოსტატი დახმარებას უწევდა ამქრის ავადმყოფ და

---

[91] «Кавказ», 1851, № 30.

[92] შ. მ ე ს ხ ი ა, დასახ. ნაშრომი, გვ. 532.

[93] შ. მ ე ს ხ ი ა და სხვ., თბილისის ისტორია, 1958, გვ. 287.

[94] სცსია, ფ. 227, საბ. № 823.

[95] იქვე, საბ. №825.

უძლურ წევრებს, რელიგიური დღესასწაულების დროს უზრუნველყოფდა ეკლესიებში ამქრის წევრთა დასწრებას ლოცვებზე და ა. შ.[96]

ქართული ამქრული წყობისათვის უცხო იყო რელიგიური დისკრიმინაცია. ერთსა და იმავე ამქარში შეიძლებოდა მოხვედრილიყო მართლმადიდებელი, გრიგორიანელი, კათოლიკე, მაჰმადიანი და სხვა რწმენისა თუ ნაციონალური კუთვნილების წარმომადგენელი[97]. ერთი მოგვიანო ცნობით, დაბაღების ამქარში გაერთიანებული ყოფილან „ალიხანი მაჰმუდის შვილი", „ისაიაშვილი აკოფა ერევნელი" და „ბერუაშვილი ფარსადან"[98].

ამქრული ორგანიზაციის ეკონომიკური პოლიტიკა მიზნად ისახავდა წარმოების მონოპოლიზაციას და რეგლამენტაციას. რეგლამენტაცია არა მარტო წარმოებისა და ფასების, არამედ ეთიკისა და მორალის სფეროებსაც მოიცავდა, რითაც ამქარი ცდილობდა შინაგანი მთლიანობისა და ამქრის წევრთა თანასწორუფლებიანობის შენარჩუნებას როგორც ეკონომიკური, ისე უფლებრივი თვალსაზრისით.

გვიანი შუა საუკუნეების თბილისში რეგლამენტაცია მიზანს ვეღარ აღწევდა, რადგან ერთსა და იმავე ამქარში გაერთიანებული იყვნენ განსხვავებული უფლებრივი მდგომარეობისა და ეკონომიკური შეძლების ხელოსნები.

თავისუფალსა და ყმას, მდიდარსა და ღარიბს ამქარში, ცხადია, არ შეიძლება ჰქონოდათ ერთნაირი ინტერესი. მდიდრები, ბუნებრივია, მეტი შეღავათებითა და პატივით სარგებლობდნენ და უსტაბაშებადაც ჩვეულებრივ მათ ირჩევდნენ.

სწორედ ამქრის შინაგანი სოციალურ-ეკონომიკური დიფერენციაცია იყო იმის ძირითადი მიზეზი, რომ ამქრულმა ორგანიზაციამ ვერ მიაღწია წარმატებას ქალაქის ფეოდალურ-ბიუროკრატიული მმართველობის წინააღმდეგ ბრძოლაში[99].

თბილისის სავაჭრო კაპიტალი XVIII ს. 40—80-იან წლებში

თბილისში თავს იყრიდნენ სავაჭრო-საქარავნო გზები, რომლებიც, ერთი მხრივ, მას აღმოსავლეთ ამიერკავკასიისა და ირანის ქალაქებთან აკავშირებდა, ხოლო, მეორე მხრივ, ერევან-არზრუმზე ან ახალქალაქ-ახალციხეზე გავლით—სტამბოლთან.

XVIII საუკუნეში აღნიშნული სავაჭრო გზები თანაბარი მნიშვნე-

---

[96] შ. მესხია და სხვ., დასახ. ნაშრომი, გვ. 288.

[97] Месхиа, Ш. А. Города и городской строй феодальной Грузии. Тбилиси, 1959, с. 330.

[98] სცსია, ფ. 229, დავთ. 42, საბ. №178.

[99] Месхиа, Ш. А. Города..., с. 385.

ლობის არ ყოფილა თბილისელი ვაჭრებისათვის. უპირატესობა ამ დროისათვის კასპიისპირეთის მაგისტრალს ენიჭებოდა, რომელსაც თბილისი უკავშირდებოდა მეტად მოხერხებული განჯა-შუშისა და ნუხა-შემახის გზებით.

თბილისზე გავლით დასავლეთისა და აღმოსავლეთის ურთიერთდაკავშირების ცდებს მნიშვნელოვანი წარმატება არ მოჰყოლია. ფრანგი მოგზაურის პეისონელის აზრით, „თბილისი წარმოადგენდა ყველაზე უფრო ხელსაყრელ პუნქტს სპარსეთთან ვაჭრობის დასამყარებლად, რადგან თბილისის მდებარეობა ხდის მას სპარსეთის ყველა ქალაქის კლიტე-გასაღებად“[100].

პეისონელის მიხედვით ირანთან დასავლეთ ევროპის დამაკავშირებელი მარშრუტი ასეთი უნდა ყოფილიყო: ბათუმი-ახალციხე-თბილისი, შემდეგი განშტოებებით: განჯა-შემახა ან ერევანი-თავრიზი-არზრუმი, მოხდა კი პირიქით, — წინა აზიის სავაჭრო მაგისტრალმა კიდევ უფრო სამხრეთით გადაინაცვლა — ირანი-ბაღდადი-ალეპო-ხმელთაშუა ზღვა.

1750 წლიდან გაიხსნა დარიალის (იგივე „ოსეთის“), „რუსეთის“ გზა, რომლითაც საქართველო მოხერხებულად უკავშირდებოდა რუსეთის მსხვილ სავაჭრო ცენტრებს. აღსანიშნავია, რომ ახალმა გზამ იმთავითვე ვერ მიიპყრო თბილისელ ვაჭართა ყურადღება. კასპიისპირეთის მაგისტრალზე გასვლას ისინი კვლავ აღმოსავლეთ ამიერკავკასიის შედარებით გრძელი, მაგრამ კარგად ათვისებული და ნაკლებად საშიში გზებით ამჯობინებდნენ. სამეფო ხელისუფლებამ ვაჭრის შიშს მისივე სიხარბე დაუპირისპირა — ოსეთის გზით შემოტანილ საქონელზე შეღავათიანი ბაჟი დააწესა[101]. შედეგმა არ დააყოვნა. სულ მალე ახალი სავაჭრო გზის უპირატესობა იმდენად აშკარა გახდა ვაჭრებისათვის, რომ მათ შეღავათიანი ბაჟის გაუქმების შემდეგაც კი მისთვის ზურგი არ შეუქცევიათ[102].

სატრანზიტო და ადგილობრივი სავაჭრო გზები თავს იყრიდნენ თბილისის ექვს ძირითად კართან (კოჯრის, დიღმის, მეიდნის, ქვემო კარი, განჯისა და აბანოს კარი).

ბაჟის გადახდა ყველა კართან აუცილებელი იყო. საბაჟო ტარიფების დღეისათვის შემორჩენილი ნუსხების მიხედვით შესაძლებლობა გვაქვს საკმაოდ სრულად აღვადგინოთ თბილისის ბაზრის ასორტიმენტი.

ადგილობრივი წარმოების საქონლიდან აღსანიშნავია შემდეგი: ლითონის სხვადასხვა სამეურნეო და საოჯახო ნაკეთობანი, საფეიქრო ნაწარმი — ბამბეულის, აბრეშუმის და შალის ქსოვილები, მატყლი, სელი,

---

[100] ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე, საფრანგეთის სავაჭრო კაპიტალი საქართველოს მიმართ მე-18 საუკუნეში, ქუთაისის პედ. ინსტ. შრომები, I, 1940, გვ. 117.

[101] АКАК, II, с. 1136.

[102] შეღავათიანი ბაჟი 1771 წელს გაუქმდა ერეკლე II-ის ბრძანებით, АКАК, II, с. 1136.

ნედლი ბამბა, სურსათ-სანოვაგე, მარცვლეული, პირუტყვი, ღვინო, ხორცი, ფრინველი, ზეთი, ერბო, ქონი, თაფლი, ხილი, ბოსტნეული, აგრეთვე ენდრო, თამბაქო და სხვა მრავალი.

გაცილებით მრავალფეროვანი იყო იმპორტული საქონლის ასორტიმენტი: აბრეშუმის ქსოვილები (დარაია, ტაფტა, ატლასი), შალის ქსოვილები (ქირმანის შალი), შალის სარტყლები, უხეში შალი, ნაბდები (დაღესტნიდან), ბამბის ქსოვილები, უმთავრესად მაღალი ხარისხის — წმინდა მიტკალი, ნოხები (ნუხის), ვერცხლით ქსოვილი ფარჩა (თურქეთიდან), ევროპული ქსოვილები — გარნითური ფლორი, ლემური ნიმი, შპანცქის მაუდი, რუსული ჩითი, სხვადასხვა სახის ბეწვეული (წავისა და თახვის ქურქები, მელიისა და კვერნის ბეწვი), ფოლადი, რკინა, გვარჯილა, ქაღალდი, თოფ-იარაღი, ძვირფასი თვლები (ალმასი, მარგალიტი, იაგუნდი, ზურმუხტი და სხვ.), წვრილმანი ხელოსნური ნაწარმი — მაგიდის სერვიზი, რუსული „სტოლის სერვიზი", ფერადი შუშები, სარკე, საპონი და სხვ., კვების პროდუქტები: მარილი, შაქარი, ყავა, ლიმონი, თამბაქო, ძვირფასი თევზეული, ხიზილალა, სანელებლები — მიხაკი, დარიჩინი, პილპილი, ვარდისა და ზეითუნის ზეთი, ზეთის ხილი და სხვ.

კონკურენცია ადგილობრივსა და უცხოურ საქონელთა შორის თითქმის არ შეიმჩნეოდა, რადგან ადგილობრივი მრეწველობა აწარმოებდა ფართო მოხმარების პროდუქციას, რომელიც ძირითადად საზოგადოების დაბალი ფენების მოთხოვნებს პასუხობდა, მაშინ როცა იმპორტული საქონლის მომხმარებელი არსებითად ფეოდალური ზედაფენა იყო. გარდა იმისა, რომ იმპორტული საქონელი ხარისხით სჯობდა ადგილობრივს, ფსიქოლოგიური თვალსაზრისით მას დამატებითი „ღირსებაც" ენიჭებოდა — საქონელი რაც უფრო უცხო იყო, რაც უფრო შორიდან იყო მოტანილი, მით უფრო ძვირად ფასობდა.

კლასობრივი განსხვავება ცხოვრების ყველა სფეროში შეიმჩნეოდა და მათ შორის, ცხადია, ყოფაშიც. გაბატონებული ზედაფენის საცხოვრებელი, ავეჯი, ტანსაცმელი, სამკაულები, კვების რაციონი და სხვა განსხვავებული უნდა ყოფილიყო და იყო კიდეც. მეორე მხრივ, სწორედ იმის გამო, რომ ადგილობრივი საწარმოები ამზადებდნენ ნახევარფაბრიკატებსა და შედარებით დაბალი ხარისხის მზა პროდუქციას, მისი მასობრივი გასაღება უფრო მეტად იყო გარანტირებული. ფართო მოხმარების თბილისური სამრეწველო პროდუქცია მეზობელ ქვეყნებშიაც საღდებოდა.

ქართული სამრეწველო პროდუქციისათვის „საშინაო ბაზარს", უწინარეს ყოვლისა, კავკასიის მთიანეთი წარმოადგენდა. აქ მას კონკურენტი არ ჰყავდა და საკმაოდ დიდი რაოდენობით საღდებოდა. ბურნაშოვის მიხედვით, კავკასიის ყველა ხალხი თბილისელი სომხების „შრომისმოყვარეობით სარგებლობენ". საექსპორტო საქონელი იყო: სპილენძის

ჭურჭელი, ბამბის ქსოვილები, რკინის ნაწარმი, ცხენის აკაზმულობა, ტანსაცმელი და სხვ.[103]

თბილისური ნაწარმი ადგილობრივაც დიდი რაოდენობით საღდებოდა კავკასიის მთიელებზე. ვაჭრობა ამ შემთხვევაში უმეტესწილად წარმოებდა გაცვლის ფორმით. მაგრამ მაშინაც კი, როცა მთიელები თავიანთ ნაწარმს (მაუდი, ნაბადი, იარაღი, მეცხოველეობის პროდუქტები და სხვ.) უშუალოდ ფულზე ყიდდნენ, ამ ფულით ისევ და ისევ მათთვის უმარ და უცხო ადგილობრივ საქონელს იძენდნენ, სამშობლოში ფულის გატანას მათთვის არავითარი აზრი არ ჰქონდა, რადგან საქონელგაცვლაში იქ ფული საერთოდ არ მონაწილეობდა: „არა უწყიან თეთრი, არამედ თეთრისა წილ ნაბადი, ჩოხა, ხამი შალი, ცხვარი, ძროხა და ტყვე და ვაჭრობდნენ ურთიერთ შინა ამით", — შენიშნავს ვახუშტი[104].

ადგილობრივი ნაწარმი საკმაოდ დიდი რაოდენობით გადიოდა სხვა მიმართულებითაც. მარტო ერთი თვის განმავლობაში თბილისელ ვაჭრებს მოზდოკში 3273 თოფი ბამბის ქსოვილი ჩაუტანიათ. XIX ს. დასაწყისში საქართველოდან რუსეთში (მოზდოკის კარანტინის გავლით) 52 230 თოფი სხვადასხვა ქსოვილი და 200 ფუთამდე ბამბის ნართი შეიტანეს. დაახლოებით 800 000 არშინი[105].

თბილისელ ვაჭრებს რუსეთში გაჰქონდათ აგრეთვე ბეწვეული, ნედლი და ამოხვეული აბრეშუმი, შალი, საფეიქრო ნაწარმი (თავსაფრები, სუფრები, ქისები და სხვ.)[106].

საექსპორტო ნედლეულიდან განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ენდრო. XVIII ს. მიწურულისათვის სპარსეთსა და თურქეთში გატანილი ენდროს წლიური ღირებულება 10 000 მანეთს აღწევდა[107].

დიდი რაოდენობით გაჰქონდათ თბილისელ ვაჭრებს ადგილობრივი წარმოების სპილენძი და სპილენძის ნაკეთობანი. 1797 წელს თბილისელ ავეტიკას და იოანეს შემახიას გაუგზავნიათ შვიდ ურემ-ნახევარი სპილენძი, ანუ 840 ბათმანი[108]. გვაქვს ცნობა, რომ ყუბელები თბილისში ყიდულობდნენ სპილენძის ზოდებს და არა სპილენძის ჭურჭელს, რაც იმით აიხსნება, რომ სპილენძის ნაკეთობათა გატანა ზოდებთან შედარებით მოუხერხებელი და წამგებიანი იყო. საექსპორტო საქონელი იყო თუთუნიც. ვაჭარ ფარსადანას საკმაოდ დიდი რაოდენობით თუთუნი წაუღია „საამხანაკოთ" მოსკოვს[109].

---

103 ს. ბ ურ ნ ა შ ო ვ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 12.

104 ვ ა ხ უ შ ტ ი, ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 640.

105 მ. ს ა ა ს ო ნ ა ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 130.

106 Документы по взаимоотношению Грузии с Северным Кавказом в XVIII в., изд. В. Гамрекели, Тбилиси, 1968, с. 222, 227, 228.

107 სცსია, ფ. 2, აღწ. 1, საქ. 344, ფურც. 15.

108 სცსია, ფ. 1448, საბ. №5315.

109 შ. მ ე ს ხ ი ა, დასახ. ნაშრომი, გვ. 375 (რუსულ ენაზე).

სავაჭრო ოპერაციები მკვეთრად არ იყო დიფერენცირებული. ერთი და იგივე ვაჭრები ან სავაჭრო ამხანაგობები ერთდროულად ეწეოდნენ თითქმის ყველა სახის (ექსპორტი, იმპორტი, რეექსპორტი და სხვ.) ვაჭრობას.

ამ თვალსაზრისით ნიშანდობლივია ერთი საკმაოდ მსხვილი სავაჭრო ამხანაგობის საქმიანობა. ამხანაგობაში გაერთიანებული იყო რამდენიმე კაცი. მასში ძირითადი ფიგურა ყოფილა რომელიღაც აღა, რომელიც თბილისში საქმიანობდა. ამხანაგობის სხვა წევრები ასტრახანში ეწეოდნენ სავაჭრო ოპერაციებს. ესენია სტეფან ასლანოვი, აღას ძმა კარაპეტა, შაროა და ქევოა. ვაჭრობა მოიცავდა ექსპორტ-იმპორტის სფეროებს. აღამ თბილისიდან ასტრახანში გაგზავნა ფარჩა და ბეწვეული (800 მანეთის ღირებულების), თავის მხრივ, ასლანოვმა აღას გაუგზავნა ჯერ 5 000, შემდეგ კი 3 000 მანეთის საქონელი. მეორე მხრივ, ასლანოვმა 16 000 მანეთის საქონლით კარაპეტა გაისტუმრა ბაქოში. კარაპეტამ საქონელი იყიდა კრედიტით და აბრეშუმის ქსოვილით დაბრუნდა ასტრახანში[110].

როგორც ვხედავთ, ამხანაგობა ერთდროულად ემსახურებოდა თბილისისა და კასპიისპირეთის ბაზრებს. თბილისელი ვაჭრები ფართოდ მისდევდნენ საშუამავლო ვაჭრობასაც.

1775 წელს დერბენდთან დაიღუპა ენზელიდან ასტრახანს მიმავალი გემი, რომელიც სკვორცოვს ეკუთვნოდა. გემი დატვირთული იყო ასტრახანელი და თბილისელი ვაჭრების თითქმის ნახევარი მილიონი მანეთის ღირებულების საქონლით[111].

ერთი ცნობით, თბილისელ ვაჭარს თავრიზიდან თბილისის გავლით მოჰქონდა საქონელი და ყიდდა მას საქართველოს პირველსავე მოსაზღვრე ქალაქ ბაილაკანში. აქ მას უნდა ეყიდა აბრეშუმი და ჩაეტანა ასტრახანში[112]. როგორც ვხედავთ, საქართველო ამ შემთხვევაში მხოლოდ „სატრანზიტო გზას“ წარმოადგენს.

ბურნაშოვის ცნობით, ქართველ ვაჭრებს რუსული საქონელი საქართველოზე გავლით გაჰქონდათ სპარსეთისა და ინდოეთის ბაზრებზე. საწინააღმდეგო მიმართულებით კი გაცილებით დიდი რაოდენობის საქონელი შემოჰქონდათ[113].

თვალსაჩინო ადგილი ჰქონდა რეექსპორტსაც — განსაკუთრებით მარილით. ტრანზიტისა და რეექსპორტის შესახებ საყურადღებო ცნობაა

---

[110] მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის, წიგნი II, თბ., გამოსცა ნ. ბერძენიშვილმა, 1953, გვ. 182.

[111] Документы по взаимоотношению Грузии с Северным Кавказом в XVIII в., с. 38; А б д у л л а е в Г. Азербайджан в XVIII в. и взаимоотношения его с Россией, Баку, 1915, с. 570.

[112] სცსია, ფ. 1448, დავთ. 34, საბ. №16.

[113] ს. ბ ურ ნ ა შ ო ვ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 47 (რუსულ ენაზე).

დაცული კოვალენსკის მიერ კნორინგისადმი გაგზავნილ მოხსენებით ბარათში. ბარათი თარიღდება 1801 წლით.

„თუ რუსეთიდან, სპარსეთიდან, თურქეთიდან შემოტანილი საქონლის გადატანას მოისურვებს მისი მფლობელი, მან შემოტანაზე გადახდილ მთელ ბაჟს გარდა გატანაზე ნახევარი ბაჟი უნდა გადაიხადოს, მაგრამ თუ შემოტანილი საქონლის შესყიდვა ადგილზევე მოხდა (იგულისხმება არა მომხმარებელზე, არამედ ისევ ვაჭარზე მისი შემდგომი გატანისა და რეალიზაციის მიზნით) ამ უკანასკნელმა მთელი ბაჟი უნდა გადაიხადოს“[114].

აღნიშნული სახის სავაჭრო ოპერაციებს სხვა მასალაც ადასტურებს. 1800 წელს თბილისელ ვაჭარ დიმიტრის ინდოეთიდან ჩამოაქვს 13 680 მანეთის სხვადასხვა ქსოვილი და რამდენიმე ათასი მანეთის ღირებულების ძვირფასი ქვები. ჩამოტანილი საქონლის ერთი ნაწილი, კერძოდ, 9830 მანეთის ქსოვილი და 12 030 მანეთის ძვირფასი ქვები შეისყიდა ადგილობრივმა ვაჭარმა აღა ზურაბოვმა[115]. ცხადია, ამ უკანასკნელმა საქონელი შეისყიდა მისი საზღვარგარეთ რეალიზაციის მიზნით — ადგილზე ათეულ ათასობით მანეთად ღირებული ძვირფასი საქონლის გასაღებას იგი ვერ შეძლებდა, ამას გარდა, ეს რომ შესაძლებელი ყოფილიყო, ამას თვით დიმიტრი გააკეთებდა, მოგებაში ასე უბრალოდ სხვა ვაჭარს არ დაუდებდა წილს. როგორც ჩანს, დიმიტრიმ ჩამოტანილი საქონლის მხოლოდ ის ნაწილი დაიტოვა, რომლის ათვისებაც ადგილობრივ ბაზარს შეეძლო.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ თბილისელი ვაჭრები ცდილობდნენ უმეტესად ოქრო შემოეტანათ, ვიდრე საქონელი. როგორც ჩანს, ერთი მხრივ, საშინაო ბაზარი ვიწრო იყო იმპორტისათვის, მეორე მხრივ, გამორიცხული არაა, რომ მსხვილი ვაჭრები სამეფო ხელისუფლების დავალებითაც მოქმედებდნენ ასე.

1792 წელს ხუთ ქართველ ვაჭარს ასტრახანში ჩამოართვეს 20 000 მანეთის ღირებულების ოქროს მონეტები. ერეკლე II-ის შუამდგომლობით აღნიშნული თანხა დაუბრუნეს ვაჭრებს. 1797 წელს ასევე ასტრახანში დავით კანკილამოვსა და რევაზ გიორგიევს ჩამოართვეს 700 ნახევარიმპერიალი, 700 მანეთი, 4200 მანეთის ოქროს მონეტა და სხვა საქონელი[116].

სამეფო ხელისუფლება აქტიურად ერეოდა მსხვილ სავაჭრო ოპერაციებში, თავისი ინტერესების შესაბამისად წარმართავდა მათ და იცავდა

---

[114] АКАК. т. I, № 583.

[115] Документы по взаимоотношению Грузии с Северным Кавказом, დასახ. გამოც., გვ. 72.

[116] იქვე.

შესაძლო დაბრკოლებებისაგან. ერეკლე II-მ პოტიომკინთან უჩივლა ფათალი ხანს, რომ მისი მიზეზით ქართველმა ვაჭრებმა 60 000 მანეთის ზარალი ნახეს[117].

სავაჭრო ურთიერთობათა მნიშვნელოვან წარმატებებზე მიუთითებს ის ფაქტი, რომ თბილისელი ვაჭრები, ერთი მხრივ, მაქსიმალურად იყენებენ ადგილობრივი მრეწველობის შესაძლებლობებს და შესაბამისად ექსპორტს საკმაოდ დიდი ადგილი უჭირავს მათ სავაჭრო ოპერაციებში, ხოლო, მეორე მხრივ, არ კმაყოფილდებიან ამით და ფართო საშუამავლო ვაჭრობას ეწევიან მსხვილ სავაჭრო-ეკონომიკურ რეგიონებს შორის.

სავახშო კაპიტალი. კრედიტი

თბილისში საკმაოდ ფართოდ ფუნქციონირებდა სავახშო კაპიტალიც. სავახშო ოპერაციებს ძირითადად ეწეოდნენ ვაჭრები, ეკლესია და ფეოდალი კაპიტალის მფლობელთა ის ნაწილი, რომელსაც გარკვეული მიზეზების გამო შესაძლებლობა არ ჰქონდა სავაჭრო ოპერაციებში ჩაება თავისი კაპიტალი[118] (იგულისხმებიან ქვრივები, მოხუცები, უძლურები და ა. შ.)[119]. ეს ფაქტი იმაზეც მიუთითებს, რომ განსახილველ პერიოდში სავაჭრო კაპიტალის მოგება გაცილებით მეტი იყო, ვიდრე სავახშო კაპიტალის პროცენტი, მიუხედავად იმისა, რომ შეინიშნებოდა არა მარტო სესხის პროცენტის, არამედ გასესხებული თანხის ზრდაც.

მსესხებლები იყვნენ გლეხები, ხელოსნები, ვაჭრები, თავადაზნაურობა, მეფის ოჯახის წევრები და თვით მეფეც, თუმცა სამეფო სახლი უმეტესწილად სავალდებულო სესხს მიმართავდა და პროცენტის გადახდას თავს არიდებდა.

1790 წელს გიორგი XII ერთ თავის თბილისელ ყმას სწერდა: „20 თუმანი რომ არ გვასესხო, არას გზით არ შეიძლება, ვერც უარს გვეტყვი, სესხად გთხოვთ. თუ ეს შეიტყო ვინმემ ჩვენს მეტმა, შენს მეტმა და ფეტიაშვილის მეტმა, ასე უნდა იცოდე, რომ ჩვენი მოსისხლე იქნები. ნუ შეწუხდები, ხომ იცი, რომ ბატონს დასჭირდება, ყმამ უნდა მისცეს, ყმას დასჭირდება ბატონმა უნდა მისცეს. მაგაზე წყრომა როგორ იქნება“[120].

თეიმურაზ II-სა და ერეკლე II-ს ვაჭარ მელიქ მიღდისის 8600 მინალთუნი ჰქონიათ ვალად. ერეკლე II-ს ვაჭარ გიორგი ნაზარბეგაშვილისა-

---

117 შ. მ ე ს ხ ი ა, დასახ. ნაშრომი., გვ. 218 (რუსულ ენაზე).

118 ვ. ს ა მ ს ო ნ ა ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 78.

119 დ. უ ჩ ა ნ ე ი შ ვ ი ლ ი, დოკუმენტები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის, თბ., 1967, გვ. 57; ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის, II, გვ. 48, 104, 107.

120 სცსია, ფ. 229, დავთ. 11, საბ. № 49, 50.

გან 4791 მანეთი უსესხებია, გიორგი XII-ის ვალები 400 თუმნამდე აღწევდა[121].

კრედიტი XVIII საუკუნის თბილისში ჯერ კიდევ უმთავრესად მოხმარებაზე მოდიოდა და უმნიშვნელო რაოდენობით ხმარდებოდა წარმოებას[122]. სესხის დაფარვა ხდებოდა მსესხებლის ქონებით და არა წარმოებიდან მიღებული მოგებით, რაც, ცხადია, მსესხებლის გაჩანაგებას იწვევდა.

აღნიშნულის პარალელურად საკმაოდ ხშირად გვხვდება ფულის გასესხების პროგრესული ფორმებიც, როცა მსესხებლებად გამოდიან მსხვილი ვაჭრები ან სავაჭრო ამხანაგობები და, შესაბამისად, კრედიტის პროცენტი იფარება სავაჭრო კაპიტალის მოგებით.

„ავიღე მე ტერ-ასატურაშვილმა არაქელამა, შენ თუმანიშვილის მდივნისა მანუჩარისაგან ოთხმოცი თუმანი... ეს თეთრი... ჩემთვის ვიმუშაო... ამის ხეირსა და ზიანში შენ საქმე არ გქონდეს... შენმა ოთხმოცმა თუმანმა რაც ჩემს ხელთ დაჰყოს, წელიწადში ათი თორმეტნახევრად გაურჯელად მოგცე“[123].

ხშირია შემთხვევები, როდესაც კრედიტორი უარს ამბობს პროცენტზე, ხოლო ვაჭარი-მსესხებელი უშუალოდ მოგებაში უდებს მას წილს. მსესხებელი ასეთ პირობას აძლევს კრედიტორს, შენი „თეთრი მე თავნათ დავიჭირო და აღებ-მიცემობაში ვამუშავო და რაც ღმერთმა მომცეს ხეირი თუ შარი, თავნი ხომ თქვენ უნდა მოგბარო და მონაგებისა ხეირი და შარი ორივესი უნდა იყოს“[124].

მოსახლეობის სოციალური დიფერენციაცია და კლასობრივი ბრძოლა

XVIII ს. პირველ მეოთხედში თბილისში დაახლოებით 20 000 მცხოვრები იყო. ამავე საუკუნის 30-იანი წლებიდან უკვე აშკარად შეინიშნება თბილისის მოსახლეობის კლების პროცესი, რომელმაც შემდგომში საქალაქო ცხოვრების განვითარებისათვის კიდევ უფრო საშიში ხასიათი მიიღო. თბილისის მოსახლეობის ვაჭრული ფენა მასობრივად სტოვებდა ქალაქს და სამუდამოდ სახლდებოდა ასტრახანში, ყიზლარსა და მოზდოკში.

აღნიშნული პროცესის ძირითადი მიზეზი ის იყო, რომ ვახტანგ VI-ის პრორუსული ორიენტაციით განაწყენებულმა ირანმა თბილისელ ვაჭრებს

---

[121] Пурцеладзе Д. Крестьянские грамоты, Тифлис, 1882, с. 13.

[122] ნ. ქ ო ი ა ვ ა, კრედიტი XVIII ს. საქართველოში, თსუ შრომები, XXXIV, გვ. 21—45.

[123] ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის, II, გვ. 58.

[124] იქვე, გვ. 40.

შეუწყვიტა შეღავათიანი საბაჟო ტარიფი. რუსეთის მოქალაქეობის მიღებით თბილისელი ვაჭრები ავტომატურად იღებდნენ რუსი ვაჭრების პრივილეგიებს ირანის ბაზრებზე. რუსეთისაკენ თბილისელი ვაჭრების ლტოლვას არანაკლებ აპირობებდა ის ფაქტიც, რომ საქართველოში ოსმალებისა და ყიზილბაშების განუკითხავი ბატონობის პირობებში ნორმალური სავაჭრო საქმიანობა შეუძლებელი გახდა. უფრო მეტიც, ამ დროისათვის თბილისში თვით ვაჭრის ქონებისა და სიცოცხლის დაცვა არაფრით არ იყო გარანტირებული.

ერეკლე II-ს მრავალმხრივი და საკმაოდ მკვეთრი ღონისძიებების გატარება მოუხდა იმისათვის, რომ როგორმე შეენელებინა თბილისელ მოქალაქეთა მიგრაციის პროცესი. 1770 წელს მან აღადგინა ვახტანგ VI-ის დროს დაკანონებული და უცხოელი ოკუპანტების მიერ მოშლილი ე. წ. „საკუთრების ქალაქური წესი". სავაჭრო საქმიანობის გამოცოცხლების მიზნით, ვაჭართა ზედაფენას საგრძნობი შეღავათები დაუწესა. ხელმეორედ და უფრო ზუსტად განისაზღვრა თბილისის მოხელეთა უფლებამოვალეობანი და სარგო. მკვეთრად აღიკვეცა მოხელეთა თვითნებობა თუ აშკარა ძალადობა მოქალაქეთა მიმართ. დაბოლოს, 1784 წელს, საგანგებო ბრძანებით, თბილისელ მოქალაქეებს საერთოდ აეკრძალათ საცხოვრებლად სხვაგან გადასვლა[125].

აღნიშნულმა ღონისძიებებმა სასიკეთო შედეგი გამოიღო — XVIII ს. მეორე ნახევრისათვის თბილისში უკვე 20 000-ზე მეტი მცხოვრები იყო[126]. 1770 წლის ოფიციალური ცნობის თანახმად, თბილისში 4000 კომლი ქართველი, სომეხი, თათარი და ფრანგი ცხოვრობდა[127]. ოფიციალურ მონაცემებს არ ეწინააღმდეგება გიულდენშტედტის ცნობაც, რომელიც გვაუწყებს, რომ 1770 წელს თბილისში 20 000 მცხოვრები იყო; ეს მას შემდეგ, რაც ამავე წელს აქ გავრცელებულმა ეპიდემიამ 4000 სული იმსხვერპლა[128]. მომდევნო ხანისათვის თბილისის მოსახლეობის რაოდენობის შესახებ სანდო ცნობები აღარ გაგვაჩნია.

მოსახლეობის სოციალური შემადგენლობის მიხედვით თბილისი XVIII ს. მეორე ნახევარშიც ფეოდალურ-ბატონყმურ ქალაქად რჩებოდა, თუმცა ამავე დროიდან გარკვეული სიახლეებიც შეინიშნება ქალაქის სოციალურსა და ეკონომიკურ ცხოვრებაში. უწინარეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს ფეოდალური არისტოკრატიის ქალაქისაკენ ლტოლვა. მი-

---

[125] Пурцеладзе Д. დასახ. ნაშრომი, გვ. 42.

[126] აშკარად გადაჭარბებულია პეისონელის ცნობა, რომლის მიხედვითაც თბილისში XVIII ს. 60-იანი წლებისათვის თითქოს 40 000 მცხოვრები იყო. — ს. კაკაბაძე, საფრანგეთის სავაჭრო კაპიტალი საქართველოს მიმართ მე-18 საუკუნეში, ქუთაისის პედ. ინსტიტუტის შრომები, I, 1940, გვ. 117.

[127] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II, თბ., 1965, გვ. 421.

[128] გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, ტ. I, თბ., 1962, გვ. 89.

უხედავად იმისა, რომ ფეოდალთა ეკონომიკური საყრდენი ძირითადად ისევ ყმა-მამული იყო, ქალაქი უკვე აღარ წარმოადგენდა მათთვის მხოლოდ და მხოლოდ რეზიდენციას. ამიერიდან ისინი ცდილობდნენ აქ საკუთრება გაეჩინათ და აქტიური მონაწილეობა მიეღოთ ქალაქის ეკონომიკურ ცხოვრებაში.

ქალაქის ეკონომიკური მართვის სადავეები კვლავინდებურად სამეფო სახლს ეპყრა, თბილისში ყმათა ყველაზე დიდი მფლობელი მეფე იყო. სამეფო ყმათა რაოდენობა 1500 კომლს აღწევდა[129]. ამავე დროს, როგორც ზემოთ აღინიშნა კიდეც, თბილისის ყველაზე მნიშვნელოვანი და მომგებიანი საწარმოები მეფის საკუთრებას შეადგენდა.

დარეჯან დედოფალს თბილისში ჰყავდა 248 კომლი ყმა. თბილისის სამღებროები დედოფალს 7 000 მანეთამდე შემოსავალს აძლევდა წელიწადში, 12 თუმანს იღებდა ქალაქის ბაღების იჯარის ანგარიშში, ასევე 12 თუმნად ჰქონდა მას გაცემული ყასაბხანა და ა. შ.

ყმები ჰყავდათ თბილისში ბატონიშვილებსაც. 1783 წლის აღწერით საბატონიშვილო ყმების რიცხვი 350-მდე კომლს შეადგენდა. ყველაზე მეტი ყმა ჰყავდა ტახტის მემკვიდრეს გიორგი ბატონიშვილს — 145 კომლი. შემდეგ მოდიოდნენ ბატონიშვილები ალექსანდრე (50 კომლი), დავითი (49 კომლი), იულონი (46 კომლი), ფარნაოზი (37 კომლი), ალმასხანი (17 კომლი), მირიანი (3 კომლი). ბატონის ასულებს — მარიამს, სოფიოს და ქეთევანს მხოლოდ თითო-ოროლა ყმა თუ ჰყავდათ თბილისში[130].

ბატონიშვილები თბილისში სხვადასხვა სავაჭრო ნაგებობებსა (დუქანი, ქარვასლა) და სარეწაოებსაც ფლობდნენ. მარტო დავით ბატონიშვილს თათრის მოედანზე 12 დუქანი ჰქონდა, საიდანაც 400 მანეთზე მეტ შემოსავალს იღებდა. 650 მანეთს აძლევდა მასვე სიონის მახლობლად არსებული ქარვასლა ყოველწლიურად[131].

თბილისში საკმაოდ მრავლად იყვნენ საეკლესიო ყმებიც. კათალიკოს-პატრიარქს აქ 198 კომლი ყმა ჰყავდა. საკათალიკოსო ყმების გამოკლებით ქართული ეკლესია-მონასტრების კუთვნილ ყმებად XVIII ს. 70-იან წლებში თბილისში აღრიცხული იყო 167 კომლი, სომხური ეკლესიების წილად მოდიოდა 72 კომლი და ა. შ.[132]საქალაქო მეურნეობა ეკლესიის შემოსავლის მნიშვნელოვანი წყარო იყო. საკმარისია ითქვას, რომ მხოლოდ სიონის ეკლესიას თბილისში 14 დუქანი, ქარვასლა, აბანო, დაბახანა და წისქვილი ჰქონდა[133].

---

[129] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. IV, გვ. 336.
[130] სცსია, ფ. 226, საბ. № 1148.
[131] სცსია, ფ. 229, დავთ. 51, საბ. №24.
[132] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. IV, გვ. 336.
[133] სცსია, ფ. 226, საბ. № 1148.

თბილისში უძრავ-მოძრავ ქონებას კერძო ფეოდალებიც ფლობდნენ. ერთ-ერთ მათგანს, კერძოდ, ბებუთაშვილების საგვარეულოს, სასახლისა და რამდენიმე სახლის გარდა, 13 დუქანი, დიდი ქარვასლა, დიდი და პატარა აბანო, ავლაბრისა და სეიდაბადის ბაღები ეპირა[134].

XIX ს. დასაწყისში თბილისში უკვე მუდმივად ცხოვრობდა 23 სხვადასხვა გვარის 70-ზე მეტი თავადი (ბაგრატიონები, ორბელიანები, ციციშვილები, ერისთავები, ბარათაშვილები, ჯავახიშვილები, თუმანიშვილები, ბეგთაბეგიშვილები, სუმბათაშვილები, ფალავანდიშვილები, აბაშიძეები, ხერხეულიძეები, მაჩაბლები, შალიკაშვილები, ჩიქოვანები, გურამიშვილები და სხვა)[135]. დოკუმენტში აღრიცხულია მხოლოდ მამრობითი სქესის წარმომადგენლები. საგრძნობლად გაიზარდა ქალაქში მუდმივად მცხოვრებ აზნაურთა რაოდენობაც[136].

ქალაქზე ფეოდალური არისტოკრატიის ორიენტაცია, ცხადია, შემთხვევითი არ იყო.. ეს ფაქტი აშკარად მიგვანიშნებს ფეოდალური მეურნეობის რღვევაზე. ექსპლოატაციის ტრადიციული ფორმა—რენტა—უკვე აღარ აკმაყოფილებდა ფეოდალის გაზრდილ მოთხოვნილებებს; საქალაქო მეურნეობა მისთვის შემოსავლის გაცილებით მომგებიანი წყარო გახდა. უფრო მეტიც, ზოგიერთი (უპირატესად მცირე ყმა-მამულის მქონე) ფეოდალი მთლიანად წყვეტდა კავშირს სოფელთან, მუდმივად ქალაქში სახლდებოდა და არ თაკილობდა მისი მაღალი ღირსებისათვის შეუფერებელ სავაჭრო საქმიანობასაც. ერთ-ერთ განცხადებას, რომელიც XIX ს. პირველ წლებს განეკუთვნება, თბილისში მოვაჭრე 17 „კეთილშობილი აზნაური“ აწერს ხელს[137].

ფეოდალური არისტოკრატიის ენერგიულმა ჩარევამ თბილისის ეკონომიკურ ცხოვრებაში ერთი შეხედვით კიდევ უფრო განამტკიცა მისი პოლიტიკური ბატონობა ქალაქზე. მაგრამ სულ მალე აშკარა გახდა, რომ ქალაქის ვაჭრულ ზედაფენასთან კომპრომისების გარეშე იგი ვერ შეძლებდა საქალაქო ცხოვრების მართვას. ფეოდალური არისტოკრატიის სურვილები ადრე თუ გვიან საქალაქო ცხოვრების წამყვანი ძალის ნებას უნდა დაჰყოლოდა.

თბილისის მოსახლეობის უმეტეს ნაწილს ვაჭრები და ხელოსნები შეადგენდნენ. პროფესიული თვალსაზრისით, ფეოდალური სამართალი ვაჭრებს განიხილავდა ერთიან ფენად.

სოციალური ნიშნის მიხედვით, იგივე ფეოდალური სამართალი ვაჭართა ფენას მიაკუთვნებდა გლეხობას. ამ შემთხვევაში მნიშვნელობა

---

[134] სცსია, ფ. 226, საბ. №1057.

[135] შ. მ ე ს ხ ი ა და სხვ., დასახ. ნაშრომი, გვ. 256.

[136] სცსია, ფ. 230, საბ. № 1126.

[137] იქვე.

არ ჰქონდა ვაჭრის ეკონომიკურ მდგომარეობას. ვაჭარი, დიდიც და მცირეც, სოციალურად გლეხი იყო, პირადად არათავისუფალი და გამონაკლისი შემთხვევები, როცა დიდვაჭარი წარჩინებულის (აზნაურის, თავადის) ტიტულს ფლობდა, განიხილებოდა როგორც მეფის წყალობა და არა ვაჭართა ფენის სოციალური დიფერენციაციის შედეგი.

ვაჭართა ფენა 4 ეკონომიკურ კატეგორიად იყოფოდა: დიდვაჭარი, შუა ვაჭარი, ქვემო ვაჭარი და ამაზე დაბალი.

ვაჭართა შეძლებული ფენის როლი უაღრესად დიდი იყო არა მარტო საქალაქო, არამედ სახელმწიფო ეკონომიკაშიც, რის გამოც სამეფო ხელისუფლება საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე მფარველობდა და საკმაოდ დიდ პრივილეგიებსაც ანიჭებდა მას.

ვაჭართა ფენის სისხლის განსაზღვრისას ფეოდალურმა სამართალმა წინ წამოსწია ეკონომიკური მომენტი. აქედან გამომდინარე სოციალურად ვაჭართა ერთიანი ფენა ფეოდალური სამართლის სისხლის რიგში განსხვავებულ სოციალურ ჯგუფებში აღმოჩნდა განაწილებული — „დიდვაჭრის სისხლი თან უწერია შუა აზნაურის სისხლს, მეორე ვაჭრის სისხლი ცალმოგვი აზნაურის, მესამე ვაჭრის სისხლი მსახურის სისხლს, ხოლო მეოთხე ვაჭრის სისხლი გლეხის კაცის სისხლს“[138].

სისხლით აზნაურთან გათანასწორებული დიდვაჭარი წოდებრივად ჯერ კიდევ არ იყო აზნაური, ამისათვის მას პირადად მეფისაგან აზნაურის ტიტული უნდა მიეღო. თუმცა ფაქტიურად იგი უკვე აზნაურის თითქმის ყველა პრივილეგიით სარგებლობდა.

XVIII ს. მეორე ნახევრიდან მნიშვნელოვანი ცვლილებები ხდება ვაჭართა ფენის სოციალურ მდგომარეობაში, რაც ქვეყნის ეკონომიკურ ცხოვრებაში სავაჭრო კაპიტალისა და საერთოდ საქალაქო ცხოვრების მნიშვნელობის ზრდის უშუალო შედეგი იყო. დიდვაჭრები ეკონომიკურ კეთილდღეობას აღარ სჯერდებიან და ცდილობენ წარჩინებულებს გაუტოლდნენ არა მხოლოდ სისხლით, არამედ წოდებრივადაც. ფინანსურად ხელმოკლე სამეფო კარი ფულადი სესხის, ქრთამისა თუ საჩუქრების სანაცვლოდ არა თუ აზნაურის, არამედ თავადის წოდებასაც კი ურიგებს ცალკეულ დიდვაჭრებს. მეფის წყალობის საფუძველზე თავადის წოდება დაიმკვიდრეს აბიმელიქოვმა, ბებუთაშვილმა, თუმანიშვილმა, მელიქიშვილმა. აზნაურები გახდნენ ივანგულოვი, არშიევი, მელიქოვი და სხვ. გააზნაურებული და გათავადებული ვაჭრების უმრავლესობა კვლავ სავაჭრო საქმიანობას განაგრძობდა, რაც უკვე მნიშვნელოვან სიახლეს წარმოადგენდა სავაჭრო საქმიანობისადმი ფეოდალური არისტოკრატიის დამოკიდებულების თვალსაზრისით. მაგ., თავადი აბიმელი-

[138] ქართული სამართლის ძეგლები, II, გვ. 431.

ქოვი როგორც ვაჭარი და მოქალაქე შეტანილი იყო ქალაქის გამოსაღების დავთარში და იხდიდა მახტას[139].

ამრიგად, ვაჭართა ფენა, რომელიც აქამდე მხოლოდ ეკონომიკური ნიშნით იყოფოდა, სოციალურად იწყებს დაშლას. ამიერიდან დიდვაჭრები, რომლებმაც მიიღეს წარჩინებულის წოდება, პიროვნულადაც თავისუფალნი ხდებიან. ასეთი ვაჭარი უკვე სიუზერენის ვასალი იყო და არა ყმა.

დიდვაჭართა მეორე ნაწილი (უმრავლესობა), დიდი პრივილეგიების მიუხედავად, დამოკიდებულ ვაჭრად რჩებოდა.

ვაჭარ-აზნაურთა ფენის გაზრდა სოციალური გადაჯგუფების გზითაც შეიმჩნეოდა. როგორც ზემოთ აღინიშნა, ხელმოკლე აზნაურთა ერთმა ნაწილმა თავი მიანება სოფლის მეურნეობას და ქალაქში გადასახლდა თავისი მცირერიცხოვანი ყმებით. XIX ს. დასაწყისში თბილისში 24 აზნაურს ჰყავდა სულ 54 ყმა. იყვნენ ისეთი აზნაურებიც, რომლებსაც არც ერთი ყმა არ გააჩნდათ[140]. ასეთი აზნაურები თვითონ მისდევდნენ ვაჭრობას, მოქალაქეებად აღირიცხებოდნენ და დაბალი შეძლების, მცირე „სამთავნოს“ გამო დიდვაჭართა ეკონომიკურ კატეგორიაში ვერც ხვდებოდნენ.

ამრიგად, დიდვაჭართა ერთი ნაწილი კიდევ უფრო მკვეთრად გამოეყო ვაჭართა დანარჩენ კატეგორიებს, ფეოდალურ არისტოკრატიაში გაითქვიფა და ბატონად მოევლინა გუშინდელ თანამოძმეს. აღსანიშნავია ისიც, რომ მათ ბატონობას მხოლოდ სოციალური და ეკონომიკური მომენტი არ განსაზღვრავდა. სამეფო ხელისუფლება სწორედ დიდვაჭარ მოქალაქეთა წრიდან ნიშნავდა ქალაქის მოხელეთა უმეტესობას. სახელო კი პოლიტიკური ბატონობის არა მარტო სიმბოლო, არამედ რეალური საფუძველიც იყო.

XIX ს. დასაწყისში მოქალაქეთა ერთი ნაწილი 50 000 მანეთზე მეტ ფულად კაპიტალს ფლობდა. ასეთი იყო სულ 8 მოქალაქე. 10 000 მან. მეტი კაპიტალის მფლობელად აღრიცხულია 61 მოქალაქე, 1000 მან. მეტი კაპიტალის მფლობელად 114 მოქალაქე, ვაჭარ მოქალაქეთა უმრავლესობა დაბალი შეძლების იყო. მათი ფულადი კაპიტალი არ აღემატებოდა რამდენიმე თუმანს[141].

თბილისის მოსახლეობის ძირითად ბირთვს ხელოსნები შეადგენდნენ. სოციალურად ეს ფენა კიდევ უფრო სუსტად იყო დიფერენცირებული. მართალია, XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან საგრძნობლად გაიზარდა თავისუფალ ხელოსანთა რიცხვი, მაგრამ ყმა ხელოსნები ჯერ კიდევ დი-

---

[139] სცსია, ფ. 229, დავთ. 13, საბ. №65.
[140] სცსია, ფ. 16, საქ. 2164, ფურც. 4.
[141] სცსია, ფ. 229, დავთ. 13, საბ. №68.

დად სჭარბობდნენ მათ. ეკონომიკური მდგომარეობით ხელოსნები მკვეთრად ჩამორჩებოდნენ ვაჭართა შეძლებულ ფენებს. ამ განსხვავებას ნათელყოფს XIX ს. დასაწყისის ერთ-ერთი საგადასახადო დავთარი (დავთარი ეხება მხოლოდ საპოლიციო გადასახადს). ბაზაზების (ფართლეულით მოვაჭრეთა) დუქნებზე წლიურად შეწერილი იყო თითოეულზე 10 მანეთი. ბაყლების, მეწვრილმანეებისა და ქურქჩების დუქნები იხდიდნენ 5 მანეთს. ეს მაშინ, როდესაც მკერვალების, ოქრომჭედლების, დურგლების, მჩითავების, მენაბდეების, ჭონებისა და დაბაღლების სახელოსნო დუქნები 2 მანეთით იყვნენ დაბეგრილნი. მკალავები, მეჩახმახეები, მელაინეები, მკუპრავები, ნალბანდები კიდევ უფრო ნაკლებს იხდიდნენ — 1 მან. 50 კაპ.[142] სხვაობა სავაჭრო და სახელოსნო დუქანთა საგადასახადო განაკვეთში უშუალოდ ასახავდა მათ შორის არსებულ ფაქტიურ განსხვავებას შემოსავლის სფეროში.

აღნიშნული დავთრის მიხედვით, გადასახადი მხოლოდ დუქნებზე კი არა, ცალკეულ პირებზეც იყო გადაკვეთილი. ქალაქზე დადებული გადასახადი ქალაქის მცხოვრებლებს შორის ნაწილდებოდა მათი შეძლებისდაგვარად. ყველაზე შეძლებული მოქალაქე ყველაზე მეტს იხდიდა და იგი საგადასახადო დავთარში პირველი ეწერა. ამ შემთხვევაში ქონებრივი დიფერენციაცია კიდევ უფრო შთამბეჭდავი ჩანს. ცალკეულ შეძლებულ ვაჭრებს 15 მანეთის გადახდა ევალებოდათ, ღარიბ ხელოსნებს 10 მაურის. როგორც ვხედავთ, ვაჭრის გადასახადი 30-ჯერ აღემატება ხელოსნისას.

თბილისის მოსახლეობის გარკვეული ნაწილი მომსახურების სფეროში იყო დასაქმებული. ჩვეულებრივ ესენი იყვნენ მსახურები და ყმა გლეხები, რომლებიც სხვადასხვა სამსახურს ასრულებდნენ სასახლის, სასულიერო თუ საერო ფეოდალების კარზე. თბილისში მუდმივად მცხოვრებ 59 თავადს სულ 254 კომლი ყმა ჰყავდა. აქედან დაახლოებით მესამედი, 80 კომლი, შინამოსამსახურე იყო[143].

თბილისში ისეთი ყმა გლეხებიც ცხოვრობდნენ, რომელთაც თავიანთი სამეურნეო პროფილის მიხედვით არაფერი ჰქონდათ საერთო საქალაქო ცხოვრებასთან. ისინი აქ სოფლის მეურნეობას მისდევდნენ და სოფლის ყმა გლეხთა მსგავსად იხდიდნენ ჩვეულებრივ ფეოდალურ რენტას.

პირადად თავისუფალი ხელოსნები და ვაჭრები თბილისის მოსახლეობის უმნიშვნელო უმცირესობას შეადგენდნენ და, ცხადია, ვერავითარ გავლენას ვერ ახდენდნენ საქალაქო ცხოვრებაზე. ქალაქს თავისუფლება ჯერ კიდევ ვერ მოჰქონდა, პირიქით, თავისუფალი მოსახლეობის ერთი

---

[142] სცსია, ფ. 226. საბ. №9128.

[143] იქვე, საბ. № 8958.

ნაწილი კვლავ ბატონყმურ უღელში ებმებოდა, რადგან პირადი თავისუფლებისა და საკუთრების დაცვა ქალაქზე ფეოდალური არისტოკრატიის განუკითხავი ბატონობის პირობებში არაფრით არ იყო გარანტირებული, ამიტომაც იყო, რომ თავისუფალი მწარმოებელი ხშირად თავისივე ნებით მიუდიოდა ბატონს. ასეთ შემთხვევებს ქალაქშიაც ჰქონდა ადგილი[144].

თბილისში მრავლად იყვნენ აგრეთვე გლახაკნი ანუ „უქმად მოსიარულენი", რომლებიც მათხოვრობით ან შემთხვევითი სამუშაოებით ირჩენდნენ თავს.

მოსახლეობის სამეფო, საბატონო და სამოხელეო გადასახადები

თბილისში სახელმწიფო გამოსაღები ედო გადახდისუნარიანი მოსახლეობის ყველა ფენას, ფეოდალური არისტოკრატიის გამოკლებით. ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი სამეფო (იგივე სახელმწიფო) გამოსაღები იყო მახტა. მახტას იხდიდნენ მხოლოდ სახასო ყმები წელიწადში 4000 მანეთის რაოდენობით[145]. მახტის გამომღები მოქალაქეები გადახდისუნარიანობის მიხედვით 17 ჯგუფად იყო დაყოფილი. პირველ ჯგუფში მოხვედრილი მოქალაქეები მახტის ანგარიშში იხდიდნენ 40 მანეთს. უკანასკნელი, მე-17 ჯგუფი — 1 მანეთს[146].

თბილისის მოსახლეობა იხდიდა აგრეთვე სახელმწიფო ფულად გადასახადს — მალს. მახტისაგან განსხვავებით, იგი კომლზე კი არა, თავზე იყო გადაკვეთილი. სრულასაკოვანი მამაკაცი დაქორწინებიდან ერთი წლის შემდეგ იხდიდა „მთელ მალს" — 1 მან. 20 კაპ., ასეთი თავი კომლში შეიძლება რამდენიმე ყოფილიყო.

თბილისის ვაჭარ-ხელოსანთა ის ნაწილი, რომელთაც დუქნები ჰქონდათ, მეფის სასარგებლოდ იხდიდნენ შაურს. გადასახადი დუქანზე იყო შეწერილი ყოველთვიურად და ამიტომ მას „თვის შაურსაც" უწოდებდნენ. ფულადი გამოსაღები იყო „სამასპინძლოც". დასტურლამალის მიხედვით, თბილისის მოსახლეობა სამასპინძლოს იხდიდა მეფის ქალაქიდან გასვლის შემთხვევაში — 12 თუმანს.

თბილისს ნატურალური გამოსაღებიც ედო მეფის სასარგებლოდ. ასეთი იყო „სურსათი" (კომლზე ორი კოდი პური და 1 კოდი ქერი), „სარუსო" (ეს გამოსაღები საქართველოში მყოფ რუსთა ჯარის შესანახად იყო განკუთვნილი) და „სალეკო" (ლეკთა დაქირავებულ ჯარს ხმარდე-

---

[144] სცსია, ფ. 16, დავთ. 497, ფურც. 108; ფ. 229, დავთ. 5, საბ. № 75.
[145] სცსია, ფ. 2, დავთ. 466, საბ. №39, ფურც. 39, 43, 88.
[146] სცსია, ფ. 1, დავთ. 193, ფურც. 56—57.

ბოდა). სალეკო შერეული გადასახადი იყო — მოსახლეობა მას იხდიდა როგორც ფულით, ისე ნატურით.

თბილისის მოსახლეობა შრომით ბეგარასაც უხდიდა მეფეს. ასეთი იყო „ულაყი". ეს ბეგარა მოსახლეობას ავალებდა საკუთარი მუშა პირუტყვითა და ინვენტარით გადაეზიდა ტვირთი. გარდა ამისა, თბილისელთა ვალდებულებას შეადგენდა ქალაქის კედლების, ციხეების, ხიდების, მოედნების, გზების და ქალაქის სხვა საზოგადოებრივ ნაგებობათა საკუთარი ხარჯით აღდგენა-შეკეთება.

მოქალაქეები არც სამხედრო ბეგარისაგან იყვნენ თავისუფალნი. გამონაკლისს შეადგენდნენ მხოლოდ მდიდარი მოქალაქეები, რომელთაც უფლება ჰქონდათ ლაშქარში თავიანთი „მაგიერი" კაცი გაეყვანათ. ამ გამონაკლისის მიზანი მარტივი ასახსნელია — მდიდარი ვაჭრის თუნდაც დროებით მოწყვეტა სავაჭრო საქმიანობისაგან საგრძნობ გავლენას ახდენდა ხაზინის შემოსავალზე. ესეც რომ არა, სამხედრო საქმის უმეცარ ვაჭარს მაგიერი კაცი ხომ დიდად სჯობდა. თბილისში მცხოვრები კერძო მებატონეთა ყმები კიდევ უფრო მძიმედ იყვნენ დაბეგრილნი, რადგან, საბატონო გამოსაღებთა გარდა, მათ სახელმწიფო თუ სამოხელეო გადასახადების გარკვეული ნაწილიც უნდა გადაეხადათ.

ორდინარული — სახელმწიფო, სამოხელეო თუ საბატონო გადასახადები მიახლოებით წარმოდგენასაც ვერ გვიქმნის მწარმოებელთა ექსპლოატაციის სიმძიმეზე. სავალდებულო ფულადი და ნატურალური სესხი, მრავალრიცხოვანი ჯარიმები, „უდების დადება", მებატონეთა თუ ქალაქის მოხელეთა თვითნებობა, ხშირად აშკარა ძალადობაც. ჩვეულებრივ მოვლენად იქცა. „დღეის აქომამდე ქალაქებსა შინა მედუქნეებსთ, ვაჭართა და ხელოსანთა, დიდი ძალა ადგასთ. ...სახელს ნისიათ არქმევდნენ, ბარათიც ეძლეოდათ, მაგრამ უკუნისამდე ვეღარ აიღებდნენ იმნაირს ნისიას", — გულწრფელად აღიარებს XIX ს. დასაწყისში შედგენილი ერთ-ერთი ოფიციალური საკანონმდებლო ძეგლი [147]. სწორედ ექსპლოატაციის მძიმე ფორმები და უაღრესად განშტოებული საგადასახადო სისტემა იყო ძირითადი მიზეზი იმისა, რომ ქალაქის ვაჭრულ-ხელოსნური მოსახლეობის უმრავლესობა ვერ ახერხებდა ვაჭრობისა და წარმოების გაფართოებას, ვერ აგროვებდა რამდენადმე მაინც საგრძნობ ფულად კაპიტალს, რაც ფეოდალურ-ბატონყმური ექსპლოატაციისაგან თავის დაღწევის ერთადერთი პირობა იყო.

ცალკე უნდა აღინიშნოს ე. წ. „სამოქალაქო გამოსაღები", რომლის გადახდა მხოლოდ ქალაქის დავთარში „დაწერილ" მოქალაქეებს ევალებოდათ.

---

[147] სამოქალაქო სჯულვილება, II, გამოსცა დ. ფურცელაძემ, თბ., 1966, გვ. 138.

მოქალაქეებად ითვლებოდნენ მხოლოდ მკვიდრი თბილისელები, ძირითადად სამეფო-სახასო ვაჭრები და ხელოსნები, რომლებსაც ქალაქში ჰქონდათ უძრავ-მოძრავი ქონება და ამ ქონების ფლობის საფუძველზე ქალაქის დავთარში იყვნენ აღრიცხულნი.

ამ თვალსაზრისით, თბილისში ერთმანეთს უპირისპირდებოდა მოქალაქე და „გარეშე კაცი", ანუ მოქალაქე და „ისე მსახლობელი".

„ვინც გარდმოესახლოს უცხონი ქალაქთა შინა, მისცეს ხარკი მოქალაქეთა და მსახლობელთა შორის, ვინცა ვინ ვითარ დაეწეროს"[148].

„ისე მსახლობელთ" თბილისში უძრავ-მოძრავი ქონება არ გააჩნდათ, უმეტესწილად თავიანთ მებატონეთა კარზე ცხოვრობდნენ და ძირითადად მომსახურების სფეროში იყვნენ დაკავებულნი.

ერთ-ერთ მოხსენებით ბარათში დარეჯან დედოფალი აღნიშნავს: „ტფილისში სადედოფლო ჩემი ყმები მოქალაქენი კომლი 50. ამას აქვსთ ჩემი მახთა წელიწადში 50 თუმანი. ქალაქში ჩემი ყმანი, გარეშე სოფლებისა მოკრეფილნი კაცნი კომლი 18, ამათგან საჩემო გამოსაღები წელიწადში 5 თუმანი".

მახტის გადახდის საფუძველი რომ მოქალაქის გარკვეული შემოსავლის მომცემი უძრავ-მოძრავი ქონება იყო, სხვა მასალებითაც დასტურდება.

მოქალაქეებს ვინმე დანღუზაშვილი ქალაქის დავთარში შეუტანიათ. დანღუზაშვილს მოქალაქეთა ასეთი გადაწყვეტილება უსამართლოდ მიაჩნია. „ჭონს ვუდგივარ მოჯამაგირეთ — არც ბაღი მაქვს, არც დუქანი და ზითვის სახლში ვდგევარ" — ჩემი მოქალაქეთ დაწერა როგორ იქნებაო. მოქალაქეები თავიანთი მხრივ აღნიშნული გადაწყვეტილების სისწორეს შემდეგნაირად ასაბუთებენ: „დანღუზაშვილი მოჯამაგირე კი არ არის, არამედ თვით ჭონია, აქვს სახლები და დუქნები" და ქალაქის დავთარში სამართლიანად დაწერეთო[149]. ამ შემთხვევაში მნიშვნელობა არა აქვს რომელი მხარე ტყუის. ორივე მხარე არსებითად ხომ იმას ასაბუთებს, რომ მახტის გადამხდელი უსათუოდ უძრავი ქონების მფლობელი უნდა ყოფილიყო.

„ისე მსახლობელნი" ქალაქში ხშირად ხელოსნობასა და სავაჭრო საქმიანობასაც მისდევდნენ, საქალაქო ხარჯში კი მონაწილეობას არ იღებდნენ. „მრავალი ქალაქებისა და ჩვენი ურგები მრევლნი არიან დაგროვებულნი ქალაქსა შინა და მათგნით დიდი ზარალიც გამოდის... ისინი ქალაქსა შინა ხარჯის მომცემთ აღებ-მიცემაში და სხვას საქმეში ერევიან, ისინი უკეთაც ვაჭრობენ და მათს მოქალაქეების მოგებასა ისინი ართმევენ. მოქალაქენი ხარჯს აძლევენ, ისინი არაფერს,

---

[148] სამართალი ბატონიშვილის დავითისა. გამოსცა დ. ფურცელაძემ, 1964, გვ. 200.
[149] სცსია, ფ. 16, დავთ. 497, ფურც. 99.

თვითო კაცი ვისმეს შეკედლებულნი არიან...“ — ეკითხულობთ სამოქალაქო სჯულვილებაში[150].

სამეფო ხელისუფლება ამ კონფლიქტს შემდეგნაირად წყვეტს: „გარეშე მსახლობელთ“ მხოლოდ იმ პირობით აძლევს ხელოსნობისა და ვაჭრობის უფლებას, თუ ქალაქის დავთარში დაეწერებიან და მოქალაქეთა თანასწორ ხარჯს გაიღებენ[151].

მოქალაქეებად არ აღირიცხებოდნენ და, შესაბამისად, არც მოქალაქეებად იწოდებოდნენ თბილისში დროებით თუ მუდმივად მცხოვრები ფეოდალური არისტოკრატიის წარმომადგენლები. მოქალაქის საგადასახადო დავთარში ფეოდალებს, ცხადია, ვერავინ შეიტანდა და მოქალაქეებადაც ვერავინ მოიხსენიებდა, რადგან მოქალაქეობა ამ დროისათვის მაღალი ფენისათვის შეურაცხმყოფელ სოციალურ ნიშანს შეიცავდა. ამ მხრივ გამონაკლისს შეადგენდნენ მხოლოდ ის გააზნაურებული თუ გათავადებული დიდვაჭრები, რომლებიც კვლავ განაგრძობდნენ სავაჭრო საქმიანობას. ასეთი ვაჭრები ქალაქის საგადასახადო დავთარში პირველ ვაჭრებად იყვნენ აღრიცხულნი. აღსანიშნავია ისიც, რომ ასეთი დიდვაჭრები, სხვა მოქალაქე ყმა ვაჭრებისაგან განსხვავებით, ოფიციალურ მიმართვებში უსათუოდ თავიანთი ახალი ტიტულით იხსენიებოდნენ: „მოქალაქე ბატონი ბებუთოვი“, „მოქალაქე ბატონი თუმანოვი“ და ა. შ.

კლასობრივი ბრძოლა

თბილისის მოსახლეობის ეთნიკური და რელიგიური სიჭრელე, მკვეთრი სოციალური და ეკონომიკური უთანასწორობა და, რაც მთავარია, მუდმივმოქმედი საგარეო საფრთხე იწვევდა კლასობრივი და შიდაკლასობრივი ბრძოლების დაქსაქსულობასა და სისუსტეს.

კლასობრივი ბრძოლა ქალაქზე პოლიტიკური ბატონობისათვის ფეოდალურ არისტოკრატიასა და ვაჭრულ ზედაფენას შორის საკმაოდ მტკივნეულად წარიმართა, მაგრამ სამეფო ხელისუფლების გამაწონასწორებელი პოლიტიკის შედეგად კომპრომისით დამთავრდა: მართვის აპარატის ძირითადი სახელოები არისტოკრატიამ შეინარჩუნა, მაგრამ იძულებული გახდა ქალაქის მმართველობაში დიდვაჭრებისთვისაც დაედო წილი.

დიდვაჭრებმა გაცილებით დიდ წარმატებას მიაღწიეს ეკონომიკურ სარბიელზე. ქალაქის სავაჭრო და სავახშო კაპიტალის უდიდესი ნაწილი მათ ხელში იყო მოქცეული და ამ მძლავრ იარაღს მოხერხებულადაც

---

[150] სამოქალაქო სჯულვილება, გვ. 121.

[151] იქვე, გვ. 122.

იყენებდნენ ფეოდალურ არისტოკრატიასთან საბრძოლველად — მათ კლანჭებში ექცეოდნენ არა მარტო რიგითი ფეოდალები, არამედ სამეფო სახლის წევრები და ზოგჯერ თვით მეფეც.

ქალაქში ფეოდალური არისტოკრატიის ბატონობის პირობებში კლასობრივმა ბრძოლამ არსებითად ანტიფეოდალური ხასიათი მიიღო. „ქალაქის მოსახლეობის მძიმე სახელმწიფო და კერძო-საბატონო ვალდებულებანი, ცალკეულ მებატონეთა მიერ ისედაც მძიმე საბატონყმო ნორმების დარღვევა და ყმა ხელოსანთა და ვაჭართა ორმაგი ექსპლოატაცია, სამეფო მოხელეთა მიერ ქალაქის მოსახლეობის დაუნდობელი ძარცვა... ქალაქის ძირითადი მოსახლეობის ყველა ფენაში ერთნაირად იწვევდა ანტიფეოდალურ გამოსვლებს“[152].

კლასობრივი ბრძოლის პასიური ფორმა — ჩივილი მეფის სასამართლოში — დიდ ეფექტს არ იძლეოდა, რადგან, უკეთეს შემთხვევაში, ჩივილს მოსდევდა მხოლოდ ფეოდალური ექსპლოატაციის რეგლამენტირება, დარღვეული ბატონყმური რიგის აღდგენა.

მოქალაქეთა მხრივ კლასობრივი ბრძოლის შედარებით აქტიური ფორმა იყო აყრის მუქარა ან თვით აყრა-გაქცევა. აყრის მუქარა ისედაც მცირერიცხოვან ყმათა მფლობელ ფეოდალს აიძულებდა რამდენადმე შეეკვეცა მადა; წინააღმდეგ შემთხვევაში ყმა შეასრულებდა მუქარას, მისი ხელახალი დაბრუნება კი, როგორც ამას დოკუმენტური მასალა მოწმობს, იშვიათად თუ ხერხდებოდა.

კლასობრივი ბრძოლის აღნიშნული ფორმები, ცხადია, პრინციპულად არაფერს ცვლიდა არსებულ წარმოებით ურთიერთობებში. თავდახსნის ფორმით პირადი თავისუფლების მოპოვების ფაქტები იშვიათი იყო — გაზრდილი ექსპლოატაციის პირობებში ყმა ვაჭარ-ხელოსანთა უმრავლესობას სათანადო სახსრები არც გააჩნდა. ესეც რომ არა, ხელახალი დაყმევების პერსპექტივა ყმას აიძულებდა თავი შეეკავებინა თითქმის უაზრო ხარჯებისაგან. არსებითი მაინც ის იყო, რომ მოქალაქეთა სხვადასხვა სოციალურ ფენებს განსხვავებული კლასობრივი და ეკონომიკური ინტერესები ამოძრავებდა და მათ შორის საერთო ენის გამონახვა აშკარად ჭირდა. აღნიშნული მიზეზით თბილისის მოსახლეობის ანტიფეოდალური მოძრაობა ძირითადად პასიურ ხასიათს ატარებდა და განსახილველ პერიოდში მან რამდენადმე ფართო მასშტაბები ვერ მიიღო.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ თბილისის მოქალაქეთა ანტიფეოდალური გამოსვლები ხშირად ნაციონალური თუ რელიგიური კონფლიქტებისა თუ ურთიერთბრძოლის სამოსელში ეხვეოდა. ცნობილია, რომ თბილისელ ვაჭართა უმრავლესობას სომხები შეადგენ-

---

[152] შ. მ ე ს ხ ი ა, საისტორიო ძიებანი, II, გვ. 371.

დნენ. ფეოდალური არისტოკრატიის გაგებით კი „ვაჭარი“ და „სომეხი“ თანაბარი მნიშვნელობის ცნებები იყო. ამას ისიც ადასტურებს, რომ ქართველს, რომელიც ვაჭრობას მისდევდა, ქართველი ფეოდალი „გასომხებულს“ ეძახდა[153].

ფეოდალური არისტოკრატიის მტრული დამოკიდებულება „სომეხთა“ მიმართ სინამდვილეში წარმოადგენდა ქალაქის პოლიტიკური და ეკონომიკური სადავეებისათვის ბრძოლას ფეოდალურ არისტოკრატიასა და ვაჭრულ ზედაფენას შორის. ამ ურთიერთმტრობას ამწვავებდა ის გარემოება, რომ სამეფო ხელისუფლება, ქვეყნის ეკონომიკური ინტერესებიდან გამომდინარე, დიდვაჭრებს განსაკუთრებულ მფარველობას უწევდა და, არც თუ იშვიათად, აზნაურისა თუ თავადის წოდებასაც ანიჭებდა მათ.

„გაკეთილშობილებული“ ვაჭარი ახლა უკვე ისე „გათავხედდა“, რომ პოლიტიკურ მმართველობაშიც კი შეეცილა „ძირძველ“ ფეოდალურ არისტოკრატიას: „უღმრთონი სომეხნი... ვაჭარნი ვაჭრულად და ცოდვისათვის ჩვენისა მეფისა პალატსა შემოცვენილნი... მთავრობა და მეფობა აღძარცვილნი და ყოველსა პირსა ქვეყნისასა ღუთის მიერ მონად მიცემულნი, საქართველოში უფლად და გამგედ და აზნაურათ დაუდგენიათ... ნახეთ აღმოსავლეთი, დასავლეთი, ბღვარი (სამხრეთი) და ჩრდილო, სადა აქვს სომეხსა აზნაურება? ღმერთმა განხეთქა, კაცმა ვით აღადგინოს!“[154].

იესე ბარათაშვილის ეს გულისწყრომა ფეოდალის პოზიციიდან სრულიად მარტივი ასახსნელია. იგი ჩივის: პოლიტიკური ძალაუფლება ოდითგან ხომ ფეოდალთა პრივილეგიაა, ეს ასეა ყველგან, აღმოსავლეთშიც და დასავლეთშიც, ჩრდილოეთშიც და სამხრეთშიც. მაშ როგორ, ან რატომ მოხდა რომ საქართველოში „უფლად“, „გამგედ“ და „აზნაურად“ სომხებია დადგენილი?! იესე ბარათაშვილისათვის, ისევე როგორც ნებისმიერი ფეოდალისათვის „სომეხი“ „ვაჭრის“ სინონიმია, შესაბამისად სომეხთა „უფლება“ ვაჭართა „უფლებაა“, ეს კი ფეოდალთა პოლიტიკური ბატონობის აღსასრულია. იესე ფერებს ამუქებს. სინამდვილეში ამ დროისათვის „სომეხთა“ (ვაჭართა) პოლიტიკური წონა ჯერ კიდევ უმნიშვნელო იყო, მაგრამ მას უდავოდ სწორად აქვს დაჭერილი ის საშიში ტენდენცია, რასაც უქმნიდა ვაჭართა ფენა ფეოდალურ სისტემას.

არც მოწინააღმდეგე მალავდა კლასობრივ სიძულვილს. როცა „სომხებს“ (ვაჭრებს) ხელსაყრელი შემთხვევა მიეცათ, არ დააყოვნეს და ჩასაქოლად გაიმეტეს „ქართველები“ (მოღალატე დიდგვაროვანი ფეოდალები). „დაიწყეს ქვეყანაზე ზახილი: — ზაალ ჩავკიროთო და იესეც მის

---

[153] შ. მ ე ს ხ ი ა, დასახ. ნაშრომი, გვ. 383—384.

[154] იესე ბარათაშვილის ცხოვრება-ანდერძი, გამოსცა ა. იოსელიანმა, თბ., 1950, გვ.67.

გვერდით ჩავიროთო. აღადგინეს სომეხნი მოქალაქენი, იძახდნენ ჭონები, მკუპრავები — მოგვეცით, მოგვეცითო"[155]. აქ იესე მისდაუნებურად უკვე ბოლომდე ხსნის „სომხის" შინაარსს. მისთვის სომხები ეხლა მარტო ვაჭრები კი არ არიან, არამედ ხელოსნებიც (მკუპრავები, ჭონები).

როგორც ვხედავთ, ფაქტიურად თბილისის მთელი ვაჭრულ-ხელოსნური მოსახლეობა აღმდგარა ქალაქის ფეოდალური არისტოკრატიის მათთვის ყველაზე საძულველი წარმომადგენლების წინააღმდეგ. ესაა მკვეთრად გამოხატული კლასობრივი ბრძოლა, რომელშიც ნაციონალური შუღლის, ნაციონალური დაპირისპირების მომენტი მხოლოდ და მხოლოდ ფორმალურ ხასიათს ატარებდა.

თბილისის მოქალაქეთა ანტიფეოდალურ გამოსვლებს მნიშვნელოვანწილად ასუსტებდა შიდაკლასობრივი ბრძოლა. მოქალაქეთა ინტერესები გაითიშა. „გაკეთილშობილებული" დიდვაჭრები, რომლებმაც ხელში ჩაიგდეს სხვადასხვა სამოხელეო თანამდებობები (მამასახლისი, ნაცვალი, გადასახადთა ამკრები და სხვ.), ექსპლოატატორებად მოევლინენ გუშინდელ თანამოძმეებს. თანამდებობის ბოროტად გამოყენება, მექრთამეობა, ხშირად აშკარა ძალადობა ეკონომიკურად სუსტ და სოციალურად უუფლებო ყმა ვაჭარ-ხელოსანთა მიმართ მათი საქმიანობის ყოველდღიურ ნორმად იქცა. მახტის ამკრები „გამორჩეული მოქალაქეები" აკრეფილი თანხის მნიშვნელოვან ნაწილს ითვისებდნენ და, ბოროტმოქმედების დაფარვის მიზნით, სათანადო დოკუმენტებს სპობდნენ. ერთ-ერთმა „გამორჩეულმა მოქალაქემ" იოსებ ყორღანაშვილმა მოსახლეობისაგან აკრეფილი 1070 მანეთიდან 820 მანეთი მიითვისა, ბეჟანა ხატისოვმა და სოლომონ ნაზარბეგოვმა — 2586 მან., მიკირტუმ მუთიევმა და სტეფანე გურგენბეგოვმა — 1805 მან. და ა. შ. მსგავსი ფაქტები მრავლად გამოავლინა რუსეთის მმართველობის პირველ წლებში შექმნილმა „აღმორჩეულ მოქალაქეთა" საქმიანობის შემმოწმებელმა კომისიამ[156].

თბილისის მოსახლეობა არაერთხელ აღმდგარა საძულველი მოხელეების წინააღმდეგ. მათი ერთიანი და კატეგორიული მოთხოვნით, ხელისუფლება იძულებული გამხდარა „ფარვით მტაცებლობის" გამო თბილისის ნაცვალი გადაეყენებინათ, მაგრამ მოქალაქეებს სულ მალე სანან

[illegible] გაუხდათ „წარმატება", რადგან ახლად დანიშნული ნაცვალი [illegible] თაყვანცემული... „ცხადად მტაცებელი" აღმოჩნდა.

ბუნებრივია, რომ ხელისუფალთა ასეთ განუკითხაობას თბილისის მოსახლეობა კლასობრივი ბრძოლის ასევე აშკარა თუ ფარული ფორმებით პასუხობდა[157].

---

[155] იესე ბარათაშვილის ცხოვრება-ანდერძი, გვ. 68.

[156] შ. მ ე ს ხ ი ა. ციტ. ნაშრომი, გვ. 391—392.

[157] იქვე, გვ. 393.

თბილისი საქართველოსა და ამიერკავკასიის პოლიტიკური გაერთიანებისათვის ბრძოლაში

1745 წლის 1 ოქტომბერს თეიმურაზ II ქრისტიანული წესით ეკურთხა მეფედ მცხეთაში. ამ დღეებში დიდი სახალხო ზეიმი გაიმართა ქ. თბილისშიც. 1632 წელს როსტომ მეფის მოსვლის შემდეგ საქართველოს დედაქალაქში ქრისტიანი მეფე აღარ მჯდარა. ყიზილბაშობის სასტიკი რეჟიმის მიუხედავად, 1735—1745 წლებში ქ. თბილისმა კვლავ მოიკრიბა შესაფერი ძალა, აღადგინა ძველებური სავაჭრო კავშირები, გაიზარდა მოსახლეობაც; გაიხსნა სკოლები (ანჩისხატის, სიონის და ა. შ.); თანდათანობით თბილისი ისევ იბრუნებდა საერთო-ქართული კულტურული ცენტრის მნიშვნელობას. 1746 წ. თეიმურაზ II-მ და ერეკლე II-მ აღადგინეს სტამბა, გაიხსნა ზარაფხანაც.

საერთო წარმატებებს მკვეთრად ზღუდავდა „ლეკიანობა" და ნადირ შაჰის საგადასახადო პოლიტიკა. 1747 წ. თებერვალში შაჰმა ქართლსა და კახეთს შეაწერა 2 მილიონი მანეთი. თეიმურაზ II მაშინვე გაეცალა თბილისს, ანანურში გაიხიზნა, კახეთშიც დაიწყო საომარი მზადება. აღმოსავლეთ საქართველოს XVIII საუკუნეში არასოდეს გადაეხადა ესეოდენ დიდი გადასახადი, თანაც 30-იან და 40-იანი წლების დასაწყისში დაღესტან-თურქეთის წინააღმდეგ წარმოებულ ირანის ომების დროს ქვეყანა ეკონომიურად განადგურდა. დიდად დაზარალდა თბილისიც. ახლა გადასახადის საკმაოდ დიდი წილი ქალაქზე მოდიოდა. აღორძინების გზაზე დამდგარი ქვეყანა დიდი განსაცდელის წინაშე აღმოჩნდა. ნადირ შაჰმა გადაწყვიტა სასტიკად დაესაჯა ქართლ-კახეთი, გაამზადა ლაშქარი, რომელსაც თბილისის აღება დაევალა, მაგრამ ირანელებმა ვერ შეძლეს განეხორციელებინათ განზრახვა. მალე აჯანყება დაიწყო ირანის უშუალო პროვინციებშიც. შაჰი კომპრომისზე წავიდა. ქართლ-კახეთი გაათავისუფლა გადასახადებისაგან და მეფეები თავისთან დაიბარა.

საგანგებო თათბირზე თბილისში გადაწყდა გაეძლიერებინათ თავდაცვა. ერეკლე II საომრად მომზადებული დარჩა საქართველოში, თეიმურაზ II კი ირანს გაემგზავრა. ქართლის მმართველობა (ნაიბობა) არჩილ იესეს ძეს (აბდულა ბეგს) დაევალა, მაგრამ ერეკლე II-ის საერთო ხელმძღვანელობა მაინც ძალაში რჩებოდა.

საბედნიეროდ, ირანში 1747 წ. ჩასულ თეიმურაზ II-ს უნდობელი ნადირ I შაჰი მოკლული დახვდა. მის მაგიერ ტახტზე ავიდა ადილ შაჰი (ნადირ შაჰის ძმისწული), რომელიც თეიმურაზ II-ის სიძე იყო. ადილ შაჰის სიკვდილის შემდეგ გაყაენდა იბრეიმ შაჰი, ეს უკანასკნელი შეცვალა შაჰროკმა, მერე კი გამოჩნდა საიდ მუჰამედი. ყველა ესენი უკვე ცდილობდნენ თეიმურაზს მიმხრობოდნენ, რაც შემთხვევითი არ იყო. ამჯერად თეიმურაზ II-ის უკან იდგა ერეკლე II. ასეთ შემთხვევაში

ყველას სურდა „გურჯისტანის“ მოკავშირეობა. „გურჯისტანის ვალის“ განაწყენებამ თავის დროზე გადამწყვეტი როლი შეასრულა სეფიანთა ირანის დამხობაში და მისი ორიენტაცია ახალ პირობებში შეიძლებოდა კვლავ დიდმნიშვნელოვანი გამხდარიყო. ამასთანავე თეიმურაზ II-ის ირანში ყოფნა, მეზობლების თვალში — განსაკუთრებით თურქეთის თვალში, ხდიდა კანონიერს ერეკლე II-ის მოქმედებას საქართველოში, ე. ი. აქცევდა ირანის ფარგლებში და ანელებდა ქართველთა სამხედრო წარმატებით გამოწვეულ დიდ ხმაურს. თეიმურაზ II ირანში ყოფნისას ყოველთვის მხარს უჭერდა ტახტზე მყოფ პიროვნებას. იგი მხარს უჭერდა ოფიციალურ ირანს და ამით თითქოს გამოხატავდა იმპერიის ერთიანობის იდეას. თავის მხრივ ეს „კანონიერი შაჰები“ წყალობის თვალით უყურებდნენ ერეკლე II-საც.

ქართლის ტახტისათვის მებრძოლმა აბდულა ბეგმა ვერ მიიღო ოფიციალური ირანის მხარდაჭერა, ვერც ქართულ-ქრისტიანული მოსახლეობის აღიარება, თვით ქვემო ქართლშიც აღმოჩნდა მძლავრი წინააღმდეგობა. აღსანიშნავია, რომ აბდულა ბეგს არ მიმხრობია საწყის ეტაპზე ქ. თბილისის მაჰმადიანობა და არც თბილისის მაჰმადიანური გარნიზონი. ისინი აბდულა ბეგის მხარეზე მოგვიანებით გადავიდნენ. როდესაც საომარი სამზადისი დასრულდა, აბდულა ბეგმა ერეკლე II-ს ქართლის სამეფოზე ხელის აღება მოსთხოვა. თავის მხრივ ერეკლემაც კონტრზომები მიიღო[158].

ერეკლე II-მ ქ. თბილისში გადმოიტანა თავისი რეზიდენცია. დაიწყო სასტიკი შინაომი, რომელიც უმთავრესად წარმოებდა ქ. თბილისის დაუფლებისათვის. აბდულა ბეგმა რამდენჯერმე სცადა ქალაქის აღება, მაგრამ ამაოდ. მალე მას ახალი მფარველი გამოუჩნდა, ამირ ასლან ხანმა ჩრდილოეთი ირანი შემოიმტკიცა. ერეკლე II-მ იგი არ სცნო. სამაგიეროდ, აბდულა ბეგმა უყოყმანოდ აღიარა თვითმარქვია „შაჰის“ უფლებები ირანის ტახტზე. ამირ ასლან ხანმა 8000 კაცი მიაშველა აბდულა ბეგს და თბილისის გარნიზონს დაავალა ერეკლე II-ის წინააღმდეგ გამოსვლა. ამიერიდან გადგა თბილისის ყიზილბაშური გარნიზონიც, რამაც დამატებითი სიძნელეები შექმნა.

აბდულა ბეგის ლაშქარი თბილისს თაბორის მხრიდან მიადგა. გააფთრებულ ბრძოლაში ერეკლე II-მ სასტიკი მარცხი მიაყენა მოწინააღმდეგეს, რომელმაც 1700-ზე მეტი მეომარი დაკარგა. ქალაქში გამარჯვების აღსანიშნავად დიდი ზეიმი გაიმართა. ახალგაზრდა მეფეს „მიეგებნენ დასნი საღმრთონი და ანუ გუნდნი ერთანი და შეასხმოდენ ქებას“. მეფე „დაჯდა ნადიმად, ნახა ლხინი და გასცა საბოძვარი“. თაბორის ციხესთან გამარჯვების შემდეგ ერეკლე II-მ შეუტია აბდულა

[158] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, გვ. 608.

ბეგის მოკავშირეებს, მან დალაშქრა ყაზახი, ბორჩალო-ბაიდარი... ამ მხარეებს მიეტევათ დანაშაული; ადგილობრივი ქეთხუთხები მძევლებად წამოიყვანეს თბილისში. დაარბიეს სამშვილდის მხარეც. ამ წარმატებებმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მეზობლებზე: „შეეშინდა ადრიბეჟანის ქვეყანას, ყველამ დაუწყო ერეკლეს ხვეწნა შერიგებისა“[159].

მიუხედავად აღნიშნული გამარჯვებისა, თბილისის ციხესიმაგრეში საკმაოდ ძლიერი ირანული გარნიზონი იდგა. ირანელებს ჰქონდათ აქტიური დახმარება გარედან. მეორე მხრივ, პოლიტიკური თვალსაზრისით, შეტევას ირანულ გარნიზონებზე მიიჩნევდნენ ირანზე შეტევად. თბილისის ციხეები ირანული გავლენის სიმბოლოს წარმოადგენდა. საერთოდ შინაფოდალური, შინადინასტიური ბრძოლები არ ეხებოდა გარნიზონის სტატუსს, — ყველა შემთხვევაში ეს სტატუსი უცვლელი რჩებოდა. 1541 წლის შემდეგ, მთელი 200 წლის მანძილზე, მოკლევადიანი გამონაკლისების გარდა, თბილისის ციხეები გადაქცეული იყო ქართლ-კახეთის დასამორჩილებელ პლაცდარმად.

ერეკლე II-მ თბილისში თავი მოუყარა ერთგულ ჯარებს და ირანულ გარნიზონებს ალყა შემოარტყა. „გაჩაღდა დაუნდობელი ომი მეტეხისა და თაბორის ციხეთა გარშემო. ციხეებში ჩამჯდარი ირანელები მეფის სასახლესა და სიონის მონასტერს ზარბაზანს უშენდნენ — „მეფის საჯდომი სასახლე ყუმბარით აავსეს და ზარბაზნითა დაამტვრიეს, ყუმბარით ერთი ქვის სროლა შემოიღეს, რომ ქალაქი სულ ქვით აავსეს“[160].

მაშინდელ ირანულ არტილერიას თავისი „ქვის ყუმბარით“ არ შეეძლო დაენგრია მოალყეთა საფრები, მაგრამ გაძლიერებულ საარტილერიო კანონადას ჰქონდა მოსახლეობაზე ფსიქიკური ზემოქმედების დანიშნულება.

თბილისის ციხეების აღება დიდხანს გაგრძელდა. აბდულა ბეგის მიერ დაქირავებულ ლეკ მარბიელებთან ბრძოლა მოითხოვდა ძალთა მობილიზაციას და ყურადღებას. ერეკლე II-მ თბილისში მოიწვია თუშ-ფშავ-ხევსურთა, ქიზიყელთა, მთიულთა, არაგველთა რჩეული ლაშქარი, ზემო ქართლის სარდალს ამირინდო ამილახვარს გორიდან დიდი ზარბაზანი, მეტსახელად „ბოჰორმა“, ჩამოატანინა (ეს ცნობილი ზარბაზანი ნადირ შაჰმა თურქებს წაართვა, ჩამოატანინა გორში, მისი ტრანსპორტირების სიძნელის გამო დარჩა აქ, იტენებოდა 10 ლიტრი ტყვიით და შესაფერისი რაოდენობის დენთიც სჭირდებოდა). პაპუნა ორბელიანის ცნობით, ამ საშინელი ხმის და ძალის მქონე იარაღმა გადაწყვიტა ციხე-

---

[159] პ ა პ უ ნ ა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი. გვ. 407 (იხ. ქართლის ცხოვრება, დ. ჩუბინაშვილის გამოც., ტ. II).

[160] იქვე; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ.IV, გვ. 610.

ების ბედი; „რა ეს ზარბაზანი ნახეს ციხელებმა, მაშინვე შეშინდნენ, დიდად აქცევდა, საცა მოხვდის". დიდი ზარბაზანი პირველად თაბორის ციხეს მიმართეს: „დაუშინეს ეს დიდი ზარბაზანი, მეოთხე რომ ჰკრეს, უყვეს იერიში". გააფთრებული შეტაკების შემდეგ თაბორი აღებულ იქნა. ამ სახალხო ბრძოლაში უკვე გამოჩნდნენ ნამდვილი გმირები, მაგ., თაბორის აღების დროს თავი გამოიჩინა ყმა გლეხმა შავერდა მღებრიშვილმა, რითაც საერთო აღიარება დაიმსახურა. ერეკლე II-მ თაბორი შეაკეთა, გალავანი შემოავლო და კახთა რაზმები ჩააყენა.

თაბორის ციხის დაცემამ გაამძაფრა დაღესტნელი აბრაგების თარეში. ლეკები თბილისამდე უწევდნენ. აბდულა ბეგიც თავს ესხმოდა ქალაქს ავჭალის, თაბორის, ნარიყალასა და მეტეხის მიდამოებიდან. ერეკლე II ენერგიულად იგერიებდა მოთარეშეებს ისე, რომ არ ანელებდა შეტევას სპარსულ გარნიზონზე. მეფის სამხედრო სიქველემ გატეხა მეტეხის დაცვა. მეტეხელებმა შემოთვალეს: „კაცი გვიბოძე, ციხეს მოგართმევთო". ერეკლე II-მ ციხის ჩაბარება დაავალა სულხან ეშიკაღასბაშს და ჯიმშერ ჩოლოყაშვილს, თუშთა მოურავს.

ღამით კახეთის ჯარებმა მეტეხს ალყა შემოარტყეს, აყრილი მეტეხის ხიდის ნაცვლად სპეციალური ნავები გააკეთეს, დილით კი კახთა რაზმები ციხის გალავანში შევიდნენ. ეს სასიხარულო ამბავი ელვის სისწრაფით გავრცელდა ქალაქში, სულ მოკლე ხანში ქართლის ნაწილებმა და მოქალაქეებმა მეტეხი დაიკავეს. ეს იყო 1748 წლის ზაფხულში. მალე თბილისის მთავარი ციტადელი ნარიყალაც დაიკავეს. გამარჯვებულმა მეფემ მოწინააღმდეგენი არ დასაჯა. ბრძოლის მონაწილე ისტორიკოსი ამას ერეკლეს კაცთმოყვარეობის მიზეზით ხსნიდა[161].

ნარიყალის დაცლის შემდეგ ერეკლე II-მ ქალაქში დაასახლა აბდულა ბეგის ვაჟი აღასი, საბარათიანოს კაცნი, ციხის მინბაში თავისი თაბუნით (ე. ი. რაზმით), მეციხოვნეები და ყადი — ბევრი მათგანი ოჯახითურთ[162]. ფაქტიურად „თაბუნი" უკვე დიდი ხნის წინ თბილისის ორგანულ ნაწილად იქცა.

1748 წელს ერეკლე II-მ უკანასკნელად გაუგზავნა ირანის შაჰს ხარკი — ასამდე მეომარი ყულის ჯარისათვის ასან მირზას (დავით იმამ-ყული ხანის ვაჟის) მეთაურობით.

1749 წელს თეიმურაზ II საქართველოში დაბრუნდა, მან ჩამოიტანა ფირმანი ყაზახ-ბორჩალოს, საქართველოს ამ ისტორიული მხარის, დაბრუნების შესახებ.

1749 წელს გაიმართა საეკლესიო კრება თბილისში. იგი მიზნად ისა-

---

[161] პაპუნა ორბელიანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 413.

[162] იქვე: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ.IV, გვ. 612.

ხავდა ქართული ეკლესიის განწმენდას. სამხედრო წარმატებებს ეფექტური შედეგი მოჰყვა. დაიწყო გამაჰმადიანებული ქართველი არისტოკრატების ქრისტიანულ სარწმუნოებაზე გადმოსვლა. მონათვლა ხდებოდა საჯაროდ, თბილისში, ანჩისხატთან, მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე.

1749 წელს ერეკლე II-ის ინიციატივით დედაქალაქში აშენდა საარტილერიო ქარხანა—„ჯაბახანა", სადაც ასხამდნენ თოფ-იარაღს, ზარბაზნებს, ზამბულაკებს, ციხის თოფებსა და ზარებს... ამავე პერიოდში დაიწყო თბილისის თავდაცვითი ზღუდეების სრული შეკეთება, აღებულ იქნა კედელი, რომელიც ციხეს გამოჰყოფდა ქალაქისაგან, დაწესებულ იქნა მოქალაქეთა სამხედრო სამსახური, თანდათან ჩამოყალიბდა თბილისელ მოქალაქე-მოლაშქრეთა ფენა, დასახლებულ იქნა გარეუბნები.

1749—1752 წლებში ქართლ-კახეთის სამეფო ჩაება ამიერკავკასიაში ჰეგემონობისათვის ბრძოლაში. ერეკლე II-მ საბოლოოდ გაანადგურა აბდულა ბეგი, განდევნა თავრიზის მხარეში, აიღო ქვემო ქართლის ციხეები, წარმატებული ბრძოლების შემდეგ აღმოსავლეთ საქართველო გახდა ამიერკავკასიის მტკიცე ჰეგემონი. მას მეხარკეობის საფუძველზე დამორჩილდნენ ერევნის, ნახჭევანის, განჯისა და ყარაბაღის სახანოები. ეს სიტუაცია შესანიშნავ პერსპექტივებს შლიდა ქ. თბილისის წინაშე. XVIII საუკუნის 50-იანი წლებიდან იგი ამიერკავკასიის ცენტრად გადაიქცა პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული თვალსაზრისით. თბილისში ისახებოდა სომხეთის განთავისუფლების პერსპექტიული პროექტები, სხვადასხვა პოლიტიკური ერთეულების ურთიერთკავშირის იდეები.

ირანის აშლილობა ქმნიდა ხელსაყრელ პირობებს ქართული სახელმწიფოს დამოუკიდებლობის განმტკიცებისათვის.

1749—1752 წლებში ქართველებს მოუხდათ სასტიკი ბრძოლა აზატ ხან ავღანთან, ფანა ხანთან, ორგზის აზერბაიჯანის გაერთიანებულ სახანოებთან (აგრის-წყალი, ყირ-ბულახი, ყარათაფა). ცხარე ომების ამ ციკლში ქართველები გამარჯვებულნი გამოვიდნენ, შეინარჩუნეს ჰეგემონობა და დაიცვეს დამოუკიდებლობა. ამ ბატალიებში უაღრესად აქტიურ როლს ასრულებდა თბილისის მოსახლეობა. თეიმურაზ II-მ და ერეკლე II-მ თბილისელთაგან 3000-კაციანი რაზმი შექმნეს გივი ამილახვარის მეთაურობით.

ამ პერიოდში ირანიდან ახალდაბრუნებული გივი ამილახვარი ქ. თბილისის მოურავი იყო. თბილისელი მოლაშქრეები ებრძოდნენ მოთარეშე ლეკებს ქართლის ტერიტორიაზე.

1762 წელს, თეიმურაზ II-ის გარდაცვალების შემდეგ, ერეკლე II-მ ოფიციალურად გააერთიანა ქართლისა და კახეთის სამეფოები. 1763 წლიდან რუსეთის იმპერიამ დიპლომატიურად აღიარა ქართლ-კახეთის გაერთიანება და ერეკლე II სცნო მეფედ. ამით პეტერბურგი იური-

დიულად გაემიჯნა რუსეთში გადახვეწილ „მუხრანელ“ ბაგრატიონებს, რომლებიც ერეკლეს სამეფო ტახტში ეცილებოდნენ.

ამ პერიოდში თბილისი გახდა სომხეთის სახალხო-გამათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი ცენტრი. 1763 წელს ინგლისიდან თბილისში ჩამოვიდა ინდოეთის სომხური ბურჟუაზიის წარმომადგენელი იოსებ ემინი, რომელმაც გაერთიანებული ქართული-სომხური სახელმწიფოს პროექტი ჩამოიტანა. ერეკლეს ნებართვით, იოსებ ემინმა თბილისში დაიწყო საქმიანობა თავისი გეგმის პრაქტიკული ხორცშესხმისათვის; თბილისელი სომხებისაგან შექმნა სპეციალური შეიარაღებული რაზმიც (800 კაცის შემადგენლობით). მისი ხელმძღვანელობით ამზადებდნენ სომხური მოსახლეობის გრანდიოზულ შეიარაღებულ გამოსვლას თურქეთის სომხეთში. ამავე დროს საქართველოსთან პოლიტიკური კავშირის იდეა წარმოიშვა თურქეთის იმპერიის ბევრ ქრისტიან და არათურქ ხალხში. თბილისში ინტენსიურად ჩამოდიოდნენ ასირიელთა, იეზიდ-ქურთთა, მაჰმადიან-ქურთთა დელეგაციები, აგრეთვე წარმომადგენლები ეგვიპტელი და ერაყელი მამლუქებისა და ა. შ.

ქალაქში მომრავლდნენ ევროპელი მისიონერები, ევროპელი და რუსი სპეციალისტები, კარგად იყო ორგანიზებული საერთაშორისო ინფორმაციის წყაროები. XVIII საუკუნის 60-იანი წლების თბილისში თვალყურს ადევნებდნენ აღმოსავლეთის ქვეყნების პოლიტიკურ სიტუაციებსაც და დასავლეთ ევროპის ამბებსაც. გაერთიანებული ქართლ-კახეთის სამეფო განუხრელი აღმავლობის გზით მიდიოდა.

ქართლ-კახეთის სახელმწიფოს გაძლიერებასთან დაკავშირებით სულ უფრო და უფრო იზღუდებოდა ქედმაღალ ფეოდალთა თვითნებობა. თავს იჩენდა წინააღმდეგობა ფეოდალთა ბანაკში ქვეყნის გამაერთიანებელ და გამთიშველ ძალთა შორის. ახლა, როცა ქვეყნის საგარეო მდგომარეობა განმტკიცდა, თავი იჩინა დინასტიურმა ბრძოლამ. ფეოდალთა ერთი ჯგუფი კვლავაც უარყოფდა „კახი“ ბაგრატიონების უფლებებს ქართლის ტახტზე. ეს ჯგუფი მუხრანელ ბაგრატიონთა ხელისუფლების აღდგენისათვის იბრძოდა. ერეკლეს პოლიტიკის მოღალატე თავადები ვახტანგ VI-ის უკანონო შვილის — პაატას გარშემო დაჯგუფდნენ და სახელმწიფო გადატრიალებას ამზადებდნენ[163]. მაგრამ ამჯერადაც პროგრესისათვის მებრძოლი ძალები უფრო ძლიერნი აღმოჩნდნენ. შეთქმულება ჩაიშალა. ეს იყო 1765 წლის დეკემბერში.

შეთქმულთა გასამართლებამ და დასჯამ თბილისში ცხადყო, რომ ქალაქის მოსახლეობის ძირითადი ფენები ერეკლეს გამაერთიანებელ პოლიტიკას უჭერდნენ მხარს.

ერეკლე II-მ შეთქმულნი საჯაროდ გაასამართლა. მოწვეულ იქნა

---

[163] საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ IV. გვ. 632.

სამეფო დარბაზის გაფართოებული სხდომა, რომელსაც დაესწრნენ თავადაზნაურობისა და სამღვდელოების წარმომადგენლებთან ერთად „პირველი სახლის გლეხნი“, „მთის პირველი კაცები“ და „მოქალაქენი“. სახელმწიფოს მეთაური, მეფე გამოვიდა არა ბრალმდებლის ან მოსამართლის, არამედ მომჩივანის როლში. მან დაჩოქილმა მოახსენა სახალხო შეკრებულებას, თუ როგორ აპირებდნენ შეთქმულნი მთელი მისი ოჯახის ამოწყვეტას. ამის შემდეგ მეფემ დამსწრეთ მოაგონა მისი თავდადება ქართლის დასაცავად: „ღმერთს თავდებად გაძლევთ, თუ ჩემზე უკეთეს მეფეს იშოვით საქართველოს ბედნიერებისათვის, მე ჩემს გვირგვინს იმას დავულოცავ...“ ერეკლე II-ს სიტყვები შემთხვევით არ წარმოუთქვამს. მან შესანიშნავად იცოდა, რომ საჯარო სასამართლოზე ირჩეოდა არა მხოლოდ შეთქმულთა კონკრეტული დანაშაული, არამედ მისი მმართველობის განმსაზღვრელი პოლიტიკური კონცეფცია, ამ კონცეფციის ვარგისიანობა და პერსპექტივა. მეფემ ამხილა შეთქმულთა ანტისახელმწიფოებრივი საქმიანობა[164].

1765 წლის 15 დეკემბერს თბილისში მოეწყო შეთქმულთა საჯარო დასჯა. დასჯის პროცედურა ხდებოდა სამ ადგილას: მეტეხის ციხის ძირში, რიყეზე და ანჩისხატის ეზოში. პაატა ბაგრატიონს თავი მოკვეთეს, ასევე დასაჯეს დავით აბდულა ბეგის ძე, დემეტრე ამილახვარი დასაჯეს „სამოქალაქო სიკვდილით“, ვირზე უკუღმა შესვეს და მთელი ქალაქი შემოატარეს თავზე ნაცარდაყრილი, ალექსანდრე ამილახვარს მოკვრეს ცხვირი და გადაუკვრეს მუხლის ძარღვები, დიასამიძეს აღმოხადეს ცალი თვალი და მოკვრეს ცერი. გლახა ციციშვილს ამოშანთეს ენა, არდაშელ თაქთაქიშვილს მოკვრეს მარჯვენა და სხვ.[165]

შეთქმულთა განადგურებამ კიდევ ერთხელ ცხადყო, რომ ერეკლე II-ის ბრძოლა ხელისუფლების ცენტრალიზაციისა და ქვეყნის გაერთიანებისათვის დიდ იმედებს იძლეოდა.

70-იანი წლების დასაწყისიდან ქ. თბილისი განსაკუთრებულ საერთაშორისო ვითარებაში მოექცა. დაიწყო 1768—1774 წწ. რუსეთ-თურქეთის ომი, რომელშიც ქართლ-კახეთისა და იმერეთის სამეფოები გამოვიდნენ რუსეთის მოკავშირეებად. 1770 წლიდან ქართულმა პოლიტიკურმა ერთეულებმა დაიწყეს სამხედრო მოქმედება თურქთა წინააღმდეგ. საქართველოში შემოვიდა რუსეთის დამხმარე საექსპედიციო კორპუსი. რუსული არმიის სამოქმედო ასპარეზი ასცდა ქ. თბილისს. მაგრამ ომის მსვლელობაში ქალაქში განლაგებული იყო რეგულარული არმიის ცალკეული ნაწილები, სამხედრო და დიპლომატიური კურიერების მცველი რაზმები. აღსანიშნავია, რომ რთულ ვითარებაში ერეკლე II-მ მოახერხა ირანის

---

[164] ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. II, გვ. 210.
[165] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, გვ. 634.

ნეიტრალიზება და დაღესტნელი მთიელების შედარებით დაშოშმინება. გაძლიერდა თურქეთის იმპერიის ქრისტიანული და არათურქული მოსახლეობის ლტოლვა საქართველოსაკენ.

ქ. თბილისში მასობრივად ჩამოდიოდნენ პოლიტიკური ემისრები ანატოლიიდან, ერაყიდან, მამლუქთა სამფლობელოებიდან. საომარმა მოქმედებამ შეაფერხა სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობანი თურქულ პროვინციებთან, სამაგიეროდ, სავაჭრო კაპიტალმა სცადა გზის გაკაფვა დასავლეთ საქართველოში. დაიწყო საერთო ეროვნული ბაზრის ჩამოყალიბების ნელი პროცესი. საერთო-ქართული ეროვნული ბაზრის შემაერთებელი ხდებოდა ქ. თბილისი. პარალელურად უფრო ინტენსიური გახდა ვაჭრობა დასავლეთ საქართველოსთან. გაიხსნა დარიალის გზა, რომელმაც ქ. თბილისი კიდევ უფრო დააახლოვა როგორც სამხრეთ რუსეთის ქალაქებთან, ისე ჩრდილო კავკასიის ხალხებთან.

XVIII ს. 70-იანი წლებიდან ქართლ-კახეთში ჩამოყალიბდა ე. წ. „მორიგე ჯარი". იგი მორიგეობის წესზე იყო აგებული. „მორიგეობა" შეეხო ქალაქსაც, რომელსაც შეეძლო გამოეყვანა 3600-მდე მოლაშქრე. მორიგეობდა ყოველთვიურად 500-მდე თბილისელი[166]. მოლაშქრეთა თავისუფალი ფენა, რომელიც მზად იყო დასაქირავებლად, ივსებოდა უმთავრესად ქართველი მოსახლეობიდან და ნაწილობრივ ქვემო ქართლის მაჰმადიანებისაგან.

თბილისელმა მოლაშქრეებმა დიდი როლი შეასრულეს ქალაქისა და მისი შემოგარენის დაცვაში. 1772 წლის გაზაფხულზე თბილისს მოულოდნელად დაესხა ლეკ-ოსმალთა ცხენოსანი ლაშქარი, ქალაქის მორიგეებმა, მეფის პირად ამალასთან ერთად, ადვილად დაამარცხეს მოთარეშეები. მდგომარეობა გაართულა რუსული საექსპედიციო კორპუსის საქართველოდან გასვლამ, რაც გენერალმა სუხოტინმა დაასრულა 1772 წლის ივლისში. რუსულ კორპუსს ჩამორჩა ძალზე ბევრი დეზერტირი, რომელთა დიდი ნაწილი უშუალოდ ქალაქში დარჩა და შეერია ხელოსანთა რიგებს.

70-იანი წლებიდან ქ. თბილისი უფრო მკაფიოდ გამოიკვეთა როგორც „ყოველი საქართველოს" პოლიტიკური ცენტრი. 1773 წლის თებერვალში აქ მოეწყო ერეკლე II-ისა და სოლომონ I-ის შეხვედრა თურქთა წინააღმდეგ ერთობლივი ოპერაციების კოორდინაციისათვის. ქალაქის სწრაფმა ზრდამ, მოსახლეობის ახალი ტალღების შემოხიზვნამ გადატვირთა კომუნალური მეურნეობა. შეინიშნებოდა სივიწროვე, ანტისანიტარია. ამის შესახებ ხაზგასმით მიუთითებდა რუსეთის საიმპერატორო

---

[166] 3000 მოლაშქრესთან შედარებით 500-მდე მორიგე საკმაოდ დიდია, ეს აიხსნება იმით, რომ პროფესიონალი ვაჭარ-ხელოსნები ქირაობდნენ სანაცვლო მორიგეებს.

აკადემიის წევრი, გერმანელი მოგზაური გიულდენშტედტი[167]. ამიტომაც მოულოდნელი არ იყო 1773 წელს თბილისში გაჩენილი დიდი ჭირიანობა, რომელმაც ერთბაშად შეწყვიტა ქალაქის განუხრელი აღმავლობა. ჭირიანობამ უშუალოდ ქალაქში 6000 კაცი იმსხვერპლა. ჭირი გავრცელდა ახალციხიდან. ამ სენმა მეტად გააძნელა ეკონომიკური კავშირები, შეასუსტა ქალაქის დაცვა. რა თქმა უნდა, სენმოდებულ ქალაქზე არავინ გაბედავდა თავდასხმას, მაგრამ ჭირიანობამ ხელები გაუხსნა პოლიტიკურ პატიმრებს, სწორედ ამ დროს გაიპარა ქალაქიდან 1765 წლის შეთქმულების აქტიური მონაწილე ალექსანდრე დიმიტრის ძე ამილახვარი, რომელმაც შემდეგში დიდი როლი შეასრულა ერეკლე II-ის წინააღმდეგ მოწყობილ ინტრიგებში. ჭირიანობამ გარკვეული ზარალი მიაყენა ქალაქის ეკონომიკას, შეცვალა ქალაქის სახე. მოსახლეობამ მასობრივად დაწვა ყველა ის საცხოვრებელი, სადაც ავი სენის კერა იყო ჩაბუდებული.

საბოლოო შედეგები გამოწვეულ იქნა თვით სენის სალიკვიდაციო ღონისძიებათა სიმკაცრითაც. მოქალაქეებმა შექმნეს სპეციალური შეიარაღებული რაზმები, რომლებიც შავი ჭირით დასნეულებულ ოჯახებს მთლიანად ერეკებოდნენ გალავნის გარეთ, მინდორში, სადაც მათი დიდი ნაწილი იღუპებოდა სიცივისა და შიმშილისაგან. ორი საშინელი თვე გაატარა დაავადებულმა თბილისმა. 60 დღე განუწყვეტლივ რეკდნენ მწუხრის ზარები.

მთლიანად დაიცალა სამეფო პალატები, მეფის კარი ქ. თელავში გადავიდა. ქალაქიდან გახიზვნაც არ იყო ადვილი. ყველა ერიდებოდა ხიზნების მიღებას, ამიტომაც მოქალაქეები თავს აფარებდნენ ქალაქის შემოგარენის ტყეებს. გვიანი შემოდგომისთვის შავი ჭირის ეპიდემია ჩაცხრა, ქალაქი ყოველდღიურ საქმიანობას დაუბრუნდა.

---

[167] გ ი უ ლ დ ე ნ შ ტ ე დ ტ ი, მოგზაურობა საქართველოში, თარგმ. გერმანულიდან გ. გელაშვილისა, ტ. I, 1982, გვ. 89.

XIII

თბილისის პოლიტიკური ვითარება XVIII ს. 80—90-იანი წლების მიჯნაზე

რუსეთის საფარველში შესვლა 1783 წ. და მისი პირველი შედეგები

ქართლ-კახეთის სახელმწიფოს არაჩვეულებრივი გაძლიერების შესაბამისად, ძლიერდებოდა თბილისის მნიშვნელობა საქართველოსა და მთელ ამიერკავკასიაში. იგი აღმოსავლეთისა და ევროპის დიდი სახელმწიფოების ყურადღებას იპყრობდა. მიუხედავად დიდი წარმატებებისა, პატარა სახელმწიფოს, შეზღუდული ეკონომიკური ბაზისით, უჭირდა დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკის წარმართვა. ამ დროისთვისაც თბილისელ პოლიტიკოსთა წინაშე მწვავედ იდგა საგარეო დახმარების ძიების საკითხი. ოსმალეთ-ირანის მხრიდან საფრთხე არ მოხსნილა. ერეკლე II-მ ერთხელ კიდევ სცადა დახმარების მიღება ევროპის სახელმწიფოებისაგან, მაგრამ უშედეგოდ. ამავე დროს ძველი მოკავშირე რუსეთის სახელმწიფო თანდათანობით მოიწევდა ამიერკავკასიისაკენ.

როგორც ჩანს, ქართველ პოლიტიკოსებს მხედველობიდან არ გამორჩენიათ რუსეთის სამეფო კარზე შემუშავებული ფართო გეგმები, რომლებიც მიზნად ისახავდნენ გავლენის სფეროების გაფართოებას ახლო აღმოსავლეთში. ერეკლეს მიერ ევროპაში დახმარების ძიება რუსეთის პოლიტიკოსებში აჩქარებდა საქართველოს მიმართ აქტიურ პოზიციებზე გადასვლას. რუსეთ-საქართველოს შემდგომი დაახლოების სიტუაცია მწიფდებოდა.

დიდხნოვანმა გამოცდილებამ დაადასტურა, რომ ვერც დასავლეთ ევროპის ქვეყნები და ვერც შედარებით ჩამორჩენილი მაჰმადიანური ირანი თუ ოსმალეთი საქართველოს მფარველად ვერ გამოდგებოდნენ. საქართველოს დაუფლებისათვის მებრძოლ სახელმწიფოთაგან დიდი უპირატესობა ჰქონდა რუსეთს, რომელიც უკვე XVI საუკუნიდან მნიშვნელოვან ძალად იქცა საერთაშორისო პოლიტიკაში და ამიერკავკასიის საზღვრებსაც დაუახლოვდა (ვოლგის ნაპირებზე გასვლა...). რუსეთი — ცენტრალიზებული, აღმავალი სახელმწიფო, თავისი სოციალურ-ეკონომიკური წყობითა და ქრისტიანული რელიგიით საქართველოს ენათესავებოდა. კერძოდ, ქრისტიანულ-მართლმადიდებლური სარწმუნოება იმ ეპოქაში ზოგჯერ „უცხოობის“ ზღვარსაც კი შლიდა ერთმორწმუნეთა შორის და ერთ-ერთი მძლავრი ფაქტორი იყო, რუსეთზე ორიენტაციას რომ ასაზრდოებდა.

გასაგებია, რომ რუსეთის თვითმპყრობლურ იმპერიასთან საქართველოს კავშირს როგორც 1783 წ. ტრაქტატამდე, ისე მის შემდეგაც თან სდევდა ფეოდალურ სინამდვილეში ძლიერისა და სუსტის ურთიერთობისათვის დამახასიათებელი ჩვეულებრივი მოვლენა: ძლიერი თავისი მიზნებისათვის იყენებდა დახმარების მთხოვნელის თანამშრომლობას, ზოგჯერ ბრძოლის ველზედაც კი მიატოვებდა თავის მოკავშირეს, რომელიც „მფარველის" პოლიტიკის მსხვერპლი ხდებოდა. მაგრამ რუსეთთან ურთიერთობის მაგისტრალური მიმართულება, ამ ჩრდილოვანი მხარეების მიუხედავად, გამართლებული იყო; მან საუკუნეებს გაუძლო[1].

რუსეთის მთავრობის მიერ მაშინ მომარჯვებულ „ქრისტიანთა მფარველობის" პოლიტიკას დიდი მორალური და არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა ირან-ოსმალეთის ძალმომრეობისაგან გათავისუფლებისათვის მებრძოლი ხალხებისათვის. მაგალითად, რუსეთ-ოსმალეთის ომის დროს (1768—1774 წწ.) და მის შემდეგაც არაერთგზის, ქართული სამეფოების არსებობის პერიოდში, ქართველი და რუსი ხალხების წარმომადგენლები ერთად ებრძოდნენ საგარეო მტრებს, ამარცხებდნენ საქართველოს წინააღმდეგ ამხედრებულ ძალებს (ამავე საუკუნის 80-იან წლებშიაც). ასე იქედებოდა ორი მოძმე ხალხის დაახლოება, რაც დიდი პერსპექტივების მაუწყებელი იყო.

1783 წ. ტრაქტატი — „მფარველობითი" თუ „მეგობრულ-მოკავშირეობითი" ხელშეკრულება — ორმხრივი ინტერესების საფუძველზე აღმოცენდა. ამ შემთხვევაში ინიციატივა მოდიოდა რუსეთის მხრიდან, რომელსაც ახლო აღმოსავლეთში შორს მიმავალი ინტერესები ამოძრავებდა. ტრაქტატი გაფორმდა სწორედ იმ პერიოდში, როცა ფაქტობრივად დამოუკიდებელი ქართლ-კახეთი ინარჩუნებდა თავის უპირატესობას ამიერკავკასიაში.

საქართველოსათვის 1783 წ. ტრაქტატი იყო დიდი მნიშვნელობის დოკუმენტი, რომელიც ასახავდა საუკუნოვან მისწრაფებას სტაბილური მშვიდობის მოპოვებისა და ქვეყნის ძველი ძლიერების აღდგენა-განვითარებისაკენ; ტრაქტატი აირეკლავდა საოცნებო მომავალს, როცა რუსეთის დახმარებით ფართო გზა უნდა გახსნოდა ერეკლეს სამეფო კარზე შემუშავებულ პროგრესულ სოციალურ-პოლიტიკურ გარდაქმნათა გეგმების განხორციელებას: საქართველოს მთლიანობის აღდგენა, უცხოელ დამპყრობთა მიერ მინატაცები ტერიტორიების დაბრუნება, სხვა რიგის რეფორმები. მომავალი განვითარებისათვის აუცილებელი იყო საქართველოს მტრული გარემოცვის გარღვევა, კავშირის გაძლიერება ევროპულ სოციალურ-კულტურულ სამყაროსთან, შინაგანი გარდაქმნები. ასეთი ამოცანების გადაჭრა იხსნიდა საქართველოს, ხოლო საკუთარი ძალე-

[1] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, გვ. 17 (შესავალი).

ბით მას „ღონე არ შესწევდა... უზრუნველეყო ქვეყნის გამოხსნა-აღდგომის საქმის გამარჯვება. ტრაქტატი სწორედ ამ გარემოების აღიარებაც იყო“[2].

1783 წ. „პროგრესისათვის მებრძოლმა საქართველომ, — წერდა აკად. ნ. ბერძენიშვილი, — თავის დამხმარედ (მფარველად) პროგრესული რუსეთი მოიწვია“. „საქართველოს ისტორიაში ეს იყო უდიდესი მნიშვნელობის პოლიტიკური აქტი... ამ აქტით საქართველო გაემიჯნა აზიურ (ოსმალურ-ყიზილბაშურ) ჩამორჩენილობას და გადაჭრით პირი მიაქცია პროგრესული ჩრდილოეთისაკენ.

აღნიშნულ ვითარებაში 1783 წ. ტრაქტატს ხელი უნდა შეეწყო ჩვენი ქვეყანის პროგრესის გზით განვითარებისათვის[3].

ფართო იყო, აგრეთვე, რუსეთის იმპერიის გეგმები ახლო აღმოსავლეთში („საბერძნეთის პროექტი“, თურქეთის განდევნა ევროპის კონტინენტიდან...), რისთვისაც დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ საქართველოს. ამიტომაც ეკატერინე II-ის მთავრობა საკუთარი ინტერესების პოზიციებიდან გამოეხმაურა ერეკლე II-ის სახელმწიფო მიზნებს.

1783 წ. ტრაქტატის საფუძველზე ერეკლე ქვეყნის საშინაო საქმეებში ინარჩუნებდა სუვერენულ უფლებებს. მეფის რუსეთი არ უნდა ჩარეულიყო მის საშინაო საქმეებში, ხოლო აქ შემოყვანილი რუსთა ჯარი ადგილობრივ ხელმწიფეს უნდა დამორჩილებოდა. ამავე დროს ერეკლე საგარეო საქმეებში რუსთ ხელმწიფის უზენაესობას აღიარებდა, რაც მისი დამოუკიდებლობის შეზღუდვას გამოხატავდა. სამაგიეროდ, ქართლ-კახეთის მეფემ მიიღო ქვეყნის აღდგომა-გამოხსნისათვის ბრძოლის ერთი უმთავრესი პირობა—გარანტია სტაბილური მშვიდობის მოსაპოვებლად, მფარველის მზადყოფნა, რომ იგი მიიღებდა ზომებს საქართველოს მიერ დაკარგული მიწა-წყლის დასაბრუნებლად.

ამიერიდან საქართველო და რუსეთი უნდა გაერთიანებულიყვნენ საერთო მტრების წინააღმდეგ ბრძოლაში. ზემოაღნიშნული პირობები გულისხმობდა ნებაყოფლობით შეერთებას[4], რასაც, რა თქმა უნდა, იმ ეპოქისათვის დამახასიათებელი წინააღმდეგობანი ახლდა.

„1783 წ. ტრაქტატი არსებითად გამოხატავდა ქართლ-კახეთის ნებაყოფლობით შეერთებას რუსეთთან“. ამ აქტის დიდი პროგრესულობის გვერდით, იგი შეიცავდა „უმცირეს ბოროტებას“, რაც იმაში გამოიხა-

---

[2] ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი. საქართველოს რუსეთთან შეერთების ისტორიული მნიშვნელობისათვის. — ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, შრომები, ტ. V, გვ. 179.

[3] იქვე.

[4] ასე ესმოდა იგი ერეკლე მეორესაც. — საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, მ. დ უ მ ბ ა ძ ე, პოლიტიკურ წინააღმდეგობათა სახიფათო კვანძი, გვ. 707.

ტებოდა, რომ მფარველობაში აყვანილი სახელმწიფოს სუვერენიტეტი იზღუდებოდა[5].

XVIII ს. 80-იანი წლების საერთაშორისო ვითარებაში 1783 წ. ტრაქტატს რუსეთის სახელმწიფოს დიდ გამარჯვებად მიიჩნევდნენ. აქ ნათლად იჩენდა თავს რუსეთის საგარეო მოწინააღმდეგეთა მტრული პოზიცია, რომლებიც ამ შემთხვევაში საქართველოს ინტერესებზე როდი ფიქრობდნენ. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ეკატერინე II-ის სახელმწიფომ ტრაქტატის განხორციელებით დიდი და საიმედო პლაცდარმი მოიპოვა. მან უომრად გადმოლახა კავკასიონის მთაგრეხილი და უშუალოდ დაემუქრა ირან-ოსმალეთის პოლიტიკური გავლენის სფეროებს ამიერკავკასიაში[6]. ყოველივე ეს, აგრეთვე, კარგ მომავალს როდი უქადდა ამიერკავკასიელი ხალხების „მოკეთეებს" — ინგლის-საფრანგეთს თუ ირან-ოსმალეთს. ევროპელ „მზრუნველებს" მათთვის მომგებიანი აღმოსავლური ბაზრების დაკარგვა მოელოდათ, ხოლო ირან-ოსმალეთი საბოლოოდ უნდა გამოთხოვებოდა ამიერკავკასიას.

1783 წ. 2 დეკემბერს საზეიმოდ მორთული თბილისი აღტაცებით შეხვდა რუსთა ჯარის ორ ბატალიონს, რომელიც აღნიშნული ტრაქტატის საფუძველზე გამოგზავნეს. ჯარს რუსეთის სახელმწიფოს ოფიციალური წარმომადგენელი პოლკოვნიკი ბურნაშოვი მოუძღოდა. ორიოდე თვის შემდეგ ტრაქტატის საბოლოო გაფორმება-დამტკიცების მიზნით, სპეციალური მისიით, თბილისში საჩუქრებით დატვირთული პოლკოვნიკი ტამარა მოავლინეს. მისი მოსვლა, 1784 წ. 22 იანვარს, ზარბაზნების გრიალით აუწყეს თბილისელებს.

23 იანვარს ტამარამ ერეკლესა და მისი სამეფო სახლის წევრებს იმპერატორის მიერ გამოგზავნილი სამეფო რეგალიები, საჩუქრები და სამფარველო სიგელი გადასცა. ამასთან დაკავშირებით ისევ 101-ჯერ დაიქუხეს რუსულმა ზარბაზნებმა და ამით კიდევ ერთხელ გამოხატეს რუსეთის მაშველი ჯარის შემოსვლა საქართველოს დედაქალაქში.

საზეიმო ცერემონიალი გაგრძელდა სიონის ტაძარში, სადაც ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი ტრაქტატის ტექსტები გაცვალეს, ხოლო ერეკლე მეფემ ხელშეკრულების დებულებათა ერთგულებაზე დაიფიცა. ნიშანდობლივი იყო ამ დღეს „ქრისტიანთა მფარველის" ეკატერინე II-ის სახელის ხსენებასთან დაკავშირებით ატეხილი ზარ-ზეიმი თბილისის ეკლესიებში[7].

რუსული ზარბაზნების ხმაურის ექო თბილისიდან ქართლის მეზობლებს მისწვდა, ამიერკავკასიის ფარგლებსაც გასცდა და შორეულ კონსტანტინოპოლში სულთნის მთავრობაც შეაშფოთა. აფორიაქდნენ

---

[5] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, გვ. 55.

[6] იქვე, გვ. 696.

[7] Дубровин Н. История войны и владычества русских на Кавказе, т. I, с. 22.

ირანის ვასალურ დამოკიდებულებაში მყოფი სახანოები აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში[8]; „განძვინდა ფაშა ახალციხის სულეიმან ათაბაგი, აღუწოდა ლეკთა და იწყო ოხრება ქართლისა“[9].

ახალციხის საფაშო, ჭარ-ბელაქანი (საინგილო) და დაღესტანი მაშინ ერთი მთლიანი ღერძი იყო, რომელსაც სათავე კონსტანტინოპოლში ჰქონდა. ოსმალეთი არ სცნობდა რუსეთის ხელისუფლებას „თბილისის ხანზე“. ასე იხსენიებდა ბრაზმორეული სულთნის საბჭო ერეკლე II-ს და ამით თითქოს ესარჩლებოდა ღონემიხდილი ირანის პრეტენზიებს ქართლ-კახეთის სამეფოზე.

თანდათანობით მწიფდებოდა რუსეთ-თურქეთის მორიგი ომი. ოსმალეთი ემზადებოდა 1783 წ. დაკარგული ყირიმის დაბრუნებისათვის. ახლა, ამას ისიც შეემატა, რომ, რუსთა ჯარის თბილისში დამკვიდრებით, ოსმალეთს მის მიერ მიტაცებული ქართული და სომხური ისტორიული პროვინციების დაკარგვა მოელოდა.

ქართლ-კახეთს უკვე ლეკ-ოსმალთა საკმაოდ მრავალრიცხოვანი რაზმები უტევდნენ. მათ წინააღმდეგ ქართველები და რუსები მხარდამხარ იბრძოდნენ. ერთობლივი ბრძოლა 1784—1785 წლებში მეტნაკლები წარმატებით მიმდინარეობდა.

1785 წ. ოსმალეთის წაქეზებით განხორციელდა საკმაოდ დიდი ლაშქრობა საქართველოს წინააღმდეგ. ამ შემოსევას სათავეში ჩაუდგა დაღესტნის (ავარიის) მფლობელი ომარ ხანი, რომელმაც ახალციხის ფაშას დახმარებით 20 ათასამდე კაცი გამოიყვანა. მძარცველთა არმია შეესია ქვემო ქართლს. თითქმის მთლიანად მოსპო ახლად ჩასახული სამთამადნო მრეწველობა. მართალია, ომარ ხანმა ვერ გაბედა თბილისზე თავდასხმა, მაგრამ, ჩაკეტა რა სამხრეთისაკენ მიმავალი კომუნიკაციები, საგრძნობლად დააზიანა მისი ეკონომიკა. XVIII ს. 50-იანი წლების შემდეგ ქართლ-კახეთს ასეთი ინტენსიური თარეში არ განუცდია.

დაღესტნელთა და ახალციხის საფაშოს ხელქვეითი თურქული მოსახლეობის მუდმივმა თარეშმა მოშალა სოფლის მეურნეობა, ვაჭრობა. „საქართველო უკიდურესად ნადგურდება, — წერდა თბილისში მყოფი რუსეთის რეზიდენტი, პოლკოვნიკი ბურნაშოვი, — იმის გამო, რომ გზებზე მიმოსვლა საშიშია, ვაჭრობა მთლიანად შეწყდა, პურის მოყვანა შეფერხებულია, რადგან მოსახლეობას სახელმწიფო სამუშაოებზე ან სამხედრო სამსახურში იწვევენ და სოფლები დაცარიელებულია. მის უმაღლესობას (ერეკლე II-ს) არ შეუძლია შეგროვილი ჯარის დიდხანს შენახვა, რადგან ფული არა აქვს, მისი ფული თითქმის გაქრა“[10].

---

[8] მ. დ უ მ ბ ა ძ ე, პოლიტიკურ წინააღმდეგობათა სახიფათო კვანძი. — საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, გვ. 694—695.

[9] ქართლის ცხოვრება, ჩუბინაშვილის გამოც., II, გვ. 510.

[10] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, გვ. 705.

არასრული მონაცემებით, 1784—1787 წლებში აღმოსავლეთ საქართველომ დაკარგა 20—25 ათასი კაცი, სხვა სახის დანაკარგი თითქმის 250—300 ათას მანეთს შეადგენდა.

თბილისი დროებით თითქმის მოწყდა აღმოსავლეთის ქვეყნებთან სავაჭრო გზებს. შეუფერხებლად მოქმედებდა მხოლოდ რუსეთთან დამაკავშირებელი დარიალის გზა. ამ გარემოებას მოჰყვა თბილისელ ვაჭართა ეკონომიკური ორიენტაციის ერთგვარი გადანაცვლება, რამაც გარკვეული სიძნელეები წარმოშვა. შეფერხდა ქალაქის მომარაგება საჭირო საქონლით. ამავე დროს გახშირებული თავდასხმები აიძულებდა მოსახლეობას, რომ ქალაქის სიმაგრეებში შეხიზნულიყო.

ნორმალური განვითარების პირობებში, შესაძლებელი იყო თბილისს ადვილად დაეძლია ეკონომიკური ორიენტაციის შეცვლით გამოწვეული სიძნელე და გამხდარიყო აღმოსავლეთის ბაზრებსა და რუსეთის ქალაქებს შორის საშუამავლო ხიდი, მაგრამ ქართლ-კახეთის სამეფოს პოლიტიკური მდგომარეობა ამის საშუალებას ნაკლებად იძლეოდა. ინტენსიური თარეში აიძულებდა მოსახლეობას თბილისში შემოხიზნულიყო, რაც აძნელებდა ქალაქის მომარაგებას.

სამთამადნო მრეწველობის განადგურებისა და ნაყოფიერი სასოფლო-სამეურნეო რაიონების აოხრების გამო, მეფე იძულებული ხდებოდა გაედიდებინა გადასახადები მოქალაქეებზე; დამძიმდა სამხედრო და სახელმწიფო იძულებითი სამუშაოებიც (მდევარში გასვლა, საყარაულო სამსახური, თავდაცვითი ნაგებობების შენება და ა. შ.).

ომარ ხანის თარეშის შემდეგ ერეკლე II-მ სამი წლით გაათავისუფლა ქართლ-კახეთის მოსახლეობა სახელმწიფო გამოსაღებისაგან. ამან დროებით გამოასწორა ქალაქის მომარაგების საქმე. მაგრამ საერთო ეკონომიკური კრიზისის შეჩერება შეუძლებელი ხდებოდა.

XVIII ს. 80-იანი წლების მიწურულს საქართველოს საგარეო-პოლიტიკური ვითარება რამდენადმე შეიცვალა. დაიწყო რუსეთ-ოსმალეთის ომი და რუსეთმა საქართველოში ტრაქტატის საფუძველზე შემოყვანილი ჯარი გაიყვანა, მაგრამ გაფორმებული ხელშეკრულება ოფიციალურად არ გაუუქმებია. ამიერიდან ერეკლეს თავისი ურთიერთობა ამიერკავკასიელ მეზობლებთან საკუთარი ძალებისა და შესაძლებლობის მიხედვით უნდა მოეგვარებინა. მდგომარეობა იმითაც გართულდა, რომ ირანში დიდი ხნის წინათ დაწყებულ „ანარქიას“ ბოლო ეღებოდა. შაჰის ტახტისათვის მებრძოლ ძალებს შორის თანდათანობით იმარჯვებდა აღა-მაჰმად ხანი, რომელიც ქართლ-კახეთის სახელმწიფოზე ირანის ძველ უფლებათა აღდგენისათვის ემზადებოდა.

ერეკლე II ფხიზლად ადევნებდა თვალს სამხრეთის ამბებს. ქ. თბილისში იფარავდნენ ნადირ შაჰის შვილიშვილს ნაზარ აღა ხანს, რომელიც სურდათ აღა-მაჰმად ხანის დასაპირისპირებლად გამოეყენებინათ საჭირო

შემთხვევაში. რუსთა ჯარების გასვლის შემდეგ, „საკუთარი ძალების ამარა“ დარჩენილი ერეკლე II კიდევ ერთხელ გააქტიურდა, კიდევ ერთხელ გაიბრწყინა მისმა დიპლომატიურმა ნიჭმა, რომელიც საკმაოდ კარგად ერკვეოდა „აზიურ ეშმაკობაში“ (ზ. ავალიშვილი).

ამავე დროს ერეკლე არ კარგავდა იმედს, რომ საქართველოსაც შეეძლო ესარგებლა რუსეთ-ოსმალეთს შორის დაწყებული ომით და, ვინ იცის, სამცხე-საათაბაგოს დაბრუნების საკითხიც საბედნიეროდ გადაწყვეტილიყო. აღნიშნულ სიტუაციაში ამ მოლოდინს გარკვეული საფუძველი გააჩნდა.

უპირველეს ყოვლისა, ქართველი პოლიტიკოსების საზრუნავი იყო უმაყოფილო მეზობლებთან მორიგება. ქართლ-კახეთის მეფემ, შეიძლება ითქვას, წარმატებით დააღწია თავი ურთულეს სიძნელეებს. აღდგენილ იქნა თბილისის ძველი ავტორიტეტი, გააქტიურდა საქართველოს პოლიტიკური მთლიანობის აღდგენისათვის მებრძოლი პროგრესული დასის საქმიანობა.

თბილისსა და ქუთაისში ეძებდნენ ერეკლეს მეთაურობით ერთიანი ქართული სამეფოს აღდგენის ხელსაყრელ გზებს, მსჯელობდნენ საგარეო-პოლიტიკური ორიენტაციის გადასინჯვაზე, სახავდნენ ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გეგმებსაც და სხვ.

საქართველოს პოლიტიკური გაერთიანების გეგმა ვერ განხორციელდა, მაგრამ ამ მიმართულებით ბრძოლის ერთი დიდი მონაპოვარი იყო ერეკლეს შვილიშვილის დავით არჩილის ძის (შემდეგში სოლომონ II) გამეფება იმერეთში, რაც 1790 წ. ერეკლე II-ის მხედრობამ დააგვირგვინა. ასევე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოს მეფე-მთავართა კავშირის განმტკიცებას. 1790 წ. გაფორმდა „ტრაქტატი ივერიელთა მეფეთა და მთავართაგან დამტკიცებული ქართლისა, კახეთისა, იმერთა, ოდიშისა და გურიისა, აღწერილი სამეფოსა ქალაქსა თფილისს“[11]. მოკავშირეები 1783 წ. ტრაქტატის პრინციპებს იზიარებდნენ, აღიარებდნენ ერეკლე მეფის თაოსნობას და მასვე ანდობდნენ რუსეთთან ურთიერთობის დამყარებას[12]; თბილისს საქართველოს დედაქალაქად აცხადებდნენ.

რუსეთ-ოსმალეთის ომის დასრულებამ (1791 წ.) ქართლ-კახეთის სახელმწიფოს სანუგეშო ვერაფერი მოუტანა. 90-იანი წლებიდან ერეკლეს სამეფო კარიც საშინაო განხეთქილებამ მოიცვა, რაც ცენტრალური ხელისუფლების შესუსტების აშკარა გამოხატულება იყო. ამას ემატებოდა ირანთან ურთიერთობის გამწვავება.

---

[11] Цагарели А. Грамоты..., II, кн. I, с. 183—185.

[12] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, გვ. 729—730.

თბილისის განადგურება 1795 წ. და რუსეთთან ურთიერთობა

XVIII ს. 90-იან წლებში ქართლ-კახეთის სამეფოს პოლიტიკურმა და სოციალურ-ეკონომიკურმა კრიზისმა ზენიტს მიაღწია.

1794 წლისათვის ირანი ძირითადად გაერთიანდა აღა-მაჰმად ხანის მმართველობის ქვეშ. ირანის წინაშე მთელი სიმწვავით დადგა „გურჯისტანის" საკითხი, რომელსაც ირანისათვის არსებითი მნიშვნელობა ენიჭებოდა. აღა-მაჰმად ხანს ერეკლე II-ის დამარცხებით საკუთარი ძალაუფლების განმტკიცება სურდა არა მხოლოდ კავკასიაში, არამედ აღმოსავლეთის მაჰმადიანურ სამყაროში.

1795 წელს აღა-მაჰმად ხანმა ქ. არდებილი აქცია საქართველოზე თავდასხმის პლაცდარმად. ერეკლე II ჯერ კიდევ იმედოვნებდა რუსეთის დახმარებას. მან რამდენჯერმე აცნობა წინა კავკასიაში განლაგებული რუსთა ჯარების სარდალს გენ. გუდოვიჩს მოსალოდნელი საფრთხის შესახებ და სამხედრო დახმარება ითხოვა. გენ. გუდოვიჩს დამოუკიდებლად საკითხის გადაწყვეტის უფლება არ ჰქონდა. მან ერეკლე II-ის თხოვნა მთავრობას აცნობა და დაელოდა პეტერბურგიდან შესაბამის განკარგულებას[13].

1795 წლის ივნისში ქართველთა ლაშქარმა ალექსანდრე ერეკლეს ძე ბაგრატიონის სარდლობით ყარაბაღში სასტიკად დაამარცხა ირანის 8000-იანი კორპუსი, რომელიც ამიერკავკასიის სახანოების დასამორჩილებლად მოდიოდა[14]. აღა-მაჰმად ხანის გაძლიერებამ ძალთა გადაჯგუფება გამოიწვია ამიერკავკასიაში. ყარაბაღისა და ერევნის სახანოები ახლა უკვე ერეკლე II-ის გარშემო დაირაზმნენ, ირანის მხარეზე გადავიდნენ განჯის ხანი ჯავადი და ყარაბაღის ორი სომეხი მელიქი — აბოვი და მეჯლუმი.

1795 წლის ივლისში ირანელთა ლაშქარმა არაქსი გადმოლახა და ბაქო-ყუბის, ყარაბაღისა და ერევნის მიმართულებით დაიწყო შეტევა.

აგვისტოს თვე აღა-მაჰმად ხანმა ყარაბაღის ქ. შუშასთან ბრძოლას მოანდომა. მართალია, მან შუშის ციხესიმაგრე ვერ აიღო, მაგრამ დრო ტყუილად არ დაუკარგავს; იგი ზვერავდა როგორც ქართლ-კახეთს, ასევე ჩრდილოეთ კავკასიას.

ალ. ორბელიანის გადმოცემით, „თითქმის ქალაქ თბილისის მახლობ-

---

[13] ირანელთა 1795 წ. შემოსევის შესახებ იხ. ი. ციცაძე, აღა-მაჰმად-ხანის თავდასხმა საქართველოზე, თბ., 1963; ივ. შაიშმელაშვილი, კრწანისის ომი — ჟურნ. „მნათობი", 1964, № 7—8; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, გვ. 754—768, სადაც მითითებულია სათანადო წყაროები და ლიტერატურა.

[14] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, გვ. 757.

ლად მოვიდა აღა-მაჰმად ხანი, (რუსთა) ჯარი კი არსად ჩანდა მეფის ირაკლისათვის, ყოველის მხრიდან აიყარნენ ქართველები და მაგარს ადგილებში გაიხიზნენ: თავადნი თუ აზნაურნი, ან გლეხნი სულ ერთიან. ამისათვის იტყვიან. ციხე შიგნიდან გატყდებაო. ასე იყო მაშინ საქართველოს საქმე. მეფის ირაკლის მტრობის გულისათვის ის უსინდისონი, სადაც იმ დროს მთელს საქართველოში მეფის ირაკლის მტრები ჩუმად დაწანწალებდნენ და ხალხს აშინებდნენ: აღა-მაჰმად ხანი ორასი ათასი ჯარით მოდის, დაიხიზნენით, თორემ სულერთიან წაგვლეკავსო"[15].

ირანელთა თავდასხმა, რუსეთისაგან დამხმარე ჯარის მოლოდინისა და მტრის სწრაფი მანევრირების პირობებში, თითქოს უეცარი იყო.

1795 წლის 10 სექტემბრისათვის ირანელთა ლაშქარი კრწანისის მინდორზე დაბანაკდა. ამ ლაშქრის საერთო რიცხვი არ აღემატებოდა 35—40 ათას კაცს.

თბილისი დიდი განსაცდელის წინაშე აღმოჩნდა. ქალაქი დატოვა სამეფო კარმა (დედოფალი დარეჯანი, მცირეწლოვანი უფლისწულები, კანცელარია), არისტოკრატთა ოჯახებმა, მდიდარმა მოქალაქეებმა. — ამან გააძლიერა პანიკა, მოსახლეობის მხოლოდ ერთი ნაწილი გავიდა ბრძოლის ველზე.

9—10 სექტემბერს თბილისში გაიმართა სამხედრო თათბირი. ერეკლე II-მ გაითვალისწინა გეოგრაფიული მდებარეობა და ჯარის ნაწილები შემდეგნაირად განალაგა: მთავარი ძალა სეიდაბადის ბაღების ბოლოს ჩაასაფრა; აქ ქართველებმა სამი დიდი სანგარი გათხარეს. მარჯვენა ფრთა ჩააბარა დავით გიორგის ძე ბატონიშვილს 6 ზარბაზნითა და 400 მხედრით; იგი მოვალე იყო განემტკიცებინა ქართველთა მთავარი ძალების ზურგი. მოწინავე ნაწილს სარდლობდა იოანე გიორგის ძე ბაგრატიონი. მარცხენა ფრთაზე იდგა იოანე მუხრან-ბატონი, მას უნდა დაეცვა მტკვრის მარჯვენა ნაპირი. თვით მეფე იდგა ცენტრში, მასთან იყვნენ ზურაბ წერეთელი იმერთა რაზმით, ერეკლე II-ს ზურგს უმაგრებდნენ ვახტანგ ერეკლე II-ის ძე ბაგრატიონი, ოთარ ამილახვარი, ქალაქის მისასვლელში იდგა იმერეთის მეფე სოლომონ II[16]. აღა-მაჰმად ხანმა ლაშქარი 12 გუნდად დაჰყო. ჯარის ავანგარდს შეადგენდნენ ირანელები, რომელთაც მოჰყვებოდნენ თურქმანები. ცალკე ლაშქარს ჰქმნიდა ყარაბაღელთა რაზმი მელიქ მეჯლუმისა და მელიქ აბოვის სარდლობით. მათ ნაბრძანები ჰქონდათ კოჯრის გზიდან მიეტანათ იერიში ქართველებზე.

---

[15] შ. მ ე ს ხ ი ა და სხვ.. თბილისის ისტორია, გვ. 217.

[16] იქვე. გვ. 218.

10 სექტემბერს ირანელთა ლაშქრის მოწინავე ნაწილი 3000 კაცის შემადგენლობით თითქმის მთლიანად მოსპეს ქართველებმა ტაბახმელასა და შინდისის ხევებს შორის. პირველმა მარცხმა მეტად შეაშფოთა საჰურისი შაჰი. არსებობს ცნობა, რომ იგი უკან დახევას იწყებდა, მაგრამ, გაიგო რა ქართველთა ლაშქრის მცირე რაოდენობის შესახებ, გადაწყვიტა შეტევის განახლება[17].

11 სექტემბერს ადრიანი დილიდან დაიწყო გააფთრებული ბრძოლები კრწანისის ველზე. ირანელებმა დიდხანს ვერ მოახერხეს ცენტრალური ფრონტის გარღვევა. აქ სარდლობდა თვითონ ერეკლე II, რომლის სიახლოვე გმირული ბრძოლის სურვილით აღანთებდა ქართველ მებრძოლებს. აღა-მაჰმად ხანმა ისარგებლა თავისი ლაშქრის მრავალრიცხოვნებით და ქართველთა რაზმებს შინდისის მხრიდან, ზურგიდან, მოუარა. ამ ფანდმა გაჭრა. ჯერ დავით ბატონიშვილის მარჯვენა ფრთა მოიშალა, შემდეგ მთელმა ფრონტმა უკან დაიხია მეოთხე სანგრისაკენ. გააფთრებული ბრძოლების შემდეგ მტერმა მეოთხე სანგარიც აიღო; იმერთა რაზმებმა ადრე დაიწყეს უკან დახევა; ცენტრალური ფრონტის გარღვევის შემდეგ ზურაბ წერეთელმა უნაყოფოდ ჩათვალა ბრძოლა და 2000 იმერელი ქალაქიდან გაიყვანა.

კრიტიკულ მომენტში სანგრის დამცველებს მიეშველა თბილისელ მოქალაქეთა რაზმი, „სასახლის კომედიანტის, მსახიობისა და მუსიკის კაცის" მაჩაბლის ხელმძღვანელობით. მაჩაბელი სიმღერით ამხნევებდა მებრძოლებს. ბრძოლამ უაღრესად გააფთრებული ხასიათი მიიღო. გმირულად დაიღუპნენ ამ დღეს 300 არაგველი, დავით ბატონიშვილის არტილერისტები, გაბრიელ მაიორი, მოქალაქე აღალუა, განსაკუთრებით თავი გამოიჩინა გიორგი გურამიშვილმა. აი, როგორ აგვიწერს ამ უკანასკნელის გმირობას ალ. ორბელიანი: „ზარბაზნების უფროსმა, მაიორმა გიორგი გურამიშვილმა... ნახა, რომ სიკვდილი მისულიყო იმათზე, ყველას ხმამაღლა შესძახა: „ქართველებო, ძმებო!" ცხადად ვხედავთ, აუცილებელი სიკვდილი მოსულა ჩვენზე. მაგრამ ესეც შეგვიძლია უნამუსოდ დავნებდეთ ყიზილბაშებს. აბა, რომელი გინდათ: სახელით სიკვდილი მამულისათვის და კარგის მეფისათვის, თუ უნამუსოდ სიცოცხლე? — ყველამ ერთპირად უპასუხა: ჩვენს მამა-პაპასა უნამუსობა არა ჰქონიათ და ჩვენც იმათი შვილები ვართ. სიკვდილი გვირჩევნია უნამუსოდ სიცოცხლეს". — „გმადლობთ ძმებო! რაც თქვენს კაცობას ეკადრება, სწორედ იმისთანა გული გაქვთ. მაგრამ სამი თითით ყველამ მიწა ავიღოთ, შევჭამოთ; ეს იყოს წმინდა საიდუმლოს მაგიერი. მას უკან საიქიოს წავდგეთ სახელოვ-

[17] საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. IV, გვ. 762.

ნათ"[18]. გიორგი გურამიშვილმა თანამემამულეებს თვითონ მისცა გმირული სიკვდილის მაგალითი, ოთხი მომხდური განგმირა ხმლით და ზარბაზანზე გადახვეული დაიღუპა.

1795 წელს მოხუცმა მეფემ უკანასკნელად მოიქნია ხმალი საგარეო მტრების წინააღმდეგ; კიდევ ერთხელ თვალსაჩინოდ დაუმტკიცა შთამომავლობას, რომ მას შესწევდა უნარი თავი გაეწირა სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის. 11 სექტემბერს, თბილისის კარიბჭესთან საბედისწერო ბრძოლაში, როცა ცხადი გახდა, რომ ირანელი დამპყრობლები იმარჯვებდნენ, ერეკლე ხმალამოწვდილი მუსრავდა თავდამსხმელებს. ბრძოლის მონაწილის გადმოცემით, იგი „თუმცა-ღა იყო ფრიად მოხუცებულ (75 წლის), გარნა ბრძოლასა შინა ყოფაქცევა მისი იყო მრავალთა ჭაბუკთაგან სანატრელ"[19]. სიკვდილი ან ტყვეობა მოელოდა დიდ ბაგრატიონს, რომ იგი ერთგულ მეომრებს არ გამოეყვანათ ხელჩართული ბრძოლიდან.

ავლაბრის ხიდზე შეაგდო ცხენი გამარჯვებას ჩვეულმა და აწ დამარცხებულმა სარდალმა. ის 150 კაცი, რომელნიც ახლა მას მიაცილებდნენ, თითქმის ყველა დაჭრილი იყო. წამით შედგა ერეკლე და უკან მოიხედა. სპარსელები თანამებრძოლთა გვამებზე გადადიოდნენ და ქალაქისაკენ მიიწევდნენ[20]. თბილისის არნახული ტრაგედია იწყებოდა. გულამღვრეული გმირი მეფე ისევ გაიჭრა საომრად გარღვეული ფრონტისაკენ, სადაც მას უეჭველი სიკვდილი მოელოდა, მაგრამ მხლებლებმა გზა გადაუღობეს და ძალით გადაიყვანეს მეტეხის ხიდის გაღმა, მარცხენა ნაპირზე. სწორედ „იქ, კლდოვან ნაპრალზე გამოსახული ჯვარის წინ ჩამოხტა მეფე, დაიჩოქა და ქრისტიანობისათვის წამებულ აბოს ნეშტს შეავედრა „ქრისტეს ჯვრისათვის ჯვარცმული ერი"[21]. ეს იყო ნამდვილად უიშვიათესი ეპიზოდი, რომელიც უკვდავი შარავანდედით მოსავდა მეფე-მეომრის პიროვნებას.

1795 წლის 11 სექტემბერს ღამით თბილისში შეიჭრნენ აღა-მაჰმად ხანის მრავალრიცხოვანი ურდოები. დაიწყო დაუნდობელი რბევა-აწიოკება. აღსანიშნავია, რომ 1721 წლის კონსტანტინე-კახთა მეფის რბევის შემდეგ (რაც ძირითადად ძარცვაში გამოიხატა), ქალაქს არ განუცდია ასეთი საშინელება.

თბილისში შესულმა ყიზილბაშების ჯარმა, მირზა იუსუფ ყარაბაღელის გადმოცემით, „დაიწყო ქალაქის ძარცვა-რბევა" და „სიხარულის

---

[18] ჯამბაკურ ორბელიანი, ალ. ვახტანგის ძე, აღა-მაჰმად-ხანის შემოსევა ქ. ტფილისში (ჟურნ. „მოამბე", 1895, № 8).

[19] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, გვ. 763.

[20] იქვე.

[21] იქვე, გვ. 763—764.

სახლი" ტირილისა და შეშფოთების სავანედ აქცია, ქალაქის მცხოვრებთაგან, ზოგი პრიალა ხმლის ლუკმა გახდა, ზოგიც ტყვეობის ბორკილებში მოექცა. ყველა ფერიის სახიანი (ქალწული) — ურჩხულის გარეგნობის მქონე არსებათა მიერ იქნა შეპყრობილი და ყოველი ბროლმკერდიანი (ქალი) მტარვალთა ტყვე გახდა. ძვირფასი მოწყობილობა ეკლესიებისა გაძარცულ-წაბილწული იქნა და მომხიბვლელი სასახლეების ნივთები ეშმაკების ბრბოთა მიერ იქნა დატაცებული"[22].

„ამ შავბნელ დროს აღა-მაჰმად ხანი თავისი შავი და ბნელი გულით შვიდ დღეს დარჩა იქ და ის ქალაქი მთლად დაანგრია და მწუხარებით აავსო, ხოლო მაღალი და დიდებული შენობები ცოცხალი არსებისაგან დააცარიელა"[23].

აღა-მაჰმად ხანი გულგრილი გეგმაზომიერებით სპობდა მთელ ქალაქს, სცლიდა მცხოვრებლებისაგან, წვავდა შენობებს. შაჰმა ქალაქის განადგურება დაიწყო 12 სექტემბრიდან; თბილისში შემოსვლისთანავე განჯის ხანის ჯავად ზიად-ოღლის თანხლებით გაემართა სამეფო პალატებისაკენ, დაათვალიერა მთელი შენობა. სამეფო სალარო, სამხედრო ქარხნები, რაც მოეწონა, თვითონ აიღო, დანარჩენი ლაშქარს მისცა გასაძარცვავად. გასცა ბრძანება, აეოხრებინათ ეკლესიები, სასახლეები. ცეცხლს მისცეს ერეკლე მეფის ბრწყინვალე სასახლე თავისი ფლიგელებით, სამეურნეო შენობებით, მდიდარი წიგნსაცავითა და ხელნაწერებით.

ქალაქში შემოსვლისას აღა-მაჰმად ხანს, სეიდაბადის კარებთან დახვედრიან მოქალაქეთა წარმომადგენლები, რომელთაც მცხოვრებთა უვნებლობა უთხოვიათ მისთვის, მაგრამ უარი მიუღიათ — ისეთ გასამართლებას უნდა მოელოდეთ, როგორც ღვთის სამსჯავროში ხდება საკუთარი ცოდვებისათვისო. ეკლესიის მსახურებს თავი მოუყარეს, ხელები შეუკრეს და ადიდებულ მტკვარში გადაყარეს[24].

კრწანისის ომში ყიზილბაშებმა თითქმის 13 000 კაცი დაჰკარგეს, საკმაოდ ბევრი დაიღუპა ორივე მხრიდან ქალაქში ბარიკადული შეტაკებების დროს. მტერს გაოფთრებით ებრძოდნენ ქალებიც. აღსანიშნავია რუსეთში წასული ქართველი თავადის გარსევან ამილახვარის მეუღლის მაგალითი: მამაცმა ქალმა ორი მომხდური გაისტუმრა საიქიოს და თავად მხოლოდ დაჭრილი დანებდა მტერს. ირანელებმა არნახული დარტყმა

---

[22] შ. მ ე ს ხ ი ა და სხვ., თბილისის ისტორია, 1958, გვ. 221. ავტორებს, როგორც ჩანს, უსარგებლიათ ყარაბაღელის თხზულების — „თარიხე საფის" ვ. ფუთურიძისეული ქართული თარგმანით, რომელიც ჯერ კიდევ არაა გამოქვეყნებული..

[23] იქვე.

[24] იქვე, გვ. 221—222.

მიაყენეს თბილისს. დაახლოებით 15—18 ათასი კაცი ტყვედ წაიყვანეს, დანარჩენი მოსახლეობის დიდი ნაწილი გაწყდა[25].

აღა-მაჰმად ხანმა მეორეჯერ გაანადგურა ახტალის სამთამადნო მრეწველობა, აქ 700 ბერძენი მემადნე მოჰკლეს და 836 ტყვედ წაიყვანეს[26].

XVII—XVIII საუკუნეების მთელ მანძილზე ირანელ დამპყრობლებს არაერთგზის აუღიათ თბილისი, მაგრამ თითქმის არასოდეს შეხებიან ვაჭარ-ხელოსანთა ფენას. საქმე ისაა, რომ XVIII ს. მეორე ნახევარში თბილისი ფაქტობრივად მოწყდა ირანულ ბაზრებს, აქედან გამომდინარე აღა-მაჰმად ხანი ანგრევდა არა ირანული ორბიტის ქალაქს, არამედ სრულიად განსხვავებულ, პოლიტიკურად და ნაწილობრივ ეკონომიკურად „გაუცხოებულ" ქალაქს. ებრძოდა რა რუსეთის დამკვიდრებას ამიერკავკასიაში, მან საბოლოოდ და სრულად ჩატეხა ხიდი ირანსა და საქართველოს შორის. ეს შესანიშნავად დაინახა XIX საუკუნის ქართველმა საზოგადოებამ. შემთხვევით არ იყო, რომ ნიკოლოზ ბარათაშვილმა თავის პოემაში „ბედი ქართლისა" რუსეთთან საქართველოს შეერთება უშუალოდ კრწანისის ტრაგედიას დაუკავშირა; როგორც ჩანს, მისი შეხედულებით, 1801 წლის აქტი უშუალოდ გამომდინარეობდა 1795 წლის სექტემბრის ტრაგედიიდან.

1795 წლის შემოსევით აღა-მაჰმად ხანმა უდიდესი პოლიტიკური დარტყმა მიაყენა თვით ირანის ინტერესებს ამიერკავკასიაში.

თბილისის ტრაგედიამ დიდი რეზონანსი პოვა აღმოსავლეთის ქრისტიანულ სამყაროში, განსაკუთრებით სომხურ მოსახლეობაში[27].

თბილისისა და თბილისელების უბედურება გულწრფელად დაიტირა იმდროინდელმა სომეხმა მწერალმა სერობმა. მის „ანდერძ-მინაწერიდან" ვიგებთ, რომ ირანელი ჯარისკაცები ყოველ მოკრილ თავში იღებდნენ 3 თუმანს. მნიშვნელოვანი გარემოებაა ისიც, რომ ყველაზე სასტიკად

---

[25] ერეკლეს ცნობით ტყვეთა რაოდენობა 30 000 უდრიდა (ა. ცაგარელი, დასახ. ნაშრომი, ტ. II, ნაკვ. II, გვ. 167); ნ. დუბროვინი ასახელებს 10 000 კაცს (ნ. დუბროვინი, დასახ. ნაშრომი, ტ. III, გვ. 43); პ. ბუტკოვის მიხედვით 10 000 ტყვედ წაასხეს ირანელებმა, ამდენივე მათმა მოკავშირეებმა (პ. ბუტკოვი, დასახ. ნაშრომი, ტ. II, გვ. 34); ზ. შარაშენიძე ირანულ წყაროებზე დაყრდნობით ასახელებს 15 000-ს; მ. დუმბაძეს ეს ციფრი მიაჩნია უფრო სწორად, რადგან არასამხედროვალდებული მოსახლეობა მახლობელ მთებში დაიხიზნა (ვმყარება იოანე ქართველიშვილის მემუარებს; იხ. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, გვ. 765).

[26] Эсадзе С. Очерк истории горного дела на Кавказе, Тифлис, с. 14.

[27] 1795 წელს აღა-მაჰმად ხანის ჯარების მიერ თბილისის აოხრების შესახებ სომხური ლიტერატურული ძეგლების ბიბლიოგრაფია, მათი სრული დახასიათება მოცემული აქვს პროფ. ლ. მელიქსეთ-ბეგს თავის მნიშვნელოვან სტატიაში „ანონიმი ისტორიოსის ახლად აღმოჩენილი ნაშრომი თბილისის აოხრების შესახებ 1795 წელს", იხ. სსრკ მეცნ. აკად. სომხეთის ფილიალის მოამბე, 1941, № 3—4 (8—9) სომხურ ენაზე, იხ. აგრეთვე ვ. ნალბანდიანი, თბილისი ძველ სომხურ მწერლობაში, თბ., 1959, გვ. 160—170.

ეწამნენ მაშინ „თბილისის მაპმადიანები“. ასეთი ცნობა დაცული აქვს სხვა სომეხ მწერალსაც. ირანელებს ებრძოდნენ სომეხი გრიგორიანებიცა და მაპმადიანებიც, რომლებიც ბუნებრივად თავს თვლიდნენ საქართველოს მოქალაქეებად. თბილისის უბედურება დაიტირეს კონსტანტინოპოლის, ვენეციის, ვაღარშაპატისა და სხვ. სომხებმა. უაღრესად შთამბეჭდავია უშუალოდ ამბების მომსწრე შამჩი-მელქოს მწუხარე ლირიკა. იგი მწარედ დასტირის შრომისმოყვარე, ხალისიანი, მხიარული ქალაქის განადგურებას, საზ-ქამანჩის, ლხინისმოყვარე თბილისელების ამოწყვეტას. განსაკუთრებით მტრულადაა განწყობილი შამჩი-მელქო მელიქ მეჯლუმის მიმართ, ის წერს:

. . „მელიქ-მეჯლუმ, ძაღლის კერძო, ჯავათ-ხანო ლეკვო ყურშავ!
ავარ-ქმნილ ჩვენს ქალაქში თქვენ-ღა პყრიხართ ბაიყუშად...
თავგანწირვის ფიცი დასდეეს ხეესურმა და ჩარექ-თუშმა
რომ გულმკერდით დაიცავდნენ ვით ლომები დედაქალაქს“.

შამჩი-მელქო მისტირის გარეკილ ტყვეებს, რომლებიც „ვინ შაქს მოხედა, შირვანს, ყუბას, ვინ დაღესტანს მიაღწია, ვინ სად — თავრიზ-თეირანში, ზოგმა არაბისტანს“. „ეჰ, სადა ხართ ჯეელებო, ვინც ჰშვენოდით კოხტა ქალაქს, ვინც ერთმანეთს ძმებს ეძახდით, სეირნობდით მყუდრო ალაგს“.

აღსანიშნავია ისიც, რომ კრწანისი საყვარელ თემად იქცა მომდევნო თაობის სომხური ლიტერატურისათვისაც. ხაჩატურ აბოვიანმა შექმნა ნაწარმოები „უკანასკნელი გამოსათხოვარი მხნე მეფის ირაკლისა“[28].

XIX საუკუნის დასაწყისიდან, ქართული ეროვნული სახელმწიფოებრიობის დაცემის შემდეგ განვითარდა ისტორიული რომანტიზმი, რომელმაც აიტაცა ე. წ. „კრწანისის სევდა“. ეს თემა ბევრი პატრიოტი ქართველის შთაგონების წყაროდ იქცა.

1795 წლის სექტემბერში თბილისის რბევისას აღა-მაპმად ხანმა სცადა მოლაპარაკება დუშეთში გახიზნულ ერეკლე II-თან. რასაკვირველია, ეს დიპლომატიური ნაბიჯი უდავოდ მიუთითებდა აღა-მაპმად ხანის, როგორც პოლიტიკოსის შეზღუდულობაზე. მის მიერ გამოჩენილი სისასტიკე გამორიცხავდა რაიმე მორიგებას საქართველოსთან. თბილისის აოხრებით საჭურისმა შაპმა საფუძველი გამოუთხარა ქართულ სახელმწიფოს, მაგრამ ამავე დროს დაასამარა ქართულ-ირანული კავშირი.

20-21 სექტემბერს აღა-მაპმად ხანი თბილისს გაეცალა ისე, რომ

[28] ვ. ნალბანდიანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 170.

არც უცდია მისი შენარჩუნება, ქართლ-კახეთში არ მოიძებნა ისეთი ძალა, რომელიც მას გამოადგებოდა საყრდენად. ირანთან დამოკიდებულების აღდგენის მომხრე ამ დროისათვის თითქმის არავინ იყო.

1795 წლის ოქტომბრიდან ერეკლე II-ის განკარგულებით დაიწყო თბილისის აღდგენითი სამუშაოები, რომლის მთავარ მეთვალყურედ გიორგი ბატონიშვილი დაინიშნა. სამუშაო კოლოსალური მოცულობის იყო. მოკლე ხანში ირანელებმა მოახერხეს თითქმის მთელი ქალაქის საძირკვლიანად დანგრევა.

გიორგი ბატონიშვილმა ენერგიულად მოჰკიდა ხელი საქმეს. ერეკლე II-მ მას ფართო რწმუნებანი მიანიჭა. ამ საქმეში გიორგის მორიგეობით ეხმარებოდნენ ძმები: ალექსანდრე, ვახტანგ (იგივე ალმასხან) ბატონიშვილები, აგრეთვე ვაჟები: მემკვიდრე უფლისწული დავითი და განსაკუთრებით ენერგიული იოანე. თბილისის აღდგენა მთელი ქვეყნის საქმედ იქცა, დაწესდა საგანგებო ბეგარა, დაიწყო სახსრების გამოძებნა. პირველ რიგში აღადგენდნენ ხიდებს, საზოგადოებრივ დაწესებულებებს — აბანოებს, წისქვილებს და, რა თქმა უნდა, სამეფო პალატებს. მაგრამ, სანამ უშუალოდ აღდგენას დაიწყებდნენ, საჭირო იყო შესაბამისი ბაზის შექმნა.

გიორგი ბატონიშვილის განკარგულებით ჩადგეს საკირეები, განაახლეს აგურ-კრამიტის ქარხნები. უსახსრობა და შესაბამისი ბაზის უქონლობა ძალზე დიდ სიძნელეებს უქმნიდა დაწყებული საქმის განხორციელებას. მალე გამოირკვა, რომ ძირითადი სიძნელე მდგომარეობდა შემოსევის შედეგად გაძარცულ თბილისელთა განწყობილებაში. აღდგენითი სამუშაოების დაწყების წინ გიორგი ბატონიშვილთან, მის რეზიდენციაში ავლაბარში, გამოცხადდა გადარჩენილ მოქალაქეთა დელეგაცია, რომელიც თავის სავალალო ხვედრზე ჩიოდა და ბრალს სდებდა მთავრობას, რომელმაც მოქალაქეთა დაცვა ვერ უზრუნველყო.

ცოტათი მოგვიანებით, მეტეხის ხიდის აღდგენის გაჭიანურებისას, გიორგი ბატონიშვილს კვლავ მოუხდა შეჯახება მოქალაქეთა აშკარა, გამომწვევ გამოსვლასთან. იგი იძულებული გახდა სპეციალური საჩივრით მიემართა მამა-მეფისათვის, მაგრამ ერეკლე II, გრძნობდა რა სიტუაციის სირთულეს, თავს იკავებდა მკაცრი ზომების გატარებისაგან ისედაც გაუბედურებული მოქალაქეების მიმართ. მით უმეტეს, რომ, როგორც გამოირკვა, მოხელეები უსინდისოდ ატყუებდნენ სამეფო ხელისუფლებასაც და მოქალაქეებსაც. ისინი აღდგენითი სამუშაოებისათვის გამოყოფილ თანხებს ითვისებდნენ. გიორგი ბატონიშვილმა დიდი გულმოდგინება, სათანადო უნარი და მონდომებაც გამოიჩინა, მაგრამ შეუძლებელი იყო დანგრეულის მთლიანად აღდგენა.

*

* *

1795 წლის კრწანისის ტრაგედიამ საფრთხე შეუქმნა რუსეთის აღმოსავლურ პოლიტიკას. ეკატერინე II-ის მთავრობა მიხვდა, რომ აღა-მაჰმად ხანის მოქმედების უპასუხოდ დატოვებას შესაძლოა გაეძლიერებინა ანტირუსული განწყობილება ქართლ-კახეთის სამეფოში. პეტერბურგში დაიგეგმა ირანზე ლაშქრობა აღა-მაჰმად ხანის დასჯის საბაბით. ლაშქრობის მთავარსარდლად დაინიშნა გრაფი ზუბოვი. ამ უკანასკნელის გეგმით ქართლ-კახეთიდან და დარუბანდ-ბაქოს სახანოებიდან უნდა შეჭრილიყო ირანის სიღრმეში.

1796 წლის აპრილში გრაფმა ზუბოვმა დასძრა თავისი არმია ამიერკავკასიისაკენ; სწრაფი მარშით აიღო დერბენდი, ბაქო, შემახა და დაიკავა აზერბაიჯანის მთელი კასპიისპირა პროვინციები. ქართლ-კახეთის სამეფოს ავტორიტეტი დროებით კვლავ გაიზარდა, საქართველოში იმყოფებოდა ორი რუსული ბატალიონი, რაც მის უშიშროებას გარანტირებულს ხდიდა.

1796 წლის 6 ნოემბერს გარდაიცვალა ეკატერინე II. ახალმა იმპერატორმა პავლე I-მა რუსეთის კასპიისპირეთის საექსპედიციო კორპუსი სასწრაფოდ უკან გაიწვია, მაგრამ მან დატოვა საქართველოში უკვე მყოფი პოლკები. მისი დამოკიდებულება კარგად გამოიხატა მის წერილში გენ. გუდოვიჩისადმი: არ გაეწყვიტა კავშირი ქართლ-კახეთის მეფესთან. გენ. ზუბოვმა ჯარის გაყვანის ბრძანება მიიღო 1796 წლის 6 დეკემბერს.

აღნიშნული ჯარების ევაკუაცია ყოვნდებოდა ზამთრის პირობების გამო. არც რუსეთი ჩქარობდა. ერეკლე II-მ სასწრაფოდ მიავლინა პეტერბურგში თავისი ელჩი გარსევან ჭავჭავაძე[29]. მეფე მოითხოვდა გამოეგზავნათ საქართველოში 4000 მეომარი. ერეკლე II-მ ამ თხოვნას აღა-მაჰმად ხანის ახალი მუქარის წერილიც თან დაურთო უფრო მეტი შთაბეჭდილების მოსახდენად. რუსეთის მთავრობამ გადაწყვიტა საქართველოში დაეტოვებინა ის ორი ბატალიონი, რომლებიც 1796 წლის დეკემბერში შემოვიდა დარიალის გზით. ირანის შაჰი ემზადებოდა კვლავ შემოჭრილიყო საქართველოში, მაგრამ 1797 წლის 6 ივლისს იგი შეთქმულებმა მოკლეს.

1797 წლის შემოდგომაზე საქართველოში მდგომი რუსთა ჯარიც გაიყვანეს.

1797 წლის 31 დეკემბრის ნოტით გარსევან ჭავჭავაძე რუსეთის მთავრობისაგან გადაჭრით მოითხოვდა — ან შეესრულებინათ 1783 წლის

---

[29] Бутков П. Материалы для истории Кавказа, ч. III, СПб., 1869, с. 324.

ტრაქტატით გათვალისწინებული პირობები, ან საერთოდ უარი ეთქვათ მასზე[30]. ერეკლე II-ის ელჩის ეს ულტიმატუმი ემყარებოდა რეალური სიტუაციის ჯანსაღ შეფასებას. გადიოდა დრო, სულ რაღაც 13—14 წლის განმავლობაში ქართლ-კახეთის მოსახლეობა 350 ათასი კაციდან 200 ათასზე ჩამოვიდა[31]. ერეკლე II-ის პრორუსული პოლიტიკით გამოწვეული უკმაყოფილება მოედო არამარტო უმაღლეს არისტოკრატიას, არამედ საქალაქო წრეებსაც.

1797 წელს ქ. თბილისში გამომჟღავნდა მეფის საწინააღმდეგო შეთქმულება, რომელშიც უმთავრესად მონაწილეობდნენ თბილისელი მრეწველ-ვაჭრები ან მათთან დაახლოებული ფეოდალები. სავაჭრო კაპიტალის მონაწილეობა მეფის საწინააღმდეგო შეთქმულებაში აიხსნებოდა წმინდა ეკონომიკური მოსაზრებებით. მეფის პოლიტიკამ თბილისის სავაჭრო კაპიტალს შეუზღუდა აღმოსავლური (ირანული და თურქული) ბაზრები[32].

ქართლ-კახეთის სახელმწიფოს მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესდა მაშინ, როცა მას ერეკლე II-ის დიდი ავტორიტეტი და გამოცდილება მოაკლდა. იგი გარდაიცვალა თელავში, 1798 წ. 11 იანვარს, 78 წლის ასაკში[33].

„ძალზე რთული და დაუძლეველი აღმოჩნდა ის წინააღმდეგობანი, რომელთა გადალახვა წილად ხვდა ერეკლესა და მის სახელმწიფოს. და თითქოს თანამიმდევრული თუ ავბედითი სტიქიის ძალით ქართლ-კახეთმა ერეკლეს გარდაცვალებიდან სამოდე წლის შემდეგ თავისი სახელმწიფოებრიობა დაჰკარგა“[34].

უაღრესად დაიძაბა პოლიტიკური სიტუაცია აღმოსავლეთ საქართველოში. ერეკლეს მემკვიდრის — გიორგი XII-ის ავადმყოფობამ კიდევ უფრო გააღრმავა ანარქია. ბატონიშვილები ერთმანეთს დაერივნენ ხელისუფლებისათვის ბრძოლაში. გაჩნდა ტახტისათვის ბრძოლის ორი მთავარი დაჯგუფება: იულონ ბატონიშვილისა (მხარს უჭერდნენ დარეჯან დედოფალი და ერეკლე II-ის სხვა შვილები) და დავით ბატონიშვილის (მხარს უჭერდნენ ძმები, ე. ი. მეფე გიორგის ძენი). ამ დაჯგუფების მომხრე იყო თბილისის მოსახლეობის უდიდესი ნაწილიც.

1799 წლის 18 აპრილს იმპერატორმა განაახლა 1783 წლის ტრაქტატი, მეფედ გიორგი XII დაამტკიცა, ტახტის მემკვიდრედ კი — დავით გი-

---

[30] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, გვ. 773.

[31] იქვე, გვ. 774.

[32] Натадзе Г. Крестьяне «Сахасо» в Восточной Грузии в конце XVIII столетия. — მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის, 1937, ნაკვ. V, გვ. 364—365.

[33] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, გვ. 774.

[34] იქვე, გვ. 777.

ორგის ძე ბაგრატიონი. რასაკვირველია, ამ აქტით არ შენელებულა დ აჯგუფებათა ურთიერთბრძოლა თბილისში, მაგრამ მაინც რუსეთის მთავრობის ოფიციალურმა პოზიციამ, ასე თუ ისე, განამტკიცა გიორგი XII-ის და მისი ოჯახის მდგომარეობა. საშინაო ბრძოლა კვლავ გრძელდებოდა.

თბილისელი ვაჭრების უმრავლესობა მხარს უჭერდა რუსეთის ბატონობის დამყარებას საქართველოში[35]. „ვაჭრებს თავიანთი ინტერესები ჰქონდათ. ისინი ხომ რაც შეიძლება დიდი სავაჭრო მოგებისათვის იბრძოდნენ და ფიქრობდნენ, რომ ძლიერი ხელისუფლება უკეთ დაიცავდა მათ ინტერესებს. ხოლო რუსული და ევროპული საქონლით სპეკულაციური ვაჭრობის გაფართოებით ნაღდი მოგებისათვის ფართო ასპარეზი გაიხსნებოდა"[36]. ძლიერი ხელისუფლების მომხრე იყო გლეხობაც, ხანგრძლივი ძნელბედობით დაღლილი და შეწუხებული „გლეხები გულგრილად უყურებდნენ ქართლ-კახეთის სახელმწიფოს მომავალ ბედს, რომლის განჭვრეტა მათ არ შეეძლოთ"[37].

1799 წლის ნოემბერში საქართველოში რუსეთთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული დამხმარე ლეგიონი შემოვიდა გენ. ლაზარევის სარდლობით; მას მოჰყვა რუსეთის მუდმივი ელჩი ქართლ-კახეთის სამეფოს კარზე — მინისტრი კოვალენსკი.

1799 წლის 26 ნოემბერს, თბილისიდან 3 ვერსზე, გიორგი XII საზეიმოდ შეხვდა გენ. ლაზარევსა და მინისტრს კოვალენსკის, რუსეთის 46-ე ეგერთა პოლკს. „10000-ზე მეტი კაცი მიისწრაფოდა ქალაქს გარეთ, რომ რუსთა რაზმების შემოსვლა ენახა. თბილისის თითქმის ყველა სახლის სახურავი... სავსე იყო ქალებით. რომლებსაც ერთფეროვანი თეთრი ტანსაცმელი ეცვათ. კრიალა და მზით გაბრწყინებული ცის ქვეშ განფენილი ეს ბანაკი პოეტურ სანახაობას მიაგავდა".

„ზარბაზნების სროლა და ყველა ეკლესიაში ზარების რეკვა ატყობინებდა ქართველ ხალხს დაწყებული ზეიმის შესახებ. ხალხის მოძრაობა, მისი აღმაფრენის შეძახილები ავსებდნენ ძმური მიღების ამაღელვებელ სურათს და ამჟღავნებდნენ რუსეთისადმი გულწრფელ ერთგულებას." ასე აცნობებდა ამ აქტს მინისტრი კოვალენსკი გენ. კნორინგს 1799 წლის 2 დეკემბერს[38].

დამხმარე ჯარის შემოსვლიდან 100 წლისთავზე დიდი ქართველი

---

[35] Джавахишвили И. Политическое и социальное движение в Грузии в XIX в., СПб., 1906, 10.

[36] საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. IV, 804.

[37] იქვე.

[38] კოვალენსკის მოხსენება გენ. კნორინგს 1799 წ. 2 დეკემბერს. — Дубровин Н. История войны и владычества русских на Кавказе, III, с. 251; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, გვ. 804—805.

მწერალი ილია ჭავჭავაძე წერდა: „მეფის კარიდამ დაწყებული უკანასკნელ ქოხამდე სიხარულმა გაშალა თვისი სანატრელი ფრთა, სიხარულმა ხსნისამ და ნუგეშისამ. დიდი ხანია საქართველოს ამისთანა პირწყინვალე დღე აღარ ენახა“[39]. ეს სიხარული შემთხვევითი არ იყო. მძიმე კრიზისში მყოფი ქვეყანა ხსნის მთელ იმედებს ძლიერი მოკავშირის დახმარებაზე ამყარებდა.

მიუხედავად აღნიშნული იმედებისა, XVIII საუკუნის მიწურულში სამეფო კარზე კრიზისული ვითარება გრძელდებოდა. მძიმედ დასნეულებული გიორგი მეფე, როგორც ჩანს, სათანადოდ ვერ ერკვეოდა რუსეთის იმპერიის საგარეო პოლიტიკაში. იგი რუსთა დამხმარე ლეგიონს ეყრდნობოდა. 1800 წ. 28 დეკემბერს გიორგი გარდაიცვალა... შექმნილი ვითარება მარჯვედ გამოიყენეს რუსეთის იმპერიის დიპლომატებმა თავიანთი დამპყრობლური გეგმების სარეალიზაციოდ, სამეფო ტახტის მემკვიდრეს დავით ბაგრატიონს მეფედ დამტკიცება არ აღირსეს. 1801 წ., იმპერატორის ბრძანებით, ქართლ-კახეთის სამეფო რუსეთის გუბერნიად გამოცხადდა.

XIX ს. I მესამედში რუსეთმა დაიმორჩილა მთელი საქართველო და ამიერკავკასია. თბილისი შემოერთებული „განაპირა მხარის“ ადმინისტრაციულ ცენტრად იქცა.

[39] ილ. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზ., ტ. II, 1941, გვ. 428; საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. IV, გვ. 805.

XIV

თბილისის კულტურული განვითარება XVIII საუკუნეში

განათლება და მეცნიერება

თბილისის კულტურული აღმავლობა XVIII ს. პირველ მეოთხედში

ქართული კულტურის მესვეურები ხედავდნენ, რომ XVII ს. მეორე ნახევრიდან „შეერიათ ქართველთა“ ყიზილბაშური, „უგვანო“ წეს-ჩვეულებანი. საჭირო იყო ეროვნული ქართული კულტურის შენარჩუნებისათვის ბრძოლის გაჩაღება. ამ საქმეში უდიდესი როლი შეასრულა ვახტანგ VI-მ. მან თავის ირგვლივ დარაზმა კულტურის მოღვაწეთა საკმაოდ მრავალრიცხოვანი დასი, რომელმაც დიდი სამუშაოები გაშალა. თბილისის სამეფო კარი „ერთგვარ პატარა აკადემიად“ იქცა (ა. ბარამიძე).

„სწორედ გასაოცარი ხანა იყო ეს ხანა. — წერდა ივ. ჯავახიშვილი. — ასეთი დაუღალავი მედგარი მუშაობა, რომელსაც ერთი საზოგადო მიმართულება ჰქონდა, ფართო და ღრმა ნიადაგი ეპყრა, უფლებას გვაძლევს ქართული მწერლობის ამ ხანას ენციკლოპედიური დავარქვათ სახელად. თითქმის ყველა იმდროინდელი მოღვაწის აზრი და გონება იმ ფიქრისაკენ იყო მიმართული, რომ ქართველი ხალხის შემოქმედებითი ნიჭის მრავალი საუკუნის ნამუშევარი და ნაჭირნახულევი შეეკრიბათ, შეესწავლათ და შთამომავლობისათვის დამთავრებული, ყოველმხრივი წარმოდგენა და ცოდნა გადაეცათ. იმ დიდი საქმის მოთავედ და სულჩამდგმელად დიდებული, დაუვიწყარი ვახტანგი იყო“[1].

აღნიშნული დიდი საქმის ძირითადი ცენტრი იყო თბილისი. XVIII საუკუნის პირველ მეოთხედში ქართული ფეოდალური კულტურის მოღვაწენი იყვნენ: თვით ვახტანგ VI, სულხან-საბა ორბელიანი, ონანა ქობულაშვილი, დომენტი ბაგრატიონი. გივი თუმანიშვილი და სხვა მრავალი. „ამ კულტურულ გარემოში გაიზარდა აგრეთვე ქართველ მეცნიერთა და მწერალთა ის სახელოვანი თაობა, რომელმაც შემდეგში რუსეთში განაგრძო თავისი ნაყოფიერი საქმიანობა“[2].

ეროვნული კულტურის მძლავრი კერის ჩამოყალიბება ქ. თბილისში უაღრესად საჭირო იყო, რადგან, ვახტანგ VI-ის სიტყვებით რომ ვთქვათ,

---

[1] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი. ქართული სამართლის ისტორია. I, 1928. გვ. 116.

[2] ლ. მ ე ნ ა ბ დ ე. ძველი ქართული მწერლობის კერები. I, ნაკვ. I, გვ. 158.

იმ დროს საქართველო „მრავალგზის მტერთაგან მოოხრებული იყო და ალრა დაშთომილ იყო ქართულსა ენასა ზედა სწავლა ესე ფილოსოფოსთა". [რის გამოც] „სხვათა ენის კაცნი ქართველთა ეკიცხებოდნენ"[3].

ვახტანგი იყო „ყრმათათვის დიდად მოღვაწე და სწავლა-შემატების გულს-მოდგინე"[4].

სწავლა-განათლების განვითარებაში განსაკუთრებული წვლილი შეიტანა სულხან-საბა ორბელიანმა. მის მიერ შედგენილი საყოველთაოდ ცნობილი ლექსიკონი („სიტყვის კონა") სასწავლო წიგნად იყო გამიზნული. ასევე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საბას მიერვე დაწერილ წიგნს — „სიბრძნე სიცრუისა". იგი წარმოადგენს დიდაქტიკურ-მორალისტური ხასიათის ნაწარმოების ნიმუშს, რითაც ავტორმა „ახალი", ორიგინალური იდეები წამოაყენა მომავალ თაობათა აღზრდა-განათლების დარგში და პედაგოგიკური აზროვნება მეცნიერულ ნიადაგზე დაამკვიდრა[5].

განათლებისა და მეცნიერების წარმატების საყრდენი გახდა თბილისში დაარსებული სტამბა. იგი მოეწყო რუმინეთის საეკლესიო-პოლიტიკური მოღვაწის — წარმოშობით ქართველის — ანთიმოზ ივერიელის აქტიური დახმარებით. ამისთვის ანთიმოზმა აქ მოავლინა თავისი მოწაფე უნგრო-ვლახელი მიხაილ იშტვანოვიჩი.

ქართული სტამბა 1708—1709 წლებში მოეწყო. სტამბისათვის მეფის სასახლესთან ააგეს „სახლები" ანჩისხატისა და სიონის ტაძრებს შორის.

1709—1712 წწ. თბილისის სტამბაში დაიბეჭდა 14 წიგნი, რომელთაგან 11 სასულიერო ხასიათისა იყო, 2 — სასწავლო სახელმძღვანელო. 1712 წ. გამოიცა შოთა რუსთაველის გენიალური ქმნილება „ვეფხისტყაოსანი". მისი პირველი მეცნიერული გამოცემა პირადად ვახტანგ მეფემ განახორციელა; ამისათვის მან დიდი ფილოლოგიურ-რედაქციული სამუშაოები ჩაატარა.

„ვეფხისტყაოსნის" გამოცემას ვახტანგმა დაურთო ბოლოსიტყვაობა, რომელსაც „თარგმანი" (განმარტება) უწოდა; დაასაბუთა გამოცემის აუცილებლობა, დასაბამი დაუდო უკვდავი ძეგლის მეცნიერულ-კრიტიკულ შესწავლას და მეცნიერულ რუსთველოლოგიას[6]. „ვეფხისტყაოსნის" გამოცემას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქართული ლიტერატურის მომავალი განვითარებისათვის.

---

[3] მ. ქიქოძე, ქ. ჩხატარაიშვილი, ქართული კულტურა XVIII ს-ის I ნახ-ში. — იხ. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, გვ. 498.

[4] ქ. შარაშიძე. ქართული ნაბეჭდი სახელმძღვანელოები მეთვრამეტე საუკუნეში, გვ. 37. — კრებულში „სწავლა-აღზრდის ისტორია საქართველოში", I, 1937.

[5] გ. თავზიშვილი, სულხან-საბა ორბელიანის პედაგოგიკა. — წიგნში: სულხან-საბა ორბელიანი, საიუბილეო კრებული, 1969, გვ. 116.

[6] გ. იმედაშვილი, რუსთველოლოგია, 1941, გვ. 114.

XVIII ს. პირველ მეოთხედში ფართოდ გაიშალა მეცნიერული მუშაობაც. ცენტრალური ხელისუფლების ინიციატივით გარკვეული გარდატეხა მოხდა საისტორიო მეცნიერებაში. შეიქმნა ე. წ. „სწავლულ კაცთა კომისია“ ბერი ეგნატაშვილის მეთაურობით, რომელსაც დაევალა „ქართლის ცხოვრების“ რედაქტირება-გამართვა და გაგრძელება[7].

საქართველოს ისტორიის მოთხრობის გამგრძელებლებმა განიხილეს საქართველოს ისტორიის ზოგი არსებითი საკითხი (საქართველოს პოლიტიკური დაშლა, სათავადოები, რუსეთთან ურთიერთობა და სხვ.). ისინი ძირითადად მაინც ქართლის წარსულს გადმოსცემდნენ[8].

მშობლიური ისტორიის შესწავლაზე მუშაობდა აგრეთვე XVIII ს. დიდი ქართველი ისტორიკოსი ვახუშტი ბაგრატიონი, რომელმაც თავისი კაპიტალური ნაშრომი „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“, ანუ საქართველოს ისტორია, მოსკოვში დაასრულა 1745 წ. ახალგაზრდობის წლებში, როცა იგი თავის სახელოვან მამას მხარს უმაგრებდა ქვეყნის მმართველობაში (XVIII ს. 10—20-იან წლებში), როგორც ჩანს, საფუძვლიანად სწავლობდა საქართველოს გეოგრაფიას, ქართველი ხალხის ზნე-ჩვეულებებსა და მისი წარსულის საკითხებს. ვახუშტიმ ისარგებლა არა მარტო ქართული დოკუმენტური წყაროებით, არამედ რუსეთში არსებული რუსული და უცხოური ლიტერატურითაც. ისტორიის გამართვისადმი მისი მიდგომა სრულიად ახლებური იყო ქართული ისტორიოგრაფიისათვის. ამ მხრივ ვახუშტი იმდროინდელი ევროპისა და რუსეთის დაწინაურებულ დონეს უტოლდებოდა[9].

ვახუშტიმ რუსულიდან თარგმნა მსოფლიო გეოგრაფიის სახელმძღვანელო, რომელსაც 21 ფერადი რუკა დაურთო და საქართველოს შესახებ ცნობებს თავისი შენიშვნები დაუმატა[10].

XVIII ს. პირველი მეოთხედის მეცნიერებს უყურადღებოდ არ დაუტოვებიათ სხვა დისციპლინებიც. ვახტანგ VI-მ შეადგინა ასტრონომიაკოსმოგრაფიის მოკლე კურსი, რომელშიაც განმარტებულია სხვადასხვა-გვარი ცნებები თუ ტერმინები[11].

ვახტანგ VI-ს შეუდგენია აგრეთვე „წიგნი ზეთების შეზავებისა და ქიმიის ქმნისა“[12]; იგი თვითონაც აწარმოებდა ქიმიურ ცდებს. ამავე სა-

---

[7] მ. ქ ი ქ ო ძ ე, ქ. ჩ ხ ა ტ ა რ ა ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 502.

[8] იქვე, გვ. 503.

[9] იხ. ვ. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი. ვახუშტი ბაგრატიონი. თბ., 1969; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, გვ. 503—505.

[10] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV. გვ. 505.

[11] სპარსეთში ხანგრძლივი ყოფნის დროს, 1712—1719 წწ. ვახტანგ VI-ს უთარგმნია XV ს. ცნობილი ასტრონომის ულუღ ბეგის „ვარსკვლავთმრიცხველობა“, რომელიც ქართლში სახელმძღვანელოს მნიშვნელობას ასრულებდა.

[12] ვახუშტი VI-ის წიგნი — ზეთების შეზავებისა და ქიმიის ქმნის. გამოსაცემად მოამზადეს თ. ენუქიძემ და ვ. კოკოჩაშვილმა. თბ., 1981.

ხელმძღვანელოზე უმუშავნია ვახუშტი ბატონიშვილსაც, რომელსაც მისთვის ფიზიკისა და ქიმიის დარგში ცდების საწარმოებლად მაშინ ხმარებულ ხელსაწყოთა ზოგიერთი ნახაზი დაურთავს.

განსახილველ პერიოდში გარკვეულად მოჩანს თბილისელთა დაინტერესება ფილოსოფიური აზრის საკითხებითაც. ეს გამოიხატა ბერძენ-რომაელ ფილოსოფოსთა გადმოქართულებასა და მათ გავრცელებაში. ქართულად ითარგმნება სოკრატეს, პლატონის, არისტოტელეს, არისტოფანეს, ეპიკურეს აფორიზმები და სენტენციები, ადგენენ მათ შეხედულებათა კრებულებს. ღრმა ფილოსოფიური განსწავლულობა მოჩანს სულხან-საბას „ლექსიკონში", სადაც მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა ფილოსოფიურ ცნებათა ახსნას და სხვ.[13] ქართული ლიტერატურაც ამ დროს მრავალჟანროვანი და მაღალმხატვრული გახდა.

კულტურული ცხოვრების ბაირახტარი მეფე ვახტანგი იყო „მრავალფეროვანი და ნაყოფიერი მწერალი-მწიგნობარი, მთარგმნელი, რედაქტორი, კომენტატორი, პოეტი"[14].

ვახტანგისა და საბას შრომის შედეგად ქართველ მკითხველთათვის ხელისმისაწვდომი გახდა ძველ სპარსულ იგავ-არაკთა კრებული „ქილილა და დამანა".

მას შემდეგ, რაც 1724 წ. განათლებისა და მეცნიერების წამყვან მოღვაწეთა დიდი დასი სამშობლოს მოწყდა და რუსეთს გაიხიზნა, თბილისში დიდი ხნის განმავლობაში ჩაკვდა კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობა. თბილისი დიდხანს, თითქმის 20 წელზე მეტი ხნის განმავლობაში გმინავდა ოსმალთა და ყიზილბაშთა ბატონობისას. ქალაქში ცხოვრება ჭირდა და მეცნიერულ-საგანმანათლებლო საქმისათვის არავის ეცალა.

განათლება და მეცნიერება თბილისში XVIII ს. 40—90-იან წლებში

მდგომარეობა მკვეთრად შეიცვალა ქართლში თეიმურაზ II-ისა და კახეთში ერეკლე II-ის გამეფების (1744 წ.), უფრო ზუსტად, ნადირ შაჰის გარდაცვალების შემდეგ (1747 წ.).

ქვეყნის კულტურული განვითარების მთავარი მზრუნველი და ხელშემწყობი ერეკლე II იყო, რომელსაც მხარში განათლებული ბატონიშვილი — ანტონ I ედგა. ერეკლესა და ანტონს მიაჩნდათ, რომ საქართველოს დაწინაურებისათვის საჭიროა „მამულსა შინა ჩუენსა განმრავლდნენ მეცნიერებითნი ნათელნი"[15], ერეკლესა და ანტონის ასეთი საქმია-

---

[13] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, გვ. 508.

[14] ვ ა ხ ტ ა ნ გ VI, ლექსები და პოემები. წინასიტყვაობა ალ. ბარამიძისა, გვ. VII.

[15] აპ. რ ო გ ა ვ ა. სახალხო განათლება ერეკლე მეორის ხანის ქართლ-კახეთში და ანტონ I. 1950. გვ. 15.

ნობა უკვე 40-იანი წლებიდან დაიწყო, მაგრამ მას საგარეო-პოლიტიკური ვითარება დიდხანს აფერხებდა.

შედარებით უფრო ხელსაყრელი პირობები განათლებისა და მეცნიერების განვითარებისათვის 70-იან წლებში შეიქმნა. ეს პერიოდი დაახლოებით 1770—1785 წწ. მოიცავდა: „ჟამსა ამას, ფრიად ბედნიერებასა შინა იყო წარმართებულ სამეფო ქართლისა და კახეთისა; რამეთუ განევლო წელსა რაოდენსამე, რომელ არღარა მიეღო ოხრება არცა უცხო თესლთაგან, არცა სრვისა და არცა სიყმილისგან, ხოლო უმეტეს ყუაოდა შორის ყოველსა საქართველოსა ქალაქი ტფილისი ყოვლითა წარმართებითა“[16]. მაშინდელი საზოგადო მოღვაწენი დიდად აფასებდნენ ერეკლე II-ის როლს „საქართველოსა შინა მეცნიერებითისა ოქროსა საუკუნოისა შემოყვანისათვის“[17].

XVIII ს. თბილისი კვლავ რჩებოდა ამიერკავკასიის მთავარ პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ ცენტრად. ტრადიციული ქართული ტოლერანტული პოლიტიკის წყალობით, თბილისში თავშესაფარს და უშიშარ სამყოფელს პოულობდნენ როგორც სომეხი, ისე აზერბაიჯანელი და აღმოსავლეთის სხვა ხალხების კულტურის მოღვაწეებიც.

განათლებისა და მეცნიერების დონე

XV—XVIII სს. ქვეყნის საგარეო და საშინაო პოლიტიკური ვითარების სიმძიმის გამო საქართველოს განათლებისა და მეცნიერების დონე საგრძნობლად ჩამორჩებოდა მაშინდელი ევროპის მოწინავე ქვეყნების დონეს. კულტურულ ტრადიციებს იცავდნენ, მაგრამ შემოქმედებითი საქმიანობის წინსვლა-განვითარება შეფერხებული იყო. ოსმალეთი ევროპასთან კონტაქტების საშუალებას არ იძლეოდა. ამის საშუალება საქართველოს მხოლოდ XVIII ს. 60-იანი წლებიდან, რუსეთის გზით მიეცა. ამ დროიდან ქართველობა ევროპის მოღვაწეთა მხოლოდ იმ ნაწილს ეცნობოდა, რასაც რუსეთი, მაგრამ ესეც კი საკმაო აღმოჩნდა, რომ პროგრესისაკენ ლტოლვა ჩვენში კვლავ ახალი ძალით განახლებულიყო. 60-იანი წლებიდან გაიზარდა კონტაქტები ევროპასთან, გაიზარდა კულტურულ-სამეცნიერო ინფორმაცია, გაფართოვდა ინტერესების სფერო. თუ აქამდე თბილისში ქალაქის მოსახლეობის ეთნიკურ-კონფესიური სიჭრელის გამო საგრძნობი იყო აღმოსავლური კულტურულ-ყოფითი ელემენტები, XVIII ს. შუა წლებიდან საქართველოს დედაქალაქი მტკიცედ დაადგა ევროპული ორიენტაციის გზას.

---

[16] იოანე ქართველიშვილი. მემუარები. ა. იოსელიანის რედ., 1952. გვ. 66 –67.

[17] დ. ლაშქარაძე. ევროპეიზმის პრობლემა ქართულ ლიტერატურაში. 1977. გვ. 113—114.

ეს ერეკლე II-ის პოლიტიკური ხაზის შედეგი იყო. რუსი დიდმოხელე ს. ბურნაშოვი, რომელიც 1783—1787 წწ. დიპლომატიური მისიით თბილისში იმყოფებოდა, წერდა, რომ ერეკლე II „არაფრისაკენ ისე არ მიისწრაფვის, როგორც თავისი ხალხის ევროპულად გარდაქმნისაკენ“[18].

განვლილ საუკუნეთა მსგავსად, XVIII ს. მთელ სიგრძეზე განათლებისა და მეცნიერების განვითარება ჩვენში ეკლესიის ხელმძღვანელობითა და მეთვალყურეობით მიმდინარეობდა. ყურადღების ცენტრში თეოლოგია იდგა, მაგრამ ეპოქა უკვე „საქმითი“ (პრაქტიკული) მეცნიერების დარგების განვითარებას მოითხოვდა და მათი ცოდნაც ჩვენში ნელნელა ვრცელდებოდა. თეოლოგია-ფილოსოფიის ცოდნის წყაროდ ჩვენში ანტიკური და შუა საუკუნეებრივი ლიტერატურა რჩებოდა, გამოყენებით მეცნიერებათა ცოდნას კი ქართველები ევროპიდან (რუსეთის გზით) იძენდნენ.

სახალხო განათლება

XVIII ს. მეორე ნახევარი თბილისის ისტორიაში განათლების წარმატების პერიოდია. დავით ბატონიშვილი არ აჭარბებდა, როცა ერეკლე II-ის დროინდელ საქართველოში სახალხო განათლების არსებობაზე წერდა[19]. ერეკლე II-სა და ანტონ I-ს განათლების განვითარება უმნიშვნელოვანეს სახელმწიფო საქმედ მიაჩნდათ.

კათალიკოს ანტონ I-ის აზრით, განათლების შუქი თანაბრად უნდა ეფინებოდეს „მაღალთა და მდაბალთა“. განათლების განვითარების თვალსაზრისით მას იდეალად ესახებოდა ის მდგომარეობა, რაც მაშინ „რუსთა..., ფრანცისთა..., ანგლიელთა, პრუსიელთა“ ქვეყნებში არსებობდა[20].

სწორედ ამ მოსაზრებით იყო გაპირობებული ერეკლე II-ისა და ანტონ I-ის პოლიტიკა განათლების დარგში, რასაც სულ მოკლე ხანში საყურადღებო შედეგი მოჰყვა; ყველაზე უფრო თვალსაჩინოდ ეს შედეგი სამეფოს დედაქალაქში გამოჩნდა.

1755 წ. 1 იანვარს თბილისში, ანჩისხატის ეკლესიის ეზოში, გაიხსნა „სემინარია ფილოსოფიისა“ — უმაღლესი სასულიერო სასწავლებელი. სემინარია მეფის ხარჯზე არსებობდა. მას განაგებდა მეფის დანიშნული რექტორი. სემინარიაში ასწავლიდნენ ქართულ წერა-კითხვას, გრამატიკას, რიტორიკას, სქოლასტიკას, ისტორიას, ფილოსოფიას (საკუთრივ ფილოსოფიას, ფიზიკას, მეტაფიზიკას, მორალის ფილოსოფიას, ლოგიკას),

---

[18] Бурнашев С. Д. Картина Грузии или описание политического состояния царств Карталинского и Кахетинского. Тифлис, 1896, с. 10.

[19] ა3. Роговаа, დასახ. ნაშრომი. გვ. 22.

[20] იქვე. გვ. 6—19.

თეოლოგიას, მღვდელთმსახურების წესებს, არითმეტიკას, მათემატიკის საფუძვლებს... სემინარიის სახელმძღვანელოები (ორიგინალური ან კომპილაციური) შექმნა ანტონ I-მა. სემინარიის პროგრამა რუსეთის სემინარიების პროგრამათა მიხედვით იყო შედგენილი. სწავლება წარმოებდა ლექციური სისტემით, სწავლის დამთავრებისას ეწყობოდა აქტი, — საზეიმო შეკრება-გამოცდა, რომლის დროსაც იმართებოდა კურსდამთავრებულთა პაექრობა-შეჯიბრი. აქტს ზოგჯერ მეფე და კათალიკოსიც ესწრებოდნენ.

თბილისის სემინარიაში თავადაზნაურთა და სასულიერო პირთა შვილებს ღებულობდნენ, მდაბიონი სემინარიაში იშვიათად ხვდებოდნენ[21].

1741—1755, 1763 წლებში თბილისში არსებობდა კათოლიკეთა სასწავლებელი, რომელშიაც გარდა საღვთისმეტყველო საგნებისა ასწავლიდნენ ლათინურ, იტალიურ, ფრანგულ და ქართულ ენებს, არითმეტიკას...[22]

არსებობს ცნობა, რომ 1780—1781 წწ. ი. რაინეგსი და კათოლიკე პატრები მეფის სასახლეში სამეფო ოჯახის წევრებს ასწავლიდნენ ლათინურ, იტალიურ, ფრანგულ და გერმანულ ენებს[23]. იმავე ცნობით, რაინეგსს თბილისში გაუხსნია სამედიცინო სკოლა[24]. ამ სკოლაში პატრებისაგან მედიცინის საფუძვლები შეუსწავლიათ, სხვათა შორის, ცნობილ ქართველ ექიმებს — ანტონ და თათულა ყარაშვილებს და სოლომონ I-ის ექიმს ისარლოვს.

XVIII ს. მეორე ნახევრის თბილისში არსებობდა კერძო დაწყებითი სასწავლებლების ფართო ქსელი. ქართველთათვის ასეთი სკოლები იყო ნათლისმცემლის, კალოუბნის, სიონის, ქაშვეთის, მეტეხისა და ანჩისხატის ეკლესიებთან. სკოლებში ასწავლიდნენ: საღვთო სჯულს, ქართულ წერა-კითხვას, არითმეტიკას, გალობას, უფრო დაწინაურებულ მოსწავლეებს — გრამატიკას, ძველ ისტორიას და ფილოსოფიასაც. ამ სასწავლებლებში 400-მდე მოსწავლე იყო. სკოლების მუშაობას ზოგჯერ თვით მეფე ამოწმებდა[25].

ჩვენამდე მოღწეულია რამდენიმე ცნობა იმის შესახებ, თუ რას სწავლობდნენ XVIII ს. მეორე ნახევრის თბილისის ქართველ არისტოკრატ-

---

[21] კ. კეკელიძე. ქართული ლიტერატურის ისტორია, 1941, I, გვ. 41; ალ. როგავა, დასახ. ნაშრომი, გვ. 31-33, 36-69; პ. კარბელაშვილი ანჩისხატის ტაძარი ქ. ტფილისში, 1902, გვ. 8, 28; Багратиони Д. Обозрение Грузии по части прав и законоведения. Пол. ред. А. А. Рогава, 1959, с.252.

[22] ალ. როგავა, დასახ. ნაშრომი, გვ. 75—76.

[23] ზ. ჭიკინაძე, გერმანელი დოქტორი იაკობ რაინეგსი მეფე ერეკლეს კარზედ რუსთაგან კომისრათ და მინისტრათ დანიშნული საქართველოში, 1920, გვ. 9—10.

[24] იქვე, გვ. 11.

[25] პლ. იოსელიანი, ცხოვრება გიორგი მეცამეტისა. ა. გაწერელიას გამოც., 1936, გვ. 179; Багратиони Д. Обозрение..., დასახ. ნაშრომი, გვ. 252.

თა შვილები. გიორგი ბატონიშვილს (შემდეგ გიორგი XII) შეუსწავლია: ქართული წერა-კითხვა და გრამატიკა, თურქული, ბერძნული და სომხური ენები, საქართველოს ისტორია („ქართლის ცხოვრება"), ფილოსოფია, ბიბლია, სახარება, გალობა...[26] იოანე ქართველიშვილსაც თავისი დროისთვის კარგი განათლება მიუღია, შეუსწავლია სამეცნიერო წიგნები, იოანე დამასკელის ნაშრომები, ფილოსოფიური ტრაქტატი — პორფირი ტირელის „არისტოტელეს კატეგორიათა შესავალი" და სხვ.[27]

თბილისში კერძო დაწყებითი სასწავლებლები ჰქონდათ სომხებს და მაჰმადიანებსაც. ამ სკოლებში სწავლება მათს მშობლიურ ენებზე იყო[28].

საგარეო ურთიერთობათა გაცხოველებამ საჭირო გახადა უცხო ენების მცოდნეთა მომრავლება. XVIII ს. თბილისელებს შესაძლებლობა ჰქონდათ შეესწავლათ ფრანგული, იტალიური, ლათინური, გერმანული, რუსული და აღმოსავლური ენები. 1788 წ. ახლო ხანებში თბილისში ქართველთათვის გაიხსნა კერძო სკოლა, რომელშიაც რუსულ ენას ასწავლიდნენ[29].

განსაკუთრებით აღსანიშნავია თბილისში ქალთა განათლების განვითარება, რასაც ჩვენში უძველესი ტრადიცია ჰქონდა. თბილისელი ქალები საშინაო განათლებას ღებულობდნენ; მათ ასწავლიდნენ წერა-კითხვას, ლოცვებს, არითმეტიკას, ხელსაქმეს... იოანე ბატონიშვილს მიაჩნდა, რომ ქალს „ნამდვილად უნდა ასწავლონ ყოველი მეცნიერება, ღეოღრაფია, ზნეთსწავლულება, არითმეტიკა, ხელთსაქმეობა და იკონომია"[30].

განათლებაზე ზრუნვა ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმებამდე რჩებოდა ცენტრალური ხელისუფლების ყურადღების ცენტრში. 1783 წ. ტრაქტატის დადების შემდეგ, რასაც ქართველ პოლიტიკოსთა ვარაუდით ქართლ-კახეთის სამეფოს აყვავება უნდა მოჰყოლოდა, ჩვენმა სახელმწიფო მოღვაწეებმა საჭიროდ მიიჩნიეს ძირეული რეფორმების ჩატარება, მათ შორის განათლების დარგშიც. დავით და იოანე ბატონიშვილების რეფორმათა პროექტებით თბილისში სახელმწიფო ხარჯზე უნდა გახსნილიყო საერო და სასულიერო სკოლები: მაღალი კატეგორიისა — თავადაზნაურთა და წარჩინებულ მოქალაქეთათვის, დაბალი — მსახურთა და ვაჭართა შვილებისათვის[31].

---

[26] პლ. ი ო ს ე ლ ი ა ნ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 5, 7.

[27] ი ო ა ნ ე ქ ა რ თ ვ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, მემუარები. ა. იოსელიანის რედ., 1958, გვ. 66—70, 71, 76—77.

[28] Б а г р а т и о н и Д. Обозрение..., დასახ. ნაშრომი, გვ. 252.

[29] ა ბ. რ ო გ ა ვ ა. დასახ. ნაშრომი, გვ. 95.

[30] ი. ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი, კალმასობა. ა. ბარამიძის და კ. კეკელიძის რედ., ტ. I, 1936, გვ. 242.

[31] ი ო ა ნ ე ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი, სჯულდება. ივ. სურგულაძის რედ., 1957, გვ. 27; სამართალი ბატონიშვილის დაეითისა, დ. ფურცელაძის რედ., 1964, გვ. 171.

1795 წ. სექტემბერში თბილისის აოხრებამ ქალაქის საგანმანათლებლო-კულტურულ ცხოვრებას მძიმე დაღი დაასვა. სემინარიამ და სკოლების უმეტესობამ არსებობა შეწყვიტა.

წიგნის ბეჭდვა

ვახტანგ VI-ის ემიგრაციაში წასვლის შემდეგ გაუქმებული სტამბა თბილისში მხოლოდ 1749 წ. აღსდგა[32]. სტამბა თეიმურაზ II-ის დროს საპატრიარქო სასახლეში იყო გამართული, შემდეგ კი მეფის სასახლის ეზოში გადაიტანეს[33]. 1782 წ. მოძველებული სასტამბო მეურნეობა განაახლეს[34]. 1749—1790 წწ. ამ სტამბაში 60-მდე დასახელების წიგნი დაიბეჭდა, მათი დიდი უმრავლესობა სასწავლო დანიშნულების სასულიერო ხასიათის წიგნები იყო, მაგ. „დავითნი," რომლითაც კითხვას ასწავლიდნენ.

თბილისის სტამბის გამოცემათა ტირაჟი 400, 800 და 1000 ცალს შეადგენდა. მარტო 1783—1793 წლებში 10 დასახელების 8000 ცალი წიგნი დაიბეჭდა[35]. თბილისის სტამბაში დაბეჭდილი წიგნები დასავლეთ საქართველოშიც იგზავნებოდა[36].

არსებობს ცნობა, რომ 1763—1769 წლებში თბილისის სტამბაში იბეჭდებოდა „ბრძანება და უწყება", — მეფისა და პატრიარქის განკარგულებათა ფურცელი. მისი გამოცემა განახლებულა 1783 წ. „ლეპორტის" სახელწოდებით[37].

აღა-მაჰმად ხანის შემოსევის დროს მესტამბეებმა სტამბის მოწყობილობა, რაც მოასწრეს, მიწაში ჩაფლეს. მტერმა სტამბა დაარბია და გადაწვა. თბილისში დაბრუნებისთანავე ერეკლემ სტამბის ნანგრევებიდან გადამალული მოწყობილობა მოაგროვებინა და სტამბის აღდგენას ფიქრობდა. სტამბის მოწყობილობის ნაწილი 1798 წელს ერთმა თბილისელმა ვაჭარმა განჯაში ნახა, გამოისყიდა და გიორგი XII-ს მიართვა[38]. გიორგი XII სტამბის აღდგენას შეუდგა, მაგრამ ვერ მოასწრო და მის შემდეგ ამ საქმეზე დავით ბატონიშვილი ზრუნავდა. დავითმა და კათალიკოსმა ანტონ II-მ სტამბის ახალი შენობაც ააგეს და 1799 წ. სტამბა ამუშავდა. 1800 წელს ამ სტამბაში დაიბეჭდა ორი წიგნი — „დაუჯდო-

---

[32] პ. ორბელიანი, ამბავნი ქართლისანი. ელ. ცაგარეიშვილის რედ., 1981, გვ. 155.

[33] პ. კარბელაშვილი, ძველი ანჩისხატის ტაძარი ქ. ტფილისში, 1902, გვ. 26.

[34] დ. კარიჭაშვილი, ქართული წიგნის ბეჭდვის ისტორია. 1929, გვ. 90; Д у б р о в и н Н. Закавказье от 1803—1806 года, 1866, с. 130.

[35] დ. კარიჭაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 97.

[36] აპ. როგავა, დასახ. ნაშრომი, გვ. 136.

[37] ზ. ჭიჭინაძე, ისტორია ქართული გაზეთების და ჟურნალების გამოცემისა. 1903, გვ. 61—62.

[38] ნ. დუბროვინი, დასახ. ნაშრომი, გვ. 130; ო. კასრაძე, ქართული წიგნის ბეჭდვის კერები, 1980, გვ. 95.

მელი" და დავით ბატონიშვილის „ნარკვევი" — საქართველოს ისტორია. 1802 წ. იქვე დაიბეჭდა გენ. კნორინგის განცხადება ქართველებისადმი ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმების შესახებ[39].

წიგნების გადაწერა. ბიბლიოთეკა-წიგნსაცავები

თბილისის სტამბა წიგნებზე გაზრდილ მოთხოვნილებას ვერ აკმაყოფილებდა, ამიტომ კვლავ გრძელდებოდა წიგნების ხელით გადაწერა-გამრავლების ტრადიცია. როცა წიგნზე დიდი მოთხოვნილება იყო, წიგნების გამრავლებას აჩქარებდნენ: ერთი მკითხველი (მოკარნახე) ერთდროულად 20—30 გადამწერს კარნახობდა. განთქმული გადამწერნი იყვნენ: იესე ოსეს ძე, ნიკოლოზ მაღალაძე, ტრიფილე, იოანე მოძღვრიშვილი და სხვანი. ზოგჯერ გადაწერით მთელი ოჯახები იყო დასაქმებული, მაგ. განთქმული იყო კალიგრაფ მესხიშვილთა ოჯახი[40].

განათლებისა და მეცნიერების განვითარებას დიდად უწყობდა ხელს თბილისში არსებული წიგნსაცავ-ბიბლიოთეკები. მდიდარი ბიბლიოთეკა ჰქონდა სამეფო კარს. საპატრიარქოს წიგნსაცავში 76000 წიგნი იყო [41], წიგნსაცავი ჰქონდა თითქმის ყველა ეკლესიას. მრავალი წიგნი იყო განათლებულ საერო პირთა, მაგ. იესე ოსეს ძის, მზეჭაბუკ ორბელიანის, დავით ორბელიანის და სხვათა ბიბლიოთეკებში[42].

მეცნიერების ცალკეული დარგები

XVIII ს. მეორე ნახევრის თბილისში ქვეყნის სამეურნეო-ეკონომიკური განვითარების ჩამორჩენის გამო ტექნიკური, გამოყენებითი მეცნიერებანი სუსტად ან სულ არ იყო განვითარებული.

მათემატიკის სახელმძღვანელოები, რაც ჩვენამდეა მოღწეული, რუსეთის ქართულ კოლონიებშია თარგმნილი და თბილისში გამოგზავნილი, ისიც XVIII ს. მიწურულს[43].

XVIII ს. მეორე ნახევრის საქართველოში ფიზიკის ცოდნის გავრცელება ანტონ I-ის სახელთანაა დაკავშირებული. მან 1772 წ. რუსეთში ყოფნისას ლომონოსოვისეული რუსული თარგმანიდან ქართულად თარგმნა გერმანელი ფილოსოფოსის ქრისტიან ვოლფის ვრცელი ნაშრომი,

---

[39] ჯ. ი ო ს ე ლ ი ა ნ ი, ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, 1936, გვ. 166.

[40] აპ. რ ო გ ა ვ ა, დასახ. ნაშრომი, გვ. 143; იესე ბარათაშვილის ცხოვრება-ანდერძი, გვ. 6.

[41] კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, ქართული ლიტერატურის ისტორია, 1941, გვ. 59.

[42] აპ. რ ო გ ა ვ ა, დასახ. ნაშრომი, გვ. 155.

[43] Ц х а к а я Г. История математических наук в Грузии с древних времен до начала XX века, 1959; Л. М е л и к с е т - Б е к о в, К истории точных наук в Армении и Грузии, с. 204 (Вопросы философии и социологии марксизма, 1930).

რომლის ცალკეულ ნაწილებს შეადგენდა „ექსპერიმენტული ფიზიკა“ და „თეორიული ფიზიკა“. თბილისში დაბრუნებულმა ანტონმა ვოლფის თხზულების თარგმანი გაამრავლებინა და თბილისისა და თელავის სემინარიებში სახელმძღვანელოდ დააწესა. თბილისის სემინარიაში ფიზიკის კურსს თვით ანტონი კითხულობდა[44]. ვოლფის „ფიზიკა“ ანტონ I-მა შეავსო სხვა ფიზიკოსთა ნაშრომებიდან და საკუთარი მოსაზრებანი და შენიშვნები დაურთო[45].

XVIII ს. შუა წლებიდან ფართოდ გაიშალა მუშაობა ფ ი ლ ო ს ო ფ ი ა შ ი[46]. ფილოსოფიის ცოდნა განსწავლულობის საზომად იყო მიღებული. მაშინდელ ქართველ ფილოსოფოსთა საქმიანობის შინაარსს შეადგენდა ანტიკური და შუა საუკუნეების ფილოსოფიური ნააზრევის შესწავლა-კომენტირება. ფილოსოფიური შემოქმედება შეფერხებული იყო ორი გარემოებით: 1. ქართველთათვის უცნობი, მიუწვდომელი რჩებოდა იმდროინდელი ევროპის ფილოსოფიურ აზროვნებაში მომხდარი დიდმნიშვნელოვანი ძერები და 2. ფილოსოფია მკაცრი საეკლესიო ცენზურის მეთვალყურეობით ვითარდებოდა.

ფილოსოფიური ცოდნისა და განათლების ცენტრად საქართველოში თბილისი რჩებოდა. აქ იყო (1755 წლიდან) „სემინარია ფილოსოფიისა“ და აქვე მოღვაწეობდნენ ღრმად განსწავლული ფილოსოფოსები: ანტონ I, იუსტინე მაღალაშვილი, მზეჭაბუკ (ჭაბუა) ორბელიანი, იოანე ორბელიანი, ტიმოთე და ზაქარია გაბაშვილები და სხვანი, რომელთაც სამეცნიერო-შემოქმედებითი ურთიერთობა ჰქონდათ თბილისელ სომეხ ფილოსოფოსებთან — ფილიპე ყაითმაზაშვილსა და ზაქარია მადინაშვილთან.

ფართოდ გაიშალა მთარგმნელობითი საქმიანობა. ქართულ ენაზე ითარგმნა არისტოტელეს, პორფირი ტირელისა და სხვა ძველ ფილოსოფოსთა ნაშრომები. ფილოსოფოსთა საქმიანობას სათავეში ანტონ I ედგა. მან ჯერ კიდევ 1752 წ. შექმნა ვრცელი ნაშრომი „სპეკალი“ („ძვირფასი ქვების კრებული“), რომელშიაც ორიგინალური ფორმით იყო გადმოცემული და კომენტირებული არისტოტელეს. პლატონის, პროკლეს, ალბერტ დიდის, იოანე სკოტ ერიუგენას, იოანე დამასკელის, სიმეონ ჯულფელის, იოანე პეტრიწის და სხვათა ფილოსოფიური ნაზრევი. ანტონმა თარგმნა ან გადმოაკეთა რამდენიმე ფილოსოფიური ნაშრომი და შექმნა

---

[44] საქართველოს ფიზიკოსები, 1982, გვ. 13.

[45] იქვე, გვ. 15—17.

[46] მონაკვეთს ფილოსოფიის შესახებ საფუძვლად უდევს შემდეგი ნაშრომები: ი. ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი, კალმასობა, II, 1948; კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, I, 1956; შ. ნ უ ც უ ბ ი ძ ე, ქართული ფილოსოფიის ისტორია, II, 1958; აპ. რ ო გ ა ვ ა, სახალხო განათლება ერეკლე მეორის ხანის ქართლ-კახეთში და ანტონ პირველი, 1950.

ორიგინალური თხზულებანი თბილისისა და თელავის სემინარიებში ფილოსოფიის შემსწავლელთა სახელმძღვანელოდ.

XVIII ს. 60—70-იან წლებში თბილისის სწავლული საზოგადოება ანტონის საშუალებით გაეცნო მ. ლომონოსოვისა და გერმანელი ფილოსოფოსების — ქრ. ვოლფისა და ფ. ბაუმაისტერის ნაშრომებს, რომელთა თარგმანებსაც ანტონმა ვრცელი საყურადღებო კომენტარები დაურთო. ამ ნაშრომებში ახალი არაფერი იყო, — მათში სისტემაში იყო მოყვანილი კლასიკური ფილოსოფიური მემკვიდრეობა. მიუხედავად იმისა, რომ ამ პერიოდში ანტონისათვის აშკარა გახდა სქოლასტიკური ფილოსოფიის ნაკლოვანებანი, იგი ბოლომდე სქოლასტიკის თვალსაზრისზე დარჩა და ამაოდ ცდილობდა თეოლოგიისა და ფილოსოფიის შერიგებას.

აღსანიშნავია, რომ XVIII ს. მეორე ნახევრის თბილისში კლასიკური ფილოსოფიის ცოდნა ხელმისაწვდომი გახდა შედარებით ფართო წრისათვის: ფილოსოფიას, სემინარიის გარდა, ზოგიერთ სასულიერო თუ საერო სკოლაშიაც ასწავლიდნენ.

განსაკუთრებით ნაყოფიერი მუშაობა გაჩაღდა ქართული ენის გრამატიკისა და ლექსიკის შესასწავლად. XVIII ს. მიწურულს ლექსიკოგრაფიულ ნაშრომებს ქმნიდნენ იოანე და დავით ბატონიშვილები[47]. ქართული ენის გრამატიკას იკვლევდა ანტონ I. მან ორჯერ — 1753 და 1767 წლებში შეადგინა ქართული ენის გრამატიკის მოკლე და ვრცელი სახელმძღვანელოები[48]. XVIII—XIX სს. მიჯნაზე შეიქმნა გაიოზ რექტორის, დავით ბატონიშვილისა და სხვათა გრამატიკული ნაწარმოებებიც.

XVIII ს. თბილისში მოღვაწეობდნენ მეფის კარის ისტორიკოსები: სეხნია ჩხეიძე, პაპუნა ორბელიანი და ომან ხერხეულიძე. სეხნია ჩხეიძემ თხზულებაში „ცხოვრება მეფეთა" აღწერა აღმოსავლეთ საქართველოს ისტორია ვახტანგ V-ის გამეფებიდან 1739 წლამდე[49]. პ. ორბელიანმა ნაშრომში „ამბავნი ქართლისანი" აღწერა ქართლ-კახეთის სამეფოს ისტორია 1739—1758 წლებისა[50]. ომან ხერხეულიძის თხზულებაში „მეფობა ირაკლი მეორისა" აღწერილია 1722—1780-იანი წლების ამბები[51]. სამივე ეს ნაწარმოები უაღრესად სანდო საისტორიო წყაროა. საქართველოს ისტორიას იკვლევდნენ დავით და იოანე ბატონიშვილებიც.

---

[47] ლ. ქუთათელაძე, დავით და იოანე ბაგრატიონების ლექსიკოგრაფიული ნაშრომები, 1967; ლ. ქუთათელაძე, იოანე ბაგრატიონის „ქართული ლექსიკონი", 1975.

[48] ე. ბაბუნაშვილი, ანტონ პირველი და ქართული გრამატიკის საკითხები, 1970, გვ. 6—9.

[49] ქართლის ცხოვრება, ტ. II, დ. ჩუბინაშვილის რედ. სპბ., 1854, გვ. 307—342.

[50] ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი, ტ. VIII, ქართული საისტორიო მწერლობა, 1977, გვ. 363; პაპუნა ორბელიანი, ამბავი ქართლისანი. ელ. ცაგარეიშვილის რედ., 1981, გვ. 29—41.

[51] ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 371.

თბილისში შეიქმნა საყურადღებო ლიტერატურულ-საისტორიო წყაროები — იესე ოსეს-ძისა და იოანე ქართველიშვილის მემუარები[52].

ქართველ სწავლულებს აინტერესებდათ უცხო ქვეყნების ისტორიაც. XVIII ს. თბილისში ხელნაწერების სახით ვრცელდებოდა ძველი ქვეყნებისა და ევროპის ისტორიის ნარკვევები (გ. კურასის, რ. ოსტრატოს, შ. როლენის და სხვათა ნაშრომები)[53].

თბილისშივე შეიქმნა ტიმოთე გაბაშვილის ისტორიულ-გეოგრაფიული ხასიათის თხზულება „მიმოსვლა", რომელიც უაღრესად საყურადღებო ცნობებს შეიცავს XVIII ს. შუა წლების მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნების შესახებ[54]. XVIII ს. 70-იან წლებში დავით რექტორმა რუსეთის მთავრობის თხოვნით შეადგინა საქართველოს მეზობელ მხარეთა აღწერა[55]. ჩვენს სიძველეთა საცავებში ინახება XVIII ს. მეორე ნახევრის თბილისში თარგმნილი რამდენიმე გეოგრაფიული თხზულება.

მას შემდეგ. რაც აღმოსავლეთ საქართველო რუსეთის მფარველობაში შევიდა, შეიქმნა რამდენიმე მეტად საყურადღებო იურიდიული ძეგლი — დავით და იოანე ბატონიშვილების საკანონმდებლო პროექტები, რომლებშიაც აირეკლა იმდროინდელი საქართველოს პოლიტიკურ მოღვაწეთა იურიდიული ცოდნის მაღალი დონე[56].

საკმაოდ სრულ წარმოდგენას XVIII ს. მიწურულის თბილისის ქართველი საზოგადოების მეცნიერული ცოდნის მოცულობასა და დონეზე გვიქმნის იოანე ბატონიშვილის ენციკლოპედიური ნაშრომი „კალმასობა", რომელიც XIX ს. პირველ მეოთხედშია შექმნილი. ამ ნაწარმოებში მოცემულია ცნობები ფილოსოფიის, იურისპრუდენციის, თეოლოგიის, მათემატიკის, ფიზიკის, ლოგიკის, გრამატიკის, მეტეოროლოგიის, მითოლოგიის, მეტროლოგიის, ქრონოლოგიის, ისტორიის, ეთიკის, ასტრონომიის, მედიცინის, პოეტიკის, გეოგრაფიის, ჰერალდიკის, ბუნებისმეტყველების, მინერალოგიის, ხელოვნების, მუსიკის, ნავიგაციის, კომერციის და სხვა დარგების შესახებ[57]. დიდი ნაწილი ამ ცნობებისა, როგორც „კალმასობის" ტექსტზე დაკვირვება გვიჩვენებს, კარგად იყო ცნობილი XVIII ს. მიწურულის განათლებული ქართველობისათვის.

---

[52] იესე ბარათაშვილის ცხოვრება-ანდერძი. — მსკი. 1950. ნაკ. 28: იოანე ქართველიშვილის მემუარები. 1952.

[53] საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. IV. 1972. გვ. 785—786.

[54] ტ ი მ ო თ ე გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი, მიმოსვლა. ელ. მეტრეველის რედ., 1956.

[55] ლ. მ ე ლ ი ქ ს ე თ - ბ ე გ ი, საქართველოს მეზობელ მხარეთა აღწერა XVIII საუკუნის მეორე ნახევრისა, როგორც მასალა ამიერკავკასიის სოსტორიო გეოგრაფიისათვის. 1936.

[56] ი ო ა ნ ე ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი, სჯულდება. 1957: სამოქალაქო სჯულკოლება. დ. ფურცელაძის რედ., 1966; სამართალი ბატონისშვილის დავითისა. დ. ფურცელაძის რედ., 1964.

[57] ი ო ა ნ ე ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი, კალმასობა. ალ. ბარამიძისა და კ. კეკელიძის რედ., ტ. I. 1936; ტ. II, 1948.

საგარეო კულტურულ-სამეცნიერო კონტაქტები

როგორც ზემოთ აღინიშნა, XVIII ს. 40-იანი წლებიდან საქართველოს კულტურულ ცხოვრებაში აშკარად გამოიკვეთა მიბრუნება ევროპული სამყაროსაკენ. ევროპის მიღწევების გაცნობას ქართველები საქართველოშივე მყოფი ევროპელების ან პეტერბურგისა და მოსკოვის ქართული კოლონიების საშუალებით ახერხებდნენ.

XVIII ს. თბილისში აქტიურად მოღვაწეობდნენ ევროპელი კათოლიკე მისიონერები, რომლებიც კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობასაც ეწეოდნენ[58]. ევროპელი საერო პირები თბილისში მეტწილად რუსეთის გზით მოდიოდნენ. 1768—1774 წლებში რუსეთის მთავრობის დავალებით, სამხედრო-ეკონომიკური დაზვერვის მიზნით, პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიამ მოაწყო სამეცნიერო ექსპედიცია საქართველოსა და ამიერკავკასიაში[59]. ამ ექსპედიციის ერთ-ერთი წევრი ი. გიულდენშტედტი 1771—1772 წლებში საქართველოში იმყოფებოდა. მას მეცნიერული კონტაქტები ჰქონდა ქართველ სწავლულებთან[60].

1774—1783 წწ. თბილისში იმყოფებოდა რუსეთის პოლიტიკური წარმომადგენელი, გერმანელი (ავსტრიიდან) იაკობ რაინეგსი, რომელმაც მნიშვნელოვანი კვალი დატოვა თბილისის სამეცნიერო-საგანმანათლებლო ცხოვრებაში. რაინეგსი გერმანულ ენას ასწავლიდა პატრების სკოლაში. მან თბილისში გახსნა სამედიცინო სასწავლებელი და ე. წ. საბატონიშვილო სკოლა. იგი ქართველ სამხედრო პირებს ასწავლიდა საარტილერიო საქმეს და იყო დავით ბატონიშვილის ერთ-ერთი მასწავლებელიც[61].

80-იან წლებში დავით ბატონიშვილის მასწავლებლად რუსეთიდან მოწვეული იყო გერმანელი (ავსტრიიდან) გეტინგი; იგი, როგორც ჩანს, იოანე ბატონიშვილსაც ასწავლიდა[62].

„ევროპეიზაციის" ერეკლესეული პოლიტიკისათვის განსაკუთრებით დამახასიათებელია 1781 წ. ერეკლე II-ისა და ი. რაინეგსის მიერ ცნო-

---

[58] აპ. რ ო გ ა ვ ა, დასახ. ნაშრომი, გვ. 75—76.

[59] П о л и е в к т о в М. А. Европейские путешественники XIII—XVIII вв. по Кавказу, 1935, с. 122; В а т е й ш в и л и Дж. Из истории грузино-русского научного и культурного сотрудничества в XVIII в., с. 72. — მაცნე, ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის სერია, 1975, №4; გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, თარგმანი გ. გელაშვილისა, ტ. I, 1962, გვ. 010.

[60] მ. ჰ ო ლ ი ე ვ ქ ტ ო ვ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 12; გიულდენშტედტის მოგზაურობა, ტ. I, გვ. 024.

[61] ზ. ჭ ი ჭ ი ნ ა ძ ე, გერმანელი დოქტორი იაკობ რაინეგსი, გვ. 9.

[62] გ. დ ე დ ა ბ რ ი შ ვ ი ლ ი, იოანე ბატონიშვილის „ყალმასობის" ფილოსოფიური ნაწილის გამოკვლევა და ლექსიკონი, გვ. 5. — ქართული ფილოსოფიური აზრის ნარკვევები, IV, 1974.

ბილი ავსტრიელი კამერალისტის (სახელმწიფო მეურნეობის მართვის სპეციალისტის) იოზეფ ზონენფელსის (1733—1817 წწ.) ნაშრომის „საპოლიციო, სავაჭრო და საფინანსო მეცნიერების საფუძვლების“ ნაწილის თარგმნა, რომელიც დაიბეჭდა თბილისის სტამბაში. ზონენფელსი განათლებული აბსოლუტიზმისა და მერკანტილიზმის მქადაგებელი იყო. მას საჭიროდ მიაჩნდა ბატონყმობის გაუქმება, ფეოდალური პრივილეგიების მოსპობა, სახელმწიფო მიწების გლეხებისათვის დანაწილება, მრეწველობის განვითარებისათვის ხელის შეწყობა, სახელმწიფო საბაჟოების დაწესება, მოსახლეობის გამრავლებაზე ზრუნვა, დაუმუშავებელი მიწების ათვისება, განათლების განვითარება, სასტიკი სასჯელების გაუქმება და ა. შ.[63] ერთი ცნობით, ერეკლე II-ს განზრახული ჰქონია ზონენფელსის მოძღვრების, ნაწილობრივ მაინც, პრაქტიკულად განხორციელება[64]. ეს ფაქტი ნათლად გვიჩვენებს იმ იდეურ-პოლიტიკურ სიტუაციას, რომელიც XVIII ს. 80-იანი წლების თბილისში არსებობდა.

ქართველები დიდ ინტერესს იჩენდნენ ამ დროისათვის მოწინავე ევროპული კულტურის, მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევებისადმი. 1783 წ. ძმები მონგოლფიების საჰაერო ბურთით გაფრენამ საქართველოში ისეთი დაინტერესება გამოიწვია, რომ 1785 წ. ერეკლე II-ის დაკვეთით ითარგმნა ამ გაფრენის შესახებ ვენეციაში გამოსული წიგნი[65].

ქართული საზოგადოებრივი აზრის განვითარების თვალსაზრისით, განსაკუთრებით საყურადღებოა ის ფაქტი, რომ XVIII ს. მიწურულს განათლებულ საზოგადოებაში ცნობილი და პოპულარული გახდა ფრანგ განმანათლებელთა იდეები. ამას ძირითადად ხელი შეუწყო იმ დროს თბილისში პარიზის აკადემიის ენციკლოპედიის გამოჩენამ, რომელშიც თავმოყრილი იყო ფრანგ განმანათლებელთა ნააზრევი[66]. განმანათლებელთა იდეები, კერძოდ, მონტესკიეს შეხედულებანი სახელმწიფო მმართველობასა და განათლებულ აბსოლუტიზმზე, ასახული იყო ალექსანდრე ამილახვრის სოციალურ-პოლიტიკურ ტრაქტატში „ბრძენი აღმოსავლეთისა“ (დაიწერა დაახლ. 1780 წ.)[67]. მაშინდელ ევროპაში განათლებული აბსოლუტიზმის მომხრე სწავლულები სპეციალურ ნაშრომებს — „ხელ-

---

[63] შ. რ ე ვ ი შ ვ ი ლ ი, მეფე ერეკლე და ზონენფელსი. — ეურნ. განთიადი, 1976, №2 გვ. 155—156.

[64] ზ. ჯ ი ჯ ი ნ ა ძ ე, გერმანელი დოქტორი იაკობ რაინეგსი..., გვ. 9; შ. რ ე ვ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 157.

[65] გ. ქ ი ქ ო ძ ე, ერეკლე მეორე, 1941, გვ. 113.

[66] ტ. რ უ ხ ა ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 24.

[67] პ. გ ე ლ ე ი შ ვ ი ლ ი, მე-18 ს. საქართველოს ლიტერატურის მემკვიდრეობიდან. ალ. ამილახვარი, როგორც პოლიტიკური მოღვაწე, მწერალი და მოაზროვნე, 1936; გ. ა კ ო ფ ა შ ვ ი ლ ი, XVIII ს. საქართველოს პოლიტიკური აზროვნების ისტორიიდან. — ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის შრომები, I, 1955; ლ. ა ს ა თ ი ა ნ ი, ვოლტერიანობა საქართველოში, 1933.

მწიფეთა სახელმძღვანელოებს“ ქმნიდნენ მონარქებისათვის. სწორედ ასეთი „სახელმძღვანელო ხელმწიფისათვის“ იყო სოლომონ I-ისადმი მიძღვნილი „ბრძენი აღმოსავლეთისა“.

რუსეთიდან დაბრუნებულმა დავით ბატონიშვილმა თბილისში ჩამოიტანა და თავის ოთახში დაჰკიდა ვოლტერის სურათი. დავითი ვოლტერის ნაწერების გავლენით საეკლესიო წესების შესრულებას გაურბოდა. როცა გიორგი XII-მ მას ვოლტერის იდეების უარყოფა უბრძანა, დავითმა უარით უპასუხა. მაშინ განრისხებულმა მეფემ მსახურები გაგზავნა და ვოლტერის სურათი ცეცხლში დააწვევინა[68]. „ვოლტერის მოწაფედ“ იხსენიება თელავის სემინარიაში გაზრდილი დავით ესტატეს ძე ციციშვილი[69].

ყოველივე ზემოთქმული იმის დამადასტურებელია, რომ XVIII ს. მეორე ნახევრის თბილისის ქართველი მოსახლეობის იდეურ-კულტურული ორიენტაცია ევროპისაკენ იყო მიმართული. ამის გამო დღითიდღე უფრო ღრმავდებოდა ის წინააღმდეგობა, რაც საქართველოსა და მის მეზობელ მაჰმადიანურ სამყაროს შორის არსებობდა როგორც პოლიტიკურ, ისე კულტურულ-იდეოლოგიურ სფეროში. თბილისის იდეურ-პოლიტიკური სიტუაცია გადამწყვეტ გავლენას ახდენდა მთელ საქართველოზე. სწორედ ეს იყო ერთ-ერთი იმ ძირითადი ფაქტორთაგანი, რამაც საქართველოს შემდგომი ბედი განაპირობა.

ლიტერატურა

ლიტერატურული საქმიანობა თბილისში კვლავ გამოცოცხლდა XVIII ს. 50-იანი წლებიდან, როცა ქართლ-კახეთის სახელმწიფო ირანის ხელქვეითობიდან გამოვიდა და ქალაქში შემოქმედებითი საქმიანობის პირობები და განწყობილება გაჩნდა. ცნობილია, თუ რა დიდი ენთუზიაზმი გამოიწვია ქართლისა და კახეთის ტახტზე ქრისტიანი მეფეების ასვლამ. მწერლობა, განსაკუთრებით პოეზია, ერთბაშად გამოცოცხლდა. მელექსეობა მოდად იქცა. ძველი თბილისის ლიტერატურის მკვლევარს ი. გრიშაშვილს XVIII—XIX სს. მიჯნის თბილისში ლიტერატურის სარბიელზე მოღვაწე 50-მდე პირი ჰყავს დაძებნილი. მისი სიტყვით: „ეს მწერლები, რომლებიც ლექსაობდნენ მეთვრამეტე საუკუნის დასასრულში და მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისს, გადარეულნი იყვნენ ანბანთაქებით, მუხამბაზებით და მაჯამებით“, მაგრამ მათი ნაწერები დაბალხარისხოვანი და ერთიმეორის მსგავსი იყო[70]. XVIII ს. მეორე ნახევრის თბილისი პოეტთა ქალაქი იყო, მაგრამ იმდროინდელი პოეზია, იშვიათ გამონაკლისს გარდა, მაღალი მხატვრული დონით არ გამოირჩეოდა.

---

[68] ლ. ასათიანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 64—65, 67.
[69] იქვე, გვ. 79.
[70] ი. გრიშაშვილი, საიათნოვა, 1938, გვ. 26.

XVIII ს. მეორე ნახევრის ქართლ-კახეთში მკაცრი სასულიერო ცენზურა არსებობდა, მაგრამ იგი ძირითადად ნაბეჭდ პროდუქციაზე ახდენდა გავლენას. ამავე ეპოქისათვის დამახასიათებელია აგრეთვე ბრძოლა ე. წ. „მაღალი სტილის“ დამკვიდრებისათვის. საქართველოში საერო მწერლობის ტრადიციები ისე ძლიერი იყო (ეს მწერლობა ხალხისათვის გასაგებ ენას იყენებდა), განსაკუთრებით სულხან-საბა ორბელიანისა და ვახტანგ VI-ის ლიტერატურული სკოლის მოღვაწეობის შემდეგ (ამ სკოლიდან გამოვიდა დავით გურამიშვილი), რომ „მაღალი სტილი“ — „ძველი ქართულის თავისებური სუროგატი — ენა დაღვლარჭნილი, რთულ წინადადებათა მოტრფიალე, მიმღეობებით მდიდარი, ზმნებით ღარიბი, გასაგებად ძნელი“[71], ძირითადად მხოლოდ სასულიერო მწერლობაში დამკვიდრდა; საერო მწერლობაზე მისი გავლენა მეტად უმნიშვნელო იყო, თუმცა ცალკეული მიმდევრები „მაღალ სტილს“ აქაც გაუჩნდა. მის დიდ გავლენას განიცდიდა ბესარიონ გაბაშვილი (ბესიკი). თბილისში მოღვაწე საერო მწერალთა შემოქმედებაზე „მაღალი სტილის“ გავლენა დიდად შეამცირა ქალაქის მოსახლეობის ეროვნულმა, სარწმუნოებრივმა და სოციალურმა სიჭრელემ, ქალაქური ქართული ხალხურ-ენოვანი ფოლკლორის ძლიერებამ. ასეთ ვითარებაში პოპულარული ვერ გახდა და ხელნაწერ ფოლიანტებში იკარგებოდა დრომოჭმული ფორმითა და არქაიზებული სტილით შექმნილი თხზულებანი.

დრომოჭმული სტილით წერდნენ სახოტბო ლექსებს, წმინდანთა, მეფეთა და უფლისწულთა მაღალფარდოვან შესხმებს დავით რექტორი, ამბროსი წილკნელი და სხვანი, ძირითადად სასულიერო პირები[72].

იმდროინდელ თბილისში ფართოდ გაშლილ საერო ლიტერატურულ შემოქმედებას აღმოსავლური, ძირითადად ირანული გავლენის დაღი ესვა. გავრცელებული იყო სპარსული, კლასიკური ხანისა თუ თანადროული, სიუჟეტები, ლექსის ფორმები (მუხამბაზი, მუსტაზადი და სხვ.), ოსმალური ბაიათი[73]. მაშინდელ ქართველებს „ამგვარი ლექსები უწერიათ სპარსულის და ოსმალურის სიმღერების ხმის მიხედვით და ამის გამო იმ ლექსებსაც სამღერელ სახელებით იხსენიებდნენ“[74]. გ. ლეონიძემ სწორად შენიშნა, რომ ბესიკის ლირიკული ლექსები სიმღერები იყო. იოანე ბატონიშვილის სიტყვითაც ეს ლექსები იყო „სიმღერის ლექსები“, „სპარსთა ხმასა ზედა სამღერელი ქართულისა ენითა“[75]. მისივე სიტყვით,

---

[71] ა. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, ახალი სალიტერატურო ქართული ენის წარმოქმნისათვის. — ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. I, 1950, გვ. 021.

[72] ლ. მ ე ნ ა ბ დ ე , ძველი ქართული მწერლობის კერები. ტ. I. ნაკვეთი I. 1961, გვ. 166.

[73] ქართული პოეტიკის ქრესტომათია. გ. მიქაძის რედ., 1954. გვ. 144—145.

[74] იქვე, გვ. 149.

[75] ი ო ა ნ ე ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი, კალმასობა. კ. კეკელიძისა და ალ. ბარამიძის რედ., ტ. II, 1948, გვ. 204.

ერეკლე II-ის დროს თბილისში „გახშირდა სპარსთა ხმების საკრავნი და სიმღერანი და ამის მიბაძვით ეცადნენ რაოდენნიმე გვამნი და გააკეთეს ქართულის ლექსებით ხმასა ზედა სპარსთასა და დაუკრევდიან ჩონგურთა და სხვათა საკრავთა ზედა და დაემღერებოდიან, ხოლო პირველ შემომღებნი ამა ხმისანი ქართულად იყვნენ სომეხთა მოსაკრავენი", ხოლო შემდეგ მათ ქართველებმაც მიჰბაძეს[76]. რაკი ლექსები ამა თუ იმ სპარსულ კილოზე სასიმღეროდ იქმნებოდა, მათ ხშირად სათანადო განმარტებასაც ურთავდნენ: „თეჯლისი", „რასტის გუშა", „გულ ჰამანუმ — ჯამანუმის ხმა", „სანსან სანისის ხმა" და ა. შ. ასე წერდნენ არა მარტო საიათნოვა ან ბესიკი (ნაწილობრივ), არამედ ბატონიშვილები თუ სხვა წარჩინებულნიც, მაგ. ლევან ბატონიშვილს დაუწერია ლექსი „თახმისის ხმაზე", მის დას — მარიამს — „თურქთა ხმასა ზედა სათქმელი მუხამბაზი"[77], ქეთევან ბატონიშვილს — „გაფი დუგაში სათქმელი"[78] და სხვა. სპარსულ კილოებზე შეთხზული ლექსების დიდ პოპულარობაზე მიგვითითებს იოანე ბატონიშვილის მოწმობა — იოანე მათ „საამო ხმებს და ლექსებს" უწოდებს[79]. მუსიკა, რომლის თანხლებითაც ამ ლექსებს მღეროდნენ, „სპარსულ-არაბულ-ქართული" იყო[80].

აღმოსავლური გავლენის შედეგი იყო XVIII ს. მეორე ნახევრის თბილისში ე. წ. აშუღური პოეზიის გაფურჩქვნა. სასიმღეროდ შეთხზული აშუღური ლექსები ძირითადად ზეპირად ვრცელდებოდა, მაგრამ წერილობითი კრებულების სახითაც შემოინახა. თბილისელი აშუღები ჩვეულებრივ რამდენიმე ენაზე წერდნენ და მღეროდნენ[81].

თბილისში დროდადრო იმართებოდა აშუღთა შეკრებანი, რომელშიც ადგილობრივ აშუღებთან ერთად ამიერკავკასიის სხვა ქალაქებიდან ჩამოსული აშუღებიც მონაწილეობდნენ. „აშუღებმა ქართულ მწერლობაში შემოიტანეს თბილისის ვაჭარ-ხელოსნური წრეების ენობრივი ჟარგონი, ბაზრების, საწვრილმანოებისა და მოედნების ლექსიკა, ვაჭარ-ხელოსანთა ქალაქური პროფესიული ტერმინოლოგია"[82]. თბილისელ აშუღთა შემოქმედებაში „არეულია არაბულ-სპარსული, ქართულ-სომხური ხმათა კი-

---

[76] ი ო ა ნ ე ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი, კალმასობა, კ. კეკელიძისა და ალ. ბარამიძის რედ., ტ. I, 1936, გვ. 296.

[77] ლ. ა ს ა თ ი ა ნ ი, ძველი საქართველოს პოეტი ქალები. 1936, გვ. 197.

[78] იქვე, გვ. 238.

[79] ი. ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი, კალმასობა, ტ. I, გვ. 300.

[80] დ. ა რ ა ყ ი შ ვ ი ლ ი, ქართული ხალხური მუსიკა, გვ. 242. — ეურნ. „კავკასიონი", 3—4, 1924.

[81] კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, ალ. ბ ა რ ა მ ი ძ ე, ძველი ქართული ლიტერატურა, ტ. I, 1954, გვ. 470 (ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I).

[82] იქვე, გვ. 469.

ლოვნება", რის გამოც, როგორც სამართლიანად შენიშნა ი. გრიშაშვილმა, „აშუღები ქართველთა სიამაყენი არასოდეს არ იქნებიან"[83].

იმავე დროს თბილისში არსებობდა ეროვნული, ქართული ხალხური პოეზიაც, ტრადიციული ლექსთწყობითა და ხალხური სიმღერის კილოსთან შეხამებული...[84] უცხოური კილოები ქალაქის ვაჭრულ ფენას, „აღებ-მიცემის" კაცებს ემსახურებოდა, ნაწილობრივ ქართული არისტოკრატიის ზოგ წრესაც, ხალხური კილო კი ქალაქის მდაბიო მოსახლეობას[85].

XVIII ს. მიწურულის თბილისის ლიტერატურული იერისათვის დამახასიათებელი იყო მეტად მნიშვნელოვანი სიახლე — ევროპული გავლენის შემოჭრა[86]. რუსეთთან გაცხოველებულ პოლიტიკურ კონტაქტებს გაცხოველებული კულტურული კონტაქტებიც მოჰყვა. ქართველები ევროპის ცივილიზაციის მიღწევებს რუსეთის გზით ეცნობოდნენ, ამის გამო რუსულის გავლენა დაეტყო ქართულ სალიტერატურო ენას და ლიტერატურულ თემატიკასა და ჟანრებსაც[87]. რუსულიდან ითარგმნებოდა როგორც ევროპელ, ისე რუს მწერალთა ნაწარმოებები. დავით ჩოლოყაშვილმა თარგმნა რასინის ტრაგედია „იფიგენია"[88], გიორგი ავალიშვილმა — ა. პ. სუმაროკოვის პიესები: „რქის მატარებელი მამაკაცი", „დედა რაყიფი ქალისა", „საჩხუბარი" და „მკვდართა უბნობა"; უცნობმა პირმა — სუმაროკოვის „ცრუ-დიმიტრი"[89]. გ. ავალიშვილსვე უთარგმნია მ. შ. ხერასკოვის დრამატული ტრილოგია ანტიკურ თემებზე[90], აგრეთვე ერაზმ როტერდამელის ოთხი ნაწარმოები[91]. ერეკლე II-ის დროს ითარგმნა ჟან-ფრანსუა მარმონტელის „ელისარიონი"[92]. თბილისელთათვის ცნობილი ხდებოდა რუსეთში მცხოვრებ ქართველთა მიერ თარგმნილი ისეთი ნაწარმოებები, როგორიც იყო მონტესკიესა და ვოლტერის თხზულებანი და ა. შ.

რაკი საერო მწერლობის ნიმუშები სტამბური წესით იშვიათად გამოიცემოდა, ისინი ძირითადად ხელნაწერი სახითა და ზეპირად ვრცელდებოდნენ. პოეტური ნაწარმოებების ნაწილი ექსპრომტად ითქმებოდა არისტოკრატთა თუ /საშუალო ფენების თავშეყრა-მეჯლისების დროს.

---

[83] ი. გ რ ი შ ა შ ვ ი ლ ი . საიათნოვა, 1938, გვ. 9.

[84] გ. ლ ე ო ნ ი ძ ე . ბესიკი, 1953, გვ. 74 (ა. ცაგარელის წერილიდან).

[85] იქვე.

[86] კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე , ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, 1941, გვ. 62.

[87] იქვე, გვ. 71.

[88] ტ. რ უ ხ ა ძ ე , ძველი ქართული თეატრი და დრამატურგია, 1949, გვ. 169.

[89] იქვე, გვ. 211.

[90] იქვე, გვ. 310.

[91] ტ. რ უ ხ ა ძ ე , ქართულ-რუსული ლიტერატურული ურთიერთობიდან, 1960, გვ. 339.

[92] იქვე, გვ. 243.

ასეთ თავყრილობებზე გავრცელებული იყო ეპიგრამების, ზმებისა და პოეტური გაპაექრების ჟანრები.

ასე რთული და მრავალფეროვანი იყო XVIII ს. მეორე ნახევრის თბილისის ლიტერატურული ცხოვრება.

იმდროინდელ თბილისში მოღვაწე საერო მწერალთაგან შემოქმედების თემატიკითა და დონით მკვეთრად გამოირჩევა ორი პოეტი — ბესარიონ გაბაშვილი (ბესიკი, 1750 — 1791, თბილისში მოღვაწეობდა 1778 წლამდე) და არუთინ საიათნოვა (გარდაიცვალა 1801წ.)[93].

რთული და მძიმე იყო დაქვეითებული ძირძველი არისტოკრატიული გვარის შვილის, თავისი დროისათვის დიდად განათლებული პიროვნების ბესარიონ გაბაშვილის ცხოვრების გზა. თანამედროვის სიტყვით იგი იყო „ცოდნით შენასრული", „მეცნიერებათა შინა გამოცდილი", შესანიშნავი მოქართულე, იცნობდა ანტიკურ და ახალ ევროპულ ლიტერატურას (ლესაჟი, მარმონტელი,...)[94], იცოდა სპარსული და თურქული ენები, შემდეგ რუსულიც შეისწავლა. ანტიკურ მწერალთაგან მის ნაწარმოებებში იხსენიებიან: არისტოტელე, პლატონი, პროკლე, დიოგენი, ჰომეროსი... უკვე ახალგაზრდობაში ბესიკი ცნობილი გახდა როგორც შესანიშნავი პოეტი, დამკვრელი და მომღერალი. იოანე ბატონიშვილის სიტყვით, „ბესარიონ გაბაშვილი იყო... უცხო პიიტიკოს-მოშაირე, მსგავსი რუსთაველისა, რომელმაც მრავალნი საამო შაირნი დასწერა სპარსთა ხმათა ზედა სამღერელი ქართულითა ენითა და აგრეთვე სხვანიცა ლექსნი"[95]. ბესიკი თბილისელთა საერთო სიყვარული იყო. მას ერთნაირი წარმატება ჰქონდა როგორც არისტოკრატიულ წრეებში (თვით მეფის კარზე), ისე მდაბიო ფენებშიაც. „მელექსეთბაშად" აღიარებული პოეტი მუდამ ეკონომიურ სივიწროვეს განიცდიდა და ზოგჯერ იძულებული იყო მდიდარ თბილისელთა ლხინში დაქირავებული მომღერლის როლში გამოსულიყო. მისი პოლიტიკური და პოეტური მეტოქე დიდი მოხელე ჭაბუა ორბელიანი ბესიკს დასცინოდა, რომ იგი „დაჰყავთ მუდამ ქირით"[96]. 1777 წ. პოლიტიკურ საფუძველზე მეფესთან დაპირისპირების გამო ბესიკი იძულებული გახდა თბილისი მიეტოვებინა და იმერეთს გადახვეწილიყო. შემდეგ იგი იმერეთის მეფის დიპლომატიურ დავალებებს ასრულებდა, იასაში გარდაიცვალა და იქვეა დამარხული.

ბესიკის ლიტერატურული შემოქმედება მრავალფეროვანია. მიუხედავად იმისა, რომ ხარკს უხდიდა ანტონ კათალიკოსისეულ „მაღალ სტილს", ბესიკი, როგორც ბრწყინვალე ლირიკოსი, რითმის ჯადოქარი,

---

[93] საიათნოვას გარდაცვალების თარიღის შესახებ იხ. ი. ბატონიშვილი, კალმასობა, I, გვ. 223—227; ლ. მ ე ლ ი ქ ს ე თ-ბ ე გ ი, საიათნოვა, 1930, გვ. 138.

[94] გ. ლ ე ო ნ ი ძ ე, ბესიკი, 1953, გვ. 6—7.

[95] ი. ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი, კალმასობა, II, 1948, გვ. 204.

[96] გ. ლ ე ო ნ ი ძ ე, ბესიკი, გვ. 52.

ლექსის ოსტატი, უაღრესად პოპულარული იყო. მის პოეზიას დიდად აჩნდა აღმოსავლური გავლენა — იგი ლექსებს მეტწილად მუხამბაზისა და მუსტაზადის ფორმით წერდა. ბესიკისთვის დამახასიათებელი იყო ლექსის გარეგანი ფორმით გატაცება[97], მისი ლექსები უაღრესად მუსიკალურია (სასიმღერო) და რიტმული. მრავალფეროვანია ლექსის ფორმებიც. „ქართული წყობილსიტყვაობის გამდიდრების საქმეში მას ისეთი ღვაწლი მიუძღვის, როგორც არცერთს ქართველ მგოსანს, გარდა დავით გურამიშვილისა"[98]; იგი წერდა ანბანთაქებებს, მაჯამებს, ოდებს, ზმებს, საგმირო-საისტორიო პოემებს, ელეგიებს, სატირებს („ლათაია") და ა. შ. მხატვრული თვალსაზრისით მისი შემოქმედება ზოგჯერ წინააღმდეგობრივია — ტექნიკას (ბრწყინვალე ალიტერაცია, თითქმის მუსიკასთან მიახლოებული რიტმი...) მსხვერპლად ეწირება აზრი, შინაარსი.

ბრწყინვალეა ბესიკის სატრფიალო ლირიკა; სატრფოსადმი მიძღვნილი მისი ლექსები, შინაგანი რითმებითა და მეღერადი ალიტერაციით შემკული უმაღლესი პოეტური ოსტატობის ნიმუშებია:

„ტანო ტატანო, გულწამტანო, უცხოდ მარებო,
ზილფო კავებო, მომკლავებო, ვერ საკარებო,
წარბ-წამწამ-თვალნო, მისათვალნო, შემაზარებო,
ძოწ-ლალ-ბაგეო. დამდაგეო, სულთ-წამარებო,
პირო მთვარეო, მომიგონე მზისა დარებო".

(„ტანო ტატანო").

ასევე სიტყვებში განხორციელებული მუსიკაა „სევდის ბაღს შეველ", „მუხამბაზი" და მრავალი სხვა ლექსი.

„ბესიკის პოეზია მუსიკიდან გამომდინარეობს, ბესიკი სმენის ოსტატია, მისი პოეტური პრინციპი მუსიკაა"[99]. ამიტომაა, რომ თანამედროვენი დიდად აფასებდნენ ბესიკს როგორც მომღერალს, „ტკბილხმოვანს"[100].

მან შექმნა რამდენიმე ტრაგიზმით აღსავსე ელეგია, პატრიოტული და ისტორიული პოემა. უკანასკნელ შემთხვევაში იგი სათანადო ეროვნულ ტრადიციულ ფორმას — 16-მარცვლოვან შაირს იყენებდა. პოემაში „ასპინძისათვის" ბესიკმა ქება შეასხა ასპინძის ბრძოლის გმირს, თავის მეგობარს, დავით სარდალს (ორბელიანს). მაღალი ოსტატობითაა შექმნილი ისტორიულ-პატრიოტული პოემა „რუხის ბრძოლა", რომელშიაც პატრიოტული მგზნებარებითაა შექებული რუხის ბრძოლის (1779 წ.)

---

[97] კ. კეკელიძე, ა. ბარამიძე. ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, 1954, გვ. 493.

[98] ბესიკი, ს. გორგაძის რედ., 1912, გვ. XVIII.

[99] გ. ლეონიძე, ბესიკი, 1953, გვ. 4.

[100] იქვე.

გმირები, პროთურქული კოალიციის წინააღმდეგ თავდადებით მებრძოლი ქართველი მეომრები.

ლაღი, ხალასი იუმორითაა აღსავსე ბესიკის სატირულ-იუმორისტული პოემა „რძალ-დედამთილიანი", რომელშიაც ხალხური პოეზიის ტრადიციული ხერხებითაა აღწერილი თბილისის ქალაქური ყოფის გროტესკული სურათი.

არუთინ საიათნოვა (1712?—1801 წწ.) თბილისში დაიბადა და აღიზარდა. ვახუშტი ბაგრატიონის სიტყვით, თბილისელი სომხები, რომლებიც ქართველებთან ერთად ციხის გარეთ, ქალაქში ცხოვრობდნენ, იყვნენ „ქცევა-ზნითა ქართულითა"[101]. თბილისელ სომეხთა სალაპარაკო ენა, ჩვეულებრივ, ქართული იყო; მათი უმრავლესობა სომხურს სუსტად ფლობდა[102]. ამან სათანადო ელფერი მისცა საიათნოვას შემოქმედებას: საიათნოვა ლექსებს წერდა ქართულ, სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე[103].

საიათნოვა ჯერ ერეკლე II-ის, შემდეგ კი გიორგი ბატონიშვილის ყმა იყო. ახალგაზრდა ხელოსანი, რომელსაც პოეტის, მუსიკოსის და მომღერლის ხალასი ნიჭი ჰქონდა მომადლებული, ამ ნიჭის წყალობით ადრე გახდა ცნობილი და დაწინაურდა როგორც (მისივე სიტყვით) მეფის კარის „ხუმარი" და „მეფის საზანდარი". იოანე ბატონიშვილს საიათნოვას ნაამბობი ჩაუწერია 1800 წელს: „მე ვიცოდი ჩონგური კარგად და ამასთან სპარსულ ხმებზედ გავაკეთე... მეფემან ირაკლი ინება მეჯლიში და მიგვიყვანეს მესაკრავენი. მაშინ მე სპარსულის ხმით ქართულად ვიმღერე, ბატონს დიდად ეამა და ხალათიც მიბოძა და მერეთ სხვათაც მრავალთა თქვეს და მომბაძეს"[104].

აშუღი საიათნოვა აქტიურად მონაწილეობდა თბილისის საზოგადოებრივ თუ კულტურულ ცხოვრებაში. თავისუფლად მოაზროვნე პოეტი დაუპირისპირდა სომხურ კლერიკალურ წრეებს (როგორც ჩანს, ასე უნდა გავიგოთ პლ. იოსელიანის ცნობა)[105]. მათი დაჟინებით მოხუცი საიათნოვა იძულებული გამხდარა „ცოდვათა მოსანანიებლად" ბერად აღკვეცილიყო და თავისი სიცოცხლე ახპატის მონასტერში დაემთავრებინა.

---

[101] ვ ა ხ უ შ ტ ი, ქართლის ცხოვრება, IV, 1973, გვ. 338.

[102] К а н д е е в И. К., Очерки закавказской жизни, т. I, СПб, 1902, с. 99.

[103] ი. გ რ ი შ ა შ ვ ი ლ ი, საიათნოვა, 1918, გვ. 42. საიათნოვა თხზავდა თბილისის არაქართულ მოსახლეობაში გავრცელებულ თავისებურ კილოზე, რომელშიაც ქართული შეზავებული იყო აღმოსავლური ენების ლექსიკითა და ნაწილობრივ მათივე სინტაქსური წყობითაც ხასიათდებოდა. ამის გამო საიათნოვას ლექს-სიმღერების გავრცელების არე თბილისით შემოიფარგლა. საიათნოვას ქართული სიმღერების გამომცემელმა ი. გრიშაშვილმა ამ სიმღერებს „ზედმეტი ხორკლები მოაცილა" და მათი ენა ქართულ სალიტერატურო ენას დაუახლოვა (იქვე, გვ. 45).

[104] ი. ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი, კალმასობა, I, გვ. 227.

[105] პ. ი ო ს ე ლ ი ა ნ ი, ცხოვრება მეფე გიორგი მეცამეტისა, 1978, გვ. 256.

საიათნოვა იყო ბრწყინვალე ლირიკოსი, მუხამბაზის უბადლო ოსტატი, ქალაქის დაბალი ფენების ფიქრთა მესაიდუმლე. იგი მღეროდა:

„დამეხსენი, ავკაცობა არ მინდა,
ქვეყანაზე გაფენობა არ მინდა...
ერთგული ვარ, ორგულობა არ მინდა,
მე გლეხი ვარ, თავადობა არ მინდა“[106].

ეკლესიისადმი თავისი დამოკიდებულება ბერად შემდგარმა საიათნოვამ ასე გამოხატა:

„შე საწყალო ჩემო თავო, რა იქენ?
ქვეყანაში სასაცილო შაიქენ,
საითაც გაიქეც, იქითაც წაიქეც,
ბოლოს დროსა ბედოვლათიც შაიქენ.
ბრინჯი ვიყავ, ქერობა რად მინდოდა?
ქორი ვიყავ, ძერობა რად მინდოდა?
ერი ვიყავ, მღვდელობა რად მინდოდა?
მოდი მითხარ, ბერობა რად მინდოდა?“[107]

საიათნოვას პოეტური ბუნება მშვენივრად ჩანს იოანე ხელაშვილთან 1800 წელს მის საუბარში. იოანეს რჩევაზე — თუ ბერი ხარ, საკრავებზე ხელი უნდა აიღოო, საიათნოვას უპასუხია: „ვინემ ეს სიმები ამ ჩონგურს ასხია და არ დაუწყდება, ხელს არ ავიღებ, ამისთვის, რომ ოდეს მაკურთხეს, ეს სიმები უბეში დამრჩომოდა და ესეც ჩემთან ეკურთხა და ამ ნაკურთხს სიმებზედ ვუკრავ ხმებს“[108].

თანამედროვეთა მოწმობით, საიათნოვა ისე დიდი პოეტი არ იყო, როგორც იმპროვიზატორ-შემსრულებელი, დამკვრელი და მომღერალი. აშულთა შეჯიბრში იგი ყოველთვის გამარჯვებული გამოდიოდა[109]. არსებობს ცნობა, რომ საიათნოვამ სომხურად თარგმნა ბესიკის რამდენიმე ლექსი[110].

საიათნოვას ხალასმა პოეტურმა ნიჭმა, პირუთვნელობამ და დემოკრატიულმა სულმა მას თბილისელთა შორის დიდი ავტორიტეტი მოუპოვა. დიდად აფასებდა მას მაღალი საზოგადოებაც. თეიმურაზ ბატონიშვილის სიტყვით, საიათნოვას ლექსები „აზრიანი და შესაბამიერია; თუმცა ლიტონი სტიხებია მდაბიურს გვარზე, მაგრამ დიდად მოსაწო-

---

[106] ი. გრიშაშვილი. საიათნოვა. 1918, გვ. 116.
[107] იქვე, გვ. 107.
[108] ი. ბატონიშვილი, კალმასობა. I, გვ. 227.
[109] ი. გრიშაშვილი. საიათნოვა, 1918, გვ. 11 და 47.
[110] გ. ლეონიძე. ბესიკი. 1953, გვ. 53.

ნია"[111]. საიათნოვას მუხამბაზების-ზემოქმედებითი ძალა ისეთი იყო, რომ მან განაპირობა მუხამბაზის დიდი პოპულარობა.

XVIII ს. მეორე ნახევრის თბილისში მოღვაწე სხვა მწერალთაგან აღსანიშნავია დავით ორბელიანი, რომელმაც შეთხზა ფართოდ გავრცელებული სიმღერა „პირზედ გაქვს ხალი" და სხვა ლექსები[112], პოეტი ქალი მანანა, მზეჭაბუკ ორბელიანი, „კატის ომის" მთხზველი ისაკ მცირე, სატირული ლექსებისა და მუხამბაზების მთხზველი დავით რექტორი (ალექსიშვილი), „მოსტიხენი": დავით ჩოლოყაშვილი, პეტრე ლარაძე, იოსებ გაბაშვილი, ბარძიმ ბარათაშვილი და „სხვანი ყმაწვილნი კაცნი ქართველნიცა და სომეხნიცა"[113].

პოეტურ ნაწარმოებებს ქმნიდნენ სხვა ბატონიშვილებიც: ლევანი, დავით გიორგის ძე, მარიამ ერეკლეს ასული („ისეთი მოლექსე, რომ ამბობდნენ, — დიდის მეფის თეიმურაზის ნიჭი გამოჰყვა ამ ქალსაო")[114], ქეთევან და თეკლა ერეკლეს ასულები. ორიგინალურ თხზულებებს ქმნიდნენ: სოლომონ მესხიშვილი („დავით ბატონიშვილის შესხმა", „ეტრფის მთიებსა" და სხვ.)[115], ეფრემ მესხიშვილი[116] და სხვანი. მაღალმხატვრული „მოთქმით ტირილი საქართველოს მეფის ღერკულეს ნეტარის ღირსსისა" (ერეკლე II-ის გლოვა) შექმნა სოლომონ ლეონიძემ[117].

XVIII ს. მეორე ნახევრის თბილისში გრძელდებოდა ქართული სასულიერო მწერლობის ტრადიციები. უხვად იქმნებოდა მეტაფრასტული ჰაგიოგრაფიული ნაწარმოებები. განსაკუთრებით ნაყოფიერად საქმიანობდა კათალიკოსი ანტონ I (1720—1788 წწ.), რომელმაც მრავალრიცხოვან თეოლოგიურ და ფილოსოფიურ ნაშრომებთან ერთად შექმნა ვრცელი „მარტირიკა" — ქართველ მოწამეთა ცხოვრების კომპენდიუმი[118]; მანვე შეთხზა ვრცელი ორიგინალური ნაშრომი „წყობილსიტყვაობა" — პოეტური „სახელმძღვანელო საქართველოს გამოჩენილ მეფეთა და წმინდანთა ცხოვრება-წამებისა და ქართველ მწერალ-მოღვაწეთა ლიტერატურული საქმიანობის გასაცნობად", რომლითაც სკოლებსა და სემინარიებში ხელმძღვანელობდნენ[119].

---

111 კ. კეკელიძე, ალ. ბარამიძე, ძველი ქართული ლიტერატურა (V—XVIII სს.), გვ. 478 (ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, 1954).

112 ქართული სიტყვაკაზმული მწერლობის ანთოლოგია, II, გვ. 267; ლ. მენაბდე. დასახ. ნაშრომი, გვ. 165.

113 ი. ბატონიშვილი, კალმასობა, II, გვ. 204; ლ. მენაბდე, დასახ. ნაშრომი, გვ. 164.

114 ლ. ასათიანი, ძველი ქართველი პოეტი ქალები, 1936, გვ. 197.

115 ლ. მენაბდე. დასახ. ნაშრომი, გვ. 171.

116 იქვე, გვ. 172.

117 იქვე, გვ. 166.

118 იქვე, გვ. 168.

119 იქვე.

XVIII ს. მეორე ნახევრის თბილისში შეიქმნა ორიგინალური სახის პროზაული ნაწარმოები — იესე ოსეს ძის (ბარათაშვილის) „ცხოვრება-ანდერძი" — მემუარული ხასიათის ვრცელი თხზულება, რომელიც მდიდარ მასალას შეიცავს იმდროინდელი აღმოსავლეთ საქართველოს პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური ისტორიისათვის[120].

ზემოთქმულიდან ცხადია, რომ XVIII ს. მეორე ნახევრის თბილისში გაცხოველებული და მრავალფეროვანი ლიტერატურული შემოქმედება იყო გაჩაღებული. ამ შემოქმედებისათვის, იშვიათ გამონაკლისს გარდა (ბესიკი) ნოვატორობა ან ორიგინალობა არ იყო დამახასიათებელი. ლიტერატურა, როგორც მაშინდელი საზოგადოება, ძველისა და ახლის მიჯნაზე იდგა: ერთმანეთს ებრძოდა ძველი, დრომოჭმული, ჩამორჩენილი აღმოსავლური რუტინა და ახალი, მოწინავე ევროპული ნაკადი. ამავე დროს გრძელდებოდა ძველი ეროვნული, ქართული ტრადიცია, რომელსაც ევროპული განვითარების ტენდენცია სუსტად, მაგრამ მაინც ეტყობოდა.

ხელოვნება

XVIII ს-ის განმავლობაში, მით უფრო თეიმურაზ II-ისა და ერეკლე II-ის დროს, თბილისში სამშენებლო ღონისძიებები უმეტესად სათავდაცვო ნაგებობათა აღდგენისაკენ იყო მიმართული. თვით ქალაქის ხასიათისა და საცხოვრებელთა ხუროთმოძღვრებაზე. წინა ხანასთან შედარებით, პრინციპულად ახალი არაფერია სათქმელი. კვლავ წერილობითი ცნობების მიხედვით ვიცით, რომ სამეფო სასახლე წინანდელთან შედარებით ამ დროს გაზრდილი იყო, რამდენიმე კორპუსისგან შედგებოდა; ცალ-ცალკე იხსენიება მეფის, დედოფლის, ბატონიშვილის, აგრეთვე კათალიკოსის და რამდენიმე დიდი ფეოდალის სასახლეები — ყველა ანჩისხატის უბანში იყო თავმოყრილი — ეს იყო არისტოკრატული უბანი. სამწუხაროდ, აღა-მაჰმად ხანის შემოსევის დროს მეფის სასახლისგან ქვა ქვაზე აღარ დარჩენილა (XIX ს. დასაწყისის ერთი ავტორის სიტყვით, ჭიშკრის გარდა აღარაფერი ჩანდა). ამ ხანას ეკუთვნოდა ზოგი ეკლესია (ქართული და სომხური), ამავე საუკუნეში ხელმეორედ აშენდა ქვაშვეთის ეკლესია (გივი ამილახორმა ააშენა), მეტეხის ციხიდან 1748 წელს სპარსელთა განდევნის შემდეგ შეკეთდა და ამოქმედდა დიდი ხნის წინათ მიტოვებული მეტეხის ეკლესიაც; ისანში კვლავ აშენდა დარეჯან დედოფლის სახლი, რომელიც დღესაც ჩიტის ბუდესავით ჩანს მტკვრის მარცხენა ნაპირზე, რიყის უბნის ზემოთ, ციცაბო კლდეზე დაკიდული. სა-

---

[120] იესე ბარათაშვილის ცხოვრება-ანდერძი. გამოსცა ალ. იოსელიანმა (მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, 1950. ნაკვეთი 28).

მინიატურო მხატვრობა ამ დროს საბოლოოდ დაქვეითებულია, მაგრამ კალიგრაფიული ხელოვნება კვლავ მაღალ დონეზე დგას. მიუხედავად სტამბის დაარსებისა, ხელნაწერი წიგნი საქართველოში XIX ს-მდის ინარჩუნებს მნიშვნელობას.

XVIII ს. მიეკუთვნება ზემოთ უკვე მოხსენიებული ალექსი-მესხიშვილთა მოღვაწეობა. გვარის ყველაზე მნიშვნელოვანი წარმომადგენლები იყვნენ: ა ნ ჩ ი ს ხ ა ტ ი ს დ ე კ ა ნ ო ზ ი ა ლ ე ქ ს ი გ რ ი გ ო ლ ი ს ძ ე (XVIII ს. შუა ათეული წლები). იოანე ბატონიშვილის „კალმასობაში" მის შესახებ შემდეგია ნათქვამი: „ესე იყო მეცნიერი კაცი, მოძღუარი, სულიერი ანტონი კათალიკოზისა, მწერალი ხუცურისა და მხედრულისა, რომელიც ღირს ქებისა არის ნაწერებისაგან. ამან მრავალნი საღმრთო წერილნი და ისტორიანი გადასწერნა". ალექსის გადაწერილი სასულიერო და საერო შინაარსის წიგნები კარგად არის ცნობილი და მოწმობს, რომ მას სავსებით დამსახურებული ჰქონდა თავისი საქმის დიდი ოსტატის სახელი. განსაკუთრებით ლამაზია მისი ნუსხური ნაწერი. ყველაზე მდიდრულად მორთული (ჩარჩოები, თავსამკაულები, ხლართული ასოები) მის წიგნთა შორის 1743 წელს კათალიკოს-პატრიარქის ნიკოლოზის შეკვეთით გადაწერილი ოთხთავია[121]. ბევრ მის წიგნს მინიატურებიც ახლავს. ასეთებია ჟამნი, წმინდანთა ცხოვრება, — ქართველ წმინდანთა 24 გამოსახულება, ოთხთავი, საბას ლექსიკონი საბას პორტრეტით[122].

აღნიშნულ ნახატთაგან ზოგი ევროპული მხატვრობის გავლენას ამჟღავნებს — ეს უკვე წინა საუკუნის ქართულ მინიატურებშიც იყო შესამჩნევი, მაგრამ რეალისტური ევროპული მხატვრობის ფორმალური საშუალებები — პერსპექტივი, მოცულობის გადმოცემა და სხვ. — ალექსისთვის მაინც უცხოა. ამ მინიატურებს კულტურულ-ისტორიული ღირებულება უფრო აქვს (მით უფრო, პორტრეტებს), ვიდრე მხატვრული. პ. კარბელაშვილის ცნობით, ალექსი გარდაცვლილა 1766 წელს და ანჩისხატშივე დაუკრძალავთ.

ს ო ლ ო მ ო ნ ა ლ ე ქ ს ი ს ძ ე (1742—1808 წწ.), რომელიც 1791—1808 წლებში აგრეთვე ანჩისხატის დეკანოზი იყო. იოანე ბატონიშვილი. კალმასობაში ალექსის ვაჟების შესახებ წერს: „ამათაც ისწავლეს ხუცურისა და მხედრულის წერა, გარნა მხედრულის წერასა შინა ჯერეთცა არც ძველად და არც ახლად არვინ თქმულან უკეთესი ამათსა, და მეტადრე სოლომონ დეკანოზისა". ხოლო თეიმურაზ ბაგრატიონის (გიორგი XII-ის ძის) ბიბლიოთეკის კატალოგში, რომელიც თეიმურაზისვე შედგენილია, სოლომონის მიერ გადაწერილი ერთი წიგნის შესახებ ნათქვა-

---

[121] აკად. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტ., ფ. H, №1666.
[122] იხ. იქვე. ფ. S, №1096; ფ. H, №2077 და №1666.

მია: „...მრგვალის ხელით ესრეთი წერილი არის, რომელ დღესაც, რომელნიც ქართველთაგანნი წერის ხელოვნებაში ქებულნი არიან, ყოველთავე ასე უთქვამს და ასე იტყვიან, რომელ ეგეეთარი მშვენიერი ხელით წერილი ძნელად შესაძლებელ არს, რომ დაეწეროს ვისმე, რომელნიც რჩეულნი და ჩინებულნი მწერალნი არიან ანუ ყოფილანო". სოლომონ ალექსი-მესხიშვილის ვირტუოზული დახელოვნების ბევრი ნიმუშის დასახელება შეიძლება, ერთი ამათგანია ვახუშტის საქართველოს ისტორია, 1787 წელს გადაწერილი, რომელიც ერთი ულამაზესი მხედრული წიგნთაგანია XVIII საუკუნეში.

ალექსის შვილია აგრეთვე დავით რექტორი, ქართული კულტურის ერთი თვალსაჩინო მოღვაწეთაგანი, რომელიც მშვენიერი კალიგრაფიც იყო. ასევე სახელმოხვეჭილია, როგორც კალიგრაფი, მიქაძეთა გვარის წარმომადგენელი ნიკოლოზი, სიონის დეკანოზი (1720—1780), რომელიც წიგნებს წერდა თეიმურაზ II-ის, ვახტანგ VI-ის სიძის, ანუკა ბატონიშვილის მეუღლის, ვახუშტი აბაშიძის, ანტონ კათალიკოსის, ეპისკოპოსთა და სხვათა შეკვეთით. ნიკოლოზს თავისი ვირტუოზული ოსტატობით თავი მოჰქონდა კიდეც. გიორგი XII-ის კონდაკის მინაწერში იგი ამბობს: „მოიხსენეთ, რომელ ერთის გამოჭრილის კალმით დამიწერია, რომ არ გამომიცვლია კალამი, და ჩვენმა შემდგომად ვინც ეს ასე მწერლობა ეცადინოს, საქებელ იყავნო". აი იოანე ბატონიშვილის აზრი მის შესახებ: იგი „იყო საღმრთო წერილში გამოცდილი, ხუცურის ხელის მწერლობაში პირველი, რომელ ჯერეთ არავინ ყოფილა ამისთანა მშვენიერის ხელით მწერალი. ვითარცა ესე და აგრეთვე ხელჩამრთველი მშვენიერად".

XVIII ს-ის საუკეთესო ქართული ხელნაწერები მოწმობს ეროვნული ხელოვნების ამ დარგის დიდ სიმტკიცეს ამ გვიან ხანაშიაც. აქა-იქ მათს მორთულობას ირანული მოტივები მაინც ერევა, შესამჩნევია აგრეთვე, როგორც აღვნიშნეთ, დასავლეთ-ევროპული მოტივების შემოჟონვაც. ეს არ არის შემთხვევითი. როგორც ცნობილია, რუსული და ევროპული კულტურისა და ხელოვნებისადმი ინტერესი, ევროპული და რუსული მწერლობისა და სწავლა-განათლებულობისადმი მისწრაფება ერეკლე II-ის გარემოცვაში სრულიად აშკარა იყო. სრული დარწმუნებით ძნელი სათქმელია, ვისი შესრულებულია საქართველოს მეფეთა ოჯახის წევრებისა და არისტოკრატიის წარმომადგენელთა რეალისტური პორტრეტები XVIII ს-ის მიწურულისა და XIX ს. დასაწყისისა (დარეჯან დედოფალი, „საქართველოს მეფის ირაკლის მეორის ასული თეკლა", გარსევან ჭავჭავაძე და მისი მეუღლე), მაგრამ დამახასიათებელი ის არის, რომ ეს უკვე ევროპული ხასიათის პორტრეტებია, რაც აშკარად მოწმობს რადიკალურ ცვლილებებს ამდროინდელ გემოვნებასა და მოთხოვნილებაში, თვით კულტურულ დონეშიაც. გამოთქმულია მოსაზრება, ავტო-

რები ქართველები იყვნენო, უკვე გაცნობილნი რუსულ პორტრეტულ მხატვრობასო (საბუთებში იხსენიება ქართველი მხატვარი ნიკოლოზ აფხაზი, რომლის ნაწარმოებებს დარწმუნებით არ ვიცნობთ). როგორიც არ უნდა იყოს პასუხი, უეჭველია, რომ ეს სამეფო კარის ახლებური ხელოვნებაა, რომელიც წინასწარ მოასწავებს ქართული მხატვრობის განვითარებას XIX საუკუნეში.

აქვე უნდა მოვიხსენიოთ, რომ საბუთები ადასტურებს ერეკლე II-ის დროს თბილისში მხატვრის იონათან ოვნათანიანის მოღვაწეობას. საარქივო მასალებში აღმოჩნდა ცნობები ქართველ მხატვარ გეგელიძეთა მთელი დინასტიის შესახებაც — მისი უფროსი წარმომადგენლები პირველად სწორედ ერეკლეს დროს ჩნდებიან: ქრისტესია და დავით გეგელიძეები, ადრე დაობლებულნი, ერეკლესა და დარეჯანის კარზე აღუზრდიათ და ხსენებულ იონათანისთვის მიუბარებიათ სასწავლად. მაგრამ გეგელიძეების ჩვენთვის ცნობილი ნამუშევრები უკვე XIX ს. მიეკუთვნება. დასასრულ, შეიძლება გავიხსენოთ პლატონ იოსელიანის მიერ მოტანილი ერთი ცნობაც: გიორგი XII-ის დროს თბილისში მოუწვევიათ ერთი გერმანელი ხუროთმოძღვარი, რომელსაც სასახლის პროექტი უნდა შეედგინა. მართალია, მისი მოღვაწეობის კვალი აღარსად ჩანს (ალბათ, ვერც ვერაფერი მოასწრო), მაგრამ თვით ეს ფაქტი, რომელიც ახალი დროის მიჯნას მიეკუთვნება, ნიშანდობლივია.

სახიობა და თეატრონი თბილისში XVII—XVIII სს.

სახიობა

იმ მცირეოდენი ცნობებით, XIV—XVI საუკუნეთა სახიობას რომ შეეხება, თბილისში არსებობდნენ დასები, რომელთაც „მესტვირეთა, მენაღარეთა უხუცესნი“ მეთაურობდნენ, დასთა შემადგენლობაში ირიცხებიან მომღერალნი, მეშუშპარენი, მოშაითნი, მესტვირენი, მენობათენი, მენაღარენი, მეჩანგენი, მეღაფდაფენი[123].

საეკლესიო დღესასწაულზედაც კი მეფეს თან ახლდა სახიობის დასი: „წესი არის, — რომე მეფე სადაც იყოს... დიდი დროშა ააბან და მენობათენი წინათ და დროშა განაღამცა წინა ამართული“[124]. XIV—XVI საუკუნეებში, სასახლის კარზედაც კი, მიუხედავად ეკლესიისაგან დევნისა და აკრძალვისა, შენარჩუნებული იყო მთვარის ღვთაების დღესასწაული. მონადირენი ანთებული ლამპრებით სასახლისაკენ მიემართებოდ-

---

[123] საქართველოს სიძველენი, ტ. II, გვ. 14, 23, 37, 44.

[124] ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი , ხელმწიფის კარის ცარიგება, გვ. 2.

ნენ და მეფეს, დედოფალს და დიდებულებს ლამპარს მიართმევდნენ, პროცესიის მონაწილენი უნდა დაესაჩუქრებინათ. ხელმოჭერილ და პურძვირ ხელისუფლებს არ ინდობდნენ, მათ გინება-ბასრობით ამხელდნენ. ამის შემდეგ იმართებოდა ხალხური სანახაობანი „რგვალი" (ფერხული), სიმღერითა, გულუხვთა ქებისა და პურძვირთა კიცხვა-ძაგების გაშაირებით[125].

მცხეთაში სვეტიცხოვლის ტაძრის სამხრეთ კედელზე მოხატულია საფერხულო შესრულების სახიობა, ქალთა ფერხული, შუაში მოცეკვავე სოლისტი და ვაჟთა დამკვრელ მუსიკოსების ორი დასტა. ეს კედლის მხატვრობა XV ს. თარიღდება. ვ. კოტეტიშვილი ამ ფრესკას „სამაიას" გამოხატულებად მიიჩნევდა[126].

XV საუკუნის ბიზანტიელ ისტორიკოსს და დიპლომატს სფრანძესს იბერიაში მისი ელჩობის დროს თან ხლებია მთელი დასი მომღერალ-მგალობელთა და სხვადასხვა სამუსიკო საკრავებზე დამკვრელთა შემადგენლობით. თბილისში მათ კონცერტები გაუმართავთ, მაყურებლებს დიდი ინტერესი გამოუჩენიათ ბიზანტიელების „საკვირველებათა სანახავად". ამ საკვირველებათა შორის ყოფილა ორღანი პორტატივი — ხელსაკიდი გადასატანი ორღანი, რაც XV საუკუნეში გავრცელდა, განსაკუთრებით ბიზანტიაში.

ბიზანტიის ელჩის თანმხლები დასის კონცერტებს ისეთი ინტერესი გამოუწვევია, რომ მას არა მარტო თბილისის, არამედ მის გარშემო მდებარე მხარეთა მცხოვრებლებიც ესწრებოდნენ[127]. შესაძლებელია, თბილისში ასეთი სანახაობებისათვის განკუთვნილი ნაგებობაც კი იყო.

თბილისის თეატრონი

XVII ს. დამდეგს ლუარსაბ II-ს ირანში წამების წინ წარმოუთქვამს— „არა შეწყალვის მეფობა და შარავანდედობა ჩემი... არცა ბრძოლასა შინა მხნეობა და სიმაგრე მკლავისა და არცა. თ ე ა ტ რ ო ნ ს ა შინა მორბედობა ცხენთა და მსწრაფლმავლობა..."[128] პოეტი არჩილი თავის თხზულებაში „გაბაასება თეიმურაზისა და რუსთაველისა" ათქმევინებს თეიმურაზს შემდეგ სიტყვებს:

---

[125] ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, ხელმწიფის კარის გარიგება, გვ. 11—12; ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული მუსიკის ისტორიის ძირითადი საკითხები, გვ. 230; დ. ჯ ა ნ ე ლ ი ძ ე, ქართული თეატრის ისტორია უძველესი დროიდან XVIII საუკუნემდე, გვ. 518—523.

[126] ვ. კ ო ტ ე ტ ი შ ვ ი ლ ი, ხალხური პოეზია, ქუთაისი, 1934, გვ. 325.

[127] გეორგიკა, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ს. ყაუხჩიშვილის გამოცემით, თბ., 1970, ტ. VIII, გვ. 49; დ. ჯ ა ნ ე ლ ი ძ ე, სახიობა, წიგნი III, თბ., 1980, გვ. 150—152.

[128] ე გ ნ ა ტ ა შ ვ ი ლ ი ბ ე რ ი, ახალი ქართლის ცხოვრება, ივ. ჯავახიშვილის რედაქციით, თბ., 1940, გვ. 139.

„არც მე მინდოდა ბაასი, მითქვამს, აქებდეთ რუსთველსა,
მის ხარბად ენა-მეტყველსა, ვით ტკბილი მონდის თვე სთველსა,
მაგრამ თ ე ა ტ რ ო ნ ს ავსებენ, ასპარეზსა და კელავ ველსა,
ბაასობენ და გვადრიან. ვხედავ ხანდახან თვალ-სველსა“[129].

სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით: „თეატრონი რომელ არს სახედველი ზღუდე-მოვლებულად აღშენებულნი სამღერლად დიაცთა და მროკავთა მუშაითთათვის, მკეცთა და მორკინალთათვის, მუნ სტანჯვიდიან წმინდათა მოწამეთა ყოველთა დასანახველად“[130].

თბილისის თეატრონი უნდა ყოფილიყო ისეთი ნაგებობა, რომელიც გამოიყენებოდა სახიობის (გაბაასებათა) წარმოდგენისათვის, „სამღერლად დიაცთა, მროკავთა და მუშაითთათვის“, აგრეთვე „ცხენთა მორბედობი“-სა და „მკეცთა და მორკინალთა“ სასპორტო და საცირკო სანახაობათა საჩვენებლად. როდესაც თბილისი მტერთა ხელში იყო, თეატრონში „სტანჯვიდიან წმინდათა მოწამეთა ყოველთა დასანახველად“.

თბილისის თეატრონის რეპერტუარის შესახებ ნათელ წარმოდგენას გვიქმნის თეიმურაზ პირველის ლექსი: „მკვრელნი, მთქმელნი და რიტორნი, მგოსანნი, მოშაითენი, „ვარდ-ბულბულს“ გაიძახიან ყოველი სული იმთენი“[131]. სახიობის ლირიკული და ალეგორიული („ვარდ-ბულბულიანი“, „ხილთა ქება“, „შედარება გაზაფხულისა და შემოდგომისა“) შინაარსი გამდიდრებულა პოლემიკური დრამატურგიით, რომელსაც თეატრონში, იპოდრომზე და სახალხო მოედნებზე, არჩილის მოწმობით, მთავარი ადგილი დაუკავებია.

XVII ს. ქართული პოეტური თეატრონის პოლემიკურ ბუნებას კარგად გვისურათებს თეიმურაზი: „ზოგი დავწერე სახუმაროდ სალხინო საკამათენი“[132] და ამ ლექსითაც:

„მინახავს ამ საქმეზედა ქეჩ-ბაასობა, ცილობა:
—არ ესე სჯობსო, არ ესე — შუღლი, ყამყამი, ყრილობა,
ვერ შემოწმება სიტყვისა, ვერც არას გაადვილობა“[133].

თეიმურაზისათვის სახიობა იყო „საწვრთნელი სულისა გასანათენი“[134], ე. ი. ის აღიარებდა სახიობის აღმზრდელობით, საგანმანათლებლო დანიშნულებას.

---

[129] არჩილიანი, ა. ბარამიძის და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, ტ. II, 1937, გვ. 9.
[130] ს-ს. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, თხზ., ტ. IV, ილ. აბულაძის გამოც., თბ., 1965. გვ. 311.
[131] თ ე ი მ უ რ ა ზ პ ი რ ვ ე ლ ი, თხზულებანი, ალ. ბარამიძის და გ. ჯაკობიას რედაქციით, თბ., 1934, გვ. 11.
[132] იქვე, გვ. 112.
[133] იქვე, გვ. 100, სტროფი 10.
[134] იქვე, გვ. 112, სტროფი 107.

თეატრონისა და სასახლის კარის სახიობის წარმოდგენები შეიცავდა როგორც ნიღბოსანთა, ასევე გრიმით მოთამაშე მსახიობთა გამოსვლებს, მომღერლებისა და მუსიკოს-დამკვრელების მონაწილეობით. კ. კეკელიძის მიერ აღმოჩენილი „სიბილაიანას" ხელნაწერის მიხედვით, სახიობის წარმოდგენის ერთ-ერთ სცენაში მონაწილეობს 16 მუსიკოსი — მომღერალ-დამკვრელი და 15 მსახიობი სხვადასხვა ცხოველის ნიღბით. მთავარ როლს თამაშობს სირინოზის ნიღბოსანი მომღერალი. სირინოზის მომჯადოებელი სიმღერით აღტაცებული ცხოველები ერთმანეთს ებრძვიან სირინოზისათვის[135].

პოეტი არჩილი მიჩნეულ უნდა იქნეს სახიობის პოეზიის ერთ-ერთ საუკეთესო წარმომადგენლად. მან შემოგვინახა ცნობა თბილისში თეატრონის არსებობაზე და თანაც მისი დროის ბერიკაობის აღწერილობა[136]. ამ დროს მკვიდრდებოდა ხალხის პატრიოტული სულისკვეთების გამომხატველი საგმირო-სალაშქრო ხასიათის სიუჟეტები. სულხან-საბა ორბელიანმა დაგვიტოვა აღწერილობა თეატრონის სალაშქრო შინაარსის წარმოდგენისა, რომელშიც მთავარი მოქმედი პირი ომში გმირულად იღუპება. მას მოჰყვება გმირის დატირების მასობრივი სცენა, ბოლოს მთავრდება გამარჯვებული გმირის უვნებლად დაბრუნებითა და მისი დაჯილდოებით. ეს წარმოდგენა თავისი ძირითადი ნიშან-თვისებებით მაგალითია ბერიკაობის ტრადიციული სიუჟეტის გამოყენებისა თეატრონის რეპერტუარისათვის[137]. ამ დროის ბერიკაობასა და ფერხულებში მთავარ თემას წარმოადგენს თემა ხალხის ერთობლივი ბრძოლისა დამპყრობელთა წინააღმდეგ (არჩილის მიერ აღწერილი ბერიკაობა და ხალხური ფერხული „შავლეგო").

პოეტი ფეშანგი თავის პოემაში „შაჰნავაზიანი" აგვიწერს თბილისის თეატრონისა და სასახლის კარის სახიობას. სახიობანი იმართებოდა ღირსშესანიშნავ მოვლენათა სადიდებლად. სასახლის კარის სახიობაში. ფეშანგის მოწმობით, მონაწილეობდნენ: მოთამაშე, მუტრიბი, მოჩანგე-მომღერალი, მგოსანი. სახიობა მოიცავს არა მარტო მუსიკას, არამედ, რაც მთავარია, თამაშს და სამაიას. ფეშანგის მეფის ამალაში მოხსენიებული ჰყავს სახიობის მსახიობები — „მობძანდა მეფე, ღუთით გუირგუინოსანი; ახლავს ურიცხუი თავადი, ნაქები მეტად კლმოსანი; მოსდევდნენ მოშაითენი, მომღერალნი და მგოსანნი"[138].

1673 წლის 13 თებერვალს ვახტანგ V-ის სასახლის კარზე თბილისში

---

[135] კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე. გართობა-სანახაობათა ისტორიისათვის ძველ საქართველოში. ეტიუდები. ტ. II. თბ., 1945. გვ. 55.

[136] არჩილიანი. დასახ. გამოც., ტ. I. თბ., 1936. გვ. 258.

[137] ს-ს. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი. სიბრძნე სიცრუისა. თბ., 1938. 117—118.

[138] ფ ე შ ა ნ გ ი, შაჰნავაზიანი. გ. ლეონიძის და ს. იორდანიშვილის რედაქციით. თბ., 1935. სტროფი 335.

ერთ-ერთი ძისი ხათესავის ქორწილზე, სტუმრებს უჩვეხეს სახიობა, რომელშიაც ქართველ მსახიობებთან და მუსიკოსებთან ერთად მონაწილეობდა ევროპელი. რომელმაც სპინეტზე (ვიოლინო) იტალიური და ესპანური მელოდიები შეასრულა. ამ სასახიობო კონცერტის აღწერილობა და ნახატი სალხინო დარბაზისა დაგვიტოვა ფრანგმა მოგზაურმა შარდენმა[139].

საქართველოში სანახაობრივი დასები განაგრძობდნენ მოსვლას ისეთი შორეული ქვეყნებიდან, როგორც არის ინდოეთი. პოეტმა არჩილმა დაგვიტოვა აღწერილობა ინდოელი მუშაითების წარმოდგენისა, რაც იმის დასტურად შეიძლება ჩაითვალოს, რომ ქართული სანახაობის კავშირი ინდოეთის სანახაობრივ ხელოვნებასთან მეჩვიდმეტე საუკუნეშიაც არ წყდება. არჩილი თავის აღწერილობაში არ ივიწყებს, რომ ქართველებს ამ დარგის ხელოვნებაში თავისი ტრადიცია აქვთ და რუსთაველს იმოწმებს: „ვერ ხედავთ ფრიდონისასა, მუშაითობას ჩემულობს". როდესაც ქართველები ინდოელი მუშაითის საკვირველ ხელოვნებას გაეცნენ, მოიწადინეს, რომ ეს ინდოელი ოსტატი საქართველოში დარჩენილიყო და ქართველი ახალგაზრდობისათვის ესწავლებინა თავისი ხელოვნება[140].

სახიობა XVIII საუკუნის პირველ ნახევარში

ქართული სახიობა და თეატრი თბილისში საფრთხეში იყო. მას უტევდა ეკლესია, რომელიც საერო გართობა-სანახაობათა წინააღმდეგი იყო, რათა მორწმუნეებს „ჭეშმარიტი აღსარება" არ დაევიწყებინათ. სახიობის გამოსარჩლება და დაცვა თბილისში თავს იდვა ვახტანგ VI-ის ირგვლივ დარაზმულმა მოწინავე დასმა.

სასახლის კარის და აგრეთვე მთელი თბილისის სახიობას სათავეში ედგა საზანდარბაში გიორგი. ქალაქის საზანდრები გაერთიანებული იყვნენ ცალკე ამქარში (თაბუნში). ცალკე არსებობდა ნაღარახანა (სამხედრო ორკესტრი). ნაღარახანის შემადგენლობაში ქართველებთან ერთად სომეხი და აზერბაიჯანელი დამკვრელებიც შედიოდნენ. საინტერესოა, რომ ისე როგორც ეს ამქრულ წყობას შეჰფერის, ნაღარახანაში არსებობდა შეგირდობის ინსტიტუტი, დასტურლამალში მოხსენიებული არიან ნაღარახანის მენაღარეთა და მეზურნეთა შეგირდები[141]. ვახტანგ VI-ს

---

139 ჟან შარდენის მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთ ქვეყნებში. თარგმნა და გამოსცა მ. მგალობლიშვილმა, თბ., 1975, გვ. 345.

140 არჩილიანი, ტ. I, გვ. 5.

141 ქართული სამართლის ძეგლები, II, გამოსცა ი. დოლიძემ, თბ., 1965, გვ. 245—247; Джавелидзе Д. Грузинский театр..., 1959, с. 245.

სალხინო სახლი („სახლი სარკისა“) აუგია[142]. იგი ხელს უწყობდა სახიობის მოყვარულობას, რათა სასახლის კარის ახალგაზრდობა ყოფილიყო „მეჯლიშსა და ლაღობაში მშვენიერი სამზერელად“, რომ მათ ეჩვენებინათ „მეფეთ წინაშე საჩენი ყველა რამეანი, წიგნი, შაირი, კაი ხმა, ხუმრობა სასიამენი“[143]. მეფე დიდად აფასებდა მგოსანთა ოსტატობას გაბაასებაში და მათ ადარებდა ამ მხრივ ჩინელ მომღერალ მსახიობებს[144]. ვახტანგ VI ქებით იხსენებს საკრავიერი და ხმიერი მუსიკის თანაშეწყობას[145], საფერხულო ცეკვებსა და პანტომიმურ წარმოდგენებს[146], დიდ მოწონებაში უნდა ყოფილიყო გაწვრთნილ ცხოველთა თამაშიც[147].

1724 წელს ვახტანგისა და მისი მრავალრიცხოვანი ამალის რუსეთში გარდახვეწასთან დაკავშირებით, თბილისიდან ქართველობამ თან წაიღო მშობლიური მრავალსაუკუნოვანი კულტურის ტრადიციები. XVIII საუკუნის 30-იან წლებში მოსკოვში ქართული სანახაობრივი კულტურის კერა გაჩაღდა. ვახტანგის კარზე იმართებოდა სახიობის წარმოდგენები. აქ პოეტურ სახიობაში გაშაირებით, ზმობით თუ გალობა-სიმღერით სახელი გაითქვა პოეტმა დავით გურამიშვილმა.

ეროვნული სახიობის განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მწერლების, პოეტების და მეცნიერების: სულხან-საბა ორბელიანის, ვახუშტის, დავით გურამიშვილისა და მამუკა ბარათაშვილის მოღვაწეობას. სულხან-საბა ორბელიანმა ქართული ენის ლექსიკონში განსაზღვრა და განმარტა თეატრალური ტერმინები[148]. ვახუშტიმ პირველმა ქართველმა მეცნიერთაგან გააშუქა ძველი ქართული სახიობის გენეზისი, აღნიშნა ხალხურ სანახაობათა საწყისები, ამასთანავე განმარტა და ნათელი მოჰფინა ძველ თეატრალურ ტერმინებს[149].

დავით გურამიშვილი საუკეთესო წარმომადგენელია ამ დროის დრამატული პოეზიისა. მან განაგრძო თეიმურაზ პირველისა და არჩილის ტრადიცია, გამოიყენა დასავლეთ ევროპის, უკრაინის და რუსული სასკოლო დრამის მიღწევანი და შექმნა სასახიობო ტრილოგია, რომელიც შედგება ერთი მონოლოგიური და ორი დიალოგიური სახიობისაგან: „გოდება დავითისა, საწუთრო სოფლის გამო ტირილი“, „სიკვდილისა და კაცის შელაპარაკება და ცილობა“, „კაცისა და საწუთროსაგან ცილო-

---

[142] ვ ა ხ ტ ა ნ გ VI, ლექსები და პოემები. ალ. ბარამიძის რედაქციით, თბ., 1947, გვ. 64.

[143] იქვე, გვ. 76—77.

[144] იქვე, გვ. 95.

[145] იქვე, გვ. 167.

[146] იქვე, გვ. 58.

[147] იქვე, გვ. 36.

[148] დ. ჯ ა ნ ე ლ ი ძ ე , სახიობა, ტ. II, თბილისი, 1972, გვ. 230—249.

[149] იქვე, გვ. 26.

ბა და ბჭობა, ერთმანეთის ძვირის ხსენება". ამ ნაწარმოებებში დ. გურამიშვილს გამოთქმული აქვს ანტიცარისტული შეხედულებანი. მან სახიობის დრამატურგიაში გაამძაფრა კონფლიქტის სიმწვავე და მოგვცა მისი განსჯისა და გადაჭრის ცდა. დ. გურამიშვილის თხზულება გამოირჩევა ქმედითი სიმძაფრით და თითოეული პერსონაჟის (კაცის, სიკვდილის, საწუთროს) გარკვეული მინიშნებით. გურამიშვილი სარგებლობს ხალხური ნიღბების თეატრის — ბერიკაობის ტრადიციით და ამასთანავე იყენებს უკრაინული სასკოლო დრამის ცოდნას.

თეიმურაზ II-მ აღწერა თავისი დროის საქორწილო სანახაობანი, ძეობის წეს-ჩვეულებანი, თბილისის სასახლის კარის სახიობა და საასპარეზო სახილველი. XVIII საუკუნის პირველი ნახევრის სახიობისათვის დამახასიათებელია მკაფიოდ გამოხატული პატრიოტული მიმართულება; სახიობის ეროვნული ტრადიციის განვითარების მიზნით მისი ხალხური საწყისების გამოცოცხლება; რეპერტუარში ხალხური მელოდიების ჭარბად შეტანა და ხალხურ სალხინო სანახაობათა, წეს-ჩვეულებათა გამოყენება, თანდათანობით შეზღუდვა აღმოსავლურ-ირანული მოტივებისა და სხვ.

სახიობა და თეატრი XVIII საუკუნის მეორე ნახევარში

თბილისის თეატრალური ცხოვრების ახალი მიმართულებით წარმართვას დიდად შეუწყო ხელი მეცნიერული ცოდნის განვითარებამ, ფილოსოფიური სემინარიის დაარსებამ თბილისში (1755 წ.), სიტყვაკაზმული მწერლობის აღმავლობამ. ამ დროისათვის, თბილისელი ქართველი ახალგაზრდობის მიერ ახალი თეატრალური კულტურის ათვისებას განაპირობებდა ისიც, რომ მოსკოვის ქართული კოლონიიდან გამოსული, წარმოშობით ქართველი მოღვაწეები რუსულ თეატრალურ ცხოვრებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ; მაგალითად, შეიძლება დავასახელოთ პეტერბურგისა და მოსკოვის თეატრებში გამოჩენილი მსახიობი სილა ზანდუკელი (სანდუნოვი) და მისი ძმა დრამატურგი ნიკოლოზ ზანდუკელი (სანდუნოვი, მოსკოვის უნივერსიტეტის პროფესორი)[150], ამათთან ერთად, სარატოვის გუბერნატორი — ალექსი ფანჩულიძე, რომელიც სარატოვის მუდმივი თეატრის დამაარსებლად ითვლება[151].

---

[150] გ. რ ა ტ ი შ ვ ი ლ ი, მცირედი რაიმე მოთხრობა როსიისა, კრ. „ქართველი მწერლები რუსეთის შესახებ", შეადგინა ვ. შადურმა, თბ., 1965, გვ. 273—275; ნ. შ ა ლ უ ტ ა შ ვ ი ლ ი, ძმები ზანდუკელი-სანდუნოვები, თბ., 1965.

[151] Журн. Театр и искусство, СПб., 1902, №44.

თბილისში ვითარდება დრამატურგია. პოეტი ქალი მანანა ცნობილია, როგორც სახიობის დრამატურგი და აგრეთვე ხალხურ მესტვირეებთან გაშაირებაში თავგამოდებული მოპაექრე. მისი სასახიობო ნაწარმოები „ციებისა და ქალის გაბაასება" დაწერილია ჭეშმარიტი იუმორის გრძნობით, მხატვრული გამომსახველობით, ხალხურ ენასთან დაახლოებით, ხასიათის მკაფიო და შთამბეჭდავი გამოხატვით[152]. ალექსანდრე ამილახვრის (1750—1802 წწ.) „მოქმედება ასტრახანში" შესრულებულია სასახიობო დრამატურგიის ფორმის მიხედვით და წარმოადგენს მეთვრამეტე საუკუნის პოლიტიკური ვითარების ამსახველ გაბაასებას. პიესის გააზრებაში მოჩანს ევროპელ და რუს მოწინავე მოაზროვნეთაგან შეთვისებული პროგრესული მიმართულება, ხოლო დრამატურგიული ნაწარმოების წყობას აჩნია ევროპული და რუსული იმდროინდელი დრამატურგიისაგან შეთვისებული სტრუქტურული ნიშან-თვისებანი[153].

საქართველო-რუსეთის ურთიერთობის საკითხში პროგრესულ და რეაქციულ ძალთა ბრძოლის ამსახველია ანონიმური პიესა „სამსახეობა რაინდისა". ამ „სასახიობე წიგნში" ანუ „სათეატრო სახიობაში" აირეკლა ბრძოლა ძველსა და ახალ თეატრალურ მიმართულებათა შორის. ახალი მიმართულების წარმომადგენელი თავქვაძე ძველი სახიობის სამხილებლად ამბობს: „მაღალ ფრასზედა, რას ვარგა შაირობა? შაირი უნდა ყოველს კაცსა ესმოდეს". პიესაში წარმოდგენილია სახიობის მრავალჟანრიანობა: მახვილსიტყვაობა, ხუმრობა, გაშაირება, სიმღერა ჩანგურზე და ქნარზე ხმაშეწყობით, საფერხულო წყობის სანახაობა. „სამსახეობა რაინდისა" მოწმობს თუ რა ფართოდ იყენებდა სასახლის კარის სახიობა ხალხურ შემოქმედებას (მაგ., „მზე შინა")[154]. სასახლის კარის სახიობა იმართებოდა სასახლის დარბაზში. რომელსაც ეწოდებოდა „სალხინო პალატი"[155].

ერეკლე მეფის დროს სასახლის კარის სახიობას მეთაურობდა „უფროსი მსახიობთა..., რომელსა სახელს დებდენ მაჩაბლად"[156]. ის ცნობილი საზანდარიც იყო: ქართველი დიდებულები მას ხშირად იწვევდნენ ქორწილებსა და ლხინში[157]. ამ დროს სახიობას მაჩაბლის გარდა წარმოადგენდნენ იარალი შანშიაშვილი და საიათნოვა — მეფე ერეკლეს კარის

---

[152] ლ. ასათიანი. პოეტი ქალები, 1936. გვ. 74.

[153] ტ. რუხაძე. ძველი ქართული თეატრი და დრამატურგია. თბ., 1949. გვ. 491—499; ჯ. იოსელიანი. კომიზმი და ქართული კომედიის ნიღბები. თბ., 1982. გვ. 20—24.

[154] „სამსახეობა რაინდისა", ს. იორდანიშვილის რედაქციით. თბ., 1947. გვ. 12. 58.

[155] კ. კეკელიძე. ეტიუდები. ტ. I. თბ., 1956. გვ. 228—229.

[156] ტ. რუხაძე. დასახ. ნაშრომი. გვ. 111—112.

[157] ტ. რუხაძე. იქვე. გვ. 82; დ. ჯანელიძე. სახიობა და თეატრი XVIII ს. მეორე ნახევარში, საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. IV. თბ., 1973. გვ. 780.

საზანდარი და „ხუმარი“. მაჩაბელი კრწანისის ბრძოლაში თბილისელთა ერთ-ერთ რაზმს მეთაურობდა და მეომრებს თავის სახიობით, სიმღერითა და თამაშით საბრძოლოდ აღაფრთოვანებდა. ის ამ ბრძოლაში გმირულად დაიღუპა.

ერეკლე II-ის მეფობაში ვახტანგ VI-ის სასახლის კარის კულტურული ტრადიციები გამოცოცხლდა და განვითარდა. თბილისისა და თელავის სემინარიებში პიიტიკის და რიტორიკის კლასებში ეწყობოდა საჯარო გამოსვლები სიტყვებით, დიალოგებით, ქება-შესხმით, წარმოადგენდნენ დრამატულ ნაწარმოებებს. სემინარიის წესდებისდა მიხედვით, სემინარიელებს შეეძლოთ „დაკურა მუზიკურისა იარაღისა... შექცევა პატიოსნებითა თამაშობათა“ და, რაც მთავარია, წესდება ითვალისწინებდა სასკოლო დრამის წარმოდგენების გამართვას: „შესაძლებელ არს ორგზის წელიწადსა შინა ანუ უმეტეს ქმნა რომელისამე მოქმედებისა ბაასისა, კომედიისა და რიტორულის გამოცდილებისა“[158]. ამრიგად, მეთვრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში თბილისში შეიქმნა სასკოლო დრამა, რომელიც განსაკუთრებით დავალებული იყო დავით ალექსი-მესხიშვილის თეატრალური მოღვაწეობით.

რუსეთში სასწავლებლად გაგზავნილი ახალგაზრდები ახლოს ეცნობოდნენ პეტერბურგის და მოსკოვის თეატრებს, თბილისში ჩამოსული ვენის თეატრის ანტრეპრენიორის გრაფი კოჰარის და მისი დასის ყოფილი მსახიობის იაკობ რაინეგსის მეშვეობით თბილისში ითვისებდნენ დასავლეთ ევროპის თეატრალური ხელოვნების გამოცდილებასაც[159]. თბილისელ ახალგაზრდობას გულისტკივილით უნდა შეეგრძნო, რომ მშობლიური სახიობა, ქართული თეატრონი როგორც თავის რეპერტუარით, ისევე განსახიერების ოსტატობით ბევრით ჩამორჩებოდა ევროპულ სასცენო ხელოვნებას. ახალმა თაობამ მოინდომა თანამედროვე ცხოვრების ამსახველი დრამატურგიის შექმნით და აქტიორული ოსტატობის მიღწევების შეთვისებით გაემდიდრებინა ქართული სასცენო ხელოვნება.

ერეკლე II-ის ელჩის ამალიდან ვინმე გაბრიელი სამშობლოში მაიორის წოდებით დაბრუნდა. გაბრიელ მაიორს თბილისში სასახლის ახლოს გაუმართავს თეატრი. მაყურებელი ამ თეატრის წარმოდგენებს ესწრებოდა ბილეთებით, რომელსაც ჰქონდა წარწერა: „შაური ორი. გაბრიელ მაიორი“.

მეთვრამეტე საუკუნის 90-იან წლებში სულ რამდენიმე წლის მანძილ-

---

158 ტ. რუხაძე, ძველი ქართული თეატრი და დრამატურგია, გვ. 82.

159 კ. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, ტ. II, თბ., 1958, გვ. 694; გ. ქიქოძე, ერეკლე II, თბ., 1942, გვ. 174.

ზე თბილისში ახალი დრამატული მწერლობაც შეიქმნა და სცენის მოყვარეთა დასიც ჩამოყალიბდა გიორგი ავალიშვილის მეთაურობით. არსებობა იწყო კლასიცისტური მიმართულების ქართულმა თეატრმა. გიორგი ავალიშვილი იმ დროის გამოჩენილი რუსი დრამატურგის ა. სუმაროკოვის კომედიების გადმოთარგმნით არ კმაყოფილდება, წერს ორიგინალურ ქართულ კომედიას „თეიმურაზ მეფე" და წარმოადგენს კიდეც. გიორგი ავალიშვილს თავისი თეატრის პირველ და შემდეგ წარმოდგენებზე სიმღერით წაუკითხავს თავისი ლექსი, რომელშიც ნათქვამია:

„თუ ხართ ვინმე მოსურნენი, თეატრს სმენად ანუ ცნობად,
შეიმატებთ განდიდებას, ბრძენთა აგებთ თქვენდა მკობად...
მერწმუნებით, არ მას ეუბნობ მქონდეს მეტი მისკენ ვრდომა,
მაგრამ მწადის განრინება კიცხვითა და ქვემო რჩომა-...[160]

დავით ჩოლოყაშვილი, რომელიც ბესიკის შემდეგ პირველ „მესტიხედ" იყო მიჩნეული[161] და რომელსაც თეიმურაზ ბატონიშვილი, როგორც „მოხუმარს და უცხო პიიტიკოს"[162] იხსენიებს, არის ტრაგედია „ეფიღენია"-ს მთარგმნელი, რითაც დრამატულმა მწერლობამ ახალი სარბიელი მოიპოვა.

XVIII საუკუნის დასასრულს თბილისში რუსული წარმოდგენების დამდგმელი წრეც არსებულა, მასში რუსებთან ერთად ქართველებიც მონაწილეობდნენ.

გიორგი ავალიშვილის თეატრი, მიუხედავად მისი ხანმოკლე არსებობისა, დიდი მნიშვნელობის კულტურული მოვლენა იყო. ამ თეატრის შექმნით განმტკიცდა და გაღრმავდა რუსულ-ქართული კულტურული ურთიერთობა. ამ თეატრით იწყება ახალი დრამატული მწერლობის და სასცენო ხელოვნების ისტორია. გიორგი ავალიშვილის თეატრმა ქართული სახიობა საკაცობრიო კულტურის წიაღს დაუბრუნა, რუსული და ევროპული სცენური კულტურის მიღწევების ათვისებით განაახლა. თუ თბილისის ავალიშვილისეული სცენა სრულქმნილი ხელოვნების ბრწყინვალებით არ იყო მადლმოსილი, სამაგიეროდ, მან ქართული კულტურის ისტორიაში ახალი საწყისის შემოტანით მარადსახსოვარი სახელი მაინც დაიმკვიდრა.

---

[160] ზ. ჭიკინაძე, მოკლე ისტორია ქართული თეატრისა. თბ., 1906, გვ. 8.

[161] იოანე ბატონიშვილი, კალმასობა, ტ. II, კ. კეკელიძის და ალ. ბარამიძის რედაქციით, თბ., 1948, გვ. 204.

[162] მცირე უწყებანი ქართველთა მწერალთათვის, ივ. ლოლაშვილის რედაქციით, თბ., 1982, გვ. 220.

XVII—XVIII საუკუნეების თბილისი ნახევრად აგრარული ქალაქი იყო. მოსახლეობა ქალაქურ ცხოვრებას მიწათმოქმედებასაც უთავსებდა. თბილისელებს საკუთარ სახლებთან ან ცოტა მოშორებით პირად სარგებლობაში ჰქონდათ სახნავ-სათესი მიწები, ბაღ-ბოსტნები, ვენახები, სასმელი წყაროები თუ სარწყავი რუ-არხები[163].

თბილისში, ისევე როგორც წინა საუკუნეებში, გარდა ქართველებისა, სხვა ეროვნების ხალხიც მოსახლეობდა. ამ დროს უკვე გამოკვეთილი ჩანდა მოსახლეობის გარკვეული ეთნიკურ-კონფესიური ნიშნის მიხედვით გამოყოფილი უბნები. თბილისელები ძირითადად თავთავიანთი სალოცავის მახლობლად სახლდებოდნენ (იქნებოდა ეს ქართველთა, სომეხთა თუ კათოლიკე ქრისტიანთა ეკლესია, სუნიტ თუ შიიტ მუსლიმანთა მეჩეთი, ებრაელთა სინაგოგა), შესაბამისად იქმნებოდა უბნებიც. ასე ჩნდებოდა თბილისში პატრების ანუ „ფრანგების", სომეხთა, ებრაელთა და მუსლიმანთა უბნები.

თბილისური სახლისათვის აუცილებელი იყო ეზო. ეზოში, გარდა საცხოვრებელი ნაგებობისა, იდგა სამეურნეო დანიშნულების ნაგებობანიც: სათორნე, მარანი მისი ჭურებით, საჯინიბო, საბძელი[164]. ზოგიერთ საცხოვრებელ ნაგებობას აივანიც ჰქონდა, სარდაფიც, საყინულეც, ხოლო ეზოს — ჭიშკარი[165]. გამორჩეული იყო თავისი ბრწყინვალებით მეფედიდებულთა სასახლეები.

ა ვ ე ჯ ი . ივ. ჯავახიშვილი შენიშნავდა, რომ ავეჯეულობის ისტორია ყველაზე უფრო ღარიბია XVII—XVIII სს. ამის ერთ-ერთი მიზეზი სპარსეთის გავლენა იყო[166]. XVII—XVIII სს. უცხოელი თუ რუსი მოგზაურები ერთად აღნიშნავენ, რომ საქართველოში ხმარებაში არაა მაგიდა და სკამები. შარდენის მოგზაურობის წიგნში ჩართული სურათის მიხედვითაც, სადაც მოცემულია ნადიმი თბილისში ვახტანგ V-ის კარზე, სტუმრები ფეხმორთხმულები სხედან[167].

XVII—XVIII სს. მზითვის წიგნებში ხშირად იხსენიება „თახჩაფუშები", რაც თახჩის ფარდას, თახჩის ჩამოსაფარებელს ნიშნავს. თახჩები დამახასიათებელი იყო თბილისური სახლის შიდა ნაწილისათვის. გიორგი XIII-ის საძილე ოთახში აღმოსავლეთის მხარეს დიდ თახჩაში ხა-

---

[163] დოკუმენტები თბილისის ისტორიისათვის, I. თბ., 1962. გვ. 10. 12. 13, 17. ამასვე ადასტურებდა თბილისში XVIII ს. 70-იან წლებში ნამყოფი გიულდენშტედტი (იხ. მისი მოგზაურობა საქართველოში. 1962. ტ. I. თბ., გვ. 87).

[164] დოკუმენტები თბილისის ისტორიისათვის. I. გვ. 19, 29—30.

[165] იქვე. გვ. 75.

[166] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი . მასალები საქართველოს მატერიალური კულტურის ისტორიისათვის. თბ., 1965. გვ. 8—9.

[167] იხ. იქვე. ტაბ. №25.

ტები ესვენა[168]. სხვა შემთხვევებში თახჩებში საოჯახო ნივთები ინახებოდა, ამიტომ თახჩა ავეჯის როლს ასრულებდა. საძილე ავეჯის შესახებ ცნობები არ გაგვაჩნია, მაგრამ ივარაუდება, რომ ხის ავეჯი იხმარებოდა. საკვების, ჭურჭლეულის, ტანისამოსის შესანახად კი სკივრებს, ზანდუკებსა და კიდობნებს ხმარობდნენ.

ჭ ურ ჭ ე ლ ი . ივ. ჯავახიშვილის სიტყვით, „მაშინაც, როდესაც საქართველოს ძველი კულტურა დაკარგული ჰქონდა და მისი სიმდიდრე განიავებული იყო, ხელმწიფის კარის გარიგებისა და რუსი ელჩების მოხსენებების წაკითხვა ადამიანს განცვიფრებაში მოიყვანს, იმდენად მრავალგვარი ჭურჭელი იყო ჯერაც შემონახული საქართველოში"[169]. ივ. ჯავახიშვილი ჭურჭელს აჯგუფებდა მასალის, დანიშნულებისა და აღნაგობა-მოყვანილობის მიხედვით. უცხოელ ავტორებს ანცვიფრებდათ მეფისა თუ დიდგვაროვანთა ნადიმებზე მოხმარებული, კეთილშობილი ლითონისაგან დამზადებული ნაირსახეობის ჭურჭელი — ოქრო-ვერცხლის თეფშები, თუ ჯამ-ფიალები, ღვინის ნაირსახეობის სასმისები, სურები და სხვ. ივ. ჯავახიშვილს მოტანილი აქვს მაგალითები ფეშანგის პოემიდან, თუ რაოდენ ძვირფასი ჭურჭელი ტრიალებდა ვახტანგ V-ის სასახლეში თბილისში მეჯლისისა თუ ქორწილის დროს[170].

თბილისში მყოფ შარდენს ვახტანგ V-სთან გამართულ ნადიმზე განსაკუთრებული ყურადღება მიუქცევია ძვირფასი ლითონების ნაკეთობებზე. მისი ცნობით, ნადიმების დროს „მთელი დარბაზი ორმოცი დიდი ჩირაღდნით იყო განათებული, ოთხი მათგანი, რომელიც მთავართან (ე. ი. მეფესთან) ახლოს იდგა, ოქროსი იყო, დანარჩენი კი ვერცხლისა. ერთი ცალი ასეთი ჩირაღდანი ჩვეულებრივად ორმოც გირვანქას იწონის"[171]. შარდენს ყურადღება მიუქცევია აგრეთვე სუფრაზე გამოტანილი ვერცხლის დიდი ლანგრებისათვის: „ევროპაში ასეთ დიდ ლანგრებს არ აკეთებენ, ასეთი ლანგარი ხუფიანად ჩვეულებრივ ორმოცდაათ ან სამოც მარკას იწონის", — აღნიშნავდა ფრანგი ვაჭარი[172]. შარდენს არც სხვა ჭურჭელი გამორჩენია მხედველობიდან. იგი წერდა: „აქ იყო დაახლოებით ასოცი ფიალა, თასი, ხელადა და ყანწი, სამოცი სურა და თორმეტი აზარფეშა. თითქმის ყველა აზარფეშა ვერცხლისა იყო. სურები ან სადა ოქროსი იყო, ან მომინანქრებული ოქროსი. თასები და ხელადები ზოგი ოქროთი იყო დაფერილი, ზოგიც ოქროთივე მოხატული, ზოგსაც ძვირფასი ქვები და ვერცხლის მოჭედილობა ამშვენებდა. ყანწებიც თასების მსგავსად იყო მოზარნიშებული[173].

---

168 პლ. ი ო ს ე ლ ი ა ნ ი . ცხოვრება გიორგი მეცამეტისა. ტფილისი, 1936. გვ. 37.
169 ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი . დასახ. ნაშრომი. გვ. 41.
170 იქვე. გვ. 61.
171 ჟ ა ნ შ ა რ დ ე ნ ი . დასახ. ნაშრომი. გვ. 344.
172 იქვე. გვ. 346.
173 იქვე. გვ. 347.

მეფის სასახლეში ყოველდღიურად სახმარი — სანიადაგო ჭურჭელიც ჰქონდათ, რომელსაც „უმეჯლისო" რქმევია[174]. ასეთი ჭურჭელი იყო სპილენძის, თიხისა და ხის. სპილენძის, თიხისა და ხის იყო მთლიანად მეფე-დიდებულთა სამზარეულოს ჭურჭელი: სხვადასხვა ზომის ქვაბები, ქოთნები, ტაფები, კოვზ-ქაფქირები, ჯამები, თასები და ა. შ. სპილენძისა იყო აგრეთვე საბანოვე ჭურჭელი: წყლის სათბობი ქვაბები და თუნგები, სხვადასხვა ზომის ტაშტები და სხვ.

თბილისის მოსახლეობას ან არ ჰქონდა, ან ძალიან იშვიათად, კეთილშობილი ლითონებისაგან დამზადებული ჭურჭელი. ისინი ძირითადად სპილენძის, თიხისა და ხის ჭურჭელს ხმარობდნენ. თბილისელი ხელოსნების — მეჭურჭლე ალექსას (1659 წ.), მეჭურჭლე მამუკას (1683 წ.), მეჭურჭლე სულხანას (1753 წ.), მექვაბე ფასუას (1719 წ.), მექვაბე დათუას (XVIII ს. პირველ ნახევარში)[175] და სხვათა კერამიკული თუ სპილენძის ნაკეთობანი პირველ რიგში თბილისის მოსახლეობის ფართო ფენების მოხმარებისათვის იყო გამიზნული.

ს უ ფ რ ი ს წ ე ს ე ბ ი. ქართული სუფრის წესების შესახებ საინტერესო მასალები აქვთ ფეშანგი ფაშვიბერტყაძეს, მეფე-პოეტ არჩილს, თეიმურაზ მეორეს, საქართველოში მყოფ უცხო ავტორებს და სხვ. მაგრამ მათი აღწერილობანი უმთავრესად მეფე-დიდებულთა საზეიმო სუფრებს — მეჯლის-ნადიმებსა თუ ქორწილებს შეეხება.

სამწუხაროდ, წყაროებში თითქმის არაფერია უბრალო ხალხის ყოველდღიური, ყოველჯერადი პურობის შესახებ. „შაჰნავაზიანში" (XVII ს. 60-იანი წწ.) აღწერილია ვახტანგ V-ისა და როსტომ მეფის ქვრივის, მარიამის ქორწილი თბილისში. ამ აღწერილობაში მეტი ყურადღება აქვს დათმობილი მეფის ქებას და ქორწილის ბრწყინვალების აღწერას. მაგრამ მაინც შეიძლება ჩვენთვის საინტერესო მასალის ამოკრეფა. კერძოდ, აქ არ ჩანს, რომ ქალები და მამაკაცები განცალკევებით ისხდნენ სუფრასთან. პირველად ავტორი მოგვითხრობს, რომ ქორწილზე მოსულ დიდ თავადებს თან ახლდნენ ქალებიც: „მოვიდნენ დიდნი თავადნი, თან ბანოანნი ჰყუებოდა", ამის შემდეგ კი „ბანოანებს" დიდებულებთან ერთად იწვევენ სუფრაზე:

„შემოისხეს ბანოანნი, ყუელა მნათობთ დასადარე,
შეიწუო

წესი არსებობდა. ზოგჯერ ქალები და მამაკაცები სუფრასთან ერთად სხდებოდნენ, სუფრასთან ერთად მსხდომთ თეიმურაზი „მეერთჰამეებს" უწოდებს, ხოლო თვით ერთად პურობის პროცესს „ერთაჰამას" (ერთად ჰამას). თეიმურაზის მიხედვით „ერთაჰამა" ხდება ქორწილში, ქალის ოჯახში[176].

ასევე ერთად სხედან სუფრასთან ქალები და მამაკაცები ძეობის გადახდის დროსაც. მაგრამ გახანგრძლივებული ქორწილის დროს ვაჟის სახლში ქალები და მამაკაცები სუფრასთან უკვე ცალ-ცალკე სხდებიან. ასევე დილის პურობაზე ვაჟის სახლში: „სადილსა სჰამენ ცალ-ცალკე, სუფრას მალ აიღებდესო".

საინტერესო დაკვირვებები აქვს ქართული სუფრის შესახებ ჟან შარდენსაც. მისი ცნობით, საქართველოში ქალები და მამაკაცები ერთად ჰამენ[177], ერთად არიან ისინი საახალწლო ზეიმზედაც[178], მაგრამ ჰირის სუფრაზე და აღდგომა დღეს ქალები და მამაკაცები სუფრასთან ცალ-ცალკე სხდებიან[179].

შარდენი განცვიფრებული დარჩენილა ქართული სუფრისათვის დამახასიათებელი წესრიგით და მომსახურეობით, რაც მას თბილისში ვახტანგ V-ის კარზე უნახავს. იგი წერდა: „კერძები საოცარი წესრიგითა და უხმაუროთ შემოჰქონდათ. ყველა უხმოდ ასრულებდა თავის საქმეს. ერთ მაგიდაზე მსხდომი სამი ევროპელი უფრო მეტს ხმაურობს, ვიდრე ამ ნადიმზე მყოფი ას ორმოცდაათი კაცი"[180]. მართლაც მეფის სასახლეში სტუმრის მიღების თუ ყოველდღიური პურობის მკაცრად შემუშავებული, ჩამოყალიბებული და წერილობით გაფორმებული ეტიკეტი არსებობდა და ამ წესების შესრულება მეფის კარზე სავალდებულო იყო[181].

სუფრაზე ქალებისა და მამაკაცების განცალკევების ჩვევას შარდენი საქართველოში სპარსეთის გავლენას მიაწერდა: „მას აქეთ, რაც ქართველები სპარსეთს დამორჩილდნენ, აქაურ ქალებს მამაკაცებთან ყოფნა ეკრძალებათ. ქალების თავისუფლება აქ თანდათანობით იკვეცება და ეს მშვენიერი სქესის წარმომადგენლები იძულებული არიან მისდიონ წესს და განცალკევებით მოიყარონ თავი"[182].

ქართულ სამეჯლისო სუფრაზე ჩვეულებად იყო მხიარულება. „შაჰნავაზიანში" მოთხრობილია როგორ ილხენდნენ ვახტანგ V-ის ქორწილზე:

---

[176] „ერთაჰამა" ნახსენები აქვს არჩილსაც. როცა აღწერს მეფე თეიმურაზის ქორწილს. არჩილიანი, II, თბ., 1937, სტრ. 293.

[177] ჟან შარდენი, დასახ. ნაშრომი, გვ. 120.

[178] იქვე, გვ. 187.

[179] იქვე, 191, 193, 202.

[180] იქვე, გვ. 347.

[181] დასტურლამალი, ქართული სამართლის ძეგლები, II, გვ. 251—255.

[182] ჟან შარდენი, დასახ. ნაშრომი, გვ. 344.

„მომღერალთა ჩანგი მორთეს, იმღერიან ტკბილის კმითა;
ჩაღანა და უდ ქამანჩა მუღნი დაშურა ამა თქმითა;
დაჰირაზე ბოთამაშემ ხლტომა შექმნის თურა ქნითა"[183].

აქ მოტანილი ადგილი სავსებით ამართლებს თეიმურაზ II-ის ნათქვამს, რომ სამეჯლისო სუფრაზე მონაწილეობდნენ პროფესიონალი მუსიკოსები — „მკვრელები", ითქმებოდა ლექსები, „თამაშობდნენ" — ე. ი. ცეკვავდნენ, მღეროდნენ და გალობდნენ[184].

შარდენის ცნობითაც, ვახტანგ V-ის კარზე მეჯლისის დროს სუფრასთან ლხინს თან ახლდა მუსიკალური ნაწარმოებების მოსმენა. საინტერესოა, რომ XVII ს. 60-იან წლებში თბილისელებისათვის უკვე ცნობილი იყო კათოლიკე მისიონერების მიერ იტალიიდან მოტანილი ნატიფი მუსიკალური ინსტრუმენტი ვიოლინო[185]. და თუ ამ დროს ჯერ კიდევ არ იყო ვიოლინოზე ქართველი შემსრულებელი, ირანის გავლენაში მოქცეული ქართველი მსმენელები დიდი სიამოვნებით ეზიარებოდნენ ევროპულ მუსიკას.

სუფრის წევრებისათვის ზოგჯერ გართობა-სანახაობანიც იმართებოდა: ბურთაობა, ცხენბურთი, ჭიდაობა, „მუშაითობა"-ჯამბაზობა და ა. შ.

სამწუხაროდ, ჩვენთვის სრულიად უცნობია ქალაქის უბრალო მოსახლეობის სუფრის წესები, მაგრამ, ვფიქრობთ, თუ უბრალო თბილისელთა ლხინ-ქორწილებს ისეთი მასშტაბები არ ჰქონდათ, როგორც მეფე-დიდებულთა ქორწილ-მეჯლისებს, მათი სალხინო სუფრებიც არ უნდა ყოფილიყო მოკლებული შნოსა და ლაზათს და სიმღერა-შაირობა, ქალაქური მუსიკა, მახვილსიტყვაობა და ცეკვა-თამაში თბილისელთა ლხინის თანმხლები უნდა ყოფილიყო.

თ ბ ი ლ ი ს ე ლ თ ა კ ვ ე ბ ა. XVII—XVIII სს. ბაჟის, ნიხრების თუ თბილისელ მოხელეთა სარგოს წიგნები საშუალებას გვაძლევენ გავეცნოთ თბილისური ბაზრების საქონელს — კერძოდ, კვების პროდუქტებს. რადგან ამ ხანებში თბილისი ნახევრად აგრარული ქალაქი იყო, მოსახლეობას თვითონვე ჰქონდა მიწის პატარა ნაკვეთებზე გაშენებული ბაღ-ბოსტან-ვენახები, თუ პურეულის ყანები და ჰყავდა შინაური ფრინველი და ცხოველებიც. ამიტომ სოფლის მეურნეობის პროდუქტების ზედმეტი ნაწილი—ხილი, ბოსტნეული, მწვანილი, პურეული, ხორცი თუ რძის ნაწარმი თვით ქალაქელებსაც შეეძლოთ გაეტანათ ბაზარზე. სოფლის მეურნეობის პროდუქტების ნაწილი ადგილობრივ, სპეციალურად ბაზრისთვის მზადდებოდა (თუმანიშვილები), ხოლო ნაწილი ახლო სოფლები-

---

[183] შაქნაზაროვი, გვ. 38.

[184] თეიმურაზ II. თხზულებათა სრული კრებული, გ. ჯაკობიას რედ., 1939, გვ. 55—56.

[185] ჟ ა ნ შ ა რ დ ე ნ ი. დასახ. ნაშრომი, გვ. 348. ავტორი ერთხელ ახსენებს შპინეტს. მეორედ კი ვიოლინოს. შპინეტი ვიოლინოს უახლესი წინაპარია. დ. მ.

დან თუ შორეული ქვეყნებიდან შემოდიოდა. თბილისის ბაზარზე კვების პროდუქტების დიდი ნაირსახეობა იყო: პური და ღვინო-არაყი, ბატკანი თუ ჰედილა, ბრინჯი და ერბო, შაქარი და ნუღლი, სამარხო ნიგვზით, ზეთისხილი, ძვირფასი თევზეული — გელაქნური*, ორაგული, ზუთხი, ხრამული, ფიჩხული, ხმელი თევზი — ზურგიელი, დოშ.., ხიზილალა და სხვა მრავალი[186]; სანელებლები: ზაფრანა, ილი, ბადიანი (სურნელოვანი სანელებელი), მიხაკი, დარიჩინი, ლაბლაბო და სხვ.[187]

მეფის სასახლეში ნადიმზე მყოფი შარდენი აღტაცებაში მოუყვანია არა მხოლოდ წესრიგს, არამედ მშვენიერ კერძებსაც. სამი სახის პურს, ხორციან თუ შაქრით, დარიჩინით და ზაფრანით შეზავებულ ყვითელ, ბროწეულის წვენით შეზავებულ წითელ და თეთრ ფლავებს, ღვეზელებს, მოხრაკულ ხორცს მოტკბო და მომჟავო საწებლით, მშრალად შემწვარ ხორცს: ნანადირევ ხოხობს, კაკაბსა და ფურ-იორის ხორცს, რაც უხვად იყო მეფის სუფრაზე.

სამწუხაროდ, ჩვენ არ ვიცით, როგორ მზადდებოდა მეფის სუფრაზე მირთმეული კერძები, მაგრამ „დასტურლამალიდან" ვგებულობთ, რომ კერძების დასამზადებლად მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონელსა და ქათმის ხორცთან ერთად იხმარებოდა ხახვი, ნიგოზი, ერბო, ხოლო საერთოდ კერძების შესაზავებლად ზაფრანა, ქიშმიში, ნუში, თაფლი, ძმარი და ა. შ.[188].

XVIII ს. ერთი საბუთის მიხედვით, ქათამი ორგვარად მზადდებოდა — ჩიხირთმად და გატენილი. ცხვრის ხორცი კეთდებოდა „ალიათ-ტყემლით და ბორნათ-ერბოთი, ხოლო 140 კობა ...ჰარხლის მკლავის მხალის" შესამზადებლად ოთხი ლიტრა მაწონი ყოფილა საჭიო[189]. ეს ცნობები, რასაკვირველია, სრული არაა.

წყაროებში დასახელებული სანელებლები იმაზე მიგვანიშნებენ, რომ თბილისელებს გემრიელად შეზავებული კერძები უყვარდათ. მაგრამ გემრიელად შეზავება ყველა თბილისელს როდი შეეძლო. შორი გზიდან მოტანილი სურნელოვანი სანელებლები საკმაოდ ძვირადაც ფასობდა და საზოგადოების შეძლებული ნაწილი თვლიდა, რომ ძვირადღირებული კერძები მათი პრივილეგია იყო და არა მოსახლეობის დაბალი ფენებისა. იოანე ბატონიშვილი აღნიშნავდა: „ბეგებსაო „ჰური და სხუანი ს ა გ ლ ე ხ ო ჰ ა მ ა დ ნ ი, უმეტეს საამოდ განაძღობს... და წყალი და ღვინო უფროს შეერგებისთ, მათ, ვიდრეღა მდიდართა სხვადასხვა სასმელები და შარბათებიო"[190].

---

[186] ქართული სამართლის ძეგლები, II, გვ. 493—499.

[187] გიულდენშტედტის მოგზაურობა, დასახ. გამოც., II, გვ. 376—379.

* გელაქნის (სევანის) ტბის კალმახი, იშხანი.

[188] ქართული სამართლის ძეგლები, II, გვ. 265.

[189] ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფ. Qd. № 7675.

[190] ი ო ა ნ ე ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი, კალმასობა, ტ. I, 1936, გვ. 230.

თუ საზოგადოების დაბალი ფენები იძულებული იყვნენ „საგლეხო ჰამადნით" დაკმაყოფილებულიყვნენ, სასულიერო პირები საგანგებოდ შერჩეული, უკვე რიტუალის თვალსაზრისით, კერძებით იკვებებოდნენ. შარდენს მოთხრობილი აქვს, რომ იმ მდიდარ სუფრაზე, სადაც მრავალფეროვანი მდიდრული კერძები შეეოჰქონდათ, სამღვდელოთათვის თევზი, კვერცხი და მწვანილი იყოო[191].

მარხვის დღეებში ქრისტიანული რჯული ზღუდავდა ან სულაც კრძალავდა ცხოველური საკვების ხმარებას. ასეთ დღეებში ქართველები მცენარეული საკვებით იკვებებოდნენ, რასაც ზოგადად სამარხო (სახსნილოს საპირისპიროდ) ეწოდებოდა. სამარხო მცენარეული ზეთით ან ნიგვზით შეზავდებოდა ხოლმე[192]. სამარხო კერძი ზოგჯერ რამდენიმე შემადგენელისაგან მზადდებოდა. იოანე ბატონიშვილის ცნობით, ცხრაგვაი საეარხოსაგან დამზადებულ შეჰამადს ცხრაწვენა ეწოდებოდა[193].

კერძებთან ერთად ქართულ სუფრაზე აუცილებელი იყო ღვინო. სამეფო კარზე მოტანილმა ღვინოებმა შარდენი აღტაცებაში მოიყვანა. მეფე-დიდებულთათვის ღვინო სალხინო სასმელი იყო, ხოლო ღარიბი მოსახლეობისათვის, პურთან ერთად, ყოველდღიური კვების პროდუქტი.

XVII —XVIII სს. თბილისში მეარაყეების არსებობა და „დასტურ-ლამალში" დაწესებული არაყხანის იჯარა იმაზე მიგვანიშნებს, რომ ამ დროს თბილისის მოსახლეთა შორის არაყს საკმაოდ ბევრი მომხმარებელი ჰყავდა.

დარეჯან დედოფლის შემოსავლის ანგარიშში ნათქვამია, რომ ზემო ხოდაშნის ზვრიდან დედოფალი სამ საპალნე არაყს ღებულობდა, რისი რეალიზაციაც, სავარაუდოა, ძირითადად თბილისის ბაზარზე ხდებოდა.

თბილისის ბაზარი საკვები პროდუქტის ნაკლებობას არ განიცდიდა, მაგრამ კვების ნორმები და საკვების სახეობა ქალაქის შეძლებული და ღარიბი მოსახლეობისათვის ერთნაიი არ იყო.

თ ბ ი ლ ი ს უ რ ი ა ბ ა ნ ო ე ბ ი. თუ X—XV სს. თბილისური აბანოების შესახებ ძირითადად უცხოელთა ცნობები გვაქვს, XVII—XVIII სს. ჩნდება ქართული დოკუმენტური მასალაც, საიდანაც ირკვევა, რომ თბილისური აბანოების დიდი ნაწილი კერძო პირთა საკუთრებას წარმოადგენდა და ესა თუ ის აბანო თბილისში თავისი პატრონის სახელით იყო ცნობილი: მელიქ ენალას, დაუთხანის, ყიასა ვეზირის აბანო და ა. შ. ან ზოგადად იწოდებოდა სახასო აბანოდ, ციხის აბანოდ, დიდ აბანოდ, პატარა აბანოდ და ა. შ.

აბანოთი სარგებლობისათვის ნიხრები იყო დაწესებული, რითაც აბა-

---

[191] ე ვ ა ნ შ ა რ დ ე ნ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 346—347.
[192] ქართული სამართლის ძეგლები, II, გვ. 494, 498.
[193] ი ო ა ნ ე ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი, კალმასობა, I, გვ. 93.

ნოს პატრონებს გარკვეული შემოსავალი ჰქონდათ. ამიტომ მთელი XVII — XVIII სს. მანძილზე თბილისური აბანოები ან თერმული წყლით სარგებლობის უფლება ყიდვა-გაყიდვის, ჩუქება-ბოძების, მზითვის თუ გაყოფა-დავის საგანი იყო.

აბანოების ნაწილში მხოლოდ ქართველობა დადიოდა. ზოგიერთ აბანოში ქრისტიანებთან ერთად მაჰმადიანებიც დადიოდნენ, ზოგი აბანო კი მხოლოდ მაჰმადიანებისათვის იყო განკუთვნილი. აბანოთი სარგებლობისათვის კვირის გარკვეული დღეები იყო დაწესებული ქალებისათვის თუ მამაკაცებისათვის. თბილისურ აბანოებს არა მხოლოდ ჰიგიენური დანიშნულებისათვის ხმარობდნენ, არამედ ადრევე შენიშნული ჰქონდათ გოგირდოვანი აბანოების სამკურნალო თვისებები. შარდენის ცნობით, თბილისში გოგირდის წყალს სამკურნალოდ იყენებდნენ[194]. თბილისური აბანოს სამკურნალოდ გამოყენება უცდია სპეულ კახეთის მეფეს ირეკლ-ყული ხანსაც. მას არც კი დაუცდია ქართლის გამგებლის ვახტანგის ნებართვისათვის და „უცნობლად ვაიტანგისა" მისულა თბილისს საკურნალოდ. მაგრამ ვახტანგს ეს ამბავი სწყენია და იმამ-ყული ხანი ციულებული გამხდარა ბოდიშით გაბრუნებულიყო უკან[195].

ვფიქრობთ, სამკურნალოდ დადიოდა ეშირად ავადმყოფი გიორგი XII-ც გოგირდის აბანოში. და ბოლოს, თბილი აბანოების სამკურნალო სასწაულმოქმედების მითის გამო მოხდა, რომ 1795 წ. გოგირდის წყლით განუკუნეველმა საჭუოისმა აღა-მაჰმად ხანმა ისინი ნაცარტუტად აქცია.

თბილისური აბანოები არა მარტო ჰიგიენურ-სამკურნალო დაწესებულებები იყო, არამედ ხალხის თავშეყრის, აზოთა გაცვლა-გამოცვლის, საჭირბოროტო თუ ყოფითი საკითხების გადაწყვეტის და გაოთობის ადგილიც.

თბილისელ ქალებს გარდა ძირითადი მოვალეობისა — შვილების აღზრდისა და საოჯახო საქმეებისა, კოპწიაობაც უყვაოდათ. მოხდენილ ტანსაცმელთან და ლამაზ სამკაულეთან ერთად მათთვის უცხო არ იყო პირის კანის და წარბ-წამწამ-თმის შეღებვა და მოვლა-გალამაზება.

თბილისელ ქალებს პირად საკუთრებაში ჰქონდათ დაბანვის პროცედურასთან დაკავშირებული „აბანოს იარაღები" და „საპირისფაოეშო იარაღები" — პირის კანისა და წარბ-წამწამ-თმის მოვლისათვის განკუთვნილი საგნები.

აბანოში მიმავალ თბილისელ ქალებს თან მიჰქონდათ „აბანოს ბოღჩებში" გამოკრული „აბანოს იაოაღები" — საპნები, ქისები, „ფეხის ქვე-

---

[194] ჟან შარდენი, დასახ. ნაშრომი, გვ. 38—39. როგორც სამართლიანად შენიშნავს შარდენის თხზულების ქართულად მთარგმნელი და გამომცემელი მ. მგალობლიშვილი, ეს ცნობა აბათილებს გიულდენშტედტის განცხადებას, თითქოს მან პირველმა შემოიღო თბილისის გოგირდოვანი წყლების სამკურნალოდ გამოყენება.

[195] ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 613.

ბი" — ლითონით შემკული მინქაფისაგან (пемза) დამზადებული ფეხის სახეხები. ინის დასალბობი ჯამები. სავარცხელ-თმისსაყოფები. შესამშოალებელი თუ დასაფენი ზეწარ-სუზანები, „აბანოს პერანგები" და ა. შ. .

ბანაობის შემდეგ საგანგებო საღებავებით (ფერით — წითელი საღებავითა და უმარილით — მათეთრებელით) ხდებოდა პირის კანის დამუშავება. წარბ-წამწამ-თმის შესაღებად კი ხმარობდნენ ინას, გუნდის ხის ნაყოფს, სურმას და მურს (ქვარტლს). საღებავები ოქრო-ვერცხლისაგან ან სხვა მასალისაგან დამზადებულ მომცრო ნატიფად ნაკეთებ კოლოფებში ან საგანგებოდ დამზადებულ პარკებში ინახებოდა.

უმარილის მომზადება პირის კანზე წასასმელად ორსაგდულიანი მოლუსკის ნიჟარაზე ხდებოდა. რასაც ქართულ წყაროებში სადაფი ეწოდებოდა. იგი ზოგჯერ სრულიად უბრალო იყო. ზოგჯერ კი ოქრო-ვერცხლით მოჭედილი და ძვირფასი თვლებით შემკული. სადაფზე წყალში იხსნებოდა ფხვიერი უმარილი და ილესებოდა სპეციალური სალესით — კონუსური ფორმის ბროლით. ბროლიც მოჭედილი იყო ლითონით და დამშვენებული მინიატურული დეკორატიული ქანდაკებით ან თვალმარგალიტით.

სახის და წარბ-წამწამ-თმის საღებავებს თბილისის მოსახლეობის ყველა ფენის ქალები ხმარობდნენ. განსხვავებული იყო მხოლოდ საღებავების და ღებვისათვის მოსახმარი საგნების ხარისხი.

გ ა რ თ ო ბ ა - თ ა მ ა შ ო ბ ა ნ ი. XVII—XVIII სს. საქართველოში სხვადასხვა სახის გართობა-თამაშობანი არსებობდა. სულხან-საბა ორბელიანს თავის ლექსიკონში „თამაშობა" ექვს სახეობად აქვს წარმოდგენილი: ასპარეზობა, მღერა, ფუნდრუკი, ხუნტრუკი, როკვა და შექცევა.

საქართველოში თამაშის ერთ-ერთი გავრცელებული სახეობა იყო ყაბახი. საბას განმარტებით, ყაბახი მოედნის შუა ადგილი იყო, სადაც „ძველად" მაღალ ანძაზე ოქროს ან ვერცხლის თასს დადგამდნენ და დღესასწაულზე და ყველიერში ცხენოსანი მეფე და დიდებულები ისრის სროლით რიგ-რიგად გაუვლიდნენ. ვინც თასს ჩამოაგდებდა, თასიც მისი იყო.

თეიმურაზ II-ის სიტყვებით კი, ანძაზე ოქროს ვაშლი იყო. ვინც ჩამოაგდებდა ვაშლს, მეფეს მიართმევდა, მეფე კი გამარჯვებულს აჯილდოებდა.

თბილისში ყაბახის არსებობა თბილისური ტოპონიმითაც — „ყაბახი" დასტურდება (ყოფ. ალექსანდრეს, დღევანდელი 26 კომისრის ბაღის ტერიტორიაზე). ყაბახი დიდი პოპულარობით სარგებლობდა, მაგრამ ეს არ იყო საყოველთაო-სახალხო გასართობი და XVII—XVIII სს. მასში მხოლოდ მეფე და დიდებულები მონაწილეობდნენ.

ასევე პრივილეგიური კლასის გასართობი თამაშობა იყო ცხენ-ბურთი. თეიმურაზ II-ს მოცემული აქვს თამაშის ორი სახეობა: I. ჩოგნით, სადაც თითო მხარეს თორმეტ-თორმეტი მოთამაშე იყო და II. სადაც 3—4

მოობურთალი მონაწილეობდა. ორივე ზემოხსენებული თამაში ასპარეზად იწოდებოდა. ეს იყო სპორტული თამაშობანი, რომლებიც სამხედრო წვრთნის ელემენტებსაც შეიცავდნენ: ისრის სროლა მიზანში, ჯირითი, ფიზიკური გამძლეობის გამოცდა და ა. შ.

ეს თამაშობანი მხოლოდ მამაკაცებისათვის იყო გათვალისწინებული, მაგრამ XVII—XVIII სს. საქართველოში იყო ისეთი სათამაშოები, რომლებითაც თამაშობდნენ როგორც მამაკაცები, ისევე ქალები. ასეთები იყო ჭადრაკი, ნარდი, განჯაფა (ეს იყო დღევანდელი სათამაშო ქაღალდის — კარტის მსგავსი ძვლის ფირფიტები) და ა. შ. ამიტომ ასეთ სათამაშოებს ქალებს ხშირად მზითევში ატანდნენ[196]. განსაკუთრებით მდიდარია სათამაშოებით ანუკა ბატონიშვილის მზითვის წიგნი (1712 წ.). იქ. გარდა ჩვენთვის ცნობილი სათამაშოებისა — ჭადრაკისა და განჯაფისა, ჩამოთვლილია ჩვენთვის ნაკლებად ცნობილი სათამაშოები „საკზი სუზრი", „კურდღელი და ავაზა", „თაგვფიშიგი" და „კიდევ სხუა წურილი სათამაშოები"[197].

XVII—XVIII სს. ცნობილი მზითვის წიგნებიდან ჭადრაკი დამოწმებული გვაქვს მხოლოდ სამჯერ. 1667 წ. ჭადრაკი მზითევში გაუტანებიათ შაჰნავაზის ასულისათვის, 1712 წ. ანუკა ბატონიშვილისათვის (ვახტანგ VI-ის ასული), ხოლო 1766 წ. ერთი ძვირფასი ჭადრაკი „თევზის კბილისა" და ფრანგული ნაკეთობის კუს „ძვლის" დაფით — ელისაბედ ბატონიშვილისათვის. ნიშანდობლივია, რომ სამივე ქალი თბილისელია — მეფის ასულები. როგორც ჩანს, სამეფო კარზე ჭადრაკი გარკვეული პოპულარობით სარგებლობდა. ჭადრაკი გონებისმიერ თამაშობად ითვლებოდა და მისი თამაში ფულზე იშვიათად თუ იქნებოდა. თეიმურაზ II-მ სპეციალური თავი მიუძღვნა განჯაფის, ჭადრაკისა და ნარდის თამაშობებს. სადაც აღნიშნავდა, რომ „ჭადრაკსა ითამაშებენ ისე თეთრზედა ძვირადა"[198].

თუ ჭადრაკის ფულზე თამაში „ძვირად" — იშვიათად ხდებოდა, სამაგიეროდ ნარდს, განჯაფას, ბანქოს ძირითადად ფულზე თამაშობდნენ. თეიმურაზ II აღნიშნავდა, რომ ამ თამაშებით ბევრ ფულს ატრიალებენ. ორი-სამი დღე გადაბმული თამაშობენ და „დაღალეას არ გაიგებენო"[199].

ეს სათამაშოები საკმაოდ გავრცელებული იყო და არსებობდა აგრეთვე თამაშისათვის შედგენილი წერილობითი ინსტრუქციებიც.

განსაკუთრებით აუგად ითვლებოდა ყომარის თამაში. თეიმურაზ II

---

[196] მასალები საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური ისტორიისათვის (მზითვის წიგნები), გვ. 33, 47, 67, 87 და სხვ.

[197] ამ სათამაშოების შესახებ იხ. ი. გ რ ი შ ა შ ვ ი ლ ი , ძველი თბილისის ლიტერატურული ბოჰემა, 1927.

[198] თ ე ი მ ურ ა ზ II, დასახ. გამოც., გვ. 96.

[199] იქვე.

ყომარის თამაშს, ისევე როგორც ნარდისა. „კაცის შესაქცევ" გასართობ საქმედ თვლიდა, მაგრამ იესე ოსეს ძე დიდად დასაძრახისად მიიჩნევდა ყომარის თამაშს. იესემ თავის შვილებს უანდერძა: — ყომარის თამაშობასა და ლოთობას არ მიეჩვიოთო[200].

. იესე ოსეს ძე თავის ანდერძში უკრძალავდა შვილებს ყომარის თამაშს და ფიცავდა მათ წინაშე, რომ ყომარის თამაში „სრულიად გამოუცდელი იყო ჩემგანო". იესე არ იყო გულწრფელი. ანდერძის სხვა ადგილიდან ირკვევა, რომ იგი ყომარს თამაშობდა, მაგრამ უარყოფდა ფულზე თამაშს. „არცა ჩემს ჟამში ყუმარი მითამაშნია თეთრზედო". „კალმასობაში" მოთხრობილია ამბავი, როცა წირვაზე მოსული ბერი იოანე ხალხის სიმრავლის გამო თბილისის სიონის შენობაში ვერ შევიდა, კარიბჭესთან დადგა და დაინახა, რომ ერთ კუთხეში ოთხი კაცი მიყუჟულიყო, „სათამაშოს ქაღალდებს სჩხრეკდნენ და თამაშობდნენ. იოანემ დაბლად სთქო: დიდი ვნება არ არის, რომ წირვის მოსმენაც ვერ მოუთმენიათ და აქ ყომარბაზობენ, შინ კი არ ეყოფათ ოცდაოთხი საათი საყომარბაზედ?" ამ სიტყვებზე დიმიტრი თუმანიშვილს (ერთ-ერთ მოთამაშეს) უკან მოუხედნია და იოანესათვის თავის მართლებით უპასუხნია: „ჩვენ ყომარზედ არ ვთამაშობთ, ამა ჩემთა ამხანაგთა წიგნი არ იციან და ამა ზედა ლოცვას ვასწავლიო"[201].

ყომარი (ყუმარი) განმარტებული არაა არც საბასთან. არც ნ. ჩუბინაშვილთან. ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში კი ყომარი განმარტებულია როგორც: 1. ოთხი კოჭის თამაში; კოჭის ერგვარი თამაში ფულზე. 2. კამათლის თამაში ფულზე, მაგრამ, როგორც კალმასობიდან მოტანილი ადგილიდან ჩანს, ყომარში ქაღალდის თამაში იგულისხმება: — „სათამაშოს ქაღალდებს სჩხრეკდნენ და თამაშობდნენ". ყომარის (ყუმარის) ფულზე თამაში აზარტული თამაში იყო და ამდენად საძრახისიც. ყომარის მოთამაშეს ყომარბაზი ეწოდებოდა. ყოველივე ზემოთქმულს მხარს უჭერს თეიმურაზის სიტყვებიც:

„ვინც აჯობებს, გამოართმევს, მოგებულს წინ დაიდებენ,
ყუმარბაზნი ხალისითა დაღალვას არ გაიგებენ,
ორი-სამი დღე მოებას, ყუმარს აღარ აიღებენ".

XVIII ს. საქართველოში ფულზე თამაში, როგორც ჩანს, გავრცელებული იყო. 1782 წ. მანუჩარ თუმანიშვილს თავის დანახარჯის ნუსხაში შეუტანია ჩანაწერი: „ძ. ქაღალდის თამაშობაში მივე"[202]. მეფის კარზედაც კი „თამაშში დახარჯვა", ე. ი. ფულზე თამაში, ჩვეულებრივი მოვლენა იყო[203].

---

200 ი ე ს ე ბ ა რ ა თ ა შ ვ ი ლ ი , ცხოვრება-ანდერძი, დასახ. გამოც., გვ. 50.
201 ი ო ა ნ ე ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი , დასახ. გამოც., გვ. 189.
202 ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფ. Qd, №7722.
203 საქართველოს სიძველენი, ტ. II, 1920, გვ. 205.

აზარტული თამაშობანი (ფულზე თამაში) არა მხოლოდ ოჯახებში იმართებოდა, არამედ არსებობდა სათამაშო საზოგადოებრივი სახლებიც. საბას განმარტებით, სახლს, „სადა მარადის იმღერიან", სამორინე ეწოდება. საბასვე განმარტებით, „მღერაში" სხვა თამაშობებთან ერთად შედიოდა „ჭადრაკის, ნარდის და სხვა სამორინოთა თამაშობა..." ასეთი სათამაშო სახლები უდავოა ქალაქებში უნდა ყოფილიყო და, პირველ რიგში, თბილისში, რომელიც ამიერკავკასიის სავაჭრო ცენტრს წარმოადგენდა. სადაც ფულიც დიდი რაოდენობით ტრიალებდა. ფულზე მოთამაშეები თბილისში მოსახლე მაღალი ფეოდალური წრის თუ ქალაქის შეძლებულ ვაჭარ-ხელოსანთა წარმომადგენლები და ზოგჯერ უცხოელი სტუმრებიც იყვნენ.

„კალმასობის" ზემომოტანილი ადგილიდან ოთხი მოთამაშიდან ერთი დიმიტრი თუმანიშვილია — ფეოდალთა კლასის წარმომადგენელი. ერთი ფეიქარი, ერთი მკერავი, ახლოდ ერთის საქმიანობაა გაურკვეველი. ამ შემთხვევაში ფეიქარი და მკერავი ის პირები არიან, ვისაც თავიანთი ხელობით შემოსავალი აქვთ და ეისი დახარჯვაც თავიანთ ნებაზე არაფრად მიაჩნიათ, თუმცა მათი შეეოსავალიც შეზღუდული იყო.

სათამაშო-სამორინე სახლებთან ერთად ქალაქებში არსებობდა სამოსმურო სახლებიც. რაც, საბას განმარტებით, „მემთვრალეთ შესაკრებელი" იყო, სადაც მოსმურნი — ღვინის მსმელები იკრიბებოდნენ. სამოსმურო სახლი (თუ სახლები) თბილისშიაც არსებობდა. იესე ოსეს ძის განცხადება — „მომღერლებთან სმა" ჩემთვის „სრულიად გაეოუცდელი იყოო"[204] — ეფიქრობთ, სწორედ ასეთ სამოსმურო სახლში დროსტარებას გულისხმობდა. ასეთ სახლებში დროსტარება „შესაქცევად" — გასართობად სიარული ხარჯებთან იყო დაკავშირებული და ის მხოლოდ ხელგაშლილ თბილისელ მდიდარ-წარჩინებულთა უპირატესობა იყო.

ქალაქის უბრალო მოსახლეობას თავისი ხალხური თამაშობა-გასართობები ჰქონდა: სალა, ჩილკა, რიკი, ვეგი (კოჭაობა) და სხვა მრავალი. რაც მოკლებული არ იყო გონებამახვილობასა და ფიზიკური შესაძლებლობების გამოცდას.

ცალკე არსებობდა საბავშვო სათამაშოებიც. XVIII ს. მიწურულს, როდესაც აღა-მაჰმად ხანმა თბილისი აიღო და დაარბია, თუმანიშვილების დანაკარგის ნუსხაში გამოჩნდა „პატარა ქალების სათამაშო კუკები და მათი ტანისამო".

ქ ა ლ ა ქ ი ს ს ა ნ ი ტ ა რ უ ლ ი მ დ გ ო მ ა რ ე ო ბ ა. იესე ოსეს ძეს ძოთხრობილი აქვს, თუ როგორ წვალებით ჩამოიყვანა მან კახეთიდან ძროხა თბილისს, სადაც მისი ოჯახი ცხოვრობდა და დასძენს: „ჩვენი ნუგეშისცემა ორი წელიწადი ამ ძროხისაგან იყო, ყმაწვილებს აოჩენ-

[204] ი ე ს ე ო ს ე ს ძ ე ბ ა რ ა თ ა შ ვ ი ლ ი, დასახ. გამოც., გვ. 2.

და და მოსამსახურეს და ვმადლობდი ღმერთსა". XVIII ს. თბილისის ეზოებში მეწველი საქონლის არსებობა ჩვეულებრივი ამბავი იყო. თბილისური სახლების ეზოებში დასახელებული საჯინიბოები და საბძელები იმაზე მიგვანიშნებენ, რომ მოსახლეობას ოჯახებში ჰყავდა აგრეთვე გამწვევი თუ სატრანსპორტო საქონელიც.

1703—1724 წწ. შედგენილ მორდლის განწესებაში დადგენილია სამორდლო გამოსავალი შინაურ ცხოველებზე: აქლემზე, ულაყ ცხენზე, ჭაკ ცხენზე, ძროხაზე, ვირზე, კამეჩზე, ჯორზე, ცხვარზე და ღორზე[205]. ვფიქრობთ, აქ ჩამოთვლილიც ცხადყოფს, რომ თბილისში შინაური ცხოველების ნაკლებობა არ იყო.

თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ თბილისი სავაჭრო მაგისტრალზე მდებარე ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პუნქტი იყო და შორეული ქვეყნებიდან მოსული თუ გზად მიმავალ-მომავალ ურმების თუ საპალნიანი საქონლის დიდი ქარავნებიც აქ ისვენებდნენ, ადვილად წარმოვიდგენთ ანტისანიტარიის მიზეზებს.

თბილისურ ეზოებში იყო საპირფარეშოებიც. 1679 წ. თბილისში გაიყიდა სახლები თავისი აბხანით (საპირფარეშოთი) და შესავალ-გასავლით[206], მაგრამ თბილისს ქალაქშივე ჰქონდა საზოგადოებრივი ნაგავსაყრელები და მოსახლეობა საოჯახო ნარჩენებს თუ ნაკელს უსისტემოდ ყრიდა ქალაქის ნებისმიერ კუთხეში. 1710 წ. ისაია მანველაშვილმა სახლები გაყიდა, სადაც საზღვრებად მონიშნულია „ქვეითი მხარი ზარაბხანის კარზედ რომ ნეხვი ჰყრია, იმის კერძადო"[207]. თბილისის ჰიგიენურ ყოფაზე უარყოფითი აზრისა იყო გიულდენშტედტიც. ქალაქის დანაგვიანება იწვევდა ხშირ ეპიდემიებს, რაც მოსახლეობის საგრძნობ ნაწილს ანადგურებდა.

ამავე დროს თბილისში იმ დროისათვის არაერთი განსწავლული ექიმი ცხოვრობდა და მოღვაწეობდა. XVIII ს. დოკუმენტებში მოხსენიებული არიან: მაჰმუდა აქიმიშვილი, ექიმი ოსეფა, ექიმი თათულა, „დოხტური" (რაინეგსი), ალექსანდრე აქიმი, პატრი უფროსი (აგრეთვე ექიმი) და ა. წ. მაგრამ მათ მოვალეობას მხოლოდ ავადმყოფების მოვლა და წამლების მიცემა შეადგენდა და არა ქალაქის ჰიგიენური პირობების დაცვა.

1770 წ. თბილისში შავი ჭირის ეპიდემიამ იფეთქა. მსხვერპლიც დიდი იყო — 4000 კაცი. 1798 წ. კვლავ იფეთქა ეპიდემიამ. ამჯერად ქალაქის მესვეურები ეპიდემიის წინააღმდეგ „დოხტურის" მითითებებით მოქმედებდნენ. მაგრამ როგორც ვხედავთ, ქალაქის სანიტარული მდგომარეობა მაინც სავალალო იყო.

---

[205] დოკუმენტები თბილისის ისტორიისათვის, I, გვ. 35.
[206] იქვე.
[207] იქვე. გვ. 153.

საკუთრივ თბილისის XVIII ს. ბოლომდელი ისტორიის შესახებ გამოქვეყნებული წყაროებისა და ნარკვევების სია

I. წყაროები

დავით აღმაშენებელი და თბილისი (ისტორიული ცნობა), გაზ. „საქართველო“, 1916, №252.

დ ი ო ნ ი ჯ ო ყ ა რ ლ ი, თბილისის აღწერა, იტალიური ტექსტი თარგმნა და შენიშვნები დაურთო ბ. გიორგაძემ, მსკი, ნაკვ. 29, თბ., 1951.

დოკუმენტები თბილისის ისტორიისათვის (XVI—XIX სს.), წ. I, შეადგინეს ნიკო ბერძენიშვილმა და მამისა ბერძნიშვილმა, თბ., 1962.

ე ვ ლ ი ა ჩ ე ლ ე ბ ი, იხ. ფუთურიძე გ., ევლია ჩელების ცნობები თბილისის შესახებ (თბილისი 1500, საიუბილეო კრებული), თბ., 1958.

თბილისის ქალაქის მოურავის მოხსენება (მდგომარეობის გასაუმჯობესებლად წამოყენებული მოთხოვნილებები), „მოგზაური“, 1905, №20, გვ. 316—317.

ი ბ ნ ჰ ა უ ყ ა ლ ი, იხ. სიხარულიძე ე., იბნ ჰაუყალი თბილისის შესახებ, საქართველოს ისტორიის აღმოსავლური მასალები, წ.I, 1976.

კ ა კ ა ბ ა ძ ე ს., ტფილისის მოსახლეობის აღწერის ნუსხა 1780—1781 წწ., ახლო დროისა, „საისტორიო მოამბე“, 1925, წ. I.

კ ა კ ა ბ ა ძ ე ს., ქ. ტფილისის აღწერა 1803 წ., „საისტორიო მოამბე“, 1925, წ. II.

კ ა ლ ა ნ კ ა ტ უ ე ლ ი მ ო ს ე, იხ. დავლიანიძე ლ., ხაზართა ლაშქრობა თბილისსა და ალბანეთში მოსე კალანკატუელის „ალბანთა ისტორიის“ მიხედვით, „ქართული წყაროთმცოდნეობა“, ტ. I, 1965.

მ ე ლ ი ქ ს ე თ - ბ ე გ ი ლ., მასალები ტფილისისა და „სომხითის“ სიძველეთა ისტორიისათვის, „ჩვენი მეცნიერება“, 1923, №1.

ქალაქის მოურავის სარგო, საქართველოს სიძველენი, ტ. II, ე. თაყაიშვილის რედაქტორობით, ტფ., 1909.

А л - ф а р и к, იხ. Из «Истории Майафарикина» Ибн-ал Азрака ал-фарика-, пер. с. арабского Мамедова А. Д. Труды Института истории АН Аз. ССР, т.XII, Баку, 1957 (თბილისის მმართველობის შესახებ).

II. ნარკვევები

1. რევოლუციამდელი პერიოდი

თ ბ ი ლ ე ლ ი, თბილისიდან (მკითხავების წინააღმდეგ ბრძოლა XVIII ს. ერეკლე მეფის დროს), „მწყემსი“, 1886, №21, გვ. 6, 7.

კ ა რ ბ ე ლ ა შ ვ ი ლ ი პ., ძველი ანჩისხატის ტაძარი ქ. ტფილისში, ტფ., 1902.

ჯ ა ნ ა შ ვ ი ლ ი მ., საქართველოს დედაქალაქი ტფილისი, ქუთაისი, 1899.

Б а к р а д з е Д. и Б е р д з е н о в Н., Тифлис в историческом и этнографическом отношениях, Тифлис, 1870.

Бакрадзе Д., Археологические разыскания в Тифлисском уезде, Изв. Кавк. отд. ИРГО, 1872—1873 гг., т. I.

Венденбаум Е., Тифлис 1796 и 1829 годов (иллюстрированное приложение к газете «Тифлисский листок», 1899, №1).

Иоселиани П., Древние памятники Тифлиса, Журнал Мин. внут. дел, 1844, ч. V, кн. I.

Иоселиани П., Города, существовавшие и существующие в Грузии, Тифлис, 1856.

Иоселиани П., Описание древностей города Тифлиса, 1866.

Иоселиани П., Путевые записки от Тифлиса до Мцхеты, 1871.

История Тифлиса. Краткие ист. сведения от основания его в 433 г. до 1806 г. и описание города в 1831 г. («Тифлисские Ведомости», 1831, №24, 25, 26).

Краткий исторический очерк Тифлиса с двумя видами по Шардену (1670 г.) и Турнефору (1701 г.) с копией плана Царевича Вахушти (1735 г.), Тифлис, 1880.

2. რევოლუციის შემდგომი პერიოდი

აბრამიშვილი რ., დიდი თბილისის არქეოლოგიური ექსპედიციის ძირითადი შედეგები. თბილისი, არქეოლოგიური ძეგლები. თბ., 1978.

ანთელავა ი., თბილისი ქართველი ხალხის გარეშე მტრებთან ბრძოლის ისტორიაში (1801 წლამდე), ჟურნ. „ლიტერატურული აფხაზეთი“, სოხუმი, 1958, №11.

აფაქიძე ა., ქალაქები და საქალაქო ცხოვრება ძველ საქართველოში, I, თბ., 1963.

აფრასიძე გ., საქართველოს შუა საუკუნეების ქალაქები (XI—XIII სს.), თბ., 1984.

ბეჟანიშვილი გ., თბილისის ხიდები, „მეცნიერება და ტექნიკა“, თბ., 1950, №11.

ბეჟანიშვილი გ., ძველი და ახალი თბილისი, „მეცნიერება და ტექნიკა“, თბ., 1950, №5.

ბეჟანიშვილი გ., თბილისის აივნები, „მეცნიერება და ტექნიკა“, თბ., 1951, №5.

ბეჟანიშვილი გ., თბილისის ტრანსპორტის ისტორიიდან, „მეცნიერება და ტექნიკა“, 1953, №4.

ბეჟანიშვილი გ., თბილისის ქუჩების სახელწოდებანი. „მნათობი“, თბ., 1957, №2.

ბერიაშვილი თ., რეფორმამდელი ხანის საქართველოს ქალაქების სოციალური ფენები (თავი I, მოქალაქეთა ფენის წარმოქმნისათვის), თბ., 1964.

ბერძენიშვილი ნ., ძველი თბილისის ტოპონიმიკიდან (აგარანი), საქართველოს ისტორიის საკითხები, წ. I, 1964.

ბერძენიშვილი მ., ძველი თბილისის ტოპონიმიკიდან: „რასტაბაზარი“ და „ჩორსუ“, მსკი. ნაკვ. 33. თბ., 1960.

ბერძენიშვილი მ., თბილისის გარეგანი სახე XVIII ს-ში, თბ., 1965.

ბერიძე ვ., XVIII ს. თბილისი ვახუშტის გეგმის მიხედვით, „ანალები“, ტ. I, 1947.

ბერიძე ვ., თბილისის „ლურჯი მონასტერი“, „ქართული ხელოვნება“, 1948, №2.

ბერიძე ვ., თბილისის ხიდები, „დროშა“, 1951, №5.

ბერიძე ვ., თბილისის მეტეხი, „მეცნიერება და ტექნიკა“, 1952, №2.

ბერიძე ვ., ძველი ქართველი ხუროთმოძღვრები. თბ., 1956.

ბერიძე ვ., ქალაქის არქიტექტურა, წიგნში თბილისი (ეკონომიურ-გეოგრაფიული დახასიათება), თბ., 1957, გვ. 349—368.

ბერიძე ვ., XVI—XVIII სს. ქართული ხუროთმოძღვრება. ტ. I, თბ., 1983. — თბილისის ხუროთმოძღვრება, გვ. 48—63.

ბერიძე თ., ძველი თბილისის მიკროტოპონიმიკიდან (დიდუბე), „მნათობი“, 1971, №8.

ბერიძე თ., ძველი თბილისის შემოგარენის ისტორიიდან (აელაბარი), „ცისკარი“, 1975, №12.

ბ ე რ ი ძ ე თ., სოღანლუღი (ძველი თბილისის ტოპონიმიკიდან), „მნათობი", 1976, №1.
ბ ე რ ი ძ ე თ., ძველი თბილისის გარეუბნების ისტორია, თბ., 1978.
ბ ე რ ი ძ ე თ., ... და აღმოცენდა თბილისი, თბ., 1977.
ბ ე რ ი ძ ე თ., სეიდაბად-ხარფუნი, ჟურნ. ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში, №4, 1983.
გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი ვ., თბილისი XVI—XVII სს. აღმოსავლურ წყაროებში, თსუ შრომები, აღმოსავლეთმცოდნეობის სერია, ტ. 99, 1962.
გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი ვ., თბილისის მმართველობა X—XI სს., თსუ შრომები, აღმოსავლეთ-მცოდნეობის სერია, ტ. 108, 1964.
გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი ვ., ქალაქ თბილისის სოციალური ისტორიიდან (ეამთააღმწერლის ერთი ცნობის განმარტება), ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ქალაქების ისტორიიდან, I, 1966.
გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი ვ., თბილისის „მოქალაქეთა" პოლიტიკური და კლასობრივი მისწრაფებანი XVI—XVII სს., ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ქალაქების ისტორიიდან, II, 1970.
გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი მ., თბილისი 1082—1122 წლებში, ქართული წყაროთმცოდნეობა, IV, 1973.
გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი მ., XII ს. თბილისის ისტორიისათვის, ძიებანი საქართველოს და კავკასიის ისტორიიდან, 1976.
გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი მ., საქართველოს ქალაქები XI—XII საუკუნეებში, თბ., 1981.
გ ა მ ს ა ხ უ რ დ ი ა თ., თბილისის ციხის უძველესი სახელწოდებისათვის. „მნათობი", 1968, №4.
გ ვ ერ ი ტ ი შ ვ ი ლ ი დ., მ ე ს ხ ი ა შ., დ უ მ ბ ა ძ ე მ., ს უ რ გ უ ლ ა ძ ე ა., თბილისის ისტორია, თბ., 1958.
გ ვ ერ ი ტ ი შ ვ ი ლ ი დ., მ ე ს ხ ი ა შ., თბილისის ისტორია, 1952.
გ რ ი შ ა შ ვ ი ლ ი ი., ძველი თბილისის ლიტერატურული ბოქვა, თბ., 1927.
გ რ ი შ ა შ ვ ი ლ ი ი., თბილისის ისტორიისათვის. ლიტერატურული ნარკვევები, 1957.
გ ძ ე ლ ი შ ვ ი ლ ი ი., ძველი ხიდი თბილისში მდ. ვერეზე, საქ. მეცნ. აკადემიის „მოამბე", 1950, ტ. XI, №2.
გ ძ ე ლ ი შ ვ ი ლ ი ი., ქ. თბილისის მატერიალური კულტურის ძეგლთა „ქართული აგურის" დათარიღების ცდა, საქ. მეცნ. აკად. „მოამბე", 1948, ტ. IX, №9—10.
გ ძ ე ლ ი შ ვ ი ლ ი ი., სამოქალაქო და საწარმოო ნაგებობათა საძირკვლების ამოყვანის პირობები ქ. თბილისში, საქ. მეცნ. აკად. „მოამბე", 1946, ტ. VII, №6.
გ ძ ე ლ ი შ ვ ი ლ ი ი., ტ უ ე შ ე ლ ა შ ვ ი ლ ი ო. ადრეფეოდალური ხანის მატერიალური კულტურის ძეგლები თბილისიდან. ისტორიის ინსტიტუტის შრომები, V, ნაკვ. I, თბ., 1960.
გ უ გ უ შ ვ ი ლ ი პ., მანუფაქტურული წარმოების ისტორიისათვის ამიერკავკასიაში. — მსკი, 1938, ნაკვ. III.
დ ო ნ დ უ ა დ., სამი სურათი ძველი თბილისის ცხოვრებიდან, „მნათობი", თბ., 1957, №9.
დ ო ნ დ უ ა დ., საქართველოს დედაქალაქი ტფილისი, ტფ., 1932.
ზ ა რ დ ა ლ ი შ ვ ი ლ ი გ., თბილისისა და მისი მიდამოების ტოპონიმია, თბ., 1978.
თ ო ფ უ რ ი ა პ., ამიერკავკასიის ქალაქები, X—XIII სს. პირველი მეოთხედი (გარეგანი სახე, ხელოსნური წარმოება), თბ., 1985.
კ ა ც ი ტ ა ძ ე დ., ირან-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან (შაჰ-ისმაილის თბილისში ლაშქრობის შესახებ), თსუ შრომები, ტ. 108, 1964.
კ ა პ ა ნ ა ძ ე დ., X ს-ის თბილისური დრამა ალი ბენ ჯაფარისა. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, ტ. 12—13, თბ., 1944.

კეკელიძე კ., თბილისი ძველ ქართულ ლიტერატურაში (თბილისი 1500 წ. საიუბილეო კრებული), თბ., 1958.
კიკნაძე რ., XI—XIII სს. თბილისის ისტორიიდან, ისტ. ინსტ. შრომები, V, ნაკვ. I, თბ., 1960.
კვირკველია თ., თბილისის არქიტექტურა, თბ., 1982.
კვირკველია თ., ძველი თბილისური დასახლებანი, თბ., 1985.
კოპალიანი ვ., თბილისელთა ორიენტაციის საკითხისათვის 1121—1122 წწ. (თბილისი 1500 წ. საიუბილეო კრებული), 1958.
კუცია კ., თბილისისა და აღმოსავლეთ ამიერკავკასიის ქალაქების სავაჭრო ურთიერთობა XVII—XVIII სს., ძიებანი საქართველოსა და კავკასიის ისტორიიდან, თბ., 1976.
კუცია კ., ამქრები XVII—XVIII სს. საქართველოს ქალაქებში, თბ., 1984.
ლორთქიფანიძე მ., თბილისის საამიროს ისტორიიდან, „მიმომხილველი", II, თბ., 1951.
ლორთქიფანიძე მ., ძველი თბილისის ისტორიული გეოგრაფიიდან (სოღდებილი), მსკი, 30, თბ., 1954.
ლორთქიფანიძე მ., თბილისის ციხე, თბ., 1955.
ლომოური ნ., უძველესი უცხოური ცნობა თბილისის შესახებ (თბილისი 1500 წ. საიუბილეო კრებული), თბ., 1958.
ლომთათიძე გ., არქეოლოგიური გათხრა თბილისში, მასალები საქ. და კავკასიის არქეოლოგიისათვის, ტ. I, 1955.
ლომთათიძე გ., არქეოლოგიური გათხრები საქართველოს ძველ დედაქალაქში, თბ., 1945.
ლომთათიძე გ., გძელიშვილი ი., ახალი მასალები თბილისის არქეოლოგიისათვის, „მეცნიერება და ტექნიკა", თბ., 1956, №8.
ლომთათიძე გ., თბილისის არქეოლოგიური შესწავლილობა, ისტორიის ინსტიტუტის შრომები, V, ნაკვ. I, 1960.
ლომაშვილი ჯ., რატომ ქვია თბილისის ციხეს „ნარიყალას ციხე", „მნათობი", 1968, №9.
მათურელი ი., სად და როდის გამოქვეყნდა პირველად თბილისის გეგმა, „მეცნიერება და ტექნიკა", 1960, №4.
მელიქსეთ-ბეგი ლ., ტფილისის ვანქის დაარსების საკითხისათვის, თსუ „მოამბე", IV, 1924.
მელიქსეთ-ბეგი ლ., ძალისი-თბილისი-ფაიტაკარათი (თბილისი 1500 წ. საიუბილეო კრებული), თბ., 1958.
მენაბდე ლ., თბილისი—ცენტრი ძველი ქართული მწერლობისა (თბილისი 1500 წ. საიუბილეო კრებული), თბ., 1958.
მესხია შ., თბილისის როლი ქართველი ხალხის ცხოვრებაში (თბილისი 1500 წ. საიუბილეო კრებული), თბ., 1958.
მესხია შ., ქალაქის ისტორიული წარსული, წიგნი „თბილისი (ეკონომიურ-გეოგრაფიული დახასიათება)", თბ., 1957, გვ. 65—101.
მესხია შ., საქალაქო კომუნა შუა საუკუნეების თბილისში, თბ., 1962.
მესხია შ., ქალაქები და საქალაქო წყობილება XVII—XVIII სს. საქართველოში, თბ., 1983.
მესხია შ., მცირე შენიშვნა ძველი თბილისის ტოპონიმიკიდან (იშიტუტრების მდებარეობის საკითხი). იხ. მისი „საისტორიო ძიებანი", ტ. III, თბ., 1986.
მესხია მ., „მელიქის" სახელოსათვის XVI—XVII სს. თბილისში, „მაცნე" (ისტ. სერია), IV, 1978.

მ ე ს ხ ი ა შ., XVI—XVII სს. თბილისის ისტორიისათვის, „მაცნე" (ისტ. სერია), II, 1979.
მ ი ნ დ ა ძ ე გ., ძველი თბილისის წყლით მომარაგება (თბილისი 1500 წ. საიუბილეო კრებული), თბ., 1958.
მ ი წ ი შ ვ ი ლ ი მ., მოქიქული კერამიკის საწარმო შუა საუკუნეების თბილისში (X—XIII სს.), თბ., 1979.
მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი დ., თბილისის ამირთ-ამირობის ინსტიტუტისათვის, კრებულში „საქართველო რუსთაველის ხანაში", 1966.
მ შ ვ ე ნ ი ე რ ა ძ ე დ., უძველესი წყალსადენი თბილისში, „მეცნიერება და ტექნიკა", თბ., 1951, №10.
მ შ ვ ე ნ ი ე რ ა ძ ე დ., ძველი ქართული სამშენებლო ხელოვნების ზოგიერთი საკითხი, „ტექნიკა და შრომა", თბ., 1950.
ნ ა ლ ბ ა ნ დ ი ა ნ ი ვ., თბილისი ძველ სომხურ მწერლობაში, თბ., 1959.
რ უ ხ ა ძ ე ტ., თბილისი ძველ ქართულ და რუსულ ნათარგმნ ლიტერატურაში (თბილისი 1500 წ. საიუბილეო კრებული), თბ., 1958.
ს ა ყ ვ ა რ ე ლ ი ძ ე რ., ქართული თეატრის ისტორიიდან (ერეკლე II-ის თეატრიდან გიორგი ერისთავის თეატრამდე), თბ., 1956.
ტ ყ ე შ ე ლ ა შ ვ ი ლ ი ო., თბილისში 1956 წ. აღმოჩენილ გემაზე გამოსახული პიროვნების ვინაობისათვის, „საბჭოთა ხელოვნება", 1962, №5.
ტ ყ ე შ ე ლ ა შ ვ ი ლ ი ო., არქეოლოგიური დაზვერვები თბილისსა და მის მიდამოებში, თბილისის მუზეუმის შრომები, II. თბ., 1966.
ფ ი რ ცხ ა ლ ა ი შ ვ ი ლ ი ა., „მოქალაქეთა" საკითხზე, თსუ შრომები, XXXV, 1949.
ფ უ თ უ რ ი ძ ე ვლ., არაბი ისტორიკოსი XII ს. თბილისის შესახებ, ენიმკის მოამბე, ტ. XIII, თბ., 1942.
ქ ო ი ა ვ ა ნ., თბილისის სამონეტო ბაზარი XVIII ს. (თბილისი 1500 წ. საიუბილეო კრებული), თბ., 1958.
ქ ო რ ი ძ ე დ., თბილისის არქეოლოგიური ძეგლები, I, 1956.
შ ა ნ ი ძ ე ა., საქართველოს დედაქალაქის სახელწოდებისათვის (თბილისი 1500 წ. საიუბილეო კრებული), თბ., 1958.
შ ა რ ა შ ი ძ ე ქ., პირველი სტამბა საქართველოში (1709—1722 წწ.). თბ., 1955 (დაწვრილებითაა საუბარი თბილისის სტამბაზე).
ჩ ა ნ ტ ლ ა ძ ე ვ., საქალაქო ფინანსები რეფორმამდელ აღმოსავლეთ საქართველოში, ეკონომიკის ინსტ. შრომები, ტ. III, 1944.
ჩ ხ ე ტ ი ა შ., ტფილისის ისტორიისათვის, მსკი. ნაკვ. I, თბ., 1938.
ც ი ნ ც ა ძ ე ვ., თბილისი (თბილისი 1500 წ. საიუბილეო კრებული), თბ., 1958.
ც ქ ი ტ ი შ ვ ი ლ ი ო., ძველი თბილისის ისტორიიდან (ისანის საკითხისათვის), საქ. მეცნ. აკად. „მოამბე", თბ., 1963. №6.
ჭ ი ლ ა შ ვ ი ლ ი ლ., ქალაქები ფეოდალურ საქართველოში. ტ. I, თბ., 1968; ტ. II, თბ., 1970.
ჭ ი პ ი ნ ა ძ ე ზ., ძველი ტფილისი, აღწერანი და მცხოვრებთა რაოდენობა, გაზ., „საქართველო", 1917, №153, 154.
ხ ა ხ უ ტ ა ი შ ვ ი ლ ი დ., იბერიის ქალაქთა ისტორიის საკითხები, თბ., 1966.
ხ უ ც ი შ ვ ი ლ ი გ., ჩემი თბილისი ქალაქი, ფბ., 1980.
ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ივ., ქალაქები და საქალაქო წეს-წყობილება და ცხოვრების ვითარება საქართველოში XVII—XVIII სს., „პრომეთე", თბ., 1918, №1.
ჯ ა ნ ა შ ი ა ს., ფეოდალური რევოლუცია საქართველოში. შრომები. ტ. I, 1949 (ტფილისის ისტორია, გვ. 10—13).
ჯ ა ლ ა ღ ა ნ ი ა ი., თბილისში მოკრილი პირველი უსახელო მონღოლური დრამები (XIII ს. 30—40-იანი წწ.), „მუზეუმის მოამბე," ტ. 19—B. თბ., 1956.

ჯალაღანია ი., მონღოლური დროის უცნობი თბილისური დრამები, „მუზეუმის მოამბე", ტ. XVIII-B. თბ., 1954.

ჯაფარიძე ვ., XI—XIII სს. თბილისის კერამიკა (თიხის ჭურჭელი). აკად. ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს მუზეუმის მოამბე, ტ. XVI—B. თბ., 1950.

ჯაფარიძე ო., „განჯის კარის" 1948 წ. გათხრის ანგარიში, მასალები საქართველოს და კავკასიის არქეოლოგიისათვის, ტ. 1, თბ., 1955.

Абаев В., Тбилиси и Осетия (к 1500-летию столицы Грузии), Тбилиси, 1959.

Бадриашвили Н., Тбилиси, 1957.

Бадриашвили Н., Тифлис, кн. I. От основания города до XIX в., Тифлис, 1934.

Джанберидзе Н., Мачабели К., Тбилиси, Мцхета, Художественные памятники, Изд. «Искусство», 1981.

Какабадзе С., К истории названия г. Тифлиса, «საისტორიო კრებული", წ. II, ტფ., 1928.

Кинцурашвили С., Маршруты старого Тбилиси, Путеводитель, Тбилиси, 1966.

Меликсет-Беков Л., Старый Тифлис по описаниям А. Негри (1817 г.) и М. Меличи (1824—1830 гг.), Отд. отт. из журн. (Тифлис), 1918, № 2—3, с. 104—113.

Меликсет-Беков Л., О междоусобице в Тифлисе 1197 г., Изд. КИАИ, Тифлис, 1925.

Меликсет-Беков Л., Тифлис, его основание и краткий исторический очерк (Путеводитель «Тифлис и его окрестности», под. ред. И. Асланишвили), Тифлис, 1925, с. 3—24.

Месхия Ш. А., Города и городской строй феодальной Грузии, XVII—XVIII вв., Тбилиси, 1959.

Орбели И., Фрагмент крестного камня с арабской подписью в Тифлисе, «Христианский Восток», IV, 1918.

Полиевктов М. А. и Натадзе Г., Старый Тифлис, Тифлис, 1938.

Чхетия Ш.К., Тбилиси в XIX столетии, Тбилиси, 1942 (Краткий очерк истории Тбилиси V—XVIII вв., с. 17—84).

Шмерлинг Р., Долидзе В., Барнавели Т., Окрестности Тбилиси, Архитектурный путеводитель, Тбилиси, 1960.

ვახუშტის 1735 წლის
გეგმის განმარტება

ეს გეგმა (იხ. აქვე, ტაბულა №50) ჩანართის სახით მოცემულია ვახუშტის 1735 წლის ატლასის ქართლის რუკაზე (ატლასი დაცულია საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტში, ფონდი H №2079). ჩანართის ქვემო მხარეზე მოთავსებულია სვეტებად განლაგებული ვახუშტის ხელით შესრულებული შემდეგი განმარტებები:

1. მეფის სასახლე
2. დედოფლის სასახლე
3. კარის საყდარი
4. მეფის მოედანი
5. ბატონიშვილის სასახლე
6. ანჩისხატი
7. ამილახვრის სახლი
8. ბატონიშვილის სახლი
9. ლუარსაბისა
10. მუხრან ბატონისა
11. სიონი
12. თბილელის ქარვასლა
13. მელიქის ქარვასლა
14. მეფის ფუნდუკი
15. ციხის მოედანი
16. ნიკოლოზის საყდარი
17. ციხის საყდარი
18. მაღალი ციხე
19. სტამბოლის გოდოლი
20. შაჰის ტახტი
21. კოჟრის კარი
22. დიმის კარი
23. მეიდნის კარი ხიდით
24. ქვემო კარი ხიდით
25. ვანქი
26. სასაფლაო სომეხთა
27. მეიდნის სასახლე
28. მეიდანი ანუ ასპარეზი
29. ყაიბულას ბაღი
30. საბაზიერო მეფისა
31. სასაფლაო თათრისა
32. ციცოშვილის სახლი
33. ქაშვეთი
34. კალოუბანი
35. არაგვის ერისთავის სახლი
36. სომხის საყდარი
37. ბეჟანას ქარვასლა
38. მამასახლისის ბაღი
39. დედოფლის ბაღი
40. მეფის დიდი ბაღი
41. ამარათი
42. თბილელის ბაღი
43. სალალაკის წყალი
44. იშუტრეკი
45. მთაწმინდა
46. ტფილისის ხიდი ციხიდამ
47. ტფილისის ბაღი სეიდაბადისა
48. ხალანგარი
49. მთაბორი
50. თათართა საფლავი
51. ციხის ბაღი
52. ოქუანთ ხიდი
53. წავკისის წყალი
54. ყრწანისის ბაღი
55. მეტეხი ციხით
56. აკლაბარი, ისანი
57. სომხის საყდარი
58. ბერძნის საყდარი
59. მელიქის საყდარი
60. ბებუთას ბაღი
61. სომხის საყდარი
62. ჩუღურეთი
63. კვირაცხოველი
64. ახალსოფელი
65. ახალი ბაღი მეიდნისა

ა. კალა ანუ ტბილისი
ბ. მამასახლისის საყდარი
გ. სომხის საყდარი
დ. ლათინთ საყდარი
ე. ბეჟანას ბაღი

ვ. მოღნისი
ზ. კლდის უბნის საყდარი
ც. ციხე დაბალი
თ. მაღალი ციხე
ი. სეიდაბადი ანუ ტბილისი
ია. ხიდი ავლაბრისა
იბ. გარეთუბანი
იგ. ავლაბრის კარი
იდ. მდინარე მტკვარი
.... გზა
III ღელე
იე. თხრილი
გორა
ივ. ფრანგის საფლავი

დედანზე მოთავსებული წარწერები ჩვენს გამოცემაში შეცვლილია ციფრებით, რაც ქვემოთ მოგვყავს:

66. კუმისის გზა
67. კოჟრის გზა
68. კოჟრის გზა
69. ბაღების გზა ყარაისა
70. კახეთის გზა
71. შუატბის გზა
72. ლილოს გზა
73. მახათა
74. ავჭალის გზა
75. ზედა გზა

1785 წლის
თბილისის გეგმის განმარტება

გეგმის ავტორია რუსი ოფიცერი ალექსანდრე სტეფანეს ძე პიშჩევიჩი. გეგმა (იხ. აქეე, ტაბულა №59) და მისი განმარტებები შესრულებულია ფრანგულ ენაზე. გეგმა ავტორის შვილიშვილის შვილმა პ. ი. ბელოვენეცმა გადასცა ისტორიისა და სიძველეთა ოდესის საზოგადოებას, რომელმაც იგი კიდეეაც გამოაქვეყნა 1902 წელს «Записки Императорского Одесского общества Истории и Древностей»-ს XXIV ტომში[1].

მოგვყავს გეგმის სათაურისა და განმარტების ქართული თარგმანი:

გეგმა დახაზულია ალექსანდრე პიშჩევიჩის მიერ 1785 წელს წმინდა გიორგის ციხეში, კავკასიის მთების ხაზზე.

„გეომეტრიული გეგმა თბილისისა, საქართველოს დედაქალაქისა, რომელიც მდინარე მტკვრის ნაპირას მდებარეობს და წარმოადგენს საქართველოს მფლობელის — მეფე ირაკლის რეზიდენციას.

თბილისი იყოფა სამ ნაწილად, რომელთაგან ჩრდილოეთით მდებარეს ეწოდება კალა... მეორე ნაწილი სამხრეთით მდებარეობს, ეწოდება საკუთრივ თბილისი... მესამე ნაწილი აღმოსავლეთითაა, ქალაქისაგან გამოიყოფა მდინარე მტკვრით და ავლაბარი ეწოდება.

პირველი ნაწილი, რომელიც ჩრდილოეთითაა და კალა ეწოდება

1. წყალთან მდებარე კარი სახელწოდებით წყლისკარი
2. საქართველოს პატრიარქის სახლი
3. საპატრიარქო ტაძარი
4. ქართული ეკლესია ანჩისხატი
5. ქართული ეკლესია წმიდა გიორგისა
6. სამლოცველო მეფე ერეკლესი
7. სამეფო კარი და მეფის რეზიდენცია
8. სამეფო ოჯახის აპარტამენტები
9. გიორგი ბატონიშვილის აპარტამენტები
10. ღვთისმშობლის ტაძარი
11. მეფე ერეკლეს აპარტამენტები
12. სტამბა
13. ქართული ეკლესია ნათლისმცემელი
14. ცხელი აბანო, რომელიც მუშაობს ცხელი წყლით
15. მეჩახმახეთა და ზეინკალთა დუქნები
16. მეჩეთი

---

[1] ამ გეგმის მსგავსი გეგმა 1782 წლის თარიღით დაცულია მოსკოვში. ЦВИА. ф.ВУА. № 22656.

17. მღებავთა ქუჩა
18. ოქრომჭედელთა ქუჩა
19. სომეხთა ეკლესია სურფნიშანი
20. თოფხანა
21. სომეხთა ეკლესია ჯიგრაშენი
22. კარი, სახელით „მაღლა“, რაც ნიშნავს ზემოთ მდებარეს
23. დიღმის კარი, სოფლის სახელის მიხედვით, რომელიც გადის რუსეთისაკენ მიმავალ დიდ გზაზე

მეორე ნაწილი,
სამხრეთით მდებარე,
საკუთრივ თბილისი

24. კათოლიკური ეკლესია
25. სომხების ახალი ეკლესია
26. მაუდით მოვაჭრეთა დუქნები
27. რკინეულობის და აბრეშუმის დუქნები
28. მეფეხსაცმელეთა დუქნები
29. ქართული ეკლესია ნათლისმცემელი
30. სიონი
31. მეფის ქარვასლა
32. სომეხთა ეკლესია ნორაშენი
33. ქართული ეკლესია ჯვარისმამა
34. მეჩეთი
35. მექვაბეების დუქნები
36. ქარვასლა, სადაც ჩერდებიან ვაჭრები
37. სომეხთა ეკლესია საპაკაშენი
38. მეჩეთი
39. სომეხთა ეკლესია მოღნინი
40. თოფხანა
41. სომხების ეკლესია კოზმანი
42. სომხების მონასტერი
43. სომხების ეკლესია ფეთხაინი
44. ებრაელთა სინაგოგა
45. სომხების ეკლესია კლდისსაყდარი
46. თათრის ბაზარი ბოსტნეულისა და სხვადასხვა სანოვაგის
47. ზარაფხანა
48. მეჩეთი
49. ჭურჭლის ქარხანა
50. სომხების ეკლესია ციხის საყდარი
51. საბაჟო
52. სომხების ეკლესია
53. საბაჟო
54. ცხელი აბანო
55. მეჩეთი თურქთა
56. ციხისკარი სამოცი საჟენის სიმაღლეზე, სადაც წინათ იყო სპარსეთის ხანის რეზიდენცია
57. წყლის რეზერვუარი, სადაც წყალი გროვდება პატარა არხით, რომელიც იმავე სიმაღლეზეა და მოემართება მთიდან

58. ქართული ეკლესია
59. ცივი აბანო
60. საპატიმრო
61. განჯისკარი სპარსეთის გზისაკენ
62. ცხელი აბანო
63. დაბახანა
64. წისქვილი

მესამე ნაწილი — ავლაბარი

65. ხის ხიდი მტკვარზე, რომელსაც ძველად კიროსს უწოდებდნენ.
66. სომხის ეკლესია მეტეხი
67. სანოვაგის ბაზარი
68. სახლი გიორგი ბატონიშვილისა
69. ეკლესია
70. წისქვილი
71. ავლაბრის კარი, დაღესტნის დიდ გზაზე გამავალი

მონასტრის გარეუბანი

72. სომეხი ბერების მონასტერი
73. წისქვილი
74. ვანქის სასაფლაო
75. საასპარეზო
76. ქართული ეკლესია ქაშუეთი
77. ქართული ეკლესია კალოუბანი
78. სომხების ეკლესია ქამოანთი
79. ვერცხლისა და სხვა მინერალების საღნობი ქარხანა
80. პატარა წისქვილები მთის კალთაზე
81. საქართველოს მეფის ძველი რეზიდენციის ნანგრევები
82. თათრების სასაფლაო
83. ველი, სადაც ხალხი მიდის ქვის სამტვრევად
84. ცივი წყარო, მინერალური
85. ქართველთა მონასტერი
86. სომხების მონასტერი"

შემოკლებათა ახსნა

АКАК — Акты, собранные Кавказской Археографической Комиссией, Издание Архива Главн. упр. наместника Кавк., ред. А. П. Берже, Тбилиси, 1866—1904 гг., т. I—XII.

ა ნ-ნ ა ს ა ვ ი — Шахиб ад-Дин Мухаммед ан-Насави, Жизнеописание султана Джелал ад-Дина Манкуберди. Перевод с арабского З. М. Бунятова, Баку, 1973.

გეორგიკა — გეორგიკა. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ. ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო ს. ყაუხჩიშვილმა. თბ., ტ. I—VIII.

ენიმკის მოამბე — ნ. მარის სახ. ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის მოამბე.

ვახუშტი, „აღწერა" — ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა. თ. ლომოურის და ნ. ბერძენიშვილის რედ., თბ., 1941.

ვ ა ხ უ შ ტ ი, ქართლის ცხოვრება, IV — ქართლის ცხოვრება, ტ. IV. ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1973.

ВДИ — ჟურნალი «Вестник Древней истории», М., 1938—1985.

თსუ შრომები — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, თბ., 1920—1985.

იბრაჰიმ ფეჩევი — იბრაჰიმ ფეჩევის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ. ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა სერგი ჯიქიამ, თბ., 1964.

ი ბ ნ ალ-ა ს ი რ ი — არაბელ და სპარსელ მწერალთა გეოგრაფიული და ისტორიული ცნობები საქართველოს შესახებ. ცნობები იბნ ალ-ასირისა („მოამბე", 1898, №2).

ი ს კ ა ნ დ ე რ მ უ ნ შ ი — ისკანდერ მუნშის ცნობები საქართველოს შესახებ, ვ. ფუთურიძის გამოცემა, თბ., 1969.

მსკი — მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის.

М е с х и а Ш. А. Города — Ш. А. Месхиа, Города и городской строй феодальной Грузии XVII—XVIII вв., Тбилиси, 1959.

შ. მ ე ს ხ ი ა და სხვ. — შ. მესხია, დ. გერიტიშვილი, მ. დუმბაძე, ა. სურგულაძე, თბილისის ისტორია, თბ., 1958.

„სამყაროს საკვირველებათა ცნობები" — სამყაროს საკვირველებათა ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ. სპარსული ტექსტი ქართული თარგმანით, შესავლითა და შენიშვნებით გამოსცა რ. კიკნაძემ, თბ., 1978.

საქ. ისტ. ნარკვევები — საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. I — VIII, გ. მელიქიშვილის რედ., თბ., 1970—1980.

სცსია — საქართველოს სსრ ცენტრალური სახელმწიფო ისტორიული არქივი.

ქართ. სამართლის ძეგლები — ქართული სამართლის ძეგლები. ტექსტები გამოსცა ი. დოლიძემ, ტ. I—VIII, თბ., 1963—1985.

ქსე — ქართული საბჭოთა ენციკლოპედია.

ქართლის ცხოვრება — ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. I, თბ., 1955; ტ. II, თბ., 1959.

ქრონიკები — თ. ეორდანია, ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა, შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი და ახსნილი თ. ეორდანიას მიერ. თბ., ტ. 1, 1892; ტ. 2, 1897; ტ. 3, 1967.

Цагарели А. Грамоты — Грамоты и другие исторические документы XVIII столетия, относящиеся к Грузии. Под ред. А. А. Цагарели, т. I—II (вып. I—II), 1891—1902.

ძვ. ქართ. აგიოგრ. ლიტ. ძეგლები — ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წ. I—VI.

ჯუვეინი — ჯუვეინის ცნობები საქართველოს შესახებ, თარგმნა და გამოსცა რ. კიკნაძემ, თბ., 1974.

ჰიშატაკარანები — სომხურ ხელნაწერთა ანდერძების ცნობები საქართველოს შესახებ (XIV—XV სს.), თარგმნა და გამოსცა ა. აბდალაძემ, თბ., 1978.

საძიებელი

პირთა სახელები

აბაშიძე გედევან 322
აბაშიძე ვახუშტი 429
აბაშიძე ქაიხსრო 332
აბალა ყაენი 180
აბდალაძე ალ. 193
აბდალ-ლატიფ ფაშა 228
აბდულა ბეგი 316
აბიმელიქოვი 365, 366
აბოვი 391, 392
აბოვიანი ხ. 26, 397
აბო თფილელი 71, 72, 86, 87, 90, 394
აბუბაქარი 106
აბულ აბასი 66
აბულ ასანი 151
აბულ კასიმი 67—68, 130
აბულაძე ი. 130
აბულაძე ც. 308
აბუსაიდი 183
აბულ-ჰასან ბეიჰაკი 136—137
აბულ ჰეიჯა 95
ადარნასე 57, 79
ადილ შაჰი 375
ავაგ მხარგრძელი 176
ავალიშვილი გ. 421, 439
ავალიშვილი ზ. 390
ავგუსტ კეისარი 38, 39, 135
ავთანდილ არაგვის ერისთავი 325
აზატ ხან ავღანი 379
ალ-ამინი 64
ალბერტ დიდი 413
ალექსანდრე I (1412—1442) 18, 190—191
ალექსანდრე (ექიმი) 452
ალექსანდრე ბატონიშვილი 363, 391, 398
ალექსანდრე (დავით იმამ-ყული ხანის ძე) 312
ალექსანდრე მაკედონელი 135
ალექსი (ხელოსანი) 442
ალვენდი 196
ალი იბნ-ჯაფარი 67—68
ალი-ყული ხანი 222, 312, 314
ალი შუბის ძე 65
ალიხანი მაჰმუდის ძე 354
ალი ჯაფარის ძე 68
ალ-კადარი 68
ალ-მამუნი 63, 65
ალმასხან ბატონიშვილი 363
ალ-ფარიკი 98, 113, 116, 126, 136
ალფ-არსლანი 97, 180
ალ-ჯაუზი იხ. სიბტ იბნ ალ-ჯაუზი
ალ-ჰამავი 137
ალ ჰუსეინი 163, 172
ამატუნი 341
ამბროზიო კონტარინი 193, 200
ამბროსი წილკნელი 419
ამილახვარი ალექსანდრე 24, 245, 331, 381, 383, 417, 437
ამილახვარი ამირინდო 377
ამილახვარი გარსევან 395
ამილახვარი დიმიტრი 331, 381
ამილახვარი ოთარი 392
ამილახორი ბეჟან 235
ამილახორი გივი 288, 303, 310, 312, 314, 331, 379, 427
ამილახორი ნიკოლოზ 288
ამილახორისშვილი დემეტრე 309
ამილახორიშვილი ათანასე 344
ამირ ასლან ხანი 376
ამირასშვილი დავითი 311
ამონიოს ჰერმიასი 139
ანა 186
ანასტასი სინელი 139
ანთიმოზ ივერიელი 404
ან-ნასაკი 170, 175
ანტონ I 406, 408—409, 412—414, 426
ანტონ II 393

---

* საძიებელი შეადგინეს გ. აფრასიძემ, შ. ბადრიძემ და ელ. ქაჯაიამ.

ანუკა 429, 449
არაქელ დავრიჟეეცი 258
არდაშირ იბნ ჰასანი 111
არეოპაგელი 139, 145
ართილაყვა ვ. 43
არისტობულე 129
არისტოტელე 133, 139—140, 143, 406, 410, 413, 422
არისტოფანე 406
არსენ იყალთოელი 139, 143
არღუნ ნოინი 179—181
არღუნ ყაენი 181, 202
არშიევი 365
არჩილ მეფე (პოეტი) 273, 275, 277—279, 431—435
არჩილ დავითის ძე 390
არჩილ იესეს ძე (აბდულა ბეგი) 375—379
ასან მირზა 378
ასან-ჯალალი 202
ასატურაშვილი არაქელა 395
ასლან (უსტაბაში) 353
ასლამაზ ხანი 312
ასლანოვი სტეფან 358
ატ-ტაი 67—68
აფრასიძე გ. 8, 10
აღა 358
აღა ზოჰრაბ ლარიჯანი 230
აღალუა 393
აღა-მაჰმად ხანი 284, 318, 327, 333, 349, 352, 389, 391—397, 399, 411, 427, 447, 452
აღასი 378
აღბუღა 109
აღსართანი (კახეთის მეფე) 96—97
აღსართან II (შირვანშაჰი) 135, 154
აშოტ ბაგრატიონი 64
აშხარბეგი (თბილისის მელიქი ბებუთა-შვილი) 309—310
ახვერდოვა ა. ნ. 6
ახუნდოვი მ. 26
აჰმედ III 306

ბაგრატ III (იმერეთის მეფე) 92, 215, 216
ბაგრატ IV 72—73, 93—98, 101, 109, 123, 124, 145, 150, 162, 163
ბაგრატ V 18, 20, 186—187
ბაგრატ VI (1466—1478) 193—194
ბაგრატ დაუდ ხანის ძე 230
ბაგრატ მუხრანბატონი 213, 279
ბაგრატიონი ანტონ 24
ბაგრატიონი ბაქარ ვახტანგის ძე 295—296, 298, 301—306
ბაგრატიონი დავით 24
ბაგრატიონი დავით გიორგის ძე 337, 363, 392—393, 398, 400—401, 408, 410 — 412, 414—416, 418, 426
ბაგრატიონი დომენტი (კათალიკოსი) 403
ბაგრატიონი ვახტანგ (ალმასხან) ერეკლეს ძე 392, 398
ბაგრატიონი ვახუშტი 5, 24, 41, 91, 236, 240, 245, 247, 284, 300—301, 303—304, 309, 317—320, 322—324, 326, 328, 330—331, 334, 343, 405—406, 424, 429, 435
ბაგრატიონი იოანე 24, 339, 351, 392, 398, 410, 414—416, 419, 420, 422, 424, 428
ბაგრატიონი იულონ 363, 400
ბაგრატიონი ქაიხოსრო 293
ბადრიაშვილი ნ. 7
ბადრიძე შ. 10
ბათო ყაენი 178
ბაკიხანოვი 26
ბარათაშვილი ბარძიმა 426
ბარათაშვილი იესე 313, 315, 332, 373—374, 412, 415, 427, 450, 452
ბარათაშვილი მამუკა 435
ბარათაშვილი ნ. 396
ბარათაშვილი ნიკოლოზ 26
ბარათაშვილი საჩინო 221
ბარათაშვილი ქაიხოსრო 250
ბარათაშვილი ჰასანბეგ 235
ბარამიძე ალ. 130
ბასილ დიდი 129
ბასილი (აბულ ასანის ძმა) 148
ბასილი (თამარის ისტორიკოსი) 146
ბაუმაისტერი ფ. 414
ბაქრაძე დ. 5—6
ბებუთაშვილი 309, 365
ბებუთოვი 371
ბერაძე გ. 112
ბერუაშვილი ფარსადან 354
ბერქა ყაენი 180
ბერძენიშვილი ნ. 7—8, 237, 315, 386
ბერძნიშვილი ნ. („ბერზენოვი") 5—6

ბერძნიშვილი მ. 8—10, 317
ბექა 109
ბექა ოპიზარი 148
ბჩო ნოინი 202
ბძინაშვილი ბეჟან 311
ბორა 202
ბოცო 167
ბურნაშოვი ს. 352, 358, 387—388, 408
ბუტკოვი პ. 396
ბუღა 184
ბუღა თურქი 14, 65, 66, 72, 73

ბაბაშვილი ბესარიონ (ბესიკი) 24, 419—420, 422—425, 427
გაბაშვილი გლახა 350
გაბაშვილი დავით 334
გაბაშვილი ვ. 8, 100, 254
გაბაშვილი ზაქარია 413
გაბაშვილი იოსებ 426
გაბაშვილი მ. 8, 98
გაბაშვილი ტიმოთე 413, 415
გაბულოვი 66, 67
გაბიძაშვილი ე. 151
გაბრიელ მაირი 393, 438
გაგიკი 95
გაიოზ რექტორი 414
გარაყანიძე ზაზა 310
გასპარა 325
გეგელიძე დავით 430
გეგელიძე ქრისტესი 430
გელაშვილი გ. 9
გერმანოზაშვილი ფარეშათ 219
გეტინგი 416
გვრიტიშვილი დ. 7, 173, 177
გიორგაძე ბ. 9, 239
გიორგი II 101
გიორგი III 105, 119—122, 146, 148, 153
გიორგი V (ბრწყინვალე) 18, 183—184, 199—200, 204
გიორგი VII 187—190
გიორგი XI 239, 264, 274, 279—280, 289—290, 292—293
გიორგი XII 25, 337, 339, 353, 360—361, 363, 398, 400—401, 410—411, 418, 424, 430, 447
გიორგი ბატონიშვილი (სიმონ I-ის ცოლის-ძმა) 218—219
გიორგი (დავით ულუს შვილი) 211
გიორგიეი რევაზ 359
გიორგი (ვახტანგ V-ის შვილი) 273
გიორგი (თბილისის ბეგლარბეგი) 223
გიორგი (კახეთის მეფე) 213
გიორგი მეფე (1525—1527) 215
გიორგი (საზანდარბაშ) 434
გიორგი (ქართლის მეფე, სიმონ I-ის შვილი) 228
გიულდენშტედტი 338, 351, 362, 383, 416, 452
გოგოლაძე დ. 346
გოილაძე ვ. 53, 57
გორგაძე ს. 141
გორგიჯანიძე ფ. 185, 236, 260, 277
გრიბოედოვი 26
გრიგოლ აკანელი 177
გრიგოლ ბაკურიანის ძე 142
გრიგოლ დიდი (რომის პაპი) 85
გრიგოლ ხლათელი 188
გრიშაშვილი ი. 6, 418, 421, 424
გურამ (ამოტ კურაპალატის ძე) 67, 70
გურამ ერისთავი 55, 78—79, 83
გუდოვიჩი 391, 399
გულბათი (ციხისთავი) 216
გურამიშვილი გიორგი 393—394
გურამიშვილი დავითი 24, 419, 423, 435—436
გურანდუხტი (დავითის მეუღლე) 101
გურგენბეგოვი სტეფანე 374
გურგენ მირზა 234
გუჩუა ვ. 174
გძელიშვილი ი. 80

ჭადიანი ლევანი 236, 277, 287
დავით IV (აღმაშენებელი) 15—16, 18, 98—104, 107, 113, 116—119, 128—130, 135—137, 142—143, 148, 151, 160
დავით VI (ნარინი) 177, 179—180, 205
დავით VII (ულუ) 177—199, 202—203, 205, 211—212
დავით VIII 181—182
დავით X 213—215, 256
დავით XI 276
დავით ამირასშვილი 311
დავით არჩილის ძე (შემდეგში სოლომონ II) 397

დავით ბატონიშვილი (გიორგი XII-ის შვილი) იხ. ბაგრატიონი დავით
დავით გარეჯელი 83
დავით რეკტორი (ალექსი-მესხიშვილი) 415, 419, 426, 428—429, 438
დავით სოსლანი 122, 128, 132, 134, 154, 163
დავითი (აბდულა ბეგის ძე) 381
დავითი (ბაგრატ V-ის შვილი) 186
დავითი (თეიმურაზ I-ის შვილი) 237
დავითი (იმამ-ყული ხანი) 300, 312, 378
დავლიანიძე ლ. 9
დათუა (ხელოსანი) 442
დარეჯან დედოფალი 323, 330, 363, 392, 400, 429—430, 446
დარჩია 334
დაუდ ხანი 220—222, 254, 270
დაუდ ხანი უნდილაძე (ალავერდი ხანის შვილი) 233—235
დაჩი 53, 70, 83, 89
დემეტრე I 105, 107, 129, 136—138
დემეტრე II 181, 199, 204—205
დემოკრიტე 139
დიასამიძე ევდომონ 291, 381
დიმიტრი (ალექსანდრე I-ის შვილი) 191
დიმიტრი (თბილელი ვაჭარი) 359
დიოგენი 422
დიონიჯო კარლი 239, 247, 265
დოდაშვილი ს. 142
დომენტი თბილელი (ორბელიშვილი) 310
დომენტი (კათალიკოსი) 285, 291—292, 311, 332
დონდუა ვ. 177
დონდუა ნ. 6
დუბროვინი ნ. 396
დუმბაძე მ. 7, 396

ეგიაზაროვი ს. 6
ეგნატაშვილი ბერი 218, 405
ეკლია ჩელები 260, 266
ევსტათე მცხეთელი 47, 87
ეკატერინე II 386, 387, 399
ელიას-ბეგი 214
ელისაბედ ბატონიშვილი 449
ელისაბედი (რუსეთის იმპ.) 344
ენეა გაზელი 139
ეპიკურე 406
ერაზმ როტერდამელი 421
ერეკლე I 239—240, 264, 289, 292—293, 329
ერეკლე II 22—25, 236, 245, 314, 316, 318, 321, 330, 339—341, 345—346, 350, 359—360, 362, 375—394, 397—400, 406—408, 411, 416—417, 420—421, 424, 426—427, 429—430, 437—438
ერისთავი გიორგი 304
ესაია ჰასან ჯალალიანცი 297—298
ეფრემ მცირე 139—141

ვაგიფი 23
ვამეყ II დადიანი 194
ვარსქენ პიტიახში 147
ვახტანგ III 182
ვახტანგ V (შაპნავაზი) 238—239, 259, 261, 263—264, 273—274, 277, 285, 331, 338, 342, 414, 433, 440—444
ვახტანგ VI 21, 23, 269, 273, 279—282, 285, 288—306, 307, 311, 316, 330, 361—362, 380, 403—406, 411, 419, 429, 434—435, 438, 449
ვახტანგ გორგასალი 11—12, 14, 40—41, 43, 49, 51—55, 69—70, 74, 81, 83, 147
ვესპასიანე 129
ვიდადი 23
ვიკფორი 258
ვოლტერი 23, 418, 421
ვოლფი ქრისტიან 412—414

ზაალ 310, 373
ზაალ ერისთავი 235—236
ზაგურსკი ლ. 6
ზანდუკელი (სადუნოვი) ნიკოლოზ 436
ზანდუკელი (სადუნოვი) სილა 436
ზანქან ზორაბაბელი 109
ზაქარია ალ-კაზვინი 111—112
ზედგენიძე შიოშ 245
ზირაქი (არაბი სარდალი) 66

ზირკინაანთ საკა 322
ზონენფელსი ი. 417
ზუბოვი 399
ზუმბულიძე დანიელ 301
ზურაბ არაგვის ერისთავი 234
ზურაბოვი აღა 359

თავქვაძე 437
თათულა (ექიმი) 452
თამაზ ხანი იხ. ნადირ შაჰი
თამარი (დავით IV-ის შვილი) 101
თამარი (ვახტანგ V-ის ასული) 288, 331
თამარ მეფე 15—16, 18, 105—106, 122, 128—129, 133—135, 146—148, 151—154, 163, 211
თანიაშვილი ბეგთაბეგ 280, 287
თანიაშვილი სულხან 280
თარხნიშვილი ავთანდილ 250
თაქთაქიშვილი არდაშელ 381
თაყოაშვილი მიკირტუმ 323
თაყუაშვილი ისაია 349, 374
თევდორე (მხატვარი) 143
თეიმურაზ I 20, 228—230, 232—236, 276—278, 426, 432, 435
თეიმურაზ II 312, 314—316, 319, 329—330, 343—345, 360, 375—376, 378—379, 406, 411, 427, 429, 436, 443—444, 448—450
თეიმურაზ ბატონიშვილი 425, 428, 439
თეკლა ბატონიშვილი 426, 429
თემურლენგი 18, 20, 184—190, 200, 204
თეოფანე 53
თექეში (ხორეზმ შაჰი) 111
თისილ არაბი 104
თომა არწრუნი 48, 74
თომაზო მინადოი 255
თომა მეწოფელი 186, 188
თორღვა პანკელი 178
თოფურია პ. 8
თოხთამიშ ყაენი 185—187
თუმანიშვილი 322, 361, 365
თუმანიშვილი გივი 403
თუმანიშვილი დიმიტრი 450—451
თუმანიშვილი მანუჩარ 451
თუმანოვი 371
თურმანიძე ხოსრო 276

ია ზიკოვი 348, 351
იაკუბი 194—196
იბნ ალ-ასირი 165—168, 171—173
იბნ ალ-ჯაუზი 116, 126, 137
იბნ ისფანდიარი 111
იბნ რუზბეჰანი 195—196
იბნ ჰაუკალი 73, 126
იბრეიმ შაჰი 375
იესე ალი-ყული ხანი 295
იესე-მუსტაფა 307, 316
ივანგულოვი 365
ივანე აბაზას ძე 93
ივანე ათაბაგი 166
ივანე მრისხანე 221
ივანე ციხისჯვარელი 176
იმამ-ყული ხანი 312, 447
იოანე XXII 184, 200
იოანე (ბერი) 450
იოანე დამასკელი 139, 140, 410, 413
იოანე იტალოსი 142
იოანე მუხრანბატონი 392
იოანე ნათლისმცემელი 280
იოანე პეტრიწი 139—140, 142—143, 413
იოანე საბანის ძე 14, 71—72, 86—87
იოანე სკოტ ერიუგენა 413
იოანე ტარიჭის ძე 139
იოანე შავთელი 132, 134—135
იოსაფატ (ჯოსაფატ) ბარბარო 193—194
იოსებ ემინი 380
იოსებ თბილელი იხ. საკაძე იოსებ
იოსებ ფლავიუსი 129
იოსელიანი პლატონ 5, 147, 330, 424, 430
ისააკი 274
ისაიაშვილი აკოფა 354
ისაკ მცირე 375
ისარლოვი 409
ისა ხან ყორჩიბაში 231—233
ისაყ ფაშა 307, 309—310
ისთაპრი 73
ისმაილ იბნ შუაბი 64—65
ისქანდერ მუნში 228—232, 234, 235
იულონ ბატონიშვილი 363
იური ანდრია ბოგოლიუბსკის ძე 109, 153
იუსუფ ფაშა 224
იშტვანოვიჩი მიხაილ 404

ᲙᲐᲣᲐᲓᲘ 75
ᲙᲐᲪᲐᲑᲐᲫᲔ ს. 8, 50, 362
ᲙᲐᲚᲐᲢᲝᲖᲘᲨᲕᲘᲚᲘ ᲐᲥᲔᲚ 331
ᲙᲐᲜᲙᲘᲚᲐᲛᲝᲕᲘ დ. 359
ᲙᲐᲞᲐᲜᲐᲫᲔ დ. 182
ᲙᲐᲠᲐᲞᲔᲢᲐ 358
ᲙᲐᲠᲑᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ პ. 303, 428
ᲙᲐᲠᲢᲔᲠᲐᲘᲢᲘ 256
ᲙᲐᲢᲐᲐ(დავით IV-ის შვილი) 101
ᲙᲐᲢᲠᲝᲜᲘᲢᲔ 104
ᲙᲐᲪᲐᲫᲔ ა. 9
ᲙᲐᲪᲘᲢᲐᲫᲔ დ. 189
ᲙᲔᲚᲔᲚᲘᲫᲔ კ. 7, 130, 135, 433
ᲙᲘᲚᲜᲐᲫᲔ რ. 9, 174, 195
ᲙᲘᲠᲐᲙᲝᲡ ᲒᲐᲜᲫᲐᲙᲔᲚᲘ 168—169
ᲙᲘᲠᲘᲝᲜ I 84—86
ᲙᲘᲠ ᲐᲛᲐᲚᲘᲥᲘ 172
ᲙᲚᲐᲠᲝᲢᲘ 333
ᲙᲚᲘᲛᲔᲜᲢᲘ VIII 226
ᲙᲜᲝᲠᲘᲜᲒᲘ 359, 401, 412
ᲙᲝᲕᲐᲚᲔᲜᲙᲘ 359, 401
ᲙᲝᲜᲡᲢᲐᲜᲢᲘᲜᲔ I 190
ᲙᲝᲜᲡᲢᲐᲜᲢᲘᲜᲔ II 195—196, 213
ᲙᲝᲜᲡᲢᲐᲜᲢᲘᲜᲔ (ᲙᲐᲮᲔᲗᲘᲡ მეფე, ᲝᲒᲘᲕᲔ მᲐᲛᲐᲓᲣᲚᲘᲮᲐᲜᲘ) 21—22, 310, 394
ᲙᲝᲜᲡᲢᲐᲜᲢᲘᲜᲔ ᲘᲛᲞᲔᲠᲐᲢᲝᲠᲘ 129
ᲙᲝᲜᲡᲢᲐᲜᲢᲘᲜᲔ მᲝᲜᲝᲛᲐᲮᲘ 95, 299—306
ᲙᲝᲢᲔᲢᲘᲨᲕᲘᲚᲘ ვ. 431
ᲙᲝᲭᲐᲠᲘ 438
ᲙᲣᲠᲐᲡᲘ გ. 415
ᲙᲣᲪᲘᲐ კ. 8

ᲚᲐᲖᲐᲠᲔᲕᲘ 401
ᲚᲐᲚᲐ ᲛᲣᲡᲢᲐᲤᲐ ᲤᲐᲨᲐ იხ. ᲛᲣᲡᲢᲐᲤᲐ ᲚᲐᲚᲐ ᲤᲐᲨᲐ
ᲚᲐᲠᲐᲫᲔ პᲔᲢᲠᲔ 426
ᲚᲐᲨᲐ ᲒᲘᲝᲠᲒᲘ 132, 154, 161, 166, 204, 210, 212
ᲚᲔᲕᲐᲜ ᲑᲐᲢᲝᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ 426
ᲚᲔᲕᲐᲜ ᲔᲐᲮᲢᲐᲜᲒᲘᲡ ძე ᲑᲐᲒᲠᲐᲢᲘᲝᲜᲘ 273, 280, 289
ᲚᲔᲝᲜᲘᲫᲔ გ. 419
ᲚᲔᲠᲛᲝᲜᲢᲝᲕᲘ მ. 26
ᲚᲣᲡᲐᲯᲘ 422
ᲚᲔᲝᲜᲘᲫᲔ ᲡᲝᲚᲝᲛᲝᲜ 24, 333, 426
ᲚᲘᲞᲐᲠᲘᲢᲘ (ᲙᲚᲓᲔᲙᲐᲠᲘᲡ ᲔᲠᲘᲡᲗᲐᲕᲘ) 93—96
ᲚᲝᲚᲐᲫᲔ ᲑᲔᲠᲗᲐᲣᲪᲐ 288
ᲚᲝᲛᲗᲐᲗᲘᲫᲔ გ. 51, 80
ᲚᲝᲛᲘᲜᲐᲫᲔ ბ. 177
ᲚᲝᲛᲝᲜᲝᲡᲝᲕᲘ მ. 414
ᲚᲝᲛᲝᲣᲠᲘ თ. 182
ᲚᲝᲠᲗᲥᲘᲤᲐᲜᲘᲫᲔ მ. 67
ᲚᲝᲡᲔᲕᲘ ა. 140
ᲚᲣᲐᲠᲡᲐᲑ I 19, 214—219, 274, 431
ᲚᲣᲐᲠᲡᲐᲑ II 228—230
ᲚᲣᲐᲠᲡᲐᲑ (ᲡᲞᲐᲡᲞᲔᲢᲘ) 309
ᲚᲣᲙᲘᲐᲜᲔ 83

ᲛᲐᲓᲘᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲖᲐᲥᲐᲠᲘᲐ 413
ᲛᲐᲚᲘᲥ ᲨᲐᲰ 137
ᲛᲐᲛᲣᲐ 442
ᲛᲐᲜᲐᲜᲐ (ᲞᲝᲔᲢᲘ ᲥᲐᲚᲘ) 437
ᲛᲐᲜᲐᲜᲓᲘᲐᲜᲘ Ჯ. 104
ᲛᲐᲜᲡᲣᲠᲘ (ᲮᲐᲚᲘᲤᲐ) 63, 95
ᲛᲐᲜᲡᲣᲠ ᲯᲐᲤᲐᲠᲘᲡ ძე 68
ᲛᲐᲜᲣᲩᲐᲠ ᲐᲗᲐᲑᲐᲒᲘ 224
ᲛᲐᲜᲣᲩᲐᲠᲘ 361
ᲛᲐᲠᲒᲘᲐᲜᲘ გრ. 9
ᲛᲐᲠᲘ ნ. 130, 133
ᲛᲐᲠᲘᲐᲛ დᲔᲓᲝᲤᲐᲚᲘ (ᲠᲝᲡᲢᲝᲛ მეფის მეუღლე) 274, 277, 442
ᲛᲐᲠᲘᲐᲛᲘ (ᲔᲠᲔᲚᲔᲡ ᲐᲡᲣᲚᲘ) 363, 420, 426
ᲛᲐᲠᲙᲝ ᲞᲝᲚᲝ 199
ᲛᲐᲦᲐᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲘᲣᲡᲢᲘᲜᲔ 413
ᲛᲐᲦᲐᲚᲐᲫᲔ ᲜᲘᲙᲝᲚᲝᲖ 412
ᲛᲐᲧᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲡᲘᲛᲝᲜ 344
ᲛᲐᲩᲐᲑᲔᲚᲘ დავით (ᲛᲡᲐᲮᲘᲝᲑᲘ) 393, 437—438
ᲛᲐᲰᲓᲘ (ᲮᲐᲚᲘᲤᲐ) 63
ᲛᲐᲰᲛᲣᲓᲐ ᲐᲥᲘᲛᲘᲨᲕᲘᲚᲘ 452
ᲛᲒᲐᲚᲝᲑᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ მ. 9
ᲛᲔᲒᲠᲔᲚᲐᲫᲔ დ. 10
ᲛᲔᲘᲗᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘ ᲛᲐᲜᲣᲩᲐᲠ 244
ᲛᲔᲚᲘᲥᲘᲨᲕᲘᲚᲘ 334, 365
ᲛᲔᲚᲘᲥᲘᲨᲕᲘᲚᲘ გ. 8, 9, 79
ᲛᲔᲚᲘᲥᲝᲕᲘ 365
ᲛᲔᲚᲘᲥᲡᲔᲗ-ᲑᲔᲒᲘ ლ. 8, 9, 396
ᲛᲔᲛᲜᲐ 167, 168
ᲛᲔᲜᲐᲑᲓᲔ ლ. 276
ᲛᲔᲡᲢᲣᲛᲠᲔ ᲯᲘᲥᲔᲠᲘ 178,199, 203, 205
ᲛᲔᲡᲮᲘᲐ შ. 7, 116, 119, 314, 352
ᲛᲔᲡᲮᲘ ᲞᲔᲢᲠᲔ (ᲛᲦᲕᲓᲔᲚᲘ) 287
ᲛᲔᲡᲮᲘᲨᲕᲘᲚᲘ ᲐᲚᲔᲥᲡᲘ 428
ᲛᲔᲡᲮᲘᲨᲕᲘᲚᲘ ᲔᲤᲠᲔᲛ 426
ᲛᲔᲡᲮᲘᲨᲕᲘᲚᲘ ᲡᲝᲚᲝᲛᲝᲜ 428, 429

მეჯლუმი 391, 392, 397
მეკმედ ფაშა 222
მირან შაჰი 187
მირზა იუსუფ ყარაბაღელი 394
მირზა შაფი ვაზეხი 26
მირიან ბატონიშვილი 363
მირ-მაჰმუდი 297—299
მიქაელ ასური 168
მიქაელ პსელოსი 139
მიქაძე იესე 288
მიქაძე ნიკოლოზ 429
მიღდისი 360
მონტესკიე 417, 421
მირვეისი 293, 297
მოსე ელიავარდელი 86
მოსე კალანკატუელი 77
მოღის ედ-დინი 173
მოძღვრიშვილი იოანე 412
მოჰამედ-სულთან შამს ად-დინლუ 228
მოჰამედ-ყული ხანი 232
მუთაკაქილი (ხალიფა) 65
მუთიეი მიკირტუმ 374
მურავიოვი 351
მურვან იბნ მუჰამად 60
მურვან ყრუ 60
მუსტაფა ალი 255
მუსტაფა ლალა ფაშა 222—223, 255
მუსხელიშვილი დ. 9, 121
მუხასძე 176
მუჰამად იბნ-ათაბაგი 65
მუჰამად იბნ-ხალილ შაიბანიანი 66
მუჰამედი ხორეზმშაჰი 165—166
მღებრიშვილი შაკერდა 378
მხითარ აირივანელი 53

ნადირ შაჰი 312—316, 375, 377, 406
ნაზარბეგაშვილი გიორგი 360
ნაზარბეგოვი სოლომონ 374
ნათაძე გ. 6, 330
ნალბანდიანი ვ. 8, 396
ნემესიოს ემესელი 139
ნერსე 63, 80, 86
ნეჯმ ად-დინ ილ-ღაზი 102
ნიზამ ალ-მულქი 62, 98
ნიზამ განჯეი 16, 130, 131, 135
ნიკოლაძე ნიკო 27
ნიკოლოზ (ყათალიკოს-პატრიარქი) 290, 291
ნიკოლოზ აფხაზი 430
ნიორაძე გ. 43
ნუცუბიძე შ. 141

ოვნათანიანი იონათან 430
ოზდემირ ოღლუ ოსმან ფაშა 224
ოლეარიუსი ადამ 256, 258
ოლჯაითუ ყაზან ყაენი 183
ომარ ხაიამი 161
ომარ ხანი 308
ომერ ფაშა 224
ორბელიანი ალ. 391, 393
ორბელიანი გიორგი 325
ორბელიანი დავითი 412, 423, 426
ორბელიანი იოანე 413
ორბელიანი მზეკაბუკ (ვაბუა) 412—413, 422, 426
ორბელიანი პაპუნა 313—315, 377, 414
ორბელიანი ს-ს. 142, 267, 273, 275, 279, 281—282, 403—404, 406, 419, 432—433, 435, 448, 450—451
ოსეფა 452
ოსტრატი რ. 415

პაატა (ვახტანგ VI-ის უკანონო შვილი) 380, 381
პაატა ბეგი 250
პავლე I 399
პანარეტოსი მიქელ 186, 200
პარმენიდე 143
პატარიძე რ. 199
პატრი კარლო 239, 248
პატრი უფროსი 452
პახომოვი ე. 182
პევტინგერი კ. 47
პეისონელი 355
პენტელაშვილი იოანე 322, 350
პეროზი 75
პეტრე დიდი 21, 298, 305
პეტრე იბერი 139, 141
პიმჩევიჩი ალ. 317, 318, 322—325, 331, 332
პლატონი 133, 139, 143, 406, 413, 422
პლოტინი 143
პლუტარქე 130
პოლიევქტოვი მ. 6, 330
პორფირი ტირელი 410, 413

პორფირიუსი 139, 143
პოტიომკინი 350
პროკლე 139, 142, 413, 422
პტოლემეოსი 129
პუშკინი ალ. 26

შან-ფრანსუა მარმონტელი 422
ჟან შარდენი 238, 262—263, 284—285, 332, 434, 441, 443, 447
ჟორდანია გ. 9

რაინეგსი ი. 409, 416, 438, 452
რამაზი (დავით X-ის შვილი) 214
რასინი 421
რაშიდ ად-დინი 174, 182
რაჯაბ ფაშა 307, 335
რიდვან (რეზვან) ფაშა 224
როლენი შ. 415
როსტომ მეფე 20, 147, 235, 238, 245, 247, 248, 259—262, 264, 266, 270, 277, 284, 324, 331, 338, 375, 442
რუსუდანი (დემეტრე II-ის ასული) 181
რუსუდანი (თამარ მეფის მამიდა) 128
რუსუდან მეფე 154, 166—168, 173—174, 176—177
რუქნადინი 134, 171

საკაძე გიორგი 20, 229—233, 250, 275, 281, 338
საკაძე იოსებ 275, 281—282, 287
საკაძე პაატა 232
საკაძე როსტომ 236
საკაძე სიაუშ 250
საბაშვილი სერაპიონ 276
საგინაშვილი ელისე 274, 285
საიათნოვა ა. 23, 420, 422, 424—426, 437
საიდ-მუჰამედი 375
სამოელი 83, 86
სანჯარი 137
სარგის ჯაყელი 179—180
სარკავაგი იოანე 16
საჰაკი 14, 65—66, 72—74, 83
საჰიბ აშ-შურატი 62
სელიმ ხანი 235—236
სერობი 396
სიბტ იბნ ალ-ჯაუზი 98
სითილ არაბი 97
სიმეონ ჯულფელი 413
სიმონ I 19, 217—227, 229—250, 255, 270, 274, 330
სიმონ ხანი 230, 231, 233, 234
სინან ფაშა 223—224, 255
სიხარულიძე ე. 9, 65
სკვორცოვი 358
სოკრატე 406
სოლომონ I 382, 409, 418
სოლომონ II 390, 392
სოფიო ბატონიშვილი 363
სტეფანოზი (ქართლის ერისთავი) 156—157
სტეფანოზ III 59
სუბუდეი 166
სულეიმან ათაბაგი 388
სულეიმან ბეგ ბაიათი 218
სულხან (ხელოსანი) 442
სულხანა (ვაჭარი) 378
სუმაროკოვი ა. 421, 439
სუნდუკიანი გ. 26
სერგულაძე ა. 7
სურხაი ხანი 297
სუხოტინი 382
სფრანძე 431

ტაბარი 66, 74
ტაბატაძე კ. 190
ტავერნე 263
ტამარა 387
ტარსაიკ ორბელი 202
ტერ-არაქელა 325, 361
ტერ-გევონდიანი ა. 66
ტერ-საკა 325
ტიკაძე მ. 8
ტიტუსი 129
ტოლსტოი ლ. 26
ტოლრილი 173
ტრიფილე 412
ტურნეფორე 248, 265, 284, 329—330, 333
ტუჩკოვი 350
ტყეშელაშვილი ო. 80

უზუნ ჰასანი 192—194, 196, 200
ულუღ ბეგი 405
უალება დ. 32
უმეკი 202, 204

უსეიდ იბნ-იაზიდი 64
უსპენსკი 142
უსუფ ბეგი 310
უსუფ ფაშა 307
უტტანესი 77, 84—86

ფათალი ხანი 296, 360
ფადლონი 97
ფანა ხანი 379
ფანჩულიძე ალექსი 436
ფარნაოზ ბატონიშვილი 338, 363
ფასუა 442
ფაშვიბერტყაძე ფეშანგი 433
ფეტიაშვილი 360
ფიცხელაური დოსითეოსი 337
ფრიკი 17
ფსევდო-დიონისე არეოპაგელი 141
ფსევდო შაპუჰ ბაგრატუნი 48
ფუთურიძე ვ. 9, 162

ქავთარიშვილი გიორგი 309
ქაიხოსრო II 217
ქართველიშვილი იოანე 396, 410, 415
ქაჯაია ე. 10
ქევაია 358
ქეთევან ბატონიშვილი 363, 420, 426
ქობულაშვილი ონანა 403
ქრამ ხუბორ ზარდი 50, 52
ქუჩუ ჩელები ზადე 306

ყაზან ყაენი 181, 183
ყაზან-ხანი 223
ყაითმაზაშვილი ფილიპე 413
ყარა იუსუფი 190
ყარაშვილი ანტონ 409
ყარაშვილი თათულა 409
ყარჩიხა-ხანი 231, 232
ყაუხჩიშვილი ს. 7
ყაფლანიშვილი მანუჩარი 309
ყორღანაშვილი 334
ყორღანაშვილი იოსებ 350, 374
ყორღანაშვილი კახაბერ 220—221
ყუარყუარე II 194
ყუთლუ-არსლანი 105, 115, 117

შაჰვერდი სულთან ზიადოღლი ყაჯარი 218—219
შათირმ შაჰი 231
შამჩი-მელქო 397
შანიძე ა. 7, 47
შანშე ერისთავი 304
შანშიაშვილი იარალი 437
შარაშენიძე ზ. 396
შარაფ ალ-მულქი 172—173
შარდენი იხ. ჟან შარდენი
შაროა 358
შაქარაშვილი გასპარა 348
შახაბადინი 202
შაპამირ აღა 350
შაჰ აბას I 20, 226, 227, 229—234, 257—259, 270, 277
შაჰ აბას II 338
შაჰ ბენდე ხანი 233
შაჰ თამაზ I 215—217, 221
შაჰ თამაზ II 299
შაჰ ისმაილი 196, 213—215, 256, 276
შაპროჰი 190—191, 375
შაჰ სეფი 234, 236—237
შაჰ ჰუსეინი 294—295, 297—298
შედადიან აბულ-ასვარი 96
შენგელია ნ. 308
შერმაზანაშვილი 322
შერმაზანი 310
შოთა რუსთაველი 15—16, 132, 135, 138—140, 143—145, 152, 404, 422, 434
შოშიაშვილი ნ. 177
შუშანიკი 147

ჩახრუხაძე 132—135, 152
ჩინგის ხანი 165—166, 179
ჩობან-ნოინი 183
ჩოლოყაშვილი დავით 421, 426, 439
ჩოლოყაშვილი ჯიმშერ 378
ჩორმაღანი 175, 202
ჩუბინაშვილი გ. 83
ჩუბინაშვილი ნ. 450
ჩუიკო კ. 317
ჩხატარაიშვილი ქ. 9
ჩხეიძე სეხნია 414
ჩხეტია შ. 7

ცაგარეიშვილი ე. 8, 53
ცაგარელი ა. 396
ცოცეშვილი გლახა 381

ციციშვილი დავით 418
ციციშვილი მანუჩარ 250
ციციშვილი ნოდარ 236, 277
ციციშვილი პაპუნა 235, 338
ციციშვილი ფარსადან 236
ციციშვილი ქაიხოსრო 195
ცოტნე დადიანი 177
ცურტაველი იაკობ 14
ცქიტიშვილი ო. 9, 71

ძიძიგური გ. 9

წერეთელი აკ. 27
წერეთელი გ. 27
წერეთელი ზ. 392—393

ჭავჭავაძე ალექსანდრე 26
ჭავჭავაძე გარსევან 399, 429
ჭავჭავაძე ილ. 27—28, 402
ჭილაშვილი ლ. 8, 70—71

ხალილბეგი 194—195
ხალილ იბნ-იაზიდი 65
ხალილ მირზა 194
ხასიტოვი ბეეან 374
ხელაშვილი იოანე 425
ხერასკოვი მ. 421
ხერხეულიძე ომან 306, 314, 414
ხერხეულიძე რევაზ 322
ხვარამზე 280
ხითარიშვილი ფეშანგი 277
ხოსრო ანუშირვანი 71
ხოჯა ბეკბუდა 4, 247, 266, 321, 324, 348
ჯაყად ხანი 391, 397
ჯაყად ზიად-ოღლი 395
ჯავახიშვილი ივ. 6, 85, 130, 138, 158, 170, 173, 182, 184, 189, 205, 209, 440—441
ჯავახიშვილი ჯავარი 195
ჯალალიანცი ისაია 300, 302, 304
ჯანაშვილი მ. 6
ჯანაშია ნ. 8
ჯანაშია ს. 7, 50, 305
ჯარაჰი 60
ჯაფარ ალის ძე 67—68, 93—95
ჯაფარ მანსურის ძე 68
ჯაჰან ბანუ 231
ჯებე 166
ჯებუ ხაკანი 57
ჯელალ ედ-დინი 17, 114, 118, 123, 136, 166—170, 172—175, 198
ჯეჰან შაჰი 191, 200
ჯიგდა ხათუნი 178
ჯიქია ს. 9, 119, 307—308, 310
ჯუანშერი 89

ჰაბიბ იბნ-მასლამა 59
ჰადიმ ჰასან ფაშა 224
ჰარუნ არ-რაშიდი 63
ჰასან ფაშა 223
ჰაჯი-დაუდი 297
ჰერაკლე კეისარი 56—58, 70, 79, 89
ჰიშამი 60
ჰოვანეს ერზინკელი 204
ჰოდუდ ალ-ალემი 74
ჰომეროსი 133, 422
ჰულაგუ ყაენი 179—180
ჰუსეინი 296, 299

გეოგრაფიული და ეთნიკური სახელები

აბანოების ქუჩა 243
აბანოს კარი 243
აბანოს უბანი 89, 327
აგარანი 97
აგრის-წყალი 379
ავანაანთ ხევი 242, 319, 324—326
ავლაბარი 14, 37, 39, 71, 95, 241—242, 246, 300—301, 310—311, 317, 322—323, 327, 348
ავლაბრის ციხე 242, 322—323
ავლაბრის ხიდი 19, 215, 302, 394
ავლევის ქუჩა 332
ავსტრია 416
ავღანეთი, ავღანელები 165, 289—290, 292—294
ავჭალა 37, 64, 343
ავჭალის გზა 36, 324, 340
აზერბაიჯანი 12, 15, 22, 32, 45, 67, 105—

106, 113, 166, 173, 187, 190, 192, 261, 379, 399
აზია 39, 105
აზოვის ზღვა 200
ალავერდი 346
ალამუტის ციხე 222
ალბანეთი, ალბანელები 12, 61, 65, 93
ალგეთი 232
ალგეთი (მდ.) 93, 195, 226, 228
ალეპო 255, 257, 355
ალინჯის ციხე 187, 189
ამიერკავკასია 12—16, 18, 21—23, 26, 28—29, 32, 47, 50, 56, 58, 61—65, 74, 76, 92, 93, 99, 104—105, 107, 115, 166, 175, 216, 221, 223, 227—228, 234, 254, 257—259, 261, 265, 291, 296, 298, 300, 304, 312, 379, 384—385, 387, 391, 396, 399, 416, 451
ანაკოფიის ციხე 93,95
ანანური 375
ანატოლია 382
ანისი 15, 76, 95, 104—105, 170, 172
ანჩისხატის ეკლესია 21, 69—70, 78—79, 83, 93, 128, 147, 244—245, 284, 288, 331, 375, 381, 408
არაბეთი, არაბები 13, 58—61, 70, 86—87, 113, 128, 136, 263
არაბთა სახალიფო 58, 63, 65
არაბული ერაყი 192, 214, 232
არაგვის საერისთავო 234, 345
არაგვის ხეობა 187
არაქსი (მდ.) 35, 93, 227, 391
არგვეთი 97
არდებილი (ქ.) 391
არეზი (მდ.) 166
არზრუმი 171, 173, 354—355
არმაზი 54, 70
არმაზციხე 48
არმენია 62, 64
არტაანი 170
არტანუჯი 12, 14, 16
არტანუჯის ციხე 54
არტაშატი 48
ასტრახანი 307, 358—359
ასტრახანის სახანო 18, 221, 256
აფრიკა 21, 216, 257, 264
აფხაზეთის ქვეყანა 172
აღმოსავლეთ ამიერკავკასია 54, 61, 65, 227, 237, 254, 256—257, 259, 264, 294, 313, 385
აღმოსავლეთ ევროპა 77
აღმოსავლეთ საქართველო 44—45, 61—62, 76—77, 178, 180, 183, 187, 213, 216—217, 227, 229—231, 237—238, 259—260, 262, 266, 270, 277, 298—299, 313, 400, 415
აღჯაყალა 214—215, 228, 232, 338
ახალდაბა 179
ახალქალაქი 227, 256, 354
ახალციხე 16, 224, 227, 256, 307, 354
ახალციხის საფაშო 307, 383
ახლო აღმოსავლეთი 25, 106, 108, 110, 113, 179, 192, 198, 213, 237, 266—270
ახტალა 396
ახუნდოვის ქუჩა 243

ბაზალეთი 20, 233—234
ბაიდარი 345, 377
ბაილაკანი 358
ბალტიისპირეთი 29
ბამბაკის ხეობა 167
ბარათაშვილის ქუჩა 71, 89, 241—243, 319—320, 326
ბარათაშვილის ხიდი 14
ბარდა-ბარდაეი (ჰეროზპატი) 12, 73, 76—77, 93, 113, 296
ბასიანი 164
ბატონის მოედანი 244—245, 331
ბაქო 298, 358, 391, 399
ბაქტრიის სამეფო 39
ბაღდადი 63—64, 68, 138, 355
ბეთანია 148
ბელორუსია 29
ბელუჯები 292
ბერძნები 130, 262
ბიზანტია, ბიზანტიელები 12—13, 15, 55—59, 61, 73—74, 76, 82, 84, 87, 92—93, 96, 99, 101, 142, 149, 155
ბიზანტიის იმპერია 54, 56, 58, 98, 192

ბირთვისი 64, 93
ბოლნისი 174—175, 230
ბოლნისის სიონი 90
ბოლნისის ქუჩა 243
ბორჩალო 345, 377
ბოსფორის სამეფო 39
ბოტანიკური ბაღი 70, 72, 243
ბოშის უბანი 320
ბრესტი 29
ბურიატები 165

ბაბაანთ ხევი 26, 33, 334
ბაგის ველი 167
ბანჯა 77, 94, 97, 123—124, 168, 172—173, 218, 227, 232, 243, 256—257, 260, 295, 298, 345—346, 411
ბარდაბანი 77, 219
ბარნისი 166, 185
ბელათის აკადემია 142
ბილანი 183
ბლდანი 30, 43
ბლდანის ტბა 33
ბობის უდაბნო 165
ბოგჩის შესახვევი 320
ბოლოვინის პროსპექტი 27
ბონიოს ციხე 232
ბორგასლის ქუჩა 243
ბორი 19—20, 183, 194, 218, 222, 224, 227, 237, 252, 264, 310, 337
ბორის ციხე 226, 236
ბრემი 230, 255, 257
ბრიბოედოვის ქუჩა 322
ბურია 390

დავითაშვილის ქუჩა 318
დავით აღმაშენებლის ბამბ. 27, 37
დავით ბარეჯის მონასტერი 245
დამასკო 199, 255
დარიალი 113, 123, 389, 399
დარიალის ბარი 54, 187
დარიის მონასტერი 323
დარიჯელის ციხე 95
დარუბანდი 16, 73—74, 76, 106, 296, 298, 399
დასავლეთ ევროპა 12, 21, 88, 192, 200, 257, 438
დასავლეთ ირანი 190, 192
დასავლეთ საქართველო 22, 36, 63, 94, 97, 159, 176, 179, 180, 183, 189, 193, 217, 229, 231, 237
დაღესტანი 106, 296—297, 307, 388
დელისი 35, 334
დერბენდი 113, 185, 187, 399
დვინი 12, 58, 76, 82, 93, 105, 166, 167, 230
დიარბეკირი 105, 174, 263
დიდგორი 97, 102
დიდგორის ველი 15
დიდგორის მთა 216, 334
დიდუბე 34—35, 37, 39, 122, 154, 163, 210, 342—243
დიოსკურია 11
დირსიპალა 246, 323, 339
დიღომი 35, 38, 45, 145, 220, 242, 335
დიღმის ველი 30, 38—39, 64, 94
დიღმის ბარი 355
დიღმის ხევი 38
დმანისი 14, 16, 61, 64, 100, 124, 176, 183, 223—224, 228
დმანისის ციხე 221, 228
დოდოს მონასტერი 242
დურძუკები (ძურძუკები) 174
დუშეთი 397

ებრაელები 103, 107, 156, 160, 262
ეგვიპტე 39, 58, 113, 166, 181, 183, 263
ევრაზია 5
ევროპა 18, 29, 39, 165, 192, 200, 216, 239, 257—259, 384, 386, 408, 417—418
ეკალხევი 33
ენგელსის ქ. 332
ერაყი 187, 190, 382
ერევანი 307, 312, 345, 354—355, 394
ერეკლე II-ის სახ. მოედანი 40, 69—70, 79
ერეკლე II-ის ქ. 244
ერეკლეს ციხე 339—340
ერზერუმი 93, 105—106, 153, 227, 256
ერზინჯანი 106

ზაზიანი 30
ვაკე 37—39, 334, 335
ვანი II
ვანის ტბა 93
ვანქის ეკლესია 248
ვანქის სასაფლაო 325
ვანქის უბანი 319, 320

ვაჟა-ფშაველას გამზ. 35
ვარაზის ხევი 33
ვარდისუბანი 33
ვარდისუბნის მთა 334—335
ვარკეთილი 30
ვაშლიჯვარი 43
ველიამინოვის ქ. 247
ველისციხე 211
ვენა 233, 438
ვენეცია 257—258, 417
ვერე (მდ.) 17, 33, 122, 247, 319, 335
ვერე (სოფ.) 334
ვეძისი 335—336
ვოლგა (მდ.) 256, 384
ვოლგა-ასტრახანის გზა 257
ვოლგისპირეთი 221

ზაგემი 230, 255, 257
ზემო ავჭალა 43
ზემო ხოდაშენი 446
ზენჯანი 113

თაბარისტანი 111
თაბორი 95, 301—303, 321, 326, 376, 378—379
თაბორის მთა 246
თაბორის ციხე 123
თავრიზი 166—167, 179, 185, 191—192, 194, 196, 200, 227, 263, 356, 358, 379
თათრის მოედანი 243, 245
თბილისი 48, 69
თბილისის ვილაიეთი 219, 306—308
თბილისის საამირო 15, 53, 64, 97, 118
თბილისის ციხე 40—42, 186—188, 215—216, 255, 316
თეთრიწყარო 227
თეკემანის საყდარი 320
თელავი 400
თელეთი 302, 338
თელეთის მთა 337
თელეთის ქედი 214
თელისხევი 343
თელოვანი 43
თრელიგორები 35—36, 38
თრიალეთი 64, 67, 93, 170, 310
თრიალეთის ქედი 32, 123
თურქეთი, თურქები 21, 45, 57, 189, 192—193, 222, 225, 257, 263, 298—299, 344, 358, 380, 382, 386
თურქმანები 195, 200, 392
თურქ-სელჩუკები 15, 96, 98—101, 104—105, 107, 116
თურქ-ხაზარები 58, 61, 63, 70, 73

იბერია 15, 48, 53, 431
იერუსალიმი 85
იკორთა 148
იმერეთი 235, 290
იმერეთის სამეფო 25, 192, 195, 381, 390
ინგლისი 387
ინდოეთი 18, 21, 113, 187, 257—259, 263—264, 270—271, 289, 358—359, 434
ინდოეთის ოკეანე 257, 259
ირი (მდ.) 33, 170
ირის ზეგანი 32
ირანი 12, 17, 19—21, 24, 45—46, 50—58, 71, 115, 165—166, 168, 190, 198, 200, 213—219, 221—227, 229—235, 237, 240, 254—259, 263, 277, 293—294, 296—300, 311—312, 315, 344—345, 354—355, 375—377, 379, 381, 384, 387, 391, 398, 431
ისანი (ავლაბარი) 14, 37, 71—72, 74, 121—122, 124, 145, 159, 163, 168, 199, 241, 327
ისნის ველი 64, 97, 115
ისნის ციხე 73, 123—124
ისპაჰანი 174, 257—258, 263, 280, 294, 299

ჰაეანი 176
კავკასია 15, 25, 29, 36, 66, 105—106, 110, 121, 297, 391
ქალა 14, 40, 50, 52, 55, 57, 69—71, 89, 145—146, 225—236, 241, 243, 247, 260, 323, 326—327
კალოუბნის ეკლესია 248, 318, 325, 409
კამბეჩიანი 170
კარი (ყარსი) 172, 185, 312

კარინი 202
კარნიფორა 170
კასპი 11
კასპის ზღვა 13, 26, 39, 92-93, 221, 299
კასპისპირეთი 298, 355, 358
კაფა 192
კახეთი 14, 32, 45, 64, 67, 90, 180, 192, 196—197, 213, 226—230, 233—235, 237, 240, 255, 257, 276—279, 283, 299, 300, 312, 314, 343, 375, 378—379
კახეთის მთიანეთი 63
კვირაცხოვლის სახ. ეკლესია 244, 342
კიბალჩიჩის აღმართი 246
კიევი 29
კლდის უბანი 245, 332
კოლხეთი 11
კომენდანტის ქ.322
კონსტანტინოპოლი 18, 142, 192, 311, 388
კოხტასთავი 177
კოჯორი 232, 243, 312, 334
კოჯრის გზა 392
კოჯრის კარი 355
კოჯრის ციხე 195
კრწანისი 37, 242, 336, 393, 395—397
კრწანისის ბაღები 246
კუკია 26, 33
კუმისი 195
კუს ტბა 33
ლაზიკა 13
ლეკები 22, 296—297, 302, 304, 348, 378
ლეონიძე გ. ქუჩა 326
ლესელიძის ქ. 285
ლეღვთა ხევი 33, 39, 326, 337, 338
ლილოს გზა 324
ლისის გზა 324
ლისის ტბა 33
ლიხი 176
ლორე 167, 176, 224, 228
ლურჯი მონასტერი 17, 122, 147—148, 158, 285, 334, 335
მაიაფარიკინი 102
მარაბდა 232—233
მარდინი 102
მარნეული 228
მარტყოფის ველი 231, 233
მახათას მთა 32, 37, 246, 323—324
მახლობელი აღმოსავლეთი 45, 56, 58, 115, 136, 171, 173, 187, 254
მეიდნის კარი 355
მელის გორა 343
მელიქის საყდარი 324
მელიქიშვილის ქ. 335
მესხეთი 19, 176, 187
მერაბ კოსტავას ქ. 335
მეტეხის პლატო 11, 241—242, 322, 329
მეტეხის ტაძარი 91, 124, 128, 146—147, 199, 206, 368, 409, 427
მეტეხის ციხე 18, 39, 236, 246, 260, 284, 285, 321, 391, 427
მეტეხის ხიდი 170, 321
მთაწმინდა 31, 37, 125
მიდია 263
მიცკევიჩის ქ. 34
მიხეილის (დაეით აღმაშენებლის) გამზ. 27, 37
მოზდოკი 357
მოვაკანი 199
მონღოლები 17, 165—166, 174—183, 198, 201—202
მოსკოვი 29, 221, 435—436, 438
მოსკოვის ხევი (თბილისში) 26
მოღნისის ეკლესია 244
მოღნისის უბანი 245
მტკვარი (მდ.) 12—14, 17, 21, 26, 31—33, 35—37, 41, 51—52, 57, 64, 66, 69, 71—73, 77, 89, 91, 94—95, 121—122, 125, 147, 160, 162, 170, 190, 207, 238, 241, 244, 246—247, 255, 284, 301—303, 317, 319, 323—324, 326, 328, 329, 331, 334, 336—340, 342—343, 348, 379, 392.
მუხათგვერდი 93, 219
მუხიანი 30
მუხრანი 97, 188, 224
მუხრანთ უბანი 319, 327
მუხრანის ხიდი 326
მცირე აზია 84, 200
მცხეთა 11—12, 44—45, 48—49, 51—54, 70, 80, 84, 216, 218, 301, 431

ნავთლული 36—37, 323, 339
ნათლისმცემლის ეკლესია 244, 332, 409
ნამგალა მიწა 43
ნარიყალა 18, 40, 69, 231—232, 241, 243, 284, 321, 378
ნაძალადევი 36—37
ნაჭარმაგევი 174
ნახიდური 226
ნახჭევანი 172, 187, 189, 227—228, 257, 345
ნეკრესი 11
ნიკოპოლი 84
ნიოფსია 16

ოდიში 193, 390
ორბეთი 64, 196
ორბეთის ციხე 94
ორთაჭალა 14, 17, 37, 39, 143, 246, 317
ორთაჭალის ბაღი 26, 246, 336—337
ორხევი (მდ.) 36
ორხევის მინდორი 36
ოსეთი, ოსები 87, 174, 291
ოსმალეთი, ოსმალები 19—22, 213—218, 221—229, 232—233, 237, 246, 254—257, 299—300, 304—305, 307—309, 311—312, 320, 325, 384, 387
ოქროს ურდო 178—182, 186—187, 189, 198, 200
ოქროყანა 34
ოძრახე (ოძრხე) 11

პალესტინა 58
პეტერბურგი 391, 399, 438
პეტრიწონი 142
პრესის ქ. 319
პუშკინის ქ. 241, 243, 326

ჩინვალი 16

რაჭა 307
რეი 128
რიყე 242, 323, 328, 381
რომი 85
რომის იმპერია 39, 49
რუის-ურბნისი 151
რუმის სასულთნო 166, 174
რუსეთი, რუსები 21—22, 25—28, 77, 109, 113, 221, 256—257, 291, 297—300, 304—305, 344, 355, 357, 359, 362, 379—381, 384—387, 389, 392, 396, 399, 401, 407—408, 412, 415—417, 421, 435, 438
რუსთაველის გამზ. 23, 27, 320
რუსთაეი 11, 14, 49, 61, 64, 97, 100—101

საბარათიანოს ველაიეთი 218
საბარათიანოს სომხეთი 344
საბერძნეთი 39, 67, 84, 128
საბურთალო 34, 37, 39, 334—335
საბჭოს ქ. 341
საგოდებელი 71—72
საგურამოს ქედი 32
სამადლო 220
სამარყანდი 166, 184
სამასი არაგველის სახ. ბაღი 39—40, 111, 243, 246
სამება (ეკლესია) 248
სამშვილდე 14, 100—101, 176, 183, 191, 316, 377
სამცხე 170, 180, 182
სამცხე-თრიალეთის მთიანეთი 32
სამცხე-საათაბაგო 17, 183, 185, 196—197, 214, 216—217, 221—222
სამხრეთ აზერბაიჯანი 296
სამხრეთ-დასავლეთ საქართველო 64, 67
სამხრეთ ირანი 258
სამხრეთ რუსეთი 382
სამხრეთ საქართველო 181, 183
სამხრეთ ციმბირი 165
სარკინე 11
საფრანგეთი 387
საფურცლე 43
საღამოვანქის მონასტერი 113
სეიდაბადი 241—243, 246, 302, 304, 317, 326—327, 330, 337, 392, 395
სვანეთი 48, 148
სვეტიცხოვლის ტაძარი 292, 301, 431
სიონ-ანჩისხატის უბანი 75
სიონი 23, 215, 244, 284, 310, 313, 375
სიონის ტაძარი (ეკლესია) 21, 69—71, 78—79, 81, 83—85, 90, 128,

147, 170, 285, 303—304, 409
სირია 58, 181
სკანდა 194
სკვირეთი (სკორეთი) 334
სკუტრი (სქუდრია) 84
სმოლენსკი 29
სოლოლაკი 37, 247
სოლოლაკის ქედი 89, 326
სოლოლაკის ხევი 33
სომხეთი, სომხები 12, 17, 22, 32, 45, 48, 58—65, 76, 85, 95, 98—99, 103, 105, 107, 113, 156, 183, 185, 187, 190—192, 256, 258, 261—263, 374, 379—380, 410
სომხითი 170, 194
სოღანლუღი 337—339
სოღდებილი 71, 121
სოხუმი 11, 14—15
სპარსეთი, სპარსელები 13, 20—21, 80, 85, 113, 171, 228, 243—245, 258, 263, 304, 306, 338, 355, 358—359
სპარსეთის ყურე 257, 259
სტალინგრადი 29
სტამბოლი 226—227, 298, 354
სტამბოლის ციხე 227
სურამის ციხე 20, 218, 230, 236
სურბ-კარაპეტის ხევი 246
სურბ-სტეფანეს სახ. ეკლესია 244

ტაბახმელა 214, 232, 392
ტანგუტები 165
ტაო 93, 165
ტაო-კლარჯეთი 88
ტაშირი 305
ტაშისკარი 229
ტაშხარყანა 337
ტიბერია 73
ტრაპეზუნტი (ტრაპიზონი) 11, 93
ტრაპიზონის იმპერია 16, 106, 134
ტრაპიზონის სამეფო 192

უკრაინა 23
ურბნისი 11
ურბნისის ტაძარი 90
ურმიის ტბა 93
უჯარმა 49, 54—55
უჯარმის ციხე 74

ფაზისი 11
ფაიტაკარანი 48
ფარცხისი 64, 220
ფარცხისის ციხე 94, 97
ფითუანთ უბანი 245
ფიტარეთი 148

ქაბული 289
ქამაონთ ეკლესია 325
ქართლი 13, 19—20, 48, 50—54, 56—57, 59—63, 67, 71, 73, 81, 84, 86—87, 92—93, 120, 170, 182, 192, 196, 213—215, 217, 220, 222, 225—238, 240, 258—259, 262, 290—291, 293—300, 307—308, 312—314, 343—344, 376, 379, 406
ქართლ-კახეთი 20, 22, 25, 51, 228—229, 232, 234
ქართლ-კახეთის სამეფო 25, 213, 345—376, 379, 381, 389—390, 398—399, 401—402, 410, 418—419
ქაშუეთის ეკლესია 83, 90—91, 122, 147, 247—248, 318, 321, 326, 409, 427
ქერმანი 113, 172
ქვათახევი 148
ქვემო ქართლი 99, 195, 217, 220—221, 224, 230, 233, 254, 295, 338, 345
ქსნის საერისთავო 345
ქსნის ხეობა 233, 314
ქუთაისი 14, 16, 104, 167, 172, 175—176, 189, 194, 249, 390
ქცია (მდ.) 226, 260

ღომელაურის ხევი 246, 323, 339
ღრმაღელე 36, 39

ყაბახი (საასპარეზო) 319—320
ყაზანის სახანო 18, 221, 256

ყაბარი 345—347
ყაზვინი 220, 221, 299
ყანდარი (ქ.) 289—290, 298
ყაოაბაღი 186—187, 216, 227, 297, 391
ყარათავა 379
ყარაის გზა 324
ყენის მთა 32, 343
ყიო-ბულახი 379
ყიზილბაშები 214, 216, 219, 223, 304, 312, 316, 394
ყიოგიზები 165
ყირიმი 18
ყირიმის ნახევარკუნძული 39
ყუბა 391
ყურყუთა (სოღანლული) 305, 337

შავთელის ქ. 224, 244, 331—332
შავი ზღვა 13, 18, 26, 113, 134, 200, 299
შავშეთ-ლარჯეთი 64
შაიტახტი 332
შამი 166, 174
შამქორი 77, 164, 296
შარვანი (შირვანი) 92—93, 103, 105—106, 180, 190, 216, 222, 312
შაქი 187, 190, 217
შემახა 103, 106, 227, 256—257, 263, 296, 312, 357, 399
შიდა ქართლი 32, 64, 301
შინდისი 336, 392
შუა აზია 18, 165, 184, 190
შუა აღმოსავლეთი 108, 113, 171, 179, 187, 192, 213
შუა ბაზარი 244
შურის ციხე 40, 52
შუშა (ქ.) 391
შუშის გზა 355

ჩალაუბნის ქ. 243
ჩალიპირაგორები 43
ჩახრუხაძის ქ. 242, 319
ჩერქეზეთი 307
ჩინეთი 113
ჩრდილოეთ აზერბაიჯანი 257
ჩრდილოეთ ირანი 296, 376
ჩრდილოეთ იტალია 200
ჩრდილოეთ კავკასია 16, 18, 45, 60—61, 70, 99, 185, 198, 382, 391
ჩრდილოეთ ჩინეთი 165
ჩეღურეთი 323—324, 340—342
ჩეღურეთის ხევი 26, 33, 246, 340—341

ცენტრალური აზია 165
ცოხის უბანი 24, 245—246, 331
ცოხედიდი 218, 220
ცხინვალი 306—307
ცხუმი 14

ძეგამი 296
ძეგვი 218
ძეძვის მთა 32
ძველი გავაზი 90
ძველი ჯულა (ჯულფა) 256—257

წავკისის უბანი 327
წავკისის წყალი 33, 71, 243, 312, 326
წავკისის ხეობა 89
წანარეთი 63
წინწყარო 341
წინა აზია 15—16, 18, 82, 112, 146, 355
წმინდა გიორგის სახ. ეკლესია 246, 248
წმინდა ეკატერინეს სახ. ეკლესია 244
წმინდა ესტატეს სახ ეკლესია 335

ჭანდარი (ჯანდარი) 195
ჭარ-ბელაქანი 296, 388
ჭერემი 54
ჭერემის ციხე 72

ხაზარეთი, ხაზარები 13, 57, 60—61, 77, 87, 113
ხარფუხი 243
ხევძმარი 343
ხლათი 93, 171—175
ხმელთაშუა ზღვა 355
ხორეზმი, ხორეზმელები 112, 165—166, 169, 171—175
ხოჯავანქი 338, 324
ხუნანი 11, 61

ჯავახეთი 84, 93, 95, 170, 177, 217, 346
ჯვარისმამის ეკლესია 244, 285, 332
ჯიგრაშენის სახ. ეკლესია 244
ჯორჯიაშვილის ქ. 318
ჯულფი (ქ.) 227

ჰერეთი (ჰერათი) 51, 61, 64, 180
ჰოლანდია 258

ტოპონიმიკური სახელები

აბანოს კარი 243, 317, 355
აგარანი 97
ავანაანთ ხევი 242, 319, 324—326
ავლაბარი 14, 19, 37, 71, 95, 215, 241—242, 246, 300—302, 310—311, 315, 317, 322—324, 327—328, 339—340, 348, 364, 398
ავლაბრის კარი 323
ავჭალა 36, 37, 64, 342, 378
ავჭალა ზემო 42—43
ავჭალის გზა 324, 340—341
ანჩისხატის უბანი 70—71, 75, 245, 261
ახალსოფელი (იგივე კუკია) 339, 341, 342

ბატონის მოედანი (იგივე „ზემო მოედანი", იგივე „ციხის მოედანი") 243—244, 319, 328, 331—332
ბებუთას ბაღი 324
ბოშის უბანი 320

გაბაანთ ხევი 33, 334
„განჯის გზა" 337
განძის კარი 122, 168
განჯის კარი 40, 121, 243, 317, 355
გარეთუბანი 122, 247, 248, 261, 310, 311, 317—325
„გარეთუბნის მოედანი" 247
გზის კარი 337
გლდანი 30, 43
გლდანის ტბა (ახლანდელი „თბილისის ზღვა") 33

დაბახანა 89, 326
დაბლა კარი 242, 319
დარიჯელი 95, 123
დედაციხე 13, 40—42
დელისი 35, 334
დიდუბე 34—35, 37, 39, 122, 146, 154, 339, 342—343
დიდხევი 342, 440
დირსიჭალა 246, 323, 339
დიღმის ველი 37, 39, 94, 150
დიღომი 35, 38, 45, 145, 220, 235
დიღმის კარი 145, 242, 335, 355
დიღმის ხევი 64

ელია 341
ერეკლეს ციხე 339—340

ვაკე 37—39, 334—335
ვანქის უბანი 247, 319, 325
ვაშლაჯვარა 43
ვაზისუბანი 30
ვარაზის ხევი 33
ვარკეთილი 30
ვერე (მდ.) 17, 33, 122, 247, 319, 321
ვერე (სოფ.) 334—335
ვერისხევი 334—335
ვეძისი 335—336

ზედა გზა 324
„ზემო ბაზარი" 244
„ზემო უბანი" 243, 248

თაბორი 25, 301, 321, 376, 378
თაბორის მთა 123, 246, 326
თაბორის ციხე 123, 376—378
თათრის მოედანი 241, 243—245
თელეთი 336, 338
თელეთის მთა 337
თელისხევი 342
თელოვანი 43
თოფლის 48
„თრელიგორები" 35, 37, 38

ისანი 14, 37, 71—73, 93—95, 97, 114, 120, 145—146, 168, 199, 205, 241
ისნის ველი 64, 115, 122

ჭალა 40, 50, 52, 55, 57, 69—71, 73, 89, 145—146, 235—236, 241, 243, 317—318, 323, 326, 329, 332
ჭალოუბანი 186, 325
ჭარის კარი 74
ჭახეთის გზა 324
ჭლდის უბანი 245, 332
ჭოჭრის კარი 243, 355
ჭრწანისი 37, 243, 246, 326, 336—337

კუკია 26, 339, 341—343
კუკიის ხევი 33
კუს ტბა 33

ლეღუთა ხევი, იხ. წავკისის წყალი
ლეღვის ხევი 337—338
ლილოები 338
ლილოს გზა 324
ლისის გზა 324
ლისის ტბა 33

მაიდნის კარი 74, 242
მამა დავითის ქედი 33
„მაღალი ციხე" (ნარიყალა) 284
მაღლა კარი (იგივე კოჯრის კარი) 242
მახათას მთა 32, 37, 246—247, 266, 323—324, 341

მეიდნის კარი 355
მელის გორა 342
მოსკოვის ხევი 26
მოღნინის უბანი 245
მუხიანი 30
მთაწმინდა 37, 125
მუხრანის უბანი 247, 327
მუხრანთ უბანი 319, 332
მუხრანის კარი (იგივე „დაბლა კარი") 242

ნავთლული 36—37, 323, 339
ნაკარევი 242, 323
ნამგალა მიწა 43
ნარიყალა 18, 40, 69, 231, 241, 243, 284, 316, 324, 378
ნაძალადევი 37
ნახშირგორა 335

ოქროყანა 34
ორბელიანთ უბანი 319—320
ორთაჭალა 17, 37, 39, 243, 246, 317, 326, 336—337
ორხევი 36

რაბადის კარი 74
რიყე 242, 323, 381
რიყის უბანი 427

საასპარეზო 247
საბურთალო 34, 37, 39, 334—335
საგოდებელი 71—75, 147
სადილეგო 73, 147
სანგრის გორა 337—338
სათათრო გზა 343
სეიდაბადი 241, 243, 246, 301—302, 304, 308, 317, 325, 326, 330, 336, 364
სიონის უბანი 70, 75, 261
სირაჯხანა 323
სოლოლაკი 37
სოლოლაკის მთა 332
სოლოლაკის ქედი 89, 241
სოლოლაკის წყალი 326
სოლოლაკის ხევი 32
„სომხის ბაზარი" 244
სოღალუხი 337
სოღანლული 337, 338
სოღდებილი 71—74, 121
სოღდებილის კარი 74
სურბ-კარაპეტის ხევი 246

ტალის ქვის ხევი 338
„ტამოქენნაია" 243
ტაშხარყანა 337
ტილიდა 48

ფაიტაკარანი 48
ფითუანთ უბანი 245
ფილადო 48

"ქვემო ბაზარი" 294
ქვემო კარი 242, 319, 355
ქვემო უბანი 243, 245, 248

ღომელაური 339
ღომელაურის ხევი 246
ღომელაურის წყალი 323
ღრმაღელე 37, 39

უბახი 246, 319—320, 322, 325
ყარაის გზა 324
ყეენის გორა 343
ყეენის მთა 32
ყოჩის ქვა 337
ყურყუთა 305, 337—338

შაისტახტი 241, 332
შინდისი 336
„შუა ბაზარი" 244
„შუა კარი" (იგივე დიღმის კარი) 242, 324
შუატბის გზა 324

შურის ციხე 40, 52

ჩალიპირიგორები 43
ჩუღურეთი 26, 323—324, 339—343, 348
ჩუღურეთის ხევი 33, 246, 340
ჩუხური (იგივე ჩუღურეთი) 440

„ციხის მოედანი“ 244
ციხის უბანი 22, 24, 245, 246, 331
„ცოცხალაანთ ბურჯის“ უბანი 245
ცხენის ტერფი 342

წავკისის უბანი 327
წავკისის წყალი 33, 243, 326
წავკისის ხეობა 89, 312

წყალყინი 95, 123
წულის კარი 242, 244, 247, 319, 331—332
წყნეთის გზა 335

ძეძვის მთა 32

შალა 43

ხალანგარი 246, 330
ხალვათხანა (იგივე ხალანგარი) 246
ხანლუხდარეს ხევი 338
ხარფუხი 243
ხევძმარი 342, 343
ხიდის უბანი 124
ხოჯევანქი 247, 324

ტერმინები

ამიდი 62, 119—120
ამირა 13—14, 60—68, 72—73, 89, 90—94, 97—98. 108, 114—115, 119—120, 124, 156, 249—250
ამირათ-ამირა 120, 148, 249—250
ამქარი 16, 23, 236, 352—354, 434
ამქარბაში 353
ამქრის თავი 353
არბაბი 315
ასასბაში 253
ასასი 253
ასისთავი 291
„ასნაფი“ 251—252, 267

ბაკი 108, 179, 260, 336
ბაკი სიმინბაშო 253
ბაყალბაში 353
ბეგლარბეგი 223, 226, 232. 306
ბერები 94—96, 98, 101, 115—116, 120, 122—123, 150
ბეითალმანი 240, 264

გლახაკნი 110, 182, 344, 368

დაბახანა 89, 326
დამღა (იხ. ტამღა)
დარბაზი 181, 346
დასტურლამალი 259, 262, 336, 368, 434, 445, 446
„დაცვის სიგელი“ 59
დედაციხე 41, 42
დიდვაჭარი 108—110, 117, 202, 256. 266—270, 365—366, 371, 373—374

ერისმთავარი 13, 55—56, 59, 61, 63—64, 70. 73, 75. 78—79, 83. 86. 89
ერისთავთა მთავარი 55
ეშიკაღასბაში 378

ვაზირი 176, 181, 211—212
ვაკარი(შუა) 268, 365
ვაკარი (ქვემო) 69, 365
ვაკართუხუცესი 108
ვალი 20, 62, 64, 235, 280, 294, 376
ვეზირი 183, 249, 307, 314
ვექილი 230. 314

ზარაბთუხუცესი 246, 266, 324
ზარაფხანა 60, 75—76, 266—267, 284. 345, 348—349, 351, 375

თაბუნი 251. 378, 434, 452
თბილელი 120
თოფჩიბაში 295

ᲙᲐᲠᲐᲕᲘ 105, 114

ᲛᲐᲛᲐᲡᲐᲮᲚᲘᲡᲘ 109, 251 –252, 309, 336 – 337, 374
მალი 252, 269, 314, 368
მარზპანი 13, 52, 55—56, 80 -81, 85
მახთა, მახტა 366, 368, 370, 374
მებაჟე 253
მეპეგრე 336
მეკულუხე 336—337
მელიქი 251, 309—310, 334
მესტუმრე 178, 203
მეღალე 337
მეკურკლეთუხუცესი 136
მინბაში 230, 234, 253, 261, 378
მორდალი 452
მორიგეები (თბილისის) 382
მოურავი 121, 250, 335—337
მოურავი დიდუბის 342
მოურავი თბილისის 229, 249, 250—252, 379
მოურავი თუშთა 378
მოურავი ნავთლუღის 340
მოქალაქე 108—109, 268, 270
„მუშრიბანა“ 253
მუშრიბი 62, 119
მუჰთასიბი 62, 119—120
მწერალი (ქალაქის) 253

„ნაათალი“ 203
ნაღარხანა 434
ნაცვალი 309
ნაცვალი ბატონის 253
ნაცვალი მოურავის 251, 253
ნოქარი 259, 382

ᲝᲠᲢᲐᲦᲘ 110
ოსტატი 267

პიტიახში 50, 52 —53
პრეფექტი 239

რაბათი 74, 109, 157, 308
რაისი 63, 94, 115—116, 120
რინდები 118, 161

საამირო დარბაზი 62, 73, 124, 150, 16
„საგოდებელი“ 91
საზანდარბაში 434
„სადილეგო“ 73, 91
„სალეკო“ 368—369
სარუხო 368
სარქარი 288
„სატარუდო“ 314
სახლთუხუცესი 250
საჰიბ ამ-შურატ 62
„სურსათი“ 368
სირაჯ-ბაში 353
სპასალარი 154, 240
სპარსეთი 154, 309

ᲤᲐᲛᲚᲐ 178, 198
„ტარუღა“ 249, 334

„ᲣᲚᲐᲧᲝ“ 369
უსტა 266—267
უსტაბაში 267, 353—354
უშური 225—226
„უხუცესი“ 115

ᲦᲝᲚᲝᲪᲘ 124, 169, 182

ᲭᲐᲚᲐᲜᲗᲐᲠᲘ 314
ქარავან სარაი 260
ქარვასლა 363, 364
ქეთხუდი 376
ქულბაქი 108, 199, 203

ᲣᲐᲓᲘ 63, 120, 310, 378
ყასაბხანა 363
„ყაფანდარი“ 253
ყულარაღასი 298

ᲨᲣᲙᲐ 124
შურტა 62, 119

„ჩელიექი“ 251

ᲪᲘᲮᲘᲡᲗᲐᲕᲘ 56, 62, 205, 215—216, 231, 307

ჯაბახანა 379

ხასადარი 336
ხასინჯუ 180
ხატიბი 137
„ხელოსანთ უფროსი“ 267

ხოჯები 257, 259—260, 267

ჯანიშინი 283, 290, 291, 295
„ჯარჩი“ 253
„ჯარჩიბაში“ 253
ჯიზია 59

ილუსტრაციების სია

ა. ფ ე რ ა დ ი

ტაბ. 1. 1. მოჭიქული თიხის ჭურჭელი თრელის სამარხიდან, ძვ. წ. VIII—VII სს., 2. წარჩინებული მეომრის ოქროს სამაჯური თრელის სამარხიდან. ახ. წ. III ს., 3. ოქროს სმკაულები ვაშლაჯვარას სამარხებიდან.
თბილისი, არქეოლოგიური ძეგლები, I, 1978, „მეცნიერება".

ტაბ. 2. მოჭიქული თიხის ჭურჭელი ერეკლე II-ის მოედნიდან, IX—X სს.
ი. გძელიშვილი, ო. ტყეშელაშვილი, თბილისის მატერიალური კულტურის ძეგლები, თბ., 1961.

ტაბ. 3. თამარ მეფე.

ტაბ. 4. თამარ მეფის გულსაკიდი ჯვარი.
საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი.

ტაბ. 5. ჯამები თბილისის კერამიკული სახელოსნოდან, XIII—XIV სს.
საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. III, თბ., 1979.

ტაბ. 6. 1—2. ჭურჭელი თბილისის კერამიკული სახელოსნოდან, XIII—XIV სს.
საქართველოს ისტორიის ნარკვევები, III, თბ., 1979.

ტაბ. 7. 1. იმპორტული ჭურჭლის ფრაგმენტი თბილისის დედაციხიდან, XVI—XVII სს., 2. მოჭიქული ჭურჭელი თბილისის დედაციხიდან.
თბილისის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი.

ტაბ. 8. მარიამ დედოფლის მიერ თბილისის სიონისათვის შეწირული ღვთისმშობლის ოქროს ხატი, XVII ს.
საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი.

ტაბ. 9. ენქერი. მაღალი თანამდებობის სასულიერო პირთა შესამოსელის ნაწილი. თბილისური ნაქარგობის ნიმუში, XVII ს.
საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი.

ტაბ. 10. მოჭიქული ჭურჭელი თბილისის დედაციხიდან, XVII—XVIII სს.
თბილისის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი.

ტაბ. 11. ვახტანგ VI-ის დროშა, XVIII ს.
ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი.

ტაბ. 12. ვახტანგ VI-ის ფარი, XVIII ს.
საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი.

ტაბ. 13. ერეკლე II-ის ქისები, XVIII ს.
საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი.

ტაბ. 14. ერეკლე II-ის ახალუხი, XVIII ს.
საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი.

ტაბ. 15. თბილისელი ქალის თავსაკრავები, XVIII ს.
საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი.

ტაბ. 16. თეკლა ბატონიშვილის (ერეკლე II-ის ასული) სუზან-საფენი. ქართული ნაქარგობის ნიმუში. XVIII—XIX სს.
საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი.

ბ. შ ა ვ - თ ე თ რ ი

ტაბ. 1. ვახტანგ გორგასალი (მოქანდაკე ელგუჯა ამაშუკელი).

ტაბ. 2.1. ენეოლითური ხანის კაჟის ხელშუბის პირი მიცკევიჩის ქუჩიდან.
თბილისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის შრ., I, თბ., 1966.
2—3. ენეოლითური ხანის თიხის კერა და ჭურჭელი დიდუბიდან.
დ. ქ ო რ ი ძ ე , თბილისის არქეოლოგიური ძეგლები, I, თბ., 1955.
4. შუა ბრინჯაოს ხანის საზეიმო ცული ღრმაღელიდან. იქვე.

ტაბ. 3. სამარხის კომპლექსი თრელის სამაროვნიდან, ძვ. წ. XIV ს.
თბილისი, არქეოლოგიური ძეგლები, I, 1978.

ტაბ. 4. სამარხის კომპლექსი თრელის სამაროვნიდან, ძვ. წ. XIII—XII სს.
თბილისი, არქეოლოგიური ძეგლები, I, 1978.

ტაბ. 5. ტაბულა პენტინგერიანას XI სეგმენტი.
ნ. ლომოური, უძველესი უცხოური ცნობა თბილისის შესახებ, კრებ. თბილისი 1500, 1958.

ტაბ. 6. ადრეფეოდალური ხანის თბილისის ციხე-ქალაქის საერთო ხედი. რეკონსტ-რუქცია.
ვახტანგ ცინცაძე, თბილისი..., თბ., 1958 (რუს. ენაზე).

ტაბ. 7. ანჩისხატის ეკლესია.

ტაბ. 8. თბილისის სიონი.

ტაბ. 9. VIII—IX სს-ის თბილისის ხედი. რეკონსტრუქცია.
ვ. ცინცაძე, თბილისი..., 1958 (რუს. ენაზე).

ტაბ. 10. თბილისში ხმარებული მონეტები VI—XI სს.: 1. სასანური, VI ს., 2—3. ქართულ-სასანური, VII ს., 4. ბიზანტიური, IX ს., 5. თბილისური დრაჰმა, IX ს., 6. არაბული დირჰემი, VIII ს., 7. დავით კურაპალატი, X ს., 8. ბაგრატ IV, XI ს., 9. გიორგი II, XI ს.
ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ნუმიზმატიკის განყო-ფილება.

ტაბ. 11. დავით აღმაშენებელი.

ტაბ. 12. თბილისში ხმარებული მონეტები XI—XIII სს.: 1. დავით აღმაშენებელი, XII ს., 2. ბიზანტიური, XI ს., 3. გიორგი III, XII ს., 4. გიორგი და თამარი, XII ს., 5. თა-მარი, XII ს., 6. თამარი და დავითი, XIII ს., 7. გიორგი ძე თამარისა, XIII ს., 8. ლა-შა-გიორგი, XIII ს.
ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ნუმიზმატიკის განყო-ფილება.

ტაბ. 13. ლურჯი მონასტერი.

ტაბ. 14. მეტეხის ეკლესია.

ტაბ. 15. 1. თბილისის კერამიკული სახელოსნოს ნაშთები, XIII—XIV სს., 2—3. სახელოს-ნოს ნაწარმი ჭრაქი და სამარილე.
ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი.

ტაბ. 16. თბილისში ხმარებული მონეტები XIII საუკ.: 1—2 რუსუდანი, 3. ჯალალ ედ-დინი, 4. თბილისური დრაჰმა, 5. მონღოლური, თბილისი, 6. დავით ნარინი, დმანისი, 7. დავით ნარინი, თბილისი, 8. დავით ულუ, 9. ყაანური, თბილისი, 10. დავით ნა-რინი, დავით ულუ, 11. ქართულ-ჰულაგუიდური.
ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ნუმიზმატიკის განყო-ფილება.

ტაბ. 17. თბილისში ხმარებული მონეტები XIII—XV სს.: 1. დემეტრე II, XIII ს., 2. სომ-ხეთის ფელსი, XIII ს., 3. ვახტანგ III, XIV ს., 4. ტრაპიზონული, XIII ს., 5. მონ-ღოლური, XIII ს., 6. კირმანეული, XIII—XIV სს., 7—8. ილხანური, თბილისი.

XIV ს., 9. ქართული, XIV ს., 10. ჯუდიჩური, XIV ს., 11. გიორგი VII და აპმად ჯელაირი, XIV ს., თბილისი, 12—13. შირვანული, XIV ს.
ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ნუმიზმატიკის განყოფილება.

ტაბ. 18. თბილისში ხმარებული მონეტები XV—XVIII სს.: 1. ქართული, XV ს., 2—3. ირანული, XVI ს., 4. ირანული, თბილისი, XVII ს., 5. ირანული, XVII ს., 6. ირანული, თბილისი, XVII ს., 7. ვენეციური დუკატი, XVIII ს., 8. ავსტრიული ტალერი, XVII ს., 9. ქართული, XVII ს., 10. ირანული, XVII ს.
ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ნუმიზმატიკის განყოფილება.

ტაბ. 19. თბილისის მოურავი გიორგი სააკაძე.
ქრ. კასტელის მიხედვით.

ტაბ. 20. ქართველი მეომრის ჯაჭვის პერანგი და ჩაჩქანი.
ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი.

ტაბ. 21. როსტომ მეფე.
ქრ. კასტელის მიხედვით.

ტაბ. 22. როსტომ მეფის მეუღლე მარიამ დედოფალი.
ქრ. კასტელის მიხედვით.

ტაბ. 23. მარიამ დედოფლისეული ქართლის ცხოვრების ერთი გვერდი.
კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი.

ტაბ. 24. თბილისის ხედი 1673 წ.
ჟან შარდენის მიხედვით.

ტაბ. 25. ნადიმი ვახტანგ V-ის (შაპნავაზის) სასახლეში — თბილისში.
ჟან შარდენის მიხედვით.

ტაბ. 26. ანჩისხატი. XII ს. ბექა ოპიზარის მიერ მოჭედილი ხატი, თბილისში გადმოსვენებული XVII ს.
საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი.

ტაბ. 27. ანჩისხატის სამრეკლო, XVII ს.

ტაბ. 28. XVII ს-ში გადაწერილი ვეფხისტყაოსნის ერთი გვერდი.
კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი.

ტაბ. 29. ჯვარისმამის ეკლესია XVII ს.

ტაბ. 30. თბილისის ხედი 1701 წელს.
ტურნეფორის მიხედვით.

ტაბ. 31. 1. მეფის სასახლე თბილისში შარდენის მიხედვით, 2. მეფის სასახლე თბილისში ტურნეფორის მიხედვით, 3. მეფის სასახლე თბილისში ვახუშტის მიხედვით.
თ. ბერიძე, საბჭოთა ხელოვნება, 1982, №11.

ტაბ. 32. თბილისის ციხესიმაგრის ჩრდილო-დასავლეთი კედელი.
ვ. ცინცაძე, თბილისი..., 1958 (რუს. ენაზე).

ტაბ. 33. თბილისის ციხესიმაგრის აღმოსავლეთი კედელი.
ვ. ცინცაძე, თბილისი..., 1958 (რუს. ენაზე).

ტაბ. 34. ვახტანგ VI. მინიატურა.
შ. ამირანაშვილი, ქართული ხელოვნების ისტორია, მოსკოვი, 1963 (რუს. ენაზე).

ტაბ. 35. 1709 წ. თბილისის სტამბაში დაბეჭდილი სახარების თავფურცელი და ვახტანგ VI-ის ანდერძი.
ქრ. შარაშიძე, პირველი სტამბა საქართველოში (1709—1722), თბ., 1955.

ტაბ. 36. 1712 წ. თბილისის სტამბაში დაბეჭდილი ვეფხისტყაოსნის ერთი გვერდი.
კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი.

ტაბ. 37. 1. 1711 წ. თბილისის სტამბაში დაბეჭდილი სასკოლო სახელმძღვანელო. 2. 1721 წ. თბილისის სტამბაში დაბეჭდილი აიათი ანუ ქმნულების ცოდნის წიგნი.
ქრ. შარაშიძე, პირველი სტამბა საქართველოში (1709—1722), თბ., 1955.

ტაბ. 38. ვახტანგ VI-ის ასტროლაბი. ასტრონომიული და გეოდეზიური ხელსაწყო ქართული წარწერებით.
ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი.

ტაბ. 39. ულუღ ბეგის ასტრონომიული ტრაქტატის ქართული თარგმანის ორი გვერდი.
კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი.

ტაბ. 40. ვახტანგ VI-ის ქიმიის წიგნის ორი გვერდი.
კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი.

ტაბ. 41. საწყაღები: 1—3. მარცვლეული: ღოდი, ჩანახი, ლიტრა, 4—7. სითხის: ´ღოკა, ჩაფი, თუნგი, ლიტრა.
ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი.

ტაბ. 42. სპილენძის თეფშები წარწერებით: 1. ქ. საკაძის გიორგისა და შიოშისა არის, 2. ქ. მეფე ვა(ხ)ტ(ა)ნგ, 3. ქ. მეფე ბაქ(ა)რ, 4. ქ. ბ(ა)ტონისშვილი თეკლა.
ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი.

ტაბ. 43. სუფრის სპილენძის ჭურჭელი, XVIII ს.
ს. ჯანაშიას სახელ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი.

ტაბ. 44. ვერცხლის სასმისები: 1. ერეკლე II-სი, დარეჯან დედოფლის ნაჩუქარი წარწერით — სახსოვრად მეფე ერეკლეს დარიასაგან.
საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი.
2. მეფის ძის ფარნაოზის წარწერით — მეფის ძის ფარნაოზისა ვარ...
ს. ჯანაშიას სახელ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი.

ტაბ. 45. 1. თბილისის წყალსადენი მილები.
ს. ჯანაშიას სახელ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი.
2. თბილისის წყალსადენის ერთ-ერთი ტრასა.
მასალა დაცულია თბილისის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში.

ტაბ. 46. აბანოს ნაშთები თბილისის დედაციხეზე. XVIII ს.

ტაბ. 47. მეფეთა და სამეფო ოჯახის წევრთა ბეჭდები: 1—2. როსტომ მეფის, 3—4. ვახტანგ V-ის (შაქნაზაზის), 5. ვახტანგ VI-ის, 6—8. ბაქარის, 9—10. ერეკლე II-ის, 11. გიორგი XIII-ის, 12. ვახუშტი ბატონიშვილის, 13—14. დარეჯან დედოფლის.
ა. ბაქრაძე, მასალები ქართული სფრაგისტიკის ისტორიისათვის, თბ., 1978.

ტაბ. 48. სასულიერო პირთა ბეჭდები: 1—4 კათალიკოზის
საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი.
5. კათალიკოზ ევდემოზის, 6—7. კათალიკოზ დომენტის, 8. კათალიკოზ ანტონ I-ის, 9. მეფის ძე ანტონის (შემდგომში კათალიკოზის), 10. დომენტი ტფილელის.
ა. ბაქრაძე, მასალები ქართული სფრაგისტიკის ისტორიისათვის. თბ., 1978.

ტაბ. 49. თბილისელ მოხელეთა ბეჭდები: 1. ბირთველ (თუმანიშვილის), XVII ს., 2. გივი (თუმანიშვილის), XVII—XVIII სს., 3. გივი თუმანიშვილის, XVIII ს. დასაწყისში, 4. გორჯასპი (თუმანიშვილის), XVIII ს. დასაწყისი, 5. სულხან (თუმანიშვილის), XVIII ს., 6. ბეგთაბეგ (შანშიან-მარტიროზიშვილის), XVIII ს. დასაწყისი, 7. სულხან მდივნის, XVIII ს. 30-იანი წწ., 8. გორჯასპი მდივნის, XVIII ს. შუა ხანები, 9. ეგნატი მდივნის, XVIII ს. 70-იანი წწ., 10. ომან (ხერხეულიძის), XVIII ს., 11—12. სოლომონ (ლეონიძის), XVIII ს., 13. იესე ოსეს ძის, XVIII ს., 14. ბარძიმ (ამილახვრის), XVIII ს., 15—16. მამასახლის ამხარბეგის, XVIII ს., 17. მამასახლის პაპასი, XVIII ს., 18. მელიქ ამხარბეგის, XVIII ს., 19. მელიქ დარჩისი, XVIII ს.,

20. მელიქ-მამასახლის აღასი, XVIII ს., 21. ქალაქის მოურავ ევსტათი (ციციშვილის), XVIII ს.

ა. ბაქრაძე, მასალები ქართული სფრაგისტიკის ისტორიისათვის, თბ., 1978.

ტაბ. 50. ვახუშტი ბატონიშვილის თბილისის გეგმა.

ტაბ. 51. 1. მეფე ერეკლე, 2. მეფე ერეკლეს ტყავის ყდა საქმიანი ქაღალდებისათვის და ერთ-ერთი ბეჭედი.

ს. ჯანაშიას სახელ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი.

ტაბ. 52. დარეჯან დედოფლის სასახლის აივანი XVIII ს.

ტაბ. 53. XVIII ს. თბილისში ხმარებული მონეტები: 1—2. თურქული, თბილისი, 3. თურქული, 4. ვახტანგ VI, თბილისი, 5. სიმონის, 6. ბაქარის, 7. ირანული, თბილისი, 8. ერეკლე II, 9. სირმა-აბაზი.

ტაბ. 54. თბილისელი ქალების აბანოსა და საპირფარეშო „იარაღები". 1. თმისსაყოფები, 2—3. სადაფი, 4—5. ბროლი, 6—7. „ფეხის ქვები".

საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი.

ტაბ. 55. ალექსი-მესხიშვილის გადაწერილი ოთხთავის ერთი გვერდი.

კ. კეკელიძის სახელ. ხელნაწერთა ინსტიტუტი.

ტაბ. 56. 1749 წ. თბილისის სტამბაში დაბეჭდილი დავითიანის თავფურცელი.

ქართული წიგნი, ბიბლიოგრაფია, თბ., 1941.

ტაბ. 57. 1768 წ. თბილისის სტამბაში დაბეჭდილი „ეპისკოპოსთა მიმართ" პირველი და უკანასკნელი გვერდები.

ქართული წიგნი, ბიბლიოგრაფია, თბ., 1941.

ტაბ. 58. XVIII ს-ის საბრძოლო იარაღები: 1. თბილისში დამზადებული ზარბაზნის ლულები, 2. წარწერა ზარბაზნის ლულაზე — მეფე თეიმურაზ, 3. მეფე ბაქარის თოფი, 4. წარწერა მეფე ბაქარის თოფზე — თოფო ყირიმო მეფის ბაქარისავო...

ს. ჯანაშიას სახელ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი.

5. ერეკლე II-ის თოფი, 6. ერეკლე II-ის ხმალი.

საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი.

7. ერეკლეს ექიმის ყარაშვილის ხმალი.

ს. ჯანაშიას სახელ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი.

ტაბ. 59. 1785 წ. თბილისის გეგმა, შედგენილი პიშჩევიჩის მიერ.

ტაბ. 60. ერეკლე II-ის საფლავზე დასადგმელი სასანთლე.

საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი.

ცხრილები
ТАБЛИЦЫ



ეახტანგ გორგასალი (მოქანდაკე ელგუჯა ამაშუკელი).

2

1. ენეოლითური ხანის ყაყის ხელშუბის პირი მიცკუევიჩის ქუჩიდან.
2 3. ენეოლითური ხანის თიხის კერა და ჭურჭელი დიდუბიდან.
4. შუა ბრინჯაოს ხანის საზეიმო ცული ლრმაღელიდან. იქვე.



სამარხის კომპლექსი თრელის სამაროვნიდან. ძვ. წ. XIV ს.

4



სამარხის კომპლექსი თრელის სამაროვნიდან. ძვ. წ. XIII- XII სს.



ტაბულა პენტინგერიანას XI სეგმენტი.



ადრეფეოდალური ხანის [illegible] ციხე-სიმაგრეთა ჩვენი რეკონსტ-
რუქცია.

ბოლნისის სიონი.



VIII—IX სს-ის თბილისის ხედი-რეკონსტრუქცია.

თბილისში ხმარებული მონეტები VI —XI სს.: 1. სასანური, VI ს., 2—3. ქართულ-სასანური, VII ს., 4. ბიზანტიური, IX ს., 5. თბილისური დრაჰმა, IX ს., 6. არაბული დირჰემი, VIII ს., 7. დავით კურაპალატი, X ს., 8. ბაგრატ IV, XI ს., 9. გიორგი II, XI ს.

დავით ალმაშენებელი.



თბილისში ხმარებული მონეტები. XI—XIII სს.: 1. დავით აღმაშენებელი, XII ს., 2. ბიზანტიური, XI ს., 3. გიორგი III, XII ს., 4. გიორგი და თამარი, XII ს., 5. თამარი, XII ს., 6. თამარი და დავითი, XIII ს., 7. გიორგი ძე თამარისა, XIII ს., 8. ლაშა-გიორგი, XIII ს.

Стенограф Ольгинского

მეტეხის ეკლესია.



1. თბილისის კერამიკული სახელოსნოს ნაშთები, XIII—XIV სს., 2—3. სახელოსნოს ნაწარმი ჭრაქი და სამარილე.



თბილისში ხმარებული მონეტები XIII საუკ.: 1—2 რუსუდანი, 3. ჯალალ ედ-დინი. 4. თბილისური დრაჰმა, 5. მონღოლური, თბილისი, 6. დავით ნარინი, დმანისი. 7. დავით ნარინი, თბილისი, 8. დავით ულუ, 9. ყაანური, თბილისი, 10. დავით ნარინი, დავით ულუ, 11. ქართულ-ჰულაგუიდური.



თბილისში ხმარებული მონეტები XIII—XV სს.: 1. დემეტრე II. XIII ს., 2. სომხეთის ფელსი, XIII ს., 3. ვახტანგ III.XIV ს., 4. ტრაპიზონული. XIII ს.. 5. მონღოლური. XIII ს., 6. კირმანეული. XIII—XIV სს.. 7—8. ილხანური. თბილისი.

თბილისში ხმარებული მონეტები XV—XVIII სს.: 1 ქართული, XV ს., 2—3. ირანული, XVI ს., 4. ირანული, თბილისი, XVII ს., 5. ირანული, XVII ს., 6. ირანული, თბილისი, XVII ს., 7. ვენეციური დუკატი, XVIII ს., 8. ავსტრიული ტალერი, XVII ს., 9. ქართული, XVII ს., 10. ირანული, XVII ს.

თბილისის მოურავი გიორგი საკაძე.
ქრ. კასტელის მიხედვით.



ქართველი მეომრის ჯაჭვის პერანგი და ჩაჩქანი.

როსტომ მეფე.
ქრ. კასტელის მიხედვით.

თბილისის ხედი 1673 წ.
ჟან შარდენის მიხედვით.

Giovanni Battista Tiepolo — Allegorie der Eroberungen des Dogen Alvise Mocenigo

ანრეისანტი. XII ს. ბეჭა ოპიზარის მიერ მოქედილი ხატი. თბილისში გადმოტ-
ანილი XVII ს.

ანჩისხატის სამრეკლო. XVII ს.

XVII ს-ში გადაწერილი ვეფხისტყაოსნის ერთი გვერდი



ჯვარისმამის ეკლესია XVII ს.



თბილისის ხედი 1701 წელს.
ტურნეფორის მიხედვით.



მეფის სასახლე თბილისში ვახუშტის მიხედვით.

თბილისის ეროვნული ბიბლიოთეკა

თბილისის ციხესიმაგრის აღმოსავლეთი კედელი

ვახტანგ VI. მინიატურა.





1709 წ. თბილისის სტამბაში დაბეჭდილი სახარების თავფურცელი და ვახტანგ VI-ის ანდერძი.



ამბანსა ცნობა ტარიელისგან ნეტარ ანდაზეანის ჭირვეულისა.

ფსალმ. ესე ვაცი ეამეცხაენეს : ეონებასა ეაეეშმა 8 ე:
რომე მისი ვერა შეცნა : ამას ფეფრო დაეედა 8 ე:
მას ზღუდესა ეარდაეადეე : მინდორთაკე რომე ეა 8 ე:
ლ: შესმა საქმე სამინელი : რომე თავი ვერ წავა 8 ე:
ფსალ. ეაბნდ ორნი ქვეითნი : მე მიეიეებე წინა 6 ე:
ქალი ჭეეა ერთსა მონასა : ესცანშცა თუ მღმა ეინა 6 ე:
თავ ეაელეეილი ასმათი : პირს სასლი ჩანაძინა 6 ე:
ლ: ალარ მიეიელა ლიმელითი : არცალა ეავიცინა 6 ე:
ფსალ. ეე ენახე დაეებნიეე : ეონებანი ეამიშმაე 5 ა:
შორით ფუმე რაშიეან ვართ : ანუ ცეცხლმან რაც ეაბნეგ ა:
მან საბრალოდ შემოტირნა : ძლიე სიტეეანი ეაბაე 5 ა:
ლ: მთხრა ლთნ სიმრეალე ცისა : ჩვენთვის ერსეთა ეაბერაენ ა:
ძალოს მეეელ კელაცა ეჭიოხე : რაშიეან ვართ თქუ მარიალი ი:
ეალავ საბრალოდ ამიტირდა : კეალავ მეიდეა ამით ალ ი:
ალ: ალ სიტეეა ვერა ფოსრა : მასან ეტირთა ნაცალ ალ ი:
ლ: ეალ: ალ წოლალ ფუეებეედა : სასლი ალ ალწეთა ნაწეეთალ ი:
ფსალ. ეერმე მთხრა მეასსენებ : ესე რაადმცა ალაეიმა ალ ე:
მიერა ვითა ეაეესარნე : შენკა ალერე შემიწეა ალ ე:
ნუ მაცოცხლებ ნუ ალმარენ : შეიწეალე შეიბრა ალ ე:
ლ: ალმსენ ჩემა საწეთრალსა : ალსა შენსა მიაეა ალ ე:

1712 წ. ოხელისის სტამბაში დაბეჭდილი ეეფხისტყაოსნის ერთი გვერდი.





1. 1711 წ. თბილისის სტამბაში დაბეჭდილი სასკოლო სახელმძღვანელო.

2. 1721 წ. თბილისის სტამბაში დაბეჭდილი აიათი ანუ ქმნულების ცოდნის წიგნი.



ვახტანგ VI-ის ქიმიის წიგნის ორი გვერდი.

საწყაოები: 1—3. მარცვლეულის: ოდი, ჩანახი, ლიტრა. 4—7. სითხის: ოკა, ჩათი, თონგი, ლიტრა.





სუფრის სპილენძის ჭურჭელი. XVIII ს.

ვერცხლის ჭიქები: 1. ერეკლე II-ის, დარეჯან დედოფლის ნაჩუქარი წარწერით — ხახსოვრად მეფე ერეკლეს დარიასაგან.
2. მეფის ძის ფარნაოზის წარწერით — მეფის ძის ფარნაოზისა ვარ...



1

2

1. თბილისის წყალსადენი მილები.
2. თბილისის წყალსადენის ერთ-ერთი ტრასა.

1

2

3

4

5

6

7

8

9

10

11

12

13

14

მეფეთა და სამეფო ოჯახის წევრთა ბეჭდები: 1 -2. ტოსტომ მეფის. 3 4. ვახტანგ V-ის (შაჰნავაზის). 5. ვახტანგ VI-ის. 6 8. ბაქარის. 9 10. ერეკლე II-ის. 11. გიორგი XIII-ის. 12. ვახუშტი ბატონიშვილის. 13 14. დარეჯან დედოფლის.

1

2

3

4

5

6

7

8

9

10

[illegible] 1—4. კათალიკოზის.
[illegible] ხელის ნაბეჭდი მონეტაზე.
[illegible] 6—7. კათალიკოს დიმიტრის. 8. კათალიკოზ ანტონ [illegible] ანტონის (მეფეგორეში კათალიკოზის). 10. დომენტი ტფილელის.



თბილისელ მოხელეთა ბეჭდები: 1. ბერთველ (თუმანიშვილის). XVII ს.. 2. გიგი (თუმანიშვილის). XVII—XVIII სს.. 3. გიგი თუმანიშვილის.XVIII ს. დასაწყისში. 4. გორჯასპი (თუმანიშვილის). XVIII ს. დასაწყისი. 5. სულხან (თუმანიშვილის). XVIII ს.. 6. ბეგთაბეგ (შანშიან-მარტიროზიშვილის). XVIII ს. დასაწყისი. 7. სულხან მდივნის. XVIII ს. 30-იანი წწ.. 8. გორჯასპი მდივნის. XVIII ს. შუა ხანები. 9. ეგნატე მდივნის. XVIII ს. 70-იანი წწ.. 10. ომან (ხერხეულიძის). XVIII ს.. 11—12. სოლომონ (ლეონიძის). XVIII ს.. 13. იესე ოსეს ძის. XVIII ს.. 14. ბარძიმ (ამილახვრის). XVIII ს.. 15—16. მამაცახლის ამხარბეგის. XVIII ს.. 17. მამასახლის პაპასი. XVIII ს.. 18. მელიქ ამხარბეგის. XVIII ს.. 19. მელიქ დარჩიასი. XVIII ს.. 20. მელიქ-მამასახლის აღას. XVIII ს.. 21. ქალაქის მოერაე ევსტათი (ციცეიშვილის). XVIII ს.



ვახუშტი ბატონიშვილის თბილისის გეგმა.

1. მეფე ერეკლე. 2. მეფე ერეკლეს ტყავის ყდა საქმიანი ქაღალდებისათვის და ერთ-ერთი ბეჭედი.



ფარეულნ დედოფლის სასახლის აივანი XVIII ს.

XVIII ს. თბილისში ხმარებული მონეტები: 1—2. თურქული, თბილისი. 3. თურქული. 4. ვახტანგ VI. თბილისი. 5. სიმონის. 6. ბაქარის. 7. ირანული. თბილისი. 8. ერეკლე II. 9. სრმა-აბაზი.



თბილისელი ქალების აბანოსა და საპირფარეშო „იარაღები". 1. თმისსაყოფები. 2—3. სადაფი. 4—5. ბროლი; 6—7. „ფეხის ქვები".

ალექსი-მესხიშვილის გადაწერილი ოთხთავის ერთი გვერდი.

1768 წ. თბილისის სეფისშვილი ...ენისკოპოსი ბიბლიოთ. ხელნაწერი ფ.
შეხსენებული ბეგნიერები.



3

4

5

6



7

XVIII ს-ის საბრძოლო იარაღები: 1. თბილიაში დამზადებული ზარბაზნის ლულები. 2. წარწერა ზარბაზნის ლულაზე — მეფე თეიმურაზ. 3. მეფე ბაქარის თოფი. 4. წარწერა მეფე ბაქარის თოფზე — თოფი ყარაბაღი ბეგის ბაქარისავო... 5. ერეკლე II-ის თოფი. 6. ერეკლე II-ის ხმალი. 7. ერეკლეს ექიმის ყარაშვილის ხმალი



1785 წ. თბილისის გეგმა. შედგენილი პიშჩევიჩის მიერ.



ერეკლე II-ის საფლავზე დასადგმელი სასანთლე.

შინაარსი

წინასიტყვაობა . . 5

შესავალი 11

თავი 1. უძველესი მოსახლეობა თანამედროვე თბილისის ტერიტორიაზე

დედაქალაქის ფიზიკურ-გეოგრაფიული მდებარეობა 32

არქეოლოგიური და ანთროპოლოგიური მონაცემები თბილისის მოსახლეობაზე 34

ა) არქეოლოგიური მონაცემები 34

ბ) პალეოანთროპოლოგიური მონაცემები 43

თავი 2. ქალაქ თბილისის წარმოშობა და პოლიტიკური განვითარება X საუკუნის ბოლომდე

თბილისის ამაღლება და გადაქცევა ქართლის სამეფოს პოლიტიკურ ცენტრად 47

ქალაქის სახელწოდებისათვის 47

ქალაქის წარმოშობა 49

დედაქალაქის თბილისში გადმოტანა 51

თბილისის თავგადასავალი IV—X საუკუნეებში 54

ბრძოლა უცხო დამპყრობთა წინააღმდეგ IV—VI სს. . . 54

ბიზანტიელთა ბრძოლა თბილისისათვის 56

არაბთა მფლობელობა თბილისში 58

თბილისის ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის 63

თავი 3. თბილისის სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული ცხოვრება

ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობა 69

თბილისის განაშენიანება 69

ეკონომიკური მდგომარეობა 75

თბილისის მოსახლეობის სოციალური შემადგენლობა . . 78

განათლება, მეცნიერება და მწერლობა თბილისში IV—X სს. . . 80

სწავლა-განათლება 81

მეცნიერული ცოდნა 84

მწერლობა 86

ხეროთმოძღვრება და სახვითი ხელოვნება 88

თავი 4. თბილისი საქართველოს ფეოდალური მონარქიის ძლიერების ხანაში

თბილისის გადაქცევა ერთიანი საქართველოს სატახტო ქალაქად . 92

ბრძოლა თბილისის შემოერთებისათვის XI საუკუნეში . . . 92

თბილისი — ერთიანი საქართველოს სატახტო ქალაქი 99

თბილისის პოლიტიკური და საერთაშორისო მნიშვნელობის ზრდა (XII ს. 20-იანი წლებიდან XIII ს. 20-იან წლებამდე) 104

თბილისის სოციალურ-ეკონომიკური განვითარება XI —XII სს. . . 108

სოციალური სტრუქტურა 108

ხელოსნობა და ვაჭრობა 110

ქალაქის მოსახლეობის რაოდენობა 113

სოციალური მოძრაობანი 114

თბილისის მმართველობა 118
თბილისის ტერიტორია და კეთილმოწყობა XI—XII სს. 121

თ ა ვ ი 5. კულტურული ცხოვრების აღორძინება (XI—XII სს.)
განათლება და მეცნიერული ცოდნა თბილისში XI—XII სს-ში. 127
ლიტერატურა 131
ფილოსოფიური აზრი 138
ხუროთმოძღვრება და სახვითი ხელოვნება 145
სახიობა და თეატრონი. თბილისში XI—XII სს-ში 149
თბილისის ყოფა XI—XII სს-ში 156

თ ა ვ ი 6. თბილისი უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლის პერიოდში (XIII—XV სს.)
თბილისი 1221—1231 წლებში 165
მონღოლთა პირველი გამოჩენა საქართველოში 165
თბილისის აღება ჯალალ ედ-დინის მიერ (1225—1231 წწ.) 166
დამპყრობელთა მოქმედება თბილისში 169
ბრძოლა თბილისისათვის 1226 წ. 171
ხორეზმელთა ბატონობის დასასრული 174
ბრძოლა მონღოლი დამპყრობლების წინააღმდეგ XIII საუკუნის პირველ ნახევარში 175
საქართველოს დაპყრობა მონღოლების მიერ 175
თბილისი XIII ს. მეორე ნახევარში 178
აჯანყებანი მონღოლთა წინააღმდეგ XIII ს. 50—60-იან წლებში 179
თბილისი თემურლენგის ურდოების შემოსევათა წინააღმდეგ ბრძოლის დროს 183
თბილისის აღება თემურლენგის მიერ 185
თბილისი 1386—1403 წწ. 186
თბილისი XV საუკუნეში 190

თ ა ვ ი 7. თბილისი სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული დაქვეითების გზაზე (XIII—XV სს).
თბილისის ეკონომიკური ვითარება 198
თბილისის სოციალური ვითარება XIII—XV სს. 201
ცვლილებები კულტურულ ცხოვრებაში 204
ა) მეცნიერული ცოდნა 204
ბ) ხუროთმოძღვრება და სახვითი ხელოვნება 205
თბილისური ყოფა XIII—XV სს. 207

თ ა ვ ი 8. ქალაქის პოლიტიკური მდგომარეობა XVI—XVII სს.
თბილისი XVI საუკუნეში 213
თბილისი XVI ს. პირველ ოცეულში 213
თელეთის ბრძოლა 214
თბილისი 1524—1562 წლებში 215
თბილისი 1562—1578 წლებში 220
თბილისი 1578—1590 წლებში 222
თბილისი 1590—1606 წლებში 225
ბრძოლა ირანელ დამპყრობთა წინააღმდეგ XVII ს-ის პირველ მესამედში . 227
ცვლილებები თბილისის პოლიტიკურ ცხოვრებაში XVII ს. 30—90-იან წლებში 235

თ ა ვ ი 9. თბილისის ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობა XVI—XVII საუკუნეებში. თბილისის ტერიტორია და მოსახლეობა 241

ცვლილებები თბილისის სამოხელეო წყობილებაში XVI—XVII სს-ში . . 249
თბილისის ეკონომიკური მდგომარეობა XVI—XVII სს-ში 254
სოციალური ურთიერთობანი თბილისში 267

თ ა ვ ი 10. თბილისის კულტურული ვითარება XVI—XVII საუკუნეებში
განათლება და მეცნიერული ცოდნა 272
ლიტერატურა 275
ხელოვნება 282

თ ა ვ ი 11. თბილისი XVIII ს. პირველ ნახევარში. აღმავლობისა და დაცემის ორი პერიოდი
თბილისი XVIII ს. პირველ ოცეულში 289
თბილისი ოსმალობა-ყიზილბაშობის დროს 298
ოსმალთა გაბატონება თბილისში 298
თბილისი „ოსმალობის“ დროს 307
თბილისი „ყიზილბაშობის“ დროს 311

თ ა ვ ი 12. თბილისის სოციალურ-ეკონომიკური განვითარება XVIII საუკუნეში
თბილისის ტერიტორია და მოსახლეობა 317
ტერიტორია 318
თბილისური სახლები XVIII ს-ში 327
მოსახლეობა 333
ქალაქისპირა სოფლები 334
ქალაქის სოციალურ-ეკონომიკური განვითარება XVIII ს. 40—80-იან წლებში 343
თბილისის სამრეწველო განვითარება XVIII ს. 40—80-იან წლებში . 348
თბილისის სავაჭრო კაპიტალი XVIII ს. 40—80-იან წლებში 354
სავახშო კაპიტალი. კრედიტი 360
მოსახლეობის სოციალური დიფერენციაცია და კლასობრივი ბრძოლა . . 361
მოსახლეობის სამეფო,საბატონო და სამოხელეო გადასახადები . . .368
კლასობრივი ბრძოლა 371
თბილისი საქართველოს და ამიერკავკასიის პოლიტიკური გაერთიანებისათვის ბრძოლაში 375

თ ა ვ ი 13. თბილისის პოლიტიკური ვითარება XVIII ს. 80—90-იანი წლების
მიჯნაზე-რუსეთის საფარველში შესვლა 1783 წ. და მისი პირველი შედეგები .384
თბილისის განადგურება 1795 წ. და რუსეთთან ურთიერთობა 391

თ ა ვ ი 14. თბილისის კულტურული განვითარება XVIII საუკუნეში
განათლება და მეცნიერება 403
თბილისის კულტურული აღმავლობა XVIII ს. პირველ მეოთხედში . . 403
განათლება და მეცნიერება თბილისში XVIII ს. 40—90-იან წლებში . .406
განათლებისა და მეცნიერების დონე 407
სახალხო განათლება 408
წიგნის ბეჭდვა 411
წიგნის გადაწერა. ბიბლიოთეკა-წიგნსაცავები 412
მეცნიერების ცალკეული დარგები 412
საგარეო კულტურულ-სამეცნიერო კონტაქტები 416
ლიტერატურა 418
ხელოვნება 427
სახიობა და თეატრონი თბილისში XVII—XVIII სს. 430

სახიობა 430
თბილისის თეატრონი 431
სახიობა XVIII ს. პირველ ნახევარში 434
სახიობა და თეატრი XVIII ს. მეორე ნახევარში 436
. თბილისური ყოფა XVII—XVIII საუკუნეებში 440

საკუთრივ თბილისის XVIII ს. ბოლომდელი ისტორიის შესახებ გამოქვეყ-
ნებული წყაროებისა და ნარკვევების სია 453
ვახუშტის 1735 წლის გეგმის განმარტება 459
1785 წლის თბილისის გეგმის განმარტება 461
შემოკლებათა ახსნა 464

ს ა ძ ი ებ ლ ე ბ ი
პირთა სახელების 466
გეოგრაფიული და ეთნიკური სახელების 475
ტოპონიმიკური სახელების 483
ტერმინები 485
ილუსტრაციების სია 487
ილუსტრაციები 492

ИСТОРИЯ ТБИЛИСИ

Т. I

(На грузинском языке)

Тбилиси
«Мецниереба»
1990

დაიბეჭდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის
სამეცნიერო-საგამომცემლო საბჭოს დადგენილებით

სბ 3564

გამომცემლობის რედაქტორები ე. ქაჯაია, ო. გიორგაძე
მხატვარი თ. კოხრეიძე
ტექრედაქტორი ც. ქამუშაძე
მხატვრული რედაქტორი გ. ლომიძე
კორექტორი ლ. აბჟანდაძე
გამომშვები ე. მაისურაძე

გადაეცა წარმოებას 24.7.1987; ხელმოწერილია დასაბეჭდად 8.6.1989;
ქაღალდის ზომა 60×90¹/₁₆; ქაღალდი ოფსეტური; ბეჭდვა ოფსეტური;
გარნიტურა აკადემიური; პირობითი საბეჭდი თაბახი 35,0; სააღრიცხვო-
საგამომცემლო თაბახი 32,72

აწყობილია ფოტოწყობით

უე 02280; ტირაჟი 160000; შეკვეთა №2197
ფასი 10 მან.

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова 19

აიწყო ცკ სტამბაში, თბილისი, 380096, კოსტავას ქ.,14
დაიბეჭდა და აიკინძა საქართველოს გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და
წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თბილისის ი.ჭავჭავაძის სახ.
წიგნის ფაბრიკაში, გრ. რობაქიძის ქ. №7.